ქართული
ჰაგიოგრაფიული ძეგლები

3 ტომად

ტომი II

მივესალმებით წინამდებარე ნაშრომის გამოცემას.
მიგვაჩნია, რომ ეს გამოცემა დააახლოებს საქართველოს ეკლესიის სულიერ მემკვიდრეობასთან მოსწავლეებს, სტუდენტებს, მრევლის წევრებს და ყველა დაინტერესებულ მკითხველს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II

რედაქტორი: ლევან აბაშიძე

მხატვრული გაფორმება: გიორგი პერანიძე

ISBN 978-99940-755-4-6 (სამივე ტომი)
ISBN 978-99940-755-6-0 (II ტომი)

© ბთი

ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები

ორიგინალური ტექსტები
და
ახალი ქართული თარგმანები

ტომი II

თბილისი 2007

We greet the publication of Georgian Hagiographic Literature.
This publication will certainly help students, parishes and wide public
to become closer to the spiritual heritage of the Georgian Church.

ILIA II
Catholicos-Patriarch of All Georgia,
Archbishop of Mtskheta and Tbilisi

Redactor: Levan Abashidze

Design: Giorgi Peranidze

ISBN 978-99940-755-4-6 (all three volumes)
ISBN 978-99940-755-6-0 (volume II)

© BTI

GEORGIAN HAGIOGRAPHIC LITERATURE

Original texts and translations into modern Georgian

VOLUME II

Tbilisi 2007

Content

Foreword 8

Wisdom of Varlaam (Balahvar) 15
Old Georgian Text edited by Edisher Tchelidze
Translated by Eka Koridze

Live of St. Grigol of Khanzta 369
Old Georgian Text edited and translated by Edisher Tchelidze

სარჩევი

შესავალი 8

სიბრძნე ბალავარისა 15
ძველი ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა
და წინათქმა დაურთო ედიშერ ჭელიძემ
თარგმნა ეკა ქორიძემ

წმინდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება 369
ძველი ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა
და თარგმნა ედიშერ ჭელიძემ

შესავალი

ქრისტიანული სრულყოფილების იდეა არ იცვლებოდა საუკუნეების მანძილზე და თავისი არსით მარად იგივე რჩება. ამის მიუხედავად, ის გზები და საშუალებები, რომლებითაც ქრისტიანები ცდილობდნენ მიეღწიათ ამ იდეალისთვის, განსხვავებული იყო სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა გარემოებებში, რომლებშიც ქრისტიანებს უხდებოდათ ცხოვრება. მოციქულთა ხანაში და მის შემდგომ, ქრისტიანთა დიდი დევნის პერიოდში, ქრისტიანული სრულყოფლების უმაღლეს გამოვლინებად მიჩნეული იყო სარწმუნოებისთვის სიცოცხლის გაწირვა – მოწამეობა.

ქრისტიანი წმინდანები: მოწამე და სულიერი მოწამე

ბერძნული სიტყვა "მარტვილი" (martys), ისევე, როგორც მისი ძველი ქართული შესატყვისი – "მოწამე", აღნიშნავდა სხვა არაფერს, თუ არა მოწმეს, რომელიც მოწმობს და ადასტურებს იმას, რაც უნახავს, რისი მომსწრეც ყოფილა და ამიტომ დანამდვილებით იცის. თავდაპირველად, სწორედ ამ მნიშვნელობით ჩნდება ეს სიტყვა ქრისტიანულ ლიტერატურაში. მოციქულები იყვნენ **მოწმეები** (მოწამეები) ყოველივესი, რაც მათ იხილეს ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრებიდან და ასევე, რაც ისწავლეს მისი სწავლებიდან. და ისინი მზად იყვნენ, **დაემოწმებინათ** ყოველივე ეს *"იერუსალემში, მთელ იუდეაში და სამარიაში და ქვეყნიერების კიდემდე"* (საქმ. 1:8).

პეტრე მოციქულმა, მის მიმართვაში სხვა მოციქულთა და მოწაფეთა მიმართ, როდესაც დადგა იუდას შემცვლელი მოციქულის არჩევის საკითხი, სწორედ ეს ტერმინი გამოიყენა

და სწორედ აღნიშნული მნიშვნელობით: *"მაშასადამე, საჭიროა, რომ ერთი იმ კაცთაგან, რომელნიც ჩვენთან იყვნენ მთელი იმ ხნის მანძილზე, როცა უფალი იესო მოვიდა ჩვენთან და წავიდა ჩვენგან, იოანე ნათლისმცემლიდან მოყოლებული, ვიდრე იმ დღემდე, როცა ის ამაღლდა ჩვენგან, - ერთი მათგანი უნდა შემოგვიერთდეს ჩვენ და ჩვენთან ერთად იყოს **მოწმე** მისი აღდგომისა"* (საქმ. 1:22). თავის ამ პირველ საჯარო გამოსვლაში პეტრე საუბრობს თავის თავზე და სხვა მოციქულებზე, როგორც "მოწამეებზე" (მოწმეებზე), რომლებმაც იხილეს მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე. თავის პირველ ეპისტოლეში, პეტრე ასევე მოიხსენიებს თავის თავს, როგორც *"ქრისტეს ვნებათა მოწმეს"* (1 პეტრ. 5:1).

ამ ადრეულ მაგალითებში უკვე მოჩანს სიტყვა "მოწამის" ახლებური, ქრისტიანობისთვის დამახასიათებელი მნიშვნელობა. ქრისტეს მოწაფეები არ იყვნენ უბრალოდ მოწმეები, რომლებიც სასამართლოში იძლევიან ჩვენებას. ეს უკანასკნელნი ჩვეულებრივ არ იგდებენ თავს საფრთხეში, როდესაც ისინი მოწმობენ და ადასტურებენ იმას, რაც იხილეს. მათგან განსხვავებით, ქრისტეს მოწმეები ყოველდღიურად იდგნენ საფრთხის წინაშე თავისი მოწმობის გამო და ეს მოწმობა დღენიადაგ შეიძლებოდა გამხდარიყო მძიმე სასჯელის და თვით სიკვდილით დასჯის მიზეზი. წმინდა სტეფანე იყო ის მოწმე, რომელმაც პირველმა ქრისტიანობის ისტორიაში, თავისი მოწმობა თავისი სისხლით დაბეჭდა. მისი მოწამეობის ამბავს ვხვდებით წიგნში "საქმე მოციქულთა", სადაც აღწერილია, თუ როგორ დასაჯეს ის სიკვდილით.

მოციქულთა საქმიანობა დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული და თითოეულმა მათგანმა თავისი მოწმობისთვის მიიღო სასჯელი ამა თუ იმ სახით. მათი უმეტესობისთვის ეს სასჯელი სიკვდილით დასჯა იყო.

ამგვარად, უკვე მოციქულთა ხანაში, ტერმინი "მოწამე" აღნიშნავდა იმ მოწმეს, ვისაც ნებისმიერ დროს შეიძლება დააძალონ საკუთარი მოწმობის უარყოფა და უარის შემთხვევაში, მას მძიმე სასჯელი ემუქრება, სიკვდილის ჩათვლით.

აქედან გასაგები ხდება, თუ როგორ შეიძინა ტერმინებმა "მოწამე" და "წამება" (დამოწმება), მისი საბოლოო მნიშვნელობა, რომლითაც ის ქრისტიანულ ლიტერატურაში დასაბამიდანვე იხმარება: მოწამე, ანუ მოწმე ქრისტესი არის ის, ვისაც შესაძლოა, არ უნახავს ქრისტე თავისი თვალით, მაგრამ იმდენად მტკიცედ სწამს ქრისტე, მისი ღმერთკაცობა, აღდგომა და ქრისტიანობის ჭეშმარიტება, რომ ამჯობინებს მიიღოს სიკვდილი, ვიდრე უარყოს ქრისტე. უკვე პირველი საუკუნის მიწურულს, წმინდა იოანე მახარებელი სწორედ ამ მნიშვნელობით იყენებს სიტყვას მოწამე (მარტვილი). ის საუბრობს წარმართობიდან მოქცეულ ანტიპაზე, რომელიც არის ქრისტეს "მართალი მოწამე (მარტვილი), რომელიც მოკლეს თქვენ შორის, სადაც მეფობს სატანა" (გამოცხ. 2:13). იგივე იოანე ლაპარაკობს მოკლულთა სულებზე, "რომლებიც მოკლეს ღვთის სიტყვისა და მოწმობისათვის (martyria)" (გამოცხ. 6:9).

მოწამეობის ხანამ ორ საუკუნეზე მეტ ხანს გასტანა, სანამ მეოთხე საუკუნის დასაწყისში იმპერატორმა კონსტანტინემ არ გამოაცხადა ქრისტიანობის კანონიერება (313 წ.). მოგვიანებით ქრისტიანობა რომის იმპერიის სარწმუნოება გახდა.

როდესაც დასრულდა ქრისტიანთა მასობრივი დევნის, და შესაბამისად, მოწამეობის ხანა, ქრისტიანთათვის დადგა აუცილებლობა სხვაგვარად გამოეხატათ სწრაფვა ქრისტიანული სრულყოფილებისკენ და სხვაგვარად მიებაძათ ქრისტესთვის. მრავალმა ქრისტიანმა გადაწყვიტა სრულად გაეწყვიტა თავისი კავშირი ამ ქვეყანასთან და განდეგილობის გზა აერ-

ჩია, რათა ზედმიწევნით აღესრულებინა სახარებისეული მოწოდებები. ასკეტური ცხოვრებისადმი ამგვარი სწრაფვა IV საუკუნემდეც აღინიშნებოდა ეკლესიაში. ჯერ კიდევ II საუკუნეში ეკლესიის მრავალი მასწავლებელი განიხილავდა ამგვარ ასკეტურ მსახურებას, როგორც მოწამეობის თანასწორ ღვაწლს და ღვთისადმი სიყვარულის უმაღლეს გამოვლენას. ასკეტური მსახურება მიიჩნეოდა როგორც ყოველდღიური მოწამეობა (martyrium cotidianum), და ამგვარად გაჩნდა სულიერი მოწამეობის იდეა.

ეს აზრი მარად ცოცხალი იყო ეკლესიაში და მას ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაშიც ვხვდებით. გიორგი მერჩულე წმინდა გრიგოლის და მის ძმათა ღვაწლის შესახებ წერს:

„დღითი-დღე მრავლდებოდნენ ძმები, რადგან ემატებოდა უფალს მეთერთმეტე საათის მუშები ჭეშმარიტი ვენახის დასამუშავებლად და ისინი პირველ მართალთა თანაზიარნი და წმინდა მოწამეთა მონაწილენი ხდებოდნენ, რადგან მონაზვნობის ღვაწლში წმინდა მოწამეების მსგავსად, — და მათზე მეტად, — მხნეობდნენ, რადგან მარტვილები მარტოოდენ ერთ დროს ეწამნენ, ესენი კი ყოველ დროს ეწამებოდნენ ქრისტეს სახელისთვის, როგორც ამბობს დავითი: „შენთვის ვიხოცებით ჩვენ ყოველ დღე“, და პავლე ამბობს: „მე ყოველდღე ქრისტესთვის ვკვდები“.

ჰაგიოგრაფია

ამგვარად, ეკლესიაში დასაბამიდანვე იყო წმინდანთა ძირითადად ორი ტიპი: მარტვილი და ასკეტი. ორივე მათგანი და მსგავსება მათ შორის ბუნებრივად მომდინარეობს სახარებიდან.

წმინდანთა თაყვანისცემა და განდიდება დასაბამიდანვე ახასიათებდა ეკლესიას როგორც აღმოსავლეთში, ისევე დასავლეთში. ეკლესიის უადრესი ისტორიიდან ჩვენამდე მოაღწია მრავალმა დოკუმენტმა, რომლებიც ასახავენ ამა თუ იმ ადგილობრივი ეკლესიის მიერ შედგენილ წმინდანთა სიებს მათი დღესასწაულის თარიღის აღნიშვნით. მოგვიანებით ამ სიებმა დასაბამი მისცეს საეკლესიო კალენდრებს და ე. წ. მარტირლოლოგიებს. ადრევე ჩნდება მოწამეობის აღწერები და წმინდანთა მოკლე ბიოგრაფიები, რაც არის ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის დასაწყისი. ეკლესიაში იმთავითვე იყო სურვილი და საჭიროება, აღეწერათ წმინდანთა ცხოვრება და ღვაწლი, რომ ის ცნობილი ყოფილიყო სხვა ქრისტიანთათვის, რომლებიც დაცილებულნი იყვნენ ამ წმინდანებისგან სივრცეში და დროში. ცხოვრებებს ხშირად თანამედროვე და თვითმხილველი ქმნიდა, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც, ავტორი გასული თაობის წმინდანთა შესახებ შეკრებდა მოწმობებს და აღწერდა მის ცხოვრებას.

ამგვარად შეიქმნა ვრცელი და მდიდარი ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, რომელიც ქრისტიანთათვის დაუსრულებელ წყაროს წარმოადგენდა სწავლისთვის და მიბაძვისთვის.

საქართველოს ეკლესიაში, როგორც მსოფლიო ეკლესიის განუყოფელ ნაწილში, ასევე არიან წმინდანები, რომლებსაც ეკლესია განადიდებს. ქართულ ენაზე დაწერილი მათი ცხოვრების აღწერები შეადგენს ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას, რომელიც მსოფლიო ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის განუყოფელი ნაწილია.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები ხასიათდებიან განსაკუთრებული ინდივიდუალობით, მოვლენების აღქმისა და გადმოცემის სიცხოველით, მკაფიოობით და უტყუარობით. ყოველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლი მართლაც თავისთავადი ღირებულების ნაშრომია, ეპოქის პირმეტყველი ხატია, მარად გაუხუნარი საუნჯეა.

ამიტომ მიგვაჩნია მნიშვნელოვნად თანამედროვე მკითხველისთვის სრულად მიწოდება როგორც თავდაპირველი ტექსტისა, ასევე ამ ტექსტების თარგმანისა, რათა ხსენებული ტექსტები არ დარჩეს მხოლოდ მეცნიერ-მკვლევართა შესწავლის საგნად და გზა გაეხსნათ მათ ყოველი მკითხველისთვის.

ლევან აბაშიძე

სიბრძნე ბალავარისა

წინათქმა

„ბალავარიანის“ სახელით ცნობილი ვრცელი აღწერილობა ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელებისა სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა საეკლესიო მწერლობის ისტორიაში. დღეისათვის გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ ძეგლის პირველსახე სირიულ-არაბულ ენებზე დამუშავდა, საიდანაც IX ს-ში ითარგმნა ქართულად, ქართულიდან კი X ს-ის მიწურულს (ან XI ს-ის დამდეგს) ეს უდიდესი სულიერი ღირებულების ძეგლი ბერძნულად თარგმნა წმინდა ექვთიმე მთაწმინდელმა. ბერძნულიდან შემდეგში შესრულდა ლათინური თარგმანი, ლათინურიდან კი (ნაწილობრივ, ბერძნულიდანაც) თანამედროვე ენებზეც ამეტყველდა იგი. ამრიგად, ნათელია, რომ ამ ძეგლის ნამდვილი პირველსათავე მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის არსებითად ძველი ქართული ტექსტია. მიუხედავად იმისა, რომ ამ უეჭველ ფაქტს სრულიად უგულებელყოფდნენ ევროპელთაგან ზოგნი, რომლებიც წმ. იოანე დამასკელს მიიჩნევდნენ „ბალავარიანის“ ბერძნული ტექსტის ავტორად, დღეისათვის სიმართლე გაცხადებულია და წმ. გიორგი მთაწმიდლის ცნობა იმის შესახებ, რომ ექვთიმე მთაწმინდელმა ქართულიდან ბერძნულად თარგმნა „ბალაჰვარიო“, მიუკერძოებელ მკვლევართა შორის არავითარ ეჭვს არ იწვევს. გაცილებით მეტი სირთულე ვლინდება საკუთრივ ძეგლის რაობასთან დაკავშირებით. მეცნიერულ კვლევაში ფაქტობრივად ერთსულოვნად არის მიღებული, რომ „ბალავარიანში“ გადმოცემული ამბავი სხვა არაფერია, თუ არა ბუდასთან დაკავშირებული ლეგენდის ქრისტიანული პერიფრაზი, რაც აბენეს მეფეს, იოდასაფს და ბალაჰვარს მოგონილ

პერსონაჟებად წარმოგვიჩენს. საზოგადოდ, მკვლევართა შორის დომონირებდა და დომინირებს ერთი მიღებული წესი: თუ სადმე გამოვლინდება მსგავსება ქრისტიანულ და არაქრისტიანულ ძეგლებს შორის, უპირატესობა აპრიორი ენიჭება არაქრისტიანულს, ქრისტიანული კი მის მიბაძვად ცხადდება. ასე იყო, სხვათა შორის, ფილოსოფიის კუთხითაც, როდესაც უდიდესი ქრისტიანი ფილოსოფოსების შრომები, მათი ყოველგვარი სიღრმისეული შესწავლის გარეშე, ანტიკურობის უღიმღამო მიბაძვად ცხადდებოდა. ეგევე ვითარება იყო წინა პლანზე, როდესაც დიდი ქრისტიანი თეოლოგის, წმინდა დიონისე არეოპაგელის შრომები ნაყალბევად და წარმართი პროკლე დიადოხოსის ქრისტიანულ საფარველში გახვეულ სწავლებებად განიმარტებოდა. ასევეა „ბალავარიანთან“ დაკავშირებითაც. ამიტომ, ისმის კითხვა: რომელია უფრო მეტად სარწმუნო, ის, რომ ინდოეთში ბუდისტური ლეგენდის ქრისტიანიზება მოხდა (რა საჭიროების გამო?) და თან იმ მასშტაბით, რომ ბუდიზმის ამღიარებელ ინდოეთში ამ „სიყალბემ“ სრულად შეინარჩუნა ქრისტიანული სახე, თუ ის, რომ ინდოეთში გარკვეულ ჟამს კიდევ ერთხელ მოხდა ჭეშმარიტი სარწმუნოების გამონათება (ისევე როგორც მოციქულთა დროს), რაც შემდეგში ხელახლა დაჩრდილა ადგილობრივმა ბუდისტურმა სარწმუნოებამ, თუმცა მომხდარი უკვალოდ არ გამქრალა და იგი, ბუდისტურ საფარველში გახვეული, ბუდიზმისკენ უკუმიქცეული ინდოელების ცხოვრებაშიც შემოინახა? ეს ნიშნავს: გაცილებით სარწმუნოა ვიფიქროთ, რომ უდიდესი სულიერი მოვლენის, ინდოეთის მეფისწულისა და მეფის გაქრისტიანების, რეზონანსი შემდგომ ეპოქებსაც გასწვდა და თუ ამ მოვლენის შესახებ უტყუარი თხრობა მცირერიცხოვანმა ინდოელმა ქრისტიანებმა ფარულად შემოგვინახეს, ეგევე მოვლენა, თუმცა დამახინჯებული სახით, აირეკლა თვით ბუდისტური ინდოეთის შემდგომდროინდელ ცხოვრებაშიც. რაც შეეხება ძეგლის განსაკუთრებულ სულიერ ღირსებებს, ეს უდავო ჭეშმარიტებაა და ამაზე არავინ დაობს. მართლაც, ნაშრომში გამჟღავნებული იგავითი ფორმა ჭეშმარიტი მოძღვრების გადმოცემისა იმდენად შთამბეჭდავია, რომ საეჭვოა ამ მხრივ „ბალავარიანი“ რომელიმე სხვა ჰაგიოგრაფიულმა აღწერილობამ დაჩრდილოს. შეიძლებოდა მისთვის შეგვედარებინა II ს-ის ძეგლი, ერმის ნაშრომი „მწყემსი“, სადაც ასევე იგავებითა და სიმბოლოებით მეყტველებაა წინა პლანზე, თუმცა ხსენებულ „მწყემსში“ ალეგორიზმი ზოგჯერ მეტისმეტია, რაც მოვლენის ისტორიულობასა და ნამდვილობას აკნინებს, მაშინ, როცა „ბალავარიანში“ მთელი თხრობა სავსებით რეალისტურია და მკითხელზე სწორედ თაბისი ნამდვილობით ახდენს განსაკუთრებულ ზემოქმედებას. ამა სოფლის წარმავლობა, ყოფითი ცხოვრების უბადრუკეობა და მოჩვენებითი სიკეთენი, რა თქმა უნდა, ზოგადი თემაა, მაგრამ „ბალავარიანში“ ეს ყოველივე ისეთი ყოფითი უტყუაობითაა გადმოცემული, რომ ნებისმიერ მკითხველს აფიქრებს თავის ცხოვრებაზე, საკუთარი და სხვათა გარდაცვალების გარდუვალობაზე, ჭეშმარიტი მოძღვრების გადამრჩენელ დანიშნულებაზე. ამიტომ ეწოდებოდა და ეწოდება აღნიშნულ ძეგლს „სულისმარგებელი რომანი“. იგი მართლაც იმ ნაშრომთაგანია, რომელიც სულის საზრდოდ უხდება ყოველ ადამიანს და მარადიული ცხოვრების მოპოვებისთვის ღვწისკენ მიმართავს მას.

ცხორებაჲ ნეტარისა იოდასაფისი, ძისა აბენეს ჰინდოთა მეფისაჲ, რომელი მოაქცია ნეტარმან მამამან ბალაჰვარ მოძღუარმან

გუაკურთხენ, მამაო!

1. იყო ვინმე მეფე ერთი ქუეყანასა ჰინდოეთისასა, ადგილსა, რომელსა ჰრქჳან შოლაიტი, და სახელი მეფისა[ჲ] მის აბენეს. და იყო იგი წარმართი ფრიად და დიდი სამეუფოჲ[თა] და აურაცხელ სიმრავლითა ერისაჲთა, ზარ (და საში)ნელ ყოველთა ზედა კაცთა, მძლე მტერთა მიმართ; ლაღ, ამპარტავან და შუენიერ ხილვითა; ღრმა სიბრძნითა და განგე[ბუ]ლებითა, მდევარ (სიტყუათა)... (მოძ)ულე ქრისტესმსახურთაჲ, სახელი მისი აბენეს. (იყო იგი) შეყოფილი გონებითა ნე[ბათა] და საშუებელთა ამის სოფლისათა და დამონებულ ნებასა თავისა თჳსისასა, და ყოვლადვე ვერ წინააღმდგომელ შუებათა მიმართ, განმხრწნელთა სულისათა. არარას გულმან-უთქუა სოფელსა შინა, რომელიმცა არა მოეცა, გარნა ამას ხოლო ჴუებულ იყო, რამეთუ არა ესუა მას წული შვილი.

2. ხოლო მორწმუნენი ქრისტესნი და მონაზონნი კაცნი წმი-დანი განმრავლდეს ქუეყანასა მისსა და რომელთამე მათგანთა ყოვლადვე დაეტევა ზრუნვა[ჲ] ამის სოფლისაჲ. და ესენი ფრიად განკჳრვებულ იყვნეს მეფისათჳს, თუ ვითარ ეგოდენ მისცა თავი ნებასა თჳსსა და დაამონა იგი ქებათა ამ[აო]თა. და იწყეს ძაგებად საწუთროსა და ყოველთა საქმეთა მისთა. (წარ)მოიტყოდეს

ცხოვრება ნეტარი იოდასაფისა, აბენეს, ინდოელთა მეფის ძისა, რომელიც მოაქცია ნეტარმა მამამ ბალავარ მოძღვარმა

1. ინდოეთის ქვეყანაში, შოლაიტის სამეფო ქალაქში, მეფობდა ერთი ხელმწიფე, სახელად აბენესი. წარმართი და კერპთმთსახური მეფე დიდ სამეფოს ფლობდა, ერიც აურაცხელი ჰყავდა და შიშის ზარს სცემდა ყველას. მტრების მძლეველი, ლაღი და ამპარტავანი აბენესი გარეგნულადაც მშვენიერი სახილველი იყო, სიბრძნითა და კეთილგონიერებით განაგებდა ქვეყანას. მას განსაკუთრებით ქრისტიანები სძულდა, რადგან თავად წუთისოფლის სიამოვნებებისა და საკუთარი ნების მონად იყო ქცეული. გულისთქმებს აყოლილი ხელმწიფე განცხრომით ცხოვრობდა და ამით წარწყმედით ემუქრებოდა თავის სულს. ნებიერი მბრძანებლისთვის ამ წუთისოფლად არაფერი იყო შეუძლებელი, რასაც ისურვებდა, ისრულებდა კიდეც, მხოლოდ ერთი სადარდებელი ჰქონდა ყოვლისშემძლე აბენესს – მას მემკვიდრე არ ჰყავდა.

2. ქრისტიანები და ღვთივსათნო ბერები კი დღითიდღე მრავლდებოდნენ აბენესის სამფლობელოში. მათ სრულიად უარყოფილი ჰქონდათ ამსოფლიური საზრუნავი და აოცებდათ მეფის თვითნებური და თავდაჯერებული ცხოვრე-ბა, რამეთუ ხელმწიფე ამსოფლიურ პატივსა და დიდებას მიელტვოდა, ქრისტიანები კი გმობდნენ ამგვარ ცხოვრებას,

დაფარულთა ვნებათა და საცთურთა და სიბოროტეთა აღსასრულისა მის(ისა)თა და ვითარმედ, ადრე წარმავალ არს ხატი ამის სოფლისაჲ.

და მიიწია სიტყუაჲ მათი აბენესე მეფისა და ფრიად დამძიმდა ესე მის ზედა, რამეთუ ესრე თქუა გულსა შინა თჳსსა, ვითარმედ წინააღდგომაჲ ესე ამათი მიზეზ რაჲსამე ექმნას საქმეთა მისთა დაჴსნისათჳს სუფევისა მისისა და განსარყუნელად განგებისა მისისა. მაშინ აღიძრა იგი გულისწყრომითა ყოველთა ზედა ქრისტეანეთა და იწყო ძჳრისჩუენებად კაცთა მათ ღმრთისათა და ყოველთა მიმართ, რომელნი ერჩდეს სიტყუათა მათთა. მაშინ თანაშეწევნითა ეშმაკ[საჲთა] განიზრახვიდა ბოროტსა მათთჳს. [და] დაამძიმა ჴელი მისი მათ ზედა, ვიდრემდის განმარტა ჴელი მისი მათ ზედა გუემითა და ტანჯვითა, და აკუეთნა მათ კაცნი უგუნურნი. და იწყო მოყვანებად კერპთმსახურთა პატივითა დიდითა და ადიდნა კერპნი მათნი და თაყუანის–სცა წინაშე მათსა; და უზორა და ეზიარებოდა დღესასწაულთა მათთა. და ჴელი შეყვეს ყოველთა უგუნურთა და უმეცართა კერპთმსახურებასა მეფისა თანა.

მაშინ განძლიერდა საცთური იგი კერპთმსახურებისაჲ, და დიდი ჭირი და იწროებაჲ მოიწია ყოველთა ეკლესიათა და კაცთა ზედა მორწმუნეთა, და ვერვინ დაითმინა, გარნა სრულთა ხოლო და ჭეშმარიტთა ქრისტესაღმსაარებელთა.

მათ სძულდათ წარმავალი წუთისოფელი და მისი საქმეები, მოურიდებლად ამხელდნენ წუთისოფლის დაფარულ საცთურსა და ვნებებს და დროებითი ცხოვრების ამაოებასა და წრაფწარმავლობას ააშკარავებდნენ.

ღვთისმოსავთა სიტყვებმა აბენესის ყურამდეც მიაღწია. ძლიერ განრისხდა მეფე, – ვაითუ, ქრისტიანობა დაღუპვას უქადდესო ჩემს ძალაუფლებას,– რადგან ფიქრობდა, რომ მათი (ქრისტიანების) ასეთი წინააღმდეგობა სამეფოს ნგრევისა და წესრიგის დარღვევის მიზეზი გახდებოდა. ამიტომ გულისწყრომით აღივსო ყველა ქრისტიანის მიმართ და კიდევ უფრო შეიძულა ისინი. მეფე არც იმათ ინდობდა, ვინც ქრისტიანებს მოუსმენდა. ეშმაკისაგან გამძვინვარებულმა აბენესმა ბოროტი განიზრახა ქრისტიანთათვის, რისხვით აღმართა ხელი მორწმუნეებზე და უფრო მეტად გამკაცრდა მათ მიმართ, ტანჯვა და გვემა მოუვლინა მორწმუნეებს და უმეცარნი და უგუნურნი დაუპირისპირა მათ, დიდი პატივით მოიწვია კერპთმსახურები, ადიდა კერპები და თაყვანი სცა ცრუ ღმერთებს, უხვად შესწირა მსხვერპლი და მონაწილეობა მიიღო წარმართულ დღესასწაულებში. შეუერთდნენ უმეცარნი და უგუნურნი მეფეს კერპთმსახურებაში.

ამის გამო კერპთმსახურებამ და ცრურწმენამ იმძლავრა ქვეყანაში, ჭეშმარიტ მორწმუნეებს კი ჭირი და შევიწროება დაატყდათ თავს. განსაცდელი მოევლინა ქრისტეს ეკლესიას. ვერავინ შეძლო, წინ აღდგომოდა ცრუ ღმერთთა თაყვანისცემას. მხოლოდ რწმენაში სრულყოფილნი და ქრისტეს ჭეშმარიტი აღმსარებლები არ შედრკნენ განსაცდელის წინაშე, მხოლოდ მათ შეძლეს დაეთმინათ თავს დამტყდარი შეჭირვება.

3. [დ]ა შემდგომად ამისა იკითხა მეფემან კაცი ერთი ახოვანთა მისთაგან(ი), რომელი ფრიად დიდებულ იყო და წარ[მატე]ბულ წინაშე მისსა ახოვნებისა და სიბრძნისა მისისათჳს. ხოლო კაცსა მას დაეტევა საწუთროჲ ესე და შეუდგა სრულიად ქრისტესა და იქცეოდა უდაბნოს სხუათა თანა ყოველთა მამათა. და მეფესა არა ეცნა საქმე ესე.

მაშინ უთხრეს მეფესა საქმე მის[ი], და ფრიად შეწუხნა მისთჳს, და ბრძანა მოყვანებაჲ მისი. და ვითარცა მოიყვანეს იგი და იხილა იგი ხატითა მონაზონთაჲთა და სამოსლითა შეურაცხითა, მსგავსად კაცთა მათ ღმრთისათა, აღივსო გულის-წყრომითა და იწყო გინებად მისა რისხვით, და ჰრქუა მას:

„ჰ უგუნურო, შენ იყავ პატივცემულ და წარჩინებულ წინაშე ჩემსა და აწ გიყოფიეს თავი შენი უგუნურთა თანა ს(აც)ინელ, და დაამჴჳ დიდებაჲ შენი, რომელი გაქუნდა წინაშე ჩემსა, და წარსწყმიდე დიდებაჲ შენი, და იქმენ საკიცხელ და საქიქელ ერსა შორის, და შეუდეგ შენ გზასა მას უგუნურთა და წარწყმედულთასა. და მერმე რაჲ-იგი შეამთხჳე სახლსა და შვილთა შენთა?!“

მიუგო კაცმან მან ღმრთისამან და ჰრქუა: „დაღაცათუ არა ძეს სამართალი ჩემი წინაშე შენსა, თანაგაც პატივი თავისა შენისაჲ და დაცვაჲ გონებისა მაგის შენისაჲ მტერთაგან მისთა“.

ჰრქუა მას მეფემან: „და ვინ არს მტერ გონებისა ჩემისა?“

ჰრქუა მას კაცმან მან: „მტერ გონებისა შენისა არს გულისწყრომაჲ შენი, რომელი აღსძრავს და შეაშფოთებს მას და წინააღუდგების კეთილთა მიმართ. [ა]წ ისმინე სიტყუაჲ ჩემი და შემდგომად ცნობისა აღასრულე, რაჲ-იგი გნებავს“.

ჰრქუა მას მეფემან: „აჰა ესერა აღვიღებ რისხვასა ჩემსა შენგან. აწ მითხარ, თუ: გაქუს რაჲ განმართლებაჲ თავისა შენისაჲ?“

3. ერთხელაც აბენეს მეფემ ერთ-ერთი ქვეშევრდომი მოიკითხა. ეს კაცი გარეგნული მშვენიერების, ახოვანებისა და სიბრძნის გამო მეტად დაფასებული და პატივდებული იყო მეფის წინაშე, მაგრამ მას დაეტოვებინა წუთისოფელი, სრულიად მინდობოდა ქრისტეს და უდაბნოში ცხოვრობდა სხვა მამებთან ერთად. მეფემ კი ამის შესახებ კარგა ხანს არაფერი იცოდა.

როცა შეიტყო, ძლიერ შეწუხდა აბენესი და სასწრაფოდ მსახურის მოყვანა ბრძანა. მონაზონთა მსგავსად, უპატიო, მდაბიური სამოსლით შემოსილი იხილა იგი მბრძანებელმა. წყრომით აღივსო მეფის გული და დაუწყო მას განრისხებულმა ლანძღვა-გინება:

– ჰოი, უგუნურო, შენ სამეფო კარზე პატივცემული, დაფასებული და წარჩინებული კაცი იყავი, ახლა კი სასაცილოდ გაგიხდია თავი უგუნურთა მსგავსად. დიდება, რომელიც ჩემს წინაშე გქონდა, შეურაცხყავი და პატივი, რომელსაც ფლობდი, ფეხქვეშ გათელე. სალანძღავი და მასხრად ასაგდები გამხდარხარ, უმეცართა და დაღუპულთა გზას შესდგომიხარ, მიგიტოვებია სახლ-კარი და არ გაფიქრებს შენ შვილთა ბედი.

მიუგო ღვთის კაცმა:

– თუმცა ჩემ სიმართლეს შენ არ იღებ, მაინც გმართებს, მეფეო, შენი თავის პატივისცემა და გონების დაცვა მტერთა-გან.

– ვინ არის ჩემი გონების მტერი? - იკითხა მეფემ.

– შენი გონების მტერი შენივე რისხვაა. ის აღძრავს და გიშფოთებს გონებას, რათა ვერ შეიცნო უმჯობესი. დაიცხრე რისხვა, მეც მომისმინე და შემდეგ, როგორც გენებოს, ისე მოიქეცი, – მიუგო მსახურმა.

მაშინ უთხრა მეფემ:

ჰრქუა მას კაცმან: „აწ მიბრძანე, მეფე, რომლისა საქმისათჳს აღიძრვი ჩემ ზედა, თავსა ჩემსა რაჲმე შევსცოდეა ანუ შენ მეფესა?“

ჰრქუა მას მეფემან: „არა უწყია, უკუეთუ შესცოდო თავსა შენსა, ჩემდა მომართ სცოდავ? რამეთუ მე თანა-მაც განგებაჲ ცთომილთაჲ სამართალითა ჩემითა, სარჩელითა და სწავლითა ჩემითა და რაჲთა შევიწყნარო ყოველი [სი]მართლე ერისა ჩემისაჲ და დავსაჯო თანამდები ბრალისაჲ მათ შორის; და უკუეთუ განრაჲმე-ჰრყუნა თავისა შენისაჲ, რომელსა არა მოაქცევდეს, თჳნიერ შჯაჲ ჩემი, არა უწყია, ვითარმედ შრომასა შემამთხუევ მას შინა? და აწ შენ ესრეთ ხარ ჩემ თანა, ვითარცა სხუანი ერისა ჩემისანი, რამეთუ უკუეთუ ვინმე ბოროტი რაჲმე გიყოს, თანა-მაც, რაჲთა გისაჯო მისგან; და ეგრეთვე შენ, უკუეთუ სხუასა ვისმე უყო, თანა-მაც, რაჲთა გისაჯო თავისა შენისაგან და უსაჯო თავსა ჩემსა შენგან და მერმე სახლსა შენსა და შვილთა შენთა, რამეთუ წარსწყმიდენ“.

ჰრქუა მას წმიდამან კაცმან: „თავი სამართლისაჲ არს მიზეზი რაჲმე სიტ[ყ]ჳსგებისაჲ ურთიერთას, და არავინ მოიღის სიტყუაჲ საშჯელისაჲ თჳნიერ განმართლებისა ცხადად, და არა აქუს ძლევაჲ საშჯელსა შინა თჳნიერ მსაჯულისა; არამედ, მეფე, შენ თანა ორნი მსაჯულნი არიან, ერთი მათგანი სარწმუნო არს ჩემ თანა, ხოლო ერთი იგი საეჭუელ არს. აწ უკუეთუ დასუა ჩუენ შორის, რომელი-იგი სარწმუნო არს, სამართალი საჯოს, ხოლო უკუეთუ დასუა, რომელი-იგი საეჭუელ არს ჩემ თანა, არა მერგოს მის თანა სიმართლე ჩემი“.

ჰრქუა მეფემან: „და ვინ არიან ორნი იგი მსაჯულნი, ანუ ვინ არს მათგანი სარწმუნოჲ ანუ საეჭუელი?“

– კარგი, დავიცხრობ რისხვას. შენ კი იმართლე თავი, თუ შეგიძლია.

კვლავ უთხრა კაცმა:

– მიბრძანე, მეფევ, რატომ მრისხანებ ჩემზე. შენს წინაშე ვცოდე თუ საკუთარ თავთან ვარ დამნაშავე?

მიუგო მეფემ:

– ნუთუ არ იცი, რომ როცა საკუთარ თავთან სცოდავ, ჩემს წინაშეც სცოდავ? მე მაქვს ხელმწიფება, ჩემი ნებისა და სამართლისაებრ განვსაჯო ყოველი კაცი, კეთილისმყოფელი შევიწყნარო, ხოლო დამნაშავე დავსაჯო. და როცა რყვნი შენს საკუთარ თავს და იმგვარად გადაიგვარებ, რომ სასჯელის გარდა არაფერს იმსახურებ ჩემგან, ნუთუ ვერ ხვდები, რომ ამით დიდ ჯაფას შემამთხვევ?! მე ისევე გეპყრობი, როგორც სხვას მოვექცეოდი ჩემს ხელქვეითთაგან, – თუკი ბოროტს შეგამთხვევდა ვინმე, – პასუხს მოვსთხოვდი მას, და თუ შენ შეამთხვევ სხვას საცთურს, მმართებს, პასუხი მოგთხოვო შენ, მოვკითხო საკუთარ თავსაც და სამართალი ვყო შენი ოჯახისთვისაც, რადგან შენი შვილების დაღუპვის მიზეზი შენვე იქნები.

მიუგო მას წმიდა კაცმა:

– უტყუარ სამართალს სიტყვისგება წარმოაჩენს კაცთა შორის. ვერავინ შეძლებს მართლად და შეუმცდარად განსაჯოს, თუ დამნაშავესაც არ მოუსმენს იგი. არც განაჩენს ექნება ძალა მსაჯულის გარეშე. მაგრამ შენში, მეფევ, ორი მსაჯულია, ერთი მათგანი სარწმუნოა ჩემთვის, მეორე კი - საეჭვო. თუ ჩვენს შორის მას დასვამ, რომელიც მიუკერძოებელია და სარწმუნო, სიმართლით განსჯის, ხოლო თუ მას, რომელიც საეჭვოა, არ ექნება ჩემს სიმართლეს შეწევნა მისგან.

ჰკითხა მეფემ:

– ვინ არის ის ორი მსაჯული ან რომელია მათ შორის სარწმუნო და რომელი საეჭვო?

მიუგო კაცმან მან და ჰრქუა: „სარწმუნო არს ჩემ თანა სიბრძნე და გონებაჲ შენი, ხოლო საეჭუელ ჩემდა არს გულისწყრომაჲ და ნებაჲ შენი“.

ჰრქუა მას მეფემან: „აჰა ესერა აღვიღებ შენგან გულისწყრომასა და ნებასა ჩემსა, და შემოვიღო შორის შენსა და ჩემსა სიბრძნე და სამართალი ჩემი, დაღაცათუ ჩანს გონებაწარწყმედულებაჲ შენი, აწ მითხარ ყოველი საქმე შენი და ვინ გაცთუნა“.

ჰრქუა კაცმან მან ქრისტესმოყუარემან: „დასაბამი საქმისა ჩემისაჲ ესე იყო, რამეთუ მესმა სიტყუაჲ ერთი დღეთა ოდენ სიჭაბუკისა ჩემისათა და ჩასწუთა ნაწუეთი მისი ჩემ თანა, და ყოვლადვე ესენებაჲ მისი მაქუნდა გულსა შინა ჩემსა, რასაცა ვიქმოდე, და აღორძნდებოდა დღითი-დღე, ვითარცა ნერგი რაჲ აღორძნდებინ, ვიდრემდის განსრულდა ნერგი იგი და ესევითარი ნაყოფი გამოიღო, რომელსა-ესე ჰხედავ ჩემ თანა. ხოლო სიტყუაჲ, რომელი მესმა, ესე არს: ჰგონებნ უგუნური არსსა მას არაარსად და არაარსსა მას – არსად, რომელმან ვერ გულისჴმაყოს არსი იგი, ვერ თანა-წარჰჴდეს არაარსსა მას. ხოლო არსი იგი მერმე იგი სოფელი არს და არაარსი – სოფელი ესე, რომლითა შენ შეპყრობილ ხარ. და სიტყუაჲ ესე ყოვლადვე მეჴსენა გულსა შინა ჩემსა, ჟამითი-ჟამად განვიხილევდი მას, და ვითარ-იგი ამხილებნ, სულსა ჩემსა განაკრძალებდა და განწმდებოდა გონებაჲ შემწედ სულისა. და მერმე აღმიდგის ნებაჲ მიდრეკად შუებათა მიმართ და განმაშორებნ ჩემგან, რომელი-იგი მიცნობიედ, ვიდრემდის შეითქუნეს სული და გონებაჲ. მაშინ განქარდა საცთური ვნებათაჲ და დავინახე სოფელი ესე, ვითარ-იგი ყოვლითკერძო ცეცხლ არს. და მიჩუენნა მე ყოველნი საცთურნი და საბრჴენი მისნი, რომლითა მოინადირნეს ყოველნი მოყუარენი მისნი.

მიუგო კაცმა:

– სარწმუნო და სანდო ჩემთვის შენი სიბრძნე და გონიერებაა, ხოლო მრისხანება და გულისთქმათა მორჩილება შენი ეჭვს ბადებს ჩემში.

უთხრა მას მეფემ:

– აჰა, დავიოკებ რისხვას და ჩემს გულისთქმებსაც დავაცხრობ, რათა იყოს ჩვენს შორის უპირატესი სიბრძნე და სამართალი ჩემი. თუმცაღა უკვე ჩანს შენი გონებაწარწყმედილება, მაინც დაუფარავად მიამბე ყოველივე და მითხარი, ვინ გაცდუნა.

ღვთისმოსავმა კაცმა მეფის წინაშე თავისი ამბის თხრობა დაიწყო:

– ერთხელ, ჩემს სიჭაბუკეში, ღვთის შესახებ მოვისმინე სიტყვა. ეს სიტყვა ღრმად ჩაეწვეთა და ჩაიმარხა ჩემს გულში. ყოველთვის მახსოვდა იგი, გამუდმებით მაგონდებოდა ყოველ ჩემს საქმიანობაში. დღითიდღე ღვივდებოდა ეს თესლი ჩემს გულში. ხოლო სიტყვა, რომელიც სიჭაბუკეში მოვისმინე და დავიმარხე, ესაა: უგუნური არსს არა-არსად მიიჩნევს, და არა-არსს – არსად. ის, ვინც ვერ გულისხმაყოფს არსს, ვერ მოიძაგებს არა-არს. ხოლო არსი მარადიული სამყოფელია, არა-არსი კი – დროებითი წუთისოფელი, რომლითაც შენ ხარ დატყვევებული, მეფევ...

განუწყვეტლივ მახსენდებოდა ეს სიტყვები, დროდადრო ღრმად მაფიქრებდა და მათგან მხილებული ჩემი სული ფრთხილობდა, გონება იწმიდებოდა და სულს შეეწეოდა. შემდგომ კვლავ ვნებებმა და სურვილებმა იძალა, განცხრომისაკენ მიიდრიკა ჩემი ნება, რათა განვეშორებინე მისგან, რაც უკვე შემეცნო, მაგრამ წინ აღუდგა სული გონებას. მაშინ ვნებათა საცთური განქარდა და ცხადად დავინახე, რომ ყოველმხრივ მტანჯველი ცეცეხლია წუთისოფელი, საცთურსა და მახეს უგებს კაცს და ყოველ მის მოყვარულს ატყვევებს...

მაშინ დავაყენე ნებაჲ ჩემი და აღმოვჰფხურენ მიზეზნი გულისთქუმისანი და მოვაცალე გონებასა ჩემსა ცნობად კეთილისა და ბოროტის, მაშინ აღმეძარცუა საბურველი მწუხარებისაჲ და მომქარდა სიმთრვალე გულისთქუმისაჲ და გამოჩნდა სარცხჳნელი საწუთროჲსაჲ, და განვიცდიდი მომავალსა და განვიხილევდი წარმავალსა, და გამო(ვ)სცდიდი აღსასრულსა, ვიდრემდის კმა-ვყავ მეცნიერებაჲ ჩემი მას შინა.

დაღაცათუ მე არა განვიცდიდი, იგი გამომეცხადებინ, და მე არა ვჰკითხევდი და იგი მითხრობნ ვნებათა მისთა, რომელნი ჰქონან არა მტერთათჳს, არამედ მოყუარეთა და მეგობართა მისთა მიმართ. და მაშინ დავინახე, რამეთუ სიწმიდე მისი სიმრღჳე არს, და სიხარული მისი მწუხარებად, და სიმდიდრე მისი სიგლახაკედ, და სიმაღლე მისი სიმდაბლედ და შუებაჲ მისი სინანულ. არა ვინაჲ ვპოვე სიმდიდრისაგან მისისა, თუმცა არა ჰქონდა მის თანა მიზეზი ურვისაჲ, რამეთუ ვერ განეგებოდა სიმდიდრე იგი, გარნა ურვითა მით, რომელი შეუდგს, ვითარცა გლახაკმან ვინმე პოვა ცხენი, აწ ჰხედავა, ვითარ შე-ხოლო-უდგს ურვაჲ? რამეთუ უჴმს მისთჳს საჭმელი და საჴმარი მისი და ადგილიცა და მსგავსნი მათნი. და აწ ოდესმე დაილინენ გულისთქუმანი ესე, რომელ ერთიერთსა შე-ხოლო-უდგს? და ვითარ არა მწუხარება არს და ტკივილ სოფელი ესე, რამეთუ არავინ არს, რომელმანცა განიხარა მათ შინა შვილთაგან, გინათუ მონაგებთა, უკუეთუმცა არა ეწინეს ხოლო მიზეზნი ტკივილისა და გულისკლებისანი მოლოდებითა მით მოწევნადთა ბოროტთაჲთა, გინა შემთხუევითა სენთაჲთა, გინა მოწევნითა ვნებათაჲთა, გინათუ მოსლვითა სიკუდილისაჲთა თჳთ მის

მაშინ სრულიად უარვყავი ჩემი სურვილები და გულისთქმანი, უარი ვთქვი კეთილისა და ბოროტის გონებით გარჩევაზე და მომცილდა მწუხარების საბურველი, გაქრა ვნებები და სურვილები და ცხადად დავინახე წუთისოფლის დაფარული სიბილწენი. იმედით შევყურებდი მომავალს, ვიძიებდი წარმავალს, ვფიქრობდი აღსასრულზე და ამ ყველაფერს ვარკვევდი და შევისწავლიდი მანამ, სანამ არ ვეზიარე ჭეშმარიტებას.

სრული შეიქნა ჩემი ცოდნა საწუთროს შესახებ. ამსოფლიურ გულისთქმებს არ გამოვიძიებდი, მაგრამ მეძალებოდნენ, არ ვინტერესდებოდი წარმავალი დიდებით, მაგრამ მომელტვოდნენ. დავინახე ისიც, რომ წუთისოფელს თავისი სიმდიდრე მხოლოდ მის მოყვარულთა და მეგობართათვის აქვს გამზადებული, რომ მისი სიწმიდე სიბილწე და უწმიდურებაა, მისი სიხარული – მწუხარება, სიმდიდრე – სიგლახაკე, სიმაღლე – სიმდაბლე, მხიარულება და სილაღე კი – სინანული. ვერსად ვნახე მისგან გამდიდრებულთაგან ისეთი კაცი, რომელსაც ამქვეყნიურ ყველა სიამოვნებასთან ერთად არ ჰქონოდა გლოვის მიზეზი, რადგან სიმდიდრის მოხვეჭას ათასვგარი საზრუნავი სდევს თან. ეს იმას ჰგავს, ღარიბმა ცხენი რომ იპოვა, შემდგომ კი უამრავი საზრუნავი გაუჩნდა, რადგან ცხენს საჭმელიც ესაჭიროებოდა და მოსართავიც, თავშესაფარიც და ბევრი სხვაც. განა კი დაილევა გულისთქმები, რომლებიც ერთმანეთისაგან იშვებიან?! და განა სოფელი სავსე არ არის ჭირითა და უბედურებით, უამრავი ტკივილით?! რადგან ვინ მოესწრო მის შემდგომ თაობებს, ვინ მოიხმარა დაგროვილი სიმდიდრე ისე, რომ არ გამოევლო მას უამრავი ტკივილი და გულისწუხილი, ბოროტის შემთხვევა და დასნეულება, გაუთვალისწინებელი უბედურებანი ან თვით სიცოცხლის აღსასრული. მაშინ განცხრომა და ვნებათა სიამე სიმწარედ

თავადისა ზედა. მაშინ სიტკბოებაჲ იგი ვნებათაჲ განუმწარდის. აწ უკუე შუებათა მათ მსწრაფლ შე-ხოლო-უდგს მწუხარებაჲ, თჳნიერ ღონისა განშორებაჲ მათგან. ჩანს, რამეთუ ყოვლადვე არა ჯერ-არს შერევად სოფელსა ამას და უფროჲსღა მათ, რომელთა უცნობიან საცთურნი მისნი, და უმეტეს ჯერ-არს მათდა მოძულებად და სივლტოლად მისგან, რომელთა მისცა თავი თჳსი უხუებით სოფელმან ამან, რამეთუ მოელიან დღითი-დღე და ჟამითი-ჟამად დაკლებასა ჟამთა დაკლებისაგან, და ეშინის მონაგებთათჳს, გინათუ წარტაცებისათჳს სიკუდილისა, ოდეს-იგი არა მოელოდის. მაშინ არღარა ნეფსით დაუტეოს სოფელი, რომლისაგან-იგი შეპყრობილ იყო.

აწ ვსძაგებ, მეფე, შენდამი სოფელსა ამას და განგაკრძალებ მისგან, რამეთუ მოუღის, რომელი მისცის, და შეინანის, რომელი მიანიჭის, და მერმე ტჳრთმძიმე განუტევის.

ცოდვითა განსძარცჳს, რომელი შეუმოსიედ, ვიდრემდის გა-ნაშიშულის სარცხჳნელიცა მისი და შეჰმოსის მას სირცხჳლი და ყუედრებაჲ; დაამდაბლის, რომელი აღამაღლის, ვიდრემდის ფერჴისსაცემელ ყვის მტერთა მისთა. მაცთური არს მორჩილთა მისთაჲ, მოძულე მოყუარეთა მისთაჲ, მცბიერ ერთგულთა მისთაჲ, დაამჴჳს, ვინ მიეყრდნის, და წარუკუეთის სასოებაჲ მოსავთა მისთა, განუმწარის სიხარული მოხარულთაჲ და ვერვინ განერის მშჳდობით, რომელი ჰყუარობდის მას. რამეთუ დადვის სიტყუაჲ მისი და შეიკუეთნის უგუნურნი. მათ აღუსრულიან, ხოლო მან უტყუვის. დღეს განუმზადის ჭამადი ნოვაგთმოყუარესა და ხვალე შესაჭმელად მატლთა მისცის იგი. დღეს ჰმსახურებდიან

იქცევა, უკვალოდ ქრება, ფუფუნებით ცხოვრებას სწრაფად ცვლის მწუხარება, აღარ ჩანს გამოსავალი. ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ უმჯობესია საერთოდ გაშორდე წუთისოფელს და მის სიბილწეებს, მით უფრო, თუკი დაინახავ, რომ ყველა მისი სათნოება მხოლოდ ეშმაკის მახეა და ცდუნება. კიდევ უფრო მეტად ჰმართებს კაცს ამსოფლიურ დიდებასა და პატივზე უარის თქმა, რადგან ეს სოფელი უშურველად და უხვად იძლევა თავის საცთურს. დღითიდღე და წუთიწუთ აკლდება ადამიანს ხანი. მოხვეჭილი სიმდიდრეც საზრუნავს უჩენს და ადარდებს მას, რადგან მოელის სიკვდილს, თუმცა არ იცის, როდის დაატყდება თავს ყველაფრის განმაქარვებელი სიკვდილი. და დატოვებს კაცი სოფელს, რომელსაც მიჯაჭვული იყო, მაგრამ უკვე არა საკუთარი ნებით...

ამიტომაც ვაძაგებ წუთისოფელს შენს წინაშე, მეფევ. თავადაც მორიდება გმართებს მისგან, რასაც იძლევა, კვლავ უკან მიაქვს, რადგან დანანებით იძლევა, კაცს კი ცოდვებით დამძიმებულს უშვებს...

ცოდვების ჩადენით ეს სოფელი ნელ-ნელა სამოსელს ჰხდის და მანამ ძარცვავს კაცს, ვიდრე სრულიად არ გააშიშვლებს სამარცხვინოდ. შემდეგ აბუჩად აგდებითა და ყვედრებით შემოსავს, შეურაცხყოფს, ძირს დასცემს და დაამდაბლებს მის მიერვე აღზევებულს, გაათელინებს ფეხქვეშ მტრებს. წუთისოფელი მის მორჩილთა მაცდუნებელია, მოყვარეთა მოძულე და ერთგულთათვის მზაკვარი, დასცემს და დაღუპავს, სასოწარკვეთილებაში ჩააგდებს მის მოიმედეს, მწარე ნაღველით ცვლის სიხარულს, ბედნიერებას უბედურებად აქცევს, მის მოყვარულთაგან არავინ რჩება დაუსჯელი, უგუნურებს კი დაპირებებით მოინადირებს; დღეს უხვ სუფრას სთავაზობს ჭამა-სმის მოყვარულს, ხვალ კი თავად მას აქცევს მატლების შესაჭმელად; დღეს ყველას მოამსახურებს კაცს და ხვალ თვით მას გახდის სხვების მსახურად, დღეს მოქიშპეს

მას და ხვალე დაამსახურის იგი სხუათა. დღეს ახარის მოშურ-
ნეთა მტერთა მიმართ და ხვალე ახარის მტერთა მის ზედა. დღეს
მეფედ გამოაჩინის და ხვალე დაამონის იგი სხუასა თანა. დღეს
განჰმარტის ჴელი მისი მიცემად და ხვალე განჰმარტის ჴელი
მისი თხოვად. დღეს დაადგის გჳრგჳნი შემკობილი ქვათაგან
პატიოსანთა თავსა მისსა და ხვალე დაუცის ღაწჳ მისი სამარესა
შინა. დღეს შეამკვის მანიაკითა ქედი მისი და ხვალე ჴელ-
ბორკილითა რკინისაჲთა დაამდაბლის იგი. დღეს საყუარელ არნ
იგი მეგობართა და ხვალე საძულელ მათდა. დღეს აღუდგინნის
მაქებელნი შესხმით და ხვალე აღუდგინნის მგურინავნი ტყებით.
დღეს საყუარელ არნ მახლობელობაჲ მისი და ხვალე საწადელ არნ
განშორებაჲ მისი, და ამისა შემდგომად დაუმკჳდრის გეჰენიაჲ
იგი გარესკნელი და ცეცხლი.

არცა სტირნ წარმავალთა, არცა სწყალობს დარჩომილთა.
ყოველი სთნავს ნაცვალად ყოვლისა და უპყრიეს დარჩომილი
ნაცვალად წარსრულისა, დასხნის უკეთურნი ადგილსა სახიერ-
თასა და ჩუკენნი ადგილსა ახოვანთასა, და ურწმუნონი ადგილსა
მორწმუნეთასა. და ყოველნივე შეკრიბნა გზასა დალევნისასა,
ვიდრე მოღებადმდე საწადელისა მათისა, რამეთუ საწუთროჲსანი
ამისთჳს მჴდომ არიან ურთიერთას და შეიჭამებიან და
იკბინებიან ვითარცა ძაღლნი, რამეთუ იციან სიმოკლე და იწროე-
ბაჲ დროჲსაჲ და ვითარმედ მსწრაფლ-წარმავალ არს მათგან.
ამისთჳს ერთიერთსა უსწრობს და მოყუასი მოყუასსა
ჰმძლავრობს, რაჲთა მო-რაჲმე-იტაცოს ვიდრე განსლვამდე მისა.
ამისთჳს გარდარეული ჴდომაჲ და შური აქუს.

ხოლო (საუკ)უნოჲსანი [იგი] ცნ(ო)ბილ არიან მის მიერ,
რომელმანცა-იგი იჩინა, რამეთუ აქუს სასოებაჲ
წარუვალობისაჲ მერმეთა მათ კეთილთაჲ, რომელთა
მიემთხუევიან წმიდანი. ამისთჳსცა არა აქუს ჴდომაჲ და შური

გაამარჯვებინებს მის მტერზე და ხვალ თვითონ იქნება მტრი-
საგან ძლეული; დღეს სამეფო პატივით შემოსავს კაცს და
ხვალ სხვისი მონა იქნება იგი; დღეს წყალობის უხვად გამცემს
ხვალ მათხოვრად აქცევს; დღეს ძვირფასი ქვებით მოოჭვილ
გვირგვინს დაადგამს თავზე წუთისოფლის მოყვარულს და
ხვალ სამარე დახედავს მის პირი-სახეს ზევიდან! დღეს
ყელსაბამით შეუმკობს კისერს, ხვალ კი რკინის ბორკილებს
დაადებს ხელებზე; დღეს მეგობართათვის საყვარელი იქნება
კაცი და ხვალ საძულველი გახდება მათთვის, დღეს ქება-
დიდებას უძღვნიან მეხოტბენი და ხვალ კი მოთქმა-ვაებით და-
იტირებენ მგოდებელნი თავ-პირში ცემით; დღეს ყველას
მასთან სიახლოვე სურს, ხვალ მის მოშორებას განიზრახავენ.
საბოლოოდ კი ცეცხლოვან უფსკრულს – ჯოჯოხეთს ამზადებს
მისთვის...

წუთისოფელი არც იმქვეყნად მიმავალთ ნაღვლობს და
არც აქ დარჩენილებს წყალობს. წარმავლობა ცვლის ყოვე-
ლივეს. უკეთურნი იკავებენ კეთილისმყოფელთა ადგილს,
ჯაბანი მამაცს ცვლის, ურწმუნო – მორწმუნეს. იციან წუთი-
სოფლის მოყვარულებმა, რომ ხანმოკლეა მათი ცხოვრება,
სწრაფწარმავალი, მაინც ერთმანეთს ეცილებიან, ქიშპობენ და
მტრობენ ურთიერთს, ძაღლებივით იკბინებიან. საბოლოოდ კი
კვდებიან და ტოვებენ წუთისოფელს, თანაც იმგვარად, რომ
სურვილთა შესრულებასაც ვერ ასწრებენ. ერთი ცდილობს
მეორეს დაასწროს როგორმე, მეგობარი ძალმომრეობს
მეგობარზე, რათა მოასწროს და სიკვდილამდე მიიტაცოს
რაიმე მისგან, ამიტომაც უსაზღვრო მტრობა და შური აქვთ
ერთმანეთის მიმართ...

ხოლო ისინი, რომელთაც ირწმუნეს საუკუნო ცხოვრება და
შეიცნეს ჭეშმარიტება, იმედით შეჰყურებენ მომავალს და ელ-
იან მარადიულ სიცოცხლეს, რომელიც წმინდანთა ხვედრია.
არც ერთმანეთის შური და მტრობა აქვთ, ფიქრადაც არ

ურთიერთას და არცაღა გონებასა მოუვალს, რამეთუ მრავალსავანესა[1] მას სურვიელ არიან, რომელი აღუთქუა მხ-ოლოდშობილმან ძემან ღმრთისამან მამისა მიერ თჳსისა, რომელ არს ცათა შინა. და ესე არიან ძმანი და მოყუასნი ჩემნი, რომელთა შევეყავ და შევიწყნარე. ხოლო რომელთა ვჰგონებდი მოყუარედ და ძმად, იგინი უმტერეს არიან ყოველთა მტერთა ჩემთა. ამისთჳსცა განვეშორე მათგან და მოვიძიე მშჳდობაჲ და მივსდევდი მას.

ესე არს ხატი სოფლისა ამის არაა(რს)ისაჲ, ხოლო უკუეთუ გნებავს ხატი საუკუნოჲსაჲ მის, მე მიგცე იგი, ვითარცა მოვიღე, არამედ ვერვის ჴელ-ეწიფების გულისჴმისყოფად ნიჭთა მათ ქრისტესთა წარუვალთა, უკუეთუ ვისმე არა აქუნდეს ფლობაჲ ნებასა და გონებასა თჳსსა ზედა“.

მიუგო მეფემან და ჰრქუა მას: „წარწ[ყ]მედულო, **ვერ დაინახე** და ვერცა რაჲ მოიპოვე, გარნა წარწყმედაჲ თავისა თჳსისაჲ, რამეთუ აღილესე ენაჲ შენი გარდაქცევად ერისა, და უკუეთუმცა არა დამედვა აღთქუმაჲ ჩემი შენ თანა, აღებასავე სიტყჳსა შენისასა მი-მცა-ვსცენ ჴორცნი შენნი დასაწუველად. და აწ აღდეგ და ივლტოდე ამიერ სამეფოჲსაგან ჩემისა“.

და წარვიდა კაცი იგი მუნვე უდაბნოსა გარე წმიდათა მამათა თანა.

მაშინ აღიძრა მეფე ყოველთა ზედა ქრისტეანეთა და უმეტეს მონაზონთა ზედა მეუდაბნოეთა, რამეთუ თქუა: „ესე არიან მავნებელნი და წინააღმდგომნი ნებისა ჩემისანი შუებათა და განცხრომათა მიმართ“. და შესძინა ამის გამო დევნულებაჲ ყოველთა ქრისტეანეთაჲ და უმატა დიდებასა კერპთასა და წარჩინებულ ყენა მსახურნი მათნი.

მოსდით ამგვარი რამ, არამედ მთელი არსებით ესწრაფვიან სასუფევლის მოქალაქეობას, რომელიც მხოლოდშობილმა ძე ღმერთმა აღუთქვა მათ მამის სახელით...

სწორედ ეს ხალხი, რომელთაგანაც მოვისმინე და შევითვისე ეს ყოველივე, არის ჩემი ძმა და მოყვასი. ხოლო ვინც აქამდე ძმა და მოყვარე მეგონა, ყოველგვარ მტერზე უარესი აღმოჩნდა. ამიტომაც მოვშორდი მათ, გამოვიძიე მშვიდობა და მივსდევ მას.

ასეთია სახე და ხატი წუთისოფლის, მეფეო, რომელიც ცრუა და სინამდვილეში არარსებული. ხოლო თუ არსებული – საუკუნო ცხოვრების შესახებ გსურს რაიმე მოისმინო, შემიძლია გადმოგცე ის, რაც თავად შემიძენია; თუმცა ქრისტეს მიერ ბოძებული წარუვალი ნიჭის შეცნობას ვერ შეძლებს ის, ვინც არ ფლობს საკუთარ ნებას და გონებას.

მიუგო მეფემ:

– წარწყმედილო, არც არაფერი გინახავს და არც არაფერი შეგიძენია საკუთარი თავის დაღუპვის გარდა, ამგვარი აზრებით მხოლოდ და მხოლოდ რყვნი ერს, და პირობა რომ არ მომეცა შენთვის, ვიდრე ლაპარაკს დაიწყებ-დი, ვბრძანებდი შენს ცეცეხლში ჩაგდებას. ახლა კი წადი და გამეცალე, რათა აღარ გიხილონ ჩემმა თვალებმა.

აღარ დაუყოვნებია წმიდა კაცს, სასწრაფოდ გაეცალა მეფეს და უდაბნოში დაბრუნდა წმიდა მამებთან.

ამ ამბის შემდეგ კიდევ უფრო გამძვინვარდა და რისხვით აღივსო აბენესი ქრისტიანების მიმართ, განსაკუთრებით მეუდაბნოე მამები და მონაზვნები შეიძულა, რადგან განცხრომითა და გულისთქმებით მცხოვრებმა მეფემ სწორედ ისინი მიიჩნია ყველაზე დიდ მტრებად. ამის გამო ქრისტიანების დევნა გააძლიერა, თვითონ კი ცრუ ღმერთთა თაყვნისცემას უმატა, კერპთმსახურნი კი დიდებითა და პატივით შემოსა.

4. და ვიდრე-იგი ცთომასა მას შინა იყო მეფე იგი, ესუა მას ყრმაჲ წული, რომელ არა შობილ იყო ყრმაჲ ეგევითარი შუენიერი მათ ჟამთა შინა.

და აღივსო მეფე იგი სიხარულითა დიდითა და უწოდა სახელი მისი იოდასაფ, და თქუა: „ესე მიყვეს კერპთა ჩემთა, რამეთუ ვადიდენ იგინი“. და წარჰმატა შუებაჲ წარწყმედულებასა მისსა, და შეკრიბა სიმრავლე ვარსკულავთმრაცხუველთაჲ, რაჲთა იხილოს საქმე ყრმისაჲ მის. ხოლო მათ ყოველთა თქუეს ერთბამად, ვითარმედ: „მიიწევის ყრმაჲ ესე დიდებასა მეფობისასა, რომელ არავინ მიწევნულ არს ეგევითარსა მეფობასა და სიმაღლესა ქუეყანასა ჰინდოეთისასა“.

ხოლო იყო კაცი ერთი მათ შორის **უფრო** სარწმუნოჲ ყოვლითა მეცნიერებითა. ამან თქუა: „მე ესრე ვჰგონებ, ვითარმედ დიდებაჲ ესე, რომელსა მიემთხუევის ყრმაჲ ესე, არა არს ამის სოფლისა დიდებაჲ, არამედ ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ დიდი წინამძღუარი იყოს გზასა მას ჭეშმარიტებისასა“.

და ვითარცა ესმნეს სიტყუანი ესე მეფესა, აღივსო მწუხარებითა და ზოგად განეყო სიხარული იგი მისი. და მერმე ბრძანა აღშენებად ქალაქი თჳსაგან ყრმისა მისთჳს. და იყო ყრმაჲ იგი მუნ შინა. და მიავლინნა რომელნი-იგი სარწმუნო იყვნეს მის თანა, მსახურებად ყრმისა მისთჳს და ფუფუნებად. და ვითარ აღიზარდა ყრმაჲ იგი ჰასაკითა და ცნობითა, მერმე ბრძანა განყენებაჲ კაცთაჲ მისგან. და ამცნო მსახურთა რაჲთა არა წარმოიღონ წინაშე მისა ჴსენებაჲ სიკუდილისაჲ და სალმობისაჲ, არცა საუკუნოჲსაჲ, და არცა სიმართლისაჲ და არცა ცოდვისაჲ, და არცა სიბერისაჲ და არცა სიჭაბუკისაჲ, და არცა სიგლახაკისაჲ და არცა სიმდიდრისაჲ, და რაჲთა ყოველსა, რომელსა სალმობაჲ რაჲმე შეემთხჳოს მათგანსა, განიყვანონ მიერ, რაჲთა არა იხილოს ყრმამან მან. ესე ამისთჳს ყო მეფემან, რაჲთა არა ხილვაჲ ამისი მიზეზ რაჲსამე ექმნეს გამოძიებისა და მის გამო შჯულისაცა მკითხველ-იქმნეს ქრისტეანეთაჲსა.

4. სანამ მეფე ამ ცდომილებაში იყო, შეეძინა მას ვაჟი, რომელიც ისეთი მშვენიერი იყო, როგორც არავინ, იმ დრომდე შობილი.

ძლიერ გაიხარა მეფემ, ახალშობილს იოდასაფი დაარქვა და თქვა: – ჩემმა ღმერთებმა შეისმინეს ჩემი ვედრება, რადგან ვადიდე ისინი.

ამიერიდან აბენესი კიდევ უფრო მეტად მიეცა წარწყმედილებას, უმატა კერპთმსახურებას, შემდეგ ვარსკვლავთმრიცხველები დაიბარა, რათა მემკვიდრის მომავალი ბედი ეცნობებინათ მისთვის. ყველამ ერთხმად უწინასწარმეტყველა ყრმას იმგვარი დიდება და პატივი, რომლის მსგავსიც ჯერ არავის რგებოდა ინდოეთში.

მაგრამ ვარსკვლავთმრიცხველთა შორის იყო სიბრძნითა და გონიერებით გამორჩეული კაცი, რომელმაც, მათგან განსხვავებით, სხვა რამ აუწყა მეფეს:

– მე ასე ვფიქრობ, მეფეო, რომ დიდება, რომელიც ყრმას მოელის, არ არის ამსოფლიური, არმედ ჭეშმარიტების დიდი მსახური იქნება იგი.

ბრძენის სიტყვებმა მეფის სიხარული მწუხარებით შეცვალა. ყრმისათვის ცალკე ქალაქის აშენება ბრძანა და ყრმა იქ დასახლდა. მცველებად და მოსამსახურეებად ერთგული მსახურები დააყენა. როცა მემკვიდრე წამოიზარდა და ცნობიერება და ასაკი მოემატა, მეფემ მცველებიც დაითხოვა. შვილს ახალი მსახურები მიუჩინა და მკაცრად გააფრთხილა ისინი, რათა იოდასაფის წინაშე არ ეხსენებინათ არც სიკვდილი და ავადმყოფობა, არც საუკუნო ცხოვრება და ჭეშმარიტება, არც ცოდვა, არც სიბერე და არც სიჭაბუკე, არც სიღარიბე და არც სიმდიდრე, ხოლო თუ ვინმე დასნეულდებოდა, სასწრაფოდ გაეყვანათ ქალაქიდან, მემკვიდრეს რომ არ დაენახა.

5. და მერმე ბრძანა განსხმად ყოველთა ქრისტეანეთად, მღდელთა და ყოველთა მორწმუნეთად სამეუფოდსაგან თჳსისა. და ქადაგი წარავლინა და ჴმობდა იგი ძლიერად: „ამას იტყჳს აბენეს მეფე: უკუეთუ ვინმე ვპოო თქუენგანი შემდგომად სამისა დღისა, დასაწუველად მივსცნე იგინი“. და არღარავინ დარჩა ქრისტეანეთაგანი ქუეყანასა მას, ვიდრემდის ჴსენებადცა მათი ასწყჳდა[2].

და ესუა მეფესა მას კაცი ერთი თანამზრახვალი. და ფრიად სარწმუნო იყო წინაშე მისსა და წარჩინებულ. და იყო კაცი იგი სახიერ და კეთილისმყოფელ და საყუარელ ყოველთა შორის კაცთა, არამედ მეგობარნი ვინმე მეფისანი ეშურებოდეს მას და მძიმე უჩნდა უაღრესობად იგი მისი მათგან, და ეძიებდეს მისთჳს ჟამსა მარჯუესა, რადთამცა შთააგდეს იგი ბოროტსა.

და განვიდა ოდესმე მეფე მოხილვად გარეშე ქალაქსა და (იყო) მზრახვალიცა იგი მისი მის თანა, და მიიწია ადგილსა რომელსამე. და იხილა თანამზრახვალმან მან კაცი ერთი მდებარე ხესა ქუეშე, რომლისა თანა იყო ვნებად ფერჴსა და ვერ ეძლო აღდგომად. და ჰკითხა სეფეკაცმან მან საქმე მისი. ხოლო მან ჰრქუა მას: „მჴეცისაგან შემემთხჳა ესე, არამედ წარ-თუ-მიყვანო შენ თანა, ჰპოო ჩემ თანა სარგებელი, უფალსა თუ უნდეს!“ ჰრქუა კაცმან მან სამეუფომან: „მე ვყო ესე, დაღაცათუ არა ვპოო შენ თანა სარგებელი. არამედ მითხარ, რად არს შენ თანა სარგებელი იგი, რომელსა შენ იტყჳ?“ ჰრქუა ვნებულმან მან: „მე კაცი ვარ სიტყჳსა მკერვალი“. ჰრქუა მას სეფეკაცმან მან: „ვითარ შეჰკერავ სიტყუათა?“ ჰრქუა ვნებულმან მან: „უკუეთუ იყოს სიტყუათა შინა წყლულებად, შევკერო, რადთა არა მოიწიოს

მეფემ ყველა ღონე იხმარა, რათა ყრმას მათი ხილვით ჭეშმარიტების გამოძიების სურვილი არ გასჩენოდა და ამით ქრისტიანთა სარწმუნოების შესახებ არ შეეტყო რაიმე.

5. შემდეგ ყველა ქრისტიანის, ღვთისმსახურისა თუ ყოველი მორწმუნის მისი სამეფოდან გაძევება ბრძანა. მაცნე გაგზავნა და ისიც ყველას გასაგონად გაჰყვიროდა აბენეს მეფის სიტყვებს: – „სამი დღის შემდეგ თუ კვლავ აღმოჩნდება ქრისტიანი ჩემს სამფლობელოში, ვბრძანებ მის დაწვას.“ არც ერთი ქრისტიანი აღარ დარჩა აბენესის სამფლობელოში, მეფემ მათი სახელის ხსენებაც კი აკრძალა.

ერთი ვეზირი ჰყავდა აბენესს, რომელსაც ძლიერ ენდობოდა და აფასებდა. ეს ვეზირი ყველას მიმართ კეთილი იყო, თვითონაც ყველასათვის საყვარელი და ყველასაგან დაფასებული. მაგრამ ზოგიერთს ძლიერ შურდა მისი, სამეფო კარზე მის წარჩინებულობას ვერ ურიგდებოდნენ, ამიტომ მარჯვე დროს ეძებდნენ, რათა როგორმე ბოროტი შეემთხვიათ მისთვის.

ერთხელ ამ ვეზირის თანხლებით მეფე ქალაქგარეთ გავიდა. ერთ ადგილას ვეზირმა ხის ქვეშ დაგდებული კაცი დაინახა. უცნობს ფეხები ტკიოდა და ვერ დგებოდა. ვეზირი მიუახლოვდა მას და ამბავი გამოჰკითხა. მიუგო უცნობმა:

– მხეცისგან დავშავდი. მაგრამ თუ თან წამიყვან და უფალი ინებებს, სარგებელს ჰპოვებ ჩემგან.

– ასე მოვიქცევი, თუნდაც ვერანაირი სარგებლობა ვერ ვნახო, მაგრამ მაინც რა სარგებლობის მოტანა შეგიძლია შენ?

უპასუხა მას ვნებულმა:

– მე სიტყვის მკურნალი ვარ.

– როგორ კურნავ სიტყვებს?-კვლავ იკითხა ვეზირმა.

– თუ სიტყვათა შორის ვნების მომტანი სენი იჩენს თავს, მე განვკურნავ მას და აღარ შეეძლება ზიანის მოყენება.

მის მიერ ვნებად“. ხოლო სეფეკაცმან მან არად შეჰრაცხა სიტყუად იგი, არამედ ბრძანა [წარყვა]ნებად მისი მოღუაწებისათჳს.

ხოლო მეგობართა მათ მეფისათა დაუგეს საბრჴე სეფეკაცსა მას და ჰრქუეს მეფესა: „არა უწყია, მეფე, ვითარმედ საყუარელსა ამას შენსა ჰნებავს დაპყრობად მეფობად შენი და რადთა დაიმკჴდროს საყდარი სუფევისა შენისად, რამეთუ დაუცხრომელად გარდააქცევს ერსა? აწ, უკუეთუ გნებავს, რადთა უწყოდი ჭეშმარიტად, არქუ მას, ვითარმედ: აჰა ესერა დაუტეობ სოფელსა, რამეთუ ცრუ არს, და მნებავს შერთვად მონათა მათ ღმრთისათა, რომელნი განვაბნიენ. მაშინ იცნა სიტყუად ჩუენი გამოცდასა მას შინა, და ვითარ გაზრახოს საქმე, რომლითა სცნა ორგულებად მისი“. რამეთუ კაცთა მათ იცოდეს სეფეკაცისად მის გულჩჴლობად ეგევითართათჳს სიტყუათა საუკუნოდსა ცხორებისათჳს, და ამით ესევითარითა ჰგონებდეს წარწყმედასა მისსა მტერობით.

ჰრქუა მათ მეფემან: „უ[კუეთუ არა ვ]ბოო ესე მსგავსად სიტ-ყჴსა [თქუენისა], არღარა განვიკითხო იგი“.

და მოუწოდა მეფემან საყუარელსა მას მისსა და გამოსცდიდა მას და ჰრქუა: „შენ უწყი, ვითარ შეყოფილ არს გონებად ჩემი სოფელსა ამას და ვითარ აღვასრულენ დღენი ჩემნი, და აწ ვჰხედავ, ვითარ ცუდად დავშურები და მეშინის, ნუუკუე მოიწიოს აღსასრული და ცარიელი ვიბოო ყოვლისა მისგან. აწ მნებავს, რადთა ვიღუაწო საუკუნოდსა მისთჳს ძლიერად, ვითარცა-ესე მოღუაწე ვარ სოფელსა ამას შინა, არამედ არარად არს სხუად ჩემდა, გარნა შერთვად მონათა მათ ქრისტესთა, რომელთა-იგი მრავალი ჭირი შევამთხჴე. აწ რასა იტყჴ, ერთგულო თანამზრახვალო ჩემო?“

და ვითარცა ესმნეს კაცსა მას სიტყუანი იგი მეფისანი, აღიძრა სურვილითა ქრისტესითა, სიტყუათა მათ ზედა და ცრემლოოდა. და ჰრქუა მას: „ცხონდინ მეფე, ცხონდინ

ვეზირმა არაფრად ჩააგდო ვნებულის სიტყვები, მაგრამ შეებრალა იგი, ამიტომ ბრძანა, თან წაეყვანათ და ზრუნვა და პატრონობა არ დაეკლოთ მისთვის.

ერთხელ მეფესთან დაახლოებულმა პირებმა ცილი დასწამეს ვეზირს და მბრძანებელს მოახსენეს:

– მეფეო, ნუთუ არ იცი, რომ შენს საყვარელ ვეზირს ღალატი უდევს გულში?! თვითონ სურს მეფობა და გვირგვინის მიტაცება, შენს წინააღმდეგ განაწყობს და თავისკენ იბირებს ხალხს. თუ ჩვენს სიტყვებში ეჭვი გეპარება და სიმართლის დადგენას მოისურვებ, უთხარი მას: – ვთმობ და ვტოვებ წუთისოფელს, რადგან ცრუა იგი და იმ ხალხს მსურს შევუერთდე, ჩემი სამეფოდან რომ გავაძევეთ. ამგვარად გამოსცადე იგი და თავად დარწმუნდები მის ორგულობაში.

მტრებმა იცოდნენ, რომ როცა საუკუნო ცხოვრების შესახებ ისმენდა ხოლმე სიტყვას, ვეზირს გული უჩუყდებოდა და ასე მზაკვრულად განიზრახეს მისი დაღუპვა.

თქვა მეფემ:

– თუ უდანაშაულო აღმოჩნდება, არ დავსჯი მას.

შემდეგ კი გამოსაცდელად თავისთან დაიბარა ვეზირი და უთხრა: – შენ უწყი, როგორ ჩაითრია ჩემი გონება წუთისოფელმა და როგორ ვიცხოვრე დღემდე. ახლა ვხვდები, რომ ამაოდ დავშვერი და მეშინია, სიკვდილმა რომ მომისწროს, ცარიელი აღმოვჩნდები ყოველგვარი სიკეთისაგან. ახლა მსურს იმაზე მეტად ვიღვაწო საუკუნო ცხოვრებისათვის, ვიდრე აქამდე ამ სოფლისათვის ვზრუნავდი. აღარაფერი დამრჩენია, გარდა იმისა, რომ შევუერთდე ქრისტიანებს, რომელთაც ასე ვდევნიდი და ვავიწროვებდი. ამაზე რას იტყვი, ჩემო ერთგულო მრჩეველო?

მეფის სიტყვები რომ მოისმინა, ვეზირს თვალები აუცრემლიანდა და ამგვარად მიმართა მბრძანებელს:

უკუნისამდე![3] დაღაცათუ წარუვალი იგი ძნიადშესაპყრობელ არს, არამედ ჯერ-არს ძიებაჲ მისი, და წარმავალი ესე, დაღაცათუ რაჲმე ტკბილ არს, არამედ უმჯობეს არს დატევებაჲ მისი, რამეთუ არს და ვითარცა არა არს, და რომელთა უხარის, ვითარცა არა უხარის, და რომელნი იშუებენ, ვითარცა არა იშუებენ, და რომელთა შჯირს, ვითარცა არარაჲ შჯირს, რამეთუ ერთი იგი წარმავალსა შინა მოკლე და წარუვალსა შინა არაჲ, ხოლო ჭირი იგი ღმრთისათჳს მოკლესა შინა მოკლე და სრულსა მას შინა საუკუნო. აწ წარჰმართე გულისსიტყუაჲ ეგე შენი, რამეთუ კეთილ არს, რაჲთა წარმავალისა ამის დატევებითა წარუვალი იგი სუფევაჲ მოიყიდო".

და დამძიმდეს სიტყუანი ესე წინაშე მეფისა და აღივსო მანკიერებითა მისთჳს, არამედ არა გამოუცხადა მას.

მაშინ კაცმან მან გულისჴმა-ყო, ვითარმედ საცთური დაგებულ არს მისთჳს, რაჟამს იხილა ცვალებულად ფერი პირისა მისისაჲ. და მიიქცა სახედ თჳსა დიდითა მწუხარებითა და არა უწყოდა, თუ ვინაჲ არს საცთური ესე, რომელ შთავარდა, ანუ ვინ განკურნოს გონებაჲ მეფისაჲ მისთჳს. და დაადგრა უძილად ღამესა მას. და მოეჴსენა კაცი იგი სიტყუათა მკერავი. მოუწოდა და ჰრქუა მას: „შენ მეტყოდე ოდესმე, ვითარმედ: განვჰკურნებ სიტყუათა წყლულთა".

ჰრქუა მას კაცმან: „და არსცა ეგრეთ, ნუუკუე გიჴმსა რაჲ აწ?"

ხოლო მან ჰრქუა მას: „ესეოდენთა ჟამთა ვჰმსახურებდ მეფესა ამას და არასადა ვიხილე მკსინვარებაჲ მისი ჩემდამო, რამეთუ ერთგულებით ვიდოდე მის წინაშე, ხოლო დღეს მძიმედ ვიხილე იგი ჩემდამო და ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ არა მაქუს მშჯდობაჲ მის თანა".

ჰრქუა მას ვნებულმან მან: „და რაჲ მიზეზი იყო შორის შენსა და მისსა?"

– იცოცხლე, მეფეო! იცოცხლე უკუნისამდე! თუმცა საუკუნო ცხოვრება ძნელად მიიღწევა, მაინც აუცილებელია მისი ძიება. წარმავალი სოფელი კი, თუმცა ტკბილია, სჯობს უარყო, რადგან რა არის იგი: არის და თითქოს არც არის, ხარობენ მისით და არც ხარობენ, ილხენენ მისით და არც ილხენენ, უბედურება სჭირთ, მაგრამ ჰგონიათ, თითქოს არაფერი სჭირთ. წუთისოფელში ყველაფერი დღემოკლეა და სწრაფწარმავალი, მარადიულობის წინაშე კი – არარაობა. ღვთის გულისათვის ჭირთა თმენა ამ სოფელში ხანმოკლეა და საუკუნო ცხოვრება კი – დაუსრულებელი. დაუჯერე გულიდან ამოსულ (მომავალ) სიტყვას, რომელიც სასარგებლოა და სისრულეში მოიყვანე შენი ჩანაფიქრი, რათა წარმავალი სოფლის მოძულებით საუკუნო ცხოვრება დაიმკვიდრო.

დაუმძიმდა მეფეს ვეზირის ნათქვამი. რისხვით აღივსო მის მიმართ, მაგრამ აღარაფერი უთხრა.

სახეშეცვლილი მეფე რომ იხილა, მიხვდა ვეზირი, – მახე იყო დაგებული მისთვის. დამწუხრებული დაბრუნდა შინ და ვერ მიმხვდარიყო, საიდან მოდიოდა ეს საცთური, რომელშიც აღმოჩნდა, ან ვიღას შეეძლო მეფის დარწმუნება მის ერთგულებაში.

მთელი ღამე თეთრად გაათენა. შემდეგ სიტყვების მკურნალი კაცი გაახსენდა, თავისთან მოიხმო და უთხრა:

– ერთხელ შენ მითხარი, დაწყლულებულ სიტყვებს ვკურნავო.

– სწორედ ასეა, – მიუგო სიტყვების მკურნალმა, რაიმე ხომ არ გაგჭირვებია?

ვეზირმა დაუფარავად უამბო ყველაფერი:

– ამდენი ხანია, მეფეს ვემსახურები და არასოდეს განრისხებულა ჩემზე, რადგან მისი ერთგული ვიყავი. მაგრამ დღეს იმგვარად განწყობილი ვიხილე ჩემს მომართ, რომ, ვფიქრობ, სიკეთეს არ უნდა ველოდე მისგან.

ხოლო მან ჰრქუა: „არარაჲ უწყი, თჳნიერ სიტყუაჲ ერთი მრ-ქუა მე და მე ვაუწყე უმჯობესი, და მე ვჰგონებ, ვითარმედ ცდით გამომცადა მე სიტყჳთა მით“.

და უთხრა ყოველი იგი სიტყჳსგებაჲ, რომელი ყოფილ იყო შორის მათსა.

ჰრქუა მას ვნებულმან მან: „აწ უკუე ამის გამო წყლულ არი-ანა სიტყუანი შენნი?! ხოლო მე განვკურნნე შეწევნითა ღმრთისა მაღლისაჲთა. ესე უწყოდე, რამეთუ ბოროტი იჭჳ აქუს მეფესა შენდამი და ჰგონებს, ვითარმედ ეძიებ დაპყრობად მეფობასა მისსა, და ზაკუვით აზრახეს მას სიტყუაჲ ეგე. აწ აღდეგ ხვალე და და(იყჳნე თა)ვი შენი და განიძარცუე სამოსელი შენი და შეიმოსე ძაძაჲ და მივედ მეფისა. და უკუეთუ გკითხოს მეფემან, თუ რაჲ არს ესე, არქუ მას: რომლისათჳსცა შენ მიწოდე, აჰა ესერა მე განმზადებულ ვარ, დაღაცათუ სიკუდილი უადვილეს არს კაცსა ზედა ფუფუნეულსა, ვიდრეღა თავსდებად ცხორებაჲ ესე, არამედ არა მნებავს თჳნიერ შენსა ცხორებაჲ. რამეთუ მიზიარე კეთილთა მათ სამეუფოთა, მეცა თანა-მაც, რაჲთა გეზიარო ჭირთა შინა ამის სოფლისათა, და ვითარცა ვინ უკუე შენ მიერ, აწ ვიტანჯო შენ თანა, რაჲთა შენ თანაცა ღირს ვიქმნე სასურველსა. აწ აღდეგ, მეფე, რამეთუ კეთილსა გულმან-გითქუა“.

და ყო კაცმან მან, ვითარცა ასწავა ვნებულმან მან. და აღ-მოვიდა იჭჳ იგი გულისაგან მეფისა მისთჳს და განბოროტნა მონათა მათ ზედა ღმრთისათა და აღივსო გულისწყრომითა და შურითა[4].

და კუალად შეუჴდა შური მთავართა მათ ბალაჰვარისთჳს და ჰრქუეს მეფესა: მეფეო, უკუეთუ განიხილო ყელი ბალაჰვარისი, იხილო მის თანა ჯუარი, რომელსა თაყუანის-სცემს იგი. და ღმერთნი ჩუენნი საბასრობელ არიან მის წინაშე. ხოლო მეფე ჰგონებდა, თუ ტყუვილსა იტყჳან მისთჳს. და მიყო ჴელი და

– მოხდა რამე თქვენ შორის? – ჰკითხა სიტყვების მკურნალმა.

– არ ვიცი, რჩევა მკითხა და მეც თითქოს უკეთესი ვურჩიე. ახლა ვხვდები, რომ ამ სიტყვებით მხოლოდ გამომცადა. – და ვეზირმა დაწვრილებით უამბო მეფესთან მისი საუბარი.

უთხრა მას მკურნალმა:

– ნუთუ ამან დააწყლულა თქვენი სიტყვები? ყოვლადძლიერი ღმერთის შეწევნით განვკურნავ მათ. ეს იცოდე: მეფე ეჭვიანობს შენზე, თითქოს ძალაუფლების წართმევა გსურს, მზაკვრობით ჩაასმინეს მას ეს სიტყვები. ადექი ხვალვე, თავი გადაიპარსე, ძაძა შეიმოსე და მიდი მეფესთან. თუ გკითხავს, რას ნიშნავსო ეს, უპაუხე: – „მე მზად ვარ, მეფეო, რისთვისაც შენ მოგიწოდე გუშინ. მართალია, განცხრომით მცხოვრები კაცისთვის სიკვდილი უფრო ადვი-ლია, ვიდრე ამგვარი ცხოვრების დატოვება, მაგრამ შენს გარეშე არც ეს ცხოვრება მსურს, რადგან თუ სამეფო პატივში შენი მოზიარე ვიყავი, ამსოფლიური ჭირიც შენთან ერთად მსურს გავიზიარო; როგორც ფუფუნებით ნებიერად მაცხოვრე შენს გვერდით, ახლაც შენთან ერთად ვიტანჯები, რათა შენთან ერთადვე მივაღწიო სასურველს. მაშ, ნუღარ აყოვნებ, მეფეო, რადგან უმჯობესი გირჩია გულმა“.

სწორედ ისე მოიქცა ვეზირი, როგორც სიტყვების მკურნალმა ურჩია. მეფის გული ეჭვებისაგან გათავისუფლდა, მაბეზღართა მიმართ კი რისხვითა და წყრომით აღივსო იგი.[4]

ისევ აღიძრნენ ვეზირები ბოროტებით ბალავარის მიმართ და უთხრეს მეფეს:*

* დახრილი შრიფტით გამოყოფილი ტექსტი მხოლოდ **ბ** ხელნაწერში გვხვდება. აქ ვეზირი პირდაპირ „ბალავარად“ არის მოხსენიებული, რის გამოც თხრობა არათანმიმდევრული ჩანს. ჩვენ მაინც ვამჯობი-ნეთ ამ მნიშვნელოვანი ეპიზოდის ტექსტში ჩართვა.

იხილა ჯუარი ოქროჲსაჲ მკერდსა ზედა მისსა და ჰრქუა: „რაჲ არს, ბალაჰვარ, ცთომილებაჲ შენი?“

ხოლო ბალაჰვარ ჰრქუა: „ჰ მეფეო, არა ვარ მე ცთომილ, რამეთუ სიყრმით ჩემითგან ვჰმონებ ქრისტესა და თაყუანის-ვსცემ ჯუარსა, რომელსა ზედა ჴელნი განიპყრნა ჴსნისათჳს ჩუენისა, ხოლო მსახურებაჲ შენი არარაჲ ოდეს დამიკლია. და აწ ვინაჲთგან განცხადნა სახელი ქრისტეს ღმრთისაჲ ჩემ ზედა, მე არღარა უვარ-ვყო ღმრთეებაჲ მისი, უკუეთუ ჴორცნი ჩემნი დაიჭრნენ, გინა ცეცხლითა დაიწუნენ, გარნა სულსა ჩემსა ჴელთა მისთა შევჰვერებ“.

ჰრქუა მას მეფემან: „ნუ ეგრე იტყჳ, საყუარელო ჩემო ბალაჰ-ვარ, რამეთუ კაცი ხარ დიდებული და უპირატესი წინაშე ჩემსა, და უკუეთუ თაყუანის-სცე ღმერთთა ჩემთა, მოგცნე შენ სხუანიცა ქალაქნი და საჭურჭლენი ჩემნი შენ ზედა დავაცალიერნე, რამეთუ ფრიად საყუარელ ხარ წინაშე ჩემსა. და უკუეთუ ესე არა ჰყო, სატანჯველითა სასტიკითა განვლიენ ჴორცნი შენნი და არღარა მოვიჴსენო მე სიყუარული შენი“.

მაშინ განიჴსნა სარტყელი ოქროჲსაჲ კაცმან მან ღმრთისამან, შემკული თუალებითა პატიოსნითა, დადვა წინაშე მეფისა და ჰრქუა: „უკუეთუ დამარქუა თავსა ჩემსა გჳრგჳნი მეფობისა შენისაჲ, პატივისა მისთჳს ვერ შეარყიო ქრისტეს მიმართ სარწმუნოებაჲ ჩემი. და უკუეთუ ტანჯვითა განჰლიენ ჴორცნი ჩემნი, ვერავე შემაძრწუნო, რამეთუ ზეცისა კეთილნი უზეშთაეს არიან ქუეყანიერთა, რომელთა შინა ვიშუებთ სამარადისოდ, და ჯოჯოხეთისა სატანჯველნი უმწარეს არიან, რომელთა შინა დასჯად არიან წინააღმდგომნი ღმრთისანი და უ[ვ]არისმყოფელნი. ხოლო მე, მეფეო, მზა ვარ ტანჯვად და შენ ნუ სდროებ, რაჲთა ადრე წარვიდე წინაშე მეუფისა ჩემისა, რაჲთა განვისუენებდე მუნ უკუნისამდე“.

- მეფეო, ბალავარი რომ გასინჯოთ, ის ყელზე ჯვარს ატარებს, რომელსაც თაყვანს სცემს, და ჩვენს ღმერთებს კი დასცინის.

მეფემ იფიქრა, ტყუილს ეუბნებოდნენ ბალავარის შესახებ, მაგრამ როდესაც შეამოწმა, ნახა ოქროს ჯვარი მის მკერდზე და თქვა:

- რით ახსნი ამ შენ ცდომილებას?

ბალავარმა უპასუხა:

- მეფეო, მე არ ვარ შეცდომილი, რადგან ბავშვობიდან ქრისტეს ვემსახურები და თაყვანს ვცემ ჯვარს, რომელზეც მან ხელები განაპყრო ჩვენი ხსნისათვის. შენ კი ერთგულად გემ-სახურებოდი. ვინაიდან ახლა უკვე გამჟღავნდა ჩემი ქრის-ტიანობა, მე არ უარვყოფ ქრისტეს ღმრთეებას, თუნდაც ჩემი სხეული აკუწონ ან ცეცხლში დაწვან. და მას შევავედრებ ჩემ სულს.

მეფემ მიუგო:

- ნუ მეტყვი ამას, ჩემო საყვარელო ბალავარ, რადგან შენ ხარ კაცი დიდებული, და ჩემ წინაშე უპირატესი და თუ შენ თაყვანს სცემ ჩემ ღმერთებს, მაშინ მე კიდევ გაჩუქებ ქალაქებს და უხვად მოგცემ ჩემი საგანძურიდან, რადგან ფრიად მიყ-ვარხარ. და თუ ასე არ მოიქცევი, შენ სხეულს საშინელ ტანჯ-ვას შეამთხვევენ და მე აღარ ვახსენებ შენ სიყვარულს.

მაშინ მოიხსნა ღვთის კაცმა ოქროს ქამარი, შემკული პა-ტიოსანი თვლებით, დადო მეფის წინ და თქვა:

- შენი სამეფო გვირგვინიც რომ დამადგა თავზე, მაინც ვერ შეარყევ ჩემ რწმენას ქრისტესადმი; და რა სატანჯველიც არ უნდა მოუვლინო ჩემ სხეულს, ამით ვერ შემაშინებ, რადგან ყველა ამქვეყნიურ სიკეთეზე ბევრად მეტია ის ზეციური სიკეთე, რომელიც მარადიულია; ხოლო ამქვეყნიურ სატან-ჯველებზე ბევრად მწარენი არიან ჯოჯოხეთის სატანჯველნი, სადაც ღვთის მოწინააღმდეგეები და უარისმყოფელნი ისჯე-

ხოლო სიტყუათა ამათ ზედა მეფე ლმობიერ-იქმნა და ჰრქუა: „ჶ-მე, საყუარელო ბალაჰვარ, ვითარდა წარმიკუეთე სასოებაჲ და ურჩ-ექმენ ბრძანებასა ჩემსა. აწ წარვედ ქუეყანისაგან ჩემისა და ნუმცა მესმის ჰამბავი შენი ყურთა მომართ ჩემთა. და უკუეთუ გპოოლა, უბრალომცა ვარ სისხლისაგან შენისა“.

ხოლო მან დაუტევა დიდებაჲ ესე წარმავალი და მძოვართა თანა წარვიდა მონებად იესუ ქრისტესა, ღმრთისა ჩუენისა.

6. და დღესა ერთსა განვიდოდა მეფე მოვლად გარემო ქალა-ქისა და იხილნა ორნი კაცნი, გამომავალნი ქალაქით, ქრისტეანე-თაგანნი. მოუწოდა და ჰრქუა: „ვინაჲ კადნიერ-იქმნენით არა განსლვად ქუეყანით ჩემით, ანუ არა გესმა[ა], ვითარ ჴმობდა ქადაგი იგი ჩემი თქუენდა მიმართ?“

ჰრქუეს მათ: „აჰა ესერა განსლვასა ზედა ვიპოენით ქუეყანით შენით“.

ჰრქუა მათ მეფემან: „და რამან დაგაყენნა აქამომდე?“

ჰრქუეს მათ: „უპოარებამან საგზლისამან, რამეთუ დიდ არს ჩუენ ზედა გზაჲ ესე“.

ჰრქუა მათ მეფემან: „ვის ეშინინ სიკუდილისაგან, იგი არღარა დროებნ საგზლისათჳს“.

ჰრქუეს წმიდათა მათ კაცთა: „უკუეთუმცა გუეშინოდა შენ-გან, შე-მცა-გუესწრაფა განსლვაჲ, რამეთუ სიკუდილი არა საძნაუ[რ] არს ჩუენ თანა, არამედ საწადელ არს, რომლისა მიერ განსუენებასა მოველით ურვათაგან ამის სოფლისათა, ხოლო

ბიან. მე მზად ვარ სატანჯველად, მეუფეო, და ნუ დააყოვნებ, რომ უფრო ადრე წარვსდგე ჩემი მეუფის წინაშე და უკუ-ნისამდე მასთან ვიყო.

ამ სიტყვების შემდეგ მოლბა მეფე და უთხრა ბალავარს:

- ვაი მე, საყვარელო ბალავარ, უიმედოდ დამტოვე და ჩემი ბრძანება არ შეასრულე. ახლა კი წადი ამ ქვეყნიდან და სჯობს შენ შესახებ არაფერი გავიგო. თუ გიპოვე, იცოდე, შენ სისხლზე მე ბრალი არ მიმიძღვის.

ბალავარმა დატოვა წარმავალი დიდება და წავიდა მძოვრებთან ერთად, ქრისტეს, ჩვენი ღმერთის მსახურები-სათვის.

6. ერთხელ ქალაქგარეთ იყო გასული მეფე. უეცრად დაინახა ორი ქრისტიანი, რომლებიც ქალაქს ტოვებდნენ. თავისთან იხმო ისინი და ჰკითხა:

– როგორ გაბედეთ, რომ აქამდე არ დაგიტოვებიათ ჩემი სამეფო, ან იქნებ არ გაგიგიათ, რას ხმობდა თქვენს შესახებ ჩემი მაცნე?!

მათ კი უპასუხეს:

– სწორედ ახლა ვტოვებთ შენს ქვეყანას.

ჰკითხა მეფემ ქრისტიანებს:

– აქამდე რატომ შემორჩით?!

მათ კი მიუგეს:

– საგზალი არ გვქონდა. წინ კი დიდი გზა გველოდა.

კვლავ მიუგო მეფემ:

– ვისაც სიკვდილის შიში აქვს, საგზლის გამო არ ყოვნდება.

უთხრეს პასუხად წმიდა კაცებმა:

– შენი რომ გვშინებოდა, ვიჩქარებდით კიდეც წასვლას, მაგრამ სიკვდილი არათუ არ გვიმძიმს, სასურველიცაა

შიში, რომელი აქუს მოყუარეთა ამის სოფლისათა, რომელთა გამოიჩჩიეს იგი საუკუნესა მას ზედა ცხორებასა, იგი არა შიშ არს ჩუენდა, არცა სიხარული მათი სიხარულ არს ჩუენდა“.

მიუგო მეფემან და ჰრქუა მათ: „ვითარ იტყჳთ ამას? და თქუენ სთქუთ, ვითარმედ ბრძანებისა ჩემისაგან განხუალთ ქუეყანით ჩემით, ამას არა შიშისათჳს სიკუდილისა ჰზამთა?“

ჰრქუეს მოწაფეთა მათ ქრისტესთა: „ჩუენ არა შიშისათჳს სიკუდილისა ვივლტით, არამედ რაჲთა არა შემწე გექმნეთ ბორო-ტისყოფასა ჩუენ ზედა და მიზეზ-გექმნეთ უღმრთოებასა შენსა, რომელი გეგულების მოწევნად ჩუენ ზედა, ხოლო შიში შენი არაოდეს მოსრულ არს გულსა ჩუენსა“.

მაშინ აღიესო მეფე იგი გულისწყრომითა დიდითა და ბრძანა დაწუვაჲ მათი ცეცხლითა. და სრულ-იქმნა წამებაჲ მათი ქრისტ-ესთჳს, ჭეშმარიტისა ღმრთისა, და ბრძანებაჲ დაიდვა შორის ყოველსა ერსა, რაჲთა, ვისცა მოჰხუდეს ქრისტეანეთაგანი, მოკლან.

მაშინ აღიძრნეს ყოველნი კერპთმსახურნი და განძლიერდე-ბოდეს საქმენი მათნი ბოროტნი, და იწყეს მიახლებად მეფისა სიკუდილითა და ბოროტისყოფითა მათითა. და განამრავლეს ქუეყანასა მას მოწყუედაჲ ყოველთა ქრისტეანეთაჲ, და მრავალნი მღდელნი და უდაბნოსმყოფნი მონაზონნი დაწუნეს ცეცხლითა.

და მიერითგან დაიდვა წესად ქუეყანასა ჰინდოეთისასა დაწუვაჲ ცეცხლითა მკუდართა მათთაჲ წარმართთა შორის და არღარავინ დარჩა სუფევასა მისსა ქუეშე ერთიცა მორწმუნეთაგანი, რომელიმცა საცნაურ-იყო ქრისტეანედ, გარნა რომელთა წარიწირნეს თავნი მათნი აღსაარებისათჳს სამებისა წმიდისა და სასოებისათჳს აღთქუმისა მის უტყუველისა, რაჲთა

ჩვენთვის, რადგან ამსოფლიურ ჭმუნვათაგან გათავისუფ-ლებას მოველით მისგან. ხოლო ის შიში, რაც წუთისოფლის მოყვარულთ აქვთ და რასაც საუკუნო ცხოვრებას ამჯობინებენ ისინი, უცხოა ჩვენთვის, არც მათი სიხარული მიგვაჩნია სიხარულად.

გაოცდა მეფე:

– თქვენვე სთქვით, რომ ჩემი ბრძანების გამო ტოვებთ ქვეყანას, და განა სიკვდილის შიში არ გაიძულებთ ამას?!

მიუგეს ქრისტიანებმა:

– სიკვდილის შიშის გამო არ ვტოვებთ ქვეყანას, არამედ არ გვსურს შემწე გექმნეთ შენს ბოროტ განზრახვაში, რომელიც გადაგიწყვეტია ჩვენთვის, არ გვსურს, ჩვენ გავხდეთ შენი უღმერთობის მიზეზი. ხოლო შენი შიში არასოდეს გაჰკარებია ჩვენს გულს.

განრისხდა მეფე. მორწმუნეთა დაწვა ბრძანა. ჭეშმარიტი ღმერთის – ქრისტეს – გულისათვის ტანჯვა-წამება იტვირთეს ღვთის ერთგულმა მონებმა. სამეფოში კი ბრძანება გაიცა, თუ ქრისტიანს წააწყდებოდა ვინმე, დაუყონებლივ მოეკლათ იგი.

გაძლიერდა ქვეყანაში ცრუ ღმერთთა თაყვანისცემა და გამრავლდა კერპთმსახურთა ბოროტი საქმენი, სიკვდილმა და ბოროტებამ მოიცვა ქვეყანა. იმატა ქრისტიანთა ხოცვა-ულეტამ. მრავალი მღვდელი და უდაბნოში მცხოვრები მონაზონი ცეცხლში დაწვეს.

ამ დროიდან შემოიღეს ინდოეთში წესად წარმართ მკვდართა ცეცხლში დაწვა. არც ერთი მორწმუნე, რომელიც განცხადებულად ქრისტიანი იყო, აღარ დარჩა ქვეყანაში. მხოლოდ ისინი, რომელთაც წმიდა სამებას შესწირეს საკუთარი თავი და სასოებით მოელოდნენ ღვთისგან მათთვის აღთქმულს, დარჩნენ ქვეყანაში, რათა როგორმე ქრისტეს გულისთვის წამების ღირსნი გამხდარიყვნენ; დარჩნენ

ღირს-იქმნენ მადლსა მარტჳლობისასა ქრისტესთჳს, [მა]ლვით ნაჰრალთა შინა ქუეყანისათა იყვნეს.

და (ი)ყვნეს მრავალნი, რომელთა აქუნდა სარწმუნოებაჲ იესუ ქრისტესი ფარულად და ვერ შეუძლებდეს გამოცხადებად, ვითარცა-იგი სხუანი მოწამენი და აღმსაარებელნი სამებისანი.

და ესე ბოროტისჩუენებანი მრავალნი და სატანჯველნი ფრიადნი აღასრულნეს მონათა მათ ზედა მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა ჭეშმარიტთა.

7. ხოლო ძე იგი მეფისაჲ აღიზარდა კეთილითა სიჭაბუკითა სასრულესა შინა ჰასაკისასა და იყო შუენიერ ხილვითა და აქუნდა მას გონებაჲ მტკიცე და სრული.

და იღუწიდა მამაჲ მისი, რაჲთა არა აკლდეს წურთილებაჲ სიბრძნისაჲ და სწავლულებისაჲ, რომელი ჯერ-არნ მეფეთათჳს, არამედ ესე - ხოლო, რაჲთა არარაჲ უთხრან ამის საწუთროჲსა ამაოებაჲ და არცა სიკუდილისა შემთხუევაჲ და აღსასრულისა ქონებაჲ ცხორებასა კაცთასა. და ესე ამისთჳს ქმნა, რამეთუ ჰგონებდა მეფე, ნუუკუე მიზეზ-ექმნეს ყრმასა მას სა(უკუნოჲსა) გზისა ძიებისათჳს და რჩულისა საქმეთა გამოკითხვისათჳს.

ხოლო ყრმაჲ იგი ფრიად მიმღებელ იყო სიბრძნისა და გონებაშემწყნარებელ სწავლულებისა და გამომძიებელ ყოველთა სიტყუათა გონიერებისათა, რომელ არასადა ყოფილ იყო ნათესავსა მას შორის ეგევითარი. ხოლო მეფე იგი განკჳრვებულ იყო საქმეთა მის ყრმისათა და არა იცოდა, თუ რაჲ ჯერ-არს მისთჳს - სიხარული მეცნიერებასა და სასრულესა მას მისსა, ანუ ურვაჲ და მწუხარებაჲ სიტყჳსა მისთჳს ვარსკულავთმრაცხუველთაჲსა, რომელი თქუეს შობასა მისსა.

ისინიც, რომელთაც საიმედოდ შეაფარეს თავი მიწისქვეშა გამოქვაბულებს.

ისეთებიც მრავლად იყვნენ, მოწამეებისა და აღმსარებლების მსგავსად აშკარად რომ ვერ აცხადებდნენ თავიანთი რწმენის შესახებ, მაგრამ ფარულად კი ქრისტეს მიმართ ჰქონდათ სასოება.

ამგვარად, მრავალი ცილი დასწამეს და ურიცხვი ტანჯვა მიაყენეს კერპთმსახურებმა ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ჭეშმარიტ მსახურებს.

7. ამასობაში მეფის ძეც წამოიზარდა. მშვენიერი გარეგნობის უფლისწულს გონებაც ნათელი და მტკიცე დაჰყვა.

ფრიად ცდილობდა მისი მამა, მეფეთა შესაფერისი განათლება, სიბრძნე და გონიერება არ დაჰკლებოდა მის შვილს. მხოლოდ წუთისოფლის ამაოების, სიკვდილისა და კაცთა ცხოვრების აღსასრულის, ამქვეყნიური არსებობის წარმავლობის შესახებ სიტყვა არ უნდა დასცდენოდათ იოდასაფთან.

მეფემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მემკვიდრეს მარადიულობისაკენ მიმავალი გზისა და რწმენის საკითხების გარკვევის სურვილი არ გასჩენოდა.

უფლისწული მეტად სიბრძნისმოყვარე აღმოჩნდა, იმგვარად მიდრეკილი სწავლისა და გონიერებისაკენ, რომ მისი მსგავსი ინდოეთში ჯერ არავინ დაბადებულიყო. მეფეს აცვიფრებდა უფლისწულის სიბეჯითე და აღარ იცოდა, გახარებულიყო მისი ამგვარი სიბრძნითა და გონიერებით თუ დამწუხრებულიყო და დანაღვლიანებულიყო ვარსკვლავთმრიცხველთა იმ სიტყვების გამო, ახალშობილს რომ უწინასწარმეტყველეს.

ხოლო ყრმამან მან გულისჴმა-ყო იჭჯთ შეწყუდევაჲ მისი ქალაქსა მას შინა და ვითარ არავის შეუტეობდა მამაჲ მისი მის ზედა და არცა ვიდრე მას ფლობა-სცემდა განსლვად. და გულს-ეტყოდა ამის ჯერისათჳს. და მერმე მოიქცა და თქუა: „მამაჲ ჩემი უფროჲს არს ჩემსა და ყოველივე იცის, რაჲ ჯერ-არს ჩემდა, და მე არა მიღირს, რაჲთამცა იჭჯ მაქუნდა მისა მიმართ უმჯობესისა ჩემისათჳს“.

და იყო ესრეთ, ვიდრემდის შეეძინა სისრულესა სიბრძნისა მი-სისასა, და თქუა გულსა შინა თჳსსა: „დაღაცათუ მამაჲ არს ჩემი, არამედ არავე უჯერო არს, თუ მეცა ვიხილო თავისა ჩემისათჳს უმჯობესი, რამეთუ თჳთ ჰასაკი მაქუს და არარას უმეტესობასა ვჰხედავ მათ თანა, არამედ მიღირს-ვე, არარაჲთა უმჯობეს[ს]ა თავისა ჩემისასა მათგან ველოდი, და არა თჳთ გამოვიძიო, რაჲ-იგი ჯერ-არს, ვითარცა ყოველი კაცი ჰყოფს“.

ხოლო მამაჲ მისი ფრიად ჰყოფდა ნებასა მისსა და არა განამ-რავლებდა მისლვასა მი[ს]სა ყოველსა ჟამსა. და დაიდვა ყრმამან მან გონებასა თჳსსა ამის ჯერისათჳს, რაჲთა ჰკითხოს მამასა თჳსსა. და მერ(მე თქუა): „არა არს შეწყუდეულებაჲ ჩემი, გარნა მამისა ჩემისა მიერ; თუ ვჰკითხო, არა მითხრას ჭეშმარიტი, და შფოთსაცა შევაგდო გონებაჲ მისი გამოძიებითა ჩემითა, არამედ სხჳთ ვიღუაწო ზედამიწევნად საქმისა ამისთჳს“.

და იყო მსახურთა შორის მის ყრმისათა კაცი ერთი, რომლისაჲ უმეტესი სიყუარული აქუნდა ყრმასა მას უმეტესისა ნუკევისა მი-სისათჳს და მის მიერ ჰგონებდა ცნობასა საქმისა მისისასა. და იწყო მისა მიმართ განმრავლებაჲ სიყუარულისაჲ და პატივისცემისაჲ, და წინა-უყოფდა ყოველთა კეთილთა და შემდგომთაცა უქადებდა. და დაიჯერა ესე მზარდულმან მან და იცოდა სიმართლე **ენისა** მისისისაჲ. (და ვითარცა) ცნა ყრმამან

უფლისწულმა იეჭვიანა, რომ მამას გამომწყვდეული ჰყავდა სასახლეში, და რომ არც მასთან შესვლის უფლებას აძლევდა ვინმეს და არც თვით მას რთავდა ქალაქიდან გასვლის ნებას. დიდხანს ფიქრობდა ამის შესახებ იოდასაფი, ბოლოს საკუთარ თავს მიმართა: “მამაჩემი ჩემზე უფროსია და უკეთ იცის, რაც მჭირდება. ამიტომ უსაფუძვლოა ჩემი ეჭვები მის მიმართ, თითქოს უმჯობესი არ სურდეს ჩემთვის”.

ამგვარად ცხოვრობდა ყრმა, ვიდრე არ მოემატა სიბრძნე და გონიერება. მაშინ კვლავ დაფიქრდა უფლისწული:

– თუმცა მამაა, მაგრამ ურიგო არ იქნება, თუ მეც გამოვიძიებ ჩემი თავისთვის უკეთესს, რადგან თავადაც სრულწლოვანი ვარ და ვერანაირ უპირატესობას ვერ ვხედავ სხვებში. ამიტომ მათგან კი არ უნდა ველოდე ჩემთვის სასიკეთოს, არამედ თავად უნდა ვიზრუნო საკუთარ თავზე და იმგვარად მოვიქცე, როგორც სხვები იქცევიან.

მამა შვილს ყველა სურვილს უსრულებდა, თუმცა იშვიათად ნახულობდა მას. იოდასაფმა გადაწყვიტა, როცა მეფე მოინახულებდა, ყველაფერი დაწვრილებით გამოეკითხა. მაგრამ მალევე გადაიფიქრა: “ჩემი გამომწყვდევა მამაჩემის ნება-სურვილით მოხდა. მას რომ ვკითხო კიდეც რაიმე, სიმართლეს არ მეტყვის და გონებასაც ავუფორიაქებ ინტერესით. იქნებ სხვა გზით ვცადო ამ საქმის გამორკვევა”.

უფლისწულის მსახურებს შორის იყო ერთი კაცი, რომელიც მეფის შვილს სხვებზე მეტად უყვარდა მისდამი მომეტებული მზრუნველობის გამო. სწორედ მისგან განიზრახა ყრმამ თავის თავზე სიმართლის შეტყობა. მოუმატა მის მიმართ პატივისცემასა და სიყვარულს, განსაკუთრებულად სწყალობდა და მომავალშიც ამასვე ჰპირდებოდა. გამზრდელიც ერწმუნა უფლისწულს, რადგან ენდობოდა მის სიტყვებს. იოდასაფიც მალე დარწმუნდა, რომ

მან, ვითარმედ **უპოვნია** ადგილი კაცისა მის თანა, **და** ჰკითხა იდუმალ და ჰრქუა: „გკითხავ შენ საქმესა ერთსა. უკუეთუ მითხრა იგი ჭეშმარიტად, უწყი, ვითარმედ მეგობარი ჩემი ხარ და საყუარელი უმეტეს ყოველთა კაცთა და შენცა სადგური ჰპოო ჩემ თანა, ხოლო უკუეთუ დამიმალო, დასასრული ჰყო სიყუარულისა ჩემისაჲ და განწყუედაჲ იმედისა შენისაჲ დღეს და შემდგომადცა ჟამთა, რომელ მოველი მეფობასა მამისა ჩემისასა“.

ხოლო მზარდული იგი გულპყრობილ იყო მისა მიმართ სიმართლისა მისისათჳს და დამალვისა სიტყუათა მისთათჳს, თუ რაჲმე უთხრას, და ჰრქუა მას: „მკითხე, რაჲცა გნებავს, რამეთუ არა დაგიფაროს სულმან ჩემმან“.

ჰრქუა მას ყრმამან მან: „მითხარ მე, რაჲ არს საქმე ჩემი და მამისა ჩემისაჲ, რომელ ესრეთ შეუწყუდევივარ (ესრეთ)სა ადგილსა და გაუყენებივარ კაცთაგან და კაცნი ჩემგან?“

მიუგო მზარდულმან მან და ჰრქუა: „მე გითხრა საქმე ესე და ზედა-მიგაწიო ჭეშმარიტად, რამეთუ ვარსკულავთმრაცხუველთა არწმუნეს საქმე ესე მამასა შენსა ამის ჯერისათჳს, რაჟამს მოსრნა მამამან შენმან კაცნი იგი ღმრთისმსახურნი და განაბნინა ქუეყანით მისით. ჰრქუეს მას წინაჲსწარმცნობელთა მათ, ვითარმედ შენ მათ ყოველთასა უმეტეს ყოფად ხარ ღმრთისა მსახურებისა გზასა მავალ. ამისთჳს შეეშინა მამასა შენსა, ნუუკუე მისდრკე ნებასა მათსა და ერჩდე სიტყუათა მათთა, და განგაყენა კაცთაგან, რაჲთა არა მიზეზ-ექმნე უცხოჲსა რჩულისა შემოღებად“.

მიუგო ყრმამან მან და ჰრქუა მას: „და (რანი კაც)ნი არიან ღმრთისმსახურნი ესე, რომელთა ესევითარ[ი] ბოროტი შეამთხჳა მამამან ჩემმან?“

გულში ჩაუვარდა გამზრდელს მისი სიყვარული და ერთხელაც საიდუმლოდ ჰკითხა:

– ერთი რამ მინდა გკითხო. იცოდე, მეგობრად გთვლი და ყველაზე მეტად მიყვარხარ. და კვლავაც ჰპოვებ პატივს ჩემს წინაშე, მაგრამ თუ სიმართლეს დამიმალავ და მომატყუებ, ამით ჩემს სიყვარულსაც გაანელებ შენს მიმართ და აღარც არაფერში იქონიო ჩემი იმედი არც ამჟამად და არც მაშინ, როცა მე მივიღებ მამაჩემის შემდგომ მეფობას.

გამზრდელი ღრმად იყო დარწმუნებული უფლისწულის გულწრფელობაში, რომ საიდუმლოს შეუნახავდა და დასთანხმდა:

– მკითხე, რაც გენებოს და არაფერს დაგიმალავ.

უთხრა მას ჭაბუკმა:

– ამიხსენი, რას ნიშნავს, ან რითია გამოწვეული მამაჩემის მიერ ჩემი ამ ქალაქში დამწყვდევა, რომ არც არავის უშვებს ჩემთან და არც მე მრთავს სხვებთან შეხვედრის ნებას?

უპასუხა გამზრდელმა:

– სიმართლეს გეტყვი: ვარსკვლავთმრიცხველთა ჩაგონებით მოიქცა ამგვარად მამაშენი, მაშინ მან ქრისტეს მსახურნი სამეფოდან გააძევა, ნაწილი კი გაანადგურა, რადგან წინასწარმეტყველებმა აცნობეს, რომ ყოველ მათგანზე წინ შენ იქნებოდი ღვთის მსახურების გზაზე. სწორედ ამისი შეეშინდა მამაშენს, – არ სურდა, ქრისტიანთა ნებისაკენ მიდრეკილიყავი და მათი სიტყვებისთვის დაგეჯერებინა და მოგაშორა ადამიანთაგან, რომ მის სამეფოში უცხო რჯულის შემოღების მიზეზი შენ არ გამხდარიყავი .

ჰკითხა მეფის შვილმა:

– ვინ არიან ის ღვთისმსახურები, რომელთაც ამდენი ბოროტება შეამთხვია მამაჩემმა?

ხოლო მზარდულმან მან განუმარტა ყოველი საქმე ქრისტეანეთაჲ და მიაწია ყოველთა სათნოებათა მათთა ზედა. ხოლო ყრმამან მან, ვითარცა ცნა ესე ყოველი, არღარაჲ მიუგო მას.

8. და ვითარცა მოვიდა მამაჲ მისი, ჰრქუა მას: „მინებს საქმისა რაჲსამე ცნობაჲ შენგან, რომლისა მიერ დიდსა ურვასა და მწუხარებასა შინა ვარ“.

ჰრქუა მას მამამან მისმან: „მკითხე, შვილო, რაიცა გნებავს“.

ჰრქუა ყრმამან მან: „მითხარ-ღა მე, მამაო და უფალო ჩემო, რომლისა საქმისათჳს გიყოფია შეწყუდევაჲ ჩემი ადგილსა ამას და რაჲსათჳს კაცთა აყენებ შემოსლვად ჩემდა?“

ჰრქუა მას მამამან მისმან: „მინებს, შვილო, რაჲთა არარაჲ იხილო, რომლითა ზრუნვიდეს გული შენი და კიდე-ვყვნე განმრყუნელნი შუებათანი ვნებანი შენგან“.

ჰრქუა მას ყრმამან მან: „უწყოდე, მეფე, რამეთუ საქმითა ამით, რომელი გიყოფია ჩემდა, [ყოველ]ნი საშუებელნი ჩემნი სიმწარე არიან ჩემდა, ვიდრეღა ჭამადიცა ჩემი უგემური არს სასასა ჩემსა, და დიდი ურვაჲ მოაწიე ჩემ ზედა ამით ჯერითა, რამეთუ სული ჩემი სურვიელ არს ყოვლისა მიმართ, რომელი არს გარეშე კართა ამათ ჩემთა, დიდითა წადილითა. ხოლო აწ გლოცავ, მამაო, და ვეეედრები მეუფებასა შენსა, რაჲთა განმიტეო და განვიდე, და ვიხილო ქუეყანაჲ, არასადა რაჲ გარდავჰჴდე მცნებათა შენთა“.

და ვითარცა ესმნეს სიტყუანი ესე მეფესა, შეუძნდა ფრიად, ვითარმედ შეიწრდა მის ზედა გონებაჲცა მისი მისგან[5] და გულისჴმა-ყო, უკუეთუ დააყენოს ნებაჲ მისი მისგან, და განამრავლნეს ურვანი მისნი, განუმწარდეს ყოველი საშუებელი მისი.

გამზრდელმა დაწვრილებით უამბო უფლისწულს ქრისტიანთა ცხოვრების შესახებ. ჭაბუკი უსიტყვოდ უსმენდა გამზრდელს და აღარაფერი უკითხავს მისთვის.

8. მაგრამ როცა მეფემ მოინახულა შვილი, უფლისწულმა უთხრა მამას:

– ერთი რამ მადარდებს და მაწუხებს, მამავ ბატონო.

– რაც გსურს, მკითხე, შვილო!

-- მითხარი, მეფევ, რისთვის ვარ გამომწყვდეული ადამიანებისაგან გამოცალკევებულად, ან რატომ არავის რთავთ ჩემთან შემოსვლის ნებას?

უპასუხა მეფემ:

– მინდა, რომ არაფერზე იზრუნო და არფერი იხილო იმგვარი, რაც შენს გულს საზრუნავს გაუჩენს, შვებას კი მწუხარებით შეგიცვლის.

მიუგო მას მემკვიდრემ:

– ამგვარი შვება და ფუფუნება, მეფევ, სიმწარე უფროა ჩემთვის, ვიდრე განცხრომა. საჭმელიც კი უგემური გახდა. ასეთი ზრუნვით მხოლოდ მწუხარება მომიმატე, რადგან ჩემს სულს ის უფრო იზიდავს, რაც ამ კარს მიღმაა.

აწ ვევედრები თქვენს მეუფებასა და მოწყალებას, დამრთე ნება, ვიხილო ქვეყანა და თქვენი ნების საწინააღმდეგოს არაფერს გავაკეთებ.

შვილის სიტყვებმა ძლიერ შეაშფოთა მეფე. მიხვდა, თუკი სურვილს არ შეუსრულებდა უფლისწულს, მწუხარებას მოუმატებდა მას და სიმშვიდესა და მოსვენებას დააკარგვინებდა. ამიტომ უთხრა მას:

მაშინ ჰრქუა მას: „შვილო, უკუეთუ გნებავს რაჲდღე[6] აჯდომაჲ და განსლვაჲ კაცთა თანა, იყავნ ნებისაებრ შენისა“.

და ამცნო მეფემან, რომელნი–იგი განჰყვებიედ ყრმასა მას, რაჲთა ავლინებდენ ადგილთა შუენიერთა და **აკრძალებდენ ყოველი**, რომელი უშუერ არს წინაშე თუალთა კაცთაჲსა, და რაჲთა აღუდგინნენ გზათა ზედა სახიობანი, მემღერნი, რაჲთა ამით განცხრომითა შეაქციოს გონებაჲ მისი გამოძიებისაგან საქმეთა ამის სოფლისათა. ხოლო იგინი ჰყოფდეს ბრძანებისაებრ მეფისა. და განშრავლდა განსლვაჲ ყრმისაჲ მის, ვითარცა უნდა, გარემო ქალაქსა, სადაცა ჰნებავნ.

და დღესა ერთსა, ვიდოდა რაჲ ყრმაჲ იგი, იხილნა ორნი ვინმე კაცნი: ერთი მათგანი ფრიად ვნებული სიგონჯითა და ერთი – მწუხარე[7], რომელი მიჰყვანდა სხუათა. უდებ–იქმნეს მოყუასნი მისნი და არა რაჲმე განაშორნეს ვნებულნი იგი გზისა მისგან მისისა მ[ს]გავსად ჩუეულებისა მათისა. და ვითარცა იხილნა იგინი ყრმამან მან, ზარგანჴდილ იქმნა ხილვისაგან მათისა, და ჰკითხვიდა მათთჳს მოყუასთა თჳსთა. ხოლო მათ ჰრქუეს: „ესენი კაცნი არიან, რომელთათჳს ვნებაჲ შემთხუეულ არს, ვითარცა კაცთა შეემთხჳის ვნებაჲ, და დარღუეულობაჲ ესე შინაგანისა სენისაგან არს, ხოლო მწუხარებაჲ ესე შემთხუევაჲვე არს ვნებისაჲ“.

ჰრქუა მათ ყრმამან მან: „და ესევითარი ყოველთა კაცთა შეემთხუევისა?“

ჰრქუეს მას: „არა ყოველთა, არამედ ზოგთა“.

ჰრქუა მათ ყრმამან მან: „უკუეთუ საცნაურ არიანა კაცთა შორის, რომელთა ესე შეემთხუევის და რომელთა არა?“

ჰრქუეს მას: „ზოგთა შეემთხუევის და რომელნიმე დაუშთებიან, არამედ გამორჩევით არა იქმნების“.

ჰრქუა მათ ყრმამან მან: „და არავინ არს, რომელმანცა იცოდა გამორჩევით ჭეშმარიტად, ვითარმედ ესე არა შეემთხუევის?“

ჰრქუეს მათ: „არავინ არს“.

– შვილო, თუკი ასე გსურს, იყოს შენი ნება, შეგიძლია ყოველდღე გახვიდე ადამიანებთან.

შემდეგ კი მსახურებს, რომლებიც იოდასაფს უნდა ხლებოდნენ, ფარულად უბრძანა, მშვენიერი სანახაობები ეჩვენებინათ უფლისწულისათვის, ხოლო იმ ადგილებისათვის, რომლებიც კაცის გულს დაამწუხრებდნენ, გვერდი აევლოთ. ამასთან, მასხარებსა და მომღერლებს გზაზე თამაშით, ცეკვითა და სიმღერით უნდა შეექციათ და გაერთოთ უფლისწული, რათა მის გონებას საფიქრალი არ გასჩენოდა და წუთისოფლის საქმეებით არ დაინტერესებულიყო.

მეორე დღეს მსახურები მეფის ბრძანებისამებრ იქცეოდნენ. ამ დღიდან მოყოლებული მეფის შვილმა ნელ-ნელა მოუხშირა ქალაქგარეთ სეირნობას.

ერთ დღეს, როცა კვლავ სეირნობდა უფლისწული, გზაზე ორი კაცი დაინახა, ერთი საშინლად მახინჯი იყო, მეორე კი – ბრმა... ამჟამად მსახურებმა მეფის ბრძანება არ შეასრულეს, მათ არაფერი იღონეს, რათა უძლურნი გზიდან ჩამოეშორებინათ. ამ სანახაობამ თავზარი დასცა უფლისწულს. მიუბრუნდა მსახურებს და მათ შესახებ ჰკითხა. მსახურებმა კი მიუგეს:

– ეს ის ხალხია, რომლებსაც უბედურება ეწიათ, როგორც ეს საერთოდ ადამიანებს ემართებათ. ავადმყოფობა იწვევს დავრდომილობას და მწუხარებას.

– ყველა ადამიანს ასე ემართება? – ჰკითხა უფლისწულმა.

– ყველას არა, ზოგიერთს.

– ხვდებიან ადამიანები, ვის შეეყრება სენი და ვის არა?- კვლავ იკითხა უფლისწულმა.

– ზოგს შეეყრება და ზოგი კი გადაურჩება მას, – შერჩევით არაფერი ხდება.

– ნუთუ არ არსებობს ისეთი კაცი, რომელმაც დანამდვილებით იცის, რომ არაფერი შეემთხვევა?

მაშინ იწყო განზრახვად და გულისსიტყუად, და განჰკრთა გონებაჲ მისი და იცვალა ფერი მისი, და მიიქცა დამძიმებული ურვითა.

და შემდგომად ამისა განვიდა კუალად და იხილა ბერი ვინმე ერთი ფრიად მოხუცებული, დაღონებული ქუეყანად, რომლისა ფერი პირისა მისისაჲ დაშავებულ იყო და თმაჲ თავისა მისისაჲ სპეტაკ, და ჴორცნი მისნი შემჭნარ და პირსა მისსა არღარა იყო კბილი და სიტყუაჲ მისი უშუერ, და ვითარცა ბღუნვით იყო სლვაჲ მისი. და ვითარცა ბერი იგი იხილა, კუალად **შეჰმზადა ხილვაჲ** მისი და იწყო კითხვად მოყუასთა თჳსთა მისთჳს. ხოლო მათ ჰრქუეს: „ესე დაძუელებული არს დღეთაჲ, რომელი მიწევნულ არს შემატებითა დღეთაჲთა მოკლებასა ძალისასა, ვიდრემდის საზომსა ამას მოიწია, რომელსა ჰხედავ, და ყოველთა დღეთა მოაკლდების“.

ჰრქუა ყრმამან მან: „და ყოველთა ზედა მოიწევისა ესე?“

ჰრქუეს: „ჰე, მოიწევის, უკუეთუ დაუშთეს სიკუდილსა“.

ჰრქუა ყრმამან მან: „და შემდგომად ამისა რაჲღა-მე იყოს?“

ჰრქუეს მათ: „შემდგომად ამისა წარიყვანის იგი სიკუდილ-მან“.

ჰრქუა ყრმამან მან: „და ოდეს მოიწევის კაცი საზომსა ამას?“

ჰრქუეს მათ: „შემდგომად ოთხმეოცისა წლისა, გინა-მე უმ-რავლეს ასისა“.

ჰრქუა მათ ყრმამან მან: „რაჲ არს წელიწადი?“

ჰრქუეს მათ: „ათორმეტი თუე“.

ჰრქუა მათ ყრმამან მან: „და რაჲ არს თუე?“

ჰრქუეს მათ: „ოცდაათი დღე“.

ჰრქუა მათ ყრმამან მან: „და შემდგომად ამისა ღონე არა არსა სიკუდილისაგან ანუ ესევითარისა სიბერისაგან და მაშინღა სიკუდილი?“

ჰრქუეს მას: „არა არს ამისგან ღონე“.

– ასეთი არ არსებობს.

უფლისწულს ელდა ეცა. ჩაფიქრდა. გონება აუფორიაქდა და ფერი დაკარგა. იმ დღეს მეტად დამწუხრებული დაბრუნდა შინ.

გამოხდა ხანი. სასეირნოდ კვლავ ქალაქგარეთ გავიდა უფლისწული. ამჯერად ღრმად მოხუცებული და დაუძლურებული ბერიკაცი დაინახა, პირისახით გაშავებული, თმაგათეთრებული, ხორცდამჭკნარი და უკბილო, ჩიფჩიფით ლაპარაკობდა და წელში ღრმად მოკაკვული, თითქმის დაღოღავდა.

მოხუცის დანახვამ კვლავ შეზარა უფლისწული და მსახურებს მის შესახებ ჰკითხა. მიუგეს უფლისწულს:

– ეს კაცი ხანდაზმულია. ჟამთა სვლამ დააბერა. ყოველი დღე ღონეს ართმევდა მას და აქამდე მიიყვანა. მაგრამ დროთა განმავლობაში კიდევ უფრო დაუძლურდება.

– ყველას ეს ბედი მოელის? - შეკრთა უფლისწული.

– ყველას! თუკი სიკვდილმა არ მოუსწრო.

– ამის მერე რაღა იქნება?

– ამის შემდეგ სიკვდილი წაიყვანს კაცს.

– როდის აღწევს კაცი ამ ასაკს?

– ოთხმოცი ან თუნდაც ასი წლის შემდგომ.

– წელი რა არის?

– თორმეტი თვე.

– თვე რაღაა?

– ოცდაათი დღე.

– ნუთუ არაფრით შეიძლება სიკვდილისაგან თავის დაღწევა, რომელიც სიბერეს აუცილებლად მოსდევს?

– შეუძლებელია ამისგან თავის დაღწევა.

– და მანამდე ის უბედურებანი, მე რომ ვიხილე – სიმახინჯე და სიბრმავეც შეეყრება კაცს? და უშიშარიც რომ იყოს, ვერ გათავისუფლდება მათგან?

ჰრქუა ყრმამან მან: „ამათ შუვა ვნებანი იგი, რომელ ვიხილენ, სიგონჯჯე იგი და მწუხარებაჲ შე-ვე-ემთხუევიანა კაცთა, და ვერვინ გულპყრობილ იქმნების მისგან, თუმცა უშიშ იყო?"

ჰრქუეს: „ეგრეთ არს ესე, ვითარცა სთქუ".

ჰრქუა ყრმამან მან: „ესე ყოველსა ქუეყანასა ესრეთ არსა?"

ჰრქუეს: „ჰე, ესრეთ არს".[8]

მაშინ თქუა ყრმამან მან: „არღარა ჰამო არს ცხორებაჲ საწუთროთაჲ ამათ თანა, რომელნი ვიხილენ, და არავის აქუს მშჯდობაჲ სიკუდილისაგან ადრე გინათუ ნელიად, და ახლოს არს ნელადი იგი ადრისაგან, და ახლოს არს დღე შემდგომად დღისა თჯსა შინა, და მსწრაფლ შეუდგს თუესა წელიწადი და ადრე წარმავალ არიან წელიწადნი დალევნად ცხორებასა კაცისასა, დაღაცათუ საზომსა და დასასრულსა ცხორებისასა მიიწიოს.

და წარვიდა ყრმაჲ იგი. და ესე იყო გულისსიტყუაჲ მისი, ზედაჲსზედა მოუკლებელად აქცევნ სიტყუათა ამათ ზეპირით და გულსა შინა თჯსსა. და მიერითგან იწყო ურვად და გულისსიტყუად, და არღარად შეჰრაცხა საშუებელი ამის სოფლისაჲ. და განუმრავლდებოდეს ურვანი დღითი-დღე. [დ]ა (ამა)ს ყოველსა თანა ესათნოებოდა მამასა თჯსსა; და რაჟამს შეემთხჯის, იწყის განცხრომად და მხიარულებად, ნუუკუე ცნას მამამან მისმან, რაჲ-იგი არს გულისსიტყუაჲ მისი და დააყენოს იგი მიერითგან განსლვად ქალაქით. და რაჟამს იხილის ვინმე მეტყუელი მეცნიერად, ყურად-იღებნ გულსმოდგინედ სიტყუათა მისთა, რაჲთამცა ესმა ვისგანმე ჭეშმარიტი რაჲმე, რომლითა განუქარდა მწუხარებაჲ გულისა მისისაჲ.

და მოუწოდა დღესა ერთსა მზარდულსა მას და ჰრქუა მას: „არავინ იცია აქა კაცი, რომელი არა წესსა ზედა ჩუენსა ჰგიეს?"

– სწორედ ასეა.

– ყველგან?

– ყველგან![8]

მაშინ ჭაბუკმა თქვა:

– იმის შემდეგ, რაც ჩემი თვალით ვიხილე და მოვისმინე, ცხოვრება აღარ არის საამური. ვერავინ გადაურჩება სიკვდილს, ადრე თუ გვიან ყველა მისი მსხვრპლი გახდება. თანაც სიკვდილამდე ცოტა დროა, რადგან სწრაფად ცვლის დღე დღეს, თვე თვეს მისდევს და წელიწადი წელიწადს. ასე რომ, მაინც მალე ეწევა კაცს სიკვდილი, თუნდაც სიბერის ასაკსაც მიაღწიოს, – ასე ფიქრობდა უფლისწული. მსგავსი აზრები მიეძალა. უფრო და უფრო ხშირად ახსენდებოდა გამზრდელის სიტყვები და ხშირადვე ფიქრობდა მათზე. გულჩათხრობილი გახდა, დადარდიანდა. აღარაფრად უღირდა ამსოფლიური სიამოვნებანი. დღითიდღე ემატებოდა შფოთი და მწუხარება, მაგრამ მამის წინაშე არაფერს იმჩნევდა, – როცა მას ხვდებოდა, უწინდებურად ილხენდა და მხიარულობდა, თავს აჩვენებდა, რათა მშობელს მისი დაღონება არ შეენიშნა და ქალაქგარეთ გასვლა არ აეკრძალა. ხოლო თუ ბრძნად მოუბარს შეხვდებოდა ვინმეს, გულმოდგინედ ისმენდა მის ყოველ სიტყვას იმ იმედით, იქნებ გულის ფიქრთა და წუხილთა განმაქარვებელი სიტყვები მოვისმინოო.

ერთ დღესაც იხმო იოდასაფმა თავისი გამზრდელი და ჰკითხა:

– ხომ არ გეგულება ისეთი კაცი, ჩვენს რწმენას რომ არ მისდევდეს?

მიუგო გამზრდელმა:

ხოლო მან ჰრქუა მას: „იყვნეს აქა კაცნი, რომელნი მოგაჴ-სენენ შენ უწინარეს ამისსა, რომელთა ქრისტეანე და ღმრთის-მსახურ სახელ-ედებოდა, რომელნი ეძულებოდეს სოფელსა ამას და საშუებელთა მისთა და ეძიებდეს, ვითარ-იგი იტყოდეს, სუფევასა საუკუნესა. და წესი მათი არა მსგავს არს წეს[ს]ა ჩუენსა, და არცა საქმენი მათნი – საქმ[ესა ჩუენსა]. არამედ მეფე შეემტერა და განასხნა ქუეყანით ჩუენით და მრავალნი მათგანნი მოსრნა პირად-პირადითა ტანჯვითა და ცეცხლითა, ვითარცა-იგი გაუწყე შენ, და აწ არღარავინ ვიცი მათგანი ქუეყანასა ჩუენსა“.

და ვითარცა წარმოუთხრნა მზარდულმან მან საქმენი მათნი, აღიძრა გონებაჲ მის ყრმისაჲ მათთჳს და სწადოდა ხილვაჲ მათი. და იყო ვითარცა კაცი, რომელი ეძიებ[ს] **წარწყმედულსა** რასამე თჳნიერ ყოვლისა ღონისა. და განაცხადა სიძულილი საწუთროჲსაჲ და ძაგებაჲ მისი, ვითარმედ შეურაცხ არს საშუებელი ამის სოფლისაჲ წინაშე მის[ს]ა. და სძაგებდა ყოველთა გზათა და მოყუარეთა მისთა, ვიდრემდის განჴდა ჰამბავი მისი ყოველთა ადგილთა, და რომელთა ესმა, ადიდებდეს ღმერთსა სამებით ცნობილსა და ერთარსებით დიდებულსა, რომლისა ჰშუენის დიდებაჲ – მამასა და ძესა და წმიდასა სულსა – აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ[9].

* * *

– ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობდნენ ასეთი ადამიანები. მათ შესახებ უწინაც მითქვამს შენთვის. მათ სძულდათ ეს სოფელი და მისი სიამოვნებებიც, და როგორც თვითონ ამბობდნენ, საუკუნო ცხოვრებას ეძიებდნენ. მათი სარწმუნოება არ ჰგავს ჩვენსას, არც მათი საქმენია ჩვენ საქმეთა მსგავსი. მაგრამ მეფე მათ გადაემტერა და ჩვენი ქვეყნიდან გააძევა ისინი, ბევრიც დახოცა, ათასგვარი ტანჯვა მოაწია მათზე, ცეცხლში დაწვა მრავალი, როგორც ადრეც მითქვამს შენთვის. ამჟამად ერთი მათგანიც აღარ მეგულება ჩვენს ქვეყანაში.

და როცა გამზრდელმა ქრისტიანების შესახებ მოუთხრო იოდასაფს, ყრმას გულით მოუნდა მათი გაცნობა. იმ კაცს დაემსგავსა, რომელიც მთელი არსებით ცდილობს დაკარგულის მოძიებას. ამიერიდან დაუფარავად გამოხატავდა წუთისოფლის სიძულვილს და გმობას, ამქვეყ-ნიური სიამოვნებების ამაოებასა და უფასურებას, აძაგებდა მათ და ყოველ მათ მოყვარულს, ისე რომ, ყველამ გაიგო ამის შესახებ. ხოლო ქრისტიანები ამ ამბის გამო ადიდებდნენ ღმერთს, სამებით ცნობილსა და ერთარსებით დიდებულს, რომელსაც ჭეშმარიტად შვენის დიდება – მამას, ძესა და წმიდა სულს, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

* * *

9. ესმა ვისმე კაცსა ღმრთისმოყუარესა, რომელი გან-
შუენებულ იყო წესითა მონაზონთაჲთა და სავსე იყო იგი სულითა
წმიდითა და ყოვლითა სიბრძნითა, რომლისა სახელი ბალაჰვარ,
ქუეყანასა სარწნადიბისასა, ეუწყა ძისათჳს მეფისა, ვითარმედ
სწადის და სურვიელ არს შჳჯულსა იესუ ქრისტეს ღმრთისა
ჩუენისასა. და მოვიდა სამეუფოდ ნავითა და განიძარცუა
სამოსელი მონაზონთა წესისაჲ და შეიმოსა სამოსელი ვაჭართაჲ.
და იწყო აღრევად [თანა] კაცთა. და განამრავლა მისლვაჲ კარად
მეფისა, ვითარცა სხუანი კაცნი, ვიდრემდის შეისწავლნა კაცნი და
ცნა კაცად-კაცადისა მათისა სადგური წინაშე მეფისა და ძისა
მისისა.

და ცნა სადგური მზარდულისაჲ მის წინაშე ძისა მეფისა. და
დაიხუედრა დღესა ერთსა სიტყჳსყოფად მის თანა იდუმალ და
ჰრქუა: „მე კაცი ვარ ერთი უ[ც]ხოჲ და შორით მოსრულ ვარ, და
ჩემ თანა ჭურჭელი არს დიდისა სასყიდლისაჲ და დამიფარავს იგი
კაცთაგან, და ვერვისა გულპყრობილ ვიქმენ გამოცხადებად
თჳნიერ შენსა, რამეთუ ვესავ სიკეთესა შენსა და გონიერებასა
შენსა, რაჲთა სათნო-მეყო და დამიფარო საქმე მისი ვისგანვე“.

ჰრქუა მას მზარდულმან მან: „გულპყრობილ იქმენ ჩემდა,
რამეთუ მე ვიღუაწო ნებაჲ შენი ყოვლითა ძალითა ჩემ(ი)თა ერთ-
გულებით, და არავის გამოუცხადო იგი, გარნათუ ვისი შენ
გენებოს“.

ჰრქუა მას ბალაჰვარ: „ჭურჭელი ესე, რომელი მე მაქუს, უმ-
ჯობეს არს წუნწუბასა წითელსა, რამეთუ ბრმათა აღუხილავს
თუალთა და ყრუთა ასმენს და უტყუთა ატყუებს და კეთროანთა
განსწმედს, მკელობელთა ავლინებს და უძლურთა განაძლიერებს
და ნაკლულევანთა განამდიდრებს და ყოველსა სნეულებასა

ბალავარის მოსვლა და უფლისწულის ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცევა

9. იოდასაფის ამბავმა სარნადიბის ქვეყანამდეც მიაღწია. აქ ცხოვრობდა ერთი მეტად ღვთისმოყვარე და სულიწმიდის ნიჭით დაჯილდოებული მონაზონი კაცი, სახელად ბალავარი, განთქმული სიბრძნითა და გონიერებით. თურმე მანაც შეიტყო უფლისწულის ქრისტიანთა სარწმუნოებით დაინტერესების შესახებ, ნავით მიადგა სამეფო ქალაქ შოლაიტს, ბერის სამოსი გაიხადა, ვაჭრის ტანისამოსი გადაიცვა და ამგვარად გამოწყობილი შეერია ხალხს. განსაკუთრებით სამეფო კარზე სიარულს მოუხშირა, იქ მყოფთა შორის გაერია, დაწვ-რილებით შეიტყო თითოეული მათგანის უფლება-მოვა-ლეობანი მეფისა და მისი ძის წინაშე.

უფლისწულის გამზრდელის ადგილსამყოფელიც დაადგინა, ერთ დღეს დაიმარტოხელა და უთხრა:

– მე უცხო ქვეყნიდან ვარ, შორით მოსული. თან მეტად ძვირად ღირებული განძი მაქვს. ადამიანებს ვუმალავ მას. დღემდე არავისთვის მითქვამს ეს, შენ კი გიმხელ, რადგან იმედი მაქვს შენი კეთილგონიერების, რომ მიერთგულებ და არვისთან გაამჟღავნებ ჩემს საიდუმლოს.

– შიში ნურაფრისა გექნება, ყველანაირად ვეცდები შენი ნება-სურვილის ერთგულად შესრულებას, და თუ შენი თანხმობა არ იქნება, არავის გავუმხელ საიდუმლოს, – თქვა გამზრდელმა.

უთხრა ბალავარმა:

– ძვირფასი ნივთი, რომელიც მე მაქვს, წითელ გოგირდსაც სჯობია, რადგან ბრმას თვალს უხელს, ყრუს სმენას უბრუნებს და მუნჯს ამეტყველებს, კეთროვანს

ჰკურნებს, და მტერთა ზედა მძლე-ჰყოფს და ეშმაკთა აოტებს **ახლის პიროვანთაგან**, და ყოველსა საწადელსა გულისასა მოატყუებს კაცსა.

ჰრქუა მას მზარდულმან მან: „არარას ვჰხედავ შენ თანა, კაცო ვინმე, სახესა უგუნურებისასა, გარნა სიტყუანი შენნი მსგავს არიან სიტყუათა მეტნობისათა გარდარეულად მეტყუელთასა, რამეთუ იტყჳ რასამე, რომელი არასადა მასმიეს ესევითარი, და განმტყუენებასა შენსა ვერვე დავიდებ გულსა ჩემსა სიბრძნისათჳს, რომელსა-ესე ვჰხედავ შენ თანა. არამედ აწ მითხარ, რაჲ არს ჭურჭელი ესე, რომელსა შენ იტყჳ? მიჩუენე მე, რაჲთა ვიხილო! უკუეთუ ჯერ-იყოს სამეუფოდ, ვაუწყო მისთჳს ძესა მეფისასა, რამეთუ არა ჯერ-არს ჩემდა, თუმცა უქე რაჲმე უფროჲს ზომისა და შემდგომად ხილვისა მისისა არა ეგრეთ პოვა, ვითარ-იგი ვაუწყე მისთჳს“.

ჰრქუა მას ბალაჰვარ ბრძენმან: „შენ ითხოვ, რაჲთა გიჩუენო იგი, და ჭურჭელსა მას ვერვინ შემძლებელ არს ხილვად, გარნათუ ვის თანა-მე ორნი საქმენი იყვნენ: სიფრთხილე თუალთაჲ და სიწმიდე ცოდვათაგან, ხოლო უკუეთუ იხილოს იგი მრუმედმხედველმან და ცოდვათა ზედა დადგრომილმან, მიუღოს ნათელი თუალთაჲ და განურყუნას საცნობელი გონებისაჲ. და მე კაცი ვარ მკურნალი და ვჰხედავ მრუმედმხედველობასა შენსა და მეშინის, ნუუკუე სიბრწყინვალემან მისმან მისტაცოს ნათელი თუალთა შენთა, არამედ მასმიეს ძისა მეფისა რჩულიერად ქცევაჲ და სიწმიდით ცხორებაჲ ყოველთაგან საქმეთა უკეთურთა, და, მას თანა, ყრმაღა არს და მახჳლ თუალითა, და მე ვესავ ღმერთსა, რაჲთა შემძლებელ იყოს ჭურჭლისა მის ხილვად“.

ჰრქუა მას მზარდულმან მან: „გულისჴმა-მიყოფიან ყოველნი სიტყუანი შენნი და მე კაცი ვარ განფრდილი ცოდვათა შინა და

განწმედს და კოჭლს განმართავს, უძლურნი მისით ძლიერდებიან და არასმქონენი მდიდრდებიან, ყოველგვარი სენისაგან კურნავს კაცს, მტერზე ამარჯვებინებს და შეპყრობილთაგან ეშმაკებს განდევნის, კაცის ყველა გულისწადილს ასრულებს.

დაეჭვდა გამზრდელი:

– მართალია, უგნური კაცის შთაბეჭდილებას არ ტოვებ, მაგრამ შენი ნათქვამი მეტისმეტად გაზვიადებული მგონია, რადგან რაც შენგან მოვისმინე, მსგავსი არასოდეს მსმენია კაცთაგან. თუმცა არც ეჭვის შეტანა შემიძლია შენს ნათქვამში, რადგან სიბრძნესა და გონიერებას ვხედავ შენში. მაინც რა განძია, რომელიც თან გაქვს? მიჩვენე, რომ ჩემი თვალით დავინახო. თუ მეფეთა საკადრისი იქნება იგი, ვაუწყებ მის შესახებ უფლისწულს, სხვაგვარად კი, ვერ ვიკადრებ, რომ ზომაზე მეტად ვუქო რაიმე და შემდეგ კი სიცრუე აღმოჩნდეს იგი.

უთხრა მას ბრძენმა:

– შენ მთხოვ იმ ნივთის ჩვენებას, რომლის დანახვა არავის ძალუძს ჯანსაღი თვალთახედვისა და უცოდველი ცხოვრების გარეშე, რადგან თუ მრუდედ მხედველი და ცოდვებში მყოფი შეხედავს მას, თვალის ჩინსა და ცნობიერებას დაკარგავს. მე მკურნალი ვარ, ვხედავ, რომ თვალთახედვა დაქვეითებული გაქვს, ამიტომ მეშინია, მისმა ბრწყინვალებამ თვალი არ მოგჭრას და საერთოდ არ დაკარგო მხედველობა. მეფის შვილის შესახებ კი მსმენია, რომ წმიდად და უბიწოდ ცხოვრობს, ბოროტ საქმეებს განშორებულია, ამასთან, ჯერ ნორჩია, მზერაც მახვილი აქვს, და მე ვესავ ღმერთს, რომ ის შეძლებს ჩემი განძის დანახვას.

– მივხვდი შენს ნათქვამს, – უთხრა გამზრდელმა. მე მართლა ცოდვილი კაცი ვარ, ამიტომ აღარ მსურს შენი

არღარა მნებავს ხილვად ჭურჭელი იგი, და ამას თანა იტყჳ, ვითარმედ არა მახჳლად მხედველ ვარ და არა მნებავს საწუთროსა ზედა ხილვაჲ მისი, და მე ვჰგონე[ბ], ჭეშმარიტსა იტყჳ და არა სტყუვი“.

ჰრქუა მას ბალაჰვარ: „ჭეშმარიტსა გეტყჳ, გრწმენინ ჩემი და ნუ გეშინინ მეფისა ძისა თხრობად, რამეთუ იგი ღირს-ვე არა ეს-ევითარი ჭურჭელი დაფარვად მისგან სადგურეობასა ზედა შენსა წინაშე მისსა, და უკუეთუ მიაწიო ესე მისა, **შეიმატო** პატივსა და დიდებასა წინაშე მისსა უმეტეს ყოველთა მოყუასთა შენთა“.

მაშინ შევიდა მზარდული იგი წინაშე მეფისა ძისა და უთხრა მას ყოველი, რომელი ესმა ბალაჰვარისგან ბრძნისა. ხოლო სულსა ამის ყრმისასა სწადოდა ხილვაჲ კაცისაჲ, რაჲთა ესმეს ნუ რაჲ ვისგანმე სიტყუაჲ სარგებელისაჲ. და ვითარცა ესმნეს სიტყუანი მზარდულისანი, და ვითარ იგი საკჳრველსა რასამე უთხრობდა ჭურჭლისა მისთჳს, **იგრძნა** ვითარმცა სულითა და ჰგონებდა, ვითარმედ პოოს საწადელი მისი ბალაჰვარის თანა. მაშინ ბრძანა შემოყვანებაჲ მისი და ჭურჭლისაჲ მის თანა ფარულად.

10. და შეიყვანა ბალაჰვარ და აქუნდა თანა მოთხე მცირე და აჩუენებდა მით, ვითარმცა თუალი რაჲმე ედვა მას შინა.

ვითარცა დადგა იგი წინაშე ძისა მეფისა, მისცა მას მშჳდობაჲ და იწყო ლოცვად მისთჳს, ვითარცა-იგი ჯერ-არს წინაშე მეფეთა. და ეგრევე სახედ პატივ-უყო ძემან მეფისამან, და მოიკითხა იგი სიხარულით და უბრძანა მზარდულსა, რაჲთა ადგილ-სცეს და განვიდეს მათგან. და ვითარცა განვიდა იგი, უბრძანა ბალაჰვარს დაჯდომაჲ და ჰრქუა: „მიჩუენე ჭურჭელი იგი, რომელ მოგიღებიეს“.

ნივთის დანახვა. თანაც შენვე თქვი, რომ თვალიც არ მიჭრის და არც შემცდარხარ.

უთხრა ბალავარმა:

– სიმართლეს გეუბნები და მენდე, ნუ გეშინია, მეფის ძეს გაუმხილო ეს ყველაფერი, რადგან სწორედ მისი საკადრისია ეს ნივთი. ამასთან, შენი მხრივ, დასანანი უგუნურება იქნება ამგვარი განძის უფლისწულისაგან დაფარვა, რადგან თუ ყველაფერს გაუმხელ, გარშემომყოფთა შორის ყველაზე მეტ პატივსა და დიდებას მიიღებ მისგან.

მაშინ უფლისწულთან შევიდა გამზრდელი და ყველა-ფერი უამბო, რაც ბალავარ ბრძენისგან მოისმინა. უფლის-წულის სული ისეთი კაცის ნახვას იყო მოწყურებული, ვისგანაც სასარგებლო საუბარს მოისმენდა და როგორც კი გამზრდელისაგან საკვირველი და უცნაური რამ შეიტყო რაღაც ძვირფასი ნივთის შესახებ, სულით იგრძნო, რომ ბალავარის სახით სწორედ სასურველ კაცს უნდა შეხვედრო-და. ამიტომ ბრძანა მასთან სტუმრის საიდუმლოდ შეშვება მის საგანძურთან ერთად.

10. გამზრდელმა უფლისწულთან შეიყვანა სტუმარი, რომელსაც მის დასანახად პატარა ყუთი მიჰქონდა თან, თითქოს რაიმე ძვირფასი ნივთი ედო მასში.

სტუმარმა მშვიდობა უსურვა უფლისწულს და დალოცა იგი, როგორც მეფეთა წინაშე იყო ეს მიღებული. უფლისწულმაც ღირსეული პატივი მიაგო სტუმარს. სიხარულით მოიკითხა უცნობი, შემდეგ კი გამზრდელს მათი მარტოდ დატოვება უბრძანა.

როგორც კი გამზრდელი გავიდა, უფლისწულმა ბალა-ვარს დაჯდომა შესთავაზა და უთხრა:

– მაჩვენე, რა განძი გაქვს თან.

მიუგო ბალაჰვარ და ჰრქუა: „არა ჯერ-არს ჩემდა, თუმცა უდბად რაჲმე შეგამთხჳე და ჭურჭელი ესე ეგრე(თ) არს, [ვითარცა]-იგი გაუწყა მზარდულმან შენმან, და ვერვინ შემძლებელ არს ხილვად მისა, გარნა წმიდაჲ და უბიწოჲ, რომელი სრულ არს გონებითა, ხოლო იხილოს თუ იგი უძლურმან გონებითა, იგიცა მოაკლდეს და სახედველნიცა. ხოლო მნებავს გამოცდაჲ შენი სიტყჳთა და სიტყჳსყოფაჲ შენ თანა, და უკუეთუ შემძლებელად გიხილო ხილვასა მისს[ა], გიჩუენო იგი, რამეთუ შენთჳს მომიღებიეს და არა სხჳსა ვისთჳსმე, და მე ვესავ ღმერთსა, ვითარმედ მიწუთომილ ხარ საზომსა ხილვისა მისისასა, და მისწუთეცა, თუ უფალსა უნდეს. რამეთუ გიხილე, ძეო მე-ფისაო, და მომითუალე და წინა-მიყავ პატივი შეუსწავლელად, ვითარცა იგი პატივ-სცი დიდებულთა პალატისა შენისათა“.

მიუგო იოდასაფ, ძემან მეფისამან: „ამისთჳს, რამეთუ ფრიად მაქუს სასოებაჲ სარგებელისათჳს შენ [მიერ] და მოღებად საწადელი სულისა ჩემისაჲ შენგან“.

11. ჰრქუა მას ბალაჰვარ: „დაღაცათუ ჰყავ ესე, არავე საკჳრველ არს, რამეთუ ყოფილ არს მეფე ვინმე მორწმუნე, რომელი იყო სახიერ და მეძიებელ სიმართლისა. და ვითარ იგი ვიდოდა დღესა ერთსა სიმრავლითა ერისაჲთა, იხილნა ვინმე კაცნი ორნი უნდოჲთა სამოსლითა, რომელი შეძერწულ იყო სანაგვით პოვნილითა. და სიყჳთლე პირთა მათთაჲ აუწყებდა სიგლახაკესა მათსა და ჭირვეულობასა. ხოლო მეფემან იცოდნა იგინი, და ვითარცა იხილნა იგინი, მსწრაფლ ჩამოვარდა წინაშე მათსა და მოეხჳა ქედთა მათთა და პატივ-სცა დიდითა პატივითა. და რაჟამს იხილეს ესე მოყუასთა მისთა, განრისხნეს გონებათა შინა მათთა საქმისა მისთჳს, რომელი ყო მეფემან, და სიჩქარედ შეჰრაცხეს საქმე იგი მისგან, რამეთუ ესევითარი ჩუეულებაჲ [ა]რა აქუნდა მეფეთა მათთა. და ვერ იკადრეს მხილებაჲ მეფისაჲ,

ბალავარმა კი მიუგო:

– არ მეპატიება, ჩემი დაუდევრობით რომ რაიმე შეგამთხვიო, უფლისწულო, განძი კი სწორედ ისეთია, როგორც გამზრდელმა გაუწყა, – მას ვერავინ დაინახავს, თუ წმიდა და უბიწო არ არის და გონებით სრულყოფილი. ხოლო თუ გონაებასუსტი შეხედავს მას, გონებასაც დაკარგავს და თვალისჩინიც წაერთმევა. ამიტომ მსურს გამოგცადო სიტყვით და გაგესაუბრო, და თუ დავრწმუნდები, რომ შესძლებ მის დანახვას, გაჩვენებ, რადგან სწორედ შენთვის მაქვს ის მოტანილი. და მე ვიმედოვნებ, რომ ძალგიძს მისი დანახვა და შეძლებ კიდეც, თუ უფალი ინებებს, რადგან შენვე დამრთე ნება შეგხვედროდი და იმგვარი პატივით მიმიღე, როგორსაც სამეფო კარის დიდებულებს მიაგებ.

ამაზე მეფის შვილმა მიუგო:

– ეს იმიტომ, რომ მეც ვიმედოვნებ, სარგებელს ვნახავ შენში და ვპოვებ იმას, რაც ჩემს სულს სწყურია.

11. უთხრა ბალავარმა:

– თუმცა კი ამგვარად მოიქეცი, მაგრამ საკვირველი და უცნაური ამაში არაფერია. რადგან ყოფილა ერთი მორწმუნე მეფე, კეთილი და სიმართლის მძებნელი. ერთხელ მსახურების თანხლებით მიდიოდა თურმე და დაინახა ძონძებითა და ნაფლეთებით უხეიროდ შემოსილი ორი კაცი. პირისახის სიყვითლე მათ სიღარიბეზე და ავამყოფობაზე მიუთითებდა. მეფეს მათ შესახებ სმენოდა და როცა დაინახა, იცნო ისინი, სასწრაფოდ ცხენიდან ჩამოხტა, მხარზე ეამბორა მათ და დიდი პატივით მოიკითხა. თანმხლებმა პირებმა გონებაში დაგმეს მეფის საქციელი, სირეგვენედ ჩათვალეს მათთვის გაუგებარი მოქმედება, რადგან ამგვარი ჩვეულება უცხო იყო მეფეთათვის. აშკარად ვერ შეჰკადრეს მხილება მბრძანებელს,

და მივიდეს ძმისა მისისა, რომელი კადნიერ იყო წინაშე მისსა და უთხრეს, რაჲ-იგი ყო მეფემან და ჰრქუეს, რაჲთა ამცნოს მეფესა ესევითარისათჳს არღარა ყოფად. და მივიდა მეფისა ძმაჲ იგი მისი და უთხრა, რაჲ-იგი ჰრქუეს მას. და ვითარცა დაასრულნა სიტყუანი მისნი, მისცა პასუხი მეფემან, რომელი ვერ ცნა, თუ მიითუალა მეფემან სიტყუაჲ იგი მისი, ანუ განურისხნა მას.

ხოლო იყო ჩუეულებაჲ სამეუფოჲსაჲ მის ესრეთ, რაჟამს განრისხნის ვის ზედამე მეფე და უნებნ მოკლვაჲ მისი, წარავ-ლინის ქადაგი, რომელსა ერქუა ქადაგი სიკუდილისაჲ, და ჴმა-ყვის კართა ზედა მის რისხვეულისათა და დასცის საყჳრსა, და რაჟამს ესმის სახლისა-უფალსა, ცნის ჭეშმარიტად, რამეთუ მოსიკუდიდ არს მსწრაფლ და ყოველმან ერმან ცნ(ი)ს.

და შემდგომად მცირედთა დღეთა უბრძანა მეფემან ქადაგსა სიკუდილისასა, რაჲთა წარვიდეს და ჴმა-ყოს კართა ზედა ძმისა მისისათა. და წარვიდა ქადაგი იგი, და ჴმა-ყო და დასცა საყჳრსა სიკუდილისასა კართა თანა მისთა. და ვითარცა ესმა ჴმაჲ იგი ძმასა მეფისასა, სასოწარკუეთილ იქმნა ცხორებისაგან და ყო ან-დერძი, და იწყეს ტირილად და ტყებად სახლეულთა მისთა. ხოლო მან შეიმოსა საგრაგნელი თჳსი, და წარვიდეს იგი და ცოლი მისი და შვილნი მისნი კარად მეფისა სასოწარკუეთილნი ტირილითა და გოდებითა მრავლითა, და ისხმიდეს ნაცარსა პირთა მათთა.

მაშინ ბრძანა მეფემან შეყვანებაჲ მათი წინაშე მისსა. ხოლო იგი ტიროდა და ევედრებოდა მას. და ჰრქუა მას მეფემან: „ჰ უბადრუკო და უნდოო ცნობ(ითა), ვითარ ესრე შეძრწუნებულ ხარ ქადაგისაგან ძმისა შენისა [...] ნიშანი სიკუდილისაჲ კართა ზედა შენთა და შენ უწყი, ვითარმედ ძმაჲ შენი და ქადაგი მისი დაბადებულნი არიან ღმრთისა მაღლისანი, რომელნი ვერ შემ-ძლებელ არიან წარმატებად ნებისა მათისა და ვერცა გარემიქცევად მოწევნულსა მათ ზედა. და შენ უწყი, ვითარმედ შეუცოდებელ ხარ წინაშე ძმისა შენისა, რომლითამცა თანამდებ იყავ სიკუდილსა. მაშინ ვითარ განგიკჳრდა გარდასლვაჲ ჩემი და

მაგრამ მის ძმას კი, რომელსაც ჰქონდა მეფის წინაშე კადნიერება, დაუფარავად უამბეს ყველაფერი და მას სთხო-ვეს, გაეფრთხილებინა მეფე, ამგვარად აღარ მოქცეულიყო.

მივიდა ძმა მეფესთან და მოახსენა რაც მას უთხრეს. ლაპარაკი რომ დაასრულა, პასუხი გასცა მას მეფემ, მაგრამ ვერ მიხვდა ძმა, ყურად იღო მბრძანებელმა მისი სიტყვები, თუ განრისხდა მასზე.

იმ სამეფოში ასეთი ჩვეულება ჰქონდათ: თუ ვინმეზე გან-რისხდებოდა მეფე და მის სიკვდილით დასჯას განიზრახავდა, თავის მაცნეს, რომელსაც „სიკვდილის მაცნე" შეარქვა ხალხმა, გაგზავნიდა დარისხებულის კარზე. საყვირის ხმა სახლის უფროსს აუწყებდა, რომ სასიკვდილო განაჩენი იყო მეფისგან მასზე გამოტანილი. მთელი ქალაქი იგებდა ამის შესახებ.

და აი, რამდენიმე დღის შემდეგ „სიკვდილის მაცნეს" უბრძანა მეფემ მისი ძმის კარზე დაეყვირებინა საყვირი. მაცნემ მეფის ბრძანება შეასრულა და სასიკვდილო განაჩენი აუწყა ძმას. საყვირის ხმა რომ გაიგო, სასოწარკვეთილებას მიეცა ოჯახის უფროსი. სიკვდილის სიახლოვე იგრძნო და ანდერძი დაიბარა. თავ-პირში ცემითა და გოდებით მოსთქვამდნენ ოჯახის წევრები. ძაძით შეიმოსა ძმა და ცოლ-შვილიანად მეფისკენ გაემართა, უმატეს ტირილსა და ვაებას, თავზე ნაცარს იყრიდნენ.

მეფემ მათი თავისთან შეშვება ბრძანა. ძმა ტიროდა და შეწყალებას ითხოვდა. მაშინ მიუბრუნდა მას მეფე და უთხრა:

– ჰოი, უბადრუკო და გონებადაბნელებულო! თუ შენ ასე შეგძრა შენი ძმის მაცნემ და მისმა სიკვდილის მაუწყებელმა საყვირმა, როცა იცი, რომ შენი ძმაცა და მისი მაცნეც მაღალი ღმერთის შექმნილები არიან და მისი ნების გარეშე ვერაფერს გავნებენ, რადგან ღვთის ნება წარმართავს ყველაფერს, თან ისიც იცი, რომ უცოდველი ხარ ძმის წინაშე და არაფერი

თაყუანისცემად წინაშე მათსა, რომელნი-იგი ქადაგნი არიან უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი, რომელნი მომაჴსენებენ შემთხუევასა მისსა და მაუწყებენ სიტყუასა სახარებისა მისისასა. და მას თანა უწყნი მრავალნი შეცოდებანი ჩემნი, **ჶ შენდა** და რომელთა შეგიმკ[...მე] ესე, რომელი მ...მე და აწ მ[ით]ა ეუწყოს უგუნურებად მათი, (ვითარცა-ესე) შენ გეუწყა". და შეუნდო მეფემან ძმასა თჳსსა, და ფრიად სარგებელ ეყო მხილებად მისი.

12. მაშინ უბრძანა ოთხთა კიდობანთა შექმნად, და ორნი მათგანნი – შეძერწულნი ოქროდთა და ვეცხლითა და ანთრაკითა და თუალითა პატიოსნითა. და უბრძანა შთადებად ძუალები მკუდართად და ყოველი არაწმიდად სიმყრალე, რომელი უშუერ არს წინაშე კაცთა. და დაჰკრძალნა იგინი კლიტითა ოქროდსაჲთა. და მერმე უბრძანა ორთა მათ კიდობანთა სხუათა შეგოზად ფისითა და ნავთითა. და აღავსნა იგინი შინაგან ანთრაკითა და თუალითა პატიოსნითა და ყოვლითა სურნელებითა, რომლითა აღიძრვის გულისთქუმად კაცთად. და და(ჰკრ)ძალნა საბლ[ი]თა (რომლი)თამე ძუელითა. და მერმე უბრძანა შემოყვანებად მო(ყუასთა) მათ მისთად, რომელთა განუკჳრდა პატივისცემად მეფისად გლახაკთა მათ მიმართ წმიდათა. და ვითარ დასხდეს წინაშე მისსა, ბრძანა შემოღებად ორთა მათ კიდობანთად ოქროგანრჩულვილთად და სხუათადცა მათ. და იწყო კითხვად, რადთა ფას-ყენენ იგინი.

ხოლო მათ ჰრქუეს ორთა მათ კიდობანთათჳს ოქროგანრჩულვილთად: „ვერ შემძლებელ არს გონებად ჩუენი მიწუთომად საზომსა მათსა, რამეთუ ღირს არიან შთასადებელად ყოვლისა პა-

დაგიშავებია ისეთი, სიკვდილს რომ იმსახურებდე, და მაინც შეშფოთდი, მაშ, რატომღა გაკვირვებს ჩემი ქცევა, ცხენიდან ჩამოხტომა და მათ წინაშე ქედის მოდრეკა, რომლებიც უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს მაცნეები არიან და რომლებიც უფალთან შეხვედრისა და მისი სახარების შესახებ მაუწყებენ?! თანაც მე, შენგან განსხვავებით, დანაშაულიც ბევრი მაქვს, ასე რომ, ჭკუის სასწავლებელი იყოს ეს შენთვისაც და მათთვისაც, რათა ისინიც მიხვდნენ თავიანთ უგუნურებას, როგორც შენ მიხვდი დღეს.

მეფემ ყველაფერი აპატია ძმას და მისთვისაც მეტად სასარგებლო აღმოჩნდა ამგვარი მხილება.

12. შემდეგ მეფემ ოთხი კიდობნის შეკვრა ბრძანა. ორი მათგანი ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი თვლებით უნდა ყოფილიყო მოოჭვილი, შიგნით კი უნდა ჩაეწყოთ მიცვალებულთა ძვლები, ყოველგვარი სიმყრალე და უწმიდურება, ყველაფერი, რაც საძაგელია კაცთა წინაშე, ხოლო გარედან ოქროს საკეტით შეეკრათ. ორი კიდობნის კი გარედან ფისითა და ნავთით შეგოზვა ბრძანა, მათში ძვირფასი და პატიოსანი თვლები უნდა ჩაეწყოთ, ყოველივე ის, რაც კაცის გულს ახარებს. ხოლო საკეტის ნაცვლად თოკებით შეეკრათ. შემდეგ მეფემ იმათი მოყვანა ბრძანა, რომლებმაც დაძონძილსამოსიანი წმიდა ბერების პატივისცემისათვის განიკითხეს იგი. როცა მეფის წინაშე მოგროვდა ყველა, ხელმწიფის ბრძანებით შემოიტანეს ორი ოქროთი გაწყობილი და ორი სხვა კიდობანი. მეფემ მათი შეფასება სთხოვა ქვეშევრდომებს.

ოქრო-ვერცხლით მოჭედილი კიდობნების შესახებ ჰკადრეს მეფეს: – ჩვენი გონება ვერ შესწვდება მათ ნამდვილ ღირებულებას, ფასდაუდებელნი არიან ისინი. ამ კიდობნებში

ტიოსნისა ჭურჭლისა, ხოლო ორნი ესე ნავთითა შეგოზილნი უშუერ არიან გონებათა შინა ჩუენთა უნდოჯსაცა ფასისა“.

მაშინ ჰრქუა მეფემან: „უწყი, რამეთუ ესთენ არს გამოცდილებაჯ თქუენი და შეტყუებაჯ, – გარეშითა კაცისაჯთა (ჰხე)დავთ“.

მაშინ ბრძანა ორთა მათ კიდობანთა ოქროშეძერწულთა განხუმაჯ. და განჰკრთეს ყოველნი უშუერებისა მისგან, რომელი მათ შინა იდვა, და საყნოსელნიცა მათნი აღავსნა სიმყრალემან მათმან. და ჰრქუა მეფემან: „ესე სახე არს ყოველთა, რომელნი იმკვებიან სამოსლითა და ოქროჯთა, და შინაგანი მათი სავსე არს უგუნურებითა, მწუხარებითა და ტყუვილითა, სიბილწითა და ყოვლითა არაწმიდებითა, რომელნი უმყრალეს არიან ამის სოფლისა, რომელ გეცემიან“. და მერმე ბრძანა განხუმაჯ ორთა მათ კიდობანთაჯ მონაფთულთაჯ, და განათლდა სახლი იგი ბრწყინვალებითა მით თუალებისაჯთა. და აღივსნეს ყოველნი იგი სურნელებითა მით გულისსათქუმელითა. და ჰრქუა მეფემან: „ესე სახე არს კაცთა მათ წმიდათაჯ, რომელთა თქუენ განგიკჳრდა პატივისცემაჯ ჩემი მათდა მიმართ, ოდეს იხილეთ სიძუელე სამოსელისა მათისაჯ გარეშითა თუალითა. ხოლო მე შ(ინა)განსა მათსა ვჰხედევდ გონებითა ჩემითა“.

მაშინ თქუეს კაცთა მათ, ვითარმედ: „ფრიად სარგებელ გუეყო სახე ესე და აწ უწყით, ვითარმედ ჭეშმარიტი ჰქმენ“.

ყველაზე ძვირფასი განძი უნდა იქნას შენახული. ხოლო გაკუპრული კიდობნები იმდენად უშნო და უვარგისია, რომ, ვფიქრობთ, არანაირი ღირებულება მათ არ გააჩნიათ, – დაასრულეს ქვეშევრდომებმა.

მაშინ მიუგო მათ მეფემ:

– სწორედ ამგვარია თქვენი გამოცდილებაცა და გონებამიხვედრილობაც, გარეგნობის მიხედვით აფასებთ კაცსაც.

და ბრძანა ოქრო-ვერცხლით მოოჭვილი კიდობნების გახსნა. ყველა შეაძრწუნა იმ სიბილწემ და უწმიდურებამ, რაც კიდობნებში იხილეს. იქიდან ამოვარდნილმა საძაგელმა სიმყრალემ კი სუნთქვა შეუკრა მათ.

განუმარტა მათ მეფემ:

– ეს იმათი სახეა, რომლებიც სამოსლითა და ოქროვერცხლით გარეგნულად იმკობენ თავს, შიგნიდან კი სავსე არიან უმეცრებით, უგუნურებითა და სიცრუით, სიბილწითა და ყველა იმ უწმიდურებით, რაც ამქვეყნიურ საძაგლობაზე, რომლის სუნიც ახლა გცემთ, უფრო უმყრალესია.

შემდეგ შეკუპრული კიდობნების გახსნა ბრძანა მეფემ. დარბაზი გაანათა მათგან ამომავალმა ნათელმა, ძვირფასმა თვლებმა ირგვლივ ყველაფერი გააბრწყინა, კიდობნიდან ამოვარდნილმა სურნელებამ კი ყველა დაატყვევა.

მაშინ თქვა მეფემ:

– ეს იმ კაცთა სახეა, რომლებიც სიწმიდით ცხოვრობენ და რომელთა მიმართაც ჩემმა პატივისცემამ თქვენ აგრერიგად შეგაშფოთათ, რადგან თქვენ გარეგანი, ხორციელი თვალით დაინახეთ მათი უპატიო და დაძონძილი ტანისამოსი, გარეგნობით შეაფასეთ ისინი, მე კი შინაგანს, მათ დაფარულ საუნჯეს ვხედავ.

აღიარეს ქვეშევრდომებმა, რომ ფრიად სასარგებლო იყო მათთვის ეს მაგალითი და დარწმუნდნენ, რომ სწორად მოიქცა იმ დღეს მეფე.

და თქუა ბალაჰვარ: „ესე სახე არს შენი, ძეო მეფისაო, რომელი პატივ-მეც მხიარულებისა სასოებისათჳს, რომელსა ჰგონებ ჩემ თანა“.

13. მაშინ აღდგა ძე იგი მეფისაჲ ინაჴით-ჯდომისაგან და თქუა გულსა შინა თჳსსა: „ჰგავს თუ, ესე არს საწადელი სულისა ჩემისაჲ, რომელსა ვეძიებდ“.

და მიექცა ბალაჰვარს და ჰრქუა: „ფრიად კეთილ არს სიტყუაჲ შენი და ცხად არს ჭეშმარიტებაჲ მისი. მე ვჰგონებ თუ, ესე არს ჭურჭელი შენი, რომელ[სა] ჰფარავ, რამეთუ განამტკიცებს გულსა და განანათლებს თუალთა და განაძლიერებს გონებასა. აწ უკუეთუ ესრეთ არს, ვითარ ვჰგონებ, მითხარ, და უკუეთუ სხუაჲ რაჲმე გაქუს გარეშე ამისა, რომელი მესმის, კმა არს სიტყუაჲ შენი ნაცვალად მისსა, რამეთუ ფრიად განანათლე გონებაჲ ჩემი სიტყჳთა შენითა და აღმძარცუე საბურველი მწუხარებისაჲ გულისაგან ჩემ[ი]სა. აწ მეც მე სახე კეთილისაჲ“.

და თქუა ბალაჰვარ: „გამოვიდა მთესვარი ვინმე და გამოიღო თესლი კეთილი და იწყო თესვად. და რომელიმე დავარდა გზ-ისკიდესა და მუნთქუესვე აღიტაცეს მფრინველთა. და რომელიმე დავარდა კლდესა ზედა, რომელსა ზედა იყო მიწაჲ და ნოტიე მცირედ, და აღმოსცენდა, და ვითარ მიიწინეს ძირნი მისნი სიჴმელესა კლდისასა, განჴმა. და რომელიმე შთავარდა ეკალთა შინა, და ვითარ აღმოსცენდა, შეაშთვეს იგი ეკალთა და მოაკუდინეს. ხოლო რომელი დავარდა ქუეყანასა კეთილსა და წმიდასა ვნებათაგან, დაღაცათუ მცირედ იყო, აღმოსცენდა და მრ(ავა)ლი ნაყოფი გამოიღო.

აწ მთესვარი იგი მიმცემელი არს სიბრძნისაჲ, ქრისტე ღმერთი ჩუენი, ხოლო თესლი იგი კეთილი, სიტყუანი წმიდისა პირისა მისისანი ჭეშმარიტნი, და რომელი დავარდა გზისკიდესა

ბალავარმა თქვა:

– უფლისწულო, შენი ქცევაც იმ მეფის ქცევას ჰგავს, შენც იმ სიხარულის იმედით მომაგე პატივი, რომელსაც ჩემგან მოელი, – დაასრულა საუბარი ბალავარმა.

13. უფლისწული წამოდგა და გაიფიქრა: “ეს ყველაფერი სწორედ იმას ჰგავს, რასაც ჩემი სული ეძებს”; შემდეგ ბალავარისაკენ მიბრუნდა და უთხრა:

– მეტად მადლიანია შენი სიტყვები და ცხადად ჩანს მათი ჭეშმარიტებაც. ვფიქრობ, სწორედ ეს უნდა იყოს ის ძვირფასი საუნჯე, რასაც შენ ფარავ, რადგან გულს განამტკიცებს, თვალთახედვას ჰმატებს და გონებასაც განანათლებს იგი. და თუ მართლაც ისეა, როგორც მე ვფიქრობ, მითხარი, მაგრამ თუ მის გარდა, რასაც შენგან ვისმენ, სხვა რამ კიდევ გაქვს, მაჩვენე თვით იგი, რადგან შენმა სიტყვებმა საკმაოდ გამინათა გონება და მწუხარებაც განაშორა ჩემს სულს. მაჩვენე მე სიკეთის ნიმუში.

უთხრა ბალავარმა:

– გამოვიდა მთესველი კეთილი თესლის დასათესად. თესვისას ზოგი მარცვალი გზის პირას დავარდა. მოფრინდნენ ფრინველები და აკენკეს. ზოგი კლდეზე დაცვივდა, სადაც მიწა ბევრი არ იყო; აღმოცენდა და მალევე გახმა, რადგან ღრმად ვერ გაიდგა ფესვი კლდეზე. ზოგი ეკალ-ბარდებში ჩავარდა; გაიზარდა ეკალი და მოაშთო ისინი. ხოლო ის მარცვლები, რომლებიც ნაყოფიერ ნიადაგში ჩაცვივდა, თუმცა კი მცირე იყო, მაგრამ აღმოცენდა და მრავალი ნაყოფი გამოიღო. (მთ. 13:3; მკ. 4:3; ლ. 8:5).

მთესველი, წყარო სიბრძნის, უფალი იესო ქრისტეა. თესლი კეთილი – ღვთის პირიდან გამომავალი ჭეშმარიტების სიტყვა. გზის პირას ნათესი, რომლებიც ფრინველებმა

და მფრინველთა წარიტაცეს, ესე იგი არს, რომელი ესმის ყურსა
და თანაწარჰვდის გულსა. და რომელი–იგი დავარდა ნოტიასა და
აღმოსცენდა და განვმა სიკმელითა კლდისაჲთა, იგი არს, რომელი
ესმის კაცსა და ეჰამის, და ცნის ჭეშმარიტებაჲ მისი წუთჟამ და
მერმე არა დაამტკიცის გონებაჲ მისი მას ზედა. ხოლო რომელი–
იგი აღმოსცენდა, ნაყოფი გამოაქუნდა და მერმე ეკალთა
შეაშთვეს, ესე იგი არს, რომელი შეიწყნარის კაც[მან], და ოდეს
საქმით აღასრულებნ შეწყნარებულსა მას, დაან(თქის) და
შეაშთვის იგი გულისთქუმამან. ხოლო რომელი–იგი აღმოსცენდა
და ნაყოფი გამოიღო მრავალი, იგი არს, რომელი მოისთულო**[ს]**
თუალმან და შეიკრიბოს გულმან და წარიმართოს გონებამან, და
დაამკუნეს გულისთქუმანი და განიწმიდოს გული ენებათაგან“.

ჰრქუა მას ძემან მეფისამან: „მე ვესავ ქრისტესა, რაჲთა
რომელი დასთესო ჩემ თანა, აღმოსცენდეს და მრავალი ნაყოფი
გამოიღოს. აწ მეც მე სახე საწუთროჲსაჲ და ვითარ აცთუნებს
მოყუარეთა მისთა“.

14. ჰრქუა მას ბალაჰვარ: „მსგავს არს საწუთროჲ ესე და ყო-
ველნი მოყუარენი მისნი კაცსა, რომელსა სდევდა პილოჲ ამრიზე-
ბული და მიაწყუდია ჯჯურღმულსა საშინელსა. და შთავრდომასა
მას მისსა მა[ს] შინა პოვნა ორნი რტონი აღმოცენებულნი მას
ზედა, და მოეკიდა და პოვა რაჲმე, რომელს[ა] ზედა დაიდგნა
ფერკნი თჯსნი. და ვითარ (მი)ჰხედნა, იხილნა ორნი თაგუნი:
ერთი თეთრი და ერთი შავი, რომელნი დაუცხრომელად შჭრიდეს
ძირთა მათ ხეთასა. და შთაჰხედ(ნა ჯჯურ)ღმულსა მას შინა და
იხილა ვეშაპი, რომელსა აღეტკმო პირი და ეგულებოდა
შთანთქმაჲ მისი. ხოლო რომელსა–იგი ზედა ფერკნი ედგნეს,
ოთხნი თავნი იყვნეს ასპიტისანი გამოსრულნი ჴურელით. და

აკენკეს, ნიშნავს ყველა იმათ, ვისაც ესმის სიტყვა, მაგრამ
გონებით არ ჩასწვდება მას და ბოროტი მოსტაცებს გულში
ჩათესილს; კლდოვანზე დათესილი, სადაც მიწა ბევრი არ იყო
და აღმოცენდა და გახმა, ის არის, ვინც სიტყვას მოისმენს და
მაშინვე აიტაცებს მას სიხარულით, მაგრამ სიტყვა ღრმად
ვერ იდგამს ფესვს მის გულში; ის, რომელიც აღმოცენდა და
ნაყოფიც უნდა ჰქონოდა, მაგრამ ეკალმა მოაშთო, იმ კაცზე
მიანიშნებს, ვინც სიტყვას ისმენს, მაგრამ წუთისოფლის
საზრუნავი და გულისთქმები აშთობენ სიტყვას და იგიც
უნაყოფო ხდება; ხოლო ის, რომელიც აღმოცენდა და მრავალი
ნაყოფი გამოიღო, ის კაცია, რომელმაც დაინახა თვალით,
მიიღო გულით და ჩასწვდა გონებით, დათრგუნა
გულისთქმები და განიშორა ვნებები.

უთხრა მას უფლისწულმა:

– მაქვს ღვთის იმედი, რომ რასაც ჩემში ჩათესავ,
აღმოცენდება და მრავალ ნაყოფს გამოიღებს. ახლა კი
წუთისოფლის სახე მაჩვენე და მითხარი, როგორ აცდუნებს
მის მოყვარულებს?

14. მიუგო ბალავარმა:

– წუთისოფელი და ყველა მისი მოყვარული ჰგავს კაცს,
რომელსაც გამძვინვარებული სპილო გამოეკიდა და საშინელი
უფსკრულის პირას მიიმწყვდია იგი. კაცი უფსკრულში
ჩავარდნისას ორ ტოტს გამოედო. ეს ტოტები უფსკრულს
გადაჰყურებდა. მოეჭიდა მათ და ფეხიც მოიმაგრა. მიმოიხედა
და ორი თაგვი დაინახა, ერთი თეთრი და ერთი შავი. ისინი
დაუცხრომლად ღრნიდნენ იმ ხის ფესვებს, რომელზეც თავად
ეკიდა. ჩაიხედა უფსკრულში და პირდაღებული ურჩხული
შენიშნა. ურჩხული მის ჩავარდნას ელოდა და ჩასაყლაპად
გამზადებულიყო. ხოლო იმ რტოების ხვრელებიდან, რომლებ-

აღიხუნა თუალნი თჳსნი და იხილა რტოთა მათ ზედა მცირედი რაჲმე თაფლი და იწყო ჭამად. და შეაქცია გემოვნებამან და სიტკბოებამან მისმან და არა გულისჴმა-ყო განზრახვად განსაცდელთა მათთჳს, რომელთაჲ არა უწყის, ოდეს უკბინონ, არცა რტოთა მათთჳს, რომელთა მოკიდებულ არს. და ჰხედავს შეჭრასა ძირთა მისთასა თაგუთა მათგან და უფროჲსღა ვეშაპისა მისთჳს, და არცა განიზრახა, რომელსა (ჰხე)და(ვს) განმზადებულსა შთანთქმად მისა.

აწ პილოჲ იგი სახე არს სიკუდილისაჲ, რომელი (სდევნის ძეთა ა)დამისთა, და ჯურღმული არს სოფელი ესე, საესე ყოვლითა ბოროტითა და საბრჴითა მავნებელითა, ხოლო ორნი იგი რტონი არიან დღენი კაცისანი და ორნი იგი თაგუნი – ერთი თეთრი და ერთი შავი – არიან ღამე და დღე, დაუცხრომელნი მათ ზედა, რომელნი მსწრაფლ დაჰლევენ ცხორებასა კაცისასა. და ოთხნი იგი ასპიტნი მსგავს არიან ოთხთა მათ ნივთთა, რომელთა ზედა აღგებულ არს გუამი კაცისაჲ, და ოდესცა ერთი მათგანი **აღიძრას**, წარვალს სიცოცხლე. ხოლო ვეშაპი იგი, რომელსა აღელო პირი და ეგულებოდა შთანთქმაჲ მისი, სახე არს ჯოჯოხეთისაჲ, რომელსა შევლენ**ან** მოყუარენი ამის სოფლისანი შემდგომად სიკუდილისა. და მცირედი იგი თაფლი წუთ [ე]სე საშუებელი არს ამის სოფლისაჲ, რომლითა შეიტყუე(ბს) შეცთომილთა მცირედითა მით სიტკბოებითა გ(ან)ხრწ(ნ)ა(დი)თ(ა).

15. და თქუა ძემან მეფისამან, რამეთუ: „მსგავსებაჲ ესე ჭეშმარიტ არს და სახე ესე საკჳრველ, და აჰა ესერა განაცხოველე სული ჩემი სიტ(ყჳთა შენი)თა. აწ მეც-ღა სახე ს(ოფლ)ისა ამისთჳს ამაოჲსა და მოყუარეთა მისთა, რამეთუ შესცთეს სიყუარულსა მისსა და შეურაცხ-ყვეს უმჯობესი ცხორებაჲ“.

ზეც ფეხი ედგა, ოთხ ასპიტს გამოეყო თავი. შემდეგ ტოტებს შეავლო თვალი. მცირედი თაფლი შენიშნა და მას შეექცა. მოიხიბლა მისი გემოთი და გაიტაცა მისმა სიტკბოებამ. დაივიწყა განსაცდელი, რომელიც ასპიტთა კბენით მოელოდა, არც რტოთა გადატყდომა აწუხებდა. თაგვები კი შეუჩერებლივ ხრავდნენ ხის ძირებს. პირდაღებული ვეშაპიც გადაავიწყდა, მოუთმენლად რომ ელოდა მის ჩაყლაპვას.

მისი აზრი ესაა: სპილო სიკვდილის სახეა, რომელიც ყოველ ადამიანს სდევს. ჯურღმული ანუ უფსკრული ბოროტებითა და უამრავი განსაცდელით აღსავსე წუთისოფელია. ორი ტოტი ადამიანის სასიცოცხლო დღეებია, თეთრი და შავი თაგვი – დღე და ღამე, რომლებიც შეუჩერებლივ და სწრაფად ლევენ კაცის ცხოვრებას, ოთხი ასპიტი ის ოთხი ნივთიერებაა, რომლითაც კაცის სხეულია შენაწევრებული, და ერთმა მათგანმაც რომ შემოუტიოს, სიცოცხლეც დასრულდება. ვეშაპი კი, პირდაღებული რომ მოელის კაცის ჩაყლაპვას, ჯოჯოხეთის სახეა, რაშიც წუთისიფლის მოყვარულნი ჩაცვივდებიან სიკვდილის შემდგომ, ხოლო მცირედი თაფლი, ამსოფლიური წუთიერი სიამოვნებებია, რითაც შეიქცევს და შეირყუებს ხოლმე ეს სოფელი კაცს და აცდუნებს-ხოლმე ხრწნადი სიტკბოებით.

15. უთხრა იოდასაფმა:

– ჭეშმარიტია ამგვარი შედარება და გასაოცარია ასეთი მსგავსება. ჩემი სული გააცოცხლა შენმა სიტყვებმა. ახლა წუთისოფლის ამაოებასა და მის მოყვარულთა შესახებ მიამბე რამე, როგორ ცდუნდებიან სოფლის სიყვარულით და როგორ უარყოფენ უკეთეს ცხოვრებას.

მიუგო ბალავარმა:

ჰრქუა ბალაჰვარ: „სახე არს სოფლისაჲ და მოყუარეთა მისთაჲ, რომელნი ტრფიალ-იქმნეს ეკალთა მათ თაფლცხებულთა და შეურაცხ-ყვნეს ყუავილნი იგი სულნელნი მას შინა, რომელ არს მტერობაჲ ამის სოფლისაჲ, მსგავს არს კაცსა ვისმე, რომელსა ესხნეს სამნი მეგობარნი. ერთი იგი უსაყუარელეს იყო მისა უფროჲს ყოველთასა[10] და მეორე იგი მეგობარი უყუარდა-ვე, ხოლო მესამე იგი მეგობარი შეურაცხ იყო მის წინაშე. და შემდგომთა დღეთა მოიწივნეს მისა შურტანი[11] მეფისანი და წარიყვანდეს განსაკითხავად.

და მივიდა საყუარელისა მის მეგობრისა და ჰრქუა: "შენ უწყი, საყუარელო ჩემო, ვითარ მიყუარ. აწ ესერა წარმიყვან[ებ]ენ განსაკითხავად, შემეწიე ჭირსა ჩემსა". მიუგო მან და ჰრქუა: "არა ვარ მე აწ მეგობარ შენდა და არცა გიცი შენ, მე სხუანი მისხენან მეგობარნი, რომელთა თანა ვიშუებდე, არამედ მოგცნე ორნი სამოსელნი და იგიცა არავე გერგნენ".

და მივიდა მეორისა მის მეგობრისა და ჰრქუა: აწ ვცნა სიყუარული ჩემი შენდა მიმართ, რომელ მაქუნდა. აწ ესერა წარვჰყავ მე განსაკითხავად და შემეწიე ჭირსა ჩემსა. მიუგო მან: არა მცალს დღეს შენდა, რამეთუ კმა არს ჩემდა ჭირი თავისა ჩემისაჲ. წარვედ გზასა შენსა, ამიერითგან არღარა ვარ მეგობარი შენი, არამედ მცირედ გზა-გყვე და მერმე მივიქცე ხრუნვად თავისა ჩემისა.

და წარვიდა მესამისა მეგობრისა, რომელსა-იგი სძულობდა და [სი]რცხჳლეულ-[იყო] და ეტყოდა მას: არა მქონან ბაგენი ვედრებად შენდა, არამედ ჭირისაგან დიდისა მოვივლტი შენდა, (აწ) რ[...აჲა] მალხინებელი ჩემი შენ თანა. მიუგო მან მხიარულებით და ჰრქუა: მე ვარ მეგობარი შენი, რომელმან დავი-

– წუთისოფელი და მისი მოყვარულნი ემსგავსებიან მათ, რომლებიც თაფლწასმულ ეკალნარს ეტრფიან და კეთილსურნელოვან ყვავილებს კი შეურაცხყოფენ. ეს ჰგავს კაცს, რომელსაც სამი მეგობარი ჰყავდა. ერთი მათგანი განსაკუთრებულად უყვარდა,[10] *მეორეც უყვარდა, მაგრამ შედარებით ნაკლებად, ხოლო მესამეს არაფრად აგდებდა. ასე რომ, შეურაცხყოფილი იყო მესამე მისგან. ერთ დღესაც მეფის რისხვა დაატყდა კაცს თავს, – უნდა გაესამართლებინათ.*

მივიდა კაცი უსაყვარლეს მეგობართან და უთხრა: შენ იცი, ძვირფასო, როგორ მიყვარხარ, ახლა მიჭირს, უნდა გამასამართლონ, შემეწიე გასაჭირში და დამეხმარე.

მიუგო უსაყვარლესმა მეგობარმა:

– მე უკვე აღარა ვარ შენი მეგობარი. არც კი გიცნობ, უკვე სხვა მეგობრები მყავს. მათთან ერთად ვიმხიარულებ. თუმცა, მოგცემ ორ შესამოსელს, მაგრამ ვეჭვობ, რომ რაიმეში გამოგადგეს.

მივიდა კაცი მეორე მეგობართან და უთხრა:

– გაიხსენე ჩვენი ძველი სიყვარული. აი, მე წამიყვანენ და გამასამართლებენ, შემეწიე გასაჭირში.

მიუგო მეგობარმა:

– დღეს შენთვის არ მცალია, ჩემი გასაჭირიც მეყოფა. წადი შენს გზაზე, ამიერიდან აღარ ვარ შენი მეგობარი, თუმცა ცოტაზე გაგაცილებ, მაგრამ მალევე უკან უნდა დავბრუნდე, რომ თავს მივხედო.

კაცი მესამე მეგობართან წავიდა, იმასთან, ძალიან რომ სძულდა და ძლივს შეჰკადრა:

– შერცხვენილი ვარ შენთან. პირი არა მაქვს, რომ რაიმე გთხოვო, მაგრამ დიდი ჭირი მაიძულებს, დახმარებისათვის მოგმართო.

მან კი მხიარულად მიუგო:

მარხე კეთილი შენი მცირედი და ა(წ აღ)ნადგინებითურთ მიგაგო შენ. ნუ [გეში]ნინ, რამეთუ მე მოგზაურ-გექმნე (და მეოხ ჭი)რსა შინა, არა მიგცე ჴელთა მტერთა შენთასა[12], არცა განგწირო. აწ მხიარულ-იქმენ, რამეთუ იქმნეს ჭირსა ამას შინა გამოყვანებაჲცა".

მაშინ იტყოდა კაცი იგი, თუ: „რომელსა-მე ამათ ორთაგანსა ზედა ვინანდე: გარდარეულსა მას ჩემსა სიძულილსა მეგობრისათჳს სიმართლისა ანუ გარდამატებულისა მისთჳს სიყუარულისათჳს ჩემისა მეგობრისა მისთჳს სიცრუჲსა?".

ჰრქუა მას ძემან მეფისამან: "კეთილ არს სახე ესე და ფრიად საწადელ, არამედ მაუწყე შეტყუებაჲცა მისი".

ჰრქუა მას ბალაჰვარ: „მეგობარი იგი პირველი ანგაჰრება არს, რომელსა შეიკრებს კაცი და სიყუარულისათჳს მონაგებთაჲ(სა არა ჰრიდებს სიკუ)დილსა, და ყოველივე ჭირი და ღუაწლი არა შეჰრაცხის სიყუარულისათჳს მისისა, და ჟამსა განსლვისა მისისასა სიკუდილად (არარაჲ) არგის, გარნა ორნი ხოლო მჩუარნი [...](ს) საგრაგნელად მისა, და (მი)აგებს. ამათ სხუაჲ მეგობარი პოვიან, რომლი(სა) თანა განისუენებედ.

და მეორე იგი მეგობარი არს ცოლი და შვილნი, რომლითა შეპყრობილ-იქმნ(ის) გონებაჲ კაცისაჲ და ყოველსავე მათ(თჳს) იღუწინ, და სულნი და ჴორცნი მისნი განკაფნის ნებისათჳს მათისა, და ესეცა არადვე სარგებელ ეყვის დღესა მას სიკუდილისასა, არამედ მცირედ ოდენ მოგზაურ ექმნიან გუამსა მას ვიდრე საფლავადმდე მისა და მერმე იქცი[ან] ზრუნვასა თავისა თჳსისასა და არარაჲ შჯირნ წარსრულისა მისთჳს. ხოლო მესამე იგი მეგობარი, რომელი ყოვლითურთ შეურაცხ (იყო),

– მე შენი მეგობარი ვარ, მახსოვს შენგან გაკეთებული მცირედი სიკეთეც ჩემთვის და მსურს მეტნაწილად მოგაგო სანაცვლოდ. ნუ გეშინია, თან გამოგყვები და გასაჭირში დაგეხმარები, შენს მტრებს არ მიგცემ დასაღუპავად, არც გაგწირავ, გამხიარულდი, რადგან ნებისმიერ გასაჭირში მოიძებნება გამოსავალი.

მაშინ თქვა კაცმა:

– აღარ ვიცი, რა შევინანო: ცრუ-მეგობრების უსაზღვრო სიყვარული, თუ ჭეშმარიტი მეგობრის უსაზღვრო სიძულვილი?!

უთხრა უფლისწულმა ბალავარს:

– კარგი მაგალითია და მეტად სასარგებლო, ოღონდ მისი შეფარული აზრიც მითხარი.

მიუგო ბალავარმა:

– პირველი მეგობარი ვერცხლისმოყვარეობაა, რომელსაც ყველაზე მეტად მიელტვის კაცი. ქონების სიყვარულით დაბრმავებულს, არც სიკვდილი ახსენდება, არც ჭირი და შრომა მიაჩნია რამედ, მაგრამ სიკვდილის ჟამს ამ მეგობრისგან არანაირი სარგებელი არ რჩება კაცს, მხოლოდ ორი ტილო, რომელშიც გაახვევენ მის სხეულს, – ეს არის ამ მეგობრის საბოძვარი, რომელიც შემდეგ სხვა მეგობრებს იძენს და მათთან ატარებს დროს.

მეორე მეგობარი ცოლ-შვილია. სანამ ცოცხლობს, მათითაა დაკავებული კაცის გონება, ყველეფერს მათთვის ცდილობს, მათ ნება-სურვილს სწირავს სულსა და და გულს, მაგრამ ესეც ამაოა, რადგან სიკვდილის ჟამს ვერც მათგან ნახულობს რაიმე სარგებელს, მხოლოდ სამარემდე მიაცილებენ მის გვამს და მალევე მიუბრუნდებიან საკუთარ თავზე ზრუნვას, მკვდარს აღარც კი გაიხსენებენ.

მესამე მეგობარი კი, რომელიც ყველაზე მეტად იყო შეურაცხყოფილი და დავიწყებული მის მიერ, კეთილი

არიან საქმენი კეთილნი: სიყუარული, მოწყალებაჲ, სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ, სიწმიდე და მსგავსნი ამათნი, რომელნი შემძლებელ არიან თანამ(ოგზაუ)რყოფად და ჴსნად დღესა მას განკითხვისასა და მცირედი იგი აღნადგინებ(ითურთ) დაუმარხავნ. ესე არს სახე ამის სოფლისაჲ და მოყუარეთა მისთაჲ".

16. ჰრქუა ძემან მეფისამან: „უწყი, რამეთუ ყოველსა ჭეშმარიტსა იტყჳ და ცხად არს ესე წინაშე სულისა ჩემისა. აწ მითხარ, ვითარ აცთუნებს სოფელი ესე და რომლითა ღონითა შესაძლებელ არს განრინებად მისგან".

ჰრქუა მას ბალაჰვარ: „მე გაუწყო შენ, ძეო მეფისაო, თუ ვითარითა ღონითა შესაძლებელ არს განრინებად მისგან. რამეთუ მსგავს არს ესე სახე კაცთა ვიეთმე მოქალაქეთა, რომელთაჲ იყო ჩუეულებაჲ მათი ესრეთ, რამეთუ რაჲწელიწად[13] მოიყვანიან კაცი უცხოჲ, უმეცარი საქმეთა მათთაჲ, და დასჳან [იგი] მეფედ ქალაქსა მათსა. და ესრ(ეთ ჰ)გონებნ უმეცარი იგი, ვითარმედ მეფობაჲ მისი მტკიცე არს მათ ზედა უკუნისამდე. და იწყის უდებებით ჭამად და სუმად და განცხრომად, რამეთუ ნებიერყვიან იგი წელიწადსა მას შინა და არა გულისჴმა-ყვის განზრახვად [...რჩ]ულისათ[ჳს]. და ვითარ გარდაჴდის წელიწადი იგი ერთი, შევიდიან მოქალაქენი იგი და განძარცჳან იგი და შიშველი განაგდიან გარე განქიქებული და განაძიან ქუეყანასა უცხოსა, და არარაჲ აქუნ, რაჲმცა ჭამა და სუა, გინამცა შეიმოსა, ანუ არგო რაჲმე თავსა თჳსსა. და პირველი იგი შუებაჲ და სიხარული სინანულად და მწუხარებად გარდაექცის. და ესრეთ იყო ჩუეულებაჲ მათი.

და კაცი ვინმე ერთი დაადგინეს ოდესმე მეფედ მათ ზედა მსგავსად ჩუეულებისა, და კაცი იგი იყო ბრძენ. და ვითარ დაადგინეს იგი მეფედ მათ ზედა, იხილა უცხოებაჲ თავისა თჳსისაჲ მათ

საქმეებია: სიყვარული, მოწყალება, რწმენა, სასოება, სიწმიდე და სხვა სათნოებები, რომელთაც ძალუძთ თან წაჰყვნენ კაცს, შეეწიონ განკითხვის დღეს და მცირედი კეთილიც მეტწილად მიაგონ.

ასეთია წუთისოფლისა და მის მოყვარულთა სახე.

16. უთხრა უფლისწულმა:

– ვხედავ, ჭეშმარიტებას ამბობ, გეთანხმება ჩემი სული. ახლა ისიც მითხარი, როგორ აცთუნებს წუთისოფელი კაცს და როგორ შეიძლება ამ განსაცდელისგან თავის დაღწევა?

მიუგო ბალავარმა:

– გეტყვი, უფლისწულო, რა ღონითაა შესაძლებელი მისგან თავდახსნა. მისი სახე ამგვარია: ერთი ქალაქის მცხოვრებლებს ასეთი ჩვეულება ჰქონდათ: მიიყვანდნენ საიდანმე უცხო კაცს, რომელმაც მათი ყოფა-ცხოვრებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ არაფერი იცოდა და ერთი წლით მათ ქალაქში გაამეფებდნენ. სტუმარს თავისი უმეცრებით დაუსრულებელი ეგონა შეთავაზებული მეფობა, დაუდევრად იწყებდა სმა-ჭამას და განცხრომას ეძლეოდა, რადგან ანებივრებდნენ და არც კი ცდილობდა ქალაქის მკვიდრთა წეს-ჩვეულებების გარკვევას.

ერთი წლის შემდეგ ქალაქის მკვიდრნი შეიპყრობდნენ მეფეს, ტანთ გახდიდნენ, გააშიშვლებდნენ და შერცხვენილსა და შეურაცხყოფილს ქალაქიდან გააძევებდნენ. გაგდებულს აღარაფერი გააჩნდა, არც საჭმელ-სასმელი და არც შესამოსელი, ვერც ვერაფრით ვეღარ შველიდა თავს, განცხრომა და სიხარული კი სინანულითა და მწუხარებით ეცვლებოდა... ასეთი იყო ამ ქალაქის ჩვეულება.

და აი, ერთხელ, ქალაქის მცხოვრებლებმა, მათი ჩვეულებისამებრ, ქალაქში ახალი მეფე დასვეს. ეს კაცი ბრძენი

შორის, არა გულპყრობილ-იქმნა მათდა მიმართ და ეძიებდა კაცსა, რომელმანცა აზრახა, თუ ვითარ ჯერ-არს ყოფად მისი მათ შორის. და პოვა ვინმე კაცი ერთი სარწმუნოდ, რომელმან იცოდა ჩუეულებად მოქალაქეთად მათ, და უთხრა მას საქმე მისი და აუწყა (უცხო)ებად მისი მათ შორის, და ვითარ ვერ გულპყრობილ არს მათდა მიმართ.

მაშინ ჰრქუა მას კაცმან მან: "მე გაუწყო, რად-იგი ჯერ-არს შენდა ყოფად: იწყე, რომელ არს ჴელთა ქუეშე შენსა, საგანძურთაგან განპარვად, რომელი ხოლო შეუძლო: ოქროდ და თუალები პატიოსანი და ანთრაკი რჩეული და ყოველი ჭურჭელი პატიოსანი, და წარეც იგი ქუეყანასა მას უცხოსა, რომელსა-იგი მიიყვანნიან მეფენი მათნი შემდგომად განძარცუვისა და განძებისა მათისა, რადთა მუნ გემარხვოდის ყოველი; და ოდეს-იგი განიძო მათგან, მსგავსად ჩუეულებისა მათისა, ჰპოვო იგი, რომელი წარიძღუანე წინაშე შენსა, რადთა მუნ უმეტეს იშუებდე უეჭუელად, და სინანული და მწუხარებად არღარა იყოს შენ ზედა, ვითარცა-იგი სხუათა მათ მეფეთა ზედა, პირველ შენსა ყოფილთა".

და ყო მეფემან მან ზრახებისაებრ კაცისა მის გონიერისა და ბრძნისა. და ვითარცა გარდაჴდა წელიწადი მისი, დაესხნეს მოქალაქენი იგი და განძარცუეს და განაგდეს იგი ქუეყანასა მას უცხოსა, მსგავსად ჩუეულებისა მათისა, და მუნ პოვა ყოველი, რომელი წარეძღუანა წინაშე მისსა. და იქცეოდა მუნ შუებით და განსუენებით მოუკლებელად, და არღარა აქუნდა შიში და ზრუნვად ამაოთა მათ მოქალაქეთად, და თავისუფალ-იქმნა იგი

სინანულისა მისთჳს საუკუნოდსა ურგებისა

რამეთუ ქალაქი იგი სოფელი ესე არს ამაოდ, და მოქალაქენი იგი ეშმაკნი არიან (სოფლისა მ)პყრობელნი ამის ბნელისანი, რომელნი წინადაუდებენ საშუებელთა მრავალთა საცთურისათა

აღმოჩნდა. როგორც კი გაამეფეს, დაინახა თავისი უცხოობა, დაინახა, რომ არ იცნობდა ქალაქის მკვიდრთა წეს-ჩვეულებებს და რომ ვერ იქნებოდა მათზე დაიმედებული, ამიტომ ისეთი კაცის ძებნა დაიწყო, ვინც ამ ქალაქის ჩვეულებებში გაარკვევდა. მალე იპოვა ერთი სანდო კაცი და მას გაანდო თავისი გასაჭირი, – რომ არ ჰქონდა ქალაქის მკვიდრთა მიმართ ნდობა.

ამ კაცმა ქალაქის მცხოვრებთა ჩვეულება იცოდა და ფარულად გაუმხილა მეფეს, თუ რა ელოდა ერთი წლის შემდეგ:

- მე გეტყვი, როგორ უნდა მოიქცე. ახლავე დაიწყე შენს ხელთ არსებული ხაზინიდან ყველაფრის გატანა, რისი წაღებაც შესაძლებელია: ოქროსი, ვეცხლის, ძვირფასი თვლებისა და რჩეული ჭურჭლის, და ეს ყველაფერი იქ შეანახინე, სადაც ერთი წლის შემდეგ მეფეებს აძევებენ ხოლმე ამ ქალაქის მცხოვრებნი, რათა გაგდების შემდეგ ყველაფერი იქ დაგხვდეს გადანახული. თუკი ასე მოიქცევი, მომავალშიც უჭირველად და უდრტვინველად იცხოვრებ და არც იმ მეფეებივით დამწუხრდები, რომლებიც შენამდე მეფობდნენ ამ ქალაქში.

მეფე სწორედ ისე მოიქცა, როგორც ბრძენმა და გონიერმა კაცმა ურჩია. ერთი წლის შემდეგ ქალაქის მცხოვრებლებმა, მათი ჩვეულებისამებრ, ქალაქიდან გააძევეს მეფე და იმ ქვეყანაში გააგდეს, სადაც საიდუმლოდ გაგზავნილი ქონება ინახებოდა. მეფეს ყველაფერი გადანახული დახვდა და ამიერიდან შვებითა და განცხრომით ილხენდა დაუსრულებლად, აღარც მოქალაქეთა შიში ჰქონდა და არც რაიმეზე ზრუნავდა, უსარგებლო და მუდმივი სინანულისგანაც გათავისუფლდა.

ის ქალაქი ამაო წუთისოფლის სახეა, ქალაქის მკვიდრნი კი – ამა სოფლის მპყრობელი ბოროტი სულები – ეშმაკები,

და უგუნურნი (ჰგონე)ბენ, ვითარმედ დაუსრულებელად ყოფად არს შუებაჲ მათი. და მე ვესავ ქრისტესა, ვითარმედ მსგავს ვიყო კაცისა მის მაზრახებელისა და შენ მსგავსი იყო მეფისაჲ მის ბრძნისაჲ და გონიერისაჲ, რომელი არა ესვიდა უცხოთა მათ მოქალაქეთა და ვერცა შეიტყუვა მეფობამან მათმან. აწ შენცა იღუაწე, რაჲთა განერე ეგევითართაგან საბრჴეთა საშინელთა, რამეთუ გზაჲ გიჩუენე და არღარა გიღირს უდებებად“.

17. ჰრქუა იოდასაფ: „მე ვესავ ქრისტესა, ძესა ღმრთისასა, და წმიდასა ლოცვასა თქუენსა, რაჲთა ვიყო, ვითარცა-ეგე შენ ჰგონებ ჩემთჳს. და ჯეშმარიტად მიჩუენენ აუგნი ამის სოფლისანი. და აწ უწყი, ვითარმედ წარმავალ არს ხატი ამის სოფლისაჲ, და ყოვლადვე შეურაცხ იყო საქმე მისი ჩემ თანა, არამედ უფროჲსღა შეჰმატე სიძულილსა მისსა ჩემ თანა სიტყჳთა შენითა. ხოლო აწ მითხარ: ყოველმან კაცმან ქუეყანისა შენისამან ესრეთ უწყნისა საქმენი ამის სოფლისანი, ვითარ-ესე შენ, და მასვე იტყჳანა, რასა-ესე შენ იტყჳ?“

მიუგო ბალაჰვარ: „არა, არამედ მე მათ კაცთაგანი ვარ, რომელნი შეეწყნარნეს ქრისტესა, ღმერთსა ყოველთასა და დაუტევეს სოფელი ესე მოყუარეთა მისთა, ხოლო ჩუენ განშორებულ ვართ გარე უდაბნოთა, მთათა, ღუაწლითა და მოქალაქობითა მონაზონებისაჲთა, რომელი-იგი არს მსგავსებაჲ და ხატი ანგელოზთაჲ. ხოლო პირველ ვიყვენით სამეუფოჲსაგან მამისა შენისა და ვითარ ესმა საქმე ჩუენი და შეკრებაჲ ჩუენი ურთიერთას, განჰკრთა და **შეშინდა**, რამეთუ ჰგონებდა, ვითარმედ საწუთროჲსა რაჲსამე საქმისა ვაცილობ(თ და) გა-ნ**ა**ზრახა ჩუენ(თჳს), რომელნი-იგი იზიარნა შუებასა და დიდებასა მისსა, რასა-იგი ჰგონებდა ჩუენთჳს, ხოლო მათ აზრახეს გან(სხმაჲ) ჩუენი, მოკლვაჲ და დაწუვაჲ ცეცხლითა. და

რომლებიც უამრავ მაცთუნებელ სიამოვნებებს სთავაზობენ უგუნურებს. მათაც მარადიული, დაუსრულებელი ჰგონიათ მათი განცხრომა. და მე ვესავ ქრისტეს, რომ იმ მრჩეველს ვემსგავსები, მეფეს რომ დაეხმარა, შენ კი იმ ბრძენ და გონიერ მეფეს, რომელიც არ ენდობოდა უცხო ქალაქის მცხოვრებლებს და არც მათგან შეთავაზებულმა მეფობამ მოინადირა. დღეიდან შენც იღვაწე, რათა თავიდან აიშორო იმგვარივე საშინელი განსაცდელი. გზა მიჩვენებია და ნუღარ დააყოვნებ.

17. უთხრა იოდასაფმა:

– მაქვს იესო ქრისტესა და თქვენი ლოცვის იმედი, რომ არ გიმტყუნებთ და სწორედ ისეთი გავხდები, როგორც თქვენ ფიქრობთ ჩემზე. დაუფარავად მაჩვენე ამ სოფლის სისაძაგლენი. ახლა უკვე ვიცი, რომ წარმავალია წუთისოფელი, აქამდეც ვხედავდი მის ამაოებას და არაფრად მიმაჩნდა იგი, მაგრამ შენმა სიტყვებმა კიდევ უფრო გაამძაფრა ჩემი მისდამი სიძულვილი. ახლა ერთი რამ მაინტერესებს: შენს ქვეყანაში ყოველი კაცი შენსავით ფიქრობს და ლაპარაკობს?

მიუგო ბალავარმა:

– არა. მე იმათგანი ვარ, რომლებიც ქრისტეს მიენდვნენ და ეს სოფელი კი მის მოყვარულებს დაუტოვეს. ჩვენ განშორებულნი ვართ წუთისოფელს, და უდაბნოებსა და მთებში მონაზვნურ ცხოვრებას ვეწევით. ასეთი ცხოვრება ანგელოზთა ცხოვრების მსგავსია. ადრე მამაშენის სამფლობ-ლოში ვცხოვრობდით, მაგრამ მეფემ ჩვენი საქმეებისა და შეკრებების შესახებ რომ შეიტყო, შეძრწუნდა და ძლიერ შეშინდა, რადგან ეგონა, რომ ამსოფლიურ რაიმე დიდებაში ვეცილებოდით, ამიტომ გაბოროტდა ჩვენზე. იმათ დაეკითხა რჩევას, რომლებიც მისი თანაზიარნი იყვნენ შვებასა და

ყო ეგრეთ მამამან შენმან, რამეთუ იგი შეურაცხ-ვყავთ და უდიდესი მეუფე, იესუ ქრისტე, გამოვირჩიეთ“.

ჰრქუა იოდასაფ: „რაჲსათჳს უკუე ყოველი ერი მტერ-გექმნა და ძჳრისმეტყუელ მოყუასთა შენთა?“

ჰრქუა ბალაჰვარ: „მტერობაჲ მათი იყო, ვითარ-ესე გესმა, ხოლო ძჳრისმეტყუელებაჲ მათი ვინაჲ ეწიოს კაცთა, რომელნი იტყჳან და არა ტყუვიან, ილოცვენ და უძილ არიან, იმარხვენ და არა განძღებიან, ჭირსა შინა არიან და მოითმენენ, და კეთილთა ზედა ჰმადლობენ და უშურველ **[არიან]**, რომელთა ზედა კაცნი მოშურნე არიან“.

ჰრქუა იოდასაფ: „რომელსა ზედა უშურველ არიან?“

ჰრქუა ბალაჰვარ: „უშურველ არიან მონაგებთა ზედა, ცოლთა და შვილთა, და არავის ეშინიან მათგანსა. არცა მონაგებთა ზედა და არცა დედათა ზედა, რამეთუ მტერობაჲ კაცთაჲ არა არს გარნა მონაგებთათჳს, რაჲთა ფრიად შეიკრიბონ“.

18. ჰრქუა იოდასაფ: „მაშინ ვითარ შეითქუნეს მტერობასა მათსა ზედა კაცნი და ესევითარნი საქმენი ჰქონან მათ, და კაცნიცა დაწვალებულ არიან საქმეთა შინა მათთა?“

ჰრქუა ბალაჰვარ: „რამეთუ მეძიებელნი სოფლისანი დაღაცათუ მოშურნე და მტერ არიან ურთიერთას, საწუთროსა ზედა მტერ არიან, ხოლო მორწმუნეთა ზედა, რომელნი ჰმსახურებენ ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, ესრესახე არიან მათდა მიმართ. რამეთუ მსგავს არიან ძაღლთა თითოფერთა და

განცხრომაში, თუ როგორ მოგვპყრობოდა. მათ კი ჩვენი დახოცვა, დაწვა და ქალაქიდან გაძევება ურჩიეს. სწორედ ასე მოგვექცა მეფე. შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, რადგან ჭეშმარიტი მეუფე, იესო ქრისტე ვამჯობინეთ მას.

ჰკითხა იოდასაფმა:

– რატომ ამბობს მთელი ერი თქვენზე ცუდს? ყველანი რატომ გადაგემტერნენ?

მიუგო ბალავარმა:

– მათი მტრობის მიზეზზე უკვე გითხარი. მაგრამ ცილისწამება და ძაგება ვერაფერს დააკლებს იმ ხალხს, რომლებიც სიმართლეს ამბობენ და არ ცრუობენ, ლოცულობენ და მღვიძარებენ, მარხულობენ და სიმაძღრემდე არ ჭამენ, უჭირთ და ითმენენ, მადლიერნი არიან ყველაფრისათვის და არ შურთ ის, რაც სხვებში შურს აღძრავს.

ჰკითხა იოდასაფმა:

– მაინც რა არ შურთ მათ?

მიუგო ბალავარმა:

– არ შურთ სიმდიდრე, არც მათი, ვისაც ცოლ-შვილი ჰყავს. ამიტომ არც ქორწინების შიში აქვთ, არც დედაკაცის. ადამიანები ერთმანეთს მხოლოდ სიმდიდრის გამო მტრობენ, რომ უფრო მეტი მოიხვეჭონ.

18. ჰკითხა იოდასაფმა:

– როგორღა გმტრობენ თქვენ, ან როდისღა იცლიან ამისთვის, თუკი ამდენი საზრუნავი აქვთ?

მიუგო ბალავარმა:

– თუმცა წუთისოფლის სიამოვნებათა მძებნელებს ურთიერთშური აქვთ და ერთმანეთს ებრძვიან, მაგრამ ამგვარივე მტრობა აქვთ ჩვენს მიმართაც. ქრისტიანებთან დამოკიდებულებაში ისინი იმ ძაღლებს ემსგავსებიან,

თითოეულთა ადგილთაგან შეკრებულთა, რომელნი შეკრბიან მძორსა ზედა და იკბინებიედ ურთიერთას, და იხილიან რაჲ კაცი მოგზაური, განი[შუე]ლნიან ურთიერთას და ყოველთავე ერთბამად მიჰმართიან და შემწე ექმნიან ურთიერთას მას ზედა, რამეთუ ჰგონებედ, ვითარმედ მძორსა მათსა მოვალს კაცი იგი. უძღებებისა და სიხარბისა მათისაგან ჰგონებედ ამას, უცხოჲ რაჲ იხილიან კაცი იგი მათ შორის, დაღაცათუ მტერ იყვნიან, არამედ მის ზედა დაიგნიან[14] და ვერ ცნიან, რამეთუ არარად უჴმნ კაცსა მას მძორი იგი მათი.

ეგრეცა მოყუარენი ამის სოფლისანი, რომელთა გამოირჩიეს იგი სასუფეველისა წილ, რამეთუ შეიჭამებიან ურთიერთას და დასთხევენ მისთჳს სისხლთა მათთა და მას შინა დაჰლევენ დღეთა მათთა ძიებისათჳს პატივისა და დიდებისათჳს მისისა, და შური იგი მაკუდინებელი მარადის დამკჳდრებულ არს გულთა შინა მათთა, (არამედ) რაჟამს იხილნიან მტერნი იგი ამის სოფლ[ის]ანი, რომელთა არარაჲ ზრუნვაჲ აქუს, გარნა რაჲთა განთავისუფლდენ მისგან და არარაჲთ ზ(იარ)-იყვნენ მათ თანა სოფელსა ამას შინა, ჰგონებედ მათთჳს, ვითარმედ საცთურ[სა] რა(ს)ამე უგ[ებ]ენ ამით ჯერითა, რამეთუ მასვე სულსა ზაკულებისასა ჰგონებენ მორწმუნეთა თანა ქრისტესთა. და ამისთჳს შეითქუნეს ურთიერთას მტერობად ჩუენ ზედა. ესე განიზრახეს მცირედმეცნიერებითა მათითა და არწმუნეს მამასა შენსა, ვითარმედ შეკრებაჲ ესე ჩუენი არა არს, გარნა წინააღდგომისა რაჲსათჳსმე მეფობისა მისისა. და ჭეშმარიტი იგი ვერ გულისჴმა-ყო მამამან შენმან, ვითარმედ სიმაღლე იგი მისი და დიდებაჲ მეფობისა მისი(საჲ) მდაბალ და შეურაცხ არს წინაშე მორწმუ[ნე]თა მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა და უმეტეს ხოლო მონაზონთა ჭეშმარიტთა, რომელნი მებრ საძაგელადცა ჰხედვიდეს საშუებელთა მისთა, და მარადის უკჳრნ, თუ ვითარ ეგოდენ შეაპყრა გონებაჲ მისი საშუებელთა ამის სოფლისათა“.

რომლებმაც მძორი იპოვეს, სხვადასხვა კუთხიდან შეიკრიბნენ და ამ მძორს თავს დასტრიალებენ, ერთმანეთს უღრენენ, კბენენ, მაგრამ საკმარისია მათ ახლოს გამვლელს მოჰკრან თვალი, რომ ერთმანეთს თავს დაანებებენ და ერთბაშად მგზავრისკენ გაექანებიან, ურთიერთს კიდეც დაეხმარებიან, რადგან ჰგონიათ, რომ მძორის წასართმევად მოდის იგი. მათივე გაუმაძღრობისა და სიხარბის გამო ფიქრობენ ამგვარად და ვერ ხვდებიან, რომ კაცს არც კი აინტერესებს მათი საკბილო.

ასევე არიან წუთისოფლის მოყვარულნი, რომელთაც სასუფეველს ეს ცხოვრება ამჯობინეს. ურთიერთს ჭამენ და ერთმანეთის სისხლს ღვრიან. მიწიერი პატივისა და დიდების ძიებაში განლევენ დღეებს, მომაკვდინებელი შურია მათ გულებში დამკვიდრებული. წუთისოფლის მოძულენი, რომელთაც არაფერი აქვთ მათთან საერთო და რომლებიც მხოლოდ ამსოფლიურ საზრუნავთაგან გათავისუფლებას ლამობენ, მტრები ჰგონიათ, ფიქრობენ, რომ მორწმუნეები საცდურს უგებენ მათ. მათი აზრით, ქრისტეს მოსავნი ისეთივე მზაკვარნი არიან სულით, როგორც თავად ისინი. ჩვენთან მტრობამ გააერთიანა ყველანი. უმეცრების გამო ფიქრობენ ასე და მამაშენს იგივე ჩააგონეს, დაარწმუნეს, თითქოს ჩვენი ერთობით მის ძალაუფლებას ვემუქრებოდით. სიმართლე ვერ დაინახა მამაშენმა, – ქრისტიანთათვის მისი სიმაღლე და სამეფო პატივი სიმდაბლე და არარაობაა, მით უფრო, ჭეშმარიტ მონაზონთათვის, რომელთათვისაც საძაგლობაა ამსოფლიური სიამოვნებები. მათ, პირიქით, აოცებთ კიდეც, როგორ დაიმონა მეფის გონება წუთისოფლის სიტკბოებამ.

19. ჰრქუა იოდასაფ ბალაჰვარს: „დააცადე სიტყუაჲ და იწყ(ე) მოთხრობად სარგებელისა“.

თქუა ბალაჰვარ, რამეთუ: „მკურნალმან ჴელოვანმან რაჟამს იხილის გუამი აღშფოთებული ძნელთაგან მავნებელთა და უნებნ კუალადგებაჲ მისი სიმრთელედ, არა იწყის მისა ფუფუნებად საჭმლითა და სასუმლითა, რომლითა აღორძინებაჲ ჴორცთაჲ იქმნების, რამეთუ უწყინ, უკუეთუ შეეყენენ საჭმელნი და სასუმელნი ნივთსა, განმრყუნელ და მავნებელ არიან გუამისა და არა მარგებელ; არამედ **იღუწინ** დაყენებითა და წამლითა (რომელთა მიერ ღმერთმან ყვის ოტებაჲ ვნებათაჲ) განგებით. ხოლო რაჟამს განეშორის სენი და ნივთი განმრყუნელი ღმრთისა მიერ, მერმეღა ჰფუფუნებნ საჭმლითა და სასუმლითა, მაშინღა ცნის სასამან გემოჲ ჭამადთაჲ და ძალ-ექმნის იგი, რომლისაჲ არა ჰნებავნ სიკუდილი“.

20. ჰრქუა იოდასაფ: „მითხარ, წმიდაო მამაო ბალაჰვარ, ვითარ იყო დასაბამი მიწევნისა შენისაჲ საზომსა ამას, ანუ ვითარ მიემთხჳე საქმესა ამას მონაზონებისასა?“

მიუგო წმიდამან ბალაჰვარ: „რაჟამს შევეყავ სოფელსა ამას, ვიხილე, სცვალებდა რაჲ კაცთა საქმითი-საქმედ და ნათესავითი-ნათესავად და ვჰხედევდ კაცთა ამას შინა, ვითარცა საშრიალსა[15] ზედა, წინაშე მოწევნადთა ბოროტთა, და ვჰხედევდ განცხრომასა შინა მოკლედ და შრომასა მოსაგებელისა მისისასა ფრიად, შევინანე წინაჲ[ს]წარი უგუნურებაჲ ჩემი და გარდამატებული ცთომაჲ ჩემი და ვიწყე ბუნებისაგან მწუხარებისა საქმედ სიმართლისა, და ვიწყე მწყსად გონებისა ჩემისა და აღვიხილენ თუალნი ჩემნი და დავაწულილადე განკითხვაჲ თავისა ჩემისაჲ, რაჲთა აღვაშენო დარღუეული იგი პირველი ჩემ შორის და რაჲთა მივიწიო საზომსა წმიდათა მამათასა. და [ვ]ჰჴედნიდი გულსა ჩემსა დღითი-დღედ, ვიდრემდის მოიქცა სიყუარულად ქრისტესა

19. სიტყვა გააწყვეტინა უფლისწულმა:

– ნუღარ განაგრძობ; უმჯობესია, სულისთვის სასარგებლო რამ მიამბო.

მიუგო ბალავარმა:

– გამოცდილი მკურნალი თუკი მძიმე სენით შეპყრობილს შეხვდება, მის განსაკურნებლად არ დაიწყებს საჭმელ-სასმელით ხორცის გაზულუქებას, რადგან ამით მხოლოდ ნებივრდება ხორცი, ეს კი უმეტესად საზიანოა სხეულისათვის. გამოცდილმა ექიმმა იცის, რომ უმჯობესია საკვების შეზღუდვითა და წამლებით უმკურნალოს სნეულს, და თუ ღმერთი ინებებს, ძლეული იქნება ავადმყოფობა. ამის შემდეგ აღარც საჭმელ-სასმელს დაუკავებენ ავადმყოფს, უფრო გემრიელიც გახდება იგი მისთვის და სხეულიც მოძლიერებას დაიწყებს, თუკი ღმერთს მისი სიკვდილი არ განუზრახავს.

20. უთხრა იოდასაფმა:

– წმიდაო მამაო ბალავარ, მითხარი, შენ როგორღა დაიწყე და მიაღწიე მონაზვნურ სრულყოფილებას?

მიუგო წმიდა ბალავარმა:

– როცა შევუერთდი სოფელს, დავინახე, ყოველ საქმესა და თაობებში იცვლებოდნენ ადმიანები, უფსკრულში მიმწყვდეულებივით ძრწოდნენ მოსალოდნელი უბედურების წინაშე, დავინახე ისიც, რომ მათი ბედნიერება ხანმოკლე იყო, შრომა კი მის მოსაპოვებლად – ძალიან მძიმე და ხანგრძლივი. შევინანე ჩემი უწინდელი უგუნურება და ზღვარგადასული შეცდომები. უნებურად დამწუხრდა ჩემი გული ჭეშმარიტებისათვის, დავიწყე გონების სრულყოფა, მზერა მივაპყარი საკუთარ თავს და ზედმიწევნით განვსაჯე იგი, რათა კვლავ აღმედგინა ის, რაც ჩემში უწინ იყო და ამგვარად, წმიდა მამებს მივმსგავსებოდი. ყოველდღიურად ვწვრთნიდი

და წადიერებად კეთილთა მიმართ. და მერმე ვიწყე შენებად ნებისა და გულისთქუმისა ჩემისა ჩუეულებისაგან მათისა, და დავადგინე ფლობასა ქუეშე ჩემსა და ვაიძულებდ ტჳრთვად კანონთა შჯულისათა და სიხარულსა მოთმინებისასა, ვიდრემდის აღმეძარცუა წყუდიადი სიბნელისაჲ და მომქარდა სიმთრვალე უღებებისაჲ, და კადნიერ ვ**ე**ქმენ შუებათა და გულისთქუმათა. და დავინახე აუგი საქმეთა ჩემთაჲ, რომელთა განვეშორე. და გამომეცხადა უმეტესობაჲ მისი, რომელსა მივიცვალე. და განდიდნა ამას შინა წადიერებაჲ ჩემი. და ვაძოებდი თავსა ჩემსა, ვითარცა აძოებნ წინამძღუარი სამწყსოთა თჳსთა, რომელი მიაგებნ მორჩილთა და ურჩთა საქმეთა მათთაებრ. ეს(რეთ ვი)ღუწიდ თავსა ჩემსა, ოდესმე პატივ-[ვ]სცი მოთმინებისათჳს და ოდესმე ვტანჯი უთმინოებისათჳს, ვიდრემდის შევიკრძალე, რომელი შევიყუარე, და განვიშორე, რომელი მოვიძულე“.

ჰრქუა იოდასაფ: „საქმე ესე, რომელსა იტყჳ და ჰქადაგებ შენ და მოყუასნი შენნი, თჳთ რაჲმე გამოჰნახეთა სიბრძნითა და მეცნიერებითა თქუენითა და ჰპოეთ მას შინა ჭეშმარიტებაჲ და გამოირჩიეთ სხუათაგან წესთა, ანუ ღმერთმან გიჴმო და ჴმაეცით?“

ჰრქუა ბალაჰვარ: „უმაღლეს და უდიდებულეს არს სიბრძნესა ამის სოფლისასა საქმე ესე, და უკუეთუმცა ქუეყანისა სიბრძნითა დადვეს შუენიერი ესე მოქალაქობაჲ მონაზონებისაჲ, ადვილმცა და ფართო იყო გზაჲ მისი. და უკუეთუმცა კაცობრივითა საქმითა შექმნულ იყო ესე, სოფლისამცა სიყუარულსა აწუევდა და ყოველთა საშუებელთა და განსაცხრომელთა მისთა, არამედ საქმე არს უცხოჲ, ქადაგებული ღმრთისა მიერ ჭეშმარიტისა განცხადებულად, დამჴსნელი საქმეთა წინააღმდგომთა

ჩემს გულს, ვიდრე ქრისტეს სიყვარულით არ აღივსო იგი და უმჯობესი არ მოისურვა, საკუთარი ნება და გულისთქმები გადავაჩვიე მათ ჩვეულებებს და დავიმორჩილე ისინი; ვაიძულე, რჯულის მცნებები დაეცვათ და მოთმინების სიხარული განეცადათ, ვიდრე სრულიად არ განმშორდა წყვდიადი და სიზარმაცის დაუდევრობა არ განქარდა. მაგრამ, ერთხელაც, კვლავ შევეყავ განცხრომას და ავყევი გულისთქმებს. მაშინ უფრო მეტად დავინახე საძაგელება იმ საქმეებისა, რაც მოძულებული და მიტოვებული მქონდა, და უფრო მეტი სიდიადითვე გამოჩნდა უპირატესობა ღვთის გზისა, რომელსაც ვუღალატე; კვლავ დაუცხრომელი სურვილით აღვინთე, წადიერება მომემატა, სურვილი გამიმძაფრდა, ამიტომ უფრო მეტი გულმოდგინებით დავიწყე სულისათვის ზრუნვა, – იმგვარად ვექცეოდი ჩემს თავს, როგორც მწყემსი – თავის ფარას, რომელიც დამსახურებისამებრ მიაგებს მის მორჩილსა თუ ურჩს. მსგვსადვე, პატივს მივაგებდი ჩემს თავს მოთმინებისათვის, მოუთმენლობისათვის კი ვსჯიდი, ამგვარად ვწვრთნიდი, ვიდე არ განვიმტკიცე ის, რაც შევიყვარე და არ განვაშორე ის, რაც მოვიძულე.

ჰკითხა იოდასაფმა:

– ის, რასაც შენ და შენი მოყვასნი ჰქადაგებთ, თქვენ თვითონ მოიძიეთ თქვენი სიბრძნით, თუ ღმერთმა გამოგიცხადათ და ისმინეთ მისი?

მიუგო ბალავარმა:

– რასაც შენ ისმენ, ყოველგვარ სიბრძნეზე უაღმატებულესია. მონაზვნური, ღვთივსათნო ცხოვრება რომ კაცობრივი გონებით იყოს შესაძლებელი, ადვილი იქნებოდა იგი, მისი გზა კი – ფართო. ადამიანთა ნება-სურვილითა და მოწადინებით რომ იყოს ამგვარი ყოფა მოფიქრებული, წუთისოფლის სიყვარულსაც იქადაგებდა იგი და ამსოფლიურ შვებასა და განცხრომასაც ითვისებდა. მაგრამ მონაზვნობა უცხოა ამ

ღმრთისათა, ნებათა განმკუეთელი, მიზეზთა გულისთქუმისათა მოძულე, განცხრომისა და საშუებელთა მისთა განმაქარვებელი და მწოდებელი ნებისა ღმრთისა ჩუენისა იესუჲს ქრისტჱსა. და ესე ცხად არს, ვითარმედ ბრძანებაჲ არს ცათა და ქუეყანისა მეუფისაჲ, რომელი–იგი თანამოსაყდრე არს მამისა და ყოვლადწ-მიდისა სულისაჲ, რამეთუ უზეშთაეს არს გამოთქუმისა და უზეშ-თაეს ბუნებისა და ხილვისა. და რომელთამე უჩუენა ღმერთმან წესი ესე წმიდაჲ პირითა წმიდათა მოციქულთა და წინაჲსწარმე-ტყუელთაჲთა, ჰრწმენა და ცხონდეს, და რამეთუ ჭეშმარიტად წმიდათა მოციქულთა მიერ დაემტკიცა საკჳრველი ესე ანგელოზთამი მიმსგავსებული ცხორებაჲ“.

21. ჰრქუა იოდასაფ: „რაჲ არს სიბრძნე ესე ქებული, მეტნობითა და სისრულითა და ყოვლითა ძალითა პატიოსნითა სავსე, და ვითარ არა ყოველნი კაცნი ირგებენ?“

ჰრქუა წმიდამან ბალაჰვარ: „მსგავს არს სახე სიბრძნისა მისი-საჲ მზესა, რომელი მიეფინების ყოველთა ზედა კაცთა, დიდთა და მცირეთაცა, და არავის დააყენებს, რომელნი ირგებდენ მისგან, და არცა განტფობად, ვის უნდეს მისგან, და არცაღა ახლოჲთ ჴელ-ისმიყოფად **რუპესა**[16] მისსა. ხოლო უკუეთუ ვისმე არა უნდეს **რგომის**[17], არა ბრალეულ არს მზე. ეგრეცა არს საქმე სიბრძნისაჲ კაცთა შორის დღედმდე აღდგომისა, რამეთუ ნათელი მისი ყოველთა ზედა მიეფინების, ვითარცა ნათელი მზისაჲ, და ახლოჲთ შესაპყრობელ არს. ხოლო კაცნი ჰმატან მას შინა ურთიერთას, ვითარცა რაჲ მარგალიტი, რომელიმე ღირნ ასის ბეჭრის და რომელიმე ორის დანგის. ხოლო რომელი ეძიებნ სიბრძნესა და მოიპოონ და შეიკრძალონ სიბრძნე იგი სულიერი არა სახელისდებით ხოლო, არამედ საქმით აღასრულონ, იყოს იგი ვი-თარცა მარგალიტი მრავალსასყიდლისაჲ[18]. და უკუეთუ ვინმე

სოფლისთვის, და ჭეშმარიტი ღვთის მიერ არის ცხადად ქადაგებული, ნებას დაიმორჩილებს, გულისთქმას მოიძულებს, მიწიერ სიამოვნებებს უარყოფს და ჩვენი ღმერთის, იესო ქრისტეს ნებას ეძიებს. ცხადია, რომ ესაა ნება ცისა და ქვეყნის მეუფის, რომელიც თანამოსაყდრეა მამისა და ყოვლად-წმინდისა სულისა. წინასწარმეტყველთა და მოციქულთა პირით გააცხადა ღმერთმა მონაზვნობის წესი; და რომელთაც ირწმუნეს, ცხონდნენ. ასე რომ, ჭეშმარიტად წმინდა მოციქულთა მიერ დამტკიცდა (გავრცელდა) საკვირველი ანგელოზებრივი ცხოვრება.

21. ჰკითხა იოდასაფმა:

– რა სიბრძნეა ეს, რომელიც ცნობილია თავისი უზეშთაესობითა და სრულყოფილებით და რომელიც ყოველგვარი კეთილისმოქმედი ძალითაა სავსე? ან ყველა ადამიანი რატომ არ ესწრაფვის მას?

მიუგო წმიდა ბალავარმა:

– ეს სიბრძნე მსგავსია მზის, რომელიც, თანასწორად ეფინება ყველას – დიდსაც და მცირესაც. არავის უკრძალავს მისით სარგებლობას, არავის განიშორებს მისგან, არც მას, ვინც თბება და არც მას, ვისაც მის სხივებზე ხელის შევლება სურს, ხოლო თუკი ვინმეს არ სურს მისით სარგებლობა, მზის რა ბრალია?! ამგვარივეა ურთიერთობა ადამიანებსა და სიბრძნეს შორის, მკვდრეთით აღდგომამდე, რადგან სიბრძნის ნათელი ყველას თანასწორად ეფინება, ისევე, როგოც მზის ნათელი. მაგრამ ადამიანები სიბრძნის შეძენაშიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რადგან ერთნი მეორეს მეტობენ სიბრძნისმოყვარეობაში; ასევეა მარგალიტებიც, ზოგი ასი ათასი დანგი ღირს, ზოგი – კი ორი დანგი. თუ კაცი

დიდი იგი მარგალიტი ვერ მოიპოოს, მცირედიცა იგი, დაღაცათუ უნდოჲ არს, კეთილვე არს“.

ჰრქუა იოდასაფ: „არს–მეა სიბრძნე, რომელსამცა ვერ მის–წუთეს მეძიებელნი მისნი მრავალჟამ და მერმე მოიქცა და პოამცა?“

ჰრქუა ბალაჰვარ: „ესრეთ არს უმრავლესთა კაცთა საქმე სიბრძნესა შინა, რამეთუ სიბრძნე მრავლადფერად განიყოფვის: რომელიმე ახლოჲ არს და განმარტებული, და რომელიმე შორი არს და ძნიადმისაწდომელი, და რომელიმე ცხადი და რომელიმე დაფარული, და რომელიმე საჩინოჲ და რომელიმე ღრმაჲ. და მსგავს არ[ს] სახე ამისი სახესა წყალთასა, რომელნი აღმოსცენდიან სიღრმისაგან ქუეყანისა: რომელიმე მათგანი ახლოჲ, ვითარცა წყარონი აღმომდუღარენი, და რომელიმე **კაც ერთ** გინა ერთ ჰოროლ აღმოეცემის, და რომელიმე გუამთაგან ღრმათა აღმოეცენების, და რომელიმე ურწყულთა, რომლისა სიღრმესა შინა არა ჩანს წყალი. და მერმე წყალნიცა მრავალ სახე არიან; და რომელიმე **ზეზე** არს და ტკბილ და ჰამო არს, და რომელსამე ზედა შეკრბის სიშორე და სიმრღჳე და სიმცირე, და რომელსამე ზედა შეკრბიან სიჰამოე და სიახლოე და სიმძაფრე“.

22. ჰრქუა იოდასაფ: „უწყი ვინა[ჲ] თქუენსა გარეშე, რომელიმცა ქადაგებდა საწუთროჲსა დატევებასა და საშუებელთა მისთა შეურაცხყოფასა?“

მხოლოდ სიტყვით არ ეძებს სიბრძნეს, არამედ საქმითაც შეიტკბობს და აღასრულებს მას, ძვირადღირებულ მარგალიტის მომპოვებელს ჰგავს; ხოლო ვინც დიდ მარგალიტს ვერ მისწვდება და მცირეს მოიპოვებს, ესეც კარგია მისთვის.

ჰკითხა იოდასაფმა:

– შეიძლება, რომ მთელი ცხოვრება ეძიოს კაცმა სიბრძნე და ვერ შეიძინოს იგი, შემდეგ კი მოულოდნელად აღმოაჩინოს?

მიუგო ბალავარმა:

– სწორედ ამგვარად ემართება ბევრს, რადგან თვით სიბრძნეც მრავალგვარია: ზოგი ახლოა და მარტივი, ზოგი შორეულია და ძნელად მისაწვდომი, ზოგი ცხადია და ზოგიც დაფარული, ზოგი ხილვადია, ზოგი კი უხილავი და სიღრმისეული. ეს ყველაფერი ჰგავს წყალს, რომელიც დედამიწის სიღრმიდან ამოედინება: ზოგი ახლოა ზედაპირთან და წყაროდ ამოჩუხჩუხებს, ზოგი კაცის ან შუბის სიმაღლეზეა მიწიდან, ზოგი ნაყოფიერ ნიადაგში მოედინება, ზოგი კი ურწყულ და უდაბნო ადგილებშიც გვხვდება, თუმცა კი მიწის წიაღშია ღრმად ჩამალული. და თანაც, წყალიც მრავალგვარია: ზოგი მიწიდან ამოედინება და სასიამოვნო და ტკბილია სასმელად, ზოგი შორიდან იღებს სათავეს, მღვრიეა და ძლივს მოწანწკარებს, სხვანი კი გემოსაც, სიახლოვესაც და სიმძაფრესაც ერთბაშად ფლობენ.

22. ჰკითხა იოდასაფმა:

– თქვენს გარდა თუ იცნობთ ისეთ ხალხს, წუთისოფლის სიძულვილსა და ამსოფლიურ სიამოვნებათა უარყოფას რომ ასწავლიდეს?

მიუგო ბალავარმა:

ჰრქუა ბალაჰვარ: „ქუეყანასა ამას აწ ჩუენ ვართ და სხუაჲ არ-
ავინ არს, ხოლო სხუათა ქუეყანათა არიან კაცნი მართალნი,
რომელნი შჯულიერად იტყჳან თავთა თჳსთა ენითა მათითა და
ქადაგებენ წესიერებასა, და მრავალნი საქმენი წარწყმდებიან მათ
შორის; და რომელნიმე მათგანნი საქმით სიტყუასა აღასრულებენ
და რომელიმე წინააღუდგების სიტყუასა თჳსსა საქმითა თჳსითა.
და უმრავლესნი მათგანნი შეცთომილ არიან საქმითა და სიტყჳთა
მისთჳს. და **იწვალნეს** საქმენი მათნი საქმეთაგან ჩუენთა”[19].

ჰრქუა იოდასაფ: „რაჲთა საცნაურ არს, ვითარმედ თქუენ
უჭეშმარიტესსა ჰქადაგებთ მათსა, და საქმე ვინაჲცა მოიწია
თქუენდა, ეგრეცა მათდა?“

ჰრქუა ბალაჰვარ: „ყოველი ჭეშმარიტებაჲ იესუჲს ქრისტეს
მიერ მოეცემის კაცსა, რამეთუ ყოველთა კაცთა უწოდა მისა.
რომელთამე ისმინეს და შეიწყნარეს ჴმაჲ იგი ყოვლითა წესითა
და სამართალითა მისითა, და ნაყოფი მისი განსრულებული
ღმერთსა მიუპყრეს, ვითარ-იგი ჯერ-იყო, და რომელთამე არა
აქუნდა გონებასა მათსა სიმტკიცე და მოთმინებაჲ, დაიმძიმეს,
მოიწყინეს და წარწყმდეს. აწ რაჲ სწორებაჲ არს დამმარხველისაჲ
წარმწყმედელისა თანა, გინა აღმაშენებელისაჲ დამარღუეველისა
თანა, და მოთმინისაჲ უთმინოჲსა თანა? რამეთუ არავინ
აღმოთქუას სიტყუაჲ შჯულისაჲ, გარნა ძირისაგან ჭეშმარიტისა
ქადაგებულისა. არამედ განწვალა შორის ჩუენსა და მათსა
ახალსახიობამან მათმან, და გამოირჩიეს საუკუნესა ზედა. ხოლო
ქადაგებაჲ ესე მოიღეს წინაჲსწარმეტყუელთა და მოციქულთა
პირველთა მათ მიმართ, და რომელნი სამართლით შეიწყნარებდეს
და უცვალებელ იყვნეს, და ერთობით მოჰქონდა ქადაგებული იგი.
ხოლო წინაჲსწარმეტყუელმან, რაჟამს აღასრულის ქადაგებაჲ
თჳსი და განაცხადის მხილებაჲ საღმრთოჲ წინაშე კაცთა და
არღარავის აქუნ სიტყჳსგებაჲ წინაშე ღმრთისა მიმართ

– ამ მხარეში ასეთები მხოლოდ ჩვენ ვართ. სხვა
ქვეყნებშიც იმყოფება მართლად მცხოვრები ხალხი,
რომლებიც მორწმუნეებს უწოდებენ თავს და რომლებიც
თავიანთ მშობლიურ ენაზე ქადაგებენ ღვთივსათნო
ცხოვრებას, მაგრამ ბევრ რამეშიც ცდებიან. ერთნი საქმით
აღასრულებენ იმას, რასაც სიტყვით ამბობენ, მეორენი
თავიანთსავე ნათქვამ სიტყვას საქმით ეწინააღმდეგებიან,
სხვანი საქმითაც და სიტყვითაც ცდებიან, ამიტომ წვალებაში
არიან და განხეთქილებაა ჩვენსა და მათ შორის.

ჰკითხა იოდასაფმა:

– რით გამოიცნობა, რომ თქვენ მათზე სწორად ქადაგებთ
ჭეშმარიტებას, და საქმეები, რომელსაც თქვენ აკეთებთ,
უკეთესია მათ საქმეებზე?

მიუგო ბალავარმა:

– ყოველგვარი ჭეშმარიტება იესო ქრისტეს მიერ ეძლევა
კაცს, რადგან ღვთისგან ყველაა მოწოდებული, მაგრამ ზოგმა
ისმინა და შეიწყნარა მისი ხმა, გულისხმაყო იგი მის
სიბრძნესა და ჭეშმარიტებაში და მიიტანა ღვთის წინაშე
მორჩილების ნაყოფი. ხოლო მათ, რომელთაც არ გამოიჩინეს
გონების სიმტკიცე და მოთმინება, განუწყვეტლივ სწრაფვა
ჭეშმარიტებისაკენ, დამძიმდნენ, სასო წარიკვეთეს და
წარწყმდნენ. რა საერთო აქვს შემკრებს გამფლანგველთან,
აღმაშენებელს დამაქცეველთან ან დამთმენს მოუთმენელთან?!
ვერავინ შესძლებს რწმენაზე საუბარს, თუ იგი ჭეშმარიტების
ძირიდან არ არის ამოზრდილი. ჩვენს შორის განყოფა კი იმან
გამოიწვია, რომ მათ შესცვალეს ჭეშმარიტება და სხვა რამ
აირჩიეს, თუმცა კი წინაწარმეტყველთა და პირველ-
მოციქულთა სწავლებას ქადაგებენ. მას შემდეგ, რაც
აღსრულდება წინასწარმეტყველის მოვალეობა, იქადაგება
ჭეშმარიტება და ღვთის მიერ მხილებულ იქნებიან ადამია-
ნები, ვეღარავინ შეძლებს ღვთის წინაშე თავის მართლებას

უმეცრებისათჳს, შეწირის ღმრთისა და დარჩის ერი და მრავალთა წელთა უპყრიედ წესი და სამართალი და მშჯავრი მისი. და ამისა შემდგომად აღადგინნეს კაცთა შფოთნი და ბოროტნი, წარწყმიდეს ლოცვაჲ და შეუდგეს ნებათა და მოაკლდა სწავლულებაჲ და წარიღეს მეცნიერთა მეცნიერებაჲ მათი და არავინ დაშთა მათგანი, გარნა მცირედნი; და იგინიცა შეურაცხ-იქმნეს უგუნურთაგან. და დაშრტა სიბრძნე და აღეგზნა უგუნურებაჲ.

და ამას შინა წარჴდა ნათესავი იგი და აღდგა სხუაჲ ნათესავი, რომელთა ესმინავე არა საქმე სწავლულებისაჲ. და იწყო უგუნურებამან აღგზებად და განმრავლებად, და მეცნიერებამან მოკლებად და დაშრეტად, და გარდაცვალნეს სიტყუანი წიგნთანი უცხოპირად და სხუად ძალად ძალისაგან თჳსისა, და დაუტევეს გზაჲ სიმართლისაჲ. და ამას თანა აღიარებდეს სიტყუასა წიგნთასა და გამოსთარგმანებდეს მსგავსად ნებისა მათისა, შეიწყნარებდეს გამოთქუმულსა და დაუტეობდეს სამართალსა. და [იყო] სიტყუაჲ სამართლისაჲ, რომელი აქუს–და წინააღმდგომთა ჩუენთა ძირისაგან, რომელი ქადაგეს მოციქულთა. აწ ჩუენცა აღვიარებთ წიგნთა მათ და წინააღუდგებით შეტყუებასა მათსა, რამეთუ გამოხატულსა ხოლო სცნობენ წიგნთაგან, და ჭეშმარიტებასა მისსა ვერ ღირს-იქმნ[ნ]ეს დამტკიცებად“.

23. კუალად თქუა ბალაჰვარ: „მე ვჰგონებ, ვითარმედ არასადა ასმიეს მამასა შენსა ცოცხლებით და არცა ვინ სადა ზრახულ არს მისდა ერთგულებით, და არცა მას გულისჴმა–უყოფიეს მოღუაწებით“.

უმეცრებისა და უცოდინრობის მომიზეზებით. წინასწარ-მეტყველი მსხვერპლად ეწირება უფალს, ერი კი რჩება და მრავალ წელს იცავს წინასწარმეტყველისაგან გადმოცემულ წეს-ჩვეულებებს, მცნებებსა და კანონებს. მაგრამ რაკი ადამიანებმა კვლავ განაახლეს შფოთი და განამრავლეს ბოროტება, მოიძულეს ლოცვა, დაიწყეს თვითნებობა, იკლო შეურყვნელმა სწავლებამ, გონიერთა სიბრძნე მოისპო და აღარავინ დარჩა მორწმუნე, მცირედის გარდა. ისინიც უგუნურთა მიერ იქნნენ შეურაცხყოფილნი, დაიშრიტა სიბრძნე და აღზევდა უმეცრება.

გადავიდა ეს თაობა. მოვიდა სხვა თაობა, რომელსაც არანაირი სწავლება არ სმენოდა. კიდევ უფრო გამრავლდა და იმძლავრა უმეცრებამ და უგუნურებამ, შესუსტდა და დაილია ცოდნა, გაქრობის პირას მივიდა იგი. წინასწარმეტყველთა და მოციქულთაგან დანატოვარი სწავლება თვითნებურად შეცვალეს და შერყვნეს და გადასცდნენ ჭეშმარიტების გზიდან. თუმცა კვლავ აღიარებდნენ წიგნებში დაწერილს, მაგრამ თვითნებურად, საკუთარი გონებით განმარტავდნენ მას, უცდომელად მიიჩნევდნენ საკუთარ ნააზრევს და, ამგვარად, უფრო და უფრო შორდებოდნენ ჭეშმარიტებას. ასე რომ, მწვალებელთა სწავლებაც მოციქულთა ნაქადაგარიდან არის ამოზრდილი, რადგან მასზეა დაფუძნებული; მოციქულთა წიგნებს ჩვენც ვაღიარებთ, მაგრამ მწვალებელთა სწავლებას კი ვეწინააღმდეგებით, რადგან ისინი მხოლოდ სიტყვით აღიარებენ ამ წიგნებში დაწერილს, მათი ჭეშმარიტი აზრშემცველობა კი მიუწვდომელია მათთვის.

23. განაგრძო ბალავარმა:

– მე ვფიქრობ, რომ ამ ყველაფრის შესახებ წარმოდგენაც არა აქვს მამაშენს. არვის უსაუბრია მასთან გულწრფელად და არც თავად ცდილა ჭეშმარიტების მოძიებას.

ჰრქუა იოდასაფ: „რომლისა ჯერისათჳს არა იღუაწეს ბრძენთა მისა მიმართ ესოდენთა ჟამთა?“

ჰრქუა ბალაჰვარ: „ამისთჳს, რამეთუ იცოდეს ადგილი სიტყჳსა მათისაჲ, და ოდესმე დააცადიან მხილებაჲ მათდაცა მიმართ, რომელნი უდაშნეს და უფროჲს სამართლის და სიტყჳს შემწყნარებელ იყვნიან მამისა შენისასა. რამეთუ შე-ცა-ეყვის კაცი კაცსა მრავალთა ჟამთა და მეგობარ არიედ ურთიერთას, და არარაჲ განჰყოფენ მათ შორის, გარნა შჯული და სიბრძნე. და დაღაცათუ ფრიად ეწყალინ, არამედ არავე გამოაცხადის საიდუმლოჲ იგი სიბრძნისაჲ“.

თქუა იოდასაფ: „ვითარ ეგების ესე ყოფად?“

ჰრქუა ბალაჰვარ: „ესე სახე არს მეფისაჲ მის, რომელი განაგებდა სამეუფოსა თჳსსა სიბრძნითა და მეცნიერებითა, და იღუწიდა მშჳდობისა მათისათჳს მრავლითა გულსმოდგინებითა და განგებითა საქმეთა საწუ[თ]როჲსათა, ვითარ-იგი ჯერ-არნ მეფეთა, რომელთა აქუნ სიყუარული ერისა თჳსისაჲ. და ესუა თანამზრახვალი კაცი სახიერი და სარწმუნოჲ, განყენებული ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა, რომელი ყოვლადვე სახიერებასა და კეთილსა აზრახებნ მეფესა კაცთა მიმართ. და კაცი ესე მიწევნულ იყო საქმესა შჯულისასა და მრავალგზის შემთხუეულ იყო კაცთა მეცნიერთა და განყენებულთა სოფლისაგან. და მასცა ესევითარი გონებაჲ აქუნდა ფრთხილი და მართალი, და ფრიად კადნიერებაჲ აქუნდა წინაშე მეფისა, არამედ არა გამოუცხადებდა დაფარულსა თჳსსა. და ფარულად ეპყრა ღმრთისმსახურებაჲ კეთილი. და რაჟამს იხილის მეფე კერპთა თაყუანისცემად და ადიდებნ რაჲ დღესასწაულსა მათსა, ფრიად შეელმის, ვითარცა ელმინ რაჲ კაცსა შვილისა თჳსისათჳს, რაჟამს შეაშთობნ მას ეშმაკი. და მრავალგზის უნებნ მას მის თანა სიტყჳსა-ყოფაჲ

ჰკითხა იოდასაფმა:

– დღემდე ბრძენთაგან რატომ არავინ ესაუბრა მამაჩემს?

მიუგო ბალავარმა:

– იმიტომ, რომ მათ იციან თქმის დრო და ადგილი. ისინი არ ჩქარობდნენ, ემხილებინათ მამაშენის თანამოაზრენი. ხდება, რომ დაუახლოვდება და დაუმეგობრდება კაცი კაცს. და არაფერი ყოფს მათ, რწმენის გარდა. ბრძენს თუმც ძლიერ ეცოდება მეგობარი, მაგრამ მაინც არ უმხელს მისი სიბრძნის საიდუმლოებას.

– ეს როგორ?! – იკითხა იოდასაფმა.

მიუგო ბალავარმა:

– ეს ჰგავს ამ ამბავს: იყო ერთი მეფე. ეს მეფე სიბრძნითა და გონიერებით განაგებდა სამეფოს და დიდი გულმოდგინებით იცავდა ქვეყნის მშვიდობიანობას, – იმგვარად წარმართავდა საქვეყნო საქმეებს, როგორც ეს თავისი ხალხის მოსიყვარულე მეფეებს სჩვევიათ. მეფეს ერთი კეთილი და ერთგული მრჩეველი ჰყავდა, ყოველგვარი ბოროტებისაგან განშორებული. ვეზირი დღენიადაგ ხალხისთვის საკეთილდღეო და სასარგებლო რჩევებს აძლევდა მეფეს. ეს კაცი განსწავლული იყო რჯულის მცნებებშიც. მრავალჯერ შეხვედროდა მორწმუნეებს და მათ, რომელთაც დატოვებული ჰქონდათ წუთისოფელი და თვითონაც მათნაირად ფიქრობდა, ფრთხილი და წრფელი გონება ჰქონდა და დიდი უფლებებითაც სარგებლობდა მეფის წინაშე, მაგრამ გულის საიდუმლოს კი არ უმხელდა მბრძანებელს, – ფარულად ემსახურებოდა ღმერთს. და როცა ხედავდა, თუ როგორ ემონებოდა მეფე კერპებს და როგორ იღებდა მინაწილეობას მათ რიტუალებში, მწარედ განიცდიდა, გული შესტკიოდა მასზე იმგვარად, როგორც მამა სწუხს ხოლმე შვილზე, რომელსაც ეშმაკი ტანჯავს. ბევრჯერ სურდა ვეზირს

შჯულისათჳს, და ჰკითხის მოყუასთა თჳსთა ამის ჯერისათჳს. ხოლო მათ ჰრქუეს: “შენ უმეცნიერეს ხარ შინაგანსა მისსა გონებასა, და უკუეთუ ჰპოვო ადგილი, ყავ სიტყუაჲ მის თანა, არამედ კრძალვაჲცა ჯერ-არს, რამეთუ დაუძინებელ არს ეშმაკი ბოროტისათჳს, ნუუკუე განაკრთოს გონებაჲ მისი შენგან და ბოროტისყოფადცა აღსძრა მოყუასთა შენთა ზედა”.

და ფრიად იურვინ კაცი იგი მეფისათჳს და ეძიებდა ჟამსა, რაჲთამცა პოვა ადგილი მხილებისაჲ. და წარჴდეს ამას შინა დღენი მრავალნი, და ჰრქუა მეფემან კაცსა მას ღამესა ერთსა: “მოგუალე და მივიდოდით ქალაქსა შინა, რაჲთა ვიხილოთ საქმე კაცთაჲ”. და იყო სლვასა მას მათსა ქალაქსა შინა, და მიემთხჳვნეს სანაგვესა რასამე დიდსა. და იხილა მეფემან სინათლე რაჲმე ვითარცა ცეცხლისაჲ მუნით გამო. და წარვიდა მეფე და თანამზრახვალი მისი ხილვად მისა.

და ვითარცა მიეახლნეს, პოვეს კაცი ვინმე, რომელსა გამოეთხარა სანაგვესა მას შინა მსგავსი ქუაბისაჲ და სხდეს მას შინა იგი და ცოლი მისი. და იყო მათ ზედა სამოსელი უნდოჲ მსგავსად გლახაკთა. და ჰხედვიდეს რაჲ ამას, ესმა მუნით გამო ჴმაჲ სიმღერისაჲ. და ვითარ განიცდიდეს ჴურელით შეღმართ, იხილეს კაცი იგი, რამეთუ ინაჴით-ჯდა სკორეთა მათ ზედა, და დედაკაცი იგი, რამეთუ უწდევდა და როკვიდა წინაშე მისა, და შეასხამნ ქებასა, ვითარცა ჯერ-არნ მეფეთათჳს და უფლით ჰხადინ მას და იგი – დედოფლით. და ორნივე აქებდეს თავთა მათთა, იხარებდეს და განსცხრებოდეს ტრფიალებითა ურთიერთას. ხოლო მეფე იგი და თანამზრახვალი მისი მყოარჟამ ჰხედვიდეს და განიცდიდეს საქმესა მათასა, ვითარ-იგი მხიარულ იყენეს ეგევითარსა ცხორებასა მათსა. და წარვიდა მეფე იგი და

რწმენაზე ესაუბრა მეფესთან, დაეკითხა კიდეც ამის შესახებ მორწმუნე მეგობრებს, მათ კი ურჩიეს:

– შენ უკეთ იცნობ მეფეს. იცი მისი გონების ფარული აზრებიც. და თუკი შესაფერის დროს შეარჩევ, ესაუბრე მას, მაგრამ სიფრთხილეც გმართებს, რადგან ეშმაკს არ სძინავს, დაძრწის, რომ ვინმე მოინადიროს და ბოროტი შეამთხვიოს, ამიტომ ყოველნაირად ეცდება შენს წინააღმდეგ განაწყოს მეფე და შენს მეგობრებსაც გადაამტეროს იგიო.

წუხდა ვეზირი მეფის გამო, მაგრამ ვერაფერს შველოდა. ხელსაყრელ შემთხვევასღა ელოდა, რათა უადგილო არ ყოფილიყო მისი საუბარი. ასე გადიოდა დღეები.

ერთ საღამოს მეფემ შესთავაზა ვეზირს, ქალაქი შემოევლოთ და გაეგოთ, როგორ ცხოვრობდა ხალხი. სიარულისას ნაგვის დიდ გროვას წააწყდნენ. მეფემ ნაგვიდან გამომავალი სინათლე შენიშნა. ცეცხლივით ბრიალებდა რაღაც.

მეფე და ვეზირი უფრო ახლოს მივიდნენ და დაინახეს კაცი. მას ნაგვის გროვაში გამოქვაბულის მსგავსი რამ გამოეთხარა და ცოლთან ერთად იჯდა. ტანთ დაძონძილი სამოსი ეცვათ. უცებ „გამოქვაბულიდან“ სიმღერის ხმა მოისმა. მეფემ და ვეზირმა ხვრელის სიღრმეს მიაპყრეს მზერა და ნაგვის გროვაზე მჯდომი კაცი შენიშნეს, მის წინ დედაკაცი ცეკვავდა და მღეროდა, კაცს ჯამში ღვინოს უსხამდა და თან ქება-დიდებას ასხამდა მეფეთა მსგავსად. ქალი უფალს უწოდებდა კაცს, კაცი კი დედოფლად სახელდებდა მას. ორივენი ერთმანეთს აქებდნენ, ილხენდნენ და ტკბებოდნენ ურთიერთსიყვარულით. მეფე და ვეზირი დიდხანს უმზერდნენ ამ სანახაობას, აცვიფრებდათ ცოლ-ქმრის ქცევა და უკვირდათ მათი ამგვარი ყოფით კმაყოფილება.

გაოგნებული მეფე ვეზირს მიუბრუნდა და უთხრა:

თანამზრახვალი მისი განკჳრვებულნი მათგან. და ჰრქუა მეფემან მოყუასსა თჳსსა: “არასადა გჳნდა ცხორებაჲ ჩუენი მე და შენ და არცა ესრეთ მხიარულებით შევიწყნარეთ, ვითარ-ესე გლახაკი, რომელი ვიხილეთ სკორეთა მათ შინა ცოლისა თჳსისა თანა. და მე ესრე ვჰგონებ, ვითარმედ ამას შინა არიან ყოველნი დღენი მათნი”.

მაშინ პოვა თანამზრახვალმან ადგილი სიტყჳსაჲ მეფესა თანა და ჰრქუა მას: “ნუ ჰგონებ, მეფე, ვითარმედ დიდებაჲ ესე და სუფევაჲ რომელსა შინა ვიშუებთ, არა ესრევე სახედ შერაცხილ არს და საწუნელ წინაშე მათსა, რომელთა იციან დიდებაჲ და სუფევაჲ საუკუნოჲ, რომელი განუმზადოს ღმერთმან მოყუარეთა თჳსთა. და სახლები ესე ოქროქანდაკებულნი, რომელნი ვაშენ[ე]ნით, და სიშუენიერე ხატისაჲ და ბრწყინვალებაჲ სა-მოსელთა ჩუენთა[ჲ] ესრევე სახედ შერაცხილ არს წინაშე მათსა, რომელნი ჰხედვენ მერმეთა მათ ჴელითუქმნელთა ტაძართა და თუალთშეუდგამსა სამოსელსა, ვითარცა-ესე ჩუენ ვჰხედავთ იმათ თანა გარდარეულსა შეურაცხებასა. და თავმ[ოთ]ნე[ო]ბაჲ ესე დიდებისა ჩუენისაჲ მსგა[ვს] იყოს თავმოთნეობასა იმათსა, რ[ომელსა] განვიკითხავთ და გჳკჳრს”.

ჰრქუა მას მეფემან: “და იცნი ვინა ესევითარ[ი]სა სახისა მეცნიერნი კაცნი?” ჰრქუა კაცმან მან: “არიან კაცნი, რომელნი ჰმსახურებენ ღმერთსა და დაუტეობია სოფელი ესე და ყოველი ხატი ერისკაცობისაჲ შეურაცხუყოფიე[ს] და არიან აწ უდაბნოთა, მთათა და ქუაბთა შინა ქრისტეს სიყუარულისათჳს და საუკუნოჲ იგი უხილავს და შეუყუარებია, გამოცადეს სოფელი ესე და პოვ-ეს ყოველი დიდებაჲ მისი წარმავალი”.

– არასოდეს ყოფილა ჩვენთვის ცხოვრება იმგვარად საწადელი და სასურველი, როგორც ამათთვის. არასოდეს გაგვიხარია მისით იმგვარად, როგორც ნაგავში მსხდომ ამ გლახაკებს. ვფიქრობ, ყოველი დღე ასეთი უნდა იყოს მათთვის.

სწორედ დროულად ჩათვალა ვეზირმა, რამდენიმე სიტყვა ეთქვა მეფისთვის.

– მეფეო, ნუ გგონია, რომ დიდება და პატივი, რომლითაც ვნეტარებთ ჩვენ ამჟამად, ისეთივე სასურველი და მოსაწონია ქრისტიანებისთვის, როგორც ჩვენთვის, რადგან ისინი ღვთისგან მის მოყვარულთათვის გამზადებულ საუკუნო სუფევასა და დიდებას ელიან, სხვა ყველაფერი კი საძულველია მათთვის. ჩვენ მათ მეტისმეტ არარაობას ვხედავთ, იმათთვის კი ის ოქრო-ქანდაკებული სასახლეები და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი სამოსელია არარაობა, რომელსაც ჩვენ მიველტვით. მათთვის გარეგნული, ხილული პატივი და დიდება არაფერია იმასთან შედარებით, რომელიც უხილავია და რომელსაც შემდგომ ცხოვრებაში ელიან ისინი – ხელთუქმნელ ტაძარსა და თვალშეუდგამ სამოსელს. ჩვენ გვიკვირს მათი, მათთვის კი ჩვენი თავმომწონეობა და თვითკმაყოფილებაა ის ნაგავი, რისი შემხედვარენიც, მათ განვიკითხავთ.

ჰკითხა მას მეფემ:

– შენ იცნობ ასეთ ხალხს?

– ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც ჭეშმარიტ ღმერთს ემსახურებიან. მათ დატოვეს წუთისოფელი, უარყვეს ამქვეყნიური ცხოვრება და უდაბნოში, მთებსა და გამოქვაბ-ულებში ცხოვრობენ, ქრისტეს სიყვარულით გულანთებულნი. მათ სწამთ საუკუნო ცხოვრების და მას ესწრაფვიან. ხოლო ეს სოფელი კი მოიძულეს, რადგან გამოსცადეს იგი და შეიცნეს მისი დიდების წარმავლობა.

ჰრქუა მას მეფემან: და "რაჲ არს სუფევაჲ საუკუნოჲ?" ჰრქუა თანამზრახვალმან მან: "სუფევაჲ საუკუნოჲ შუებაჲ არს, რომელსა არა შეუდგს სიგლახაკ[ე]; და სიხარული არს, რომელსა არა შეუდგს ურვაჲ; და სიმრთელე არს, რომელსა არა შეუდგს სალმობაჲ; და მეფობაჲ არს, რომელსა არა აქუს აღსასრული; და მშჳდობაჲ არს, რომელსა არა შეუდგს [ში]ში; და ცხორებაჲ არს, რომელსა არა შეამრღუევს სიკუდილი, და იგი არს სოფელი უხრწნელებისაჲ და მიიღებენ საწადელსა მათსა თჳნიერ შრომისა და რუდუნებისა". ჰრქუა მეფემან: არს-მე ვინა ამის ადგილისა ღირს, ანუ ვითარ შესაძლებელ არს შესლვად ადგილსა მას?"[20] ჰრქუა თანამზრახვალმან მან მეფესა: "არავის ზედა დაჴშულ არს კარი ქრისტესი, რომელნი ეძიებენ შესლვად კარით". ჰრქუა მეფემან: "და რაჲ არს გზაჲ იგი?" ჰრქუა თანამზრახვალმან: "მსახურებაჲ სამების[ა] წმიდისაჲ, რომელმან დაჰბადნა ყოველნი დაბადებულნი, და დატევებად ყოველი სამსახურებელი თჳნიერ მისა". ჰრქუა მეფემან: "და რაჲ ყენება-გეყო შენ თხრობად ჩემდა ესევითარი გზაჲ ვიდრე აქამომდე?" ჰრქუა თანამზრახვალმან მან: "არა ორგულებითა ჩემითა დავაცადე ესე აქამომდე, არცა ვჰრიდე გონებაუქმოებასა შენსა, რამეთუ სრულ ხარ ყოვლით-კერძო, არამედ მაყენებდა ზარი მეფობისა შენისაჲ". ჰრქუა მეფემან: "უკუეთუ საქმე ესე ჭეშმარიტ არს, არა გჳღირს, რაჲთა უდებვეყოთ ძიებაჲ მისი ყოვლითა მოსწრაფებითა და შრომითა. და

ჰკითხა მეფემ:

– რა არის საუკუნო ცხოვრება?

მიუგო ვეზირმა:

– საუკუნო ცხოვრება ნეტარებაა, რომელსაც არ ახლავს სიგლახაკე, დაუსრულებელი სიხარულია, რომელსაც არ სდევს მწუხარება, სიმრთელეა, რომელსაც არ სდევს სალმობა, მარადიული მყოფობაა, რომელსაც არა აქვს დასასრული, მშვიდობაა, რომელსაც არ სდევს შიში, მარადიული ცხოვრებაა, რომელსაც არ ემუქრება სიკვდილი. ეს არის უხრწნელების სამყოფელი, სადაც ყოველგვარი შრომისა და გარჯის გარეშე მიიღწევა სასურველი.

ჰკითხა მეფემ:

– არის ვინმე იმ ადგილის ღირსი? ან როგორ შეიძლება იქ შესვლა?

მიუგო ვეზირმა:

– არც ერთი იქ შესვლის მსურველისთვის არ არის დახშული „კარი ქრისტესი", თუკი ამ კარით ეცდებიან შესვლას.

ჰკითხა მეფემ:

– რა გზით არის ეს შესაძლებელი?

მიუგო ვეზირმა:

– წმიდა სამების მსახურებით. უნდა უარყო სხვა ყოველივე და მხოლოდ მას ემსახურო, რომლის მიერაცაა ყოველივე შექმნილი – ცოცხალი და არაცოცხალი.

– აქამდე რატომ არაფერი მითხარი ამ გზის შეასახებ? - ჰკითხა მეფემ.

მიუგო ვეზირმა:

– ჩემს ერთგულებაში ეჭვს ნუ შეიტან, მეფევ. ორგულობის გამო არ მოვქცეულვარ ამგვარად. არც შენს გონიერებაში შემპარვია ეჭვი, რადგან ვიცი, რომ საღად მსჯელობ და სრულყოფილი ხარ ყოველმხრივ, არამედ დამაბრკოლა სამეფო პატივმა, რომელსაც შენ ფლობ.

უკუეთუ საეჭუელ არს, თანაგუაც, რაჲთა ვყოთ ყოველი შრომაჲ ჩ[ემი], ვიდრემდის მივიწინეთ, ჭეშმარიტ თუ არს საქმე ესე, ხოლო დაფარვაჲ ესე ამის საქმისაჲ ჩუენგან დიდ შეცოდება არს წინაშე ჩემსა, დაღაცათუ გულპყრობილ ვარ შენდამი". ჰრქუა თანამზრახვალმან მან: აწ უკუე მიბრძანებ-ა, რაჲთა მარადის გაუწყებდე საქმესა ამას და მოგაჴსენებდე ჟამითი-ჟამად? ჰრქუა მეფემან: "არა თუ ჟამითი-ჟამად, არამედ დაუცხრომელად. დღე და ღამე განუსუენებელად იყავნ ზრახვაჲ ესე შენდა და ჩემდა, რამეთუ საქმე ესე საკჳრველ არს და არა ჯერ-არს უდებებით წარწყმედად ესევითარი შესაძინელი, არამედ ძიებად მოსწრაფედ".

და თქუა წმიდამან ბალაჰვარ: „შემდგომად ამისა გუესმა, ვითარმედ მეფე იგი და თანამზრახვალი მისი მშჳდობით თანაწარჰჴდეს სოფელსა ამას".

24. ჰრქუა იოდასაფ: „არღარა აქუს ყოვლით-კერძოვე სიყუარული ამის სოფლისაჲ გონებასა და არღარა შევაქცევ თავსა ჩემსა მიზეზთა მიერ მისთა, არამედ მსურის ცხორებისა მისთჳ[ს] საუკუნოჲსა, და აწ განმიზრახავს, რაჲთა დავადგრე შენ თანა, სადაცა იყო, და მოვითმინო სიმძიმე ცხორებისა შენისაჲ^.

ჰრქუა წმიდამან ბალაჰვარ: უკუეთუ ჰ[ყო] ესე, ემსგავსო მდიდარსა მას, რომელი ემზახა[21] გლახაკსა მას, რამეთუ გუესმა, ვითარმედ: იყო ვინმე ჭაბუკი მდიდრისა შვილი, და უთხოვა მამამან მისმან ცოლად მისა ქალი ერთი შუენიერი და მდიდარი ნათესავთაგან თჳსთა. და არა ინება ჭაბუკმან მან შერთვაჲ მისი. და აღდგა და ივლტოდა პირისაგან მამისა თჳსისა. და სლვასა მას

უთხრა მეფემ:

– თუ ეს ყველაფერი, რაც შენგან მოვისმინე, ჭეშმარიტებაა, რაღად ვაყოვნებთ, შევიძინოთ იგი ყოველგვარი შრომითა და გულმხურვალებით, და თუ კიდევაა საეჭვო რამე, გვმართებს, რომ სრულიად გამოვიძიოთ და გავერკვეთ ჭეშმარიტებაში. ხოლო ის, რომ დღემდე მიმალავდი ამას, დიდი ცოდვაა შენი მხრივ, რადგან სრულიად გენდობოდი.

– აწ როგორ ბრძანებთ, მეფევ, გაუწყოთ დროდადრო ამ გზის შესახებ?

მიუგო მეფემ:

– არა თუ დროდადრო, განუწყვეტივ, დღითა და ღამით, დაუცხრომლად უნდა ვიღვაწოთ მისთვის. არ გვეპატიება, სიზარმაცისა და დაუდევრობის გამო რომ არ შევიძინოთ უმჯობესი, არამედ მთელი მონდომებით გვმართებს მისი მოპოვება.

– მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ მეფემაც და მისმა მრჩეველმაც მშვიდობით დაუტევეს ეს სოფელი, – დაასრულა ამბის თხრობა წმიდა ბალავარმა.

24. უთხრა იოდასაფმა ბალავარს:

– აღარ მაქვს წუთისოფლის სიყვარული და აღარ მხიბლავს იგი. საუკუნო ცხოვრება მწადია და მსურს, შენთან ერთად მეც ვიტვირთო შენი ცხოვრების სიმძიმე.

მიუგო წმიდა ბალავარმა:

– თუკი ამგვარად მოიქცევი, დაემსგავსები იმ მდიდარს, რომელიც ერთ ღატაკს დაუმოყვრდა. ეს კი ასე იყო: ერთმა მდიდარმა კაცმა შვილისთვის საცოლედ მდიდარი ნათესავის ასულის თხოვა განიზრახა, მაგრამ ვაჟიშვილმა უარი განაცხადა მის შერთვაზე, ადგა და გაეცალა მამას, მიატოვა სახლი და გადაიხვეწა. ერთხელაც, გზად, ერთი ღარიბი კაცის

მისსა შინა იხილა ასული ვინმე გლახაკისა(ჲ) სამოსლითა შეურაცხითა მჯდომარე კართა ზედა სახლისა თჳსისათა, იქმოდა რაჲ ჴელთსაქმარსა თჳსსა, და მას შინა ჰმადლობდა და ადიდებდა ღმერთსა. ჰრქუა მას ჭაბუკმან მან: "ვინაჲ ხარ, დედაკაცო, ანუ რომელთა კეთილთა ზედა ჰმადლობ ღმერთსა?" ხოლო მან ჰრქუა: "არა უწყია, რამეთუ მცირემან წამალმან მრავალთაგან სენთა იჴსნის კაცი, ეგრეცა მცირედსა ზედა მადლობამან მოჰმადლის უდიდესი? ხოლო მე ასული ვარ ბერისა ერთისა გლახაკისაჲ". და ჴმა-უყო ჭაბუკმან მან ბერსა მას. და ვითარ განვიდა მისა, ჰრქუა მას: "უკუეთუ გნებავს ასული ესე შენი მოცემად ცოლად ჩემდა?" ჰრქუა მას ბერმან მან: "არა ჯერ-არს ცოლად შენდა ასული გლახაკისაჲ, რამეთუ შენ შვილი მდიდრისაჲ ხარ". ჰრქუა ჭაბუკ-მან მან: "ვიხილე სიბრძნე და გონიერებაჲ ასულისა შენისაჲ, და მე მთნავს იგი ცოლად ჩემდა, და აჰა ესერა მდიდართა შვილი დაწინდებულ იყო ჩემთჳს, და მე არა ვინებე. აწ წინამიყავ თხოვაჲ ჩემი, რამეთუ კეთილად მპოო, უფალსა თუ უნდეს". ჰრქუა მას ბერმან მან: "დაღაცათუ შენ გთნავს ასული ჩემი, არამედ ვერ ძალ-გიც მიყვანებაჲ მისი სახლად მამისა შენისა". ჰრქუა მას ჭაბუკმან მან: "მე აქა დავადგრე თქუენ შორის და თავს-ვიდვა ცხორებაჲ თქუენი".

ხოლო ბერი იგი იყო მდიდარ ფრიად ფარულად. და შევიდა[22] სახლსა მის ბერისასა და განიძარცუა სახე და [შეიმოსა] სამოსელი მათ გლახაკთაჲ. და იწყო ბერმან გამოცდად მისა და აღწონად გონებისა მისისასა. და ვითარ პოვა იგი ყოვლით-კერძო ბრძენ და გონიერ და ცნა, ვითარმედ არა ტრფიალებითა უგუნურებისაჲთა

ასული დაინახა. გოგონა დაძონძილ სამოსში იყო „გამოწყო-ბილი", სახლის ზღურბლთან იჯდა, ხელსაქმიანობდა და თან მადლობდა და ადიდებდა ღმერთს.

ჭაბუკი შეეკითხა:

– ვინ ხარ, ასულო, ან რა სიკეთისათვის მადლობ ღმერთს?

მან კი უპასუხა:

– განა არ იცი, რომ მცირედ წამალს მრავალი სენისგან ძალუძს კაცის განკურნება?! ასევე მეტობს მცირედისათვის ღვთის მადლიერება. ხოლო მე ღარიბი კაცის შვილი ვარო.

მაშინ ჭაბუკმა გვერდზე გაიხმო მისი მოხუცი მამა:

– არ გსურს, რომ შენი ასული ცოლად გამომაყოლო?

– არ შეგშვენის, რომ მდიდრის შვილმა ღარიბი ასული მოიყვანო ცოლად, – უპასუხა მოხუცმა.

ჭაბუკმა კი მიუგო:

– მე დავრწმუნდი თქვენი ასულის სიბრძნესა და გონიერებაში და გულწრფელად მსურს მისი ცოლობა. მდიდარი მშობლების ასული იყო დანიშნული ჩემზე, მაგრამ არ ვისურვე მისი მოყვანა. დამდე პატივი, ამისრულე სათხო-ვარი, და თუ ღმერთი ინებებს, ჰპოვებ სიკეთეს ჩემში.

უთხრა მოხუცმა:

– მართალია, შენ მოგწონს ჩემი ასული, მაგრამ მამაშენის სახლში მის მოყვანას ხომ ვერ გაბედავ?!

– მე თვითონ დავრჩები თქვენთან და ვიტვირთავ თქვენი ცხოვრების სიმძიმეს, – უპასუხა ჭაბუკმა.

ეს მოხუცი ძალიან მდიდარი იყო, მაგრამ არავინ იცოდა ამის შესახებ. ჭაბუკი შევიდა მოხუცის სახლში, გაიხადა ძვირფასი შესამოსელი და მათ მსგავსად, დაძონძილი სამოსელი ჩაიცვა. მოხუცმა კი მისი გამოცდა განიზრახა. და რაკი დაინახა, რომ ყოველმხრივ ბრძენი და გონიერი იყო იგი, რაკი დარწმუნდა, რომ სიბრიყვითა და უგუნურებით არ

მივიდა სიგლახაკედ, მაშინ უპყრა ჴელი მისი და შეიყვანა საუნჯესა თჳსსა. და განახუნა საუნჯენი თჳსნი და უჩუენა მას ყოველი სიმდიდრე თჳსი და შუენიერებაჲ ადგილისაჲ მის, რომელ არასადა ეხილვა ეგევითარი ცხორებასა მისსა, და ჰრქუა მას: „შვილო, ესე ყოველი შენი არს“. და მიერითგან იშუებდა ჭაბუკი იგი მარადის მას შინა სიხარულით და მხიარულებით.

25. ჰრქუა იოდასაფ: „მე ვესავ ქრისტესა ძესა ღმრთისასა, ვითარმედ ჩემთჳს იყოს სახე ესე, არამედ მესმა შენგან, იტყოდე რაჲ, ვითარმედ ბერმან გამოცადა გონებაჲ მის ჭაბუკისაჲო. აწ შენ ვითარ გნებავს გამოცდაჲ გონებისა ჩემისაჲ?“

ჰრქუა ბალაჰვარ: „რაჲთა გეშინოდის ღმრთისა და შეეყო ნებასა მისსა ყოველთა დღეთა შენთა და განეშორო ყოველთა ვნებათა სოფლისათა, რამეთუ არა წარსწყმედს ღმერთი სასყიდელსა შრომისასა და არცა წარუმართებს საქმესა იჭჳსასა, და განძლიერდი, რამეთუ არა განმცდელ არს უფროჲს ძალისა. დღითი-დღედ გეჴსენედ და იწურთიდი გონებასა შენსა, შეიპყრობდ საქმესა განცდით და ნუ სიტკბოებისათჳს შესცხარდები პირველ გამოცხადებისა, და ნუცა სიმწარისათჳს განაგდებ; უკუეთუ კეთილ იყოს, განიკითხევდ გულსა შენსა, რაჲთა არა შეგიჴდეს იჭჳ, და ნუ მსწრაფლ დაამტკიცებ მოწევნულთა გულისსიტყუათა, ვიდრემდის არა გამოსცადო დაწყნარებულებით და კრძალვით, რაჲთა არა მიდრკეს გონებაჲ შენი ნებასა და გულისთქუმასა, შეგაეჭოს კეთილსა და მოგატყუას ბოროტი. აწ მე ვევედრები შენთჳს მამასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, ღმერთსა დამბადებელსა ცათა და ქუეყანისასა, მტკიცესა და შეურყეველსა, და სულსა წმიდასა თანაარსსა,

დათანხმებულა სიღარიბეზე, მაშინღა გაუმჟღავნა თავისი საიდუმლო: მოჰკიდა ხელი, მიიყვანა თავის საუნჯესთან და აჩვენა მთელი მისი სიმდიდრე. ჭაბუკის თვალწინ იმგვარი დიდებულება გადაიშალა, როგორიც არასოდეს ენახა ცხოვრებაში.

და უთხრა მას მოხუცმა:

– ეს ყველაფერი შენია, შვილო.

იმ დღიდან დაუსრულებლად იშვებდა ჭაბუკი სიხარულითა და გულმხიარულებით.

25. უთხრა იოდასაფმა ბალავარს:

– ვესავ ქრისტეს, ძე ღვთისას, რომ თუ ინებებს, ჩემზედაც აღსრულდება შენი მონაყოლი. შენ თქვი, რომ მოხუცმა ჭაბუკის გონება გამოსცადა, შენ როგორღა გნებავს ჩემი გონების გამოცდა?

მიუგო ბალავარმა:

– ღვთის შიში იქონიე შენი ცხოვრების მანძილზე, მისი ნების მორჩილი იყავი და განიშორე ამსოფლიური ვნებები, მაშინ ღმერთი არ დაგიკარგავს შენი შრომის საზღაურს და ეჭვებისგანაც დაგიცავს. გაძლიერდი, რადგან უფალი არ მოგივლენს იმაზე მეტ განსაცდელს, რის ატანასაც ვერ შესძლებ. განუწყვეტლივ გაიხსენე ღმერთი და სრულყავი შენი გონება. შეუდექი საქმეს, მაგრამ აწონ-დაწონე იგი წინდაწინ, ერთი შეხედვით ნურც სიტკბოებისათვის მოიძულებ და ნურც სიმწარისათვის განიშორებ. გულში გამოიძიე მისი სარგებლიანობა, რათა ეჭვებით არ იძლიო შემდეგ, მაგრამ ნურც გულისთქმებს მიენდობი სრულიად, დაწყნარებითა და სიმშვიდით გამოსცადე ყველაფერი, გონებით სურვილებისა და ვნებებისაკენ ნუ მიიდრიკები, რათა ბოროტმა არ დაგაეჭვოს კეთილში და არ შეგატყუოს

რომელსა არა აქუს აღსასრული, საშინელსა და სახიერსა, ძლიერსა და მოწყალესა, უხილავსა და გამოუთქუმელსა, მეუფესა კაცთმოყუარესა, მეცნიერსა და არა უდებმყოფელსა, რომელი ყოვლადძლიერ არს და არა არს უძლურებაჲ მის თანა, რომელმან აღუთქჳს და არა ეცრუვის, შეიწყნარის და არა განწირის, რომლისაგან ძრწიან ყოველნი დაბადებულნი და ქედდადრეკილ არიან წინაშე საშინელებასა ღმრთეებისა მისისასა, რაჲთა წმიდა-გყოს ჭეშმარიტ წინამძღუარ კეთილისა, თითისსაჩუენებელ მოშიშებითა, ამხილველ ბრმათა, მასმენელ ყრუთა, მამხილებელ უდებთა და მტერ სოფლისა, მოყუარე წმიდათა და მოძულე ვნებათა, ვიდრემდის მიგაწიოს ჩუენითურთ ადგილსა მას, რომელი აღუთქუა ქრისტემან პირითა მით უტყუველითა მოუგონებელსა, უსმენელსა და უხილავსა სასუფეველსა მისსა, რამეთუ სასოებაჲ ჩუენი ფრიად არს მოწყალებათა მიმართ ქრისტესთა, ეგრეცა შიში ჩუენი სატანჯველთაგან მისთა. თუალნი ჩუენნი განმარტებულ არიან და ქედნი ჩუენნი დადრეკილ არიან წინაშე მისსა“.

ვითარცა ესმა ესე ყოველი, განჴურდა იოდასაფ სიტყუათა მათ ზედა წმიდისა მამისა ბალაჰვარისთა და აღიჩჩუა გული და იწყო ტირილად, და ჰრქუა ბალაჰვარს: „რავდენისა ჟამისაჲ ხარ, წმიდაო მამაო?“

ხოლო მან ჰრქუა: „ათორმეტისა წლისაჲ“.

ჰრქუა მას იოდასაფ: „ვითარ მეტყჳ ამას, რამეთუ გხედავ მოხუცებულად და სამეოცის წლის საგონებელ ხარ“.

ჰრქუა ბალაჰვარ: „ვინაჲთგან ვიშევ, ვარ სამეოცის წლის, ხოლო შენ მკითხენ ჟამნი ცხორებისა ჩემისანი; და ცხორებაჲ სიცოცხლესა ჰრქჳან, და სიცოცხლე არარაჲ არს თჳნიერ შჯულისა ქრისტესისა და საქმეთა მისთა, და ესე არა იყო ჩემ თანა, გარნა ათორმეტით წლითგან“.

ჰრქუა იოდასაფ: „ვითარ უკუე ჰყოფ კაცსა, რომელი ჭამს და სუამს და მიმოვალ[ს] მკუდრად?“

სიცრუე. და მე ვევედრები შენთვის ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მამას, ცისა და ქვეყნის დამბადებელ ღმერთს, მტკიცესა და შეურყეველს, ძლიერსა და მოწყალეს, უხილავსა და გამოუთქმელს, და კაცთმოყვარე უფალს, ყოვლადბრძენსა და ყოვლადძლიერს, რომლისთვისაც შეუძლებელი არაფერია, რომელიც აღგვითქვამს და არ გვეცრუება, შემწყნარებელია და არ გვწირავს, საშინელია ხილვად და თავმოდრეკილია მის წინაშე ყოველი, მას ვევედრები, რათა იყო მისაბაძი სხვათა-თვის, მოგმადლოს ნიჭი ბრმათათვის ხედვის მინიჭების, ყრუთათვის სმენის აღდგენის, უგულისხმოთა მხილების, იყო წუთისოფლის მოძულე, სიწმიდის მოყვარული და ვნებათა უარმყოფელი, და მოგანიჭოს ჩვენთან ერთად სამკვიდრებელი, რომელიც კაცის ყურს არ სმენია, თვალს არ უნახავს და ენას ვერ გამოუთქვამს, – სასუფეველი ცათა, რომელიც აღგვითქვა ქრისტემ მის მორწმუნეებს, რომელთაც მისი მოწყალების იმედი გვაქვს და თავმოდრეკილნი ვართ მისი დიდების წინაშე.

ბალავარის სიტყვებით აღინთო იოდასაფი, გული აუჩუყ-და და ატირდა. შემდეგ კი წმიდა მამას ჰკითხა:

– რამდენი წლისა ხარ, მამაო?

– თორმეტის.

– როგორ მეუბნები ამას, როცა გხედავ, რომ ხანში შესულიც ხარ და სამოცი წლისას ჰგავხარ?

მაშინ მიუგო მას ბალავარმა:

– მას შემდეგ, რაც დავიბადე, მართლაც სამოცი წელი გავიდა, მაგრამ შენ ხომ ის გაინტერესებს, რამდენი წელი ვიცხოვრე?! ცხოვრება სიცოცხლეს ჰქვია, სიცოცხლე კი ქრისტეს რწმენისა და საქმეების გარეშე არარაობაა. მე კი სწორედ მათ გარეშე ვცხოვრობდი ბოლო თორმეტ წლამდე.

უთხრა იოდასაფმა:

ჰრქუა ბალაჰვარ: „ამისთჳს, რამეთუ ეზიარა მკუდართა მწუხარებითა და სიხარულითა და უღონოებითა, და ვერ რგომითა თავსა თჳსსა და ვერ გულისჴმისყოფითა კეთილთა ღმრთისათა, რომელ არიან მის თანა სიმრთელე და ფლობაჲ კეთილთა მიმართ. **უკუეთუ უნდეს**, ვითარცა აწ ეზიარა მკუდართა სა[ქ]მითა, ეგრეცა ემსგავსა **ჴელითა**“.

ჰრქუა იოდასაფ: „უკუეთუ ცხორებაჲ იგი პირველი არა შეგირაცხია ცხორებად, თანა-გაც, რაჲთა სიკუდილიცა იგი მომავალი არა შეჰრაცხო სიკუდილად და არცა ბოროტად გიჩნდეს“.

ჰრქუა ბალაჰვარ: „ანუ არა გაუწყებსა განწირვაჲ თავისა ჩემისაჲ შემოსლვად შენდა, რამეთუ მე უწყი სიბოროტე მამისა შენისაჲ ჩემდა მომართ, რამეთუ არად შემირაცხიეს ბოროტად, არამედ ცხორებად საუკუნოდ“.

26. ჰრქუა იოდასაფ: „მითხარ მე სახე ნათესავისა ამის ჩუენისაჲ და გულსმოდგინებაჲ მათი კერპთა მიმართ“.

ჰრქუა ბალაჰვარ: „მსგავს არიან, რომელთა ჰრწამს კერპთაჲ, კაცსა ვისმე, რომელმან შეიპყრა მჭურინავი, ვითარცა იტყჳს იგავითმეტყველი ჩუენი, და უნდა დაკლვაჲ მისი. და მოეცა სიტყუაჲ მჭურინავსა მას და ჰრქუა: რაჲსათჳს გნებავს დაკლვაჲ ჩემი, რამეთუ არა არს ჩემ თანა განსაძღებელი შენი? ხოლო უკუეთუ განმიტეო მე, მიგცნე სამნი მცნებანი და უმჯობეს იყვნენ შენდა ყოველთა მონაგებთა, და-ხოლო-[თუ]-იმარხნე იგინი^. და არწმუნა კაცსა მას, რაჲთა განუტეოს, უთხრნეს ხოლო

– როგორ შეგიძლია მკვდრად ჩათვალო კაცი, რომელიც ჭამს, სვამს და დადის?!

– ასე ითქმის იმაზე, რომელიც მკვდარს ემსგავსება თავისი სიხარულით, მწუხარებითა და უღონობით, საკუთარი თავის გამოუსადეგარობითა და ღვთისაგან ბოძებული სიკეთის ვერშეცნობით. ასეთი კაცი მოკლებულია კეთილის წვდომის უნარს და ვერ აფასებს ღვთისგან მისთვის ბოძებულ უხვ წყალობას. მაგრამ თუ მოისურვებს, ძალუძს, მადლი ჰპოვოს ღვთის წინაშე.

უთხრა იოდასაფმა:

– თუკი წინა ცხოვრებას არ თვლი ცხოვრებად, არც მოწევნადი სიკვდილი უნდა მიგაჩნდეს სიკვდილად და არ უნდა თვლიდე მას ბოროტებად.

მიუგო ბალავარმა.

– ნუთუ ჩემი შენთან შემოსვლა არ მეტყველებს სიკვდილის არად ჩაგდებაზე და ჩემს თავგანწირვაზე?! მე ვიცი მამაშენის მტრული დამოკიდებულება ჩემდამი, მაგრამ სიკვდილი, რომელიც მემუქრება, არათუ ბოროტებაა ჩემთვის, არამედ საუკუნო ცხოვრება.

26. უთხრა იოდასაფმა:

– მიამბე იმ ხალხის შესახებ, რომლებიც გულმოდგინედ ემსახურებიან კერპებს.

მიუგო ბალავარმა:

– ისინი, ვინც კერპებს ემსახურებიან, ემსგავსებიან კაცს, რომელმაც ჩიტი დაიჭირა. კაცმა ჩიტის დაკვლა გადაწყვიტა, მაგრამ ჩიტმა უეცრად ენა ამოიდგა და უთხრა:

– რატომ გსურს ჩემი მოკვლა? მე ხომ ლუკმადაც არ გეყოფი?! მაგრამ თუ გამათავისუფლებ, სამ რჩევას მოგცემ და

თუ სიტყუანი იგი. ხოლო მჭურინავმან მან ჰრქუა, რაჟამს განუტევა: "ესე არიან მცნებანი ჩემნი: ნუ ეძიებ მიუწდომელსა, და ნუ ინანი გარდასრულსა, და ნუ გრწამნ, რომელი არა იყოს". და ვითარ განუტევა იგი, უნდა მჭურინავსა მას გამოცდაჲ კა-ცისაჲ მის, ირგნა-ძი-ა მცნებანი მისნი, და ჰრქუა მას: "უკუეთუმცა იცოდე, თუ რაჲ საფასე განგერა ჴელთაგან შენთა, რამეთუ არს იჴუანჩსა შინა ჩემსა მარგალიტი ვითარცა კუერცხი სირაქლემისაჲ". და ვითარცა ესმა კაცსა მას სიტყუაჲ ესე, დაითხია სინანულითა განტევებისა მისისათჳს, და უნდა კუალად შეპყრობაჲ მისი, და ჰრქუა მას: "მოგუალე სახლად ჩემდა და მე კეთილად გიღუაწო და პატივით განგიტეო". ჰრქუა მას მჭურინავმან მან: "ჶ უგუნურო, შემიპყარ და ვერ დამმარხე, გამცენ და ვერ დაიმარხე, რომლითა ვიჴსენ თავი ჩემი შენგან. ანუ არა გამცენა, და აჰა ესერა შენ ინანი განტევებასა ჩემსა გარდასრულსა, და ეძიებ, რომელსა ვერ მისწუთები – შეპყრობასა ჩემსა, და გრწმენა არა ყოფილი, ვითარმედ მაქუს იჴუანჩსა ჩემსა მარგალიტი უფროჲსი ჩემსა. შენ არა უწყია, ვითარმედ ყოველი გუამი ჩემი არა სწორავს კუერცხსა სირაქლემისასა". და მიერითგან სარგებელ-ეყვნეს კაცსა მას სიტყუანი იგი.

ეგრეთვე არს სასოებაჲ კაცთაჲ კერპთა მიმართ, რამეთუ დაჰბადნეს იგინი ჴელითა მათითა და თქუეს: "ესე არიან დამბადებელნი ჩუენნიო", რამეთუ სცვენ მათ მპარავთაგან და იტყჳან, ვითარმედ: "ესენი არიან საცონი ჩუენნი ბოროტისაგან". წარაგებენ მათ ზედა მონაგებთა მათთა და იტყჳან, ვითარმედ: "ესენი არიან მზრდელნი ჩუენნი". ეძიებენ მათ თანა, რომელსა არა ჰპოებენ, და ჰრწამს (ყოვლისა)გან, რომელი არა არს მათ თანა".

ყოველგვარ შენაძენზე მეტი იქნება ისინი შენთვის, თუკი შეასრულებ კიდეც.

დასთანხმდა კაცი და გაათავისუფლა იგი.

მაშინ უთხრა მას ჩიტმა:

– ესენია ჩემი მცნებები: შეუძლებელს ნუ ეცდები, წარს-ულს ნუ ინანებ და დაუჯერებელს ნუ ირწმუნებ.

შემდეგ ჩიტმა კაცის გამოცდა განიზრახა, რათა გაეგო, შეითვისა თუ არა მან მისი მცნებები და უთხრა:

– შენ არც კი იცი, რა სიმდიდრე გაუშვი ხელიდან! ჩიჩახვში სირაქლემას კვერცხისოდენა მარგალიტი მაქვსო.

კაცმა ეს სიტყვები რომ მოისმინა, ძლიერ ინანა ჩიტის გაშვება და კვლავ მოინდომა მისი შეპყრობა.

– მესტუმრე სახლში, მინდა, რომ რაიმეთი გასიამოვნო და პატივისცემით გაგისტუმრო, – უთხრა მან ჩიტს.

მაშინ მიუგო მას ფრინველმა:

– უგნურო, დამიჭირე და არ მომიფრთხილდი, მცნებები გასწავლე და ვერ შეითვისე, არადა, სწორედ ახლა გამცნე ისინი. შენ ნანობ ჩემს გაშვებას, რაც უკვე მოხდა და წარსულია, ცდილობ იმას, რასაც ვერ შესწვდები, – რადგან ვეღარ შეძლებ ჩემს კვლავ დაჭერას, და ირწმუნე დაუჯერებელი, თითქოს მე მართლაც შემეძლოს მქონდეს ჩიჩახვში თვით ჩემზე დიდი მარგალიტი, რადგან თვითონ ხედავ, რომ მთელი სხეულითაც კი სირაქლემას კვერცხზე პატარა ვარ.

ამ დღიდან სასარგებლო შეიქნა კაცისთვის ჩიტის დარიგებები.

მსგავსადვე, უგუნურად იქცევიან ის ადამიანები, რომლებსაც კერპების მიმართ აქვთ სასოება. ისინი საკუთარი ხელით ქმნიან კერპებს და ამბობენ, მათ მიერ ვართო შექმნილნი, თვითონვე იცავენ მათ მძარცველებისაგან და ამბობენ, მათ მიერ ვართო ბოროტისაგან დაცულნი, კერპებს

ჰრქუა იოდასაფ: „ჭეშმარიტად ესე სახე არს მათი და ყოვ-ლადვე საძაგელ არიან წინაშე ჩემსა და არა არს სასოებაჲ ჩემი მათდა მიმართ, და სიტყუამანცა შენმან უფროჲსად აღმძრა სიძულილად მათდა, არამედ აწ მითხარ მე: ვისდა მიჴმობ, ანუ რაჲ არს შჯული ესე, რომელი გამოირჩიე თავისა შენისათჳს?“

ჰრქუა მას ბალაჰვარ: „ესე არს გამორჩეული, რამეთუ ერთი არს მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ, სამებაჲ, სამგუამოვნებაჲ და ერთი ღმრთეებაჲ, და არა მრავალნი უფალნი, იგი ხოლო მეუფე და თჳნიერ მისა ყოველნი – სამეუფო; იგი ხოლო დამბადებელ და ყოველნი დაბადებულ; იგი ხოლო უჟამო და ყოველნი ჟამიერ, იგი ხოლო ძლიერ და ყოველნი უძლურ; იგი ხოლო მაღალ და ყოველნი მდაბალ; დაუძინებელ, ღონიერ ყოვლისაგან, ყოველივე რაჲცა უნდეს, და იქმს და ყოველსავე მისწუთების. „ყოველივე მის მიერ შეიქმნა და თჳნიერ მისა არარაჲ იქმნა“[23]. შეუცვალებელი ჟამთაგან და მიუცვალებელი ადგილითი-ადგილად, და ყოველნივე ადგილნი სავსე არიან მისგან, სახიერ, მოწყალე, კაცთმოყუარე და მა[რ]თლმსაჯჯულ. და განუმზადებიან მორჩილთათჳს საშუებელნი და ურჩთათჳს სატანჯველნი. ამან, სამებით ცნობილმან და ერთარსებით აღსაარებულმან, გყავნ მეძიებელ ნებასა მისსა, რაჲთა სცხონდე ძალითა ერთარსებისა მი-სისაჲთა. ხოლო უკუეთუ დაიმარხნე მცნებანი მისნი, მერმე იცნა, ვითარ ჯერ-არს მეცნიერებაჲ მისი.

სწირავენ თავიანთ ქონებას და ამბობენ, ისინი გვასაზრდოებენო ჩვენ. მათში ეძებენ იმას, რაც კერპებს არ გააჩნიათ და იჯერებენ დაუჯერებელს.

უთხრა იოდასაფმა:

– სიმართლეს ამბობ. მე მძულს კერპები, არც მათი ნდობა და იმედი მაქვს. მაგრამ შენი სიტყვების შემდეგ კიდევ უფრო შემძულდა ისინი.

ახლა იმ სარწმუნოების შესახებ მიამბე, რომელსაც მიქადაგებ და რომელსაც შენ თვითონ მისდევ.

მიუგო მას ბალავარმა:

– სარწმუნოება, რომელსაც მე მივსდევ, აღიარებს სამებას – მამას, ძესა და სულიწმიდას, სამგვამოვანსა და ერთარსებას, ერთ ღმერთს და არა მრავალს. ისაა ერთადერთი ჭეშმარიტი მეუფე, ღმერთი ყოვლისამპყრობელი, დამბადებელი ყოველი-ვესი და თავად დაუბადებელი, იგია მხოლოდ უჟამო და სხვა ყველაფერი ჟამიერი, მხოლოდ ისაა ძლიერი და სხვა ყველა უძლური, ისაა მაღალი და სხვა ყველა დაბალი, მარად ფხიზელი, ყოვლადძლიერი, ყოვლისშემძლე, მის მიერ შეიქმნა ყოველივე და არ არსებობს რაიმე მის გარეშე, მარად უცვლელია და ყველგანმყოფი, ყოველივეს აღავსებს მისი დიდებით. იგია ღმერთი სახიერი, მოწყალე და კაცთმოყვარე, მსაჯული სამართლიანი და მიუკერძოებული, რომელმაც ყოველგვარი სიკეთე გაუმზადა მის მოყვარულებს, ურჩებს კი ელით ბნელი უკუნი და საშინელი სატანჯველი.

უფალმა ღმერთმა, სამგვამოვანმა და ერთარსებით აღიარებულმა, მოგმადლოს სურვილი, რომ ეძებდე მის ნებას და გაცხოვნოს მისი ძლიერებით, ამ სწავლებას კი მაშინ შეიცნობ, თუკი მის მცნებებს დაიცავ.

27. ჰრქუა იოდასაფ: „რაჲ არს საქმე, რომელი ჰნებავს ღმერთსა?“

ჰრქუა მას ბალაჰვარ: „ესე არს ნებაჲ ღმრთისაჲ, რაჲთა რომელი გინდეს თავისა შენისათჳს, უყო იგი მოყუასსა შენსა, და რომელი შენთჳს არა გინდეს, იგი სხუასა არა უყო, და რაჲთა დაიმარხნე მცნებანი ქრისტესნი და ლოც[ვასა][24] ჰყოფდე ღმრთისა მიმართ და ვედრებასა დღე და ღამე. და გაქუნდეს ჯუარი მისი საძლეველად მტერთა, რამეთუ მით მიჴსნნა ვნებათაგან და ჴელთაგან სიკუდილისათა“.

ჰრქუა ბალაჰვარს იოდას[ა]ფ: „დამარხვითა მცნებათაჲთა მიემთხუევის კაცი ნებასა ღმრთისასა?“

ჰრქუა ბალაჰვარ: „ჰე, ჭეშმარიტად მიემთხუევის“.

– „და უკუეთუ ეგრეთ არს კეთილნი ესე, რომელ არიან სოფელსა ამას შინა, რაჲსათჳს მოიძულენით?“

ჰრქუა ბალაჰვარ: „ორნი საქმენი მაწუევენ ჩუენ ამას: პირველად ესე, რამეთუ გარდამატებულნი ესე კეთილნი ღმრთისანი არა ესწორებიან მცირედსა მუნ საშუებელსა სასუფეველისასა და ვითაცა ვინ იღუაწოს, უმეტესთა პატივთა მიემთხუევის და არამცირედი შური იყოს მოყუსისაჲ მოყუსისა მიმართ, რამეთუ არა სწორ იყვნენ ხარკისა გარდამჴდელნი ძღუენისა შემწირველთა, ხოლო მეორე: ნუუკუე ესე ***ჴელ-ყავ*** მოცემულთა ამათ საშუებელთა და მათ მიერ ჩავიჭრეთ უწესოთა საქმეთა და მიზეზ-მექმნე წარწყმედისა. ხოლო უკუეთუ განვეშორნეთ, უმეტესი მშჯდობაჲ და დაწყნარებაჲ გაქუს. რამეთუ უკუეთუ ვინმე და[ა]ახლნეს საცხოვარნი თჳსნი ყანობირსა, ვერ გულპყრობილ არს, რამეთუ უკუეთუ მიერულოს, ანუ უდებ-იქმნეს, განრჰყუნიან საცხოვარნი, ხოლო ოდეს განაშორნის ყანისაგან, დაიძინის და განისუენის უზრუნველად“.

27. ჰკითხა იოდასაფმა:

– რა საქმეებია ღვთისთვის მოსაწონი?

უპასუხა მას ბალავარმა:

– ღმერთს ნებავს, რომ რასაც საკუთარი თავისთვის ისურვებ, იგივე უყო მოყვასს და არ გაუკეთო სხვას ის, რაც შენი თავისთვის არ გინდა; ღვთისთვის სათნოა, როცა განუწყვეტლივ მის მიმართ ლოცულობს კაცი,[24] დღე და ღამე მას შეღაღადებს და თაყვანს სცემს მის ჯვარს, რომლის ძალითაც იძლევა მტერს, რადგან ღმერთმა ჯვრით გაგვათავისუფლა.

ჰკითხა იოდასაფმა:

– მცნებების დაცვით შეასრულებს კაცი ღვთის ნებას?

– ჭეშმრაიტად.

– და მაინც, რატომ მოიძულეთ ის სიკეთეები, რაც წუთისოფელშია? – კვლავ ჰკითხა უფლისწულმა.

მიუგო ბალავარმა:

– ორმა რამემ განაპირობა ეს. პირველ რიგში იმან, რომ წუთისოფლის ყველაზე დიდი სიკეთეც კი ვერ შეედრება თუნდაც უმცირეს ზეციურ სიკეთეს. ვინც მეტად გაირჯება, უფრო მეტ მადლს მიიღებს. არამცირედი შური აღეძვრება მოყვასს მოყვასის მიმართ, რადგან სხვა იქნება საზღაური ნებაყოფლობით ძღვნის შემწირველისა და სხვა – იძულებით ხარკის გამღებისა. მეორე მხრივ, ვშიშობთ, ვაითუ, ჩაგვითრიოს წუთისოფელმა და ბინძურ საქმეებში გარეულნი აღმოვჩნდებით, ეს კი მიზეზი იქნება ჩვენი დაღუპვისა. ხოლო თუ საქვეყნო საქმეებს განვეშორებით, უფრო მეტად ვიქნებით დამშვიდებულნი და დაწყნარებულნი, რადგან თუკი ვინმე ფარას ყანაში შერეკავს, ვერ იქნება გულდამშვიდებული, რადგან რომ ჩაეძინოს ან იზარმაცოს, ფარა ყანას შეესევა და განადგურდება, ხოლო თუ ყანას მოაშორებს თავის ფარას,

ჰრქუა იოდასაფ: „ყოველსა ჭეშმარიტად მეტყუელ ხარ, არ-ამედ შე-და-სძინე სიტყუად, რაჲთა მეცა შევსძინო მტერობად და მოძულებად სოფლისა“.

ჰრქუა ბალაჰვარ: „ესე ცხად იყავნ წინაშე შენსა, რამეთუ მტერობაჲ სოფლისაჲ დააგებს ღმერთსა, და რამეთუ მოკლე არს ცხორებაჲ ესე და ადრე დაჰლევენ დღენი და ღამენი. აწ ვიღუაწოთ განსლვად სოფლისაგან ნეფსით, რამეთუ უნებლივ განსლვად ვართ, დაღაცათუ განგრძელდეს ცხორებაჲ ჩუენი, სიკუდილი ეგრეცა თანაგუაც. მაშინ ყოველნი მონაგებნი განიბნივნენ და შენებულნი მადალნი მოოჴრდენ, და უცნაურ-იქმნეს სახელი მისი, და აღიჴოცოს ჴსენებაჲ მისი, და განილიოს გუამი მისი, რამეთუ შიშველი განიდონ სოფლით მისით და შთააგდონ მდჯმესა ბნელსა და დააგდონ მარტოჲ უცხოებასა შინა და სიგლახაკესა, დატევებული მოძულეთაგან, და განწირონ და მოიძაგონ ყოველთა: მეუღლემან, ძმათა და შვილთა.

28. *ხოლო იოდასაფ ცრემლოოდა და ეტყოდა: სიტყუანი შენნი განმეწონნეს გულსა, აწ მეც სიტყუაჲ ცხორებისაჲ“.*

და ჰრქუა ბალაჰვარ: „მე, ძეო მეფისაო, ფრიად მიყუარდა სოფელი ესე და შეყოფილ ვიყავ შუებათა მისთა, და ვითარცა განვიცადე და ვიხილე შეცვალებაჲ მკჯდრთა მისთაჲ და განსლვაჲ მათი მისგან და რამეთუ არავინ დაადგრებოდა მას შინა, არცა დიდი დიდებითა თჯსთა, და არცა ძლიერი ძალითა თჯსითა, და არცა ღონიერი ღონისძიებითა თჯსითა, და არცა

მწყემსს გულდამშვიდებით შეუძლია დასვენებაცა და დაძინებაც.

უთხრა იოდასაფმა:

– რასაც ამბობ, სრული სიმართლეა. მაგრამ კიდევ მითხარი რამე, რომ უფრო მეტად მოვიძულო და გულიდან მოვიწყვიტო ეს სოფელი.

უთხრა ბალავარმა:

– მაშ ეს იცოდე! წუთისოფლის მოძულებით ღმერთს ურიგდება კაცი. ეს სოფელი ხანმოკლეა, სწრაფწარმავალია მისი დღეები. სჯობს, ჩვენი ნებით დავტოვოთ იგი, რადგან მაინც ყველანი დავტოვებთ მას, ჩვენი სურვილის მიუხედავად მაინც ყველანი წამსვლელნი ვართ ამ ქვეყნიდან. ასე რომ, რაგინდ ხანგრძლივადაც არ უნდა ვიცხოვროთ ამ წუთისოფელში, სიკვდილი მაინც ვალად გვადევს. მაშინ ყოველი ჩვენი მონაგები განიბნევა და ყოველი ჩვენი ნაშენები დაიქცევა და მოოხრდება, სახელი დავიწყებას მიეცემა და ხსენება წარიხოცება, სხეული კი გაიხრწნება, რადგან შიშველს გაიტანენ ამ სოფლიდან, ბნელ ორმოში ჩააგდებენ და დატოვებენ იქ მარტო უცხოობასა და სიგლახაკეში, მიტოვებულს ყველასაგან, მოძულებულს მაჭირვებლებისაგან და ზურგშექცეულს ცოლ-შვილისა და ძმებისაგან.

28. *იოდასაფი ტიროდა:*

– ჩემი გული განმსჭვალა შენმა სიტყვებმა. მითხარი რამე სულის სახსნელად.

მიუგო ბალავარმა:

– უფლისწულო, მეც ძალიან მიყვარდა ეს სოფელი, ვილხენდი და ვიშვებდი მისით. მაგრამ როცა კარგად დავუკვირდი, დავინახე, რომ თაობები იცვლება და ვერავინ ახერხებს აქ დარჩენას სამუდამოდ, ვერც დიდებული თავისი

ბრძენი სიბრძნითა თჳსითა, გულისჴმა-ვყავ, რამეთუ ვარ მე, ვითარცა ერთი მათგანი, და განმავალ ვარ, ვითარცა განვიდეს იგინი, და შეცვალებად ვარ, ვითარცა შეიცვალნეს იგინი. და რამეთუ არა ვარ უდიდეს დიდთა მათ და უძლიერეს ძლიერთა მათ, და რომელი-იგი მოიწია მათ ზედა, მოიწევის ჩემ ზედაცა. და ვცან, ვითარმედ ყოველი შეკრებული განიბნევის და ყოველი მონაგები წარეგების, გარნა შიში ღმრთისაჲ და სწავლაჲ ნებათა მისთაჲ იჴსნის საშჯელისა მისგან საუკუნოჲსა[25], რამეთუ ესე არს საქმე, რომელსა არა აქუს სინანული აღსასრულსა. ხოლო რაჟამს ესე გულისჴმა-ვყავ, ძიება-ვყავ თავისა ჩემისა უმჯობესი და ვაიძულე გარდასლვად ნებასა თჳსსა, დაღაცათუ მძიმე უჩნდა. და დავაყენე გულისთქუმათაგან, და აღჳრ-ვასხენ აღჳრითა შიშისა ღმრთისაჲთა, რაჲთა არა წარმიტაცოს და შთამაგდოს შფოთთა ამაოჲსა სოფლისათა. და მერმე მესმა სიტყუაჲ უფლისა ღმრთისაჲ, რომელი მოგუესწავა წიგნთაგან ზეგარდამოთა, ვითარმედ: ვყავ სოფელი ესე და ყოველი ხატი მისი წარმავალ, აწ აღიღეთ საგზალი, რამეთუ წარხუალთ ქუეყანად უცხოდ. ეკრ-ძალენით, რამეთუ უეჭუელად განხუალთ ამიერ სოფლით, ნურარას იჴმარებთ მისგან, გარნა რომელი კმა-გეყოს გზისა მის მოწევნამდე, რამეთუ მე განმიმზადებიეს ადგილი საუკუნოჲ, რომელსა შინა არიან ორ სავანე: ერთი იგი სავანე არს ყოვლითა კეთილითა გამოუთქუმელითა და ყოვლითა საშუებელითა, აღსავსე მოწყალებითა, კაცთმოყუარე[ბითა] ჩემითა, იყოს იგი მისაგებელად რომელთა შემიყუარეს მე და ჰრწმენა ჴმაჲ მოციქულთა ჩემთაჲ და დაიმარხნეს მცნებანი ჩემნი, მას შინა სუფევდენ უხრწნელებით და მათ ზედა სიკუდილი არა სუფევდეს, სადა-იგი არა არს შიში და ზრუნვაჲ ამის სოფლისაჲ. ხოლო მეორე იგი სავანე სავსე არს სატანჯველითა, ჭირითა და იწროე-

დიდებით და ვერც ძლიერი თავისი ძლიერებით, ვერც ღონიერი თავისი ღონით და ვერც ბრძენი თავისი სიბრძნით, მივხვდი, რომ მეც ერთ-ერთი იმათგანი ვარ და მათსავით აქედან წამსვლელი; რომ მეც მათსავით სხვა შემცვლის, მითუმეტეს, რომ მე არც იმ დიდებულებზე მეტი ვარ რაიმეთი და არც იმ ძლიერებს ვჯობივარ ძალით. მეც ზუსტად იგივე მელის, რაც მათ ეწიათ. გავიგე, რომ ყოველი შეკრებილი განიბნევა, ყოველი მონაგები განქარდება, ღვთის მოშიში და მისი ნების აღმსრულებელი კი რჩება უკუნისამდე. მხოლოდ ღვთის ნების მორჩილება იხსნის კაცს საუკუნო სატანჯვე-ლისგან, მხოლოდ უფლის მოშიში არ ინანებს უკანასკნელ ჟამს. როგორც კი ეს ყველაფერი გავიგე, ჩემი სულისთვის უკეთესი მოვისურვე და საკუთარი ნების უარყოფა და დათრგუნვა დავიწყე, თუმცა ძნელი იყო ძალიან. გულისთქმ-ები მოვიძულე და ღვთის შიშის აღვირით მოვთოკე საკუთარი ნება, რათა მათ მიერ მიტაცებული, ამსოფლიურ შფოთში არ ჩავვარდნილიყავი. შემდეგ საღვთო წერილიდან მოვისმინე ღვთის სიტყვა: „მე შევქმენ ეს სოფელი და წარმავალია იგი. დროულად აიღეთ საგზალი, რადგან სხვა ქვეყანაში გელით გამგზავრება. გაფრთხილდით, რადგან უეჭველად დატოვებთ ამ სოფელს და ზედმეტს ნურაფერს მოიხმართ მისგან. დაკმაყოფლდით იმ მცირედით, რაც მხოლოდ მგზავრობი-სათვის გესაჭიროებათ. გამზდებული მაქვს თქვენთვის საუკუნო განსასვენებელი, სადაც ორი სამყოფელია: ერთი სამყოფელი – სავანე ყოველგვარ სიკეთეთა და სიამოვნებათა – აღსავსეა ჩემმიერი მოწყალებითა და კაცთმოყვარებით. დაიმკვიდრებენ მას ისინი, ვინც მე შემიყვარა და ჩემი მოციქულების ხარება ირწუნა; ვინც დაიცავს ჩემს მცნებებს, განისვენებს უხრწნელად და ვერ იუფლებს მათზე სიკვდილი, უცხო იქნება მათთვის შიში და ამსოფლიური საზრუნავი. ხოლო მეორე სამყოფელი სავსეა სატანჯველით, ჭირითა და

ბითა, სირცხჳლითა და შურითა, აღგზებული რისხჳთა და გულისწყრომითა, რომელმან შურ-მაგოს ყოველთა მოძულეთა ჩემთაგან, რომელთა შეურაცხ-ყვნეს მოციქულნი ჩემნი და დაივიწყნეს მცნებანი ჩემნი, და გარემიიქცინეს სასმენელნი მათნი ჴმისაგან მამხილებელისა". ხოლო რაჟამს მესმა ჴმაჲ ესე, ვცან, რამეთუ სამართლით არიან სიტყუანი მისნი და ჭეშმარიტებით მცნებანი მისნი. და აღვიღე საგზალი, რაჲთა მივიწიო სავანესა მას მშჳდობისა და მოწყალებისასა საქმითა კეთილითა და დამარხვითა მცნებათაჲთა. და ვივლტი სავანისა მისგან საშინელისა დატევებითა ურჩებისაჲთა, დაღაცათუ ვერ მიწუთომილ ვარ მე და ვერცა ვინ სხუაჲ დიდებულთაგანი, რაჲ-იგი ქრისტემან თავს-იდვა ჩუენთჳს ჯუარსა ზედა და რაჲ-იგი თანაგუაც ნაცვალად მისა, რამეთუ მრავალ არიან ცოდვანი ჩემნი და ფრიად მეშინის, უკუეთუ არა მეოხ მეყოს წმიდაჲ ქალწული მარიამ და ყოველნი წმიდანი მისნი[26]".

ჰრქუა იოდასაფ: „და ვითარ შესაძლებელ არს მიწუთომად კეთილთა მათ, რომელთა იტყჳ?"

და ჰრქუა ბალაჰვარ: „რაჲთა დაუტეოს კაცმან სოფელი ესე და ყოველი ზრუნვაჲ მისი, გარნა საჴმარი ხოლო იპყრას. შეიკრძალე განკითხვაჲ და დაადგერ სწავლულებასა და ნურარას დაამტკიცებ პირველ გამოცდისა, რამეთუ უმჯობეს არს მცირედი სიმართლე, რომელსა არა ერთოს ცოდვაჲ, ვიდრე მრავალთა სათნოებათა შინა აღრეულ იყოს ცოდვაჲ. და უმჯობეს არს მცირედმეტყუელებაჲ, ვიდრეღა-[ა]რა მრავალმეტყუელებასა, რომელსა ეპყრას ტყუვილი, რამეთუ თანა-აც კაცსა ბრძენსა, რაჲთა წურთიდეს თავსა თჳსსა, ვითარცა წურთინ კეთილი წინამძღუარი ერსა თჳსსა და განაგებნ მოღუაწებით საქმეთა მათთა და აყენებნ სავნებელთაგან მათთა, და მერმე პატივ-სცის მორჩილთა. ეგრეთვე თანა-აც კაცსა ბრძენსა, რაჲთა განიკითხ-

მწუხარებით, სირცხვილითა და შურით, რისხვითა და გულისწყრომით. ის ჩემს მოძულეებს მოელით, მათ, რომელთაც შეურაცხყვეს ჩემი მოციქულები და უგულებელყვეს ჩემი მცნებები, გაიქვავეს გულები და დაიხშვეს მათი სასმენელი მხილებისაგან."

როგორც კი ეს ყველაფერი მოვისმინე, მივხვდი, რომ მართალი იყო ყველა სიტყვა და ჭეშმარიტი – უფლის ყველა მცნება. და ავიღე საგზალი, რათა კეთილი საქმეებითა და მცნებების შესრულებით მივაღწიო მშვიდობისა და მოწყალების სამყოფელს; თუმცა ჩემთვისაც და ჩემზე აღმატებულთა-თვისაც მიუწვდომელია ის, რაც თავს იდო ქრისტემ ჩვენი გულისთვის თავისი ჯვარცმით და რაც ჩვენ უნდა გვეზღო. და ძალიან ვშიშობ, ცოდვათა სიმრავლის გამო, ვაითუ, წმინდა ქალწული მარიამი და წმიდანები არ შემეწიონ მე.

უთხრა იოდასაფმა:

– როგორ შეიძლება იმ სიკეთეთა მოპოვება, რომლის შესახებაც შენ მეუბნები?

მიუგო ბალავარმა:

– ადამიანმა უნდა დათმოს ეს სოფელი და ყოველი მისი საზრუნავი და მხოლოდ აუცილებელი მცირედით დაკმა-ყოფილდეს. მოერიდე განკითხვას, მიიღე შენიშვნები და ნურაფერს დაიჩემებ და ამტკიცებ დაბეჯითებით, სანამ თავად არ გაერკვევი მასში, რადგან უმჯობესია მცირე სიმართლე, რომელსაც არ ახლავს ცოდვა, ვიდრე მრავალი სათნოება, მაგრამ თუნდაც ერთი ცოდვით გასვრილი და შებილწული; უმჯობესია მცირედმეტყველება, ვიდრე მრავალმეტყველება, რომელსაც თან ახლავს ტყუილი. ბრძენს ევალება, რომ გაიწვრთნას თავი ისევე, როგორც კეთილი წინამძღვარი წვრთნის თავის ერს და გულმოდგინედ განაგებს მათ საქმეებს, ბოროტისაგან იცავს მათ და კეთილს მიაგებს მორჩილთ. ასევე ევალება გონიერ კაცს, ყოველ საქმეში განიკითხოს თავი და

ვიდეს თავსა თჳსსა ყოველთა შინა საქმეთა მისთა, და ნებათა მისთა და მაშინ მიაგოს გონებითა თჳსითა თავსა თჳსსა სამართალი, მისაგებელი კეთილი, გინა **ჯერი** ჟამსა თჳსსა. უკუეთუ კეთილ იყოს, პატივ-სცეს სიხარულითა, და უკუეთუ უჴმარღა იყოს, სწავლოს იგი სინანულითა. და რამეთუ დაესაჯების კაცსა გონიერსა, რაჲთა განიკითხვიდეს გულისსიტყ-უათა თჳსთა და მეცნიერებით შეიწყნარ[ო]ს, და ეგრეთვე მეცნიერებით განაგდოს ბოროტი, და რაჲთა სწუნობდეს თავსა თჳსსა და შეურაცხ-ჰყოფდეს სიბრძნესა თჳსსა გონებაჲვე თჳსი, რაჲთა არა შეუჴდეს სული თავმოთნებისაჲ, რამეთუ ღმერთსა სძულს თავმოთნებაჲ და უყუარს სიბრძნე და სიმდაბლე, რამეთუ სიბრძნითა მიემთხუევის კაცი კეთილსა ბრძანებითა ღმრთისაჲთა და უგუნურებითა წარწყმდებიან სულნი მრავალნი, რამეთუ ყოვლისა სიმტკიცისა თავი არს შიში უფლისაჲ და სლვაჲ გზათა მისთა. ეგრეთვე თავი ყოვლისა ბოროტისაჲ მიდევნებაჲ გულისთქუმათაჲ და დამონებაჲ ნებათაჲ. ხოლო რაჟამს მოიწინენ შენ ზედა გულისსიტყუანი, რომელთა გონებაჲ შენი ვერ შემძლებელ იყოს განკითხვად. ნუ დაჰბრკოლდები გამოცდად მისა, რამეთუ ეგევითარმან შეაშფოთ[ის] გონებაჲ და დაუბნე-ლოს საცნობელი. ხოლო შენ უფროჲსღა დაწყნარებულ იქმენ, რამეთუ მას შინა შემძლებელ იქმნის გონებაჲ განკითხვად და სული ცნობად უმჯობესისა. და ნუ იტყჳ სულითა მოწყინებისაჲთა საქმისათჳს, თუ ვერ შესაძლებელ არს ესე ყოფადო, და არა გამოიძიო უმჯობესი მას შინა.

და ესე უწყოდე, რამეთუ ვერ შეიკრიბოს კაცმან ერთმან ყოველი სწავლულებაჲ. ამისთჳს არა შეუგავს ბრძენსა, უკუე-თუმცა მცირედი იგი სწავლაჲ შეურაცხ-ყო, ოდესღა დიდსა მას სისრულესა ვერ მისწუთა, რამეთუ ესევითარისა თუალნიცა ვერ შემძლებელ არიან ყოველსა სინათლესა მზისასა ტჳრთვად. და მერმე არავე აყენებს მცირედი იგი სინათლე სლვად საქმესა მისსა, და არცა კუალად უმრავლესი იგი, რომელსა ვერ შეუძლო

უმჯობესი აირჩიოს სულისათვის. ამგვარად, დროულად და სამართლინად მიაგოს კეთილი თავის თავს, თუკი პატივის ღირსი აღმოჩნდება იგი, ან სინანულისაკენ მოუწოდოს. გონიერ კაცს ასევე, ჰმართებს, განუწყვეტლივ გამოიძიებდეს საკუთარ გულისთქმებს, დროულად განიშორებდეს ბოროტ სურვილებს, იმდაბლებდეს თავს და თავადვე უარყოფდეს თავისი გონების სიბრძნეს, რათა თავმომწონეობის სულმა არ მოინადიროს, რადგან სძაგს უფალს თავმომწონე და ამპარტავანი, ხოლო მდაბალი და სიბრძნის მოყვარე კი სათნოა მისთვის. რადგან სიბრძნით მიემთხვევა კაცი კეთილს უფლის განგებით, უგუნურებით კი მრავალი იღუპავს სულს. ყოველგვარი სიმტკიცის საწყისი უფლის მოშიშება და მისი გზით სიარულია, ხოლო ყოველგვარი ბოროტების სათავე – გულისთქმათა მორჩილება და საკუთარი ნებით სიარულია. როცა იმგვარი აზრები მოგეძალება, რომელთაც შენი გონება ვერ განმარტავს, დაჟინებით ნუ შეეცდები მათში გარკვევას, რადგან სწორედ ისინი აშფოთებენ გონებას და აბნელებენ ცნობიერებას. შეინარჩუნე სიმშვიდე, უმეტესად დაწყნარდი, რადგან მხოლოდ ასე მოიპოვებს შენი გონება საღი განსჯის, სული კი უმჯობესის შეცნობის უნარს. ნუ ეცდები, უიმედო განწყობილებით საქმეში გარკვევას, სასოწარკვეთილების სულით ნუ იტყვი, შეუძლებელიაო ამის გაკეთება, რადგან ამგვარად მყოფი ვერ შესძლებ მასში სარგებლის დანახვას.

ასევე იცოდე, რომ ერთი კაცი ვერ დაიტევს სრულ ცოდნას. ამიტომ არ შეჰფერის გონიერს მცირე სიბრძნის არად მიჩნევა, როცა სრული ცოდნისთვის თავადაც ვერ მიუღწევია. თვალსაც უჭირს მზის სინათლეს სრულად გაუსწოროს მზერა, მცირე სინათლე კი სრულებით არ უშლის ხელს საქმიანობაში. მზის სინათლის სრული სავსება, რომელიც ვერ დაიტია მხედველობამ, ვერაფრით ნაკლულ-ყოფს მცირედი სინათლის სარგებლიანობას. ან ვის შეუძლია

ტჳრთვად, განურყუნის მცირედისა მის ხილვისა სარგებელსა. ანუ ვინ კაცთაგანი შემძლებელ არს ყოველთა საჭმელთა და სასუმელთა, რომელნი იხილნეს და გული-უთქუმიდეს, ერთბამად მიღებად?! რამეთუ ვერვინ შემძლებელ არს მიღებად, გარნა მცირედისა მისგანისა, არამედ არავე დააბრკოლებს დაკლებაჲ უმრავლესთა მათ ჭამადთაჲ ცნობად გემოსა და განსაძღებელად სულისა მის ჭამადითა მით მცირედითა. ხოლო სწავლულებაჲ და სათნოებაჲ უმრავლეს და უდიდეს და უპატიოსნეს მისა არს, თუცა შეუძლო თუალმან ერთისამან წარმართებად და გულმან დატევნად და გონებამან შეწყნარებად. რამეთუ ესე უფროჲსღა ძნიადმისაწუთომელ არს, ვიდრეღა რომელი-იგი სახედ ვაჴსენეთ მზისათჳს და ჭამადთათჳს, რამეთუ ჰმატს მეცნიერი მეცნიერსა ღმრთისა მიერ, არამედ არავე დაბრკოლება არს, რაჲთა იჴუმიოს კაცად-კაცადმან, რაჲცა-იგი ცნა და მეცნიერებითა მით მცირედითა მოიპოვოს, რომელსა-იგი ვერ მეცნიერ არს".

29. ჰრქუა იოდასაფ: „ვითარ უკუე ჯერ-არს ჩემებრისათჳს, რაჲთა უჭეშმარიტესი გამოიძიოს დაწვალებულთა შჯულსა შინა?"

ჰრქუა ბალაჰვარ: „რაჲთა დაიმარხნეს ყოველნი, რომელსა ზედა შეკრბეს დამწვალებელნი შჯულსა შინა, რომელთა ჰრწამს უფალი იესუ და შეიკრძალნეს საქმენი, რომელსა ზედა არა დაწვალებულ იყვნენ, და მერმე იღუაწოს გამორჩევაჲ უმჯობესისაჲ ესრეთ: პირველად გამოძიებითა წიგნთაგან და შეტყუებითა სახეთაჲთა და თანამოწამებითა გონებისა[ჲ]თა და წამებითა საქმეთა ცხადთაჲთა და არაშეწყნარებითა იჭჳსაჲთა და არაგანგებითა კაცობრივითა, რამეთუ მდგომა[რე] საქმესა ზედა თჳსსა, **სადაცა მიიწიოს, უმოლხინე არს ჩაჭრისაგან მსგავსთა შინა, ვინაჲცა მოიწინეს, ვიდრე დადგრომილი მას ზედა თჳნიერ მოწამისა და მეცნიერებისა**, რამეთუ მდგომარე იგი სიმტკიცესა ზედა დგას სიმართლისასა და

ერთბაშად შეჭამოს ან შესვას ყველაფერი, რასაც გული უთქვამს და თვალით ხედავს?! – მცირედის მიღებას თუ შეძლებს მხოლოდ. საჭმლის სიუხვე სულაც არ არის ხელშემშლელი მცირედით გაიგოს საზრდელის გემო და მცირედით დაიკმაყოფილოს შიმშილი...

ხოლო სწავლულება და სათნოება ამ ყველაფერზე უმთავრესი, უდიდესი და უწმიდესია. ერთბაშად არც თვალს ძალუძს მისი ჭვრეტა, არც გულს შეუძლია მისი დატევა და არც გონებას – მისი შეწყნარება. იგი უფრო ძნელად მისაწვდომია, ვიდრე ის, რაც თვალისა და გონების შესახებ ვთქვით, თანაც, ღვთის განგებით, ერთი აღემატება ცოდნით მეორეს, მაგრამ სულაც არ არის შეუძლებელი თითოეულმა კაცმა იმ ცოდნით იხელმძღვანელოს, რაც შეუძენია და მცირედით შეიცნოს ის, რაც მისთვის ჯერაც უცნობია.

29. ჰკითხა იოდასაფმა ბალავარს:

– როგორ უნდა მოიქცეს ჩემნაირი კაცი, რომ სარწმუნოებაში განყოფილთა შორის გაარჩიოს მართალი?

მიუგო ბალაბარმა:

– უნდა დაიცვას ყველაფერი, რაშიც თანხმობა აქვთ განყოფილთ, რომელთაც სწამთ უფალი იესო ქრისტე და აღასრულოს ის საქმეები, რომლებშიც არ არიან განყოფილნი და მხოლოდ ამის შემდეგ იღვაწოს უმჯობესის გამოსარჩევად შემდეგნაირად: ჯერ წიგნებიდან (საღმრთო წერილიდან) გამოძიებითა და შედარება-შეპირისპირებით, და საღი მსჯელობითა და ცხადი საქმეების აღიარებით ეცადოს შესაძლებელს და არა ეჭვებითა და კაცობრივი, თვითნებური მსჯელობით, რადგან თავისი საქმის მცოდნე უფრო დაზღვეულია შეცდომისაგან, როდესაც მის გვერდით მისი მსგავსნი არიან და აქვს შედარებისა და თავისი საქმის

განიშორებს ცთომასა, ხოლო წარმდები საქმესა ზედა თჳნიერ მეცნიერებისა და მოწამისა სცთების თჳნიერ ყოვლისა იჭჳსა. ეგრეთვე არიან საქმენი ამის სოფლისანი, რამეთუ შეკრებაჲ საცნაურსა ზედა მის[ს]ა კმა არს **უცნაურსა** ზედა მისსა, რომელი იქმოდის კეთილსა, რაჲ-იგი ცნა, და დაუტეოს ბოროტი, რაჲ-იგი ცნას, და მოსწრაფე იყოს ღმრთისა მიმართ ერთგულებით საქმეთა შინა დაფარულთა და ცხადთა. ხოლო რა-ჟამს ყოს ესე, განუღოს ღმერთმან კარი მეცნიერებისაჲ და აუწყოს ნებაჲ თჳსი და ადვილად დაარღუევდეს ძნელოვანთა საცთურთა ეშმაკისათა".

ჰრქუა იოდასაფ: „ვითარ იყოს მოწრაფებაჲ კაცისაჲ ერთ-გულებით შჯულსა შინა?"

ჰრქუა ბალაჰვარ: „ესრეთ იყოს, რაჲთა განიშორნეს გულსა თჳსსა მაწუეველნი ნებისანი და მაზრზენელნი გულისთქუმისანი, და მიაახლნეს ასოთა მისთა პირველთა საქმენი შჯულისანი და ჭეშმარიტი მოთმინებაჲ და სარწმუნოებაჲ. და ოდეს ყოს ესე, მოიპოოს ნაყოფი მეცნიერებისაჲ და აღსძარცოს ღმერთმან მწუხარებაჲ და იჭჳ".

ჰრქუა იოდასაფ: „ყოველსავე მსგავსსა შინა ჯერ-არსა ლოდებაჲ?"

ჰრქუა მას ბალაჰვარ: „ეგრეთ არს, არამედ არა ჯერ-არს იჭჳ პირველისა მისთჳს, რომელი ესწაოს კაცსა, არამედ იღუაწოს აღებად მსგავსისაჲ მის პირველითა მით სწავლულებითა, სახითა და შეტყუებითა გონებისაჲთა".

შემოწმების საშუალება, ვიდრე ის, ვინც მოწმისა და საქმის ცოდნის გარეშე იღწვის, რადგან პირველი სიმართლის საძირკველზე დგას და შეცდომას განიშორებს, ცოდნისა და მოწმის გარეშე საქმის მოქმედი კი უეჭველად ცდება. ასევეა წუთისოფლის საქმეები: შეუცნობის შესაცნობად კეთილის-მოქმედთათვის საკმარისია ერთგულებით მოღვაწეობა იმაში, რაც იცის და ბოროტების მიტოვება, როდესაც შეიცნობს. ამგვარად, ერთნაირად მოსწრაფე უნდა იყოს კეთილის მსახურებაშიც და ბოროტის მოძულებაშიც, და თუკი ამგვა-რად მოიქცევა, უფალი გაუღებს მას სიბრძნის კარს და აუწყებს მის ნებას და კაციც ადვილად დაძლევს ეშმაკისაგან დაგებულ ძნელ განსაცდელებს.

ჰკითხა იოდასაფმა:

– როგორ შეიძლება კაცმა ერთგულად, გულმოდგინედ დაიცვას რჯულის მცნებები?

მიუგო ბალავარმა:

– ეს მაშინაა შესაძლებელი, თუ კაცი გულიდან გააგდებს მის ნებაზე მოძალადესა და გულისთქმების აღმძვრელს; თუკი დაიცავს მცნებებს და შეიძენს ჭეშმარიტ მოთმინებასა და სასოებას. და თუ ამგვარად მოიქცევა, შეიძენს ცოდნის ნაყოფს და ღმერთი გაათავისუფლებს მას მწუხარებისა და ეჭვებისაგან.

ჰკითხა იოდასაფმა:

– ყოველ მსგავს შემთხვევაში ადამიანს ლოდინი ჰმართებს?

უპასუხა მას ბალავარმა:

– რა თქმა უნდა. კაცმა ეჭვი არ უნდა შეიტანოს იმაში, რაც პირველად ეცნობება, მაგრამ არც ძალისხმევა უნდა დაიშუროს, რომ კიდევ უფრო გაიღრმაოს ცოდნა პირველბოძებული სწავლებით, იგავებითა და განსჯის გზით.

ჰკითხა იოდასაფმა:

ჰრქუა იოდასაფ: „ვითარ იტყჳ, უკუეთუ ვინმე განიკითხვიდეს მსგავსთა მათ ყოვლითა შრომითა და გონებითა თჳსითა და ვერ გამოცნას ჭეშმარიტი ამაოჲსაგან, **კმა ეყო დადგრომაჲ** და არღარა გამოძიებაჲ, რომლისათჳს ეგოდენ მიჰჴდის ღმერთი მსგავსთათჳს?“

ჰრქუა მას ბალაჰვარ: „კეთილ არს ყოვლისა საქმისათჳს განკითხვაჲ, და გარდასრული თუ რაჲმე ვერ ცნას, თანა-აც კეთილად განზრახვაჲ და გულსმოდგინედ ძიებად წინამდებარისა საქმისათჳს, ვიდრემდის განუქარდეს მსგავსი იგი წამებითა ჭეშმარიტითა, ანუ მას შინა ჟამთაცა გარდასლვითა გამოეცხადოს. ხოლო ნუმცა სასოწარკუეთილ არს მას შინა ღმრთისა მიმართ და მისმიერსამცა მოელის გამოცხადებასა, და ნუმცა დაჰბრკოლდების ძიებასა მისსა გულსმოდგინედ, რამეთუ ოდესმე გონებაჲ დაბრკოლდის პირველ შემთხუევასა საქმისასა. ხოლო ოდეს მოთმინებით მოიქცის, კუალად გულსმოდგინედ განიკითხავნ **კეთილთა** სასოებითა და გამოცდილებითა გარდასრულთა საქმეთა მათ, წინამდებარესა მას იჭუსა მოუჴდის. მაშინ ღირს-იქმნის აღებად იჭჳ მსგავსისაჲ მის, ვიდრემდის დაინახის კარი შესავალი და არა შესცთის უგზოსა. და მერმე არა შეუგავს ბრძენსა, უკუეთუ ერთი რაჲმე კარი ვერ ცნას სწავლულებისაჲ, თუმცა მის გამო უსასო-იქმნა ცნობასა მეორისასა. და არცა უმეცრებისათჳს ერთისა რაჲსამე საქმისა შეუგავს განტევებაჲ ცნობილისაჲ მის საქმისაჲ, რამეთუ არა ყოველსა, რომელსა ეძიებნ კაცი, მისწუთის მეცნიერებასა, და არცა ყოველი, რომელი ცნის, ირგის, და არცა ყოველი უმეცრებაჲ მავნებელ არს. ხოლო უმტკიცესნი საბრჴენი ეშმაკისანი ორნი არიან: პირველი ესე, რაჲთა შეუგდოს გულსა კაცისა ბრძენისასა,

– თუკი ვინმე მთელი გულმოდგინებით ეცდება მსგავსთა* შორის ჭეშმარიტების სიყალბისაგან გამორჩევას, მაგრამ ვერ შეძლებს, როგორ უნდა მოიქცეს? შეწყვიტოს მცდელობა და მხოლოდ იმ მსგავსებით (რაც განყოფილთათვის საერთოა) დაკმაყოფილდეს?!

უპასუხა მას ბალავარმა:

– გამოძიება-გარკვევა ყოველ საქმეში სასარგებლოა, მაგრამ თუ წარსულში ვერ გაერკვევა ადამიანი, ევალება, კარგად განსაჯოს და გულმოდგინედ გამოიძიოს წინამდებარე საქმე, ვიდრე უტყუარად არ გაეფანტება ეჭვები ან ვიდრე დროთა განმავლობაში თავად არ გაეცხადება ჭეშმარიტება. მთავარია, ღვთის რწმენა და იმედი არ დაკარგოს კაცმა, სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდეს, ღვთისგან მოელოდეს შემწეობას, ამიტომ ჭეშმარიტების გულმოდგინე ძიება არ უნდა შეწყვიტოს და დაიზაროს, რადგან პირველ ხანებში გონებას ბევრი წინააღმდეგობა შეიძლება შეხვდეს, დაეჭვდეს კიდეც, მაგრამ მოთმინებისა და იმედის გულმოდგინე და დაუზარელი მცდელობის გამო მისივე გამოცდილებით გაუფანტავს ეჭვებს უფალი. კაცს ეჭვები მანამ ტანჯავს, სანამ შესასვლელ კარს დაინახავს. მაშინ ამ ეჭვთაგან გათავისუფლდება კაცი, რაკი შესასვლელ კარს იპოვის და გზას არ ასცდება. გონიერ კაცს არ შეჰფერის, რომ თუკი სიბრძნის ერთ კარს ვერ შეაღებს, ამის გამო მეორე კარის გაღების იმედიც დაკარგოს; არც რომელიმე საკითხის ვერგაგების გამო უნდა უარყოს ის ცოდნა, რაც მანამდე შეუძენია, რადგან ის, რის შესწავლასაც ესწრაფვის ადამიანი, ყოველთვის როდი ექვემდებარება სრულ შეცნობას! ხშირად არც უკვე დაგროვილი ცოდნა არგია კაცს და არც ყოველგვარი უცოდინრობაა დამღუპველი. ეშმაკი უმეტესად ორ უმთავრეს საცდურს უგებს ადამიანს. პირველი ესაა: ბრძენ კაცს ჩააგონებს, რომ

* იგულისხმება განყოფილთა სარწმუნოებრივი მსგავსება, ე.ქ.

რამეთუ ვითარმედ არა არს შენ თანა სიბრძნე და არცა გონიერებაჲ, და არარაჲ სარგებელი არს სწავლულებასა შინა და არცა უმეცრობაჲ დააბრკოლებს რას კაცსა. და უჩუენის ვინმე კაცი მიშუებული სოფელსა შინა და ეტყჳნ: "აჰა ეგერა ესოდენთა პატივთა მიემთხჳა ისი და დიდებაჲ მოიგო თჳნიერ სწავლულებისა. და შენ რაჲსათჳს დაშჯი თავსა შენსა და აშთობ ჭირითა? არამედ სუ და ჭამე და იშუებდ, რამეთუ ხვალე მოჰკუდები, და ნუ მოიხდი ნეფსით სიკუდილსა პირველ მოწევნამდე მისა შენ ზედა ჟამსა თჳსსა". და ამით და ესევითარითა მახჳლითა განსწონ[ნ] გულსა მისსა და ამით დაა-ბრკოლებნ ძიებისაგან სწავლისა, და ფართოებასა შეახედვებნ, რაჲთა მის ძლით მოინადიროს ჩუეულებითა საშუებელთაჲთა და ზრზენითა გულისთქუმათაჲთა. და უკუეთუ ამით ვერ სძლის და იხილის, რამეთუ მოთმინე იქმნა, მიივლტინ მეორისა მის ისრისა [განჴურვე]ბულისა. ოდეს ცნის, ვითარმედ მარცხენით-კერძონი იგი საბრჴენი შეუსწავლიან, მოუჴდის მარჯუენით-კერძოსა მას აბჯარსა მისსა და მსგავსითა იწყის ბრძოლად მისა, რომელი მას არა შეუსწავლიედ. და დასცის მი[ს] ზედა სული მოწყინებისაჲ, ვიდრემდის მოაძულვის ყოველი იგი, რომელი უქმნიედ მოღუაწებაჲ, და საწუნელად აღუჩნნ თავსა თჳსსა და შეურაცხად და უგუნურად, და აჩუენებნ ცნობასა მისსა და სიძულილი შთაუგდის მოყუსისა და მასწავლელისაჲ და ეტყჳნ: "ვერ ჴელ-გეწიფების განსრულებად საქმესა ამას შინა და ვერ თავ-ადგამ და ვერცა გიძლავს ტჳრთვად კანონთა. აწ რაჲსათჳს აჭირვებ თავსა შენსა და დააშრო[ბ], რომელსა ვერ მისწუთები?" და ამას თანა ეტყჳნ: "უკუეთუ კეთილად გნებავს სრულყოფაჲ და არა უტყუვი ღმერთსა, იმარხე ორმეოცით და ნაცრითა და ძაძითა და ტირილითა მარადის იქცეოდე". ესევითართა ძნელოანთა აწუევნ, ანუმცა მოაწყინა და შეაურვა და მით ჩაჭრა, ანუ მეტად აღამაღლა და მერმე ქუეყანად დააკუეთა. და ამით ურვითა დააბნელის გონებაჲ მისი და ვერღარა უძლავნ განკითხვაჲ

გამოუსადეგარია მისი სიბრძნე და გონიერება, და რომ სინამდვილეში არც ერთი გააჩნია და არც მეორე, რომ უგუნურება და უსწავლელობა სულაც არ არის დამაბრკოლებელი კაცისთვის; იმავდროულად, აჩვენებს მას წუთისოფლის დინებას მიშვებულ კაცს და ეტყვის: აი, უცოდინრობითა და უსწვლელობით მიაღწია მან პატივსა და დიდებას, შენ კი რას ისჯი და იტანჯავ თავს? სვი, ჭამე, მოილხინე, რადგან ხვალ ისედაც მოკვდები, შენივე ხელით კი დროზე ადრე ნუ მოიკლავ თავს. ამ და მსგავსი მახვილით გმირავს კაცის გულს ბოროტი და გულს უცრუებს სწავლაზე, შემდეგ სიმდიდრეს შეახედებს, რათა მისით მოინადიროს, განცხრომისაკენ მოდრიკოს და გულისთქმები აღუძრას. თუკი ამითაც ვერ ძლევს და მის მოთმინებას დაინახავს, მაშინ მეორე იარაღს – ცეცხლოვან ისარს მიმართავს. როგორც კი დარწმუნდება, რომ მის მიერ აქამდე დაგებულ ყველა საცთურში გაერკვა კაცი, მსწრაფლ მეორე მხრიდან შემოუბრუნებს, რათა ახალი, მისთვის უცნობი ხერხებითა და საშუალებებით შეებრძოლოს. ეშმაკი სასოწარკვეთილების სულს დაატეხს კაცს თავს, აიძულებს, მთელი მისი წარსული მოღვაწეობა სისულელედ მიიჩნიოს და უარყოს, გამოუსადეგრად, შეურაცხად და უგუნურად დაანახოს თავი. მაშინ საღ განსჯას დაგმობს კაცი, მოყვასის მიმართ სიძულვილით აღევსება გული, შეიძულებს გზის მიმთითებელსაც და ჩააგონებს მას ეშმაკი: შეუძლებელია თავი გადაირჩინო, შენ ვერ შეძლებ ამას, შენ არ შეგიძლია იტვირთო კანონის* სიმძიმე, რატომღა იტანჯავ თავს და ცდილობ იმის მიღწევას, რასაც ვერ შეძლებ? იმავდროულად, ეტყვის: თუკი მართლა გსურს სრულყოფილებას მიაღწიო და ერთგულება უჩვენო ღმერთს, იმარხულე ორმოცი დღე, ნაცარი დაიყარე თავზე, ძაძა შეიმოსე და განუწყვეტივ იგლოვე და ივაგლახე. ამგვარი

*იგულისხმება რჯულის მცნებები, ე. ქ.

საქმეთა წულილადთაჲ. და ვერ დაუთმენნ ეგევითართა გულისსიტყუათა. და ამათ ორთა ისართაგან მრავალნი წყლულნი და მომწყდარნი არიან კაცთა შორის, ამისთჳს რამეთუ სული მალე არს შეწყნარებად წინააღმდგომთა ნაყოფთა გონებისათა, რამეთუ გონებაჲ და ნებაჲ მჴდომ არიან ურთიერთას და მარადის ბრძოლაჲ დამკჴდრებულ არს შორის მათსა სულსა ზედა, და ნებაჲ მეგობარ არს სულისა, ხოლო გონებაჲ მაჭირვებელ, რამეთუ ნებამან [აი]ხუნა სულისაგან ყოველნი სიმძიმენი და წინაუყენა ყოველნი საწადელნი გულისსათქუმელნი და არას მოიჴსენებნ ზრუნვასა და შიშსა, ხოლო გონებამან შეაყენა იწროებასა და ჭირით ასწავა ცხორებაჲ და მიუხუნა გულისთქუმანი და ამხილა ვნებაჲ და ტანჯვაჲ მომავალი სიფართით და შუებით ცხორებათა ზედა, და შეანანა უდებებაჲ [ბ]ირველი და ამხილა მოწევნადი. ხოლო სული მიდევნებასა ნებისასა უმოსწრაფე არს, არამედ შეკრებული საცთურთავე ამათ ნებათაჲ არიან ორნი საქმენი. პირველად ესე, რაჲთა დაიჭიროს თავი თჳსი **ყოვლისაგან ურგებთა**, ხოლო მეორე ესე, რაჲთა ფრიად გწადოდის და მოსწრაფე იყო მცირედისა მისთჳს კეთილისა, რომელ მოიგე, გულსმოდგინედ ეძიებდე, რომელსა ვერ მისწუეთ. ესე შეიკრძალე და ესე შეისწავე, და ამით შეიჭურე და უფალი ღმერთი მამაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი იყავნ შემწედ შენდა ყოველთა შინა საქმეთა შენთა, რამეთუ არა არს ძალი და ღონე, გარნა იესუ ქრისტეს მიერ, რომელსა ჰშუენის დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ".

მძიმე ღვაწლისაკენ უბიძგებს კაცს, რათა მისი ჩაგონებით აღტყინებულს, შემდეგ ან მოაბეზროს ყოველივე, მოაწყინოს და იმედდაკარგული სასოწარკვეთილებაში ჩააგდოს, ან, პირიქით, დიდი წარმოდგენა შეუქმნას საკუთარ თავზე, რათა უსაზღვროდ მაღლა ასწიოს და შემდეგ უფრო ძლიერად დააკვეთოს მიწაზე. ასეთი განსაცდელით ბოროტი კაცს გონებას იმგვარად უბნელებს, რომ მას აღარც საღი განსჯის უნარი შესწევს და ვეღარც ამ გამოცდას უძლებს.

ამ ორი ისრით ბევრია დაჭრილი კაცთა შორის და ბევრიც მოკვდინებული, რადგან გონება მალე ითვისებს სულის საწინააღმდეგო ნაყოფს. გონება და ნება (კეთილნებელობა) ერთმანეთს ეწინააღმდეგება განუწყვეტლივ. მუდმივი მტრობაა მათ შორის სულისათვის. ნება სულის შემწე და მეგობარია, გონება კი მისი მოწინააღმდეგეა, ნება ყოველგვარი სიმძიმისაგან ათავისუფლებს სულს და თავად ტვირთულობს მათ, არც საზრუნავს გაურბის და არც შიში აწუხებს, ხოლო გონება სულს ავიწროებს და აჭირვებს, თავს ახვევს გულისთქმებს, ახშობს სასარგებლო სურვილებს და უზრუნველ და ფუფუნებით ცხოვრებას სთავაზობს. სული ნებას უფრო ემორჩილება, ვიდრე გონებას, მაგრამ ვნებათა საცთურიდან და გულისთქმათა ტყვეობიდან თავდახსნა სულის სახსნელად ორი გზით არის შესაძლებელი: პირველი – უნდა მოიძულო ყველაფერი, რაც უსარგებლოა და მეორე – დაუცხრომლად და გულმოდგინედ ეძიო ის, რასაც ჯერ კიდევ ვერ მიწვდომილხარ და მთელი არსებით გსურდეს თუნდაც მცირედი მადლის მოპოვება.

ეს გაითავისე და დაიხსომე, ამ აზრით აღიჭურვე და უფალი შეგეწევა ყოველ კეთილ საქმეში, რადგან არ არსებობს სხვა შემწე, გარდა იესო ქრისტესი, რომელსაც შვენის დიდება მამით და სულიწმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

30. ჰრუა იოდასაფ: „მესმა შენგან სიტყუაჲ, და გამოთქუმაჲ ღმრთისა დიდებისათჳს. აწ შესძინე კუალად უგანცხადებულესადრე, რომელ ვითამცა თუალითა მიჩუენებ“.

ჰრქუა ბალაჰვარ: „გამოუთქუმელ არს ხატი ღმრთეებისაჲ და გონებაჲ ვერ მისწუთების გამოძიებად, ვითარ იგი არს, და ვერცა ყოველნი ენანი შემძლებელ არიან ღირსებით ქებად მისა, და მიუწდომელ არს დაბადებულ[თა]გან მეცნიერებაჲ მისი, გარნა რომელი მან გამოუცხადა მათ პირითა წინაჲსწარმეტყუელთაჲთა, რამეთუ ვერვინ უთხრას მისთჳს კაცთა, გარნა რომელი უწინარე საუკუნეთა იშვა მისგან უფალი იესუ ქრისტე, რომელი გამოვიდა მისგან, მან გამოთქუა იგი, რამეთუ თუალთშეუდგამ არს ხატი მისი, და წინაჲსწარმეტყუელთა წამეს მისთჳს და არწმუნეს კაცთა უფლებაჲ მისი ნიშებითა და სასწაულებითა, რომელი მოსცა მათ, რომელი ვერვის სხუასა ძალ-უც ჩუენებად ეგევითარისა ძალისა, რამეთუ ყოველსავე ნებასა მისსა იქმს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, ზღუათა და ყოველთა უფსკრულთა“.

ჰრქუა იოდასაფ: „რაჲ დაამტკიცებს ცნობასა ღმრთისასა?“ ჰრქუა ბალაჰვარ: „ცაჲ და ქუეყანაჲ და ყოველი, რომელი დამკჳდრებულ არს შორის მათსა, სულიერნი და გუამნი. და უკუეთუმცა იხილე ჭურჭელი რაჲმე შექმნული, დაღაცათუმცა მოქმედი მისი არა ჰნახე, სწამემცა, ვითარმედ უვის შემოქმედი. ეგრეთვე ნაშენები, დაღაცათუმცა მაშენებელი მისი ვერ იხილე, არამედ გონებაჲ წამებს, ვითარმედ უვის მაშენებელი. ხოლო მე, რაჟამს ვიხილე თავი ჩემი და განვიცადე საკჳრველად აგებულებაჲ ჩემი, დაღაცათუ ვერ ვიხილე შემოქმედი ჩემი, უწყი, რამეთუ მან დამბადა, ვითარცა უნდა, და გამომსახა, ვითარცა ინება, თჳნიერ

30. უთხრა იოდასაფმა ბალავარს:

– მოვისმინე შენგან ღვთის ქება და დიდება, უფრო მეტად გაცხადდა ჩემთვის მისი აღმატებულება, თითქოს საკუთარი თვალით მეხილოს.

ბალავარმა კი განაგრძო:

– გამოუთქმელია ღვთის დიდება და მიუწვდომელია იგი გონებისათვის, გამოუკვლეველია მისი გზები და ენას არ ძალუძს მისი ღირსად ქება. ქმნილება უძლურია შეიცნოს და ადიდოს ღმერთი. მხოლოდ ღვთის ძეს, ვის შესახებაც წინასწარმეტყველთა პირით წინასწარ განუცხადა ღმერთმა კაცობრიობას და რომელიც მამისაგან იშვა საუკუნეთა უწინარეს, ძალუძს აუწყოს ადამიანებს მამის შესახებ, რადგან თვალშეუდგამია ხატი ღმრთეებისა. წინასწარმეტყველებმა დაამოწმეს უფლის შესახებ და მის ძალმოსილებაში დაარწმუნეს ადამიანები იმ ნიშნებითა და სასწაულებით, რომელთაც მისი სახელით აღასრულებდნენ. უფალმა უბოძა მათ ეს ნიჭი, რამეთუ ყოველივე მის ნებას ემორჩილება ცაში და ქვეყანაზე, ზღვებსა და უფსკრულებში.

უთხრა იოდასაფმა:

– რა ამტკიცებს ღვთის არსებობას?

მიუგო ბალავარმა:

– ცა და ქვეყანა, და ყოველივე, რაც მათ შორისაა – ცოცხალი და არაცოცხალი. თუ ხედავ რაიმე ქმნილებას – ვთქვათ, გაკეთებულ ჭურჭელს, მაგრამ ვერ ხედავ მის გამკეთებელს, დარწმუნებული იყავი, რომ მას ჰყავს შემოქმედი. ასევე, თუკი ხედავ შენობას, მაგრამ ვერ ხედავ ამშენებელს, გონება დაგიდასტურებს, რომ მასაც ჰყავს მაშენებელი. მეც, როცა ვიხილე საკუთარი თავი და ჩემი სხეულის განსაცვიფრებელი აგებულება, ვერ დავინახე ჩემი შემქმნელი, მაგრამ მივხვდი, რომ მყავს შემოქმედი, რომელმაც იმგვარი დამბადა, როგორადაც თავად სურდა, და

კითხვისა ჩემისა. და უკუეთუმცა მე ვიყავ დამბადებელი თავისა ჩემისაჲ, უმეტესმცა ვყავ [ყოველთა] დაბადებულთა სიშუენიერითა ტანისაჲთა და სისრულითა ჰასაკისაჲთა, არამედ მან დამბადა, ვითარცა ინება, უმეტეს მყო მრავალთა დაბადებულთა მისთა და უნაკლულეს ზოგთა. და მერმე გულისჴმა–ვყავ ამითცა, რამეთუ განმიყვანებს ამის ცხორებისაგან თჳნიერ კითხვისა ჩემისა. და ვხედავ საქმეთა მომავალთა ჩემ ზედა, სადაჲთ არა უწყ[ი], და ვერ ვიცი საზომი ცხორებისა ჩემისაჲ და რაჲ შემემთხუევის ბოროტი მას შინა. და ვჰხედავ ყოველსავე კაცსა ესრე სახედ, ვითარცა თავსა ჩემსა, რამეთუ ვერვინ [შემძლებელ არს] შემატებად გინა მოკლებად ჰასაკსა თჳსსა[27], არცა მიცვალებად დაძუელებულისა და ვერცა კუალად შედგმად, თუ რაჲმე მოჰვარდეს მისგანი. ვერ შეუძლეს ამას მეფეთა მეფობითა მათითა და ვერცა ბრძენთა სიბრძნითა მათითა, და ვერცა მარჯუეთა სიმარჯჳთა თჳსითა და ვერცა ძლიერთა ძალითა თჳსითა. და მერმე ვჰხედავთ შემოსლვასა ღამისასა შემდგომად დღისა და მოწევნასა დღისასა შემდგომად ღამისა და ქცევასა სამყაროჲსასა. ამის გამო ვცანთ, რამეთუ დაბადებულთა ამათ უვის დამბადებელი, რამეთუ არა მსგავს არს მათა. და უკუეთუმცა მსგავსი მათი იყო, იყომცა ვითარცა ერთი მათგანი და მის ზედაცამცა მოიწეოდეს მოწევნად, რომელნი თითოეულსა მათგანსა ზედა მოიწევიან. და ყოველსა რომელსა ვჰხედავთ, შექმნული არს, და ქმნულებაჲ მათი წამებს, რამეთუ რომელიმე არს შედგმულებით და რომელიმე გამოხატვით, და რომელიმე შენაწევრებული და რომელიმე ჟამთა შინა საზომით, მოკლებით და აღორძინებით, ძრვით და დაყუდებით. არარაჲსაგან დაჰბადნა და თჳნიერ მაგალითისა გამოსახნა. თქუა: "იყავნ", და იყენეს. და

იმგვარად გამოსახა ჩემი გარეგნობა, როგორადაც თავად ნებავდა, და არაფერი უკითხავს ჩემთვის ამის შესახებ. ხოლო მე რომ თვითონ ვყოფილიყავი ჩემი თავის დამბადებელი, შევქმნიდი მას ყველა ქმნილებაზე უფრო ლამაზსა და წარმოსადეგს, მაგრამ მან, ვინც მე შემქმნა, იმგვარად ინება, რომ ზოგ ქმნილებაზე უკეთესი ვყოფილიყავი და ზოგიერთ მათგანზე უმდარესი. მერე ისიც შევიტყვე, რომ ჩემთან შეთანხმების გარეშე წამიყვანს ამ ცხოვრებიდანაც. ვხედავ, რომ რაღაც უნდა ვაკეთო, მაგრამ რა და როგორ, თავად არ ვიცი, არც ის ვიცი, რამდენ ხანს ვიცხოვრებ და არც ის, რა განსაცდელი ან უბედურება მელის წინ. სხვა ადამიანებიც მე მგვანან, არავის შეუძლია თავის სიმაღლეს შეჰმატოს ან დააკლოს ერთი მისხალი, არც თავის ახლად შობა შეუძლიათ, არც დაბერებულ-დაჩაჩანაკებული სხეულის განახლება და არც დაკლებული სხეულის ნაწილის აღდგენა. ეს არც მეფეებს შეუძლიათ თავიანთი ხელმწიფებით და არც ბრძენთ თავიანთი სიბრძნით, არც ხელმარჯვე ოსტატებს თავიანთი სიმარჯვით და არც ძლიერთ თავიანთი ძალით.

ასევე ვხედავთ, რომ დღეს ღამე ცვლის და ღამეს - დღე, ვხედავთ სამყაროს წრე-ბრუნვასაც და ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ სამყაროს ჰყავს შემოქმედი, თუმცა კი თავად თავის ქმნილებებს არ ემსგავსება, რადგან მათ რომ მსგავსებოდა, თავადაც ერთი ქმნილებათაგანი იქნებოდა და მასზეც იგივე მოიწეოდა, რაც ქმნილებებზე.

ყველაფერი, რასაც ვხედავთ, ქმნილებაა. და მათ შექმნილობას ადასტურებს ის, რომ ზოგი შენაწევრებით არის შექმნილი, ზოგი - დაყოფით, ზოგი - შეერთებით და ზოგიც - დროის საზომით, ზოგი დღემოკლეა და ზოგი - დღეგრძელი, ზოგი მოძრავია და ზოგიც - უძრავი. არაფრისაგან შექმნა ყოველივე და ნიმუშთა გარეშე გამოსახა; თქვა: „იყავნ“ და იქმნა. თუკი ინებებს – ყველაფერს ბოლოს მოუღებს და თუ

ოდეს უნდეს, აღასრულნეს ყოველნი. და მერმე კუალად-
აღადგინნეს, ვითარცა პირველ იყვნეს. ბრძანებაჲ მისი უგანმ-
კუეთელეს არს უფროჲს მახჳლისა ორპირისა და უმალეს არს კამ-
კამებასა ელვისასა, მოიყვანნის და მოვიდიან, და განაქარვნეს და
განქარდენ, და კუალად-მოაგნეს და მოეგნენ, [და] კურთხეულ
არს და დიდებულ, და უფროჲსად ამაღლებულ სახელი სამებისა
წმიდისაჲ უკუნისამდე“.

31. თქუა იოდასაფ: „ყოველი, რომელი სთქუ განგებისათჳს
დაბადებულთაჲსა, ვითარმედ თჳნიერ მისა არარაჲ იქმნა,
შევიწყნარე, რამეთუ დამასაჯე ჭეშმარიტითა წამებითა და
განცხადებულითა სახითა, არამედ ვინაჲ სცან, ვითარმედ
აღდგომაჲ არს შემდგომად სიკუდილისა და მიგებაჲ კეთილისა და
ბოროტისაჲ?“

ჰრქუა ბალაჰვარ: „ორთაგან საქმეთა საცნაურ არს, რამეთუ
განწვალებულ არს ცხორებაჲ მორჩილთა და ურჩთაჲ სოფელსა
ამას შინა, და რამეთუ ვჰხედავთ მრავალთა ურჩთა, შუებით და
დიდებით და განსუენებით განჰვლიან სოფელსა ამას, და
მრავალნი მორჩილნი სიგლახაკით და შეურაცხებით და ჭირით
განვლენან ამიერ სოფლით, უწყი, რამეთუ მართლმსაჯულმან მან
ოდეს არა ადიდნა მორჩილნი მისნი სოფელსა ამას შუებითა და
პატივითა, მერმესა მას სასუფეველსა განუმზადებიეს მათთჳს
პატივი წარუვალი, უკუეთუ არა ურჩებაჲმცა არა ვნებაჲ იყო და
არცა მორჩილებაჲ სარგებელ მოქმედთა მათთაჳს. ხოლო მეორედ
ამით საცნაურ არს ქადაგებითა მოციქულთაჲთა, რამეთუ
ახარებდეს კაცთა მისაგებელსა საუკუნესა მორჩილთათჳს და
განაკრძალებდეს სატანჯველისათჳს საუკუნოჲსა ურჩთა. და მე
შევიწყნარე წამებაჲ მათი დაფარულსა ზედა ამისთჳს, რამეთუ
აჩუენეს ნიშები და სასწაულები, რომელი ვერვის კაცთაგანსა

მოისურვებს, კვლავ აღადგენს პირვანდელი სახით. ორპირ
მახვილზე უფრო ბასრი და გაელვებაზე უსწრაფესია მისი
განგება, ბრძანებს მოყვანებას და მოვლენ, ბრძანებს გაქრობას
და გაქრდებიან, ბრძანებს განახლებას და განახლდებიან.
კურთხეულია და დიდებული, უმეტესად ამაღლებული წმინდა
სამების სახელი უკუნისამდე. ამინ.

31. უთხრა იოდასაფმა ბალავარს:

– სარწმუნოა, რაც დაბადებულთა განგებულებისათვის
თქვი, შენმა საუბარმა მტკიცედ დამაჯერა, რომ ყველაფერი
ღმერთმა შექმნა და მისი ნების გარეშე არაფერი ხდება.
მაგრამ საიდან იცი, რომ მკვდრეთით აღდგომა იქნება და
კეთილსა და ბოროტს მათი საქმეების მიხედვით მიეზღვება?

მიუგო ბალავარმა:

– ორი რამ ცხადყოფს ამას: წუთისოფელში
სხვადასხვაგვარად ცხოვრობს ღვთის ურჩი და ღვთის
მორჩილი. განსხვავებულია მათი ყოფა. ვხედავთ, რომ
მრავალი ურჩი შვებაში, განცხრომასა და ფუფუნებაში
განლევს წუთისოფელს, ხოლო ღვთის მრავალი მორჩილი
სიგლახაკით, შეურაცხყოფითა და გაჭირვებით ტოვებს
წუთისოფელს. მართლმსაჯულმა უფალმა მიწიერ პატივსა და
დიდებას განაშორა თავისი მორჩილები, რადგან თავიანთ
სასუფეველში ჰქონდა გამზადებული მათთვის წარუვალი
პატივი, თუმცა კი წუთისოფლისთვის მათი მორჩილება არ
იყო სასარგებლო, ისევე, როგორც ურჩთა თვითნებობა არ იყო
ზიანის მომტანი. მეორე მხრივ, ჩვენთვის სარწმუნოა
მოციქულთა ქადაგებები. ისინი აუწყებენ ღვთის მორჩილებს,
საუკუნო განსასვენებლის შესახებ, ღვთის ურჩებს კი
აფრთხილებენ, რომ მათნაირთათვის საუკუნო სატანჯველია

ველ-ეწიფების ეგევითარისა ძალისა ჩუენებად გარნა ძალითა მხ-ოლოდსა ღმრთისადთა“.

32. ჰრქუა იოდასაფ: „მითხარ-ღა, ოდეს მოციქულნი ესე კაცნივე არიან მათისავე ნივთისაგან და მათითავე სახითა, ვითარ განჰყოფ კაცთაგან, და ვინადთ უწყი, თუ ჭეშმარიტსა იტყჳან?“

ჰრქუა ბალაჰვარ: „ამით უწყი ჭეშმარიტებად სიტყჳსა მათისად, რამეთუ განეყენეს სოფელსა ამას და მყოფთა სოფლისათა, და წინააღუდგებოდეს ნებათა მისთა, და უჴმობდეს სიმართლისა დამორჩილებად ყოველსა შინა საქმესა: გულისწყრომასა და მშჳდობასა, და სიგლახაკესა და სიმდიდრესა, სიმდაბლესა და სიმაღლესა, და მომდოფრებასა გზათაგან მძლავრთადსა, და სასწორად სიმართლისად შორის პატიოსანთა და უპატიოთა, და მოთმენად შურისგებისა, და დატევებად ნებისა და დათმენად ჭირისა, და ტჳრთვად მცნებათა და თავსდებად საშჯელი სამართალი, ვიდრე **მიედგას** კაცსა. და მას შინა არიან სიმძიმენი ტჳრთისანი გარდარეულნი, და უღელი მაჭირვებელი და იწროდ წინაშე მათსა. ხოლო უკუეთუმცა იყენეს ცრუმოწამენი ღმრთისანი და მტყუვარნი, არამცა ესევითართა საჭიროთა და იწროთა გზათა ავლინებდეს კაცთა, არამედ უფროდსმცა წინა-უყოფდეს მათ, რომელი-იგი შეაშუს ბუნებასა კაცთასა, და ვრცელი იგი გზად და ფართოდ კარიმცა უჩუენეს, რომელ არს საწადელი თუალთად და სანებელი გულთად, და მი-მცა-უშუეს შუებათა და გულისთქუმათა მიმართ და ფართოებით ცხორებად,

გამზადებული. და მე დავიჯერე მოციქულთა მოწმობა ამ საიდუმლოს შესახებ, ვირწმუნე მათი, რადგან ისინი იმგვარ ნიშებსა და სასწაულებს აღასრულებდნენ, რომელთა ქმნაც, ღვთის ნების გარეშე, კაცთაგან არავის ხელეწიფება.

32. თუკი მოციქულები აგებულებითაც და გარეგნობითაც ჩვეულებრივი ადამიანები არიან, როგორ ასხვავებენ მათ სხვა ადამიანებისაგან და საიდან იცით, რომ ჭეშმარიტებას ქადაგებენ?

მიუგო ბალავარმა:

– მათი სიტყვების ჭეშმარიტებას იმით ვხვდებით, რომ ისინი განშორებული არიან წუთისოფელს და მასში მცხოვრებლებსაც. საკუთარ ნებას უარყოფენ და ყოველ საქმეში – გულისწყრომასა და სიმშვიდეში, სიგლახაკესა და სიმდიდრეში, სიმდაბლესა და პატივში – ჭეშმარიტებისადმი მსახურებასა და მორჩილებას მოითხოვენ, გვირჩევენ, არ ვეზიაროთ ამა სოფლის ძლიერთა საქმეებს, პირუთვნელნი ვიყოთ მდიდართანაც და ღარიბთანაც, შურისძიების წადილი დავთრგუნოთ ჩვენში, საკუთარი ნება მოვიძულოთ, ჭირი დავითმინოთ, ვიტვირთოთ ღვთის მცნებები და თავს ვიდოთ სამართლიანი სასჯელი, როცა გვეწევა იგი. ამგვარი იყო თავად მოციქულთა ხვედრიც, მძიმე იყო მათი ტვირთი, უღელი კი – ვიწრო და მტანჯველი. ხოლო სიცრუის მქადაგებლები რომ ყოფილიყვნენ ისინი, ღვთის ცრუ მოწმენი და მატყუარები, ამგვარ ვიწრო და განსაცდელებით სავსე გზაზე კი არ წარუძღვებოდნენ ხალხს, არამედ იმას შესთავაზებდნენ, რაც კაცთა ბუნებას მოსწონს, – ვრცელ გზასა და ფართო კარიბჭეს უჩვენებდნენ მათ, თვალისთვის საწადელსა და გულისთვის სასურველს, ხელს არ

და ესევითარითამცა მოიმძევლნეს გულნი კაცთანი, არამცა ლოცვითა და მარხვითა და მოთმინებითა ჭირსა შინა და განსწორებითა მდიდართა და გლახაკთაჲთა განაკრთვნეს გულნი კაცთანი. ამის გამო ვცანთ, რამეთუ ჭეშმარიტსა იტყჳან და საქ-მენიცა მათნი წამებენ, რამეთუ დაბადებულთა ვერ ჴელ-ეწიფების ჩუენებად ეგევითართა სასწაულთა და ნიშებთა“.

ჰრქუა იოდასაფ: „უკუეთუმცა აღ-ვინმე-დგა კაცი და სიცრუვით იტყოდა თავსა თჳსსა მოციქულად ღმრთისა და ესესახესავე საქმესა ქადაგებდა, ვითარმცა საცნაურ იყო, ჭეშმარიტსა იტყჳს ანუ ცრუსა?“

ჰრქუა ბალაჰვარ: „დაფარულთა მისთამცა გამოაცხადნეს საქ-მენი მისნი და საქმითავეემცა მისითა დაჰჴსნა ქადაგებაჲ თჳსი, რამეთუ მოთმინებასა ასწავებენ და თჳთ ვერ მოთმინე არიან, სახიერებასა ასწავებენ და თჳთ მანკიერებასა აღასრულებენ და ვერ შემძლებელ არ(ია)ნ ყოფად სასწაულისა, რომელიმცა კაცთაგან ვერ შემძლებელ იყო ყოფად, რამეთუ უკუეთუ წინაჲსწარმეტყუელთაგანმან ვინმე შეისუენის, იპოვის წიგნთა შინა მისთა უწყებაჲ, თუ ვინმე მომავალ არნ შემდგომად მისსა“.

ჰრქუა იოდასაფ: „მაშა, უკუეთუმცა იპოვა ვინმე კაცი, რომელმან იცნოდნა წიგნნი პირველნი და საქმენი გარდასრულნი და მათ მიერმცა მეცნიერქმნულ იყო მომავალსაცა, და იცოდამცა სახელი წინაჲსწარმეტყუელისა წარსრულისაჲცა და მომავალისაჲცა, და მომავალიმცა აჩემა თავსა თჳსსა, რაჲ არს შეტყუებაჲ მისი და სიცრუვისა მისისაჲ?“

შეუშლიდნენ შვებასა და გულისთქმათა დაკმაყოფილებაში, თავადვე ურჩევდნენ ფუფუნებით ცხოვრებას და ამგვარად მოიგებდნენ ადამიანთა გულებს. მაგრამ ისინი, ამის საწინააღმდეგოდ, ლოცვასა და მარხვას, განსაცდელთა დათმენას ასწავლიან ადამიანებს. ამით გამოვიცნობთ, რომ ჭეშმარიტებას ქადაგებენ, და თანაც, მათ მიერ ჩადენილი ნიშებითა და სასწაულებითაც დასტურდება, რომ ღვთის ნების შემსრულებელნი არიან, რადგან ქმნილებას არ ძალუძს ამგვარი სასწაულების აღსრულება.

ჰკითხა იოდასაფმა:

– თუკი ვინმე სიცრუით ღვთის მოციქულად გაასაღებს თავს და თან იმას ილაპარაკებს, რასაც მოციქულები ქადაგებენ, როგორ მიხვდები, სიმართლეს ამბობს თუ ცრუობს იგი?

მიუგო ბალავარმა:

– მათ დაფარულ გულისზრახვებს მათი საქმეები გამოააშკარავებს, მათივე საქციელი გააქარწყლებს მათ ნაქადაგარს. ცრუ მოციქულები მოთმინებას ასწავლიან და თავად მოუთმენელნი არიან, სიკეთის კეთებას ასწავლიან და თვითონ უკეთურებას სჩადიან, თან არც სასწაულების ქმნა შეუძლიათ, რადგან ჩვეულებრივ კაცთათვის ეს შეუძლებელია. ამასთან, როცა ღვთის რომელიმე წინასწარმეტყველი აღესრულება, მის ნაწერებში შეიძლება ვიპოვოთ უწყება, თუ მის შემდგომ ვინ მოვა.

ჰკითხა იოდასაფმა:

– თუკი გამოჩნდება კაცი, რომელმაც იცის წმიდა წერილი, ერკვევა წარსულში და წერილიდანვე აქვს ცოდნა მომავლის შესახებ, ასევე იცის ყოფილ და მომავალ წინასწარმეტყველთა სახელები და თავს მომავალ წინასწარმეტყველად წარმოადგენს, როგორ დარწმუნდები მის თვითმარქვიობასა და სიცრუეში?

ჰრქუა წმიდამან ბალაჰვარ: „სიტყუაჲ ღმრთისაჲ უძლეველი
და ნათელი მისი დაუშრეტელი და ჭეშმარიტებაჲ მისი განუ-
ქარვებელი, რამეთუ ღმერთმან არა მოავლინის
წინაჲსწარმეტყველი ნათესავსა შორის, გარნა საცნაური ვინმე
ერსა შორის, და კაცი იგი პირველ მოვლინებისა საცნაურ არნ
სიწმიდით, ჭეშმარიტებით, სიმშჯდით, უბიწოებით ჴორცითა,
მშჯდობისმოყუარებითა. არა არნ იგი გულმწყრალ, არცა ანგაჰრ,
არცა ამპარტავან, არცაღა ყოვლითურთ საეჭუელ არნ უჯერესა
გზასა. ხოლო რაჟამს წარავლინის ღმერთმან ქადაგებად,
განაძლიერის საქმითა და სიტყჳთა. უკუეთუ პირველ ბრკუ არნ
ენითა, მიეცის მადლი აღებასა პირისასა და შემძლებელ იქმნის
ხარებად, მხილებად და ცნობად, რომელსა ვერ მისწუთეს კაცნი.
ყოველსავე სახიერებით **აღასრულებნ** და დაფარულიცა მისი
წამებნ მისთჳს. და არავინ წარემართის წინააღდგომად სიცრუით
ჭეშმარიტისა, უკუეთუმცა სიცრუვე მისი წინაჲთვე არა საცნაურ
იყო ერსა შორის. და საქმემცა რაჲმე არა ამხილებდა ტყუვილსა
მისსა, და მერმე ვერ დამტკიცნების ტყუვილითა სიმართლე და
ვერცა სიცრუვე მიზეზ და მომყვანებელ ექმნების კეთილისა
საქმისა“.

33. და განმრავლდა შესლვაჲ ბალაჰვარისი ძესა თანა
მეფისასა. ასწავებდა და ამხილებდა მას, ვიდრემდის დაჰკჳრდეს
მსახურნი მისნი და განჰკრთეს შესლვისა მისისათჳს უჟამოდ მის
ზედა. ხოლო მეფესა ეჩინა მსახურად ძისა თჳსისა და მზრდელად
კაცი ვინმე ერ[თ]გული და დასტური წინაშე მისსა, რომელსა
სახელი ერქუა ზადან. და ვითარცა ცნა ზადან საქმე იგი
ბალაჰვარისი, ეტყოდა ძესა მეფისასა ფარულად: „შენ უწყი
სადგური ჩემი წინაშე მეფისა და ადგილი ჩემი მის თანა, და არა
დამადგინა მსახურებასა შენსა ზედა, გარნა დასტურობისა და

უპასუხა მას ბალავარმა:

– ღვთის სიტყვა უძლეველია, მისი ნათელი – დაუშრეტელი, ჭეშმარიტება კი – განუქარვებელი. ღმერთი თავის წინასწარმეტყველს ერთ რომელიმე ერს კი არ მოუვლენს, არამედ მთელს ქვეყანას, და ეს კაცი გამოჩენისთანავე გამოირჩევა სიწმიდით, სამართლიანობით, სიმშვიდით, ხორცის უბიწოებით, მშვიდობისმოყვარეობით, ასეთი კაცი არ არის გულფიცხი, არც ანგარი, არც ამპარტავანი და უეჭველია, რომ არც ფართო გზით მავალი. როცა უფალი წარგზავნის მას საქადაგებლად, გააძლიერებს საქმითა და სიტყვით. თუკი ენაბრგვილია, მიჰმადლებს ენამჭევრობას და შეაძლებინებს ახაროს, ამხილოს და გულისხმააყოფიოს ხალხს ის, რაც მათთვის მიუწვდომელია. წინასწარმეტყველი ყოველივეს პირნათლად ასრულებს და მისი დაფარულიც კი მის საქმეებზე ღაღადებს. ვერავინ შეძლებს სიცრუით წინ აღუდგეს ჭეშმარიტებას, თუნდაც ეს სიცრუე ჯერ არ იყოს გამოაშკარავებული ხალხისათვის და საქმეებითაც არ იყოს მხილებული ეს სიყალბე. ვერ იქადაგება ტყუილით ჭეშმარიტება, რადგან სიცრუის მიზანი არასოდეს ყოფილა კეთილი საქმეების კეთება.

33. ბალავარმა უფლისწულთან სიარულს მოუხშირა. ასწავლიდა და წვრთნიდა მას, ვიდრე მისმა მომეტებულმა და ხშირად უდროო სტუმრობამ მსახურთა ყურადღება მიიპყრო და შეაშფოთა ისინი.

აბენეს მეფეს უფლისწულისთვის ერთგული და სანდო ვეზირი ჰყავდა მსახურად და აღმზრდელად მიჩენილი, სახელად ზადანი. როგორც კი ზადანმა ბალავარის შესახებ შეიტყო, საიდუმლოდ ჰკითხა იოდასაფს:

ერთგულობისა ჩემისათჳს წინაშე მისა, და ფრიად განკჳრვებულ ვარ საქმესა ზედა ამის კაცისასა, რომელი შემოვალს შენდა ყოველსა ჟამსა, და მეშინის, თუ მათგანი იყოს, რომელთაჲ უმძიმს მამასა შენსა და აყენებს მოსლვასა მათსა. აწ უკუეთუ კეთილისა რაჲსამე საქმისათჳს გზრახავს და არა გიმძიმს ცნობებაჲ მამისა შენისაჲ, ვაცნობო, რამეთუ ფრიად განმკრთალ ვართ და მრავალ-ფერსა ვაგონებთ მისთჳს. ხოლო უკუეთუ საიდუმლოსა რასამე გეტყჳს და არა გნებავს მიწევნაჲ მისი მეფისა, მ[ა]შა სამთაგანი ერთი ყავ ჩემ თანა: ანუ დააცადე ამიერითგან და დავფარო აქამომდისი, ანუ აგუჴადე რისხვაჲ შენი და ნუ გუაბრალებ ჩუენ და მივაწიოთ მეფისა, და შენ განემზადე სიტყჳსგებად მისა და გამოღებად თავისა შენისა, ანუ კუალად განგუაყენენ რისხვითა განცხადებულად და ითხოვე მამისა შენისაგან, რაჲთა ნაცვალად ჩუენსა მოგცნეს მსახურნი სხუანი“.

მიუგო ძემან მეფისამან და ჰრქუა ზადანს: „ყოვლისა პირველად ესე ვყო შენ თანა, ზადან, დაგსუა ჩუენ შორის ფარულად და გესმოდის სიტყუაჲ ჩუენი, რასა-იგი ვზრახავთ, და მერმე გიბრძანო, რაჲ მთნდეს ყოფად“.

და დასუა იგი შინაგან კრეტსაბმელსა ჟამსა მას, რომელსა მოვიდოდა ბალაჰვარ მისა. და იწყეს სიტყუად ურთიერთას. და ჰკითხვიდა იოდასაფ საწუთროჲსა საქმეთა. ხოლო მან მსგავსად ჩუეულებისა იწყო გამოთქუმად ამაოებასა სოფლისასა და დიდებასა საუკუნოჲსასა, და თქუა: „შეუგავს მეძიებელთა საშუებელისათა, რაჲთა აღირჩიონ საუკუნე წუთსა ამას ნასწრაფევსა ცხორებასა. და ვითარ არა გულისჴმა-ჰყოფენ, რომელნი შეყოფილ არიან საშუებელთა ამის სოფლისათა, ვითარმედ არარაჲ აქუს, ოდეს არა არს მას შინა სიმტკიცე. ანუ ვითარ უმეცარ არიან მეტნობასა წარუვალთა მათ კეთილთასა ვიდრე მცირედი ესე და შეურაცხი და მსწრაფლწარმავალი, რამეთუ არავინ **ირჩევების** სიყუარულითა სოფლისაჲთა, გარნა

– უფლისწულო, შენ იცი მამაშენის დამოკიდებულება ჩემს მომართ. შენზე ზრუნვას არ მომანდობდა, ჩემს ერთგულებასა და სანდოობაში რომ არ ყოფილიყო დარწმუნებული. მე ძალიან მაკვირვებს იმ კაცის ქცევა, ნებისმიერ დროს რომ შეუძლია შენთან შემოსვლა და მეშინია, ერთი იმათგანი არ იყოს, მამაშენს რომ მოუძულებია და თავის სამფლობელოში ყოფნა აუკრძალავს მათთვის. თუკი სასარგებლო და კეთილ საქმეებზე გესაუბრება იგი და მამის წინაშე არ გიმძიმს მათი გამხელა, ვაცნობებ მეფეს მის შესახებ, რადგან ძალიან მაფიქრებს ეს ამბავი. ხოლო თუ საიდუმლოს გეუბნება რამეს და არ გსურს ამის შესახებ შეიტყოს მამაშენმა, მაშინ ამ სამი სათხოვარიდან ერთ-ერთი მაინც შემისრულე: ან დღეიდანვე შეწყვიტე მასთან ურთიერთობა და რაც დღემდე მოხდა, არ გავამხელ; ან ნუ განრისხდები და ნურაფერში დამადანაშაულებ, თუკი მეფეს ვაცნობებ ყველაფერს, შენ კი საპასუხოდ მოემზადე და თავად იმართლე თავი მის წინაშე; ან მე დამითხოვე და სხვა მსახური გამოითხოვე მამისაგან.

უთხრა უფლისწულმა გამზრდელს:

– პირველ რიგში ასე მოვიქცეთ, ფარდის უკან დაგმალავ, რათა თავად მოისმინო, რის შესახებაც ჩვენ ვსაუბრობთ და შემდეგ გაუწყებ, რაც მნებავს.

მართლაც, ბალავარის მოსვლის ჟამს, იოდასაფმა ფარდის უკან დამალა ზადან მზრდელი, შემდეგ კი, ჩვეულებისამებრ, საუბარი გამართა ბრძენთან. უფლისწულმა საწუთროს შესახებ ჰკითხა ბალავარს, მანაც ჩვეული დამაჯერებლობით აუწყა წუთისოფლის ამაოებისა და საუკუნო ნეტარების შესახებ:

– განცხრომის მოტრფიალეთათვის უმჯობესი იყო, აერჩიათ მარადიული და უარი ეთქვათ ამაო, სწრაფწარმავალ წუთისოფელზე, მაგრამ ამსოფლიური სიამოვნებებით დატყვევებულნი, ვერ გულისხმაყოფენ, რომ არარაობაა

უგუნური, და არავინ თანაწარჰვალს მას საუკუნესა, გარნა შეცთომილი და დაჭირვებული. და ვითარ არა დაჭირვებულ იყოს, რომელი-იგი შეიკრებს, რამეთუ ჰჴდებიან ურთიერთას საფასეთა ზედა საწუთროჲსათა, რომელსა უეჭველად ჰხედვენ, რამეთუ განმავალ არს ჴელთაგან მათთა, და იციან, ვითარმედ ყოველი მსწრაფლი საშუებელი მსწრაფლვე მიიცვალების სიახლისაგან სიძუელედ და არა დადებენ საფასეთა მათთა საუკუნესა, სადა-იგი დაადგრების განურყუნელად. აწ რომელი-მე საქმე საწუთროჲსაჲ საქებელ არს, გინათუ რომელნიმე საფასენი მისნი ჰგიან უხრწნელად, ანუ ვინ კაცთაგანი უსაწყალობელეს არს მათსა, რომელნი ეძიებენ სიმდიდრესა და მთრვალ არიან გულისთქუმითა საფასეთაჲთა? რამეთუ ვითარცა გარდაერიოს აქა სიმდიდრე, ეგრეცა მუნ გარდაემატოს სიგლახაკე. და ვითარცა მოიგონ აქა პატივი, ეგრეცა მუნ - შეურაცხებაჲ და ღმრთისაგან განშორებაჲ. და სხუასაცა მრავალსა ზრახვიდეს ამას და ესევითარსა სიტყუასა.

34. და ვითარცა განვიდა ბალაჰვარ, უნდა იოდასაფს გამოცდაჲ ზადანისი, უკუეთუ სარგებელ-ეყვნესა სიტყუანი ბალაჰვარისნი. და ჰრქუა მას: „არა გესმისა, რასა მეტყჳს მტყუვარი ესე და გრძნეული, რომელსა ეგულების შეცთუნებაჲ ჩემი და განრყუნად საშუებელნი ესე საწუთროჲსანი ჩემ ზედა, და მაწუევს წინააღდგომასა მეფისასა?“

ყველაფერი, რომ მარადიული, დაუსრულებელი ნეტარება ხანმოკლე, წარმავალ სიამოვნებებზე უმეტესია. არავინ ტყვევდება წუთისოფლის სიყვარულით, გარდა უგნურისა, და არავინ წავა საუკუნო წარსაწყმედელში, გარდა გზააბნეულისა. განა გზააბნეულნი არ არიან ისინი, რომელნიც ამსოფლიურ სიმდიდრეთათვის დაობენ და ამგვარად აგროვებენ ქონებას, თუმცა დარწმუნებულნი არიან, რომ მალევე გაეფლანგებათ იგი?! გზას აცდენილებმა კარგად იციან, რომ ყოველი ახალი განსაცხრომელი ხანმოკლეა, რადგან სწრაფად ცვალებადია ყოველგვარი სიახლე და მალევე ძველდება. თავიანთ საუნჯეს ვერსად შეინახავენ საუკუნოდ ისე, რომ არ გაიხრწნას იგი. რომელი საქმეა წუთისოფელში მოსაწონი? განა რჩება მასში რაიმე გაუხრწნელი?! ან ვინ არის იმ კაცზე უფრო საწყალი, ვინც ამ სოფელში სიმდიდრეს ესწრაფვის და უგუნურებამდეა გატაცებული ქონების დაგროვებით?! ვინაიდან რამდენადაც უკიდურესად მოსჭარბდება აქ შენაძენი, იმდენად უკიდურესი სიგლახაკე მოელის შემდგომ ცხოვრებაში საუკუნოდ, რაც მეტ პატივს მოიპოვებს აქ, მით მეტი შეურაცხყოფა და ღვთისგან განშორება მოელის იქ. კარგი იქნებოდა, რომ დაფიქრებულიყვნენ ამაზე. ეს და კიდევ მრავალი სხვაც ასწავლა ბალავარმა უფლისწულს.

34. ბალავარი რომ წავიდა, იოდასაფმა ზადანის გამოცდა მოისურვა, რათა გაეგო, სასარგელო იყო თუ არა მისთვის ბრძენის სიტყვები და უთხრა:

- მოისმინე, რას მეუბნება ეს მატყუარა და გრძნეული კაცი? როგორ ცდილობს ჩემს შეცდენას? მას სურს, რომ ამსოფლიურ სიამოვნებებს განმაშოროს და მეფის წინააღმდეგ მაქეზებს.

ჰრქუა მას ზადან:„ არა გიკმს, ძეო მეფისაო, ზაკულებად ჩემ თანა და არცა არს შენ ზედა სირც[ხ]ჯლი, რამეთუ ზრახვად ესე უცხო და ნათელ არს, და ჩუენ გუასმიეს და ვიცით სიტკ[ბ]ოებად და უმეტესობად მყოფელთა მისთად. ხოლო ოდეს შეაჩუენა მეფემან და დაიცადა ქრისტეანობად, მიერითგან არღარა გუასმიეს, და რამეთუ გულნიცა ჩუენნი განეხუმიან და შეიწყნარებენ სიტყუასა ამას და უწყით რამეთუ სიუცბით დაუტევეთ და გამოვირჩიეთ წუთერთი ცხორებად. ხოლო შენ, ძეო მეფისაო, უკუეთუ გთნავს და გამოგირჩევიეს რჩული ქრისტეანობისად და შეიწყნარებ და თავს-იდებ სიმძიმესა მისსა რისხვასა თანა მეფისასა და წინააღდგომასა ერისასა და იწროებასა მოღუაწეთასა, გიხაროდენ ქრისტეს მიერ პატივსა შინა ზეცისასა და ცხორებასა საუკუნესა, ხოლო მე მიუდრეკივარ სიყუარულსა საწუთროდსასა და შიშსაცა მამისა შენისასა, არამედ არა უვარვყოფ სიდიდესა ამის საქმისასა და ვერცაღა წინააღუდგები ამისთჳს კაცთა. არამედ აწ მიბრძანე, რომლითა ჯერითა შეჰგავს გამოყვანებად ჩემი რისხვისაგან მამისა შენისა, რამეთუ დავფარე აქამომდე საქმე ესე მისგან“.

ჰრქუა იოდასაფ ზადანს, რამეთუ: „მე არა გასმინე სი[ტ]ყჳსგებად ესე ჩუენი, გარნა სარგებელისა შენისათჳს, რადთამცა შეგაკსენე სიტყუად ცხორებისად, რომელი-იგი არს სიცოცხლე გონებისად, და ერთგულებისა და სიყუარულისა შენისათჳს ვერარად მოვიგონე უდიდესი მისაგებელი ამისსა, რადთა შეგაკსენო, რომლისათჳს დაბადებულ ხარ და გაუწყო უმჯობესი თავისა შენისად; და შენ მომიგე არამსგავსი სასოებისა ჩემისად შენდა მიმართ, ხოლო საქმისა ამის დაფარვისათჳს,

მიუგო მას ზადანმა:

– ჩემთან თვალთმაქცობა არ გჭირდება, უფლისწულო. თქვენს საუბარში არაფერი ყოფილა მიუღებელი, პირიქით, საუცხოოდ ნათელი იყო ყველაფერი. ადრეც გვსმენია და გვიგრძნია ამგვარი საუბრების სიტკბო და დავრწმუნებულვართ იმათ უპირატესობაში, ვინც მას მისდევს და ისე ცხოვრობს. მაგრამ მას შემდეგ, რაც მეფემ ქრისტიანობა მოიძულა და აკრძალა, მსგავსი საუბრებიც აიკრძალა, რათა გული არ გაგვეხსნა და არ შეგვეწყნარებინა ეს სიტყვები. ვიცით, რომ ჩვენი უმეცრებით განვეშორეთ უმჯობესს და ხანმოკლე წუთისოფელი ავირჩიეთ. ხოლო შენ, უფლისწულო, თუკი მოგწონს და მტკიცედ გადაგიწყვეტია ქრისტიანობა, თუკი იტვირთავ და შეიწყნარებ მის სიმძიმეს მოღვაწეთა მაგავსად და არ შეგაშინებს მეფის რისხვა და ხალხისგან მოძულება, გაიხარებ, რადგან შეიძენ ქრისტესმიერ პატივს ზეცაში და საუკუნო ცხოვრებას! ხოლო მე დამიმორჩილა წუთისოფლის სიყვარულმა და მამაშენის წინაშე შიშმა, თუმცა არ უარვყოფ ქრისტიანობის სიდიადესა და უპირატესობას და არც მორწმუნეთა მტერი ვარ. ახლა კი მიბრძანე, მამაშენის რისხვას როგორ გადავურჩე იმის გამო, რომ ამ ყველაფერს ვუმალავდი მას.

მიუგო იოდასაფმა ზადანს:

–ჩვენი საუბარი იმისთვის მოგასმენინე, რომ რაიმე სარგებლობა მოეტანა შენთვის, მსურდა, შემეხსენებინა ცხოვრების სიტყვა, რომელიც გონებას ცხოველყოფს. შენი ერთგულებისა და სიყვარულის სანაცვლოდ სხვა ვერაფერი მოვიფიქრე უფრო დიდი მოსაგებელი, ვიდრე ის, რომ შემეხსენებინა შენთვის, თუ რისთვის ხარ დაბადებული და შენი სულისთვის უმჯობესი მერჩია. მაგრამ შენ არ გამიმართლე მოლოდინი, რადგან ისე არ შეხვდი ამ ყველაფერს, როგორადაც მსურდა, რომ შეხვედროდი. რაც

ვითარცა გნებავს, რამეთუ არა თავისა ჩემისასა ვზრუნავ რისხვისათჳს მეფისა, არამედ მეფისათჳს, რამეთუ დიდად მძიმე არს საქმე ესე წინაშე მისა და შრომასა შეამთხუევ და ბოროტისყოფად აღსძრავ მართალთა ზედა. დაფარვაჲ საქმისა ამის მებრვე ერთგულებაჲვე არს შენგან მეფისა მიმართ, რამეთუ მოცალე-ჰყო გონებაჲ მისი ურვისაგან და არა ძჳრისმახარებელ იქმნე და სასოწარკუეთილ-ჰყო შვილისაგან თჳსისა, და ამას თანა უბრალო ხარ ჩემგან".

35. ხოლო ბალაჰვარს უნდა წარსლვის საყოფლად თჳსა და იჳმნიდა ძისაგან მეფისა, ხოლო იგი ფრიად შეწუხნა და ვერ დაითმენდა განშორებასა მისსა. და ჰრქუა მას: „ვერ თავს-ვიდებ თჳნიერ შენსა ყოფასა და ვერცა განგიტეობ, არამედ წარმოვიდე შენ თანა და ერთბამად ვიყოფოდით მოყუასთა შენთა თანა".

ჰრქუა მას ბალაჰვარ: „ისმინე აწ, ძეო მეფისაო, სახე, რომელი მეგულების თხრობად შენდა, რამეთუ მასმიეს: იყო ვინმე კაცი ერთი მდიდართა წარჩინებულთაგანი და ესუა მას ყრმაჲ მცირე. და ყრმასა მას განეზარდა ნუკრი ქურციკისაჲ, და ფრიად შეკუეთებულ იყო ყრმაჲ იგი ნუკრსა მას, ვითარმედ ვერ სთმობდა თჳნიერ მისა ჟამერთცა. ხოლო ნუკრი იგი ვითარ განსრულდა, სწადოდა ველად განსლვაჲ, რამეთუ აიძულებდა ბუნებაჲ თჳსისა ველურობისაჲ. და ვითარ განვიდა დღესა ერთსა, იხილა კოლტი ქურციკთაჲ და მივიდა მათ თანა. ხოლო იგინი ჰფრთხებოდეს შინაზრდილობისა მისისათჳს და მერმე შეისუნეს ურთიერთას. და განსლვასა ჰყოფდა ჟამითი-ჟამად, რაჟამს უდებ-იქმნიან მისგან. დაეჩჳა მას ზედა და და-ცა-გჳანდის მათ თანა

შეეხება საიდუმლოს შენახვას, როგორც ისურვებ, ისე მოიქეცი. მე საიდუმლოს დაფარვით საკუთარ თავზე კი არ ვზრუნავ, რომ როგორმე მეფის რისხვა ავიცილო, არამედ თავად მეფეზე, რადგან მისთვის ამის შეტყობა მეტად მძიმე იქნება, საზრუნავს შეჰმატებ და უდანაშაულოთა წინააღმდეგ გააბოროტებ. ხოლო ამ საქმის მეფისაგან დაფარვა მის მიმართ ერთგულება იქნებოდა, რადგან მწუხარებას განა-შორებ მის გონებას, რაკი ბოროტის მაუწყებელი არ იქნები და სასოწარკვეთილებაში არ ჩააგდებ შვილის გამო. ამასთან, არც ჩემს წინაშე გექნება ბრალი.

35. ამასობაში ბალავარმა უდაბნოში დაბრუნება გადაწყვიტა და უფლისწულს გამოსამშვიდობებლად ეწვია. იოდასაფს მასთან განშორება ემძიმებოდა და ძლიერ შეწუხებულმა უთხრა მას: – არ შემიძლია შენს გარეშე ცხოვრება, არც შენი გაშვება, მეც თან გამოგყვები და ერთად ვიცხოვროთ შენს მეგობრებთანო.

მიუგო ბალავარმა:

– მოისმინე, უფლისწულო, რასაც მოგიყვები: მსმენია, რომ იყო ერთი მდიდართა შორის წარჩინებული კაცი და ჰყავდა მას მცირეწლოვანი შვილი. ყრმას ქურციკის ნუკრი გაეზარდა და იმდენად შესჩვეოდა, რომ წუთითაც ვერ ძლებდა მის გარეშე. ხოლო როცა ნუკრი წამოიზარდა, ველად გაჭრა მოისურვა, რადაგან ამისკენ უბიძგებდა მას მისი ველური ბუნება. ერთხელაც ნუკრმა ქურციკთა ჯოგი დაინახა და მათთან მივიდა. ისინი კი დაფრთხნენ, რადგან ნუკრი შინაურ ცხოველთა მსგავსდ იყო აღზრდილი. ბოლოს დაყნოსეს ერთმანეთს. ამ დღიდან მოყოლებული, ქურციკი, როგორც კი უმეთვალყურეოდ დატოვებდნენ, სახლს ტოვებდა და ჯოგს ერეოდა ხოლმე. ბოლოს გაეჩვია მოშინაურებული

მრავალგზის. და იგრძნეს შინათა მისთა განველურებაჲ მისი. ჰგონებდეს, ნუუკუე მიიზიდნ[ეს] ბუნებამან ველურობისამან და არღარა მოიქცეს მათდა. ხოლო ქურციკთა მათ იცვალეს უშორესად ადგილი, და იგიცა განჰყვის მათ თანა და უფროჲს დაგჯანდის პირველისა. მაშინ შინათა მისთა მიუდგინეს კაცი, რაჲთა ცნან საქმე მისი და ვიდრე ვიდეს. და მოიქცა კაცი იგი და უთხრა საქმე მისი და შეყოფაჲ ველურთა თანა. ხოლო იგინი ასხდეს და განვიდეს კუალსა მისსა. და ვითარ იხილეს იგი შორით, მაშინ ველურთა მათ დევნა-უყვეს, და მოინადირნეს და მოსწყჯდნეს იგინი, და მათ იგი შეიპყრეს და წარიყვანეს და შეაგდეს სახლსა შინა, და ვერღარა ჴელ-ეწიფებოდა გამოსლვაჲ მიერ.

ეგრეცა, ძეო მეფისაო, უკუეთუ გამოხჯდე ჩუენ თანა, მეშინის, ნუუკუე ეგრე სახედ შეგუხუდეს მე და მოყუასთა ჩემთა. ვერცა განვიხაროთ ჩუენ შენ თანა და ვერცა სასოებაჲ ჩუენი სრულ-იქმნეს განცოცხლებისათჯს შჯულისა, და ნუუკუე ძჯრიცა შეამთხჯოს მოყუასთა შენთა და ვერ აღასრულო ნებაჲ შენი, რომლისა შემძლებელ ხარ მისა ფარულად და ღონისძიებით, ვიდრემდის ჰპოო ადგილი, უფალსა თუ უნდეს. რამეთუ დათმენაჲ შენი ამას შინა უმახლობელეს არს ღმრთისა, ვიდრეღა-[ა]რა აღაგზნა გულისწყრომაჲ მეფისაჲ ნეშტთა მათ ზედა, რომელ დაშთომილ არიან მოწყუედად მათდა გამოსლვითა შენითა, და არა თუ ბოროტისყოფასა მისსა ვევლტით და სიკუდილსა, არამედ არა გუნებავს, თუ მიზეზ-ვექმნეთ ბოროტსა მისსა მოყუასთა ჩემთა ზედა განყვანებითა შენითა და არცა შემწე ვიპოვნეთ უშ[ჯ]ულოებასა მისსა ზედა“.

ქურციკი გარეულ ქურციკებში და დიდხანსაც რჩებოდა მათთან. შინ შენიშნეს მისი გაველურება და შეშინდნენ, მისი ველური ბუნების გამო იქნებ აღარც დაბრუნდესო სახლში. ქურციკებმა კი უფრო შორს გადაინაცვლეს. მოშინაურებულიც მათ დაჰყვებოდა და უწინდელზე უფრო გვიან ბრუნდებოდა შინ. პატრონები შეშფოთდნენ, მეთვალყურე მიუჩინეს, რათა გაეგოთ, თუ რას აკეთებდა და სად დადიოდა მათი ქურციკი . დაბრუნდა ეს კაცი და თქვა, რომ ქურციკი ველურ ქურციკებს შერეულიყო. მეთვალყურეები მის კვალს მიჰყვნენ და როცა მათი ქურციკი ჯოგში გაერია, დაედევნენ გარეულ ქურციკებს და მრავალი მათგანი დახოცეს. ბოლოს მოშინაურებული ქურციკიც დაიჭირეს, სახლში წაიყვანეს და იმგვარად დაამწყვდიეს, რომ გარეთ გასვლაც აღარ შეძლებოდა.

და მე მეშინია, უფლისწულო, რომ ჩვენც ასე არ დაგვემართოს. თუკი ჩემთან და ჩემს მეგობრებთან ცხოვრებას მოისურვებ, ვერც შენი სიახლოვით გავიხარებთ და ვერც ქრისტიანული რჯულის განცოცხლებისათვის ჩვენი სასოება სრულიქმნება და აღესრულება, ვერც წადილს აისრულებ და შენს ახლობლებსაც ტანჯვას შეამთხვევ. ახლა კი შეგიძლია ფარულად და საიდუმლოდ იღვაწო მანამ, ვიდრე, ღვთის განგებით, შენს ადგილს იპოვი. ამჟამად შენი მოთმინება უფრო სათნოა ღვთისთვის, ვიდრე ის, რომ დანარჩენი მორწმუნეების მიმართ გულისწყრომითა და რისხვით აღაგზნო მეფე, რადგან მათ შენი წამოსვლის შემთხვევაში, განადგურება მოელით. ჩვენ სიკვდილს ან მეფის რისხვას კი არ გავურბივართ, არამედ არ გვსურს ჩვენ გავხდეთ მისი დაღუპვის მიზეზი. ამასთან, შენი თან წაყვანით დავკარგავთ მის უსამართლობასთან მებრძოლ საიმედო თანაშემწეს.

36. ჰრქუა იოდასაფ: „რაჲ არს საზრდელი თქუენი, რომლითა იზრდებით უდაბნოსა მას შინა?“

ჰრქუა ბალაჰვარ: „მწუანვილი ქუეყანისაჲ აღმოცენებული ცუარითა, რომელსა ზედა არავის ვჰხედავთ მაცილობელსა და არცა ვისგან მოველით შფოთსა. ხოლო უკუეთუ მოგუაკლდის, იგიცა მოგუცის ვინმე ძმათა ჩუენთაგანმან მორწმუნეთაგანმან, რომელნი არიან სოფელსა შინა. და უღონოებასა შინა ჩუენსა ჯერ-გჯჩნ მოღებაჲ მათგან“.

ჰრქუა იოდასაფ: „წარიღე საფასე, რომლითა განერნენ მოყუასნი შენნი“.

ჰრქუა ბალაჰვარ: „ვითარ მისცემ მოყუასთა ჩემთა საფასესა და შენ უმკოდვეს ხარ მათსა, რამეთუ არავინ მისცის გლახაკმან მდიდარსა, არამედ მდიდარმან გლახაკსა, რამეთუ უგლახაკესი მოყუასთა ჩემთაჲ უმდიდრეს არს შენსა, ხოლო მე ვესავ, თუ უფალსა უნდეს, რაჲთა განმსდიდრდე და განმრავლდენ ნაყოფნი შენნი და საფასენი შენნი, და დასძჯრდე და ვერ თავს-იდებდე მიცემად მისგანსა ვისამე“.

ჰრქუა იოდასაფ: „ვითარ იყოს უგლახაკესი მოყუასთა შენთაჲ უმდიდრეს ჩემსა და შენ ფრიადსა უპოარებასა მათსა იტყოდე, ანუ ვითარ დავძჯრდე, რაჟამს განმრავლდენ საფასენი ჩემნი, და მე დღეს უხუ ვარ?“

ჰრქუა ბალაჰვარ: „არა სიგლახაკე მათი გითხარ, არამედ სიმ-დიდრე, და ძმანი იგი შენნი დაჯერებულ არიან, რომლითა განერებიან, და ზომი იგი კმა-უყოფია თავთა მათთათჯს და მას შინა დიდი შუებაჲ და სიხარული აქუს დატევებითა შუებათაჲთა უფროჲს ყოველსა სიმდიდრესა სოფლისასა. და შენცა გსურდენ ეგევითარისა ცხორებისათჯს, რამეთუ მდიდარი იგი არს, რომელსა არა უჴმს საფასე. ხოლო რომელნი ეძიებენ საფასესა და სიმდიდრესა, მდიდარ-ღა თუ არიან, არამედ გლახაკვე არიან

36. ჰკითხა იოდასაფმა:

– რითი იკვებებიან უდაბნოში?

– მიუგო ბალავარმა:

– ბალახით, მიწა რომ აღმოაცენებს ცვარით. მას არავინ გვეცილება და არც არავისგან მოველით უსიამოვნებას. ხოლო როცა ეს საზრდელიც გვაკლდება, რომელიმე ჩვენი მორწმუნე ძმათაგანი, რომელიც სოფელში ცხოვრობს, გვეხმარება და ჩვენი უძლურების გამო არც ამაზე ვამბობთ უარს.

მაშინ უთხრა მას იოდასაფმა:

– წაიღე ჩემგან განძი და შეეწევი შენს მეგობრებს.

მიუგო მას ბალავარმა:

– როგორ შეგიძლია ჩემს მეგობრებს მისცე განძი, როცა შენ მათზე უფრო ღატაკი ხარ? გლახაკს არაფერი გააჩნია, მდიდარს რომ მისცეს, მდიდარს კი შეუძლია გლახაკის დახმარება... ხოლო ჩემი უღატაკესი მეგობრებიც კი შენზე უმდიდრესნი არიან. და მე ვესავ უფალს, თუკი ინებებს, შენც გაგამდიდრებს და გაგიმრავლებს ნაყოფს, მაშინ მომჭირნე გახდები და ვინც არ უნდა გთხოვოს, ადვილად ვერავისთვის გაიმეტებ ამ განძს.

ჰკითხა იოდასაფმა:

– როგორ შეიძლება შენი უღატაკესი მეგობარი ჩემზე მდიდარი იყოს? მაშ, როგორღა საუბრობ მათ სიღატაკეზე?! ან როგორ გავძუნწდები მაშინ, როცა სიმდიდრე მომემატება, თუკი ახლაც კი გულუხვი ვარ?!

მიუგო ბალავარმა:

– მე მათ სიგლახაკეზე კი არა, მათ სიმდიდრეზე გითხრი, და ჩემს ძმებს სწამთ, რომ სწორედ მისით გადარჩებიან. ისინი კმაყოფილნი არიან იმით, რაც გააჩნიათ და ყოველგვარ მიწიერ სიმდიდრეზე მეტად ახარებთ ამსოფლიურ საშვე-ბელთა დატოვება. შენც, უფლისწულო, გულით ესწრაფე ამ-გვარ ცხორებას, რადგან მდიდარი ის არის, ვინც სიმდიდრეს

გონებითა. ხოლო მათ მეტნობაჲ აქუს სიხარულისაჲ, რამეთუ არა არიან ამის სოფლისაგანნი. და საფასენი კეთილთა საქმეთანი დაუსხმან ცათა შინა, რომელსა შენ ვერ მიწუდომილ ხარ, ხოლო მათ ნუგეშინისცემაჲ აქუს და სიხარული სოფელსა ამას და სა[ს]ოებაჲ კეთილისაჲ შესუენებულთა ამათთათჳს, რომელთა მართლმადიდებლობით წარიმართეს სიტყუაჲ იგი ჭეშმარიტებისაჲ. ხოლო შენცა მისწუთე, ენებოს თუ ქრისტესა, და განმრავლდეს ნაყოფი შენი და იხილნე ძმანი შენნი, რომელთათჳს გსურის, და იხარებდეთ ურთიერთას. და არღარა გაქუნდეს სიუხუე საფასეთა მათ ზედა, რომელნი მოიგნე მუნ. მაშინ ღირს-იქმნე სიმდიდრესა და შეკრძალვასა მონაგებთასა."[28]

ხოლო საფასე ესე, რომელ გეგულების მიცემად მოყუასთა ჩემთა, რომელ არს აღსაშფოთებელი გონებისაჲ, არა ვარ მე მო-ციქულ, თუმცა მივართჳ კუალად გესლი ამის სოფლისაჲ, რომელსა ბრძოლა-უყვეს და სძლეს ძალითა და სასოებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, და კუალად განუცოცხლე-მცა მტერი, რომელი მოაკუდინეს, და გულისთქუმაჲ, რომელი დათრგუნეს, რამეთუ არა კეთილ არს შთაგდებად მტერი შორის მათსა, რომელი აღაზრზენდეს და მოაგონებდეს საშუებელთა ამაოჲსა ამის სოფლისათა, ნუუკუე მიიქცენ და მიაქციონ სიგ[ლ]ახაკედ და წარწყმედად. ანუ ოქროჲ ეგე და ვეცხლი და ანთრაკი და მარგალიტი არს-მე რაჲა, გარნა ტომი მათვე ქვათაჲ, რომელნი უდაბნოსა ჩუენსა სხენან?"

ჰრქუა იოდასაფ: „ვინაჲთ არს [ს]ამოსელი თქუენი?"

არ საჭიროებს, ხოლო ისინი, ვინც სიმდიდრეს ეძებენ, რომ გამდიდრდნენ კიდეც, უღატაკესნი რჩებიან გონებით.

ჩემი მეგობრების სიხარული გაცილებით დიდია, რადგან ისინი წუთისოფლისანი არ არიან, მათ კეთილ საქმეთა საგანძური დაიუნჯეს ზეცაში, რომელსაც შენ ჯერ არ მისწვდომიხარ; ისინი ნუგეშცემულნი და დაიმედებულნი არიან, და ამ სოფელში ის ახარებთ, რომ ისინი, ვინც შეურყვნელად დაიცავენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, სიკვდილის შემდეგ კეთილს მიემთხვევიან. შენც ამასვე მიაღწევ, თუ უფალი ინებებს და გამრავლდება შენი ნაყოფი, იხილავ შენს ძმებს, ვისკენაც გულით ისწრაფვი და გაიხარებთ ერთმანეთით. მაშინ ასეთი სიუხვით და უშურველად აღარ გაიმეტებ იმ სიმდიდრეს, რომელსაც შეიძენ, არამედ მომჭირნე გახდები და მოუფრთხილდები მას.[28]

ხოლო მე იმ სიმდიდრისთვის არ ვარ გამოგზავნილი, რომლის მოცემაც გსურს ჩემი მეგობრებისთვის. ეს სიმდიდრე გონების ამაფორიაქებელია. მისით ხომ ჩემს ძმებს კვლავ მივუტან იმ გესლს, რომელსაც ებრძოდნენ და რომელსაც სძლიეს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ძალითა და სასოებით; კვლავ გავუცოცხლებ მტერს, რომელიც მოაკვდინეს და აღვუძრავ გულისთქმებს, რომლებიც დათრგუნეს?! დიდი ბოროტებაა მათზე იმ მტრის მიშვება, რომელიც გააფთრებით აღიძვრის, რომ ამსოფლიური სიამოვნებანი მოაგონოს მათ, რადგან ვაი თუ აცთუნოს და მიაბრუნოს ისინი წუთისოფლი-საკენ და დაღუპოს. ჩვენთვის ოქრო-ვერცხლი, ანთრაკი და მარგალიტი არაფრით განსხვავდება იმ ქვებისაგან, რომლებიც მრავლად ყრია უდაბნოში.

ჰკითხა იოდასაფმა:

– საიდან გაქვთ თქვენ ტანისამოსი?

მიუგო მას წმიდა ბალავარმა:

ჰრქუა წმიდამან ბალაჰვარ: „ეგე უმძიმეს არს ჩუენ ზედა ყოველსა ტჳრთსა სოფლისასა, არამედ კმა-ვიყვით სამოსლად ჩუენდა ნაძუელავი იგი ნაკრები სანაგვეთაგან და ოდესმე შეთხზული ჭილისაგან და ფურცელთა, და კმა-ვიყვით სამოსელი ერთი მრავალთა ჟამთა. და ოდეს ვიცვალებდით, ვჰგონებდით, ვითარმედ დასასრული იყოს ჭირისა ჩუენისაჲ სოფელსა ამას შინა. ხოლო უკუეთუ მოიწიის სიკუდილი მას შინა, ვიდრე განლევამდე მისა, განისუენის წარსრულმან მან და მოსალოდებელი იგი დღე მოიწიის, რომელსა შინა აქუნ სასოებაჲ. ხოლო უკუეთუ სამოსელი იგი განილიის და კაცი დაშთის, ეგრევე სახედ ჰყოფენ, ვითარ-იგი პირველ ვთქუ. ხოლო უკუეთუ სანაგვეთაგანცა არღარა ვპოით და შეთხზულიცა დაგუაკლდის, უღონოებით დაბათაგან, და ვინაჲცა მოგუცის ღმერთმან, მოვიღით, გინა მ[ართ]ლისა მიერ გინა ცრუჲსა“.

ჰრქუა იოდასაფ: „მიიღე ჩემგან სამოსელი მოყუასთა შენთათჳს და განუყავ მათ“.

ჰრქუა ბალაჰვარ: „ესე წინამდებარისა ჟამისათჳს უნჯებაჲ არს, და არა ჯერ-არს, ვითარცა წერილ არს წმიდასა შინა სახარებასა: „ნუ ჰზრუნავთ ხვალისა, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თჳსისაჲ“[29] და რამეთუ არავინ ჩუენგანმან იცვალის სამოსელი, გარნა ოდეს არღარა არნ მას შინა სარგებელი, და ვერცაღა იფარავენ ჴორცთა. და არა ჯერ-არს, თუ ზრუნვიდეს დღისა მისთჳს, რომელი არა იცის, თუ მიიწევის მუნ დღემდე ანუ არა“.

37. ჰრქუა იოდასაფ: „და ვინაჲ არს შენდა სამოსელი ეგე, რომელ გმოსია?“

– ამსოფლიურ ტვირთთაგან ყველაზე მძიმე სწორედ იგია, ამიტომაც სხვათა მიერ გადაყრილი ძველმანებით ვკმაყოფილდებით, ზოგჯერ ჭილისა და მცენარეთა ფოთლებისაგან ვქსოვთ და ერთ ხელ შესამოსელს დიდი ხნის მანძილზე ვხმარობთ, ხოლო როცა ტანისამოსი გამოსაცვლელი ხდება, ვფიქრობთ, ჩვენი ტანჯვაც დასასრულს უახლოვდება ამ სოფელში. თუკი სიკვდილი ტანისამოსის განლევამდე გვეწევა, განვისვენებთ, რადგან დადგება ნანატრი დღე, რომელსაც სასოებით ველით. ხოლო თუ ტანისამოსი შემოგვეძარცვება, კაცი კი კვლავ ცოცხალი იქნება, იმგვარად მოიქცევა, როგორც გითხარი; და თუ ნაგვის გროვაშიც ვერ მოვძებნით რამეს და ჭილის სამოსიც შემოგვაკლდება, ჩვენი უძლურების გამო დაბათა მცხოვრებთაგან და მათგან, ვისგანაც ღმერთი მოგვცემს, ვიღებთ ტანისამოსს, გინდ მართალი იყოს ის კაცი და გინდ ცრუ.

უთხრა იოდასაფმა:

– წაიღე ჩემგან სამოსელი და დაურიგე შენს მეგობრებს.

მიუგო ბალავარმა:

– ეს უკვე მომავალზე ზრუნვაა და მიუღებელია, რადგან წმიდა სახარებაში ამის შესახებ წერია: „ნუ იზრუნებთ ხვალინდელ დღეზე, ვინაიდან ხვალინდელი დღე თვითონ იზრუნებს თავის თავზე“ (მთ. 6:34). ამასთან, არც ერთი ჩვენთაგანი არ შეიცვლის სამოსს, ვიდრე იმდენად უსარგებლო არ გახდება, რომ ვეღარ შეეძლება ხორცის დაფარვა. არ ღირს იმ დღისთვის ზრუნვა, რომელსაც, არ იცი, მიაღწევ თუ არა.

37.– შენ რომ გაცვია, ეგ სამოსელი საიდან გაქვს? – ჰკითხა იოდასაფმა.

ჰრქუა ბალაჰვარ: „ესე სამოსელი **შუა ვყავ**, რაჲთა მოვიწიო შენდა, რაჲთა არავინ განიკჳრვოს სახე ჩუენი სამეუფოსა შინა მამისა შენისასა, რამეთუ მსგავს არს სახე [ესე] კაცსა, რომელსა უვინ თჳსი ტყუეობასა შინა და უნებნ გამოყვანებაჲ მისი მტერთაგან და ვერ ჴელ-ეწიფის შესლვაჲ ქუეყანასა მტერთასა, გარნა შეცვალებითა სახისა და სამოსლისაჲთა, და ეგრეთ ღონისძიებით გამოიტაცის თჳსი იგი მტერთაგან. ამით ღონითა უფრო შემძლებელ-იქმნის მიწუთომად საძიებელსა თჳსსა. ხოლო მე რაჟამს მესმა შენთჳს, ვითარმედ გნებავს სიმართლე და ეძიებ ჭეშმარიტსა, – იესუს, მაცხოვარსა ქრისტესა, – და გწადის სმენად ჴმაჲ წმიდისა სახარებისაჲ და დავინახე სარგებელი სულისა ჩემისაჲ და ვპოვე ადგილი სანაყოფე. და ესე გზაჲ არს ყოველთა მიმართ მსგავსთა შენთა, მაღალთა, გინათუ მდაბალთა. ხოლო აწ მიჴსნიხარ მტერთაგან ძალითა და შეწევნითა უფლისა ჩუენისა იესუ[ჲ]ს ქრისტესითა და გამოგიტაცე შორის მათსა, რამეთუ გაუწყე მეცნიერებაჲ ღმრთისაჲ და მოციქულთაჲ და წმიდათა მამათა მცნებაჲ. და ყოველი შჯული ქრისტეანობისაჲ გასწავე და გაგაცადე სოფელი ესე და საბრჴენი მისნი, და ვითარ შეიტყუებს საშუებელთა და გულისთქუმათა მისთა მიერ, და განგაკრძალე მანქანებათა მისთაგან და გიჩუენენ აუგნი მისნი, რამეთუ მეძავ არს და სიყუარულსა ერთისა თანა არა დაადგრების. ხოლო მე წარვალ ადგილსა მშჯდობისა ჩემისასა და მუნ აღვიძარცო სახე მტერთაჲ და კუალად შევიმოსო სახე და ხატი ძმათა და მოყუასთა ჩემთაჲ, რომელ უკუეთუმცა მიხილე სახითა და სამოსლითა მოყუასთა ჩემთაჲთა, ვჰგონებ თუ, არღარ-ამცა გწადოდა მისლვად მათ თანა“.

მაშინ ჰლოცვიდა იოდასაფ, რაჲთა ეჩუენოს სახითა მათითა. ხოლო ბალაჰვარ განიძარცუა სამოსელი იგი, და იყო ყოველი ტყავი მისი ძუალთა მისთა ზედა, ვითარცა ტყავი მკუდრისაჲ გარდართხმული ლერწამთა ზედა წულილთა ფრიადისა მისგან მარხვისა, და არარაჲ ემოსა, გარნა კოტორი ძაძისაჲ საბლითა

მიუგო ბალავარმა:

– ეს სამოსელი შენამდე მოსაღწევ საშუალებად გამოვიყენე, რათა ჩემი გარეგნობით არავინ დაინტერესებულიყო მამაშენის სამფლობელოში, და მივბაძე კაცს, რომელსაც ტყვეობაში მყოფი ახლობლის გამოხსნა უნდოდა, მაგრამ მხოლოდ სამოსლისა და გარეგნობის შეცვლის შემდეგ შეძლო მტრის ქვეყანაში შესვლა და ახლობლის დახსნა. მეც, როგორც კი გავიგე, რომ გნებავდა ჭეშმარიტება შეგეცნო და ჩვენს მაცხოვარს, უფალ იესო ქრისტეს ეძებდი და წმიდა სახარების მოსმენა გსურდა, ასევე მოვიქეცი. თანაც დავინახე, რომ ჩემი სულისთვისაც სასარგებლო იქნებოდა, რადგან ადგილიც ნაყოფიერი ვპოვე. ამგვარივეა გზა ყველა შენნაირისათვის – მაღალთა თუ მდაბალთათვის. ახლა კი გიხსენი ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ძალითა და შეწევნით და გამოგიტაცე მტრისგან, რადგან ღვთის მცნებები და მოციქულთა და წმიდა მამათა სწავლება გახარე. სრული ქრისტიანობა გამცნე და წუთისოფლის ყველა საცთურიც გიჩვენე, დაგანახე, თუ როგორ იტყუებს თავისკენ კაცს წუთისოფელი სიამოვნებებითა და გულისთქმებით, მის ხრიკებს განგაშორე და მის ნაკლს შეგახედე, რომ მრუშია და ერთს არ სჯერდება სიყვარულში მისი გული. ახლა კი ჩემი სიმშვიდის ადგილას დავბრუნდები, ამ სამოსს გავიხდი და ჩემი ძმებისა და მეგობრების მსგავსად შევიმოსები. ვფიქრობ, რომ დაგენახე, ჩემი მეგობრების მსგავსად შემოსილი აღარ მოისურვებდი მათთან შეხვედრას.

იოდასაფმა ბალავარს სთხოვა თავისი ნამდვილი სახით ჩვენებოდა, თავის მეგობართა მსგავსად შემოსილი. მაშინ ბალავარმა ვაჭრის ტანისამოსი გაიხადა. ტყავგადაკრული ძვლებიღა იყო, ლერწამზე გადაჭიმულ მკვდრის ტყავს ჰგავდა მა მარხვისგან ძლიერ მოუძლურებული სხეული, დაფლეთილი ძაძის გარდა ტანზე არაფერი ემოსა, ისიც წელსქვემოთ თოკით

შემოედვა, უპითგან ვიდრე მუჴლთამდის მისწუთებოდა, ვითარცა არს წესი მძოვართაჲ, და კოტორი ნაძუელავთაგან დაკერული ებლარდნა მას ზედა. და ვითარცა იხილა იგი იოდასაფ, აღჩჩუა მას ზედა ფრიად, რამეთუ იხილა დიდი სახე ღმრთისმსახურებისაჲ მას ზედა და საჭურველი იგი წმიდისა სქემისაჲ, რომელ ემოსა წმიდასა ბალაჰვარს. და იწყო ტირილად და სულთქუმად. და აღიძრნეს ყოველნი ნაწლევნი მისნი მის[თჳს], ვითარცა ვინ ჰგოდებნ სიკუდილსა თჳსისასა, ეგრეთ მჴურვალედ ტიროდა განშორებისათჳს ბალაჰვარისა.

38. და მ[ან] ჰრქუა მას: „ოდესღა არა ინებე განყვანებაჲ ჩემი შენ თანა და არცა მოყუასთა შენთათჳს მიიღე სამოსელი გინათუ საფასე, ბარე მიიღე სამოსელი თავისა შენისათჳს“.

ჰრქუა ბალაჰვარ: „შენ მაწუევდ, ძეო მეფისაო, მოყუასთა ჩემთათჳს, და მე არა მთნდა მათთჳს, და არცა იგინი ეძიებენ ეგევითარსა, ვითარ უკუე მივიღო თავისა ჩემისათჳს? და მათ განვაკრძალებ და თავსა ჩემსა არაა? და უკუეთუმცა კეთილ იყო, ვირჩიემცა მათთჳს პირველ ჩემსა“.

ჰრქუა იოდასაფ: „მიიღე უკუე საბლარდნელი ახალი და დაუტევე საბლარდნელი ეგე შენი ჩემ თანა, რამეთუ მნებავს, რაჲთა საჴსენებელად შენდა იყოს ეგე ჩემ თანა“.

ჰრქუა ბალაჰვარ: „ვიცვალო ახალი ძუელითა, ნუუკუე ეგევე ზომი სასოებაჲ იყოს ჩემი, რაჲ-იგი არს შორის სიძუელესა და სიახლესა [მათსა, არამედ] რომელსა-იგი მომცემ, იყავნ მსგავს [ჩემისა ამის]“.

ეკიდა და მუხლამდის სწვდებოდა მძოვართა წესისამებრ. ძველმანებგადაკერებული ნახევებით იყო შემოსილი ბალავარი. იოდასაფმა შეხედა და გული აუჩუყდა. მან წმინდა სქემით შემოსილ ბერში ღვთისადმი უდიდესი მსახურების სახე იხილა...

იოდასაფს მთელი სხეული უცახცახებდა. უფლისწული ბალავართან განშორებას ტიროდა და იმგვარად მოთქვამდა, როგორც გარდაცვლილ ნათესავს დატირიან ხოლმე.

38. უთხრა იოდასაფმა ბალავარს:

– რაკი არც ჩემი წაყვანა ისურვე და არც შენი მეგობრებისთვის აიღე ტანისამოსი და საფასე, შენთვის მაინც აიღე რაიმე შესამოსელი.

მიუგო ბალავარმა:

– უფლისწულო, ჩემი მეგობრებისთვის რაიმეს აღებაზე იმიტომ არ დაგთანხმდი, რომ ისინი ამას არ ეძებენ. და მაშ, ჩემთვის როგორღა ავიღო რაიმე?! ისინი გავარიდო საფრთხეს და საკუთარი თავი კი არ დავიცვა?! ეს ყველაფერი სასარგებლო რომ ყოფილიყო, უმალ მათთვის ვიზრუნებდი, ვიდრე საკუთარი თავისთვის.

უთხრა იოდასაფმა:

– შენი სამოსელი მაინც დამიტოვე სამახსოვროდ, შენ კი ახალი მოსასხამი აიღე.

უთხრა ბალავარმა:

- თანახმა ვარ, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მათ შორის არ იქნება იმგვარი განსხვავება, როგორიც არსებობს ახალსა და ძველს შორის. მომეცი ნახმარი სამოსი, ისეთი, რომ ჩემსას ჰგავდეს, – უთხრა მან უფლისწულს.

მაშინ მოიღო იოდასაფ საბლარდნელი მსახურებული და შეჰ-
მოსა ბალაჰვარს, და წარმოიღო მისი იგი და ჰრქუა მას: „უწყოდე,
რამეთუ განშორებაჲ შენი დიდ ზრუნვა და ტკივილ არს ჩემდა“.

39. ჰრქუა ბალაჰვარ: „ძეო მეფისაო, მე მონაჲ ვარი და არა
თავისუფალი მეუფისა ქრისტესი, რომლისა კეთილნი ფრიად
არიან [ჩემ] თანა და სასოებაჲ ჩემი დიდ არს მისა მიმართ.
ეგრეთვე შიში მისი განუქარვებელ არს ჩემგან. და ბრძანებაჲ
მომიღებიეს მისგან საქმისათჳს, რომელსა შინა ვისწრაფი, და
უკუეთუ აღვასრულო რაჲმე მისგანი, და მიძნდეს განშორებისა
ჟამსა, დაღაცათუ მძიმე იყოს ჩემ ზედა, არა ერთგულებით ვალ
წინაშე მისა. ხოლო მე აღმისრულებიეს სრბაჲ ჩემი შენდამი,
რამეთუ შეიწყნარე ჭეშმარიტი, რომელი გაუწყე და ყოველი,
რომელი გაუწყე ერთგულებისა [...], და აწ გარეშე მიყოფია თავი
ჩემი ბრძანებისაგან შენთჳს და შენდა მიმითუალავს
სიტყჳსგებაჲ[...] თავისა შენისათჳს, რამეთუ სამართალნი მისნი
ყოველნი დაგისხენ წინაშე შენსა. ხოლო აწ მნებავს სრბაჲ ესე
სხუათაცა მიმართ და (ძიებად ად)გილსა (ყ)ანისათჳს
(სა)ნაყოფოჲსა და თესლისა მიმღებელისა. და აწ განვალ მე და
გამცნებ: დაუმარხე ქრისტესა ღმერთსა შჯული მისი, რომელი
მოგცა და განემზადე მოღუაწედ, [რაჲთა **გამოგანდო**] საქმე
მისი, და გაუწყნა სამართალნი მისნი. ნუ დიდ გიჩნს [მორჩილებაჲ]
მისთჳს და ნუ დაშჯერდები თავსა შენსა და ნუცა **კაცთა
მისთჳს**, გარნა [რომელი] ღირს არს მისთჳს. და ყოვლადვე
[ეჯუდ] და განიკითხე[ვდ] ნებასა შენსა და დაამჴობდ
გულისთქუმასა შენსა. აღასრულენ დღენი ცხორებისა შენისანი
ესრეთ, რაჲთა ყოველსა დღესა მორჩილებასა შინა იპოო ღმრთისა
და მაცხოვრისა იესუ ქრისტესა, [...] განემზადებოდე შემთხუევად
[სიკუდილისა]. ეკრძალებოდე საქმესა, რომლისა დასასრული

მაშინ მისცა იოდასაფმა ბალავარს გახუნებული ტანსაცმე-
ლი, მისი კი სამახსოვროდ გამოართვა და უთხრა:
– შენთან განშორება, იცოდე, რომ მეტად მძიმე და
მტკივნეულია ჩემთვის.

39. უთხრა ბალავარმა:
– უფლისწულო, მე უფალ იესო ქრისტეს მონა ვარ და
საკუთარ თავს არ ვეკუთვნი. უხვია ღვთის წყალობა ჩემს
მომართ. მეც დიდად ვესავ უფალს და განუქარვებელია მისი
შიში ჩემში. უფლისაგან რაც მაქვს ნაბრძანები, იმის
შესრულებას ვესწრაფვი. და თუ მის ნებას ვასრულებ, მაგრამ
განშორება გამიძნელდება და მის ნებას შევეწინააღმდეგები,
რაგინდ მტკივნეულიც უნდა იყოს ჩემთვის ამის მოსმენა,
ღვთის ორგული აღმოვჩნდები. აი, მე აღვასრულე ჩემი
მოვალეობა შენს წინაშე, და შენ შეიწყნარე ჭეშმარიტება,
რომელიც გაუწყე, შეითვისე ის, რაც გამცნე ერთგულები-
სათვის. ახლა კი ვალმოხდილად ვთვლი თავს შენს წინაშე და
შენთვისვე მომონდვია შენს თავზე პასუხისმგებლობა, რადგან
ღვთის ყველა მცნება გაუწყე. მე კი ვისწრაფვი სხვების
მიმართ, ვინძლო, კვლავ ვიპოვო ნაყოფიერი ადგილი
დასათესად! მივდივარ და მცნებად გიტოვებ: დაიმარხე
რჯული, რომელიც ქრისტემ მოგვცა და სამოღვაწეოდ
განემზადე, რადგან მისი საქმე მოგანდო და გაუწყა მისი
სამართალი. ღვთისადმი მორჩილებას შენს დიდ დამსახურებდ
ნუ მიითვლი, თავდაჯერებული ნუ იქნები, ნურც თავს ენდობი
და ნურც სხვებს, გარდა მათისა, რომლებიც იმსახურებენ ამას.
ყველაფერი შეამოწმე, ყოვლითურთ გამოიძიე საკუთარი ნება
და გულისთქმები დათრგუნე, იმგვარად განვლე შენი
ცხოვრება, რომ ყოველდღე განუწყვეტლივ ჰმორჩილებდე
ღმერთსა და მაცხოვარს იესო ქრისტეს. ემზადე სიკვდილთან

ბოროტსა მოგატყუებდეს და ურვითა დაგიბეჭდვიდეს საქმეთა შენთა. **ისარგებლე** მოღუაწებად და შრომად დღეთა სიჭაბუკისა შენისათა და ჟამთა სიმრთელისა გუამისა შენისათა, რადთა არ[ა] დაგაკლდეს შრომისა მადლი შემოკლებითა დღეთადთა გინა შემთხუევითა სენთადთა, რომელთა დაგაბრკოლონ შრომისაგან ყოველთა საქმეთა შენთა. სასწორითა აღასრულებდი და სიმდაბლე მოიპოვე მას შინა, და დადევ თავი შენი ადგილსა შეურაცხთასა და საქმესა ზედა უსუსურთასა. ეკრძალე ჩუეულებასა ბოროტსა გულისთქუმისასა, ნუ დაუტეობ მცირესა კეთილისა საქმესა დღისა მოლოდებისათჳს უდიდესისა. ხვალისა დღე შეაყავ გული შენი ზრუნვასა სათნოება[თა] შენთასა და სინანულსა უჯერადსათჳს, რომელ ჰქმენ. ნუ დააცადებ ქველისსაქმესა უღირსებისა ვისი-სათჳსმე და ნუ კადნიერ [...]ამს უჯეროსა ზედა ბაძვად მრავალთად, რომელნი იქმოდიან მას. რამეთუ არა ჯერ-არს ბრძენთათჳს ბაძვად, გარნა კეთილისა საქმეთად. ეკრძალე თავმოთნებასა და ნუ მიენდვები, თუ რადმე გთნდეს საქმეთა შენთაგანი. ანუ არა უწყია, ვითარმედ თავმოთნებად [ორ]სა პირსა ზედა არს კეთილთა საქმეთა: ერთი მოატყუებს ყოველსა კეთილსა და მეორე შთააგდებს ყოველსა ბოროტსა, რამეთუ კე-თილისა მომატყუებელი იგი ესე არს, უკუეთუ უხაროდის კაცსა განმრავლებად ნაყოფთა კეთილთად მის ზედა და დიდი იგი შრომად მისი დაუმცირდეს წადიერებითა, რომელი უქმნიედ და მოსწრაფე არნ წინამდებარეთა (საქმეთა) . ხოლო რომელი მოატყუებს ყოველსა ბოროტსა, ესე არს, უკუეთუ სთნდენ კაცსა საქმენი თჳსნი და გონებად აუმაღლდეს მას შინა და კაცთმოთნებასა აწუევდეს და თქუეს: კმა არს, რომელი მიქმნიესო, და არღარა იღუწინ წინამდებარეთა საქმეთა. ხოლო აწ განამრავლე ზრუნვად თავისა შენისათჳს გულისჴმისყოფად, რადთა განერე საბრჴეთა სოფლისათა საშინელთა და მოიპოვო განთავისუფლებად, და შეუდეგ გზასა მას იწროსა, რომელი მიი-ყვანებს განსუენებად საუკუნოდ.

შესახვედრად, ისეთ საქმეს ერიდე, რომლის დასასრულიც ბოროტი იქნება, შეგიტყუებს და საზრუნავს გაგიჩენს. ისარგებლე შენი სიყმაწვილითა და ტანის სიმრთელით, იშრომე და იღვაწე, რათა დღეთა შემოკლებით ან სენის შეყრით არ დაგაკლდეს შრომის მადლი. სწორად დაიცავი მცნებები და სიმდაბლე შეიძინე. შეეწიე გლახაკებსა და უძლურებს, განეშორე გულისთქმათა ბოროტ ჩვეულებებს, ნუ უარყოფ მცირე კეთილ საქმეს ყოველთა მოსაგებელი დღის მოლოდინში. ყოველდღე იგულმოდგინე სათნოებებში, ყოველ-გვარი უჯერო ქცევის გამო სინანულად მიაქციე შენი გული. ვისიმე უღირსების მიზეზით ნუ შეწყვეტ ქველმოქმედებას და ნუ ემსგავსები ბოროტისმყოფელებს, რომლებიც მრავლად არიან, რადგან ბრძენი მხოლოდ კეთილ საქმეთა მიმბაძველია. ერიდე თავმომწონეობას, და თუ რაიმე გესათნოება შენი საქმეებიდან, მაინც ნუ ირწმუნებ. იცოდე, რომ თავმომწო-ნეობას სიკეთის ქმნაში ორი მხარე აქვს: ერთი მადლის მომნიჭებელია, მეორე კი – ბოროტის შემძინებელი. მადლი მაშინ მოაქვს, თუ კაცს ახარებს მის მიერ გაკეთებული საქმეებიდან კეთილი ნაყოფის გამრავლება, თუ მძიმე შრომა უიოლდება წადილით, რომელიც მასში ვლინდება და რომე-ლიც კვლავაც უბიძგებს მორიგი საქმეებისაკენ. ხოლო ის, ვინც „ფუჭად ამპარტავნებს“, ჰგავს კაცს, რომელიც თავის საქმეებს იწონებს, დიდ წარმოდგენას იქმნის საკუთარ თავზე, ხორციელი გონებით ამპარტავნებს, კაცთმოთნეობს და ამბობს: „რაც გავაკეთე, საკმარისია ჩემგან,“ და აღარ ფიქრობს წინამდებარე საქმეზე. ხოლო შენ დაუღალავად იღვაწე, რათა შეიცნო საკუთარი თავი და საშინელი საცდურისაგან დაუსხლტე წუთისოფელს, მოიპოვო თავისუფლება და შეუდგე იმ ვიწრო გზას, რომელიც საუკუნო განსასვენებელში მიგიყვანს.

40. ესე არიან მცნებანი ჩემნი შენდამი და ერთგულებაჲ ჩემი შენთჳს და ღმრთისა მიმართ შენ ზედა. და მე ვითხოვ ღმრთისაგან, რაჲთა სრულ-ყოს მადლი მისი შენ ზედა და მოგეცინ კეთილი სათნოებაჲ მორჩილთა მისთაჲ და დაგბეჭდენ ცხორებასა და საქმეთა შენთა ყოვლითა კეთილითა და გაუფლენ ნებასა შენსა არა მიდრეკად სიბოროტედ და აღიღენ ნებაჲ შენი ყოვლისაგან საცთურისა და დაგიფარენ საფა[რ]ველსა ქუეშე ჯუარისა მისისასა, შეუვალსა და საცოსა უძლეველსა, რომლითა დაგიცვას უცნებათაგან კაცთაჲსა და საეშმაკოთაჲსა, და მოეცინ გულსა შენსა სიძულილი სოფლისაჲ და მოგმადლენ ცხორებაჲ კრძალულებით სუფევასა შინა და ჴსნილებით მერმესა მას ცხორებასა, მშჳდობით და მყუდროებით იყვნენ დღენი შენნი და ნუმცა მიგანდობს განზრახვასა თავისა შენისასა, ვიდრემდის მიგაწიოს უმეტესსა სადგურსა მართალთასა და უაღრესსა ადგილსა რჩეულთა თანა ჩუენითურთ, ამენ“.

მიუგო იოდასაფ და ჰრქუა: „შენ მხადი ძედ მეფისად და მე არა ვარ ძე მეფისაჲ, არამედ მონაჲ და ძე მონისა უკეთურისაჲ, ხოლო ღმერთმან განადიდა კეთილი მისი შენ მიერ ჩემ თანა და ეგრეთვე სარგებელი შენი ჩემ მიერ, რამეთუ მიზეზ-მექმენ მეცნიერებასა უფლისა იესუ ქრისტესა, რომელი იშვა უთესლოდ ქალწულისა მარიამისგან, და მასწავე შჯული წმიდაჲ მისი და დამადგინე გზასა ჭეშმარიტებისასა და აღმძარცუე საბურველი მწუხარებისაჲ და განმარინე საბრჴეთაგან სიკუდილისათა. დიდ არს ჩემ ზედა მისაგებელი კეთილთა შენთაჲ ჩემდამო, და ვერ შემძლებელ ვარ ღირსად მადლისა მიცემად, ვითარ-იგი ჯერ-არს შენდა, არამედ მოგაგოს ჩემ წილ ღმერთმან, რამეთუ მის თანა არს სისრულე მისაგებელთაჲ. ხოლო ღმერთმან სრულ-ყავნ საქმე კეთილისაჲ შენ თანა, ვიდრემდის დაშჯერდეს. უკუეთუ დაადგრე ჩემ თანა, საშუებელი ხარ სულისა ჩემისაჲ, და უკუეთუ წარხჳდე, ნუ განაშორნეს ღმერთმან სლვანი შენნი ნებათაგან მისთა, ხოლო

40. - ეს არის ჩემი დარიგებები შენდამი, ერთგულება შენს მიმართ და ღვთის წინაშე შენთვის, და მე ვევედრები უფალს, რათა სრულყოს მისი მადლი შენზე, მოგმადლოს კეთილ-სათნოებანი, რომლებიც მის მორჩილთა წილხვედრია, აღბეჭდოს ღმერთმა შენი ცხოვრება და ყოველი შენი საქმე ყოველგვარი სიკეთით, გაუფლოს შენს ნებას, რათა ბოროტებისკენ არ მიიდრიკო და დაიცვა იგი ყოველგვარი საცდურისაგან, დაგიფაროს უძლეველი და ცხოველსმყოფელი მისი ჯვრის საფარველით, დაგიცვას მისით კაცთა და ეშმაკთა მზაკვრობისაგან. მომადლოს შენს გულს წუთისოფლის სიძულვილი, ცხოვრება ურცხვენელი და მოგანიჭოს ხსნა შემდგომი ცხოვრების ჟამს. მშვიდობით და მყუდროებით იყვნენ შენი დღეები! არ მიგატოვებს უფალი, ვიდრე არ მიგიყვანს თავის რჩეულებთან ერთად საყოფელში, სადაც მართალნი განისვენებენ, ამინ!

მიუგო იოდასაფმა:

– შენ მეფის ძეს მიწოდებ, მე კი ძე და მონა ვარ უკეთური მონისა, მაგრამ ღმერთმა მაინც გაამრავლა თავისი წყალობა შენს მიერ ჩემში და სარგებელი ჩემს მიერ შენთვის, რადგან შენი მოვალეობა აღასრულე და უფალი იესო ქრისტე შემამეცნებინე, რომელიც უბიწოდ იშვა ქალწულ მარიამისაგან, მისი წმიდა რჯული მასწავლე და ჭეშმარიტების გზაზე დამადგინე, მწუხარების საბურველი გამძარცვე და სიკვდილის მახეს გამარიდე. ვალდებული ვარ, სიკეთითვე გადაგიხადო იმ სიკეთისთვის, რაც ჩემთვის ჰყავი, მაგრამ ვერ შევძლებ იმგვარი მადლიერება გამოვხატო, როგორსაც იმსახურებ. დაე, უფალმა მოგაგოს სამაგიერო ჩემს ნაცვლად, რადგან მხოლოდ მასშია მისაგებელის სისრულე. ღმერთმა წარმართოს და სრულყოს შენი კეთილი საქმეები; თუკი ჩემს გვერდით დარჩებოდი, იმედი იქნებოდი ჩემთვის, მაგრამ თუ წახვალ ჩემგან, ღვთის ნებით იყოს შენი წარმართება-სვლა.

ნაკლულევანი იგი მადლობისა ჩემისაჲ შენდამი აღავსენ ქრისტემან ღმერთმან, სადა-იგი იყოს ქებაჲ კაცად-კაცადისაჲ, და ღმერთი და მამაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი თანამავალ გეყავნ ყოველთა გზათა შენთა.

და აღდგეს მშჯდობისა დატევებად და მოიკითხნეს, და ტირილით ამბორს-უყოფდეს ურთიერთარს. და წარვიდა ბალაჰვარ გზასა თჳსსა სავსე სიხარულითა სულიერითა აღსრულებისათჳს საწადელისა თჳსისა და ჰმადლობდა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, რომელსა ჰშუენის დიდებაჲ და პატივი, მადლობაჲ და თაყუანისცემაჲ თანა მამით და ყოვლადწმიდით ცხოველსმყოფელით სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამინ[30].

* * *

რაც მე დაგაკელი, უფალმა სავსე- ყოს და მოიხსენოს ისინი, სადც ყოველი კაცის საქმენი იხსენიება. ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მამა იყოს შენი მფარველი ყოველ შენს გზაზე.

ორივენი წამოდგნენ, ტიროდნენ და ერთმანეთს ეხვეოდნენ გამოსამშვიდობებლად.

სულიერი სიხარულით აღსავსე წავიდა ბალავარი თავის გზაზე, რადგან აისრულა საწადელი და მადლობდა უფალ იესო ქრისტეს, რომელსაც ჭეშმარიტად შვენის დიდება და პატივი, მადლობა და თაყვანისცემა მამით და ყოვლადწმიდით, ცხოველსმყოფელით სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

* * *

II

ცხორებაჲ და მოღუაწებაჲ ნეტარისა იოდასაფისი, ძისა მეფისაჲ, რომელი მოაქცია წმიდამან მამამან ბალაჰვარ, და მან მოაქცია მამაჲ თჳსი აბენეს მეფე და ქუეყანაჲ ჰინდოეთისაჲ მონებად ქრისტესა[31]

41. და იწყო მიერითგან იოდასაფ მარხვად და ლოცვად და ღმრთისმსახურებად იდუმალ. რაჟამს კაცნი დაწვიან, მან იწყის ღამისთევად ვიდრე განთიადადმდე, ტირილითა და სულთქუმითა აღასრულებდა **შჳდთავე ლოცვათა** მისთა ღამე ყოველ.

ხოლო ზადან, მსახური იგი, რომელი ეჩინა მეფესა ძისა მისი-სათჳს, წარვიდა სახედ თჳსა შეურვებული საქმისა მისთჳს და დაისნეულა თავი თჳსი. და უთხრეს მეფესა მისთჳს, და შეწუხნა სნეულებისა მისისათჳს. ხოლო ადგილსა მისსა დაადგინა დასტურთა მისთაგანი. და მიუვლინა ზადანს მკუ[რ]ნალი თჳსი, რაჲთა ჰკურნოს სენი მისი. ხოლო მკურნალმან მან ვითარცა იხილა იგი, მიიქცა მეფისა და ჰრქუა მას: „მე არარას დავჰკჳრდი სენსა კაცისა მის თანა, რამეთუ ყოვლით-კერძო განვიხილე და არარაჲ ვპოვე სნეულებაჲ მის თანა, არამედ ვჰგონებ, თუ ურვისა რაჲსაგანმე შეემთხჳა ესოდენი განლევაჲ გუამისა მისისაჲ, რამეთუ ფრიად სუსტ არს ძალი მისი“.

ხოლო მეფესა ვითარცა ესმნეს სიტყუანი მისნი, შე[ე]ეჭუნა და იგრძნა მიზეზი მისი, და ჰგონებდა, ვითარმედ ძესა მისსა დაუმძიმდა მის თანა ყოფაჲ და აჩუენა სიკსუეე და სიძულილი, და ამის მიზეზისათჳს მოჰრიდა მას. ხოლო მეფემან მიუვლინა

ნაწილი II

ნეტარი იოდასაფის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელიც ბალავარმა მოაქცია და რომელმაც მოაქცია თავისი მამა აბენესი და ინდოეთის ქვეყანა ქრისტეს სარწმუნოებაზე

41. მას შემდეგ დაიწყო იოდასაფმა მარხვა, ლოცვა და ღვთის მსახურება ფარულად. ყოველ ღამე, როდესაც ყველას ეძინა, უფლისწული ფხიზლობდა და გათენებამდე ტირილითა და სულთქმით კითხულობდა თავის შვიდივე ლოცვას.

ხოლო იოდასაფისაგან შეურვებულმა ზადანმა, რომელიც მეფისაგან ჰყავდა მიჩენილი უფლისწულს, თავი მოიავადმყოფა და სახლში დაბრუნდა. როცა ამის შესახებ მოახსენეს მეფეს, ძლიერ შეწუხდა აბენესი, მის ნაცვლად სარწმუნო ვეზირთაგანი დანიშნა, ზადანს კი თავისი მკურნალი გაუგზავნა. მკურნალმა ავადმყოფი მოინახულა და მეფეს მოახსენა:

– ვერავითარი ავადმყოფობა ვერ აღმოვაჩინე ამ კაცში, თუმცა საგულდაგულოდ გავსინჯე. ვფიქრობ, მისი ამგვარი დასუსტება და ხორცის მოუძლურება რაიმე დიდი მწუხარებით უნდა იყოს გამოწვეული.

მკურნალის სიტყვებმა მეფე დააეჭვეს და მალევე მიახვედრეს ზადანის დამწუხრების მიზეზს, – აბენესმა გადაწყვიტა, რომ მსახურს უფლისწულთან ურთიერთობა გაურთულდა, წყენა და სიძულვილი იგრძნო მისგან და ამიტომ გაერიდა მას.

მეფემ ზადანს მსახური გაუგზავნა და შეუთვალა:

ზადანს ესრეთ: „მესმა სნეულებაჲ შენი და შევწუხენ და დღეს მოვალ ხილვად შენდა. აწ განემზადე მოსლვისა ჩემისათჳს“.

ხოლო ზადანს ვითარცა ესმა ესე, აღდგა მუნთქუესვე და შეიმოსა სამოსელი თჳსი და წარვიდა მეფისა. და ვითარ მივიდოდა, ემთხჳა მეფე მიმავალი მისა და ჰრქუა: „რაჲსთჳს არა დაადგერ სახლსა შინა ვიდრე მოსლვად ჩემდამდე, რაჲთამცა სრულ-მეყო პატივი ჩემი შენდამო?“

მიუგო ზადან და ჰრქუა მეფესა: „სნეულებაჲ ჩემი, მეფე, არა სენისაგან არს, არამედ ურვისაგან გულისა ჩემისა. ამისთჳს არა ვინებე მოშრომაჲ მეფისაჲ თჳნიერ სნეულობისა, რაჲთა არა უგუნურება იყოს ჩემგან წინაშე მეფისა“.

ჰრქუა მეფემან: „და რაჲ არს ურვაჲ ეგე შენი?“

ჰრქუა ზადან: „ურვამან დიდმან შემიპყრა და ძრწოლამან საქმისა საშინელისა და შესაწუხებელისამან“.

ჰრქუა მეფემან: „მოგუალე პალატად, რაჲთა დაწყნარებულად ვისმინო საქმე ეგე შენგან“.

და ვითარცა მიიწია მეფე პალატად და ზადან მის თანა, უთხრა, რაჲ-იგი იხილა და ესმა ბალაჰვარ მოღუაწისაგან, ვითარ-იგი ასწავებდა ძესა მეფისასა მარადის და ამხილებდა საქმეთა სოფლისათა, და ვითარ-იგი შეიწყნარებდა ძე მეფისაჲ სიტყუათა მისთა, ვიდრემდის განსწავლა იგი და მიაწია სისრულესა მეცნიერებისასა, და ასწავა სიტჳსგებაჲ და განწუართა მეცნიერებითა, ვიდრემდის მიაწია საზომსა თჳსსა.

– შენი ავადმყოფობის შესახებ შევიტყვე და ძლიერ შევწუხდი. დღესვე მოვალ სანახავად და შესახვედრად გაემზადეო.

როგორც კი ზადანმა შენათვალი მოისმინა, სასწრაფოდ ადგა, სამოსელი ჩაიცვა და მეფისაკენ გასწია. გზად მისკენ მიმავალ ხელმწიფეს შეხვდა. აბენესმა ზადანი რომ დაინახა, გაუკვირდა და ჰკითხა:

– რატომ არ გაჩერდი სახლში ჩემს მოსვლამდე, რომ აღმესრულებინა ჩემი პატივისცემა შენდამი?

მიუგო ზადანმა:

– ჩემი სნეულების მიზეზი ავადმყოფობა არ არის, მეფეო. დიდ მწუხარებას შევუპყრივარ. ამიტომ არ ვისურვე თქვენი ამაო გარჯა, რათა უგუნურად არ მოვქცეულიყავი თქვენს წინაშე.

ჰკითხა მეფემ:

– რით არის გამოწვეული შენი მწუხარება?

უპასუხა ზადანმა:

– დიდმა დარდმა შემიპყრო და საშინელმა და საწუხარო ამბავმა შემაძრწუნა.

– წავიდეთ სასახლეში, რათა დაწყნარებით მოგისმინო, – უთხრა მეფემ.

და როგორც კი სასახლეში დაბრუნდნენ, ზადანმა დაწვრილებით მოუთხრო მეფეს, რაც იხილა და რაც ბალავარ ბერისაგან მოისმინა; თუ როგორ ასწავლიდა იგი სისტემატურად უფლისწულს, როგორ ამხილებდა წუთისოფლის საქმეებს, როგორ წვრთნიდა ყრმას, ვიდრე სრულიად არ განსწავლა და საფუძვლიანად არ შეასწავლა სიტყვა-პასუხი ისე, რომ თავის მსგავსად სრულყო იგი, ისიც აუწყა, თუ როგორ შეითვისა უფლისწულმა ყველაფერი.

42. მაშინ აღივსო მეფე იგი გულისწყრომითა და ტკივილითა დიდითა. და კუალად მოიქცა სულგრძელებად, რამეთუ მით ჰგონებდა მოქცევასა ძისა თჳსისასა ნებასა თჳსსა ღონისძიებით, და მოუწოდა კაცსა ერთსა, რომელი თანამზრახვალი იყო მისი, რომლისა სახელი რაქის, რამეთუ რაჟამს მოიწიის მეფისა ზედა საქმე რაჲმე შეურვებული და მძიმე, იგი იყო ნუგეშინისმცემელი მეფისაჲ. და უთხრა საქმე ძისა თჳსისაჲ და ჰკითხვიდა გულსმოდგინედ მისთჳს.

ხოლო რაქის ჰრქუა მეფესა: „ყოვლისა პირველად ესე ჯერარს, რაჲთა გულს-იდგინო შეპყრობაჲ ბალაჰვარისი ყოვლითა ღონითა. და უკუეთუ გაემარჯოს მეფესა შეპყრობაჲ მისი, ვყოთ სიტყჳსგებაჲ მის თანა და უჩუენოთ ძესა მეფისასა შეცთომილებაჲ მისი და ძაგებაჲ მისი კეთილთა ამათ, რომელნი მოგუცნეს ღმერთთა ჩუენთა საშუებელად ჩუენდა, და ვითარ-იგი განაყენებს კაცთა საშუებელთაგან, რომელ თჳნიერ მათსა არად ჴამს სოფელი ესე. და ვითარ-ესე დავანახვოთ და შე-რაჲთ-უძლოთ, მოიქცეს ძე მეფისაჲ საცთურისა მისისაგან, და ესე იყოს ძლევად ჩუენდა. ხოლო უკუეთუ ამას ვერ მივსწუთეთ, მე მოგგუარო, მეფე, კაცი ერთი, რომელი არავინ იცის ქუეყანასა ამას, წესისა ჩუენისაჲ, რომლისა გამორჩევაჲ ვერ ეგების ბალაჰვარისგან ხატითა და ფერითა და ჰასაკითა და ჴმითა და სიტყჳთა, რომელი იქცევის გარე უდაბნოს, რომლისა სახელი ნაქორ; და ესე მოძღუარი იყო ჩემი“.

და ჰრქუა მეფემან: „ვითარ იყოს ესე?“

ჰრქუა რაქის: „მე განვიდე ღამით უცნაურად და განვაცადო ყოველი ესე საქმე ჩუენი და ვასწაო, რაჲ-იგი გჳხმს, – ესრეთ, რაჲთა გზად გამოვიდეს სამოსლითა და სახითა მონაზონთაჲთა, და ოდეს სიტ[ყ]უა-უგოთ, მოგჳგოს პასუხი მათი და წინააღგჳდგებოდის შჯულსა ჩუენსა. და ოდეს სახელი ვჰკითხოთ, თქუას: მე ვარ ბალაჰვარ^. და რაჟამს დავსხდეთ საშჯელსა წინაშე ძისა მეფისა, მას ეგონოს, ვითარმედ ბალაჰვარ

42. მაშინ გულისწყრომითა და დიდი მწუხარებით აღივსო მეფე, მაგრამ მალევე სულგრძელობა გამოიჩინა, რადგან სხვა ღონისძიებით განიზრახა შვილის თავის ნებაზე დაყოლიება. შემდეგ მოუწოდა ერთ მეტად სანდო ვეზირს, სახელად რაქისს. როცა კი რამეთი შეშფოთდებოდა, ან გული დაუმძიმდებოდა მეფეს, ის იყო მისი ერთგული ნუგეშისმცემელი. სწორედ მას გაუმხილა მეფემ თავისი სადარდებელი და რჩევა ჰკითხა:

რაქისმა კი შემდეგი ურჩია მეფეს:

– პირველ ყოვლისა, ყველანაირად ეცადე, ბალავარი შეიპყრო როგორმე. და თუ ამას მოვახერხებთ, სიტყვის-გებას მოვუწყობთ მას და ვუჩვენებთ უფლისწულს, რომ ის ცდება, როცა ჩვენს ღმერთებს აძაგებს, რომლებიც უამრავ სიამოვნებებს გვანიჭებენ, დავანახებთ თქვენს ძეს, რომ ის იმ სიამოვნებათაგან განაშორებს ადამიანებს, რომლის გარეშეც აზრი არა აქვს ამქვეყნიურ ცხოვრებას. და როცა ამ ყველაფერში გავარკვევთ უფლისწულს, ბალავარის საცდურისაგან ჩვენკენ შემობრუნდება და ეს იქნება ჩვენი გამარჯვება. ხოლო თუ იმ ბერს ვერ შევიპყრობთ, მაშინ მე მოგგვრი, მეფევ, ერთ კაცს, რომელიც ჩვენს რწმენას აღიარებს და რომელსაც არავინ იცნობს ჩვენს სამეფოში. იგი საოცრად ჰგავს ბალავარს, ისე, რომ ვერც გარეგნობით და ვერც იერით, ვერც სიმაღლით, ვერც ხმითა და ვერც საუბრით ვერ განანსხვავებ მისგან. მისი სახელია ნაქორი, ჩემი მოძღვარი იყო, ამჟამად უდაბნოში ცხოვრობს.

ჰკითხა მეფემ:

– როგორ მოვახერხებთ ამას?

მიუგო რაქისმა:

– ღამით სხვათაგან შეუმჩნევლად ვესტუმრები მას, ჩვენს საიდუმლოს გავანდობ და ავუხსნი, რასაც ვაპირებთ. დილით მონაზვნურად შემოსილი გამოვა გზაზე, როცა რაიმეს

არს, რამეთუ ვერარას დააკჴრებს ყოვლითურთ. და მერმე იწყოს შეწევნად შჯულსა მათსა და ძაგებად ჩუენსა. ხოლო რაჟამს მივიწინეთ დასასრულად, იწყოს მოუძლურებად სიტყუათა და შეიწამოს ცთომილებაჲ მისი და დაასაჯოს ძლევაჲ ჩუენი თავსა თჳსსა. მერმე იგივე მაწუეველ-ექმნას ძესა მეფისასა მოქცევად საქმეთაგან მისთა და არწმუნოს, ვითარმედ კეთილ არს შენებაჲ ქალაქისაჲ და ქუეყანათაჲ და მოღებაჲ საშუებელთა მისთაჲ, და მაცთურ არს განშორებაჲ სოფლისაჲ და ნებსით მოკუდინებაჲ თავისა თჳსისაჲ და უძიროდ აწყუედაჲ კაცისაჲ, და ვითარ: უკუეთუ ყოველთა კაცთათჳს უმჯობესი არს დატევებაჲ სრულიად სოფლისაჲ და ცხორებაჲ მონაზონებით, მაშა მცირედთა სამე შინა წელთა მოოჴრდეს ქუეყანაჲ. ამით ღონითა ვესავ, რაჲთა განქარდენ ურვანი მეფისანი".

ვითარცა ესმნეს მეფესა სიტყუანი რაქისისნი, განიხარა ფრიად, რამეთუ ესვიდა პოვნად ნებასა თჳსსა ზრახვითა რაქისისითა. მაშინ იწყო მეფემან ძიებად ბალაჰვარისა.[32]

შეეკითხებით, მონაზვნის მსგავსად გვიპასუხებს და ჩვენს რწმენას შეეწინააღმდეგება, როცა ვინაობას ვკითხავთ, თავს ბალავარად გაასაღებს. შემდეგ კი უფლისწულის წინაშე დავსხდებით საკამათოდ. უფლისწულს იგი ბალავარი ეგონება, რადგან ვერაფრით განასხვავებს მისგან. ის კი მათი სარწმუნოების დაცვასა და ჩვენი რწმენის უარყოფას ეცდება, ხოლო როცა კამათი დასასრულს მიუახლოვდება, მის მტკიცებებს შეასუსტებს და თანდათან სიმტკიცეს დაკარგავს. ბოლოს კი თავს ჩვენგან ძლეულად აღიარებს. შემდეგ თვით უფლისწულს აიძულებს ქრისტიანთა ცთომილების დატოვებას და ამსოფლიურ სიამოვნებათა სარგებლიანობასა და აუცილებლობაში დაარწმუნებს, ეტყვის, რომ კარგია და საჭირო ქალაქებისა და სამეფოების შენება, ამქვეყნიური სიკეთეებით ტკბობა, ხოლო წუთისოფლის მოძულება და საკუთარი ნებით თავის მოკვდინება, შთამომავლობის გარეშე კაცის გადაგება კი სიშლეგეა, რადგან თუკი ყველასთვის აუცილებელია და უმჯობესი წუთისოფლის სრულად დატოვება და მონაზვნურ ცხოვრებას შედგომა, მაშინ სულ მცირე ხანში მოოხრდება და დაცარიელდება ქვეყანა. ამგვარად, ვფიქრობ, რომ ყოველი თქვენი სადარდებელი განქარდება, მეფეო.

რაქისის სიტყვებმა აბენესი ძლიერ გაახარა. მეფეს იმედი მიეცა, რომ საწადელს აისრულებდა და ბალავარის მოძებნა ბრძანა.[32]

43. და წარავლინნა დასტურნი თჳსნი მრავალთა გზათა და თჳთ წარემართა გზასა ერთსა, რომელ უფროჲს საგონებელ იყო წევნად ბალაჰვარისა. და ვლნა დღენი მრავალნი და არავინ პოვა, და ფრიად დაშურა და შეშფოთნა, და უნდა გარეშექცევაჲ. მაშინ იწყო რაქის მარაგებად წინაჲსწარცნობისათჳს, თუ განემარჯუებისა, რასა–იგი ეძიებენ, და ჰრქუა მეფესა: „აჰა ესერა სათუალავი გუაუწყებს, ვითარმედ არა ვიქ[ც]ეთ თჳნიერ განმარჯუებისა, და პყრობილთაცა ვჰხედავ, რომელნი მოიწევიან ჩუენდა, და ახლოს არს ესე. ხოლო უკუეთუ ინებოს მეფობამან შენმან, რაჲთა დაადგრე დღეს აქა, და მე წარმავლინო“.

ხოლო მეფე ერჩდა მას და წარავლინა იგი მცირითა სპითა.

და იყო მიმწუხრი. და იხილნა გრონი მძო[ვ]ართანი მიმავალნი. და ვითარ მიეახლა, კაცნი ვინმე იყვნეს ღმრთისმსახურნი მეუდ–აბნოენი, რომელთა ქრისტესთჳს სრულიად დაეტევა საწუთროჲ ესე, და იყო შორის მათსა კაცი ერთი, რომელსა ეკიდა ძუალები მკუდართაჲ საბლითა რაჲთამე ძუელითა, და წინაუძღოდა გროთა მათ. ხოლო ბალაჰვარ არა იყო მათ თანა, რამეთუ რაქის იცოდა იგი. ჰრქუა მათ რაქის: „სადა არს იგი, რომელმან აცთუნა და წარწყმიდა ძე მეფისაჲ?“

ჰრქუა მას კაცმან მან, რომელსა ეკიდა ძუალები: „იგი არა არს ჩუენ თანა და ვერცა ძალ–უც დათმენაჲ ჩუენ შორის, არამედ თქუენდა უმახლობელეს არს იგი“.

და თქუა წმიდამან მან კაცმან: „ვიცი იგი, რომელსა ჰრქჳან რაქის, ეშმაკი არს იგი. ესრე ვჰგონებ, თუ თქუენ შორის არს იგი“.

ჰრქუა რაქის: „მე ბალაჰვარისთჳს გკითხე“.

43. აბენესმა სხვადასხვა მხარეს დაგზავნა ვეზირები, თვითონ კი რაქისთან ერთად იმ გზას დაადგა, რომლის წყალობითაც სხვებზე მეტად ფიქრობდა ბალავართან შეხვედრას. მრავალი დღე იარეს, მაგრამ ვერავინ იპოვეს. ამაოდ დაშვრა მეფე და შეწუხებულმა უკან დაბრუნება განიზრახა. მაშინ რაქისმა მკითხაობა დაიწყო, რათა წინასწარ შეეტყო წარმატებით დასრულდებოდა თუ არა მათ მიერ ბალავარის ძებნა და მეფეს უთხრა:

– ჩემი გამოთვლა გვაუწყებს, მეფეო, რომ წარმატების გარეშე არ დავბრუნდებით, შეპყრობილებსაც კი ვხედავთ მათ, რომლებიც უკვე გვიახლოვდებიან და ეს სულ მალე მოხდება. თუკი თქვენი მეუფება ინებებს, აქ შეჩერდით, მე კი ნება მომეცით მათ შევხვდე.

მეფე რაქისს დასთანხმდა და მცირე ჯარიც გააყოლა. მოსაღამოებული იყო, რომ რაქისმა მათკენ მიმავალი მძოვართა ჯგუფი შენიშნა. როცა მათ მიუახლოვდა, მიხვდა, რომ ისინი მეუდაბნოეები იყვნენ, ღვთის ერთგული მსახურები, რომლებსაც ქრისტეს გულისთვის სრულიად დაეტოვებინათ წუთისოფელი. ერთ-ერთს, რომელიც მათ წინ უძღოდა, სხეულზე მკვდრის ძვლები ეკიდა ძველი თოკით. რაქისი ცნობდა ბალავარს, მაგრამ იგი მათ შორის არ იყო. მაშინ რაქისმა მათ ჰკითხა:

– სად არის ის, რომელმაც უფლისწული აცდუნა და წარწყმიდა?

უპასუხა მას კაცმა, ძვლები რომ ეკიდა:

– ასეთი ჩვენს შორის არავინაა, და არც ძალუძს ჩვენთან ყოფნა, არამედ თქვენს შორისაა იგი – უფლისწულის დამღუპველი. ვიცნობ მას, – განაგრძო წმიდა კაცმა, – რაქისი ჰქვია, ეშმაკია იგი. ვფიქრობ, თქვენს შორის უნდა იყოს ის.

–მე ბალავარის შესახებ გკითხე! – შეაწყვეტინა რაქისმა.

მიუგო წმიდა კაცმა:

ჰრქუა წმიდამან მან კაცმან: „რაჲსათჳს უკუე სთქუ, ვითარმედ აცთუნა და წარწყმიდაო?" ესრეთ ჯერ-იყო მისთჳს კითხვად: "სადა არს, რომელმან ასწავა და აცხოვნაო". ხოლო იგი ძმაჲ და მოყუასი არს ჩუენი და არა გჳნახავს მრავლით ჟამითგან".

ჰრქუა რაქის: „გჳთხარ უკუე ადგილი მისი, სადა იყოფინ?"

ჰრქუა კაცმან მან [წმიდამან]: „უკუეთუმცა უნდა შემთხუევაჲ თქუენი, მო-მცა-გიძივნა, ხოლო ჩუენ არა მოვატყუებთ, რომელი არა ჰნებავს მას".

ჰრქუა რაქის: „სიკუდილით მო[გაკ]უდინნეს მეფემან".

ჰრქუა კაცმან მან ქრისტესმოყუარემან: „რასა უკუე ჰხედავ ჩუენ თანა საშუებელსა, რომლისათჳსმცა გუეყუარებოდა ყოფაჲ სოფელსა ამას შინა და გჳძნდამცა სიკუდილი ქრისტესთჳს, რომლითა გუაშინებ ჩუენ?"

მაშინ წარიქცინა წმიდანი იგი რაქის და მიჰგუარნა მეფესა. და ვითარცა იხილნა იგინი მეფემან, შეუძნდა, რამეთუ ესრეთ ჰგონებდა, ვითარმედ აუწყუედიან ქუეყანით სრულიად. ჰრქუა მეფემან წმიდათა მათ: „უკუეთუ გიტჳრთავს ძუელები ესე სიყუარულისა და ტკივილისა მისთჳს უფალთა მათთაჲსა, დღეს უკუე თავებიცა და ძუალები თქუენები შეერთოს რიცხუსა მათსა".

ჰრქუა კაცმან მან წმიდამან, რომელსა ეკიდა ძუალები: „ჩუენ თავთა ჩუენთა უფრო ვსწყალობთ და ვსტირთ, ვიდრე უფალთა ამის ძუალებისათა, რამეთუ იგინი განსუენებასა არიან და ჩუენ სოფელსაღა შინა წუთ ვტყუვით, ხოლო სურვილითა მათითა გჳტჳრთვან ძუალნი მათნი, რამეთუ დღითი-დღე სიკუდილსაცა მოგუაჴსენებენ".

– მაშ, რატომ თქვი აცდუნა და წარწყმიდაო? უფრო სწორი იქნებოდა გეკითხა, სად არის ის, რომელმაც ასწავლა და აცხონაო. ის ჩვენი ძმა და ახლობელია, მაგრამ დიდი ხანია აღარ გვინახავს.

უთხრა რაქისმა:

– მაშინ მითხარი, სად შეიძლება მისი ნახვა?!

უპასუხა მას წმიდა კაცმა:

– თქვენი ნახვა რომ ნდომებოდა, თვითონ მოგძებნიდათ. ჩვენ კი არ შევახვედრებთ მას იმათ, ვისთან შეხვედრაც არ სურს.

უთხრა რაქისმა:

– სიკვდილით დაგსჯით მეფე ამის გამო.

მიუგო ღვთისმოყვარე კაცმა:

– რა განსაცხრომელს ხედავ ამ წუთისოფელში ჩვენთვის, რომ შევიყვაროთ იგი, ხოლო ქრისტესთვის სიკვდილი კი, რომლითაც გვემუქრები, გაგვიძნელდეს?!

მაშინ რაქისმა წინ წაირეკა წმიდა ბერები და მეფეს მიჰგვარა.

მეფემ ღვთისმსახური კაცები რომ დაინახა, ფრიად დაუმძიმდა, რადგან ეგონა, რომ ამგვარი ხალხი მის ქვეყანაში აღარ არსებობდა და უთხრა მათ:

– თუკი ეს ძვლები მათი პატრონების სიყვარულისა და მათზე გულისტკივილის ნიშნად გკიდიათ, დღეს მათ რიცხვს თქვენი თავებიცა და ძვლებიც შეემატება.

უპასუხა მას წმინდა კაცმა, რომელსაც ძვლები ეკიდა:

– ჩვენ ჩვენს თავებს უფრო ვიცოდებთ და დავტირით, ვიდრე ამ ძვლების პატრონებს, რადგან მათ უკვე განისვენეს და ჩვენ კი ჯერაც წუთისოფელში ვიმყოფებით. მათი ძვლები კი იმ ერთადერთი მიზნით გვკიდია, რომ ყოველდღიურად სიკვდილი გაგვახსენოს.

უთხრა მეფემ:

ჰრქუა მეფემან: „რაჲთა უკუე ძუალები ესე დამდნარები უფროჲს მოგაჴსენებს სიკუდილსა ბრძენთა, ვიდრე ძუალებსა ამას, რომელი ჴორცთა შინა გიტჴრთავს?“

ჰრქუა კაცმან მან წმიდამან: „ამისთჳს უფრო მამხილებელ არიან, რამეთუ ძუალნი მკუდართანი არიან, ხოლო ძუალნი ჩუენნი ცოცხალ არიან, და უკუეთუ ძუალები მკუდართაჲ და ცოცხალთაჲ სწორ არიან, ვითარ–ესე შენ იტყჳ, რაჲსა უკუე არა მოიჴსენებ სიკუდლსა, რამეთუ ჴორცთაცა შინა შენთა არიან ძუალნი, ანუ ჩუენ რაჲსა მაბრალებ? და მერმე მითხარდა, რაჲსა სდევნი წმიდათა, რომელთა საწუთროჲ ესე დაგიგდეს და არას გეზიარებიან მას შინა, და არა უფროჲს სდევნი მათ, რომელნი გაცილობენ და გეზიარებიან საშუებელთა სოფლისათა?“

ჰრქუა მეფემან: „ამისთჳს, რამეთუ შეცთომილ არიან თავით თჳსით და აცთუნებენ მრავალთა და აყენებენ კეთილთა და საშ-უებელთაგან, რომელნი დაებადნეს კაცთათჳს. და გულისწყრომაჲ ესე სწავლაჲ არს მათთჳს და ერისა, რაჲთა არა აოჴრდეს ქუეყა-ნაჲ, და ამისთჳს, რამეთუ არა შეიწყნარეს კეთილი ქუეყანისაჲ“.

ჰრქუა კაცმან მან წმიდამან: „უკუეთუ ნანდჴლვე ამისთჳს **გუსწავლი**, რამეთუ დაუტევეთ საშუებელი ამის სოფლისაჲ და გნებავს ყოვლისა კაცისაჲ საშუებელსა შინა ცხორებაჲ, რაჲსათჳს უკუე არა იზიარენ ყოველნი კაცნი საშუებელთა, რომლითა შენ იშუებ? არამედ მიუშუ კაცთა საშუებელთა ზედა, რომელნი შენ არა გიჴმდეს“.

– თქვენ, ბრძენ ხალხს, ეგ გახრწნილი ძვლები უფრო მეტად როგორ გაგონებთ სიკვდილს, ვიდრე თქვენსავე ხორცში მყოფი თქვენივე საკუთარი ძვლები?!

უპასუხა წმინდა კაცმა:

– ისინი სწორედ იმიტომ არიან უფრო მამხილებელნი, რომ მიცვალებულთა ძვლებია, ჩვენი ძვლები კი ცოცხალი სხეულისაა, და თუ მკვდრებისა და ცოცხლების ძვლები ურთიერთმსგავსია, როგორც შენ ამბობ, რატომ თავად არ გახსოვს სიკვდილი, რადგან ძვლები ხომ შენს სხეულშიცაა?! ანუ ჩვენ რატომ გვედავები? ის მაინც გვითხარი, რატომ დევნი იმ ხალხს, რომლებმაც ეს წუთისოფელი შეგატოვეს და არ გეცილებიან მასში, და არ დევნი მათ, რომლებიც გეცილე-ბიან და გემეტოქებიან ამქვეყნიურ დიდებაში?

უთხრა მეფემ:

–იმიტომ, რომ წუთისოფელს განშორებულნი და ცდომილებაში მყოფნი სხვებსაც აცთუნებენ და კაცთათვის შექმნილ სიამოვნებებსა და მიწიერ სიკეთეებს განაშორებენ მათ, რათა ქვეყანა მოოხრდეს. ჩემი რისხვა მათთვისაც ჭკუის სასწავლებელია და ხალხისთვისაც, ვდევნი მათ, რადგან არ ითვისეს ამქვეყნიური პატივი და არ შეიწყნარეს ამქვეყნიური სიკეთეები.

უთხრა წმინდა კაცმა:

–თუ მართლაც იმიტომ გვემტერები, რომ წუთისოფლის სიამოვნებები დავტოვეთ და შენ კი ყოველი კაცის შვებით ცხოვრება გნებავს, რატომ არ ამყოფებ მათ იმ განცხრომა-შვების თანამონაწილედ, რომლითაც შენ იშვებ, და მხოლოდ იმგვარი განცხრომისაკენ უბიძგებ, რომლითაც თავად არ ილხენ?

უპასუხა მეფემ:

ჰრქუა მეფემან: „ამისთჳს, რამეთუ არა სწორ არიან მეფე და მონანი, და ერისთავი და ერი, რამეთუ კაცად-კაცადმან საზომი-საებრ თჳსისა მიიღოს შუებაჲ და პატივი“.

ჰრქუა კაცმან მან წმიდამან: „აწვე დაჰჴსნი სიტყჳთავე შენითა სიტყუათა შენთა და ჩანს, რამეთუ თავისასა ეძიებ და არა კაცთასა. და თუ გნებავ[ს], გაუწყო, თუ რომლისა ჯერისათჳს შეიწუები შურითა ვითარცა ცეცხლითა და ბოროტისჩუენებად განმზადებულ ხარ წმიდათა მიმართ, რომელთა განიძარცუეს სამოსელი ესე საერისკაცოჲ: ამისთჳს, ვითარმედ აგიოჴრდეს ქუეყანაჲ განმრავლებითა მონაზონთაჲთა, რამეთუ გნებავს დადგრომაჲ კაცთაჲ უღელსა ქუეშე მონებისასა, რაჲთა ეგოს მეფობაჲ შენი მათ ზედა, და გნებავს დამდაბლებაჲ მათი, რაჲთა ეგოს სიმაღლე შენი, და გნებავს სიგლახაკე მათი, რაჲთა ეგოს სიმდიდრე შენი მსგავსად ნებისა შენისა. და მიუშჳ მათ სოფელსა ამას შინა დიდებისათჳს შენისა, ვითარცა გინდა, და დააკლე მათ ნებაჲ შენი და შუვამდგომელ ჰყავ შორის შენსა და შორის კაცთა ნებაჲ შენი. და გიჴმან კაცნი მონადირედ საქმეთა ზედა სოფლისათა, ვითარცა რაჲ მოიდგნის კაცმან ქორნი გინა ძაღლნი, და დააბნის და ამშიის, რაჲთა უმეტეს განძჳნდენ ნადირთა ზედა, ხოლო რაჟამს განემარჯჳს შეპყრობაჲ ნადირისაჲ, გამოსტაცის იგი პირისაგან მისისა და საბლითა და ჯაჭჳთა ქუე დააბის. მაშინ ძლევაჲ იგი მისი სინანულად გარდაექცის და სიხარული მისი გლოვად, და ნაცვალად **ყუავილისა** მის და ქებისა პირველისა, დამჴობაჲ და გარეგანძებაჲ მიაგიან. ესრე სახედ შეაკუეთენ კაცნი სოფელსა ამას, რაჲზომ გინდა, და დააყენენ მისგან, ვითარცა გთნდა, და არარას მიუშჳ მას შინა, გარნა რომელი-იგი ძალ არს შენდა საქმეთა შინა სოფლისათა. ამის გამო ჩანს, რამეთუ ეძიებ თავისასა და არა მოყუსისასა. და ამის [პირი]სათჳს გნებავს მიქცევაჲ ჩუენი სოფლად“.

– იმიტომ, რომ თანასწორი არ არის მეფე და მონა, მხედართმთავარი და მეომარი, თითოეულმა კაცმა კუთვნილი წილისამებრ უნდა მიიღოს შვება და პატივი.

უთხრა წმინდა კაცმა:

–შენვე ეწინააღმდეგები შენსავე სიტყვებს. აქედან ჩანს, რომ საკუთარი თავისთვის ზრუნავ და არა კაცთათვის. თუ გნებავს, გაუწყებ, რატომ იწვი შურით, როგორც ცეცხლით და რატომ ხარ მზად ბოროტი მიაგო წმინდანებს, რომელთაც განიძარცვეს საერისკაცო სამოსელი. იმიტომ, რომ გეშინია, სამეფო არ დაგექცეს მონაზონთა გამრავლებით, მონობის უღელში გსურს კაცთა შებმა, რათა ძალმომრეობით შეინარჩუნო მათზე მეფობა. გსურს მათი დამდაბლება, რათა შენ ამაღლდე, გნებავს მათი სიგლახაკე, რათა თავად გამდიდრდე სურვილისაებრ, და თუ რაიმეს ნებას რთავ კიდეც მათ წუთისოფელში, მხოლოდ იმისათვის, რომ გადიდონ, როგორც შენ მოგწონს; თავისუფლება წაართვი მათ და შენივე ნება ჰყავ მათსა და შენს შორის შუამდგომელად, ამქვეყნიურ საქმეებზე სანადიროდ გჭირდება ადმიანები და იმ კაცივით ექცევი მათ, რომელიც გვერდით იყოლიებს ძაღლს ან ქორს, აბამს და აშიმშილებს მათ, რათა უმეტესად განმძვინვარდნენ ნადირთა მიმართ, ხოლო როგორც კი წარმატებით მოინადირებენ და შეიპყრობენ მსხვერპლს, პირიდან გამოსტაცებს ნადავლს, თვითონ იმათ კი კვლავ თოკითა და ჯაჭვით დააბამს. მაშინ მათ გამარჯვება სინანულად ექცევათ, სიხარული კი – გლოვად და უმეტესი ქების ნაცვლად დამცირებასა და გაძევებას მოიწვევენ თავს. მსგავსადვე აახლოებ კაცს სოფელს, როგორც გნებავს და აშორებ, როცა გნებავს, და არც არაფრის უფლებას აძლევ მათ წუთისოფელში, იმის გარდა, რაც შენს ინტერესებშია. აქედან ჩანს, რომ შენი თავისთვის ზრუნავ და არა მოყვასისთვის. ამავე მიზნით გსურს ჩვენი ამქვეყნად დაბრუნებაც.

ჰრქუა მეფემან: „მითხარდა, არისა მოყუასთა შენთა შორის უაღრესი შენსა?“

ჰრქუა კაცმან მან წმიდამან: „არავინ არს უაღრესი ჩემსა მათ შორის და არცა ვინ უდარესი ჩემსა მათგანი, რამეთუ ჩუენ ყოველნი ქრისტეს მიერ ერთ ვართ. ხოლო მეტნობაჲ სოფელსა ამას აქუს, ვითარცა შენ და მოყუასთა შენთა, რამეთუ ჩუენ შორის არავინ არს უაღრეს მოყუსისა თჳსისა პატივითა და სიმდიდრითა და სიაზნაურითა, და არცა ვინ უდარეს არს ჩუენ შორის მოყუასსა თჳსსა სიგლახაკითა და ნაკლულევანებითა და შეურაცხებითა“.

მაშინ ბრძანა მეფემან დაჭრაჲ ჴელთა და ფე[რ]ჴთა მათთაჲ და აღმოჴდაჲ თუალთა მათთაჲ და დაყრაჲ გზასა ზედა არცა მკუდრად და ცოცხლად. და უბრძანა მეფემან რაქისს მოყვანებაჲ ნაქორისი, რომელი–იგი იყო მსგავსი ბალაჰვარისი.

44. და განვიდა რა[ქის] მარტოჲ ღამით, და პოვა ნაქორ და უთხრა ყოველი განზრახვაჲ მეფისაჲ და მისი. და აღსუა იგი საჴედარსა ზედა. და ვითარ დაეახლნეს პალატსა მეფისასა, დაუტევა იგი და წარვიდა რაქის მეფისა, და ასწავა, რაჲ–იგი ჴმდა, და ამცნო, ვითარ–იგი განეზრახა, რაჲთა ეჩუენოს გზასა ზედა სლვასა მეფისასა.

და ვითარ განთენა, განვიდა მეფე გარემო ქალაქსა სლვად მსგავსად ჩუეულებისა მისისა და საქმე იგი არავინ იცოდა, გარნა მეფემან და რაქის. და სლვასა მათსა შინა იხილეს, ვითარ ერთ უტევან, კაცი ვინმე მიმავალი. ხოლო იგი ნაქორ იყო, რამეთუ ეჩუენა, ვითარცა მოელო მცნებაჲ რაქისისგან.

და ბრძანა მეფემან: „ვინ არს კაცი ისი მიმავალი?“

ჰკითხა მეფემ:

– მითხარი, შენს მეგობრებს შორის არის ვინმე შენზე უმეტესი?

უპასუხა კაცმა:

– არც ჩემზე უმეტესია ვინმე და არც ჩემზე უმცირესი, რადგან ყველანი ერთნი ვართ ქრისტეს მიერ. ერთმანეთზე აღმატებულობა ამსოფლიური საქმეა, როგორც ეს შენსა და შენს ახლობლებს შორისაა მიღებული, ხოლო ჩვენს შორის კი არავინ არის პატივით, სიმდიდრითა და წოდებით მოყვასზე უმეტესი და არც არავინ არის სიგლახაკით, სიღატაკითა და უპატიობით ვინმეზე უმცირესი.

მაშინ მეფემ ბრძანა ხელ-ფეხი მოეკვეთათ მათთვის, თვალები დაეთხარათ და ცოცხალ-მკვდრები გზაზე დაეყარათ. რაქისს კი ნაქორის – ბალავარის ორეულის მოყვანა დაავალა.

44. რაქისი ღამით მარტო წავიდა ნაქორის მოსაძებნად, იპოვა იგი და მეფის განზრახვა ამცნო. შემდეგ სახედარზე შესვა და სასახლეში წაიყვანა. სასახლეს რომ მიუახლოვდნენ, უკან ჩამოიტოვა, თან დაარიგა, როგორ მოქცეულიყო მეფის წინაშე. თვითონ კი ხელმწიფისაკენ გასწია.

დილით, მეფემ, ჩვეულებისამებრ, ქალაქის შემოგარენის დათვალიერება მოისურვა ვეზირების თანხლებით. იმ საქმის შესახებ კი რაქისისა და მის გარდა არავინ იცოდა რაიმე. სეირნობისას გზად მომავალი კაცი შენიშნა, ერთ უტევანზე იყო მათგან დაშორებული. ეს კაცი ნაქორი იყო, იგი რაქისის დარიგებისამებრ იქცეოდა და ამიტომ შეგნებულად დაენახა მათ.

– ვინ არის ის მომავალი კაცი? – დაინტერესდა მეფე.

და ვითარ მოჰგუარეს მას, იყო კაცი იგი ხატითა მეუდაბ-ნოეთაჲთა და წესითა მონაზონთაჲთა.

ჰრქუა მეფემან: „რომელი პაჰრაკთაგანი[33] ეშმაკთაჲ ხარ შენ?“ ჰრქუა კაცმან მან: მე არა ვარ პაჰრაკი[34] ეშმაკისაჲ, ხოლო უკუეთუ მკითხო, თუ რომელთა კაცთაგანი ვარ, გითხრა შენ“.

ჰრქუა მეფემან: „მე ვჰგონებ, ვითარმედ ბალაჰვარ ხარ შენ“.

ჰრქუა კაცმან მან: „უკუეთუ იგი ვარ, არა უკუე მცირე არიან კეთილნი ჩემნი შენ თანა.

ჰრქუა მეფემან: „რომელსა კეთილსა მაყუედრებ?“

ხოლო მან ჰრქუა: მას გაყუედრებ, რამეთუ გინდა განსწავ-ლაჲ ძისა შენისაჲ წარსაწყმედელითა თავისა თჳსისაჲ**[თა]**, ხოლო მე ვიღუაწე სწავლითა ჭეშმარიტებისაჲთა, ვიდრემდის იცნა ქრისტე ღმერთი მაცხოვარი ყოველთაჲ და შემოქმედი თჳსი, და რამეთუ ჰრწმენა, რომელი მოგჳთხრეს წინაჲსწარმეტყველთა და მოციქულთა და წმიდათა მამათა, და რაჲ-იგი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თჳსთა, და მტერთაცა, რამეთუ მტერ იყო იგი, და დავაგე ღმერთსა და მამასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა და მან შეიწყნარა სწავლაჲ ჩემი და გამოირჩია იგი ყოველსა ზედა უღმრთოებასა თქუენსა“.

ხოლო მეფემან განაცხადა მხიარულებაჲ თჳსი წინაშე კაცთა, რამეთუ პოვა ბალაჰვარ. და ჰრქუა მას: „არა მნებავს მოკლვაჲ შენი, ვიდრემდის სიტყჳსგებაჲ ვყო შენ თანა, და უკუეთუ მოიქცე, შეგინდო პირველი ცთომაჲ შენი, ხოლო უკუეთუ დაადგრე უგუნურებასავე შენსა, განვაცხადო უგუნურებაჲ შენი წინაშე კაცთა და უშუერითა განქიქებითა და ბოროტითა სიკუდილითა მოგაკუდინო შენ“.

უცნობი მბრძანებლის წინაშე მოიყვანეს, რომელიც მეუდაბნოე მამათა მსგავსად მონაზონთა წესისაებრ იყო შემოსილი.

ჰკითხა მეფემ:

– რომელ ეშმაკებს ემსახურები შენ?

მიუგო კაცმა:

– მე ეშმაკის მსახური არა ვარ. მაგრამ რომ გეკითხა. ვინ ვარ და საიდან, გიპასუხებდი.

უთხრა მეფემ:

–მე ვფიქრობ, რომ შენ ბალავარი ხარ.

მიუგო კაცმა:

– თუ მე ისა ვარ, ვინც შენ გგონივარ, არცთუ მცირე სიკეთით ხარ ჩემგან დავალებული.

ჰკითხა მეფემ:

– რომელ სიკეთეს მაყვედრი?

მან კი მიუგო:

–გაყვედრი იმას, რომ დასაღუპად გსურდა შენი შვილის განსწავლა, მე კი ჭეშმარიტებას ვაზიარე. მანაც შეიცნო ქრისტე ღმერთი, ყოველთა მაცხოვარი და შემოქმედი, ირწმუნა ის, რაც წინასწარმეტყველთა, მოციქულთა და წმიდა მამათა მიერ გვეუწყა ის, რაც ღმერთმა განუმზადა მის მოყვარულებსა და მტრებსაც კი, რადგან თავადაც მტერი იყო და ღმერთთან შევარიგე. მანაც შეიწყნარა ჩემი სწავლება და თქვენს ყოველგვარ უღმერთობაზე უპირატესად შერაცხა იგი.

ბალავარის პოვნის გამო მეფემ თანმხლებთა წინაშე კმაყოფილება გამოხატა და უთხრა მას:

– არ მნებავს შენი სიკვდილი, ვიდრე სიტყვისგებას არ გაგიმართავ. თუ კვლავ ჩვენს რჯულზე მოიქცევი, პირვანდელ შეცდომებსაც გაპატიებ, მაგრამ თუ კვლავ შენს ცდომილებას დაიცავ, ნათელს მოვფენ შენს უგუნურებას კაცთა წინაშე, შენს უპატიობას გავამჟღავნებ და სასიკვდილოდ გადაგცემ.

და ბრძანა აღსუმაჲ მისი საჴედარსა ზედა, და წარვიდეს. და შევიდა მეფე პალატად თჳსა.

და განითქუა, ვითარმედ შეიპყრა მეფემან ბალაჰვარ. და მიიწია საქმე ესე ძისა მეფისა. ხოლო იგი შეწუხნა მწუხარებითა დიდითა ფრიად. ხოლო კაცი ვინმე ერთი წარჩინებულთაგანი, რომელი ფარულად ჰმონებდა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა და იცოდა ჭეშმარიტი, და სახელი მისი ბარაქია. და იყო ტომი ძისა მეფისაჲ. ესე ზედა-მიიწია მანქანებათა მათთა, რამეთუ შეოდესმე-მთხუეულ იყო ნაქორისდა და სიტყუაჲ ეყო მის თანა ცილობისათჳს შჯულისა. ესე კაცი ღამე მოვიდა ძისა მეფისა და ჰრქუა მას: „არა ბალაჰვარ არს კაცი ესე შეპყრობილი, არამედ მსგავსი არს მისი, რომლისაჲ ვერ შესაძლებელ არს გამოცნობაჲ მისი მისგან ხატითა და ფერითა და ჴმითა და სიტყჳთა, და სახელი ჰ[რ]ქჳან ნაქორ. და კაცი ეს[ე] უღმრთოჲ არს და არს იგი შჯულსა ზედა მეფისასა“. და განუმარტა ყოველი განზრახვაჲ მეფისაჲ და ვითარ საცთურ- უგებენ მას ამით ჯერითა. მაშინ განიხარა იოდასაფ სიხარულითა დიდითა და განიშორა ტკივილი იგი, რომელი აქუნდა წმიდისა ბალაჰვარისთჳს. და განძლიერდა ძლევად საცთურისა მის, რომელი დაურწყეს მას, და უბრძანა, რაჲთა არავის უთხრას ბარაქია საქმე ესე.

45. [დ]ა ხვალისაგან აღდგა მეფე და წარვიდა ძისა თჳსისა და ჰრქუა მას: „შვილო ჩემო, არავის ზედა მოიწია ესოდენი სიხარული, ვითარ ჩემდა მოიწია შენთჳს, და არცა ვის ესოდენ გარდაექცა სიხარული მწუხარებად და ტკივილად, ვითარცა მე შენ მიერ, რამეთუ წარმიკუეთე იმედი ჩემი შენდამი და დაჰჴსენ სიმტკიცე ზურგისა ჩემისაჲ და დააბნელე სინათლე თუალთა

მისი კვლავ სახედარზე შესმა ბრძანა მეფემ და ყველანი სასახლისაკენ გაბრუნდნენ.

ხმა გავრცელდა, თითქოს მეფემ ბალავარი შეიპყრო. ამ ამბავმა უფლისწულის ყურამდეც მიაღწია. ძლიერ დამწუხრდა, მაგრამ გამოჩნდა ერთი წარჩინებული კაცი, რომელიც ფარულად აღიარებდა ქრისტეს და რომელმაც იცოდა სინამდვილე, სახელად ბარაქია.

ბარაქია სამეფო გვარის ჩამომავალი იყო. მან იცოდა აბენესისა და ვეზირის მზაკვრული ჩანაფიქრის შესახებ, პირადადაც იცნობდა რაქისს, რადგან ადრე რჯულის საკითხებზე კიდეც უპაექრია მასთან.

ღამით უფლისწულთან მივიდა ბარაქია და აუწყა:

– მეფის მიერ შეპყრობილი კაცი ბალავარი არაა, მაგრამ ძლიერ ჰგავს მას, არა მარტო გარეგნობითა და ფერით, არამედ ხმითა და საუბრითაც. მისი სახელია ნაქორი. იგი უღმერთოა და მამაშენის რჯულის მაღიარებელი.

და გაანდო მეფის ფარული განზრახვა, თუ როგორ საცდურს უგებდა იგი უფლისწულს. მაშინ ფრიად გაიხარა იოდასაფმა, განიშორა ტკივილი, რომელსაც ბალავარის შეპყრობის გამო განიცდიდა, და უფრო მეტად განმტკიცდა სულიერად იმ საცდურის საძლეველად, რომელსაც უმზადებდნენ. ხოლო ბარაქიას სთხოვა, არავისთან არაფერი არ წამოცდენოდა.

45. მეორე დილით მეფე შვილს ესტუმრა და უთხრა:

– შვილო ჩემო, არასოდეს არავის ისე არ გაუხარდებოდა რამე, როგორც მე გამიხარდა შენი დაბადება, არც არავის გადაქცევია სიხარული მწუხარებად და ტკივილად იმგვარად, როგორც მე შენს მიერ, რადგან შენს მიმართ რწმენა და იმედი დამიკარგე, საყრდენი მომისპე, თვალისჩინი

ჩემთაჲ და მოაწიე, რასა-იგი ვეკრძალებოდე შენთჳს. და შეურაცხ-მეყო ცხორებაჲ და კადნიერქმნილ ვიყავ სიკუდილსა ზედა, რამეთუ ვჰგონებდი, ვითარმედ ნაცვალი ჩემი ხარ შენ შემდგომად სიკუდილისა ჩემისა, ხოლო ამიერითგან მიყუარს სიცოცხლე და მიძნავს სიკუდილი, რამეთუ განაცრუვე იმედი ჩემი და განამტყუენე სასოებაჲ ჩემი და მახარე სიურვილე თავისა შენისაჲ სმენითა შენითა ქადაგთაგან სიცრუისათა, რამეთუ შთაჰ-ვარდი საბრჴესა მას, რომელსაცა მეშინოდა შენთჳს, და გაკრძალებდი ყოვლითა ძალითა ჩემითა და განგაშორებდ მისგან. ხოლო შენ სიუცბითა შენითა და სიყრმითა და უმეცრებითა სა-მართალთა წილ მეფობისათა მოიხადე წარსაწყმედელი თავისა შენისაჲ. ანუ არა მამაჲ და მშობელი შენი ვარა? და შენ დაუტევე შჯული ჩემი და წინააღუდეგ ნებასა ჩემსა თავმოთნებით და ეჭუ შჯულსა მამულ[სა] შენსა და შთაუსხენ **წინამონი** შენნი [ჴელთა] კაცთა ცრუთა და მაცთურთასა, რომელნი მიგიყვანებენ მწუხარებად და შთაგაგდებენ წარსაწყმედელსა. არა შეიკდიმეა განმწარებაჲ სიხარულისა ჩემისაჲ შენთჳს, და არცა თუალ-მახუენ აღძრვად ნაწლევთა ჩემთა ტკივილით შენ ზედა? და ამას თანა შეურაცხ-ჰყავ მადლობაჲ ღმერთთაჲ მონიჭებულთა კეთილთა მათთა ზედა, რამეთუ არა შეიწყნარენ იგინი და დაამრწემე მამაჲ შენი, რამეთუ არა შეიწყნარე სწავლაჲ მისი ცხ-ორებასა მისსა და არცა ნაცვალ ექმენ მას შემდგომად სიკუდილისა მისისა. და არა უცხო არს ესე მოწევნადთაგან ჟამთაჲსა და ძლევისაგან ეშმაკისა, და არცა კუალად საკჳრველ არს მოქცევაჲ შენი ნებასა მამისა შენისასა“.

მიუგო და ჰრქუა იოდასაფ: „შენ, მეფეო, გამოაცხადე საქმე ჩემი, რომლისაჲ არ[ღა] მინდა გამოცხადებაჲ მისი წინაშე შენსა, რაჲთამცა მხიარულად **შეგენელა საქმე შენი**. გამოირჩიე თავისა შენისათჳს და შეიყუარე იგი და მინდა, რაჲთამცა კეთილად გეჩუენე ყოვლითა სახითა გარეშითა, რომელი შენ გიყუარს ჩემთჳს, რაჲთამცა ჟამსა განსლვისა ჩემისასა არა

დამიბნელე და სწორედ ის მოაწიე ჩემს თავს, რასაც ყველაზე მეტად ვერიდებოდი. დღემდე არაფრად მიმაჩნდა სიცოცხლე და არც სიკვდილის მეშინოდა, რადგან ვფიქრობდი, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ღირსეულად შემცვლიდი, მაგრამ ახლა კვლავ ვეჭიდები სიცოცხლეს, და სიკვდილი მეძნელება, რადგან იმედი გამიცრუე, მიმტყუნე და სიმშვიდე დამიკარგე იმის გამო, რომ სიცრუის მქადაგებლებს უსმენ. გაები მათ მახეში, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა, - სწორედ ამიტომ გარიდებდი მათ ყოველნაირად, შენ კი გამოუცდელობის, სიყმაწვილისა და უმეცრების გამო სამეფო პატივის ნაცვლად დაღუპვა მოიწიე თავს. ნუთუ მე მამა და მშობელი არა ვარ შენი? შენ კი ჩემი რჯული უარყავი და თვითკმაყოფილებით აღუდექი წინ ჩემს ნებას, ეჭვი შეიტანე წინაპართა რწმენაში და მაცდურ და ცრუ კაცებს მიანდე საკუთარი ბედი, რომლებიც დაღუპვით გემუქრებიან. ნუთუ არა გრცხვენია, რომ სიხარულს მიმწარებ?! არ მიბრალებ, შენს გამო რომ ვიტანჯები, იმ ღმერთების უმადურიც ხარ, უხვად რომ გიწყალობეს კეთილი საბოძვარი, ისინი შეურაცხყავი და საკუთარი მშობელიც დაამცირე, მისსავე სიცოცხლეში მის სწავლებას არ ისმენ და არც მისი სიკვდილის შემდეგ იქნები მისი ნაცვალი. თუმცა საკვირველი აღარაფერია ჟამთა ცვალებისა და ეშმაკისაგან ძლევის შემოტევის გამო, მაგრამ არ იქნება ურიგო და უცნაური, თუ კვლავ მამის ნებას დაემორჩილები.

მიუგო იოდასაფმა:

– მეფეო, თავად გამოააშკარავე ის, რისი გამომჟღავნებაც მე არ მინდოდა, რათა უწყინარად, შენი ნება-სურვილისამებრ გეცხოვრა. მსურდა, გარეგნულად ყოვლითურთ კეთილად გჩვენებოდი შენ, ისეთად, როგორადაც ოცნებობდი ჩემთვის, რათა ჩემი სიკვდილის შემთხვევაში გულდამწუხრებული არ დამეტოვებინე, და თუ შენ დატოვებდი ჩემზე ადრე

განმწარებით დაუტევე გული შენი ჩემ ზედა. ხოლო უკუეთუმცა განხუედი უწინარეს ჩემსა, არამცა თჳნიერ სასოებისა განხუედ ნაცვალებისაგან ჩემისა შემდგომად შენსა, რაჲთამცა არა მწუხარებით წარვგზავნე სული შენი. და არარამან დამაბრკოლა წუევაჲ შენი ღმრთისმსახურებად და უწყებად შენდა შჯული ქრისტესი, გარნა უზომომან შენმან სიყუარულმან ვნებათა მიმართ და მოძნაურობამან შენმან მცნებათა მიმართ თჳსისა ცხოველისათა, რომლისათჳსცა ვერ შევატყჳ მოქცევად შენდა ჭეშმარიტებად, რამეთუ ფრიად საძულელ არს იგი წინაშე შენსა. და ამისთჳს დავიდევ გონებასა ჩემსა, რაჲთა პატივ-გცე დაფარვითა ამის საქმისაჲთა შენგან, რომელსა-ესე შჯულსა ზედა ქრისტესსა ვდგა მე სარწმუნოებით შეურყეველად და რაჲთა არა შეგამთხჳო ტკივილი და ვნებაჲ, გარნა საქმისა მოწევნამდე, რომელი მაიძულებს გამოცხადებად ჭეშმარიტებისა, რომლისა თანა არღარა ჯერ-იყოს დაფარვაჲ, არამედ განგდებაჲ შიშ[ი]სა და სირცხჳლისა შენისაჲ და განმზადებად წინააღდგო-მად შენდა. და მე მეგულებოდა აღსრულებაჲ ნებისა შენისაჲ გარეშითა ჩემითა და სმენად შენგან საჴედართა და სამოსელთა და ჭამადთათჳს, რომელი კმა იყო შენდა განკითხვისაგან შინაგანისა ჩემისა.

და ესე უწყოდე, მეფე, ვითარმედ გამოძიებაჲ საქმისა ჩემისაჲ შემაწუხებელ არს შენდა აწ, ხოლო შემდგომად იყოს იგი უმეტეს სიხარულ და მხიარულება შენდა საუკუნოდ. და აწ ესე ჯერ-არს შენდა, რაჲთა მაცადო ამას საქმესა ზედა, რომელსა ვდგა, ვიდრე ზარი და სირცხჳლი არს-და ქედსა ჩემსა ზედა, და მიითუალე ჩემგან ყოფაჲ ნებისა შენისაჲ ცხადსა ზედა, რაჲთა არა განვაცხადო წინააღდგომაჲ შენი არცარა გებაჲ შჯულისა შენისაჲ და ნუღარას გამოიკითხავ დაფარულთა ჩემთა, რომელი არა სავნო არს ცხორებასა შენსა და არცა შემდგომად სიკუდილისა შენისა“.

წუთისოფელს, უიმედოდ არ ყოფილიყავი მემკვიდრისათვის და მწუხარე არ წასულიყო შენი სული ამ ქვეყნიდან ჩემი შენდამი წინააღმდეგობის გამო. შენს მიერ ვნებების უზომო სიყვარულმა დამაბრკოლა. მხოლოდ და მხოლოდ ღვთის მცნებებით ცხოვრება შემომეთავაზებინა და ქრისტეს რჯული მეუწყებინა შენთვის. მაცოცხლებელი მცნებების შენგან მოძულებამ დამარწმუნა, რომ ჭეშმარიტებისკენ არ გსურს მოქცევა; პირიქით, ფრიად საძულველია ის შენთვის. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, შენი პატივისცემისათვის დამეფარა ჩემი გაქრისტიანება და ამგვარად, ვნება და ტკივილი არ მომეყენებინა შენთვის იმ დრომდე მაინც, სანამ თავად არ გამოაშკარავდებოდა ყველაფერი. ახლა კი იძულებული ვარ გავამჟღავნო ჭეშმარიტება, რადგან უკვე შეუძლებელია მისი დაფარვა, ამიტომაც ვძლევ შენს წინაშე შიშსა და რიდს და მზად ვარ შეგეწინააღმდეგო. ვფიქრობდი, რომ საკმარისი იქნებოდა ჩემი გარეგნული მორჩილება შენდამი და იმ დარიგებების შეწყნარება, რომლებიც ტანისამოსს, საზრდელ-სა და მგზავრობას შეეხებოდა, რათა უკმაყოფილო არ ყოფილიყავი ჩემით და არ განგეკითხა ჩემი შინაგანი კაცი.

იცოდე მეფეო, რომ ჩემი საქმის გამოძიება ამჟამად მტანჯველი იქნება შენთვის, მაგრამ მომავალში - უმეტესად სასიხარულო და საუკუნო ნეტარების მომნიჭებელი. ამიტომ უმჯობესია დამეხსნა და ხელი არ შემიშალო ჩემს მოღვაწეობაში, ვიდრე შიში და რიდი კიდევ გამაჩნია და შენი ნების მორჩილებად ჩათვალე ჩემი საქმიანობა, რათა ყველას წინაშე არ განვაცხადო ჩემი წინააღმდეგობა და შენი რჯულის უარ-ყოფა ჩემგან. ნუღარ იძიებ ჩემი გულის დაფარულს, რომელიც არც ამ ცხოვრებაშია შენთვის საზიანო და არც შენი სიკვდი-ლის შემდგომ.

მეფემ შვილის სიტყვები რომ მოისმინა, აგინებდა, გმობდა და ემუქრებოდა მას და უთხრა:

ხოლო მეფესა რაჟამს ესმნეს სიტყუანი ძისა მისისანი, აგინა
და იწყო გმობად და სიქადულად მისა, და ჰრქუა მას: „შენ ყრმა
ხარ და თავმოთნე, და [მ]ე გფარევდი შენ კაცთაგან და
განგაშორებდ ვნებათაგან დიდებისა და ნუკევისა შენისათჳს, და
გცევდი მახეთაგან და გრგენათაგან ეშმაკისათა, და განვპოხე
გუამი შენი სიჩჩოებითა და თუალნი და სასმენელნი შენნი
სიხარულითა, და დაგიფარენ ყოველნი საქმენი შემაწუხებელნი,
რაჲთამცა სარგებელ-გეყო, ხოლო შენ აღგიტაცა სოლაღემან
შენმან, მოიწყინე შუებაჲ და განსუენებაჲ და მიივლტი ჭირად და
იწროებად სიუცბითა შენითა და ეძიებ ცხორებასა, რომელ
უკუეთუმცა იხილე გემოჲ მისი და გამოსცადენ ჭირნი და
იწროებანი მისნი და მრავალფერნი იგი სულნი მომაწყინებელნი
მისნი, სცანმცა ზომი თავისა შენისაჲ და ჭეშმარიტად ამისგან
(უმეტესმცა) ივლტოდე, ვიდრე შუებათა და განსუენებათაგან.
ამისთჳსცა სამართლად მითხრეს შენთჳს ვარსკულავთმრაცხუ-
ველთა დღესა შობისა შენისასა, ვითარმედ ყოფად ხარ კაცი
უკეთური და უბადრუკი და მოწყინე და მრავალფერი, და არა
მიმღებელი კეთილთა ქუეყანისათაჲ. ხოლო მე ვიღუაწე
უმჯობესი ცხორებაჲ შენთჳს, რაჲთა **შეგრჩეს** ჩუეულებაჲ მისი
და წარვდევნენ შენგან ყოველნი მაცთურნი და მცბიერნი და
წმიდა-ვყავ მათგან ქუეყანაჲ ჩემი და დავაცხრვენ ენანი კაცთანი
სიტყჳსაგან საცთურებისა მათისა, და გამოუცხადე კაცთა უკე-
თურებაჲ და სიცრუვე [მათი], რომლისათჳსცა განისხნეს სიძუ-
ლილით და მოისრნეს ჭეშმარიტებით. მერმე შეიჭურა ჩუენთჳს
[ეშმა]კი, რამეთუ ვერ შემძლებელ იყო პოვნად ნებასა მისს[ა]
ჩუენ თანა, გარნა შენ მიერ, და არავინ პოვა ჩუენ შორის უფრო
ადვილადსაძლეველი შენსა. ამისთჳსცა დაგამტკიცა ბოროტსა
ზედა გულისსიტყუასა. ხოლო ცვითა მით და ნუკევითა ჩემითა
შენდამი უფროჲს ვინაჲ-მე დაგაახლე, რომელსა-იგი მეშინოდა
შენთჳს? და უკუეთუმცა მიმეშუა განსაცდელთა და გეჭამამცა
ტკბილსა მას თანა მწარე, არამცა უმეცარ იყავ სიმწარესა

— შენ ჯერ ყრმა ხარ — ამაყი და თავდაჯერებული. მე
გიფარავდი ბოროტ კაცთაგან და ყველაფრისაგან, რაც ზიანს
მიაყენებდა შენს დიდებას, გიცავდი მახეთაგან და ეშმაკის
მიერ გახელებისაგან. ფუფუნებაში გამყოფებდი და
მხიარულებით შემოგიფარგლე თვალთახედვა, და შენსავე
სასარგებლოდ დავფარე შენგან ყოველი მწუხარების მომგვ-
რელი, მაგრამ აღტაცებულმა შენივე სილაღით, შვება და
განსვენება შეიძულე და შენი უმეცრებით ჭირსა და
შევიწროებას ესწრაფვი. გწადია ცხოვრება, რომლისგანაც,
რომ გამოგეცადა მისი ჭირი და შევიწროება, უზომო
მოწყინება და სულის მწუხარება, უფრო მეტად გაიქცეოდი,
ვიდრე შვებისა და განცხრომისაგან. ვარსკვლავთმრიცხ-
ველებმა სიმართლე მიწინასწარმეტყველეს შენი შობის დღეს,
როცა მითხრეს, რომ იქნებოდი კაცი უკეთური და უბადრუკი,
საწყალი და თავგზააბნეული, მერყევი და ქვეყნიურ სიკეთეთა
უარმყოფელი. ჩემი მხრივ ვეცადე საუკეთესო ცხოვრება
შემექმნა შენთვის, რათა სილაღით ცხოვრება ჩვეულებად
გქცეოდა, ყოველი მაცდური და ცბიერი წარვდევნე შენგან და
ქვეყანა გავწმინდე მათგან, სიცრუის ქადაგება ავუკრძალე და
კაცთა წინაშე გამოვააშკარავე მათი ბოროტება და სიყალბე,
რის გამოც სიძულვილით განიდევნენ და ჭეშმარიტებით
განადგურდნენ. მაშინ ეშმაკი აღდგა ჩვენზე, მაგრამ
რადგანაც ჩვენს შორის ვერავინ ნახა მისი ნების
აღმსრულებელი და ვერც ვერავინ იპოვა შენსავით ადვილად
დასაძლეველი, ამიტომ. ბოროტი ზრახვები ჩაგაგონა და
განგამტკიცა მასში. საუბედუროდ, რაც უფრო მეტად
გიცავდი და გევლებოდი თავს, მით უფრო დაგაახლოვე
სწორედ იმას, რისი ყველაზე მეტად მეშინოდა. ხოლო, რომ
მიმეშვი და თავად გენახა გაჭირვება, ტკბილთან ერთად,
მწარეც გესინჯა, უკეთ გეცოდინებოდა გაჭირვების სიმწარეც
და განცხრომის სიტკბოებაც. ახლა კი ამ ცხოვრების

ჭირისასა და სიტკბოებასა შუებათასა. ხოლო აწ უმეცარ ხარ სიტკბოებასა ამის ცხორებისასა, რამეთუ არღა გიხილავს სიმწარე ცხორებისაჲ მის, რომელსა შენ ეძიებ“.

მიუგო და ჰრქუა იოდასაფ: „არა უწყი, მეფე, თუ რომლისა საქმისათჳს შეწუხებულ ხარ: კეთილისათჳს, რომელ მოვიღე, ანუ წინააღდგომისათჳს ნებისა შენისა. უკუეთუ მოპოვენებისათჳს კეთილისა მრისხავ, თანა-მაც სივლტოლაჲ შენგან და განთავისუფლებაჲ უფლებისაგან შენისა, ხოლო უკუეთუ მაბრალებ წინააღდგომისათჳს ნებისა შენისა და გნებავს წარწმედაჲ ჩემი (რომელი შეაშუს ნებასა შენსა) და არა ცხორებაჲ ჩემი, რომელი წინააღუდგების ნებასა შენსა. ამის გამო ჩანს უზრუნველობაჲ შენი ჩემთჳს და მეცა თანა-მაც, ოდესც[ა]ღა ესე ესრეთ არს, რაჲთა მაქუნდეს იჭჳ [შ]ენდამი, რამეთუ, ჰ მეფე, არა უფროჲს არს მწუხარებაჲ შენი ჩემდამო კეთილთა ამათთჳს, რომელნი მოვიპოვენ მწუხარებისა მის ჩემისა, რომელი მაქუს დაკლებისათჳს შენისა კეთილთა მათთჳს საუკუნეთა, რამეთუ მე უფროჲსღა თანა-მაც ტკივილი და მწუხარებაჲ საქმისათჳს შენისა, ვიდრე-ღა შენ ჩემთჳს. ხოლო რომელ-ესე სთქუ, ვითარმედ ყრმა ვარ, ნეტარ-თუმცა სრულმე ესე სიტყჳსმიმგებელ მექმნებოდა დღესა მას საშჯელისასა, ხოლო გინებაჲ, რომელ სთქუ ჩემდამო, ნეტარ-თუმცა ყოველთა-გან სიბილწეთა განვერი, გარნა გინებისა ჩემისა. ხოლო სიქადული შენი უკუეთუ საქმით აღასრულო ჩემდამო, ვესავ ღმერთსა, რაჲთა შევერთო რიცხუსა მას წმიდათა მოწამეთასა, [რომელნი]ცა აცხოვნენ ბოროტისყოფითა შენითა[35].

არამედ რაჲ სარგებელ არს ჩემდა, რამეთუ ყრმით მხადი, და მე მიწევნულ ვარ ჟამსა, რომელსა არღარა მაქუს სიტყჳსგებაჲ სიყრმისათჳს ჩემისა. ანუ რაჲ მწუხარებაჲ არს ჩემდა გმობისათჳს და ძაგებისა შენ მიერ, რომელნი უფროჲს სახარულ არიან და საქადულ ჩემდა, რომლისათჳს მგმობ და მაბრალებ. ანუ ვითარ

სიტკბოების უმეცარი ხარ, რადგან არ გამოგიცდია სიმწარე ცხოვრებისა, რომელსაც ესწრაფვი.

მიუგო იოდასაფმა:

– ვერ გამიგია, მეფევ, რის გამო ხარ შეწუხებული, - სიკეთისათვის, რომელიც მომიპოვებია, თუ იმის გამო რომ აღვუდექი შენს ნებას?! თუ კეთილის მოპოვებისთვის მრისხავ, ისღა დამრჩენია, გაგექცე და თავი დავაღწიო შენს ძალმომრეობას ჩემზე, ხოლო თუ შენს წინაშე ურჩობაში მადანაშაულებ, ჩანს, ჩემი დაღუპვა გსურს, და არა საუკუნო ცხოვრება, რომელიც შენი ნება-სურვილის საწინააღმდეგოა. ამით მჟღავნდება შენი უზრუნველობა და გულგრილი დამოკიდებულება ჩემდამი და რაკი ასეა, იძულებული ვარ, ეჭვი შევიტანო შენში, ამასთან, მეფევ, იმ სიკეთის გამო, რომელიც ასე გაჭირვებით შევიძინე, არ ხარ შეწუხებული, ვიდრე მე ვწუხვარ შენზე იმის გამო, რომ საუკუნო ნეტარებას აკლდები. მე უფრო მეტად მაქვს შესაშფოთებელი და სადარდებელი შენს ბედზე, ვიდრე შენ ჩემზე. ხოლო რომ თქვი, ყრმა ხარო, ნეტა მართლაც შემძლებელი იყოს ჩემი სიყმაწვილე განკითხვის დღეს პასუხისმგებლობა ამარიდოს. რაც შეეხება შენს მიერ ჩემს შეურაცხყოფას, წყალობა იქნებოდა, ყველა სხვა სიბილწეს განშორებული რომ ვყოფილიყავი, და მხოლოდ შეურაცხყოფა შემრჩენოდა. ხოლო მუქარაც რომ სისრულეში მოგეყვანა და საქმით აღგესრულებია იგი, ნეტარი ვიქნებოდი, და ღვთის წყალობა იქნებოდა ჩემზე, რადგან იმ წმიდა მოწამეების რიცხვს შევუერთდებოდი, რომლებიც შენგან ტანჯვა-წამების შედეგად ცხონდნენ.[35]

რა შეღავათია, რომ ყრმად მთვლი, რადგან უკვე მივაღწიე ასაკს, როცა აღარ შეიძლება ამგვარად ვიწოდებოდე და ვიმედოვნებდე ყრმობით. ასევე, არც ის არის სამწუხარო, რომ მგმობ და მაძაგებ,პირიქით, სასიხარულო და

მაქადებ სატანჯველთა, და ძირი რისხვისა შენისაჲ ესე არს ჩემ ზედა, რამეთუ თავს-მიდებიეს რაჲმე მცირედი სატანჯველი ამის სოფლისაჲ გინებითა ჩემითა. ხოლო რომელ-ესე იტყჳ კეთილისყოფათა შენთა ჩემდამო, უწყოდე, მეფე, რამეთუ კეთილთა მათ შენთა წარმავალთა აღმძრეს სურვილად კეთილთა მიმართ უკუდავისა მეუფისათა წარუვალთა. ხოლო უკუეთუ მაიძულებ კეთილთა ამათ შენთა განხრწნადთათჳს დატევებასა საშუებელთა მათ საუკუნოჲსათა გამოუთქუმელთა, უწყოდე, რამეთუ არა სწორ არიან განხრწნადნი უხრწნელთა, რამეთუ შენი ესე ანუ მიიღო შენვე მცირედისა რაჲსამე რისხვისათჳს, ანუ ჟამთა ქცევამან მიგჳღოს შენცა და მეცა, ხოლო სიხარულისა მისთჳს ესრე იტყჳს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე: "და სიხარული თქუენი არავინ მიგიღოს თქუენგანო", რამეთუ საქმე ესე და ცხორებაჲ, რომელი შენ გამოირჩიე ჩემთჳს, ტრფიალი და შუენიერი არს, უკუეთუმცა არა ადრეწარმავალ იყო, ხოლო უკუეთუ გაქუს სიმტკიცე დადგრომისა მისისათჳს, კეთილ და საწადელ არს ფრიად, არამედ უკუეთუ ვერ გულპყ[რ]ობილ ხარ, რაჲსათჳს არა შემინდობ დატევებასა მისსა, რაჲთა მით მოვიპოვო უსაწადელესი ცხორებაჲ? ანუ ვითარ გიკჳრს, მეფე, სურვილი ჩემი კეთილთა მათთჳს წარუვალთა და არა გიკჳრს შეკუეთებაჲ თავისა შენისაჲ საშუებელთა ამის სოფლისა წარმავალთა. ხოლო რომელ-იგი სთქუ, ვითარმედ აოტენ ჩემგან მცბიერნი და მაცთურნი და გრძეულნი და დააცხრვენ ენანი კაცთანი სიტყუათა მიმართ მათთა, ესე უდიდესი ყოველთა კეთილთა შენთასა არს ჩემ თანა, უკუეთუ ოდენ სახელისდებაჲ საქმეთაჲ **მიახუედრე**, არამედ არა განმაშორენ ჩემგან, გარნა წმიდანი მღდელნი ქრისტესნი და ნეტარნი მამანი და წინამძღუარნი ცხორებისა ჩემისანი, და შთამაგდე ადგილსა უდაბნოსა და ურწყულსა თჳნიერ წინამძღურისა და შესავედრებელისა სულიერისა, შორის გუელთა და ღრიაკალთა, მჴეცთა და ეშმაკთა, რამეთუ წინააღუდეგ ჭეშმარიტსა ქრისტესა ღმერთსა და

სასურველიცაა ჩემთვის. როგორღა მაშინებ ტანჯვის მუქარით ან მრისხანებით, როცა საკუთარივე ნებით ვიტვირთე ტანჯვა ამ სოფელში. ხოლო ის, რაც ჩემთვის სიკეთე გგონია, უწყოდე მეფევ, რომ სწორედ შენგან თავსმოხვეულმა ამ წარმავალმა სიკეთეებმა აღმიძრეს უკვდავი მეუფის წარუვალი სიკეთეების მოძიების სურვილი. შენ ხრწნადი სიკეთეებისათვის გამოუთქმელი, საუკუნო სუფევის უარყოფას მაიძულებ, მაგრამ იცოდე, რომ ხრწნადს არავითარი მსგავსება არა აქვს უხრწნელთან. მიწიერ საშვებელს ან თავად განიშორებ შენივე რისხვის გამო, ან ჟამთა სვლა მაინც განგვაშორებს მათ. საუკუნო სიხარულზე კი ამგვარად ამბობს უფალი ჩვენი იესო ქრისტე: „თქვენ სიხარულს ვეღარავინ წაგართმევთ“ (იოანე 16:22). ასე, რომ ცხოვრების წესი და რიგი, რომელიც შენ არჩიე ჩემთვის, საწადელი და მშვენიერი იქნებოდა, სწრაფწარმავალი რომ არ ყოფილიყო იგი. თუ შენ მტკიცე დარწმუნება გაქვს მათ წარუვალობაში, კეთილი და სასურველი ყოფილა იგი, მაგრამ თუ ამაში დარწმუნებული არა ხარ, რატომ არ მპატიობ მათ მოძულებას და მათ ნაცვლად უსაწადელესი ცხოვრების მოპოვებისაკენ სწრაფვას? ან რატომ გიკვირს, მეფეო, ჩემგან წარუვალ სიკეთეთა სურვილი, და არ გიკვირს შენს მიერ ამსოფლიურ, წარმავალ სიკეთეთა დაწაფება და შეტკბობა?! ამბობ, თითქოს ცბიერი და გრძნეულნი განმაშორე და კაცთა ენები მათ შესახებ ლაპარაკისაგან დაადუმე და ამას მიიჩნევ ჩემთვის გაკეთებულ ყველაზე დიდ სიკეთედ, მაგრამ მართლაც რომ გრძნეულნი და მაცდურნი განგეშორებია ჩემგან საქმით, ქრისტეს მღვდლებს, ნეტარ მამებსა და ჩემი ცხოვრების მეგზურ წინამძღვრებს არ განმაშორებდი და უდაბნო და ურწყულ ადგილას გველთა და მორიელთა, მხეცთა და ეშმაკთა შორის, და წინამძღვრისა და სულიერი მოძღვრის გარეშე არ დამაგდებდი. თითქოს ჩემთვის შიშობდი და ჭეშმარიტ ღმერთს – უფალ იესო

მოსწყჳდენ წმიდანი მისნი მართალნი და რჩეულნი წინამძღუარნი ცხორებისანი (რომელთა დათრგუნეს სოფელი ესე) შიშისა მათისათჳს ჩემ ზედა, და მარტოდ დამაგდე შენ მცბიერთა და მაცთურთა და მტყუვართა. ხოლო ღმერთმან და მამამან უფლისა და მაცხოვრისა ჩემისა იესუ ქრისტესმან, ყოვლადძლიერმან, სულითა წმიდითა თჳსითა მომცა მე მეცნიერებაჲ ცნობად სამწმიდაარსებისა მისისა.

და მერმე სთქუ განწირულებაჲ და უბადრუკებაჲ და მრავალფერობაჲ ჩემთჳს და მოწყინებაჲ სოფლისაჲ და არადაჯერებაჲ კეთილთა მისთა ზედა, ვითარ არა განწირულ ვიყო, რამეთუ განწირულებაჲ ამის სოფლისაჲ მოატყუებს მშჳდობასა, ნუგეშინისცემასა და განსუენებასა. და კეთილ არს ჩემდა უბადრუკებაჲ აქა, რაჲთა მიზეზ-მექმნეს ცხორებისა მის საუკუნოჲსა წარუვალისა. ანუ ვითარ არა მოვიწყინო სოფელი ესე, რამეთუ იგი მოიწყინებს მოყუარეთა მისთა. ანუ ვითარ არა ვიქცე მრავალფერად, რამეთუ იგი მრავალფერად ექცევის კაცთა და თჳთ შენ ზედაცა მოწევნად არს მრავალფერობაჲ მისი. ანუ ვითარ დავშჯერდე კეთილთა მისთა, რამეთუ კეთილნი მისნი ბოროტ არიან: დღეს მისცემს და ხვალე მოუღებს და მერმე იზღვევს. აწ, მეფე, კეთილად განიზრახე შენთჳს. დიდ არს კეთილი მისი შენ ზედა და სულგრძელებაჲ მისი სინანულად მოგელის. ხოლო შენ მას უჴდები და წინააღუდგები შჯულსა მისსა და არა ინებენ კეთილისყოფანი მისნი, რამეთუ ჰნებავს მოქცევაჲ ყოველთაჲ სინანულსა ზედა ჭეშმარიტსა. ამისთჳს მიუშუა ამპარტავანებასა შენსა და არა მიგცა, რომელსა მიეც თავი შენი, უღებებასა და ბოროტსა, და არა მოგაგო, რომელი-იგი შენ უყავ მსახურთა მისთა წმიდათა[36].

მაშინ გულისჴმა-ყო მეფემან, ვითარმედ გულისწყრომაჲ მისი უფროჲს აღაგზნებს გულისწყრომასა მისსა. და შე-ცა-ეშინა, ნუუკუე ვერ დაითმინოს სიმქისე სიტყუათა მისთაჲ. და

ქრისტეს აღუდექი წინ. მოსპე და გაანადგურე უდანაშაულო წმიდანები და რჩეული ძმები; ისინი, რომელთაც უარყოფილი ჰქონდათ ეს სოფელი, და მარტო დამაგდე მაცდურთა შორის. მაგრამ ყოვლადძლიერმა ღმერთმა და ჩემი უფლის იესო ქრისტეს მამამ სულიწმიდის მიერ მომმადლა მეცნო წმიდა სამება.

ასევე, შენ თქვი ჩემს განწირულობასა და უბადრუკობაზე, წუთისოფლის მოძულებასა და მისი სიკეთეების მიუღებლობაზე. როგორ არ მოვიძულო წუთისოფელი, როცა სწორედ მისი მოძულებაა ის წინაპირობა, რის შედეგადაც მშვიდობას, ნუგეშისცემასა და განსვენებას მოვიპოვებთ?! უმჯობესია აქ უბადრუკობა, ოღონდ წარუვალი, საუკუნო ცხოვრება დავიმკვიდრო. ან როგორ არ მოვიძულო ეს სოფელი, რომელიც თავად მოიძულებს მის მოყვარულებს?! ან როგორ არ მოვექცე მისი მრავალფეროვნების ქვეშ, როცა ის მრავალფეროვნებით აცთუნებს ადამიანებს და შენზეც მძლავრობს მისი მრავალფეროვნება?! როგორ დავსჯერდე მის სიკეთეებს, როცა მისი სიკეთე ბოროტებაა, დღეს უხვად გასცემს მას, ხვალ კი კვლავ უკან მიიტაცებს და ვნებას მიაყენებს კაცს?! ამიტომ, მეფეო, უმჯობესია, უკეთესი აირჩიო შენთვის. უხვია ყოვლადძლიერის წყალობა შენზე და მისი სულგრძელება სინანულისაკენ მოგიწოდებს. მაგრამ ეურჩები მას და მის მცნებებს ეწინააღმდეგები, არ გსურს მისი სიკეთეები, მას კი ყოველი კაცის ჭეშმარიტ სინანულზე მოქცევა ნებავს, ამიტომაც გაპატია შენი ამპარტავნება და არ მიგცა სიზარმაცესა და ბოროტებას, რომელსაც თავად მიეცი თავი, და არ მოგიზღო იმგვარად, როგორც შენ მოეპყარი მის წმიდა მსახურებს.

მეფე მიხვდა, რომ მრისხანებით კიდევ უფრო აღაგზნებდა უფლისწულის გულისწყრომას, თანაც შეეშინდა, ვაითუ, ჩემი სიტყვების სიმკაცრე ვერ გადაიტანოსო. სწრაფად წამოდგა

მსწრაფლ აღდგა და წარვიდა პალატად თჳსა დამძიმებული ურვითა და შესულებული ტკივილითა და განცჳბრებული გონებითა.

46. და ხვალისა დღე კუალად მოვიდა მეფე ძისა თჳსისა, და შეიტკბო იგი მკერდსა თჳსსა და მოეხჳა ქედსა მისსა, და ეტყოდა: „ნუ, შვილო ჩემო, და ნაწლეო მუცლისა ჩემისაო, რამეთუ არა გიღირს ყოველსა შინა შეტ[ყ]უებასა, თუმცა მეჭუდი თავსა ზედა ჩემსა და სთქუმცა, ვითარმედ ნეფსით დაუტეობ უმჯობესსა და მოვიღებ წარსაწყმედელსა და აღვირჩევ საცთურსა, რამეთუ შენ უწყი სიმტკიცე და შეურყეველობაჲ გონებისა ჩემისაჲ. და უკუეთუ სთქუა, ვითარმედ დამძიმდეს ჩემ ზედა წესნი ჭეშმარიტებისანი და ამისთჳს მიმიზიდნეს ნებასა და გულისთქუმასა, შენ უწყი და ყოველმან კაცმან მოთმინებაჲ ჩემი [სა]მართალსა ზედა შჯულისა ჩემისასა და მრავალგზის დავაცარიელენ საგანძურნი ჩემნი ტაძართათჳს კერპთაჲსა და მსახურთა მისთა, და წინაუყავ ყოველი მონაგები ჩემი, და მრავალგზის პატივ-[ვ]სცი კაცსა შეურაცხსა **ნათესავითი,** რაჟამს ვცნი კეთილადსლვაჲ მისი შჯულსა შინა ჩემსა, ვიდრემდის აღუდგი საჯდომითგან ჩემთა და წინამივეგები მშჳდობისა მიცემად მისა და დავდგი წინაშე მისსა, **ვითარცა მონაჲ** რაჲ დგანნ წინაშე უფლისა თჳსისა. და უკუეთუ საშუებელთა ძიებისათჳს იყო განზრახვაჲ ესე ჩემი, ვითარ-ესე შენ ჰგონებ ჩემთჳს, რაჲსათჳსმცა მოვწყჳდენ მონანულნი კაცნი, რომელთა დაუტევეს სოფელი ესე ჴელთა შინა ჩემთა და არარას მეზიარებოდეს და ა[რ]ცა მაცილობდეს რასამე მას შინა ყოვლადვე?! რამეთუ მოკლვაჲ და ტანჯვაჲ არა იქმნების, გარნა გულისწყრომისა მიერ და **გაჴურვებისა** გულისა. და **გაჴურვებასა** შინა შფოთი შეამთხჳეს გულსა და ვნებაჲ სულსა, და მწუხარებაჲ აღიძრვის გონებასა შინა ჟამსა

და მწუხარებით გულდამძიმებულმა, თავგზააბნეულმა და ტკივილით გაოგნებულმა, სასახლისაკენ გასწია.

46. მეორე დღეს კვლავ მოინახულა მეფემ უფლისწული, ხელი მოჰხვია, გულში ჩაიკრა იგი და უთხრა:

– ნუ, შვილო, ნუ, ჩემო სისხლო და ხორცო, ნუ შეორგულდები და ნუ დაეჭვდები ჩემში, ნუ ამბობ, რომ შენი ნებით უარყოფ უმჯობესს და საცდურსა და წარსაწყმედელს ირჩევ. მენდე, რადგან იცი ჩემი სიმტკიცე და შეურყეველობა, თუ ფიქრობ, რომ ჭეშმარიტების მსახურება მემძიმა და ამიტომ გამიტაცა გულისთქმებმა და ვნებებმა, ცდები, რადგან შენ ხომ იცი და სხვებმაც, როგორი მტკიცე და შეურყეველი ვარ რჯულის კანონებში. მრავალგზის დამიცარიელებია საგანძურები კერპთათვის ტაძრების ასაგებად და მის მსახურთათვისაც არაერთგზის მიბოძებია სიმდიდრე, ყოველთვის პატივს ვსცემდი ბოგანოსა და ღარიბ-ღატაკს, თუკი შევიტყობდი, რომ ჩვენი რჯულის ერთგული იყო. სამეფო ტახტს მჯდომი წინ ვეგებებოდი, მშვიდობას ვუსურვებდი და იმგვარად ვიდექი მის წინაშე, როგორც მონა ბატონის წინ. და თუ მხოლოდ ჩემთვის ვეძებდი შვებასა და განცხრომას, როგორც ეს შენ გგონია, რატომღა ამოვწყვეტდი იმ ხალხს, რომლებმაც ეს სოფელი დატოვეს და არც არაფერს მეცილებოდნენ მასში?

გულისწყრომა და მრისხანება მკვლელობას და ტანჯვას შობს, სწორედ მრისხანება აშფოთებს გულს, აზიანებს სულს და აბნელებს გონებას. ნუთუ ჩავარდნილა ვინმე იმგვარ უგუნურებაში, რასაც მამაშენს აბრალებ, - თითქოს იმგვარად დავემორჩილე ვნებებსა და გულისთქმებს, რომ რჯულადაც კი გავიხადე ისინი და მთელი სიმდიდრე დავახარჯე მათ,

გულისწყრომისასა. ანუ ვინ უბადრუკთაგანი შთავარდა ესევითარსა საცთურსა, რომელსა შენ ჰგონებ მამისა შენისათჳს, რაჲთამცა ესოდენ მიდრიკეს ვნებათა და გულისთქუმათა, ვიდ-რემდის შჯულადმცა დააწესნა იგინი და წარაგნა მონაგებნი მისნი მათ ზედა, რომელნი შეუდგეს მას, და აღლესა მახჳლი მისი მათ ზედა, რომელნი წინააღუდგეს მას. და მერმე იცი სამართალი მშჯავრისა ჩემისაჲ და შჯაჲ ქურივთაჲ და ნუგეშინისცემაჲ ობოლთაჲ დ[ა] წყალობაჲ გლახაკთაჲ და ხაშმთაჲ და ტჳრთვაჲ უძლურებისა მათისაჲ და განყოფაჲ საფასეთა ჩემთაჲ მათ შორის, რამეთუ შენ (უწ)ყი, [ვითარმედ] მრავალგზის ოდესმე მივემთხჳი გლახაკთა და ვნებულთა, გინათუ ობოლთა და ქურივთა, და ვერ შეუძლი თანაწარსლვაჲ მათგან, ვითარმედ აღვასრული საწადელი მათი ყოველი. აწ რაჲდა ძალ-გიც, შვილო ჩემო, ძაგებად შჯულისა ჩემისა და იჭჳსაჲ მაგის შენისაჲ ჩემდა მომართ? ანუ იტყჳა, ვითარმედ შევსცეთ გზისაგან მართლისა და გამოვირჩიე არაგამოსარჩეველი და ვდგა არა სათნოსა ზედა? ვითარ უკუე ეჭუ განზრახვასა ჩემსა გამოცდილსა და განგებასა ჩემსა საცნაურსა და კეთილად გამონახვასა [ჩემ]სა საქმეთა დაფარულ-თა და შეტყუებასა ჩემსა საქმეთა საეჭუელთა და არა უფროჲს ეჭუ განზრახვათა შენთა, რამეთუ მსწრაფლ მიდრიკა გონებაჲ შენი წინამსრბოლმან [ჩ]უევამან და არა გამოიცადე იგი და არცა უჩუენე საქმე შენი წინამძღუარსა ბრძენსა და არცა მოძღუარსა მეცნიერსა და არცა ერთგულსა **მტკივანსა** და გინა[თუ] გონიერსა გამოცდილსა. ანუ ვინაჲ ნუგეშინისცემულ ხარ, თუ არა იხილა ეშმაკმან შენ თანა სიჩქუარე და სისუსტე, და აღგამაღლა, ვითარმცა მეცნიერებასა ღმრთისასა მიგაწია და შეგიმკო საცთური ამის გამო ენითა ბირებულისა მის ბალაჰვარისითა. ანუ ვითარ იტყჳ საქმესა ამას, რომელსა შეგიყ-ვანა შენ უცბებით. და განჰბჭე შენ[თჳს] ჭეშმარიტებაჲ და ჩემთჳს სიცრუვე თჳნიერ გამორჩევისა მართლისა მსაჯულისაჲთა და სარწმუნოჲსა მოწამისაჲთა და საცნაურისა შეტყუებისა,

რომლებიც გამომყვნენ, ხოლო მახვილი აღვმართე მათზე, რომლებიც შემეწინააღმდეგნენ? შენ იცი ჩემი სამართლია-ნობა განაჩენის გამოტანისას, ქვრივთა შემწე და ობოლთა ნუგეშისმცემელი ვარ, ვწყალობ გკახაკებსა და დავრდომი-ლებს, თავად ვტვირთულობ მათ უძლურებასა და სიმდიდრეს ვურიგებ მათ. ისიც ვიცი, რომ ყოველთვის, როცა გლახაკს, დავრდომილს, ობოლს ან ქვრივს ვხვდები, არ შემიძლია გვერდი ავუქციო ან ჩავუარო, ვიდრე ყოველგვარ სათხოვარს არ შევუსრულებ მათ. მაშ, რაღა გაიძულებს, შვილო, ჩემი რჯულის ძაგებას ან ჩემში დაეჭვებას?! ნუთუ იტყვი, რომ ჭეშმარიტების გზას ავცდი, უკეთურება გამოვირჩიე და არასწორ გზას ვადგავარ? რატომ ეჭვდები ჩემს მიერ არჩეული და მრავალგზის შემოწმებული გზის სისწორეში?! ეჭვი შეგაქვს ჩემს კეთილმსახურებაში, დაფარულ საქმეთა სწორად გამოკვლევასა და საეჭვო საქმეთა მოძულებაში. შენმა ნაჩქარევმა მოქმედებებმა და ჩვევებმა, რომლებიც წინ გისწრებენ, იმგვარად დაიმონა შენი გონება, რომ ბრმად ენდობი, ისე, რომ რჩევას არ ეკითხები არც ბრძენ წინამძღვარს, არც მცოდნე მოძღვარს, არც ერთგულ გულშემატკივარს და არც გამოცდილ ან გონიერ კაცს. ან კი საიდან ხარ დარწმუნებული, რომ ეშმაკმა არ ისარგებლა შენი უმეცრებითა და სისუსტით? მან აღგამაღლა და შთაგაგონა, თითქოს სულიერ სიმაღლეებსა და ღვთის შემეცნებას მიაღწიე და მისი ერთგული მსახურის - ბალავარის მეშვეობით კიდევ უფრო განგამტკიცა ამ საცდურში. სხვაგვარად რით აიხსნება ის, რომ თავისკენ გადაგიბირა ეშმაკმა?! როგორ შეგეძლო სამართლიანი მსაჯულის, სარწმუნო მოწმისა, ან განსჯის გარეშე გეფიქრა, რომ ყველაფერში მართალი შენ ხარ, მე კი ყველაფერში ვცდები? ისე იქცევი, შვილო, როგორც ერთი ვინმე რჯულის-მცოდნეთაგანი, რომლის გონებაც ცრუ სწავლებითაა

რამეთუ შენცა, შვილო ჩემო, ესრევე ხარ, ვითარცა ერთი ვინმე
რომლისაცა შჯულისა მპყრობელთაგანი, რომელთა სიცრუვემან
მიუს[...] [სა]სმენელთა მათთა და შესცთეს ახალსახიობითა მით, და
მერმე ემხილა ჭეშმარიტი, არამედ მისწრობილი იგი სიცრუვე
დანერგულ იყო გულთა შინა მათთა და სწორებითა მით
უჭეშმარიტესად ჰხედვიდეს სიცრუვესა ვიდრეღა მათისა
სიმართლისა. აწ შენცა ეკრძალე, შვილო ჩემო, რამეთუ მე უწყი,
ვითარმედ კეთილსა გული-გითქუამს, და ესე უმეტესი მადლი
არს, მონიჭებული ღმერთთა მიერ შენ**დ**ა და შენ მიერ ჩუენდა,
რამეთუ ძირმან მამათა შენთამან მიგიზიდა", და ყოველთა
სახელით მოაჴსენებდა და ნათესავთა მოასწავებდა და ცხორებასა
მათსა უთხრობდა.

ხოლო იოდასაფს ვითარცა ესმნეს სი[ტ]ყუანი მეფისანი,
გულისჴმა-ყო, ვითარმედ ეშმაკსა საბრჴე დაურწყამს მისთჳს და
ვითარმედ თჳნიერ ყოვლისა ღონისა უჴმს განმზადებად
ბრძოლისა მისისა, და ჰრქუა მეფესა: „მეფე, არარაჲ უსაწადელეს
არს ჩემდა, ვითარ საქმე ესე, რაჲთამცა **შემიკრიბეს** უმჯობესი
ჩემი და დაჯერებაჲ შენი, ხოლო უკუეთუ დამაკლდეს დაჯერებაჲ
შენი თჳნიერ ღონისა თანა-მაც უმჯობესსა ჩემსა, დაღაცათუ არა
გონდეს შენ, რამეთუ მე ვჰგონებდ, მეფე, ვითარმედ ცოცხლად
განმზრახი ხარ თჳნიერ ყოვლისა ცთომისა, დაღაცათუ საქმით
აღასრულებ საცთურსა. ხოლო აწ სალმობაჲ გონებისაჲ და
განზრახვისა შენისაჲ უბოროტესად და უძჳრესად საკჳრველ არს
ვიდრე სენსა საქმეთა შენთასა. და აწ მე თანა-მაც, მეფე, თჳნიერ
ღონისა, რაჲთა შევემთხჳო გონებასა მაგას, რომელსა
მიუდრეკიხარ შენ სიბრძნითა, რომელი მახლობელი არს მისი,
რამეთუ თანა-მაც ზრუნვაჲ მისთჳს და ძიებაჲ წამლისაჲ მისთჳს.
და მე არა მნებავს, მეფე, სიმქისითა მით, რომელსა გაჩუენებ,
თჳნიერ პატივი შენი, რამეთუ რომელი ზაკუვით გეტყოდის, იგი
არა ერთგული არს შენი. აწ დაიცხრვე აღშფოთებაჲ შენი და
დაინახე უმჯობესი შენი და უწყოდე, რამეთუ აღრე მოსიკუდიდ

დაბინდული და რაიმე სიახლით გატაცებული. ასეთმა კაცმა
ჭეშმარიტების შესახებ რომც შეიტყოს რამე, ეუცხოება,
რადგან უკვე შეთვისებული აქვს სიცრუე, მას მიიჩნევს
ჭეშმარიტებად, ჭეშმარიტებას კი – სიცრუედ. ამიტომ
გაფრთხილდი, შვილო. მე ვიცი, რომ გული უკეთესს გთხოვს,
ეს უდიდესი მადლია, ღმერთებისაგან შენთვის მონიჭებული
და შენს მიერ ჩვენთვისაც, რადგან წინაპართა ფესვები
თავისკენ გიზიდავს.

და მეფემ მამა-პაპათა ღვაწლის მოყოლა დაუწყო უფლის-
წულს, იხსენებდა წინაპართა სახელებს და მათ საქმეებზე
მოუთხრობდა უფლისწულს.

მეფის სიტყვები რომ მოისმინა იოდასაფმა, ცხადი გახდა,
რომ ეშმაკმა ახალი საცდური გაუმზადა და რომ ბრძოლა
გარდაუვალი იქნებოდა. მიუბრუნდა მამას და უთხრა:

– ჩემთვის იმაზე მეტად საწადელი არაფერია, რომ ჩემს
მიერ მოპოვებული საუნჯის ჭეშმარიტებაში დაგარწმუნო, და
თუ ჩემი უძლურების გამო ვერ შევძლებ ამას, მოვალე ვარ,
შეგახვედრო ჩემზე სრულყოფილს, თუნდაც არ იწონებდე
ამას. თუმცა საქმით ცდომილებაში ხარ, მაინც ვიმედოვნებ,
რომ შეგიძლია საღად მსჯელობა, თუმცა კი საქმით
ცდომილებაში ხარ, რადგან განსაკუთრებით და უმეტესად
საშინელია გონების ავადმყოფობა და შენი ზრახვების
უსასტიკესობა. ჩემდაუნებურად, მე მხვდა წილად მეფევ,
შევეჯახო იმ გონებას, რომელმაც გადაგიბირა თავისი
"სიბრძნით". თავს მოვალედ ვთვლი ვიზრუნო მასზე და
გამოვუნახო წამალი განსაკურნებლად. ჩემი სიმკაცრითა და
შეუვალობით მხოლოდ სიკეთე მსურს შენთვის, რადგან ის,
ვინც გეპირფერება, არასოდეს ყოფილა შენი ერთგული. აწ,
დაიცხრე აღშფოთება, რისხვა და დაინახავ იმას, რაც შენი
სულისათვის უმჯობესია. გახსოვდეს, რომ მალე მოკვდები და
სხვებს დარჩებათ შენი ამქვეყნიური დიდება, ისევე, როგორც

ხარ და ყოველსა დიდებასა სოფლისასა დაუტეობ სხუათა, ვითარცა-იგი, რომელნი წარვიდეს და დაუტევეს სხუათა, და მერმე კუალად აღდგომად ხარ და განკითხვად სიტყჳსათჳს და საქმისა, რამეთუ არღავინ დაშთომილ არს სოფელსა ამას შინა, რომელმანცა თქუა და ასწავა კეთილი და საქმითა აღასრულა, გარნა კაცნი ესე მონანი ქრისტეს ღმრთისანი, რომელ არიან მეუდაბნოენი, რომელთა ჰრწამს წმიდაჲ სამებაჲ და შჯული მისი წმიდაჲ, და მისაგებელი უწყიან კაცად-კაცადისაჲ: საშუებელი და სატანჯველი. აწ მოიყვანე, ვინ გნებავს შჯულისა-მეცნიერი შენი, და ვყოთ სიტყუაჲ ურთიერთას შჯულისათჳს სიმართლისა საშჯელითა, ვიდრემდის გამოჩნდეს ჭეშმარიტი ცრუჲსაგან".

ხოლო მეფესა ვითარცა ესმნეს სიტყუანი ძისა თჳსისანი, დადუმნა განცჳბრებული. და ვითარ მოეგო ცნობასა თჳსსა, იწყო გულისსიტყუად და განზრახვად და წინააღდგომად ნებასა თჳსსა. ხოლო ნებაჲ მისი აცილობდა და ებრძოდა და მოაჴსენებდა საშუებელთა და განსუენებათა, **რომელთა თანადაჩუეულ** (იყო). და ეტყჳნ გულისსიტყუაჲ მისი, ვითარმედ ვერ ძალ-გიც ცხორებაჲ დღე ერთცა თჳნიერ ჩუეულებისა შენისა და ვითარმედ შეწამებაჲ ცთომილებისაჲ და ჯობნაჲ სხუათაჲ [...]რწემე და საყუედრელ არს შენდა. და ყოვლადვე სასოებაჲ წარიკუეთის განშორებისაგან ჩუეულებისა მისისა და ვერარაჲ ღონე მოიგონის, გარნა მსახურებაჲვე და დიდებაჲ კერპთაჲ.

მაშინ ჰრქუა მეფემან ძესა თჳსსა: „შვილო ჩემო, შემაცთუნა სიტყუამან შენმან და მოვაქციო შენდა. და აწ არღარა დავაცადო გამოძიებაჲ სიტყუათა შენთაჲ და გამონახვაჲ მათი დაწყნარებით. და უკუეთუ ჭეშმარიტ იყვნენ, უფროჲს განათლდენ გამოძიებასა შინა ჩემსა, ხოლო უკუეთუ ცრუ იყვნენ, გამოჩნდეს მას შინა ცთომილებაჲ მათი. და მე მეგულების კრებაჲ და სიტყჳსა-ყოფაჲ სიმართლით და არღარა მძლავრებით, და ვბრძანო, რაჲთა ჴმობდეს ქადაგი მიცემად მშჳდობისა ყოველთა ზედა ქრისტეანეთა,

სხვებიც კვდებიან და სხვებს უტოვებენ თავიანთ ქონებას. შემდეგ მკვდრეთით აღდგომა მოგელის და პასუხს აგებ ყოველი შენი ნამოქმედარისა და ნათქვამისათვის. ამიტომ მომისმინე და გულით გამოიძიე უმჯობესი. ამ წუთისოფელში აღარავინ დარჩა ისეთი, ვინც, სიტყვითაც ასწავლის და საქმითაც აღასრულებს კეთილ საქმეებს იესო ქრისტეს მონების გარდა. ესენი არიან მეუდაბნოე ბერები, რომელთაც სწამთ წმინდა სამება და მისი წმინდა მცნებები, მათ იციან, რომ თითოეულ კაცს მათი საქმეების მიხედვით მოელით ღვთისაგან მისაგებელი – მარადიული ნეტარება ან საუკუნო სატანჯველი.ვინც გსურს, მოიყვანე შენი რჯულის მეცნიერთაგან, რათა სიტყვიერ პაექრობაში გაირკვეს ჭეშმარიტება და სიცრუე.

შვილის სიტყვებით გაოგნებული მეფე დიდხანს დუმდა. გონს რომ მოეგო, დაფიქრდა - შეძლებდა კი საკუთარ ნებასურვილთა დათმობას?! შინაგანი ხმა ეწინააღმდეგებოდა, ეცილებოდა და იმ განცხრომასა და ფუფუნებას ახსენებდა, რომელთაც დასჩვეოდა. იგივე ხმა ჩააგონებდა, რომ ერთი დღეც ვერ შეძლებდა ჩვეულებათა გარეშე ცხოვრებას, ცდომილების აღიარებაცა და სხვათაგან ძლევაც დამამცირებლად მიაჩნდა. ცხოვრების წესის, ჩვეულებათა შეცვლის ყოველგვარი იმედი დაკარგა და სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, გადაწყვიტა, კვლავ კერპთა თაყვანისცემა და მათი მსახურება განეგრძო.

შემდეგ შვილს მიუბრუნდა და უთხრა:

– შვილო, შენმა საუბარმა მაცდუნა და გადამიბირა. აღარ დავაყოვნებ, მსურს, შენი სიტყვების ჭეშმარიტება გამოვიძიო და ყველაფერში დაწყნარებით გავერკვე. თუკი ჭეშმარიტება აღმოჩნდება, რასაც შენ ამბობ, უფრო მეტად გავაცხადებ მას, ხოლო თუ სიცრუე, ამით შენი გზააბნეულობაც დადასტურდება. ამიტომ მსურს შეკრება მოვაწყო, გულწრფელ დიალოგ-

რომელნი არიან შჯულსა ზედა შენსა, რაჲთა მოვიდენ კრებასა ამას ჩემსა, რაჲთა სამართალი საშჯელი აღესრულოს მუნ ცხადად წინაშე ყოვლისა ერისა, რაჲთა არავის აქუნდეს მიზეზი რაჲმე და ჰგონებდეს, ვითარმედ მო-რაჲმე-ვიმძლავრეთ, და თქუას ვინმე, ვითარმედ: უკუეთუმცა მე მუნ ყოფილ ვიყავ კრებასა მას, მაქუნდა სიტყუაჲ ძლევისაჲთ", რომლითა უფრო დაჯერებულ იქმნეს ყოველი ერი, რომელსაცა ზედა განწყდეს საქმე ჩუენი.

47. და დაჯერებულ იქმნა იოდასაფ სიტყუათა მეფისათა და ყვეს პაემანი შეკრებისაჲ. და იყო მას დღეს შ[ინა] კრებაჲ დიდი. და გამოვიდეს კერპთმსახურნი იგი, რაჲთა სიტყუა-უგონ ნაქორ[ს], რომელი საგონებელ იყო, ვითარმედ ბალაჰვარ არს, რომელი-იგი ზემო ვაჴსენეთ, რომელი-იგი მოებირა რაქისს. ხოლო კრებასა მას არავინ დაჰხუდა ქრისტეანეთა მორწმუნეთაგანი, გარნა კაცი ვინმე, რომელსა ფარულად აქუნდა სარწმუნოებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს[ი], რომლისა სახელი ბარაქია, ზემოჴსენებული იგი, რომელმან უთხრა იოდასაფს ბირებულობაჲ ნაქორისი, ოდეს-იგი უდაბნოჲთ მოეყვანა სახედ ბალაჰვარისა; და ესე განმზადებულ იყო შეწევნად ბალაჰვარისა, უკუეთუ სიტყუასა რასამე ზედა შებრკოლდეს.

და დაჯდა მეფე საყდართა თჳსთა, ხოლო იოდასაფ ქუეყანასა, რამეთუ არა ინება დაჯდომაჲ საყდართა ზედა. და იწყო მეფემან სიტყუად კერპთმსახურთა მიმართ და თქუა: „აჰა ესერა თქუენ ხართ თავნი ამის წესისანი და ჩუენ თქუენგან მოვიღეთ და თქუენ ჴმა-გეცით. აწ იღუაწეთ დამტკიცებად დღეს, და უკუეთუ გამოჩნდეს და დამტკიცნეს ძლევაჲ თქუენი,

ში გაირკვეს ყოველივე, ძალის გამოუყენებლად. ვუბრძანებ მაცნეს, ყველას აუწყოს, რომ ნებას ვრთავ ყოველ ქრისტიანს – მათ, რომლებიც შენ რჯულზე იმყოფებიან, დაუბრკოლებლივ და მშვიდად მოვიდნენ ამ შეკრებაზე; რომ სიმართლე დადგინდეს მთელი კრების წინაშე; რომ არავის ჰქონდეს მიზეზი იფიქროს, რომ ჩვენ ძალა გამოვიყენეთ, და არავინ თქვას, მე რომ იმ შეკრებაზე ვყოფილიყავი, ჩემი სიტყვით ყველას ვაჯობებდიო; და ვინც მეტად დააჯერებს შეკრებას თავის სიმართლეში, მის სასარგებლოდ გადაწყდეს ჩვენი დავა.

47. იოდასაფი მეფეს დასთანხმდა და შეხვედრის დროც დათქვეს. დანიშნულ დღეს დიდი შეკრება მოეწყო. მრავალი კერპთმსახური რჯულის მეცნიერი მოვიდა, რათა ნაქორს – ცრუ-ბალავარს შედავებოდნენ და შეკამათებოდნენ, რომელიც, როგორც ზევით ვთქვით, რაქისის მიერ იყო მოსყიდული. ამ პაექრობას ერთი კაცის გარდა მორწმუნე ქრისტიანთაგან არავინ ესწრებოდა, ისიც ფარულად მისდევდა იესო ქრისტეს რჯულს. ეს იყო ჩვენს მიერ ზემოხსენებული ბარაქია. სწორედ ის, რომელმაც იოდასაფს ნაქორის რაქისისაგან გადაბირებულობა და მისი ბალავარის ნაცვლად უდაბნოდან მოყვანა შეატყობინა. თუკი სიტყვისგებისას უფლისწულს რაიმე გაუჭირდებოდა, ბარაქია მზად იყო მის დასახმარებლად.

სამეფო ტახტზე დაბრძანდა მეფე, ხოლო იოდასაფმა ტახტზე დაბრძანება არ ისურვა და მიწაზე დაჯდა.

მეფემ კერპთმსახურებს მიმართა:

– აი, თქვენ ხართ უმაღლესი წარმომაგდენლები იმ რჯულისა, რომელიც თქვენგან მიგვიღია. აჰა, იღვაწეთ დღევანდელ დღეს და დაამტკიცეთ თქვენი უცდომელობა. თუ დღევანდელი პაექრობა თქვენი გამარჯვებით დასრულდება, უხვად

იყოს კეთილი მისაგებელი თქუენი ჩემ მიერ ღირსად **და** უცთომელობისა თქუენისა, ხოლო უკუეთუ გამოჩნდეს ჴმასა ამას თქუენ[სა] სიცრუვე და ტყუვილი, არავინ არს უკადხიერეს ჩემსა თქუენ ზედა და არცა ვინ უფრო შეცოდებულ წინაშე ჩემსა და წინაშე ყოვლისა ერისა, ვითარ თქუენ, წინაშემდგომელნო კერპთანო. და მე აღთქუმაჲ მიმიცემია ღმერთთადა, უკუეთუ გამოჩნდეს დღეს სიცრუვე სიტყუათა შინა თქუენთა და იძლინეთ სხჳსა რაჲსამე ძალისაგან საშჯელითა სიმართლისაჲთა, დავლეწო გჳრგჳნი ჩემი და დავსცე საყდარი ჩემი და დავიყჳნო თავი ჩემი და შევერთო რიცხუსა მონაზონთასა, და დავწუნე ცეცხლითა ღმერთნი ეგე თქუენნი, და მოგწყჳდნე თქუენ, წინაშემდგომელნი მათნი, და იავარ-იქმნენ სახლნი თქუენნი და ტყუედ მიეცნენ შვილნი თქუენნი და [ძელ]სა დამოვჰკიდნე გუამნი თქუენნი, ხოლო უკუეთუ **შეიცვალოს ძლევამან, შეიცვალოს პატიჟმანცა**".

მიუგო და ჰრქუა იოდასაფ: "ჭეშმარიტად საშჯელი სამართალი განაწესე, მეფე, და არავისა ჯერ-არს აღსრულებაჲ სიმართლისაჲ, გარნა მეფისა. ხოლო მე ჯერ-მიჩნს, რაჲთა **სახე** ვიყო მეფისაჲ, რამეთუ ჭეშმარიტი განჰბჭე".

და ჰრქუა იოდასაფ ნაქორს, რომელი-იგი საგონებელ იყო, ვითარმედ ბალაჰვარ არს: "აჰა ესერა, შენ უწყი, ბალაჰვარ, ვითარ სიჩჩოებასა და შუებასა შინა მპოვე და მაწჳე აღებად წესი შენი და სთქუ, ვითარმედ: გაქუს სიმტკიცე მას შინა". და მე დაუტევე სირცხჳლი მეფისაჲ და წინააღუდეგ შიშსა მისსა, და თავს-**[ვ]**იდევ იწროებაჲ ცხორებისაჲ და ჴმა-გეც სურვილისათჳს სასუფეველისა ცათაჲსა, რომელ მახარე და აღმითქუ წარუვალობაჲ მისი, და კუალად შიშისათჳს დაუსრულებელთა სატანჯველთაჲსა, რომელ მ**ა**ქადე. და აწ ესერა შემოკრებულ არს სიმრავლე წინააღმდგომთაჲ და არავინ არს მოწამე ჩემდა მათ შორის და გესმის სამართალისა ყოფაჲ და მეცა თავს-ვიდებ სამართალსა. ხოლო უკუეთუ საცთურ[ი] რაჲმე მიგე და კიდე-მყავ საშუებელთაგან სოფლისათა, რომელნი მოეცნეს კაცთა

გიწყალობებთ საბოძვარს, უცდომელობისა და დამსახურების შესაბამისად, მაგრამ თუ თქვენი სიტყვები ცრუ და ყალბი აღმოჩნდება, არავინ გამოჩნდება უფრო ცოდვილად და დამნაშავედ ჩემსა და მთელი ერის თვალში, ვიდრე თქვენ, კერპთა წინაშე მდგომელნი. და მაშინ, თუკი ცრუდმეტყველნი აღმოჩნდებით და სამართლიანი განსჯის შედეგად სხვა ძალის მიერ დაიძლევით, აღთქმა მაქვს მიცემული ღმერთებისათვის, რომ დავამსხვრევ ჩემს გვირგვინს, დავაქცევ სამეფო ტახტს, მოვიპარსავ თავს და მონაზონთა რიცხვს შევუერთდები, მაგრამ მანამდე თქვენ ამოგწყვეტთ, კერპთა წინაშე მდგომელებს, გავაცამტვერებ თქვენს სამოსახლოებს, ტყვედ მივცემ თქვენს შვილებს, თქვენს გვამებს კი ძელზე დავკიდებ. ხოლო თუ დღევანდელი შეხვედრა თქვენი გამარჯვებით დასრულდება, სასჯელიც წყალობით შეიცვლება.

მიმართა მეფეს იოდასაფმა:

ჭეშმარიტად, სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღე, მეფევ, რადგან სწორედ მეფეებს ჰმართებთ სიმართლის დაცვა. ამიტომ გადავწყვიტე, შენ მოგბაძო და გემსგავსო, როგორც მეფეს. ამის შემდეგ კი ნაქორს – ცრუ-ბალავარს მიუბრუნდა უფლისწული და მიმართა:

– შენ იცი, ბალავარ, ფუფუნებასა და შვებაში ვცხოვრობდი, როცა შენი რწმენისაკენ მომიწოდე და მითხარი, რომ მტკიცე დასაყრდენს ვპოვებდი მასში. მეც არ შევუშინდი დამცირებას, მამის წინაშე შიშს, თავს ვიდე ცხოვრების სიმძიმე და ცოდვილთათვის მოსალოდნელი დაუსრულებელი სატანჯველით შეშინებულმა, ცათა სასუფევლის სურვილი გაგიმხილე, რომელიც, როგორც მაუწყე, წარუვალია. დღეს მრავლად არიან შემოკრებილი ჩვენი მოწინააღმდეგენი და იცი, რომ რჯულის სიმართლეში გვედავებიან, მეც ვიტვირთე მისი დაცვა, მაგრამ ვაი შენ, თუ მაცდუნე და მოტყუებით განმაშორე მიწირ სიტკბოებებს, განცხრომისათვის რომ მიეცა

განსასუენებელად, და შენ ველოვნებითა შენითა შთამაგდე წარ-
საწყმედელსა მერმესა, და აწ უკუეთუ იძლიო სამართლით
გინათუ უძლურებისაგან საქმისა შენისა, მსწრაფლ შურ-ვიძიო
გულისა და ენისა შენისაგან, რამეთუ აღმოგვადნე იგინი ველითა
ჩემითა და მიუყარნე ძაღლთა, რომელნი-იგი უფროჲს თავსმდე-
ბელ არიან ტყუვილსა და კიცხევასა, ვიდრე შვილნი მეფეთანი. და
ამას აღთქუმასა დავსდებ წინაშე ღმრთისა და წინაშე
ანგელოზთა მისთა, და ვერ განერე ჭეშმარიტად ველსა ჩემსა“[37].

ხოლო ნაქორს რაჟამს ესმნეს სიტყუანი ესე იოდასაფისგან,
გულისყმა-ყო, რამეთუ შთავარდა მთხრებლსა მას, რომელცა
ქმნა, და იხილა ბოროტი და წარწყმედაჲ თავისა თჳსისაჲ და
მოწევნაჲ სიკუდილისაჲ მის ზედა ორკერძოჲთვე, და ცნა, რამეთუ
ვერარაჲთ განერეს საშჳელსა, გარნა შუელითა და შეწევნითა
შჯულსა ბალაჰვარისსა ყოვლითა გულითა და ძალითა მისითა,
რაჲთა დააშჳდოს ძე მეფისაჲ მისგან, ხოლო მეფისაგან
ჰგონებდა შენდობასა შეთქუმულებისა მათისათჳს.

და აღაღო პირი თჳსი ნაქო[რ] და იწყო ძაგებად კერპთა მი-
მართ და მსახურთა მათთა, და მერმე ქებად შჯულსა
ქრისტეანეთასა და წესთა მათ წმიდათა, რომელსა ვერცა
ბალაჰვარ მისწუთებოდა ეგოდენ განმკუეთელთა სიტყუათა და
წულილადთა პასუხთა, რამეთუ ვერვის ველ-ეწიფებოდა
წინააღდგომად მისა მზორველთაგანსა კერპთასა ერთსაცა ზედა
სიტყუასა მისსა.

ხოლო იოდასაფ ნეტარი იხარებდა სულითა და განბრწყინდა
პირი მისი მადლითა სულისა წმიდისაჲთა და ჰმადლობდა და
ადიდებდა ღმერთსა და მამასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა,
რომელმან განაძლიერა შჯული წმიდაჲ მისი პირითა წინააღმდ-
გომთა მისთაჲთა.

კაცს, ვაი შენ, თუ შენი ბოროტი ხელოვნებით დაღუპვისაკენ
მიბიძგე, და თუ დღევანდელ პაექრობაში სხვებისგან
დაიძლევი, ან უსუსური იქნება შენი მტკიცებანი, იმავ წუთს
შურს ვიძიებ შენზე, ჩემივე ხელით ამოგგლეჯ გულსა და ენას
და მივუყრი ძაღლებს, რომლებიც უფრო მეტად შემწყნარებ-
ლები არიან მოტყუებისა და შეურაცხყოფისას, ვიდრე მეფეთა
შვილები. ამ აღთქმას ვდებ ღვთისა და მისი ანგელოზების
წინაშე და გარწმუნებ, რომ ხელიდან ვერ დამისხლტები.

უფლისწულის სიტყვები რომ მოისმინა, მიხვდა ნაქორი,
რომ თავისსავე ამოთხრილ ორმოში ჩავარდა, - უბედურება და
დაღუპვა დაიტეხა თავს, რადგან ორივე მხრიდან -
მეფისგანაც და უფლისწულისგანაც – სიკვდილი მოელოდა.
მისთვის გასაგები გახდა, რომ ვერაფრით გადაურჩებოდა
სიკვდილს, თუკი იოდასაფის გულს არ მოიგებდა, უფლის-
წულის დამშვიდება კი მისი თანადგომითა და მთელი ძალ-
ღონით ბალავარის რჯულის დაცვით იყო შესაძლებელი.
მეფის რისხვისგან თავის დაღწევას კი იმ შეთანხმებით
იმედოვნებდა, რომლითაც შეითქვნენ.

ნაქორმა სიტყვა ითხოვა და კერპებისა და მისი
მსახურების ძაგება დაიწყო, შემდეგ კი ქრისტიანული
სარწმუნოებისა და წეს-ჩვეულებების ქებას მოჰყვა. ნაქორის
მსგავსად, თვით ბალავარიც ვერ შეძლებდა ამგვარი
ორლესული და გამსჭვალავი სიტყვების მოძიებას, და იმგვარი
ზედმიწევნითი პასუხების გაცემას. ასე რომ, ვერც ერთი
კერპთმსახური ვერ ახერხებდა მის თუნდ ერთ სიტყვას
შეწინააღმდეგებოდა.

სულით ხარობდა იოდასაფი. სულიწმიდის მადლით სახე
გაცისკროვნებული მადლობდა და ადიდებდა ღმერთს, ჩვენი
უფლის, იესო ქრისტეს მამას, რომელმაც მისივე მოწინა-
აღმდეგის პირით დაიცვა რჯულის სიმტკიცე.

და **განაგრძვეს** სიტყჳსგებაჲ მათ შორის. და აღივსო მეფე გულისწყრომითა წარმატებისათჳს ნაქორისა, და არა უნდა შურისგებაჲ მისგან წინაშე ერისა სირცხჳლისაგან, რაჲთა არა გამოუჩნდეს ერსა მიდრეკაჲ მეფისაჲ სიმართლისაგან. და (თ)ქუა მეფემან გულსა შინა თჳსსა: „ეს[ე] ბოროტი მე თჳთ მოვიხადე თავისა ჩემისათჳს“, და იწყო თჳთ მეფემან სიტყჳსგებად და ცილობად ნაქორისა. და ვითარ მისცნა სიტყუანი ფიცხელნი და მას შინა დასცა ზარი მისი, და შეშინდა ნაქორ, ნუუკუე არა თავს-იდვას მეფემან ეგოდენი წარმატებაჲ მისი ცილობასა ზედა მისსა და დააბრკოლა ზოგი სიტყჳსგებაჲ მისი. და განძლიერდეს მას ზედა ჴმანი მზორველთანი, რამეთუ ნებით მოაკლო ნაქორ შიშისათჳს მეფისა. ხოლო მეფე და ყოველი ერი მისი ყოვლითა ძალითა მათითა იღუწ[ი]დეს.

და დამწუხრდა დღე მას შინა, და არავის ზედა გამოჩნდა ძლევაჲ განცხადებული. [ხოლო] ძემან მეფისამან ჯერ-იჩინა შენდობაჲ ნაქორისი მოკლებისათჳს წინააღდგომასა მეფისასა და შეშინდა ბოროტისყოფისათჳს მისისა მას ზედა.

და ჰრქუა იოდასაფ მეფესა: „შენ, მეფე, დღეს სამართალსა ზედა ჰყავ დასაბამი საქმისა ჩუენისაჲ, ხოლო აღსასრულიცა ეგრევე იყავნ. აწ ყავ ჩემ თანა ერთი ორთაგანი: ანუ მომეც მე მოძღუარი ჩემი, რაჲთა დაადგრეს ჩემ თანა და ვიწურთიდეთ სიტყუათა შჯულისა ჩუენისათა; და ამას თანა უშიშოებაჲცა აქუნდეს, რაჲთა არა შიშისაგან დააკლოს სიტყუაჲ ჭეშმარიტებისაჲ. და შენ წარიყვანენ მოძღუარნი შენნი და ყავ მათ თანა, ვითარცა გნებავს. ანუ კუალად მე მომცენ მოძღუარნი შენნი და შენ წარიყვანე მოძღუარი ჩემი. ხოლო უკუეთუ მოძღუარნი შენნი და ჩემიცა შენ წარიყვანნე და მოძღუარნი შენნი იყვნენ მშჳდობასა და განსუენებასა შინა და ჩემი განწირულ იქმნას ჩემგან, და იყოს შიშსა და კდემასა შინა, ესე დიდი მძლავრებისა ჩუენებაჲ არს და არა სამართალი“.

დიდხანს გაგრძელდა სიტყვისგება. გულისწყრომით აღივსო აბენეს მეფე ნაქორის წარმატების გამო, მაგრამ ხალხის წინაშე შურისძიებისაგან თავი შეიკავა, რათა ერს ჭეშმარიტებისაგან განდგომაში არ დაედანაშაულებინა იგი.

– მე თვითონ დავიტეხე თავს უბედურებაო, – გაიფიქრა მეფემ და თავად ჩაერთო ნაქორთან პაექრობაში.

მეფის მრისხანე ლაპარაკმა შიშის ზარი დასცა ნაქორს, შეცბა თავისი წარმატების გამო და ძველებური სიმტკიცით აღარ პასუხობდა აბენესს. იმძლავრეს კერპთაყვანისმცემლებმა, რადგან მეფის წინაშე შიშის გამო ნაბაყოფლობით ნებდებოდა მათ ნაქორი. მეფე და ერი მთელი შემართებით იბრძოდა. ამასობაში მოსაღამოვდა. აშკარა გამარჯვებისათვის კი ჯერ არც ერთ მხარეს არ მიეღწია. უფლისწულმა სულგრძელად აპატია ნაქორს მეფის წინაშე წინააღმდეგობის შესუსტება და მისი ბედით შეფიქრიანებულმა, მამას მიმართა:

– მეფეო, სამართლიანად წარმართე დღევანდელ დღეს საქმე. დაე, ასეთივე იყოს მისი დასასრულიც. ორი სათხოვარიდან ერთ-ერთი შემისრულე: –ან ჩემი მოძღვარი ჩემთანვე დატოვე, რათა ერთად გავათიოთ ღამე და რჯულის საკითხებზე სიტყვისგებაში გავივარჯიშოთ, ამასთან, უშიშრადაც რომ იყოს, რათა თქვენი შიშის გამო არ შეასუსტოს ჭეშმარიტების დაცვა. შენ კი შენი რჯულის მეცნიერნი წაიყვანე და როგორც გენებოს, ისე მოექეცი მათ. ან არადა, თუ ჩემს მოძღვარს შენ წაიყვან, შენი მოძღვრები მე დამითმე. მაგრამ თუ შენს მოძღვრებსაც და ჩემს მოძღვარსაც შენ წაიყვან, შენები უსაფრთხოებასა და მოსვენებაში იქნებიან, ჩემგან განწირული ჩემი მოძღვარი კი შიშსა და შევიწროებაში. ეს კი შენი მხრივ ძალმომრეობისა და უსამართლობის გამოვლინება იქნება.

მეფემ უფლისწულთან კერპთმსახურების დარჩენა არ ინება, შეეშინდა, მის ძეს ბრძნული სიტყვებით არ

ხოლო მეფემან არა ინება მიცემაჲ მზორველთაჲ ძესა მისსა, ნუუკუე მიაქციენეს კერპთმსახურებისაგან სიტყუამეცნიერებითა მისითა, და რამეთუ ესვიდაცა ნაქორისგან ღონესა და შეთქუმულებისა აღსრულებასა იდუმალ.

და მი[ს]ცა ნაქორ ძესა თჳსსა. და წარვიდა ძე მეფისაჲ პალ-ატად თჳსა და წარიყვა(ნა) ნაქორ მის თანა. და ეგონა ყოველსა მას ერსა, ვითარმედ ბალაჰვარ არს იგი.

ხოლო იოდასაფ, ძემან მეფისამან, ჰრქუა ნაქორს იდუმალ ღამით: მე უწყი, რამეთუ შენ ნაქორ ხარ და არა ბალაჰვარ, და მე დაგიცევ შენ, ნაქორ, და აწ მხიარულ იყავ, რამეთუ დღეს მრავალი კეთილი ჰქმენ და ფრიად შემწე ექმენ შჯულსა წმიდასა ღმრთისასა სიტყჳსგებითა შენითა. ხოლო მე წარმოგიყვანე, რაჲთა დაგიცვა ბოროტისაგან მეფისა, არამედ არა შევიწყნარებთ შეწევნასა შენსა შჯულისა მიმართ პირითა უნებლობისაჲთა, არამედ გონებასაცა დაიდევ და ჴმა-ეც სახარებასა ძისა ღმრთისასა და მოედ სამართლად აღსაარებითა ქრისტესითა და შჯულისა მისისაჲთა, და მოელოდე მოსაგებელსა და სატანჯველსა მისსა, რამეთუ ადრე წარმავალ ხარ, ვითარცა წარვიდეს უწინარესნი შენსა, და ნუ აღირჩევ საშუებელსა წარმავალსა წარუვალთა მათ კეთილთა წილ ქრისტესმიერთა“.

ჰრქუა ნაქორ: „შემიწყნარებიეს, ძეო მეფისაო, რომელსა-ესე მაწუევ, და მრწამს ღმერთი და ვწამებ, რამეთუ ყოველივე მის მიერ არს და მიაგებს მისაგებელსა, საქმეთაებრ, საუკუნესა. და მე შეურდები ღმერთსა ცოდვათა ჩემთათჳს, რამეთუ იგი თავადი მოწყალე არს და უწყი, რამეთუ ერთგულებით მაწჳე საქმე ესე. და აქამომდეცა უწყოდე ჭეშმარიტებაჲ, არამედ შეუდეგ ნებასა ჩემსა და მიძნდა განშორებაჲ მამულთაგან შჯულთა და წესთა ცუდთა. ხოლო შენ, ძეო მეფისაო, გიხაროდენ პატივსა შინა ღმრთისასა და კეთილთა მისთა მოსაგებელთა, უკუეთუ დაადგრე

გადაებირებინა ისინი. ნაქორის იმედი კი ჰქონდა, რადგან, იმედოვნებდა, რომ იგი ყველაფერს ისე შეასრულებდა, როგორც შეთანხმდნენ საიდუმლოდ. ამიტომ უფლისწულთან ნაქორის გაშვება ამჯობინა. უფლისწული სასახლეში დაბრუნდა და ნაქორიც თან წაიყვანა. ხალხს ეგონა, რომ ის ბალავარი იყო.

ღამით იოდასაფმა საიდუმლოდ უთხრა ნაქორს:

– ვიცი, რომ ნაქორი ხარ და არა ბალავარი, მაგრამ მე დაგიცავი შენ, ნაქორ! აწ გიხაროდეს, რადგან დღეს მრავალი სიკეთე გააკეთე და ფრიად შეეწიე ღვთის წმიდა რჯულს შენი სიტყვებით. წამოგიყვანე, რათა ხიფათისგან დაგიცვა, მეფისა-გან რომ მოგელის. დღეს შენ იძულებულით შეგვეწიე რჯუ-ლის დასაცავად, მაგრამ შენი ნების გარეშე არ გვსურს დახმარება, უმჯობესია გონებითაც მიიღო იგი, ყური მიუგდე ღვთის ძეს, რომელიც თავისკენ მოგიწოდებს, ეზიარე იესო ქრისტეს ჭეშმარიტებას და მისი რჯული აღიარე, რადგან წინამორბედთა მსგავსად, შენც მალე დატოვებ ამ წუთი-სოფელს და ნუ აირჩევ წარმავალ სიამოვნებებს ქრისტეს მიერ აღთქმული წარუვალი სიკეთეების სანაცვლოდ.

მიუგო ნაქორმა:

– გეთანხმები, უფლისწულო. მრწამს ერთი ღმერთი და ვაღიარებ, რამეთუ ყოველივე მის მიერ არის, და ის მიაგებს თითოეულ კაცს საუკუნო მისაგებელს მათ საქმეთაებრ. ჩემი ცოდვების გამო შევუვრდები შემოქმედს, რამეთუ მოწყალეა და ნებავს ცოდვილთა მოქცევა. ვიცი, რომ სრული გულით მირჩევ უმჯობესს. აქამდეც ცხადი იყო ჩემთვის ჭეშმარიტება, მაგრამ საკუთარ ნებას დავემონე, გამიძნელდა მამა-პაპათა რჯულისა და წეს-ჩვეულების უარყოფა. შენ კი, უფლისწულო, გიხაროდეს, რამეთუ გცნო ღმერთმა და მოგანიჭა კეთილი მოსაგებელი, რადგან მისი ნების აღმსრულებელი ხარ. ჩემი მხრივ, გირჩევ, პატივი სცე მშობელს და კეთილგონიერებით

ნებასა ზედა მისსა. და მე გაზრახებ რაჲთა პატივ-სცე მამასა შენსა და სიმარჯჳთ ჰყო ცხორებაჲ შენი მის თანა, ვიდრემდის გზა-გცეს შენ ღმერთმან.

და შენ უწყი, ძეო მეფისაო, ძალი და განზრახვაჲ შეთქუმულობისა ჩუენისაჲ, და **ნუვითარითა** სიტყჳთა შევემთხჳე მეფესა, რომლისაგან თანა-მაც სირცხჳლი პირისაგან მისისა, რამეთუ სხუაჲ იყო სასოებაჲ მისი ჩემდამო და სხუაჲ პირი გამოჩნდა ჩემგან. და აწ გევედრები, რაჲთა მიჳმნე განსლვად და ყოფად უდაბნოსა მონათა მათ თანა ქრისტესთა, და შემდგომად მცირედთა ჟამთა კუალად მოვიქცე შენდა, უფალსა თუ უნდეს".

და [ნე]ბა-სცა ძემან მეფისამან. და დაუტევა მშჳდობაჲ და ულოცა და წარვიდა საჳსე სარწმუნოებითა ქრისტესითა და ფრიად ინანდა პირველთა მათ მედგრობათა მისთა ზედა. და იყოფოდა მძოართა თანა სახითა და წესითა ჭეშმარიტთა მონაზონთაჲთა. რომელთა ესმა ესე, მისცეს დიდებაჲ ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა.

და მიიწია ჰამბავი ნაქორისთჳს მეფისა და სასოწარკუეთილ იქმნა იმედისაგანცა მისისა, რომლითა ჰგონებდა მიქცევასა ძისა თჳსისასა მის მიერ. და მიერითგან დააცადა მეფემან ცილობაჲ ძისა თჳსისაჲ და იწყო შეურაცხყოფად საქმესა კერპთასა, და მრავალსა ზედა აჩუენა უდებყოფაჲ საქმისა მათისაჲ და უპატიოებაჲ მზორველთა მათთაჲ, გარნა ვერვე დაიდვა გონებასა თჳსსა დადგრომაჲ წესსა ზედა ღმრთისმსახურებისასა. ხოლო იოდასაფ აჩუენა მეფესა კეთილი მეგობრობაჲ, ვითარცა-იგი ამცნო ნაქორ, და არა ყუედრებაჲ საქმეთა ზედა მისთა.

წარმართო მასთან ურთიერთობა, ვიდრე სხვა საქმეებზე მოგიწოდებს უფალი.

შენ იცი, უფლისწულო, მამაშენთან ჩემი ფარული შეთანხმების არსიცა და მიზანიც. სირცხვილით როგორღა შევხედო?! ან რა შევკადრო?! შემწედ მომიყვანა და ჩემი დახმარების იმედი ჰქონდა, მაგრამ იმედი გავუცრუე. აწ გევედრები, უფლისწულო, გამათავისუფლე, რათა ქრისტეს ერთგულ მონებს შევუერთდე უდაბნოში და თუ უფალი ინებებს, კვლავ გეახლები მცირე დროის შემდეგ.

იოდასაფმა წასვლის ნება დართო ნაქორს. ისიც გამოემშვიდობა უფლისწულს, მშვიდობა უსურვა, ილოცა მისთვის და დაშორდა.

სარწმუნოებაში განმტკიცებული წავიდა ნაქორი, მაგრამ, იმავდროულად, ფრიად ნანობდა თავისი უწინდელი გზა-აბნეულობის გამო. იმ დღიდანვე მძოვრებს შეუერთდა და მონაზონთა წესისამებრ დაიწყო ცხოვრება. ყველა ქრისტიანმა, ვინც შეიტყო, ამის გამო დიდება უძღვნა ღმერთს.

ნაქორის საქციელმა მეფის ყურამდეც მიაღწია. უიმედობამ შეიპყრო აბენესს, რადგან სწორედ მისი დახმარებით იმედოვნებდა უფლისწულის კერპთაყვანისმცემლობაზე მოქცევას. იმ დღიდანვე შეწყვიტა მეფემ შვილთან დავა, სამაგიეროდ, კერპებსა და მათ საქმეებს შეურაცხყოფდა, მრავალთა წინაშე ამხელდა და აღარც მათ მსახურებს წყალობდა, მაგრამ ვერც ჭეშმარიტი ღვთისმსახურების გზაზე შედგომა გადაწყვიტა. იოდასაფმა კი, ნაქორის რჩევისამებრ, კეთილმეგობრული ურთიერთობა დაამყარა მამასთან და არაფერზე არ საყვედურობდა მას.

48. და შემდგომად მცირედთა დღეთა მოიწია დღესასწაული კერპთაჲ, რომელი დიდად ადიდის მეფემან, ხოლო ქურუმთა მათ ვითარ იხილეს მეფისაგან შეურაცხებაჲ კერპთაჲ და მსახურთა მისთაჲ, შეშინდეს, ნუუკუე არა მივიდეს მეფე დღესასწაულსა მათსა და არა უზოროს კერპთა, და სრულიად შეურაცხ-იქმნენ. მაშინ აღდგეს და მივიდეს კაცისა ვისამე, რომელი იყოფოდა უდაბნოთა და მთათა შინა, დაკლებული და კიდექმნული ორთაგანვე ცხორებათა, რომლისა სახელი თედმა. ხოლო კაცი იგი იყო შჯულისა მათისაჲ და ფრიადი სასოებაჲ აქუნდა მეფესა მისა მიმართ და ყოველსა ერსა მისსა, ვიდრემდის ჰგონებდესცა, ვითარმედ წჯმაჲ და [მ]ზეცა მისითა ლოცვითა მოეცემის ქუეყანასა მათსა.

და მოიყვანეს კაცი იგი მეფისა, რაჲთა განაძლიეროს და აღ-მოჰფხურას იჭჯ გულისაგან მისისა. და ვითარცა იხილა მეფემან კაცი იგი, შე-რაჲ-ვიდოდა იგი წინაშე მისსა, და არარაჲ ემოსა, გარნა ძუელი რაჲმე შემოედვა წელთა ზედა, და კუერთხი აქუნდა ჴელთა მისთა. და მრავლით ჟამითგან არა ეხილვა იგი მეფესა. და ვითარცა იხილა იგი მეფემან, აღდგა მსწრაფლ და დავარდა წინაშე მისსა, თაყუანის-სცა და ამბორს-უყოფდა ფერჴთა მისთა. და დადგა წინაშე მისსა, ვითარცა მონაჲ რაჲ დგანნ წინაშე უფლისა თჳსისა, ვიდრემდის უბრძანა თედმა, და დაჯდა მეფე. მიუგო და ჰრქუა თედმა მეფესა: „მეფე, ცხოვნდი კერპთა მიერ! მესმა, რამეთუ დიდი ღუაწლი აღასრულე ბრძოლასა ზედა ეშმაკ-თასა, ხოლო ფრიად განვიხარე, რაჟამს მესმა, ვითარმედ მოგეცა ძლევაჲ“.

ჰრქუა მეფემან: „ჩუენ ძლევაჲ ვერსადაჲთ მოგუეცა და არცა ოდეს-სადა საჴმარ ყოფილ არიან ჩუენდა მბრძოლნი და ახოვანნი, ვითარცა-ესე დღეს, აწ რაჲ შეწევნაჲ არს ჩუენი შენგან?“

მიუგო თედმა: „ჰ მეფე, პირველად ჯერ-არს აღსრულებად მოწევნული ესე დიდი დღესასწაული და მიცემად ღმერთთა

48. გავიდა კიდევ რამდენიმე დღე. კერპთა დიდი დღესასწაულიც მოახლოვდა. მას განსაკუთრებით აღნიშნავდა ხოლმე აბენესი, მაგრამ ამჟამად იცოდნენ რა ქურუმებმა მეფის მიერ კერპთა შეურაცხყოფისა და მისი მსახურების უპატივცემულობის შესახებ, შეფიქრიანდნენ, - ვაითუ მეფე ამ დღესასწაულს არ დაესწროს და მსხვერპლი არ შესწიროს კერპებს. ეს მათ საბოლოო უარყოფასა და არაფრად მიჩნევას ნიშნავდა. ამიტომ ერთ კაცს მიმართეს დასახმარებლად. ეს კაცი კერპთმსახური იყო, უდაბნოსა და მთებში ცხოვრობდა და ორთავ ცხოვრებას აკლდებოდა, სახელად თედმა ერქვა. მეფე და მთელი ერი მოწიწებით ეპყრობოდა მას და მისი დიდი იმედი ჰქონდათ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ წვიმაცა და მზეც მისი ლოცვით ეძლეოდა ქვეყანას.

მეფის წინაშე მოიყვანეს თედმა, ტანზე არაფერი ემოსა, მხოლოდ რაღაც ძველმანი ნაფლეთი უფარავდა სიშიშველს, ხელში კი კვერთხი ეპყრა. მეფეს იგი დიდი ხნის უნახავი ჰყავდა. როგორც კი დაინახა, მსწრაფლ ტახტიდან წამოდგა მბრძანებელი და ამგვარად დადგა მის წინაშე, როგორც მსახურები - ბატონების წინაშე. მანამ იდგა მეფე, ვიდრე დაჯდომის ნება არ მისცა თედმამ. მეფე დაჯდა.

მიუბრუნდა მას თედმა და შემდეგი სიტყვებით მიმართა:

– მეფეო, ცხონდი კერპთა მიერ! შევიტყვე, ფარულად გიღვაწია და გიბრძოლია ეშმაკთა წინააღმდეგ და დიდად გავიხარე, რომ გაგიმარჯვნიათ კიდეც.

მიუგო მეფემ:

– არავითარი გამარჯვებისათვის არ მიგვიღწევია, ჩვენ, თედმა. დღეს, როგორც არასდროს, ისე ვსაჭიროებთ შემწესა და მამაც მებრძოლს. რით შეგიძლია დაგვეხმარო?!

უპასუხა თედმამ:

– ო, მეფეო! პირველ ყოვლისა, მოახლოებული დიდი დღესასწაული უნდა აღნიშნო და მსხვერპლი შესწირო ჩვენს

სამართალი მათი, რომელთა მიერ – ყოველი განმარჯუებაჲ და ძლევისა მონიჭებაჲ, და მაშინღა შემთხუევაჲ მტერთაჲ და მოთმინებაჲ ღუაწლთა შინა ყოვლითა საჭურველითა ძლევის-მომპოვნებელითა“.

ჰრქუა მეფემან თედმას: „მსგავს არს საქმე ესე ჩემი და შენი, თედმა, მბრძოლსა მას ერად განწესებულსა, რომელსა ესუა ცოლი ფრიად ქმნულკეთილი. ხოლო კაცი იგი ფრიად მოშურნე იყო დედათა მიმართ და ეშინოდა, ნუუკუე ვერ მოთმინე იყოს ცოლი მისი და შევარდეს საქმესა სიძვისასა. და ჰრქუა დედაკაცსა მას:

“მე უწყი სიჩქურე და სისუსტე ბუნებისა დედაკაცობისაჲ და მტერი მივის, რომელი მოვალს აღძრვად შენდა. აწ განეკრძალე და მოთმინე იქმენ, და მე სასწაული მიგცე, რაჲთა ოდეს მოიწიოს შენ ზედა აღძრვაჲ ჴორცთაჲ, დამოუტევენ თმანი შენნი, და მე ვიხილო სასწაული იგი, და ბრძოლა-ვსცე მას, და ვერ შემოვიდეს სიბორგილე მტერისაჲ შენ ზედა”.

და ჰყოფდა დედაკაცი იგი საქმესა ამას. და დაყვეს ჟ[ა]მი მრავალი შეუცთომელად. და დღესა ერთსა მოიწია მტერი და იყო ჴმაჲ და განვიდოდეს მბრძოლნი შემთხუევად მტერისა. და აღდგა ჭაბუკიცა იგი და შთაიცუა საჭურველი თჳსი. და ვითარ შეჰხედნა ცოლმან მისმან საჭურველსა მას შინა, აღიძრა ტრფიალებითა, რამეთუ ახოვანთაგანი იყო ჭაბუკი იგი, და ყო დედაკაცმან სასწაული იგი, რომელი მოელო ქმრისა თჳსისაგან. ხოლო კაცმან მან ვითარცა იხილა იგი, იქცა სახედ თჳსა, ვიდრემდის განაშორა ვნებაჲ იგი ცოლისაგან თჳსისა. და მერმე განვიდა შემთხუევად მტერთა. და ვიდრე იგი განვიდოდა, მოქცეულ იყო ერი ბრძოლისაგან, და იწყეს ყუედრებად მისა და ეტყოდეს: “შიშისაგან ვერ გამოხუედ, ვიდრემდის სცან ოტებაჲ **მტერთაჲ [ჩუენ]** მიერ”. ხოლო ჭაბუკი იგი ეტყოდა: “მე

ღმერთებს, რადგან სწორედ ისინი გვამარჯვებინებენ მტერზე და ძლევას გვანიჭებენ მათზე. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ გამარჯვების მოპოვებას.

უთხრა მეფემ თედმას:

– ჩვენი საქმე, თედმა, იმ თადარიგში მყოფი მებრძოლის საქმეს ჰგავს, რომელსაც ულამაზესი ცოლი ჰყავდა. ეს კაცი მეტად ეჭვიანი იყო ქალების მიმართ და შიშობდა, ვნებათა მოუთმენლობის გამო მისი ცოლი სიძვაში არ ჩავარდნილიყო. ამიტომ უთხრა მას: “მე ვიცი ქალური ბუნების სიმჩატე და სისუსტე. მტერი დაძრწის, რათა აღგძრას და გაცდუნოს. გაფრთხილდი და მომთმენი იყავი. ამაზე შევთანხმდეთ: როგორც კი ხორცის შემოტევას იგრძნობ, გაიშალე თმები. ეს ჩემთვის ნიშანი იქნება, შევებრძოლები მტერს, დავაცხრობ შენს გულისთქმას და დაგიცავ მისი გიჟური შემოტევისაგან.”

ქალიც ისე იქცეოდა, როგორც ქმარმა დაარიგა, და ცხოვრობდნენ სიამტკბილობით. ერთ დღეს ქალაქს მტერი შემოესია. გაისმა საბრძოლო მოწოდება და ყველანი მტრის დასახვედრად გავიდნენ. ჭაბუკმაც იარაღი აისხა და საომრად გაემზადა. მის ცოლს, როგორც კი იარაღასხმული ქმარი დაინახა, მისდამი ტრფიალება გაუმძაფრდა, რადგან განსაკუთრებით ლამაზი სანახავი იყო იარაღასხმული ახოვანი ჭაბუკი.

და ქალმაც, შეთანხმებისამებრ, რაღაც ანიშნა. ჭაბუკმა თმებჩამოშვებული ცოლი რომ დაინახა, შინ შებრუნდა და მანამ დარჩა მასთან, ვიდრე არ დააცხრო მისი ჟინი. შემდეგ კი მტერთან საომრად წავიდა. ამასობაში ნაბრძოლი ჯარი უკან ბრუნდებოდა, დაინახეს ჭაბუკი და დაუწყეს ყვედრება:

– მშიშარავ, მანამდე არ გამოხვედი საომრად, სანამ არ შეიტყვე, რომ მტერი უკუვაქციეთ!

საკუთარი მტერი მეწყო და არა ჯერ-იყო ჩემდა დატევებად იგი და ბრძოლად უცხოთა, რამეთუ უშინაგანესი და უმახლობელესი მტერი იყო, იგი ვაოტე და აწ ესერა ვარ თქუენ თანა". ეგრეცა ჩუენ, თედმა, რამეთუ დღეს მოდგმულ არს საქმე თავთა ჩუენთა ზედა და კერპთა ზედა, აწ ჯერ-არს, რაჲთა პირველად ვეწყვნეთ მტერთა, და უკუეთუ დავამტკიცოთ, ვითარმედ კერპნი ღმერთნი არიან, უზორეოთცა, ხოლო უკუეთუ ვერ დამტკიცდენ, რაჲ სარგებელ არს არაარსთა მიმართ?"

ჰრქუა თედმა: „არარაჲ არს უსარგებლესი აბჯარი და უმ-კუეთელესი მახჳლი მტერთა მიმართ, ვითარცა აღსრულებაჲ დღესასწაულისაჲ, და არა-რომლითა ძალითა უმახლობელეს იქმნები ძლევასა, ვითარ ზორვითა კერპთაჲთა, რამეთუ იგი შემწე გექმნენ ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა".

ჰრქუა მეფემან: „მე ესრე ვჰგონებ და მეშინის, ნუუკუე იგი არს ჭეშმარიტებაჲ, რომელსა ჩუენ წინააღუდგებით. ხოლო უკუეთუ გნებავს შენ, მივედ და აღასრულე დღესასწაული ესე, და მე დავადგრე იჭუსა ამას ზედა, ვიდრემდის გამომეცხადოს უმჯობესი, ანუ კუალად გამომიცხადდეს მართალი და რომელი სიმტკიცე არს **ჴელთა შინა**, და უკუეთუ არაჲთ **იღო იჭჳ** ესე გულისაგან ჩემისა, შემოგერთო დღესასწაულსა ამას".

მაშინ განრისხნა თედმა და დააგდო კუერთხი იგი, რომელი იყო ჴელთა მისთა, და მოიჴსნა ძონძი იგი, რომელი ებლარ[დ]ნა წელთა მისთა, და შეითხზნნა თითნი მისნი, და შიშველი დადგა წინაშე მეფისა და ჰრქუა მას:

„უკუეთუ შენ, მეფე, არა გიყუარს მეფობაჲ ესე შენი და მ[ი]იცვალები მონებად და ბრწყინვალებისაგან სიგლახაკედ და შუებისაგან იწროებად, და არა სწყალობ გუამსა ამას შენსა შუე-

ხოლო ჭაბუკმა მიუგო:

– როგორ შემეძლო გარეშე მტერთან საომრად წამოსვლა, როცა შინაური მტერი, ყველაზე ახლომყოფი და ყველაზე სახიფათო, სახლში მებრძოდა, ის დავამარცხე და ახლა კი თქვენს გვერდით ვარო.

ამ დღეში ვართ ჩვენც, თედმა! ჩვენს თავსაც განსაცდელია და კერპებზედაც, მაგრამ პირველ რიგში პირად მტრებს უნდა შევებრძოლოთ. თუ დამტკიცდება, რომ კერპები ღმერთები არიან, შევსწირავთ მათ მსხვერპლს, ხოლო თუ ამის დამტკიცება არ მოხერხდება, მაშინ რა სარგებელია არარსებული ღმერთებისაგან?!

მიუგო თედმამ:

– არ არსებობს უფრო უკეთესი აბჯარი და უფრო ბასრი მახვილი, მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, ვიდრე დღესასწაულის ჩატარება. და არ არსებობს უფრო დიდი ძალა, რომელსაც შეეძლოს გაგამარჯვებინოს მტერზე, ვიდრე კერპთათვის მსხვერპლის შეწირვა. მხოლოდ ეს დაგეხმარება მტერთან ბრძოლაში და მის დამარცხებაში.

მიუგო მეფემ:

– მე კი მგონია და მეშინია, რომ ჭეშმარიტება ისაა, ჩვენ რომ ვეწინააღმდეგებით. შენ თუ გსურს, გამართე დღესასწაული, მე კი ჩემს ეჭვებთან დავრჩები მანამ, ვიდრე არ გავარკვევ ჭეშმარიტებას და არ დავრწუნდები მასში, თუ შენ შეძლებ ჩემს გათავისუფლებას ეჭვებისაგან, შემოგიერთდები კერპთმსახურებაში.

მაშინ განრისხდა თედმა, კვერთხი მოისროლა, ძონძები, სიშიშვლეს რომ უფარავდა, შემოიხია, ხელები გადაიჭდო, დედიშობილა დადგა მეფის წინაშე და ამგვარად მიმართა:

– თუკი შენ, მეფევ, მოიძულე მეფობა და მზად ხარ, მონად იქცე, თუკი ფუფუნებიდან სიგლახაკისაკენ ისწრაფვი, განცხრომიდან - ტანჯვისაკენ და აღარ სწყალობ შენს სხეულს,

ბულსა და ნუკვეულსა, და ამას ყოველსა დაუტეობ და თავს-იდებ ჭირსა, რომელ არა დაჩუეულ ხარ და ვერცა დაითმენ, მე უფროჲს მოთმინე ვარ არგანსა ამას და ნაძუელავსა, რომელ განვაგდე, (რამეთუ) არა უტყუვი თავსა ჩემსა და არცა მეშინის გზისაგან მონაზონთაჲსა, რამეთუ არა-რომელი ცხორებაჲ უსაჭირველეს და **უვიწრეს** არს ცხორებისა ამის ჩემისა, რომელი დამითმენიეს, რამეთუ არარაჲ შჭრის ჩემგან სოფელსა ამას, და არცა რაჲ მაქუს სოფლისაგან, გარნა ქუეყანაჲ, რომელსა ზედა ვძურები და მხალი, რომლითა ვიზარდები. აწ მოგუალე, მეფე, რამეთუ კეთილსა გული-გითქუამს".

ხოლო მეფესა ვითარცა ესმნეს სიტყუანი იგი თედმაჲსნი, სასოწარკუეთილ იქმნა მისგანცა და ცნა უძლურებაჲ შჯულისა მათისაჲ. და განშრავლდეს **მართუენი იჭჯსანი** გულს[ა] შინა მისსა. და აზმნა აღსარებად ღმრთისა, და იწყო განზრახვად და გულისსიტყუად. და ვითარ განიზრახვიდა გულსა შინა თჳსსა, აღმოჴდა შინაგანით სული სიყუარულისა ამის სოფლისაჲ და მოაჴსენებდა მრავალფერთა გემოთა და საშუებელთა, რომელნი არა ჯერ-იყვნეს შჯულსა შინა ქრისტეანეთასა, და იძლია ჩუეულებისაგან მისისა, რომლითა მარადის ძლეულ იყო. და ბრძანა განმზადებად დღესასწაულისა მსგავსად ჩუეულებისა.

49. და ვითარ აღასრულეს დღესასწაული იგი, ჰრქუა მეფემან თედმას: "ომლითა ღონითა ჯერ-არს მოქცევაჲ ძისა ჩემისაჲ?"

ხოლო მან ჰრქუა მას: „იძალენ მის ზედა ეშმაკნი დედათა გამო, რამეთუ უგანმკუეთელეს არიან დაწყლვად გონებისა უფროჲს მახჳლისა ორპირისა, რამეთუ მასმიეს მეფ(ისა) ვისიმე,

ნაპატიებსა და განებივრებულს, ტოვებ ყველაფერს და თავს იდებ გაჭირვებას, რომელსაც მიუჩვეველი ხარ და არ ძალგიძს დათმენა, მე მით უფრო ადვილად დავთმობ ამ ჯოხსა და ძონძებს! თავს არ ვიტყუებ და არ მეშინია მონაზვნობის გზას დავადგე, რადგან არ მეგულება იმაზე უფრო მძიმე და მტანჯველი ცხოვრება, ვიდრე მე ვცხოვრობდი დღემდე. ამასთან, არც წუთისოფელი საჭიროებს ჩემს თავს არც მე ვარ დავალებული, არაფერი გამაჩნია მისი, გარდა მიწისა, რომელზეც დავღოღავ და ბალახისა, რითაც ვიკვებები. ასე რომ, ჩემო მბრძანებელო, ისწრაფე, თუკი გულში კეთილი განგიზრახავს და მზად ვარ, მეც თან გეახლო.

თედმას სიტყვები რომ მოისმინა, დაღონდა მეფე, რადგან გამჟღავნდა მისი რწმენის უსუსურობა. ეჭვები უღრღნიდა გულს. როგორც კი გადაწყვიტა, ეღიარებინა შემოქმედი ღმერთი, მაშინვე ფიქრები და გულისთქმები მოეძალა; მსწრაფლ აღდგა მასზე წუთისოფლის სიყვარულის სული, რომელმაც უწინდელი სიამოვნებები და უზრუნველი ცხოვრება გაახსენა, რომელთაც უარყოფდა ქრისტიანული სარწმუნოება. იძალეს ჩვეულებებმა, რომელთა მიერ ყოველთვის ძლეული იყო მეფე. და აბენესმა, ჩვეულებისამებრ, კერპთათვის სადღესასწაულო სამზადისის დაწყება ბრძანა.

49. კერპთათვის მიძღვნილი დღესასწაული რომ დასრულდა, ჰკითხა მეფემ თედმას:

– როგორ შევძლებთ ჩემი შვილის ჩვენს რჯულზე დაბრუნებას?

უპასუხა თედმამ:

– ქალთა საშუალებით ამას ადვილად შეძლებენ ეშმაკები, რადგან ქალებს ორპირ მახვილზე მეტად შეუძლიათ ვნება

რომელსა ესუა ძე, და ჰრქუეს მეფესა მკურნალთა: "უკუეთუ უწინარეს ათისა წლისა იხილოს მზე ყრმამან ამან, მოაკლდეს ნათელი თუალთა[ჲ], რამეთუ სუსტად შეზავებასა ვჰხედავთ გუგათა შინა ამისთა". ხოლო მეფემან გამოუკუეთა ქუაბი ქუეყანასა შინა და მუნ შინა ბრძანა აღზრდაჲ ყრმისაჲ მის **მპოხელთა**[38] მისთა თანა.

და ვითარ აღესრულნეს მის ზედა ათისა წლისა ჟამნი, ბრძანა გამოყვანებაჲ ყრმისაჲ მის, რამეთუ არღა ეხილვა რაჲ დაბადებულთაგანი. და ბრძანა მეფემან დადგინებად ყოველი უხილავი მისგან თითოეულად, რაჲთა რომელი იხილოს, იცოდის, რაჲ არს, და დედანიცა შემკობილნი დაადგინნენ გზასა ზედა მისსა. და მათ ყვეს ეგრე. [ხოლო] ყრმაჲ იგი იკითხვიდა თითოეულსა მათგანსა და იგი[ნი] უთხრობდეს. და იკითხნა დედანიცა იგი. ხოლო მათ ჰრქუეს: "ესე ეშმაკნი არიან, რომელნი აღაშფოთებენ და წარსწყმედენ კაცთა". და აღივსო ყრმაჲ იგი სიყუარულითა მათ ეშმაკთაჲთა. და ჰკითხვიდა მამაჲ ყრმასა მას: "რომელი უშუენიერესი იხილე სლვასა მას შენსა შინა?" ხოლო ყრმამან მან ჰრქუა: "არარაჲ ვიხილე უშუენიერესი მათ ეშმაკთასა და არცა რაჲ უსაწადელეს არს ჩემდა მათსა". ეგრეცა შენ, მეფე, არარაჲ უფროჲს შემწე არს შენდა, ვითარ ქალნი შემკობილნი, რაჲთა აკუეთნე მას ყოველსა ჟამსა, რომლითა აღასრულებს ეშმაკი ძალსა თჳსსა".

მიაყენონ კაცის გონებას. მსმენია, ერთ მეფეს, რომელსაც ვაჟიშვილი ჰყავდა, ასეთი რამ უთხრეს მკურნალებმა:

- თუ უფლისწული ათ წლამდე იხილავს მზის სინათლეს, დაბრმავდება, რადგან, როგორც ჩვენ შევნიშნეთ, თვალის გუგები მეტად სუსტი აქვს.

ამის გამო მეფემ კლდეში გამოქვაბულის გამოკვეთა და უფლისწულის იქ აღზრდა ბრძანა; თან ძეს აღმზრდელი მიუჩინა.

ათი წლის შემდეგ უფლისწული მეფის ბრძანებით, გამოქვაბულიდან გამოიყვანეს. მას არცერთი ცოცხალი არსება არ ჰყავდა ნანახი. კვლავ ბრძანა მეფემ, სათითაოდ ეჩვენებინათ მისთვის უცნობი არსებანი, და თუ რაიმე კითხვა გაუჩნდებოდა უფლისწულს, ეპასუხათ და ყოველივე აეხსნათ. მეფისავე ბრძანებით, უფლისწულისათვის მორთულ-მოკაზმული ქალებიც უნდა დაენახებინათ. ასეც მოიქცნენ. უფლისწული თითოეულ სანახაობაზე მათ ვინაობას კითხულობდა და მსახურებიც მორჩილად პასუხობდნენ. და როცა დიაცთა შესახებაც იკითხა უფლისწულმა, მიუგეს:

– ესენი ,,ეშმაკები" არიან, რომლებიც კაცს გონებას უშფოთებენ და ღუპავენ

შეუყვარდა უფლისწულს ეს ეშმაკები. მოგვიანებით მამამ ჰკითხა შვილს:

– ყველაზე მეტად რამ მოგხიბლა, შვილო?

ყრმამ კი უპასუხა:

– არაფერი მინახავს იმ ეშმაკთა უმშვენიერესი და არც არაფერია ჩემთვის იმათზე მეტად საწადელი.

შენც, მეფევ, მორთულ-მოკაზმულ ქალებზე მეტად ვერავინ დაგეხმარება შენს გასაჭირში. განუწყვეტლივ უფლისწულის წინაშე ამყოფე ისინი, დღითა და ღამით, და ეშმაკები თავად მოაგვარებენ საქმეს ქალების საშუალებით.

მაშინ ბრძანა მეფემან გამოსხმად პალატისაგან ძისა თჳსისა ყოველთა მსახურთა მისთად და დადგინებად ადგილსა მათსა გამორჩეულნი ყოველთაგან საბრძანებელთა მისთა დედანი შუენიერნი და ქმნულკეთილნი მსახურებასა მისსა ზედა. და აღივსო პალატი მისი შფოთითა მათითა. და ფრიად იტანჯებოდა ძე მეფისად საბრჴისა მისგან, რამეთუ არარადთ უფრო აღძრა გონებად მისი, ვითარ ამით ჯერითა. და ამცნო მეფემან ქალთა მათ, რადთა შეემღერდენ და აზრზენდენ ყოველსავე ჟამსა დღე და ღამე, და იმკვებოდიან და მოაჴსენებდენ ყოველთა სახეთა საცთურისათა, რომლითა შეუძლონ აღძრვად მისი გულისთქუმად. ხოლო იგინი ფრიად მოსწრაფე იყვნეს აღსრულებად ბრძანებასა მეფისასა. და ოდესმე ეჩუენნიან სამოსლითა და სახითა მამაკაცობრივითა, და ოდესმე საჭურველითა შეიმკვნიან და ვლენან წინაშე მისსა, და ოდესმე სახითა მონადირეთადთა, და ოდესმე ქნარითა და ნესტჳთა და წინწილითა და თითოპირითა ს[ახიო]ბითა შემკობილნი აწყინებედ, და ოდესმე ებრძვიედ და ზედამიეჭრებიედ განშიშულებულნი და ეტყჳედ მრავალთა სიტყუათა **აღძრვისათა**, და მოაჴსენებედ, რადთა განვიდენ ნადირობად და მოთხვად სამოთხეთა შინა საშუებელთა. და რაჟამს განვიდის ძე მეფისად, იგინიცა მის თანავე ასხდიან ჰუნეთა და არბევედ გარემო მისსა. და ამას ყოველსა შინა აწუევედ ნებასა მეფისასა და დაუჴსნიედ შჯულსა მისსა უფროდს სიტყჳსა მამაკაცობრივისა.[39]

ხოლო იგი ოდეს აღიძრვის გულისთქუმად, აღანთის სანთელი და მიუპყრის თითი და, ეცხელის რად, უკმოიტაცის, და თქჳს: „ჰ იოდასაფ საწყალო, უკუეთუ ვერ დაუდგამ აწ ცეცხლსა შენსავე აღნთებულსა და კუალად დაშრეტადსა, და მას საუკუნესა ვითარ დაუდგნე ცეცხლსა დაუშრეტელსა, და ვითარ მოითმენ ბნელსა

მაშინ ბრძანა მეფემ, უფლისწულის სასახლიდან ყველა მსახური მამაკაცი დაეთხოვათ, მათ ნაცვლად კი სამეფოში საგულდაგულოდ გამორჩეული მშვენიერი და ყოველმხრივ სრულყოფილი ასულები გაემწესებინათ. მალე იოდასაფის სასახლე მათმა გნიასმა წალეკა. ძალზე იტანჯებოდა უფლისწული ამგვარი განსაცდელით, რადგან ყველაზე მეტად სწორედ ისინი უმღვრევდნენ გონებას. ასულებს მეფისგან ჰქონდათ ნაბრძანები, განუწყვეტლივ ემღერათ, დღითა და ღამით და აღეგზნოთ უფლისწული, მორთულ-მოკაზმული ყოფილიყვნენ მუდმივად და როგორმე გულისთქმები აღეძრათ მასთვის. ისინიც გულმოდგინედ ასრულებდნენ მეფის ბრძანებას: – ხან მამაკაცის ტანისამოსში გამოწყობილნი ჩნდებოდნენ იოდასაფის წინაშე, ხან იარაღასხმულნი მიდი–მოდიოდნენ მის წინ, ხან მონადირეთა მსგავსად იმოსებოდნენ და ხან ქნარით, სტვირითა და წინწილით ართობდნენ მეფის ძეს, ხანაც აშკარად მძლავრობდენ მასზე, გაშიშვლებული თავს ესხმოდნენ და გულისთქმათა და ვნებათა აღმძვრელი სიტყვებით მიმართავდნენ, - სთხოვდნენ, მათთან ერთად სანადიროდ ან ,,განცხრომის ბაღში" სასეირნოდ გასულიყო. როცა უფლისწული სასახლიდან გადიოდა, ასულებიც თან მიჰყვებოდნენ და მის გარშემო ცხენებით დაჭენაობდნენ. ამგვარი ქცევებით აიძულებდნენ უფლსწულს, მამის ნებისაკენ მიდრეკას და მართლაც, მამაკაცებზე უკეთ ახერხებდნენ მისი რწმენის შესუსტებას.[39]

ხოლო უფლისწული, როგორც კი გულისთქმები აღეძრებოდა, სანთელს ანთებდა, მის ალს თითს უშვერდა და ალი თითს რომ დაწვავდა, თავის თავს მიმართავდა:

– ჰოი, საწყალო იოდასაფ, თუკი შენს მიერ დანთებულ ცეცხლს ვერ უძლებ, რომელიც გაქრობადია, როგორღა ცეცხლსა დაითმენ დაუშრეტელ და საუკუნო სატანჯველს?!

მას გარესკნელსა? აწ დასცხერ ბოროტისაგან და ცოდვისა“. და ესრესახედ წინააღუდგებოდა გულისსიტყუათა.

ხოლო იყო ვინმე მათ შორის ქალი ერთი, ასული მეფისა ვისიმე, რომელი ტყუეობით მოწევნულ იყო აბენესე მეფისა. და იყო იგი უშუენიერეს მათ ყოველთასა ხატითა და უგონიერეს სიბრძნითა, და უყუარდა იგი ძესა მეფისასა ქმნულკეთილობისა და სიბრძნისა მისისათჳს, რამეთუ იყო იგი ფრიად გონიერ და სიტყუაპოვნიერ. და მრავალგზის ამხილებნ ძე მეფისაჲ საქმესა შჯულისასა და განაცდინ განქარვებასა ამის სოფლისასა, და მოაჴსენებნ ღმერთსა და ამხილებნ ცთომასა კერპთმსახურთასა. ესმა ესე მეფესა და განიხარა სიყუარულისათჳს მის ქალისა მიმართ, რამეთუ ჰგონებდა, ვითარმედ იძლიოს მის მიერ.

ხოლო დღესა ერთსა ჰრქუა დედაკაცმან მან იოდასაფს: „უკუეთუ გნებავს, ძეო მეფისაო, რაჲთა ვისმინო შენი, რომელსაესე მაწუევ, განმისუენე შენ თანა წელიწადსა ერთსა და მიგცე აღთქუმაჲ, რაჲთა აღვიარო შჯული შენი და ვჰმონებდეთ ღმერთსა შენსა ორნივე ვიდრე სიკუდილამდე“.

ჰრქუა იოდასაფ ქალსა მას: „და ვინაჲ არს ჩემდა ნუგეშინისცემაჲ, უკუეთუ სიკუდილმან წარმიტაცოს უწინარეს ერთისა წელიწდისა?“

ჰრქუა დედაკაცმან მან: „უკუეთუ გეწიოს სიკუდილი, მას შინა სასყიდელი გაქუნდეს მოქცევისა ჩემისათჳს და არა ბრალეულ-იყო ნების ყოფისა ჩემისათჳს, რამეთუ იტყჳ შენ, ვითარმედ: ქორწილი წმიდა არს”[40].

ჰრქუა იოდასაფ: „ეგრეთ არს, არამედ არა მაქუნდეს მადლი მოთმინებისაჲ მათ თანა, რომელთა დაითმინეს და დაშრიტეს საჴუმილი იგი ჴორცთაჲ, და მერმე მეშინის, ნუუკუე მიმიზიდოს გულისთქუმამან ჩუეულებისამან უდიდესად სხუად საქმედ, და მერმე მეუფლოს ნებაჲ და შთამაგდოს წარსაწყმედელსა, და ვიპოვო მტერ ღმრთისა და მეგობარ ეშმაკისა“.

მაშ, გაერიდე ბოროტებასა და ცოდვას. და ყოველთვის, როცა კი გულისთქმები მოეძალებოდა, ამგვარად იქცეოდა უფლისწული.

ხოლო ქალთა შორის იყო ერთ-ერთი მეფის ასული, ოდესღაც ტყვედ მიყვანილი აბენესისათვის, სხვებზე ბევრად ლამაზი და გონებამახვილი. მისი სილამაზისა და გონიერების გამო განსაკუთრებით უყვარდა იგი უფლისწულს, ხშირად ესაუბრებოდა ღმერთზე, სარწმუნოებაზე, წუთისოფლის ამაოებასა და სწრაფწარმავლობაზე, ამხილებდა კერპთაყვანისმცემლობას და მის მსახურებს. მეფემ შეიტყო, რომ განსაკუთრებით შეუყვარდა მის ძეს ასული და ძალიან გაიხარა, რადგან იმედოვნებდა, რომ დაიძლეოდა მისგან უფლისწული.

ერთ დღეს ასულმა უთხრა იოდასაფს:

– თუ გინდა, ყველაფერი შეგისრულო, რასაც მეუბნები, ერთი წლით შენთან ცხოვრების ნება მომეცი და პირობას გაძლევ, რომ ვაღიარებ შენს სარწმუნოებას და სიკვდილამდე ორივენი შენი ღმერთის ერთგული მონები ვიქნებით.

მიუგო იოდასფმა:

– და თუ შენს მიერ დათქმულ ვადაზე ადრე მოვკვდები, რა სარგებელი იქნება ჩემთვის?

უპასუხა ასულმა:

– თუ ერთ წლამდე გეწევა სიკვდილი, სასყიდელი გექნება ჩემი მოქცევისათვის, და უმწიკვლო იქნები ჩემი სურვილის შესრულების გამოც, რადგან შენვე ამბობ, რომ „წმინდაა ქორწინება“.

მიუგო იოდასაფმა:

– სწორედ ასეა, მაგრამ მაშინ იმ მოთმინების მადლს მოვაკლდები, რომლითაც წმიდანებმა ხორციელი გულისთქმების ცეცხლი დაშრიტეს. ამასთან, ვშიშობ, ვნებებისაკენ

ჰრქუა დედაკაცმან მან: „თანა-მეყავ თუესა ერთსა, გინა ერთ-სა ღამესა, და ვყო ბრძანებაჲ და ნებაჲ შენი, რამეთუ ესოდენმან მცირემან ნებამან ვერ დასძლიოს სასყიდელსა შენსა, რამეთუ შეცთომილი სული მიგყავს დაგებად ღმრთისა და განაცხოველებ შემდგომად სიკუდილისა“.

ხოლო იოდასაფ მიდრკა ყოფად ნებისა მისისა და აღთქუმაჲ მოსთხოვა, რაჲთა აღიაროს ღმერთი, რამეთუ ბუნებაჲცა აიძულებდა ყოფად მას და გონებაჲ მისი დაიწყლოვდა ზრზენითა მათითა **და შეაშფოთებდა გონებაჲ მისი**. ხოლო ღმერთი ჩუენი იესუ ქრისტე შემწე ეყო ჭირთა შინა მისთა და არა ინება წარწყმედაჲ, ვითარცა იტყჳს მეფსალმუნე დავით: „მივდერკ იძულებით დაცემად და უფალმან ჴელი აღმიპყრა მე, და არა თუმცა უფალი შემეწია მე, კნინ-ერთღა და და-მცა-იმკჳდრა ჯოჯოხეთს სულმან ჩემმან“[41]. რამეთუ ვითარ ამათ ოდენ გულისსიტყუათა შინა იყო, მიეძინა ღამისთევასა შინა, ილოცვი-და რაჲ ღმრთისა მიმართ, რაჲთა შეეწიოს და განუღოს კარი უმ-ჯობესი. და კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან „ყვის ნებაჲ მო-შიშთა მისთაჲ“[42].

და იხილა იოდასაფ ძილსა შინა ჩუენებით, ვითარმცა მიიწია სასუფეველსა, და იხილნა მრავალფერნი საშუებელნი და ტაძარნი ოქროლესულნი და ყოველი ფუფუნებაჲ, რომელთაჲ ვერ შესაძლებელ არს ხილვაჲ მათი სოფელსა ამას შინა. და მერმე კიდეგან იხილნა დედანი იგი მაზრზენელნი მისნი, რომელთაგან დაწყლულ იყო გული მისი. და იყვნეს იგინი უუშუერეს და უსაძაგლეს პირთა ძაღლთაჲსა და ღორთაჲსა საშუებელთა მათ თანა სასუფეველისათა. და ჴმაჲ ესმოდა, რომელი ეტყოდა: „ესე

მიდრეკილებამ არ მძლიოს და უფრო დიდ ცოდვაში არ ჩამაგდოს დასაღუპავად. და ამგვარად, ღვთის მტერი და ეშმაკის მეგობარი არ აღმოვჩნდე.

მაშინ უთხრა ასულმა:

– დამთანხმდი ერთ თვეზე, თუნდაც ერთ ღამეზე, და შევასრულებ ყველა შენს ბრძანებასა და სურვილს. ეს მცირე ვნება ვერაფერს გავნებს, რადგან ვერ გადაწონის იმ საზღაურს, რომელიც გზააბნეული სულის ღმერთთან მიყვანისა და მისი სიკვდილიდან სიცოცხლისაკენ მოქცევის გამო გელის.

იოდასაფი ქალის ნება-სურვილისაკენ გადაიხარა, რადგან ხორციელი ბუნებაც ამის ქმნას აიძულებდა. თან პირობა დაადებინა ასულს, რომ შემდეგ მის ღმერთს აღიარებდა იგი. უფლისწულის გონება ხორციელ ვნებათა ტყვეობაში აღმოჩნდა, საღი აზრი კი სულს უშფოთებდა... მაგრამ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ არ ინება მისი დაღუპვა, და ამ გასაჭირშიც შეეწია, როგორც დავით მეფსალმუნეც ამბობს: “იძულებით გადავიხარე ცოდვისაკენ და უფალმა ხელი გამომიწოდა, უფალი რომ არ ყოფილიყო ჩემი შემწე, მალე დაემკვიდრებოდა ჩემი სული ჯოჯოხეთს“ (ფს. 93:17). მტანჯველ აზრებთან ბრძოლაში იოდასაფმა მთელი ღამე თეთრად გაათენა, ლოცულობდა, მისი სულისთვის უმჯობესი ეუწყებინა. ამ მდგომარეობაში მყოფს ჩაეძინა.

კურთხეულია ღმერთი, რომელიც უსრულებს სურვილს მის მოშიშებს.

ძილში იოდასაფს ხილვა ეჩვენა: თითქოს ღვთის სასუფეველში იხილა იქ მრავალი სიკეთე, მოოქროვილი ტაძრები, თვალშეუდგამი მშვენიერება, რომლის ნახვაც შეუძლებელია წუთისოფელში. განაპირას კი ის ქალები შენიშნა, რომლებიც აღაგზნებდნენ და რომელთა მიერაც დაჭრილი იყო მისი გული. სასუფევლის ნეტარებათა

არს ადგილი განსასუენებელი წმიდათაჲ და მოთმინეთაჲ, უკუნისამდე იშუებდენ ამას შინა“. და მერმე მიიტაცეს ჯოჯოხეთად და იხილნა საშინელნი იგი სატანჯველნი პირად-პირადნი, რომელთა ვერვინ შემძლებელ არს აღრაცხუვად, გარნა დამბად[...] მათ. და კუალად ჴმაჲ ესმა: „ესე არს მისაგებელი უღმრთოთაჲ და ცოდვილთაჲ, რომელთა დაუტევეს ქრისტე ღმერთი და შეიყუარეს სოფელი. აქა იტანჯებოდიან საუკუნოდ და უკუნისამდე“.

და ვითარ მოეგო გონებასა თჳსსა და აღიხილნა თუალნი თჳსნი, და იხილნა დედანი იგი, გარემოდგომილ იყვნეს მისა და ტიროდეს და ჰგოდებდეს, რამეთუ ეგონა, ვითარმედ მომკუდარ არს განგრძობითა მით ძილისაჲთა. და აღდგა იოდასაფ და იწყო განცდად შუენიერებასა მათსა და განკჳრვებულ იყო, ვითარ შეურაცხ და უშუერ იყვნეს წინაშე თუალთა მისთა საშუებელთა მათ თანა, რომელნი იხილნა ჩუენებით.

და მოვიდა მეფე ხილვად ძისა თჳსისა, რამეთუ ესმა საქმე ესე და ჰკითხვიდა მას, თუ რაჲ იხილა და თუ რაჲდა არს გულისსიტყუაჲ მისი. ხოლო იგი უთხრობდა ყოველსა, რომელი-იგი იხილა სასუფეველსა შინა – შუენიერებაჲ საშუებელთა უხილავთაჲ; და მერმე რაჲ-იგი იხილნა ჯოჯოხეთს შინა – დაუთმენელნი იგი და საშინელნი სატანჯველნი. და ჰრქუა მას: „მამაო ჩემო, მნებავს გა[ნ]სლვაჲ უდაბნოს და ცხორებაჲ მონაზონებით მძოვართა თანა და მუნ მონებაჲ ღმრთისა ცხოველ-ისაჲ სურვილისა მისთჳს და შიშისა, რომელნი ვიხილენ“.

გვერდით უსაზარლესი სანახავნი იყვნენ ისინი, პირისახით ძაღლებსა და ღორებზე უსაძაგლესნი. უფლისწულს ხმა მოესმა: ეს არის ადგილი, რომელსაც დაიმკვიდრებენ წმიდანები და მომთმენნი, და საუკუნოდ განისვენებენ.

შემდეგ ჯოჯოხეთი მოატარეს უფლისწულს. იხილა მან საშინელი სატანჯველი და თითოეული იქ მყოფთაგანის უსაძლისი გვემა. კვლავ მოესმა ხმა: “ეს არის ხვედრი უღმრთოთა და ცოდვილთა, რომელთაც არ იწამეს ქრისტე ღმერთი და შეიყვარეს წუთისოფელი. აქ იტანჯებიან ისინი უკუნითი უკუნისამდე”.

იოდასაფს გაეღვიძა, თვალები გაახილა და ძილისაგან გამოერკვა. თავს ასულები ეხვეოდნენ და დასტიროდნენ, რადგან დიდხანს სძინებია და უფიქრიათ, მოკვდაო. სწრაფად წამოდგა უფლისწული და მათ სახეებს დააკვირდა. თავად განცვიფრდა, რადგან ხილვაში ნანახ თვალშეუდგამ მშვენიერებათა შემდეგ მეტად უშნოდ და ულაზათოდ გამოიყურებოდნენ ისინი.

უფლისწულის სანახავად აბენეს მეფე მოვიდა. მასაც გაეგო, რაც მის შვილს გადახდა თავს და ჰკითხა, თუ რა ნახა და რას ფიქრობდა? იოდასაფი მის მიერ ნანახი სასუფევლისა და იქ არსებული თვალით უხილავი მშვენიერების შესახებ მოუყვა მამას, შემდეგ ისიც უთხრა, თუ რა საშინელი და აუტანელი ტანჯვა იხილა ჯოჯოხეთში და სთხოვა მას:

– მამაო ჩემო, იმის შიშით, რაც ვიხილე, უდაბნოში მნებავს გასვლა. მონაზონური ცხოვრება მწადია მძოვრებთან ერთად, რათა ღვთის მონა გავხდე და მას ვემსახურო.

50. ხოლო მეფესა ვითარცა ესმნეს სიტყუანი ესე ძისა მისი-საგან, დამძიმდა ფრიად ურვითა და აღივსო მწუხარებითა, და ვერღარა უძლო დათმენად, და დაფარვად, და ჴმა-ყო წინაშე ყოვლისა ერისა და თქუა: „არარაჲ მოწევნულ არ[ს] ჩემ ზედა და თქუენ ზედა უდიდესი და უსაშინელესი ბოროტი, ვითარცა ესე ძისა ჩემისაჲ. და უკუეთუმცა მეფე ვინმე დიდი, გინა მტერი ძლიერი, მიმიღებდა შვილსა ჩემსა, არამცა თავს-ვიდევით და არცა **დავიტიეთ** მიშუებად მათდა თჳნიერ სიკუდილისა და ყოვლითა ღონითა თავგანწირვით, რამეთუ თანა-მაც მე და თქუენ ესე ყოფად შვილისა ჩემისათჳს, ხოლო თქუენ უწყნით ბორო-ტისყოფანი ჩემთა წინააღმდგომთა მიმართ რჩულისათა, სიკუდი-ლი და დაწუვაჲ ცეცხლითა. და აწ მეშინის, უკუეთუ განველურდეს ყრმაჲ ესე და იწყოს მიმოსლვად მძოართა თანა სიუცბითა და უგუნურებითა მისითა, ნუუკუე მოკლას ვინმე მტერთა ჩემთაგანმან. და უკუეთუ ძიება-ვყო სისხლი მისი, დამესაჯოს უსამართლოდ, რამეთუ მე მოვსწყჳდენ იგინი და ნეფსით განუტევე შვილი ჩემი მათ თანა. ხოლო უკუეთუ თავს-ვიდვა ყუედრებაჲ, და **სისუსტე** იყოს ჩემდა და თქუენდა უკუნისამდე, და ამას თანა მოსაცხრომელ ვიპოვნეთ მტერთა ჩუენთა, არამედ ვინმე იპოვოს კაცი, რომელსა აქუნდეს ღონე რაჲმე საქმისა ამისთჳს, რომელ შეწუხებულ ვარ და მასწაოს რაჲმე ყრმისა ამისთჳს, და შემწე მექმნეს ჭირთა შინა ჩემთა, და მე მივსცე მას პატივი და დიდებაჲ უფროჲს თავისა ჩემისა, რამეთუ არა ჯერ-არს, თუ უდებ-ვყოთ საქმე ესე და არა უფროჲს ვიღუაწოთ ძიებად, ვიდრემდის გამოგუეცხადოს ჭეშმარიტებაჲ მისი, გინათუ რაჲ ჯერ-არს“.

მაშინ ჰრქუეს წარჩინებულთა მათ და შერაცხილთა: „არა ჯერ-არს საქმე ესე დატევებად ყოვლით-კერძოვე, რამეთუ არავინ არს ჩუენსა უფროჲსი სიხარულსა ზედა შენსა, და ეგრეთვე არავინ არს უწინარეს ჩუენსა ურვათა შინა მეფისათა, არამედ ჩუენ ესრეთ ვჰგონებთ, ვითარმედ ვერ შესაძლებელ არს

50. შვილის სიტყვებმა მეფე ფრიად დააღონა, ვეღარ შესძლო მწუხარების ატანა და დაფარვა და მთელი ერის გასაგონად ამოთქვა:

– არასოდეს მოწეულა ჩემს თავს ისეთი უდიდესი და უსაშინლესი ბოროტება, როგორს დღეს ჩემი ძის მიერ. რომელიმე ძლიერ მეფეს, გინდაც, ძლიერ მტერს რომ წაერთმია ჩემთვის შვილი, თავს არ დავზოგავდი და არ დავუშვებდი ამას, რადგან გვევალება მეცა და თქვენც, რომ, თუნდაც სიცოცხლის ფასად, დავიცვათ უფლისწული. ამასთან, თქვენ გსმენიათ, როგორ მოვექეცი ჩვენი რჯულის მოწინაღმდეგეებს – დავხოცე და ცეცხლში დავწვი ისინი. ახლა ვშიშობ, არ გამიტყიურდეს შვილი და თავისი უმეცრებითა და უგუნურებით მძოვრებთან (განდეგილებთან) ერთად არ დაიწყოს ხეტიალი; ვაითუ, მოკლას რომელიმე ჩემმა მტერმა. თუ მის სისხლს მოვკითხავ მკვლელს, მევე დამადანაშაულებენ, რადგან უწინ თავად ვხოცავდი მათ, დამძრახავენ იმის გამოც, რომ მათთან გავუშვი შვილი და არ შევეწინააღმდეგე მის სურვილს. ხოლო თუ წასვლის ნებას დავრთავ უფლისწულს და ჩემდამი საყვედურებსაც შევურიგდები, ჩემი და თქვენი სისუსტე იქნება ეს სამარადჟამოდ, მტრების დასაცინი გავხდებით. მაგრამ თუ თქვენს შორის აღმოჩნდება კაცი, რომელიც ამ გასაჭირში დამეხმარება და მასწავლის, როგორ მოვიქცე, შევძენ მას ჩემზე მეტ პატივსა და დიდებას. დაუშვებელია, სიზარმაცე და დაუდევრობა გამოვიჩინოთ, ყველას გვმართებს, რომ ვეცადოთ და გამოვნახოთ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი.

მიმართეს მეფეს წარჩინებულებმა და დიდებულებმა:

– არ შეიძლება ამ საქმის უყურადღებოდ დატოვება, რადგან თქვენი სიხარული ყოველი ჩვენგანის სიხარულია და თქვენი მწუხარება – ჩვენი მწუხარება. ჩვენ ასე ვფიქრობთ: ერთ სახელმწიფოში შეუძლებელია თანაარსებობდეს ორი

განზოგებად ორთა შჯულთად და ორთა წესთად და ორთა მსაჯულთად ერთსა შინა სამეუფოსა, და არა (ჯე)რ-არს საქმისა ამის წარმატებად, გარნა პირსა ზედა თჳსსა, რომლითა განიკურნოს ძე შენი და შჯული შენი და მეფობად შენი“.

და განაგრძვეს სიტყუად ამის ჯერისათჳს. და ესე განიზრახეს მეფემან და ყოველთა ერისთავთა მისთა, რადთა მისცენ ნახევარი სამეუფოდსად მის ძესა მეფისასა, რადთა მეფობდეს მას ზედა. ხოლო ამას ჰყოფდა მეფე იგი, რადთამცა საცთურ-უგო მას, და მეფობისა მიზეზითამცა ჴელი შეყო საქმესა სოფლისასა და მიიზიდესმცა სოფლიოთა გულისთქუმათა.

ხოლო იოდასაფ გულისჴმა-ყო ზაკუვით ზრახვად მათი და განიხარა ფრიად, რამეთუ ესვიდა მიზეზითა მით, რადთა შეუძლოს განცხოველებად შჯულისა, რომელი მოაკუდინა მამამან მისმან, და განცხადებულად ქადაგებად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და შეკრებად ყოველთა მორწმუნეთა მისთად და ცოცხლებით პყრობად ყოველნი წესნი ქრისტეანობისანი. და გულპყრობილ იქმნა იოდასაფ ამას ზედა.

მიუგო მეფემან და ჰრქუა იოდასაფს: „შვილო ჩემო, არა ესე იყო სასოებად ჩემი შენდამი, რამეთუ **გეზაობდი** შენ სინათლედ ცხორებისა ჩემისა და ნაცვალად ჩემდა შემდგომად სიკუდილისა ჩემისა, ხოლო შენ დაჰჴსენ სასოებად ჩემი და გა[ნა]ცხადე წინააღდგომად ჩემი, და განამწარე სიტკბოებად სიხარულისა ჩემისად შენთჳს და განჰკუეთე ნაწლევი მამობისა ჩემისად შენგან. ხოლო მე ვერვე შეუძლებ წინააღდგომასა შენსა, რამეთუ მომდრეკს შენ ზედა საბელი შვილობისად და მიმიზიდვენ შენდა საქმენი, რომელნი **დაახლებენ** ნებასა შენსა და განმაშორებენ წინააღდგომასა შენსა, და შენ არა შეინდობ ჩემგან და არცა შეიწუები განშორებისა ჩემისათჳს, ვითარცა მე შენთჳს. არამედ ცოცხლებითმცა ხარ, [სა]დაცა იყო, რამეთუ უწყი, ვითარმედ ნებსით შევამთხუევ აუგსა თავსა ჩემსა მიშუებისა შენისათჳს, და ვაცთუნებ თავსა ჩემსა, რამეთუ

რწმენა, ორი კანონი და ორი სამართალი, რადგან ეს არანაირ სარგებლობას არ მოიტანს. ამიტომ, საერთო კეთილდღეობისათვის, უმჯობესია და სასურველი, უფლისწულის განკურნება, ჩვენი რჯულის გაძლიერება და თქვენი ხელისუფლების განმტკიცება.

დიდხანს იმსჯელეს. ბოლოს მეფემ და დიდებულებმა გადაწყვიტეს, ნახევარი სამეფო უფლისწულისთვის მიეცათ. ამგვარად ცდილობდა აბენესი ახალი საცდურის დაგებას შვილისთვის და იმედოვნებდა, რომ მეფობა და საქვეყნო საქმეებით დაკავება წუთისოფლის სიყვარულს აღუძრავდა უფლისწულს.

იოდასაფმა ამოიცნო მათი მზაკვრული ჩანაფიქრი, მაგრამ გაიხარა კიდეც, რადგან საშუალება ეძლეოდა თავის სამფლობელოში მაინც აეღორძინებინა ის რწმენა, რომელიც მამამისმა ჩაკლა, აშკარად ექადაგა უფალ იესო ქრისტეს შესახებ, შემოეკრიბა ქრისტეს ყველა მორწმუნე და მტკიცედ დაეცვა ქრისტიანული წესები. ამან უფლისწული დააიმედა...

უთხრა მეფემ შვილს:

– როგორი იმედი მქონდა შენი, შვილო! ჩემი ცხოვრების სინათლედ შენ მიმაჩნდი და მემკვიდრედ მეგულებოდი ჩემი სიკვდილის შემდგომ. მაგრამ იმედი გამიცრუე და ჩემი მოწინააღმდეგე გახდი, სიხარული სიმწარედ მიქციე და გაწყვიტე ის ძარღვი, რომელიც მამის წიაღთან გაკავშირებდა. მე მაინც ვერ გეწინააღმდეგები, შვილო, მამაშვილური სიყვარული მძლევს და მბორკავს შენგან მტრობისაგან და შენს ნება-სურვილთა შესრულებას მაიძულებს. შენ კი არაფერს მპატიობ და არც ჩემი განშორებით წუხხარ იმგვარად, როგორც მე ვწუხვარ შენთვის. მაგრამ შენ იყავი დღეგრძელი, შვილო, და როგორც გენებოს, ისე იცხოვრე. ვიცი, რომ თავადვე დავიწიე თავს უბედურება, რადგან შენს ნებაზე მყავდი მიშვებული.

აღვასრულებ ნებასა შენსა, რამეთუ სიყუარული შვილობისაჲ მეუფებს სიღრმესა შინა გულთა მამათა მათთასა, რამეთუ დაემორჩილებიან ნებასა შვილთა მათთასა, დაღაცათუ წინა-აღუდგებოდიან ნებასა მათსა, ვითარცა-სახედ კაცი, რომელი დაემორჩილოს ნებასა თჳსსა, დაღაცათუ უწყინ, რამეთუ საყუედრელ და ვნება არნ მისა, არამედ კაცთაგან ჰფარავენ და თავსა თჳსსა შეუნდობნ და დაივიწყებნ უკეთურებასა თჳსსა და სთნავნ მცირედი რაჲმე კეთილი მისი.

ხოლო მე, შვილო ჩემო, დაღაცათუ მეფე ვარ, კაცივე ვარ და სიჩჩოებაჲ აქუს გულსა ჩემსა შენდამი, ვითარცა ყოველთა კაცთა შვილთა მიმართ მათთა. და ვერ შემძლებელ ვარ წინააღდგომასა შენსა, ვითარცა ნებასა ჩემსა. ხოლო შენ დიდი ბოროტი შემამთხჳე მე და თავსა შენსა, არამედ მნებავს, რაჲთა წარვჰმარ-თო საქმე ესე უმჯობესსა ზედა და რაჲთა ვყო ნებაჲ შენი და ვძებნო განკურნებაჲ შენი და თავისა ჩემისაჲ მყუდროებით და დაწყნარებით. და აწ დაგადგინებ შენ ნახევარსა ზედა **სუფევისა** ჩემისასა, და თჳთ განაგებდ, ვითარცა გნებავს, რამეთუ არა იყოს მას შინა მოცხრომაჲ მტერთაჲ და არცა სიხარული მოშურნეთაჲ განშორებისა შენისათჳს ჩემგან, და არცა მე სრულიად უნაყოფო ვიპოვო შენგან, და მომატყუას სიკუდილი მოწყუედამან შენმან პირველ მოწევნამდე სიკუდილი-სა ჩემისა, ხოლო უკუეთუ დაიშუენო სამეუფოჲ შენი და კეთი-ლად განაგო საქმე შენი, არა სრულიად ჴუებულ იყოს სული ჩემი შენგან, და იყვნენ საქმენი შენნი წარმართებულ ცოცხლებით და მშჳდობით და სიმრთელით და კუალად განგებულებით“.

51. მიუგო და ჰრქუა ყრმამან მან: „სიტყუანი შენნი გულისჴმა-[ვ]ყვენ, ჰ მეფე, ხოლო აწ ღმერთმან დაგამტკიცენ სულითა მშჳდობისაჲთა და მიგიძღჳნ უმჯობესსა ცხორებასა და სუფევასა შენსა, არამედ მე უფლებაჲ ესე, რომელ მომეც, არა

თვალებს ვიბრმავებდი და ყველა სურვილს გისრულებდი, რადგან ასეა: შვილების სიყვარული უფლობს მამებზე! ამიტომაც ემორჩილებიან მშობლები შვილებს, თუნდაც მათი ნების ურჩებს და ემსგავსებიან იმ კაცს, რომელიც გულისთქმათა მონაა, იცის, რომ საზიანოა ეს მისთვის და მომავალშიც ავნებს, ამის გამო სხვებისგანაც მალავს სურვილებს, მაგრამ თავის თავს მაინც ყველაფერს პატიობს, თავის უბედურებას ივიწყებს და კმაყოფილდება მცირედი სიამოვნებით.

მეც, შვილო, თუმცა მეფე ვარ, მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანიცა ვარ, ისეთივე გულჩვილი, როგორც ყველა მშობელი შვილთან. არ შემიძლია შენც ისევე გებრძოლო, როგორც საკუთარ სურვილებს. შენ კი მეც მმტრობ და საკუთარ თავსაც. მე მაინც კარგი მინდა შენთვის, შვილო, მსურს საწადელი აგისრულო და ორთავემ სიმშვიდესა და დაწყნარებაში ვპოვოთ განკურნება. ნახევარი სამეფოს მბრძანებლად დაგადგენ, განაგე იგი, როგორც გენებოს, მაგრამ ისე კი, რომ მტრების დასაცინი არ გახდე და მოშურნე არ გაახარო ჩვენი გაყრით, რათა არც მე დამტოვო მემკვიდრის გარეშე და არც შენი განშორებით არ მომისწ-რაფო სიცოცხლე. და თუ შენს სამეფოს ააყვავებ და კეთილგონიერებით განაგებ საქმეებს, არც მე მოგიძულებ. დღეგრძელი იყავი და მშვიდობით, სიმრთელითა და კეთილ-გონიერებით წარგემართოს გზა, შვილო, შენს საქმიანობაში.

51. მიუგო ყრმამ მამას:

– ყველაფერი გასაგებია ჩემთვის, მეფევ. ღმერთმა გაგაძლიეროთ მშვიდობის სულით და წარგიძღვეთ უმჯობესი ცხოვრებისა და საყოფელისაკენ. მაგრამ ძალაუფლებას,

თავს-ვიდებ, რამეთუ არა მაქუს ჩუეულებაჲ საქმისაჲ მაგის და
არცა-სადა გულმან მითქუა დიდებასა წარმავალსა, არამედ
მიჯმენ, მეფე, გევედრები, რაჲთა წარვიდე და შევერთო ძმათა
ჩემთა, რომელნი მყოფ არიან უდაბნოთა, და ნუ **დაავიწრებ**
საქმეთა თავსა ზედა შენსა, და ნუ დააჭირვებ გულსა შენსა. რაჲ
უწყი, ნუუკუე დასასრულსა ამის საქმისასა სიხარული გაქუნდეს
უმეტეს მწუხარებისა, რომელი გაქუს დღეს ჩემთჯს, ხოლო
ბოროტი რომელ სთქუ, ვითარმედ შეგემთხჯა, ეგრეთ არს
ჩუეულებაჲ ბოროტისაჲ, არა ნებისაებრ კაცთაჲსა შეემთხუევის
კაცთა; ხოლო უდიდესი ბოროტი იგი არს, რომლისაჲ არაჲ იპოვის
ღონე შემდგომად სიკუდილისა, ხოლო რომელსა ღონე ეპოვოს,
ჯერ-არს თავსდებად, უკუეთუ დასასრულსა აქუნდეს მშჯდობაჲ,
არამედ არა ვჰხედავ, მეფე, თუმცა ზოგიცა ტკივილისა ჩემისაჲ
მოწევნულ იყო შენდა საქმისა ჩემისათჯს, ვითარ ესე ჩემდა
საქმისა შენისათჯს, რამეთუ ყოვლადვე ბოროტ არს ჩემდა,
ოდესღა შენ არა იცან იესუ ქრისტე ძე ღმრთისაჲ და არა ისმინე
ჴმაჲ წინაჲსწარმეტყველთა და მოციქულთა მისთაჲ და არა გაქუს
ერთიცა მცნებაჲ მისი და არცა **შეიშნე** ღმრთისა და არცა
დაემორჩილე სიმართლისა საშჯელსა და არცა შეიკდემ ბრალობი-
სათჯს ჩემისა. ხოლო მე არა მინდა უწყებად და გამოცხადებად
საქმე ჩემი, რამეთუ ვჰხედევდ, ვითარმედ არაშემწყნარებელი
გონებაჲ დამკჯდრებულ არს შენ თანა ცნობისა ღმრთისაჲ და არა
მინდა შრომისა და ურვისა შემთხუევაჲ შენი, არამედ შენ
განმომნახე და მაიძულე სიტყჯსგებად შენდა და კადნიერ-მყავ
პატივსა მამობისა შენისასა წინააღდგომად. და რამეთუ მეტყჯ,
ვითარმედ ბოროტსა და აუგსა თავს-იდებ ნეფსით თჯსით
სიყუარულისათჯს და ნებისა ჩემისა. ხოლო მე არას ვჰხედავ,
მეფე, თუმცა რას ზედა შეიცვალე ნებისათჯს ჩემისა, რომელსა
ზედა აქამომდე სდგა. და რამეთუ სთქუ, ვითარმედ სიჩჩოებაჲ
გაქუს შვილთა მიმართ, ვითარცა სხუათა, არამედ ვჰხედავ,
ვითარმედ მფრინველთა და პირუტყუთა და მჴეცთაცა უფროჲსი

რომელსაც მთავაზობთ, ვერ ვიტვირთავ, რადგან დაუჩვეველი
ვარ. არც წარმავალი დიდების სურვილი მაქვს, ამიტომ
ვევედრები თქვენს მეუფებას, გამიშვა, რათა უდაბნოში მყოფ
ძმებს შევუერთდე, ნურც დამიშლი და ნურც განმირისხდები,
ვინ იცის, ეგებ, ჩემს გამო მწუხარება ბოლოს სიხარულად
შეგეცვალოთ, რაც შეეხება ბოროტებას, რომელიც როგორც
შენ ამბობ, რომ შეგემთხვათ, ასეთია მისი წესი – კაცს ნება-
სურვილის გარეშე ეწვევა. თუმცა ყველაზე დიდ ბოროტებად
ის ითვლება, საიდანაც სიკვდილის შემდეგაც არ არსებობს
გამოსავალი, ხოლო თუ გამოსავალი არსებობს, ამგვარი
ბოროტების ტვირთვაც კი შეიძლება, ოღონდ კეთილი
დასასრული ჰქონდეს. მე ვერ ვხედავ, მეფეო, რომ ოდნავ
მაინც გაწუხებდეთ ჩემი ტკივილი ისე, როგორც მე ვწუხვარ
შენთვის. ყველაზე დიდი ბოროტება ჩემთვის ის არის, რომ არ
ირწმუნე ძე ღვთისა, უფალი იესო ქრისტე, არ ისმინე მისი
წინასწარმეტყველებისა და მოციქულების ხმა, არ იცავ არც
ერთ მის მცნებას, არ გაქვს ღვთის შიში და არ ემორჩილები
მის მართალ სამართალს, ამასთან, არც ჩემს დადანაშაულებას
თაკილობ. მე თავად არ ვისურვე ამ ყოველივეს გამოაშკა-
რავება, რადგან დავინახე, რომ არ შეიწყნარებდა შენი
გონება ღმერთს და არ მსურდა საზრუნავი და სადარდებელი
გამეჩინა შენთვის, მაგრამ თავად გამომიწვიე და მაიძულე,
კადნიერად წინ აღვსდგომოდი მშობელს. ამბობ, რომ ჩემი
სიყვარულისა და ინტერესების გამო საკუთარივე ნებით თავს
იდებთ სიმწარესა და შეურაცხყოფას, მაგრამ ვერ ვხვდები,
რაში გამოიხატება შენს მიერ ჩემი სურვილების შესრულება.
შეიცვალეთ კი ის თვალთახედვა, რომელსაც დღემდე იზია-
რებთ?! ასევე ამბობ, რომ, სხვა მშობელივით, არც შენ ზოგავ
თავს შვილისთვის, მაგრამ მხეცები, ფრინველები და
პირუტყვნი უფრო მეტად ზრუნავენ თავიანთ ნაშობთათვის,
თავსაც კი სწირავენ მათთვის, და არა იმიტომ, რომ

სიჩჩოებაჲ აქუს ნაშობთა მიმართ ვიდრე შენ, რამეთუ იგინი ჰყუარობედ ნაშობთა მათთა და თავთაცა თჳსთა დასდებენ ნაცვალად მათსა, და არა ამისთჳს, რაჲთამცა ნაცვალად მათსა ჰხედვიდეს, გინათუმცა ძალად მტერთა მიმართ, გინა ასამაღლებელად თავისა მათისა, არამედ ბუნებისათჳს მამობისა და შვილობისა. ხოლო შენ, მეფე, არა კეთილისა ჩემისათჳს გნებავს დადგრომაჲ ჩემი სოფელსა შინა, არამედ დიდებისათჳს შენისა. და ესე საცნაურ იყავნ წინაშე შენსა, რამეთუ ყუე-დრებამან განრყუნის კეთილი კეთილისმყოფელთაჲ და **დაამრწემის** იგი, რამეთუ შენ ფრიად განამრავლენ ყუედრებანი ჩემ ზედა და არაჲ კეთილი ჰყავ ჩემ თანა, რამეთუ სოფელსა ამას წინამიყოფ და თავსა შენსა მიმიღებ, არამედ უმჯობეს არს ჩემდა, უკუეთუმცა იცან ღმერთი დამბადებელი ყოვლ[ისაჲვე], მამაჲ უხილავი და ძე მისი მხოლოდშობილი იესუ ქრისტე და ყოვლადწმიდაჲ სული მისი, თანამფლობელი და თანასწორი და თანადაუსაბამოჲ, განუყოფელი და შეურევნელი, ერთი ღმრთეებაჲ სამგუამოვანი, ვიდრეღა-[ა]რა ყოველი სოფელი სავსე ანთრაკითა, და უფროჲს ხოლო ცოდვითა და ყოვლითა უშჯულოებითა“.

ხოლო მეფესა ვითარცა ესმნეს სიტყუანი ძისა მისისანი, უფროჲს განუკჳრდა და შეუყუარდა ყრმაჲ იგი და ჰრქუა მას: „შვილო ჩემო, მე არარაჲ გაყუედრე ვითარცა **ზედაცემით**, არამედ ვაჴსენე წინააღდგომაჲ შენი და არამორჩილებაჲ ჩემი, რამეთუ არასადა ვინ მეფემან უყო ესევითარი შვილსა თჳსსა და არცა ძმამან ძმასა, ვითარ-ესე მე შენ გიყავ, რამეთუ დაგიმკჳდრე მეფობაჲ ჩემი პირველ სიკუდილისა ჩემისა და გზა-გეც დატევებად შჯულისა ჩემისა და რაჲთა შეგიდგენ, რომელთა აღირჩიონ შჯული შენი. ესე ვაჴსენე და არა გაყუედრე. აწ წარემართე ბრძანებისაებრ ჩემისა, რამეთუ კეთილ არს ჩემდა და შენდა“.

მიუგო იოდასაფ და ჰრქუა მამასა თჳსსა: „უკუეთუ ჰყავ ესე, მეფე, არა საკჳრველ არს, რამეთუ საცნაურ არს ყოველთა ზედა

შთამომავლებს ხედავენ მათში, ან მტერთან ბრძოლაში დამხმარე ძალას, ანდა საკუთარი თავის დიდებას პოულობენ მათში, არამედ იმიტომ, რომ ამგვარია წესი და ბუნება მამაშვილობისა.

შენ ჩემივე სიკეთის გამო კი არ გწადია წუთისოფელში ჩემი დამკვიდრება, არამედ შენივე დიდებისათვის. ყვედრება ბილწავს კეთილისმყოფელის მიერ გაკეთებულ სიკეთეს და ამცირებს მას. შენ საყვედურები განამრავლე ჩემს მომართ, არც არანაირი სიკეთე გსურს ჩემთვის, რადგან წუთისოფ-ლისკენ მიბიძგებ და შენ თავსაც მართმევ. ჩემთვის კი უმჯობესი იქნებოდა, თუკი აღიარებდი ყოვლისშემოქმედ ღმერთს – მამას უხილავს, მის მხოლოდშობილ ძეს უფალ იესო ქრისტეს და ყოვლადწმიდა სულს – თანამპყრობელს, თანა-სწორსა და თანა-დაუსაბამოს, განუყოფელსა და შეურევნელს, ერთ ღმრთეებას სამგვამოვანს, ვიდრე იყვარებდე ამ წუთი-სოფელს სიმდიდრით, უფრო სწორად კი, ცოდვითა და ყოველგვარი უშჯულოებით სავსეს.

მეფე განაცვიფრა უფლისწულის სიტყვებმა, უმეტესი სიყვარულით აღივსო მის მიმართ და უთხრა:

– შვილო ჩემო, არაფერი მისაყვედურია შენთვის და არც ძალა გამომიყენებია შენს წინააღმდეგ, მხოლოდ შენი წინააღმდეგობა და ურჩობა ვახსენე, არცერთ მეფეს შვილისთვის, არც ძმას ძმისთვის არ გაუკეთებია ის, რასაც მე გიკეთებ შენ: ჩემს სიცოცხლეშივე გითმობ მეფობას, ნებას გრთავ, წინაპართა რჯული მიატოვო და თან გამოგყვნენ ისინი, რომლებიც შენს რჯულს აირჩევენ. ამასაც მხოლოდ გახსენებ, შვილო და ერთი წუთითაც არ გაყვედრი. ასე რომ, დაადექი გზას, რომელსაც გთავაზობ და ჩემთვისაც სასარგებლო იქნება იგი და შენთვისაც.

მიუგო იოდასაფმა მამას:

უმეტესობაჲ შენი, ვითარცა-იგი მაღალ არს ყოველთა ზედა საქმე შენი. ხოლო მე არა უმეცარ ვარ კეთილთა შენთა და არცა უვარ-ვჰყოფ მადლობასა შენსა, არამედ მნებავს, რაჲთა სრულ-ჰყო პატივი და კეთილი შენი ჩემდა მომართ და შემინდო საქმე ესე, რომელი არა სთნავს სულსა ჩემსა, და არცა რად შერაცხილ არს ჩემ წინაშე, და გზა-მცე მე მოყუასთა ჩემთა თანა, რომელთა თანა გული-მითქუამს და ჰსურის სულსა ჩემსა ადრე მისლვად მათ თანა, რაჲთა არა დავაკლდე სიხარულსა მას, (რომელი) მათთჳს განმზადებულ არს. და არა მნებავს მეფობაჲ წარმავალი, სიმარჯჳთა და ღონითა კაცთაჲთა განგებული, რომელი დღეს არს და ხვალე უჩინო-იქმნას“.

მაშინ აღდუღნა აბენეს[43] მეფე ტირილით და ჰრქუა ძესა თჳსსა იოდასაფს: „ნუ, შვილო ჩემო, ნუ შეურაცხ-ჰყოფ მამობასა ჩემსა, ნუ, შვილო ჩემო, ნუ წინააღმიდგები და დაამდაბლებ მეფობასა ჩემსა, რამეთუ მნებავს კეთილი შენი და დაცვაჲ შენი აუგთაგან. ნუ მაიძულებ, რომელსა ვერ თავს-ვიდებ, და ნუ ეძიებ დამრწემებასა ჩემსა ნებისათჳს შენისა, და ნუცაღა რას მომიგებ წინააღდგომით, ნუუკუე მეცა აღვიძრა და შევიქცე ყოვლისაგან, რომელი აღგითქჳ, და დავაწესო შენ ზედა რისხვაჲ და შეჩუენებაჲ ჩემი გულისწყრომით“.

ხოლო ყ[რ]მამან მან იოდასაფ ვითარცა მოისმინნა სიტყუანი მეფისანი, შეეშინა, ნუუკუე უფროჲს ზომისა აღიძრას გულისწყრომად, და რომელიცა-იგი ექმნას, შეიქცეს მისგან და გამარჯჳებაჲცა გზისაჲ მის დაიჴსნას. და იწყო მიერითგან ნებისა მიცემად მეფისა საქმისა მისთჳს და შეიწყნარა მთავრობაჲ, რომელი მისცა ნახევარსა ზედა მეფობისა მისისასა. ხოლო მარგალიტი იგი, წმიდაჲ სარწმუნოებაჲ ქრისტეს ღმრთისაჲ, მტკიცედ ეპყრა გონებასა შინა თჳსსა და უქცეველად.

– გასაკვირი არ არის, მეფევ, რომ ასე მოიქეცი, რადგან ყველასათვის ცნობილია შენი აღმატებულობა სხვებზე, ისევე, როგორც შენს მიერ გაკეთებული საქმე ჰმეტობს სხვებისას. არ ვარ შენი ზრუნვის დაუნახავი, პირიქით, მადლიერი ვარ, მაგრამ მსურს, რომ ბოლომდე ასეთი იყო ჩემს მომართ და შემინდო, რომ არ შემიძლია გავაკეთო ის, რაც ჩემს სულს ვნებს და რასაც არა აქვს ფასი ჩემს თვალში. გამიშვი მათთან, ვისკენაც ჩემი გული ისწრაფვის, სულიც დროულად მათთან მისვლას მთხოვს, რომ არ დავაკლდე იმ სიხარულს, რომელიც მათთვისაა გამზადებული. ხოლო კაცობრივი მოხერხებითა და ღონისძიებით განგებული მეფობა არ მსურს, რადგან დღეს არის და ხვალ აღარ იქნება იგი.

მაშინ ცრემლით აევსო თვალები აბენეს მეფეს და შეევედრა შვილს:

– ნუ, ჩემო შვილო, ნუ შეურაცხყოფ ჩემს მამობას, ნუ აღმიდგები წინ და ნუ დაამცირებ ჩემს მეფობას, რადგან სიკეთე მსურს შენთვის. ნუ მაიძულებ იმას, რაც ჩემს ძალ-ღონეს აღმატება და ნუ ცდილობ ჩემს დამცირებას შენი სურვილების გამო, ნუღარ მეწინააღმდეგები, რადგან მეც ამევსება მოთმინების ფიალა და უარს ვიტყვი ყველაფერზე, რაც აღგითქვი. ამის ნაცვლად კი ჩემს რისხვას და წყევლას მოიწევ თავზე.

მეფის სიტყვები რომ მოისმინა, შეშინდა იოდასაფი, რადგან უსაზღვრო მრისხანებით აღძრულ მეფეს მართლაც შეეძლო დანაქადის შესრულება. ეს კი უფლისწულის დამარცხებას ნიშნავდა, რადგან მას უნდა შეენარჩუნებინა ის, რისთვისაც უკვე მიეღწია. ამიტომ მამის ნება-სურვილთა მიმართ დამთმობი გახდა და ნახევარი სამეფოს განმგებლობაზე დასთანხმდა; ძვირფასი მარგალიტი კი – უფალ იესო ქრისტეს წმიდა სარწმუნოება – კვლავ მტკიცედ და შეურყეველად მკვიდრობდა მის გულში.

52. ხოლო მეფემან, ვითარცა იხილა მიშუებად ყრმისა მისგან, განიხარა სიხარულითა დიდითა და ბრძანა განვლინებად ქადაგი, და ჴმობდა შემოკრებად ერისთავთა და ყოველთა წარჩინებულთა ერისათა და ყოვლისავე ერისა. და ვითარ შემოკრბეს ყოველნი იგი წინაშე მისა, ბრძანა დადგმად საყდართად მეფემან ძისა თჳსისათჳს, ვითარცავე მისთჳს, და დასუა მათ ზედა. და იწყო მეფემან სიტყუად და (ჰრქუა), რამეთუ:

„ჩუენ ყოველნი ვიყვენით სხუასა შჯულსა და სხუასა წესსა ზედა თჳნიერ ამის შჯულისა, რომელსა ზედა აწ ვდგათ, და ყოველნი მამანი ჩუენნი, კეთილადმოჴსენებულნი მეფენი, და ყოველი ერი სხჳთა შჯულითა ცხონდებოდეს, ხოლო ჩუენ ესე გამოვირჩიეთ პირველსა მას შჯულსა ზედა, არამედ არა ვეჭუთ წარსრულთა მათ, თუ არა უმჯობესსა გული-უთქმიდა პოვნად შემდგომად სიკუდილისა. და მერმე იცით საქმე ჭაბუკისად ამის ყოველთა წარჩინებულთა, და მიწევნულ არს ყოვლისა მიმართ ერისა, და აწ არა ჯერ-არს მძლავრებად ჩუენი ყრმისად ამის წინააღდგომისათჳს ჩუენისა, რამეთუ ჩუენცა ესერა წინაღდგომილ ვართ შჯულსა მამათა ჩუენთასა და აწ მიგჳშუებია, რომელი გამოირჩია თავისა თჳსისათჳს. და მერმე ვინებე, რადთა ვიზიარო კეთილთა ზედა სუფევისა ჩემისათა, რადთა უჩუენოთ **ზღვარი** თჳთ მეფობად მისა. და რომელსა უნდეს შედგომად მისი, შეუდეგინ სამეუფოდ მისა, რამეთუ არავის ვჰმძლავრობთ ნებასა ზედა თჳსსა ყოფად, სადაცა ენებოს, და იპყარნ შჯული მისი. ხოლო რომელსა უნდეს შედგომად მისი დიდებისათჳს პატივისა, არა დავაყენებთ, რამეთუ შვილი ჩემი არს და არავინ არს უერთგულეს ჩემთჳს მისა. და აწ მიბრძანებიეს, რადთა მიეცეს ყოვლისაგან, რომელი არს საგანძურთა **ჩემ[თა] თანა**, ნახევარი საფასეთად და აბჯართად და ყოვლისაგან, რადცა არს, და რადთა სიმდიდრითა შეზაოს მეფობად მისი და შეუძლოს კეთილისყოფად და ბოროტისყოფად ღირსთა მისაგებელისათა“.

52. უფლისწულის თანხმობამ მეფე ძლიერ გაახარა. მან მაცნე გაგზავნა ქვეყნის ყველა კუთხეში და ერისთავთა, წარჩინებულთა და მთელი ერის მის წინაშე შეკრება ბრძანა. შემდეგ უფლისწულისთვის მისივე მსგავსი სამეფო ტახტი დაადგმევინა, ზედ თავისი ძე დასვა და ერს ამგვარი სიტყვით მიმართა:

– წარსულში ჩვენ, ყველანი, სხვა რჯულს მივსდევდით და არა იმას, რომელსაც დღეს ვადგავართ; ჩვენი წინაპრები, კეთილხსენებული მეფეები და მთელი ერი სხვა რჯულს აღიარებდნენ, ჩვენ კი ეს რჯული ვამჯობინეთ, მაგრამ ეჭვიც არ გვეპარება, რომ სიკვდილის შემდგომ ჩვენს წინაპრებსაც ეიმედებოდათ უმჯობესი მყოფობა. ამას გარდა, თქვენ იცით, წარჩინებულნო, ჩემი ძის გზააბნეულობის შესახებ. არ უნდა ვიძალმომრეოთ უფლისწულზე მისი ჩვენდამი წინააღმდეგობის გამო, რადგან ჩვენც, თავის დროზე, წინ აღვუდექით მამა-პაპათა რჯულს მის მსგავსად, ამიტომ უნდა დავსთანხმდეთ იმაზე, რაც თავისთვის გამოირჩია. გარდა ამისა, ვისურვე, სამეფო ხელისუფლება გამეყო მისთვის და დამედგინა მისი სამბრძანებლის საზღვრები. ვისაც სურს, რომ მას გაჰყვეს, დაე, გაჰყვეს, არავის არაფერს ვაიძულებთ. იცხოვრონ მასთან, როგორც ენებოთ და აღიარონ მისი რჯული. ვისაც სურს, რომ პატივი მიაგოს უფლისწულს, არც მას დავუშლით, რადგან შვილია ჩემი და არავინ არის ჩემთვის მასზე უერთგულესი. აწ ვბრძანებ, მიეცეს მას ნახევარი ჩემი ხაზინისა, ნახევარი საგანძურისა, იარაღი და ყოველივე, რაც სამეფო ძლიერებისთვისაა საჭირო, რათა დამსახურებისამებრ მიაგოს კეთილსა და ბოროტს.

და ვითარცა წარასრულნა მეფემან სიტყუანი ესე, მაშინ აღ-
დგეს მაქებელნი და აქეს იგი მეფედ, და მისცეს მორჩილებაჲ
მეფობასა მისსა, და ადიდეს განზრახვაჲ მისი.

და წარვიდა იოდასაფ პალატად თჳსად. მიუდგა მას სიმრავ-
ლე ერისაჲ შესხმითა და ქებითა, და რომელნიმე ულოცვიდეს. და
დაადგრა მცირედჟამ და განაღო კარი, და ყოველნი მოვიდოდეს
უშიშად სმენად სიბრძნესა მისსა. ხოლო იყვნეს ვინმე მათ შორის
ნეშტნი ქრისტეანეთაგანნი, რომელნი იფარვიდეს
სარწმუნოებასა მათსა და გარეშითა მათითა სათნო-ეყოფოდეს
მეფესა შიშისაგან სიკუდილისა, და ვითარცა ესმა მათ საქმე ესე,
განიხარეს ფრიად და უშიშ-იქმ[ნ]ნეს პირველისაგან შიშისა და
მივიდეს მძლისა მის ჭაბუკისა იოდასაფისა და მიულოცეს ძლევაჲ,
რომელი მოეცა ქრისტე იესუჲს მიერ. და აუწყეს სარწმუნოებაჲ
თჳსი და განემზადნეს განსლვად სამეუფოდ მისა.

და ვითარცა აღასრულა მეფემან პატივი ძისა თჳსისაჲ და
აღჰკაზმა იგი განსლვად სამეუფოდ თჳსად, აღდგა იოდასაფ და
მივიდა მეფისა დატევებად მშჳდობისა. და იწყო მადლობად მისა
და ჴსენებად კეთილთა მისთა, რომელნი ყვნა მის თანა. და მერმე
ევედრა, რაჲთა განუტევნეს ყოველნი, რომელნი არიან
საპყრობილესა შინა, რაჲთა ყოს ნებაჲ მისი მათ ზედა. ხოლო
მეფემან ისმინა მისი. და ბრძანა იოდასაფ გამოყვანებაჲ
პყრობილთაჲ, რომელნი სამეუფოჲსა რაჲსამე ხარკისადა
შეპყრობილ იყვნეს. ხოლო რომელნი კაცთა თანანადებისადა
შეპყრობილ იყვნეს, ბრძანა მათთჳს გარდაჴდად საფასეთაგან
თჳსთა და განტევებაჲ მათი. ხოლო რომელნი შეპყრობილ
იყვნე[ს] უნასთათჳს და კაცისკლვისათჳს, ბრძანა მათთჳს, რაჲთა
მიეცეს საჴმარი საფასეთაგან მისთა, რომელი კმა-ეყოს
ფართოებით საპყრობილესა შინა, ვიდრემდის მოიწიოს

როგორც კი სიტყვა დაასრულა მეფემ, წამოიშალა ერი და
ქება-დიდება უძღვნა აბენესს, მორჩილება შეჰფიცა მას და
ხოტბა შეასხა მის განზრახვას.

სასახლეში გაბრუნდა იოდასაფი. თან გაჰყვა ურიცხვი
ერი, ხოტბასა და ქება-დიდებას ასხმამდნენ მას და მეფობას
ულოცავდნენ. ყველასათვის ფართოდ გააღო სასახლის კარი
იოდასაფმა, მრავალნი მიდიოდნენ უშიშრად მისი სიბრძნის
მოსასმენად. მათ შორის იყვნენ ის მორწმუნეებიც, რომლებიც
ფარულად აღიარებდნენ ქრისტეს სარწმუნოებას, მაგრამ
სიკვდილის შიშით, აბენეს მეფის გარეგნულ მორჩილებაში
იმყოფებოდნენ. და მათ, როგორც კი მომხდარის შესახებ
შეიტყვეს, ძლიერ გაიხარეს, სძლიეს პირვანდელ შიშს,
ეახლნენ უფლისწულს და მიულოცეს გამარჯვება, რომელიც
მან იესო ქრისტეს შეწევნით მოიპოვა. გააცხადეს მის წინაშეც
თავიანთი სარწმუნოებაც და მის სამფლობელოში გადასას-
ვლელად გაემზადნენ.

აბენესმა მეფური პატივი მიაგო შვილს, და თავის
სამფლობელოში გასამგზავრებლად გაამზადა. წასვლის წინ
იოდასაფი მამას ეახლა, რათა გამომშვიდობებოდა და
მადლიერება გამოეხატა მისთვის გაკეთებული ყველა
სიკეთისათვის. ბოლოს ყველა საპყრობილეში მყოფის მისთვის
გადაცემა სთხოვა, რათა თავისი ნებისაებრ მოპყრობოდა მათ.
მამამ ეს თხოვნაც აუსრულა შვილს. მაშინ იოდასაფმა იმათი
გათავისუფლება ბრძანა, რომლებიც სამეფო ხარკის
გადაუხდელობის გამო იყვნენ შეპყრობილნი, შემდეგ იმათი,
რომლებიც სხვათა წინაშე ვალების გადაუხდელობის გამო
იყვნენ მსჯავრდადებულნი, მათი ვალების გადახდა კი თავისი
ხაზინიდან ბრძანა, ხოლო, რომლებიც კაცისკვლის ან
მოყვასისათვის ზიანის მიყენების გამო იყვნენ პატიმრობაში,
მათთვის ასევე ხაზინიდან ბრძანა თანხის გამოყოფა, რათა
უზრუნველეყოთ მათი საპატიმროებში ცხოვრება მანამ,

ბ[რ]ძანებაჲ ღმრთისაჲ მათთჳს, რაჲ-იგი ჯერ-არს. და მერმე ბრძანა დიდძალი საფასე განყოფად უძლურთა და გლახაკთა და უღონოთა, და მერმეღა განვიდა სამეუფოდ თჳსად. და განვიდეს მის თანა მრავალნი მით ქალაქით.

53. და ვითარცა მიიწია სამეუფოდ თჳსად, პირველად ჰმადლობდა ღმერთსა და თქუა: „დიდებაჲ შენდა, ღმერთო და მამაო უფლისა და განმათავისუფლებელისა ჩუენისა იესუჲს ქრისტესო, ძლიერო და შემძლებელო ყოვლისაო, გაქებ და გადიდებ შენ, წმიდაო სამებაო, რომელმან ყოველივე ადვილად განაგი“.

და მერმე იწყო სიტყუად ერისა მიმართ და თქუა: „არავის უფროჲს უჴმს სიმართლით სლვაჲ, ვითარ მეფესა, და არცა ვინ შემძლებელ არს დაშნთა სიტყუათა თქუმად ერისა მიმართ, ვითარ მეფე, რომელი სიმართლისა მშჯავრითა ვიდოდის ერსა შორის, ხოლო არავის ეჴმარებიან დაშნნი სიტყუანი, ვითარ **ორთა** კაცთა. უკუეთუ ვინმე იყო[ს] ერსა ზედა უწყალო, მოსისხლე, შემჭამელ, ესევითარსა უჴმან დაშნნი სიტყუანი, რაჲთა მლევანითა მით ჰფარვიდეს ბოროტსა მას და მერმე უკუეთუ შევარდეს მეფობასა დღეთა სიუცბისა მისისათა, ამასცა თჳნიერ ღონისა თანააც, რაჲთა ჰფარვიდეს თავსა თჳსსა სიუცბესა შინა მისსა, ვიდრემდის განიცადოს საქმე თჳსი. ხოლო რომელსა არა უჴმან დაშნნი სიტყუანი, იგი არს, რომელმან დასთესოს სამართალი ერსა შორის და კეთილად განაგნეს საქმენი მათნი, არა დააკლოს პატივი პატიოსანსა მათსა და არცა სამართალი უძლურსა მათსა, და რაჲთა აღლესოს მახჳლი სიმართლისაჲ ყოვლისა ერისათჳს. ხოლო მე მოვედ თქუენდა, რაჲთა არა გეჩუენო სიტყჳთა მეტნობისაჲთა, არამედ მშჯავრითა სიმართლისაჲთა“.

ვიდრე იოდასაფისათვის ღვთის ნება არ გაცხადდებოდა მათზე. ამის შემდეგ კვლავ დიდძალი თანხის გაღება ბრძანა, ამჯერად უძლურთა, გლახაკთა და დავრდომილთათვის და მხოლოდ ამის შემდეგ გაემართა თავისა სამეფოსაკენ. უკან გაჰყვა მას იმ ქალაქის მრავალი მცხოვრები.

53. თავის სამეფოს რომ მიაღწია, უპირველესად ღმერთს უძღვნა მადლობა და თქვა: „დიდება შენდა, ღმერთო და მამაო უფლისა და განმათავისუფლებელისა ჩვენისა იესო ქრისტესაო, ყოვლადძლიერო და ყოვლისშემძლეო, გაქებ და გადიდებ, წმიდაო სამებაო, რომელიც ყოველივეს ადვილად (კეთილად) განაგებ.“

შემდეგ კი ხალხს მიმართა:

– არავის ისე არ მოეთხოვება სამართლიანობა, როგორც მეფეს და არც არავის მოეთხოვება ტკბილი სიტყვები უთხრას ერს, როგორც მბრძანებელს, რომელიც უზაკველი სამართლით განაგებს ქვეყანას, კაცთა შორისაც ტკბილი სიტყვაა აუცილებელი, მაგრამ ამავე ტკბილ სიტყვებს ხშირად მიმართავენ უმოწყალონიც, სისხლისმღვრელნიცა და მტარვალნიც, რათა თავმდაბლური სიტყვებით შენიღბონ ბოროტება, ხელთ იგდონ მეფობა და თავიანთი უმეცრება დაფარონ. ხოლო ის, ვინც სამართლიანობას თესავს ხალხში და კეთილგონივრულად განაგებს ქვეყანას, წყალობას არ აკლებს მართალს და ხედავს მის სამსახურს, სამართალს არ უკარგავს გლახაკს და მუდამ აღმართული აქვს სიმართლის მახვილი თავისი ხალხის დასაცავად, არ საჭიროებს თავმდაბლურ სიტყვებსა და ენატკბილობას. და მეც თქვენს შორის მოვედი არა იმსათვის, რომ მრავალსიტყვაობით შეგაწყინოთ, არამედ, რათა მართალი სამართალი ვყო.

და ამისა შემდგომად გამოირჩია ადგილი ერთი შუვაჲ, არცა სამეუფოჲ, არცა საგლახაკოჲ, და უბრძანა განმზადებაჲ საყოფ-ლისა თჳსისაჲ და დადებად ყოველი ჭურჭელი მას შინა – არცა სამეუფოჲ, არცა საგლახაკოჲ. და მაშინ მივიდა [და] დაეშენა [მუნ] ადგილსა მას.

54. და ყოველი იგი ჭურჭელი სამეუფოჲ, რომელი გამოსცა მამამან მისმან – საჴედრები გინათუ სამოსლები, შესამკობელი საჴდომთაჲ და შუენიერებაჲ მრავალსახე სამეუფოჲ – ბრძანა, რაჲთა წარიღონ ადგილთა უცხოთა სამეუფოთა და განყიდონ იგი და ფასი მისი განუყონ გლახაკთა და უპოვართა და რომელთა არარაჲ აქუნ და სირცხჳლითა კაცთაჲთა ვერ განვიდიან თხოად.

და ვითარცა-იგი მეფენი იშუებედ და იხარებედ სამკაულითა მით და სამოსლითა შუენიერითა მრავლითა, და სილაღით და ამ-პარტავანებით აშურებედ გლახაკთა, აწ (კუალად) ფასითა მისითა ნუგეშინისცემულ ი[ქმ]ნენ გლახაკნი და უპოვარნი. და რომელთა ესმეს ესე, ადიდებდენ ქრისტესა ღმერთსა [ჩუენსა].

და მერმე ბრძანა, რაჲთა დაწერონ წიგნები ყოველთა მიმართ სამეუფოთა მისთა, ქუეყანად-ქუეყანად და ჴევად-ჴევად და სო-ფლად-სოფლად, რაჲთა აღწერნენ მათ შინა ყოველნი გლახაკნი და უპოვარნი, უღონონი და უძლურნი, და კუალად უპოვარნი იგინიცა, რომელნი ვერ ითხოვენ სირცხჳლისაგან და ისაჯებიან შჳდ წილ უფროჲს გლახაკთაჲსა სახელით მათით და სოფლით და საზომით, და **თითოე(უ)ლი მათგანი**. და ვითარ მოართუეს აღწერილი იგი, ბრძანა დიდძალისა საფასისა განყოფაჲ შორის მათსა თითოეულსა საზომისაებრ თჳსისა და მიცემაჲ ქუეყანათაჲ. და შეეწია შენებასა მათსა ზედა და ყოვლისაგან საჴმრისა მისცა თეს[ლი], ვიდრემდის გამოი[ყვა]ნა მიზეზისაგან გლახაკობისა და უპო[ვ]არებისა. და ღ[ონიერ-იქმ]ნნეს ყოველნივე მიერითგან და

ამის შემდეგ ერთი ადგილი გამოირჩია საცხოვრებლად იოდასაფმა, ისეთი, რომ არც მეფეთა შესაფერი ყოფილიყო და არც ძლიერ მდაბიური, იქ დასახლდა და ყველა საჭირო ნივთის მიტანაც ბრძანა, ოღონდ ეს ნივთებიც უბრალო უნდა ყოფილიყო, არც მეფური და არც მთლად ღარიბული.

54. იოდასაფმა მამის მიერ ბოძებული სამეფო განძეულობის, სახედრების, ყოველგვარი მოსართავებისა და ძვირფასი შესამოსლების სხვა ქვეყნებში გაყიდვა და აღებული სასყიდლის გლახაკთა და უპოვართათვის დარიგება ბრძანა, მათთვის, რომლებსაც არაფერი გააჩნდათ, მაგრამ სირცხვილის გამო ვერც ვერავის სთხოვდნენ რაიმეს.

მაშინ, როდესაც სხვა მეფენი, მრავალგვარი სამკაულე-ბითა და ძვირფასი შესამოსლებით შემკულნი, ილხენდნენ და ხარობდნენ, და თავიანთი ზღვარგადასული განცხრომითა და სილაღით შურს აღუძრავდნენ გლახაკებს, იოდასაფის მიერ ამავე ძვირფასეულობის საზღაურით ნუგეშცემულნი იქნენ ღატაკნი და დავრდომილნი. და ვინც კი ამის შესახებ იგებდა, ადიდებდა უფალ იესო ქრისტეს...

შემდეგ მეფემ ბრძანა, მის სამეფოში – ყოველ ქალაქში, სოფელსა და თემში – აღეწერათ გაჭირვებულნი და გლახაკ-თა, უპოვართა, უღონოთა და უძლურთა სიები შეედგინათ, განაკუთრებით არაფრისმქონენი მოეძიათ, რომლებიც, სი-რცხვილისა და რიდის გამო, ვერავის სთხოვდნენ დახმარებას. როგორც კი აღწერის სიები მოართვეს მეფეს, ბრძანა, დიდძალი საფასე გამოეყოთ ღატაკთათვის და თითოეუ-ლისათვის მათი საჭიროებისაებრ მიეცათ. შემდეგ მიწები დაურიგა მათ, დამკვიდრებასა და საცხოვრებლის აგებაში დაეხმარა, დასათესად თესლიც მისცა და იმდენს ეცადა, რომ სიღარიბისა და უპოვარებისაგან გაათავისუფლა ყველა. მალე

ერთობით ადიდებდეს ღმერთსა მის მიერ, და არღარავინ იპოებო-
და სამეუფოთა შინა მისთა კაცი, რომელიმცა მიადგა კაცსა საკმ-
რისათჳს და ქველისსაქმისა.

და მერმე ბრძანა მიწერაჲ ყოველთა სამეფოთა მისთა, რაჲთა
ყოველმან სამთავრომან მისმან, გინათუ საერისთავომან, გამოირ-
ჩიონ თავისა მათისათჳს კაცი ჭეშმარიტი და ღირსი და მყოფელი
სიმართლისაჲ და მოძულე სი(ც)რუვისაჲ, რაჲთა, რომელი გამოირ-
ჩიონ ე[სე]ვითარი თითოეულმან მათგანმან, განაჩინოს იგი მათ
ზედა ებისკოპოსად, რაჲთა წინაუძღოდის მათ მეცნიერებასა
ჭეშმარიტებისასა ქრისტეს ღ[მრთი]სა ჩუენისასა სიმართლით და
ღირსებით, და მშჯავრითა სიმართლისაჲთა აძოებდეს და ჰმწყსი-
დეს საკმწყსოთა თჳსთა.

და მერმე ბრძანებაჲ დ(აუდვა) მთავართა და ერისთავთა და
მეკელეთა, რაჲთა კეთილადმსახურებითა სიმართლისაჲთა შჯიდენ
ერსა, და მოწყალებით და სიმართლით განაგებდენ საქმეთა
მათთა, და რაჲთა იყვნენ საშინელ ბოროტისმოქმედთათჳს და
მშჯდობა და სიხარულ კეთილისმოქმედთა ზედა, და რაჲთა
უბრძანონ ყოველთა, რომელნი იყვნენ ქელსა ქუეშე მათსა,
შენებაჲ ქუეყანისაჲ და მიცემად **ხარკი სამართალი** მსგავსად
ძალისა მათისა. და მერმეღა განაგო სპათათჳს საკმარი მათი
ყოველი დაუკლებელად და დაადგინნა მათ ზედა სპაჲპეტნი და
ერისთავნი კაცნი, ღირსნი, მდაბალნი და ღმრთისმოშიშნი,
რომელნი ევლტოდეს მთავრობასა, ხოლო რომელნი ეძიებდეს და
ჩაიჭრებოდეს, იგინი განაშორნა განსაგებელისაგან მათისა.

დ[ა კუალად ბრ]ძანა დიდითა პატივითა დადგინებად ყოველნი
მღდელთმოძღუარნი და მღდელნი ჭეშმარიტნი, და აღაშენნა ეკ-
ლესიანი ქუეყანასა შინა თჳსსა, რომელნი სიტყუათა მათთაებრ
აღასრულებდეს საქმით მცნებათა ქრისტესთა, და მიცემად მათდა
საკმარი მისი თითოეულსა მათგანსა, შემსგავსებულად კაცად-

მცხოვრებლები ისე მოძლიერდნენ, რომ მათხოვარი და
მოწყალების მთხოვნელი აღარ მოიპოვებოდა იოდასაფის
სამფლობელოში, და ყველანი ერთად ადიდებდნენ ღმერთს.

ამის შემდეგ მთელს სამეფოში – თითოეულ სამთავროსა
და საერისთავოში კვლავ ბრძანება შეთვალა მეფემ, რათა
ერთმანეთს შორის გამოერჩიათ ღირსეული და მართალი,
სიმართლის მსახური და სიცრუის მოძულე კაცები, და მათი
ეპისკოპოსებად დადგენა ბრძანა, რათა მათი მეთვალყუ-
რეობით ქრისტეს რწმენაში წარმატებულიყო და განმტკიცე-
ბულიყო ხალხი. ეპისკოპოსებს პატიოსნად, სიწრფელითა და
სიმართლის შეურყვნელი მსახურებით ევალებოდათ სამწყსოს
მოვლა-გაძღოლა.

ასევე ყველა მთავარს, ერისთავსა და მოხელეს უბრძანა
იოდასაფმა, კეთილად და უქრთამო სამართლით მომსხურე-
ბოდნენ ერს, მართებულად და მიუკერძოებლად განეგოთ
მათზე დაკისრებული საქმეები, რათა ბოროტმოქმედთ შიში,
ხოლო კეთილისმოქმედთ მშვიდობა და სიხარული ჰქონოდათ.
ასევე ყველას ევალებოდა თავისი წვლილი შეეტანა და
მონაწილეობა მიეღო ქვეყნის აღმშენებლობაში და შეძლები-
სამებრ, დაწესებული სამართლიანი გადასახადიც გადაეხადა.

ჯარიც ყოველგვარი საჭიროებით უზრუნველყო იოდა-
საფმა, სათავეში მეთაურებად სპასპეტები და ერისთავები –
ღირსეული, მდაბალი და ღმრთის მოშიში კაცები ჩაუყენა,
რომლებიც გაურბოდნენ პატივს, დიდების მოყვარენი კი
საერთოდ ჩამოიშორა.

იოდასაფმა ასევე ბრძანა, ეკლესიები აეშენებინათ
სამეფოში. განსაკუთრებული პატივით მოპყრობოდნენ ჭეშმა-
რიტ მღვდელმთავრებსა და მღვდლებს, რომლებიც სიტყვით
და საქმით ემსხურებოდნენ ღმერთს და თითოეული მათგანი-
სათვის მათი საჭიროებისა და მდგომარეობის შესაბამისად

კაცადსა ა[დ]გილსა თჳსსა. და იყო სიხარული მიუწდომელი ქუეყანასა მას.

და თჳთ იოდასაფ მოიცალა თჳნიერ ყოვლისა უდებებისა განგებად საქმეთა ერისათა. პირველად განიკითხვიდა შინაგანსა მათსა სულიერითა საქმითა, ვითარ-ძი ცხონდებიან, და მერმე ჴორციელსა ცხორებასა ზ[ედა]. და ეგრეცა თითოეულსა მიაგებ[და] საქმეთა მათთაებრ მოწყალებით და [კეთილად]განგებით. [და] აღიღო მათგან საქმე მძლაფრობისაჲ მეფობრივი და (ყოვლად) მძიმე და შიში უჯერ[ოჲ] [...]ა[.]ისაჲ გამოიღო გულთა მათთაგან.

55. და განმრავლდა ჯეროვნებაჲ და სამართალი და სიხარული ერსა შორის, და მოისწრაფდეს ყოველნი კაცნი ყოვლით ქუეყანით და ნათელს-იღებდეს სახელითა წმიდისა სამებისაჲთა, და შეეძინებოდეს შჯულსა ქრისტეანობისასა ერნი ურიცხუნი მარადღე. და გამოჩნდა უმეტესობაჲ კეთილადგანგებისა მისისაჲ და იწყეს შეჩუენებად შჯულსა პირველსა, რომელსა-იგი ზედა დგეს. და აღივსნეს გულნი ყოველთანი სიყუარულითა მისა მიმართ და სასოებითა კეთილითა მეფობისა მისისათჳს. და განცხადნა ერსა შორის საქმე და დიდებაჲ ქრისტეანობისაჲ და ღმრთისმსახურებისაჲ და სიყუარულისაჲ და მშჳდობისაჲ, რამეთუ თავი თჳსი მისცა სახედ ყოველთა: სიმდაბლესა და სიყუარულსა და მოღუაწებასა ზედა. და არღარავინ ი[პოე]ბოდა ყოველსა სამეუფოსა მისსა, რომელიმცა ჰმონებდა შჯულსა სხუასა, გარნა ღმერთსა ყოვლისა-მპყრობელსა, ერთიცა კაცი. გარნა მცირედი ვინმე კაცნი წარვიდეს და მიიცვალეს სამეუფოდ აბენესე მეფისა მამისა მისისა, რამეთუ [ი]ყვნეს იგინი კერპთმსახურ და არა თავს-იდვეს ყოფაჲ მათი შჯულსა შინა ქრისტესსა.

და განითქუა ყოველსა ქუეყანასა ჰამბავი ქრისტესმოყუარისა მის ჭაბუკისაჲ და სიმდაბლისათჳს და მოთმინებისა მისისა და

მიეცათ ყოველივე აუცილებელი. ამგვარად, მიუწვდომელი სიხარული სუფევდა ქვეყანაში.

თვით იოდასაფი სამეფო საქმეებით დაკავდა, პირველ რიგში, ქვეყნის მკვიდრთა სულიერი მდგომარეობითა და ცხოვრებით ინტერესდებოდა, მხოლოდ ამის შემდეგ იძიებდა მათ ხორციელ საჭიროებებს და სულგრძელად და უხვად მიაგებდა თითოეულს მათი საქმეების მიხედვით. ამგვარად, ყველა გათავისუფლდა მძიმე ტანჯვისა და მეფის წინაშე დამთრგუნავი შიშისაგან.

55. წესრიგი და სამართლიანობა დამყარდა ქვეყანაში, სიხარული განმრავლდა კაცთა შორის. ყოველი მხრიდან მოეშურებოდნენ იოდასაფის სამეფოში და ინათლებოდნენ სამების სახელით. ყოველდღე ურიცხვი ერი შეეძინებოდა ქრისტეს ეკლესიას.

ცხადი გახდა იოდასაფის კეთილგონივრული მმართველობის უპირატესობა. ხალხი გმობდა იმ რჯულს, რომელსაც უწინ აღიარებდა. მათი გული მეფის სიყვარულით აღივსო და სასოებით ელოდნენ იოდასაფის მეფობის კეთილ ნაყოფს.

განმტკიცდა და განდიდდა ქრისტიანული სარწმუნოება სამეფოში. სიყვარულმა და მშვიდობამ დაისადგურა ქვეყანაში, რადგან თავად მეფე იძლეოდა თავმდაბლობის, სიყვარულისა და რწმენაში გულმოდგინების მაგალითს. მის სამფლობელოში ერთი კაციც აღარ დარჩა სხვა რჯულის მიმდევარი, ყველანი ჭეშმარიტ ღმერთს სასოებდნენ. მხოლოდ ის მცირედი ნაწილი, რომლებიც კერპთაყვანისმცემლებად დარჩნენ და არ ისურვეს ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცევა, გადავიდნენ აბენესის სამფლობელოში.

იოდასაფის სამეფოში კი განითქვა ქრისტესმოყვარე ჭაბუკი მეფის სახელი. ყველასათვის ცნობილი გახდა მისი

გარდარეულისა მოწყალებისა მისისა, და ვითარ-იგი ამათ ყოველთა სათნოებათა განჰმზადებდა სიბრძნითა და გონიერებითა, და მოვიდოდეს მისა ყოველთაგან ადგილთა კაცნი მორწმუნენი, რომელნი იფარვიდეს წესსა და სარწმუნოებასა შიშისაგან მეფისა, უშიშად, და სიხარულითა დიდითა დაეშენებოდეს საბრძანებელთა მისთა, და იხარებდეს სულითა და ადიდებდეს განუყოფელსა სამებასა წმიდასა, რომელმან განაცხადა ერთარსებაჲ სამგუამოვნებისა მისისაჲ, და უჩუენა ძალი სარწმუნოებისა მათისაჲ წინაშე ყოველთა უღმრთოთა. და მრავალნი მოვიდოდეს, რომელნი იყვნეს შჯულსა ზედა მამისა მისისასა, და დაადგრებოდეს მის თანა სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა განცხადებულად და, ვითარცა ყრმანი ჩჩჯლნი, ნათელს-იღებდეს სახელითა მამისაჲთა, ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, და ადიდებდეს ქრისტესა ჭეშმარიტსა ღმერთსა, რომელი იშვა უთესლოდ და უხრწნელად ქალწულისაგან უქორწინებელისა, პირველ საუკუნეთა მამისაგან უდედოდ შობილი, თანამოსაყდრე მამისა და სულისა წმიდისაჲ.

56. და განცხადნა ჰამბავი ძისა მეფისაჲ. და იყო სიხარული დიდი ყოვლისა ერისაჲ და აღებაჲ მძლავრობისაჲ მათგან სამეუფოსა შინა მამისა მისისასა. და მრავალნი მოიქცეოდეს და აღიარებდეს შჯულსა მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა და აღსაარებასა იოდასაფისსა. და განმრავლდებოდა და განძლიერდებოდა ქადაგებაჲ მათ შორის, ვიდრემდის განმრავლდეს და განძლიერდეს მუნ-შინა უფროჲს ყოველთა უღმრთოთა. მაშინ იწყო მოუძღურებად საქმეთან მამისა მისისამან და იქცეს გულნი კაცთანი მისგან, და კადნიერ იქმნებოდეს წინააღდგომად მისა. და შეურაცხ-ჰყოფდეს მრავალსა ზედა ბრძანებასა მისსა, და მოიჴსენებდეს უწესოებით სლვასა მისსა მათ შორის და მძლავრობათა და ბოროტისჩუენებათა მათ ზედა. და განეცხადე-

სიმდაბლის, მოთმინებისა და უსაზღვრო მოწყალების შესახებ. და როცა იგებდნენ, თუ როგორი სიბრძნითა და გონიერებით განაგებდა იგი ქვეყანას, ყოველი კუთხიდან მოედინებოდნენ აბენესის შიშის გამო ქრისტეს ფარულად მორწმუნენი, გახარებულნი უშიშრად მკვიდრდებოდნენ იოდასაფის სამეფოში, ხარობდნენ სულით და ადიდებდნენ წმიდა და განუყოფელ სამებას, რომელმაც განაცხადა ერთარსობა სამგვამოვნებისა და სარწმუნოების ძალა გამოაჩინა ყველა უღმერთოს წინააღმდეგ.

იოდასაფთან მამამისის სარწმუნოების მრავალი მიმდევარიც მოდიოდა, ისინი უკვე აშკარად აღიარებდნენ ქრისტეს სარწმუნოებას, ჩვილი ყრმებივით ინათლებოდნენ სამების სახელით და ადიდებდნენ ჭეშმარიტ ღმერთს – ქრისტეს, რომელიც მამისაგან უდედოდ შობილი საუკუნეთა უწინარეს, უთესლოდ და უხრწნელად იშვა უქორწინებელი ქალწულისაგან და რომელიც მამისა და სულიწმიდის თანამოსაყდრეა.

56. საყოველთაოდ განითქვა იოდასაფის სახელი მამამისის სამფლობელოში. ყველა ხარობდა, რადგან ძალმომრეობა მათ ქვეყანაშიც დასასრულს უახლოვდებოდა. მრავალი მოიქცა და უფალ იესო ქრისტეს რწმენა აღიარა. ქრისტიანობის ქადაგება განმრავლდა და იმდენად გაძლიერდა ქვეყანაში, რომ უკვე მორწმუნეები სჭარბობდნენ ურწმუნოებს. აბენეს მეფის ხელისუფლება შესუსტდა, მრავალმა ზურგი შეაქცია და პირი იბრუნა მისგან, მრავალიც უკვე კადნიერად ეწინააღმდეგებოდა მას. არაფრად აგდებდნენ მის ბრძანებებს და აძაგებდნენ მას უწესო ცხოვრებისა და ქვეშევრდომების მიმართ ბოროტად მოპყრობის გამო. დღითი დღე უფრო ცხადი ხდებოდა აბენესისათვის, რომ ხალხი აღარაფრად

ბოდა შეურაცხებად ერისაგან დღითი-დღე და გულისჴმა-ყო, ვი-
თარმედ გულნი კაცთანი მიქცეულ არიან ძისა მისისა კერ[ძო], და
შეეშინა, ნუუკუე შფოთიცა აღუდგეს და მოკლას ვინმე და
დაიპყრას მეფობად მისი. და დიდი შიში და ურვად დაეცა მის ზედა
ამის ჯერისათჳს, და არა ხოლო მას ოდენ, არამედ ყოველნი,
რომელნი იყვნეს წარჩინებულნი და თანამზრახვალნი მისნი. და
დიდსა მწუხარებასა და იწროებასა შევარდეს ამის ჯერისათჳს.

მაშინ მიწერა აბენესე მეფემან ძისა თჳსისა იოდასაფისა
საქმისა ამისთჳს და გა(ნა)ცხადა ყოველი, რომლისათჳს
იურვოდა და ჰკითხა, რად-ძი ჯერ-არს ყოფად. ხოლო იოდასაფ
მიუწერა ესრეთ: უწყებულ იყავ, მეფე, რამეთუ არარად
წარსდევნის შიშსა და იოტებს იჭუსა გულისაგან მეფეთადსა,
ვითარცა მშჯავრი სამართალი ერისა მიმართ და კეთილად-
განგებად მოწყალებით საქმეთა მათთად, და არარად უფრო
მო[მ]ხ[დ]ელ არს ურვათა და განმრყუნელ ცხორებისა და მომ-
პოვნებელ ბოროტთა იჭუთა ერისა მიმართ, ვითარცა უჯეროდ თუ
კუალი ჩნდეს მეფისად ერსა შორის, რამეთუ დაღაცათუ კეთილნი
შენნი განმრავლდენ კაცთა მიმართ, არამედ მცირედმან
ბოროტმან განრყუნესვე იგი, უკუეთუ შესზაო მის თანა. ხოლო
შენ თანა, მეფე, ცხად არიან საქმენი ესე, რომელთად არღარა ვისი
გიჴმს კითხვად ამის ჯერისათჳს. აწ იხილე, ვინად-ძი შეგიჴდა
შიში და იჭჳ, ანუ სადათ გაქუს ნუგეშინისცემად და იმედი.
ხოლო მე ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ არა არს მიზეზი შიშისა და
იჭჳსად, გა[რ]ნა კუალისაგან ბოროტისა, რომელი უკუანა
შეუდგს. და არა არს ადგილი ნუგეშინისსაცემელი და **საიმედო**
შენთჳს, გარნა კეთილი თუ რად გი[თესავს]. აწ დაუტევე
მომატყუებელი შიშისად და მოიპოვე მომპოვნებელი მშჳდობისად
და მოუსწარ ჭეშმარიტისაგან ზრახვად, ნუუკუე მიგისწრან
მტერთა შენთა კეთილსა ზედა.

აგდებდა მას, რადგან მათი გულები მისი ძისაკენ იყო
მიქცეული. შეშინდა მეფე, რადგან შესაძლებელი იყო ვინმეს
კიდეც მოეკლა და ამგვარად, მისი ტახტიც ხელთ ეგდო.
შეშფოთდა, სიმშვიდე დაკარგეს მისმა თანამზრახველებმაც.
ამის გამო ყველანი დიდ გასაჭირსა და მწუხარებაში
ჩაცვივდნენ.

მაშინ აბენეს მეფემ იოდასაფს მისწერა თავისი გასაჭირის
შესახებ, დაუფარავად ამცნო მწუხარების მიზეზი და რჩევა
ჰკითხა. პასუხად იოდასაფმა შეუთვალა:

„უწყოდე, მეფევ, არაფერი ისე არ სდევნის შიშსა და ეჭვს,
მეფეთა გულებიდან, როგორც უზაკველად, მართალი სამართ-
ლითა და გულმოწყალებით ქვეყნის მართვა, და არც არაფერი
ისე ძლიერად არ შეგმატებს სატანჯველს, გაგიმწარებს
ცხოვრებას და აღგიძრავს ბოროტ ეჭვებს ერის მიმართ,
როგორც არასწორი ურთიერთობა ხალხთან, რადგან მრავალი
სიკეთეც რომ უყო ადამიანებს, მცირედი ბოროტება, მასთან
შეზავებული, უკვე რყვნის და ბილწავს გაკეთებულ სიკეთეს.
მაგრამ ეს ყველაფერი შენთვისაც ცნობილია, მეფევ და არც
არავის რჩევა-დარიგებას საჭიროებ. თავად განსაჯე: საიდან
შეიძლებოდა შიში და ეჭვები მოგძალებოდა, ან საიდან უნდა
ელოდე ნუგეშსა და იმედს?! მე ვფიქრობ, რომ შენი შიშისა და
ეჭვის მიზეზი შენს მიერ არასწორად განვლილი ცხოვრება
უნდა იყოს, ხოლო ნუგეშსა და იმედს კი შენგან ქმნილი
კეთილი საქმეები შეგმატებს. ამიტომ უარყავი და მოიძულე
ის, რაც შიშს შობს შენში და მოიპოვე ის, რაც მშვიდობას
შეგძენს. იჩქარე ჭეშმარიტების აღიარება, რათა შენმა
მტრებმა არ დაგასწრონ კეთილის კეთებაშიც.”

57. და ვითარცა მიიწია მეფისა წიგნი ესე ძისა მისისაჲ, მოუწოდა წარჩინებულთა მათ მისთა და წარუკითხა წიგნი იგი. და იწყეს განზრახვად ამის ჯერისათჳს. მაშინ ჰრქუეს კაცთა მათ მეფესა: „მეფე, ცხონდი უკუნისამდე! ჩუენ ესრეთ განგაზრახებთ, რაჲთა ეწიფო საქმესა პირისპირ, ვიდრე არა ზედა-დაგეცეს, და იღუაწე მას შინა მოქცევაჲ, რომლისაჲ შესაძლებელ იყოს მოქცევად, და ნუ წინააღუდგები, რომელსა ვერ შემძლებელ იყო წინააღდგომად. რამეთუ საქმე მეფობისაჲ შეკრბების შეკრებასა შინა ერისასა, და შენ უწყნი საქმენი შენნი ბოროტნი ერსა შორის და აწ ჰხედავ მიქცევასა გულთა მათთასა შენგან და მიდრეკასა გონებისა მ(ათისასა) შენგან, და რამეთუ განზრახვაჲ მეფეთათჳს უმჯობესი გამორჩევაჲ არს ნებიერად საქმისაჲ და **უმრწემესი** მიწყუდევაჲ არს უნებლებით საქმესა, და შენ დღეს ფლობაჲ გაქუს გამორჩევად საქმისა უმჯობესისა თავისა შენისათჳს და არღა მოდგმულ არს საქმე მიმაწყუდეველი უნებლიეთსა ზედა, რამეთუ ნეფსით უპატიოსნეს არს მეფეთათჳს. და ჩუენ ესრეთ გაწუევთ, რაჲთა ყოველი ესე სამეფოჲ მიუთუალო ძესა შენსა, უკუეთუ ოდენ თავს-იდვას და მორჩილ გექმნას. არამედ პირველად ესრეთ იწყო, რაჲთა ჰბრძანო შემოკრებაჲ ყოველთა მთავართაჲ და ერისთავთაჲ და წარჩინებულთა ერისა შენისათაჲ, და მაშინ ღონისძიებით ჰყო დადებაჲ ამის ჯერისაჲ მათ თანა[44], რამეთუ არა ჰშუენის მეფეთა აღსრულებაჲ რაჲსამე საქმისაჲ, გარნა პატიოსნებისა [...]“.

მაშინ ბრძანა მეფემან მსწრაფლ შემოკრებაჲ მათ ყოველთაჲ. და ვითარ შემოკრბეს იგინი წინაშე მისსა, იწყო ღონისძიებით დადებად წინაშე მათსა საქმისა მის, და თქუა ყოვლისა პირველად მადლობაჲ ღმრთისაჲ ყოველსა შინა, და მერმე აჴსენა სიყუარული მისი ერისა მიმართ, და ვითარ ვიდოდა მათ შორის და ზრუნვიდა ცხორებისა მათისათჳს, და მერმე კუალად აჴსენა, ვითარ-იგი წული შვილი არა ესუა და ეშინოდა აწყუედაჲ ძირისა მათისაჲ, და რამეთუ აღთქუმაჲ მისცა ღმერთთა, რომლისაჲ ვერ

57. უფლისწულის პასუხის მიღებისთანავე აბენეს მეფემ წარჩინებულნი მიიწვია და მათაც წაუკითხა წერილი. ბევრი ითათბირეს მოწვეულებმა და ბოლოს ჰკადრეს მეფეს:

– მეფევ, ცხონდი უკუნისამდე. ჩვენ გირჩევთ, დროულად ეწიო საქმეს, ვიდრე შენს წინააღმდეგ არ დატრიალებულა იგი. გააკეთე, რაც შესაძლებელია, და ნუ შეეწინააღმდეგები იმას, რისი წინააღმდეგობაც შეუძლებელია. რამდენადაც დღეს თქვენი სამეფო მოღვაწობა განსჯის საგნად ქცეულა, გკადრებთ, და შეგახსენებთ თქვენს მიერ ჩადენილ ბოროტებებს, რომლებიც თავად თქვენთვისაც ცნობილია. ახლაც ჰხედავთ, მათ გამო თუ როგორ მიიქცა ხალხის გული თქვენგან და აღარ გემორჩილებიან. და რადგან დღეს მოწოდებულნი ვართ, უმჯობესი გირჩიოთ, თქვენ კი უფლება გაქვთ, სასარგებლო სიტყვა შეისმინოთ, უსარგებლო კი განიშოროთ, ამიტომ ვკადნიერდებით და გირჩევთ იმას, რისი ნებაყოფლობითი შესრულებაც მხოლოდ პატივს ჰმატებს მეფეებს. ჩვენი რჩევა ამგვარია: მთელი სამეფო თქვენს ძეს გადაულოცეთ, თუკი დაგმორჩილდებათ და იტვირთავს მეფობას. მანამდე კი მთავრები, ერისთავები და წარჩინებულნი შემოკრიბეთ, რათა მათთან ერთად გადაწყვიტოთ ეს საქმე, ვინაიდან არ შეშვენით მეფეებს სხვა რამე, თუ არა პატიოსნად მოქცევა.

მათი რჩევისამებრ მოიქცა აბენეს მეფე. სასწრაფოდ ყოველთა შემოკრება ბრძანა. როცა ყველა მეფის წინაშე შეიკრიბა, სიტყვით მიმართა მათ მეფემ, რათა საქმის არსში გაერკვია ისინი და ერთობლივად მიეღოთ გადაწვეტილება.

უპირველესად სამადლობელი აღავლინა ღმერთების წინაშე აბენესმა, შემდეგ შეკრებილთ ერის მიმართ თავისი სიყვარული შეახსენა – როგორ დადიოდა მათ შორის და როგორ ზრუნავდა მათზე, კიდევ ერთხელ გაიხსენა ის დრო, ძე რომ არ ჰყავდა და უმემკვიდრეოდ გადაგების ეშინოდა, შემდეგ – აღთქმა რომ მისცა ღმერთებს – რომლის

ველ-ეწიფების დაჴსნად მისი, უკუეთუ მიეცეს წული შვილი, და თჳთ ცხონდესღა ვიდრე აღზრდადმდე ყრმისა მის, ვიდრემდის შემძლებელ იქმნეს (და)პყრობად სამეფოსა, რადთა მიუთუალოს ყოველი სამეფოდ მისი შვილსა თჳსსა და თჳთ ნეფსით დაუტეოს მეფობად და მიჰმადლოს ღ[მერთთა] აღთქუმისა მისთჳს, და რად-თა დაშჯერდეს ცხორება[სა] ლიტო[ნ]სა [მ]სგავსად სხუათა კაცთადსა.

და ჰრქუა ყოველსა მას ერსა: „თქუენ იცით, ვითარ ჯერ-არს აღსრულებად აღნათქუემთად, და არა ჯერ-არს დაჴსნად მისი. და მე, რაჟამს მივეც ნახევარი სამეფოდსა ჩემისად შვილსა ჩემსა, ესრე ვჰგონებდ, ვითარმედ აღმესრულების აღნათქუემი ჩემი. და ვითარ ვჰხედავ, არა სრულ არს აღნათქუემი ჩემი. და რამეთუ ცრუ ვიპოვე წინაშე ღმერთთადსა, და მეშინის, აღნათქუემისა ამის დაკლებისათჳს რისხვად მათი მოიწიოს ჩემ ზედა, რამეთუ მასმიეს, ვითარმედ „შურისგებით საძიებელ არს აღნათქუემიო“[45]. და აწ თანა-მაც თჳნიერ ყოვლისა ღონისა აღსრულებად აღნათქუემისა ჩემისად. და აწ გაუწყებ თქუენ, რადთა განმაზრახოთ, რად-იგი ჯერ-არს ჩემთჳს და თქუენთჳს უმ-ჯობესი, განიხილეთ!“

ხოლო (მათ ჰრქუეს): „**ვისიმცა** უფრო ჯერ-იყო აღსრულებად აღნათქუემთად, ვითარ მეფისა, ანუ ვინმცა უფრო დამმარხველ იყო სამართლისა და უმტკიცეს სიტყუათა და უდიდეს ზრახვითა, ვითარ მეფე ჩუენი! ხოლო საქმე ესე, რომელ[ი] იკითხე ჩუენგან, არიან მას შინა ორნი საქმენი: ერთისა მათგანისად უშუერებად არს მეფისაგან, უკუეთუ დააბრკოლოს და მიადროოს იგი მეფემან, რამეთუ კაცსა თუ ვინმე უტყუვის, საყუედრელ არნ იგი მარადის, რავდენ უფროდს წინაშე ღმერთთა საძაგელ არს ტყუვილი და სიცრუე აღნათქუემთად მეფისათჳს.

აღუსრულებლობაც დაუშვებელია – რომ თუკი ვაჟიშვილი შეეძინებოდა და მანამ იცოცხლებდა, ვიდრე მემკვიდრე სამეფოს გაძღოლას შესძლებდა, მას გადაულოცავდა მეფობას და ნებაყოფლობით დაუთმობდა სამეფო ტახტს, აღთქმულ მსხვერპლს შესწირავდა ღმერთებს და ჩვეულებრივი, უბრალო ცხოვრებით იცხოვრებდა სხვა კაცთა მსგავსად.

შემდეგ კი მთელ ერს მიმართა:

– თქვენ იცით, რომ აღთქმის შესრულება სავალდებულოა და პირობის დარღვევა არ შეიძლება. და როცა ჩემი სამეფოს ნახევარი შვილს გადავეცი, ვიფიქრე, ამით აღთქმა შევასრულე-მეთქი, მაგრამ დღეს ვხედავ, რომ პირობა ბოლომდე არ შემისრულებია. ვშიშობ, ცრუ არ აღმოვჩნდე ღმერთების წინაშე და მათი რისხვა არ მეწიოს, რადგან მსმენია, ღმერთები შურისგებით მოჰკითხავენ ადამიანებს აღთქმულს. ამიტომ მოვალე ვარ, ძალ-ღონე არ დავიშურო და აღთქმა შევასრულო. თქვენც იმიტომ შეგკრიბეთ, რომ რჩევა გკითხოთ, იმსჯელეთ და ის გადაწყვიტეთ, რაც ჩემთვისაც სასარგებლო იქნება და თქვენთვისაც.

მიუგეს მას პასუხად:

– სწორედ მეფეებს ევალებათ ყველაზე მეტად აღთქმის შესრულება. ამასთან, ვის შეშვენის თავისი სიტყვების ერთგულება, სამართლიანობა და გონიერება, თუ არა ჩვენს მეფეს?! ხოლო ის საქმე, რომლის შესახებაც რჩევას გვეკითხები, ორ საკითხს მოიცავს: პირველი ისაა, რომ შეუფერებელია მეფეთათვის დაყოვნება ან აღთქმის შეუსრულებლობა, რადგან თუკი ის, ვინც ადამიანებს ატყუებს და ამის გამო განუწყვეტლივ იგმობა, მათზე რამდენად უფრო საძაგელი იქნება მეფე, რომელიც ღმერთებს ეცრუება და არ შეასრულებს მათთვის აღთქმულს?! ნუ ჰგონია ვინმეს, რომ ღმერთები მოტყუვდებიან! შესაძლოა, რაც, განსაკუთრებით ძვირფასია შენთვის და რასაც ყველაზე მეტად

და მერმე არა თავსდებადცა ღმერთთაგან საგონებელ არს ტყუვილისაჲ ჩუენებითა რისხვისაჲთა, ნუუკუე, რომელსა ნეფსით ზედა-ადგრებოდი და გშურდეს, მიგეღოს იგი რისხვითა თჳნიერ მადლისა და ნებისა შენისა. და მეორე [ესე, რამეთუ] მიავლინებ მეფობასა შენსა ძისა შენისა, რომელ არს [ნათელი] თუალთა შენთაჲ და თჳნიერცა აღთქუმისა ყოველნი კაცნი დაუტეობენ შვილთა თჳსთა მონაგებთა მათთა და ამას ზედა დასრულდების სასოებაჲ კაცთაჲ. და უკუეთუმცა უცხოჲსათჳს აღგეთქუა აღთქუმაჲ, ესე თანა-მცა-გედვა აღსრულებად, რავდენ უფროჲს ძისა შენისადა თანა-გაც ორკერძოვე აღსრულებაჲ აღნათქუემისა შენისაჲ?

არამედ შენ უწყი, მეფე, რამეთუ ძე შენი არს შჯულსა შინა ქრისტეანეთასა და შჯულსა თჳსსა საშ[ა]რთალ უჩნს მიღებაჲ სამართლისაჲ და განსწორებაჲ მთავართა და გლახაკთაჲ მას შინა. და შენ უწყი, თუ რაჲ ბოროტისჩუენებანი აღვასრულენით კაცთა მათ ზედა მონანულთა. აწ უკუე გუეშინის, ნუუკუე ჴელთ-იგდოს და გუეუფლოს შჯული მისი და მას [შინა] მოგუედგმის სამართლით თავსდებაჲ სისხლთაჲ, რომელ დავსთხიენით ბრძანებითა შენითა, და მონაგებნი, რომელნი იავარ-ვყვენით მშჯავრითა, თანა-გუაც გარდაჴდაჲ მათი.

58. მაშინ მიწერა მეფემან ძისა თჳსისა ესრეთ: „მშჳდობაჲ შენდა, შვილო ჩემო! შენ უწყი პირველად ნუკევით და სიჩჩოებით აღზრდაჲ შენი ჩემ მიერ და მერე მიშუებაჲ ნებისა შენისაჲ, დაღა-ცათუ მძიმე იყო ჩემ ზედა, **ზოგადი** სამეუფოჲსა ჩემისაჲ და შეშლაჲ მეფობისა ჩემისაჲ სიყუარულისათჳს შენისა ვყავ. და აწ მნებავს, რაჲთა სრულ-ვყო კეთილი ჩემი შენ თანა, რომელი არავის კაცთაგანსა უყოფია ვისთანა-მე, და მიგითუალავ ყოველსა სამეფოსა სრულიად, და **გარდაგრიდებ** დიდებისაგან ჩემისა და მე მეგულების ლიტონსა ცხორებასა შინა ყოფაჲ,

უფრთხილდები, სწორედ ის წაგართვან რისხვით, ცხადია, ყოველგვარი მადლისა და შენი ნების წინააღმდეგ.

მეორე საკითხი კი ისაა, რომ მეფობის გადაცემა შენი ძისათვის გსურს, რომელიც შენი თვალის სინათლეა. ადამიანები აღთქმის გარეშეც შვილებს უტოვებენ თავიანთ მონაგებს და ამით აღესრულება მათი საწადელი. ასე რომ, ისედაც გევალებოდა ამის ქმნა, მეფევ. და რაკი აღთქმაც დაგიდევს, უცხოსთვისაც რომ გქონოდა პირობა მიცემული, გევალებოდა მისი აღსრულება, მაშ, მით უფრო ახლა, როცა შენი ძის სასარგებლოდ აღესრულება ყოველივე. ასე რომ, ორგვარად ხარ ვალდებული, მას დაუთმო მეფობა.

მაგრამ, მეფევ, იცი, რომ უფლისწული ქრისტიანია და მისი რჯულის მიხედვით სამართლიანობას და თანასწორობას მოითხოვს დიდებულსა და ღატაკის მიმართ. ისიც იცი, რამდენი ბოროტება შევამთხვიეთ ქრისტიანებს, ამიტომ გვეშინია, ვაითუ, შენს სახელმწიფოშიც გავრცელდეს ქრისტიანობა, მაშინ მათი სამართლისაებრ, მოგვკითხავენ იმ სისხლს, რომელიც შენი ბრძანებით დავღვარეთ და ჩვენს მიერ განადგურებული მათი ქონების ანაზღაურებასაც მოგვთხოვენ.

58. მაშინ მეორე წერილი მისწერა მეფემ შვილს:

„მშვიდობა შენდა, შვილო ჩემო! შენ იცი, რომ ფუფუნებასა და მზრუნველობაში გამოგზარდე, შემდეგ კი შენს ნებას მიგიშვი. ძნელი და მტკივნეული იყო ჩემთვის სამეფოს გაყოფა და ჩემი ხელისუფლების შეზღუდვა, მაგრამ ესეც შენი სიყვარულის გამო გავაკეთე. ახლა მსურს, სრულვყო შენთვის გაკეთებული სიკეთე და ისე მოვიქცე, როგორადაც არავინ მოქცეულა კაცთაგან – სრულად გადმოგცემ ქვეყანას, თავად კი განვეშორები სამეფო დიდებას,

ვიდრემდის მოიწიოს აღსასრული ჩემი, რადთა სასოებად[ცა] ჩემი სრულ-იქმნეს შენთჳს და სიხარული მეფობისა შენისად ვიხილო ცხორებასა ჩემსა“ (და ამისა შემდგომად აჴსენა საქმე მონანულთად მათ და რად-იგი უყო ბოროტი თავთა მათთა და მონ-აგებთა მათთა, და რამეთუ არა უცხო არს მეფეთაგან უდიდესისაცა ამისა ყოფად დამტკიცებისათჳს მეფობისა მისისა წინააღმდგომთა თჳსთა) „აწ უკუეთუ აღიღო ჩემ ზედა და რომელნი არიან ჩემ თანა საქმე ბჭობისად მათ შორის, მაშინ მიგითუალო სრული სამეფოდ, და რადთა არა გუაიძულო მე და ჩემთანათად დატეობად შჯულისად“.

ხოლო იოდასაფ ესრეთ მიუწერა მამასა თჳსსა: „გჳრგჳნოსანო დიდებულო მეფეო, შენ უწყი, ვითარმედ არა ჯერ-არს სამართალსა შინა საშჯელსა ერთსა შინა სამეუფოსა ორი წესი და ორი ბჭობად [...]ბული ერთიერთისა წინა[აღმდ]გომი ყოფად, ხოლო ვყო თქუენ თანა საქ[მე სა]მართალი, რომელი შეაშუნდეს გონებასა თქუენსა. აწ მოავლინენით ჩუენდა კაცნი თქუენგანნი, რომელნი ბრძნად საგონებელ იყვნენ და საქმესა შემატყუებელ, რადთა სიტყუა-უგოთ ურთიერთას ამის ჯერისათჳს, და მერმე გამოჩნდეს ჭეშმარიტი, რომელმან სამარ-თალსა ზედა შეგუკრიბნეს ყოველნი მას შინა“.

და ვითარ მოიწია მეფისა წიგნი ძისა მისისად, წარუკითხა მისთანათა მათ. და ყოველთავე შეაშუნდა, რად-იგი მიუწერა, რამეთუ იცოდეს, ვითარმედ თჳნიერ სამართლისა არარას ჰყოფს.

სიცოცხლის ბოლომდე უბრალო ცხოვრებით მინდა ვიცხოვრო, თანაც შენი დიდებით მსურს გავიხარო და ჩემს სიცოცხლე-შივე დავინახო შენი მეფობის კეთილი ნაყოფი.

ამის შემდეგ მეფე წერილში იმ ქრისტიანებს იხსენებდა, რომელთაც მრავალი ტანჯვა-წამება მიაყენა, მათი საბადე-ბელი კი გადაწვა, მაგრამ დასძენდა, რომ სახელმწიფოს ინტერესები ხშირად აიძულებს მეფეებს უფრო საშინლადაც მოეპყრონ თავიანთ მოწინააღმდეგეებსო.

ბოლოს კი ასე დაასრულა წერილი აბენესმა:

„თუკი მოგვიხსნი პასუხისმგებლობას მეცა და ჩემს თანა-მზრახველებსაც ქრისტიანთა წინაშე ჩადენილ ბოროტებათა გამო და არც ჩვენი რწმენის უარყოფას გვაიძულებ, მაშინ მთელს ჩემს სამეფოს შენ ჩაგაბარებო.“

პასუხად იოდასაფმა მისწერა:

“გვირგვინოსანო დიდებულო მეფეო, მართალი სამართ-ლის მიხედვით დაუშვებელია ერთ სამეფოში ორი წესისა და ორი სამართლის შეთავსება, რადგან შეუძლებელია ურთიერთდაპირისპირებულთა მშვიდობიანი თანაარსებობა. უმჯობესია, იმგვარი მმართველობა დამყარდეს ქვეყანაში, რომელიც თქვენთვისაც მისაღები იქნება, ამიტომ მოავლინეთ ჩვენთან თქვენს მიერ არჩეული კაცები, კეთილგონიერნი და საქმეში ჩახედულნი, ვიმსჯელებთ და საერთო ენასაც გამოვნახავთ, რომელიც ჭეშმარიტების საფუძველზე გაგვა-ერთიანებს.”

მეფემ იოდასაფისგან მიღებული წერილი მის თანა-მოაზრეებსაც წაუკითხა. ყველა კმაყოფილი დარჩა უფლის-წულის რჩევით, თუმცა ისედაც იცოდნენ, რომ იგი მხოლოდ სამართლიან გადაწყვეტილებებს იღებდა.

59. მაშინ წარავლინნეს კაცნი რჩეულნი მათ შორის, ბრძენნი და წურთილნი სწავლულებითა მათითა. და ვითარცა მიიწივნეს წინაშე ძისა მეფისა, ბრძანა სწორადვე მათსა მოყვანებაჲ კაცთა, რჩეულთა მონაზ[ონთა] [ქრისტეან]ეთაჲ, რომელ[თა] აქუნ[და] [...*ძადლი სულისა*] წმიდისაჲ და ჰრქუა მათ: „ნურარას უფროჲს ზომისა ზრახავთ და ნუცა თავთა თჳსთა ესავთ, არამედ ითხოვეთ ქრისტესგან, რაჲთა მოგცეს ძალი ზეცით, ვითარცა წერილ არს წმიდასა შინა სახარებასა, და იტყჳს: "ნუ ჰზრუნავთ, რაჲ სთქუათო"[46]. და ვითარცა შეკრბეს, მისცეს აღთქუმაჲ ურთიერთას, რაჲთა არა მძლავრებით იყოს, და არცა **გარდაწევნაჲ** სიტყჳსგებასა მათსა შინა, არამედ სამართალისა საშჯელითა განიხილნენ ურთიერთას, რაჲთა არა იჴუმიოს ძემან მეფისამან მიმძლავრებაჲ და არცა შურისათჳს ჯობნისა.

და ვითარ მისცეს აღთქუმაჲ ამის ჯერისათჳს, იწყეს კერპთმსახურთა მათ და თქუეს, რამეთუ: „არა ჯერ-არს პირველ კითხვაჲ, გარნა მეძიებელისათჳს საქმესა, რომელსა ეძიებს. და ჩუენ არა გკითხოთ . [.....] გაუწყოთ ჩუენ, რომელსა ზედა ვდგათ [...], რამეთუ (ვჰმონებთ) კერპ[თა ოქროჲსათა] და ვეცხლისათა და გამოხატულთა ქვისათა და ძელისათა, არამედ გჳთხართ ჩუენ: ვინ არს, რომელსა თქუენ ჰმონებთ?"

მიუგეს მონაზონთა მათ, მონათა ქრისტე ღმრთისათა, და ჰრქუეს: „ჩუენ ვჰმონებთ ღმერთსა ცხოველსა, რომელმან დაგუ-ბადნა, და დაჰბადა ოქროჲ და ვეცხლი, ქვანი და ძელნი, რომლისაჲ იცით სახელი მისი, და ვერ უვარ-ჰყო[ფ]თ უფლებასა მისსა, და იგი თავადი არს უდიდეს ყოველთა, და არავინ შემძლებელ არს მიწუთომად ღმრთეებისა მისისა, თუმცა ვინ გამოთქუა სიტყჳთა, გინათუ იხილა თუალითა. მან დაგუბადნა და მოგუცა მეცნიერებაჲ მისი, ნებათა მისთა ვიქმთ მსგავსად ძალისა ჩუენისა, და რომელი არა ჰნებავს, მას დაუტეობთ. ესე არს მიგებაჲ

59. მაშინ ბრძენი და სწავლული კაცები მიავლინეს იოდასაფის სამეფოში. როგორც კი მეფის წინაშე წარსდგნენ ისინი, ბრძანა იოდასაფმა, რომ იმდენივე რჩეული ღვთისმეტყველი ქრისტიანი მონაზონი მოეყვანათ მისი სამეფოდან და უთხრა მათ: – ნურც ამაო მრავალსიტყვაობას მოჰყვებით და ნურც თქვენი თავის იმედი გექნებათ, არამედ შემწეობა სთხოვეთ ქრისტეს, რათა მოგივლინოთ ძალა ზეციდან, როგორც ამის შესახებ წმ. სახარებაში წერია: „ნუ ზრუნავთო, რა სთქვათ" (მთ. 10:19).

მოწინააღმდეგე მხარეები შეთანხმდნენ, ერთმანეთზე ძალდატანების გარეშე წარემართათ კამათი, არც საკამათო თემიდან გადაეხვიათ, არამედ მიუკერძოებლად განესაჯათ ერთმანეთის თვალსაზრისები.

ამგვარი შეთანხმების შემდეგ კერპთაყვანისმცემლებმა თქვეს:

– პირველი კითხვა, ცხადია, იმ საკითხს უნდა შეეხებოდეს, რომლის გარკვევაც განგვიზრახავს. მაგრამ ჩვენ კითხვას არ ვსვამთ, არამედ გაუწყებთ, ვინ ვართ და ვის ვემსახურებით:

– ჩვენ კერპთაყვანისმცმლები ვართ, ვემსახურებით ოქროსა და ვერცხლის კერპებს და მათ ქვისა და ხის გამო-სახულებებს. მაგრამ თქვენც გვაუწყეთ, ვის ემსახურებით?

ამაზე ქრისტეს მსახურმა ბერებმა მიუგეს:

– ჩვენ ვემორჩილებით ცოცხალ ღმერთს! მას, რომელმაც შეგვქმნა. მანვე შექმნა ოქროცა და ვერცხლიც, ქვაცა და ხეც. მისი სახელი ცნობილია თქვენთვის და თქვენ ვერ უარყოფთ მის ძალას. იგი თავად არის ყველაზე აღმატებული და არავის შეუძლია მისი ღმრთეების შეცნობა, არც სიტყვით გამოითქმის და არც თვალით იხილვების. მან დაგვბადა და მანვე მოგვცა ცოდნა მის შესახებ, მის ნებას ვასრულებთ შეძლებისამებრ და უარვყოფთ იმას, რასაც ის არ ინებებს. ასეთია ჩვენი პასუხი თქვენს კითხვაზე. მაგრამ ვინ არიან თქვენი ღმერთები? ანდა

კითხვისა თქუენისაჲ, ა[რამედ] ვინ [...] არიან ღმერთნი თქუენნი [...]ადეს, გინათუ რაჲ გამცნეს [ყოფად]? ხოლო უკუეთუ სთქუათ, ვითარმედ არა მათ დაგუბადნეს, არცა რაჲ გუამცნეს და ვერცა შემძლებელ არიან დაბადებად რაჲსამე, რამეთუ არა ჰხედვენ, არცა ესმის, არცა ჴმობენ ჴორჴითა მათითა, არღარაჲ სიტყუაჲ გაქუს მოგებად ჩუენდა მონებისათჳს ურგებთა და უსულოთა, რომელნი ვერ შემძლებელ არიან რგებად გინათუ ვნებად“.

და ვითარცა ესმა ესე კერპთმსახურთა მათ, მოეკუეთნეს ენანი მათნი, რამეთუ არღარაჲ აქუნდა სიტყუაჲ, რაჲმცა მიუგეს ორსავე პირსა ზედა, რამეთუ, უკუეთუ თქუან, ვითარმედ კერპთა მათთა დაჰბადნეს იგინი და მათ ასწავეს, რაჲ-იგი ჯერ-არს ყოფად მათთჳს, ცხად იყო მათ ზედა მტყუვარობაჲ, სამართლით დაესაჯებ[ოდა] სიბრძნისა სიტყჳთა, და უკუეთუ [თქუან, ვითარმედ] უძლურ არიან და ვერ ჴელ-ეწიფ[ების] დაბადებად და რგებად გინათუ ვნებად, იძლივნენ სამართლისა მშჯავრითა და მიედგას მათ ზედა საქმე ჯობნისაჲ. და ვითარ ვერარაჲ პოვეს ღონე, რომელმცა შემწე იყვეს, მაშინ შეიწყნარეს უმეტესობაჲ შჯულისაჲ და აღსაარებაჲ ქრისტეს ღმრთისაჲ ყოველსა ზედა წესსა ამის სოფლისასა, რამეთუ კეთილადსლვასაცა შინა იოდასაფისსა და გარდარეულსა მისსა სიმდაბლესა და მოწყალებასა შინა მისსა მრავალი მადლი იხილეს, რამეთუ დიდი მშჳდობაჲ და სიხარული იყო სამეფოსა შინა მის მიერ.

მიუგეს და ჰრქუეს კერპთმსახურთა მათ: „ძეო მეფისაო, ვითარ იყოს მშჯავრი შენი ჩუენ ზედა საქმეთათჳს პირველთა, რომელნი ვქმნენით ბრძანებითა მამისა შენისაჲთა და მეფისა ჩუენისაჲთა, და სისხლნი, რომელნი დავსთხიენით უმეცრებითა [ჩუენითა]?“.

მათი მცნებები როგორია? თუ თქვენ იტყვით, რომ მათ არ შეუქმნიხართ და არც რაიმე მცნებები მოუციათ თქვენთვის, რადგან არც რაიმეს შექმნა შეუძლიათ და არც რაიმეს დანახვა, მოსმენა ან აღქმა, აღარაფერი გაქვთ ჩვენთვის სათქმელი, რადგან უსარგებლო და უსულო საგნებს ემსახურებით, რომლებსაც არც სარგებლობის მოტანა შეუძლიათ და არც ვნების მოყენება.

მათი სიტყვები რომ მოისმინეს, ენა ჩაუვარდათ კერპთმსახურებს, აღარაფერი ჰქონდათ სათქმელი, რადგან პასუხი არცერთ კითხვაზე არ მოეპოვებოდათ. თუკი იტყოდნენ, რომ კერპებმა დაბადეს ისინი და მცნებებიც მისცეს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, აშკარა ტყუილი იქნებოდა და სამართლიანად იქნებოდნენ მხილებულნი ბრძენთა სიტყვებით, და თუ იტყოდნენ, რომ კერპები უძლურნი არიან, არც რაიმეს შექმნა შეუძლიათ, არც რგება და არც ვნებაო, კვლავაც სამართლიანი განსჯის შედეგად დამარცხებულნი აღმოჩნდებოდნენ და მათ მოწინააღმდეგეებს დარჩებოდათ ამ სიტყვისგებაში გამარჯვება. და რადგან ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ვერ მონახეს, კერპთმსახურები იძულებულნი გახდნენ ეღიარებინათ ქრისტიანული სარწმუნოების უპირატესობა და ყოველგვარ მიწიერ კანონზე მისი აღმატებულება. იოდასაფის კეთილგონივრულ მოღვაწეობაში, მის უსაზღვრო სიმდაბლესა და გულმოწყალებაშიც მრავალი მადლი იხილეს, რადგან მისი ღვაწლით მშვიდობა და დიდი სიხარული სუფევდა მთელს სამეფოში.

შემდეგ იოდასაფს ჰკითხეს კერპების მსახურებმა:

– ძეო მეფისაო, რა სასჯელი მოგველის შენგან იმ ბოროტებათა გამო, რომლებიც შენი მამისა და ჩვენი მბრძანებლის მითითებით აღვასრულეთ და ვზღავთ თუ არა იმ სისხლს, რომელიც ჩვენი უგუნურებით დავათხიეთ?

ჰრქუა მათ ნეტარმან იოდასაფ, რამეთუ: „ვითარცა–იგი რაჟამს განაგდოთ შჯული თქუენი, მის თანაცა განაგდო[თ] იჭჯ, რომელი გაქუს მაგის ჯერისათჳს. და ვითარცა შეხჳდეთ შჯულსა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ[ს] ქრისტესსა, მის თანავე შეხჳდეთ მშჳდობასა და სიხარულსა, რამეთუ ღმერთი მშჳდობისა და სიყუარულისაჲ არს და არათუ მანკიერებისა და შურისგებისაჲ“.

მაშინ მოიქცეს კაცნი იგი წინაშე შეფისა და აუწყეს ყოველი, რომელი ესმა და იხილეს. ხოლო მეფემან და ყოველმან ერმან მისმან განიზრახეს, რაჲთა შეუდგენ შჯულსა იოდასაფისსა. და შეიწყნარეს წმიდაჲ ნათლისღებაჲ მათი სახელითა მამისაჲთა, ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა.

გარნა კაცი იგი მძოვარი რომელი პირველ ზემო ვაჴსენეთ, რომელმან აზრახა მეფესა, რაჲთა ბრძოლა–უყოს ძესა თჳსსა ეშმა[კითა], რომელსა ერქუა თედმა, ამან არა შე[ი]წყნარა ქრისტეანობაჲ.

60. და მიწერეს წიგნი ძისა მეფისა აღსაარებისა და სარწმუნოებისათჳს მამისა და ძისა და სულისა წმიდისა ერთობით მეფემან და ყოველმან ერმან. და ვითარცა მიიწინეს მოციქულნი იოდასაფისა და ეუწყა ბრძანებაჲ მეფისაჲ და ყოვლისა ერისაჲ, მაშინ აღივსო უმეტესითა სიხარულითა და აღდგა და აღიპყრნა ჴელნი ზეცად მიმართ და შეწირა მადლობაჲ ქრისტეს მიმართ, „რომელმან ყვის ნებაჲ მოშიშთა მისთაჲ“.[47] და წინაუყო მოციქულთა მათ პატივი და ნიჭი დიდი და ადრე განუტევნა.

და მიწერა წიგნი მამისა თჳსისა ესრესახედ: „დიდსა და მორწმუნესა მეფესა და კეთილად მოსრულსა მორჩილებად ღმრთისა მე, მონაჲ და გლახაკი იოდასაფ, უფლისა მიერ გიკითხავ! პირველად ვჰმადლობ ქრისტესა, ძესა ღმრთისასა, რომელი განკაცნა კაცთა ცხორებისათჳს და გჳჴსნა მონებისაგან და

ნეტარმა იოდასაფმა კი უპასუხა:

– რაწამს თქვენს რჯულს დატოვებთ, მეყსეულად ეჭვებიც დაგტოვებენ, და როგორც კი ღვთისა და ჩვენი მაცხოვრის უფალ იესო ქრისტეს რწმენაში შეხვალთ, იმავ წუთს შეხვალთ მის მშვიდობასა და სიხარულში, რამეთუ მშვიდობისა და სიყვარულის ღმერთია და არა უკეთურებისა და შურისძიებისა.

წარგზავნილები აბენეს მეფესთან დაბრუნდნენ და რაც ნახეს და მოისმინეს, ყოველივე დაწვრილებით აუწყეს. მაშინ მეფემ და მთელმა ერმა გადაწყვიტეს შესდგომოდნენ იოდასაფის რჯულს და მალე მოინათლნენ კიდეც სამების სახელით.

ქრისტიანობა არ შეიწყნარა მხოლოდ ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებმა თედმამ, რომელმაც ჩააგონა აბენესს, ეშმაკთა საშუალებით შებრძოლებოდა უფლისწულს.

60. მეფემ და მთელმა ერმა ერთობლივი წერილი მისწერეს უფლისწულს და აცნობეს, რომ აღიარეს სარწმუნოება მამისა და ძისა და სულისა წმიდისა. როგორც კი წარგზავნილებმა აბენესისა და მთელი ერის გადაწყვეტილება აცნობეს იოდასაფს, დიდი სიხარულით აღივსო იგი, ადგა, ზეცად აღაპყრო ხელები და მადლობა შესწირა ღმერთს, რომელმაც ჰყო ნება მოშიშთა მისთა.[47] ამბის მომტანთ კი საკადრისი პატივი მიაგო და უხვად დასაჩუქრებულნი გაუშვა უკან. ხოლო მამას ამგვარი შინაარსის წერილი მისწერა:

“დიდსა და მორწმუნე მეფეს და ღმრთისადმი კეთილად დამორჩილებულს, მონა და გლახაკი იოდასაფ, უფლისა მიერ მოგიკითხავ! უპირველესად ვმადლობ ქრისტეს, ღვთის ძეს, რომელიც განკაცდა კაცთა ცხოვრებისათვის და გვიხსნა

საცთურისა კერპთაჲსა და მოგჳყიდნა უბიწოჲთა მით და პატიოსნითა სისხლითა თჳსითა, რომელი ჯუარსა ზედა გარდამოადინა; ვაქებ და ვადიდებ სახიერებასა მისსა, რომელმან წყალობით მომხედნა და არა ჴუებულ-მყო საწადელისაგან ჩემისა და ღირს-მყო ხილვად ჭეშმარიტისა მეფობისა შენისა, რამეთუ აწღა იქმენ შენ მეფედ, ხოლო პირველ ამისა არცა თუ იყავ მონა შეწყნარებულ.

და მერმე, რამეთუ დიდ არიან მადლნი შენნი ჩემ თანა და მე ვერ შემძლებელ ვარ ჯეროვნად მადლისა მიცემად შენდა ყოვ-ლისავეთჳს, რომელი ჰყავ ჩემ თანა. არამედ უფროჲს და უდიდეს დღეს ახარე სულსა ჩემსა. ყოველი რომელი-იგი მომეც, ვითარცა არარაჲ იყო წინაშე თუალთა ჩემთა, ხოლო აწ ცნობითა შენითა ჭეშმარიტებისაჲთა წმიდაჲ სამებაჲ იდიდების და აღსაარებითა შენითა შჯული მისი განბრწყინდების, და აწ სრულიად განადიდე ყოფაჲ შენი ჩემ თანა. ხოლო ესე უწყი, რამეთუ არავინ განიშორის მეგობარი თჳსი და არამცა აქუნდა ბრძოლაჲ ჩუეულებისაჲ მისა მიმართ და საეჭუელცა არნ მიქცევად მისა, უკუეთუ არა პირველად მიზეზი იგი მიდრეკისა მისისაჲ აღმოჰფხურის. და აწ ამით საცნაურ არს ჭეშმარიტებაჲ სიტყუათა შენთაჲ და განწმედაჲ გულისა შენისაჲ ღმრთისა მიმართ, რომლითა ჩუენ თანა მსახურებასა ღმრთისასა და ლოცვისა-მოდგამობასა მოხჳდე, რაჲთა დაარღჳნე საკერპონი და დასწუნე კერპნი ცეცხლითა ღმრთისათჳს, რაჲთა მიეგოს მისაგებელი მათი, რომელი მათ მოაგეს ერთა ურიცხუთა. და დაწუვითა მათითა დაეგო ღმერთსა, ვითარცა-იგი პირველ დაწუვითა წმიდათაჲთა განუდეგ ღმერთსა. და რაჟამს ჰყო ესე, მაშინ „დაჰჴსნა შუვაკედელი ზღუდისაჲ მის“[48] - მტერობაჲ და ჭეშმარიტი და უქცეველი ნუგეშინისცემაჲ მოიღო ღმრთისაგან ცხოველისა და ჩუენ, მონათა მისთაგან“.

და ვითარცა მიიწია მეფისა წიგნი ესე და აღმოიკითხეს, მაშინ აღდგეს თჳთ მეფე და ყოველი ერი მისი მის თანა და იწყეს დარ-

მონობისა და კერპთა საცდურისაგან, რომელმაც გამოგვისყიდა თავისი უბიწო და პატიოსანი სისხლით და დასთხია იგი ჯვარზე, ვაქებ და ვადიდებ მის სახიერებას, რამეთუ მომხედა წყალობით და არ დამაკლო სასურველს, ღირს-მყო შენი ჭეშმარიტი მეფობის ხილვას, რადგან სწორედ დღეს გახდი შენ მეფე, აქამდე კი ღვთისაგან შეწყნარებული მონაც კი არ იყავი .

აურაცხელია შენი მოწყალება ჩემზე. შეუძლებელია ღირსეული პატივი მოგაგო და საკადრისად გმადლობდე ყოველივესათვის, რაც ჩემთვის გააკეთე, მაგრამ დღეს მაინც განსაკუთრებულად და უმეტესად გაახარე ჩემი სული: დღემდე რასაც მაძლევდი, ფასი არ ჰქონდა ჩემს თვალში, დღეს კი შენს მიერ ჭეშმარიტების ცნობით იდიდა წმიდა სამება და ბრწყინავს რჯული ქრისტიანობისა. ამიერიდან მტკიცე გახდება ჩვენი ერთობა. მაგრამ ესეც მსურს იცოდე, რომ ვერავინ ჩამოიშორებს ძველ მეგობარს, თუ თავად არ დაძლევს მისკენ ლტოლვას, უფრო მეტიც, თუკი სრულიად არ აღმოფხვრის იმ მიზეზს, რომელიც მისკენ ეწევა, კვლავ მას შეიძლება მიუბრუნდეს. დაამოწმე შენი სიტყვების ჭეშმარიტება და გულწრფელება ღვთის მიმართ, რომ მართლაც გსურს მისი დიდება და მსახურება ჩვენთან ერთად, და დაარღვიე საკერპონი, ცეცხლით დაწვი კერპები ღვთის გულისათვის, რათა საკადრისი მიაგო მათ და ზღონ ის, რაც თავად მიაგეს მთელ ერს. კერპების დაწვა შეგარიგებს ღმერთთან, რადგან თავის დროზე წმიდანების დაწვით განუდექი ღმერთს. თუკი ასე მოიქცევი, დაარღვევ იმ კედელს, რომელიც მტრობით აღიმართა ჩვენს შორის და ჭეშმარიტ ნუგეშისცემას მიიღებ ცხოველსმყოფელი ღმრთისა და ჩვენ – მისი მონებისაგან“.

როგორც კი იოდასაფის წერილს გაეცნენ, აბენესმა და მასთან ერთად მთელმა ერმა კერპებისა და საკერპო ტაძრების

ღუევად და დაწუვად კერპთა და ტაძართა საკერპოთა, ვიდრემდე არღა(რ)ა საცნაურ იყო ადგილიცა მათი. და ამისა შემდგომად წარვიდა მეფე და ყოველი ერი მისი სამეფოდ იოდასაფისა, ძისა თჳსისა, და ყოველი იგი სუფევად მისცა მას, გარნა თედმა მძოვარი, რომელი იტანჯებოდა ორითავე ცხორებითა, არა მოიქცა მას ჟამსა.

ხოლო იოდასაფს ვითარცა ესმა, ვითარმედ მეფე და ყოველი ერი მისი მივალს მისა, აღდგა და მიეგება სიხარულითა დიდითა, და დავარდა წინაშე მისსა იგი და ყოველი სიმრავლე ქრისტეს-მორწმუნეთაჲ, რომელნი-იგი მიეგებვოდეს მის თანა მეფესა. მაშინ მეფე იგი დიდითა სურვილითა მოეხჳა ქედსა იოდასაფისსა და ტირილითა ამბორს-უყოფდა მას. და მიიყვანა იოდასაფ მამაჲ თჳსი დიდითა და გარდარეულითა პატივითა და ყოველი იგი დიდებაჲ მისი წინაუყო მას, რომელსაცა იგი არა იჴუმევდა.

61. და ვითარცა ჯდა იოდასაფ დღესა ერთსა წინაშე მამისა თჳსისა, შევიდა თედმა წინაშე მათსა სავსე გულისწყრომითა, რაჲთა სიტყუა-უგოს იოდასაფს შჯულისათჳს, და ჰრქუა მას: „მითხარდა, ძეო მეფისაო, რომლისა მიზეზისათჳს ჰყავ საქმე ესე, ანუ რაჲ ბორტი შეგამთხჳეს კერპთა, რომელნი ესრე[თ] შეურაცხ-ჰყვენ, არა პირველად ადიდნესა მამანი შენნი მეფენი? ანუ არა უმეტესი შარავანდედობაჲ მისცეს მამასა შენსა, აბენესე[49] მეფესა, და უმაღლეს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა დაადგინეს იგი, და უშვილოებისაცა იგი ჴუებულობაჲ განა-შორეს სულისაგან მისისა? და შენ მათ მიერ მიემადლე, რომელ-იცა-ეგე გარდამაქცეველ ექმენ შჯულსა და მაცთურ მამისა შენისა. აწ რაჲსათჳს განეშორები მონებისაგან მათისა და განა-შორე მამაჲ შენი, და ყოველნი კეთილადმსახურნი მეფენი, მამანი შენნი, განაცრუვენ და სძაგენ გარდაქცევითა შენითა?“

დაწვა და დანგრევა დაიწყეს, ისე რომ, მალე მათი არსებობის კვალიც წაშალეს. ამის შემდეგ მთელი ერის თანხლებით იოდასაფის სამეფოში გაემგზავრა აბენესი და უფლისწულს გადაულოცა თავისი ძალაუფლება. მხოლოდ თედმამ, რომელიც ორსავე ცხოვრებაში იტანჯებოდა, არ მიიღო ახალი სარწმუნოება.

იოდასაფმა რომ შეიტყო, მეფე თავის ხალხთან ერთად მის სამფლობელოში მობრძანდებოდა, გახარებული წინ მიეგება მამას და მუხლი მოიყარა მის წინაშე. მასთან ერთად დაიჩოქა აბენეს მეფის შესახვედრად გამოსულმა ქრისტეს მრავალმა მიმდევარმაც. მხარზე ხელი მოჰხვია მეფემ უფლისწულს, ცრემლი ვერ შეიკავა – ტიროდა და თან ნაზად ეამბორებოდა შვილს. იოდასაფმა არნახული თავაზიანობა გამოიჩინა მამის წინაშე და მეფეთა შესაფერისი და საკადრისი პატივი მიაგო მას.

61. ერთ დღესაც, როდესაც იოდასაფი მამის გვერდით იჯდა, მათთან განრისხებული თედმა შევიდა. მას უფლის-წულთან სარწმუნოებრივ საკითხებზე კამათი განეზრახა და ამიტომ ამგვარად მიმართა იოდასაფს:

– უფლისწულო, რამ გაიძულა ამგვარად მოპყრობოდი კერპებს? ან რა დაგიშავეს მათ ისეთი, რომ ასე მოიძულე ისინი? განა თავის დროზე მათ არ განადიდეს შენი მამა-პაპანი – გვირგვინოსანი მეფეები?! ან განა მათ არ აღაზევეს მამაშენი აბენესი სამეფო პატივსა და ძლიერებაში იმგვარი დიდებით, რომ არავინ ყოფილა მისი მსგავსი დედამიწის ზურგზე?! და განა მათვე არ განკურნეს უშვილობით ნაკლული მისი სული?! მათ უწყალობეს შენი თავი მეფეს, შენ კი შეიცვალე რჯული და აცდუნე მამაშენიც. რატომ არ გინდა, რომ მათ ემსახურო, ან მამაშენი რატომღა ჩამოაცილე

მიუგო მას და ჰრქუა იოდასაფ მეფემან: „ისმინე, ჶ
მეტყუელო სიცრუვისაო და მტერო ჭეშმარიტებისაო, რომელმან
მოიპოვე განცოფებული ეგე სიბრძნე ამის სოფლისაჲ და
თანაწარჰვედ თავსა მას სიბრძნისასა, რომელ არს შიში უფლისაჲ,
და ჰგონებ თავსა თჳსსა ბრძნად და განცოფებულ ხარ, რამეთუ
კერპნი ესე, რომელთა ჰმონებთ, ოქროჲ და ვეცხლი და რვალი და
ქვაჲ და ძელი არიან და ვერ შემძლებელ არიან ჩუენდა და არცა
სხუათა კეთილის ყოფად გინათუ ბოროტისა, ანუ ვითარ
შემძლებელ იყვნენ რაჲსამე, რამეთუ თჳთ მკ[უ]დარ არიან: არცა
ესმის, არცა ჰხედვენ და არცა რას სცნობენ. აწ განიფრთხვე
ძილისა მაგის შენისაგან, უკუეთუ არს–ღა შენ თანა სული
სიცოცხლისაჲ. ხოლო სოფელი ესე აღსრულებადი არს და ჩუენ
კაცნი და პირუტყუნი ყოველნი და ფრინველნი და ხენი და პირად–
პირადნი ნაყოფნი მათნი ჟამად–ჟამად **მომწიფდებიან**
კაცთათჳს. და ესე ყოველი დ**ა**დებული ღმრთისაჲ არს, რომლისა
„არავინ არს მსგავს მისა [ღმერ]თთა[50] შორის და არარაჲ არს
ს[აქმეთ]ა[51] მისთაებრ“[52], რომელმან დაგუბადნა ძალითა თჳსითა
დიდებად მისა და ყოველი ესე შუ[ე]ნიერებაჲ მოგუცა საშუებე–
ლად ჩუენდა, რაჲთა რაჟამს ვიხილნეთ კეთილნი ესე საშუებელნი,
გურწმენეს წარუვალიცა იგი საშუებელი საუკუნოჲ, „რომელი
თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა მომ–
გონებელისასა არა მოუჴდა, რომელი განუმზადა მოთმინეთა
მონათა მისთა“[53]. ესე გუაუწყეს რჩეულთა მონათა მისთა წინაჲს–
წარმეტყუელთა და დიდებულთა მოციქულთა მისთა, და რამეთუ
საშუებელნი ესე არა დაგჳბადნა ღმერთმან, რაჲთა მათ ხოლო
შეველქცეთ და უდებ–ვიქმნნეთ მორჩილებად მცნებათა მისთა, არ–
ამედ რაჲთა ვიჴუმიოთ მათგან საჴმარი ზომით, რომელი შემწე
გუექმნეს მსახურებასა ზედა მისსა და არა შევაპყრნეთ გულნი
ჩუენნი, რომლითა დავაკლდეთ მცნებათაგან მისთა. და უკუეთუ
სოფელი ესე ამისთჳს განმარტებული ძეს წინაშე კაცთა, რაჲთა
ჭამონ და სუან და იშუებდენ და ესვიდენ დადგრომასა მისსა

კერპთმსახურებს?! კერპების ღალატითა და მამა-პაპათა
რწმენის უარყოფით შენ შეურაცხყოფა მიაყენე შენს წინაპ-
რებს – კეთილმსახურ მეფეებს!

მიუგო მას იოდასაფმა:

– ისმინე ჩემი, სიცრუის მქადაგებელო და ჭეშმარიტების
მტერო, რომელიც სავსე ხარ ამსოფლიური მომაკვდინებელი
სიბრძნით და არ გაგაჩნია უმთავრესი სიბრძნე – შიში ღვთის
წინაშე. თავი ბრძენი გგონია, მაგრამ გაუგნურებულხარ,
რადგან ვერ ხვდები, რომ კერპები, რომლებსაც შენ
ემსახურები, ოქროა და ვერცხლი, ან რკინა, ქვა და ხე, მათ
არც სიკეთის გაკეთება შეუძლიათ ვინმესთვის და არც ზიანის
მიყენება. ან კი როგორ შეძლებენ რაიმეს, როცა მკვდრები
არიან, – არც სმენა აქვთ, არც მხედველობა და არც ცნობა.
გამოერკვიე ბურანისაგან, თუკი ჯერ კიდევ იმყოფება შენში
საცოცხლის სული, და გაიგე, რომ წუთისოფელი
განქარვებადია, – ჩვენ ყველანი მოვკვდებით – ადამიანები და
ცხოველები, ფრინველები და ნაირ-ნაირი ნაყოფის მომცემი
მცენარეები, დროდადრო რომ აღმოაცენებენ ადამიანთათვის
საზრდოს. და ეს ყველაფერი ღვთის განგებულებით ხდება.
არავინ არის მისი მსგავსი. თავისი ყოვლადძლიერი
მარჯვენით შეგვექმნა ჩვენც მისსავე სადიდებლად და
მცნებები მოგვცა შესასრულებლად. ჩვენს გარშემო არსებული
თვალწარმტაცი მშვენიერებაც ჩვენსავე სასიკეთოდ გვიბოძა,
რათა ხილული მშვენიერების ხილვით ვირწმუნოთ წარუვალი
მშვენიერების არსებობა. მის შესახებ გვამცნობს სახარება:
„რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, კაცს გულში არ
გაუვლია, ღმერთმა ის მოუმზადა თავის მოყვარულებს (Iკორ.
2,9). ასე გვამცნეს უფლის რჩეულმა წინასწარმეტყველებმა და
დიდებულმა მოციქულებმა, თუმცა ღმერთმა ყველა სიკეთე
იმისათვის კი არ გვიბოძა, რომ მათით მხოლოდ ვისიამოვნოთ
და მისი მცნებები კი უგულებელვყოთ?! უნდა ვისარგებლოთ

მათთჳს, მცირე უკუე ნაწილი მიგიღებიეს თავისა შენისათჳს ამის სოფლისაგან, ძონძი ეგე, რომელ გარეშეგირტყამს, და არგანი, რომელ არს ჴელთა შენთა, რამეთუ არადასაჯერებელითა დაჯერებულ ხარ საწუთროჲსა ამისგან, რომელსა აქებ და ესავ. და უკუეთუ კეთილ არ[ს] სასოებაჲ ამის სოფლისაჲ, რაჲსა არა იღუწი თავისა შენისათჳს? ხოლო უკუეთუ ამისთჳს დაებადნეს საშუებელნი ესე, რაჲთა მათ მიერ გუსურროდის დაუსრულებელისა მისთჳს საშუებელისა, რაჲთა გურწმენეს და აღვიღოთ საგზალი ამიერ სოფლით და **სამკჳდროსა** მას სოფელსა ეგრეთ მივიწინეთ [დ]ამბადებელისა და ღმრთისა ჩუენისა, [ჩანს], რამეთუ უჯეროჲ საშჯელი სწამე, რამეთუ არა იცი, ვისთჳს აჭირვებ თავსა შენსა და ვისა მიხუალ და ვის ესავ მოგებად შრომათათჳს შენთა, უკუეთუ მუნი სასოებაჲ არა გაქუს და არცა რაჲ სოფლისა ამისგან“.

და ვითარ ესმნეს თედმას სიტყუანი ესე იოდასაფისნი, დადუმნა მყოვარჟამ და განიზრახვიდა გულსა შინა თჳსსა სიტყუათა მათთჳს მეფისა იოდასაფისათა და არარას ჰპოებდა, რაჲმცა მიუგო. და მერე მიუგო და ჰრქუა მას: „სიტყჳთა მაგით შენითა განაწონე გული ჩემი, რამეთუ „ვითარცა მახჳლმან განვლო სული ჩემი“[54], და აწ მნებავს, რაჲთა (მო)აცალნე სასმენელნი შენნი სმენად ჩემდა და განკითხვად უგანცხადებულესადრე საქმისა ამისთჳს“.

ჰრქუა მეფემან იოდასაფ: „აჰა ესერა მზა ვარ სასმენელითა და გონებითა სიტყჳსყოფად შენ თანა. აწ იკითხე, რომლისათჳსცა გნებავს“.

მიუგო და ჰრქუა თედმა: „უკუეთუ კერპნი ესე, რომელთა ჩუენ ვჰმონებთ, არა არიან ღმერთ, ვინ უკუე არს ღმერთი შენი?“

მათით, მაგრამ იმგვარი ზომიერებით, რომ შემწე გვექმნას იგი უფლის სამსახურში და არ დავემონოთ გულით რამეს, რათა ღვთის მცნებებს არ დავშორდეთ. თუ წუთისოფელი იმისთვის არის კაცთა წინაშე გადაშლილი, რომ ადამიანებმა მხოლოდ სვან, ისიამოვნონ და გაიხარონ მასში ცხოვრებით, მაშ, შენ მხოლოდ მცირე ნაწილი მიგიღია წუთისოფლისგან – ძონძი, რომელიც სიშიშვლეს გიფარავს და ჯოხი, რომელიც ხელთ გიპყრია, მინდობიხარ და აქებ წუთისოფელს, რომელიც ცრუა და არასანდო. მაგრამ თუ ყოველგვარი ამსოფლიური სიკეთე იმისათვის შექმნა ღმერთმა, რომ მათი ხილვით არაამსოფლიურ დაუსრულებელ სიკეთეთა არსებობა ვირწმუნოთ, კიდეც უნდა ვისწრაფოთ მარადიული სამკვიდრებელისკენ, რათა მივეახლოთ ჩვენს დამბადებელ ღმერთს, ხოლო წუთისოფლისგან მხოლოდ ის მცირედი ავიღოთ, რაც ამ გზაზე საგზლად გვესაჭიროება. შენ კი, როგორც ჩანს, არასწორ გზას ადგახარ, რადგან თუ არც მომავალი ცხოვრების იმედი გაქვს და არც ამ წუთისოფლისაგან მოელი რამეს, გაურკვეველია, რატომ იტანჯავ თავს, ან ვისკენ ილტვი და ვისგან ელი შენი შრომის საზღაურს?

დიდხანს დუმდა თედმა. სიტყვებს ეძებდა, რომ იოდასაფისთვის პასუხი გაეცა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა. ბოლოს ესღა უთხრა:

–გული გამიგმირა და ბასრი მახვილივით გასერა ჩემი სული შენმა სიტყვებმა, ამასღა გთხოვ, რომ მომისმინო და უფრო ცხადად გამარკვიო ამ ყველაფერში.

მიუგო იოდასაფ მეფემ :

– მზად ვარ ყური დაგიგდო და გესაუბრო კიდეც. მკითხე, რაც გაინტერესებს.

ჰკითხა მას თედმამ:

–თუკი კერპები, რომელთაც ჩვენ ვემსახურებით, არ არიან ღმერთები, მაშ, შენი ღმერთი ვინღაა?

ჰრქუა მას იოდასაფ: „ღმერთი ჩემი არს მამაჲ უფლისა ჩემისა იესუჲს ქრისტესი, დამბადებელი ცისა და ქუეყანისაჲ და ყოვლისაჲვე, რომელი დამკჳდრებულ არს მათ შორის სულიერნი და გუამნი“.

ჰრქუა თედმა: „და ვინაჲ უწყი, თუ ცაჲ და ქუეყანაჲ დაბადებულნი არიან?“

ჰრქუა მას იოდასაფ: „ამის გამო უწყი, რამეთუ სახე და ნიშანი შესაქმისა მათისაჲ წამებს, რამეთუ შექმნულ არიან, რამეთუ გონებასა შინა საცნაურ არს, ვითარმედ არა არიან იგინი თჳნიერ ანუ შეერთებულნი, ანუ განყოფილნი, ანუ იძრვისნი, ანუ მდგომარენი და ვჰხედავთ, ვითარმედ ყოველნი დაბადებულნი მოიყვანებიან შეერთება[სა], [ვიდრემდის] განთჳსებით, ძრვით გინა დაყუდებით. ამის გამო ვცან, რამეთუ ვითარცა ესენი, ეგრეცა იგინი არიან, რამეთუ ვერ ჴელ-ეწიფების, თუმცა რასა ჰმატის დიდებითა სხუათა დაბადებულთა“.

ჰრქუა თედმა: „ვინაჲ დაამტკიცებ მოციქულთა და წინაჲსწარმეტყუელთა, შენ არა გიხილავნ?“

ჰრქუა მას იოდასაფ: „ამით დავამტკიცებ, რამეთუ ყოველთა ადგილთა შეიწყნარნეს იგინი განშორებულთა ურთიერთას და მეფეთა დაწვალებულთა, რომელნი მტერ იყვნეს ურთიერთას, რომელთა შორის არა იყო შეთქმულებაჲ, რომელნი მე არა **მიხილავნ** და ჰამბავთაგან დაუწყუედელთა და განუქარვებელთა, რომელთა შინა ვერ ეგების შეთქუმულებაჲ სიშორისაგან ადგილთაჲსა, რამეთუ აღმოსავალით და დასავალით, სამხრით და ჩრდილოჲთ იდიდების მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ და წმიდაჲ შჯული მისი, რომელი ქადაგეს წმიდათა და (რჩეულ)თა მისთა მოციქულთა. უკუეთუ-არა (ვინაჲ) უკუე შესაძლებელ არს შეთქუმულებაჲ შორის მათსა?“

მიუგო იოდასაფმა:

– ჩვენი ღმერთია ყოვლადწმიდა სამება – მამა, ძე და სულიწმიდა, ღმერთი ცისა და ქვეყანის, და ყოველი სულიერისა და უსულოსი, რომლებიც დამკვიდრებულნი არიან მასში.

ჰკითხა თედმამ:

– საიდან იცით, რომ ცა და მიწა ღმერთის შექმნილია?

უპასუხა იოდასაფმა:

– ვიცი, რადგან ქმნილებათა ნიშან-თვისებები თავადვე მიანიშნებენ მათ შექმნილობაზე, და გონებითაც საგულისხმოა ეს, რადგან ისინი ურთიერთშეერთებულნიც არიან და განყოფილნიც, მოძრავნიც და უძრავნიც, ვხედავთ, რომ შესაძლებელია ყოველი დაბადებულის შეკავშირებაცა და დაცალკევებაც, მათი მოძრაობაში მოყვანაცა და გაჩერებაც. ამით შევიტყვე, რომ როგორც ერთნი, ისე მეორენი, უძლურნი არიან, დიდება შეჰმატონ სხვა ქმნილებებს.

ჰკითხა თედმამ:

– წინასწარმეტყველებისა და მოციქულების გადმოცემათა ჭეშმარიტებას როგორღა ამტკიცებ, შენ ხომ თავად არ მოსწრებიხარ მათ?

მიუგო იოდასაფმა:

– სარწმუნოა უცდომელობა და სანდოობა მათი გადმოცემებისა, რადგან ყოველ ადგილას, ყოველ კუთხეში შეიწყნარეს მათი სწავლება, – ირწმუნეს ადამიანებმა, რომლებიც ერთმანეთს არ იცნობდნენ, მეფეებმა, რომლებიც ერთმანათს მტრობდნენ და ექიშპებოდნენ... მეც ჩემი თვალით არ მინახავს წინასწარმეტყველები და მოციქულები, მაგრამ მათ შესახებ ცნობილია ყველგან. თავად ისინი დროითა და სივრცით იყვნენ დაშორებულნი ერთმანეთს და არ შეეძლოთ წინასწარ შეთანხმებულიყვნენ, მიუხედავად ამისა, ყველგან

მიუგო და ჰრქუა თედმა: „და ვინაჲ უწყი, თუ ჭეშმარიტსა იტყჳან წინაჲსწარმეტყუელნი, ვითარმედ ღმრთისა მიერ მოვლინებულ არიან?“

ჰრქუა მეფემან იოდასაფ: „ამის გამო უწყი, ვითარმედ ჭეშმარიტსა იტყჳან, რამეთუ აჩუენეს სოფელსა შინა ნიშები და სასწაულები, რომელი ვერვის დაბადებულთაგანსა ჴელ-ეწიფების ეგევითარისა ძალისა ჩუენებად, რამეთუ ძალითა ღმრთისაჲთა იქმოდეს, რაჲთა ჰრწმენეს სოფელსა და ცნან ყოველთა, ვითარმედ ჭეშმარიტ არს სარწმუნოებაჲ მათი და ვითარმედ იგინი არიან რჩეულნი მისნი შორის ყოველთა თესლთა“.

და განაგრძო თედმა გამოძიებაჲ და კითხვაჲ იოდასაფისგან წინაშე მამისა მისისა, ვიდრემდის იცნა და ჰრწმენა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და ვითარმედ: „ჭეშმარიტსა [იტყჳს] [და თქუენ] ცუდსა შრომასა აღასრულებთ კერპთა მიმართ“. მაშინ აღიარა ჴმითა მაღლითა თედმა და თქუა: „არავინ არს ღმერთ ქუეყანასა ზედა, გარნა მამაჲ მხოლოჲ და ძე მისი მხოლოდშობილი და ყოვლადწმიდაჲ სული, თანაარსი, ღმერთი სამგუამოვანი, ერთარსი, დამბადებელი ცათაჲ და ქუეყანისაჲ“. და ყოველი წესი ქრისტეანობისაჲ აღიარა და ჰრწმენა და შეიწყნარა წმიდაჲ ნათლისღებაჲ, და მიერითგან იწყო დამარხვად მცნებათა ქრისტესთა და გულსმოდგინედ ევედრებოდა ღმერთსა და ადიდებდა სახელსა მისსა[55].

განდიდდა სამება – მამა, ძე და სულიწმიდა და გავრცელდა წმიდა რჯული.

ჰკითხა მას თედმამ:

– და საიდან იცი, რომ არ ცრუობენ წინასწარმეტყველნი, როცა ამბობენ, რომ ღვთისაგან არიან მოვლინებულნი?

მიუგო იოდასაფ მეფემ:

– მათ სიმართლეს ადასტურებს ის ნიშნები და სასწაულები, რასაც იქმოდნენ წუთისოფელში, რადგან არც ერთ ქმნილებას არ გააჩნია სასწაულთა ქმნის ძალა, – მხოლოდ ღვთის მიერაა იგი შესაძლებელი. ამით იცნობა, რომ ჭეშმარიტებას ქადაგებდნენ და ღვთისაგან იყვნენ გამორჩეულნი მრავალთა შორის.

თედმა მანამ განაგრძობდა იოდასაფთან საუბარს აბენესის თანდასწრებით, ვიდრე თავადაც არ ირწმუნა უფალი ჩვენი იესო ქრისტე. გულში გაიფიქრა თედმამ: – „ჭეშმარიტებას ამბობს უფლისწული, ამაოდ დავშვერით კერპთა მსახურებით.“ ყველას გასაგონად კი დასძინა:

– ჭეშმარიტად, არ არსებობს სხვა ღმერთი, გარდა ყოვლადწმიდა სამებისა – მამისა, მხოლოდშობილი მისი ძისა და ყოვლადწმიდა სულისა, თანაარსისა, სამგვამოვანისა და ერთარსებისა, რომელმაც დაჰბადა ცანი და ქვეყანა.

აღიარა და ირწმუნა თედმამ ყოველი წესი ქრისტიანობისა, ნათელ-იღო სამების სახელით და იმ დღიდან მოყოლებული მარხვითა და ქრისტეს მცნებების დაცვით განაგრძო ცხოვრება, გულმოდგინედ ევედრებოდა ღმერთს და ადიდებდა მის წმიდა სახელს.[55]

62. *ხოლო იოდასაფ მიუძღუანნა ნიჭნი დიდნი მეფესა და ერ-ისთავთა მისთა და ყოველსა ერსა. ხოლო შემდგომად სამისა დღისა უბრძანა იოდასაფ მღდელთა და მღდელთმოძღუართა, რაჲთა ნათელ-სცენ მეფესა აბენესს და ყოველთა ერთა და ერისთავთა. და წარსლვასა მათსა სამეფოდ მათდა, წარიტანნა თანა ებისკოპოზნი და მღდელნი და დიაკონნი. ხოლო აბენეს მეფემან უბრძანა ყოველსა სამეფოსა მისსა აღშენებაჲ ეკლესია-თაჲ. და ყოველმან ერმან ნათელ-იღო. და იყო დიდი დაწყნარებაჲ და მშჳდობაჲ სამეფოსა მათსა. და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ.*

63. ხოლო აბენეს[56] მეფე ფრიად გულპყრობილ იქმნა სიმა-რთლისათჳს, რომელი შეიწყნარა ძისაგან თჳსისა, და სათნოჲ სინანული აჩუენა პირველთა მათ უკეთურებათა მისთათჳს, ხოლო რაჟამს მოიწია აღსასრული მისი, ფრიად შეშინდა და მოუვდა ძწოლაჲ, და შიში დიდი დაეცა მას ზედა. [მ]აშ[ინ] ჰრქუა იოდასაფ:

„ჰ მამაო, რომლისა[57] საქმისა ამის სოფლისათჳს შეძრწუნე-ბულ ხარ? უკუეთუ ესე[ვ]დ, რაჲთა დაადგრე სოფელსა შინა უკუნისამდე, ესე არავის ჴელ-ეწიფების. ანუ გთნავსა, რაჲთა მოიწიო საზომსა სიბერისასა გარდარეულსა, რომელსა შინა მრავალნი უშუერნი სენნი და [ძ]რწოლაჲ თავისაჲ და ჴელთაჲ მოგიჴდეს, რამეთუ არარაჲ საწადელი ჰრთავს ესევითარსა ცხ-ორებასა? ანუ ჰგონებ-მეა, თუ ახალი სიჭაბუკე და ცხორებაჲ მომავალი მოგეცეს კუალად გარეშე ამისსა, რომელსა თანა წარსრულ ხარ? ესეცა ვერ შესაძლებელ არს კაცთა მიერ ყოფად. ანუ-მე ვერ გულპყრობილ ხარ მოწყალებათა მიმართ უფლისათა და გიძნავს მისლვაჲ წოდებასა მისსა, რომლითა რისხვასა მოატყუებ თავსა შენსა? აწ მადლობით ჯერ-არს შეწყნარებაჲ მოვლინებულსა წოდებასა ღმრთისამიერსა, რამეთუ

62. *იოდასაფმა უხვად დაასაჩუქრა აბენეს მეფე, დიდებულები და ყოველი ერი. სამი დღის შემდეგ კი ეპისკოპოსებსა და მღვდლებს უბრძანა, ყველანი მოენათლათ. ამასთან, მამამისისთვის ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკონნი გაეყოლებინათ...*

აბენესმა ეკლესიების აშენება ბრძანა თავის სამფლობე-ლოში. ამიერიდან სიწყნარემ და მშვიდობამ დაისადგურა სახელმწიფოში და ყველანი ერთად ადიდებდნენ ღმერთს.

63. აბენეს მეფემ სიხარულით შეიწყნარა ჭეშმარიტება, რომელიც იოდასაფისაგან მოისმინა და გულწრფელად მოინანია ყველას წინაშე თავის მიერ ჩადენილი უწინდელი უკეთურებანი, მაგრამ სიკვდილის ჟამმა როცა უწია მეფეს, მაინც ძლიერ შეშინდა და ძრწოლამ და კანკალმა მოიცვა. მაშინ უთხრა მას იოდასაფმა:

– მამაო, ამ წუთისოფლის რომელი საქმის გამო შეძრწუნდი? ნუთუ გგონია, რომ შესაძლებელია ამ სოფელში მუდმივი ცხოვრება? ეს არავისთვისაა შესაძლებელი. ნუთუ გსურს მიაღწიო სიბერის იმ ზღვრამდე, როცა ყოველგვარი საზარელი სენი იპყრობს კაცს, ცახცახს იწყებს მთელი მისი სხეული და ცხოვრების ყოველგვარ სურვილს უკარგავს მას? ან იქნებ ფიქრობ, რომ საჭაბუკეს დაიბრუნებ და განვლილ ცხოვრებას თავიდან დაიწყებ? კაცთაგან არც ეს არის შესაძლებელი. ჩანს, არ მინდობიხარ ღვთის მოწყალებით და ჭირვეულობ, დამორჩილდე მის მოწოდებას, მაგრამ ამით ხომ მხოლოდ მის რისხვას გამოიწვევ? მადლობით გმართებს მისგან მოვლინებული განგების შეწყნარება, რადგან თავიდანვე ცნობილია შენთვის, რომ მოკვდავი ხარ ამ

პირველითგანვე უწყი, ვითარმედ მოკუდავ ხარ ამიერ სოფლით, ვითარცა-იგი პირველ შენსა ყოფილნი ყოველნი მამანი შენნი“.

მიუგო აბენეს[58] მეფემან და ჰრქუა იოდასაფს: „არა, შვილო ჩემო, არა ამათ მიზეზთათჳს შეწუხებულ არს სული ჩემი, ვითარ-ეგე შენ სთქუ, არამედ ბუნებით თანა-აც ყოველსა სულსა მწუხარებაჲ განშორებისათჳს ჴორცთაჲსა და დატევებისათჳს ამის აერისა და ნათლისა, და მისლვად ადგილად უცხოდ და იწროდ, სადა-იგი არა ვიცი, ვითარსა იწროებასა მიმთხუევად არს სული ჩემი, რამეთუ მე ფრიად განვარისხე ღმერთი შემოქ-მედი ჩემი და მრავალნი მოსაჯულნი წარვავლინენ წინა ჩემსა, რომელნი შურისგებასა ითხოვენ ღმრთისაგან ჩემ ზედა. და ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩემისათა ვჰგმობდი ღმერთსა და ვაქებდი კერპთა. არცა მსაჯული მოვიმადლე და ვერცა მოსა-ჯული დავაჯერე. ვინაჲ მაქუნდეს ნუგეშინისცემაჲ თავისა ჩემი-სათჳს წინაშე ქრისტესა? რამეთუ ჟამიცა შეწყნარებისაჲ შე-მოკლდა ჩემ ზედა და ვერარაჲ ღირსი სინანული ვაჩუენე ღმერთსა“.

მიუგო ნეტარმან იოდასაფ და ჰრქუა მამასა თჳსსა: „ნუ ჰზრუნავ, მეფე, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მიხუალ მეუფისა სახიერისა და მრავალმოწყალისა, რომელმან-იგი მეათერთმეტისა ჟამისათა სწორად მისცა სასყიდელი მათი პირველთა მათ თანა[59], მანვე შეიწყნაროს დაგებაჲ ესე შენი უკუანაჲსკნელსა ცხორებისა შენისასა, რამეთუ არა არს ნაკლულევანებაჲ მოწყალებათა შინა ღმრთისათა და არცა კაცთაებრ შჯის თავადი იგი, რამეთუ მოწყალებანი მისნი დასწონენ სოფელსა ამას, სავსესა ცოდვითა. შენ ვითარ დააკნინებ, რამეთუ სხუაჲ არს ზრახვაჲ უფლისაჲ და სხუაჲ არს კაც[თაჲ]? და მერმე არა სწორავს ნათელი ესე ამის სოფლისაჲ და აერი ესე საწადელი კაცთაჲ ნათელსა პირისა მისი-სასა და აერსა დიდებისა მისისასა, რომელსა ღირს-იქმნებიან მორწმუნენი სასუმელისა მაგის შესუმისა შემდგომად, რომლისა-გან შენ შეძრწუნებულ ხარ, რამეთუ ვერვის ჴელ-ეწიფების შე-

სოფელში, ისევე, როგორც შენამდე მცხოვრები შენი წინაპრები.

მიუგო აბენეს მეფემ შვილს:

– არა, შვილო, მაგ მიზეზით არ წუხს ჩემი სული. კაცის ბუნებაა ასეთი, უმძიმს სულის ხორცთან გაყრა და აშინებს ამ წუთისოფლის დატოვება და მისთვის უცნობ სამყაროში გადასვლა, ვწუხვარ იმის გამოც, რომ არ ვიცი, რა მოელის ჩემს სულს, რადგან ფრიად განვარისხე ღმერთი, შემოქმედი ჩემი, და მრავალი უდანაშაულო გამოვასალმე სიცოცხლეს, რომლებიც ახლა ღვთისაგან მოითხოვენ შურისძიებას ჩემზე; ცხოვრების მანძილზე ვგმობდი ღმერთს და ვაქებდი კერპებს; ვერც მსაჯული მოვიმადლიერე და ვერც მომჩივანი დავარწმუნე რამეში, რისი იმედი შეიძლება მქონდეს ღვთის წინაშე ან რისგან ველოდო ნუგეშისცემას? დღითიდღე მაკლდება ჟამიც, დროც მცირდება და ამის გამო შესაძლებ-ლობაც ნაკლები მრჩება ღირსი სინანული ვუჩვენო ღმერთს.

მიუგო მამას იოდასაფმა:

– ნუ სწუხარ, მეფევ, არამედ გიხაროდეს, რადგან მიუხვალ სახიერ მეუფეს, მრავალმოწყალე ღმერთს, რომელიც მეთერთმეტე ჟამის მუშაკსაც პირველი ჟამის მუშაკის თანასწორად მიაგებს გასამრჯელოს. იგივე შეგიწყნარებს, რაკი ცხოვრების მიწურულს მაინც შეურიგდი მას, ჭეშმარიტ ღმერთს. უსაზღვროა მისი მოწყალება და არც კაცთა სამართლის მსგავსია მისი სამართალი. მთელი წუთისოფლის ცოდვებს გადასწონის მისი წყალობა. ჩვენ არც ცოდვა-მადლის აწონა შეგვიძლია, რადგან საწყაო ღვთისა სხვა-გვარია და კაცისა კი – სხვაგვარი. ვერც წუთისოფლის ნათელი შეედრება საღვთო ნათელს და ვერც ამსოფლიური ჰაერი, კაცთათვის ესოდენ აუცილებელი – ღვთის დიდების ჰაერს, რომელსაც მხოლოდ იმ სასმისის შესმის შემდეგ მიემთხვევიან მორწმუნენი, რომელიც შენ გაკრთობს და

მოსად სამოსად სამოსელი იგი უხრწნელებისაჲ, ვიდრე არა შე-
ვარდეს ხრწნილებასა ჴორცთასა. და ესრესახედ იწროება უჩნს
სულსა მართალსა აქაჲ ესე ცხორებაჲ მერმისა მის თანა დიდებისა,
ვითარცა ყრმამან რაჲ დაუტევის სიიწრე საშოჲსაჲ და იხილის
ფართოებაჲ და ნათელი სოფლისაჲ. და აწ ნუ ჰზრუნავ და იტყჳ,
ვითარმედ: მრავლითა საქმითა ფრიად შევსცოდე ღმერთსა და
ვინანე მცირედ^. უწყოდე, რამეთუ მცირედი სინანული დასძლევს
წინაშე ღმრთისა მრავალთა და დიდთა შეცოდებათა, რამეთუ
განზავის იგი მოწყალებითა თჳს[ი]თა და განამრავლის ნაყოფი
მისი და უხარინ სულსა ფრიად".

მაშინ გულსმოდგინე იქმნა აბენეს[60] მეფე და განიხარა სიტ-
ყჳთა მისითა, და ელხინა სულისა მისგან მაურვებელისა, და
ჰრქუა იოდასაფს: „მოგაგენ უფალმან, შვილო ჩემო, უმეტესი
მისაგებელი კეთილისაჲ უფროჲს სასოებისა შენისა, რამეთუ წარ-
წყმედულ ვიყავ და მომიძიე, განწირულ ვიყავ და მიჴსენ, მტერ
ვიყავ და დამაგე ღმერთსა, მომწყდარ ვიყავ და მაცხოვნე. აწ
გამცნებ, შვილო ჩემო, რაჲთა კეთილად ხჳდოდი წინაშე ღმრთისა
და მოშიშებით აღასრულნე დღენი შენნი, და ნუ შეგაქცევნ
დიდებაჲ მეფობისაჲ სიყუარულისაგან ქრისტესისა, რამეთუ ყო-
ველი ესე ხილული აჩრდილ და წარმავალ არს, ხოლო შენ მა-
რადღე ეძიებდ უხილავსა მას. და იხილე აწ, თუ სადა არს საში-
ნელი იგი მეფობაჲ ჩემი და სიმრავლე ერისაჲ და სიმჴნე იგი
ახოვანთა მჴედართა ჩემთაჲ, ანუ აურაცხელნი იგი საფასენი ჩემ-
ნი, რომელ შევკრიბენ, რაჲთამცა მოვიდეს და მიჴსნეს მე დღეს
წარმყვანებელისაგან ჩემისა. აწ მეცა გამცნებ, შვილო ჩემო,
ვითარ–იგი პირველ მამცნებდი მე, და გამხილებ, ვითარ–იგი შენ
მამხილებდი, რაჲთა შეურაცხ–ჰყო სოფელი ესე და ყოველი
დიდებაჲ მისი, და ღმერთი მხოლოჲ მოიპოვო, რამეთუ უმჯობეს
არს თავადი იგი, ვიდრე სოფელი ესე სავსებითურთ თჳსით, ხოლო
ლოცვასამცა შენსა ჴსენებულ ვარ, შვილო ჩემო"[61].

გაძრწუნებს. არავის შეუძლია უხრწნელი სამოსლის შემოსვა,
თუკი ჯერ ხორციელი არ მიეცემა ხრწნილებას. მართალი
სულისთვის ისეთივე მტანჯველი და ვიწროა წუთისოფელი
მომავალ მარადიულ სამეფოსთან შედარებით, როგორც
ყრმისთვის – საშო დედის წიაღში, რადგან მის გარეთ ფართო
და ნათელი სამყარო მოელის. ამიტომ ნუღარ სწუხარ და
ამბობ, მრავალი შევცოდე და მცირედი მოვინანიეო. ღვთის
წინაშე შენი მცირე სინანული გადასძლევს შენს დიდ
შეცოდებებს, რადგან უსაზღვროა ღვთის მოწყალება და
მოილხენს შენი სული.

შვილის სიტყვებმა ძლიერ გაახარა და დაამშვიდა აბენეს
მეფე, მწუხარება განეშორა მის გულს და უთხრა იოდასაფს:

– ღმერთმა სიკეთით გადაგიხადოს, შვილო, სასოებისა და
ჩემი შეწევნისათვის, რადგან წარწყმედილი ვიყავი და
მომიძიე, განწირული ვიყავი და მიხსენი, მტერი ვიყავი და
ღმერთს შემარიგე, მკვდარი ვიყავი და გამაცოცხლე. ამას
გიტოვებ მცნებად, შვილო, რომ კვლავაც ერთგულად იარო
უფლის წინაშე და ღვთისმოშიშებაში განლიო შენი დღეები,
სამეფო დიდებამ ღვთის სიყვარულს არ დაგაშოროს, რადგან
ყველაფერი აქ ხილული მხოლოდ აჩრდილია და წარმავალი,
არამედ განუწყვეტლივ ეძიე უხილავი. სადღაა ძლევამოსილი
ჩემი ხელმწიფება და სიმრავლე ერისა, ან ძლიერება და
ახოვანება ჩემი მხედრობისა, ან ჩემს მიერ შეკრებილი
სიმდიდრე, რომ შემეწიონ და მიხსნან დღევანდელ დღეს
სიკვდილისაგან?! ამიტომ დღეს მეც იმასვე გარიგებ, შვილო,
რასაც შენ მარიგებდი უწინ: მოიძულე წუთისოფელი და
ყოველი მისი დიდება განიშორე, მოიძიე ღმერთი და
ერთადერთი ის შეიძინე, რადგან მთელი წუთისოფლის

და [ვითარცა] წარასრულნა აბენეს[62] მეფემან სიტყუანი ესე, ჴმა-ყო ჴმითა დიდითა და აღმოუტევა სული.

64. და წარიღო იოდასაფ გუამი მისი და დადვა გუამთა თანა მორწმუნეთასა არა დიდებით, ვითარცა მეფეთაჲ, არამედ ლიტონად, ვითარცა სხუათა კაცთაჲ. მაშინ იოდასაფ აღიპყრნა ჴელნი და აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად მიმართ და თქუა: „გადიდებ და გმადლობ შენ, ღმერთო და მამაო უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუჲს ქრისტესო, მეუფეო დიდებისაო, დიდო და ძლიერო, მიუწდომელო და გამოუკულეველო, უხილავო და გამოუთქუმელო და გარეშემოუწერელო, დამბადებელო ყოვლისაო, რომელმან არა ჴუებულ-ჰყავ სული ჩემი და მოაქციე მონაჲ ესე შენი შეცთომილი, რომელმან ჟამსა ამას უკუანაჲსკნელსა გიცნა შენ, ღმერთი მაღალი, და აღიარა ძე შენი უწინარეს საუკუნეთა შობილი და ყოვლადწმიდაჲ სული შენი, და ჰრწმენა მას სამწმიდაარსობაჲ შენი. ღირს-ყავ იგი ნათელსა პირისა შენისასა და ადგილსა განსასუენებელსა სუფევისა შენისასა ყოველთა თანა წმიდათა შენთა, რომელთა ყვეს ნებაჲ შენი, და ნუ მოიჴსენებ უშჯულოებათა მისთა პირველთა, არამედ მოწყალებითა შენითა და მრავლითა სახიერებითა შენითა შეუნდვენ შეცოდებანი მისნი და **თანანადები, რომელი თანა-აც ულმრთოებისა მისისათჳს, მიჰმადლე მას**, და წმიდათა მათგან და რჩეულთა მონათა შენთაგან იჴსენ, რომელნი-იგი ცეცხლითა და მახჳლითა აღასრულნა, რამეთუ ყოველივე ძალგიც და ყოველივე შენ მიერ შესაძლებელ არს, გარნა ხოლო არა ძალ-გიც უწყალოებაჲ, რომელნი ცრემლით და სულთქუმით ითხოვდენ შენგან“.

ამას და მრავალსა ესევითარსა ვედრებასა შესწირვიდა ღმრთისა ცრემლითა მამისათჳს მისისა. და მერმე დავარდა პირსა ზედა თჳსსა და დასხნა ჴელნი სამარესა ზედა მამისა თჳსისასა

სავსებას აღემატება იგი. ნურც მე დამივიწყებ, შვილო, არამედ ილოცე ჩემთვის. ეს თქვა მეფემ და სული განუტევა.

64. იოდასაფმა აბენეს მეფის გვამი მორწმუნეთა მახლობლად დაკრძალა, არა გვირგვინოსანთა შესაფერისი პატივითა და დიდებით, არამედ უბრალოდ, მდაბიოთა მსგავსად. შემდეგ ხელები ზეცად აღაპყრო და თქვა:

– გადიდებ და გმადლობ შენ, ღმერთო და მამაო უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესო, მეუფეო დიდებისაო, დიდო და ძლიერო, მიუწვდომელო და გამოუკვლევო, უხილავო და გამოუთქმელო, გარეშემოუწერელო, დამბადებელო ყოვლისაო, რომელმაც არ დატოვე ჩემი სული გულნაკლულად და მოაქციე ეს მონა შენი შეცდომილი, რომელმაც უკანასკნელ ჟამს გცნო შენ, ღმერთი მაღალი, და აღიარა ძე შენი საუკუნეთა უწინარეს შობილი, და ყოვლადწინდა სული შენი, და ირწმუნა სამწმიდაარსობა შენი. ღირსყავი იგი, მეუფეო, შენი დიდების ნათელს და დაამკვიდრე შენს სასუფეველში შენს წმინდანებთან ერთად, რომელთაც ყვეს ნება შენი. და ნუ მოიხსენებ, მეუფეო, მის ურიცხვ შეცოდებებს, არამედ მოწყალებითა და შენი სახიერებით შეუნდე ყოველი შეცოდებანი და უსჯულოებანი, რაც ჩაიდინა მისი უღმერთობის გამო. მიჰმადლე მას წყალობა შენი და იხსენი შენს წმინდა და მართალ მონათა სამართლიანი რისხვისაგან, რომელნიც ცეცხლითა და მახვილით მოსრა, რამეთუ არაა შენთან უწყალოება, არამედ დიდი წყალობა და შემწეობა მათი, რომელნიც ცრემლითა და სულთქმით ითხოვენ შეწევნას შენგან.

ცრემლით ევედრებოდა იოდასაფი ღმერთს მამისათვის, შემდეგ პირქვე დაემხო, ხელები მამის საფლავზე განიპყრო და თქვა:

და თქუა: „ქრისტე ღმერთო, რომელმან დაჰბადე მშობელი ესე ჩემი უწინარეს ჩემსა, და მე დამბადე წყვილთა შინა მისთა, და მახარე თანაყოფითა მისითა, ვიდრემდის გინდა, და შემაწუხე განშორებითა მისითა, ოდეს ინებე. აწ, უფალო, იყავ ამის თანა ნუგეშინისმცემელ უცხოებასა შინა მისსა, და იყავ მცველ და მფარველ შემდგომად მისა ჩემდა. და მიმიძღუ უმჯობესსა ნებასა შენსა, ვითარცა სახიერ ხარ და კეთილისმყოფელ“.

და დაადგრა მუნ ვიდრე მეშჯდედ დღემდე და ლოცვასა ჰყოფდა მისთჯს. და იწყო **უწყალოდ** ჴელისა შეხებაჲ საფასეთაჲ და მისცემდა გლახაკთა და უღონოთა და სნეულთა.

65. და დღესა მერვესა გამოვიდა და ჯდა ერსა შორის ჩუეულებისაებრ თჯსისა და ყოველნი წარჩინებულნი მისნი მის თანა, და თქუა: „აჰა ესერა შეისუენა აბენესე მეფემან, მამამან ჩემმან, ვითარცა ერთმან გლახაკთაგანმან, და ვერვის ჴელეწოფა შეწევნად და ჴსნად მისა, ვერცა მე და ვერცა თქუენ. და დღე ესე ყოველთა ზედა მოიწევის და თქუენ უწყით, რაჲ-იგი იყო წადიერებაჲ ჩემი პირველითგანვე, არამედ ვერ წინააღუდეგ მამასა ჩემსა. და აწ არღარა მაქუს მიზეზი წინაშე ღმრთისა აღთქუმისათჯს ჩემისა, რაჲთა შევერთო რიცხუსა მონაზონთასა და თავს-ვიდვა ცხორებაჲ მათი. ხოლო თქუენ გამოირჩიეთ თავისა თქუენისათჯს მეფე, რომელი გიძღოდის ნებასა შინა ღმრთისასა. და დღეს არცაღა ვინ არს მაცილობელ ჭეშმარიტებისა მადლითა ღმრთისაჲთა და ამას ყოველნი მეცნიერ ხართ“.

– ქრისტე ღმერთო, რომელმაც დაჰბადე მშობელი ჩემი ჩემზე უწინარეს და მეც მის წიაღთაგან დამბადე, რომელმაც სიხარული მომმადლე მასთან ცხოვრებით, ვიდრემდის გსურდა და დამამწუხრე მასთან განშორებით, ოდეს ინებე. აწ, უფალო, გევედრები, ნუგეშისმცემელ ეყავ შენს მონას უცხოებაში და შემდგომად მისა, დამიცევ და დამიფარე მე ცოდვილიც, შემეწიე და მიწინამძღვრე შენს გზაზე, რათა ვყო ნება შენი, რამეთუ სახიერი და კაცთმოყვარე ღმერთი ხარ და შენდა დიდებას აღვავლენთ, მამისა, და ძისა, და სულისა წმიდისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

მეშვიდე დღემდე არ მოშორებია იოდასაფი მამის საფლავს და განუწყვეტლივ ლოცულობდა მისი სულისათვის. შემდეგ კი უხვად გაიღო მოწყალება და უშურველად დაურიგა სიმდიდრე გლახაკებსა და დავრდომილებს.

65. მერვე დღეს გამოვიდა, წესისამებრ, იოდასაფ მეფე ხალხში. თან ახლდნენ წარჩინებულნი და დიდებულები. მიმართა მეფემ ერს:

– აი, განისვენა მამაჩემმაც – აბენეს მეფემ, როგორც ერთმა გლახაკთაგანმა. ვერავინ შეძლო მისი შეწევნა და დახსნა საკვდილისაგან – ვერც მე და ვერც თქვენ. იგივე მოგველის ყველას. თქვენ იცით ჩემი ფარული გულისწადილი. მაგრამ ვერ შევძელი სიცოცხლეში წინ აღვსდგომოდი მამას. ახლა კი აღარაფერი მიშლის ხელს, რომ აღვასრულო ღვთის წინაშე აღთქმული, შევუერთდე მონაზვნებს და თავს ვიდო მათი ცხოვრება. თქვენ კი გამოირჩიეთ თქვენს შორის მეფე, რომელიც ღვთივსათნოდ გაუძღვება ქვეყანას. ღვთის მადლით, დღეს აღარავინ გვყავს მტერი და ჭეშმარიტების მოწინააღმდეგე, და ეს თქვენც ყველამ კარგად იცით.

ხოლო ერსა მას ვითარცა ესმა ესე, ყოველნივე იგი აღდგეს და ჴმა-ყვეს ჴმითა დიდითა: „ნუ იყოფინ ეგე, მეფე, და ნუცა ასმენ სასმენელთა ჩუენთა ეგევითარსა მაგას, რამეთუ ვიდრე ჩუენ ყოველნი არა მოვსწყდეთ, არა იყოს ესე“.

და განძლიერდებოდეს ჴმანი მათნი, ვიდრემდე შფოთიცა აღ-დგებოდა ქალაქსა შინა ჴმისაგან მათისა.

ხოლო იოდასაფ ვითარცა იხილა, ვითარმედ არა ნება-სცემენ, ღონისძიებით ფარულად განიზრახა განსლვაჲ. და მოიყვანა კაცი იგი, რომელი პირველად მოვიჴსენეთ, რომელი შეწევნად განმზადებულ იყო ბალაჰვარისა დღესა მას, რაჟამს იგი მეფე სიტყუა-უგებდა ნაქორს, რომელი-იგი საგონებელ იყო, ვითარ-მედ ბალაჰვარ არს იგი. რამეთუ კაცი ესე იყო ნათესავი მათი სახლისაგან სამეუფოჲსა და სახელი მისი ბარაქია, და ჰრქუა მას: „ყოველი კაცი დღისა ჭირისათჳს მოიგის კაცმან, და შენ ნათესავი ჩემი ხარ, და მე გაუწყებ საქმესა ჩემსა და საიდუმლოსა და საქმესაცა დიდსა მოგატყუებ, უფალსა თუ უნდეს. აწ მიიღე ჴელითწერილი ჩემგან ერისა მიმართ და მთავართა ჩუენთა მეფობისათჳს შენისა, და მე განვიდე ძმათა ჩემთა თანა და მათ თანა ვჰმონებდე ქრისტესა ღმერთსა. და უკუეთუ არა ჰყო ესე შენ ჩემ თანა, არა იყო ნათესავი ჩემი“.

მიუგო ბარაქია და ჰრქუა მას: „არა მართალ ჰსაჯე, მეფე, რამეთუ წერილ არს: „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი“[63]. ხოლო შენ აღირჩიე უმჯობესი თავისა შენისაჲ და ჩემი გნებავს წარწყმედაჲ. და უკუეთუ კეთილ არს მეფობაჲ, რაჲსა არა დაადგრები შენ? რამეთუ ვითარცა შვილი რაჲ წარსტირნ დედასა, ეგრეთ ტირან წინაშე შენსა ყოველნი სამწყსონი შენნი. ხოლო

მაშინ ყველანი წამოიშალნენ და ერთსულოვნად შესძახეს მბრძანებელს:

– ნუმც მოხდება ეს, მეფევ! მსგავს რამეს ნუღარც მოისმენს ჩვენი ყურები. რადგან ვიდრე ცოცხლები ვართ, არ დავუშ-ვებთ ამას.

შეკრებილნი უფრო და უფრო ხმამაღლა გამოხატავდნენ უკმაყოფილებას, ისე რომ, მალე მთელი ქალაქი შფოთმა მოიცვა.

რაკი იოდასაფმა შეიტყო, რომ ნებით არ დასთანხმდე-ბოდნენ მის გადაწყვეტილებას, ფარულად განიზრახა სამე-ფოს დატოვება. თავისთან მოიხმო ბარაქია – კაცი ერთგული და სანდო, სწორედ ის, რომელმაც ცრუ ბალავართან – ნაქორთან სიტყვისგებისას დახმარება შესთავაზა უფლის-წულს, ამასთან, ბარაქია სამეფო სახლის ჩამომავალიც იყო. და უთხრა მას:

– კაცს განსაცდელში სჭირდება სხვისი დახმარება. თანაც, შენ ჩემი გვარისა ხარ, – სამეფო სახლის შთამომავალი, ამიტომაც შენ გაგიმჟღავნებ საიდუმლოს, და თუ უფალი ინებებს, მსურს, შენვე მოგანდო ერთი მეტად საპასუხისმ-გებლო საქმე, – ჩაიბარე წერილი, რომელიც მთელი ერისა და მთავრებისათვის არის ჩემივე ხელით დაწერილი და შენს გამეფებას აუწყებს მათ. მე კი მოღვაწე მონაზვნებს მსურს შევუერთდე და მათთან ერთად ვემსახურო ქრისტეს. ხოლო თუ უარს მეტყვი და არ შემისრულებ ამ თხოვნას, ნუღარ ჩათვლი თავს ჩემს ახლობლად.

მიუგო ბარაქიამ პასუხად:

– უსამართლოდ სჯი, მეფევ, რადგან დაწერილია: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (მთ. 22:39). შენ კი შენთვის უმჯობესს ირჩევ და მე დაღუპვას მიქადი, რადგან თუკი მეფობა საწადელია, თავად რატომ გაურბიხარ მას?! თანაც, ნუთუ ვერ ხედავ, რომ მთელი ერი – სამწყსო შენი –

უკუეთუ უმჯობეს არს დატევებაჲ მისი და ძიებაჲ საუკუნოჲსაჲ, რაჲსა აღირჩევ თავისა შენისასა და შთამაგდებ მე წარსაწყმედელსა, და წარწყმედითა ჩემითა გნებავს ცხორებაჲ შენი?! არამედ ორნივე გუალე და წარვიდეთ!“

66. ხოლო იოდასაფს ვითარცა ესმნეს სიტყუანი ბარაქიაჲსნი, ემხილა სამართალი საშჯელი მის მიერ და არღარაჲ მიუგო, და აღდგა ღამესა ერთსა და წარვიდა, და ჴელითწერილი დაუტევა საგებელთა თჳსთა ზედა ერისა მიმართ, რომელსა შინა წერილ იყო, ვითარმედ: „ბარაქია ღირს არს მეფედ, იგი დაადგინეთ“. და ამის ჯერისათჳს ყო ესე, რაჲთა არა შფოთი იქმნეს ერსა შორის მეფობასა ზედა.

ხოლო ბარაქია იგრძნა, რაჲ-იგი ეგულებოდა იოდასაფს ყოფად, ოდეს-იგი არღარა მისცა პასუხი სიტყჳსა მისისაჲ, განვიდა და შეიკრიბნა მთავარნი და შერაცხილნი და უთხრა, რაჲ-იგი ჰრქუა იოდასაფ, და ამხილა, ვითარმედ ეგულების იდუმალ წარსლვაჲ. ხოლო იგინი მსწრაფლ აღდგეს და დევნა-უყვეს მრავალთა გზათა. და პოვეს ნეტარი იგი ერთსა შინა ჴევსა, რამეთუ განეპყრნეს ჴელნი თჳსნი ჯუარისსახედ და ილოცვიდა ღმრთისა მიმართ. და ვითარცა იხილნა მიმავალნი მის ზედა, ჰრქუა მათ: „რაჲსათჳს აშრომებთ თავთა თქუენთა, და მე არღარა ვარ ამიერითგან მეფე თქუენი“.

ხოლო კაცთა მათ შეაქციეს იგი არა ნეფსით, არამედ ტირილითა, და დაალტობდეს ცრემლითა ფერჴთა მისთა. და ვითარ მოიყვანეს ქალაქად თჳსად, მაშინ შემოკრბა ყოველი ერი,

იმგვარად მოგტირის, როგორც შვილი, რომელსაც დედა მიატოვებს?! ხოლო თუ მათი დატოვება მარადიულის სანაცვლოდ მეტი მადლია, როგორც შენ ფიქრობ, მაშ, ნუთუ ჩემი წარწყმედით გსურს შენი ცხონება? სჯობს, ერთად წავიდეთ აქედან.

66. სამართლიანად ეჩვენა იოდასაფს ბარაქიას მსჯელობა, მხილებული იქნა მისი სიტყვებით, ამიტომ აღარაფერი მიუგო.

ერთ ღამესაც სამეფოდან გაიპარა, ერისა და ერისთავებისათვის კი საკუთარი ხელით დაწერილი წერილი დატოვა. წერილში ეწერა, რომ ბარაქია ღირსი იყო მეფობის და იგი დაედგინათ მეფედ. ესეც იმიტომ მოიმოქმედა, რომ სამეფო ტახტისთვის შფოთი არ ატეხილიყო ქვეყანაში.

ხოლო ბარაქიამ როცა მეფისგან თავის ნათქვამზე პასუხი ვერ მიიღო, მაშინვე გულისხმაყო, რომ უფლისწულს სხვა რამ განეზრახა. სასწრაფოდ შეკრიბა მთავარნი და წარჩინებულნი და მათ გაუმჟღავნა იოდასაფის მალულად გაპარვის სურვილი. ახლა კი, როცა მართლაც გაიპარა მეფე, სასწრაფოდ ყველა მხრივ ხალხი დაადევნეს...

ერთ ხევში მიაგნეს ნეტარ იოდასაფს, ხელები ჯვრის სახედ განეპყრო და ღვთის მიმართ გულმხურვალედ ლოცულობდა. მისკენ მიმავალი ხალხი რომ შენიშნა, მიუბრუნდა მათ და ამგვარად მიმართა:

– რატომ იწვალებთ თავს? ამიერიდან აღარა ვარ თქვენი მეფე.

წარგზავნილებმა უკან დააბრუნეს იოდასაფი, მაგრამ არა მისი თანხმობით! – არამედ მათი ცრემლებით, რომლითაც ალტობდნენ მის ფეხებს.

დიდითგან ვიდრე მცირემდე, და დედებიცა და ყრმებიცა, და გარემოადგეს მას და ევედრებოდეს ტირილითა და ეტყოდეს: „სისხლნი ჩუენნი შენგან იძიენ (ღმერთმან). და უკუეთუ არა დაადგრე ჩუენ თანა, კუალად აღვჰმართნეთ კერპნი, და შენ მიეც სიტყუაჲ ღმერთსა“.

ხოლო იოდასაფ ჰრქუა მათ: „ქრისტემან, რომელმან გიჴსნნა მწუხარებისაგან უგუნურებისა და გიჩუენა ნათელი ჭეშმარიტი ღმრთისმეცნიერებისაჲ, მანვე იღუაწოს დამტკიცებაჲ თქუენი, ხოლო მე გიჩუენო, რაჲ-იგი ჯერ-არს, და თქუენ შეიწყნარეთ და ნაყოფი შრომისა ჩემისაჲ გიჭამიეს. ამიერითგან არღარაჲ თანა-მაც, სიტყჳსაებრ წმიდისა პავლე მოციქულისა, რამეთუ სრბაჲ ჩემი აღმისრულებიეს^64, და აწ მოცალებაჲ ჯერ-არს ჩემდა“.

და განაგრძვეს საქმე ესე ვიდრე მეშჳდედ დღედმდე. მერმე ფიცით იწყო იოდასაფ, ვითარმედ არა დაადგრეს, არამედ განვიდეს უდაბნოდ.

ხოლო ერსა მას ვითარცა ესმა ფიცი მისი, ცნეს, რამეთუ არ-ღარაჲ ერგების, რამეთუ იცოდეს დამტკიცებაჲ მისი, უკუეთუ რაჲმე აღუთქჳს. მაშინ ტირილით ყოველნი იგი მოვიდოდეს და შეუვრდებოდეს ფერჴთა მისთა და ამბორს-უყოფდეს და ჰკითხეს მეფობისათჳს. ხოლო მან ჰრქუა მათ: „ბარაქია ჯერ-არს მეფედ თქუენდა“.

ხოლო ბარაქია იწყო ტირილად და არა უნდა ყოფად ესე, არ-ამედ ვერღარა შემძლებელ იყო წინააღდგომად ერისა და უფროჲსღა იოდასაფისა. ხოლო იოდასაფ მოიღო ბეჭედი იგი სამეფოჲ და შეაცუა ჴელსა ბარაქიაჲსსა და აღიხილნა თუალნი ზეცად წინაშე ყოვლისა ერისა და თქუა: „შენ, უფალო იესუ ქრისტე, რომელი გარდამოჰჴედ წიაღთაგან მამისათა

სამეფო ქალაქში შესულთ მთელი ერი შეეგებათ, მეფის წინ შეიკრიბნენ დიდებიცა და პატარებიც, ქალებიცა და ბავშვებიც, გარს შემოეხვივნენ და ტირილით ევედრებიდნენ:

– ჩვენ სისხლს შენგან იძიებს ღმერთი, თუ არ დარჩები ჩვენთან, კვლავ აღვმართავთ კერპებს და ამის გამო შენ აგებ პასუხს ღვთის წინაშე.

იოდასაფმა მიუგო:

– ქრისტე, რომელმაც გიხსნათ უგუნურებისა და სასოწარკვეთილებისაგან, და გამოგიჩინათ თავისი მცნებების ნათელი, თვითონვე განგამტკიცებთ და სრულგყოფთ რწმენაში. მე უკვე გიჩვენეთ მაგალითი, როგორ უნდა მოქცეულიყავით, თქვენც შეიწყნარეთ ჭეშმარიტება და იგემეთ ჩემი შრომის ნაყოფი. ამიერიდან აღარაფრით ვარ დავალებული თქვენგან, რადგან, როგორც პავლე მოციქული ამბობს, „კეთილად ვიღვაწე და განვვლე ასპარეზი“ (II ტიმ. 4:7). ახლა კი შემიძლია დავისვენო თქვენგან.

ასე გაგრძელდა შვიდი დღე. მერვე დღეს იოდასაფმა დაიფიცა, რომ არ დასთანხმდებოდა მეფობაზე და რომ აუცილებლად უდაბნოში წავიდოდა.

იოდასაფის ფიცმა ხალხი დაარწმუნა, რომ ამაო იყო მათი მცდელობა, მეფობაზე დაეყოლებინათ იგი. ყველამ იცოდა მისი ხასიათის სიმტკიცე, – რასაც იტყოდა, შეასრულებდა კიდეც. მაშინ სათითაოდ თაყვანი სცეს მეფეს და ჰკითხეს, თუ ვინ იქნებოდა მის შემდგომ მათი მეფე? იოდასაფმა კი მიუგო:

– ჯერ არს გაამეფოთ ბარაქია.

ბარაქია ატირდა. არ სურდა დათანხმება, მაგრამ ხალხის ნება-სურვილს წინ ვეღარ აღუდგა, უფრო მეტად კი იოდასაფს ვერ შეჰკადრა უარი. მაშინ სამეფო ბეჭედი აიღო იოდასაფმა და ხელზე გაუკეთა ბარაქიას. შემდეგ ზეცას მიაპყრო მზერა და ყველას გასაგონად წარმოთქვა:

განუშორებელად და კაც-იქმენ ჩუენ კაცთათჳს და „ხატი მონებისაჲ შეიმოსე“[65] უქორწინებელისაგან სძლისა და იჴსნენ კაცნი მონებისაგან ეშმაკისა, გაქებ და გადიდებ შენ, უფალო კაცთმოყუარეო, ვითარცა მიჴსენ მე, მონაჲ ესე შენი უღირსი, და მომეც მე გულისჴმისყოფაჲ ცნობისა შენისაჲ და არა ნაკლულევან-ჰყავ სული ჩემი სიხარულისაგან მოქცევისათჳს მამისა ჩემისა და მომეც ძალი, რომლითა იდიდების სახელი წმიდაჲ შენი, აწცა აჩუენე კაცთმოყუარებაჲ შენი და შეეწიე ბარაქიას, ძმასა ამას ჩემსა, რაჲთა ღირსად და სათნოდ ვიდოდის წინაშე შენსა, და რაჲთა სიყუარულითა შენითა ვიდოდის წინაშე პირისა ყოვლისა ერისასა“.

ესევითარი ვედრებაჲ განამრავლა ღმრთისა მიმართ და ჴელნი მისნი დაესხნეს მჴართა ზედა ბარაქიაჲსთა. და მერმე მიექცა და ჰრქუა ბარაქიას: „აჰა ესერა გამცნებ ბარაქია და მიგცემ აღთქუმასა წინაშე ღმრთისა და ყოვლისა ერისა, ნუმცა ბრალეულ ვარ საქმითა შენითა, რამეთუ ვითარცა უწინარეს ჩემსა იცან ღმერთი და ჰმონებდი მას სულითა მით უსიტყუელითა, აწცა უფროჲს ჩემსა იღუაწე, რაჲთა აჩუენო ღმერთსა სათნოებაჲ შენი სრული. ნუ ვისთჳს ძჳრსა-იჴსენებ, ნუცა ავლინებ სიტყუათა შენთა, გარნა საღმრთოთა მიმართ ზრუნვათა; ნუცა ჰყვები ჟამთა ქცეულებასა, ნუცა განაპებ შჯულსა ქრისტესსა, ნუმცა წარიტყუენვის გონებაჲ შენი სიმაღლითა საყდართა შენ-თაჲთა, ნუცა ვის ესავ შემწედ შენდა, გარნა მხოლოსა ღმერთსა.

ნუ აჰმაღლდები, უკუეთუ მოიღო ღმრთისაგან საწადელი შენი, ნუცა განჰმარტებ ჴელსა შენსა გულისთქუმითა, რომელი არა შენი იყოს. ნუცა მოუძლურდები საწადელსა შინა ღმრთისასა, ნუცა განჰბჭობ რას თჳნიერ სამართლისა საშჯელისა, ნუცა მიიღებ ძღუენსა უსამართლოსა ზედა ბჭობასა,

– უფალო იესო ქრისტე, რომელიც გარდამოხედ ზეცით მამის წიაღიდან მამასთან განუშორებელად და განკაცდი ჩვენთვის, ხორცი შეიმოსე მარიამისაგან ქალწულისა და ეშმაკის მონობისაგან გვიხსენი, გაქებ და გადიდებ შენ, მეუფეო კაცთმოყვარეო, ვითარცა მიხსენი მე, უღირსი მონა შენი და მომმადლე გონება შენს შესაცნობად, რომელმაც სრულყავი ჩემი სიხარული მამის მოქცევით და მომეცი ძალა, რომ მედიდებინა შენი წმიდა სახელი, აწცა, მეუფეო, გამოაჩინე კაცთმოყვარება შენი და შეეწიე ბარაქიას, ჩემს ძმას, რათა ღირსად და სათნოდ ვიდოდეს შენს წინაშე და შენდამი სიყვარულით წარუძღვეს მთელ ერსაც.

კიდევ დიდხანს ლოცულობდა ღვთის წინაშე იოდასაფი, შემდეგ მხარზე ხელი დაადო ბარაქიას და მიმართა:

– ღვთისა და ერის წინაშე ამას გამცნებ და მოვითხოვ შენგან, ბარაქია, რათა ბრალი არ მქონდეს ღვთის წინაშე. და როგორც ჩემზე უწინ იცანი ღმერთი და უსიტყვოდ ემსახურებოდი მას შენს გულში, მით უფრო ახლა, ჩემზე მეტად იღვაწე, რათა უფრო მეტად სათნოეყო ღმერთს. ბოროტად ნურავის მოიხსენებ, ნურც მოიძაგებ, ღვთის მოსაწონად წარმართე შენი გონება, დროის ცვალებადობას ნუ სდევ, განხეთქილებას ნუ შეიტან ქრისტეს რწმენაში, ნუ მოიხიბლება შენი გონება სამეფო ტახტის სიმაღლე-სიდიადით, რათა გონება არ დაიმონოს პატივმა. ღვთის გარდა ნურავისზე იქნები დაიმედებული.

თუკი ღმერთი საწადელს აგისრულებს, ნუ გაამაყდები. გულისთქმით ხელს ნუ შეავლებ, რაც არ გეკუთვნის, ნუ დაიზარებ იმის გაკეთებას, რაც ღვთისათვის სათნო იქნება და უფლის მსახურებაში ნუ შეორგულდები, უჯეროდ ნურავის გაასამართლებ, უსამართლო გადაწვეტილებებისათვის ძღვენს ნუ მიიღებ, ნუ უგულებელყოფ ბოროტმოქმედის თხოვნასაც კი, თუკი სვეგამწარებული შემწეობას ითხოვს შენგან, ხორცის

[ნუ] დაჰ§სნი უკეთურთა, თუ ვინმე მოიქცეოდიან, მძიმითა ულლითა, ნუცა დაამონებ გონებასა შენსა §ორცთა შენთა, ნუ უტეობ ენასა შენსა თ§ნიერ ხარტუკისა, ნუცა განიხარებ ჭირსა ზედა მტერისასა, დაღაცათუ იყოს იგი უკეთურ.

ნუცამცა განცოფნების გონებაჲ შენი რისხვასა შინა შენსა. ნუ ვის მიჰხედავ თუალითა ზაკულითა, ნუცა ვის მოიძულებ თ§ნიერ სამართლისა. ნუცა ვის ბოროტსა მიაგებ თავისა შენისათ§ს, გარნა შურისათ§ს საღმრთოჲსა. ნუცა ცარიელსა მიაქცევ გლახაკსა კარისაგან შენისა. ნუ განუტეობ გონებასა წყურიელსა სიტყ§თა ზეგარდამოჲთა.

ამას გამცნებ წინაშე ღმრთისა, უკუეთუ დაიმარხო, სცხონდე, და უკუეთუ თანაწარჰ§დე, ღმერთი იყავნ მიმ§დელ აღნათქუემისა შენისა. ხოლო სარწმუნო არს ღმერთი, რომელმან არა განგიხილოს უფროჲს ძალისა შენისა“.

და მერმე ჰრქუა: „იყავნ ღმერთი უფალი იესუ ქრისტე დასაბამ ყოვლისა საქმისა შენისა და იგივე დასასრულ[66]. გამოიცადე ყოველი და გამოირჩიე უმ§ჯობესი[67]. ბოროტ არს სიგლახაკე უთმინოებით და უბოროტეს არს სიმდიდრე განლაღებით. ეძიებდი კეთილსა ღმრთისაგან, რამეთუ იგი თავადი არს ყოვლადვე კეთილი. კრულ–ყავ ყოველი გუამი შენი და მოიკრძალე შიშითა ღმრთისაჲთა. აღ§რ–ასხენ გულისთქუმასა შენსა, რაჲთა არა გარეშე გონებისა განჰვარდე. იყავნ მეცნიერებაჲ შენი გონიერებით, რაჲთა არა შთაჰვარდე სილა(ღე)სა, იყავნ სწავლულებაჲ შენი სანთელ ცხორებისა შენისა და ნუ ჰგონებ თავსა შენსა თ§ნიერ, რაჲ–იგი ხარ. [გ]ანიხილე ყოველი და იქმოდე, რომელი–იგი §ერ–არს. უცხოდ ჰხედავ თავსა შენსა და უცხოთა შეიწყნარებდი. მოიახლე საკ§დომი მოშიშთა ღმრთისათაჲ და განეშორე „საკ§დომელსა უშ§ულოთასა“[68]. ნუ იხარებ ჭირსა ზედა მოყუსისასა, ნუუკუე მოშურნე და

მონად ნუ აქცევ გონებას, „დააცხრე შენი ენა ბოროტ-მეტყველებისაგან და ბაგენი შენი – ცბიერი სიტყვებისაგან“, მტრის უბედურებით ნუ გაიხარებ, თუნდაც უკეთური იყოს იგი.

ნუ გააგიჟებ შენს გონებას მრისხანებით, მზაკვრული თვალით ნურავის შეხედავ, უსამართლოდ ნურავის მოიძულებ, ნურც ნურავის მიაგებ ბოროტს შენს გამო, არამედ მხოლოდ საღვთო რწმენისათვის. უარს ნუ ეტყვი ზეციურ სიტყვათა მოწყურებულ გონებას.

ამას გამცნებ ღვთის წინაშე და თუკი შეასრულებ მათ, ცხონდები, ხოლო თუ თავს აარიდებ და გადაუხვევ ამ დარიგებებიდან, ღვთის წინაშე აგებ პასუხს. სარწმუნოა ღვთის სიტყვა, რომ ღმერთი იმაზე მეტს არ მოითხოვს შენგან, რაც შენს ძალ-ღონეს აღემატება.

და შემდეგ უთხრა:

- უფალი იესო ქრისტე იყოს შენი შემწე ყოველ შენს საქმეში – დასაბამიდან უკუნისამდე. ყველაფერი გამოსცადე და კეთილს ჩაეჭიდე. როცა სიღარიბეს არ ითმენ – ბოროტებაა, მაგრამ უფრო დიდი ბოროტებაა სიმდიდრით განლაღება. ღმერთში ეძიე სიკეთე, რადგან მხოლოდ იგია ყოვლადკეთილი. მოიძულე ხორცი და ღვთის შიში იქონიე. აღვირი ამოსდე შენს გულისთქმებს, რათა საღი განსჯის უნარი არ დაკარგო. ცოდნა შენი იყოს შეგნებული, რათა არ გაამპარტავნდე, დაე, ცოდნა მანათობელი იყოს ცხოვრების, და ნუ შეიქმნი საკუთარ თავზე იმაზე დიდ წარმოდგენას, ვიდრე სანამდვილეში ხარ. ყველაფერი აწონ-დაწონე და რაც საჭირო იქნება, ის გააკეთე. მწირად ჩათვალე შენი თავი ამ წუთისოფელში და სხვა მწირებსაც შეეწიე. მორწმუნეთა კრებულში დაჯექი, ხოლო ურჯულოთა შესაკრებელს განეშორე. ნუ გაიხარებ მოყვასის გასაჭირით, რადგან ამით მტერსა და შურისმგებელს შეიძენ. ეცადე, სრულად გადასცე

მომცხრომელ იპოვო, და უფროჲსღა წარიწირე თავი თჳსი ღმრთისათჳს ვიდრე სიკუდილამდე. უკუეთუ ესე დაიმარხო, აცხოვნო თავი შენი და ერი შენი, და ვითარცა მსხუერპლნი სულიერნი მიუპყრენ იგინი ღმერთსა და იგი თავადი ქრისტე მზრუნველ და განმგებელ გექმნეს ყოველთა ზედა საქმეთა შენთა.

უკუეთუ იცი, ვითარმედ უცოდველ ხარ წინაშე ღმრთისა, ნუ შეუნდობ შეცოდებასა კაცთასა; ხოლო უკუეთუ კულა იცი, ვითარმედ განიკითხვი, შენცა თანა-გაც მიტევებაჲ. ვითარცა ვაჭარმან ახლადმომცემელმან წარიძღუანე მოწყალებაჲ, რამეთუ ღმერთი მოწყალებისა წილ მოწყალებასა მიაგებს. არავის მიეცემის უფროჲს, **რომელი-იგი გონებასა აქუს**. და შენვე რას შემძლებელ ხარ წარძღუანებად უფროჲს მოწყალებისა! ამისთჳს მისცემდ გლახაკსა მისაცემელსა. იყავნ სოფელი ესე სავაჭრო შენდა და უკუეთუ ჰვაჭრობდე, შეიძინო, რამეთუ მცირედ მისცემ და ფრიად გამოგაქუს, წარმავალსა წარაგებ და წარუვალსა მოიგებ. ხოლო უკუეთუ აქა არა იღუაწო, თანაწარჰვალ სავაჭროსა, რამეთუ წარმატებაჲ კეთილისაჲ უმჯობეს არს, ვიდრე დაკლებაჲ მისი.

ამაღლდებოდე გონებითა და ნუ გულისსიტყჳთა, რამეთუ ერთი იგი აღამაღლებს ღმრთისა, ხოლო მეორე იგი დააკუეთებს ქუესკნელად, რამეთუ დაღაცათუ ვინმე ჰგონებდეს სრულყოფასა, იგი ქუემოღა არს მცნებათა ქრისტესთა. უმჯობეს არს სმენაჲ უშუერისაჲ, ვიდრეღა თჳთ იტყოდი. ნუ მიენდვები დაყუდებით სლვასა ნავისა შენისასა, ვიდრემდის მიიწიო ნავთსადგურსა, რამეთუ მრავალთა დაექცა ნავი დაყუდებასა შინა და მრავალნი თანაწარჰჴდეს მშჳდობით აღტეხასა ღელვათასა და საშინელთაგან ნიავქართა[69]. ნუ გულპყრობილ იქმნები ფრიად და ნუცა სასოწარკუეთილ იქმნები ფრიად. განყიდე ყოველი მონაგები შენი და მოიყიდე ქრისტე ღმერთი უსასყიდლოჲ, რამეთუ მონაგები იგი მცირედჟამ შენი არს, ხოლო უკუეთუ ყოვლისა მიცემაჲ გიმძიმდეს, ზოგი მიეც. მოჰპარე მღილსა და მპარავსა და

შენი თავი ღმერთს და მიენდო მას თვით სიკვდილამდე. თუკი ამ ყველაფერს შეასრულებ, შენც ცხონდები და შენი ერიც, რადგან ერის სახით სულიერ მსხვერპლს შესწირავ ღმერთს და თავად უფალი იქნება შენი შემწე ყოველ საქმეში.

თუკი უეჭველად იცი, რომ უცოდველი ხარ ღვთის წინაშე, ნუ მიუტევებ სხვას მის შეცოდებას; მაგრამ თუ იცი, რომ პასუხს აგებ ღვთის წინაშე, მაშინ შენც უნდა მიუტევო მას. ემსგავსე ვაჭარს, რომელიც უშურველად გასცემს სიმდიდრეს მეტის შესაძენად. შენც ასევე, გაეცი მოწყალება, რადგან ღმერთი მოწყალების წილ უხვად მოგაგებს სანაცვლოს. ყველა იმას იღებს, რაც გულით სურს, და რა არის ღვთის წყალობაზე მეტად სასურველი?! ამისათვის კი თავად უნდა გაიღო მოწყალება. ეს სოფელი სავაჭრო სახლი უნდა იყოს შენთვის. თუკი ივაჭრებ, შეიძენ, – მცირედს გასცემ და ბევრს მოიხვეჭ, წარმავალს გაყიდი და წარუვალს მოიყიდი, ხოლო თუ აქ არ იშრომებ, უსასყიდლოდ დარჩები, სჯობს სიკეთის დაუნჯება, ვიდრე გაფლანგვა.

აღამაღლე შენი გონება, და არა გულისთქმები, რადგან პირველი ღმერთს მიგაახლებს, მეორე კი ქვესკნელად დაგაკვეთებს, რადგან თუ ვინმეს თავი სრულყოფილი ჰგონია, ის ღვთის მცნებებს არ ასრულებს. სჯობს სისაძაგლის მოსმენა, ვიდრე თავად გამოთქვა იგი. ნავს მჯდომი ნუ იქნები გულდამშვიდებული და დაწყნარებული, ვიდრე ნავსაყუდელს არ მიაღწევ, რადგან გულგრილობასა და გულდამშვიდებაში მრავალს დაემსხვრა ნავი, მაგრამ ბევრიც მშვიდობით გადაურჩა ზღვაზე აღმდგარ ღელვასა და ქარიშხალს. გულდამშვიდებული და თავდაჯერებული ნუ იქნები, მაგრამ ნურც სასოწარკვეთილებაში ჩავარდები. გაყიდე მთელი შენი მონაგები და ქრისტე შეიძინე, რადგან წუთისოფლის სიმდიდრე მხოლოდ ხანმოკლე დროით ეკუთვნის ადამიანებს. თუ ყველაფრის გაცემა გიჭირს, გაეცი ნახევარი. მოჰპარე

მოვალე-ყავ მით ღმერთი, რამეთუ უმეტესი მოგაგოს, კოტრი-თა და ნაძუელავითა მოიღე ქებაჲ ღმრთისაგან. არავინ არს უდასტურეს კაცისა მთხოველისა, რამეთუ არავინ აქუს, გარ[ნ]ა ღმერთი, ამისთჳს მოიყიდე იგი წყალობითა. ნუ გრცხუენის, უკუეთუ ვინმე გრქუას: "ძეო უკეთურისაო", არამედ გრცხუენოდენ, თუ ვინმე გრქუას: "უკეთურროო", რამეთუ უმჯობეს არს, უკუეთუ თჳთ იყოს სახიერი, ვიდრე ძე იყოს სახიერისაჲ, და თჳთ იყოს უკეთურ, - ესე ვნება არს.

იყავ ყოვლისა კაცისათჳს და ყოვლისა ერისათჳს, ვითარცა გნებავს ყოფაჲ მათი შენთჳს; ეკრძალე მეგობართა ცრუთა, რამეთუ იგი არს მეგობარი სარწმუნოჲ, რომელი არა ჭიქამან მოიგოს, არამედ გამოცდილებამან ჟამთა შინა, რომელი არა მას გეტყოდის, რომელი შენ გაშუნდეს, არამედ რომელი-იგი სულსა გერგებოდის შენ და ერსა შენსა. ესევითარსა ნუ ვინ ესწორებინ შენ თანა, და სიყუარულისა მისისაჲ ნუმცა არს დასასრულ გულსა შინა შენსა, რამეთუ თქუმულ არს: „სახარკოსა ხარკი, საზუერესა ზუერი და **მოვალესა** ფასი მისი".[70]

ხოლო სიყუარულსა არა აქუს საზღვარი, რამეთუ თუალსა უჴმს თუალი, რომელი-იგი ყოველსავე ჰხედავს და თავსა თჳსსა ვერ ჰხედავს, ეგრეთვე ჴელსა – ჴელი და ფერჴსა – ფერჴი, და მეფესა უჴმს სარწმუნოჲ თანამზრახვალი. ამისთჳს ყოველსავე შინა იჴუმიე განკითხვაჲ, ვითარ-იგი მე განვიკითხე ბალაჰვარის მიერ, რამეთუ არარაჲ ჴორციელი მომცა მცნებაჲ, არამედ სულიერისა მიერ მცნებისა მომე(მადლა) [ღმრთ]ისაგან განგებაჲ ჴორციელიცა, ვითარცა-ესე ჰხედავ. აწ ეგრეცა მე მიგცემ პირველად სულიერსა და მერმეღა მშუმინვიერსა. ხოლო უკუეთუ სული იგი უშუერისა მაწუეველი მოიწიოს შენ ზედა, თქუ გონებასა შინა შენსა, ვითარმედ: "ესე ყოველსა კაცსა უცნობიეს", და მერმე თავისაგანცა შენისა გრცხუენოდ(ენ),

ჩრჩილსა და ქურდს და ამით გახადე შენ მოვალედ ღმერთი, რომელიც უფრო მეტს მოგცემს. ნახევითა და ძველი სამოსლით მოიღე ღვთისაგან ქება. არავინაა გლახაკზე უერთგულესი და სანდო, რადგან არაფერი გააჩნია ღვთის გარდა, ამიტომ დაიახლოვე იგი მოწყალებით. ნუ შეგრცხვება, თუკი ვინმე გეტყვის: – „ძეო უკეთურისაო!" არამედ გრცხვენოდეს, თუკი გეტყვიან „უკეთუროო"! რადგან უმჯობესია შენ თვითონ იყო კეთილი, ვიდრე კეთილის ძე, მაგრამ თავად უკეთური.

თითოეულ კაცსა და მთელ ხალხს მოექეცი, როგორც თავად გინდა, რომ გექცეოდნენ. ერიდე ცრუ მეგობრებს, – ჭეშმარიტი მეგობრობა ის კი არ არის, რომელიც ჭიქით შეიძინება, არამედ ის, რომელიც დროით გამოიცდება. ჭეშმარიტი მეგობარი არ ითვალთმაქცებს შენს წინაშე და არ გეტყვის იმას, რაც შენ გესიამოვნება, არამედ იმას, რაც შენი სულისთვის და ქვეყნისთვის იქნება სასარგებლო. ასეთი მეგობარი ძვირფასი განძია და ნუ შეორგულდება შენი გული მის მიმართ უკუნისამდე, რადგან თქმულა: ხარკის ამკრეფს-ხარკი, მებაჟეს-ბაჟი, მევალეს კი - ვალიო. (რომ. 13:7).

სიყვარული უსაზღვროა. როგორც თვალი საჭიროებს თვალს, რადგან ყველაფერს ხედავს, საკუთარ თავს კი – ვერა, ხელი ხელს საჭიროებს, ფეხი კი – ფეხს, ასევე მეფე საჭიროებს ერთგულ მრჩეველს. ამიტომ ყოველ საქმეში იყოლიე იმგვარი მრჩეველი, როგორიც მე მყავდა ბალავარის სახით. მას ჩემთვის არ მოუცია მიწიერი რჩევები, მაგრამ სულიერი დარიგებებით უფრო მეტად დამეხმარა, რადგან, როგორც ხედავ, სწორედ მისი სულიერი რჩევებით მომემადლა ღვთისგან მიწიერ საქმეთა გაძღოლის უნარიც. სწორედ ამიტომ მეც, პირველ რიგში, სულიერ რჩევებს გაძლევ და შემდეგ – მიწიერს. თუკი უმსგავსოებისა და ბიწიერების სული აღდგება შენზე, გულში გაიხსენე, რომ არაფერი დაიფარება და ყველასთვის ცნობილი გახდება შენი ზრახვები,

რამეთუ არა ქელ-ეწიფების მიქცევად გზისაგან სიმართლისა, გარნათუ დასნეულებულ იყოს ვინმე სულითა დავიწყებისა ღმრთისაჲთა. ვიდრემდის კაცი ცოდავს ცოდვასა საკურნებელად, შესაძლებელ არნ იგი ქელოვნებითა მკურნალთაჲთა, და განიკურნის შეწევნითა ზეგარდამოჲთა, ხოლო რაჟამს გარდაჰმატის სენმან წამალსა, ჯერ არნ მოკუეთაჲ ასოჲსაჲ მის განრყუნილისაჲ და განგდებაჲ, ნუუკუე განეზაოს ტანსა და მოიწიოს სასიკუდინესა სულისასა.

ყოველი სული **სუსტი** და დაწუნებული, მცირედმორწმუნე ღმრთისა მიმართ, შევარდის ურვასა და გულისსიტყუასა უჯერისა, რამეთუ ვითარცა მღილი არა ეკუეთის ხესა **მაგარსა**, არამედ ლბილსა და [ჩ]ჩჯლსა; ყოველსა რომელსა ჰსურდის მერმეთა მიმართ [კე]თილთა, მას ესრეთ შეურაცხიეს ყოფაჲ ქორცთა შინა, ვითარცა იწროსა **დილეგსა**. ვერ ღირს-ვიქმნეთ მოღებად ნიჭსა ღმრთისასა, უკუეთუ არა პირველად თავნი თჯსნი განვიწმიდნეთ, ვითარცა საკუმეველნი სულნელნი და ნელსაცხებელნი პატიოსანნი არავინ შთ[ა]ასხნის ჭურჭელსა ღნიოშსა.

მარხვაჲ ჭეშმარიტი იგი არს – განშორებაჲ ყოვლისაგან ბოროტისა და პყრობაჲ ენისაჲ და დაყუდებაჲ გულისწყრომისაჲ, მოთმენაჲ გულისთქუმათაჲ, განყენებაჲ ენოვნებისაჲ და ტყუვილისა და ფიცისაგან სახელსა ღმრთისასა, და მოთმინებაჲ ყოვლისაგან ბიწისა, რამეთუ მოთმინებაჲ ქორცთა ნებისაჲ მოხუცებულებისა ჟამსა არა მოთმინებაჲ არს, და არცა საქებელ არს ბოროტისა დატევებაჲ, რომელი არა ნეფსით იყოს, არამედ რომელი წარჰმატებდეს კეთილსა შინა.

მსაჯული სიმართლისაჲ ჯერ-არს, რაჲთა ემსგავსოს მოისარსა, რომელმან უფროჲს ზომისა არა მოჰზიდნის მშჯლდსა, ნუუკუე გარდაავლოს **განსა**, და არცა უმცრო ზომისა, ნუუკუე

შეგრცხვეს შენივე თავისაც, რადგან, იცოდე, რომ არავინ გადაუხვევს ჭეშმარიტების გზიდან, თუკი სულიერად არ დაავადდა და არ დაივიწყა ღმერთი. თუ კაცი ცოდავს ცოდვით, რომელიც განკურნებადია, მკურნალს კიდევ შეუძლია ის განკურნოს თავისი ხელოვნებითა და ღვთის შეწევნით; მაგრამ თუ სენი წამალზე ძლიერი აღმოჩნდა, მაშინ უმჯობესია მოიკვეთოს სნეული ნაწილი და გადაგდებულ იქნას, ვიდრე მთელი სხეული დასნეულდეს სასიკვდილოდ.

ყოველი სუსტი და მცირედ მორწმუნე სული განაცდელსა და გაურკვევლობაში ვარდება, აზრებით იძლევა. აზრები კი მატლებივითაა, მხოლოდ სუსტი და რბილი ხის გამოჭმა შეუძლიათ, მაგარს კი ვერაფრით აზიანებენ.

ვინც მომავალი საუკუნო დიდებისათვის ზრუნავს, ის სხეულში ყოფნას ვიწრო საპყრობილეში დამწყვდევად აღიქვამს. ვერ ვეღირსებით ღვთის ნიჭის მიღებას, თუკი, უპირველესად, საკუთარ სხეულს არ განვიწმიდავთ, რადგან სურნელოვან და ძვირფას ნელსაცხებელს არავინ ასხამს უწმიდურ ჭურჭელში.

ჭეშმარიტი მარხვა ყოველგვარი ბოროტებისაგან განშორებას გულისხმობს, ენით უცოდველობასა და მრისხანებისაგან თავშეკავებას, გულისთქმების მოთოკვას, მაბეზღარობისა და ტყუილის მოძულებას, ამაოებასა და სიცრუეზე ღვთის არმოხსენიებასა და ყოველგვარი ბიწიერი გულისთქმების დათმენას, რადგან სიბერის გამო ხორცის ბუნებითი მოუძლურება არ ნიშნავს სურვილთა დათმენას, ვინაიდან საქებარი ვერ იქნება ბოროტებასთან განშორება, თუ ის ნებაყოფლობითი არ არის, არამედ ისეთი, რომელიც სიკეთით კეთდება.

სიმართლის მსაჯულმა უნდა მიჰბაძოს მშვილდოსანს, რომელიც არც ძლიერ ჭიმავს მშვილდს, რათა ისარი სასურველ ადგილს არ გასცდეს და არც სუსტად მოზიდავს

დააკლდეს და ვერ მიაწინეს, და არცა მრუდად, ნუუკუე აჰკადოს გარე, არამედ ზომით ყვის და მართლ თუალი მიაყვანის, რაჲთა განემარჯოს მიმთხუევაჲ **განისაჲ**.

ვიცით წიგნთაგან, ვითარმედ სოფელსა ამას ზღუა ეწოდების, რამეთუ **ცხორება[ჲ და] გულარძნილებაჲ** მისი მსგავს არს ღელვა[თა] ზღჳსათა. რამეთუ მონაგები და სიმდიდრე დაუდგრომელ არს და ეგრეთვე სიგლახაკე, არამედ ორნივე ცერსა ზედა დგანან გარდაქცევად, ვითარცა-იგი ზღუაჲ მსწრაფლ შეიცვალებს დაყუდებასა [აღ]ტეხითა ღელვათაჲთა და მას შინა გარდაიქცის დაყუდებადვე, ეგრეთვე არიან საქმენი ამის სოფლისანი. ამით [თანა] თანა-გაც, რაჲთა იყო ვითარცა მენავე ბრძენი, რომელი არა მიენდვის დაყუდებასა ზღჳსასა და არცა მოუძლურდის აღშფოთებასა შინა მისსა და სასოწარკუეთილ იქმნის.

ამას გამცნებ და შეგვედრებ შენ ღმერთსა, და მიგითუალავ, და ღმერთი მშჳდობისაჲ, მამაჲ უფლისა ჩუენისა იესუჲს ქრისტესი, გიძღოდენ ყოველსა ნებასა მისსა, და სული წმიდაჲ მოძღუარ და მასწავლელ გეყავნ, რამეთუ მისა შუენის დიდებაჲ უკუნითი-უკუნისამდე, ამენ".

67. და ვითარცა დაასრულნა სიტყუანი ესე სამგზის სანატრელმან იოდასაფ, განვიდა მკჳრცხ და მოიბლარდნა სამოსელი იგი ძუელი, რომელი მოეღო ბალაჰვარისგან. და ერი იგი მისდევდეს, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი, ვიდრე ღამედმდე, და გოდებდეს მწარედ ჴმითა მაღლითა, ვითარცა შვილნი მამასა თჳსსა.

და წარვიდა ნეტარი იოდასაფ ქუეყანასა სარანდიბისასა ძიებად წმიდისა ბალაჰვარისა და შემდგომად ორისა წლისა პოვა იგი ერთსა შინა მთათაგანსა და საბლარდნელი იგი, რომელი წარეღო

მას, რათა მიზნამდე მიღწევა არ გაუჭირდეს ისარს, არც გვერდულად დაუმიზნებს, რათა სრულიად არ ააცილოს, არამედ ზომიერად მოქმედებს და ყველაფერს ყურადღებით ადევნებს თვალს, რათა სასურველ შედეგს მიაღწიოს.

წიგნებიდან ვიცით, რომ წუთისოფელს ზღვას უწოდებენ, რადგან ამსოფლიური ხმაურიანი და ბობოქარი ცხოვრება ზღვის ღელვასა ჰგავს. წუთისოფელში სიმდიდრეცა და სიღატაკეც არამყარია და ბეწვზე კიდია, ყოველ წუთს შეიძლება ერთიცა და მეორეც გაქრეს და ყველაფერი შეიცვალოს, ისევე, როგორც დაწყნარებული ზღვა მოულოდ-ნელად ღელდება და ზვირთდება და ასევე მოულოდნელად წყნარდება და მშვიდდება. ამიტომაც გმართებს, რომ იყო ბრძენი მენავე, რომელიც არც ზღვის სიმშვიდეს ენდობა და არც მისი მოულოდნელი აბობოქრება აშინებს და აგდებს სასოწარკვეთილებაში.

ამას გამცნებ და შეგავედრებ უფალს, რათა მშვიდობის ღმერთმა, უფალ იესო ქრისტეს მამამ გატაროს მისი ნებით და დამოძღვრილი და განსწავლული იყო ყოველ საქმეში სულიწმიდის მიერ, რამეთუ შვენის მას დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

67. და დაასულა თუ არა სამგზის სანატრელმა იოდასაფმა ბარაქიას დარიგება, მსწრაფლ გავიდა, ბალავარის მიერ სამახსოვროდ დატოვებული სამოსელი ჩაიცვა და იქაურობას გაშორდა. მთელი ერი უკან დაედევნა იოდასაფს და იმ ცხვრებს ჰგავდნენ, მწყემსმა რომ მიატოვა. ასე სდიეს საღამომდე, გოდებდნენ, მოსთქვამდნენ და მისტიროდნენ, როგორც შვილები საყვარელ მამას.

იოდასაფი კი ხარნადიბის ქვეყნისაკენ გაემართა წმ. ბალავარის მოსაძებნად. ორი წლის ძიების შემდეგ ერთ

იოდასაფისგან, იხილა მის ზედა. და ვითარცა იხილა იგი, მიეგება
და შეიტკბნეს ურთიერთარს და ამბორს-უყვეს ტირილით, და სიხ-
არულითა დიდითა ადიდებდეს ღმერთსა. და ჰკითხვიდა ბალაჰვარ,
რაჲ-იგი გარდაჰვდა მას ზედა. ხოლო ნეტარმან იოდასაფ
ყოველი იგი ყოფილი აუწყა მას, ვიდრე დასასრულადმდე. და
ჰმადლობდეს ღმერთსა სამებით ცნობილსა და ერთარსებით
დიდებულსა, რომელმან ესევითარი ძლევაჲ მოანიჭა ორთავე,
ვიდრემდე აცხოვნნეს თავნი თჳსნი და სხუანი ურიცხუნი[71].

68. და შემდგომად მცირედთა დღეთა მოიწია აღსასრული
სანატრელისა ბალაჰვარისი. და ვითარცა იხილა იოდასაფ მოწ-
ევნული სიკუდილი მის ზედა, იწყო ურვად და გულისსიტყუად,
და სული მწუხარებისაჲ მოიწია მის ზედა და ჰრქუა მას: „ჰ მამაო
ბალაჰვარ, არა ჰყავ სრული სიყუარული ჩემ თანა, რამეთუ შენ
მიხუალ განსუენებად ჭირთაგან ამის სოფლისათა და მე
დამიტევებ მარტოსა უცხოებასა და მწუხარებასა შინა დიდსა, და
არა უწყი, ვითარ ჯერ-არს ცხორებაჲ ჩემი შემდგომად შენსა,
რამეთუ თხრობით ოდენ მესმინა შენგან ამის ცხორებისათჳს,
არამედ საქმით არა თავს-მედვა და არცაღა მნებავს ცხორებაჲ
შემდგომად შენსა“.

მიუგო ყოვლადსანატრელმან წმიდამან ბალაჰვარ და ჰრქუა:
„ნუ გეშინინ, იოდ[ას]აფ, რამეთუ ქრისტე ღმერთი შემწე არს
შენდა. ნუ მწუხარე ხარ განსლვისათჳს ჩემისა, არამედ
გიხაროდენ, რამეთუ დავაკლდი წინამდებარეთაგან ცოდვათა.
გიხაროდენ იოდასაფ, რამეთუ ქუეყანაჲ განჰყიდე და ცანი
მოიყიდენ; გიხაროდენ იოდასაფ, რამეთუ ღირს-იქმენ მადლსა

გამოქვაბულში მიაგნო მას, წმიდა ბერს იოდასაფის ნაჩუქარი
სამოსელი ეცვა.

როგორც კი დაინახა, გარეთ გამოეგება ბალავარი
იოდასაფს. თვალცრემლიანნი ერთმანეთს გადაეხვივნენ დიდი
ხნის უნახავნი და სიხარულით ადიდეს ღმერთი. შემდეგ
ამბავი გამოჰკითხა ბალავარმა იოდასაფს. მანაც ყოველივე
დაწვრილებით უამბო, რაც ამ ხნის მანძილზე თავს
გადახდენოდა. მაშინ გულმხურვალედ ადიდეს ერთარსება
სამება, რომელმაც ამგვარი ძლევა მიანიჭა ორთავეს მათივე
სულებისა და სხვების საცხოვნებლად.

68. რამდენიმე დღის შემდეგ ნეტარ ბალავარს
აღსასრულის ჟამმა უწია. როგორც კი იოდასაფმა ბალავარის
მოსალოდნელი სიკვდილის შესახებ შეიტყო, ძლიერ
გლოვობდა, მწუხარების სულმა მოიცვა და უთხრა წმიდა
მამას:

– მამაო ბალავარ! სრულ სიყვარულს არ იჩენ ჩემს
მიმართ, რადგან შენ ამსოფლიურ ჭირს განეშორები და
განისვენებ, მე კი მარტო მტოვებ უცხოობასა და მწუხარებაში.
რაღა მეშველება, ან როგორღა ვიცხოვრებ შენს გარეშე?
რადგან ჯერ მხოლოდ მმსმენია შენგან ამსოფლიური
ცხოვრების შესახებ, საქმით კი არაფერი შემიცვნია. მძიმეა
ჩემთვის ეს უღელი. შენს გარეშე არ მსურს აქ ცხოვრება.

მიუგო წმ. ბალავარმა:

– ნუ გეშინია, იოდასაფ, რადგან ქრისტეა შენი შემწე. არ
მიგატოვებს უფალი. ნუ წუხარ ჩემი წუთისოფლიდან
განსვლის გამო, არამედ გიხაროდეს, რამეთუ ამით მომავალ
ცოდვებს ავიშორებ თავიდან.

გიხაროდეს, რამეთუ სოფელი მოიძულე და ზეცა
დაიმკვიდრე.

მოციქულთასა; გიხაროდენ იოდასაფ, რამეთუ მრავალნი გჳრგჳნნი მოიტაცენ მოწამებისა და მოღუაწებისანი მსგავსად შრომათა და მოთმინებათა შენთა, არამედ ნუმცა მწუხარე იპოები ჟამსა ამას შეწყნარებისასა და ჭამასა ნაყოფისა დასხ-მულისა შენისასა. ხოლო სარწმუნო არს ღმერთი, რომელმან ნუგეშინის-გცეს და არა ჴუებულ-გყოს ადრეხილვისაგან ჩემისა". და ამით აუწყა, ვითარმედ ახლოს არს ჟამიცა მისი.

და შეისუენა წმიდამან მამამან ბალაჰვარ და მივიდა წინაშე ქრისტესსა.

ხოლო იოდასაფ დადვა გუამი მისი, შრომითა მონაზონებისაჲ-თა განკაფული ქრისტესთჳს, ჴურელსა მას გამოკუეთილსა, რომელსა შინა იყოფვენ. და შევარდა მწუხარებასა შინა დიდსა და მიეძინა მას ურვისა მისგან. და იხილნა ჩუენებასა შინა კაცნი ვინმე ნათლისანი, მიმავალნი მისა, და აქუნდა მათ სიმრავლე გჳრგჳნთა შემკობილთაჲ ანთრაკითა და თუალითა პატიოსნითა, რომელთა[ჲ] არა იყო რიცხჳ. ხოლო ერთსა მათგანსა აქუნდეს გჳრგჳნნი ორნი, რომელნი უბრწყინვალეს იყვნეს უფროჲს **კუერსა მზისთუალი-სასა**. და ეტყოდეს: „ესენი შენდა, იოდასაფ, მრავალთა მათთჳს სულთა, რომელნი წარუდგინენ ღმერთსა".

და ჰრქუა, რომელსა-იგი აქუნდეს ორნი გჳრგჳნნი: „ერთი ესე შენდა, იოდასაფ, ღუაწლისა მაგისთჳს, რომელი მოიღუაწე, ხოლო ერთი ესე მამისა შენისათჳს, რამეთუ მოიქცა და შეინანა".

ხოლო იოდასაფ მწუხარებით ეტყოდა მათ: „რაჲ სწორებაჲ არს, რომელმან შეინანოს ოდენ, მოღუაწისა თანა?"

მაშინ გამოუჩნდა ბალაჰვარ და ეტყოდა მას: „მოიჴსენე, ძეო მეფისაო, რომელსა-იგი გეტყოდე, რამეთუ აწვე სამე განჰმს-დიდრდი სიმდიდრითა მით[72], რამეთუ გშურს მამისათჳს შენისა".

გიხაროდეს, რამეთუ ღირსი გახდი მოციქულობის მადლისა.

გიხაროდეს, რამეთუ შენი შრომითა და მოთმინებით მოწამეობისა და მოღვაწეობის გვირგვინნი შეიძინე.

ღვთის იმედი იქონიე, რადგან მოწყალეა უფალი და მალე კვლავ შეგვახვედრებს ერთმანეთს.

ამით აუწყა, რომ წუთისოფლიდან მისი განსვლის ჟამიც ახლოს იყო.

და შეისვენა წმიდა ბალავარმა და მივიდა ღმერთთან.

იოდასაფმა ქრისტეს სიყვარულისთვის მონაზონური ღვაწლით მოუძლურებული ბალავარის სხეული იმავე გამოქვაბულში დაასვენა. თვითონ, კი დამწუხრებულს, იქვე ჩაეძინა. ძილში მისკენ მიმავალი ნათლით მოსილი მამები იხილა. მათ ძვირფასი და პატიოსანი თვლებით შემკული გვი-რგვინები მიქონდათ, რომელთა დათვლა შეუძლებელი იყო. ერთ-ერთს ხელში მზის დისკოზე უკაშკაშესი ორი გვირგვინი ეკავა. მამები მისკენ მიბრუნდნენ და უთხრეს:

– ეს გვირგვინები შენ გერგო, იოდასაფ, იმ მრავალი სულის გამო, რომლებიც ღვთის წინაშე მოიყვანე.

შემდეგ, ორი გვირგვინი რომ ეჭირა, მან უთხრა:

– ერთი ამათგანი შენ გერგო შენი ღვაწლის გამო, ხოლო მეორე – მამაშენს, რადგან ირწმუნა ღმერთი და მოინანია მის წინაშე.

ხოლო იოდასაფმა დანანებით მიუგო:

– როგორ შეიძლება მოღვაწისა და მონანულის გათანაბ-რება?

მაშინ გამოეცხადა მას ბალავარი და უთხრა:

– გაიხსენე, უფლისწულო, სიტყვები, რომლებიც ადრე გითხარი; შენ ახლა უკვე გამდიდრდი[72], რადგან მამაშენის გშურს.

და ვითარცა განიღჳძა ძილისაგან თჳსისა, განმტკიცებულ იქმნა სულითა.

69. და შემდგომად მცირედისა ჟამისა შეისუენა იოდასაფცა და მივიდა ქრისტესა ფრთოვანქმნული სულითა. და იყო მახლობელად მათსა კაცი ვინმე წმიდათაგანი, და მოვიდა და დადვა გუამი მისი გუამსა თანა ბალაჰვარისსა; და წარვიდა იგი ქუეყანად შოლაიტად და უთხრა ბარაქია მეფესა ყოველი იგი, რაჲცა იხილა.

ხოლო მეფე იგი აღდგა ერითა დიდითა მთავართა მისთა თანა და მოვიდა ადგილსა მას და მოიხუნა გუამნი იგი ორთავე მათ წმიდათანი, და დაჰკრძალნა ლუსკუმათა შინა ოქროშეძერწულთა. და **დადგნა იგინი წმიდასა შინა ეკლესიასა თაყუანის-საცემელსა წმიდისა სამებისასა**, და ადიდნა იგინი ყოვლითა დიდებითა.

და მრავალნი უძლურნი სენთაგან ბოროტთა განთავისუფ-ლდებოდეს მათ მიერ და ყოვლადვე იქმან სასწაულთა. და იხილეს ესე მეფემან და ყოველმან ერმან და ადიდებდეს ქრისტესა ღმერთსა, რომელმან ყოველივე ადვილად განუმარჯჳს მოყუარეთა მისთა, რამეთუ მისა შუენის დიდებაჲ და პატივი, მადლობაჲ და თაყუანისცემაჲ თანა დაუსაბამოჲთ მამით და ცხოველსმყოფელით სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ[73].

* * *

და როცა გამოეღვიძა, განმტკიცებული იყო სულით.

69. გავიდე კიდევ რამდენიმე ხანი. შეისვენა იოდასაფმაც და წარსდგა ღვთის წინაშე დაფრთიანებული და გასრულებული სულიერად. იქვე, მისი გამოქვაბულის მახლობლად, ერთი წმიდა ბერი მოღვაწეობდა. მან იოდასა-ფის გვამი ბალავარის გვერდით დაასვენა. შემდეგ კი შოლაიტის ქვეყანაში გაემგზავრა და მეფე ბარაქიას ყოველივე აცნობა.

მეფე ბარაქიამ მთავრებითა და დიდებულებითურთ მოიძია გამოქვაბული, სადაც ორივე წმიდანი განისვენებდა. ბალავა-რისა და იოდასაფის გვამები მოოქროვილ ლუსკუმებში ჩაასვენა და მათ საფლავებზე მათსავე პატივსაცემად წმიდა ეკლესია ააშენა ყოვლადწმიდა სამების სადიდებლად.

მრავალი სნეული და ბოროტი სულისგან გვემული იკურნებოდა წმიდა ბალავარისა და იოდასაფის შეწევნით. მათ საფლავებზე სასწაულები აღესრულებოდა. ამის მხილველნი კი ადიდებდნენ ღმერთს, რომელიც ანიჭებს ძლევას მის მოყვარულებს და რომელსაც შვენის დიდება და პატივი, მადლობა და თაყვანისცემა თანადაუსაბამო მამით და ცხოველსმყოფელი სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

* * *

1 ი. აბულაძე ასეთ კონიექტურას გვთავაზობს: „მრავალ[ნი] სავანესა“, თუმცა ნათელია, რომ აქ გვაქვს მინიშნება მაცხოვრის ცნობილ სიტყვებზე: „სახლსა მამისა ჩემისასა **სავანე მრავალ** არიან“ (იოან. 14.2)

2 ამის შემდეგ სათაურადაა: **„სიტყუათა მკერვალისათჳს“**. მოკლე წიგნით ამ ამბის შესაბამისი მომდევნო თავის პარალელური ტექსტებ-ის შემდეგაა.

3 „ცხონდინ მეფე, ცხონდინ უკუნისამდე“ - შდრ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“: „მეფე, შენ უკუნისამდე ცხონდი“ (შინ. 50).

4 ამის შემდეგ იტალიკით მოტანილი ტექსტი არის ბ რედაქციი-დან.

5 **„შეიწრდა** მის ზედა **გონებაჲცა** მისი მისგან“ - ეს ფრაზაც ერთ-ერთი დასტურია იმისა, რომ „წმ. შუშანიკის მარტვილობაში“ დამოწმებული **„იწროჲ ბუნებაჲ“** („დედათა **ბუნებაჲ იწრო** არს“) შესაძლოა გადამწერთა კუთვნილება იყოს და მის ნაცვლად ავტორი-სეულ ტექსტში საფიქრებელია გვქონოდა **„იწროჲ გონებაჲ“** („დედათა **გონებაჲ იწრო** არს“) (იხ. ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყ-ველო ტერმინოლოგია, I, თბ. 1996, გვ. 165-166).

6 ი. აბულაძის მიერ სიტყვა **„რაჲდღე“** გაგებულია როგორც ორი დამოუკიდებელი სიტყვა (კერძოდ, როგორც კავშირი **„რაჲ“** და არსე-ბითი სახელი **„დღე“**). ამიტომ, მის გამოცემაში **„რაჲდღე“** გაყოფილია და შუაში მძიმეა დასმული („შვილო, უკუეთუ გნებავს **რაჲ, დღე** აჯდომაჲ და განსლვაჲ კაცთა თანა“). ამგვარი გაგება კონტექსტს გაუგებარს ხდის. სინამდვილეში, ესაა ის შემთხვევა, როდესაც **„რაჲ“** გამოიყენება განსაზღვრებითი ნაცვალსახელის ფუნქციით (იხ. ნ. გოგუაძე, **„რაჲ“** ნაცვალსახელი განსაზღვრებითის ფუნქციით ძველ ქართულში, მაცნე, ელს, 1968, #1, გვ. 250-254; შდრ. ვ. იმნაიშვილი, **რაჲ** ნაცვალ-სახელიას ახალი ფუნქცია, მამათა ცხორებანი, თბ. 1976, გვ. 450-459. ანალოგიური ფუნქციით დასტურდება აგრეთვე **„რაჲცა“**. იხ. ვ. იმ-ნაიშვილის დასახ. გამოცემა, გვ. 453). შესაბამისად, **„რაჲდღე“** ნი-შნავს: **„ყოველდღე“**. დავძენთ, რომ შესაძლებელია მსგავსი ნიმუშების (**„რაჲდღე“**, **„რაჲთუე“**, **„რაჲწელიწად“** და ა. შ.) კომპოზიტებად მოაზრება (ისევე როგორც კომპოზიტებია: **„ყოველდღე“**, **„ყოველთვე“**, **„ყოველწლიურად“** და ა. შ), რის გამოც უმჯობესია ერთად დავ-წეროთ ისინი ანდა ერთმანეთს დეფისით დავუკავშიროთ. შდრ. ქვე-მოთ **სქოლიო 13**.

7 ე. ი. ბრმა.

8 ამ ადგილას ბ რედაქციაში ვკითხულობთ:

„და ჰრქუა იოდასაფ: და რაჲ არს სიკუდილი? ხოლო იგი ვერღარას დაუფარვიდა და ჰრქუა: განქარდების საკსენებელი ამისი ქუეყანით. და ჰრქუა: მამაჲ ჩემი ესევითარადვე იქმნებისა? და ჰრქუა: ჰე, ეგრეთვე იქმნების. — და შენცა ესრეთვეა? და ჰრქუა: ჰე. — და მე ესრეთვეა? ეგრეთვე შენ. — და ყოველნი კაცნი ესრეთვეა? — ჰე, ეგრეთვე, უკუეთუ საზომსა მაგას მიიწივნენ. ხოლო ესეცა უწყოდე, რამეთუ რომელნიმე ოდეს იშვნენ, მაშინვე წარიტაცებს სიკუდილი, და რომელთამე — მცირედ რაჲ აღიზარდნენ, და ზოგთა — ჰასაკსა რაჲ მოვიდენ. და ჰრქუა: მე აწ თანა-მაც სიკუდილი? და ჰრქუა: არა შენ ოდენ, არამედ ყოველთა კაცთა. მაშინ შეძრწუნდა ძე იგი მეფისაჲ, აღდუღნა გული მისი, ტიროდა და ეტყოდა ზანდანს მზარდულსა: და არა არსა ქუეყანაჲ, რომელსა ზედა არა მოიწეოდის კაცთა ზედა ესევითარი სალმობაჲ, ვითარ-იგი წინაჲს ვიხილენ უძლურნი და აწ ამას ვხედავ, ხოლო კუალად უძნელეს აღმიჩნდა სიკუდილი?! და კუალად იცემდა მკერდსა, ტიროდა და ეტყოდა: მაუწყე, თუ არსა ქუეყანაჲ, რომელსა შინა განვერე სალმობათაგან? მაშინ ტიროდა ზანდან მზარდულიცა და ეტყოდა: არა არს ცასა ქუეშე ეგევითარი ქუეყანაჲ [აქედან ფურცლები აკლია **ჲ**-ს], ᲐᲐ ძეო მეფისაო, რომელსა შინა განერნენ კაცნი სალმობათა და სიკუდილისაგან. და კუალად ჰკითხვიდა: და რაჲ იქმნებიან კაცნი შემდგომად სიკუდილისა? ჰრქუა მას მზარდულმან მან: კაცნი იგი ღმრთის მსახურნი ესრეთ იტყოდეს: ზეცას ღმერთი არსო და მას დაუბადებიან ცანი და ქუეყანაჲ, ზღუანი და უფსკრულნი, მზე და მთო[ვ]არე და ვარსკულავნი, და ბრძანებითა მისითა იქმნებიან ძრვანი ჰაერთანი და ქუხილნი და ქარნი, და კაცი ჴელითა შეუქმნია მიწისაგან და სული თჳსი შთაუბერავს უკუდავიო, და უკუეთუ მას ვინმე ჰმსახურებდეს და მცნებათა მისთა ვიდოდის და თაყუანის-[ს]ცემდეს მასო, სამოთხე უთქს და სასუფეველი, და შემდგო-მად სიკუდილისა მუნ წარიყვანებს და მას შინა განუსუენებს, ხოლო მამისა შენისა ფილოსოფოსნი ზოგნი მოკუდავად იტყჳან სულსა და ზოგნი უკუდავად.

თარგმანი:

და თქვა იოდასაფმა:

— რა არის სიკვდილი?

მსახურს აღარ შეეძლო დაფარვა და უპასუხა:

— ამ ქვეყანაზე აღარ იარსებებს კაცი, მოისპობა მისი სახელის ხსენებაც.

— მამაჩემსაც ეს დღე მოელის?

— არა მარტო მამაშენს, შენც ეს დღე მოგელის.

— მე-ე-ც?!

— ჰო, შენც!

— ყველა ადამიანს?

— ყველა ადამიანს! როგორც კი სიბერის ასაკს მიაღწევს კაცი, მოკვდება, მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ დაბადებისთანავე წარიტაცებს კაცს სიკვდილი. ზოგს — ცოტა რომ წამოიზრდება, მაშინ ეწევა, ხსვებს — სრულწლოვანნი რომ გახდებიან, მაშინ.

— ე. ი. მეც აუცილებლად მოვკვდები?

— არა მარტო შენ, ყველა!

შეძრწუნდა უფლისწული, გულაჩუყებული მიუბრუნდა გამზრდელს და ჰკითხა:

— ნუთუ არ არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც ადამიანებს არ შეემთხვევათ უბედურება, სადაც არც სიმახინჯეა და არც სიბრმავე, არც სიბერე და მით უფრო სიკვდილი? _ გულზე ხელს იცემდა უფლისწული და მწარედ მოსთქვამდა: _ გეეედრები, მითხარი, არსებობს ისეთი ადგილი, სადაც ამ ყველაფერს გაექცევა კაცი?!

ველარც გამზრდელმა შეიკავა ცრემლები. თვითონაც ატირდა და მიუო:

— ცისქვეშეთში არ არსებობს ადგილი, სიკვდილს რომ დაემალო.

— სიკვდილის შემდეგ რაღა მოელით ადამიანებს?

— როგორც ქრისტიანები ამბობენ, ზეცაში არის ღმერთი. მან შექმნა ცა და ქვეყანა, ზღვები და უფსკრულები, მზე, მთვარე და ვარკვლავები. მის ბრძანებას ემორჩილება ქარი და ჭექა-ქუხილი, კაცი კი მიწისაგან გამოუძერწავს და თავისი უკვდავი სული შთაუბერავს მისთვის. და თუ ვინმე მას ემსახურება, მის მცნებებს დაიცავს და თაყვანს სცემს, თავის სასუფეველში წაიყვანს სიკვდილის შემდგომ და იქ დაამკვიდრებს. ხოლო მამაშენის ფილოსოფოსთაგან ზოგი მოკვდავად მიიჩნევს სულს, ზოგი კი უკვდავად.

9 გადამწერის ხელით აქ წერია: **ქ~ე, შ~ე დ~თ, ა~ნ (= ქრისტე, შეიწყალე დავით, ამენ)**, მერე კი სათაურადაა: **„თავი მეორე, მოსლვისათჳს**

წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბალაჰვარისთჳს, რომელმან მოაქცია ძე მეფისაჲ ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა“.

10 ა ნუსხას აქ ერთი ფურცელი აკლია. ვავსებთ **ბ** რედაქციით, რასაც იტალიკით წარმოვადგენთ.

11 აქ ილია აბულაძის გამოცემაში გვაქვს **„ბოროტნი“**. ალ. გვახარიას მართებული დაკვირვებით, ხელნაწერში დასტურდება **„შურტანი“**, რაც **„კარის მსახურებს“**, **„გვარდიელებს“** ნიშნავს (იხ. ი. აბულაძის ლექსიკონი, გვ. 500. შდრ. იქვე დამოწმებული ლიმონარი: „შემოკრბეს მოძმენი მისნი და **შურტანი** ჴელმწიფისანი“).

12 **„არა მიგცე ჴელთა მტერთა შენთასა“** - შდრ. ფს. 26.12: “ ნუ მიმცემ მე **ჴელთა მაჭირვებელთა ჩემთასა“.**

13 ი. აბულაძე თავის გამოცემაში ამ სიტყვის ბოლოს აღადგენს **„ს“**-ს: „რამეთუ რაჲ წელიწად**[ს]** მოიყვანიან კაცი უცხოჲ“. სინამდვილეში, **„რაჲ“** ამჯერადაც განსაზღვრებითი ნაცვალსახელია, რომელიც კომპოზიტურად შეერთვის საზღვრულს, არსებით სახელს, და ეს უკანასკნელი ყოველთვის ფუძის სახითაა წარმოდგენილი (იხ. ვ. იმნაიშვილი: „რაჲ ნაცვალსახელი ისეთ სიტყვებთან იხმარება მსაზღვრელად, რომლებიც აუცილებლად ფუძის სახით არიან წარმოდგენილი“, დასახ. გამოც. გვ. 454). შესაბამისად, მოცემულ ადგილას შეუძლებელია **„რაჲ წელიწადს“**. აუცილებლად უნდა გვქონდეს **„რაჲწელიწად“** . იხ. ზემოთ **სქოლიო 6**.

14 **„მის ზედა დაიგნიან“** - ნიშნავს: **„მის წინააღმდეგ [ერთმანეთში] დაზავდებიან“**.

15 **„საშრიალსა“** - ი. აბულაძეს განუმარტავად აქვს აღნიშნული სიტყვა შეტანილი თავის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“. სულხან-საბა ასეთ განმარტებას გვაწვდის: **„საშრიალი - შესაპყრობელი“**. ნიკო ჩუბინაშვილი **„საშრიალს“** ათანაბრებს **„აშრიალთან“**, ხოლო ამ უკანასკნელს ასე განმარტავს: „ქორის დასაჭერი ბადე დავსდასაცემი“. იგივე ვითარებაა დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“, თბ. 1887).

16 **„რუპე“** - გაურკვეველი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულია, რომლის სხვა დამოწმება დღეისათვის არ მოგვეპოვება. ეს ტერმინი არ არის შესული არს სულხან-საბას, არც ჩუბინაშვილების ლექსიკონებში. ი. აბულაძე თავის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს იმოწმებს სწორედ ზემორე კონტექსტიდან, თუმცა მისეული განმარტება, - რომ **„რუპე“** ესაა **„ნაოთხალი“**, - ბუნდოვანებას ვერ ფანტავს, რადგან **„ნაოთხალი“**, თვით ი. აბულაძის განმარტებით, **„მეოთხედს“** ნიშნავს (იხ. მისი „ძველი ქართული ენის

ლექსიკონი“: **„ნაოთხალი“ - მეოთხედი“**; შდრ. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“) და, ამიტომ, არ გვესმის, ამ მნიშვნელობას რა საერთო უნდა ჰქონდეს ზემორე კონტექსტთან. ვფიქრობთ, **„რუპე“**, კონტექსტიდან გამომდინარე, **„ბრწყინვალებას“**. **„შუქს“**, **„სიკაშკაშეს“** უნდა ნიშნავდეს. შესაძლოა, სწორედ ამ სიტყვის შესაბამისი იყოს ბერძნული „ბალავარიანის“ შესაბამის ადგილას გამოყენებული ტერმინი **ფეგგოს**, რაც სწორედ **„შუქს“**, **„ელვარებას“**, **„სინათლეს“** ნიშნავს. საგულისხმოა, რომ აღნიშნული **„რუპეს“** შესახებ თქმულია: **„ახლოდთ ჴელისმიყოფად“** (შდრ. **„ახლოდთ ჴელისმიყოფად რუპესა** მისსა“. მსგავსი გამოთქმა ქვემოთაც გვხვდება **„ნათელთან“** დაკავშირებით: **„ნათელი** მისი ყოველთა ზედა მიეფინების... და **ახლოდთ შესაპყრობელ** არს“. ესეც ადასტურებს, რომ მოცემულ ადგილას ლექსიკური ერთეული **„რუპე“** ნიშნავს **„ნათელს“** ანუ **„სინათლეს“**, ხოლო ბერძნული **ფეგგოს**-ის ძირითადი ძველი ქართული ეკვივალენტი, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ **„ნათელი“** იყო.

17 „უკუეთუ ვისმე არა უნდეს **რგომის**“ - ე. ი. „თუ ვინმეს არ უნდა **სარგებლობის მიღება**“ (შდრ. ცოტა ქვემოთ: „...ვერ **რგომითა** თავსა თჳსსა“, თ. 25).

18 შდრ. მთ. 13.46.

19 ამ ადგილს გულისხმობს ამ გვერდის ქვემო კიდეზე მოთავსებული მინაწერი გადამწერისა: **„მწვალებელთა იტყჳს შეცთომილ[ად] ნეტარი ბალაჰვარ“**.

20 აქ გადამწერის მონაწერია: **„ქ~ე, შ~ე დ~თ, ა~ნ“**.

21 ეზრახა ა.

22 იგულისხმება, რომ შევიდა ის ჭაბუკი.

23 იოანე 1.3.

24 აქ ა ნუსხას აკლია ორი ფურცელი. ვავსებთ ბ ნუსხით, რასაც იტალიკით წარმოვადგენთ.

25 აქ გადამწერის მინაწერია: „იჳსენ, ო~ო, ს~ლი დ~თასი საშჯელისაგ~ნ ს~კნოდსა“.

26 აქ გადამწერის ხელით მინაწერია: **„ქ“, შ“ე, ჭიტაჲ, ამენ“**

27 შდრ. მთ. 6.27; ლკ. 12.25.

28 ამ ადგილას ბ რედაქციაში ვკითხულობთ:

ჰრქუა იოდასაფ: „რაჲთა უწყით ჭეშმარიტებაჲ საქმისა მაგისი? და მან ჰრქუა: ამით უწყით ჭეშმარიტი, ოდეს მოყუასთა ჩემთაგანი განვიდოდის ჴორცთაგან, ვხედავთ ანგელოზთა ნათლისათა, მოსრულთა წარყვანებად სულისა მისთჳს, რომელი ბრძანებულ იყოს უფლისაგან, და გუესმის გალობაჲ ტკბილი, რომელი გამოვალს პირთაგან

ანგელოზთასა; და ვითარცა განიყვანონ სული იგი, მაშინ აგუეჴდების საბურველი თუალთაგან ჩუენთა, და ვხედავთ სულსა მას ტჳრთულად ჴელთა შინა ანგელოზთასა და აღმავალად ზეცად, და მივაყვანებთ თუალთა ჩუენთა, ვიდრემდის განვლნიან ბნელნი იგი და ჰაერისმცველნი.

თარგმანი:

ჰკითხა იოდასაფმა:

- საიდან იცით, რომ ეს სიმართლეა?

მან მიუგო:

- იმით ვიცით მისი ჭეშმარიტება, რომ როდესაც ერთი ჩვენთაგანი ტოვებს სხეულს, ვხედავთ ნათლის ანგელოზებს, რომლებიც მისი სულის წასაყვანად მოდიან უფლის ბრძანებით; და გვესმის ტკბილი გალობა, რომელიც ანგელოზთა პირიდან გამოდის; და როცა სული მიყავთ, მაშინ სცილდება ბინდი ჩვენ თვალებს და ვადევნებთ თვალს ანგელოზთა მიერ აყვანილ სულს, სანამ გაივლიან ჰაერის ბნელ მცველებს (ეშმაკებს).

29 მთ. 6.34.

30 აქ გადამწერის მინაწერია: **„ქ~ე, შ~ე ს~ლი დავითაჲსაჲ, მშობელთა და ძმათა მისთაჲ, ა~ნ. ქ~ე, ადიდე სული პროხორესი, თ~ესი და მქ~ლისი და ძმათა ჩემთა ს~ლიერთაჲ – მქ~ლ და საბაჲსი, ა~ნ“**.

31 აქ გადამწერის მინაწერია: **„ქ~ე, შ~ე დ~თ, ა~ნ“**.

32 ამ ადგილას ბ რედაქციაში ვკითხულობთ:

და მეყსეულად წარვიდეს იოდასაფისა. და ვითარცა მოიკითხნეს, დასხდეს. და ჰრქუა მეფემან ძესა თჳსსა: „შვილო, რაჲ არს ცთომილებაჲ შენი, მითხარ“.

ხოლო მან ჰრქუა: „არა არს ცთომილებაჲ, რამეთუ ჭეშმარიტად მისდა შედგომილ ვარ, რომელმან შემქმნა და დამბადა, ხოლო შენ ხარ ცთუნებულ, რამეთუ დაგიტევებიეს დამბადებელი და დაბადებულთა ჰმსახურებ, და უკუეთუ შენ მისმინო და თაყუანის-[ს]ცე ღმერთსა მას, რომელმან შექმნნა ცანი და ქუეყანაჲ, ზღუაჲ და ყოველი, რაჲ არს მას შინა, რამეთუ მზე და მთოვარე და ვარსკულავნი მას დაუბადებიან, და მას თაყუანის-სცე, შენდაცა ნეტარ იყოს და ჩუენდაცა“.

ხოლო მან წარიკუეთა სასოებაჲ დარწმუნებისათჳს მისისა და თქუა: „ჭეშმარიტსა იტყოდეს ამისთჳს ფილოსოფოსნი იგი, ვითარმედ წინააღმდგომი სჯულისა შენისაჲ იქმნების ყრმაჲ ეგეო“.

და აღდგა და დამძიმებული წარვიდა პალატად თჳსად.

თარგმანი:

მაშინვე წავიდნენ იოდასაფთან, და როცა მიესალმნენ, დასხდნენ და მეფემ ჰკითხა თავის შვილს:

- შვილო, მითხარი შენი ცდომილების შესახებ.

მან უპასუხა:

- ეს არ არის ცდომილება; რადგან მე ჭეშმარიტად შევუდექი იმას, ვინც შემქმნა და დამბადა; შენ კი ცდომილებაში ხარ, რადგან მიატოვე დამბადებელი და დაბადებულს ემსახურები. და თუ შენ დამიჯერებ, და თაყვანს სცემ იმ ღმერთს, რომელმაც შექმნა ცა და ქვეყანა, ზღვა და ყველაფერი, რაც მასშია (რადგან მზე და მთვარე და ვარსკვლავები მისი შექმნილია), მაშინ შენც ნეტარი იქნები და ჩვენც.

ამის შემდეგ მეფემ სრულიად დაკარგა იმედი მისი დარწმუნებისა და თქვა:

- სიმართლე უთქვამთ ჩემთვის ამაზე ფილოსოფოსებს, რომ ჩემი რჯულის მოწინააღმდეგე გახდებოდა ჩემი შვილი.

და ადგა მეფე დამძიმებული და წავიდა თავის სასახლეში.

33 ტერმინი **„პაჰრაკი“**, როგორც ცნობილია, დადასტურებულია ოთხთავის ქართულ თარგმანში, სადაც **„პაჰრაკად წარქცევა“** ან **„პაჰ-რაკად მოყვანება“** ანდა ცალკე **„წარქცევა“** ესაა იგივე ბერძნული **ანგარეუო**. ნიმუშები ცხადყოფს, რომ **„პაჰრაკად წარქცევის“** ან **„პაჰრაკად მოყვანების“** ბერძნული შესატყვისი ნიშნავს **„იძულებით დავალდებულებას“**, **„ვინმეს იძულებით გამოყენებას მსახურად, მუშად, საქმის შემსრულებლად“**, **„იძულებით მომსახურებინებას“**. რაც შეეხება ცალკე **„პაჰრაკს“**, ზემორე მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი შესაძლოა ნიშნავდეს **„დავალდებულებულს“**, **„იძულებით მომსახურებულს“**, აქედან: **„დამონებულს“**, **„მსახურად ქცეულს“**, **„მსახურს“**. ძველ ქართულში დადასტურებულია ზმნაც **„მოპაჰრაკება“**. აღნიშნული ზმნა სავსებით მართებულადაა განმარტებული ა. შანიძის მიერ როგორც **„ძალის მიტანა“**, **„ძალის საშუალებით გაკეთებინება“**. იკვეთება ტერმინ **„პაჰრაკის“** როგორც **„მცველის“** შინაარსიც (II მფ. 8:6). აღნიშნული-დან გამომდინარე, ზემორე ტექსტში **„პაჰრაკი ეშმაკისაჲ“** უნდა ნიშნავდეს ან **„ეშმაკის მსახურს“**, **„ეშმაკისგან მოქმედებულს“**, **„ეშმაკეული ძალის ქვეშ მყოფს“** ან **„ეშმაკის თანმხლებს, მცველს“**. ვფიქრობთ,

კონტექსტს უფრო უნდა თანხვდებოდეს პირველი მნიშვნელობა. საყურადღებოა, რომ „ბალავარიანის“ ზემორე გამონათქვამს (**„პაჰ-რაკთაგანი ეშმაკთაჲ“**, **„პაჰრაკი ეშმაკისაჲ“**) ზედმიწევნით თანხვდება „თეოდორა ალექსანდრიელის ცხოვრების“ ერთი ადგილი, რაც მითითებულია საბას მიერ ტერმინ **„პაჰრაკის“** განმარტებისას: „და პოვა ვინმე დედაკაცი, **პაჰრაკი ეშმაკისაჲ**, და მიუვლინა მას“ (იხ. იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, I, თბ. 1946, გვ. 305).

34 იხ. წინა სქოლიო.

35 ამ ადგილას ბ რედაქციაში ვკითხულობთ:

ჰრქუა რაქის: „ვინაჲ უწყი, თუ ჭეშმარიტსა იტყოდეს წინაჲს-წარმეტყუელნი და მოციქულნი?“

ჰრქუა: „ამით გამო უწყი, რამეთუ იქმოდეს ნიშებსა და სასწაულებ-სა, რომელი სხუამან ვერავინ ქმნის. ხოლო იგინი სახელისდებითა ღმრთისაჲთა იქმოდეს, რაჲთა ჰრწმენეს ყოველსა სოფელსა“.და გა-ნაგრძო რაქის გამოძიებაჲ სიტყჳსაჲ იოდასაფისგან წინაშე მამისა მისისა, ვიდრემდის იცნა რაქის ღმერთი და თქუა: „ყოველსა ჭეშმარ-იტსა იტყჳს და ჩუენ ცუდსა შრომასა აღვასრულებთ კერპთა მიმა-რთ“. და აღიარა წინაშე ყოვლისა ერისა და თქუა ჴმითა მაღლითა, ვითარმედ: „არავინ არს ღმერთი ქუეყანასა ზედა, გარნა ღმერთი მხოლოჲ, რომელმან დაჰბადნა ცანი და ქუეყანაჲ“. და ყოველივე წესი სჯულისაჲ თჳთ აღიარა და იწყო ლოცვად და მარხვად.

ხოლო აბენეს მეფე მწუხარე იქმნა სიტყუათა მათ ზედა რაქისთა და თქუა: „სამართლად დავამჴუენ და განვასხენ ქუეყანისაგან ჩემისა მაცთურნი იგი და გრძნეულნი, ხოლო მე კეთილი მენება ძისა ამის ჩემისათჳს და მათ შეაცთუნეს იგი სიყრმითა და ცნობანაკლულევ-ანებითა. და აწ ესერა მის მიერ შესცთა ბრძენთმთავარი ესე რაქის“.

36 კიდეზეა გადამწერის ხელით მიწერილი: **„ესრე ჯერ-არს მხ-ილებაჲ უღმრთოთაჲ და სოფლისმოყუარეთაჲ“**.

37 ამ გვერდის ქვემო კიდეზე სწერია: **„და პყრობილი ნაქორ ორკერძოვე და ყუვილი (!) გასწბილებ [...]“**

38 ი. აბულაძის გამოცემაში **„მპოხელთა“**-ს ახლავს ძახილის ნიშანი (!), რაც მკვლევარის დაეჭვებას გამოხატავს.

39 ამის შემდეგ იტალიკით მოტანილი ტექსტი არის ბ რედაქცი-იდან.

40 შდრ. ებრ. 13:4 (აქ გადამწერის მინაწერია: **„ქ~ე, დაგჳცვენ ეშმაკისა მახეთაგან“)**.

41 ფს. 117:13; 93:17.

42 შდრ. ფს. 144:19

43 ნუსხაშია: **„ჰებენას“**.

44 აქ გადამწერის მინაწერია: **„ქ~ე, შ~ე მ~ქლ“**.

45 შდრ. II სჯ. 23.21.

46 მთ. 10:19.

47 ფს. 144:19.

48 შდრ. ეფეს. 2:14.

49 ნუსხაშია: **„ჰებენას“**

50 ეს სიტყვა ი. აბულაძის გამოცემაში წარმოდგენილია ასე: „[.~.]თთა“. უეჭველია, რომ საქმე გვაქვს ფსალმუნურ ციტატასთან (იხ ქვემორე მითითება). შესაბამისად, ცხადია, სახეზე უნდა იყოს ქარაგმა: „ღ~თთა“ ანუ გახსნილად: **„ღმერთთა“**.

51 **„ს[აქმეთ]ა“**-ს ნაცვლად ი. აბულაძის გამოცემაში გვაქვს კონიექტურა: **„ს[ჯულთ]ა“**, რაც, ზემორე მიზეზის გამო (რომ სახეზეა ფსალმუნური ციტატა), არაზუსტია.

52 შდრ. ფს. 85:8.

53 შდრ. I კორ. 2:9: „რომელი თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუჴდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თჳსთა“.

54 შდრ. ლკ. 2:35: „და თჳთ შენსაცა სულსა განვიდეს მახჳლი“.

55 ამის შემდეგ იტალიკით მოტანილი ტექსტი არის ბ რედაქციიდან.

56 ნუსხაშია: **„ჰებენას“**.

57 ნუსხაშია: **„რომელი“**.

58 ნუსხაშია: **„ჰებენას“**.

59 შდრ. მთ. 20:9-10.

60 ნუსხაშია: **„ჰებენ[ა]ს“**.

61 აქ გადამწერის მინაწერია: **„ლოცვა ყავთ ფ~დ ცოდვილისა დ~[თ]...და“**...

62 ნუსხაშია: **„ჰებენას“**.

63 მთ. 19:19.

64 II ტიმ. 4:7.

65 ფილ. 2:7.

66 შდრ. გრიგოლ ღვთისმეტყველი: „დასაბამად ყოველთა და დასასრულად ჰყავ ღმერთი“ (კარმინა მორალია 908.14).

67 შდრ. ფილიპ. 1.10: „გამოიცადოთ თქუენ უმჯობესი“.

68 შდრ. ფს. 1.1.

69 **„ნუ მიენდვები დაყუდებით სლვასა ნავისა შენისასა, ვიდრემდის მიიწიო ნავთსადგურსა, რამეთუ მრავალთა დაექცა ნავი დაყუდებასა შინა და მრავალნი თანაწარჰჴდეს მშჳდობით აღტეხასა ღელვათასა და საშინელთაგან ნიავქართა“** - შდრ. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი: **„ნუ ოდეს ჰზუაობ კეთილად ნავით სლვისა, ... ვინაჲთგან ესე მრავალგზის გიხილავს შენ: ნავთსაყუდელსა შინა დანთქმაჲ ნავისაჲ და კუალად ღელვით გამოსლვაჲ ნავთსაყუდლად“** (ასეულნი იამბიკოთანი წმიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისანი, 30-ე იამბიკო, წმ. ეფრემ მცირის თარგმანი, იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, I, თბ. 1946, გვ. 367)

70 რომ. 13.7

71 აქ მინაწერია გადამწერის ხელით: **„ქ~ე, შე~ნ სულითა მ~ქლ და დ~თ, ა~ნ“** = ქრისტე, შეიწყალენ სულითა მიქაელ და დავით, ამენ.

72 აქ აგიოგრაფს მხედველობაში აქვს ბალავარისგან იოდასაფისთვის წინათ ნათქვამი სიტყვები, რომლებიც, მართლაც, იპოვება ზემოთ, მაგრამ მხოლოდ ვრცელში: **„განმსდიდრდენ და განმრავლდენ ნაყოფნი შენნი და საფასენი შენნი, და დასძჳრდე და ვერ თავსიდებდე მიცემად მისგანსა ვისამე“**.

73 აქ გადამწერის ხელით მინაწერია: **„ქ~ეს მოყუარენო, ვინცა მიემთხჳვნეთ წმიდასა ამას წიგნსა, ლოცვა-ყავთ ფ~დ ცოდვილისა დავითაისათ~ს, შეუნდვენ ღ~ნ ცოდვანი, ა~ნ“**

წმინდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება

წინათქმა

აღნიშნული ძეგლი, რაც 1845 წ-ს აღმოაჩინა ნიკო ჩუბინაშვილმა, ხოლო 1911 წ-ს პირველად გამოსცა ნიკო მარმა, როგორც ცნობილია, წარმოადგენს დიდი ქართველი ჰაგიოგრაფის, გიორგი მერჩულის ნაშრომს, მიძღვნილს ტაო-კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობათა საფუძველდამდების, გამორჩეული სულიერი მოძღვრისა და, როგორც ამას შთამბეჭდავად გვიდასტურებს თუნდაც მისი ეპისტოლე შესვენებულ დათა მიმართ, ღრმა ღვთისმეტყველის, წმინდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებისადმი. გრიგოლ ხანცთელი იმ რანგის დიდმოღვაწეების რიგში დგას, რომლებიც ეპოქებს ქმნიან. შესაბამისად, სრული უფლება გვაქვს ვისაუბროთ **გრიგოლ ხანცთელის ეპოქაზე**. ეს იყო ჟამი, როდესაც განახლება სჭირდებოდა საქართველოს როგორც სახელმწიფოებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ, ასევე საეკლესიო ცხოვრებას. მეტ-ნაკლებად ყველა მხარეს გასწვდა გრიგოლის ღვთივმიმადლებული გულმოდგინება, მაგრამ უმთავრესი შედეგი მისი ღვაწლისა გახლდათ ქვეყნის სულიერი აღორძინება, და ისევე, როგორც მოსე წინასწარმეტყველის მიერ უდაბნოში ზეამაღლებული გველი, უკეთურებათაგან გვემული ისრაელის მკურნალად იქცა, უვნებელყოფდა რა გველის გესლს, ამგვარადვე, ის სულიერი ნიში სამოღვაწეო ახოვანებისა, რაც საქართველოს უდაბნოში აღმართა გრიგოლ ხანცთელმა, წყლულებათა მკურნალად და გესლისმთხეველ ბოროტზე გამარჯვების დიდ ნიშანსვეტად გაუხდა ერს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ VIII-IX სს-ში გრიგოლ ხანცთელმა გარკვეული აზრით ხელახლა შექმნა „მწიგნობრობა ქართული“, დააფუძნა რა „ფრიად ქვეყნად აღრიცხულ“ ქართლში წინაათონური ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვანი სულიერი კერა, ტაო-კლარჯეთის საღვთისმეტყველო სკოლა, რაც თავის მხრივ ყოველმხრივ თანაშეერწყმოდა საბაწმინდის სამოღვაწეო სავანეს, იერუსალიმის შემოგარენში (და მთელი სამართლმადიდებლოს განფენილობაშიც) სულიერი ცხოვრების წარმმართველსა და კანონის დამდებს. ტაო-კლარჯეთი და საბაწმინდა ესაა ის განუყოფელი მთლიანობა ქრისტესმიერ ძმათა და მოსაგრეთა ორი დიდი კრებულისა, ის უმტკიცესი ფუძე, რაზეც დაეშენა ქრისტიანული საქართველოს მთელი შემდგომდროიონდელი ისტორია. ორივე ამ კრებულის სამოღვაწეო სახეს არსებითად სწორედ გრიგოლ ხანცთელი განსაზღვრავდა. მის სახელს უნდა უკავშირდებოდეს უდიდესი სულიერი საუნჯის, იერუსალიმის სამღვდელმსახურო ტიპიკონის ქართულად თარგმნა IX ს-ის დამდეგს და, აგრეთვე, რჩეული საეკლესიო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი საგალობლების კრებულის - „იადგარის“ პირველი წერილობითი ჩამოყალიბება. გრიგოლი ამყარებს ხელშესახებ კავშირებს კონტინენტურ საბერძნეთთან, თავად მიემგზავრება რა „მეორე იერუსალიმად“ წოდებულ„ „ქრისტეს საჭურჭლეში“ - კონსტანტინოპოლში, სადაც მან „სიხარულით მოვლნა ყოველნი წმიდანი ადგილნი სალოცველნი“ და დაულევნელი საუნჯით „აღმოივსო გული“. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ როგორც IV ს-ის მეორე ნახევარში ბასილი დიდი მოგვევლინა ბიზანტიური სამონასტრო ცხოვრების რეგლამენტატორად, ასევე VIII-IX სს-ის საქართველოში სამონასტრო ცხოვრების ფაქტობრივ დამაფუძნებელად სწორედ გრიგოლი გამოუჩნდა ერს. მას ჰქონდა ურჩეულეს მოღ-

ვაწეთათვის ნიშანდობლივი საღვთო კადნიერება ერისმთავართა ცხოვრების წარმართვისა, მეფეთა პირუთვნელი დამოძღვრისა, უდიდეს საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრების წესის განსაზღვრისა, შესვენებულ დათა მიმართ წერილობითი ვედრების მივლენისა, თვით კათალიკოსის დადგინებისაც კი. ამიტომაა წმინდა გრიგოლ ხანცთელის, როგორც დიდმოღვაწის, სახე მარად მისაბაძი სანიშნე დღევანდელობისთვისაც კი. ამასთან, რაოდენ აღმატებულიცაა გრიგოლის როგორც ჭეშმარიტი სიბრძნისკენ - თავად მაცხოვრისკენ - დაუცხრომლად მსწრაფველი „ფილოსოფოსის“ ანუ „სიბრძნისმოყვარის“ (=„ქრისტესმოყვარის“) ღირსებანი, ასევე აღმატებულია ის “ცხოვრება”, რომელიც გიორგი მერჩულის კალამს ეკუთვნის. როდესაც სიმდიდრე მოგვემადლება, მაშინ ხდება ჩვენთვის აშკარა, ამ სიმდიდრემდე რა უპოვარებასა და სიღარიბეში „მიმოვიქცეოდით“. მართლაც, ვიდრე გიორგი მერჩულის ვრცელი მატიანე დაიწერებოდა, რამდენად უფრო ღარიბნი ვიყავით?! ეს ძეგლი ყოველმხრივ განმსჭვალულია ერთი უდიადესი მოლოდინით, მეორედ მოსვლის უსაიდუმლოესი ჟამის წინასწარგრძნობით. სწორედ ეს მოლოდინი განსაზღვრავს გიორგი მერჩულის მატიანეში შემოკრებილ ძმათა მთელ ცხოვრებას, მათი ყოფის ყოველ კერძოობით მოვლენას, მოქმედებას. წრფელი სურვილი იმისა, რომ ცხონებაში სამომავლოდ მომსვლელთა კრებულს არავინ დააკლდეს, მძაფრად ვლინდება ამ ძეგლის მრავალ ადგილას, რაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე და გრიგოლის სულიერ კრებულთან თანაშერთვისკენ იზიდავს მასაც. გიორგი მეჩულის ნაშრომს განსაკუთრებული აღმზრდელობითი ძალა აქვს და მისი სახით მონასტერთა არქიმანდრიტი დღესაც მთელი

საქართველოს არქიმანდრიტად ანუ დასამწყემსი ცხვრების „საჩიხის“, „ბაკის“ (ამას ნიშნავს „მანდრა“) მეპატრონედ და გამგებლად (ამას ნიშნავს „არქი“) წარმოგვიდგება, ჩვენ კი ღმერთმა ის შეგვაძლებინოს, მისკენ გვევლოს.

* * *

წმიდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება

გიორგი მერჩულე

შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსადცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ, და მისთანა ჴსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ

გუაკურთხენ, უფალო!

ა. მოცემულ არს სიბრძნე ღირსი კეთილისა მიზეზისა ქრისტჱს მიერ, ღმრთისა ყოველთაჲსა, ბუნებასა ჭეშმარიტთა ბრძენთასა. ვინაჲცა ითხოვდე ბრძენთაგან სრულთა კრძალულ[ებით] სიბრძნისმეტყუელებასა და სულელთაგან [ჴ...]ლ"ის მეცნიერთა, დუმილით ბრძენთა [სმენასა]. აწ სულელნი სიბრძნის-მეტყუელებენ, ხოლო თჳს[ს]ა და ბრძენთა [...]ნეს დუმ[ილი...] მ"[თ] ვერ გულისხმა-ყვეს, ვითარმედ ბრძნადმეტყუელებაჲ ვეცხლი არს წმიდაჲ, ხოლო დუმილი ოქროჲ რჩეული, ვითარცა თქუა სოლომონ, რამეთუ რაჟამს ბრძენთა დუმილი ჰმატს, მაშინ „სიბრძნჱ მათი გამოსავალთა ზედა იქებინ", რამეთუ ენაჲ მათი მეტყუელებისაგან ცუდისა უტყუ არნ და ძჳრისსიტყჳსა უქმ, რამეთუ ძიებაჲ რაჲ სასყიდლისაჲ [ვ] საქმედ უპყრიედ მათ და ყოლადვე ბრძნობედ სიწმიდესა სიმართლით ღირსებასა თანა და სიყუარულითა ღმრთისაჲთა „გალობედ მეცნიერებით" მარადის ლოცვისა შეწირვითა, ვითარცა იტყჳს მოციქული: „მოუკლებელად ილოცევდითო".

არამედ აწ მე, ვინაჲთგან ვერ ძალ-მიც მოუკლებელად ლოცვაჲ და სულელთა ყოველთა უდარეს ვარ, ნაკლულევანებაჲ

წმინდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება

გიორგი მერჩულე

შრომა და მოღვაწეობა ჩვენი წმინდა და ნეტარი მამის გრიგოლ არქიმანდრიტის, ხანცთისა და შატბერდის ამშენებლის, ღირსებით ცხოვრებისა და მასთან ერთად ხსენება მრავალი ნეტარი მამისა

გვაკურთხე, უფალო

1. მოცემულია ღირსეული სიბრძნე კარგის მიზეზის - ქრისტეს, ყოველთა ღვთის, მიერ ჭეშმარიტ ბრძენთა ბუნებაში. ამიტომ, ითხოვდე სრულ ბრძენთაგან მოშიშებით სიბრძნისმეტყველებას და სულელთაგან ... დუმილით ბრძენთა სმენას. ამჟამად სულელები სიბრძნისმეტყველებენ... რადგან ვერ შეიცნეს, რომ ბრძნულად მეტყველება ვერცხლია წმინდა, ხოლო დუმილი — რჩეული ოქრო, როგორც თქვა სოლომონმა, რომ როდესაც დუმილი ამეტებს ბრძენთ, მაშინ „მათი სიბრძნე გამოსასვლელებზე იქება", რადგან მათი ენა ფუჭი მეტყველებისთვის უტყვია და ცუდის სათქმელად უმოქმედო. საქმედ აქვთ მათ ძიება საზღაურისა, ყოვლითურთ სიწმინდეს ბრძნობენ სამართლიანობის ღირსებასთან ერთად და ღვთის სიყვარულით ცოდნისმიერად გალობენ[1], შესწირავენ რა მუდამჟამს ლოცვას, როგორც ამბობს მოციქული: „უწყვეტად ილოცეთო"[2].

ამჟამად კი მე, ვინაიდან არ ძალმიძს უწყვეტად ლოცვა და ყველა სულელზე უდარესი ვარ, ჩემი სინაკლულე არ მანებებს დადუმებას და გარკვეულწილად უმჯობესი მგონია, რომ

ჩემი არა მიფლობს დუმილად და ზოგს-რაჲმე უმჯობესად შემ-
ირაცხიეს, რაჲთა ვიტყოდი ღირსადცხორებასა ღმერთშემოსილთა
კაცთასა, ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისა და მოყუასთა და
მოწაფეთა მისთასა მადლითა და შეწევნითა ღმრთისაჲთა,
რაოდენცა შეუძლო უწყებად მსმენელთა ჭეშმარიტად თხრობი-
ლი მოწაფეთაგან და მოწაფის-მოწაფეთაგან მის წმიდისათა და
ნეტართა მათ ოხითა ვპოვო ორკერძოვე ლხინებაჲ უძლურებათა
ჩემთაჲ ესრეთ სიტყუათა ამათ წერითა.

ბ. ვითარმედ არსებადაუბადებელისა, კაცთმოყუარისა სამებ-
ისა წმიდისა მადლითა, მიუწდომელად ჩუენგან დაწერილთა -
საუკუნოდ ზეცათა შინა ანგელოზთა თანა - წიგნსა მას
ცხოველთასა, და ჯუარითა წმიდითა მოქადულთა დიდთა მათ
მეუდაბნოეთა, კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა შინა
პირველად დამკჳდრებულთა მათ წმიდათა მამათა, ღირსადცხ-
ორებულთა, სიმჴნჱ მოთმინებისაჲ და სიწმიდით შრომაჲ, უფლისა
სათნოჲ, და სასწაულთა მათთა სიმრავლენი ქუეყანასა მას
ქართლისასა აღუწერელობითა დაშჭირდეს მისთჳს, რომელ პირ-
ველ ვაჴსენე, რომელთაჲ ჯერ იყო დაწერაჲ ვიდრე ნათესავითი-
ნათესავადმდე უკუნისამდე მითხრობად ყოველთა, რაჲთამცა „ერი
დაბადებადი აქებდა უფალსა“ ჴსენებისა [158] მათისა დღესას-
წაულსა.

არამედ აწ სასწაულნი მათნი ჟამთა სიმრავლისაგან მიეცნეს
სიღრმესა დავიწყებისასა ყოლადმოსაჴსენებელთა მათ გან-
საკჳრვებელთა ნეტართა კაცთა საქმენი კეთილნი და ცხორებაჲ
უბიწოჲ, რომელნიცა-იგი ბრწყინვიდეს, ვითარცა მთიებნი ზეცი-
სა სამყაროსა, ხილულსა ამას და განქარვებადსა მზესა ქუეშე, და
აწ სულითა ბრწყინვალენი იხარებენ დაუსრულებელსა ნათელსა
შინა და მარადის ჩუენთჳს მეოხებასა ჰყოფენ, განმხიარულე-
ბულნი ქრისტჱს აღთქუმულთა მოღებითა, რამეთუ შრომათა

ღვთის მადლითა და შეწევნით ვთქვა ღმერთშემოსილი ადამი-
ანების - ჩვენი ნეტარი მამის გრიგოლის და მის ახლობელთა
და მოწაფეთა - ღირსებით ცხოვრების შესახებ, რათა, რამდე-
ნადაც შევძლებ, ვაუწყო მსმენელებს ამ წმინდანის მოწაფეთა
და მოწაფის მოწაფეთაგან ჭეშმარიტად მონათხრობი და
ხსენებულ ნეტართა მეოხებით ვპოვო ორივე მხრივ განკურ-
ნება ჩემი უძლურებებისა ამ სიტყვათა ამგვარად წერის გამო.

2. რომ არსებაშეუქმნელი[3], კაცთმოყვარე წმინდა სამების
მადლით ჩვენგან მიუწვდომლად ზეცათა შიგნით ანგელოზე-
ბთან ერთად ცოცხალთა წიგნში საუკუნოდ დაწერილთა და
წმინდა ჯვარს დანდობილ დიდ მეუდაბნოეთა, კლარჯეთის
დიდებულ უდაბნოებში პირველად დამკვიდრებულ და
ღირსებით მცხოვრებ წმინდა მამათა მოთმინების სიმხნევე,
მათი სიწმინდით შრომა (რაც სათნოა უფლისთვის) და
სასწაულების სიმრავლე აღუწერლობის გამო ქართლის
ქვეყანას დააკლდა იმ მიზეზით, ადრე რომ ვახსენე, მაშინ
როცა საჭირო იყო ამათი დაწერა თაობიდან თაობაში
უკუნისამდე ყველასათვის საუწყებლად, რომ „დაბადებადი
ხალხი მაქებელი ყოფილიყო უფლისა“[4] ამათი ხსენების
დღესასწაულზე.

მაგრამ ახლა ჟამთა სიმრავლის გამო დავიწყების სიღრმეს
მიეცა სასწაულები, კარგი საქმეები და უბიწო ცხოვრება ამ
ყოვლადმოსახსენებელი, საკვირველი და ნეტარი ადამიანები-
სა, რომლებიც ამ ხილული და განქარვებადი მზის ქვეშ
ბრწყინავდნენ, ისევე, როგორც მნათობები ზეციურ სამყა-
როში, ახლა კი სულით გაბრწინებულნი დაუსრულებელ
სინათლეში ხარობენ და ქრისტესგან აღთქმულთა მიღებით
გამხიარებულები მარადის მეოხებას გვიწევენ ჩვენ, რადგან

მათთა წილ მიუღებიეს სიხარული და მხიარულებაჲ უოხჭნოჲ, მოუკლებელი და გამოუთქუმელი ცათა შინა.

ამათ ნეტართა შორის გამობრწყინდა მადლითა სავსჱ, განსრულებული სიბრძნითა, დიდი მღდელი და კეთილადგანმგებელი მოღუაწჱ და უდაბნოთა ქალაქმყოფელი, ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი, სანატრელი გრიგოლ, სულიერად მამაჲ და წინამძღუარი და მაშენებელი ხანძთისა და შატბერდისაჲ, ორთა ამათ დიდებულთა მონასტერთაჲ, რომელი ექმნა სახე კეთილის ყოველთა მისჟამისა მეუდაბნოეთა მამათა ახლადშენებასა მათსა.

ესე იყო შვილი წარჩინებულთა, დიდებულთა და მართლმორწმუნეთა მამა–დედათაჲ და სახლსა შინა სამეუფოსა დიდისა ნერსე ერისთავისასა აღზრდილ იყო ჴელითა კეთილადმსახურისა დედოფლისა, ნერსეს ცოლისაჲთა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა ძმისწული მისი, და საშოჲთგანვე დედისაჲთ შეწირულ იყო ღმრთისა დედისაგან თჳსისა, ვითარცა სამოელ წინაჲსწარმეტყუელი და [ჱ] მარხვასა შინა იზარდებოდა მსგავსად წინამორბედისა, რამეთუ სიჩჩოჲთგანვე ღჳნოჲ და ჴორცი არა შეჴდა პირსა მისსა, ვინაჲთგან ქრისტჱსა განეკუთნა სული თჳსი სამკჳდრებელად. და ხატიცა მონაზონებისაჲ ემოსა, რამეთუ თავისუფალ იყო იგი სიმღერისაგან ყრმათაჲსა და ყოვლისაგან აღრევისა კაცთაჲსა და მარტოდ იყოფვინ თჳსსა მას სადგურსა, რომელსა განწესებულ იყო. ამისთჳსცა „დაყუდებულ“ უწოდიან მას სახელი.

ხოლო გულისჴმიერობაჲ სწავლისაჲ განსაკჳრვებელი იყო ფრიად, რამეთუ მწრაფლ–ხოლო დაისწავლა „დავითი“ და „ჴმითა“ სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ, სამოძღუროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა. ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად და რომელი პოვის სიტყუაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის. და განითქუა სისრულე იგი მისი

თავიანთი შრომა-გარჯის სანაცვლოდ მიღებული აქვთ მათ უსაზღვრო სიხარული და მხიარულება.

ამ ნეტართა შორის გამობრწყინდა მადლით სავსე, სიბრძნით სრულქმნილი, დიდი მღვდელი, კარგად განმგებელი მოღვაწე, უდაბნოთა ქალაქმყოფელი, ზეცის ადამიანი და მიწის ანგელოზი, სანატრელი გრიგოლი, ხანცთისა და შატბერდის, ამ ორი დიდებული მონასტრის, სულიერად მამა, წინამძღვარი და მაშენებელი, რომელიც სიკარგის ნიმუშად გაუხდა მისი დროის ყველა მეუდაბნოე მამას მათ ახალმშენებლობაში.

იგი იყო წარჩინებული, დიდებული და მართლმორწმუნე დედ-მამის შვილი და აღიზარდა დიდი ნერსე ერისთავის სამეფო სახლში ნერსეს ცოლის, კეთილმსახური დედოფლის ხელით, რომლისგანაც შვილებული იყო, რადგან იყო კიდეც მისი ძმისწული, და დედის საშოდანვე შეწირული იყო ღვთისადმი, ისევე, როგორც სამოელ წინასწარმეტყველი, თავისივე დედის მიერ[5] და იზრდებოდა მარხვაში მსგავსად [იოანე] წინამორბედისა[6], რადგან პატარაობიდანვე „ღვინო და ხორცი არ შესულა მის პირში“[7], ვინაიდან ქრისტეს განუკუთვნა მან თავისი სული სავანედ. შესახედაობაც სამონაზვნო შეემოსა მას, რადგან ყრმათა თამაშობისგან და ადამიანთა ყოველგვარი თავყრილობისგან განშორებული იყო და განმარტოებით იმყოფებოდა თავის სამყოფელში, რომელიც მას ჰქონდა განკუთვნილი. ამის გამო „დაყუდებულს“ უწოდებდნენ მას სახელად.

ხოლო სწავლისადმი მისი გულისხმიერება ძალიან გასაკვირი იყო, რადგან სწრაფადვე დაისწავლა „ფსალმუნნი“ და „ხმით“ სასწავლი[8] საეკლესიო სწავლა. ქართულ ენაზე ყველაფერი სასწავლო[9] შეისწავლა, მწიგნობრობაც ისწავლა მრავალი ენისა და საღვთო წიგნები ზეპირად დაისწავლა. ამასთან, ამ სოფლის ფილოსოფოსთა სიბრძნეც ისწავლა

სახელოვნად ყოველთა შორის. ხოლო გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნ სიტყჳსაებრ მოციქულისა, ვითარმედ: „გან-რადმე-აცოფა ღმერთმან სიბრძნჱ იგი ამის სოფლისად“. სიტყუად მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისადთა. რაჟამს იტყჳნ, „ბრძნად აღაღის პირი თჳსი“ და წესი განუჩინის ენასა თჳსსა. და ჰასაკისა ზრდასა თანა სათნოებაჲცა კეთილი იზარდებოდა, რამეთუ არა იყო, ვითარცა ჭაბუკი, მზუაობარ და ჭამადთა გულისსათქუმელთა მოყუარჱ, არამედ თავით თჳსით დანიელ წინაჲსწარმეტყუელისა სიტყუასა იტყჳნ, ვითარმედ: „პური გულისსათქუმელი არა ვჭამო“. და ესრეთ მიიღის საზრდელი საგლახაკოჲ ჴო[159]რცთა თჳსთა განსამტკიცებელად ნეტარმან გრიგოლ, მდაბალმან გულითა და გლახაკმან სულითა, მყუდრომან ქცევითა და მოწყალემან გონებითა, რამეთუ ძირი სიწმიდისაჲ მარადის გულსა მისსა დანერგულ იყო, აღმომცენარჱ ჯეჯჳლსა ღმრთისმსახურებისასა. და ნერგი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისაჲ აღორძნდა სულსა მისსა, და ნაყოფი ღმრთისა სიყუარულისაჲ გარდაემატა მის შორის. და ესევითარითა მრავალფერითა კეთილადგანგებითა ცხოვნდებოდა ჭაბუკი ესე სამღდელოჲ სათნოდ უფლისა. ხოლო იყო ხილვითა დიდ, ჴორცითა თხ[ელ], ჰასაკითა სრულ, ყოლადკეთილ, სრულიად გუამითა მრთელ და სულითა უბიწო.

გ. მაშინ ჴელმწიფეთა მათ, აღმზრდელთა მისთა, და სანატრელმან დედამან მისმან და ერისა სიმრავლემან ინებეს ხუცად კურთხევაჲ ამის ნეტარისაჲ და ჰრქუეს მთავართა მათ და მშობელმან მისმან: „შვილო, ყოლადკეთილო და სარწმუნოო ქრისტეს მონაო, აჰა მოიწია ჟამი წინაჲსწარმეტყუელისა დავითის თქუმულისაჲ, რომელსა იტყჳს: „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა,

კარგად და რაც ნახა კარგი სიტყვა, მიიღო, ხოლო უკეთური უკუაგდო. სახელგანთქმული გახდა მისი სრულქმნილება ყველგან, თუმცა იგი ამსოფლის გარეგან სიბრძნეს კიცხავდა მოციქულის სიტყვისებრ: „განა არ გააუგუნურა ღმერთმა ამ სოფლის სიბრძნე?“[10] მისი სიტყვა შეზავებული იყო მადლის მარილით[11]. როდესაც მეტყველებდა, ბრძნულად გახსნიდა თავის პირს[12] და წესს დაუდგენდა თავის ენას. ასაკის მატებასთან ერთად კარგი სათნოებაც მატულობდა, რადგან არ იყო იგი, როგორც ჭაბუკი, მოამაყე და სასურველ საჭმელთა მოყვარული, არამედ თავის თავში დანიელ წინასწარმეტყველის სიტყვას ამბობდა: „პური სასურველი არ ვჭამო“[13]. ასე იღებდა ღარიბთა საჭმელს თავისი სხეულის განსამტკიცებლად ნეტარი გრიგოლი, რომელიც იყო გულით მდაბალი და სულით გლახაკი, ქცევით წყნარი და გონებით მოწყალე, რადგან მუდამჟამს იყო მის გულში დანერგილი ძირი სიწმინდისა, ღვთისმსახურების ჯეჯილის აღმომაცენებელი. ჭეშმარიტი სარწმუნოების ნერგი გაიზარდა მის სულში და ღვთის სიყვარულის ნაყოფი გადიდდა მასში. აი, ასეთი მრავალგვარი კეთილგანგებულებით ცხოვრობდა ეს სამღვდელო ჭაბუკი უფლისთვის სათნოდ, და იყო იგი შეხედულად დიდი, ხორციელად თხელი, ტანით სრული, ყოვლითურთ კარგი სრულიად, სხეულით ჯანმრთელი და სულით უბიწო.

3. მაშინ მისმა აღმზრდელმა ხელმწიფეებმა, მისმავე სანატრელმა დედამ და ხალხის სიმრავლემ ინებეს ამ ნეტარის კურთხევა ხუცესად. და უთხრეს მას ხსენებულმა მთავრებმა და მისმა მშობლებმა: „შვილო, ქრისტეს ყოვლად კარგო და სანდო მონაო, აჰა, დადგა წინასწარმეტყველ დავითის ნათქვამის დრო, რასაც ამბობს: „ვინ ავა უფლის მთაზე და ვინ

ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა, არამედ უბრალოჲ ჴელითა და წმიდაჲ გულითა“. და აწ შენ გპოვა ქრისტემან უბრალოჲ ჴელითა და წმიდაჲ გულითა. და რაჲთა შენ აღხჳდე მთასა უფლისასა და დადგე ადგილსა წმიდასა მისსა შემწირველად წმიდასა და უსისხლოსა მსხუერპლსა მისსა ღირსებისა შენისათჳს და სასოდ სულთა და ჴორცთა ჩუენთა.

ხოლო ამას ნეტარსა დაღაცათუ აქუნდა სიყუარული მღდელობისაჲ, შეზრუნდა სიტყუასა მათსა ზედა და შიში დაეცა სიახლისათჳს ჰასაკისა მისისა და ჰრქუა მათ: „თქუენ იცით ძალი საღმრთოთა წიგნთაჲ, გულისჴმა-გიყოფია წმიდათა მოციქულთა და ნეტართა მღდელთმოძღუართა განსაზღვრებული [ვ] კანონი წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაჲ, თუ ვითარნი კრძალვანი უჴმან მღდელობასა და ყოლადუბრალოებაჲ არა ხოლო საქმით, არამედ გონებითაცა და სიტყჳთა. ხოლო დაღაცათუ სულგრძელებასა ღმრთისასა თავს-უდებიეს დათმენაჲ უწესოთა კაცთა მღდელობისაჲ, უმჯობეს არს მათა, უკუეთუმცა ყოლადვე რიცხუსა კაცთასა არა შერთულ იყვნეს ვიდრე საუკუნოდ პატიჟთა დაუსრულებელთა, ხოლო სარწმუნოთა მღდელთათჳს ესე უწყოდეთ თქუენ, ვითარმედ უფროჲს არს ყოველთა დიდებათა სულიერთა და ჴორციელთა, რამეთუ ქრისტჱსნაცვალობაჲ არს, ჭეშმარიტისა ღმრთისაჲ, რომელმანცა ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: „ნეტარ ხართ თქუენ, რამეთუ მრავალთა წინაჲსწარმეტყუელთა და მართალთა სწადოდა ხილვად და სმენად, რომელსა ხედავთ თქუენ და გესმის, და ვერ მიემთხჳნეს, რომელსა ღირს-იქმნენით თქუენ“, და თჳსისა მის მღდელობისა ნაცვალად უფალმან მოციქულნი დაადგინნა მღდელად, და შემდგომითი-შემდგომად ყოველნი სარწმუნონი მღდელნი და მათ მიერ ცხორებისა სასოებაჲ ქრისტეანეთაჲ მღდელობასა შეჰვედრა, და სასწაულთა ყოველთა და წინაჲსწარმეტყუელთა ჩუენებასა და ღმრთისმხილველთა კაცთა გამოცხადებასა მღდელობითა დაჰბეჭდა. და აწ არავინაჲ არს კაცთა ცხორებაჲ თჳნიერ მღდელობისა, რომლისათჳს

დადგება მის წმინდა ადგილას, თუ არა ხელით შეუბღალავი და გულით წმინდა“[14]. და ახლა შენი ღირსების გამო და ჩვენს სულთა და ხორცთა იმედად შენ გპოვა ქრისტემ ხელით შეუბღალავი და გულით წმინდა, რომ შენ ახვიდე უფლის მთაზე და დადგე მის წმინდა ადგილას მისი წმინდა და უბიწო მსხვერპლის შემწირველად.

ამ ნეტარს კი თუმცაღა ჰქონდა მღვდლობის სიყვარული, მაგრამ შეწუხდა იგი მათ სიტყვაზე, შიშმა მოიცვა თავისი ასაკის სიახალგაზრდავის გამო და უთხრა მათ: „თქვენ იცით საღვთო წიგნების აზრი და შეგიცვნიათ წმინდა მოციქულებისა და ნეტარი მღვდელთმოძღვრების მიერ განსაზღვრული კანონი წმინდა კათოლიკე ეკლესიისა, თუ როგორი სიფრთხილე სჭირდება მღვდლობას და როგორი ყოვლითურთ შეუბღალავობა არა მხოლოდ საქმით, არამედ გონებითაც და სიტყვითაც. ამიტომ, თუმცაღა ღვთის სულგრძელობას უტვირთავს მოთმენა უწესო ადამიანების მღვდლობისა, უმჯობესი იქნებოდა მათთვის, რომ საერთოდ არ შერთვოდნენ ადამიანთა რიცხვს, ვიდრე ის, რომ საუკუნოდ [შერთვოდნენ] დაუსრულებელ სასჯელს. ამასთან. სანდო მღვდლებისთვის ეს იცოდეთ თქვენ, რომ ყოველგვარ სულიერ და ხორციელ დიდებაზე მეტია [ეს საქმე], რადგან იგი მონაცვლეობაა ქრისტეს, ჭეშმარიტი ღვთისა, რომელმაც უთხრა თავის მოწაფეებს: „ნეტარნი ხართ თქვენ, რადგან ბევრ წინასწარმეტყველსა და მართალს სწადდა, რომ ენახა და ესმინა, რასაც ხედავთ თქვენ და გესმით, და ვერ მიაღწიეს, რისი ღირსიც გახდით თქვენ“[15]. თავისი მღვდლობის ნაცვლად უფალმა მოციქულები დაადგინა მღვდლად, შემდეგ და შემდეგ კი — ყველა სანდო მღვდელი, და მათ მიერ ქრისტიანთა ცხოვრების იმედი მღვდლობას მიანდო და ყველა სასწაული, წინასწარმეტყველთა ხილვები და ღვთისმხილველ ადამიანთა გამოცხადება მღვდლობით დაბეჭდა და ახლა არაფერია კაცთა

პავლე იტყჳს, ვითარმედ: „ქრისტეს მიერ სახარებისაგან მე გშ-
ვენ თქვენ“. და უფალი ბრძანებს: „უკუეთუ ვინ-მე არა იშვეს მე-
ორედ და არა მიიღოს წმიდაჲ საიდუმლოჲ, ვერ შევიდეს სასუფე-
ველსა ცათასა“. და აწ პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის!“

მაშინ მიუგეს ბრძენთა მათ მთავართა და ჰრქუეს: „შვილო,
გამორჩეულო ქრისტჱსო, შიში ღმრთისაჲ თავი არს სათნოე-
ბათაჲ, [160] ვითარცა მოსე იტყჳს: „რასა ითხოვს ღმერთი შენგან,
ჰ ისრაჱლ, არამედ რაჲთა გეშინოდის მისა“, „რამეთუ შიშმან
უფლისამან შესძინის დღეთა“, ვითარცა იტყჳს სოლომონ, რამ-
ეთუ სიბერისა პატიოსნებაჲ არა მრავალი ჟამი არს და არცა
რიცხჳ დღეთაჲ აღრაცხილ, ხოლო მჴცოვანებაჲ არს გონიერებაჲ
კაცისაჲ, და ჰასაკ სიბერის - ცხორებაჲ უბიწოჲ. და კუალად იობ
იტყჳს: „არათუ მრავლისა ჟამისანი არიან ბრძენ, არცა ბრძენთა
იციან სამართალი“ „არამედ სული ვიდრემე, და სული იგი
ყოვლისა-მპყრობელისაჲ, რომელმან ასწავის სიბრძნჱ“ და შენ
მოგცა ქრისტემან კეთილი მოხუცებულებაჲ გონებისაჲ. და აწ
ნუღარა ურჩ-იქმნები, არამედ მორჩილ-იქმენ ბრძანებასა
ქრისტჱსსა და ჰმონე მას მღდელობითა, რომელმან ივნო ჩუენ-
თჳს, მღდელმან მან საუკუნემან, და ჩუენ ყოველნი
გუაცხოვნ[ნ]ა“.

ხოლო ნეტარი გრიგოლ დაემორჩილა მათ და ნებითა ღმრ-
თისაჲთა იკურთხა ხუცად ვედრებისაებრ მვედრებელთა მისთაჲსა,
რომელ შუენოდავე კრძალულებით, საღმრთოჲთა კანონითა
ქცევასა მისსა და მარადის წმიდისა სამებისა მართლმადიდებ-
ლობასა. და ესრეთ მხიარულ-იქმნა სიმრავლჱ იგი ერისაჲ, რაჟამს
წმიდითა ჴელითა მისითა ღირს-იქმნნეს მიღებად ჴორცსა და სის-
ხლსა ქრისტჱსსა.

მაშინ მთავარნი იგი განიზრახვიდეს ებისკოპოსობასა მისსა,
რამეთუ ვითარცა ანგელოზი ღმრთისაჲ აქუნდა ყოველთა
ჭეშმარიტებისა მასწავლელად, ვითარცა წერილ არს: „ბაგეთა
მღდელისათა დაიცვან სამართალი და შჯული პირისა მისისაგან

ცხოვრება მღვდლობის გარეშე, რისთვისაც პავლე ამბობს:
„ქრისტეს მიერ სახარებისგან მე გშვით თქვენ“[16]. და უფალი
ბრძანებს: „თუ ვინმე არ იშვება მეორედ და არ მიიღებს
წმინდა საიდუმლოს, ვერ შევა ცათა სასუფეველში“[17]. ამიტომ,
ახლა პატივს ვხედავ და სასჯელის მეშინია.

მაშინ მიუგეს ბრძენმა მთავრებმა და უთხრეს: „შვილო,
ქრისტეს რჩეულო, შიში ღვთისა არს სათნოებათა თავი,
როგორც მოსე ამბობს: „რას ითხოვს ღმერთი შენგან, ჰოი ის-
რაელო, თუ არა იმას, რომ გეშინოდეს მისი?“[18], რადგან „უფ-
ლის შიში შეჰმატებს დღეებს“[19], როგორც ამბობს სოლომონი,
რადგან სიბერის ღირსება არათუ მრავალი წელია ანდა
დღეების აღრიცხული რაოდენობა, არამედ მხცოვანება —
ესაა ადამიანის გონიერება და სიბერის ასაკი კი — უბიწო
ცხოვრება. და კიდევ, იობი ამბობს: „არათუ მრავალწლიანები
არიან ბრძენნი, არცთუ ბრძენებმა იციან სამართალი“[20],
„არამედ სული არს, ცხადია, და სული ყოვლისმპყრობელისა,
რომელიც ასწავლის სიბრძნეს“[21], და შენ მოგცა ქრისტემ
კარგი მოხუცებულობა გონებისა. ამიტომ, ახლა ნუღარ იქნები
ურჩი, არამედ დაემორჩილე ქრისტეს ბრძანებას და მღვდლო-
ბით დაემონე იმას, რომელმაც ივნო ჩვენთვის, — საუკუნო
მღვდელმა, — და გვაცხოვნა ჩვენ ყველანი“.

ნეტარი გრიგოლი დაემორჩილა მათ და ღვთის ნებით
იკურთხა ხუცესად მის მვედრებელთა ვედრებისამებრ, რაც
შეჰფეროდა კიდეც მისვე ქცევას, მოშიშებითს, საღვთო კანონ-
ით წარმართულს და მარადწმინდა სამების მართლმადიდე-
ბლობას. ასე გაიხარა ხალხის სიმრავლემ, როდესაც ღირსნი
გახდნენ, მისი წმინდა ხელით მიეღოთ ქრისტეს სისხლი და
ხორცი.

მაშინ მთავრებმა განიზრახეს მისი ეპისკოპოსობა, რადგან
ღვთის ანგელოზივით ჰყავდა იგი ყველას ჭეშმარიტების მას-
წავლებლად, როგორც დაწერილია: „მღვდლის ბაგეებმა დაი-

გამოიძიონ, რამეთუ ანგელოზი უფლისა ყოვლისამპყრობელისაჲ არს იგი“.

დ. ხოლო ნეტარმან გრიგოლ, ვითარცა იხილა თავი თჳსი ჴორციელად დიდებასა შინა, ფრიად წუხდა გული მისი და განიზრახა ფარულად სივლტოლაჲ თჳსი ქუეყანით საღმრთოჲთა წოდებითა, რომელიცა უძღოდა მას მამათ[ვ]მთავრისა აბრაჰამის სახედ, და ვითარცა ისრაჱლნი უდაბნოდ. არამედ აბრაჰამ ქუეყანისა მისგან ურწმუნოთა ნათესავთაჲსა განაშორა ღმერთმან, ხოლო ესე მორწმუნისა და კეთილადმსახურისა ქუეყანისაგან გამოიყვანა ამის მიზეზისათჳს, რაჲთა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ესე დაუვსებელი, ბრწყინვალჱ ზედა სასანთლესა მას მაღალსა ზეთითა მით განუპარველითა, რაჲთა ჴმასა მას და ოხრასა საყჳრისასა აღეტყინოს და განბრწყინდეს სულითა ძლიერითა, და მიუძღუეს საქორწინესა მას კრებულსა თანა მოწაფეთა მისთა წმიდათასა და რამეთუ მადლითა მით [ღმრთის]მხილველითა, გონიერითა და უბიწოჲთა, გულისჴმა-[ე]ყო შეუცვალებელი იგი სუფევაჲ ზეცისა მთავრობა[თა]ჲ და მათთანა მოდასეობისა წადიერებითა დაუტევა შეცვალებადი [პატივი] ქუეყანისა მოკუდავთა კაცთა სუფევისაჲ და მოჰრიდა ჟამიერთა და ნივთიერთა ბუნებათა, რაჲთა უჟამოჲ იგი ნათელი უძღოდის უ[ნივთო]სა მას [სა]მკჳდრებელსა და უცვალებელსა დიდებასა სასუფეველსა ცათასა.

ე. და ესევითარსა კეთილსა განზრახვასა და გზავნასა მისსა პოვნა მოყუასნი კეთილნი შეწევნითა ქრისტჱს მადლისაჲთა: საბა, რომელსა ეწოდა საბან, დედის დისწული მისი, იშხნისა მეორედმაშენებელი და ებისკოპოსი მისი; და თევდორე ნეძჳსა მაშენებელი და მამაჲ; და ქრისტეფორე კჳრიკეთისა მაშენებელი და

ცვან სამართალი და მისი პირისგან გამოიძიონ სჯული, რადგან ყოვლისმპყრობელი უფლის ანგელოზია იგი“[22].

4. მაგრამ ნეტარმა გრიგოლმა როგორც კი ნახა თავისი თავი ხორციელ დიდებაში, მეტად შეწუხდა მისი გული და განიზრახა მან ფარულად გაქცევა თავისი ქვეყნიდან საღვთო ხმობისამებრ, რაც წინ უძღოდა მას მამამთავარი აბრაამის მსგავსად და მსგავსად ისრაელებისა — უდაბნოსკენ, თუმცა აბრაამი ურწმუნო ერის ქვეყნისგან განაშორა ღმერთმა, გრიგოლი კი მორწმუნე და კეთილმსახური ქვეყნიდან გამოიყვანა მან იმ მიზნით, რომ უსარგებლო უდაბნოებში გამობრწყინებულიყო ეს ჩაუქრობელი სანთელი, მაღალ სასანთლეზე მბრწყინავი იმ ზეთით, რომელიც არ მოიპარება, რომ საყვირის ხმაზე და ხმოვანებაზე ანთებულიყო იგი, გაბრწყინებულიყო ძლიერი სულით და წაძღოლოდა საქორწილო კრებულს თავის წმინდა მოწაფეებთან ერთად, და რადგან ღვთისმხილველობითი გონიერი და უბიწო მადლით შეეცნო მას ზეცის მთავრობათა უცვლელი მეუფება, და მათთან თანამოდასეობის წადიერებით დატოვა მან მოკვდავ კაცთა ამქვეყნიური მეფობის ცვალებადი პატივი და განარიდა თავი დროებით და ნივთიერ ბუნებათაგან, რომ უდროო სინათლე გასძღოლოდა მას უნივთო სამკვიდროსკენ და უცვლელი დიდებისკენ ცათა სასუფეველში.

5. თავისი ამგვარი კარგი განზრახვისა და მსვლელობის ჟამს იპოვა მან კარგი მეგობრები ქრისტეს მადლის შეწევნით: საბა, რომელსაც ეწოდა საბან, თავისი დეიდაშვილი, იშხნის მეორედ მაშენებელი და მისი ეპისკოპოსი; თევდორე, ნეძვის მაშენებელი და მამასახლისი; ქრისტეფორე, კვირიკეთის

მამაჲ. ესე ოთხნი შეანწევრნა სარწმუნოებამან და საღმრთომან სიყუარულმან შეამტკიცნა ერთ[ზრახ]ვად შეკრებულნი, ვითარცა სული ერთი ოთხთა გუამთა შინა დამტკიცებული. მაშინ ნეტარმან გრიგოლ თქუა სიტყუაჲ იგი დავითისი, [161] ვითარმედ: „რაჲმე კეთილ ანუ რაჲ-მე შუენიერ, არამედ დამკჳდრებაჲ ძმათაჲ ერთად?"; რამეთუ ვითარცა თქუა ქრისტემან სახელისა მისისათჳს შეკრებულთა შორის დამკჳდრებაჲ თჳსი, ეგრეთვე იყავნ ჩუენშორის თავადი უფალი, რაჲთა სათნო იყოს სულიერი ესე საგრობაჲ ჩუენი უცხოებასა შინა და რაჲთა შეწირულ იყოს მსახურებაჲ ჩუენი სათნოდ მის წინაშე". ხოლო მათ თქუეს: „იყავნ ქრისტე ღმერთი ჩუენშორის სულიერად ძმობასა და გზავნასა ჩუენსა და უძილსა გულსმოდგინებასა სიტყუათაებრ შენთა, ბრძენო გრიგოლ, რაჲთა ძალი საღმრთოჲ დაემკჳდროს ჩუენ შორის".

მაშინ ერთითა მით ერთობითა აღიბეჭდნეს თავნი თჳსნი ძლიერებისა ბეჭდითა მით ნიშისა საუფლოჲსა პატიოსნისა ჯუარისაჲთა და სიხარულით წარემართნეს გზასა მას, რომელი არა უწყოდეს, არამედ არა უმეცარ იყვნეს, რამეთუ უფალი მხოლოჲ უძღოდა მათ, ხედვიდა რაჲ გულსა მათსა წმიდასა და წყაროებრ დაუწყუედელსა ლოცვასა და ცრემლთა მათთა ნაკადულსა.

და მოიყვანნა იგინი ქართლით ოპიზას პირველად, ხოლო იყვნეს ოპიზას ძმანი მცირედნი შეკრებულ ქრისტჱს სიყუარულისათჳს, ვინაჲთგან პოვნილ იყო წმიდაჲ იგი მცირე ეკლესიაჲ წმიდისა ნათლისმცემელისაჲ. და იყო წინამძღურისა მათისა სახელი ამბა გიორგი, რამეთუ მესამე მამაჲ იყო ოპიზისაჲ, რაჲთგან სამოელ და ანდრია გარდაცვალებულ იყვნეს. ამან ნეტარმან ამბა გიორგი, ვითარცა იხილნა სანატრელი მამაჲ გრიგოლ და მოყუასნი მისნი, გულისჴმა-ყო საღმრთოჲთა ცნობითა ღირსებისა მათისა მადლი და შეიწყნარნა იგინი სიხარულით, არა ვითარცა მოწაფენი, არამედ ვითარცა უზეშთაესნი მისა. უწყოდა სულითა, რამეთუ

მაშენებელი და მამასახლისი. ეს ოთხი შეანაწევრა სარწმუნოებამ და შეაკავშირა საღვთო სიყვარულმა, იყვნენ რა ერთი აზრით შეკრებილები, როგორც ერთი სული ოთხ სხეულში დაფუძნებული. მაშინ ნეტარმა გრიგოლმა თქვა დავითის სიტყვა: „რა არის კარგი და რა არის მშვენიერი, თუ არა ძმათა დამკვიდრება ერთად?[23]" რადგან ისევე, როგორც თქვა ქრისტემ თავისი დამკვიდრებულობა მისი სახელის გამო შეკრებილთა შორის[24], ამგვარადვე იყოს ჩვენს შორის თავად უფალი, რომ ესათნოოს მას ჩვენი ეს სულიერი მეომრობა უცხოობაში და რომ შეწირული იყოს ჩვენი მსახურება მოსაწონისად მის წინაშე". მათ კი თქვეს: „იყოს ქრისტე ღმერთი ჩვენს შორის ჩვენს სულიერ ძმობასა და მსვლელობაში და მღვიძარე გულმოდგინებაში[25], შენი სიტყვებისამებრ, ბრძენო გრიგოლ, რომ საღვთო ძალა დამკვიდრდეს ჩვენში".

მაშინ მათ ერთიანი ერთობით[26] დაიბეჭდეს თავიანთი თავი საუფლო პატიოსანი ჯვრის ძლიერების ბეჭდით და სიხარულით გაემართნენ იმ გზაზე, რომელიც არ იცოდნენ, მაგრამ, ამასთან, უმეცარნი არ იყვნენ, რადგან მხოლოდ უფალი უძღოდა მათ, ხედავდა რა იგი მათ გულში წმინდა და წყაროსავით დაუშრეტელ ლოცვას და მათი ცრემლების ნაკადულს.

და [მან] ქართლიდან ოპიზაში მოიყვანა ისინი პირველად, ხოლო ოპიზაში შეკრებილი იყო ცოტა ძმა ქრისტეს სიყვარულისთვის, ვინაიდან იქ იპოვებოდა წმინდა მცირე-ეკლესია იოანე ნათლისმცემლისა. ამ ძმათა წინამძღვრის სახელი იყო ამბა გიორგი, რადგან ოპიზის მესამე მამასახლისი იყო იგი, გარდაცვლილნი იყვნენ რა სამოელი და ანდრია. ამ ნეტარმა ამბა გიორგიმ როდესაც დაინახა სანატრელი მამა გრიგოლი და მისი მეგობრები, საღვთო ცოდნით შეიცნო მათი ღირსების მადლი და მიიღო ისინი სიხარულით არა როგორც

პატივი ზეგარდამო [ვ] ღმრთისა მიერ მონიჭებად იყო მათდა. და ორისა წელიწდისა ჟამთა იყვნეს ოპიზას მამაჲ გრიგოლ და მოყუასნი მისნი ღუაწლითა ფიცხლითა მონაზონებისა შრომისაჲთა, ვითარცა იყო წესი მისჟამისა მონაზონთაჲ.

ხოლო მამასა გრიგოლს სწადოდა მარტოდდაყუდებაჲ, რამეთუ ესმოდა ანგელოზებრივი ცხორებაჲ მარტოდმყოფთაჲ მათ სიერცესა მას შინა უდაბნოჲსასა, რომელნი-იგი იზარდებოდეს მძოვართა სახედ მწუანვილითა და ხილითა, ხოლო რომელნიმე მცირედითა პურითა და რომელთაჲმე ესმოდა სახელი და რომელნიმე ფარულად იყვნეს. ყოველთა მათ ნეტართა მოიხილავნ წმიდაჲ გრიგოლ და კეთილთა ქცევათა მათთა ისწავებნ, რომელთაგანმე - ლოცვასა და მარხვასა, რომელთაგანმე - სიმდაბლესა და სიყუარულსა, რომელთაგანმე - სიმშჯდესა და განურისხველობასა, რომელთაგანმე - უპოვარებასა და ქუეყანასა ზედა წოლასა, გინათუ ზეჯდომით ძილსა, რომელთაგანმე - უძილებასა და ჴელთსაქმარსა დუმილით და მსგავსთა ამათთა სათნოებათა, და ესრეთ სწავლათაგან სულიერთა აღსავსემან მიაქციის საყოფლადვე თჳსა, რამეთუ ესმინ წმიდათა მათგან, ვითარმედ: „ჰრცხუენსმცა სოფელსა ქცევათაგან ჩუენთა კეთილთა“.

ვ. მას ჟამსა იყო ვინმე ბერი ხანცთას მარტოდმყოფი კაცი, მართალი და წმიდაჲ, რომლისა სახელი ჴუედიოს. ამან ნეტარმან ჩუენებაჲ იხილა არათუ ძილსა შინა, არამედ ცხადად. რამეთუ ხედვიდა ადგილსა მას წმიდასა, სადა აწ ხანცთას წმიდაჲ ეკლესიაჲ შენ არს, ვითარმცა სახედ ეკლესიისა ნათლისა ღრუბელი გამოხატული დგა მყოვარჟამ და სულნელებაჲ დიდძალი გამოვიდოდა მიერ ღრუბლით. და ესმა ჴმაჲ [162] ნეტარსა მას ბერსა, ვითარმედ: „აღეშენოს წმიდაჲ ეკლესიაჲ ადგილსა ამას ჴელითა გრ-

მოწაფეები, არამედ როგორც მასზე აღმატებულნი, რადგან იცოდა სულიწმინდით, რომ უნდა მინიჭებოდათ მათ პატივი ზემოდან ღვთის მიერ. და ორი წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ ოპიზაში მამა გრიგოლი და მისი მეგობრები სამონაზვნო შრომის ფიცხელი ღვაწლით, როგორც იყო ეს წესი იმ დროის მონაზვნებისა.

მაგრამ მამა გრიგოლს სწადდა განმარტოებით განდეგილობა, რადგან ესმოდა მარტოდმყოფთა ანგელოზებრივი ცხოვრების შესახებ უდაბნოს იმ სივრცეში, რომლებიც მძოვარ [ცხოველთა] მსგავსად მწვანილითა და ხილით საზრდოობდნენ (ზოგი — მცირედი პურითაც), რომელთაგან ნაწილის სახელი ესმოდა, ნაწილი კი ფარულად იყო. ყველა ამ ნეტარს მოინახულებდა წმინდა გრიგოლი და სწავლობდა მათ კარგ ქცევებს, ზოგისგან — ლოცვას და მარხვას, ზოგისგან — სიმდაბლეს და სიყვარულს, ზოგისგან — სიმშვიდეს და ურისხველობას, ზოგისგან — უპოვარებასა და მიწაზე წოლას ანდა მჯდომარე ძილს, ზოგისგან — მღვიძარებას[27] და დუმილით ხელსაქმობას, და ამათ მსგავს სათნოებებს, შემდეგ კი სულიერ სწავლათაგან ამგვარად ავსებული უბრუნდებოდა თავის სამყოფელს[28], რადგან ესმოდა ამ წმინდანთაგან: „რცხვენოდეს სოფელს ჩვენს კარგ ქცევათა გამო“.

6. იმ დროს იყო ერთი ბერი ხანცთაში, მარტოდმყოფი ადამიანი, მართალი და წმინდა, რომელსაც ერქვა ხუედიოსი. ამ ნეტარმა ხილვა ნახა არათუ ძილში, არამედ ცხადად, რადგან ხედავდა ხანცთის იმ წმინდა ადგილს, სადაც ახლა წმინდა ეკლესიაა აშენებული, რომ სინათლის ღრუბელი, თითქოს ეკლესიის სახით გამოხატული, იდგა იქ ხანგრძლივად და ამ ღრუბლიდან დიდძალი სურნელება გამოდიოდა. და მოესმა ხმა ნეტარ ბერს: „აშენდება წმინდა ეკლესია ამ ადგილას

იგოლ მღდელისა, კაცისა ღმრთისაჲთა. და სულნელებაჲ ლოცვათა მისთაჲ და მოწაფეთა მისთაჲ, ვითარცა კეთილი საკუმეველი აღიწეოდის წინაშე ღმრთისა“. და ესე ჩუენებაჲ ვითარცა იხილა, განიხარა დიდად ფრიად და მიელოდა უწყებულსა მას წმიდასა, რამეთუ ჩუეულებაჲ აქუნდა ღმრთისამიერისა ხილვისაჲ. ეგ[რეთ]ვე აუწყა ქრისტემან სანატრელსა მამასა გრიგ[ოლს ბერისა მის] ღირსებაჲ და ადგილისა მის [მო]გებად მისა.

მას ჟამსა წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა მოიწია ხანცთად სათნოჲ ღმრთისაჲ მამაჲ ჩუენი გრიგოლ წმიდისა მის ბერისა. და ვითარცა იხილეს ერთმანერთი, განიხარეს ფრიად და ყვეს ლოცვაჲ. მაშინ ნეტარმან მან ბერმან ჰრქუა: „მაკურთხე, წმიდაო მამაო გრიგოლ, რამეთუ მღდელი ხარ შენ“. და ყო ლოცვაჲ მამამან გრიგოლ და, ვითარცა მრავალ[ჟამთა] მეგობარნი საყუარელნი, მოიკითხნეს ურთიერთას და სიხარულით დასხდეს და მიუთხრეს ჩუენებაჲ იგი პირველი. ხოლო ნეტარმან გრიგოლ ჰრქუა: „ვჰმადლობ ქრისტესა, რომელი მომიძღუა საყოფლად შენდა შვილსა შენსა და ღირს-მყო მე თაყუანისცემად კუალსა წმიდათა ფერჴთა შენთასა, გამორჩეულო ღმრთისაო! ამიერითგან იყავნ წმიდაჲ ჯუარი შენი საფარველ ჩემდა და შეწევნაჲ ღირსთა ლოცვათა შენთაჲ ზღუდჱ ჩემდა“. ხოლო მან ჰრქუა: „არ-ამედ უფროჲს-და ნაყოფი წმიდათა ლოცვათა შენთაჲ და წმიდაჲ ჯუარი შენი მარადის იყავნ ჩემზედა, უძლურისა ამის მოხუცებულისა, და მცირედთა დღეთა შემდგომად იხილო მტუერქმნული. შენ, წმიდაო ღმრთისაო, დაღაცათუ დღითა უმრწემეს ხარ, საქმით კულა უხუცეს ხარ [ვ] ჩემსა, რამეთუ შენ იყო მწყემსი კეთილი მრავალთა პირმეტყუელთა საცხოვართა ქრისტჱსთაჲ და სულისა ჩემისა საუკუნოდ გჳრგჳნი და სასოჲ. ამისთჳსცა არათუ ჴორცთა და სისხლთა მოგაწიეს უქმსა ამას უდაბნოსა ქუეყანით შენით, მამაო პატიოსანო, არამედ ძალი ძისა ღმრთისა მხოლოჲსაჲ და სიბრძნჱ სულისა წმიდისაჲ და მადლი ღმრთისა მამისაჲ გაქუს [წინამძღუ]რად შენდა, რომლისა წინაშე სრულიად [წარჴდო]ძილ

ღვთის კაცის, გრიგოლ მღვდლის ხელით და მისი და მისი მოწაფეების ლოცვათა სურნელება, როგორც კარგი საკმეველი, აღიწევა ღვთის წინაშე“. როდესაც ხილვა ნახა მან, მეტად დიდად გაიხარა და მოელოდა ნაუწყებ წმინდანს, რადგან ჰქონდა მას ჩვეულება ღვთისმიერი ხილვის მიღებისა. ამგვარადვე აუწყა ქრისტემ სანატრელ მამა გრიგოლს ამ ბერის ღირსება და იმ ადგილის მოპოვება მის მიერ.

იმ დროს სულიწმინდის წინამძღვრობით მოვიდა ხანცთაში, ამ წმინდა ბერთან, ჩვენი ღვთისსათნო მამა გრიგოლი, და როგორც კი დაინახეს მათ ერთიმეორე, გაიხარეს მეტად და შეასრულეს ლოცვა. მაშინ ნეტარმა ბერმა უთხრა: „მაკურთხე, წმინდა მამაო გრიგოლ, რადგან მღვდელი ხარ შენ“. შეასრულა ლოცვა მამა გრიგოლმა და მოიკითხეს მათ ურთიერთი როგორც დიდი ხნის საყვარელმა მეგობრებმა; შემდეგ სიხარულით დასხდნენ და ერთმანეთს უამბეს ის პირველი ხილვა. ნეტარმა გრიგოლმა თქვა: „ვმადლობ ქრისტეს, რომელიც გამომიძღვა შენი სამყოფლისკენ მე, შენს შვილს, და მაღირსა შენს წმინდა ფეხთა ნაკვალევის თაყვანისცემა, ღვთის რჩეულო! ამიერიდან შენი წმინდა ჯვარი იყოს ჩემი მფარველი და შენი ღირსეული ლოცვების შეწევნა ჩემი გალავანი“. ბერმა კი მიუგო: „პირიქით, უმალ შენი წმინდა ლოცვების ნაყოფი და შენი წმინდა ჯვარი იყოს მარადის ჩემზე, ამ უძლურ მოხუცებულზე, რამდენიმე დღის შემდეგ კი ნახავ მას მტვრადქცეულს. შენ, ღვთის წმინდანო, თუმცაღა ასაკით უმცროსი ხარ, მაგრამ საქმით უფროსი ხარ ჩემზე, რადგან შენ იქნები კეთილი მწყემსი ქრისტეს მრავალი პირმეტყველი ცხვრისა და ჩემი სულის საუკუნო გვირგვინი და იმედი. ამიტომ, არათუ ხორცმა და სისხლმა მოგიყვანა შენ ამ უსარგებლო უდაბნოში შენი ქვეყნიდან, მამაო პატიოსანო, არამედ ღვთის ერთადერთი ძის ძალა, სულიწმინდის სიბრძნე და მამაღმერთის მადლი გაქვს შენს წინამძღვრად, რომლის

არს ყოველი შეთხზულებაჲ [მტერისა] მანქანებათაჲ, ვითარცა ქსელი დედაზარდლისაჲ წინაშე ქარსა, და რამეთუ უწყის ბოროტმან ზარი სიწმიდეთა შენთაჲ, [რომლითა]ცა შეიკრა ვითარცა რაჲ მფრინველი შეურაცხი, და სრულიად დათრგუნოს ქრისტემან ფერჴთა ქუ[ეშე] შენთა, წმიდაო მამაო“.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ [ჰრქუა მას]: „ქრისტემან აღუთქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: [„მე თქუენ]თანა ვარ ყოველთა დღეთა“, და არა ხოლო თუ თქუენთანა ოდენ, არამედ „ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“ ყოველთა თანა მორწმუნეთა. იგივე თავადი უფალი მკჳდრ არს შენ თანა, ღირსო მამაო, რომელმანცა ლოცვითა შენითა მომანიჭოს ძლევაჲ ეშმაკთაჲ და მანქანებათა მათთა ურიცხუთაჲ, და შენ მოგცეს შრომათა შენთა წილ სასუფეველი ცათაჲ სიტყჳსაებრ მოციქულისა, ვითარმედ: „სასყიდელი იგი მოქმედსა მას შეერაცხების არათუ მადლით, არამედ თანანადებით“.

ამისა შემდგომად ჰრქუა კეთილმან მან ბერმან წმიდასა მამასა გრიგოლს: „წინაჲსწარმეტყველი იტყჳს, რამეთუ „ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი უფროჲს თაფლისა პირსა ჩემსა“, არამედ ჴორცთა საღუაწი უჴმს წერილისაებრ: „რომელმან მოსცა საზრდელი ყოველსა [163] ჴორციელსა, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაჲ მისი“.

მაშინ განჰმზადა ტაბლაჲ მსგავსად ჩუეულებისა სიხარულით, რომელი დახუდა დიდსა მას უპოვარებასა მისსა, და აკურთხეს მადლობით და იწყეს ჭამად, მარადის მეტყუელთა სულისა საზრდელსა მას სიტყუასა: „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეგჳწყალენ ჩუენ“. და კნინითა მით საშუებლითა ფრიად იშუებდეს, ვითარცა დიდძალითა სანოვაგითა, რამეთუ ღმერთი იყო შორის წმიდათა მათ, სიხარული დაუსრულებელი და კეთილი მოუკლებელი, რომლისათჳსცა იტყოდეს: „არა ნაკლულევან ვართ, არამედ აღსავსე მადლითა საუნჯეთა მათგან მოუკლებელთა, უხილავთა და განუპარველთა“. და ვითარცა მიიღეს

წინაშეც ყოვლითურთ უჩინარდება მტრის მზაკვრობათა ყოველგვარი შეწმასნილობა როგორც „ობობის ქსელი“ ქარის წინაშე, და იცის მან, უკეთურმა, შენს სიწმინდეთა შემაძრწუნებლობა, რითაც შეკრულია იგი როგორც უსუსური ფრინველი და მთლიანად გაქელავს მას ქრისტე შენს ფეხქვეშ, წმინდა მამაო“.

ნეტარმა გრიგოლმა მიუგო: „ქრისტემ აღუთქვა თავის მოწაფეებს: „მე თქვენთან ვარ ყველა დღეს“[29] და არა მხოლოდ თქვენთან, არამედ — ყველა მორწმუნესთან „სოფლის აღსასრულამდე“[30]. თვით იგივე უფალი მკვიდრობს შენში, ღირსო მამაო. შენი ლოცვით მან მომანიჭოს ეშმაკებისა და მათი ურიცხვი მზაკვრობების დაძლევა, შენ კი შენს შრომათა სანაცვლოდ მოგცეს ცათა სასუფეველი მოციქულის სიტყვისებრ: „საქმის მკეთებელს საზღაური ეთვლება არათუ მადლით, არამედ ვალდებულებით“[31].

ამის შემდეგ უთხრა იმ კარგმა ბერმა წმინდა მამა გრიგოლს: „წინასწარმეტყველი ამბობს: „ტკბილია ჩემს სასაში შენი სიტყვები უფრო მეტად ვიდრე თაფლი ჩემს პირში“[32], მაგრამ ხორცს საპატრონებელი[33] სჭირდება წერილისამებრ: „რომელმაც მისცა საზრდელი ყველა ხორციელს, რადგან უკუნისამდეა მისი წყალობა“[34].

მაშინ გაამზადა მან ტაბლა, ჩვეულებისამებრ, სიხარულით, რაც კი აღმოაჩნდა თავის დიდ უპოვარებაში, აკურთხეს მადლობით და დაიწყეს ჭამა, მუდმივად წარმოთქვამდნენ რა სულის მასაზრდოებელ სიტყვას: „უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალე ჩვენ“. ამ მცირედი ფუფუნებით, როგორც თითქოსდა დიდძალი სანოვაგით, მეტად ილხენდნენ ისინი, რადგან ღმერთი იყო ამ წმინდანთა შორის, — სიხარული დაუსრულებელი და სიკეთე მოუკლებელი, რის გამოც ამბობდნენ: „არ ვართ ნაკლულევანნი, არამედ აღვსებულნი ვართ მოუკლებელი, უხილავი და განუძარცვავი საგანძურების

საზრდელი, კუალად იწყეს სულისა ცხორებისა ზრახვასა. და იყო განგრძობილად სიტყუაჲ მათ შორის, რამეთუ დღჱ იგი დამწუხრდა და ღამჱ განთენა უძილობით ლოცვასა შინა მათსა და გალობასა ღმრთისასა.

და განთიად მოახილვა ყოველი სანახები ხანცთისაჲ, და ფრიად შეუყუარდა წმიდასა გრიგოლს. მაშინ ჰრქუა ნეტარსა ბერსა: „წარვიდე ოპიზას და მწრაფლ-ხოლო მივიდე ძმათა ჩემთა თანა, რომელ დაუტევენ მუნ, რაჲთა მოვიდენ ჩემთანა და იგინიცა იკურთხნენ წმიდათაგან ლოცვათა შენთა“. და ვითარცა მოიწია ოპიზას, ახარა ძმათა თჳსთა ხილვაჲ წმიდისა მის ბერისაჲ და ადგილისაჲ მის, კეთილისა საყოფლისა ღმრთივმოცემულისაჲ, და მწრაფლ-ხოლო მივიდეს ამბა გიორგისა, ოპიზის წინამძღურისა, და მოიღეს ლოცვაჲ წმიდაჲ მისი და ძმათა ყოველთაჲ და სიხარულით მოიწინეს ხანცთად. ყვეს ლოცვაჲ და მოიკითხეს წმიდაჲ იგი ბერი, ვითარცა ზეცისა ანგელოზი. ხოლო მან განიხარა ხილვაჲ ნეტართაჲ მათ და ჰრქუა მათ: „თქუენ ხართ სიწმიდისა ნაყოფ[ნ]ი, [ვ] მცენარენი სულნელნი, ვარდნი შუენიერნი, ფინიკნი კეთილნი და ზეთისხილნი ნაყოფსავსენი, ზეთითა მით სიწმიდისაჲთა პოხილნი, რომელთა ხილვითა დღეს „განიპოხა სიბერჱ ჩემი და ამაღლდა სიხარული ჩემი, ვითარცა რქაჲ მარტორქისაჲ“. ამიერითგან იხარებდინ უდაბნოჲ ესე თქუენ, ქრისტეს ნებისმყოფელთა, ამას შორის დანერგვითა“. ხოლო მათ ჰრქუეს: „წმიდისა ანტონის მიმსგავსებულო წმიდაო მამაო, სიტყუათა შენთა პატივი ჩუენთჳს ზეშთა ბუნებათა არს, არამედ დაამტკიცენ ქრისტემან ყოვლისა შემძლებელმან ქებისა ბრძანებაჲ ეგე მადლიერი, და კმა არს ჩუენდა, და ინებენ უფალმან მოცემად ჩუენდა მადლი ესე, რაჲთა ღირსად ვჰმსახუროთ სიწმიდესა შენსა ვიდრე აღსასრულამდე, ჰ წმიდაო ღმრთისაო“. მაშინ ჰრქუა ბერმან: „დაღაცათუ მხიარულ არს გული თქუენი მსახურებად მოხუცებულებასა ჩემსა, ხოლო ესე უწყოდეთ, ნებითა ღმრთისაჲთა ვიდრე სიკუდილამდე თჳთ ვჰმსახურო თავსა ჩემსა, რამეთუ დავით იტყჳს: „აღუთქუთ და

მადლით“. როდესაც მიიღეს საჭმელი, კვლავ შეუდგნენ სულის ცხონების შესახებ ბჭობას. გახანგრძლივდა საუბარი მათ შორის, რადგან ის დღე დაღამდა და ღამე უძილოდ გათენდა მათ საღვთო ლოცვასა და გალობაში.

განთიადისას ხუედიოსმა დაათვალიერებინა ხანცთის ყველა ადგილი, რომლებიც ძალიან შეუყვარდა წმინდა გრიგოლს. მაშინ უთხრა მან ნეტარ ბერს: „წავალ ოპიზაში და სწრაფადვე მოვალ ჩემს ძმებთან ერთად, რომლებიც იქ დავტოვე, რომ ისინიც, მოვლენ რა ჩემთან ერთად, იკურთხონ შენი წმინდა ლოცვების მიერ“. როდესაც მივიდა გრიგოლი ოპიზაში, ახარა თავის ძმებს ნახვა იმ წმინდა ბერისა და იმ ადგილისა — ღვთივმოცემული კარგი სამყოფელისა. სწრაფადვე მივიდნენ ისინი ამბა გიორგისთან, ოპიზის წინამძღვართან, მიიღეს მისი და ყველა ძმის წმინდა დალოცვა და სიხარულით მოვიდნენ ხანცთაში, ილოცეს და მოიკითხეს წმინდა ბერი, როგორც ზეცის ანგელოზი, რომელმაც გაიხარა ამ ნეტართა ნახვით და უთხრა მათ: „თქვენ ხარ სიწმინდის ნაყოფი, სურნელოვანი მცენარეები, მშვენიერი ვარდები, კარგი ფინიკები და ნაყოფსავსე ზეთისხილები[35], სიწმინდის ზეთით გაპოხიერებულები, რომელთა ნახვითაც დღეს „განოყიერდა ჩემი სიბერე და ამაღლდა ჩემი სიხარული, როგორც მარტორქის რქა“[36]. ამიერიდან იხაროს ამ უდაბნომ თქვენი, ქრისტეს ნების აღმსრულებლების, დანერგვით მასში“. მათ კი მიუგეს: „წმინდა ანტონს მიმსგავსებულო წმინდა მამაო, შენი სიტყვების ღირსად გახდომა ჩვენთვის ბუნებაზე აღმატებულია, მაგრამ დაამტკიცოს ყოვლისშემძლე ქრისტემ ეგ მადლიანი ქება, რაც ბრძანე. ამიტომ, საკმარისია ჩვენთვის და ინებოს უფალმა ამ მადლის მოცემა ჩვენთვის, რომ ღირსეულად ვემსახუროთ შენს სიწმინდეს ვიდრე აღსასრულამდე, ჰოი, ღვთის წმინდანო“. მაშინ უთხრა მათ ბერმა: „თუმცაღა მხიარულია თქვენი გული, რომ ემსახუროს ჩემს

აღუსრულეთ უფალსა ღმერთსა თქუენსაო“. აწ მე აღმითქუამს უფლისადა ვიდრე აღსასრულამდე ჩემდა მარტოდმყოფებაჲ, სულითა კულა თქუენთანა ვარ და აწ ჯერ არს ჩემდა აღნათქუემისა საქმით აღსრულებაჲ.

ამისა შემდგომად ჰრქუა ნეტარსა გრიგოლს: „მიმსგავსებულო ელიაჲსო და იოვანესო, ნეტარო კაცთა შორის, არს მახლობელად ჩუენსა ქუაბი მცირე, წარმიყვანე მუნ შენ და ძმათა შენთა, რაჲთა ნეშტი დღეთა ჩემთაჲ მას შინა აღვასრულო, რამეთუ მცირედ-ღა ყოფად არს ჩემი ჴორცთა შინა ყოფაჲ. ხოლო ესე აღმითქუთ, რომელ ჩემდა სიკუდიდმდე არა განჰმრავლდეთ ადგილსა ამას შინა“. და ჯუარი დასწერა თჳსსა მას სამკჳდრებელსა, და სიტყუაჲ [164] მისი განძლიერდა. და მათ არღარა იკადრეს ცილობად, არამედ მივიდეს მისთანა ქუაბად და ყვეს ლოცვაჲ. ხოლო ბერმან თქუა: „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნისამდე, ამას დავემკჳდრო, რამეთუ მთნავს ესე“. მაშინ ამბორს-უყვეს ურთიერთას და მისცეს მშჳდობაჲ წმიდასა მას ნეტართა მათ და შთამოვიდეს ადგილსა მას ღმრთისა მიერ ჩინებულსა სამონასტრედ. ხოლო წმიდამან გრიგოლ გონებითა შემუსრვილითა ლოცვაჲ ესე ცრემლით ჴელგანპყრობით წართქუა.

ზ. „ჟამსა ამას უცხოებისა და უპოვარებისა ჩუენისასა, ქრისტე, არა შემეშინოს ჩუენ ბოროტისაგან, რამეთუ შენ, უფალი, ჩუენთანა ხარ, განმზადებული ჩუენთჳს ადგილსა ამას კეთილსა განსასუენებელსა ნებისა შენისასა, რომელსა შინა მარადის ვედრებასა შევსწირავთ მოსალოდებელისა მისთჳს დღისა დიდებით მეორედ მოსლვისა შენისასა, ღმერთო! რაჟამს-იგი საშინელებათა ზარი და საყჳრისა ოხრაჲ შეაძრწუნებდეს დაბადე-

მოხუცებულობას, მაგრამ ეს იცოდეთ, რომ ღვთის ნებით მე თვით უნდა ვემსახურო ჩემს თავს ვიდრე სიკვდილამდე, რადგან დავითი ამბობს: „აღუთქვით და აღუსრულეთ თქვენს უფალ ღმერთს“[37]. ამჯერად მე აღთქმული მაქვს უფლისადმი, რომ მარტო ვიყო მე აღსასრულამდე, სულით კიდევ თქვენთან ვარ და ახლა მმართებს მე საქმით აღვასრულო აღთქმული“.

ამის შემდეგ უთხრა მან ნეტარ გრიგოლს: „ელიას და იოანეს მიმსგავსებულო და ადამიანთა შორის ნეტარო, ჩვენს ახლოს არის პატარა გამოქვაბული. წამიყვანეთ იქ შენ და შენმა ძმებმა, რომ რაც დღენი დამრჩენია, მასში აღვასრულო, რადგან ცოტა ხნითღა არის განკუთვნილი ჩემთვის ხორცში ყოფნა, ხოლო ეს აღმითქვით, რომ ჩემს სიკვდილამდე არ გამრავლდებით ამ ადგილას“. და ჯვარი გადასწერა მან თავის სამყოფელს და გაძლიერდა მისი სიტყვა, მათ კი აღარ შეჰკადრეს შეკამათება, მასთან ერთად მივიდნენ გამოქვაბულში და ლოცვა აღასრულეს. ბერმა თქვა: „ეს არის ჩემი მოსასვენებელი უკუნისამდე, აქ დავმკვიდრდები, რადგან მესათნოება ეს“[38]. მაშინ ეამბორნენ ერთიმეორეს, გამოემშვიდობნენ წმინდანს ეს ნეტარები და ჩამოვიდნენ ღვთისგან სამონასტროდ ჩვენებულ ადგილას, ხოლო წმინდა გრიგოლმა შემუსვრილი გონებით ხელგაწვდენილად წარმოთქვა ეს ლოცვა:

7. „ჩვენი ამ უცხოობისა და უპოვარების დროს, ქრისტე, არ შეგვეშინდება ჩვენ უკეთურისგან, რადგან შენ, უფალი, ჩვენთან ხარ, მზადმყოფი ჩვენთვის ამ კარგ ადგილას, — შენი ნების მოსასვენებელში, სადაც მარადის ვედრებას შევწირავთ შენი იმ დიდებით მეორედ მოსვლის მოსალოდნელი დღის გამო, ღმერთო, როდესაც საშინელებათა ზარტეხილი და საყვირის ხმოვანება შეაძრწუნებს ყველა ქმნილებას, რადგან

ბულთა ყოველთა, რამეთუ უქადაგებდეს ცოდვილთა სატან-ჯველთა მათ დაუსრულებელთა, ხოლო მართალთა ახარებდეს ცხორებასა დაუსრულებელსა. მაშინ ეტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი ამისთჳს, რამეთუ მიეცემოდიან ყოველნი ბრალეულ-ნი გუემათა და საარებათა. ხოლო მართალნი მათთჳს იგლოვდენ, რამეთუ არს უბიწოთაცა შეძრწუნება ზარი შენი, რომლისაგან მე ვძრწი, რამეთუ განუმზადებელ ვარ არათუ უმეცრებისა აჩრდილ-თა შეყენებული, არამედ უდებებისა მედგრობათაგან ძლეული ვჴმობ სულთქუმით: რაჟამს მოიწიოს დაჴსნაჲ გუამთაჲ და მხ-ილებაჲ ცოდვათაჲ და კუალად განახლებაჲ და შეერთებაჲ სულისა და ჴორცთაჲ, რომელთაჲ-მე ცხორებად საუ[ბ]კუნოდ და რომელთაჲ-მე სატანჯველად საუკუნოდ, მაშინ ვინაჲ იყოს ჩემდა ჴსნაჲ ბრალთა პატიჟისაგან? რამეთუ არა მომიგიეს მე საქმჱ, რომლითამცა უბრალო ვიპოვე წინაშე საყდართა შენთა, ქრისტე! არამედ ვედრებითა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა მა-რადის ქალწულისაჲთა და ყოველთა წმიდათა შენთაჲთა, უფალო მოწყალეო და სახიერო მეუფეო, წყალობა-ყავ და მაცხოვნენ ჩუენ რჩეულთა შენთა თანა, რაჲთა მათ თანავე მიგცემდეთ შენ საუკუნოდ დიდებასა, ამენ.“

ამისსა შემდგომად იწყო მან ხანცთისა შენებაჲ. და უბრძანა ძმათა მათ დავითის გალობისა მუჴლთა ამათ წართქუმაჲ: „წყალობათა შენთა, უფალო, უკუნისამდე უგალობდე, თესლითი-თესლამდე მიუთხრობდე ჭეშმარიტებათა შენთა პირითა ჩემითა, რამეთუ სთქუ: სოფელი წყალობით აღეშენოს“. „და ველნი შენნი აღივსნენ სიპოხითა, განჰპოხო შენ შუენიერებაჲ უდაბნოჲსაჲ და სიხარული ბორცუთა შეიმოსონ და ღელეთა განამრავლონ იფქლი ღმრთისმსახურებისაჲ, ღაღადებდენ და გალობდენ“ პირნი ჩუენნი ესრეთ: „მოგუხედენ მონათა შენთა, უფალო, და ქმნულსა ჴელთა შენთასა! წარუძღუ ძეთა მათთა! იყავნ ნათელი შენ, [უფლისა] ღმრთისა ჩუენისაჲ, ჩუენზედა! საქმენი ჴელთა ჩუენთანი წარჰ-მართენ ჩეუნზედა , უფალო, და ქმნული ჴელთა ჩუენთაჲ წარგჳ-

გამოუცხადებს ცოდვილებს იმ დაუსრულებელ სატანჯველებს, ხოლო მართლებს ახარებს დაუსრულებელ ცხოვრებას. მაშინ იგოდებს ქვეყნიერების ყველა ტომი იმის გამო, რომ მიეცემა ყველა ბრალეული გვემასა და ტანჯვას, ხოლო მართლები მათთვის იგლოვებენ, რადგან უბიწოთათვისაც შემაძრწუნებელი იქნება შენი ზარტეხილი, რისგანაც ვძრწი მე, რადგან მოუმზადებელი ვარ, არა როგორც უმეცრების ჩრდილში ჩაკეტილი, არამედ როგორც მცონარების უსაქმობათაგან ძლეული, და ვხმობ კვნესით: როდესაც მოხდება სხეულთა დარღვევა და მხილება ცოდვათა, და კვლავ განახლება და შეერთება სულისა და ხორცისა, ზოგისთვის საუკუნოდ საცხოვნებლად და ზოგისთვის საუკუნოდ სატანჯველად, მაშინ საიდან იქნება ჩემთვის ხსნა დანაშაულთა სასჯელისგან? რადგან არ მომიპოვებია მე ღვაწლი, რითაც უდანაშაულო აღმოვჩნდებოდი შენს საყდართა წინაშე, ქრისტე, მაგრამ ჩვენი დედოფლის, მა-რადქალწული ღვთისმშობლის და ყველა შენი წმინდანის ვე-დრებით, მოწყალე უფალო და კეთილო მეუფე, მოიღე წყალობა და გვაცხოვნე ჩვენ შენს რჩეულებთან ერთად, რომ მათთან ერთადვე განგიკუთვნოთ შენ საუკუნო დიდება, ამინ“.

ამის შემდეგ დაიწყო მან ხანცთის შენება და უბრძანა ძმებს დავითისეული გალობის ამ მუხლთა წარმოთქმა: „შენს მოწყალებებს, უფალო, უკუნისამდე ვუგალობებ, თაობიდან — თაობამდე ვუამბობ შენს ჭეშმარიტებებს ჩემი პირით, რადგან თქვი: „ქვეყნიერება წყალობით აშენდება“[39] „და შენი ველები აივსება ნოყიერებით; გაანოყიერებ შენ შენ უდაბნოს მშვენ-იერებას და ბორცვები სიხარულს შეიმოსავენ, და ღელეები გაამრავლებენ ღვთისმსახურების ხორბალს, იღაღადებენ და იგალობებენ“[40] ჩვენი პირები ასე: „მოგვხედე შენს მონებს, უფალო, და — შენი ხელების ნაქმნარს. წაუძეხი მათ ძეებს! იყოს სინათლე შენი, ჩვენი [უფალი] ღვთისა, — ჩვენზე! ჩვენი

მართე“, „რამეთუ უდაბნოთა ამათ და მთათა აღვიხილენით თუ-
ალნი ჩუენნი, ვინაჲ მოხუედ შეწევნად ჩუენდა?“. „ჭეშმარიტად
შეწევნა არს ჩუენდა სახელითა უფლისაჲთა, რომელმან ქმ[ნ]ნა
ცანი და ქუეყანაჲ და ყოველნი დაბადებულნი“.

და ერთობით ჯუარი დასწერეს ადგილსა მას და იწყეს
საქმედ სენაკებისათჳს ქუეყანისა დავაკებად, რამეთუ კლდჱ იგი
ხანცთისაჲ უფიცხლეს არს უფროჲს ყოველთა მათ კლარჯეთისა
[165] უდაბნოთა. და შრომითა დიდითა ქმნეს ადგილი იგი, რამეთუ
არა აქუნდა მათ ცული და წერაქჳ, არცა სხუაჲ ეგევითარი საჴ-
მარი, არამედ ოპიზელთა მამათა მოსცეს ყოველი, რომელი იპოვა
ჴელთა მათთა, და თანაშემწე-ექმნეს ყოვლითა საჴმრითა და
ჴორცთა საღუაწითა, რამეთუ მას ჟამსა სხუაჲ მონასტერი არა
შენ იყო მათ ქუეყანათა თჳნიერ ოპიზისა, და არცა მსოფლიონი
ერისკაცნი ახლვიდეს ახლადშენებისათჳს მათ ქუეყანათაჲსა,
რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა, და შავშეთს და ყოველთა
მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ
ტყეთა შინა ადგილ-ადგილ.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ პირველად აღაშენა ძელისა
ეკლესიაჲ და შემდგომად საყუდელი თჳსი და თითო სენაკები ძმა-
თა მათთჳს მცირჱ და ერთი სენაკი საოსტიგნედ დიდი.

და დღითი-დღე აღორძნდებოდეს ძმანი, რამეთუ შეეძინე-
ბოდეს უფალსა მუშაკნი მეათერთმეტისა ჟამისანი მოქმედად
ჭეშმარიტსა მას ვენაჴსა და თანაზიარ-იქმნებოდეს პირველთა
მათ მართალთა და მონაწილე წმიდათა მოწამეთა, მჴნდებოდეს
რაჲ ღუაწლსა მას მონაზონებისასა მსგავსად წმიდათა მოწამეთა
და უფროჲს მათსა, რამეთუ მარტჳლნი ერთსა ხოლო შინა ჟამსა
იწამნეს, ხოლო ესე[ნი] ყოველსა ჟამსა იწამებოდეს სახელისათჳს
ქრისტჱსისა, ვითარცა დავით იტყჳს: „შენთჳს მოვსწყდებით
ჩუენ მარადღე“. და პავლე იტყჳს: „მე რაჲ-დღე ქრისტჱსთჳს
მოვკუდები“. უკუეთუმცა არა იყო დაუცხრომელი ბრძოლაჲ წმი-
დათაჲ, არამცა მოიჴსენეს ბრძოლაჲ იგი სიკუდილად მარადღე.

ხელების საქმეები წარმართე ჩვენზე, უფალო, და ჩვენი ხელებ-
ის ნაქმნარი წარგვიმართე“[41], „რადგან ამ უდაბნოებსა და
მთებს მივაპყრეთ ჩვენი თვალები. საიდან მოხვედი ჩვენს შეს-
აწევნელად?“[42] „ჭეშმარიტად შეწევნა გვაქვს ჩვენ უფლის
სახელით, რომელმაც შექმნა ცანი და მიწა და ყველა
ქმნილება“[43].

შემდეგ ერთობლივად ჯვარი გადასწერეს იმ ადგილს და
დაიწყეს სენაკების გასაკეთებლად მიწის დავაკება, რადგან
ხანცთის კლდე კლარჯეთის ყველა უდაბნოზე უფრო უხეშია,
და დიდი შრომით დაამუშავეს ის ადგილი, არ ჰქონდათ რა
ცული და წერაქვი, არც სხვა რამ ამგვარი მოსახმარისი, არ-
ამედ ოპიზელმა მამებმა მისცეს მათ ყველაფერი, რაც კი ხელთ
აღმოაჩნდათ, და შემწეობა გაუწიეს ყოველგვარი მოსახმარის-
ით და ხორცთა საპატრონებელით, ვინაიდან იმ დროს
ხსენებულ მხარეებში ოპიზის გარდა სხვა მონასტერი
აშენებული არ იყო და არც ამა ქვეყნის ერისკაცები ახლდათ
მათ იმ მხარეების ახალმშენებლობისთვის, რადგან კლარჯეთ-
ში, ტაოში, შავშეთში და ყველა იმ ახლომდებარე მხარეში
ცოტანი იყვნენ ისინი[44], ტყეებში აქა-იქ დასახლებულები.

ნეტარმა გრიგოლმა პირველად ააშენა ძელის ეკლესია,
შემდეგ თავისი სამყოფელი, თითო-თითო სენაკი ძმათათვის და
ერთი დიდი სენაკი სატრაპეზოდ[45].

დღითი-დღე მრავლდებოდნენ ძმები, რადგან ემატებოდა
უფალს მეთერთმეტე საათის მუშები ჭეშმარიტი ვენახის
დასამუშავებლად[46] და ისინი პირველ მართალთა თანაზიარნი
და წმინდა მოწამეთა მონაწილენი ხდებოდნენ, რადგან მონაზ-
ვნობის ღვაწლში წმინდა მოწამეების მსგავსად, — და მათზე
მეტად, — მხნეობდნენ, რადგან მარტვილები მარტოოდენ ერთ
დროს ეწამნენ, ესენი კი ყოველ დროს ეწამებოდნენ ქრისტეს
სახელისთვის, როგორც ამბობს დავითი: „შენთვის ვიხოცებით
ჩვენ ყოველ დღე“[47], და პავლე ამბობს: „მე ყოველდღე ქრისტ-

„რამეთუ ჴორცთა გული უთქუამს სულისათჳს და სულსა ჴორცთათჳს, და ესე მჴდომნი არიან [ვ] ურთიერთას“ სიტყჳსაებრ მოციქულისა, რამეთუ „რაჲ სულისა აღმოფშჳნვა მადლი იქმნების და რაჲ სულისა აღმოფშჳნვა ბრალი იქმნების ჩუენ შორის“. ამისთჳსცა „ანგელოზ მჴდომ“ სახელ-სდებს პავლე გონებასა კაცთასა; და ვითარცა თავისა თჳსისათჳს ქადაგებს, ეგრეთვე ყოველთათჳს იტყჳს, რამეთუ ოდესმე წმიდათა ანგელოზთა გონებაჲ პოვის ჩუენ შორის, და ოდესმე ეშმაკთაჲ. ამისთჳსცა ქრისტემან უბრძანა პეტრე მოციქულსა: „არათუ შჳდგზის ოდენ შეუნდო ძმათა დღესა შინა, არამედ სამეოცდაათჯერ შჳდგზისო“. და ამათ ესევითართა ვნებათა, დაფარულთა და ცხადთა, მჴდომისა ღონეთა ძლიერად ეწყვებოდეს ღირსნი ესე მამანი, მოთმინენი მრავალსახეთა ჭირთა და მწუხარებათა ქრისტჱსთჳს.

Თ. მას ჟამსა ნეტარი იგი ბერი ჴუედიოს მოხუცებულ იყო ფრიად და მიახლებულ ჴორცთაგან განსლვად. მაშინ მივიდა მამაჲ ჩუენი წმიდაჲ გრიგოლ და ძმანიცა, რომელნი იყვნეს მის თანა, ხილვად ბერისა. და ვითარცა მოიკითხეს, ჰრქუეს: „გუაკურთხენ, წმიდაო მამაო, რამეთუ აწ მიხუალ უფლისა“. ხოლო მან ჰრქუა: „ღმერთი მშჳდობისა, სიყუარულისა და კაცთმოყუარებისაჲ იყავნ თქუენთანა ყოლადვე, არამედ ჩემთჳს ლოცვა-ყავთ, წმიდანო მამანო, რამეთუ მივალ დღეს ბანაკსა უცხოსა და ღმრთისა საყდართა საშინელთა“. ხოლო მათ ჰრქუეს: „არა ხარ უცხო ბანაკსა მას წმიდათა ანგელოზთასა, რომელთა თანა სულითა მარადის იხარებ წინაშე ქრისტჱსა, არამედ ნუ დამივიწყებ ჩუენ, ადგილისა შენისა წმიდისა მკჳდრთა და ნერგთა მადლისა

ესთვის ვკვდები“[48]. დაუცხრომელი რომ არ ყოფილიყო წმინდანთა ბრძოლა, არც მოიხსენიებდნენ ამ ბრძოლას „ყოველდღიურ სიკვდილად“, რადგან, მოციქულის სიტყვისებრ, „ხორცს ნდომა აქვს სულისთვის და სულს ხორცისთვის, და ესენი ერთი-მეორის მოწინააღმდეგები არიან“[49].

ვინაიდან ზოგჯერ სულის ზოგი აღმოფშვინვა მადლი ხდება და სულის ზოგი აღმოფშვინვა დანაშაული ხდება ჩვენში[50]. ამიტომ, „მოწინააღმდეგე ანგელოზს“ უწოდებს პავლე ადამიანთა გონებას და როგორც თავისი თავისთვის ქადაგებს იგი ამას, ასევე ყველასთვის ამბობს, რადგან ზოგჯერ წმინდა ანგელოზების გონებას ჰპოვებს იგი ჩვენში და ზოგჯერ ეშმაკებისას. ამიტომ უბრძანა ქრისტემ პეტრეს: „არათუ დღეში მხოლოდ შვიდგზის შეუნდე ძმებს, არამედ სამოცდაათჯერ შვიდგზისო“[51]. აი, ამგვარ ვნებებს, მოწინააღმდეგის დაფარულ და ცხად ხრიკებს, ძალუმად შეებმოდნენ ეს ღირსი მამები, ქრისთესთვის მრავალგვარი ჭირისა და მწუხარების დამთმენნი.

8. იმ დროს ნეტარი ბერი ხუედიოსი ძალიან მოხუცებული იყო და მიახლოებული ხორციდან გასვლას. მაშინ მივიდა ჩვენი წმინდა მამა გრიგოლი და ის ძმებიც, რომლებიც მასთან იყვნენ, ბერის სანახავად, და როცა მოიკითხეს, უთხრეს: „გვაკურთხე, წმინდა მამაო, რადგან უფალთან მიდიხარ ახლა“. მან მიუგო: „ღმერთი მშვიდობისა, სიყვარულისა და კაცთმოყვარეობისა იყოს თქვენთან ყოვლითურთ, ჩემთვის კი ილოცეთ, წმინდა მამებო, რადგან დღეს მივდივარ უცხო ბანაკში და ღვთის საშინელ დასაბრძანებლებში“. მათ უთხრეს: „არ ხარ უცხო წმინდა ანგელოზთა ბანაკში, რომლებთან ერთადაც მარადის ხარობ სულით ქრისტეს წინაშე, მაგრამ ნუ დაგვივიწყებ ჩვენ, შენს წმინდა ადგილას დამკვიდრებულებს

შენისათა“. და მან ჰრქუა მათ: „ჴელთა ღმრთისათა შევჰვედრებ სულსა ჩემსა და ჴელთა თქუენთა – ჴორცთა ჩემთა, ხოლო ნებითა ღმრთისაჲთა ერთად იყოს სიხარული ჩუენი საუკუნოდ“.

და დაიძინა ნეტარმან ბერმან და ტკბილ-ეყო მას ჰრული მისი. და ადგილი [166] იგი აღივსო სულნელებითა და ანგელოზთა წმიდათა გალობითა, რომელთა წარიყვანეს იგი სიხარულით წინაშე ქრისტჱსა. ხოლო მამამან გრიგოლ და ძმათა წარმოიყვანეს ძლევითშემოსილი გუამი მისი და გალობითა წმიდითა დაჰმარხეს იგი საფლავსა შინა, და მადლი მისცეს ქრისტესა, ნებისმყოფელთა მისთა ძლევისა მომცემელსა და გჳრგჳნოსანმყოფელსა.

მაშინ ნებითა ღმრთისაჲთა განმრავლდებოს ძმანი ქრისტჱსმსახურნი. ხოლო მამაჲ გრიგოლ არავის უდებთაგანსა შეიწყნარებდა, არამედ პირველად გამოცადის ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა, და უკუეთუ იპოვის გულითა უმანკოჲ, უზაკუველი და უდრტჳნველად სიმდაბლით მორჩილი წადიერად ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა, იგი შეიწყნარის სიხარულით. ამისთჳსცა ყოველნი მოწაფენი მისნი კეთილ იყვნეს ფრიად და ღირსადშემწყნარებელ სათნოებათა მისთა წმიდათა. და ემსგავსებოდეს მოძრღუარსა კეთილსა, ვითარცა მოძღუარი მათი ემსგავსებოდა ქრისტესა, რომელიცა იტყჳს: „კმა არს მოწაფისა მის, იყოს თუ ვითარცა მოძღუარი თჳსი“. და ესრეთ კეთილად ცხონდებოდეს იგინი სულიერად, ხოლო ჴორციელად დიდსა იწროებასა იყვნეს.

თ. და მათ ჟამთა მფლობელი იყო ამათ ქუეყანათა ღმრთისმსახური ჴელმწიფჱ დიდი ბაგრატუნიანი აშოტ კურაპალატი, კეთილადმორწმუნჱ, რომლისა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაჲ მისი და შვილთა მისთაჲ ვიდრე უკუნისამდე ჟამთა. და ჴელმწიფისა მის წინაშე და შვილთა მისთა, დიდებულთა მათ ჴელმწიფეთა, წინაშე შეუსწავლელ იყო წმიდაჲ გრიგოლ. ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ [ვ] კურაპალ-

და შენი მადლის ნერგებს“. და მან უთხრა მათ: „ღვთის ხელებს ვაბარებ ჩემს სულს და თქვენს ხელებს — ჩემს სხეულს, ხოლო ღვთის ნებით საუკუნოდ ერთად იყოს ჩვენი სიხარული“.

და დაიძინა ნეტარმა ბერმა და ტკბილი გაუხდა მას თავისი მირულება, ხოლო ის ადგილი აივსო სურნელებით და წმინდა ანგელოზების გალობით, რომლებმაც წაიყვანეს იგი სიხარულით ქრისტეს წინაშე, ხოლო მამა გრიგოლმა და მისმა ძმებმა წამოიყვანეს ძლევაშემოსილი მისი სხეული და წმინდა გალობით დამარხეს იგი საფლავში, ამასთან მადლობა უძღვნეს ქრისტეს, თავისი ნების აღმსრულებლებისთვის მძლეობის მიმცემს და მათ გვირგვინოსანმყოფელს.

მაშინ ღვთის ნებით გამრავლება დაიწყეს ქრისტესმსახურმა ძმებმა, ხოლო მამა გრიგოლი არავის მცონარეთაგანს არ მიიღებდა, არამედ პირველად გამოსცდიდა [მავანს] ყველა კარგ საქმეში და თუ ჰპოვებდა მას გულით უმანკოს, უეშმაკოს და უდრტვინველი თავმდაბლობით წადიერად მორჩილს ყოველგვარი კარგი საქმისადმი, მიიღებდა სიხარულით. ამის გამო მისი ყველა მოწაფე მეტად კარგი იყო და მისი წმინდა სათნოებების ღირსეულად შემთვისებელი. ემსგავსებოდნენ ისინი თავიანთ კარგ მოძღვარს, ისევე როგორც მათი მოძღვარი ემსგავსებოდა ქრისტეს, რომელიც ამბობს: „საკმარისია მოწაფისთვის, თუ იქნება იგი როგორც თავისი მოძღვარი“[52]. ასე კარგად ცხოვრობდნენ ისინი სულიერად, ხორციელად კი დიდ შევიწროებაში იყვნენ.

9. იმ დროს ამ მხარეების მფლობელი იყო ღვთისმსახური ხელმწიფე, დიდი ბაგრატიონი, კეთილმორწმუნე აშოტ კურაპალატი, რომლის მეშვეობითაც დამყარდა ქართველებზე მისი და მისი შვილების მთავრობა ვიდრე უკუნისამდე დროთა. ამ ხელმწიფისა და მისი შვილების, დიდებული ხელმწიფეების,

ატისა, და ერქუა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული, და აწ ნათესავთა მისთა ჰრქჳან დაფანჩულნი. ესე აზნაური შემკულ იყო ყოვლითა სისრულითა და სიმდიდრითა, სიბრძნითა, ჰასაკითა და ახოვნებითა, და ყოველსა ზედა საქმესა განმარჯუებითა და კეთილადმორწმუნეობითა ქებულ იყო.

ამას აქუნდეს ზოგნი სოფელნი მახლობელად ვანსა ნეტარისა გრიგოლისსა, რომელმანცა მოწაფეთა თჳსთა უპოვარებაჲ იხილა რაჲ, მიიწია ნებითა ღმრთისაჲთა სახლსა გაბრიელ დაფანჩულისასა. ხოლო იგი შინ არა დახუდა, არამედ ღმრთისმოყუარჱ მეუღლჱ მისი მარიამ სარწმუნოებით მოეგება მამასა ჩუენსა გრიგოლს და ჯეროვნად პატივ-სცა და მრავლითა კეთილითა განუტევა. და თანა კაცნი წარმოაყვანნა შესასწავლელად და ჰრქუა: „წმიდაო მამაო, ამათ კაცთა ასწავე გზაჲ მონასტრისა შენისაჲ და საღუაწი სულიერთა შვილთა შენთაჲ უზრუნველ იყოს შენგან, რამეთუ არა დაგაკლდეს სახლისაგან ჩუენისა. არამედ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა ჴსენებულ გუყვენით უფალი ჩემი გაბრიელ და მე, მჴევალი შენი, და შვილნი ჩუენნი“. და ესრეთ სიხარულით მოვიდა მონასტრად თჳსა მამაჲ გრიგოლ, და განიხარეს ძმათა მათ ფრიად, რამეთუ ღმერთმან პატივ-სცის მადიდებელთა თჳსთა.

ხოლო რაჟამს მოიწია სახიდ თჳსა გაბრიელ მთავარი, მაშინ აუწყა ღმრთისმოყუარემან მეუღლემან მისმან ნეტარისა მამისა გრიგოლის მოსლვაჲ, და ვითარ-იგი მან სიხარულით განუტევა. და ვითარცა ესმა ესე დიდებულსა მას აზნაურსა, მადლი შეწირა ღმრთისა წმიდისა მის შესლვისათჳს სახლსა თჳსსა, და აკურთხა მეუღლჱ თჳსი. და მსწრაფლ-ხოლო დაწერა წიგნი ვედრებისაჲ და წარავლინნა [167] კაცნი კეთილნი, რაჲთა კუალადცა ბრძანოს სახლსა მისსა. ხოლო მამაჲ ჩუენი ნეტარი გრიგოლ მორჩილ-იქმნა სიტყუათა მისთა და წარჰყვა კაცთა მათ მოვლინებულთა.

და ვითარცა ესმა მისლვაჲ ამის ნეტარისაჲ, აღდგა და მიეგება წინა გაბრიელ, აზნაური მეფისაჲ, და თაყუანის-სცა სიხარულით

კარზე უცნობი იყო წმინდა გრიგოლი, მაგრამ აშოტ კურაპალატის კარზე იმყოფებოდა დიდებული ვინმე აზნაური, რომელსაც სახელად ერქვა გაბრიელ დაფანჩული (ახლა მის შთამომავლებს ჰქვიათ „დაფანჩულნი“). ეს აზნაური შემკული იყო ყოველგვარი სრულქმნილებითა და სიმდიდრით. იგი ქებული იყო სიბრძნით, აღნაგობით, ახოვანებით, ყველა საქმეში გამარჯვებულობით და კეთილმორწმუნეობით.

მას ჰქონდა ზოგი სოფელი ნეტარი გრიგოლის სავანის ახლოს. როდესაც გრიგოლმა თავისი მოწაფეების უპოვარება ნახა, მივიდა იგი, ღვთის ნებით, გაბრიელ დაფანჩულის სახლში, რომელიც შინ არ აღმოჩნდა. სანაცვლოდ, მისი ღვთისმოყვარე მეუღლე მარიამი მიეგება ჩვენს მამა გრიგოლს სარწმუნოებით, ჯეროვანი პატივი სცა მას და ბევრი სიკეთით გაისტუმრა, თანაც ადამიანები გაატანა [გზის] სასწავლად და უთხრა: „მამაო, ამ ადამიანებს ასწავლე შენი მონასტრის გზა და შენი სულიერი შვილების მოსახმარისი შენი საზრუნავი აღარ იქნება, რადგან არ მოგაკლდება იგი ჩვენი სახლიდან. სანაცვლოდ, თქვენს წმინდა ლოცვებში მოგვიხსენეთ ჩემი ბატონი გაბრიელი, მე, მხევალი შენი, და ჩვენი შვილები“. ასე სიხარულით მოვიდა თავის მონასტერში მამა გრიგოლი და მეტად გაიხარეს ძმებმა, რადგან პატივს სცემს ღმერთი თავის მადიდებლებს.

ხოლო როდესაც მივიდა თავის სახლში გაბრიელ მთავარი, აუწყა მას თავისმა ღვთისმოყვარე მეუღლემ ნეტარი მამა გრიგოლის მოსვლა და ისიც, თუ როგორ სიხარულით გაისტუმრა მან იგი. გაიგონა რა ეს ამ დიდებულმა აზნაურმა, მადლობა შეწირა ღვთისადმი თავის სახლში წმინდანის შესვლის გამო და დალოცა თავისი მეუღლე. მაშინვე დაწერა მან თხოვნის წერილი და გაგზავნა კარგი ადამიანები, რომ კვლავ მობრძანებულიყო იგი მის სახლში. ჩვენი ნეტარი მამა გრიგოლი დაემორჩილა მის სიტყვებს და წაჰყვა

და ამბორს–უყოფდა წადიერად ჴელთა მისთა წმიდასა მას და წარიყვანა პატივით სახედ თჳსა და მრავალთა დღეთა განუსუენა. და წარმოუდგინნა წინაშე მისსა ოთხნი იგი ძენი თჳსნი, ყოლადკეთილნი და ყოვლითავე მსგავსნი გაბრიელ მამისა მათისანი: პატრიკ, გუარამ, არშუშა და აბულასათ. და ჰრქუა ნეტარსა გრიგოლს: „წმიდაო ღმრთისაო, აკურთხენ ესენი წმიდათა ჴელთა შენთა დასხმითა; ვითარცა ისრაჱლ იოსების ძენი აკურთხნა, ეგრეთვე შენ ყოველნი შვილნი ჩუენნი აკურთხენ ჩუენ, მშობელთა მათთა, თანა!“

და ვითარცა იხილა წმიდამან მან ფრიადი სარწმუნოებაჲ კურთხეულთა მათ მეუღლეთა და შვილთა მათთაჲ, მაშინ აღდგა სიხარულისა ცრემლითა საესჱ და აღიპყრნა წმიდანი ჴელნი თჳსნი [ღმრთისა] მიმართ და ჰრქუა: „უფალო, საუკუნითგანთა წმიდათა შენთა მორწმუნენი შენნი, რომელნიცა იკურთხნიან, სიტყუაჲ მათი საქმით აღასრული, აწცა, უფალო, მოხედე ლოცვასა ჩემსა, გლახაკისა მონისა შენისასა, და ლოცვითა ყოველთა წმიდათა შენთაჲთა აკურთხენ მშობელნი შვილითურთ და შვილნი მშობელთა თანა. კეთილადმორწმუნენი ესე და მადიდებელნი წმიდისა სახელისა შენისანი, ვითარცა აკურთხე სახლი ნოვე მართლისაჲ და აბრაჰამ მამათმთაჳრისაჲ და ყოველთა ნებისმყოფელთა შენთაჲ. ღმერთო დიდებისაო, იგივე კურთხევაჲ საუკუნოჲ დაამკჳდრე ამათ შორის და უხუად მიანიჭე კეთილი ქუეყანისაჲ დღეგრძელებასა შინა და კეთილი ზეცისაჲ დაუსრულებელი და [ვ] ჩუენთჳს წყალობა–ყავ, ამენ“.

და ჯუარი დასწერა ყოველთა და დაჯდა. მაშინ გაბრიელ ჰრქუა წმიდასა მას: „ქრისტემან საქმით დაამტკიცენ სიტყუაჲ ბაგეთა შენთაჲ, ღირსო მამაო, და ჩუენ მოგუეცინ უფალმან გულსმოდგინედ მსახურებაჲ სიწმიდისა შენისაჲ, რაჲთა სიტყუაჲ იგი მოციქულისაჲ ჩუენშორის აღესრულოს, ვითარმედ – „თქუენი ნამეტნავი მათისა ნაკლულევანებისა და მათი ნამეტნავი თქუენისა ნაკლულევანებისა“. აწ ჩუენთანა არს ჴორცეული კეთილი და

გამოგზავნილ ადამიანებს. როდესაც გაიგო გაბრიელმა, მეფის აზნაურმა, ამ ნეტარის მისვლა, ადგა, წინ მიეგება, თაყვანი სცა სიხარულით და, წადიერად ეამბორებოდა რა წმინდანს ხელებზე, პატივით წაიყვანა იგი თავის სახლში, სადაც ბევრი დღე მოასვენა. წარუდგინა მას თავისი ოთხი ძე, ყოვლად კარგები, ყველაფრით მსგავსები მათი მამის, გაბრიელისა: პატრიკი, გუარამი, არშუშა და აბულასათი. უთხრა მან ნეტარ გრიგოლს: „ღვთის წმინდანო, აკურთხე ესენი შენი წმინდა ხელების თავზე დადებით და ისევე როგორც აკურთხა ისრაელმა იოსების ძეები, ამგვარადვე აკურთხე ჩვენი შვილები ჩვენ, მათ მშობლებთან, ერთად“.

და როდესაც ნახა წმინდანმა ამ კურთხეული მეუღლეებისა და მათი შვილების დიდი სარწმუნოება, მაშინ ადგა იგი სიხარულის ცრემლით სავსე, [ღვთის] მიმართ აღაპყრო თავისი წმინდა ხელები და უთხრა: „უფალო, გვწამს, რომ შენ ოდითგან [მცხოვრებ] შენს კურთხეულ წმინდანთა სიტყვას საქმით აღასრულებ; ამჯერადაც, უფალო, მოხედე ჩემს, შენი გლახაკი მონის, ლოცვას და ყველა შენი წმინდანის ლოცვით აკურთხე მშობლები შვილებიანად და შვილები მშობლებთან ერთად — ეს კეთილმორწმუნეები და შენი წმინდა სახელის მადიდებლები, და როგორც აკურთხე სახლი ნოე მართლისა, აბრაამ მამამთავრისა და ყველასი, ვინც კი შენი ნების აღმსრულებელია, ღმერთო დიდებისაო, იგივე საუკუნო კურთხევა დაამკვიდრე ამათ შორის, და უხვად მიანიჭე ამათ ამა სოფლის სიკეთე დღეგრძელებაში და — დაუსრულებელი სიკეთე ზეცისა, და შეგვიწყალე ჩვენ, ამინ“.

და ჯვარი გადასწერა მან ყველას და დაჯდა. მაშინ გაბრიელმა უთხრა წმინდანს: „ქრისტემ საქმით დაამტკიცოს სიტყვა შენი ბაგეებისა, ღირსო მამაო, ჩვენ კი შეგვაძლებინოს უფალმა, რომ გულმოდგინედ ვემსახუროთ შენს სიწმინდეს, რათა აღსრულდეს ჩვენს შორის მოციქულის სიტყვა: „თქვენი

თქუენთანა არს სულიერი კეთილი, და ესე შევზავნეთ ურთიერ-
თას. თქუენ მონაწილე-გუყვენით წმიდათა ლოცვათა თქუენთა
ცხორებასა ამას და შემდგომად სიკუდილისა, და ძუალნი ჩუენნი
ღირს-ყვენით დასხმად წმიდათა თანა ძუალთა თქუენთა, და
ლოცვაჲ ჩუენთჳს უკუნისამდე განაწესეთ მონასტერსა თქუენსა,
და ჩუენ აღგითქუამთ, ცხორებასა ჩუენსა და ცხორებასა შვილთა
ჩუენთასა, შვილითი-შვილადმდე თანა-გუაც თქუენი ღუწაჲ და
მონასტრისა თქუენისაჲ ჟამთა უკუნისამდე. არამედ, წმიდაო
მამაო, სავანე კეთილი ადგილი დედათათჳს სამკჳდრებელად
გამონახეთ, რაჲთა ესე მცნებაჲ იყოს ჩუენ შორის: ნათესავისა
ჩემისა უკუეთუ მოწესე მამაკაცი იყოს, სამკჳდრებელად მისა
ხანცთაჲ იყოს, და უკუეთუ ერისა ჩემისა მოწესჱ დედაკაცი იყოს,
მუნ დაემკჳდროს, რომელიცა შენ გამოაჩინო ქუაყანასა ამას ად-
გილი, შენ მიერ კურთხეული. და ვითარცა მიცვალებულთა
მამათათჳს ხანცთაჲ გამიწესებია, ეგრეთვე იყოს სამარხავი
მიცვალებულთა დედათაჲ აწ შენებულსა მას“.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ძიება-ყო გულსმოდგინედ
და პოვა ადგილი კეთილი გუნათლეს მახლობელად. [168] ჯუარი
დასწერა და მუნ აღაშენეს მონასტერი დედათაჲ, რომელსა აწ ჰრ-
ქჳან გუნათლის ვანი. და ჟამისმწირველი მღდელი ვანისა მისთჳს
ხანცთით განაწესა ნეტარმან გრიგოლ ვედრებითა გაბრიელისი-
თა.

ამისთჳსცა, მსგავსად აღთქუმისა, ხანცთას შინა ელოცვების
ყოველთა დაფანჩულთა ვიდრე დღენდელად დღემდე.

ზედმეტი — მათი სინაკლულისათვის და მათი ზედმეტი —
თქვენი სინაკლულისათვის“[53]. ამჯერად ჩვენთან არის
ხორციელი სიკეთე, თქვენთან კი არის სულიერი სიკეთე და
ესენი შევუზავოთ ერთიმეორეს. თქვენ მონაწილე გაგვხადეთ
თქვენი წმინდა ლოცვებისა ამ ცხოვრებაშიც და სიკვდილის
შემდეგაც, ამასთან, ჩვენი ძვლები ღირსჰყავით თქვენს წმინდა
ძვლებთან ერთად დადებისა და თქვენს მონასტერში უკუნი-
სამდე დააწესეთ ჩვენთვის ლოცვა, ჩვენ კი აღგითქვამთ, რომ
ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენი შვილების ცხოვრებაში, შვილე-
ბიდან შვილებამდე, თავს ვიდებთ თქვენთვის და თქვენი
მონასტრისთვის ღვწას უკუნისამდე დროთა. გარდა ამისა,
წმინდა მამაო, გამონახეთ კარგი სამყოფელი ქალებისათვის,
რომ იქ მკვიდრობდნენ, რათა ეს მცნება იყოს ჩვენს შორის: თუ
ჩემი შთამომავლობიდან მამაკაცი იქნება მონაზონი, მის
სამყოფლად ხანცთა იყოს, ხოლო თუ ჩემი მოდგმიდან
მონაზონი ქალი იქნება, იმ ადგილას დამკვიდრდეს იგი,
რომელსაც შენ გამოავლენ ამ მხარეში, — შენს მიერ
ნაკურთხს, და როგორც მიცვალებული მამაკაცებისთვის
ხანცთა დამიწესებია, ასევე იყოს მიცვალებული ქალების სასა-
ფლაოდ ის, რაც ახლა აშენდება“.

ნეტარმა გრიგოლმა გულმოდგინედ ძებნა და იპოვა მშვენ-
იერი ადგილი „გუნათლეს“ ახლოს, გადასწერა მას ჯვარი და
იქ ააშენეს ქალთა მონასტერი, რომელსაც ახლა ჰქვია „გუ-
ნათლეს ვანი“. ამ ვანისთვის ჟამისმწირველი მღვდელი
ხანცთიდან დაადგინა ნეტარმა გრიგოლმა გაბრიელის
ვედრებით.

აი, ამის გამო, აღთქმის შესაბამისად, ხანცთაში ლოცუ-
ლობენ ყველა დაფანჩულისთვის ვიდრე დღევანდელ დღემდე.

ი. ხოლო გაბრიელ, დიდებულმან აზნაურმან, ფრიადითა კეთილითა წარმოგზავნა მამაჲ გრიგოლ და მოსცნა კირით-ხურონი და ნივთი ყოველი ქვითკირისა ეკლესიისა საშენებელად. და ესრეთ მოვიდა მამაჲ გრიგოლ თჳსსა ვანსა. და განიხარეს მოწაფეთა მისთა, მადლი მისცეს ქრისტესა და ულოცვიდეს მოღუაწეთა მათ.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ ადგილი იგი საეკლესიოჲ დაავაკა და ვითარ დაიწყებდა ეკლესიასა, ესე ლოცვაჲ ცრემლით წართქუა: „ქრისტე ღმერთო, ჴორცშესხმისა შენისა განგებულებაჲ ღმრთე[ე]ბრ აჩუენე შენთა დაბადებულთა, და შიშით ჰმსახურეს მეუფებასა შენსა წინაჲსწარმეტყუელთა წინაჲსწარუწყებითა, მოციქულთა - ქადაგებითა, მოწამეთა - ჭეშმარიტითა აღსა[ა]რებითა და ღირსთა წმიდათა სოფლისა კრებათა და მეუდაბნოეთა მამათა - მარადის დიდებითა სახელისა შენისა წმიდისაჲთა. და ესე ოთხკერძო კრებული საღმრთოჲ წმიდათა ყოველთა[ჲ] გარემოდგომილი ზღუდისსახედ უძრავისა სიმტკიცე-ექმნეს წმიდათა შენთა ეკლესიათა, რამეთუ შენ, „თჳთსიბრძნემან, იშენე თავისა თჳსისა სახლი სიწმიდისაჲ“ შესავედრებელად ერთა მორწმუნეთა. და რამეთუ წმიდასა ეკლესიასა სახელ-სდევ გუამად შენდა. და წმიდასა შენსა სახელსა ზედა და სახელსა წმიდათა შენთასა შეუძრველად აღაშენენ და დაამტკიცენ [ვ] წმიდანი ეკლესიანი. ამისთჳს უწოდე ეკლესიად წმიდათა ყოველთა, რაჲთა შემდგომად სიკუდილისა მათისა ნაცვალად მათა ეკლესიანი აქუნდენ სიმტკიცედ და სიქადულად შენთა სამწყსოთა, ჭეშმარიტთა ქრისტეანეთა, ვიდრემდის კუალად მოხჳდე დიდებით წმიდათა თანა. შენ, უფალო, აწცა აკურთხე ადგილი ესე, წმიდისა შენისა ეკლესიისა სამკჳდრებელი, მადლითა შენითა და წმიდათა შენთა ოხითა, რაჲთა ღირს-ვიქმნე გლახაკი შენი სრულიად აღშენებად ამისა სახელსა ზედა და უძლეველსა სარწმუნოებასა დიდისა მოწამისა შენისა, გიორგი ჯუარითამოქადულისა, ახოვნისა და სახელოვნად განთქუმულისა ბრწყინვალედ შორის წმიდათა შენთა მარტჳლთა და მოწამეთა,

10. ხოლო დიდებულმა აზნაურმა გაბრიელმა ბევრი სიკეთით გამოისტუმრა მამა გრიგოლი, მისცა მას კირითხუროები და ყველა მასალა ქვითკირის ეკლესიის ასაშენებლად. ასე მოვიდა მამა გრიგოლი თავის სამყოფელში. გაიხარეს მისმა მოწაფეებმა, მადლობა უძღვნეს ქრისტეს და ლოცულობდნენ მეურვეებისთვის.

ნეტარმა გრიგოლმა საეკლესიე ადგილი დაავაკა და როდესაც იწყებდა იგი ეკლესიას, ცრემლით თქვა ეს ლოცვა: „ქრისტე ღმერთო, შენი ხორცშესხმის განგებულება ღმრთეებრ უჩვენე შენს ქმნილებებს და შიშით ემსახურნენ შენს მეუფებას: წინასწარმეტყველები წინაუწყების გზით, მოციქულები ქადაგებით, მოწამეები ჭეშმარიტი აღმსარებლობით, მსოფლიო კრებათა ღირსნი წმინდანნი და მეუდაბნოე მამები შენი წმინდა სახელის მარადისი დიდებით. ყველა წმინდანის ეს ოთხმხრივი საღვთო კრებული, შეუძრავი გალავნის მსგავსად გარემოვლებული, სიმტკიცედ გაუხდა შენს წმინდა ეკლესიებს, რადგან შენ, „თვითსიბრძნემ, იშენე შენი თავისთვის სიწმინდის სახლი“[54] მორწმუნე ხალხის თავშესაფრად, უწოდე რა წმინდა ეკლესიას შენს სხეულად, და შენს წმინდა სახელზე და შენი წმინდანების სახელზეც შეუძრავად ააშენე და დაამყარე წმინდა ეკლესიები. ამიტომ უწოდე შენ „ეკლესიად“ ყველა წმინდანს, რომ მათი სიკვდილის შემდეგ მათ ნაცვლად ეკლესიები ჰქონდეთ სიმტკიცედ და სიამაყედ შენს სამწყსოებს, ჭეშმარიტ ქრისტიანებს, ვიდრე კვლავ მოხვალ დიდებით წმინდანებთან ერთად. შენ, უფალო, ამჯერადაც აკურთხე ეს ადგილი, შენი წმინდა ეკლესიის სამყოფელი, შენი მადლით და შენი წმინდანების მეოხებით, რომ ღირსი გავხდე მე, შენი გლახაკი, ამის სრული აშენებისა შენი დიდი მოწამის, გიორგი ჯვრითმოამაყის სახელზე და მის უძლეველ სარწმუნოებაზე, რომელიც არის ახოვანი და ბრწყინვალედ სახელგანთქმული შენს წმინდა

რომელთაცა ჴორცნი მახჳლითა დაიჭრებოდეს, ხოლო სარწმუ-
ნოებაჲ არა განიკუეთებოდა. ხოლო მათ ყოველთა უმეტეს იპოვა
სიმჴნითა წმიდაჲ გიორგი და მრავლით ჟამითგან უშჯულოთაგან
ზარგანჴდილთა ქრისტეანეთა ასწავა სიმჴნჱ ძლიერი, მხი-
არულებით რაჲ მოითმინნა მრავალფერნი სატანჯველნი და
ძლევითშემოსილი იდიდა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.
ამისთჳსცა ანგელოზთა თანა წმიდათა განიხარეს მოწამეთა
ნეტართა სრულებაჲ ღუაწლთა მისთაჲ, რამეთუ მას მისცა ქრის-
ტემან ძლევაჲ ყოველთა მტერთაჲ და აწ – ნაწილთა და სახელსა
მისსა, და მეოხებაჲ მისი მფარავს ყოველთა მადიდებელთა მისთა
მარადის და უკუნისამდე".

და ჯუარი დასწერა ადგილსა წმიდისა ეკლესიისასა და იწყეს
შენებად. და ესრეთ კეთილად განსრულდა ძველი იგი ეკლესიაჲ
ხანცთისაჲ შეწევნითა ქრისტესითა და [169] მეოხებითა წმიდისა
გიორგისითა და ლოცვითა ნეტარისა მამისა გრიგოლისითა,
ხოლო ჴორციელად მოღუაწებითა დიდებულისა გაბრიელ მთა-
ერისაჲთა და ყოველთა მართლმორწმუნეთაჲთა.

მას ჟამსა ყოველთა მათ წმიდათა უდაბნოთა შინა იწყეს წმი-
დათა მამათა მონასტრებისა შენებად და წმიდათა ეკლესიათა, და
ესრეთ განმრავლდეს მსახურნი წმიდისა სამებისანი და მარადის-
მადიდებელნი.

ია. ხოლო სანატრელი და სასწაულთა მიერ შემკული დედაჲ
ფებრონია მოიწია სამცხით და დაემკჳდრა მერეს შინა. და ღირ-
სადცხორებისა და სულიერად განგებისა მისისა არა იყო
საზღვარ. და საღმრთოჲთა სიყუარულითა წმიდითა ერთზრახვა
და მეგობარ იყვნეს ფრიად ნეტარნი ესე ღმრთისაკაცნი, დედაჲ
ფებრონია და მამაჲ გრიგოლ. და ხუცესი მერისაჲ ხანცთით არნ.

ამისა შემდგომად ღმრთისმსახურსა მეფესა აშოტ კურაპალ-
ატსა აუწყა გაბრიელ ერისმთავარმან სანატრელისა მამისა გრიგ-

მარტვილთა და მოწამეთა შორის, რომლების ხორცი მახ-
ვილით იჭრებოდა, მაგრამ სარწმუნოება არ განიპობოდა,
ხოლო მხნეობით ყველა მათგანზე მეტი აღმოჩნდა წმინდა
გიორგი, რომელმაც ურჯულოთაგან დიდი ხნიდან თავზარ-
დაცემულ ქრისტიანებს ასწავლა მძლავრი მხნეობა, მხიარუ-
ლად ითმენდა რა მრავალგვარ სატანჯველს და ძლევაშემო-
სილი იდიდა კიდეც ცათა შინა და ამ ქვეყანაზე. ამიტომ,
წმინდა ანგელოზებთან ერთად ნეტარმა მოწამეებმაც გაიხა-
რეს მის ღვაწლთა აღსრულებით, რადგან მას მისცა ქრისტემ
მძლეობა ყველა მტერზე, აწ კი — მის ნაწილებს და სახელს,
და მისი მეოხება გვფარავს ჩვენ, მის ყველა მადიდებელს,
მარადის და უკუნისამდე".

და ჯვარი გადასწერა მან წმინდა ეკლესიის ადგილს და
შეუდგნენ შენებას. ასე კარგად გასრულდა ხანცთის ძველი ეკ-
ლესია ქრისტეს შეწევნით, წმინდა გიორგის მეოხებით და ნე-
ტარი მამა გრიგოლის ლოცვით, ასევე დიდებული გაბრიელ
მთავრის და ყველა მართლმორწმუნის ხორციელი ღვაწლით.

იმ დროს ყველა ამ წმინდა უდაბნოში დაიწყეს წმინდა
მამებმა მონასტრებისა და წმინდა ეკლესიების შენება და ამგ-
ვარად გამრავლდნენ წმინდა სამების მსახურები და მარადის-
მადიდებლები.

11. ხოლო სანატრელი და სასწაულთა მიერ შემკული
დედა ფებრონია მოვიდა სამცხიდან და დამკვიდრდა მერეში.
მისი ღირსეული ცხოვრებისა და სულიერი წარმართებუ-
ლობის საზღვარი არ არსებობდა. წმინდა საღვთო
სიყვარულით თანამოაზრეები და დიდი მეგობრები იყვნენ ეს
ღვთის ნეტარი ადამიანები — დედა ფებრონია და მამა
გრიგოლი (ხუცესიც მერეში ხანცთიდანაა).

ოლის ღირსებაჲ და უცხოვებაჲ და უქმსა უდაბნოსა მონასტრისა შენებაჲ და მოწაფეთა მისთა სათნოებაჲ და მოწაფეთაგანვე ცნობაჲ დიდებულებისაჲ წმიდისა მის მშობელთაჲ. ესე ყოველი ვითარცა გულისჴმა-ყო კეთილადმსახურმან კურაპალატმან აშოტ, მწრაფლ-ხოლო დაწერა ებისტოლჱ ჴელითა თჳსითა და კაცი ერთი კეთილი წინაშემდგომელთაგანი და ერთი გაბრიელის მსახურთაგანი სწრაფით წარმოავლინნა მამისა გრიგოლის წინაშე. და ვითარცა წარიკითხა წიგნი კურაპალა[ვ]ტისაჲ, პატივით მოწერილი წოდებისაჲ, ნეტარმან მამამან და კაცთა მათგანცა ცნა ყოველი, მუნთქუესვე წარვიდა ჴელმწიფისა მის წინაშე და მირაჲ-იწია პალატად, მოეგებნეს ძენი კურაპალატისანი. და ვითარ მივიდა კარსა ტაძრისა მათისასა, მაშინ კურაპალატი ზე აღდგა და წინამოეგება ნეტარსა მამასა გრიგოლს. და დიდითა სიმდაბლითა მოიკითხეს ერთმანერთი და დასხდეს. ხოლო კურაპალატმან ჰრქუა: „ღმრთისამიერი კურთხევაჲ პირითა შენითა იყავნ ჩუენ ყოველთა ზედა, წმიდაო“. და მან თქუა: „გაკურთხენინ ყოველნი პირმან ქრისტჱსმან და ყოველთა წმიდათამან, რამეთუ ჭეშმარიტად სამართალ არს სიტყუაჲ ესე: „სადა არს პატივი მთავრობისაჲ, მუნ არს მსგავსებაჲ ღმრთეებისაჲ“, რამეთუ თქუენ, ჴელმწიფენი, უფალ-გყვნა ღმერთმან ქუეყანისა განგებასა, ვითარცა გულისჴმა-ვჰყოფთ კეთილისყოფასა ღმრთისასა ჩუენდა მომართ მეფობითა შენითა. და ვითარცა-იგი აბრაჰამისთჳს უფალი იტყჳს, ვითარმედ: „აბრაჰამსა სწადოდა ხილვაჲ ნათლისა ჩემისაჲ, იხილა და განიხარა“, მსგავსად აბრაჰამისა მეცა, გლახაკსა, მწადოდა ხილვაჲ და თაყუანისცემაჲ თქუენი და აწ სიხარულითა სავსე ვარ და ძღუნად შევსწირავ ლოცვასა. ქრისტემან უმეტესად დიდებით დაიცევინ მეფობაჲ შენი დიდებასა შინა და სიხარულსა და საუკუნოჲ დიდებაჲ ზეცისა მთავრობათა თანა დაგიმკჳდრენ კეთილთა თანა შვილთა“.

[170] მაშინ კურაპალატმან ჰრქუა მამასა გრიგოლს: „მეფეთა ისრაჱლისათა ჟამად-ჟამად წინაჲსწარმეტყუელი აღუდგინის

ამის შემდეგ ღვთისმსახურ მეფეს აშოტ კურაპალატს აუწყა გაბრიელ ერისმთავარმა სანატრელი მამა გრიგოლის ღირსება, მისი მწირობა, მისგან მონასტრის შენება უსარგებლო უდაბნოში და სათნოება მისი მოწაფეებისა, აგრეთვე წარჩინებულობა წმინდანის მშობლებისა, რაც მას მოწაფეებისგან ჰქონდა შეტყობილი. როდესაც ეს ყოველივე გაიგო კეთილმსახურმა კურაპალატმა აშოტმა, მაშინვე დაწერა ეპისტოლე თავისი ხელით და ქვეშევრდომთაგან ერთი კარგი ადამიანი და ერთიც გაბრიელის მსახურთაგანი სასწრაფოდ გამოგზავნა მამა გრიგოლთან. როდესაც ნეტარმა მამამ წაიკითხა ხმობის წერილი კურაპალატისა, პატივით მოწერილი, და იმ ადამიანებისგანაც გაიგო ყველაფერი, მყისვე წავიდა ხელმწიფესთან და მიაღწია რა პალატს, მოეგებნენ მას კურაპალატის ძეები, ხოლო როდესაც მივიდა იგი მათი სასახლის კართან, მაშინ კურაპალატი წამოდგა და წინ მოეგება ნეტარ მამა გრიგოლს. დიდი თავმდაბლობით მოიკითხეს მათ ერთმანეთი და დასხდნენ. კურაპალატმა უთხრა მას: „ღვთისმიერი კურთხევა იყოს ყველა ჩვენთაგანზე შენი პირით, წმინდაო“. მან თქვა: „გაკურთხოთ ყველანი ქრისტეს და ყველა წმინდანის პირმა, რადგან ჭეშმარიტად სამართლიანია ეს სიტყვა: „სადაც არის პატივი მთავრობისა, იქ არის მსგავსება ღმრთეებისა[55]“, რადგან თქვენ, ხელმწიფეები, ქვეყნის მართვის უფლებამოსილნი გაგხადათ, ვცნობთ რა ჩვენდამი ღვთის კეთილისმყოფელობას შენი მეფობის შედეგად, და როგორც აბრაამისთვის ამბობს უფალი, რომ „აბრაამს სწადდა ჩემი სინათლის ნახვა, ნახა და გაიხარა“[56], აბრაამის მსგავსად მეც, გლახაკს, მწადდა თქვენი ნახვა და თაყვანისცემა, რის გამოც ახლა სიხარულით სავსე ვარ და ძღვნად ვწირავ ლოცვას. უფრო მეტი დიდებით დაიცვას ქრისტემ შენი მეფობა დიდებასა და სიხარულში და

ღმერთმან სიქადულად მათა და ზღუდედ შჯულისა, და შესაწევ-
ნელად მორწმუნეთა და სამხილებელად ურწმუნოთა, ეგრეთვე
ჟამთა ჩუენთა შენ გამოგაჩინა ღმერთმან ქრისტეანეთა სიქადუ-
ლად. და რაჲთა მას იღუწიდე ჩუენთჳს წმიდითა ლოცვითა შენი-
თა წინაშე ქრისტჱსა და წმიდათა მისთა". ხოლო მან ჰრქუა:
„დავით წინაჲსწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა
შვილად წოდებულო ჴელმწიფეო, მეფობაჲ და სათნოებანიცა
მისნი დაგიმკჳდრენ ქრისტემან ღმერთმან, რომლისათჳსცა ამას
მოგაჴსენებ: არა მოაკლდეს მთავრობაჲ შვილთა შენთა და ნათე-
სავთა მათთაჲ ქუეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა, არამედ იყვნენ
იგინი მტკიცედ უფროჲს კლდეთა მყართა და მთათა საუკუნეთა
და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე".

ამისა შემდგომად კაცმან მან მოციქულმან წარმოთქუა ქებაჲ
ხანცთისაჲ, ვითარმედ: „კეთილ არს უდაბნოჲ იგი მზისა მცხინ-
ვარებითა და ჰაერისა შეზავებითა ყოვლითკერძო. და აქუს მას
წყაროჲ მდიდრად გამომდინარჱ, შუენიერი, გრილი და ჰამოჲ, და
მაღნართა სიმრავლჱ ურიცხჳ და მცირედი რაჲმე სხუაჲცა ნუგე-
შინისსაცემელი ძალისაებრ მის უდაბნოჲსა, ხოლო სათესავი ყანაჲ
და სათიბელი ქუეყანაჲ რაჲთურთით არა არს, არცა იქმნების ღირ-
ღოლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადოთაჲსა". ესე
ვითარცა ესმა დიდებულსა კურაპალატსა, შეწირნა ადგილნი
კეთილნი [ვ] და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანცთისა, მაშინ
სამთა მათ დიდებულთა ძეთა კურაპალატისათა – ადარნერსე, და
ბაგრატ, და გუარამ – შეწირეს თითოეულად, რაჲცა საჴმარი მონ-
ასტერსა მისსა უჴმდა, ყოველი უხუებით.

და ვითარცა ადგილნი იგი მოითუალნა და კურთხევაჲ მიანი-
ჭა კურაპალატსა და ძეთა მისთა ნეტარმან გრიგოლ, მაშინ მრავ-
ლისა კეთილისა ნაყოფითა სავსეჱ მოვიდა ხანცთად, მონასტრად
თჳსა, და ახარა ძმათა ყოველი იგი განმარჯუებაჲ მადლითა
ქრისტჱსითა და ოხითა წმიდისა გიორგისითა. ხოლო მათ უხარო-

დაგიმკვიდროს შენ, კარგ შვილებთან ერთად, საუკუნო დიდე-
ბა ზეცის მთავრობათა თანა".

მაშინ კურაპალატმა უთხრა მამა გრიგოლს: „ისრაელის
მეფეებს დროდადრო წინასწარმეტყველს მოუვლენდა ღმერ-
თი მათ სიამაყედ და სჯულის გალავნად, მორწმუნეთა შესაწ-
ევნელად და ურწმუნოთა სამხილებლად. ამგვარადვე, ჩვენს
დროში შენ გამოგაჩინა ღმერთმა ქრისტიანთა სიამაყედ, რომ
იმავეს იღვაწდე ჩვენთვის შენი წმინდა ლოცვით ქრისტეს და
მისი წმინდანების წინაშე". მან მიუგო: „დავით წინასწარმე-
ტყველის და უფლისგან ცხებულის შვილად წოდებულო
ხელმწიფეო[57], მისი მეფობა და სათნოებებიც დაგიმკვიდროს
შენ ქრისტე ღმერთმა, რის გამოც ამას მოგახსენებთ: „არ
მოაკლდება შენი შვილებისა და მათი ნათესავების მთავრობა
ამ მხარეებს უკუნისამდე დროთა, არამედ ისინი იქნებიან მტ-
კიცედ მყარ კლდეებზე და საუკუნო მთებზე მეტად და დიდე-
ბულნი იქნებიან უკუნისამდე".

ამის შემდეგ ამ სამოციქულო ადამიანმა წარმოთქვა ხანც-
თის ქება: „ყოველმხრივ კარგია ეს უდაბნო მზის მცხუნვარები-
თა და ჰაერის შეზავებულობით. აქვს მას წყარო, ჭარბად მო-
მდინარე, მშვენიერი, გრილი და საამური, ასევე ტყეების
ურიცხვი სიმრავლე და კიდევ სხვა რამ მცირედიც სანუგეშო,
ამ უდაბნოს ძალისამებრ. ხოლო სათესი ყანა და სათიბი მიწა
საერთოდ არ არის და არც იქნება ღადოთა[58] უსწორმასწორო
უხეშ თხემებზე". გაიგონა რა ეს დიდებულმა კურაპალატმა,
შესწირა ხანცთას საყანედ კარგი ადგილები და შატბერდის
ადგილიც. მაშინ კურაპალატის სამმა დიდებულმა ძემ - ადარ-
ნერსემ, ბაგრატმა და გუარამმა ცალ-ცალკე შეწირეს, რაც კი
სჭირდებოდა მონასტერს მოსახმარისი, ყველაფერი უხვად.

როდესაც მიიღო ეს ადგილები ნეტარმა გრიგოლმა და მი-
ანიჭა კურთხევა კურაპალატსა და მის ძეებს, მაშინ მოვიდა
იგი ხანცთაში, თავის მონასტერში, მრავალი სიკეთის

და და ულოცვიდეს სარწმუნოებითშემომწირველთა და ჰმადლობდეს ქრისტესა კეთილისმყოფელსა.

იბ. და ვითარცა ჴორციელად შეემატებოდა, ეგრეთვე სულიერად შეეძინებოდა რიცხუსა მას წმიდათა კაცთასა, რამეთუ მას ჟამსა მოვიდეს მამაჲ ეტჳფანე და მღდელი მატი ქართლით და დიდი ზენონ სამცხით, რამეთუ ეტჳფანე და მატი პირველვე მეგობარ იყვნეს ამის წმიდისა და სახელსა მისსა მოვიდეს ხანცთად, ხოლო ზენონ შვილი იყო საჩინოჲსა ვისიმე კაცისაჲ სამცხეს და ღმრთისმსახურებით აღზრდილ იყო და სიწმიდით იქცეოდა, რამეთუ საღმრთოჲ შიში მკჳდრ იყო მის შორის, და სწადდა მონაზონებაჲ აღთქუმისაებრ აღთქუმისა მმარხველთაჲსა. და ვითარცა აღესრულნეს მშობელნი მისნი, მონაგები მათი დაუტევეს ზენონს და დასა მისსა, რომელიცა იყო სახლსა შინა მის თანა. და ზენონ გულს-ეტყოდა, რაჲთამცა მამული და დედული [171] მონაგები დასა თჳსსა დაუტევა ნებისაებრ მისისა და თჳთმცა იქმნა მონაზონ უცხოებასა შინა. და ვითარ ამას განიზრახვიდა ზენონ, დაჲ იგი მისი ეშმაკისა განმარჯჯუებითა შეაცთუნა ვინმე უკეთურმან კაცმან და ღამე ყოველ წარვიდის შავშეთს. ხოლო ზენონ, ვითარცა ცნა, შეიჭურა საჭურველითა მარტოდ და ამჴედრდა ცხენსა და დევნა-უყო. და ვითარ დიდი ქუეყანაჲ ვლო, თქუა გულსა თჳსსა, ვითარმედ: „ვარ მე ჭაბუკ სახელოვან და რომელსა ვსდევ, ფრიად შეურაცხ არს. დაღაცათუ ვეწიო და მოვკლა, საბრჴე არს სულისა ჩემისაჲ, და უკუეთუ ცუდად უკუნვიქცე სახედ ჩემდა, სირცხჳლ არს ჩემდა, არამედ აღთქუმაჲ მონაზონებისაჲ აწ აღუსრულო უფალსა“. და ახოვან-იქმნა ნეტარი ესე, რამეთუ მონაგებთა დატევებაჲ სისხლთა დათხევასა

ნაყოფით სავსე და ახარა ძმებს მთელი ეს წარმატება, [აღსრულებული] ქრისტეს მადლით და წმინდა გიორგის მეოხებით, ხოლო მათ უხაროდათ, ლოცულობდნენ სარწმუნოებით შემომწირველთათვის და ჰმადლობდნენ კეთილისმყოფელ ქრისტეს.

12. და როგორც ხორციელად ემატებოდა ამ წმინდა ადამიანების რაოდენობას, ასევე სულიერადაც შეეძინებოდათ მათ, რადგან ამ დროს მოვიდნენ მამა ეპიფანე და მღვდელი მატო ქართლიდან და დიდი ზენონი სამცხიდან, ვინაიდან ეპიფანე და მატო ადრევე ამ წმინდანის მეგობრები იყვნენ და მის სახელზე მოვიდნენ ხანცთაში, ხოლო ზენონი ვიღაც ცნობილი ადამიანის შვილი იყო სამცხეში, ღვთისმსახურებით აღზრდილი და სიწმინდით მცხოვრები, რადგან საღვთო შიში მკვიდრობდა მასში და სწადდა მას მონაზვნობა აღთქმისამებრ მმარხველთა აღთქმისა. როდესაც მისი მშობლები აღესრულნენ, დაუტოვეს მათ ქონება ზენონს და მის დას, რომელიც მასთან ერთად იყო სახლში. ზენონს ჩაფიქრებული ჰქონდა, რომ მამისეული და დედისეული ქონება თავისი დისთვის დაეტოვებინა მისი ნებისამებრ, თვით კი მონაზონი გამხდარიყო მწირობაში. როდესაც ამას განიზრახავდა ზენონი, მისი და, ეშმაკის გამარჯვებით, შეაცდინა ვიღაც უკეთურმა ადამიანმა, და იგი მთელი ღამის განმავლობაში მიდიოდა შავშეთისკენ. როდესაც გაიგო ეს ზენონმა, მარტოდმარტო შეიჭურვა საჭურველით, ამხედრდა ცხენზე და დაედევნა უკან. როდესაც დიდი მანძილი განვლო, თქვა თავის გულში: „მე ვარ სახელოვანი ჭაბუკი და ვისაც მივსდევ, მეტად უბადრუკია. თუნდაც დავეწიო და მოვკლა, საფრთხეა ჩემი სულისთვის, ხოლო თუ უშედეგოდ დავბრუნდები ჩემს სახლში, სირცხვილია ჩემთვის. ამიტომ, ახლა შევუსრულებ

ემსგავსების. და დაიწერა ჯუარი ჴორცთა თჳსთა და წარემართა საღმრთოსა მას გზასა და მიიწია წინაშე დედისა ფებრონიაჲსა მერეს, რამეთუ იყო იგი სახლისა მისისაჲ, და ნებითა ღმრთისაჲთა მუნ იყო მამაჲ გრიგოლ, და დედამან ფებრონია შეაწყნარა წმიდასა მას უმანკოჲ იგი კრავი მწყემსსა მას კეთილსა, რომელმანცა მოიყვანა ხანცთად, „ადგილსა მას მწუანვილსა“ ღმრთისა მადლისასა „დაამკჳდრა“ და „წყალთა ზედა განსასუენებელთა“ სულისა წმიდისათა „გამოზარდა“ იგი.

ესე ნეტარი ზენონ მიიწია მოხუცებულებასა და ვიდრე აღსასრულამდე არა განეშორა ხანცთასა ჭეშმარიტად სულიერი შვილი, [ვ] მსგავსი მამისაჲ, კეთილი მოწაფჱ, ნაცვალი მოძღურისაჲ, ნეტარი, სათნოებათა საუნჯჱ, მონაზონებისა წესი წმიდაჲ, კლარჯეთისა უდაბნოთა ზღუდჱ, სულთა უკეთურთა მაოტებელი, რამეთუ ცხორებასა მისსა და ცხორებასა მოძღურისა მისისასა ვერ იკადრებდა ეშმაკი დაცემად კაცთა წმიდათა ამათ შინა ადგილთა.

ესე ახოვანი შემდგომად მიცვალებისა მეოხი არს ჩუენი საუკუნოდ უფლისა მიმართ მოყუასთა მისთა თანა, რომელნი იყვნეს მსგავსნი მისნი, მოწაფენი მამისა გრიგოლისნი, ღირსნი და სასწაულთამოქმედნი, მოთმინებისა სუეტნი შეურყეველნი, ვითარცა განმტკიცებულნი დაუცემელად სუეტნი ცათანი.

იგ. რამეთუ ვიდრე მოსლვადმდე გრიგოლ მწყემსისა მის კეთილისა მჴეცთაგან უხილავთა ლტოლვილნი მცირედნი იგი ცხოვარნი ქრისტჱსნი განბნეულ იყვნეს თითოჲ ანუ თუ ორ-ორი სივრცესა მას უდაბნოთასა, ხოლო მოსლვასა წმიდისა გრიგოლისსა ცხოვარნი იგი განმჴნდეს და მჴეცნი იგი ეშმაკნი განიოტნეს და ყოველი წესი საღმრთოჲ განემართა.

უფალს მონაზვნობის აღთქმას“. მოიკრიბა მხნეობა ამ ნეტარმა, რადგან ქონების დატოვება სისხლის დანთხევას ემსგავსება, გადაიწერა ჯვარი თავის სხეულზე, დაადგა საღვთო გზას და მივიდა დედა ფებრონიასთან მერეში, რადგან მისი სახლიკაცი იყო. ღვთის ნებით იქ იმყოფებოდა მამა გრიგოლი და დედა ფებრონიამ ამ წმინდანს, კეთილ მწყემსს, შეაფარა ეს უმანკო კრავი, მან კი მოიყვანა იგი ხანცთაში, „დაამკვიდრა“ ღვთის მადლის „მწვანილოვან ადგილას“ და „გამოზარდა“ სულიწმინდის „მოსასვენებელ წყლებზე“[59].

ნეტარმა ზენონმა მიაღწია მოხუცებულობას და არ განშორებია იგი ხანცთას ვიდრე აღსასრულამდე, იყო რა ჭეშმარიტად სულიერი შვილი, მსგავსი მამისა, კარგი მოწაფე, მოძღვრის მონაცვლე, ნეტარი, სათნოებათა საგანძური, მონაზვნობის წმინდა წესი, კლარჯეთის უდაბნოთა გალავანი, უკეთური სულების განმდევნელი, რადგან მის სიცოცხლეში და სიცოცხლეში მისი მოძღვრისა ვერ ბედავდა ეშმაკი წმინდა ადამიანების დაცემას ამ ადგილებში.

ეს ახოვანი მიცვალების შემდეგ საუკუნოდ ჩვენი მეოხია უფლისადმი თავის მეგობრებთან ერთად, რომლებიც მისი მსგავსი იყვნენ, მამა გრიგოლის მოწაფეები, ღირსნი და სასწაულთა მოქმედნი, მოთმინების შეურყეველი სვეტები, როგორც დაუცემლად გამყარებული სვეტები ცათა.

13. ვინაიდან ამ კეთილი მწყემსის, გრიგოლის, მოსვლამდე უხილავი მხეცებისგან დევნილი მცირე რაოდენობის ქრისტეს ცხვრები სათითაოდ ან ორ-ორად გაბნეულები იყვნენ ამ უდაბნოთა სივრცეში, ხოლო წმინდა გრიგოლის მოსვლიდან ეს ცხვრები გამხნევდნენ, განდევნეს ეშმაკეული მხეცები და გასწორდა მთელი საღვთო წესი.

ხოლო მამაჲ გრიგოლ გულს-ეტყოდა, ვითარმედ: „ვითარცა მონასტრისა ჩემისა მამანი სათნოებითა უზეშთაეს არიან ჟამისა ამის მონაზონთა, ეგრეთცა წეს არს წესი სალმრთოჲ საეკლესიოჲ ეკლესიასა შინა ჩემსა დაწესებად ბრძენთაგან განუკითხველი“. ამისთჳს განიზრახა წარსლვაჲ ქრისტჱსსაჭურჭლედ, მეორედ იერუსალჱმდ, რომელ არს კოსტანტინეპოლისი, და ყოველთა საჩინოთა საბერძნეთისა წმიდათა ადგილთა მოხილვად და ლოცვად. [172] მას ჟამსა იერუსალჱმს წარმავალი ვინმე პოვა მეგობარი თჳსი და მას დაჰვედრა საბაწმიდისა წესისა დაწერაჲ და წარმოცემაჲ და ძმათა თჳსთა კაცნი მოძღუარნი უჩინნა და მშჳდობაჲ დაუტევა მათ და აღუთქუა კუალად ადრე მოსლვაჲ.

და თანაწარიყვანნა საბა, დედის დისწული თჳსი, და ერთი ვინმე სხუაჲ მოწაფე, და წარემართა საბერძნეთად და მოიწია კოსტანტინეპოლის, და თაყუანის-სცა ძელსა ცხორებისასა და წმიდათა ყოველთა ნაწილსა. და სიხარულით მოვლნა ყოველნი წმიდანი ადგილნი სალოცველნი, რამეთუ მრავალთა ენათა წურთილ იყო იგი და მრავალმოსწავლე-ყოფილ ჴელითა კეთილადმსახურებისაჲთა. და რომელიმე სახილავი მოძღუარ კეთილის ექმნის და რომელიმე განსაკრძალველ ბოროტისათჳს. და ესრეთ აღმოივსო გული მისი სიმდიდრისაგან დაუბეჭდველისა ახლისა შჯულისა, და სულითა მადლისაჲთა განმხიარულებულნი წარმოემართნეს საყოფელად თჳსა.

იდ. და ვითარცა მოიწინეს ტაოს, ესმა მუნ მყოფთაგან კაცთა, ვითარმედ აშოტ კურაპალატი მოიკლა და მის წილ ჴელმწიფებენ ძენი მისნი. მაშინ ტკივილისა ცრემლითა აღივსნეს ღმრთისმსახურისა მის ჴელმწიფისა დაცემისათჳს და ტირილითა საგსენი ულოცვიდეს მიცვალებულსა მას მეფესა. ხოლო ნეტარი გრიგოლ ჰმადლობდა ღმერთსა და გლოით იტყოდა: „ჰ მეფეო

ხოლო მამა გრიგოლი ფიქრობდა: „ისევე როგორც ჩემი მონასტრის მამები სათნოებით აღმატებულნი არიან ამ დროის მონაზვნებზე, ამგვარადვე მართებულია, რომ ჩემს ეკლესიაში დაწესდეს საღვთო და ბრძენთაგან განუსჯელი საეკლესიო წესი“. ამის გამო განიზრახა მან წასვლა ქრისტეს საჭურჭლეში, მეორე იერუსალიმში, რომელიც არის კონსტანტინოპოლი, და საბერძნეთის ყველა გამოჩენილ წმინდა ადგილას, რომ მოეხილა და მოელოცა ისინი. ამ დროს იპოვა მან იერუსალიმში მიმავალი ვიღაც თავისი მეგობარი და მას დააბარა საბაწმინდის წესის დაწერა და ჩამოტანა, თავის ძმებს კი დაუდგინა მეურვე ადამიანები, გამოემშვიდობა მათ და აღუთქვა კვლავ მალე მოსვლა.

და თან წაიყვანა გრიგოლმა საბა, თავისი დეიდაშვილი, და ვიღაც ერთი სხვა მოწაფე, გაემართა საბერძნეთისკენ, მივიდა კონსტანტინოპოლში, თაყვანი სცა ცხოვრების ძელსა და ყველა წმინდანის ნაწილს, და სიხარულით მოიარა ყველა სალოცავი წმინდა ადგილი, რადგან ბევრი ენა ჰქონდა ნასწავლი და კეთილმსახურების გზით ბევრისმსწავლელი იყო, ხოლო ზოგი რამ ნანახი კარგის მასწავლებელი ხდებოდა მისთვის, ზოგი კი — მოსარიდებელი უკეთურების გამო. ასე ამოივსო მან თავისი გული აპოკრიფული „ახალი სჯულის“ სიმდიდრით და მადლის სულით გამხიარულებულები გამოემართნენ თავიანთ სამყოფელისკენ.

14. და როდესაც მოვიდნენ ტაოში, გაიგეს იქ მყოფი ადამიანებისგან, რომ მოუკლავთ აშოტ კურაპალატი და რომ მის ნაცვლად ხელმწიფობენ მისი ძეები. მაშინ ტკივილის ცრემლით აივსნენ ისინი ღვთისმსახური ხელმწიფის წაქცევისათვის და ტირილით სავსენი ლოცულობდნენ მიცვალებული მეფის გამო, ხოლო ნეტარი გრიგოლი ჰმადლობდა ღმერთს და

ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტეანეთაო, სადაჲთ-მე მოგელოდი, აღმოსავალით-მე ანუ დასავალით, ჩრდილოჲთ-მე ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა [ვ] ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით ჴელმწიფეთა დაიმორჩილებდ, საკჳრველი ეგე დიდებული, ღმრთისმსახური ჴელმწიფჱ! აწ ვითარ-მე მიეცი ჴელსა შეურაცხსა უშჯულოთა და უნდოთა კაცთასა, რომელნი-იგი იუდაჲს მსგავსად შენ, უფლისა თჳსისა, მკლველ-იქმნნეს მოსაკუდინებელად ჩუენ, გლახაკთა მლოცველთა შენთა, უკუნისამდე?“ ამისსა შემდგომად ულოცვიდეს შვილთა მისთა დიდებულთა ჴელმწიფეთა, რაჲთა უფალმან დაიცვნეს დიდებით და დღეგრძელებით კეთილსა შინა ღმრთისმსახურებასა.

იე. და ვითარცა მოიწინეს მახლობელად იშხანსა, გამოეცხადა ღმრთისა მიერ ნეტარსა გრიგოლს და ღირსსა საბას იშხნისა პირველი დიდებულებაჲ, დაბასა მისსა წმიდანი ეკლესიანი, და ეუწყა, ვითარმედ კუალად განახლებად არს პირველებრ ჴელითა საბანისითა. და ეცნობა გზაჲცა მისავალად, რამეთუ მისჟამისა კაცთაგან მიუვალ იყო ადგილი იგი. და მი-რაჲ-ვიდეს იშხანს, ფრიად უხაროდა პოვნაჲ დიდებულისა მის ადგილისაჲ. რამეთუ იყო მას შინა ნუგეშინისსაცემელი სულიერი და ჴორციელი. და საბას მუნთქუესვე გულს-ედვა დადგომაჲ, ხოლო ნეტარმან გრიგოლ ჰრქუა: „ძმაო, პირველად ვიხილნეთ ძმანი ჩუენნი ხანცთას შინა მყოფნი და ნებითა ღმრთისაჲთა და ლოცვითა მათითა კუალად მოიწიო ადგილსა ამას წმიდასა“. და მიერ წარმოსლვასა მათსა მიიწინეს წინაშე ძეთა კურაპალატისათა და ულოცეს ნუგეშინისცემით სიკუდილისათჳს მამისა მათისა.

გლოვით ამბობდა: „ჰოი, ჩემო მეფეო, ძლიერო და დიდებულო, ეკლესიათა სიმტკიცეო და ქრისტიანთა გალავანო, საიდან მოგელოდი, — აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან თუ სამხრეთიდან? რადგან ყველა ტომზე გაბატონებული იყავი, ბრძოლით იმორჩილებდი ხელმწიფეებს. დიდებული ეგ საკვირველება — შენ, ღვთისმსახურო ხელმწიფე, — ახლა როგორღა ჩაუვარდი ხელში უბადრუკ ურჯულოებს და უსუსურ ადამიანებს, რომლებიც იუდას მსგავსად გახდნენ შენი, თავიანთი უფლის, მკვლელები, რომ მოვეკალით ჩვენ, გლახაკი მლოცველები შენთვის უკუნისამდე“. ამის შემდეგ ილოცეს მათ აშოტის შვილების, დიდებული ხელმწიფეების გამო, რომ კარგ ღვთისმსახურებაში დაეცვა ისინი უფალს დიდებით და დღეგრძელობით.

15. და როდესაც მოვიდნენ იშხნის ახლოს, ღვთისგან გამოეცხადათ ნეტარ გრიგოლს და ღირს საბას იშხნის პირველი დიდებულება და მისი დაბის წმინდა ეკლესიები. ეუწყათ მათ, რომ კვლავ უნდა განახლდეს იგი ადრინდელისებრ საბას ხელით და ეცნობათ მისასვლელი გზაც, რადგან იმ დროის ადამიანებისგან მიუვალი იყო ის ადგილი. როდესაც მივიდნენ იშხანში, მეტად გაუხარდათ მათ ამ დიდებული ადგილის პოვნა, რადგან იყო იქ სანუგეშო სულიერიც და ხორციელიც. საბას მაშინვე ეწადა იქ დარჩენა, მაგრამ ნეტარმა გრიგოლმა უთხრა: „ძმაო, პირველად ვნახოთ ხანცთაში მყოფი ჩვენი ძმები და ღვთის ნებითა და მათი ლოცვით კვლავ მოხვალ ამ წმინდა ადგილას“. აქედან წამოსვლისას მივიდნენ ისინი კურაპალატის ძეებთან და ნუგეშისცემით ილოცეს მათთვის[60] მათი მამის სიკვდილის გამო.

ივ. და ესრეთ მოვიდეს ხანცთად, მონასტრად თჳსა, და მოიყვანნეს ნაწილნი წმიდათანი და ხატნი წმიდანი და სხუაჲ ევლოგიაჲ ფრიად. და პოვნეს ძმანი ცოცხლებით და მშჳდობით, [173] ყოველნი მხიარულნი შეუშფოთებელად საღმრთოჲთა სიყუარულითა სავსენი და განიხარეს, რამეთუ კუალად მაცხოვრისა მადლმან შეკრიბნა ნებისმყოფელნი თჳსნი.

და შემდგომად მცირედთა დღეთა საბა განუტევა იშხანს და ორნი მოწაფენი მისცნა მას და თჳთ განაგებდა სულიერსა ცხორებასა ხანცთისასა ნებისაებრ უფლისა.

16. ასე მოვიდნენ ხანცთაში, თავიანთ მონასტერში, და მოაბრძანეს წმინდანთა ნაწილები, წმინდანთა ხატები და სხვაც ბევრი შეწირულობა. ნახეს მათ ძმები ჯანმრთელად და მშვიდობიანად, ყველა უშფოთველად მხიარული და საღვთო სიყვარულით სავსე; გაიხარეს ამის გამო, რადგან მაცხოვრის მადლმა კვლავ შეკრიბა თავისი ნების აღმსრულებლები.

რამდენიმე დღის შემდეგ გაუშვა გრიგოლმა საბა იშხანში და მისცა მას ორი მოწაფე, ხოლო თავად განაგებდა ხანცთის სულიერ ცხოვრებას უფლის წესისამებრ.

იზ. მაშინ იერუსალიმით მოიწია კაცი, რომელმან მოართუა საბაწმიდისა განგებაჲ დაწერილი.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ მას ჟამსა განაწესა წესი თჳსისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ, სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით განბრწყინვებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული, ვითარცა საფასსი დაულევნელთა კეთილთაჲ.

ხოლო აწ წესთა მათგანი სულიერთაჲ მცირედი რაჲმე გჳპყრიეს, ვითარმცა ზღჳსაგან წუეთი ერთი წყალი ვინმე აღმოიღო, რამეთუ ესრეთ იყო ცხორებაჲ ნეტართაჲ მათ: სიმართლესა შინა მათსა მარადის თავთა თჳსთა ბრალობაჲ აქუნდა და სიყუარულისა ძირი მტკიცე, მოთმინებაჲ სიმდაბლით და სიმშჳდით, მარხვაჲ ლოცვითა შეზღუდვილი, სარწმუნოებასა თანა მართალსა დამტკიცებული სიწმიდსი გულისაჲ და ჭეშმარიტებაჲ ენისაჲ და უბიწოებით კრძალვაჲ სრულიად ყოველსავე ზედა. ხოლო წმიდასა ეკლესიასა ლოცვასა მათსა არა აქუნდა უბნობაჲ ურთიერთას, არამედ შიშით დგანედ, ვითარცა ზეცას წინაშე ღმრთისა. და რაჟამს „დავითსა“ იტყჳედ, ვიდრე „ალელუაჲსა“ განსრულებამდე, მემჳრეთა ვერ იკადრიან მუჴლისა აღებაჲ დაწყნარებულსა მას

ლოცვასა მათსა, რამეთუ არა აქუნდა ჩუეულებაჲ სწრაფით
თქუმისაჲ ყოველსავე ზედა საგალობელსა მათსა, არამედ მდაბ-
ლად [ვ] და გჳანად იყო ლოცვაჲ მათი. და კედელსა თჳნიერ ბერ-
თაჲსა არავინ მიეყრდნებოდა, ხოლო ძილსა და უკრძალველად
ჯდომასა ყოლადვე არა იკადრებდეს ეკლესიასა შინა. და ესევი-
თარი მრავალი სათნოებაჲ კეთილი სხუაჲცა დამკჳდრებულ იყო
შორის მათსა, რომლისათჳს არა არს აწ თითოეულად ყოვლისა-
თჳს სიტყუაჲ, რამეთუ შემოკლებულ არს ჟამი ესე და გონებაჲ
ისწრაფის, რაჲთა არა იყოს ნამეტნავ სასმენელსა მსმენელთასა.
ამისთჳს განგებაჲ ყოველი ვერ დაიწერა წიგნსა ამას, არამედ
თითოსიტყუაჲ ყოვლისაგან, რომელ აქამ[ომ]დე წესი აქუნდა
ხანცთასა და აწ რომელ აქუს, ესრეთ:

ყოველთა ღამისთევათა შემწუხრებითგან განთენებამდე
ლოცვაჲ, და ღამისთევათა წინადღით დღისა ჟამთა ყოველთა
ლოცვაჲ, და ჟამისწირვაჲ ჟამსა ცხრაჟამისასა, და კუერექსთა შე-
მატებაჲ. ხოლო ჟამისწირვასა ყოველსა „წმიდაო ღმერთოსა“ წინა
კუერექსი „ზეცითგარდამოჲ“, და კჳრიაკეთა ჟამისწირვასა „წმი-
დაო ღმერთოჲ“ ექუსი. და საკურთხეველისა მსახურებასა ფეს-
უედითა სამოსლითა და ტყავითა არა იკადრებოდა მსახურებაჲ.

ხოლო გარდაცვალებულთათჳს ყოველთა გარდაიჴდიან,
გარდაცვალებითგან რასაცა დღესა მიხუდის, სამი დღჱ და შჳდი,
ორმეოცი და წელიწადი. და მათ დღეთა ჟამისწირვაჲ არა შეათუ-
ალიან ორასთა მათ დღეთა, განწესებულთა ხანცთას დამარხულ-
თათჳს. და განყოფაჲ პაქსიმადისაჲ პირველითგანვე განწესებული
არს.

გიორგიწმიდობისა [თ]თუჱ რაჲ [174] დადგეს, მარხუაჲ
წუელითა ვიდრე გიორგიწმიდობამდე. ეგრეთვე ქრისტჱსშობისა
მარხვანი და წმიდათა მოციქულთანი საეკლესიოდ დიდითა
მოღუაწებითა და კეთილადკრძალულებითა აღასრულნიან.

ხოლო ნოემბერისა თთჳსა დადეგითგან ყოველთა შაბათთა
ცისკრად ვიდრე პირმარხვადმდე კანონი ოთხი, და დიდთა მარხვა-

გაბედავდნენ ფსალმუნის მუხლის აღებას მათი დაწყნარე-
ბული ლოცვის დროს, რადგან არ ჰქონდათ ჩვეულება, რომ
სწრაფად ეთქვათ ყველა მათი საგალობელი, არამედ მშვიდად
და ნელა ლოცულობდნენ, და კედელს მოხუცებულთა გარდა
ვერავინ მიეყრდნობოდა, ხოლო ეკლესიაში ძილსა და მოური-
დებლად ჯდომას საერთოდ არ იკადრებდნენ. აი, ამგვარი
კარგი სათნოებანი სხვაც ბევრი იყო მათში დამკვიდრებული,
რომელთა შესახებ ახლა სათითაოდ თქმა შეუძლებელია,
რადგან შემოკლებულია ეს დრო და გონება იმას ესწრაფვის,
რომ მსმენელთა ყურისთვის ზედმეტი არ იყოს რაიმე. ამიტომ,
მთელი წეს-განგება ვერ დაიწერა ამ წიგნში, არამედ — თითო
სიტყვა ყველა იმ წესიდან, რაც აქამდე ჰქონდათ ხანცთაში და
ახლა რომელიც აქვთ, ამგვარად:

ყოველი ღამისთევისას — შეღამებიდან გათენებამდე
ლოცვა, და ღამისთევათა წინა დღით — დღის ყველა ჟამის
ლოცვა, და ჟამისწირვა — მეცხრე ჟამის დროს, და
კვერექსების[61] შემატება, ხოლო ყოველ ჟამისწირვაზე —
„წმიდაო ღმერთო“-ს[62] წინ კვერექსი „ზეცითგარდამო“[63], და
კვირადღის ჟამისწირვაზე — ექვსი „წმიდაო ღმერთო“.
ამასთან, საკურთხევლის მსახურებისას არ გაიბედებოდა
ფოჩიანი სამოსლითა და ტყავით მსახურება.

გარდაცვალებულთათვის ყველაფერს იხდიდნენ, რა
დღესაც დაემთხვეოდა გარდაცვალებიდან მესამე დღე, მეშ-
ვიდე, მეორმოცე და წელიწადი, და ამ დღეების ჟამისწირვას
არ მიათვლიდნენ იმ ორას დღეს, რაც ხანცთაში დამარხულებ-
ისთვისაა დაწესებული. პაქსიმადის[64] გაყოფაც თავიდანვეა
დაწესებული.

გიორგიწმინდობის თვის[65] დადგომიდან გიორგიწმინდო-
ბამდე[66] — მარხვა წველით[67]. ასევე, ქრისტეშობისა და
წმინდა მოციქულთა მარხვებს დიდი ღვაწლითა და კეთილკრ-
ძალულებით აღასრულებდნენ საეკლესიოდ.

თა ვიდრე ბზობამდე ყოველსა ცისკარსა კანონი ოთხი, ეგრეთვე წიგნისკითხვაჲ ოთხი.

და ვნებისა კჳრიაკისა ფრიად განგებაჲ იყო. ხოლო აღვსებითგან ვიდრე ახალკჳრიაკემდე „ჭირისა კანონი“ არა თქჳან, და სერობასა „ხადილსა ჩემსა“ წართქჳან, და აღდგომისა წარდგომანი, და ცისკრად დაწესებულნი და თითო[ჲ] კანონი – ახალკჳრიაკემდე. ხოლო სულთა ჴსენებასა, შემდგომად აღვსებისა, ცისკრად „ნეტარარიანნი“ და გალობანი წართქუნიან, ვითარცა ყოველი წერილ არს „განგებასა ეკლესიისასა“ ამის ყოვლისა ნეშტი. ეგრეთ ჰყოფდიან ყოველსა მამანი ჟამთა შინა ჩემთა.

იზ. არამედ პირველთა მათ დღეთა ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისთა ფიცხელ იყო ფრიად კანონი მოწაფეთა მისთაჲ, რამეთუ სენაკთა მათთა შინა იყო მცირე სარეცელი და შეურაცხი საგებელი და თითოჲ სარწყული წყლისათჳს. ხოლო სხუაჲ ნუგეშინისსაცემელი ჴორცთაჲ არაჲ აქუნდა საჭამადისაჲ და სასუამადისაჲ ყოლადვე, არამედ რომელი ტრაპეზსა ზედა ერთბამად ჭამიან, მით იყო ცხორებაჲ მათი. და მრავალნი მათგანნი არა სუმიდის ღჳნოსა ყოლადვე. და რომელნიცა მიიღებდეს, მცირედ იჴუმევდეს. და სენაკებსა მათსა საკუამი არა აქუნდა, რამეთუ ცეცხლი არა აღეგზებოდა, და არცა ღამჱ [ვ] სანთელი აღანთიან, არამედ ღამე იყო ფსალმუნებაჲ და დღისი წიგნისკითხვაჲ და ლოცვაჲ მარადის, ვითარცა იტყჳს დავით: „დღისი ამცნო უფალმან წყალობაჲ მისი და ღამჱ გალობაჲ მისი“.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ თავადნი დიდნი მარხვანი გარდავლნის მცირედითა კალნაბითა უმგბერითა. ხოლო

ნოემბრის თვის დადგომიდან კი ვიდრე პირმარხვამდე[68] — ყოველ შაბათს ცისკარზე ოთხი კანონი[69], დიდმარხვისას კი ვიდრე ბზობამდე — ყოველ ცისკარზე ოთხი კანონი. ასევე — წიგნისკითხვა[70] ოთხი.

და ვნების შვიდეულის[71] განგება დიდძალი იყო, ხოლო აღვსებიდან[72] ახალკვირიაკემდე[73] „ჭირის კანონს“[74] არ ამბობდნენ; სერობისას[75] წარმოითქმოდა „სადილსა ჩემსა“[76] და აღდგომის „წარდგომანი“[77] და რაც ცისკარზეა დაწესებული, და თითო კანონი — ახალკვირიაკემდე. ხოლო სულთა ხსენებისას, აღვსების შემდეგ, ცისკრად „ნეტარარიანნი“[78] და „გალობანი“[79] ითქმოდა მათგან, როგორც წერია ეს ყველაფერი და ყოველივე ამის დანარჩენი ნაწილი „ეკლესიის განგებაში“[80]; ასე აღასრულებდნენ ყოველივეს მამები ჩემს დროში.

18. თუმცა ჩვენი ნეტარი მამა გრიგოლის [მოღვაწეობის] პირველ დღეებში მისი მოწაფეებისთვის მეტად მკაცრი კანონი იყო, რადგან მათ სენაკებში იყო პატარა საწოლი, უბადრუკი საგები და ერთი ჭურჭელი წყლისთვის, ხოლო სხვა რამ ხორცთა სანუგეშო, საჭმელისა და სასმელისა, საერთოდ არაფერი ჰქონდათ, არამედ რასაც ტრაპეზზე ერთობლივად ჭამდნენ, ამით იყო მათი არსებობა. ბევრი მათგანი საერთოდ არ სვამდა ღვინოს და ისინიც, რომლებიც იღებდნენ, ცოტას იხმევდნენ. მათ სენაკებში საკვამური არ იყო, რადგან ცეცხლი არ ინთებოდა. ღამითაც, სანთელს არ ანთებდნენ; სანაცვლოდ, ღამით იყო ფსალმუნება, დღისით კი წერილის კითხვა და მუდამჟამს ლოცვა, როგორც ამბობს დავითი: „დღისით ამცნო უფალმა თავისი წყალობა და ღამე — თავისი გალობა“[81].

ხოლო ნეტარი მამა გრიგოლი საკუთრივ დიდმარხვას გადადიოდა მცირეოდენ მოუხარშავ კალნაბზე[82], ჩვეულებრივ

მრჩობლად საზრდელად მისა იყო ყოველთა დღეთა მისთა პური, ნაკლულევანებით დღესა შინა ერთ ჭამის და წყალი წონითვე მცირედი, ღჳნოჲ კულა სიყრმითგანვე არა ესუა და უმრავლესნი სათნოებანი მისნი და მოწაფეთა მისთანი ღმერთმან მხოლომან უწყნის.

ით. ხოლო პირველითგან მოყუასთა მათ კეთილთა ნეტარისა გრიგოლისთა, თევდორეს და ქრისტეფორეს, აქუნდა გულსა მათსა საღმრთოჲ შური მონასტრისა შენებისაჲ [...] და არა გამოუცხადეს მამასა გრიგოლს განზრახვაჲ მათი, არამედ ფარულად წარვიდეს აფხაზეთს და თანა ძმანიცა ვინმე წარჰყვეს.

და ვითარ მოიწინეს სამცხეს, ბრძანებითა ღმრთისაჲთა ძȣ დიდისა მირეან აზნაურისაჲ დაიმოწაფეს, სახელით არსენი, რომელსა ეწოდა ღირსად [175] დიდი არსენი, ქართლისა კათალიკოზი და მცხეთისა საყდრისა გჳრგჳნი დაუჭნობელი. ხოლო ყრმაჲ იგი მცირȣ იყო ჟამითა, ვითარ ექუსისა წლისაჲ, და სახლსა შინა მამისა თჳსისასა იზარდებოდა. არამედ კაცთა მათ ღმრთისათა განზრახვითა მირეანისითა მოწესეთა სამოსლითა შემოსეს ყრმაჲ იგი და მარჯუენაჲ მისცეს ფიცისაჲ მირეანს და ჰრქუეს: „მოძღუარი ჩუენი გრიგოლ არს, მამაჲ ხანცთელი, და უფალსა თუ უნდეს, ესეცა მოწაფȣ იყოს მისი ჩუენთანა, სადაცა ჩუენ ვიყვნეთ“. და წარვიდეს აფხაზეთად.

ხოლო მეფემან აფხაზთამან დემეტრე დიდითა პატივითა პატივ-სცა და ადგილსა კეთილსა დაამკჳდრნა.

კ. და რაჟამს ცნა ნეტარმან გრიგოლ წარსლვაჲ თევდორესი და ქრისტეფორესი, შეწუხნა ფრიად და თანაწარიყვანნა ოთხნი ძმანი და წარვიდა ძიებად კრავთა მათ რჩეულთა მწყემსი იგი

კი მისი საჭმელი მთელი მისი ცხოვრების მანძილზე იყო პური, რომელსაც დღეში ერთგზის ჭამდა სინაკლულით, და წონით მცირე წყალი; ღვინო სიყრმიდანვე არ დაელია მას, ხოლო უმეტესობა მისი და მისი მოწაფეების სათნოებებისა მხოლოდ ღმერთმა იცის.

19. ხოლო ნეტარი გრიგოლის თავდაპირველ კარგ მეგობრებს, თევდორეს და ქრისტეფორეს, გულში ჰქონდათ მონასტრის შენების საღვთო შური და ისე, რომ არ გაუმჟღავნებიათ მამა გრიგოლისთვის თავიანთი განზრახვა, ფარულად წავიდნენ აფხაზეთში და მათ გაჰყვა რამდენიმე ძმაც.

როდესაც მოვიდნენ სამცხეში, ღვთის ბრძანებით, დაიმოწაფეს დიდი მირიან აზნაურის ძე, სახელად არსენი, რომელსაც ღირსეულად ეწოდა დიდი არსენი, ქართლის კათალიკოსი და მცხეთის საყდრის დაუჭკნობელი გვირგვინი. ეს ბავშვი ასაკით პატარა იყო, დაახლოებით ექვსი წლის, და იზრდებოდა იგი თავისი მამის სახლში, ამ ღვთის ადამიანებმა კი მირიანის გადაწყვეტილებით შეჰმოსეს ბავშვს სამონაზვნო შესამოსელი, თან ფიცის [ნიშნად] მარჯვენა ხელი ჩამოართვეს და უთხრეს: „ჩვენი მოძღვარი არის გრიგოლი, ხანცთელი მამასახლისი, და თუ უფალს ენდომება, ესეც მისი მოწაფე იქნება ჩვენთან ერთად, სადაც ვიქნებით ჩვენ“. და წავიდნენ ისინი აფხაზეთში.

აფხაზთა მეფემ დემეტრემ დიდი პატივით პატივი სცა მათ და კარგ ადგილას დააბინადრა.

20. როდესაც ნეტარმა გრიგოლმა გაიგო თევდორეს და ქრისტეფორეს წასვლის შესახებ, შეწუხდა მეტად, თან წაიყოლა ოთხი ძმა და წავიდა იმ რჩეულ კრავთა საძებრად ეს კე-

კეთილი. და ვითარ მოიწია ქართლისა სანახებსა, ნებითა ღმრ-
თისაჲთა ძიებასა მას ძმათასა პოვა ეფრემ ყრმაჲ, ჭაბუკი ღირსი,
და ღირსებასა შინა იხილვა მამაკაცებასა სრულსა მიწევნული სი-
წმიდით, და სიწმიდესა შინა აწყურისა ეპისკოპოსი სასწაულთა-
მოქმედი. ხოლო ეპისკოპოსობასა შინა მიიწია მოხუცებულებასა
კეთილსა და აღესრულა საკჳრველებით, და ნაწილნი მისნი წმი-
დანი მიეცნეს ნათლად სამცხესა. ესე ეფრემ, ღირსი ღმრთისაჲ,
დაიმოწაფა ნეტარმან გრიგოლ და უბრძანა ესრეთ: „რაჟამს მოვ-
იქცე აფხაზეთით, თანაწარგიყვანო შენ ხანცთად“, და თჳთ
წარემართა აფხაზეთს.

და მი-რაჲ-იწია წინაშე ჴელმწიფისა მის, ზე აღდგა და
წინამოეგება და სიმდაბლით მოიკითხა, რამეთუ ზარი აჰჴდა [ვ]
მადლთაგან სიწმიდეთა მისთაჲსა და დიდებულებისაგან პირისა
მისისა. რამეთუ ვითარცა პირი მოსე წინაჲსწარმეტყუელისაჲ იყო
დიდებულ ამის ნეტარისაცა ხატი მადლითა ღმრთისაჲთა.

და შემდგომად მოკითხვისა დასხდეს მეფჱ და ნეტარი გრიგ-
ოლ. ხოლო წმიდამან განგრძობილად ულოცა და მრავლითა
კურთხევითა შეამკო. და მეფემან მან თქუა: „კურთხეულ არს
ღმერთი, რომელი მოგიძღუა აქა, წმიდაო მამაო, არამედ ვინაჲ
არს მიზეზი მოშრომისა შენისაჲ, მაუწყე მე“. და ნეტარმან გრიგ-
ოლ ჰრქუა: „მეფეო ღმრთისმსახურო და დიდებულო, მოწევნულ
არიან წმიდანი მამანი, ძმანი ჩემნი, წინაშე შენსა და აწ არიან
სამეუფოსა ამას და მათთჳს არს მოსლვაჲ ჩემი აქა, არამედ
ბრძანენ ჴელმწიფებამან შენმან და მოვიდენ იგინი ჩუენდა“.
ხოლო მეფესა დაუმძიმდა ძიებაჲ მათი და ჰრქუა: „არა მოსრულ
არიან აქა ეგევითარნი მონაზონნი, რომელთასაცა ბრძანებს სიწ-
მიდე შენი“. მაშინ ნეტარი მამაჲ გრიგოლ სიტყუასა ზედა მე-
ფისასა განრისხნა და ჰრქუა: „მეფეო, ნუ შრომასა შემამთხუევ,
მომცენ ძმანი ჩემნი, რომელნიცა მოიწინეს შენდა“. და ვითარ
ღონჱ სიტყჳსაჲ არღარა აქუნდა მეფესა მართლმხილებისაგან
მის წმიდისა, უბრძანა მოყვანებაჲ ძმათაჲ მათ. და ვითარ იხილეს

თილი მწყემსი. როდესაც მან მოაღწია ქართლის ადგილებს,
ძმათა ძებნისას ღვთის ნებით ნახა ყრმა ეფრემი, ჭაბუკი ღირ-
სეული, ღირსებაშივე [შემდეგ] სრულ მამაკაცობას მიწევნუ-
ლი სიწმინდით, სიწმინდეში — აწყურის სასწაულთმოქმედი
ეპისკოპოსი, ეპისკოპოსობაში — კარგ მოხუცებულობამდე
მიღწეული, რომელიც საკვირველებით აღესრულა და მისი
წმინდა ნაწილები სინათლედ მიებოძა სამცხეს. ეს ეფრემი,
ღირსი ღვთისა, დაიმოწაფა ნეტარმა გრიგოლმა და უბრძანა
მას ასე: „როდესაც მოვბრუნდები აფხაზეთიდან, თან წაგიყვან
შენ ხანცთაში“, თვით კი გაემართა აფხაზეთისკენ.

როდესაც მივიდა იგი ხელმწიფის წინაშე, წამოდგა
[ხელმწიფე], წინ მიეგება მას და მდაბლად მოიკითხა, რადგან
თავზარი დაეცა მისი სიწმინდეების მადლისგან და მისი
პირისახის დიდებულებისგან, იყო რა, ღვთის მადლით, ამ
ნეტარის შესახედაობაც მოსე წინასწარმეტყველისებრ დიდე-
ბული.

მოკითხვის შემდეგ დასხდნენ მეფე და ნეტარი გრიგოლი.
წმინდანმა დიდხანს ლოცა და მრავალი კურთხევით შეამკო
მეფე, მან კი თქვა: „კურთხეულია ღმერთი, რომელიც აქ
მოგიძღვა, წმინდა მამაო, მაგრამ მითხარი მე, რა არის
მიზეზი შენი მობრძანებისა?“ ნეტარმა გრიგოლმა უთხრა:
„ღვთისმსახურო და დიდებულო მეფეო, მოსული არიან
შენთან წმინდა მამები, ჩემი ძმები და ახლა ისინი იმყოფებიან
ამ სამეფოში. ჩემი მოსვლაც მათ გამოა, შენმა ხელმწიფებამ კი
ბრძანოს და მოვიდნენ ისინი ჩემთან“. მეფეს გაუძნელდა მათი
მოძებნა და უთხრა: „არ მოსულან აქ მაგნაირი მონაზვნები,
როგორებსაც ბრძანებს შენი სიწმინდე“. მაშინ განრისხდა
ნეტარი გრიგოლი მეფის სიტყვის გამო და უთხრა: „მეფეო, ნუ
მიქმნი სიძნელეს, მომეცი ჩემი ძმები, რომლებიც შენთან არიან
მოსულები“. და რადგან აღარ ჰქონდა მეფეს პასუხის ძალა
წმინდანისგან სამართლიანი მხილების შედეგად, ბრძანა ამ

[176] მამაჲ გრიგოლ, შეუვრდეს ცრემლით. ხოლო წმიდამან მან აღადგინნა და შეიტკბნა სიყუარულით და ჰმადლობდა ქრისტესა პოვნისა მათისათჳს. და რამეთუ იყვნეს ბუნებით მომლოდებელ წმიდისა მის ძმანი იგი, მათცა უხაროდა ურთიერთასი იგი შეკრებაჲ თჳსი.

და მეფემან მან ჰრქუა ნეტარსა გრიგოლს: „წმიდაო მამაო, აჰა იქმნა წადიერებაჲ ნებისა შენისაჲ, არამედ უფალმან ყავნ ნებაჲცა გულისა ჩემისაჲ, რამეთუ მაქუს სულსა ჩემსა მონასტრისა ახლადშენებაჲ. აწ ბრძანე და მოვიხილნეთ მრავალნი ადგილნი აფხაზეთისანი და სადაცა სიწმიდემან შენმან ინებოს, მონასტრად აღვაშენოთ ადგილი იგი“.

და მოვლნეს ქუეყანანი საგონებელნი სამონასტრედ, და არა სთნდეს წმიდასა მას. და ჰრქუა მეფესა მას: „არა არს მიწაჲ, არცა წყალი ქუეყანასა ამას, სადამცა მონასტერი აღეშენა, რამეთუ ტალანტი მონაზონისაჲ მარხვაჲ არს, და ამას მიწასა ზედა ვერ ეგების მარხვაჲ სულისაგან ხორშაკისა მაკუდინებელისა“.

და შეწუხნა ფრიად მეფჱ იგი ამის მიზეზისათჳს და ჰრქუა მათ: „არა სამართალ არს კეთილთა თქუენთაგან უნაწილობაჲ ამის ქუეყანისაჲ“.

ძმათა მოყვანა, რომლებიც მამა გრიგოლის დანახვაზე შეუვრდნენ მას ცრემლით, ხოლო წმინდანმა წამოაყენა ისინი, სიყვარულით შეიტკბო და ჰმადლობდა ქრისტეს მათი პოვნისთვის, ხოლო რადგან ეს ძმები შინაგანად მომლოდინენი იყვნენ წმინდანისა, უხაროდათ მათაც თავიანთი ეს ურთიერთშეკრება.

მეფემ კი უთხრა ნეტარ გრიგოლს: „წმინდა მამაო, აჰა ასრულდა წადიერება შენი ნებისა, მაგრამ დაე, აასრულოს უფალმა ჩემი გულის ნებაც, რადგან ჩემს სულში მაქვს მონასტრის პირველშენება. ახლა ბრძანე, რომ მოვინახულოთ აფხაზეთის მრავალი ადგილი და სადაც ინებებს შენი სიწმინდე, ის ადგილი ავაშენოთ მონასტრად“.

მოიარეს მათ სამონასტრედ მისაჩნევი ადგილები, მაგრამ არ ესათნოვა წმინდანს და უთხრა მეფეს: „არ არის არც მიწა, არც წყალი ამ მხარეში, სადაც აშენდებოდა მონასტერი, რადგან მონაზონის ტალანტი[83] მარხვაა, ამ მიწაზე კი არ შეიძლება მარხვა ცხელი და მომაკვდინებელი ჰაერის გამო“.

მეტად შეწუხდა მეფე ამ მიზეზის გამო და უთხრა მათ: „არ არის სამართლიანი თქვენს სიკეთეებთან უზიარებელი იყოს ეს ქვეყანა“.

კა. მაშინ მამამან გრიგოლ სარწმუნოებისაებრ მეფისა აღაშენა მონასტერი და უწოდა სახელი მისი უბჱ, და ილარიონ ვინმე, იერუსალიმით მოსრული, სარწმუნოჲ მოხუცებული, დაადგინა მამასახლისად, [ვ] რამეთუ ხანძთით წარყოლილ იყო იგი თევდორეს და ქრისტეფორეს თანა და აქუნდეს მას კეთილნი წიგნნი. და მამამანცა გრიგოლ თჳსნი წიგნნი, რომელ აქუნდეს და-ვეუტევნა მონასტერსა მას. ხოლო ჴელმწიფე იგი სიხარულითა აღივსო მონასტრისა მის შენებისათჳს და შეწირა საშენებელად

21. მაშინ მამა გრიგოლმა, მეფის სარწმუნოებისამებრ, ააშენა მონასტერი, სახელად უწოდა „უბე“ და ვინმე ილარიონი, იერუსალიმიდან მოსული სანდო მოხუცებული, დაადგინა მამასახლისად, რადგან იგი ხანცთიდან წაჰყოლოდა თევდორეს და ქრისტეფორეს და ჰქონდა მას კარგი წიგნები. თვით მამა გრიგოლმაც თავისი წიგნები, რაც ჰქონდა, დაუტოვა ამ მონასტერს, ხელმწიფე კი სიხარულით აივსო მონასტრის მშენებლობის გამო და მის ასაშენებლად შეწირა დიდი

მისსა ფრიად შესაწირავი, და მიანიჭა მამასა გრიგოლს და მოყ-
უასთა მისთა დრამჲ ათი ათასი და ყოვლითა კეთილითა აღავსნა.

კბ. ხოლო ჟამსა წარმოსლვისა მათისასა გამოჰკითხა მეფემან
დიმიტრი მამასა გრიგოლს გულსმოდგინედ სახჱ კლარჯეთისა
უდაბნოთაჲ, რაჲთა აუწყოს მას ადგილთა მათ წმიდათა ნიშანი
ყოველი. და მამამან გრიგოლ ჰრქუა მას:

„ღმრთისმსახურო მეფეო, დაღაცათუ ფრიად განვამრავლო
სიტყუაჲ, ვერვე მისწუთების გონებაჲ ჩემი ყოველსა მას უდაბნო-
თა მათ სიკეთესა უწყებად შენდა, [ვინაჲ]თგან წესი მონაზონები-
საჲ მათ შორის აღორძინებულ არს და უფროჲსად ყუაოდის და
აღემატოს მომავალთა ჟამთა, არამედ ვთქუა მრავალთაგან
მცირედი, ესრეთ:

„რამეთუ ბუნებით ერთგუამ არს ქუეყანაჲ უდაბნოთაჲ მათ და
კეთილადშეზავებულ მზისაგან და ჰაერისა, რამეთუ არცა ფრიადი
სიცხჱ შესწუავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეაურვებს
მყოფთა მისთა. არამედ განწესებით დგას თჳსსა საზღვარსა უნ-
ოტიოჲ, უხორშაკოჲ, უმიწოჲ, მზუარჱ, რამეთუ კაცთა ნახჭნი
[177] ფერჴთანი არაოდეს თიჴიან-ექმნებიან სლვასა მათსა. ხოლო
წყალი კეთილი და შეშაჲ ნებისაებრ უნაკლულოდ აქუს აღ-
მოცენებული ქჳშათა მათ შინა, ურიცხჳ მაღნარი და სიმრავლე
წყალთა ჰამოთაჲ, ბუნებით მხიარულებაჲ მიცემულ არს ღმრთის-
აგან. და არს იგი უგზო და მიუვალ რაჲთურთით სოფლისა წესი-
თა მცხორებელთაგან, რამეთუ ღადოთა მთათა შინა მაღალთა არს
მკჳდრობაჲ მათი. და მორტყმულ არს ერთკერძო მთაჲ იგი და
ერთკერძო შავშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლვაჲ
გარე-მოადგს ზღუდისსახედ უძრავისა. და ესრეთ ყოვლითკერძო
შეზღუდვილ არიან მთათა მიერ, და ჴევნებისა, და წყალთა მათ-
გან საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მავალთაჲსა. და მონას-
ტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქუეყანაჲ, არცა ყანაჲ

შესაწირავი, ხოლო მამა გრიგოლს და მის მეგობრებს უბოძა
ათიათასი დრამა[84] და აავსო ისინი ყოველგვარი სიკეთით.

22. მათი წამოსვლის დროს გულმოდგინედ გამოჰკითხა
დიმიტრი მეფემ მამა გრიგოლს კლარჯეთის უდაბნოთა ამ-
ბავი, რომ აღეწერა მას ამ წმინდა ადგილების ყველა ნიშანი.
მამა გრიგოლმა უთხრა მას:

„ღვთისმსახურო მეფეო, თუნდაც რომ მეტად გავამრავლო
სიტყვა, მაინც ვერ მისწვდება ჩემი გონება იმას, რომ გაუწყო
შენ იმ უდაბნოთა ყველა სიკეთე, მას შემდეგ, რაც მათში
აღორძინდა წესი მონაზვნობისა, რაც მომავალ დროში უფრო
მეტად აყვავდება და გაიზრდება, მაგრამ ვიტყვი მრავლისგან
მცირედს ამგვარად:

ბუნებით ერთმთლიანია ამ უდაბნოთა მხარე და კარგადაა
იგი შეზავებული მზისა და ჰაერისგან, რადგან არც ძლიერი
სიცხე წვავს მათ და არც მეტისმეტი სიცივე ტანჯავს მის
მკვიდრთ, არამედ თანაშეზომილად მდგრადობს იგი თავის
საზღვარში — უნოტიო, უსიცხო, უტალახო, მზიანი, რადგან
ადამიანებს მათი ფეხის ქუსლები არასოდეს უტალახდებათ
სიარულისას. ასევე, კარგი წყალი და ხე ნებისამებრ
უნაკლულოდ აქვს მას ქვიშაში ამოსული. [ესაა] ურიცხვი ტყე
და საამურ წყალთა სიმრავლე. ღვთისგან ბუნებით არის
მიცემული მისთვის მხიარულება. და უგზოა იგი და
ყოველნაირად მიუვალი სოფლის წესით მცხოვრებთათვის,
რადგან მკვიდრობენ ისინი მაღალ ღადო[85] მთებში, და
ერტყმის მას ერთ მხარეს ეს მთა, მეორე მხარეს კი უძრავი
გალავანივით შემოვლებული აქვს შავშეთის დიდ წყალთა
შენაკრების გარშემოწერილობა. აი ასე, ყოველი მხრიდან
შემოზღუდულია იგი მთებით, ხევებით და ძნელ ადგილებზე
საშინლად მსრბოლი წყლებით. მონასტრებში არ არის არც

საჴნავი, არამედ დიდითა შრომითა როჭიკისა მისლვაჲ აქუს კარა-
ულისა ზურგითა. და მცირედ ვენაჴნი ჭირით და ურვით დაუნ-
ერგვან და ეგრეთვე მტილები, ხოლო მხალთა ველისათაჲ არს სიმ-
რავლე ურიცხჳ. და ამას ყოველსა თანა უშიშ არს გული მათი
უქრისტოთა მათ ურწმუნოთაგან, შერყევისაგან და ყოვლისა
ძრვისა ჟამსა ჴელმწიფეთა მტერობისასა. და ესრეთ მრავლითა
მშჳდობითა მყუდროებით არიან [ვ] ყოლადვე და ქრისტესა
ადიდებენ. რამეთუ ღმერთმან დასაბამსავე დაბადებისასა უკუა-
ნაჲსათჳს ჟამთა დაჰბადნა იგინი მონაზონთა სამკჳდრებელად და
ყოველთა ქრისტეანეთა შესავედრებელად ორკერძოვე. და რამ-
ეთუ განგებასა ღმრთისასა ესე ჩუეულებაჲ აქუს. რაჲთა წმიდათა
მათ უდაბნოთა მონასტერნი ჴელითა გლახაკთაჲთა აღაშენნეს,
რომელნიცა სრულიად თავისუფალ-იქმნნეს სოფლისა საცთურ-
თაგან. დაღაცათუ წმიდათა უდაბნოთა ჴელმწიფენი იღუწიან,
ხოლო წოდებად სახელი გლახაკთაჲ ჯერ-იჩინა ქრისტემან შენე-
ბასა წმიდათა მონასტერთასა. არამედ მისცა ღმერთმან
ჴელმწიფებაჲ მორწმუნეთა მეფეთა აღშენებად საყდართა საები-
სკოპოსოთა და ქალაქთა სოფლებითურთ და ყოველსა ერსა ზედა
მთავარ-ყვნა, რაჲთა სიმართლით განიკითხვიდენ მათ შემკობილნი
სამოსლითა ბრწყინვალითა, ხოლო რაჲთა არა დაუტეონ გონებაჲ
მათი ხილულთა მათ ნივთთა შინა, არამედ კეთილთა მათ საუკუ-
ნეთა გულისჴმა-ჰყოფდენ, რამეთუ სიბრძნემან საღმრთომან სა-
მოსელთა მრავალსახეთა მიერ გულისჴმა-უყო ყოველთა კაცთა
პატივი თითოეულისა წესისა მათისაჲ ღმრთისმსახურებით, ხოლო
სარწმუნონი და ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არავის-
სა ჴელმწიფებასა ქუეშე არიან, ვინაჲთგან მოჰრიდეს საშუებელ-
თა საწუთროჲსათა [178] ნებსით და აღირჩიეს ღმრთისათჳს მწუხ-
არებაჲ ადგილთა გლოვისათა მსგავსად პირველთა მათ მამათა
წმიდათა, რომელთა სიგლახაკესა შინა დიდსა მყოფთა აღაშენეს
წმიდანი უდაბნონი თჳნიერ ქუეყანისა მეფეთა ბრძანებისა, შეწ-
ევნითა ყოვლისა შემძლებელისა ღმრთისაჲთა. და აწცა ჟამთა

სათიბი ადგილი და არც სახნავი ყანა, არამედ დიდი გაჭირვე-
ბით მოსდით მათ როჭიკი სახედრის ზურგით და ცოტათი ვე-
ნახი აქვთ, ჭირით და წუხილით დარგული, და ასევე — ბოსტ-
ნებიც, ხოლო ველური ფხალის რაოდენობა ურიცხვია. ამ ყვე-
ლაფერთან ერთად, უშიშარია მათი გული შერყევისგან და
ყოველგვარი აღძრულობისგან ურწმუნო უქრისტოების მხრი-
დან ხელმწიფეთა მტრობის ჟამს, და ასე, ყოვლითურთ დიდი
მშვიდობით და მყუდროებით არიან ისინი და ქრისტეს
ადიდებენ, რადგან ღმერთმა შესაქმის დასაბამშივე უკა-
ნასკნელ დროთათვის შექმნა ეს უდაბნოები ორივე მხრივ: მონ-
აზონთა სამყოფელად და ყველა ქრისტიანის თავშესაფრად,
ვინაიდან ღვთის განგებას აქვს ეს ჩვეულება, რომ წმინდა უდ-
აბნოთა მონასტრები გლახაკთა ხელით შენდებოდეს, რომ-
ლებიც სრულიად თავისუფალი გახდნენ სოფლის საცთურთა-
გან, და თუმცა წმინდა უდაბნოებს ხელმწიფეები პატრონობენ,
მაგრამ გლახაკთა სახელის წოდება ინება ქრისტემ წმინდა
მონასტერთა მშენებლობისთვის. სანაცვლოდ, ღმერთმა მორწ-
მუნე მეფეებს მისცა უფლებამოსილება საეპისკოპოსო საყდარ-
თა და ქალაქ-სოფელთა აშენებისა, ამასთან მთელი ხალხის
მთავრებად გახადა ისინი, რომ მათ, ბრწყინვალე სამოსლით
შემკობილებს, სამართლიანად განეკითხათ [ადამიანები] და
რომ ხილულ საგნებში არ დაეტოვებინათ თავიანთი გონება,
არამედ საუკუნო სიკეთეები შეემეცნებინათ, რადგან საღვთო
სიბრძნემ მრავალსახოვანი სამოსლის გზით შეამეცნებინა ყოვ-
ელ ადამიანს თითოეული მათი მდგომარეობის პატივი
ღვთისმსახურებით, თუმცა სარწმუნო და ჭეშმარიტი მონაზ-
ვნები ამ ქვეყანაზე არავის უფლებამოსილების ქვეშ არ არიან,
რადგან ისინი ნებსით განერიდნენ საწუთროს ფუფუნებებს და
პირვანდელ წმინდა მამათა მსგავსად აირჩიეს მათ, ღვთის
გამო, მწუხარება გლოვის ადგილებში, რომლებმაც, დიდ
სიგლახაკეში მყოფებმა, ააშენეს წმინდა უდაბნოები ამქვეყ-

ჩუენთა არიან მსგავსნი პირველთა მათ ნეტართა კაცთანი, მაშენებელ მონასტერთა ადგილთა უქმთა შინა ღმრთისა სამკჳდრებელად, ხოლო ჴელმწიფენი კეთილადმსახურნი შრომასა მათსა თანამონაწილე-იქმნებიან საფასეთა უხუადმიცემითა, ვითარცა-ესე დღეს დიდებულებამან შენმან მეფობამან განამდიდრა სიგლახაკე ჩუენი ფრიადითა კეთილითა. და ყოლადვე მოზიარე ხარ ლოცვასა ჩუენსა თანა". ხოლო მეფჱ განმხიარულდა სიტყუათაგან ნეტარისა გრიგოლისთა და ფრიადი სარწმუნოებაჲ და სიყუარული დამტკიცნა გულსა მისსა უდაბნოთა მიმართ კლარჯეთისათა და ჰმადლობდა ქრისტესა, კეთილის-მყოფელსა ნებისმყოფელთა მისთასა. და ესრეთ მშჳდობაჲ დაუტევეს ჴელმწიფესა მას და წარმოვიდეს აფხაზეთით.

ნიურ მეფეთა ბრძანების გარეშე, ყოვლისშემძლე ღვთის შემწეობით, და ახლაც, ჩვენს დროში, არიან იმ პირვანდელ ნეტარ მამათა მსგავსნი, უსარგებლო ადგილებში მონასტერთა მაშენებელნი ღვთის სამყოფელად, ხოლო კეთილმსახური ხელმწიფეები მათი შრომის თანამონაწილეები ხდებიან ქონების უხვად მიცემით, როგორც დღეს, როდესაც შენმა დიდებულებამ — მეფობამ დიდი სიკეთით გაამდიდრა ჩვენი სიღარიბე, რის გამოც ყოვლითურთ მოზიარე ხარ ჩვენს ლოცვებთან". მეფე გამხიარულდა ნეტარი გრიგოლის სიტყვების გამო, მის გულში გამყარდა დიდი სარწმუნოება და სიყვარული კლარჯეთის უდაბნოთა მიმართ და იგი ჰმადლობდა ქრისტეს, მისი ნების აღმსრულებელთა კეთილისმყოფელს, ისინი კი ასე გამოემშვიდობნენ ხელმწიფეს და აფხაზეთიდან წავიდნენ.

კგ. და მგზავრ სლვასა მათსა ჰრქუეს ნეტარსა გრიგოლს სანატრელთა მათ თევდორე და ქრისტეფორე: წმიდაო მამაო, ჟამსა მას წარმოსლვისა ჩუენისასა ხანცთით, სამცხეს რაჲ მოვიწიენით, [ვ] მახლობელად ადგილსა მირიან აზნაურისასა, და გჳხილნეს ჩუენ კაცთა მისთა, რამეთუ სადგური ჩუენი ჟამსა მწუხრისასა ველსა ზედა ვყავთ, და აუწყეს უფალსა თჳსსა და მწრაფლ-ხოლო მოვიდა მირეან თჳთ და მოგჳკითხნა სიმდაბლით და წარგჳყვანნა ტაძრად თჳსად და განგჳსუენა კეთილად.

და ვითარცა განთენა, შემიყვანნა წინაშე მეუღლისა თჳსისა, რომლისაჲ არს სახელი კრავი, რამეთუ არს იგი მჴევალი ქრისტჱსი, და ვითარცა ულოცეთ მას, დავსხედით; მაშინ მირეან დიდებულმან უფალმან დაადგინნა წინაშე ჩუენსა ძენი თჳსნი ბრძანებით, სამნი იგი ყრმანი ყოლადკეთილნი და შუენიერნი. და ვითარცა ულოცეთ მათ, ჰრქუა კრავის: „აწ ვყოთ ჩუენ სასწაულ კეთილ და ერთი ძეთა ჩუენთაგანი განვაწესოთ მონაზონად და

23. და მიდიოდნენ რა, გზაში სანატრელმა თევდორემ და ქრისტეფორემ უთხრეს ნეტარ გრიგოლს: „წმინდა მამაო, ხანცთიდან ჩვენი წამოსვლის დროს, სამცხეში რომ მოვედით, მირიან აზნაურის ადგილის ახლოს, როდესაც გვნახეს მისმა კაცებმა, რადგან საღამოს დროს ველზე მოვაწყვეთ ჩვენი სადგომი, და უთხრეს თავის ბატონს, სწრაფადვე მოვიდა თვით მირიანი, მდაბლად მოგვიკითხა, წაგვიყვანა თავის სასახლეში და კარგად მოგვასვენა.

როდესაც გათენდა, შეგვიყვანა მან თავის მეუღლესთან, რომლის სახელიც არის კრავი, რადგან არის იგი ქრისტეს მხევალი. დავლოცეთ იგი და დავსხედით. მაშინ მირიანმა, დიდებულმა ბატონმა, ბრძანებით დააყენა ჩვენს წინ თავისი ძეები, სამი ყოვლად კარგი და მშვენიერი ყრმა და როდესაც დავლოცეთ ისინი, უთხრა მან კრავს: „ახლა ვაჩვენოთ ჩვენ კარგი ნიშანი და ჩვენი ძეებიდან ერთ-ერთი განვაწესოთ მონა-

მოწაფე ამათ ქრისტჱსმოწაფეთა, და ამათითა ლოცვითა მოეცეს მადლი, რაჲთა იხილონ მოძულეთა ჩუენთა და ჰრცხუენოდის. აწ თქუ, რომელი იყოს მოწესედ შორის შვილთა ჩუენთა?“ ხოლო მან ჰრქუა: „უფალო ჩემო, შვილნი შენნი არიან წინაშე შენსა. რომლისაჲცა ჰბრძანო, უფალმან გამოირჩიენ რჩეულად მოწესედ“. ხოლო მან თქუა: „ძრწემი ესე იყოს მონაზონ და სულიერადშვილ უდაბნოჲსა მამათა ამათ“. და მოიყვანა ჴელითა თჳსითა და ჯუარი დაწერად გუცა ჩუენ და სამოსლითა მოწესეთაჲთა შემოსა, და ჩუენ [179] სახელი არსენი უწოდეთ, და აღუთქუთ შენდა მოწაფედ შვილი მისი ყოფად მსგავსად ჩუენდა, და მან უფროჲს განიხარა. აწ ვითარცა სათნო-უჩნს სიწმიდესა შენსა, ეგრეთცა ქმენ“. ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: „ძმანო სანატრელნო, ნებაჲ არს ღმრთისაჲ, რაჲთა ჴელითა ჩუენითა იქმნეს იგი რჩეულ შორის მოწესეთა და მიიწიოს საზომსა დიდსა“. და მანცა წარმოუთხრა ამისვე პასუხისა მსგავსად ღირსისა ყრმისა და ჭაბუკისა ეფრემისთჳს ყოველი. და განიხარეს ძმათა მათ სიტყუასა ზედა მოძღურისა თჳსისასა. და მოიწინეს ერთობით, სადაცა იყო ეფრემ, და წარიყვანეს, და ეგრეთვე სანატრელი არსენი. ხოლო წმიდაჲ ეფრემ იყო დღითა უხუცეს, რომელთათჳსცა თქუა ნეტარმან გრიგოლ სიტყუაჲ იგი დავითისი, ვითარმედ: „განცხადებაჲ ღმრთისასიტყუათაჲ განმანათლებელ არს და გონიერ-ჰყოფს ჩჩჳლთა“, რომელთა მიერ დაემტკიცოს ქებაჲ ქრისტჱსი. ჭეშმარიტად უბიწონი და წრფელნი ესე შემომეყვნეს ჩუენ, დათმენად ღუაწლსა მონაზონებისასა მოსრულნი ბრძანებისაებრ უფლისა, ვითარმედ: „ნუ აყენებთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ცათაჲ“. არამედ ესე უწყოდეთ, ძმანო, დრტჳნვაჲ ყოფად არს ჩუენთჳს სამართალი ძმათა შორის ჩუენთა, ხოლო უფალმან იზრუნოს თჳთ ამათთჳს, რომელმანცა თქუა: „ეკრძალენით, ნუ ვინმე დააბრკოლოთ ერთი [ვ] მცირეთაგანი, რამეთუ ანგელოზნი მათნი მარადის ხედვენ პირსა მამისა

ზონად და ამ ქრისტეს მოწაფეთა მოწაფედ, და ამათი ლოცვით მიეცეს მას მადლი, რომ ნახონ ჩვენმა მოძულეებმა და შერცხვეთ. ახლა თქვი, ჩვენი შვილებიდან რომელი იყოს მოწესე[86]?“ მან მიუგო: „ბატონო ჩემო, შენი შვილები არიან შენს წინ. რომელი მათგანისთვისაც ბრძანებ, იგი გამოირჩიოს უფალმა რჩეულ მოწესედ“. მირიანმა თქვა: „ეს უმცროსი იყოს მონაზონი და ამ უდაბნოს მამათა სულიერი შვილი“. და მოიყვანა მან იგი თავისი ხელით, მოგვცა ჩვენ პირჯვრის გადასაწერად და შემოსა მოწესეთა სამოსლით. ჩვენ მას ვუწოდეთ სახელად არსენი და აღვუთქვით მირიანს, რომ ჩვენს მსგავსად მის შვილსაც შენს მოწაფედ გავხდიდით, რაზეც მან კიდევ უფრო გაიხარა. ახლა, როგორც ესათნოება შენს სიწმინდეს, ისე გააკეთე“. წმინდანმა უთხრა მათ: „სანატრელო ძმებო, ნება არს ღვთისა, რომ იგი ჩვენი ხელით გახდეს მოწესეთა შორის რჩეული და დიდ საზომს მიაღწიოს“. ამასთან, მანაც მოუთხრო, ამაზე პასუხის მსგავსად, ყველაფერი ღირსი ყრმის, ჭაბუკი ეფრემის შესახებ. ძმებმაც გაიხარეს თავიანთი მოძღვრის სიტყვის გამო და ისინი ერთად მივიდნენ იქ, სადაც იყო ეფრემი. წამოიყვანეს იგი და, ასევე, სანატრელი არსენი. ხოლო ეფრემი იყო ასაკით უფროსი. სწორედ მათზე თქვა ნეტარმა გრიგოლმა დავითის სიტყვა: „ღვთის სიტყვათა გამოცხადება განმანათლებელია და იგი გონიერს ხდის ჩვილებს“[87], რომლების მიერაც განმტკიცდება ქება ქრისტესი. ესენი, ჭეშმარიტად უბიწოები და წრფელები, შემოგვიერთდნენ ჩვენ, რომ იტვირთონ მონაზვნობის ღვაწლი, მოსულები არიან რა თანახმად უფლის ბრძანებისა: „ნუ აჩერებთ მაგ ბავშვებს ჩემთან მოსასვლელად, რადგან მაგნაირებისა არის ცათა სასუფეველი“.[88] ეს კი იცოდეთ, ძმებო, რომ ჩვენს ძმათა შორის ჩვენდამი სამართლიანი დრტვინვა იქნება, მაგრამ თვით უფალი იზრუნებს ამათთვის, რომელმაც თქვა: „ერიდეთ, რომ არ დააბრკოლოთ ერთი მცირეთაგანი,

ჩემისა ზეცათაჲსა“. და აწ თქუენ, ძმანო, თევდორე და ქრისტეფორე, ძლევაშემოსილნო, ექმნენით ამათ მზარდულ კეთილ ნებისაებრ ღმრთისა“.

ხოლო მათ აღუთქუეს და თავს-იდვეს მოღუაწებაჲ მათი. მაშინ ჰრქუა მათ ნეტარმან გრიგოლ: „ძმანო, უფროჲს არს ესე ყოველთა სათნოებათა თქუენთა, რაჲთა თუალნი თქუენნი იყვნედ მარადის ამათ ზედა და გეჴსენედ დიდებულებაჲ მშობელთა ამათთაჲ და სარწმუნოებაჲ მათი ქრისტჱს მიმართ და ჩუენ, გლახაკთა მომართ, ვითარ-იგი მათ ქრისტჱს სიყუარულისათჳს შვილობისა სიყუარული დაივიწყეს და ჴელითა ჩუენითა უფალსა მსხუერპლად მიუპყრნეს და ჩუენ, უცხოთა, ვითარცა ძმათა თჳსთა, სასოვებით მოგუანდჳნეს. აწ, ვითარცა წარმოვიყვანენით მშობელთაგან უბიწონი დასამარხველად წმიდად, ეგრეთვემცა ჰპოვებს ქრისტე, რაჟამს ითხოვდეს ჴელთაგან ჩუენთა სამკჳდრებელად თჳსად“.

და რაჟამს მოიწინეს ხანცთას, ფრიად განიხარეს ძმათა, ქრისტჱს მიერ კრებულთა მათ საღმრთოთა, სულიერისა მამისა და ძმათა მათ მოსლვაჲ. ხოლო დრტჳნვაჲ იყო მათ შორის ყრმათა მათთჳს მოყვანებისა. და მოვიდეს წინაშე მამისა გრიგოლისა და ჰრქუეს: „წმიდაო მამაო, მოციქული იტყჳს „სრულმან სიყუარულმან შიში განდევნოსო“. [180] უკუეთუ ბრძანოს სიწმიდემან შენმან, უშიშად ვიტყოდით, რომლისათჳსცა მოსრულ ვართ“.

ხოლო მან ჰრქუა: „ძმანო, ჭეშმარიტად ძირმტკიცე არს ჩუენ-შორის სიყუარული და შიში არა არს მას შინა; ბრძანეთ, რაჲცა გნებავს“. ხოლო მათ ჰრქუეს: „საქმენი შენნი განუკითხველ არიან ყოველნი თჳნიერ ამისსა, რომელ ყრმანი ესე მოიყვანენ, და წესსა შენგან დამტკიცებულსა შენ ზევე გამოეჴუების მომავალთა ჟამთა საკდემელად ჩუენდა. დაღაცათუ უშიშ არს გული ჩუენი ჟამისა ამისთჳს, არამედ გარეშე წესისა არს საქმე ესე. და აწ ესე არს სიტყუაჲ ჩუენი, წმიდაო ღმრთისაო“.

რადგან მათი ანგელოზები მარადის ხედავენ ჩემი ზეცათა მამის სახეს“[89]. და ახლა თქვენ, ძმანო თევდორე და ქრისტეფორე, ძლევაშემოსილებო, გაუხდით ამათ კარგ აღმზრდელად ღვთის ნებისამებრ“.

მათაც აღუთქვეს ეს და თავს იდეს არსენისა და ეფრემის მეურვეობა. მაშინ უთხრა მათ ნეტარმა გრიგოლმა: „ძმანო, ეს იქნება თქვენს ყველა სათნოებაზე უფრო დიდი, რომ თქვენი თვალები მუდამჟამს ამათზე იყოს. გახსოვდეთ ამათი მშობლების დიდებულება, მათი რწმენა ქრისტესადმი და ჩვენ გლახაკებისადმი, — თუ როგორ დაივიწყეს მათ შვილობის სიყვარული ქრისტეს სიყვარულის გამო, როგორ მსხვერპლად მიუძღვნეს [შვილები] უფალს ჩვენი ხელით და როგორ იმედით მოგვანდეს ისინი ჩვენ, უცხოებს, ვითარცა ძმებს. ახლა როგორც უბიწოები წამოვიყვანეთ ისინი მშობლებისგან, რომ წმინდად იყვნენ დაცულები, ამგვარადვე ჰპოვებს მათ ქრისტე, როდესაც იგი თავის სამკვიდრებლად მოითხოვს მათ ჩვენი ხელებიდან“.

როდესაც მოაღწიეს ხანცთას, მეტად გაიხარეს ძმებმა, ქრისტეს მიერ საღვთოდ შეკრებილებმა, სულიერი მამისა და ძმათა მოსვლის გამო, თუმცა ბავშვების მოყვანისთვის უკმაყოფილება იყო მათ შორის. ამიტომ, მოვიდნენ ისინი მამა გრიგოლთან და უთხრეს: „წმინდა მამაო, მოციქული ამბობს: „სრული სიყვარული შიშს განდევნისო“[90]. თუკი ბრძანებს შენი სიწმინდე, უშიშრად ვიტყვით, რისთვისაც ვართ მოსულები“.

მან უთხრა: „ძმანო, ჭეშმარიტად ძირმტკიცეა ჩვენს შორის სიყვარული და შიში არ არის მასში. ბრძანეთ, რაც გნებავთ“. მათ უთხრეს: „ყველა შენი საქმე განუსჯელია, გარდა იმისა, რომ ეს ბავშვები მოიყვანე, რითაც შენგან დამტკიცებული წესი შენს დროსვე ხდება დაკლებული მომავალ დროში ჩვენს შესარცხვენად. თუმცაღა ჩვენი გული

ვითარცა ესმა კეთილი იგი გულისსიტყუაჲ, ცხადად განიხარა ნეტარმან მამამან გრიგოლ და ჰრქუა მათ: „ჰ ძმანო სანატრელნო, ნუ იყოფინ ჩემდა წესისა მის, პირველთა წმიდათა მამათაგან შეკრებულისა, ცვალებაჲ ჴორციელისა რაჲსამე მიზეზისათჳს, არამედ ჭეშმარიტსა ვიტყჳ წინაშე ღმრთისა, რამეთუ არაოდეს გასმია ნაცილი სიტყუაჲ პირისაგან ჩემისა. ესრეთ არს ყრმათა ამათ მოწევნაჲ აქა, რამეთუ ქრისტემან ღმერთმან წმიდისა ანგელოზისა პირითა მაუწყა ამათი საქმე ყოველი, რამეთუ ვითარცა ეფრემ ასური და არსენი ჰრომაელი, კაცთაგან განშორებულნი და ღმრთისა მიახლებულნი, ესრეთ იყვნენ ღირსნი ესე ყრმანი აღზრდილ უბიწოდ ხანცთას შინა ვიდრე ჟამადმდე [ვ] პატივისა მათისაო. აწ უკუე შემძლებელ ვართა ცილობად უფლისა ბრძანებასა? „რამეთუ უნებელი ზედა-მაც“ სიტყჳსაებრ მოციქულისა: „უკუეთუ არა ვახარებდე, ვაჲ არს ჩემდა“, ხოლო თქუენ ნეტარ ხართ, რამეთუ უფალმან გამოგირჩინა ამათ მონათა თჳსთა. არამედ თჳნიერ ესევითარისა მიზეზისა უკუეთუ ვინმე ცვალოს წესი პირველი და ყრმაჲ მოიყვანოს ყოფად მონასტერსა ამას, პატიჟეულ იყოს იგი ფრიად დიდებულსა მეორედ მოსლვასა უფლისა და ღმრთისა ჩუენისასა“.

ხოლო ძმანი იგი დაჯერებულ-იქმნნეს და აღეშენნეს ამასზედა და ჰმადლობდეს ქრისტესა, მოქმედსა საკჳრველებათასა. მაშინ თევდორე და ქრისტეფორე, რამეთუ სენაკნი მათნი ერთგან იყვნეს და სხუათა ძმათაგან განშორებულ, წარიყვანნეს ღმერთშემოსილნი იგი ყრმანი სულიერთა მათ მამათა, სენაკად თჳსად, მცნებისაებრ ნეტარისა მამისა გრიგოლისისა. და აღზარდნეს კეთილად ნაცვალად სძისა ღმრთისა მადლითა.

ამჟამინდელისთვის უშიშარია, მაგრამ ეს საქმე წესის გარეშეა. აი, ესაა ამჯერად ჩვენი სიტყვა, ღვთის წმინდანო“.

როდესაც ნეტარმა გრიგოლმა მოისმინა მათი ეს კარგი ნაფიქრალი, ცხადად გაიხარა და უთხრა მათ: „ჰოი, სანატრელო ძმებო, ნუ მოხდება ისე, რომ მე შევცვალო პირვანდელ წმინდა მამათაგან შემოკრებილი წესი ხორციელი რამ მიზეზის გამო, მაგრამ ჭეშმარიტს ვამბობ ღვთის წინაშე, რადგან არასოდეს გსმენიათ ცრუ სიტყვა ჩემი პირიდან: ამ ბავშვების აქ მოსვლა ამგვარადაა: ქრისტე ღმერთმა წმინდა ანგელოზის პირით მაუწყა ამათი ყველა საქმე, რადგან ეს ღირსი ყრმები, მსგავსად ადამიანებისგან განშორებული და ღმერთს მიახლოებული ეფრემ ასურისა და არსენ რომაელისა, უბიწოდ აღიზრდებიან ხანცთაში მათი პატივის გაცხადების დრომდე. მაშ, ახლა, შეგვიძლია კი კამათი უფლის ბრძანებასთან? „რადგან აუცილებლობა მადევს“, მოციქულის სიტყვისებრ, „თუ არ ვახარებ, ვაი მე“[91], მაგრამ თქვენ ნეტარნი ხართ, რადგან უფალმა გამოგარჩიათ ამ თავისი მონებისთვის, თუმცა თუ ვინმე ამგვარი მიზეზის გარეშე შეცვლის პირვანდელ წესს და ბავშვს მოიყვანს, რომ იმყოფებოდეს იგი ამ მონასტერში, დიდად დაისჯება იგი უფლისა და ჩვენი ღვთის დიდებული მეორედ მოსვლის დროს“.

ძმები დაკმაყოფილდნენ ამით, განმტკიცდნენ და ჰმადლობდნენ ქრისტეს, საკვირველებათა მოქმედს. მაშინ, რადგან თევდორეს და ქრისტეფორეს სენაკები ერთად იყო, სხვა ძმებისგან მოშორებულად, წაიყვანეს ამ სულიერმა მამებმა თავიანთ სენაკში ეს ღმერთშემოსილი ბავშვები, ნეტარი გრიგოლის მცნებისამებრ, და კარგად აღზარდეს ისინი რძის ნაცვლად ღვთის მადლით.

კდ. მას ჟამსა ბაგრატ კურაპალატმან ნებითა ღმრთისაჲთა და ნებითა ძმათა თჳსთაჲთა და ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა მოიღო კურაპალატობაჲ ნაცვალად აშოტ კურაპალატისა, მამისა თჳსისა, რამეთუ მიეცა მას ფლობაჲ ჴელმწიფებისაჲ ზეგარდამო. და ძმანი მისნი, [181] ყოველნი კეთილნი და დიდებულნი ჴელმწიფენი, – ადარნერსე უხუცესი და გუარამ მრწემი, – მშუ-ვალესა მას ძმასა მორჩილ-ექმნნეს საღმრთოჲსა ძმობისა სიყ-უარულითა, რამეთუ ერთზრახვა, ერთსულ და ერთგონება იყვნეს იგინი, ხოლო ბაგრატ უმთავრეს მათსა იყო სიბრძნითა, სახითა და სიქველითა და ყოვლითა ღმრთისმსახურებისა სისრულითა, რამეთუ მსგავსი იყო წინაჲსწარმეტყუელისა დავი-თისი და ნეტარისა ბაგრატ მოციქულისა და მღდელმოწამისა, მოწათესა წმიდისა პეტრე მოციქულისაჲ, ყოვლითავე კეთილადმ-სახურებითა. და მადლითა ქრისტჱსითა განდიდნა მეფობაჲ სამთა მათ ძმათა ჴელმწიფეთაჲ, რამეთუ შეწევნითა ღმრთისაჲთა ჴრმ-ლითა მათითა დაიპყრნეს ფრიადნი ქუეყანანი და განიოტნეს აგარის ნათესავნი.

ხოლო ნეტარი მამაჲ გრიგოლ მიიწია წინაშე დიდებულისა ბაგრატ კურაპალატისა და ჯერისაებრ შესხმაჲ კურაპალატობისაჲ მიულოცა. ხოლო ქებაჲ იგი შესხმისაჲ, ჟამისა მის ბრძენთა მიერ შეუცავი, ფრიად სთნდა კეთილადმსახურსა კურაპალატსა და ჰრქუა მას: „ჰ წმიდაო მამაო, ღმერთმან შეგამკო სიბრძნითა, ჰა-საკითა და სულითა წმიდითა ჴსნისა ზღუდედ ჩუენდა, შუამ-დგომელად შორის სიკუდილისა და ცხორებისა, რომლითაცა ფრ-ცელ-იქმენ ყოველსა ამას ქუეყანასა თანაზრუნვითა და საღმრ-თოჲთა მოღუაწებითა შენითა. ხოლო მე თანა-მაც [ვ] სიყუარული და პატივი მამობისა შენისაჲ. აწ ბრძანენ სიწმიდემან შენმან მე-ფობისა ჩუენისაგან მსახურებაჲ ღირსებისა შენისაჲ, რამეთუ ღმრთისა მიერ მონაწილე ხარ ჩუენთანა, შვილთა აშოტ კურა-პალატისათა“.

24. ამ დროს ბაგრატ კურაპალატმა ღვთის ნებით, თავისი ძმების ნებითვე და ბერძენთა მეფის ბრძანებით მიიღო კურა-პალატობა აშოტ კურაპალატის, თავისი მამის, ნაცვლად, რადგან მიეცა მას ხელმწიფობის უფლებამოსილება ზევიდან და მისი ძმები, ორივენი კარგი და დიდებული ხელმწიფეები, — უფროსი ადარნერსე და უმცროსი გუარამი, — შუათანა ძმას მორჩილი გაუხდნენ საღვთო ძმობის სიყვარულით, რადგან ერთფიქრი, ერთსული და ერთნება იყვნენ ისინი, თუმცა ბაგრატი მათზე აღმატებული იყო სიბრძნით, შესახედაობით, სიქველით და მთელი ღვთისმსახურებითი სრულქმნილებით, რადგან ემსგავსებოდა იგი წინასწარ-მეტყველ დავითს და წმინდა პეტრე მოციქულის მოწაფეს, მოციქულსა და მღვდელმოწამეს ნეტარ ბაგრატს მთელი კეთილმსახურებით და განდიდდა ამ სამი ხელმწიფე ძმის მეფობა ქრისტეს მადლით, რადგან, ღვთის შეწევნით, თავიანთი ხმლით დაიპყრეს მათ ბევრი ქვეყანა და განდევნეს აგარის ჩამომავალნი.

ნეტარი მამა გრიგოლი მივიდა დიდებულ ბაგრატ კურა-პალატთან და ლოცვით უძღვნა[92] მას ჯეროვანი ხოტბა კურა-პალატობისა, ხოლო ეს ხოტბითი ქება, იმ დროის ბრძენთაგან დაუტევნელი, მეტად ესათნოვა კეთილმსახურ კურაპალატს და უთხრა მას: „ჰოი, წმინდა მამაო, ღმერთმა შეგამკო სიბრძნით, აღნაგობითა და სულიწმინდით ხსნის გალავნად ჩვენთვის და შუამდგომლად სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის, რითაც განეფინე მთელ ამ ქვეყანას შენი თანამზრუნველობითა და საღვთო მოღვაწეობით, ხოლო მე მმართებს სიყვარული და პატივისცემა თქვენი მამობისა. ახლა ბრძანოს შენმა სიწმინდემ, რომ ემსახუროს ჩვენი მეფობა შენს ღირსებას, რადგან ღვთის მიერ მონაწილე ხარ ჩვენი, აშოტ კურაპალატის შვილებისა“.

ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: „კეთილადმსახურო მეფეო, უმ-
ეტეს და უფროჲს კეთილადმსახურისა მამისა შენისა ფრთეთაგან
საუფლოჲსა ჯუარისათა შეცვულო, მარჯუენაჲ დამბადებელისაჲ
და წმიდათა ოხაჲ მარადის გფარავს და მცველი იგი დაუძინებელი
ყოლადვე მცველ არს შენდა, და ნათელი დაუღამებელი უძღჳს
მეფობასა შენსა, და არა საჴმარ არს მისსა ბრწყინვალებაჲ
სანთლისაჲ, გარნა მრუმეთათჳს ხოლო. არამედ მე გულსმოდგ-
ინედ ლოცვაჲ შენი მიპყრიეს, რაჲთა არა მოგაკლდეს კეთილი
საქმე მეფობისა მიზეზთაგან. არამედ აწ ამას ვითხოვ შენგან:
არს აშოტ კურაპალატისა შეწირული აგარაკი ხანცთას და იქმ-
ნების კეთილად მონასტრად. უკუეთუ მიბრძანოს მეფობამან შენ-
მან, აღვაშენო სადიდებელად ღმრთისა და საცხორებელად სული-
სა შენისა, და ვიდრე ეგოს ცაჲ და ქუეყანაჲ, ეგოს მას შინა
ლოცვაჲ შენთჳს“.

კე. მაშინ სიხარულით უბრძანა ბაგრატ კურაპალატმან
შენებაჲ მისი და მისცა ყოველივე საჴმარი საშენებელად. და რა-
ჟამს მივიდა ნეტარი მამაჲ გრიგოლ [182] შატბერდს, მაშინ
ცრემლთა მისთა მდინარითა ირწყვოდა ადგილი იგი, იტყოდა რაჲ
ლოცვასა ამას:

„მეუფებითა სუფევისა შენისაჲთა, ღმერთო, უშრომელად
დაჰბადენ დაბადებულნი ყოველნი და ჴელმწიფებით განმგებელ
ხარ ყოველთა ქმნულთა შენთა, რამეთუ ცათა შემოქმედი, და
ანგელოზთა დამბადებელი, და ქუეყანისა დამამტკიცებელი, და
ზღუათა დამამყარებელი და წულილადთაცა საქმეთა მოქმედვე
ხარ, ვითარცა თქუა დავით: „არათუმცა უფალმან აღაშენა სახლი,
ცუდად შურებიან მაშენებელნი მისნი“. აწ, უფალო, იყვნედ
ყურნი შენნი მორჩილ ჴმასა ლოცვისა ჩემისასა და აკურთხე ადგ-
ილი ესე მადლითა შენითა და აღაშენე მონასტერი განსასუენებე-

წმინდანმა უთხრა: „მეფეო, შენს კეთილმსახურ მამაზე
უფრო მეტად და უფრო დიდად კეთილმსახურო და გარშე-
მორტყმულო საუფლო ჯვრის ფრთებით, მარადის გფარავს
შენ დამბადებლის მარჯვენა და წმინდანთა მეოხება,
ყოვლითურთ შენი მცველია ის დაუძინარი მცველი და
დაუღამებელი სინათლე უწინამძღვრებს შენს მეფობას, არ
სჭირდება რა მას[93] სანთლის შუქი, თუ არა მხოლოდ —
დაბინდულთათვის. ხოლო მე წესად მაქვს გულმოდგინედ
ლოცვა შენს გამო, რომ არ შეგიმცირდეს შენ კეთილი საქმე
მეფობის მიზეზით. ახლა კი ამას ვითხოვ შენგან: არის აშოტ
კურაპალატისგან ხანცთისთვის შეწირული ადგილი, რაც
კარგ მონასტრად გახდება, და თუ მიბრძანებს შენი მეფობა,
ავაშენებ მას ღვთის სადიდებლად და შენი სულის
საცხონებლად, და სანამ იარსებებს ცა და მიწა, იარსებებს
მასში ლოცვა შენს გამო“.

25. მაშინ სიხარულით უბრძანა მას ბაგრატ კურაპალატმა
იმ მონასტრის აშენება და მისცა ყველა საშენი მასალა. როდე-
საც მივიდა ნეტარი გრიგოლი შატბერდში, მისი ცრემლების
მდინარით ირწყვებოდა ის ადგილი, ამბობდა რა ამ ლოცვას:

„შენი სუფევის მეუფებით, ღმერთო, გაურჯელად დაჰბადე
ყველა დაბადებული და ხელმწიფობით განაგებ შენს ყველა
ქმნილებას, რადგან ხარ შენ ცათა შემოქმედი, ანგელოზთა
დამბადებელი, მიწის დამფუძნებელი და ზღვათა დამამყარე-
ბელი; და წვრილმან საქმეთა მოქმედიც შენ ხარ, როგორც
თქვა დავითმა: „უფალმა თუ არ ააშენა სახლი, ფუჭად
დაშვრებიან მისი მაშენებლები“[94]. ახლა, უფალო, მორჩილი
გაუხდეს ჩემი ლოცვის ხმას შენი ყურნი, აკურთხე ეს ადგილი
შენი მადლით, ააშენე მონასტერი შენი სიწმინდის
მოსასვენებლად და დასამკვიდრებლად, შესძინე მას

ლად სიწმიდისა სამკჳდრებელთა შენთა და მოეც ამას სახელი კეთილადსახელოვანი შორის თესლებსა მრავალსა სადიდებელად შენდა, ყოველთა მეუფეო, უხილავად შეწევნითა ძლიერისა მკლავისა შენისაჲთა, და განანათლე ნათლითა სულისა შენისა წმიდისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და წმიდათა ყოველთაჲთა დაიცევ უკუნისამდე ჟამთა, ამენ“.

და ჯუარი დასწერა ადგილსა მას ჩინებულსა და იწყეს საქმედ ეკლესიისა და სენაკებსაცა. და ესრეთ დღითი-დღე აღორძნდებოდა იგი კეთილად. და იქმნა ღელე გლოვის მტერთა მათ უხილავთა და ხილულთა, [ვ] ხოლო ნავთსადგურ ცხორების ქრისტჱსსამწყსოთა მეფეთა და მთავართა და ყოვლისა ერისა ქრისტეანეთა მართლმორწმუნეთაჲსა. მსგავსად ხანცთისა, ღმრთისა მიერ ზეგარდამოჩინებულისა, ეგრეთვე შატბერდი აღეშენა საღმრთოჲთა შეწევნითა და ლოცვითა ნეტარისა მის კაცისაჲთა, რომელმანცა შეაერთნა ორნივე იგი უდაბნონი, ერთად შენაწევრებულნი და შემტკიცებულნი ძმობრივსა ზედა სიყუარულსა ვიდრე ჟამთა აღსასრულამდე.

ამისა შემდგომად უწოდა კურაპალატმან წმიდასა მას. და ვითარცა მიიწია მის წინაშე, ყოველი აუწყა კეთილადგანმარჯუებაჲ მონასტრისაჲ მის ქრისტჱს მიერ. მაშინ უბრძანა ადგილნი მარჯუენი აგარაკად შატბერდსა, და ყოველი, რაჲცა უჴმდა, მისცა მისთჳს სრულიად საშენებელად.

კვ. მას ჟამსა ნეტარსა გრიგოლს გულმან-უთქუა ჴსენებაჲ საბან იშხნელისაჲ და აუწყა ყოველი პირველი ყოფილი ღმრთისმსახურსა კურაპალატსა. ხოლო მას ვითარცა ესმა, ფრიად განიხარა და მწრაფლ დაწერა წიგნი და წარავლინნა კაცნი კეთილნი და პატივით უწოდა მას. ხოლო მივლინებულნი იგი მოვიდეს და აუწყეს კურაპალატსა, ვითარმედ: „არა ჰნებავს კაცსა მას ღმრთისასა მოსლვაჲ აქა“. მაშინ ბრძანა კურაპალატმან გზათა იშხნი-

კეთილსახელოვანი სახელი მრავალრიცხოვან ტომებს შორის შენს სადიდებლად, ყოველთა მეუფეო, შენი ძლიერი მკლავის უხილავი შემწეობით, გაანათლე იგი შენი წმინდა სულის სინათლით და დაიცავი იგი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და ყველა წმინდანის მეოხებით უკუნისამდე დროთა, ამინ“.

გადაწერა მან ჯვარი გამორჩეულ ადგილს და დაიწყეს ეკლესიის შენება და სენაკებისაც. ასე კარგად წარემატებოდა [საქმე] დღითი-დღე, რის გამოც გლოვის ღელედ გაუხდა იგი უხილავ და ხილულ მტრებს, ხოლო ცხონების ნავსაყუდელად — ქრისტეს სამწყსოებს: მეფეებს, მთავრებს და მართლმორწმუნე ქრისტიანების მთელ კრებულს. ღვთის მიერ ზევიდან გამორჩეული ხანცთის მსგავსად შატბერდიც, ასევე, აშენდა საღვთო შეწევნით და ამ ნეტარი ადამიანის ლოცვით, რომელმაც შეაერთა ეს ორი უდაბნო, — ერთობლივად შენაწევრებულები და ძმური სიყვარულის საფუძველზე შემტკიცებულები ვიდრე დროთა აღსასრულამდე.

ამის შემდეგ უხმო კურაპალატმა წმინდანს. როდესაც მივიდა იგი მის წინაშე, აუწყა კიდეც მას მთელი ეს ქრისტესმიერი კეთილგამარჯვებულობა მონასტრისა. მაშინ განაწესა მან მოსახერხებელი ადგილები შატბერდის საყანედ და მისცა ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო, მის სრულ ასაშენებლად.

26. იმ დროს ნეტარ გრიგოლს მოესურვა საბა იშხნელის გახსენება და აუწყა ყველაფერი, რაც ადრე მოხდა, ღვთისმსახურ კურაპალატს, მან კი, როდესაც მოისმინა, მეტად გაიხარა, და, სასწრაფოდ დაწერა რა წერილი, გააგზავნა კარგი ადამიანები და პატივისცემით მოუხმო საბას; მაგრამ მოვიდნენ გაგზავნილები და აცნობეს კურაპალატს, რომ არ ნებავდა იმ ღვთისკაცს აქ მოსვლა. მაშინ ბრძანა კურაპალატმა იშხნის

სათა საქმე, რამეთუ მახლობელად იყო ჟამსა მას. და ჰრქუა ნეტარსა მამასა გრიგოლს: [183] „განუგებელად ვქმენ, რამეთუ წიგნი არა მიწერად გეც. აწ ვითარ წეს არს, მიუწერე“. და თჳთ კუალად დაწერა წიგნი სხუაჲ და წიგნიცა მამისა გრიგოლისი წარსცა. ხოლო ნეტარი საბან დაემორჩილა მეორედ ბრძანებასა კურაპალატისასა და უფროჲს–ხოლო წიგნსა მამისასა.

და მივიდა მათდა სასურველი იგი კაცი ღმრთისაჲ მოსურნეთა მათ თანა. ხოლო კურაპალატი წინამიეგება და პატივით მოიკითხა, და მან კურთხევით ულოცა. და ვითარ დასხდეს, ჰრქუა კურაპალატმან წმიდასა მას: „ჯერ არს ჴელმწიფეთა მორჩილებაჲ, რაჲსათჳს არა მოხუედ პირველსა წოდებასა, წმიდაო მამაო?“

ხოლო მან ჰრქუა: „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ჴელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაჲ. შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტჱ ყოველთა დაბადებულთაჲ; შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფჱ ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნოჲ მეუფჱ და სრული ჰგიეს უცვალებელი, უჟამოჲ, დაუსაბამოჲ, დაუსრულებელი მეუფჱ ანგელოზთა და კაცთაჲ. და უფროჲს შენსა ჯერ არს სმენაჲ სიტყუათა მისთაჲ, რომელმანცა ბრძანა, ვითარმედ: „ვერვის ჴელ–ეწიფების მონებაჲ ორთა უფალთაჲ“, არამედ აწ სიტყჳთა ძმისა და მოძღურისა ჩემისა გრიგოლისითა მოვედ წინაშე შენსა“.

ხოლო კურაპალატმან ჰრქუა: „სამართალ არს [ვ] სიტყუაჲ შენი, წმიდაო, არამედ უმჯობეს არს განათლებაჲ სულთა მრავალთაჲ სასანთლესა ზედა განბრწყინვებითა შენ, ბრწყინვალისა სანთლისაჲთა, ვითარცა ჰრქუა ქრისტემან მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ, ვითარცა მცხინვარებაჲ მზისაჲ განანათლებს ცასა ქუეშე მყოფთა, „ეგრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“.

ამისა შემდგომად კურაპალატი მივიდა იშხანს და ნეტარნი იგი კაცნი მამაჲ გრიგოლ და მამაჲ საბა თანა. და ფრიად შეუყ-

გზების გაკეთება, რადგან იმჟამად იქვე ახლოს იმყოფებოდა, და უთხრა ნეტარ მამა გრიგოლს: „დაუფიქრებლად გავაკეთე, რომ არ შემოგთავაზე წერილის მიწერა. ახლა, როგორც წესია, მისწერე“. მანვე კვლავ დაწერა სხვა წერილი და მამა გრიგოლის წერილიც გააგზავნა. ნეტარი საბა დაემორჩილა კურაპალატის ხელმეორე ბრძანებას, უფრო მეტად კი — მამა გრიგოლის წერილს.

და მოვიდა მათთან, თავის მსურველებთან, ეს ღვთისთვის სასურველი კაცი. კურაპალატი წინ მიეგება მას და პატივისცემით მოიკითხა, მან კი კურთხევით დალოცა იგი. როდესაც დასხდნენ, უთხრა კურაპალატმა წმინდანს: „აუცილებელია ხელმწიფეთა მორჩილება. რისთვის არ მოხვედი პირველ ხმობაზე, წმინდა მამაო?“

მან კი მიუგო: „დიდებულო მეფეო, შენ ამქვეყნის ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე — ზეცისა, ამქვეყნისა და ქვესკნელებისა. შენ ამ ტომების მეფე ხარ, ქრისტე კი — ყველა დაბადებულისა. შენ ამ წარმავალ დროთა მეფე ხარ, ქრისტე კი — საუკუნო მეუფე. რომელიც მყოფობს სრული უცვლელი, უდროო, დაუსაბამო, დაუსრულებელი, მეუფე ანგელოზებისა და ადამიანებისა. ამიტომ, შენზე მეტად მისი სიტყვების სმენაა აუცილებელი, რომელმაც ბრძანა: „ვერავის ძალუძს ორი ბატონის მონობა“ [95], ხოლო ამჯერად ჩემი ძმისა და მოძღვრის გრიგოლის სიტყვით მოვედი შენს წინაშე“.

კურაპალატმა უთხრა: „სამართლიანია შენი სიტყვა, წმინდაო, თუმცა უმჯობესია, რომ განათლდეს მრავალი სული სასანთლეზე შენი, ბრწყინვალე სანთლის, გაბრწყინებით, როგორც უთხრა ეს ქრისტემ თავის მოწაფეებს: „ვით მცხუნვარება მზისა ანათებს ცის ქვეშ მყოფთ, ასევე ბრწყინავდეს თქვენი სინათლე ადამიანთა წინაშე, რომ ხედავდნენ ისინი თქვენს კარგ საქმეებს და ადიდებდნენ თქვენს ზეციერ მამას“ [96].

უარდა კურაპალატსა ადგილი იგი. არამედ რაჲსა-და განვაგრძობ სიტყუათა? ნებითა ღმრთისაჲთა იქმნა საბა ებისკოპოს იშხანსა ზედა, ნეტარისა ნერსე კათალიკოზისა აღშენებულსა კათოლიკე ეკლესიასა და საყდარსა მისსა, რომელი წელიწადთა მრავალთა დაქურივებულ იყო. აწ კუალად იქმნა სულიერი ქორწილი და მე-ორედ აღეშენა ამის ნეტარისა მიერ, ხოლო ჴორციელად მოღუ-აწებითა ღმრთისმსახურთა მათ მეფეთაჲთა.

და რაჟამს მამაჲ გრიგოლ სტუმრად მიიწიის იშხანს, ეპისკო-პოსმან საყდარსა იგი დასჯს და თჯთ თანადაჯდის, რამეთუ არა თავს-იდვის ურჩებაჲ ნეტარისა გრიგოლისი, ვინაჲთგან მოძღუარ და უზეშთაეს იგი იყო. [184]

და ესრეთ წარემართა იშხანი კეთილად ვიდრე აქამომდე და უკუნისამდე.

ამის შემდეგ კურაპალატი მივიდა იშხანში ამ ნეტარ კაცებთან — მამა გრიგოლთან და მამა საბასთან — ერთად. კურაპალატს ძალიან შეუყვარდა ის ადგილი. მაგრამ რაღ-ასთვის ვაგრძელებ სიტყვას? ღვთის ნებით საბა ეპისკოპოსი გახდა იშხნისა, ნეტარი ნერსე კათალიკოსის მიერ აშენებული კათოლიკე ეკლესიისა და მისი დასაბრძანებლისა, რაც მრავა-ლი წელი დაქვრივებული იყო. ახლა კვლავ აღსრულდა სული-ერი ქორწილი, მეორედ აშენდა რა იგი ამ ნეტარის მიერ და იმ ღვთისმსახურ მეფეთა ხორციელი ღვაწლით.

როდესაც კი მამა გრიგოლი სტუმრად მივიდოდა იშხანში, ეპისკოპოსი დასაბრძანებელზე მას დასვამდა , თვითონ კი გვერდით დაჯდებოდა, რადგან არ იკადრებდა ნეტარი გრიგოლის ურჩობას, იყო რა იგი[97] მოძღვარი და უფრო აღმატებული.

ასე კარგად წერამართა იშხანი დღემდე და უკუნისამდე.

კზ. არამედ აწ კუალად პირველსავე სიტყუასა მივიდეთ. რამ-ეთუ ნეტარი მამაჲ ჩუენი გრიგოლ პატივცემულ იყო ზეგარდამო ღმრთისა მიერ და ჟამთა მისთა არავინ ურჩ იყო სიტყუათა მისთა, უფროჲს-ხოლო ჴელმწიფენი მისჟამისანი. ხოლო იყო ჟამი, რომელსა ერთგან იყვნეს ძმანი იგი დიდებულნი, და ნეტარმან მან გულსმოდგინედ მოაჴსენა, რაჲთამცა ბრძანეს და იხილნეს მისნი იგი შენებულნი მონასტერნი და ყოველნი კლარჯეთისა უდაბნონი.

ხოლო მათ ისმინეს მოჴსენებაჲ წმიდისაჲ მის, რომელიცა წინაწარმოუძღუა მთავართა მათ. და პირველად მიიყვანნა შატბერდს, და ფრიად შეუყუარდა ადგილი იგი და შეწირეს მრავალი შესაწირავი ჴელმწიფეთა და აზნაურთა და ყოველმან ერმან.

27. მაგრამ ახლა თავდაპირველ სიტყვასთან მივიდეთ, რადგან ჩვენი ნეტარი მამა გრიგოლი პატივცემული იყო ზევიდან ღვთის მიერ და მის დროში არავინ ეურჩებოდა მის სიტყვებს, განსაკუთრებით — იმ დროის ხელმწიფეები. ხოლო იყო დრო, როდესაც ერთ ადგილას იყვნენ ის დიდებული ძმები და ნეტარმა გრიგოლმა გულმოდგინედ შეახსენა მათ, რომ მო-ბრძანებულიყვნენ და ენახათ მისი აშენებული მონასტრები და კლარჯეთის ყველა უდაბნო.

ყურად იღეს მათ წმინდანის შეხსენება, რომელიც წინ გაუძღვა მთავრებს და მიიყვანა ისინი პირველად შატბერდში. ძალიან შეუყვარდათ ეს ადგილი და შესწირეს მრავალი შეს-აწირავი ხელმწიფეებმაც, აზნაურებმაც და მთელმა შეკრე-ბილობამ.

მაშინ მოღუაწედ შატბერდისა გამოჩნდეს დიდებულნი აზნაურნი, და რაჟამს წარმოვიდეს შატბერდით ჴელმწიფენი იგი, და ნეტარი გრიგოლ წინაუძღოდა მათ, მაშინ მოვიდა ზაქარია ანჩელი ეპისკოპოსი, ღირსი და სასწაულთამოქმედი, და პატივით მოიკითხეს ჴელმწიფეთა მათ და თანაწარმოიყვანეს, და მოიწინეს ჯმერკს და ბერთას, წმიდისა ღმრთისმშობელისა ეკლესიათა, და დაბას, წმიდისა მოწამისა გიორგის ეკლესიასა. ხოლო დოლისყანაჲ მონასტრად უკუანაჲს იქმნა.

და მოილოცნეს [ვ] წმიდანი ადგილნი და ფრიადი განუყვეს განსაყოფელი, რამეთუ სამთა მათ ჴელმწიფეთა აქუნდეს დიდნი შესაწირავნი. და მიიღეს მადლი ლოცვითა ამათ ნეტართა მამათაჲთა.

და მოიწინეს ოპიზას. და განმხიარულდეს მადლითა ნათლისმცემელისაჲთა და ლოცვითა ნეტართა მათ კაცთაჲთა, და აჩუენეს მოღუაწებაჲ ძლიერი შესაწირავთა მიცემითა. და წარემართნეს ხანცთად. ხოლო ნეტარმან გრიგოლ წინამძღუარნი იგი მონასტერთანი თანაწარმოიყვანნა მისთანა და მოვიდეს ხანცთად, საყოფელსა დიდისა მოწამისა გიორგისა, და უმეტეს განკჳრდა გონებაჲ ჴელმწიფეთაჲ მათ, რაჟამს იხილნეს მოწაფენი ნეტარისა გრიგოლისნი უფიცხლესსა მონაზონებისა კანონსა, რამეთუ იყვნეს იგინი ვითარცა ზეცისა ანგელოზნი. და პირველად მტერთა ძლევისა საჭურველი მიიღეს ოხითა წმიდისა გიორგისითა და შემდგომად ლოცვითა მათ სანატრელთაჲთა ჴორცითა სულთა თანა განათლდეს, რამეთუ იხილეს ადგილიცა იგი ნაყოფთაგან უღუაწი, უფროჲსი მიანიჭეს კეთილთა მათგან შესაწირავი. და ჟამსა მასვე მოიწია წინამძღუარი მიძნაძოროჲსაჲ დიდი მამაჲ სანატრელი დავით, მაშენებელი მონასტერთაჲ, და მოწაფენი მისნი, ნეტარნი: ილარიონ, მამაჲ და მაშენებელი წყაროჲსთავისაჲ, რომელიცა კათალიკოზ-იქმნა მცხეთას, და

მაშინ შატბერდის მეურვედ გამოჩნდნენ დიდებული აზნაურები და როდესაც ეს ხელმწიფეები წამოვიდნენ შატბერდიდან, წინ მოუძღოდათ რა ნეტარი გრიგოლი, იმ დროს მოვიდა ზაქარია ანჩელი ეპისკოპოსი, ღირსი და სასწაულთმოქმედი. პატივისცემით მოიკითხეს იგი ხელმწიფეებმა და თან წამოიყვანეს. მივიდნენ ისინი „ჯმერკსა“ და „ბერთაში“, წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიებში, და „დაბაში“, წმინდა მოწამე გიორგის ეკლესიაში (დოლისყანა კი მონასტერი მოგვიანებით გახდა).

და მოილოცეს მათ წმინდა ადგილები და დიდი საბოძვარი გასცეს, რადგან იმ სამ ხელმწიფეს ბევრი რამ ჰქონდა შესაწირი, რის გამოც მიიღეს მადლი ამ ნეტარი მამების ლოცვით.

მოვიდნენ ოპიზაში, სადაც გამხიარულდნენ ნათლისმცემლის მადლით და ამ ნეტარი ადამიანების ლოცვით, ამასთან ძლიერი მეურვეობა გამოიჩინეს შესაწირავების გაცემით და გაემართნენ ხანცთისკენ. ხოლო ნეტარმა გრიგოლმა თან წამოიყვანა მონასტერთა წინამძღვრები და მოვიდნენ ისინი ხანცთაში, დიდმოწამე გიორგის სამყოფელში. კიდევ უფრო მეტად განუცვიფრდათ გონება ხელმწიფეებს, როდესაც უმკაცრეს სამონაზვნო კანონში ნახეს ნეტარი გრიგოლის მოწაფეები (რადგან იყვნენ ისინი როგორც ზეცის ანგელოზები), ამასთან, მიიღეს მათ მტერთა ძლევის საჭურველი უპირველესად წმინდა გიორგის მეოხებით, შემდეგ კი ამ სანატრელთა ლოცვით, განათლდნენ რა ხორცითაც სულთან ერთად. ხოლო როდესაც ისიც ნახეს, რომ ადგილი ნაყოფთაგან მოუმუშაკებელია, უფრო მეტი შესაწირავი მისცეს მას თავიანთი სიკეთეებიდან. ამ დროსვე მოვიდა მიძნაძოროს წინამძღვარი, მონასტერთა მაშენებელი, დიდი მამა სანატრელი დავითი და მისი მოწაფეები, ნეტარი ილარიონი, მამა და მაშენებელი წყაროსთავისა, რომელიც მცხეთაში კათალიკოსი გახდა, და

მამაჲ ზაქარია, მაშენებელი ბარეთელთისაჲ, წინამიგებებად ჴელმწიფეთა მათ. [185].

და ვითარცა იხილეს მფლობელთა მათ შეკრებაჲ იგი წმიდათა მამათაჲ, იყვნეს რაჲ მსგავს წმიდათა უჴორცოთა, განიხარეს, რამეთუ ესმოდეს მათგან მოძღურებანი საღმრთოჲსა მცნებისანი, რომლისათჳსცა თქუეს დიდთა მათ ჴელმწიფეთა: „წმიდანო მამანო, ვინაჲთგან გიხილენით თქუენ, დაგუავიწყდა, მებრ-თუ ქუეყანასა ზედა ვართ ჩუენ, არამედ ვჰგონებთ, ვითარმედ ზეცას წმიდათა ბანაკსა დამკჳდრებულ ვართ. რამეთუ თქუენ სულითა მარადის წინაშე ღმრთისა მდგომარე ხართ, და სადაცა არიან საყოფელნი თქუენნი, მუნცა არიან გულნი თქუენნი, არამედ იყავნ მეოხებაჲ თქუენი ჩუენზედა აქა და საუკუნესა“.

ხოლო წმიდათა მათ ფრიადითა ლოცვითა შეჯურნეს და აკურთხნეს ჴელმწიფენი იგი და ჰრქუეს: „ღმრთისმსახურნო მეფენო, ჭეშმარიტად გულნი თქუენნი ჴელთა შინა ღმრთისათა არიან, რომელმანცა ჩუენ, გლახაკთა, გულსა ნუგეშინის-სცა პირითა თქუენითა და კეთილთა თქუენთა უხუადმონიჭებითა. და თქუენ მოგცა უფალმან დანერგვაჲ, უკუდავთა ჴელმწიფეთა, წმიდათა ეკლესიათა[ჲ] მოკუდავითა მეფობითა და შეწევნაჲცა მათი უხილავად საჭურველ-ყო თქუენდა უფროჲს ხილულთა საჭურველთა და უმრავლეს ბევრთა მჴედართა. და უწყოდეთ, რამეთუ სულიერად განწყობილნი ლაშქარნი თქუენნი ესე წმიდანი უდაბნოთა მამანი, არიან ჴორციელად განწესებულთა ლაშქართა თქუენთა სიმტკიცენი და საჭურველნი ყოველთა მორწმუნეთა მეფეთანი [ვ] მწყობრთა შინა წყობისათა. თქუენ, უმეტესად ამისთჳს, რამეთუ მეფობისა სიმაღლესა თანა გაქუს თქუენ ქრისტჱს მიმსგავსებული სიმდაბლე და მოღუაწებაჲ წმიდათა ეკლესიათაჲ, და ნუგეშინისცემაჲ გლახაკთაჲ და ყოვლისა ერისა სიმართლით განკითხვაჲ სიტყჳსაებრ უფლისა, ვითარმედ: „ნუ თუალხუმით შჳკით, არამედ საშჳელი სამართალი საჳეთო“, რაჲთა ქუეყანისა ამის მეფობასა თანა მოიღოთ ზეცისაცა მეუფესა

ნეტარი მამა ზაქარია, ბარეთელთის მაშენებელი, რომ წინ მიგებებოდნენ ამ ხელმწიფეებს.

როდესაც ხელისუფლებმა ნახეს ეს შეკრება წმინდა მამებისა, რომლებიც წმინდა უხორცო [ანგელოზთა] მსგავსნი იყვნენ, გაიხარეს, რადგან ესმოდათ იმათგან საღვთო მცნების მოძღვრებანი, რის გამოც თქვეს ამ დიდმა ხელმწიფეებმა: „წმინდა მამებო, მას შემდეგ, რაც გიხილეთ თქვენ, თითქმის დაგვავიწყდა, მიწაზე ვართ თუ არა ჩვენ. პირიქით, გვგონია, რომ ზეცაში ვართ დამკვიდრებულნი, წმინდანთა ბანაკში, რადგან თქვენ სულით მარადის ღვთის წინაშე დგახართ და სადაც არის თქვენი სამყოფელი, იქ არის თქვენი გულიც, მაგრამ იყოს თქვენი მეოხება ჩვენზე აქ და საუკუნო [წიაღში]“.

წმინდანებმა კი მრავალი ლოცვით აღჭურვეს და აკურთხეს ხელმწიფეები და უთხრეს მათ: „ღვთისმსახურნო მეფენო, ჭეშმარიტად ღვთის ხელთაა თქვენი გულები, რომელმაც ნუგეში სცა ჩვენ, გლახაკთა, გულებს თქვენი სახის ხილვით და თქვენი სიკეთეების უხვად მონიჭებით, თქვენ კი, უკვდავ ხელმწიფეებს, განგიკუთვნათ წმინდა ეკლესიების დანერგვა მოკვდავი მეფობის გზით და მან უხილავად თქვენს საჭურველად გახადა მათი[98] შემწეობა, უმეტეს ხილული საჭურველისა და ბევრ მხედარზე უმრავალრიცხოვნესად. ეს იცოდეთ, რომ თქვენი ეს სულიერად დაწყობილი ლაშქრები — უდაბნოს წმინდა მამები — თქვენი ხორციელად განლაგებული ლაშქრების სიმტკიცენი არიან და საჭურველები ყველა მორწმუნე მეფისა ბრძოლების ფერხულში, განსაკუთრებით კი — თქვენი, იმის გამო, რომ მეფობის სიმაღლესთან ერთად გაქვთ თქვენ ქრისტეს მიმსგავსებული სიმდაბლე, წმინდა ეკლესიათა მეურვეობა, გლახაკთა ნუგეშისცემა და მთელი ხალხის სამართლიანი განსჯა, უფლის სიტყვისებრ: „პირფერობით ნუ სჯით, არამედ სამართლიანი მსჯავრი საჯეთო“[99], რომ ამქვეყნიურ მეფობასთან ერთად მიიღოთ ზეციურ

თანა მკჳდრობაჲ უოხჭნოჲ. და მოგეცინ ქრისტემან დიდებაჲ სრული ზეცისა და ქუეყანისაჲ, რაჲთა სიტკბოებით მოჴსენებაჲ ჩუენი არაოდეს უდებ-ჰყოთ, ვანისმყოფთა ამათთჳს. გულისჴმაყავთ, ვითარცა-იგი აბრაჰამ მამათმთავარმან და დავით წინაჲსწარმეტყუელმან სწორად მეჰომეთა მისცა ნატყუენავთა მათგან ნაწილი, ეგრეთვე კეთილთაგან თქუენთა გლახაკნი და ეკლესიანი ნაწილეულ არიედ მარადის; ვითარცა ლევიტელთათჳს უფალი ბრძანებს: „ნაწილი მათი მე ვარო“, ეგრეთცა გლახაკთა ნაწილი თქუენ მიერ განწესებულ არს, რაჲთა ნაცვალად უფალი მოიგოთ სასოდ ორისავე ცხორებისა, რამეთუ გლახაკთა არაჲ აქუს, თჳნიერ ღმრთისა სახიერისა მოწყალებაჲ“.

კ. ამისა შემდგომად მამისა გრიგოლისთჳს ზრახვა-ყვეს ეპისკოპოსისა მის თანა წმიდათა მამათა, რაჲთა დაადგინონ გრიგოლ არქიმანდრიტად ყოველთა კლარჯეთისა [186] უდაბნოთა ზედა და მოაჴსენეს ჴელმწიფეთა მათ. ხოლო მათ ფრიად განიხარეს და ერთობით დიდითა დაპატიჟებითა მოღუაწებისა მის საქმედ დაადგინეს. და მრავალთა წელიწადთა ვიდრე გარდაცვალებადმდე განაგებდა წმიდათა მათ მამათა წესსა კეთილად.

ხოლო ჴელმწიფეთა მათ მოილოცნეს მიძნაძოროჲ, წყაროჲსთავი, და ბარეთელთაჲ და ადგილნი მათნი, და მუნცა მისცეს შესაწირავი და მიიღეს მადლი წმიდათა მათ ეკლესიათაგან და ნეტართა მამათა ღირსთა და წმიდათა მოღუაწეთაგან. და ყოველთა მათ უდაბნოთა [სა]ზღვარნიცა გან-ვე-უთჳსნეს და წარსლვასა მათსა თანაწარიყვანეს ნეტარი გრიგოლ. და ადარნერსე ჴელმწიფემან ძჱ თჳსი გურგენ ნათლითა მისცა მას, და რამეთუ ბარგატ კურაპალატისა ძე, დავით კურაპალატი, ნეტარისა მამისა გრიგოლისვე აქუმული იყო, ორნი ესე ჴელმწიფენი: დავით

მეუფესთან დაუსრულებელი თანამკვიდრობაც. და მოგცეთ ქრისტემ სრული დიდება ზეცისა და მიწისა, რომ არასოდეს უგულებელყოთ სიტკბოებით გახსენება ჩვენი, აქ დავანებულთა. სცანით, რომ ისევე, როგორც აბრაამ მამამთავარმა და დავით წინასწარმეტყველმა ნაალაფართაგან თანასწორად მისცეს მეომრებს ნაწილი, ასევე თქვენი სიკეთეებისგან მარად წილისმქონენი არიან გლახაკები და ეკლესიები, და როგორც ლევიტელებისთვის ბრძანებს უფალი: „მათი ნაწილი მე ვარო“[100], ამგვარადვე გლახაკთა ნაწილი თქვენს მიერ არის განწესებული, რომ, სანაცვლოდ, უფალი მოიპოვოთ ორივე ცხოვრების იმედად, რადგან გლახაკებს არაფერი აქვთ გარდა კეთილი ღმერთის მოწყალებისა.

28. ამის შემდეგ წმინდა მამებმა ეპისკოპოსთან ერთად განიზრახეს, რომ არქიმანდრიტად დაედგინათ გრიგოლი კლარჯეთის ყველა უდაბნოზე და მოახსენეს ეს ხელმწიფეებს, მათ კი მეტად გაიხარეს და ერთობლივად, დიდი ძალდატანებით, ამ ღვაწლის შესასრულებლად დაადგინეს იგი, რომელიც მრავალი წელი, ვიდრე გარდაცვალებამდე, კარგად წარმართავდა წმინდა მამების წესს.

ხელმწიფეებმა მოილოცეს მიძნაძორო, წყაროსთავი, ბარეთელთა და მათი ადგილები. იქაც გასცეს მათ შესაწირავი, ამასთან მიიღეს მადლი წმინდა ეკლესიებისგან და ნეტარი მამებისგან — ღირსი და წმინდა მოღვაწეებისგან, ყველა იმ უდაბნოს კი საზღვრები განუყვეს და წასვლისას თან წაიყვანეს ნეტარი გრიგოლი, რომელსაც ადარნერსე ხელმწიფემ თავისი ძე გურგენი ნათლიობით მისცა და რადგან ბაგრატ კურაპალატის ძე დავით კურაპალატიც ასევე ნეტარი მამა გრიგოლის მირქმული[101] იყო, - ორივე ეს ხელმწიფე:

კურაპალატი და გურგენ კურაპალატი; რომლისათჳსცა გარდაცვალებისა ჟამსა ანდერძ-ეყო გურგენ კურაპალატსა, ვითარმედ: „ნათლისმამისა ჩემისა ძუალთა მახლობელად დამდევით, ფერჴთა თანა მისთა, და სხუათა მათ მამათა ძუალნი ჩემზედა დაუსუენენით“. რომელ ყოესცა ეგრეთ.

[ვ] არამედ შემდგომად გურგენ კურაპალატისა ძემან მისმან, აშოტ ერისთავთა-ერისთავმან, ხანცთას ახალი ეკლესიაჲ დაიწყო წადიერად და ურიცხჳ შესაწირავი გარდაჰმატა მას.

ხოლო იყო ჟამსა მას ხანცთას წინამძღურად მამაჲ არსენი, ნათესავით აზნაური. ამისითა განზრახვითა იქმნა დაწყებაჲ ახლისა მის და შუენიერისა ეკლესიისაჲ ფიცხელსა მას კლდესა ზედა, რომელიცა ფრიადითა შრომითა და ქვითკირითა მყარითა მრავალთა ჟამთა დაავაკეს და ესრეთ შეჰრაცხეს შემზადებაჲ ადგილისაჲ მის, ვითარმცა სრულიად აღეშენა. არამედ აკურთხენ ქრისტემან ამონა, სიბრძნით სრულიადმაშენებელი, და შემწენი ყოველნი, რომელთაგან კეთილად განემარჯუებოდა შენებაჲ ეკლესიისაჲ მის, ხოლო ქვაჲ და კირი ფრიად შორით მოაქუნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა, და ყოველი სასწორითა იწონებოდა, რამეთუ იყიდდეს მაშენებელნი იგი.

მას ჟამსა გარდაიცვალა ღმრთისმსახური იგი ჴელმწიფე, წმიდათა ეკლესიათა მაშენებელი და მონაგებთა შემწირველი და გლახაკთა მოღუაწე, და დაემარხა ხანცთას არსენის გზითა და ძისა მისისა მცხუედისაჲთა. არამედ მამაჲ არსენი და ჯიბრილისა ძმაჲ, სანატრელი იოვანე, ახლისა ეკლესიისა განმასრულებელი, ორნივე ესე ხანცთას [187] მამობასა შინა აღესრულნეს. ქრისტემან განსუენებაჲ მიეცინ მათ!

ხოლო გურგენ, ძმისწული აშოტისი, დიდი იგი ჴელმწიფჱ ფრიადთა ნათესავთაჲ, ღმრთისა მიერ დაჯდა ერისთავთა-ერისთავად. და მან განასრულა ეკლესიაჲ იგი ახალი ხანცთისაჲ და მისთანა ყოველთა დიდებულთა ჴელმწიფეთა და აზნაურთა და ყოვ-

დავით კურაპალატი და გურგენ კურაპალატი[102]. ამის გამო, გარდაცვალების დროს ანდერძი დაეტოვებინა გურგენ კურაპალატს: „ჩემი ნათლიმამის ძვლების ახლოს დამდეთ, მის ფეხებთან, და სხვა მამების ძვლები ჩემზე დაასვენეთ“, რაც გააკეთეს კიდეც ასე.

გურგენ კურაპალატის შემდეგ მისმა ძემ, აშოტ ერისთავთ-ერისთავმა, წადიერად დაიწყო ხანცთაში ახალი ეკლესია და ურიცხვი შესაწირავი ზეჭარბად მისცა მას.

ხოლო იმ დროს ხანცთაში წინამძღვრად იყო მამა არსენი, ჩამომავლობით აზნაური. მისი განზრახვით მოხდა დაწყება ახალი და მშვენიერი ეკლესიისა იმ უხეშ კლდეზე, რაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში დიდი შრომით და მყარი ქვითკირით დაავაკეს და იმ ადგილის დამუშავება ისე ჩათვალეს, თითქოს მთლიანად აშენებულიყო იგი; მაგრამ აკურთხოს ქრისტემ ამონა, სიბრძნით მთლიანად მაშენებელი, და ყველა მისი შემწე, რომლებისგანაც კარგად წარემართებოდა იმ ეკლესიის შენება, ხოლო ქვა და კირი ძალიან შორიდან ზურგით მოჰქონდათ ადამიანებს ძნელ გზებზე და ყველაფერი სასწორით იწონებოდა, რადგან ყიდულობდნენ მათ ის მშენებლები.

იმ დროს გარდაიცვალა ღვთისმსახური ხელმწიფე, წმინდა ეკლესიების მაშენებელი, ქონებათა შემწირველი და გლახაკთა მეურვე. იგი დაიმარხა ხანცთაში არსენისა და მისი ძის მცხვედას მეშვეობით[103]. ხოლო მამა არსენი და ჯიბრილის ძმა სანატრელი იოანე, ახალი ეკლესიის დამამთავრებელი, ორივენი ხანცთას აღესრულნენ წინამძღვრობაში. ქრისტემ მისცეს მათ მოსვენება!

ხოლო გურგენი, აშოტის ძმისწული, დიდი ხელმწიფე მრავალი ტომისა, ღვთის მიერ დაჯდა ერისთავთ-ერისთავად. მან დაასრულა ხანცთის ახალი ეკლესია და მასთან ერთად — ყველა დიდებულმა ხელმწიფემ, აზნაურმა და მთელმა

ელმან ერმან მორწმუნეთამან და უფალმან კეთილი მოუკლებელი მიეცინ ყოველთავე!

კთ. არამედ აწ კუალად ნეშტი იგი პირველი განვაახლოთ, რამეთუ რაჟამს-იგი განდიდნა სახელი ნეტარისა მამისა გრიგოლისი და მიიწია ქართლად და ესმა სანატრელსა დედასა მისსა დიდებულებაჲ ძისა თჳსისაჲ, რამეთუ იყო იგი ცოცხალ და მიწევნულ მოხუცებულებასა, მას ჟამსა განმხიარულდა სულითა და განძლიერდა ჴორცითა და მადლი შეწირა ქრისტჱსა, რომელმან კეთილი სახარებაჲ ასმინა ძისა მისისაჲ, ყოლადკეთილისაჲ, ჴორციელად საქადულისაჲ და სულისა მისისა გჳრგჳნოსანმყოფელისაჲ, რამეთუ იგი ხოლო მარტოჲ ესუა შვილად და თჳნიერ მისისა შობისა მამაკაცი არღარა იცოდა, არამედ სიწმიდით დადგრომილ იყო ლოცვასა შინა და მარხვასა და მარადის შიშსა ღმრთისასა. ხოლო გული მისი იგლოვდა ძისა თჳსისა განშორებისათჳს, არამედ სიხარულისა ჴმამან განამტკიცა, და მიცვალებულთა მისთათჳს რომელ გულისკლებაჲ [ვ] აქუნდა, დაავიწყდა ამით ნუგეშინისცემითა. და მწრაფლ-ხოლო წარმოვიდა საჴედრითა. და თანაიყვნეს მსახურნი მისნი, მამანი და დედანი.

და მოიწია დედისა ფებრონიაჲსსა მერეს. ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა და მწრაფლ-ხოლო აუწყა წიგნითა ნეტარსა გრიგოლს. ხოლო წმიდაჲ იგი, ძჱ უბიწოჲ, მალიად მივიდა დედისა წინაშე მორწმუნისა და თაყუანის-სცა მას და ქრისტჱსმიერი კურთხევაჲ და მშჳდობაჲ მისცა. ხოლო იგი სიხარულითა მოეგება ძესა თჳსსა, ამბორს-უყოფდა და ეტყოდა: „შვილო ჩემო ტკბილო, გიხილე, რომლისათჳსცა მსურდა, რამეთუ ხილვითა შენითა განმეშორნეს ყოველნი იგი პირველნი ტკივილნი“. და მრავალფერითა სიტყჳთა განგრძობილად იყო უბნობაჲ მათი.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ჰრქუა: „შენდობა იყავნ ჩემდა შენ მიერ, დედაო ჩემო, არამედ არა ნებითა ჩემითა განგე-

მორწმუნე ხალხმა. უფალმა მისცეს მოუკლებელი სიკეთე ყველას!

29. მაგრამ ახლა კვლავ ის ადრე დარჩენილი განვაახლოთ; როდესაც განდიდდა ნეტარი მამა გრიგოლის სახელი და მიაღწია ქართლს, გაიგო მისმა სანატრელმა დედამ თავისი ძის დიდებულება, იყო რა ცოცხალი და მოხუცებულობას მიწევნული. მაშინ გამხიარულდა იგი სულით, გაძლიერდა ხორცით და მადლობა შესწირა ქრისტეს, რომელმაც კარგი ამბავი გააგებინა თავისი ყოვლადკარგი ძისა, ხორციელად მისი სიამაყისა და მისი სულის გვირგვინოსანმყოფელისა, რადგან მხოლოდ ის ერთადერთი შვილი ჰყავდა და მისი შობის გარდა მამაკაცი არ იცოდა, არამედ სიწმინდით მყოფობდა ლოცვაში, მარხვასა და მარადის ღვთის შიშში, მისი გული კი გლოვობდა თავის ძესთან განშორებას. მაგრამ სიხარულის ხმამ განამტკიცა იგი, ამასთან, რაც მიცვალებულთა გამო მწუხარება ჰქონდა, ამ ნუგეშისცემით დაავიწყდა და სწრაფადვე წამოვიდა სახედრით, თან ახლდნენ რა თავისი მსახურები — კაცები და ქალები.

და მოვიდა იგი დედა ფებრონიასთან მერეში, ხოლო მან სიხარულით მიიღო და სწრაფადვე აცნობა წერილით ნეტარ გრიგოლს, ის კი, — უბიწო ძე, — მალევე მივიდა მორწმუნე დედის წინაშე, თაყვანი სცა მას, ქრისტესმიერი კურთხევა მისცა და მოიკითხა[104]. ისიც სიხარულით მოეგება თავის ძეს, ეამბორებოდა და ეუბნებოდა: „ჩემო ტკბილო შვილო, გნახე, რომელიც მსურდა, რადგან შენი ნახვით გამშორდა ყველა ის ადრინდელი ტკივილი“. და მრავალგვარი სიტყვით ხანგრძლივად იყო მათი საუბარი.

შორე, გარნა ნებასა ღმრთისასა ესრეთ სათნო-უჩნდა, ვითარცა აწ იქმნა. ხოლო შენ ცხორებასა ამას წუთსა არაჲ გაკლდა ჴორ-ციელად და სულიერად ვიდრე აქამომდე, არამედ აწ თანა-მაც მოღუაწებაჲ შენი სულიერად და ჴორციელად მცნებისაებრ უფლისა, რომელსა ბრძანებს პატივისათჳს მშობელთაჲსა; და სიბრძნესა წერილ არს: „შვილო, მიაგე მშობელთა შენთა, რაჲ-იგი მოგაგეს, რამეთუ თჳნიერ მათსა შენმცა არა იყავ“; და [188] კუალად იტყჳს: „საგმობელ არს, რომელმან შეურაცხ-ყოს მამაჲ თჳსი, და წყეულ არს უფლისაგან, რომელმან განაწყოს გული დედასა“, რამეთუ „კურთხევამან მამისამან და დედისამან დაამტ-კიცნის სახლნი უკუნისამდე, ხოლო წყევამან მათმან აღჰფხურნის სრულიად“. და პავლე ესრეთვე მრავალგზის ამცნებს მშობელთა პატივისცემასა ყოველთა, და აწ ესე სიტყუანი და მსგავსნი ამათნი გუესმიან ღმრთივსულიერთაგან წიგნთა სასწავლელად მორწმუ-ნეთა. ხოლო მე მადლითა ღმრთისაჲთა კურთხევაჲ შენი დავიმ-კჳდრო, ვითარცა შვილმან მშობლისამოყუარემან მორჩილებით, მსგავსად ძალისა, ნებისაებრ გულისა შენისა“.

და ფრიად ნუგეშინის-სცა მას ნეტარმან მან ღმრთისაკაცმან და აღაშენა ფრიად სანატრელი იგი მოხუცებული. და მან პირველად აკურთხა ღმერთი და მერმე ძე იგი თჳსი, და თანამოს-რულნი იგი სახლეულნი თჳსნი შეჰვედრნა და ჰრქუა: „ჩემდა მსგავსად ესენი გვედიან, შვილო, რომელთა გულსმოდგინედ მსახურებაჲ ჩემი თავს-იდვეს“. ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: „მო-ციქული იტყჳს: „უკუეთუ ვინმე თჳსთა და უფროჲს სახლეულთა არა იღუწიდეს, ეგევითარსა მას სარწმუნოებაჲ უვარ-უყოფიეს და არს იგი ურწმუნოთა უძჳრეს“. ხოლო მე თანა-მაც, დედაო, ბრძანებისა შენისა სმენაჲ და ზრუნვაჲ ყოველთა ამათ შენთა საუ-რავთაჲ“. და ვითარცა ჯერ იყო, დაიურვნა ყოველნი კეთილად.

მაშინ ნეტარმან [ვ] დედამან ფებრონია ჰრქუა მოხუცებულსა მას სარწმუნოსა: „ღმრთისმოყუარეო დედაო, შვილისა შენისა და ძმისა ჩემისა გრიგოლის თანა მე ვარ აწ შვილი შენი, და არა

ნეტარმა მამა გრიგოლმა უთხრა: „შენდობა იყოს ჩემდამი შენგან, ჩემო დედაო, თუმცა არა ჩემი ნებით გაგშორდი, არ-ამედ ღვთის ნებას ესათნოვა ასე, როგორც ამჟამად მოხდა, შენ კი ამ წუთიერ ცხოვრებაში ხორციელად და სულიერად არაფერი გაკლდა აქამდე, მაგრამ ახლა მმართებს შენი მეურ-ვეობა ხორციელად და სულიერად, უფლის მცნებისამებრ, რასაც ბრძანებს იგი მშობლების პატივსაცემად, და „სიბრძნე-ში“ წერია: „შვილო, მიუბოძე შენს მშობლებს, რაც მათ მოგი-ბოძეს, რადგან მათ გარეშე არც შენ იქნებოდი“[105]; და კიდევ, ამბობს: „დასაგმობია, ვინც შეურაცხყოფს თავის მამას, და უფლისგან დაწყევლილია, ვინც განარისხებს დედას“[106], რადგან „მამისა და დედის კურთხევა უკუნისამდე გაამყარებს [შვილთა] სახელებს, ხოლო მათი წყევლა სრულიად ამოძირკვავს მათ“[107]. პავლეც ასევე მრავალგზის ამცნებს ყველას მშობელთა პატივისცემას, და ახლა ეს სიტყვები და ამათი მსგავსნი გვესმის ღმრთივსულიერი წიგნებიდან მორწმუნეთა სასწავლად, მე კი, ღვთის მადლით მოვიპოვებ შენს კურთხევას, შენი გულის ნებისამებრ, როგორც შვილი „ძალისამებრ მშობლის მოყვარული მორჩილებით“.

დიდად ანუგეშა სანატრელი მოხუცებული ამ ნეტარმა ღვთისკაცმა და დიდად დამოძღვრა იგი, ხოლო მან თავდაპირ-ველად აკურთხა ღმერთი, შემდეგ კი — თავისი ძე, რომელსაც შეავედრა თავისთან მოსული სახლეული და უთხრა: „ჩემსავით გებარებოდეს ესენი, შვილო, რომლებმაც თავს იდეს ჩემი გულმოდგინედ მომსახურება“. წმინდანმა მიუგო: „მოციქული ამბობს: „თუ ვინმე არ მეურვეობს თავისიანებს და, გან-საკუთრებით, სახლეულს, ამგვარ ვინმეს სარწმუნოება უარუყ-ვია და არის იგი ურწმუნოებზე უარესი“[108], მე კი მმართებს, დედაო, შენი ბრძანების შესმენა და ზრუნვა შენს ამ ყველა სა-

დაგაკლდეს ჩუენგან მსახურებაჲ ყოლადვე, რამეთუ გხედავ შენ ვითარცა ანნა წინაჲსწარმეტყუელსა, რომელი არა განეშორებოდა ტაძრისაგან უფლისა დღე და ღამე ლოცვითა და მარხვითა. ეგრეცა შენ მცნებათა ღმრთისათა დამტკიცებული ჰგიე მარადის და ნაყოფისაგან საცნაურ არს სიკეთე ხისაჲ". ხოლო იგი სიხარულით ჰმადლობდა ქრისტესა და წმიდათა მათ.

მაშინ ნეტარმან გრიგოლ ჯერისაებრ განაგო ცხორებაჲ დედისა თჳსისაჲ და მისთანათაჲ მათ. და მსახურსა ვისმე დედაკაცსა დედისა თჳს[ისა]სა ქმარი უსუა, და ბასილი, მამაჲ ხანცთელი, მისგან იშვა, რომელიცა ფრიადთა წელიწადთა წინამძღურობდა ხანცთას კეთილად ვიდრე სიკუდიმდე და მისლვად[მდე] მისსა წინაშე უფლისა. არამედ შემდგომად ჟამთა მრავალთა სანატრელი მშობელი მამისა გრიგოლისი გარდაიცვალა მერეს შინა და მივიდა უფლისა, რომლისაცა სურდა.

ლ. ხოლო ნეტარმან გრიგოლი დაიღუაწა სული მისი და დიდებაჲ შეწირა ღმრთისა, რომელმანცა მიჰმადლა მას კეთილადმსახურებაჲ დედისა თჳსისაჲ და სრულიად კურთხევაჲ მისგან მიიღო.

არამედ თევდორე და ქრისტეფორე, სანატრელთა მათ დიდთა მამათა, რაჟამს იხილნეს განჭაბუკებულნი და სრულნი სიბრძნითა და ჰასაკითა [189] ღირსნი იგი ღმრთისანი არსენი და ეფრემ, გულპყრობილ-იქმნეს ფიცებისაგან მამისა გრიგოლისა,

პატრონებელზე". და როგორც შესაფერისი იყო, უპატრონა მან ყველას კარგად.

მაშინ ნეტარმა დედა ფებრონიამ უთხრა ამ პატიოსან მოხუცებულს: „ღვთისმოყვარე დედაო, შენს შვილთან და ჩემს ძმასთან, გრიგოლთან, ერთად ახლა მეც შენი შვილი ვარ და არანაირად არ მოგაკლდება ჩვენგან მომსახურება, რადგან გხედავ შენ როგორც ანა წინასწარმეტყველს, რომელიც არ შორდებოდა უფლის ტაძარს დღე და ღამე ლოცვითა და მარხვით. ასევე შენც ღვთის მცნებებში განმტკიცებული მყოფობ მუდამჟამს და ნაყოფისგან არის შესაცნობი ხის სიკარგე". ხოლო ის სიხარულით ჰმადლობდა ქრისტეს და მის წმინდანებს.

მაშინ ნეტარმა გრიგოლმა შესაფერისად წარმართა თავისი დედისა და მის მხლებელთა ცხოვრება. ვიღაც ქალს, თავისი დედის მსახურს, ქმარი მოუყვანა მან, და ბასილი, ხანცთელი მამასახლისი, მისგან იშვა, რომელიც ჯეროვნად წინამძღვრობდა ხანცთას მრავალი წელი, ვიდრე სიკვდილამდე და უფლის წინაშე მის მისვლამდე. დიდი დროის შემდეგ მამა გრიგოლის სანატრელი მშობელიც გარდაიცვალა მერეში და მივიდა უფალთან, რომლის სურვილიც ჰქონდა.

30. ხოლო ნეტარმა გრიგოლმა გააპატიოსნა მისი სული და დიდება შესწირა ღმერთს, რომელმაც მიჰმადლა მას თავისი დედის კეთილმსახურება, მიიღო რა მისგან[109] სრული კურთხევა.

თევდორემ და ქრისტეფორემ, ამ სანატრელმა დიდმა მამებმა, როდესაც ნახეს ღვთის ღირსი არსენი და ეფრემი მოწიფულები და სიბრძნითა და ასაკით სრულქმნილები, გული დადეს მამა გრიგოლის დაფიცებასთან დაკავშირებით,

რომლისადა აღეთქუა, ვიდრე ყრმათა მათ აღორძინებადმდე არა განეშორნენ მათგან.

მაშინ ფარულად ხანცთით ღამე გამოვიდეს, და ძმანიცა ვინმე თანაწარიყვანნეს, და კუალად წარვიდეს კერძოთა ქართლისათა, რამეთუ უფალი უწოდდა მათ უხილავად ბრძანებით და აღაშენებდა წმიდათა მათ მონასტერთა მათ მიერ ნეძუსა და კჳრიკეწმიდისასა, ხოლო ნეტარსა გრიგოლს ეუწყა უფლისა მიერ, რაჲთა არღარა დააბრკოლნეს გულსმოდგი[ნე]ბისა მისგან მათისა, არამედ თანამდგომ-ექმნეს კეთილსა მას საქმესა. და ძიება-ყო მამამან გრიგოლ და პოვნა იგინი სამცხეს და აბრალა ფარულად წარსლვაჲ მათი. ხოლო იგინი შეუვრდეს და ჰრქუეს: „შენდობა იყავნ ჩუენდა, წმიდაო მამაო, რამეთუ ამის მიზეზისათჳს იქმნა გამოსლვაჲ ჩუენი ხანცთით, რაჲთამცა ნაყოფი რაჲმე ნაწილ ჩუენდა ჩნდა ახლადშენებითა მონასტერთაჲთა“. ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: „კეთილ არს განზრახვაჲ ეგე თქუენი ნებითა ღმრთისაჲთა, არამედ მე თანამონაწილე მყავთ გულსმოდგინებასა მაგას, რამეთუ არა ვარ მახრწეველ კეთილისა“. და წარვიდეს ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა მათ უდაბნოთა, და პოვნეს ორნი ადგილნი სამონასტრედ და აღაშენეს [ვ] სენაკები ორგანვე. და უწოდეს თევდორწს ვანსა ნეძჳ, ხოლო ქრისტეფორწსსა - კჳრიკეწმიდაჲ, და მოწაფენი დაუტევნეს და და სამნივე ესე ნეტარნი: გრიგოლ და თევდორე და ქრისტეფორე, წარმოვიდეს ხანცთად ძმათა განყოფად ჯერისაებრ. და ვითარცა მოიწინეს კრებულსა მას თანა ღმრთისასათნოსა, და მოიკითხნეს იგინი, სიტყუად იწყო ნეტარმან გრიგოლ ძმათა მათ მიმართ: „ერნო ქრისტწსნო, ისმინეთ ჩემი! პირველად ჩუენ ზოგად მოვიწიენით უდაბნოსა ამას წმიდასა - მე, გლახაკი გრიგოლ, და საბან, იშხნისა ეპისკოპოსი, და თევდორე და ქრისტეფორწ, ოთხნი ესე - და მრავალთა წელიწადთა ვითარცა მოწაფენი მორჩილ იყვნეს ჩემდა, ვიდრე ჟამადმდე ღმრთისწოდებისა დიდნი ესე მამანი სათნონი ქრისტწსნი. და ოდეს ინება ქრისტემან, საბა ეპისკოპოს-ყო იშხ-

რომლისადმიც აღთქმული ჰქონდათ, რომ არ განშორდებოდნენ ამ ბავშვებს მათ გაზრდამდე.

მაშინ ფარულად გამოვიდნენ ხანცთიდან ღამე, ვიღაც ძმებიც თან წაიყვანეს და კვლავ წავიდნენ ქართლის მხარეს, რადგან უფალი უხმობდა მათ უხილავად ბრძანებით და აღაშენებდა ნეძვისა და კვირიკეწმინდის მონასტრებს მათ მიერ; ხოლო ნეტარ გრიგოლს ეუწყა უფლისგან, აღარ დაებრკოლებინა ისინი თავიანთი ამ გულმოდგინებისგან, არამედ თანამდგომი გახდომოდა მათ ამ კარგ საქმეში. და ძებნა ისინი გრიგოლმა, იპოვა სამცხეში და უსაყვედურა მათ ფარულად წასვლის გამო. ისინი შეუვრდნენ მას და უთხრეს: „შენდობა იყოს ჩვენზე, წმინდა მამაო, რადგან იმ მიზეზით მოხდა ხანცთიდან ჩვენი გამოსვლა, რომ მონასტერთა ახალშენებით რაღაც ნაყოფი გამოჩნდეს ჩვენს წილად“. წმინდანმა უთხრა: „კარგია თქვენი ეს განზრახვა, ღვთის ნებით, მაგრამ მეც თანამონაწილე გამხადეთ მაგ გულმოდგინებისა, რადგან არ ვარ კარგის ხელისშემშლელი“. და წავიდნენ ერთად სამცხისა და ქართლის მხარეთა უდაბნოებში, იპოვეს ორი ადგილი სამონასტრედ, ორივეგან ააშენეს სენაკები, უწოდეს თევდორეს სავანეს „ნეძვი“. ქრისტეფორესას — „კვირიკეწმინდა“, დატოვეს მოწაფეები და სამივე ეს ნეტარი: გრიგოლი, თევდორე და ქრისტეფორე, წამოვიდნენ ხანცთაში, წესისამებრ ძმების გასაყოფად. როდესაც მოვიდნენ ღვთისსათნო კრებულში და მოიკითხეს ისინი, დაიწყო სიტყვა ნეტარმა გრიგოლმა ძმების მიმართ: „ქრისტეს ერნო, ისმინეთ ჩემი! თავდაპირველად ამ წმინდა უდაბნოში ერთად მოვედით ოთხნი: მე, გლახაკი გრიგოლი, საბანი, იშხნის ეპისკოპოსი, თევდორე და ქრისტეფორე. ესენი მრავალი წელი მორჩილები იყვნენ ჩემდამი, როგორც მოწაფეები, სანამ ღმერთმა არ უხმო ქრისტესთვის სათნო ამ დიდ მამებს. როდესაც ინება ქრისტემ, საბა ეპისკოპოსი გახადა იშხანში. და წაიყვანა მან აქედან

ანსა ზედა, და წარიყვანნა მან ძმანი აქადთ. ხოლო აწ ქრისტე აღ-
აშენებს ორთა მათ მონასტერთა ფრიადკეთილთა ქართლს შინა
თევდორწს და ქრისტეფორწს მიერ. და ვითარცა-იგი ჴორციე-
ლად მშობელთა მონაგები შვილთა განუყვიან, ეგრეთვე ხანცთად
სულიერად მშობელი არს ჩუენ ყოველთად. დაღაცათუ ხატი მონა-
ზონებისად გუაქუნდა პირველ მოსლვისა, ხოლო კურთხევად ყო-
ველი აქა მოგჯღებიეს ჩუენ, და აწ მათ, შვილთა თჳსთა, ჴელითა
ჩემითა ძმათა უბოძებს, რადთა ახლადშენებასა მათსა უზრუნველ
იყვნენ [190] კეთილადგამოცდილთა მონაზონთა თანადგომითა,
და რადთა მტკიცედ ეგოს სულიერი სიყუარული ჩუენმიერ აღ-
შენებულთა მონასტერთად".

და ვითარცა სიტყუანი ესე დაასრულნა, უბრძანა შემოკრებად
ძმათა ყოველთად. და თევდორწს და ქრისტეფორწს განზრახვითა
გამოირჩინა მათ შორის ძმანი ათცამეტნი ხანცთისათჳს
საუხუცესოდ, და სხუანი ყოველნი სწორად განყვნა სამად
გუნდად, რამეთუ შატბერდისა ხუედრნი წარეგზავნნეს პირველ-
ვე შატბერდს. და უბრძანა აღთქუმისაებრ წილითგანყოფად.
ხოლო თევდორე და ქრისტეფორე განმხიარულდეს, არამედ მცი-
რედ მკსინვარებად იყო მათ შორის, რამეთუ ეფრემ და არსენი გრ-
იგოლის ნაწილსა იყვნეს, ხოლო ეფრემ მიანიჭა თევდორეს, და
არსენი თჳთ იჩინა, და სწორი მისი სხუად ძმად მისცა ქრისტე-
ფორეს, და დაჯერებულ-იქმნნეს იგინი სიხარულით.

ხოლო საკჳრველ ესე იყო ნეტრეულთა მათ სამწყსოთად,
რამეთუ არა აცილებდეს მწყემსთა მათ კეთილთა, ვითარმცა
სიტყუას-უგებდეს ადგილისათჳს, სადამცა ვისმე ჰმარჯუდა,
რამეთუ ვითარცა საცხოვარნი შეჰრაცხნეს თავნი თჳსნი მარადის
ქრისტწს თანა მყოფთა მათ ქრისტწსგამორჩეულთა. ესრეთ იყო
მორჩილებად ძლევითშემოსილთა მათ კაცთად.

და ნეტარნი იგი მამანი ჩუენნი წარუძღუეს ძმათა მათ და
კუალად მიიწინეს ნეძუს და კჳრიკეწმიდას. ხოლო მამად გრიგოლ
[ვ] თანამდგომ-ექმნა მათ ყოვლითა გულითა ახლადშენებასა მათ-

ძმები. მაგრამ ახლა ქრისტე აშენებს ორ მეტად კარგ მონას-
ტერს ქართლში თევდორეს და ქრისტეფორეს მიერ, და
როგორც ხორციელი მშობლები განუყოფენ ქონებას შვილებს,
ასევე ხანცთა სულიერი მშობელია ყველა ჩვენგანისა. თუმ-
ცაღა მონაზვნობის ხატი აქ მოსვლამდე გვქონდა, მაგრამ
ყველა კურთხევა აქ მიგვიღია ჩვენ. და ახლა ამათ, ჩემს
შვილებს, ჩემი ხელით ძმებს უბოძებს იგი, რომ თავიანთ
ახალშენებაში უზრუნველები იყვნენ ისინი კარგად გამოც-
დილი მონაზვნების თანადგომით, და რომ მტკიცედ
ნარჩუნდებოდეს ჩვენს მიერ აშენებული მონასტრების
სულიერი სიყვარული".

როდესაც დაასრულა მან ეს სიტყვები, ბრძანა ყველა ძმის
შემოკრება და თევდორესა და ქრისტეფორეს თათბირით გამო-
არჩია მათგან ცამეტი ძმა ხანცთისთვის საუფროსოდ[110], სხვა
ყველა კი თანაბრად გაყო სამ გუნდად (რადგან შატბერდის
წილი ადრევე გაეგზავნა შატბერდში) და ბრძანა,
აღთქმისამებრ, მათი წილითგანყოფა. თევდორე და
ქრისტეფორე გამხიარულდნენ, მაგრამ ცოტათი გულის-
წყრომა იყო მათ შორის, რადგან ეფრემი და არსენი
გრიგოლის ნაწილში იყვნენ. ამიტომ, ეფრემი თევდორეს
უბოძა მან, არსენი კი თვით განიკუთვნა და მისი თანაბარი
სხვა ძმა მისცა ქრისტეფორეს. ისინიც სიხარულით გულ-
დაჯერებულები გახდნენ.

ხოლო ამ ნეტარი სამწყსოების მხრივ საკვირველი ის იყო,
რომ ისინი არ ეკამათებოდნენ იმ კარგ მწყემსებს, რომ, ვთქ-
ვათ, შეპასუხებოდნენ მათ ადგილის გამო, თუ ვის სად ემარ-
ჯვებოდა, რადგან თავიანთი თავი ცხვრებისებრ შეერაცხათ
მათ, მარადის ქრისტესთან მყოფ ამ ქრისტეს რჩეულებს. ამგ-
ვარი იყო მორჩილება ამ ძლევაშემოსილი ადამიანებისა.

და წარუძღვნენ ეს ნეტარი მამები ძმებს და კვლავ მივიდ-
ნენ ნეძვსა და კვირიკეწმინდაში, ხოლო მამა გრიგოლი მთელი

სა, და აკურთხნეს ადგილნი წმიდათა ეკლესიათანი და დასხნეს საფუძველნი.

და ვითარცა წარმოვიდოდა ნეტარი გრიგოლ, მაშინ ძმათა მათ ყოველთა ტირილით ჰრქუეს: „ჰ წმიდაო ღმრთისაო, სიტყუაჲ იგი უფლისაჲ აწვე აღესრულების ჩუენზედა, ვითარმედ „ინატრიდეთ ხილვასა მოძღურისა თქუენისასა და ვერ იხილოთ!“, ჰ სიწმიდეთა შენთა მძლავრებაჲ, არამედ იყავნ ნებაჲ შენი და ნუ ნებაჲ ჩუენი. შენ, წმიდაო, დაღაცათუ საწუთროსა ამას განგჳშორენ, საუკუნოდ ნუ გნებავს განშორებაჲ ჩუენი და გაჴსოვთმცა მარადის წმიდათა შინა ლოცვათა შენთა, გამორჩეულო ღმრთისაო“.

და აკურთხნა ყოველნი იგი ნეტარმან მან ცრემლით და ნუგეშინის-სცა გულთა მათთა და შეჰვედრნა ქრისტესა და სანატრელთა მათ მამათა, და ჯუარი დასწერა წმიდათა მათ მონასტერთა. და წარმოსლვასა მისსა გზა-ჰყვეს მამაჲ თევდორე და მამაჲ ქრისტეფორე და ცრემლით ამბორს-უყვეს ურთიერთას. და იგინი თჳსთა მონასტერთა დაადგრეს, ხოლო ნეტარი მამაჲ ჩუენი მოვიდა ხანცთად.

ესე მცირედი ვაჴსენე სამთა მათ წმიდათა - თევდორწსი, და ქრისტეფორესი, და საბან იშხნელისა - ცხორებაჲ ამით, რამეთუ ფრიად განგრძობაჲ იქმნებოდა საქმეთა მათთა სრულიად აღწერითა ჭეშმარიტად.

ლა. რაჟამს ხანცთაჲ იქმნა სახელოვან მადლითა და სახარულევან სულიერთა შვილთაგან, მას ჟამსა მიძნაძოროჲთ ხანცთად მოვიდა დიდი მეუდაბნოე მიქელ მამაჲ, [191] რომელიცა დაემკჳდრა პარეხთა, რამეთუ იყო იგი მეგობარ ნეტარისა მამისა გრიგოლისა. და ეძიებდა მარტოდმყოფებასა და პოვა თავისა თჳსისა სამკჳდრებელი ბერთისა პარეხთა და განზრახვითა ამის

გულით თანამდგომი გაუხდა მათ მათეულ ახალშენებაში, აკურთხეს რა წმინდა ეკლესიათა ადგილები და დადეს საფუძვლები.

როდესაც უნდა წამოსულიყო ნეტარი გრიგოლი, ყველა ძმამ ტირილით უთხრა: „ჰოი ღვთის წმინდანო, უკვე სრულდება ჩვენზე უფლის სიტყვა: „ნატრობდეთ თქვენი მოძღვრის ნახვას და ვერ ნახოთ!“ [111] ჰოი, შენს სიწმინდეთა მძლავრებას![112] მაგრამ იყოს შენი ნება და არა ჩვენი ნება. თუმცაღა შენ, წმინდანო, ამ საწუთროში განგვიშორე, საუკუნოდ ნუ ინებებ ჩვენს განშორებას და გახსოვდეთ კიდეც მუდამჟამს შენს წმინდა ლოცვებში, ღვთისგან გამორჩეულო“.

და აკურთხა ნეტარმა ყველანი ცრემლით, ნუგეში სცა მათ გულებს, შეავედრა ისინი ქრისტეს და იმ სანატრელ მამებს, და ჯვარი გადასწერა წმინდა მონასტრებს. წამოსვლისას გამოაცილეს იგი მამა თევდორემ და მამა ქრისტეფორემ და ცრემლით ეამბორნენ ერთიმეორეს. ისინი თავიანთ მონასტრებში დარჩნენ, ხოლო ჩვენი ნეტარი მამა მოვიდა ხანცთაში.

ეს მცირედი ვახსენე ამ სამი წმინდანის — თევდორეს, ქრისტეფორეს და საბან იშხნელის — ცხოვრებაზე, რადგან ჭეშმარიტად ძალიან გაგრძელდებოდა [სიტყვა] მათი საქმეების სრული აღწერით.

31. როდესაც ხანცთა სახელოვანი გახდა მადლით და გახარებული სულიერ შვილთაგან, მაშინ მიძნაძოროდან ხანცთაში მოვიდა დიდი მეუდაბნოე მამა მიქელი[113], რომელიც დამკვიდრთა პარეხთა[114] შორის, რადგან იყო იგი ნეტარი მამა გრიგოლის მეგობარი და ეძიებდა მარტოდმყოფობას. იპოვა მან თავისი თავის სამკვიდრებელი ბერთის პარეხთა შორის, ამ

წმიდისაჲთა დაემკჳდრა მათ შინა და კეთილად წარემართა სათ-
ნოებათა მიმართ უფლისათა.

ხოლო მტერი ეშმაკი იგლოვდა ფრიად, რამეთუ ხედვიდა
წმიდათა კაცთა განმრავლებითა ჟამისა თჳსისა შემოკლებასა, და
მიქელისთჳს დიდსა საუცრებასა ცხადად და ფარულად ჰყოფდა,
რაჲთამცა განიოტა უდაბნოჲთ. ხოლო იგი ძლიერად მოითმენდა
გუემათა დაუძინებელისა მის მჴდომისათა და არცხუენდა თი-
თოსახეთა მათ მანქანებათა მისთა შეწევნითა ქრისტჱსითა და
წმიდათა ყოველთა ოხითა.

ლბ. ხოლო იყო ჟამსა რომელსამე მამაჲ მიქელ განშორებუ-
ლად სენაკსა თჳსსა, მდგომარე მაღალსა კლდესა ზედა მცირედ-
რაჲმე უდბად, და კადნიერ–იქმნა მისზედა ბელიარ და სიმაღლისა
მისგან გარდამოაგდო ქუე. ხოლო დაიცვა ყოლადუვნებელად ყო-
ველთა მეუფემან ქრისტემან ღმერთმან. არამედ მამაჲ მიქელ
შეზრუნდა მიმდემი სამარადისოსა მას ბრძოლასა და მოწაფე
თჳსი მიავლინა სულიერადმოძღურისა თჳსისა მამისა გრიგოლის-
სა და აუწყა ყოველი იგი განსაცდელი სულთა ბოროტთაჲ, და
წმიდაჲ იგი მწრაფლ მივიდა შეწევნად ძმისა თჳსისა ძალითა
უფლისაჲთა და განამჴნო იგი სულითა და ახლად ჴელითა თჳსითა
შექმნნა [ვ] ძლევისამომცემელნი ქრისტჱს ბეჭედნი, ორნი ჯუარ-
ნი ძელისანი, საფარველად მისა და განსაოტებელად მტერთა, და
იმიერ და ამიერ განშორებულად სენაკსა მისსა აღჰმართნა და
საზღვრად უჩინნა წმიდასა მას, ვითარმედ: „ორთა ამათ ჯუართა
ქრისტჱსთა შუა უშიშად იყავ შეწევნითა წმიდისა სამებისაჲთა
და ძალითა პატიოსნისა ჯუარისაჲთა. ხოლო უკუეთუ წარჰვლო,
კუალად განიცადო უძჳრესად პირველისა“.

და ლოცვა ყვეს, და წარმოვიდა სანატრელი გრიგოლ. ხოლო
ნეტარმან მიქელ პოვა სრულიად განსუენებაჲ, რამეთუ სიმდაბლ-

წმინდანის რჩევით მათში დამკვიდრდა და კარგად წარემატა
უფლის სათნოებათა მიმართ.

მაგრამ მტერი ეშმაკი მეტად გლოვობდა, რადგან
ხედავდა წმინდა ადამიანების გამრავლებით თავისი დროის
შემოკლებას. ამიტომ, იგი მიქელის მიმართ ცხადად და
ფარულად მოქმედებდა მრავალ მოჩვენებას, რომ გაექცია
უდაბნოდან, მაგრამ იგი ძლიერად ითმენდა ამ დაუძინებელი
მოწინააღმდეგის წყლულებს[115] და სამარცხვინოს ხდიდა მის
ნაირგვარ ხრიკებს ქრისტეს შეწევნით და ყველა წმინდანის
მეოხებით.

32. ხოლო რომელიღაც დროს იყო მამა მიქელი თავისი
სენაკისგან მოშორებით მაღალ კლდეზე ოდნავ რაღაც
მცონარედ და გაკადნიერდა მისდამი ბელიარი, გადმოაგდო
რა ქვევით იმ სიმაღლიდან, ხოლო სრულიად უვნებლად
დაიცვა იგი ყოველთა მეუფე ქრისტე ღმერთმა; მაგრამ მამა
მიქელი შეწუხდა ამ მიწყივ მარადიული ბრძოლის გამო,
თავისი მოწაფე გაგზავნა თავის სულიერ მოძღვართან, მამა
გრიგოლთან და აუწყა მას ბოროტი სულების ყველა
განსაცდელის შესახებ, წმინდანი კი სწრაფად მივიდა თავისი
ძმის შესაწევნელად უფლის ძალით, სულით გაამხნევა იგი,
თავისი ხელით ახლად[116] გააკეთა ძლევის მომცემი ქრისტეს
ბეჭდები, ხის ორი ჯვარი, მის დასაფარავად და მტრების
გასადევნად, აღმართა ისინი მისი სენაკის მოშორებით აქეთ-
იქიდან და საზღვრად განუჩინა წმინდანს, უთხრა რა:
„ქრისტეს ამ ორ ჯვარს შორის უშიშრად იყავი წმინდა
სამების შეწევნით და პატიოსანი ჯვრის ძალით, ხოლო თუ
გასცდები მათ, კვლავ ცთუნდები პირველზე უარესად“.

ითა დასცა მტერი ამპარტავანი, ვინაჲთგან არა სიმართლეთა თჳსთა ესვიდა, არამედ ღმრთისა მხოლოჲსა მინდობითა მოიყვანა მოძღუარი თჳსი და სულიერი ძმაჲ გრიგოლ შემწედ, ვითარცა წერილ არს: „ძმაჲ ძმისა შემწე, ვითარცა ზღუდე დაუცემელი“; სიტყჳსაებრ იაკობ მოციქულისა, ვითარმედ: „ერთი-ერთისათჳს ილოცევდით, რაჲთა განიკურნნეთ, რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ლოცვაჲ მართლისაჲ შეწევნად“. და ესრეთ მტერთა ზედა მძლე-ექმნა სრულიად მადლითა ღმრთისაჲთა.

ხოლო იყო ნეტარი მიქელ ქუეყანისა შავშეთისაჲ, სოფლისა ნორგიალისაჲ, და მიძნაძოროს მონაზონ-იქმნა, ხოლო პარეხთა შინა მრავალთა წელიწადთა ცხოვნდა და აღ-რაჲ-ესრულა, მუნვე დაემარხა. და აწ საფლავი მისი და დიდებულისა მამისა ბასილისი, რომელიცა შემდგომად მისსა პარეხთა მკჳდრ იყო, ერთგან არიან და კაცთა კურნებასა მიჰმადლებენ, რომელნი სარწმუნოებით მივლენან მათდა.[192]

ლგ. ხოლო ნეტარი მამაჲ ჩუენი გრიგოლ ორთა მათ მისთა შენებულთა მონასტერთა შინა, ხანცთას და შატბერდს, იქცეოდა მარადის და მოძღურებისა მისისა სწავლითა აღავსებდა გულსა მოწაფეთა თჳსთასა. რამეთუ არა-ხოლო-თუ წიგნთა საღმრთოთა ოდენ სიბრძნის-მეტყუელებდა ყოვლითკერძო, არამედ წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა საქადაგებელსა გალობასა სრულიად წელიწდისა განგებითა მოძღუარი იყო განუკითხველად, და ყოველთა დღესასწაულთა განგებაჲ კეთილად იცოდა, რამეთუ რომელიცა დაესწავა, დაუვიწყებელად აჴსოვდა, და აქუნდა ჴმისა ნებიერობაჲ და ტკბილობისა შუენიერებაჲ, ხოლო განსაკჳრვებელ იყო ჴსოვნებაჲ მისი, რამეთუ აწ არს ხანცთას ჴელ-

ილოცეს და წამოვიდა სანატრელი გრიგოლი, ხოლო ნეტარმა მიქელმა ჰპოვა სრული მოსვენება, რადგან თავმდაბლობით დასცა ამპარტავანი მტერი, ვინაიდან არათუ თავისი სიმართლე ეიმედებოდა, არამედ მარტოოდენ ღმერთზე მინდობით მოიყვანა მან თავისი მოძღვარი და სულიერი ძმა გრიგოლი შემწედ, როგორც დაწერილია: „ძმა — ძმის შემწე, როგორც დაუცემელი გალავანი“[117], იაკობ მოციქულის სიტყვისამებრ: „ერთიმეორისთვის ილოცეთ, რომ განიკურნოთ, რადგან მეტად შემძლეა მართლის ლოცვა შესაწევნელად“[118]. აი ასე, მთლიანად გაიმარჯვა მან მტრებზე ღვთის მადლით.

ხოლო იყო ნეტარი მიქელი შავშეთის ქვეყნიდან, სოფელ ნორგიალიდან. მიძნაძოროში მონაზონი გახდა იგი, ხოლო პარეხთა შორის მრავალი წელი ცხოვრობდა და როდესაც აღესრულა, იქვე დაიმარხა, ამჟამად კი მისი საფლავი და [საფლავი] დიდებული მამა ბასილისა, რომელიც მის შემდეგ პარეხთა მკვიდრი იყო, ერთად არის და ადამიანებს კურნებას მიჰმადლებს, რომლებიც სარწმუნოებით მიდიან მათთან.

33. ნეტარი მამა გრიგოლი მუდამჟამს მიმოდიოდა ორ თავის აშენებულ მონასტერს — ხანცთასა და შატბერდს — შორის და თავისი მოძღვრების სწავლებით ავსებდა მოწაფეთა გულებს, რადგან არათუ მარტოოდენ საღვთო წიგნებს სიბრძნისმეტყველებდა იგი ყოვლითურთ, არამედ წმინდა კათოლიკე ეკლესიის საქადაგებელი გალობის მოძღვარიც იყო უზადოდ, მთლიანად წელიწადის განგებით, და მან ყველა დღესასწაულის განგება კარგად იცოდა, რადგან რაც დაესწავლა, დაუვიწყებლად ახსოვდა, და ჰქონდა ხმის ნებიერება და ტკბილობის მშვენიერება[119], მისი მეხსიერება კი გასაკვირი იყო, რადგან ამჟამად ხანცთაში არის მისი ხელით დაწერილი,

ითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოჲ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიადკეთილ არიან. ხოლო ახლისა შჯულისა დაბეჭდულნი წიგნნი ზეპირით იცოდნა და მრავალნი წიგნნი ძუელისაცა შჯულისანი. არამედ დაუბეჭდველნი წმიდათა მოძღუართა თქუმულნი აურაცხელნი წარმოითქუმოდეს უწიგნოდ ენითა მისითა უმეტეს ზეშთა ბუნებისა ჩუენისა, რამეთუ ძალი ღმრთისაჲ სადაცა დაადგრეს, ყოველსავე აღასრულებს უფროჲს ბუნებისა და ცნობისა კაცობრივისა. და ადამისდაცა პირველ მცნებისა შეურაცხებადმდე ყოველი დამორჩილებულ იყო. ხოლო ამას მცნებათა უბიწოდ დამარხვითა ყოველივე კეთილად განემარჯუებოდა. [ვ] და ამის მიერ არა ხოლო თუ მონასტერნი მისნი განმტკიცნებოდეს, არამედ სიბრძნისა მისისა მდინარეთაგან ირწყვოდეს ყოველნი უდაბნონი კლარჯეთისანი. და მრავალგზის მოვიდიან წმიდანი იგი მამანი, წინამძღუარნი მონასტერთანი, მრავალთათჳს მიზეზთა და სიბრძნითა მისითა პოვიან განსუენებაჲ ყოველსა ზედა საქმესა.

ლდ. ხოლო ყოველთა დღეთა ამის ნეტარისათა წმიდათა მათ მამათა მონასტრებისათა აღებაჲ ამას წინაშე გარდაიჴადიან ხანცთას და პირმარხვად მიიღიან კანონი დიდთა მარხვათათჳს და წარვიდიან.

და იყო ოდესმე ერთად შეკრებაჲ ამათ ნეტართაჲ წმიდისა ამის წინაშე და თჳნიერ ოპიზისა წინამძღურისა ყოველთა მათ ასწავებდა კეთილთა მათ სიტყუათა სულისა ცხორებისათა მამაჲ გრიგოლ.,ხოლო ოპიზელი მამაჲ შეწუხნა და ჰრქუა მას: „წმიდაო მამაო, რაჲსათჳს თანაწარმჴდი სულიერთა სიტყუათა შენთა?“ ხოლო მან ჰრქუა: „მამაო პატიოსანო, არათუ [შეურ]აცხებისათჳს თანაწარგ[ჴე]დ შენ, არამედ ამის მიზეზისათჳს, რამეთუ ამათ ყოველთა უდაბნოთა უწინარეს აღშენებულ არს ოპიზაჲ, და არა განვაგებ ოპიზასა ზედა, არცა წინამძღუარ[სა] მისსა ზედა“.

სულიწმინდის მიერ, „საწელიწდო იადგარი“, რომლის სიტყვებიც მეტად კარგია[120]; ხოლო „ახალი სჯულის“[121] კანონიკური წიგნები ზეპირად იცოდა და, აგრეთვე, მრავალი წიგნი „ძველი სჯულისაც“[122]. გარდა ამისა, არაკანონიკურები, წმინდა მოძღვართა თქმულნი, აურაცხელი წარმოითქმოდა მისი ენით უწიგნოდ ჩვენს ბუნებაზე უზესთაესად, რადგან სადაც ღვთის ძალა დაივანებს, ყველაფერს აღასრულებს იგი ადამიანურ ბუნებასა და ცნობიერებაზე აღმატებულად. ადამისადმიც, მცნების უგულებელყოფის უწინარეს, ყველაფერი დამორჩილებული იყო, ამას კი მცნებათა უბიწოდ დაცვით ყოველივე კარგად უმარჯვებდა და მისგან არა მხოლოდ მისი მონასტრები განმტკიცდებოდნენ, არამედ მისი სიბრძნის მდინარეთაგან ირწყვებოდა კლარჯეთის ყველა უდაბნო. მრავალგზის მოდიოდნენ წმინდა მამები, მონასტრების წინამძღვრები, მრავალგვარი მიზეზით და მისი სიბრძნით პოულობდნენ მოსვენებას ყველა საქმის მხრივ.

34. ხოლო ამ ნეტარის მთელ სიცოცხლეში მონასტრების წმინდა მამები აღებას[123] მის წინაშე იხდიდნენ ხანცთაში, პირმარხვის[124] დროს კი იღებდნენ კანონს დიდმარხვისთვის და მიდიოდნენ.

იყო ერთხელ ამ ნეტართა ერთად შეკრება წმინდანის წინაშე და მამა გრიგოლი ოპიზის წინამძღვრის გარდა ყველა მათგანს ასწავლიდა სულის საცხონებელ კარგ სიტყვებს, ოპიზელი მამასახლისი კი შეწუხდა და უთხრა მას: „წმინდა მამაო, რისთვის განმარიდებ შენს სულიერ სიტყვებს?“ ხოლო მან უთხრა: „მამაო პატიოსანო, არათუ უგულებელყოფის გამო გაგერიდე შენ, არამედ იმ მიზეზით, რომ ყველა ამ უდაბნოზე უწინარეს ოპიზაა აშენებული და არ განვაგებ ოპიზაზე, არც მის წინამძღვარზე“; მაგრამ მან თავმდაბლობით დაარწმუნა

ხოლო მან სიმდაბლით დაარწმუნა წმიდასა მას თავისა თჳსისა სწავლაჲ სწორად სხუათა მათ მამათა, [რამეთუ] ესრეთ აქუნდა ყოველთა, ვითარცა [წმიდათა მოციქულთაგანი] შუამდგომელად [ღმრთისა] და კაცთა.

[193] **ლე.** არამედ მრავალგზის მისჯამისა ჴელმწიფეთა განიზრახეს დამტკიცებით ამის ნეტარისა ეპისკოპოსობაჲ და ფრიადითა შრომითა აწყინეს, რაჲთამცა დაემორჩილა. ხოლო მან არა ინება დიდებაჲ ესევითარი და გულისჴმა-უყო მათ განმარტებულად, ვითარმედ: „მსოფლიოთა მათ წმიდათა საყდართა არა უმრწემეს არიან წმიდანი უდაბნოთა ეკლესიანი, საყდარნი ღმრთისა დიდებისანი. დაღაცათუ მღდელობაჲ ეპისკოპოსთაგან მიეცემის ყოველთა მღდელთა, არამედ პირველთა წმიდათა მამათა მეუდაბნოეთაგან ესრეთ ვისწავეთ, ვითარმედ: რომელი მადლი მიეცემინ კაცსა ჟამსა ნათლისღებისასა, იგივე მადლი ვიხილეთ, ოდეს ხატი მონაზონებისაჲ მიაქუნ ახლადმონაზონსა, და ეგრეთვე - წმიდისა სქემისა მიღებასა. და სხუაჲცა წამებაჲ ფრიად არს, არამედ ვითარცა-იგი ისრაჱლსა შორის ქალაქნი განეწესნეს შესავედრებელად კაცისმკლველთა, ეგრეთვე წმიდანი უდაბნონი ყოველთა შესავედრებელ არიან, რამეთუ უმანკოთა მფარველნია ვნებისაგან მსოფლიოჲსა და ვნებულთა ნავთსადგურნი არიან სასოვებით სინანულისა მიცემითა და შჯულისდებითა. და კმა არს ჩემდა ორკერძოვე დიდებად, უკუეთუ შე-ვითა-უძლო მოღუაწებაჲ წმიდათა ამათ უდაბნოთაჲ ჯერისაებრ, რომელთა შინა პოვეს კაცთა თავისუფლებაჲ, ვითარცა თქუა პავლე: „აზნაურებითა მით, რომლითა ქრისტემან ჩუენ განგუააზნაურნა“, და „სადა სული უფლისაჲ, მუნ აზნაურებაჲ“. რამეთუ [ვ] მოეცა მათ ჴელმწიფებაჲ „შვილ ღმრთისა ყოფად“ სიტყჳსაებრ იოვანე მახარებელისა“.

წმინდანი, რომ მისთვისაც ესწავლებინა სხვა მამათა თანაბრად, რადგან ისე ჰყავდა იგი ყველას, როგორც წმინდა მოციქულთაგანი, შუამდგომელი ღმერთსა და ადამიანებს შორის.

35. მაგრამ იმ დროის ხელმწიფეებმა მრავალგზის მტკიცედ განიზრახეს ამ ნეტარის ეპისკოპოსობა და მეტისმეტი გარჯილობით შეაწუხეს იგი, რომ დამორჩილებოდა მათ, მაგრამ მან არ ინება ამგვარი დიდება და ცხადად გააგებინა ყველას, რომ „მსოფლიო წმინდა საყდრებზე უმცროსები არ არიან უდაბნოთა წმინდა ეკლესიები — ღვთის დიდების საყდრები. თუმცაღა მღვდლობა ეპისკოპოსებისგან ეძლევა ყველა მღვდელს, მაგრამ პირველმეუდაბნოე წმინდა მამებისგან ასე ვისწავლეთ: „რა მადლიც ეძლევა ადამიანს ნათლისღების დროს, იგივე მადლი ვნახეთ, როდესაც მონაზვნობის ხატი მიჰქონდა ახალმონაზონს და ამგვარადვე [ვნახეთ] წმინდა სქემის მიღებისას“. ამის სხვა მოწმობანიც ბევრია, მაგრამ ისევე როგორც ისრაელის შიგნით ქალაქები იქნა განლაგებული კაცისმკვლელთა თავშესაფრად, ამგვარადვე წმინდა უდაბნოებიც ყველას თავშესაფარია, რადგან უმანკოთა მფარველნი არიან ისინი სოფლის ვნებებისგან და ვნებულთა ნავსაყუდელნიც იმედიანი სინანულის მიცემითა და რჯულმდებლობით. საკმარისია ჩემთვის ორივემხრივ სადიდებლად, თუკი როგორღაც შევძლებ ამ უდაბნოთა შესაფერისად მეურვეობას, რომლებშიც ადამიანებმა თავისუფლება იპოვეს, როგორც თქვა პავლემ: „იმ თავისუფლებით, რითაც გაგვათავისუფლა ჩვენ ქრისტემ“[125], და: „სადაც არის უფლის სული, იქ არის თავისუფლება“[126], რადგან მიეცათ მათ უფლებამოსილება „ღვთის შვილად გახდომისა“,[127] იოანე მახარებლის სიტყვისებრ“.

და ესევითარითა სიტყჳთა აღეშენნეს ჴელმწიფენი იგი და ადიდებდეს ქრისტესა.

ლვ. ამისსა შემდგომად იხილა ნეტარმან მამამან გრიგოლ აღორძინებული ერი საღმრთოჲ შატბერდს და წმიდაჲ ეკლესიაჲ პირველი განსრულებად და კურთხევად. მაშინ სიხარულითა აღივსო, რამეთუ მოჰმადლა უფალმან გულისაებრ მისისა საქმე იგი კეთილი მადლითა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, რომლისაცა სახელსა ზედა აღეშენა წმიდაჲ იგი მონასტერი მარადის დიდებად დედისა ღმრთისა, შეუწევნელთა შემწისა და ყოლადვე მფარველისა მოსავთა და მაქებელთა მისთაჲსა, აწ და უკუნისამდე, რომელიცა უფროჲს ყოველთა, ჴელმწიფებისა თჳსისა დაბადებულთა, გამოუთქუმელად ადიდა ძემან მისმან და ყოველთა ღმერთმან, რამეთუ აწვე დაამკჳდრა სუფევასა წარუვალსა, სულითა და ჴორცითა შეერთებული წინაშე დიდებისა ღმრთეებისა თჳსისა, ვითარცა არს პირმშოჲ ყოველთა წმიდათაჲ, ნათელი იგი ქრისტეანობისაჲ, და მეოხებითა მისითა და ყოველთა წმიდათაჲთა მაცხოვნებს ჩუენ უფალი, ყოველთა მორწმუნეთა მისთა, უფროჲს–ხოლო რჩეულთა მისთა ადიდებს, ნებისა წმიდისა მისისა აღმასრულებელთა, რამეთუ იტყჳს: „მადიდებელნი ჩემნი ვადიდნე“ და „მივა[194]ნიჭო ასი წილი აქავე და ცხორებაჲ საუკუნოჲ დაუმკჳდრო“.

ხოლო ესე ბრძანებაჲ უტყუველი აღუსრულა ქრისტემან ნეტარსა გრიგოლს. წარუვალისა დიდებისა პატივად მიჰმადლა შენებაჲ დიდებულთა უდაბნოთაჲ და ჴორცთა შინა ყოფასა მისსა შიში და ზარი სიწმიდეთა მისთაჲ მიჰფინა მეფეთა და ყოველსა ერსა ზედა, ვითარცა მძლავრებაჲ წინააღუდგომელისა ჴელმწიფისაჲ. ხოლო შემდგომად სოფლითჳმნისა უმეტეს ცნობათა ჩუენთა ადიდა ცათა შინა ანგელოზთა თანა, და აწ ქუეყანასა

ამგვარი სიტყვით დაიმოძღვრნენ ხელმწიფეები და ადიდებდნენ ისინი ქრისტეს.

36. ამის შემდეგ ნახა ნეტარმა მამა გრიგოლმა გაზრდილი საღვთო კრებული შატბერდში და პირველი წმინდა ეკლესია დასრულებისა და კურთხევის პირზე. მაშინ სიხარულით აივსო იგი, რადგან მოჰმადლა მას უფალმა, მისი გულისამებრ, ეს კარგი საქმე წმინდა ღვთისმშობლის მადლითა და მეოხებით, რომლის სახელზეც აშენდა ის წმინდა მონასტერი, მარადსადიდებლად ღვთის დედისა, — შეუწევნელთა შემწისა და მის მოიმედეთა და მაქებელთა ყოვლად მფარველისა, აწ და უკუნისამდე, რომელიც მისმა ძემ და ყოველთა ღმერთმა გამოუთქმელად ადიდა თავისი ხელმწიფობის ყველა ქმნილებაზე მეტად[128], რადგან უკვე დაამკვიდრა იგი წარუვალ სუფევაში, სულითა და ხორცით შეერთებული[129], თავისი ღმრთეების დიდების წინაშე, რამდენადაც ის არის ყველა წმინდანის პირმშო[130] და სინათლე ქრისტიანობისა. მისი და ყველა წმინდანის მეოხებით გვაცხოვნებს უფალი ჩვენ, თავის ყველა მორწმუნეს, განსაკუთრებით კი თავის რჩეულებს ადიდებს იგი, აღმსრულებლებს მისი წმინდა ნებისა, რადგან ამბობს: „ჩემს მადიდებლებს ვადიდებ“[131], და: „მივანიჭებ ას წილს აქვე და საუკუნო ცხოვრებას ვუმემკვიდრებ“[132].

ეს უტყუარი ბრძანება აღუსრულა ქრისტემ ნეტარ გრიგოლს: წარუვალი დიდების პატივად მიჰმადლა მას დიდებული უდაბნოების შენება და მისი ხორცში ყოფნის დროსვე მის სიწმინდეთა შიში და ზარი მიჰფინა მეფეებზე და მთელ ხალხზე, როგორც მძლავრობა წინდაუდგომელი ხელმწიფისა, ხოლო სოფლიდან განშორების შემდეგ ჩვენს შემეცნებაზე აღმატებულად ადიდა იგი ცათა შინა ანგელოზებთან ერთად და ახლა

ზედა პირითა მოწაფეთა და მაქებელთა მისთაჲთა იდიდების მარადის.

ლზ. ხოლო სანატრელი დედაჲ ფებრონია ზრუნვასა შინა იყო, რამეთუ მწყემსად მათდა ჩინებული სარწმუნოჲ მღდელი, მამისა გრიგოლის მივლენილი, გარდაიცვალა. არამედ ეუწყა ღმრთისაგან, ვითარმედ უმჯობეს მისსა აწ იყოს სხუაჲ მღდელი მწყსად თქუენდაო. და წიგნი მიწერა ნეტარისა გრიგოლისსა და ითხოვდა მღდელსა ღირსსა. მაშინ წმიდამან მან ჰრქუა წმიდასა მატოს: „შვილო საყუარელო, მჴედარი ვიდრე წყობასა არა შესრულ არნ, ძლევაჲ მისი სიმრავლესა შინა ლაშქართასა არა საცნაურ არნ, არცა მეფეთაგან ნიჭი მიიღის, ხოლო ვინაჲთგან ახოვნად გამოჩნდის, ძალი ბრძოლისა მისისაჲ ყოველთა ზედა საცნაურ-იქმნის [ვ] და ნიჭი დიდძალი მიანიჭის მას სამართლად მეფემან. და შენცა იქმენ მორჩილ სიტყუათა ჩემთა, ვითარცა ყოლადვე, თავს-იდევ ყოლადვე წმიდისა ღმრთისმშობელისა ეკლესიასა მერეს მღდელობაჲ ვითარცა ძლევითშემოსილმან მჴედარმან უფლისამან. და ვესავ ქრისტესა, კეთილი ღუაწლი მოიღუაწო“. ხოლო იგი ცრემლით შეუვრდა და ჰრქუა მას ლმობიერად: „შემინდვე მამაო, რამეთუ უწყის სიწმიდემან შენმან, არაოდეს ურჩქმნილ ვარ ბრძანებასა შენსა, ხოლო აწ ვერ ძალ-მიც ამისსა ყოფად, რომელიცა მიბრძანე“. და წმიდამან მან ჰრქუა: „შემძლებელ ხარ ძალითა უფლისაჲთა. აწ კეთილთა სათნოებათა შენთა თანა მოიპოვე სრული მორჩილებაჲ; ჯუარითა ქრისტჱსითა ჯუარი დამიწერია, რაჲთა მიზეზი ყოველივე დაჰჴსნა“.

და ვითარცა იხილა მოძღურისა თჳსისა უცილობელი ბრძანებაჲ, თჳნიერ ნებისა თჳსისა დაემორჩილა სიტყუათა მისთა და იქმნა მღდელ მონასტერსა დედათასა ნებითა ღმრთისაჲთა სანატრელი და სასწაულთამოქმედი მატოი, დიდი და დიდებული

მიწაზე მის მოწაფეთა და მაქებელთა პირით იდიდება მარადის.

37. ხოლო სანატრელი დედა ფებრონია წუხილში იყო, რადგან მათ მწყემსად ხმობილი სარწმუნო მღვდელი, მამა გრიგოლისგან გაგზავნილი, გარდაიცვალა, მაგრამ ეუწყა მას ღვთისგან, რომ „იმაზე უკეთესი სხვა მღვდელი იქნება ახლა თქვენს მწყემსადო“; წერილი მისწერა მან ნეტარ გრიგოლს და ითხოვდა ღირსეულ მღვდელს. მაშინ წმინდანმა უთხრა წმინდა მატოს: „შვილო საყვარელო, მხედარი სანამ ბრძოლაში არ შესულა, მისი მძლეობა ლაშქრის სიმრავლეში შესაცნობი არ არის და არც მეფეებისგან იღებს ჯილდოს, ხოლო როდესაც იგი ახოვანი გამოჩნდება, მისი ბრძოლის ძალა ყველაზე გაცხადდება და სამართლიანად მიანიჭებს მას მეფე დიდძალ საბოძვარს. შენც ასევე, გახდი მორჩილი ჩემი სიტყვებისა, როგორც ყოველთვის, ყოვლითურთ იტვირთე მერეში, წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიაში, მღვდლობა როგორც უფლის ძლევაშემოსილმა მხედარმა და ვსასოებ ქრისტეს, რომ „კარგ ასპარეზობას მოიასპარეზებ“[133]; მაგრამ იგი ცრემლით შეუვრდა მას და უთხრა ტკივილით: „შემინდე მამაო, რადგან იცის შენმა სიწმინდემ, რომ არასოდეს ვყოფილვარ შენი ბრძანების ურჩი, მაგრამ ახლა არ ძალმიძს ამის გაკეთება, რაც მიბრძანე“. წმინდანმა უთხრა: „შეგიძლია, უფლის ძალით. ახლა შენს კარგ სათნოებებთან ერთად მოიპოვე სრული მორჩილება. ქრისტეს ჯვრით ჯვარი გადამიწერია [შენზე], რომ ყველა მიზეზი მოსპო“.

როდესაც ნახა მან თავისი მოძღვრის უცილობელი ბრძანება, თავისი ნების გარეშე დაემორჩილა მის სიტყვებს. და გახდა, ღვთის ნებით, ქალთა მონასტრის მღვდელი ეს სანატრელი და სასწაულთმოქმედი მატოი, დიდი და

საქმითა თჳსითა. რამეთუ წელიწადთა ორმეოცთა მერეს მღდელობასა შინა მისსა უქმი სიტყუაჲ და უსარგებლოჲ პასუხი არავის ესმა მისგან, რომელი კაცთა ცოდვა-ეყოფვის, ვითარცა უფალი იტყჳს: „ყოვლისათჳს სიტყჳსა უქმისა, რომელსა კაცნი იტყჳან, სიტყუაჲ მისცენ მისთჳს დღესა მას [195] საშჯელისასა“. და არა ხოლო ესე ოდენ, არამედ რომელნი ხედვედ მას, ვერ იკადრიან უდბად განცხრომაჲ კრძალულებათაგან მისთა და სიწმიდით და უბიწოდ ქცევისა, რამეთუ ექმნა ყოველთა სახე კეთილის.

და ამან დაიმარხა ჭეშმარიტი ქალწულებაჲ არა ხოლო ჴორცითა ოდენ, არამედ სულითა და სიტყჳთა, სასმენელითა და თუალითა. რამეთუ ნეტარმან მან თქჳს, ვითარმედ: „მონაზონებაჲ ჰრქჳან კრძალვასა“, რომლისათჳსცა ღმრთისმოყუარემან მან დედაკაცმან თემესტია, მერისა დეკანოზმან, თქუა, ვითარმედ: „ორმეოც წელ დეკანოზობასა ჩემსა და მატოის მღდელობასა საცეცხურნი მან ჴელისა ჩემისაგან არაოდეს მიმიხუნაო“.

ხოლო გარდარეულისა შრომისაგან მოუძლურდა, რამეთუ მოუკლებელი ლოცვაჲ, წყურილი და შიმშილი მარადის, და უძილობაჲ, ზედგომაჲ და მუჴლთა მოდრეკაჲ ფრიადი აქუნდა ნეტარსა მას, დასცემდა ვნებასა ჴორცთასა და სულისა მტერნი მოაუძლურნა. ხოლო ჟამისწირვაჲ არაოდეს დააცადის თჳნიერ მიზეზისა და უძლურებისა, და სამოსელი მისი ყოლადვე შეურაცხი იყო და საზრდელი ეგრეთვე.

ლ. ხოლო იყო მატოი ოდესმე თჳსსა მას საყოფელსა მახლობელად მერესა. და ცნა მოსლვაჲ მპარავთაჲ და დღისივე დაჰმზადა მათთჳს პური. და ვითარცა მოიწინეს ღამე მპარავნი იგი, [ვ] ჰრქუა მათ: „გრწმენინ ჩემი, შვილნო, წმიდაჲ ღმრთისმშობელი გიბრძანებს არა ვნებად ჩემდა, არამედ მოვედით და ჭამეთ პური, რომელი განგიმზადე თქუენ“. ხოლო ერთი იგი, რომელსა მოეყ-

დიდებული თავისი საქმით, რადგან მერეში მისი ორმოცწლიანი მღვდლობის დროს არავის გაუგია მისგან ფუჭი და უსარგებლო სიტყვა, რაც ადამიანებს ცოდვად ჰყოფნით, როგორც ამბობს უფალი: „ყველა ფუჭი სიტყვის გამო, რასაც ადამიანები ამბობენ, პასუხს გასცემენ მასზე სასჯელის დღეს“[134]. და არა მარტოოდენ თვით იგი, არამედ ისინიც, რომლებიც შეჰყურებდნენ მას, ვერ იკადრებდნენ უქმად განცხრომას მისეულ თავშეზღუდვათა და სიწმინდით და უბიწოდ ქცევის გამო, რადგან კარგის ნიმუშად გაუხდა იგი ყველას. დაიცვა მან ჭეშმარიტი ქალწულობა არათუ ოდენ ხორცით მარტო, არამედ სულით, სიტყვით, ყურითა და თვალით, რადგან ამბობდა ეს ნეტარი: „მონაზვნობა თავშეზღუდვას ჰქვია“, რის გამოც ღვთისმოყვარე ქალმა თემესტიამ, მერეს დეკანოზმა, თქვა: „ორმოცწლიანი ჩემი დეკანოზობისა და მატოის მღვდლობის დროს მას არასოდეს გამოურთმევია ჩემი ხელიდან საცეცხლურები“. ამასთან, გადამეტებული შრომით მოუძლურდა იგი, რადგან უწყვეტი ლოცვა, წყურვილი და შიმშილი მუდამჟამს, უძილობა, ზედგომა და მუხლდრეკა მრავალი ჰქონდა ამ ნეტარს, რომელიც ხორცთა ვნებას დასცემდა და დააუძლურა მან სულის მტრები. ხოლო ჟამისწირვას არასოდეს შეაჩერებდა მიზეზისა და უძლურების გარეშე, მისი სამოსელი კი ყოვლითურთ მდარე იყო და საჭმელიც - ასევე.

38. ერთხელ კი იყო მატოი თავის სამყოფელში მერეს მახლობლად. გაიგო მან ქურდების მისვლა და დღისითვე გაამზადა მათთვის პური, ხოლო როდესაც მოვიდნენ ეს ქურდები ღამით, უთხრა მათ: „გწამდეთ ჩემი, შვილებო, წმინდა ღვთისმშობელი გიბრძანებთ, რომ არ მავნოთ მე, არამედ მოდით და ჭამეთ პური, რაც გაგიმზადეთ თქვენ“. მაგრამ

ვანნეს, კადნიერ-იქმნა წარღებად, რაჲცა-იგი აქუნდა წმიდასა მას. და მან ჰრქუა: „წინაშემდგომელი ვარ წმიდისა ღმრთისმშობ-ლისაჲ, რომელმანცა პატიჟეულ გყოს შენ, წარმდები ეგე“. და მუნთქუესვე დაეცა იგი მტერისაგან ბოროტისა. მაშინ მოყუასნი მისნი ცრემლით შეუვრდეს წმიდასა მას, რაჲთა განკურნოს იგი. ხოლო მან ჯუარი დასწერა და ჰრქუა: „განგკურნებს წმიდაჲ ღმ-რთისმშობელი“. და მწრაფლ განმრთელდა იგი. და წმიდამან მან ჰრქუა: „საწყალობელო, რაჲსათჳს წინამძღუარ ექმენ კაცთა ამათ ბოროტისყოფად ჩემდა?“ და ისტუმრნა და განუტევნა მშჳდო-ბით.

და ესევითარნი სასწაულნი მრავალნი ქმნნა წმიდამან მან და მიიწია სიბერედ. რამეთუ სნეულებაჲცა შეემთხჳა ძლიერთა მათ შრომათაგან და ვერ ეძლო თავისა თჳსისა მსახურებად. მაშინ თქუა ნეტარმან მატოჲ: „ესე ღონე მჴდომისაჲ იქმნა, რაჲთამცა დედანი მმსახურებდეს მე. დაღაცათუ ნებისა ღმრთისანი არიან დანი ესე, ხოლო უწესო არს მონაზონისა ჴელითა დედათაჲთა მსახურებაჲ, არამედ მე ღონე მაქუს, რომლითა განვთავი-სუფლდე“.

და იყვნეს ვინმე ბერთას მამისა გრიგოლის [196] დედისა მსახ-ურთაგანნი, ნათესავნი მატოისნი, კეთილნი მონაზონნი და მეგობარნი მისნი. მათ აცნობა და მოვიდეს სიხარულით წარყვანებად მისსა ცხედრითა, რამეთუ ფრიად უძლურ იყო დიდისა მოღუაწებისაგან.

ხოლო დანი იგი ყოველნი გოდებისა ცრემლითა აღივსნეს, რამეთუ ობოლ-იქმნებოდეს სულიერისა მამისა და მოძღური-საგან. და აკურთხნა ყოველნი ცრემლითა საკსემან, ჯუარი დას-წერა და მშჳდობაჲ დაუტევა და ჰრქუა: „ქრისტემან დაგიცვენინ მადლითა მშობელისა თჳსისა ქალწულისაჲთა და ყოველთა წმი-დათაჲთა, არამედ ჩემთჳს ლოცვა-ყავთ მარადის“. და წამ-უყვნა ძმათა მათ, და აღიქუეს იგი ცხედრითა. და ვითარ მცირედ ვლეს, უბრძანა დადგომაჲ და თქუა: „უფალო, სიტყუამან შენმან გუამნი

ერთმა იმათგანმა, რომელსაც მოყვანილი ჰყავდა [სხვები], გაბედა წაეღო ის, რაც ჰქონდა წმინდანს, ამან კი უთხრა: „მსახური ვარ წმინდა ღვთისმშობლისა, რომელიც დაგსჯის შენ, თავხედს“. და მყისვე დაეცა იგი ბოროტი მტრისგან. მაშინ მისი მეგობრები ცრემლით შეუვრდნენ წმინდანს, რომ განეკურნა იგი, მან კი ჯვარი გადასწერა და უთხრა: „განგკურნებს წმინდა ღვთისმშობელი“. და სწრაფადვე გამოჯანმრთელდა იგი. წმინდანმა უთხრა მას: „საწყალო, რად გამოუძეხი ადამიანებს ჩემთვის ბოროტის გასაკეთე-ბლად?“ და უმასპინძლა მათ და გაუშვა მშვიდობით.

ამგვარი სასწაულები ბევრი აღასრულა ამ წმინდანმა და მიაღწია სიბერემდე. ამასთან, სნეულებაც შეეყარა მას ძლიერი ჯაფის გამო და არ შეეძლო თავისი თავის მოვლა. მაშინ თქვა ნეტარმა მატომ: „ეს ხრიკი მტრისგან მოხდა, რომ ქალები მივლიდნენ მე. თუმცაღა ღვთის ნებისანი არიან ეს დები, მაინც უწესობაა ქალთა ხელით მოვლა მონაზონისა. მაგრამ მაქვს მე გამოსავალი, რითაც გავთავისუფლდები [ამისგან]“.

ბერთაში იყვნენ მამა გრიგოლის დედის მსახურთაგანნი ვინმე, მატოის ნათესავები, კარგი მონაზვნები და მისი მეგო-ბრები. მათ აცნობა მატომ და ისინიც სიხარულით მოვიდნენ საკაცით მის წასაყვანად, რადგან დიდი მოღვაწეობის გამო მეტად დაუძლურებული იყო.

ხოლო ყველა და გოდების ცრემლით აივსო, რადგან სული-ერი მამისა და მოძღვრისგან ობლდებოდნენ. აკურთხა მან ყვე-ლა მათგანი ცრემლით სავსემ, ჯვარი გადასწერა, გამოემშვი-დობა და უთხრა: „ქრისტემ დაგიცვათ თავისი ქალწული მშობ-ლის და ყველა წმინდანის მადლით. ამასთან, მუდამჟამს ილ-ოცეთ ჩემთვის“. ანიშნა ძმებს და აიზიდეს იგი საკაცით. როდე-საც ცოტა გაიარეს, უბრძანა მათ შეჩერება და თქვა: „უფალო, შენმა სიტყვამ უძლურთა სხეულები ცოცხალ სხეულებად გახა-

უძლურთანი გუამ ცხოველ ყვნა, მეცა მომეც ძალი, უძლურსა მონასა შენსა“. და მწრაფლ სრულიად განძლიერდა და თჳსითა ფერჴითა მიიწია ბერთას. და დაყვნა ჟამნი წელიწდისა ერთისა დღეთანი ყოლადმრთელად და მერმე გარდაიცვალა საჭირველისა ამისგან სოფლისა, და მივიდა სოფელსა მას ცხოველთასა, ვითარცა მჴნე, ახოვანი მოღუაწე ქრისტჱსი და სრულიად ძლევითშემოსილი წინაშე ღმრთისა სიხარულით და მეოხ არს ჩუენთჳს უკუნისამდე.

ლთ. ხოლო ჟამსა გარდაცვალებისა მისისასა ჩუენებაჲ იხილეს მერეს შინა სანატრელთა მათ დედათა – თემესტია დეკანოზმან [ვ] და ანატოლე, რომელსა უწოდეს ანტონიოს, დაყუდებულმან, ორთავე შუაღამეს ოდენ. და ეკლესიად მივიდა მარტოდმყოფი იგი უწინარეს ჟამისრეკისა, და ეგრევე დეკანოზიცა მიიწია სტოვასა ეკლესიისასა, და მოიკითხნეს ურთიერთას. ხოლო დეკანოზმან ჰრქუა: „რაჲსათჳს არს მოსლვაჲ შენი? მაუწყე, რაჲ იხილე?“ ხოლო მან ჰრქუა: „მსგავსად ხილვისა შენისა ვიხილე, რამეთუ აწ აღესრულა მაკურთხეველი ჩუენი მატოი“. და წარმოუთხრა ყოველი, ვითარმედ: „მო-ვინმე-ვიდა კაცი ბრწყინვალედ შემკობილი და მრქუა მე: დიდი მატოი მიიცვალების წინაშე ღმრთისა, არამედ შემომიდეგ მე, რაჲთა ღირს-იქმნე ხილვად დიდებით მიცვალებასა მისსა ამიერ სოფლით ზეცისა სასუფეველსა. ხოლო მე შეუდეგ და მიმიყვანა ბორცუსა მახლობელად ბერთისა და მრქუა მე: მიხედე ბერთას ზედა და იხილე დიდებული ხილვაჲ. და მე ვხედევდ სუეტსა ნათლისასა, რომელი შთამოიწეოდა ზეცით ზედა მონასტერსა მას და სიმრავლე წმიდათა ანგელოზთაჲ სუეტსა მას თანაგარდამომავალი. და ერთი ვინმე დიაკონისსახედ ოლარითა მათ თანა, რომელნი უგალობდეს ღმერთსა ბრწყინვალითა ჴმითა. და კუალად ვიხილე კრებული იგი წმიდათა ანგელოზთაჲ, ეგრეთვესახედ აღმავალი ზეცად და საშუვალ მათ-

და. მომეცი მეც ძალა, შენს უძლურ მონას“. მყისვე სავსებით გაძლიერდა იგი და თავისი ფეხით მიაღწია ბერთას. დაჰყო [იქ] ერთი წლის დღენი სრულიად ჯანმრთელად, შემდეგ კი გარდაიცვალა ამ საწვალებელი სოფლისგან და მივიდა ცოცხალთა სოფელში ღვთის წინაშე სიხარულით, როგორც ქრისტეს მხნე, ახოვანი მოღვაწე, სრულიად ძლევაშემოსილი, და მეოხია ჩვენთვის უკუნისამდე.

39. ხოლო მისი გარდაცვალების დროს ჩვენება იხილეს მერეში სანატრელმა ქალებმა: თემესტია დეკანოზმა და ანატოლე დაყუდებულმა, რომელსაც უწოდეს ანტონიოსი, ორთავემ — სწორედ შუაღამისას, და ეკლესიაში მივიდა ის მარტოდმყოფი[135] ჟამისრეკვის[136] უწინარეს. მაშინვე მივიდა ეკლესიის სტოვამდე დეკანოზიც. მათ მოიკითხეს ერთიმეორე. დეკანოზმა უთხრა: „რის გამოა შენი მოსვლა? მითხარი, რა ნახე?“. მან უთხრა: „შენი ხილვის მსგავსად ვნახე, რადგან ახლა აღესრულა ჩვენი მაკურთხებელი მატოი“. და მოუთხრო მან ყველაფერი: „მოვიდა ვიღაც კაცი, ბრწყინვალედ შემკული, და მითხრა მე: “დიდი მატოი მიიცვლება ღვთის წინაშე, ხოლო შენ გამომყევი მე, რომ ღირსი გახდე მისი ამ სოფლიდან ზეცის სასუფევლისკენ დიდებით მიცვალების ნახვისა”. მეც გავყევი მას, მიმიყვანა კი ბერთის ახლოს ბორცვთან და მითხრა: “გაიხედე ბერთის ზევით და ნახე დიდებული ხილვა”. და ვხედავდი მე სინათლის სვეტს, რაც ჩამოიწეოდა ზეციდან ამ მონასტერზე. იყო სიმრავლე სვეტთან ერთად გადმომავალი წმინდა ანგელოზებისა და ერთი ვინმე, დიაკონის მსგავსად, ოლარით[137] მათთან ერთად, რომლებიც უგალობდნენ ღმერთს ბრწყინვალე ხმით. კიდევ, ვნახე წმინდა ანგელოზთა კრებული, იმავე სახით აღმავალი

სა წმიდაჲ მატ̣ი ჴელ̣ᲨᲧრობით აღჰყვანდა ნათლითა შემკობილთა მათ [197] უჴორცოთა დიდებითა გამოუთქუმელითა გალობით: „მაღალთა შინა“. ესე არს ხილვაჲ ჩემი წმიდისა მისთჳს“.

ხოლო მან ჰრქუა: „ჭეშმარიტად სარწმუნო არს ჩუენებაჲ ეგე შენი, არამედ აწ ისმინე ჩემი, რამეთუ ვითარ-იგი პირველ სიჭაბუკესა იყო სანატ̣რელი მატ̣ი ჰასაკოვან და შუენიერ, უმეტ̣ესად აწ ვიხილე შემკობილი დიდებითა, შემოსილი ჟამისწირვად სამოსლითა მოუგონებელად ბრწყინვალითა, და ჴელთა აქუნდეს ოქროჲსა საცეცხურნი. და მე დამიკჳრდა ხილვაჲ იგი და მე ვარქუ: ვითარ განძლიერებულ ხარ უძლურებისაგან, მოძღუარო!“ ხოლო მან მრქუა: საკურთხეველსა, რომელსა ვჰმსახურებდ სიყრმით ჩემითგან, აწ ამით საკურთხეველით დაუსრულებელად მისსა მსახურებად მივიცვალე, რამეთუ ღირსვიქმენ ზეცისა საკურთხეველსა წინაშე წარდგომად და მარადისმსახურებად“.

ესე ვითარცა იხილეს, მო-ხოლო-ვინმე-ვიდეს ბერთით და უთხრეს მატ̣ოის გარდაცვალებაჲ მასვე ჟამსა შინა და ჰმადლობდეს ქრისტ̣ესა საკჳრველთ-მოქმედსა.

ᲐᲑ. ხოლო სხუანი მოწაფენი ნეტ̣არისა გრიგოლისნი მრავალნი უდიდესსა საზომსა მონაზონებისასა მიწევნულ იყვნეს, რამეთუ ოდესმე იხილვებოდა წმიდათა ანგელოზთა ბრწყინვალებაჲ გუამთა მათთა შემოსილი უფროჲს მატ̣ოისსა. და სასწაულნი დიდნი მათ მიერ იქმნებოდეს ჴორცთა შინა ყოფასა მათსა და შემდგომად სიკუდილისა მათისა. არამედ ვთქუა სარწმუნოჲსა მისთჳს შვილისა ქრისტ̣ე[ვ]შემოსილისა, რომელსა სახელი ეწოდა დიმიტ̣რიოს. რამეთუ იგი ნეტ̣არსა დედასა ფებრონიას განეზარდა და მამისა გრიგოლისდა დაემოწაფა, რომელიცა შერაცხილ იყო პირველთა თანა მოწაფეთა მისთა.

ზეცად და სინათლით შემკულ ამ უხორცოებს თავიანთ შუაში ხელმოკიდებით აჰყავდათ წმინდა მატ̣ოი, გამოუთქმელი დიდებით გალობდნენ რა: „მაღალთა შინა...“. ესაა ჩემი ხილვა ამ წმინდანის შესახებ“.

მან კი უთხრა: „ჭეშმარიტად სარწმუნოა შენი ეს ჩვენება, მაგრამ ახლა ისმინე ჩემიც, რადგან როგორც თავდაპირველად, სიჭაბუკეში, იყო სანატ̣რელი მატ̣ოი ტანადი და მშვენიერი, კიდევ მეტ̣ად ვნახე ახლა იგი დიდებით შემკული, შემოსილი ჟამისწირვისთვის წარმოუდგენლად ბრწყინვალე სამოსლით, და ხელში ჰქონდა მას ოქროს საცეცხლურები. მე გამიკვირდა ეს ხილვა და ვუთხარი მე: “როგორ გაძლიერებულხარ უძლურებისგან, მოძღვარო?” მან კი მომიგო: „რომელ საკურთხეველსაც ვმსახურებდი ჩემი სიყრმიდან, ახლა ამ საკურთხევლიდან დაუსრულებლად მისი მსახურებისკენ მივიცვალე, რადგან ღირსი გავხდი ზეცის საკურთხევლის წინაშე წარდგომისა და მარადისმსახურებისა“

როგორც კი მათ ეს იხილეს, მოვიდნენ ბერთიდან ვიღაცეები და უთხრეს მატ̣ოის გარდაცვალება იმავე დროს და ჰმადლობდნენ საკვირველთმოქმედ ქრისტ̣ეს.

40. ხოლო ნეტ̣არი გრიგოლის ბევრი სხვა მოწაფე მონაზვნობის უფრო დიდ საზომს იყო მიღწეული, რადგან ზოგჯერ დაინახებოდა მათი სხეულები წმინდა ანგელოზების ბრწყინვალებით შემოსილი მატ̣ოზე მეტ̣ად და დიდი სასწაულები ხდებოდა მათგან მათი ხორცში ყოფნის დროსაც და მათი სიკვდილის შემდეგაც. ვამბობ კი იმ ქრისტ̣ეშემოსილი სარწმუნო შვილის შესახებ, რომელსაც სახელად ეწოდა დიმიტ̣რიოსი, რადგან იგი ნეტ̣არ დედა ფებრონიას გაეზარდა და მამა გრიგოლისთვის დაემოწაფებინა, რომელიც ჩათვლილი იყო მის პირველ მოწაფეებში.

ჟა. და მრავალგზის იხილვა მისზედა სუეტი ნათლისაჲ კაცისა მიერ ღმრთისა ღამე ყოველ ლოცვასა მას ღ[ამისთევ]ისასა, რამეთუ სული წმიდაჲ განისუენებნ მისზედა მარადის. ესე წარემართა იერუსალიმსა. და ვითარცა მიიწია ჰე[მსა]ს, მცირედ დასნეულდა და ცნა სულითა ღმრთისამიერი წოდებაჲ და დაწერა ეპისტოლე ჴელითა თჳსითა ესრეთ:

„რჩეულნო ქრისტესნო, სამკჳდრებელნო სიწმიდისანო, მამაო გრიგოლ და დედაო ფებრონია, სულიერადმშობელნო ჩემნო, [198] რომელთა ნაცვალად სძისა აღმზარდეთ სულიერითა მოძღურებისა საზრდელითა და საღმრთოჲსა სწავლისა საგზლითა წარმგზავნეთ კეთილსა ამას გზასა. აწ სიტყუაჲ ჩემი დადუმნების თქუენდა მომართ უფლისა დიდებით მოსლვადმდე, რამეთუ მე ჰემსას მივიწიე და მუნ დამიძინებია მეორედ მოსლვადმდე ქრისტესა. რაჟამს მოწაფეთა თქუენთა მოითუალვიდეთ, მუნ მიკითხეთ შვილი თქუენი და მარადისჴსენებულ მყავთ წმიდათა ლოცვათა თქუენთა, წმიდანო ღმრთისანო“.

და მასვე ჟამსა აღესრულა და მუნვე ჰემსას დაეფლა.

მბ. არამედ პირველჴსენებულნი და ყოლადმოსაჴსენებელნი იგი ღირსნი არსენი და ეფრემ, მოწაფენი და აღზრდილნი გრიგოლისნი, მოვიჴსენნეთ, რომელნიცა სათნო-იყვნა ნებამან ღმრთისამან მწყემსთმთავრად საშწყსოთა მათ თჳსთა პირმეტყუელთა. რამეთუ დიდი ეფრემ, უწინარეს მრავლით წლით არსენისსა, იქმნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა სამცხეს, ხოლო შემდგომად დიდი არსენი კათოლიკე ეკლესიასა, ქრისტესს კუართისა სამკჳდრებელსა მცხეთას, ქართლისა კათალიკოზ-იქმნა. და იყო სიყუარული მათ შორის ერთადზრდილობისათჳს.

არამედ ქართლისა ეპისკოპოსნი მირეან არსენის მამისათჳს ფრიად გულწყებულ იყვნეს ამის მიზეზისათჳს, რამეთუ თჳნიერ

41. მრავალგზის იქნა დანახული ამ ღვთისკაცისგან თავზე სინათლის სვეტი მთელი ღამე, ღამისთევის ლოცვისას[138], რადგან სულიწმინდა ივანებდა მასზე მარადის. იგი გაემართა იერუსალიმისკენ და როდესაც მიაღწია ჰემსას, ცოტათი დასნეულდა და, სულით შეიცნო რა ღვთისმიერი ხმობა, თავისი ხელით დაწერა ეპისტოლე ასე:

„ქრისტეს რჩეულნო, სიწმინდის სავანეებო: მამაო გრიგოლ და დედაო ფებრონია, ჩემო სულიერო მშობლებო, რომლებმაც რძის ნაცვლად აღმზარდეთ მოძღვრების სულიერი საზრდოთი და საღვთო სწავლის საგზლით გამგზავნეთ ამ კარგ გზაზე! ახლა ჩემი სიტყვა დუმდება თქვენს მიმართ, უფლის დიდებით მოსვლამდე, რადგან მე ჰემსას მივაღწიე და იქ დამიძინია ქრისტეს მეორედ მოსვლამდე. როდესაც თქვენი მოწაფეები მოითვალოთ, იქ მიკითხეთ თქვენი შვილი და მარადის მომიხსენეთ თქვენს წმინდა ლოცვებში, ღვთის წმინდანებო“.

და იმ დროსვე აღესრულა და დაიმარხა იქვე ჰემსაში.

42. მაგრამ გავიხსენოთ ადრეხსენებული და ყოვლადმოსახსენებელი ღირსი არსენი და ეფრემი, გრიგოლის მოწაფეები და აღზრდილები, რომლებიც ისათნოვა ღვთის ნებამ თავიანთი გონიერი სამწყსოების მწყემსთმთავრად, რადგან დიდი ეფრემი, არსენზე მრავალი წლით ადრე, აწყურის საყდრის ეპისკოპოსი გახდა სამცხეში, ხოლო შემდეგ დიდი არსენი კათალიკოსი გახდა კათოლიკე ეკლესიაში, ქრისტეს კვართის სამკვიდრებელ მცხეთაში, და იყო მათ შორის სიყვარული ერთად გაზრდილობის გამო.

მაგრამ ქართლის ეპისკოპოსები არსენის მამაზე, მირიანზე, ძალიან გაბრაზებულები იყვნენ იმ მიზეზით, რომ

განზრახვისა მათისა მძლავრ სამცხისა ერითა ძე თჳსი დაადგინა კათალიკოზად [ვ] თანადგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთაჲთა, არამედ მცირედ მხილებისათჳს უფლისა მიშუებითა იყო აღძრვაჲ ეპისკოპოსთაჲ მათ, ვიდრემდის ნეტარი ეფრემ მი-ვე-ერჩდა მათ, რამეთუ სამართალ იყო სიტყჳსგებაჲ იგი. და რომელ ჟამსა მას ჴელმწიფე იყო, მამფალი გუარამ დიდი, მირიანისთჳს გულძჳრად იყო, და მწრაფლ-ხოლო ბრძანა შეკრებაჲ ეპისკოპოსთაჲ და უდაბნოჲსა მამათაჲ. და ყოველნი შემოკრბეს ჯავახეთს. არამედ მამაჲ გრიგოლ არა მუნ იყო, არცა ყოველნი კლარჯეთისა უდაბნოთა წინამძღუარნი მამანი. რამეთუ იყო ნეტარი გრიგოლ არქიმანდრიტი და წადიერად მოელოდეს ყოველნი. და მარტოდ ანჯმნობდეს წესისა წინამძღუარნი იგი არსენი კათალიკოზისათჳს და ვერა დაამტკიცეს სიტყუაჲ მათი. მაშინ ერუშნელმან ეპისკოპოსმან მისჟამისამან ჰრქუა ყოველთა: „ოდეს მოვიდეს ვარსკულავი უდაბნოთაჲ, მაშინ განემართოს საქმე და განზრახვაჲ ყოველთაჲ“. და მათ ჰრქუეს: „ვისთჳს არს სიტყუაჲ ეგე დამტკიცებითი?“ ხოლო მან თქუა: „გრიგოლ არქიმანდრიტისათჳს, ხანცთისა და შატბერდისა მაშენებელისა“.

მაშინ ერთმან ვინმე ეპისკოპოსმან სილადით თქუა შორის შეკრებულთა მათ: „იგი ოდენ არსა ვარსკულავი მნათობი?“ ხოლო სხუათა მათ ყოველთა თქუეს: „ჭეშმარიტსა [199] იტყჳს, რამეთუ იგი არს მოძღურებისა ნათლითა განმანათლებელ და შემკულ სულითა წმიდითა“.

და მეყსეულად იხილეს წმიდაჲ იგი მომავალი კარაულითა შორის კრებულსა მას მამათასა საკჳრველად ხილვითა. რამეთუ სამოსელი იგი შეურაცხი, რომელ ემოსა მოხუცებულსა მას, ესრეთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისაჲ. ხოლო თავსა მისსა კუკული იხილვებოდა, ვითარცა გჳრგჳნი სამეუფოჲ პატიოსანთა თუალთა და მარგალიტთაგან ფასდაუდებელთა აღმკული. და ვითარცა იხილეს ღმრთისამიერი

მათთან მოთათბირების გარეშე, სამცხის ხალხის მძლავრებით, თავისი ძე მან კათალიკოსად დაადგინა, ეპისკოპოსთა მცირე რიცხვის თანადგომითა და კურთხევით, უფლის დაშვებით კი, მცირედი მხილებისათვის, მოხდა ეპისკოპოსთა აღშფოთება, იქამდე, რომ ნეტარი ეფრემიც მიემხრო მათ, რადგან სამართლიანი იყო ამათი შეპასუხება, და რომელიც იმ დროს ხელმწიფე იყო, მამფალი გუარამ დიდი, მირიანის მიმართ გულძვირად იყო. მან მყისვე ბრძანა ეპისკოპოსებისა და უდაბნოს მამების შეკრება. და ყველანი შეიკრიბნენ ჯავახეთში, მაგრამ მამა გრიგოლი არ იყო იქ, არცთუ კლარჯეთის უდაბნოთა მთელი წინამძღვარი მამები. ნეტარი გრიგოლი კი არქიმანდრიტი იყო და ყველანი წადიერად მოელოდნენ მას, წესის წინამძღვრები[139] მის გარეშე მსჯელობდნენ არსენ კათალიკოსის შესახებ და ვერ დაადგინეს თავიანთი მსჯავრი. მაშინ იმჟამინდელმა ერუშნელმა ეპისკოპოსმა უთხრა ყველას: „როდესაც მოვა უდაბნოთა ვარსკვლავი, მაშინ გასწორდება ყველა საქმე და განზრახვა“. მათ კი უთხრეს: „ვის შესახებ არის ეგ გადაჭრით ნათქვამი?“ მან თქვა: „გრიგოლ არქიმანდრიტის შესახებ, ხანცთისა და შატბერდის მაშენებლისა“.

მაშინ ერთმა ვიღაც ეპისკოპოსმა ამპარტავნულად თქვა შეკრებილთა შორის: „მხოლოდ იგია მნათობი ვარსკვლავი?“, მაგრამ სხვა ყველამ თქვა: „ჭეშმარიტს ამბობს, რადგან იგი არის მოძღვრების სინათლით ნათელმყოფელი და სულიწმინდით შემკული“.

და მყისიერად დაინახეს მათ ეს წმინდანი, მომავალი სახედრით მამათა კრებულში. საკვირველი შესახედაობით, რადგან ის უბადრუკი სამოსელი, რაც ემოსა ამ მოხუცებულს, ისე ჩანდა, როგორც მბრწყინავი სინათლე, თვალშეუდგამი, ხოლო მის თავზე კუნკული წარმოჩნდებოდა როგორც სამეფო გვირგვინი, პატიოსანი თვლებისა და ფასდაუდებელი მარგალიტებისგან შემკული; და როდესაც იხილეს მისი

დიდებულებაჲ მისი, ყოველნი სიხარულით მიეგებნეს და შეუდგეს სიტყუათა მისთა სიხარულით.

მას ჟამსა მოვიდა ეფრემ ეპისკოპოსი და პირველად მოიკითხა მოძღუარი თჳსი მამაჲ გრიგოლ და მერმე ძმანი თჳსნი ეპისკოპოსნი. ხოლო ნეტარმან გრიგოლ ფარულად მოუწოდა ნეტარსა ეფრემს და ჰრქუა მას: „შვილო, პატივსა მაგას წმიდისა მღდელთმთავრობისასა გაფუცებ, ნუ უშლი სულიერად ძმასა შენსა არსენის“. ხოლო მან ჰრქუა: „წმიდაო მამაო, ვერ ეგების ძმათა ჩემთა ეპისკოპოსთა ცილობაჲ სამართლისათჳს, და მეცა შემინდვე, რამეთუ არა ვარ ამიერითგან არსენის ცხოვარი და არცა იგი ჩემი მწყემსი“. მაშინ წმიდამან მან მკსინვარედ ჰრქუა: „უკუეთუ ამას იქმ, ეფრემ, მე უვარ-მყავ, ვითა არა შენი მოძღუარი ვარ“. ხოლო ნეტარი ეფრემ სიტყუასა მასზედა სულიერისა მამისა და მოძღურისასა ატირდა და ჰრქუა: „ფიცხელ არს ბრძანებაჲ ესე, განმკუეთელ უფროჲს მახჳლისა. აწ ნებაჲ შენი იყავნ და ნუ ნებაჲ ჩემი, წმიდაო ღმრთისაო“. ხოლო მან ჰრქუა: „ეფრემ სანატრელო, [ვ] გისმინენ ქრისტემან, რაჲცა ითხოო მისგან შენ, უმანკოო გულითა და წრფელო გონებითა, მიმსგავსებულო მოძღუარსა შენსა ქრისტესა სიტყჳსაებრ დავითისა: „რამეთუ წრფელ არს უფალი ღმერთი ჩუენი, და არა არს სიცრუვე მის თანა“. და შენ უწყი სულითა შენითა ღმრთისმხილველითა, ვითარ ღმერთსა ებრძანა კათალიკოზობაჲ არსენისი სისრულისა მისისათჳს, არამედ მირეან, მამამან მისმან, აუგიან-ყო უჟამოდ შესწრაფებითა, ვითარცა ადამ ჭამა ხილი იგი, რომელ არღა მწიფე იყო. აწ შენ კეთილად ჰყავ სმენაჲ ჩემი, რამეთუ გულისწყრომამან კაცისამან სიმართლე ღმრთისაჲ არა ქმნის. ხოლო ბრალი ესე არსენისი ჩემზედა იყავნ“.

ამისსა შემდგომად, რაჟამს ესმა გუარამ ჴელმწიფესა მოსლვაჲ ნეტართაჲ მათ, მოეგება წინა სიხარულით და მოიკითხნა სიმდაბლით. და ვითარცა დასხდეს, ბრძანა ხოლო გუარამ შემოკრებაჲ ყოველთა მოწესეთაჲ, და მოვიდეს. მაშინ ჰრქუა: „წმიდანო მამანო, ეპისკოპოსნო და მეუდაბნოენო, იცით ყოველთა

ღვთისმიერი დიდებულება, ყველანი სიხარულით მიეგებნენ და მიჰყვნენ მის სიტყვებს სიხარულით.

ამ დროს მოვიდა ეფრემ ეპისკოპოსი და პირველად მოიკითხა თავისი მოძღვარი, მამა გრიგოლი, შემდეგ კი თავისი ძმა-ეპისკოპოსები, ხოლო ნეტარმა გრიგოლმა ფარულად მოუხმო ნეტარ ეფრემს და უთხრა მას: „შვილო, წმინდა მღვდელმთავრობის მაგ პატივს გაფიცებ, ნუ უშლი ხელს შენს სულიერ ძმას არსენს“, მან კი მიუგო: „წმინდა მამაო, არ შეიძლება ჩემს ძმა ეპისკოპოსებთან შეპაექრება სიმართლის გამო და მეც შემინდე, რადგან არ ვარ ამიერიდან არსენის ცხვარი და არც იგი — ჩემი მწყემსი“. მაშინ წმინდანმა მწყრალად უთხრა: „თუ ამას გააკეთებ, ეფრემ, უარმყავი მე, როგორც შენი მოძღვარი“. ნეტარი ეფრემი სულიერი მამისა და მოძღვრის ამ სიტყვაზე ატირდა და უთხრა: „მკაცრია ეს ბრძანება, მახვილზე მეტად გამკვეთი. ახლა შენი ნება იყოს და არა ნება ჩემი, ღვთის წმინდანო“, მან კი უთხრა: „ეფრემ სანატრელო, გისმინოს ქრისტემ, რასაც ითხოვ მისგან შენ, გულით უმანკოო და გონებით წრფელო, მიმსგავსებულო შენს მოძღვარს ქრისტეს, დავითის სიტყვისებრ: “რადგან წრფელია ჩვენი უფალი ღმერთი და არ არის სიცრუე მასთან”[140], და შენ იცი შენი ღვთისმხილველი სულით, რომ ღმერთს ჰქონდა ნაბრძანები არსენის კათალიკოსობა მისი სრულქმნილების გამო, მაგრამ მირიანმა, მისმა მამამ, სააუგო გახადა იგი უდროო აჩქარებულობით, ისევე როგორც ადამმა ჭამა ის ნაყოფი, რომელიც ჯერ არ იყო მწიფე. ახლა შენ კარგად გააკეთე, რომ ისმინე ჩემი, რადგან ადამიანის გულისწყრომა ღვთის სიმართლეს არ იზამს, ხოლო არსენის ეს დანაშაული ჩემზე იყოს“.

ამის შემდეგ, როდესაც გაიგო გუარამ ხელმწიფემ ამ ნეტართა მოსვლა, წინ მიეგება მათ სიხარულით და მოიკითხა თავმდაბლურად. როდესაც დასხდნენ, ბრძანა გუარამმა ყველა

კანონი შჯულისაჲ, რამეთუ არა ბრძანებს ეპისკოპოსისა და კათალიკოზისა მძლავრებით დაჯდომასა“. და ამას სიტყუასა შინა აუგისა სიტყუანი განამრავლნა და ელოდა პასუხსა მათგან, ხოლო თუალნი ყოველთანი ხედვიდეს მამასა გრიგოლს და ეპისკოპოსსა ეფრემს და მათ დაიდუმეს ჟამ ერთ.

მაშინ ეპისკოპოსთა ჰრქუეს ეფრემს: „ბრძანე პასუხი, რაჲ ჯერ არს“. ხოლო მან თქუა: „სადა მამაჲ გრიგოლ იყოს, მე მუნ არა ვიკადრებ სიტყუად“. მაშინ ჴელმწიფემან მან ჰრქუა ნეტარსა გრიგოლს: „მამაო, ყოველნი შენ გელიან სიტყუად ჭეშმარიტებისა, რამეთუ უხუცეს ხარ [200] ყოველთა დღითა და სათნოებითა ნებისა ღმრთისაჲთა და შენგან ჴამს დასაბამი სიტყჳსაჲ“. ხოლო მან თქუა: „ჯერ იყო პირველად მღდელთმოძღუართაგან ბრძანებაჲ, ხოლო აწ სიტყჳთა შენითა ვიტყჳ ესრეთ: ჭეშმარიტთა ქრისტჱსსამწყსოთა, ისმინეთ გლახაკისა ამის მოხუცებულისაჲ, რამეთუ არსენი კათალიკოზი ნებითა ღმრთისაჲთა კათალიკოზი არს, და ძჳრისმეტყუელთა მისთა, რომელთა არა შეინანონ, კდემულ იყვნენ და სრულიად ჰრცხუენეს ამას საწუთროსა და მას საუკუნესა“.

ხოლო ჴელმწიფე იგი დაღაცათუ იყო ბრძენ და ღმრთისმსახურ, არამედ მართლმხილებისაგან მართლისა მის კაცისა შეშფოთნა ფრიად, რამეთუ ნებაჲ სიბრძნესა სძლევდა და შური პატივსა არა ჰრიდებდა, გესლი რაჲ გულისაჲ ბაგეთაგან იცნობა განუგებელად სიტყჳსა განტევებითა ესრეთ, ვითარმედ: „მრავლით ჟამითგან არა მეხილვა მამაჲ გრიგოლ, არამედ მასმიოდა, ვითარმედ ბრძენთაგან შეუცავი სიბრძნე მისი შეცვალებულ არს სიბერითაო და პირველსმენილი ვიხილე თუალითა“. და შჯულისაცა მრავალთა სიტყუათა იტყოდა, რომელი არა შეჰგავს ერისკაცთა, რამეთუ იყო იგი ფრიად სიტყუაჴელოვან.

მოწესის[141] შემოკრება და მოვიდნენ რა, მაშინ თქვა: „წმინდა მამებო, ეპისკოპოსებო და მეუდაბნოეებო, ყველამ იცით სჯულის კანონი, რადგან არ ბრძანებსიგი ეპისკოპოსისა და კათალიკოსის ძალმომრეობით დადგომას“, და ამის თქმისას სააუგო სიტყვები გაამრავლა, ელოდა კი პასუხს იმათგან; მაგრამ ყველას თვალები შეჰმზერდა მამა გრიგოლს და ეპისკოპოს ეფრემს, ხოლო მათ დაიდუმეს გარკვეული დროით.

მაშინ ეპისკოპოსებმა უთხრეს ეფრემს: „ბრძანე პასუხი, რაც საჭიროა“, მან კი თქვა: „სადაც მამა გრიგოლი იქნება, მე იქ არ ვიკადრებ სიტყვის თქმას“. მაშინ ხელმწიფემ უთხრა ნეტარ გრიგოლს: „მამაო, ყველა შენ გელის ჭეშმარიტების სათქმელად, რადგან ყველაზე უფროსი ხარ ასაკითაც და ღვთის ნების სათნომყოფელობითაც, და შენგანაა მართებული სიტყვის დაწყება“. ხოლო მან თქვა: „მართებული იყო პირველად მღვდელთმოძღვრებისგან ბრძანება, მაგრამ ახლა, შენი სიტყვის შესაბამისად, ვიტყვი ასე: ჭეშმარიტმა ქრისტეს სამწყსოებმა ისმინეთ ამ გლახაკი მოხუცებულისა, რომ არსენ კათალიკოსი ღვთის ნებით არის კათალიკოსი და მასზე აუგის მთქმელნი, რომლებიც არ მოინანიებენ, თავმოჭრილები იქნებიან და სრულიად შერცხვებათ ამ საწუთროშიც და იმ საუკუნოშიც“.

მაგრამ ხელმწიფე კი, თუმცაღა იყო იგი ბრძენი და ღვთისმსახური, ამ მართალი კაცისგან მართლმხილების გამო ძალიან შეშფოთდა, რადგან ნება სიბრძნეს სძლევდა და შური ღირსებას არ ერიდებოდა, შესაცნობი გახდა რა გულის გესლი ბაგეებისგან, დაუფიქრებლად სიტყვის ასე გაშვებით: „დიდი ხანია არ მენახა მამა გრიგოლი, მაგრამ მესმოდა, რომ ბრძენთაგან დაუტევი მისი სიბრძნე შეცვლილია სიბერითო და ადრე გაგონილი თვალით ვნახე“, თან სჯულის ბევრ სიტყვასაც ამბობდა იგი, რაც არ შეჰფერის ერისკაცებს, რადგან იყო იგი მეტად სიტყვახელოვანი[142].

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ჰრქუა მას: „ჰ ჴელმწიფეო, რად განჰრისხნები ჭეშმარიტებისათჳს? ესე უწყოდი, რამეთუ პირველთა წმიდათა მათ მამათა შეკრებასა ეპისკოპოსთა და წინამძღუართა წესისათა მონაზონთა თანა იყვნეს პირველნი მორწმუნენი მეფენი, არათუ მათთანა შჯულისმოძღურებასა იკადრებდეს, არამედ შჯულისგამოძიებასა მათსა იკითხიან და ითხოიან სიტყჳსა გამოცხადებაჲ, რამეთუ მათ მიერ ისწავებდეს მცნებათა ღმრთისათა და მოწამედ იყვნეს [ვ] თქუმულთა მათთა. და წმიდათა მოციქულთა და ღირსთა მათ მღდელთმოძღუართა განსაზღვრებულსა კანონსა შინა არავე ბრძანებულ არს ერისკაცისაჲ, ვითარმცა ეპისკოპოსთა და წესისა-წინამძღუართა მამათა განსაგებელისა მოძღურებისა იკადრებდა, გინა ახალსახიობასა მოიღებდა, დაღაცათუ სამართლად საგონებელ იყოს, არამედ შჯულისა და მღდელთმოძღუართა შეურაცხებაჲ არს. ხოლო მე აწ სიტყჳსაებრ შენისა, გუარამ, ვარ ბუნებაშეცვალებულ, გარნა ოდეს სამართალმან დაგასამართლოს, მაშინ იხილო თავი შენი ცნობამიღებულ და სიტყუანი ჩემნი არღარა განჰგმნე“.

ხოლო ჴელმწიფე იგი შეძრწუნდა გონებითა და ჰრქუა ეპისკოპოსთა მათ: „თქუენგან ჯერ არს განსაგებელი თქუენი განგებად, აწ თქუთ!“ და მათ ჰრქუეს: „ღმრთისმსახურო გუარამ, ქრისტჱსმიერმან სასწაულმან უტყუ ქმნა ენაჲ ჩუენი, რამეთუ ვიხილეთ დღეს გრიგოლის ზედა მიუწდომელი დიდებაჲ“. და აუწყეს ხილვაჲ იგი ყოველი, რომელი იხილეს შემოსლვასა მისსა.

მაშინ ზარ-ჰჴდა ჴელმწიფესა მას, რამეთუ იყო იგი მდაბალ და ღმრთისმოშიშ. იძლია სიმდაბლისაგან და შეუვრდა ნეტარსა გრიგოლს და ჰრქუა: „წმიდაო ღმრთისაო, შემინდვე, რამეთუ დაგაბრკოლე“. ხოლო მან ჰრქუა: „ქრისტემან ყოველნი ბრალნი შეგინდვენ“.

ხოლო ნეტარმა მამა გრიგოლმა უთხრა მას: „ჰოი ხელმწიფეო, რად მრისხანდები ჭეშმარიტების გამო? ეს იცოდე, რომ პირველი წმინდა მამების შეკრებაზე ეპისკოპოსებთან და წესის წინამძღვარ მონაზვნებთან ერთად იყვნენ პირველი მორწმუნე მეფეები, მაგრამ არათუ მათთან ერთად სჯულის სწავლებას იკადრებდნენ ისინი, არამედ მათეულ გამოძიებას სჯულისას გამოიკითხავდნენ და ითხოვდნენ სიტყვის განმარტებას, რადგან მათ მიერ სწავლობდნენ ღვთის მცნებებს და მათ სიტყვებს ემოწმებოდნენ; არც წმინდა მოციქულებისა და ღირსი მღვდელთმოძღვრების მიერ განსაზღვრულ კანონშია ნაბრძანები, რომ შეჰკადრებდეს ერისკაცი ეპისკოპოსთა და წესის წინამძღვარ მამათა საგამგებლო მოძღვრებას ანდა ახალსახეობას[143] შემოიღებდეს, თუნდაც რომ სამართლიანი ჩანდეს; პირიქით, სჯულისა და მღვდელთმოძღვართა არად ჩაგდებაა ეს, ხოლო მე ახლა შენი სიტყვისებრ, გუარამ, ვარ გონებაშეცვლილი[144], მაგრამ როდესაც სამართალი გაგასამართლებს, მაშინ ნახავ შენს თავს გონდაკარგულს და ჩემს სიტყვებს აღარ დაგმობ“.

ხოლო ხელმწიფე შეძრწუნდა გონებით და უთხრა ეპისკოპოსებს: „თქვენგან შეჰფერის თქვენი საგამგებლოს განგება[145]. ახლა თქვით!“ და მათ უთხრეს: „ღვთისმსახურო გუარამ, ქრისტესმიერმა სასწაულმა დაამუნჯა ჩვენი ენა, რადგან ვნახეთ დღეს გრიგოლზე მიუწვდომელი დიდება“, და აუწყეს მას მთელი ის ხილვა, რაც ნახეს გრიგოლის შემოსვლისას.

მაშინ თავზარი დაეცა ხელმწიფეს და რადგან იყო იგი თავმდაბალი და ღვთისმოშიში, სძლია მას თავმდაბლობამ, შეუვრდა ნეტარ გრიგოლს და უთხრა: „ღვთის წმინდანო, შემინდე, რადგან დაგაბრკოლე“, მან კი უთხრა: „ქრისტემ შეგინდოს ყველა დანაშაული“.

მაშინ გუარამ დიდმან ჴელმწიფემან კეთილად ისტუმრნა ყოველნი და პურისჭამასა შინა, რაჟამს განმხიარულდა გუარამ ღჳნითა, მაშინ ეპისკოპოსთა მათ ერთობით თქუეს: „ჯერ-მე იყო მხილებაჲ ესე არსენისთჳს, არამედ აწ ამიერითგან არსენი იყავნ კათალიკოს ქართლისა ყოვლისა და სულიერად მამა ყოველთა და [201] ყოველთა შორის იჭჳ პირველი და-მცა-ჴსნილ არს სრულიად, რაჲთა ქრისტეანობისა პატივი ჩუენი მშჳდობით და მყუდროებით აღვასრულოთ და კეთილი სიტყჳსგებაჲ ვპოოთ წინაშე საყდართა ქრისტჱსთა“.

და გუარამ ჴელმწიფემან და ყოველმან ერმან თქუეს: „ამენ, იყავნ!“

ხოლო ჴელმწიფემან მან იკითხა ეპისკოპოსთა მათგან: „წმიდანო ღმრთისანო, უკუეთუ ქუეყანისა ჩუენისა ერისკაცი ვინმე, წიგნთა საღმრთოთა მეცნიერი და ენათაცა წურთილი, მიიწიოს იერუსალჱმდ, ანუ სხუათა წმიდათა ადგილთა, და იხილოს რაჲმე კეთილი წესი, რომელ ქრისტეანობასა შუენოდის და ჩუენშორის არა იყოს, გინათუ წიგნთაგან წმიდათა გულისჴმა-ყოს და თავით თჳსით ერსა უსწავლელსა აუწყებდეს, კეთილ არსა ანუ არა?“ ამას რაჲ იტყოდა, ასმენდა ვიეთმე მრავლისმეტყუელთა.

ხოლო მათ თქუეს: „წერილ არს: „ტჳრთი განწესებული ეყოფინ ნავსა, უკუეთუ დაუმძიმო, დაინთქას, და უკუეთუ სუბუქად იყოს, ქართა და ღელვათა წარიტაცონ“. ეგრეთცა ტჳრთი შჯულისაჲ და წესი ქრისტეანობისაჲ, რომელი აწ ქუეყანასა ჩუენსა უპყრიეს, ფრიად კეთილ არს, და ღმერთი დაჯერებულ არს. და ამისთჳს ჩუენ ვართ თავსმდებნი, უკუეთუ ვინმე მტკიცედ იპყრას და შეუცვალებელად საქმით ჰყოფდეს და არა სიტყჳთ ვაჭრობდეს, „ასი წილი აქავე მიიღოს და ცხორებაჲ საუკუნოჲ დაიმკჳდროს“, სიტყჳსაებრ უფლისა. და შევიწყნარეთ პირველი მამისა გრიგოლის სიტყუაჲ, რომელ წარმოთქუა. და ჩუენ ამას ვიტყჳთ: უკუეთუ ახალი რაჲმე კეთილი წესი ერისკაცმან გულისჴმა-ყოს, მსგავსად ბრძანებისა შენისა, უმჯობეს დუმილი არს, ვითარცა

მაშინ გუარამმა, დიდმა ხელმწიფემ, კარგად უმასპინძლა ყველას და პურისჭამისას, როდესაც გუარამი გამხიარულდა ღვინისგან, მაშინ ეპისკოპოსებმა ერთობლივად თქვეს: „საჭირო იყო ეს მხილება არსენისთვის, მაგრამ ახლა, ამიერიდან არსენი იყოს კათალიკოსი მთელი ქართლისა და ყველას სულიერად მამა, თავდაპირველი ეჭვი კი ყველაში სრულიად გამქრალი იყოს, რომ ჩვენი პატივი ქრისტიანობისა მშვიდობით და სიწყნარით აღვასრულოთ და კარგი პასუხი[146] მოვიპოვოთ ქრისტეს საყდართა წინაშე“.

გუარამ ხელმწიფემ და მთელმა ერმა თქვეს: „ამინ, იყოს!“

ამასთან, ხელმწიფემ გამოიკითხა ეპისკოპოსთაგან: „ღვთის წმინდანებო, თუკი ჩვენი ქვეყნის ვიღაც ერისკაცი, საღვთო წიგნების მცოდნე და ენებშიც გაწაფული, მივა იერუსალიმში ან სხვა წმინდა ადგილას და ნახავს რაიმე კარგ წესს, რაც ქრისტიანობას შეეფერება და ჩვენში არ არის, ან თუნდაც წმინდა წიგნებისგან გაიგებს იგი ასეთ რამეს და თვითნებურად აუწყებს უსწავლელ ხალხს, კარგი იქნება თუ ცუდი?“ (ხოლო როდესაც იგი ამას ამბობდა, კიცხავდა ვიღაც მრავლისმეტყველებს).

მათ უთხრეს: „დაწერილია: “განსაზღვრული ტვირთი ეყოფა ნავს; თუ დაუმძიმებ, დაინთქმება. და თუ მსუბუქად იქნება, ქარები და ტალღები გაიტაცებს“. ასევე, სჯულის ტვირთი და ქრისტიანობის წესი, რაც ამჟამად ჩვენს ქვეყანას აქვს დაცული, მეტად კარგია და ღმერთი კმაყოფილია, და ჩვენ ვართ თავდები იმისა, რომ თუკი ვინმე მტკიცედ დაიცავს მას და უცვლელად აღასრულებს საქმით (არათუ სიტყვით ივაჭრებს), „ას წილს აქვე მიიღებს და საუკუნო ცხოვრებას იმემკვიდრებს“ უფლის სიტყვისებრ; ამასთან, შევიწყნარეთ მამა გრიგოლის თავდაპირველი სიტყვა, რაც წარმოთქვა, ჩვენ კი ამას ვამბობთ: თუკი ერისკაცი გაიგებს რაღაც ახალ კარგ წესს, შენი ბრძანებისამებრ, უმჯობესია დუმილი, როგორც

თქუა იაკობ მოციქულმან, [ვ] ვითარმედ: „ნუ მრავალნი ჰმოძღუ-
რით, ძმანო“. და უკუეთუ დუმილი ვერ ძალ-ედვას, არა თავით
თჳსით ქადაგებდეს, არამედ აუწყოს თჳსსა ეპისკოპოსსა, და თუ
ჯერ იყოს, მან ასწაოს თჳსსა სამწყსოსა; უკუეთუ კულა სილაღ-
ით წარმდებობდეს ერისკაცი იგი და ერსა ახლად სხუასა წესსა
დაუდებდეს, ეგევითარი იგი, ნაცვალად შესაძინელისა, მაცილო-
ბელთა და წინააღმდგომთა თანა დაისაჯოს დიდებით უფლისა
მოსლვასა“.

ხოლო ჴელმწიფემან მან თქუა: „ჭეშმარიტად სამართალ არს
სულიერი ეგე საბჭოჲ საღმრთოჲსა განგებისაჲ, და უკუეთუ წიგ-
ნისმკითხველსა კითხვაჲ უჴმს, უფროჲსად ჯერ არს კითხვაჲ წე-
სისა და შჯულისა მასწავლელისაჲ და ყოლადვე შეკრძალვაჲ
თავისაჲ, ვითარცა იტყჳს: „მკურნალო, პირველად განიკურნე
თავი თჳსი!“

ხოლო ერისკაცთა მათ შეიკდიმეს მხილებაჲ იგი უმეცართა
წესისდადებისაჲ და შეინდვეს შჯულისა წინამძღუართაგან.

და ვითარცა განასრულეს პურისჭამაჲ, მისცეს მშჳდობაჲ
მთავარსა მას დიდსა და მან სიხარულით განუტევნა ყოველნი.

მას ჟამსა ახარეს არსენის, რამეთუ არა იყო კრებასა მას, ვი-
თარმედ: „შემდგომად ღმრთისა მოძღუარმან შენმან გრიგოლ
მამამან დაამტკიცა კათალიკოზობაჲ შენი“. ხოლო იგი სიხარუ-
ლით ჰმადლობდა ქრისტესა და წმიდასა მას.

ხოლო ეფრემ ეპისკოპოსმან, მცნებისაებრ მამისა გრიგოლის-
სა, სიყუარული არსენი კათალიკოზისაჲ პირველებრვე განაახლა,
რამეთუ მოკლედ დააწყნარა შფოთი გრძელად მოსაცალებელი,
რომელი იყო შორის კათალიკოზისა [202] და ეპისკოპოსთა,
უფროჲს-ხოლო გუარამ ჴელმწიფისა. და სანატრელნი ესე არსენი
კათალიკოზი და ეფრემ ეპისკოპოსი მოვიდიან ხილვად მოძღურისა
თჳსისა მამისა გრიგოლისსა. არამედ ძველი ხანცთისა ეკლესიაჲ
არსენი კათალიკოსმან აკურთხა და ქართლისა ეკლესიათა ყოველ-
თა სიხარული მიჰფინა, რამეთუ საყდარი მამათმთავრობისაჲ შეამ-

თქვა იაკობ მოციქულმა: „ნუ მოძღვრავთ ბევრნი, ძმანო“, მა-
გრამ თუ დუმილს ვერ შეძლებს, თვითნებურად არ იქადაგოს,
არამედ აუწყოს თავის ეპისკოპოსს და თუ საჭირო იქნება, მან
ასწავლოს თავის სამწყსოს; ამასთან, თუ ამპარტავნულად
ითავხედებს ეს ერისკაცი და ხალხს პირველად დაუდებს სხვა
წესს, ამგვარი ვინმე, ნაცვლად სარგებლისა, მოცილეებთან და
მოწინააღმდეგეებთან ერთად დაისჯება უფლის დიდებით
მოსვლის დროს“.

ხელმწიფემ თქვა: „ჭეშმარიტად სამართლიანია საღვთო
განგების ეგ სულიერი სამსჯავრო და თუკი წიგნისმკითხველს
ჰმართებს, რომ გამოიკითხოს, უფრო მეტად ესაჭიროება
გამოკითხვა წესისა და სჯულის მასწავლებელს, და ყოვლი-
თურთ თავის შეკავება, როგორც ამბობს უფალი: “მკურნალო,
პირველად განიკურნე შენი თავი”.

ერისკაცებმა სირცხვილი განიცადეს, მოხდა რა მხილება
უვიცებისგან წესის დადებისა, და მიიღეს მათ შენდობა სჯუ-
ლის წინამძღვართაგან.

როდესაც დაასრულეს პურისჭამა, გამოემშვიდობნენ ამ
დიდ მთავარს და მანაც სიხარულით გაუშვა ყველა.

მაშინ ახარეს არსენს (რადგან იგი კრებაზე არ იყო):
„ღვთის შემდეგ შენმა მოძღვარმა მამა გრიგოლმა დაამტკიცა
შენი კათალიკოსობა“. ისიც სიხარულით ჰმადლობდა ქრისტეს
და ამ წმინდანს.

ხოლო ეფრემ ეპისკოპოსმა, მამა გრიგოლის მცნებისამებრ,
ადრინდელივით განაახლა არსენ კათალიკოსის სიყვარული,
რადგან მალევე დააწყნარა მან დიდხანს გახანგრძლივებადი
მშფოთვარება, რაც[147] არსებობდა კათალიკოსსა და ეპისკო-
პოსებს (უფრო კი გუარამ ხელმწიფეს) შორის. სანატრელი
არსენ კათალიკოსი და ეფრემ ეპისკოპოსი მოდიოდნენ თავი-
ანთი მოძღვრის, მამა გრიგოლის, სანახავად. ამასთან, ხანც-
თის ძველი ეკლესია არსენ კათალიკოსმა აკურთხა და

კო სრულიად და შეიმკო მადლითა. ხოლო რაჟამს მამაჲ გრიგოლ გარდაიცვალა, დამარხვასა მის თანავე იყო არსენი, რომელიცა ოც და შჳდ წელ კათალიკოზობდა და მერმე გარდაიცვალა ამიერ სოფლით და მხიარულებით მიიწია წინაშე ქრისტჱსა და აქუს მადლი შეწევნად ჩუენდა.

მგ. არამედ დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომატყუებელ-ექმნა ქუეყანასა ჩუენსა, რამეთუ პირველად აღმოსავალისა კათა-ლიკოსთა მიჰრონი იერუსალჱმით მოჰყვანდა. ხოლო ეფრემ ქრისტჱსმიერითა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევაჲ ქართლს გა-ნაწესა იერუსალჱმისა პატრიაქისა განწესებითა და წამებითა სიხარულით. არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კჳრიელეჲსონი ბერძულად ითქუ-მის, რომელ არს ქართულად: „უფალო, წყალობა-ყავ“, გინათუ „უფალო, შეგჳწყალენ“.

ესე ნეტარი ეფრემ ორმეოც წელ ეპისკოპოსობდა შემკული სულითა წმიდითა, რამეთუ დაფარულსა კაცთა საქმესა ვითარცა ცხადსა ამხილებდა და სიკუდიდ განწირულთა სნეულთა სიტყჳთ მწრაფლ განჰკურნებდა, [ვ] ხოლო ურჩთა სიტყჳთვე მოაკუდინებდა, და სხუათაცა სასწაულთა იქმოდა მრავალთა. და კეთილსა შინა სიბერესა მადლითა სავსე გარდაიცვალა და მიიწია სიხარულით წინაშე ქრისტჱსა და ჩუენ მორწმუნეთათჳს მეოხ არს უკუნისამდე.

მდ. ესევითარნი იყვნეს ღმერთშემოსილნი მოწაფენი მამისა გრიგოლისნი. ხოლო დიდი ეტჳფანე სიმდაბლითა თჳსითა მიიწია

ქართლის ყველა ეკლესიას სიხარული მიჰფინა მან, რადგან მთლიანად შეამკო მამამთავრობის საყდარი[148] და შეიმკო მადლით, ხოლო როდესაც მამა გრიგოლი გარდაიცვალა, მის დასაფლავებაზეც იყო არსენი, რომელიც ოცდაშვიდი წელი კათალიკოსობდა, შემდეგ კი გარდაიცვალა ამ სოფლიდან, მხიარულად მივიდა ქრისტეს წინაშე და აქვს მას მადლი ჩვენს შესაწევნელად.

43. ხოლო დიდი ეფრემი ბევრი სიკეთის მომნიჭებელი გაუხდა ჩვენს ქვეყანას, რადგან თავდაპირველად აღმოსავ-ლეთის კათალიკოსები მირონს იერუსალიმიდან მოაბრძანებდ-ნენ, ეფრემმა კი, ქრისტესმიერი ბრძანებით, ქართლში დააწესა მირონის კურთხევა, იერუსალიმის პატრიარქის განჩინებითა და სიხარულისმიერი თანხმობით, ქართლად კი ბევრი ქვეყანა აღირაცხება, რომელშიც ქართული ენით შეიწირება ჟამი[149] და სრულდება ყველა ლოცვა, ხოლო „კვირიელეისონი“ ბერძნულად ითქმება, რაც არის ქართუ-ლად: „უფალო, წყალობა ჰყავი“, ანდა: „უფალო, შეგვიწყალე“.

ეს ნეტარი ეფრემი ორმოცი წელი ეპისკოპოსობდა, იყო რა სულიწმინდით შემკული, რადგან ადამიანთა დაფარულ საქმეს, როგორც ცხადს, ისე ამხელდა და სასიკვდილოდ განწირულ სნეულებს სიტყვით მყის კურნავდა, ხოლო ურჩებს სიტყვითვე მოაკვდინებდა, და ბევრ სხვა სასწაულსაც მოქმედებდა. იგი კარგ სიბერეში გარდაიცვალა მადლით სავსე, სიხარულით მივიდა ქრისტეს წინაშე და ჩვენ, მორწმუ-ნეებისთვის, მეოხი არის უკუნისამდე.

44. ამგვარები იყვნენ მამა გრიგოლის მოწაფეები, ხოლო დიდმა ეპიფანემ თავისი თავმდაბლობით მიაღწია თავისი

საზომსა თჳსისა მოძღურისასა და ცრემლთა დათხევითა სულთა უკეთურთა განასხმიდა და სნეულთა მწრაფლ განჰკურნებდა და მრავალთა სხუათა სასწაულთა იქმოდა, ურჩთა რაჲ გუემითა განსწავლიდა და მორწმუნეთა ლოცვითა სიკუდილისაგან იჴსნიდა. რამეთუ ოდესმე ზაფხულისა ჟამსა მთათა მათ ხორასუნთა გარდამოვიდოდა იგი და მისთანა ძმანი. და იხილეს ადგილი მარჯუე და პურისა ჭამად დასხდეს. და მასვე გზასა დედაკაცი ერთი ვინმე მოვიდოდა და თანაჰყვანდა ძჱ შჳდისა წლისაჲ. და იყო ყრმაჲ იგი ხილვითა კეთილ და გონებითა ფრთხილ. და ვითარ მოიწინეს საჩინოსა ნეტარისა მამისა ეპიფანესსა, ყრმასა მას სალმობანი სიკუდილისანი ეწინეს და სენისა მისგან წრტიალისა ისწრაფდა სული განსლვად გუამისა მისგან. ხოლო დედამან მისმან გოდებითა მწარითა აღიტაცა ძჱ თჳსი და მირბიოდა წმიდისა მის და ჴმობდა ესრეთ საწყალობელად: „ჰ წმიდაო ღმრთისაო, შემეწიე შეუწევნელსა ამას, რამეთუ მომიკუდების შვილი ესე ჩემი, და შემდგომად ღმრთისა შენდა მოვივლტი“. [203] და ძჱ იგი თჳსი დააგდო წინაშე ფერჴთა ეტჳფანესთა. ხოლო იგი ცრემლითა სავსე აღდგა, რამეთუ იყო ბუნებით მოწყალე, და დავარდა წინაშე ქრისტჱსა და თქუა: „უფალო ღმერთო ჩუენო, იესუ ქრისტე, იხილენ ცრემლნი ჩემნი და ცრემლნი საწყალობელისა ამის დედაკაცისანი და წყალობა-ყავ ყრმასა ამასზედა და უბრძანე სულსა ამისსა მკჳდრობაჲ თჳსსა შინა გუამსა მრავალთა წელიწადთა ნუგეშინისსაცემელად ამის გლახაკისა და სადიდებელად შენდა, მხოლოჲსა ძისა, თანა მამით და სულით წმიდითურთ საუკუნეთა მიმართ. ამენ“.

და ჯუარი დასწერა, უპყრა ჴელი და ჰრქუა: „განგკურნებს უფალი იესუ ქრისტჱ, აღდეგ, ყრმაო, და ცოცხალ-იქმენ!“ და მწრაფლ განეშორა სალმობაჲ და უძლურებაჲ გუამსა მისსა და ყოველი ურვაჲ სულსა მისსა. და აღდგა მხიარული და მისცა იგი დედასა თჳსსა და უბრძანა მიცემაჲ ჭამადისაჲ. და დედაკაცმან მან სიხარულით მადლი შეწირა ღმრთისა და წმიდისა მის. და

მოძღვრის საზომამდე. იგი ცრემლთა ფრქვევით დევნიდა უკეთურ სულებს, სნეულებს მყისვე კურნავდა და მრავალ სხვა სასწაულსაც მოქმედებდა, გვემით განსწავლიდა რა ურჩებს და მორწმუნეებს კი ლოცვით სიკვდილისგან იხსნიდა. მართლაც, ერთხელ, ზაფხულის დროს, ხორასუნის მთებზე ჩამოდიოდა იგი და მასთან ერთად ძმები. ნახეს მათ მოხერხებული ადგილი და პურის საჭმელად დასხდნენ. ამავე გზაზე მოდიოდა ვიღაც ქალი და თან ჰყავდა მას შვიდი წლის ძე. ეს ბიჭი იყო შესახედავად კარგი და ფხიზელი გონების. როდესაც ისინი მოვიდნენ ნეტარი მამა ეპიფანეს თვალსაწიერზე, ამ ბიჭს სიკვდილის ტკივილები ეწია და მძაფრი სენის გამო სული სხეულისგან გასვლას ჩქარობდა, მაგრამ მისმა დედამ მწარე გოდებით აიტაცა თავისი ძე და მირბოდა რა წმინდანისკენ, ხმობდა ასე საწყლად: „ჰოი ღვთის წმინდანო, შემეწიე მე, შეუწევნელს, რადგან მიკვდება ჩემი შვილი, და ღვთის შემდეგ შენდამი მოვილტვი“; და დააგდო მან თავისი ძე ეპიფანეს ფეხების წინ, ის კი ადგა ცრემლით სავსე, რადგან ბუნებით იყო მოწყალე, დავარდა ქრისტეს წინაშე და თქვა: „უფალო ღმერთო ჩვენო, იესო ქრისტე, ნახე ჩემი ცრემლები და ცრემლები ამ საწყალი ქალისა, წყალობა მოიღე ამ ბიჭზე და უბრძანე ამის სულს მკვიდრობა თავის სხეულში მრავალი წელი, ამ გლახაკის ნუგეშსაცემად და შენი, ერთადერთი ძის, სადიდებლად მამითა და სულიწმიდითურთ საუკუნეთა მიმართ. ამინ“.

გადასწერა მან ჯვარი, მოჰკიდა ხელი და უთხრა: „განგკურნებს უფალი იესო ქრისტე, ადექი, ბიჭო, და ჯანმრთელი იყავი!“ მყისვე გაშორდა მას ტკივილი და უძლურება თავის სხეულში და ყოველგვარი წუხილი თავის სულში. ადგა ეპიფანე მხიარული, მისცა იგი თავის დედას და უბრძანა საჭმლის მიცემა, დედაკაცმა კი სიხარულით მადლობა შესწირა ღმერთსა და ამ წმინდანს და მშვიდობიანად წავიდნენ ერთად

მშჯდობით წარვიდეს ზოგად იგი და ძჱ მისი გზასა თჳსსა. და ყრმაჲ იგი ვიდრე სიბერედმდე კეთილად ცხოვნდებოდა და ადიდებდა ღმერთსა.

მე. და კუალად სხუათა ვიეთმე მორწმუნეთა კაცთა ესუა შვილი ყრმაჲ წული მტერისაგან ვნებული შობითგანვე. რამეთუ იყო იგი ყრუჲ და უტყჳ და გონებანაკლული. ხოლო ჰასაკისა ხილვითა ჩნდა მრთელად და იზარდებოდა ვითარცა სხუაჲ ყრმაჲ. და ვითარ იქმნა იგი ათის წლის, მას ჟამსა მამაჲ ეპიფანე ითქუმოდა სასწაულთამოქმედად. და მიიწია სოფელსა მას, სადაცა [ვ] იყო ყრმაჲ იგი ვნებული. ხოლო დედამან მის ყრმისამან წარიყვანა იგი გზასა მას, რომელსაცა წარჰვლიდა მამაჲ ეპიფანე. და ვითარცა იხილა, ევედრებოდა მას მწარითა ცრემლითა და სარწმუნოებითა მტკიცითა ძისა თჳსისათჳს. ხოლო ნეტარი იგი ცრემლოოდა სულთქუმით და ლმობიერად ჴმა-ყო: „ქრისტე ღმერთო, რომელი კაცთმოყუარებისათჳს განჰკაცენ და ივნე ვნებულთა განკურნებისათჳს, აწ, უფალო მოწყალეო, რაჲსათჳს უცოდველი ესე დაბადებული შენი ცოდვათა ჩუენთა სამხილებელად იგუემების ეშმაკისაგან? შენ, წყალობააურაცხელო ღმერთო, ულხინე და განათავისუფლე ესე ყოველთაგან ჭირთა და სიხარული მიეც მშობელთა ამისთა“. და ჯუარი დასწერა ყრმასა მას და მისცა დედასა მისსა განკურნებული, რამეთუ მწრაფლ-ხოლო სიბრძნით აღიტყუა უტყჳ იგი და კეთილად ესმოდა უსმსა მას, რაჟამს განიოტა მისგან ეშმაკი იგი ბოროტი ლოცვამან ნეტარისა მის კაცისამან. და რომელთა იხილეს საკჳრველი ესე, ადიდებდეს ღმერთსა.

მვ. ხოლო დედაკაცმან მან მოიყვანა ქმარი თჳსი და შესაწირავად ორი ზროხაჲ მიუძღუანა ეტჳფანეს, არამედ მან მიანიჭა

ის და მისი ძე თავიანთ გზაზე. ეს ბიჭი სიბერემდე კარგად ცხოვრობდა და ადიდებდა ღმერთს.

45. და კიდევ, ვიღაც სხვა მორწმუნე ადამიანებს ჰყავდათ შვილი, პატარა ბიჭი, მტრისგან ტანჯული შობიდანვე, იყო რა ყრუ, მუნჯი და გონებანაკლული, ხოლო ტანის შესახედაობით საღი ჩანდა და იზრდებოდა ისე, როგორც სხვა ბავშვი, როდესაც გახდა იგი ათი წლის, იმ დროს მამა ეპიფანე ითქმოდა სასწაულთმოქმედად, რომელიც მივიდა იმ სოფელში, სადაც იყო ეს ტანჯული ბავშვი; დედამ წაიყვანა ბავშვი იმ გზაზე, მამა ეპიფანეს[150] რომ უნდა გაევლო, და დაინახა რა იგი, ევედრებოდა მას მწარე ცრემლით და მტკიცე სარწმუნოებით თავისი ძის გამო, ამ ნეტარმა კი, ტიროდა რა კვნესით, ტკივილიანად წარმოთქვა: „ქრისტე ღმერთო, რომელიც კაცთმოყვარების გამო განკაცდი და იტანჯე ტანჯულთა განკურნებისთვის, ახლა, უფალო მოწყალეო, რად იგვემება ეშმაკისგან შენი ეს უცოდველი დაბადებული ცოდვათა ჩვენთა სამხილებლად? შენ, წყალობააურაცხელო ღმერთო, შვება მიეცი და გაათავისუფლე იგი ყველა ჭირისგან და სიხარული მიეცი მის მშობლებს“. და გადასწერა ჯვარი ბავშვს და მისცა იგი თავის დედას განკურნებული, რადგან მყისვე ბრძნულად ამეტყველდა ეს მუნჯი და კარგად ესმოდა მას, უსმენოს, როდესაც განდევნა მისგან ბოროტი ეშმაკი ამ ნეტარი კაცის ლოცვამ, და ვინც ნახა ეს საკვირველება, ადიდებდა ღმერთს.

46. იმ დედაკაცმა კი მოიყვანა თავისი ქმარი და შესაწირავად ორი ძროხა უძღვნა ეპიფანე, მაგრამ მან აჩუქა ეს

ზროხად იგი ყრმასა მას განკურნებულსა და აკურთხნა იგინი. და სიხარულით წარვიდეს და მადლი მისცეს ღმერთსა.

ეზ. ესევე ნეტარი ეტჳფანე ოდესმე მივიდა წინაშე დიდისა აბულასათისა ჟამსა მკისასა როჭიკისა თხოვად ხანცთისათჳს. ხოლო მან ჰრქუა: „ძმათა შენთა დღესა შინა ერთსა რად მკონ, მიმიცემია“. და აბულასად ესევე ამცნო ცოლსა თჳსსა, რამეთუ იყო გუნათლეს, და თჳთ წარვიდა სხუად ქუეყანად. ხოლო ეტჳფანე შეიკრიბნა ძმანი თჳსნი კეთილადმომკალნი და მიიწინეს გუნათლეს სიტყჳსაებრ პირველთქუმულისა [204]. და იწყეს მკად კეთილსა ყანასა, ვიდრე განზოგებადმდე დღისა მის, ფრიადითა გულსმოდგინებითა. ხოლო კაცთა ვიეთმე უკეთურთა აუწყეს დედუფალსა თჳსსა, ვითარმედ სრულიად მოჰმკიან ვიდრე მწუხრადმდე იფქლსა მას ფრიად კეთილსა. ხოლო შეიურვა და მიავლინა კაცი, რადთა არღარა მკიდენ. და ეპიფანე ძმათა მათ ეშორა და მივლინებულსა მას არა უსმინეს.

ხოლო მან რისხვით სხუანი კაცნი მიავლინნა და მძლავრებით განასხნეს ყანისა მისგან. მაშინ მამად ეპიფანე ძმათა მათ დაუბრკოლდა არასმენისა მისთჳს, რომელცა-იგი პირველ მოევლინა კაცი, რამეთუ ჭეშმარიტად იყო იგი ქრისტჱს მონად და არა უნდა შფოთისა ხილვად, ამისთჳს თქუა ესრეთ: „უფალო, შეუნდვე მჴევალსა შენსა ჩუენი ესე შეურაცხებად და უმჯობესი იზრუნე მისთჳს განსაცდელთა მიშუებითა მცირედ, რადთა ისწაოს არაგმობად გლახაკთად“.

და მუნთქუესვე დასცა იგი სულმან უკეთურმან, რამეთუ კადნიერებისა მისთჳს განეშორა სული მადლისად. და მწრაფლ-ხოლო აცნობეს ეპიფანეს. ხოლო იგი მივიდა და ძმანი მისნი მისთანა და ყოველთა გულითა ულოცეს. ფრიად საწყალობელად იყო

ძროხები იმ განკურნებულ ბავშვს და აკურთხა ისინი, რომლებიც გახარებულები წავიდნენ და მადლობა უძღვნეს ღმერთს.

47. ეგევე ნეტარი ეპიფანე ერთხელ მივიდა დიდ აბულასათთან მკის დროს, ხანცთისთვის როჭიკის[151] სათხოვად, ხოლო მან უთხრა: „შენი ძმები ერთ დღეში რასაც მომკიან, მომიცია. აბულასათმა ეგევე ამცნო თავის ცოლს, რადგან იყო გუნათლეში მცხოვრები და თვითონ წავიდა სხვა მხარეში. ეპიფანემ შეკრიბა თავისი ძმები, კარგი მომკელები, და მივიდნენ გუნათლეში პირველთქმული სიტყვისამებრ. დაიწყეს მათ კარგი ყანის მკა დიდი გულმოდგინებით ვიდრე დღის განახევრებამდე, ხოლო ვიღაც უკეთურმა ადამიანებმა აცნობეს თავიანთ ქალბატონს, რომ საღამომდე მთლიანად მომკიდნენ ისინი ძალიან კარგ ხორბალს. მანაც დაიმწუხრა და გააგზავნა მათთან კაცი, რომ აღარ მკიდნენ. ეპიფანე ძმებისგან მოშორებული იყო, იმათ კი ქალბატონისგან გაგზავნილს არ მოუსმინეს.

ხოლო ქალბატონმა გულისწყრომით გააგზავნა სხვა კაცები, რომლებმაც ძალით გააძევეს ისინი იმ ყანიდან. მაშინ მამა ეპიფანე გაუნაწყენდა[152] ძმებს, რომ მათ არ ისმინეს იმ კაცისა, რომელიც თავდაპირველად იყო გამოგზავნილი, რადგან იგი (ეპიფანე) ჭეშმარიტად იყო ქრისტეს მონა და არ უნდოდა შფოთის ხილვა. ამის გამო ასე თქვა მან: „უფალო, შეუნდე შენს მხევალს ეს ჩვენი შეურაცხყოფა და უმჯობესი იზრუნე მისთვის განსაცდელთა დაშვებით მცირედ, რომ ისწავლოს მან არდაგმობა გლახაკებისა“.

და მაშინვე დასცა ის ქალი უკეთურმა სულმა, რადგან თავისი კადნიერების გამო გაშორდა მას მადლის სული. მყისვე აცნობეს ეს ეპიფანეს, ხოლო იგი მივიდა მასთან თავის

იგი და მწრაფლ განიკურნა, რამეთუ კუალად დაემკჳდრა მისთანა სული მადლისაჲ მცველად უკუნისამდე და არღარა ევნო. და მიერითგან კეთილად შეიცვალა იგი და შეუვრდა ეტჳფანეს და ძმათა მათ. და დიდითა კეთილითა განუტევნა იგინი სიხარულით.

რამეთუ ქრისტემან შეამკვნა სასწაულითა და სიმდაბლითა ვითარცა მამაჲ გრიგოლ, ეგრეთვე მოწაფენი მისნი სიტყჳსაებრ მოციქულისა, ვითარმედ: „სიმდაბლე ეგე თქუენი ცხად იყავნ“. ამისთჳსცა ცხადად იხილვა გარდარეული სიმდაბლე ეპიფანესი ესრეთ.

ᲛᲒ. იყო ოდესმე, ჟამსა რომელსამე [ვ] ძმანი ვინმე, კეთილნი მონაზონნი, მოსრულ იყვნეს ნეძჳთ და მარტოდ უბნობასა შინა ნეტარმან მამამან გრიგოლ ჰრქუა მათ: „სიმდაბლე სრული საქმით და არა სიტყჳთ არსა მონასტერსა თქუენსა შორის ძმათა?“ ხოლო მათ ჰრქუეს: „არს ლოცვითა შენითა, ვითარცა თჳთ უწყი“. და სიტყუასა მათსა თანა ჟამსა ხოლო ჰრეკეს ჟამისწირვისათჳს. და ვითარ ჟამსა დაიწყო ნეტარმან გრიგოლ, ჰკითხა დეკანოზმან საერო ჟამისმწირველისაჲ, ხოლო მან ეპიფანესი ბრძანა ჟამისწირვაჲ, რამეთუ იგი დაედგინა მამასახლისად ხანცთას. და ეტჳფანე შეიმოსა ჟამისწირვად და სხუანიცა მღდელნი მის თანა, რამეთუ იყო დღᲔ იგი კჳრიაკე. და ვითარცა აღვიდეს საკურთხეველად და ეტჳფანე „წმიდაო ღმერთოჲსა“ წინა ასამაღლებელსა იწყო თქუმად, აღვიდა ხოლო საკურთხეველად მამაჲ გრიგოლ და კუერთხითა სცა თავსა და ჰრქუა: „დადუმენ“. ხოლო იგი შეუშფოთებელად დადუმნა. და უბრძანა სადიაკონედ წარსლვაჲ და განძარცუვაჲ.

ძმებთან ერთად და მთელი გულით ულოცეს, იყო რა იგი ძალიან საწყლად, და მყისვე განიკურნა, რადგან კვლავ დამკვიდრდა მასთან მადლის სული მის მცველად უკუნისამდე და აღარ ვნებულა. მაშინვე სიკარგით შეიცვალა იგი, შეუვრდა ეპიფანეს და მის ძმებს და დიდი სიკეთით გაუშვა ისინი გახარებულნი.

მართლაც, ქრისტემ შეამკო სასწაულითა და თავმდაბლობით როგორც მამა გრიგოლი, ასევე მისი მოწაფეები, მოციქულის სიტყვისებრ: „თქვენი ეგ სიმდაბლე ცხადი გახდეს!“[153] ამის გამო ცხადლივ გამოჩნდა ეპიფანეს მეტისმეტი თავმდაბლობა ამგვარად:

48. მოხდა ერთხელ, რომ რომელიღაც ჟამს ვიღაც ძმები, კეთილი მონაზვნები, მოსულები იყვნენ ნეძვიდან და განცალკევებით საუბრისას ნეტარმა მამა გრიგოლმა უთხრა მათ: „სრული თავმდაბლობა საქმით და არა სიტყვით არის კი თქვენს მონასტერში ძმათა შორის?“ მათ უთხრეს: „არის შენი ლოცვით, როგორც თვითონვე იცი“. მათს ამ სიტყვაზე დარეკეს ჟამი[154] ჟამისწირვისთვის და როდესაც ნეტარმა გრიგოლმა დაიწყო ჟამი[155], ჰკითხა მას დეკანოზმა[156] საზოგადო ჟამისმწირველის[157] შესახებ, ხოლო მან ეპიფანესთვის ბრძანა ჟამისმწირველობა, რადგან იგი ჰყავდა დადგენილი ხანცთაში მამასახლისად. ეპიფანე შეიმოსა ჟამის შესაწირად და სხვა მღვდლებიც მასთან ერთად, რადგან კვირა იყო ის დღე. როდესაც ავიდნენ საკურთხეველთან და ეპიფანემ „წმიდაო ღმერთო“-ს[158] წინა ასამაღლებლის[159] თქმა დაიწყო, საკურთხეველთან ავიდა აგრეთვე მამა გრიგოლი, კვერთხი დაარტყა თავზე ეპიფანეს და უთხრა: „დადუმდი!“, ხოლო იგი უშფოთველად დადუმდა. უბრძანა მას გრიგოლმა სადიაკონეში[160] წასვლა და განმოსვა.

მაშინ ყოველი ერი განკჳრვებისა ზარმან აღავსო. ხოლო იგი წარვიდა და განიძარცუა და მივიდა და დადგა წინაშე მოძღურისა თჳსისა მყოვარჟამ. და კუალად უბრძანა შემოსაჲ და ჟამისწირვაჲ. და იგი სიხარულით შეიმოსა და შეუვრდა ნეტარსა გრიგოლს. ხოლო მან ჯუარი დასწერა; და აღვიდა იგი საკურთხეველად, მძლე ამპარტავანებისა სენთა, და იწყო შეწირვად მსხურპლთა მათ უსისხლოთა. არამედ მიზეზი საქმისაჲ ამის ვერვინ იკადრა კითხვად წმიდისა მის, ვიდრემდის თჳთ უბრძანა ძმათა მათ ნეძუელთა.

„იხილეთდა, ძმანო საყუარელნო, სიმდაბლე საქმით სრული ეპიფანესი? გრწმენინ ჩემი, ჭეშმარიტსა ვიტყჳ წინაშე ღმრთისა: არარაჲ ბრალი [205] უქმნიეს მას, რამეთუ ღმრთისმოშიშებისა და სიწმიდისა და სიმდაბლისა მისისათჳს მარადის მადლი სულისა წმიდისაჲ დადგრომილ არს მის თანა. ხოლო არს სიმდაბლე დამდაბლებულისაჲცა ბრალთაგან, არამედ რაჲ სწორებაჲ არს ნათლისა და ბნელისაჲ, რამეთუ ჭეშმარიტისა ნათლისა სამოსელი ჰმოსია სიმდაბლითა სარწმუნოჲთა შემკობილთა მრავალთა შორის ძმათა ამათ. და ესე თქუენისა ხილვისათჳს ვყავ, რამეთუ სთქუთ ძმათა თქუენთა სრული საღმრთოჲ სიმდაბლე“.

ხოლო იგინი შეუვრდეს და ჰრქუეს, რამეთუ: „დაღაცათუ კეთილ არიან სათნოვებითა ძმანი მონასტრისა ჩუენისანი, არამედ ესე სიმდაბლე ვერ ძალ-უც“.

და ვითარცა ჟამი შეწირა ღირსმან ეპიფანე, ეზიარნეს ყოველნი წმიდასა მას საიდუმლოსა, ჴორცსა და სისხლსა ქრისტჱსსა და ერთობით მადლი მისცეს წმიდასა სამებასა, დამბადებელსა ყოველთასა.

მაშინ მთელი კრებული გაკვირვების თავზარმა აავსო, ხოლო ეპიფანე წავიდა და განიმოსა, შემდეგ მივიდა და დადგა თავისი მოძღვრის წინ ხანგრძლივად, მან კი კვლავ უბრძანა შემოსვა და ჟამისმწირველობა. ისიც სიხარულით შეიმოსა და შეუვრდა ნეტარ გრიგოლს, ხოლო მან ჯვარი გადასწერა და ავიდა საკურთხეველთან ეპიფანე, ამპარტავნების სენთა დამძლევი, და დაიწყო მან უსისხლო მსხვერპლთა შეწირვა. ამ საქმის მიზეზის კითხვა კი წმინდანისათვის ვერავინ იკადრა, ვიდრე თვითონ არ ბრძანა ეს ნეძველი ძმების მიმართ:

„ნახეთ, საყვარელო ძმებო, საქმით სრული თავმდაბლობა ეპიფანესი? გწამდეთ ჩემი, ჭეშმარიტს ვამბობ ღვთის წინაშე: არაფერი დანაშაული არ ჩაუდენია მას, რადგან მისი ღვთისმოშიშების, სიწმინდისა და სიმდაბლის გამო სულიწმინდის მადლი მუდამჟამს მასთან არის დავანებული. მართალია, არსებობს დამდაბლებულის თავმდაბლობა დანაშაულთა გამო, მაგრამ „რა თანასწორობა არის სინათლესა და სიბნელეს შორის?“[161] მართლაც, ჭეშმარიტი სინათლის სამოსელი ჰმოსავს მას ამ მრავალ ძმას შორის, რომლებიც ღირსეული თავმდაბლობით შემკობილები არიან. და ეს თქვენს დასანახად გავაკეთე, რადგან თქვით თქვენი ძმების სრული საღვთო სიმდაბლე“.

ისინი კი შეუვრდნენ და უთხრეს: „თუმცაღა კარგები არიან სათნოებით ჩვენი მონასტრის ძმები, მაგრამ ეს თავმდაბლობა არ ძალუძთ“.

და როდესაც ჟამი შეწირა[162] წმინდა ეპიფანემ, ყველანი ეზიარნენ წმინდა საიდუმლოს — ქრისტეს ხორცსა და სისხლს, და ერთობლივად უძღვნეს მადლობა წმინდა სამებას, ყოველთა დამბადებელს.

ᲛᲗ. ხოლო შატბერდისა მამათა შორის ფრიად იყვნეს შემ-
დგომითი-შემდგომად მონაზონებისა სიმჴნითა რჩეულ და
რომელნიმე წინაჯსწარმეტყველებისა მადლითა ბრწყინვალე სხ-
უათა მათებრ უდაბნოთა ჟამითი-ჟამად წმიდათა კაცთა
გამობრწყინვებითა, რომელთა შორის ჟამთა ჩუენთა ბრწყინვიდა
ჴევსა მას მიძნაძორჯსასა დიდი იაკობ, ვითარცა მთიები შორის
ვარსკულავთა, ზეშთა სიტყჳსა ჩუენისა შემკობილი მრავალ-
ფერითა მადლითა მოყუასთა თანა საღმრთოთა. არამედ წიგნისა
ამის განგრძობისათჳს მათ ყოველთა თანაწარვჰჴედ და მივედ
სასწაულთა ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისთა, რომელნიცა
ვისწავენ სარწმუნოთაგან კაცთა. ხოლო ყოველი ვერ შეუძლე
აღწერად უმეცრებისა გზითა, რამეთუ ვჰგონებდ ცხორებისა ამის
დაწერად ბრძენთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყვნეს
ჟამთა ჩუენთა: დიდი სოფრონ, სანატრელი მამაჯ, შატბერდისა ეკ-
ლესიისა განახლებით აღმაშენებელი და უკუნისამდე გჳრგჳნი
მისი, [ვ] და ღმერთშემოსილი მამაჯ ილარიონ პარეხელი, და
ქრისტჱს მღდელთმოძღუარნი ღირსნი გიორგი მაწყუერელი
ეპისკოპოსი და სტეფანე მტბევარი ეპიკოპოსი პირველი და სხუანი
მსგავსნი მათნი. და ვითარცა მათ ნეტართა დაიძინეს, მაშინღა
რეცა განმეღჳძა უცებსა ამას და ფრიადცოდვილსა ჴელყოფად
და აღწერად ცხორებაჯ და სასწაულნი ესე, რომელ აწ გესმნენ.

ნ. რამეთუ ოდესმე იყო ნეტარი გრიგოლ თჳსსა მას საყუ-
დელსა სენაკსა, და სენაკსა მას შინა ცეცხლი არაოდეს აღგზე-
ბულ იყო, არცა კანდელი აღნთებულ იყო, და არცა სხუათა ძმათა-
სა. და ჟამსა ცისკრისასა დეკანოზმან ჰრქუა მნათესა: „მივედ
მამისა და ისმინე, ჰსძინავს-ძი ანუ ჰღჳძავს“. და ვითარცა მივიდა,

49. ხოლო შატბერდის მამებს შორის ბევრი იყო შემდეგ
და შემდეგ მონაზვნობის მხნეობით გამორჩეული, ზოგი კი წი-
ნასწარმეტყველების მადლით მბრწყინავი, მსგავსად სხვა უდ-
აბნოებისა, სადაც ჟამიდან ჟამზე გამობრწყინდებოდნენ
წმინდა ადამიანები. მათ შორის ჩვენს დროს მიძნაძოროს
ხევში ბრწყინავდა დიდი იაკობი, როგორც მნათობი ვარსკვ-
ლავთა შორის, ჩვენს სიტყვაზე აღმატებულად შემკული,
საღვთო მეგობრებთან ერთად, მრავალგვარი მადლით; თუმცა
ამ წიგნის გავრცობის შიშით გვერდი ავუარე ყველა მათგანს
და მივედი ჩვენი ნეტარი მამა გრიგოლის სასწაულებამდე,
რაც კი გავიგეთ სარწმუნო ადამიანებისგან. ამასთან,
ყველაფრის აღწერა ვერ შევძელი უმეცრების გამო, რადგან
ვფიქრობდი, რომ მის ცხოვრებას დაწერდნენ ბრძენი და
სრულქმნილი მამები, რომლებიც იყვნენ ჩვენს დროში: დიდი
სოფრონი, სანატრელი მამა, შატბერდის ეკლესიის განახლე-
ბით აღმშენებელი და უკუნისამდე მისი გვირგვინი, ასევე
ღმერთშემოსილი მამა ილარიონ პარეხელი და ღირსი
მღვდელთმოძღვრები ქრისტესი: გიორგი, მაწყვერელი ეპის-
კოპოსი, და სტეფანე, მტბევარი ეპისკოპოსი პირველი, ან
კიდევ მათი მსგავსი სხვები; მაგრამ როდესაც ამ ნეტარებმა
დაიძინეს, მაშინღა გამეღვიძა მე, უცოდინარსა და მეტად
ცოდვილს, რომ დამეწყო და აღმეწერა ცხოვრება და ის
სასწაულები, რასაც ახლა გაიგონებთ:

50. ერთხელ იყო ნეტარი გრიგოლი თავის სამყოფელ სენ-
აკში (ამ სენაკში, ისევე როგორც სხვა ძმების [სენაკებში],
ცეცხლი არასოდეს დანთებულა და კანდელიც[163] არ
ანთებულა). ცისკრის ჟამს დეკანოზმა უთხრა მნათეს[164]: „მიდი
მამასთან და მიაყურადე, სძინავს თუ ღვიძავს“, მან კი,

იხილა ბრწყინვალებაჲ დიდძალი შინაჲთგამო სენაკსა მას. მწრაფლ მორბიოდა და ჴმა ყო, ვითარმედ: „ცეცხლი აღდებულ არს სენაკსა შინა მამისასა“.

ჰრქუა მას დეკანოსმან: „დუმენ, შვილო, და ნუ გეშინინ! არა არს იგი ცეცხლი შემწუველი, გარნა სული ღმრთისაჲ განმანათლებელი“. რამეთუ მრავალგზის ეხილვა დეკანოზსა მას ხილვაჲ იგი დიდებული. და მი-ხოლო-ვიდა სენაკად და შთახედნა კედლისა ნაპრალსა და იხილა წმიდაჲ იგი ჴელგანპყრობით, და გუამით მისით გამოვიდოდეს ნათლისა ისარნი ჯუარისსახედ. და დიდებითა შემკულ იყო იგი და ესრეთ ბრწყინვიდა, ვითარცა მზჱ. ხოლო დეკანოზი იგი სიხარულით ჰმადლობდა ქრისტესა და მყოვარჟამ დააცადა ჟამისრეკაჲ, ვიდრემდის შეიცვალა სახილავი იგი.

ნა. და კუალად ოდესმე ჟამსა ყინულისასა ძმანი [206] ტყესა მას ხანცთისასა შთამოჰყრიდეს ძელსა. და მათთანა იყო ნეტარი გრიგოლ, მდგომარე ადგილსა საჩინოსა. და ძმაჲ ვინმე მოხუცებული ძნელსა ადგილსა ძელისა სავალსა განვიდოდა, და ძმათა მათ სხუათა უმეცრად ძელი ფრიად დიდი განუტევეს. და ვითარცა იხილა ძმამან მან ძელი იგი მძაფრიადმიმავალი, შეშინდა ფრიად და სივლტოლაჲ მისგან წარწყმდა, ჴმა-ყო დიდითა ჴმითა: „მამაო, შემეწიე!“ ხოლო მან ჯუარი დასწერა ძელსა მას და ჰრქუა: „სახელითა ქრისტჱსითა დადეგ, ძელო!“ და სიტყუამან მისმან, ვითარცა კლდემან უძრავმან, დააყენა ადგილსა მას მყაფარსა მყინვარსა ზედა მოქანებული საშინელად, და უბრძანა ძმასა მას გულდებულად განსლვაჲ. და ვითარცა იხილეს სასწაული ესე, დაუკჳრდა ძმათა მათ და ადიდებდეს ღმერთსა.

როდესაც მივიდა, დაინახა დიდძალი ბრწყინვალება სენაკში შიგნიდან, სწრაფად მორბოდა და დაიძახა: „ცეცხლია მოდებული მამის სენაკში“.

უთხრა მას დეკანოზმა: „დადუმდი, შვილო, და ნუ გეშინია! არ არის ის ცეცხლი დამწველი, არამედ - ღვთის სული ნათელმყოფელი“, რადგან ამ დეკანოზს მრავალგზის დაენახა ეს დიდებული სანახაობა და როცა მივიდა სენაკთან და შეიხედა კედლის ნაპრალში, დაინახა წმინდანი ხელგაწვდენით და მისი სხეულიდან გამოდიოდა სინათლის ისრები ჯვრისსახედ. და დიდებით იყო შემკული იგი და ისე ბრწყინავდა, როგორც მზე, ხოლო დეკანოზი სიხარულით ჰმადლობდა ქრისტეს და ხანგრძლივად დააყოვნა მან ჟამისრეკვა[165], სანამ არ შეიცვალა ეს სანახაობა.

51. და კიდევ, ერთხელ ყინვის დროს ძმები ხანცთის ტყეში ქვევით ყრიდნენ ძელს. მათთან იყო ნეტარი გრიგოლიც, გამოსაჩენ ადგილას მდგარი. რომელიღაც მოხუცებული ძმა ძელის გასავლელ ძნელ ადგილზე გადიოდა, სხვა ძმებმა კი, არ იცოდნენ რა ეს, ძალიან დიდი ძელი დაუშვეს. როდესაც ამ ძმამ დაინახა ძალუმად მომავალი ძელი, მეტად შეშინდა, გაქცევის ძალა მოესპო მას და დიდი ხმით დაიძახა: „მამაო, შემეწიე!“ მან კი ჯვარი გადასწერა ძელს და უთხრა: „ქრისტეს სახელით, შეჩერდი ძელო!“ და მისმა სიტყვამ, როგორც შეუძრავმა კლდემ, ფრიალო ადგილზე გააჩერა იგი, მყინვარზე საშინლად დაქანებული, ძმას კი უბრძანა გულდადებულად გასვლა. როდესაც ნახეს ეს სასწაული, გაუკვირდათ ძმებს და ადიდებდნენ ღმერთს.

ნბ. ამისსა შემდგომად ესე ნეტარი იყო ოდესმე მახლობელად შატბერდისა, და სარწმუნოებით მო-ვინმე-ვიდა მისსა დედაკაცი, რომელსა აქუნდა ჴელთა ძℭ თჳსი მცირე ვითარ ორისა წლისაჲ, რომლისა ჴელნი და ფერჴნი მტერისაგან მიხუმულ იყვნეს და პირი გარემიქცეულ იყო. ესე მოვიდა მრავლითა ცრემლითა და ძℭ თჳსი დააგდო წინაშე ფერჴთა მის წმიდისათა და ჰრქუა ესრეთ: „წმიდაო ღმრთისაო, კაცთაგან განწირულისა ამისთჳს წყალობა-ყავ, რამეთუ შემდგომად ღმრთისა შენდა მოვივლტი“. და იხილა რაჲ წმიდამან მან ფრიადი გოდებაჲ მისი, შეეწყალა, და იწყეს ცრემლთა მისთა დინებად, რომელნიცა საჴუმილ მჴდომსა ექმნნეს, რამეთუ კაცთაგან უხილავად [ვ] შესწუვიდა მძლავრსა მას უკეთურსა ეშმაკსა ლოცვანი გრიგოლისნი და განიოტებდეს მას.

მაშინ თქუა: „სახელი ქრისტℭსი განგჴდის, ეშმაკო, განეშორე უკუნისამდე ჩჩჳლისა ამისგან უმანკოჲსა“. და ჯუარი დასწერა. და მუნთქუესვე ივლტოდა სული იგი ბოროტი და განიკურნა ყრმაჲ იგი სრულიად. და მშობელი მისი სიხარულით ჰმადლობდა ღმერთსა და წმიდასა მას, და მხიარულნი წარვიდეს სახიდ თჳსსა და ყრმაჲ იგი კეთილად ცხოვნდა სრულიად.

ნგ. და კუალად სხუაჲ ვინმე იყო დედაკაცი სისხლისდინებითა გუემული მრავალთა ჟამთა. მას ესმა სასწული ესე და მივიდა გულსმოდგინედ წმიდისა მის და ვერ შემძლებელ იყო თჳსსა მას სენსა საანჯმნოყოფად, არამედ მდუმრიად სულთქუმით დაალტობდა ფერჴთა მისთა ცრემლითა და ითხოვდა კურნებასა. ხოლო ძმანი იგი მცირედ განეშორნეს წამისყოფითა ამის წმიდისაჲთა, რამეთუ ცნა სულითა ვნებაჲ იგი დაფარული და მისცა მარჯუენე თჳსი, რაჲთა შეემთხჳოს. და მან ყო ეგრეთ. და მასვე ჟამსა განიკურნა უძლურებისა მისგან და წარვიდა სიხარულით სახედ თჳსსა და ადიდებდა ღმერთსა.

52. ამის შემდეგ იყო ერთხელ ეს ნეტარი შატბერდის მახლობლად და მოვიდა მასთან სარწმუნოებით ვიღაც ქალი, ვისაც ხელთ ჰყავდა თავისი პატარა ძე დაახლოებით ორი წლისა, რომლის ხელები და ფეხები მტრისგან იყო წართმეული და პირი მოღრეცოდა. მოვიდა ეს ქალი ბევრი ცრემლით, თავისი ძე დააგდო წმინდანის ფერხთით და ასე უთხრა: „ღვთის წმინდანო, წყალობა უყავი ამას, ადამიანთაგან განწირულს, რადგან ღვთის შემდეგ შენსკენ მოვილტვი“. როდესაც დაინახა წმინდანმა მისი მეტისმეტი გოდება, შეებრალა და მისმა ცრემლებმა დენა დაიწყო, რაც ღუმელად გაუხდა მტერს, რადგან ადამიანებისთვის უხილავად წვავდა ამ ტირანს, უკეთურ ეშმაკს, გრიგოლის ლოცვები და დევნიდა მას.

მაშინ გრიგოლმა თქვა: „ქრისტეს სახელი გაძევებს, ეშმაკო, გაშორდი ამ უმანკო ჩვილს უკუნისამდე“. გადასწერა ჯვარი და მყისვე გარბოდა ბოროტი სული და მთლიანად განიკურნა ის ბავშვი, მისი მშობელი კი სიხარულით ჰმადლობდა ღმერთს და ამ წმინდანს. გახარებულები წავიდნენ ისინი თავიანთ სახლში და იმ ბავშვმა სავსებით ჯანმრთელად[166] იცოცხლა.

53. და კიდევ, იყო ვიღაც სხვა ქალი, დიდი ხნიდან სისხლისდენით ტანჯული. მან გაიგო ეს სასწაული, გულმოდგინედ მივიდა წმინდანთან და არ შეეძლო თავისი სენის გამოცხადება, არამედ მდუმარე ოხვრით ასველებდა მის ფეხებს ცრემლით და ითხოვდა განკურნებას. წმინდანის ნიშანზე ძმები ცოტა ხანს მოშორდნენ მათ, რადგან სულით ცნო მან დაფარული ვნებულება და მისცა მას თავისი მარჯვენა, რომ მიედო. მანაც გააკეთა ასე და მაშინვე განიკურნა უძლურებისგან; გახარებული წავიდა თავის სახლში და ადიდებდა ღმერთს.

ნდ. რამეთუ კეთილი სათნოებაჲ ნეტარისა მამისა გრიგოლისი საკჳრველებითა სავსე არს. რამეთუ მახლობელად შატბერდისა იყო ვინმე კაცი მდაბიოჲ და ესუა მას ცოლი და ესხნეს შვილნი, და აქუნდა ფრიად მონაგები. და სიხარულსა შინა იყო ცხორებაჲ მათი, რამეთუ კეთილადმორწმუნე იყვნეს იგინი. ხოლო დედაკაცსა მას უმჯობესისა მისისათჳს უძლურებაჲ შეემთხჳა, რაჲთა მართლისა მის კაცისა ჴელითა ქრისტემან განკურნოს და მჴდომი სრცხჳლეული განაქიქოს, რომელმანცა მანქანებითა მისითა ჴელთა მისთა ათნივე თითნი ნებთა მისთა ზედა დაჰკრნა და ძლიერად ჰგუემდა ტეხითა ბოროტითა. [207] მას ჟამსა საღმრთომან ცნობამან გულისჴმა-უყო ნეტარისა მამისა გრიგოლის ღირსებაჲ და მწრაფლ-ხოლო დედაკაცმან მან თანაწარიყვანა ერთი ძჳ თჳსი და მიიწია წინაშე ნეტარისა მის. ხოლო ნებითა ღმრთისაჲთა იყო წმიდაჲ აგარაკსა ერთსა შატბერდისასა. და იწყო ვედრებად მისსა მრავლითა ცრემლითა და გოდებითა უძლურებისა მისთჳს, რომელი შეემთხჳა მას. და ვითარცა იხილა სარწმუნოებაჲ და ცრემლნი მისნი, შეეწყალა იგი ფრიად. მაშინ უბრძანა ერთსა მღდელთაგანსა წარსლვაჲ ეკლესიად და მოღებად ევლოგიაჲ, ზეთი კანდლისა მისგან, რომელიცა უკუდავად ენთებინ წინაშე ხატსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა. და თჳთ დადგა ჴელგანაყრობით ლოცვად წინაშე ღმრთისა, სულთქუმითა დაუდუმებელითა და ცრემლითა წყაროებრ მდინარითა, ვიდრე მოსლვადმდე მღდელისა მის, და რაჟამს მოიღო ზეთი იგი კანდლისაჲ მის, მოუწოდა დედაკაცსა მას და ჴელთა მისთა ჯუარი დასწერა და ზეთი იგი ჯუარისსახედ სცხო სახელითა წმიდისა სამებისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და თქუა: „იქმნენინ განკურნებულ ჴელნი შენნი“. და მუნთქუესვე განემართნეს ყოველნი იგი თითნი მისნი და ყოლადვე არღარა იპოვა ვნებაჲ მის თანა, რამეთუ მავნებელი იგი ეშმაკი ზარგანჴდილი ივლტოდა ლოცვათაგან ნეტარისა გრიგოლისთა. და ესრეთ სიხარულით წარვიდა სახიდ თჳსად და ადიდებდა ქრისტესა ღმერთსა.

54. ნეტარი მამა გრიგოლის კარგი სათნოება საკვირველებით არის სავსე, რადგან შატბერდის მახლობლად იყო ვიღაც მდაბიო კაცი, რომელსაც ჰყავდა ცოლი და ჰყავდა შვილები, ამასთან ჰქონდა დიდი ქონება და სიხარულში იყო მათი ცხოვრება, რადგან კეთილმორწმუნეები იყვნენ ისინი, მაგრამ ქალს მისდა სასიკეთოდ უძლურება შეემთხვა, რომ ამ მართალი კაცის ხელით ქრისტეს განეკურნა იგი და მტერი კი შერცხვენილი განექიქებინა, რომელმაც თავისი მზაკვრობით მისი ხელების ათივე თითი მის ხელისგულებს დააკრა და ძალუმად ტანჯავდა ბოროტი ტეხით. მაშინ საღვთო მცნობელობამ მიახვედრა მას ნეტარი მამა გრიგოლის ღირსება. ამ ქალმა დაუყოვნებლივ თან წაიყვანა თავისი ერთი ძე და მივიდა ამ ნეტართან (ღვთის ნებით, წმინდანი იმყოფებოდა შატბერდის ერთ-ერთ დაბაში), დაიწყო მისდამი ვედრება ბევრი ცრემლით და იმ უძლურებაზე გოდებით, რაც მას შეემთხვა. როდესაც გრიგოლმა ნახა მისი სარწმუნოება და ცრემლები, შეებრალა იგი ძალიან. მაშინ უბრძანა მან ერთ მღვდელთაგანს ეკლესიაში წასვლა და მოტანა ევლოგიისა[167], — იმ კანდელისგან, რომელიც ჩაუქრობლად ანთია წმინდა ღვთისმშობლის ხატის წინ, თავად კი დადგა ხელგაწვდენით, ღვთის წინაშე სალოცავად, დაუდუმებელი ოხვრითა და წყაროსებრ მდინარე ცრემლით, ვიდრე იმ მღვდლის მოსვლამდე, და როდესაც მიიღო იმ კანდელის ზეთი, მოუხმო ამ ქალს, მის ხელებს ჯვარი გადასწერა, სცხო ზეთი ჯვრისსახედ წმინდა სამების სახელითა და წმინდა ღვთისმშობლის მეოხებით და თქვა: „განკურნებული იყოს შენი ხელები“. მყისვე გასწორდა მისი ყველა თითი და საერთოდ აღარ დააჩნდა მას ვნებულება, რადგან მავნებელი ეშმაკი თავზარდაცემული გარბოდა ნეტარი გრიგოლის ლოცვებით. ასე სიხარულით წავიდა იგი თავის სახლში და ადიდებდა ქრისტე ღმერთს.

და კუალად დედაკაცმან მან წარიყვანა ქმარი და შვილნი თჳსნი და ფრიადი შესაწირავი მიუძღუანა წმიდასა მას. და ყოველთა მიიღეს კურთხევაჲ და წარვიდეს მხიარულნი სასწაულისა მქადაგებელნი შორის მრავალთა.

ნე. [ვ] ხოლო ჟამთა ამის წმიდისათა ჴელმწიფემან აშოტ კურაპალატმან დაიპყრნა მრავალნი ქუეყანანი და აღაშენა ციხე არტანუჯისაჲ საცხორებელად დედუფლისა, მეუღლისა თჳსისა. და მას შინა კეთილად ცხოვნდებოდა მრავალთა წელიწადთა. ხოლო აცთუნა მტერმან ჴელმწიფჱ იგი და მოიყვანა მან დედაკაცი სიძვისაჲ ციხესა მას შინა, რომლისა თანა იმრუშებდა, რამეთუ ეშმაკი ტრფიალებისაჲ ფრიად აზრზენდა, რომელსა პირველ არა აქუნდა ეგევითარი ჩუეულებაჲ, არამედ ძლეულ-იქმნა ბოროტითა მით ცოდვითა. და ვითარცა ესმა ნეტარსა გრიგოლს საქმე იგი სულისა განმხრწნელი, შეწუხნა ფრიად. და აუწყა წმიდასა გრიგოლს, დიდსა მას მოხუცებულსა, რომელი მკჳდრ იყო ეკლესიათა, რამეთუ იყო იგი სასწაულთამოქმედ და დიდად პატივცემულ ღმრთისა და კაცთაგან, და განზრახვითა მისითა ამხილა პირისპირ ჴელმწიფესა მას. ხოლო მან აღუთქუა ცოდვისა მის განტევებაჲ და დედაკაცისა მის წარგზავნაჲ, ვინაჲცა მოეყვანა იგი. და ვერ დაამტკიცა თჳსი ბრძანებაჲ, რამეთუ დაემონა გულისთქუმასა.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ პოვა ჟამი მარჯუე, ოდესცა კურაპალატი შორს იყო არტანუჯსა. დღესა ერთსა შატბერდით წარვიდა და მიიწია მიმწუხრი ძირსა მის ციხისასა. და კაცი მიუვლინა დედაკაცსა მას ჭამადისა თხოვად და მუნ დადგომისა მიზეზი შეუთუალა. ხოლო მან სიხარულითა დიდითა განიხარა და

და კიდევ, ამ ქალმა წაიყვანა ქმარი და თავისი შვილები და დიდი შესაწირავი უძღვნა წმინდანს. ყველა მათგანმა კურთხევა მიიღო და წავიდნენ გახარებულები, ქადაგებდნენ რა სასწაულს მრავალთა შორის.

55. ხოლო ამ წმინდანის დროს ხელმწიფემ აშოტ კურაპალატმა დაიპყრო ბევრი მხარე და ააშენა არტანუჯის ციხე დედოფლის, თავისი მეუღლის საცხოვრებლად და ამ ციხეში კარგად ცხოვრობდა იგი მრავალი წელი. მაგრამ აცთუნა მტერმა ეს ხელმწიფე და მოიყვანა მან ციხეში მეძავი ქალი, რომელთანაც მრუშობდა, რადგან ავხორცობის ეშმაკი მეტად აღაგზნებდა მას და თუმცა ადრე არ ჰქონდა ამგვარი ჩვეულება, დამარცხდა იგი ამ ბოროტი ცოდვით. როდესაც გაიგო ნეტარმა გრიგოლმა ეს სულის გამხრწნელი საქმე, შეწუხდა ძალიან და შეატყობინა ამის შესახებ წმინდა გრიგოლს, დიდ მოხუცებულს, რომელიც ეკლესიებში მკვიდრობდა, რადგან იყო იგი სასწაულთმოქმედი და დიდად პატივცემული ღვთისა და კაცთაგან; მისი თანხმობით პირისპირ ამხილა მან ხელმწიფე, რომელმაც აღუთქვა ამ ცოდვის მოშორება და იმ ქალის იქ გაშვება, საიდანაც[168] მოეყვანა, მაგრამ ვერ განახორციელა თავისი ბრძანება, რადგან დაემონა გულისწადილს.

ხოლო ნეტარმა გრიგოლმა იპოვა შესაფერისი დრო, როდესაც მეფე არტანუჯიდან შორს იყო, ერთ დღეს წავიდა შატბერდიდან, საღამოთი მივიდა იმ ციხის ძირას, გაუგზავნა კაცი იმ ქალს საჭმლის სათხოვად და იქ გაჩერების მიზეზი შეატყობინა, მან კი დიდი სიხარულით გაიხარა და

მრავალფერი სანოვაგე წარცა წმიდისა მისთჳს [208] და მოწაფეთა მისთა.

და ვითარცა განთენა, კუალად მიუვლინა კაცი, რაჲთა მივიდეს ხილვად მისა. მაშინ უფროჲსად განმხიარულებული მწრაფლ მოვიდა წმიდისა მის ორთა თანა მჴევალთა თჳსთა, რაჲთამცა ღირს-იქმნა ჯუარსა ნეტარისა მის კაცისასა. ხოლო მან არა დასწერა ჯუარი, არამედ უბრძანა განშორებულად დაჯდომაჲ. და მოწაფენი კიდე-რე განდგეს წამისყოფითა მოძღურისა თჳსისაჲთა და ეგრეთვე - მსახურნი იგი დედანი, რამეთუ წმიდისა მის შიში ყოველთა ზედა მიფენილ იყო.

მაშინ ჰრქუა მას ნეტარმან გრიგოლ: „ჰ საწყალობელო! რაჲსათჳს შორის ცოლ-ქმართა შთაჭრილხარ წარსაწყმედელად შენდა საუკუნოდ ბოროტითა მით ცოდვითა, რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკისადა და ცუდითა რაჲთმე მიზეზითა საფრჴე ქმნულხარ დიდისა ჴელმწიფისადა?“

ხოლო მან ცრემლით ჰრქუა: „წმიდაო ღმრთისაო, მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალ ვარ, ვინაჲთგან გარდარეული სიყუარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა და აწ არაჲ უწყი, თუ რაჲ ვყო, რამეთუ ბრძანებამან სიტყუათა შენთამან შემაძრწუნა ფრიად“. ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: „შვილო, იქმენ სრულიად მორჩილ სიტყუათა ჩემ გლახაკისათა და მე თავსმდებ-გექმნე ქრისტჱს მიმართ, რაჲთა მან თავადმან ყოველნი ბრალნი შენნი შეგინდვნეს“. და მან ჰრქუა: „წმიდაო მამაო, ჴელთა შენთა ვარ, უმჯობესი სულისა ჩემისაჲ იზრუნე“. მაშინღა ჯუარი დასწერა და აკურთხა ლოცვითა და შეჭურა მადლითა და მისცა თჳსთა ჴამლთა საბელი, რაჲთა სარტყლად შეირტყას. და მან ყო ეგრეთ. [ვ] და წმიდამან მან ჰრქუა: „შვილო ჩემო, დღეს იქმნა ცხორებაჲ სულისა შენისაჲ, რამეთუ სანატრელისა დედისა ფებრონიაჲს წინაშე მიგიყვანებ შენ“. და მან განიხარა ფრიად. ხოლო ნეტარმან გრიგოლ უბრძანა მჴევალთა მათ მისთა წარსლვაჲ ციხედვე, და დედაკაცსა მას ჰრქუა: „შვილო ჩემო, წარემართე და ვიდოდე წი-

მრავალნაირი სანოვაგე გასცა წმინდანისა და მისი მოწაფეებისათვის.

როდესაც გათენდა, გრიგოლმა კვლავ გაუგზავნა მას კაცი, რომ მისულიყო მის სანახავად. მაშინ იგი, უფრო მეტად გახარებული, მყისვე მოვიდა წმინდანთან თავისი ორი მხევლითურთ, რომ ღირსი გამხდარიყო ამ ნეტარი კაცის ჯვრისა. მაგრამ მან არ გადასწერა ჯვარი, არამედ უბრძანა მოშორებით დაჯდომა, მოწაფეები კი და, აგრეთვე, მსახური ქალებიც გვერდზე გადგნენ მათი მოძღვრის ნიშანზე, რადგან ყველაზე იყო მიფენილი ამ წმინდანის შიში.

მაშინ უთხრა მას ნეტარმა გრიგოლმა: „ჰოი, საბრალოვ! რად შეჭრილხარ ცოლ-ქმარს შორის საუკუნოდ შენს წარსაწყმედად ამ ბოროტი ცოდვით, რომლითაც დამონებული ხარ ეშმაკისადმი და უკეთური რამ მიზეზით საფრთხე გამხდარხარ დიდი ხელმწიფისათვის?“

მან კი ცრემლით უთხრა: „ღვთის წმინდანო, მე ჩემს თავზე არ მაქვს თავისუფლება, ვინაიდან მეტისმეტი სიყვარული აქვს ჩემდამი კურაპალატს და ახლა არ ვიცი, რა ვქნა, რადგან იმ სიტყვებმა, შენ რომ ბრძანე, შემაძრწუნა მეტად“. წმინდანმა უთხრა: „შვილო, გახდი მთლიანად მორჩილი ჩემი, გლახაკის, სიტყვებისა და მე გაგიხდები თავდები ქრისტეს მიმართ, რათა მან თავად შეგინდოს შენ ყველა შენი დანაშაული“. და მან უთხრა: „წმინდა მამაო, შენს ხელთ ვარ, ჩემი სულისთვის უკეთესზე იზრუნე“. მაშინღა გადასწერა მას ჯვარი, აკურთხა ლოცვით, აღჭურვა მადლით და მისცა თავისი ფეხსაცმლების ზონარი, რომ შემოერტყა სარტყლად. მანაც ასე გააკეთა. და უთხრა წმინდანმა: „ჩემო შვილო, დღეს მოხდა შენი სულის გადარჩენა, რადგან სანატრელ დედა ფებრონიასთან მიგიყვან შენ“, და მან გაიხარა ძალიან. მის მხევლებს ნეტარმა გრიგოლმა უბრძანა ციხეშივე წასვლა, იმ ქალს კი უთხრა: „ჩემო შვილო, გამოემართე და იარე ჩვენს

ნაშე ჩუენსა“. და ესრეთ მოიყვანა იგი მერეს, რამეთუ პირველვე განზრახვად ნეტარისა დედისად თანა-იყო, და შეჰვედრა იგი მას და ჰრქუა: „იღუაწე ესე ჯერისაებრ, იღუაწე, და რაჟამს ძიებაყოს კურაპალატმან, ... რამეთუ ჰხედავ გულსა ამისსა შემუსრვილსა“. ხოლო მან თქუა: „ქრისტემან კეთილად იზრუნოს მჴევლისა თჳსისათჳს, რომელიცა პოვა შენ მიერ, ღირსო მამაო“.

და მრავალჟამ მარტოდ უბნობდეს ნეტარნი ესე. და ესრეთ იყო ჩუეულებადცა მისჟამისა წინამძღუართა მამათად, რამეთუ თჳნიერ დედისა ფებრონიადს განზრახვისა საქმე არად ჴელ-ყვიან. ხოლო დათაგანი ვინმე მახლობელად მათსა წარჰვლიდა და ესმა ერთი სიტყუად, ხოლო სხუასა ვერღარა იკადრა სმენად. რამეთუ წმიდამან გრიგოლ ჰრქუა ნეტარსა ფებრონიას, ვითარმედ: „რად გრქუა შენ ანგელოზმან?“ რამეთუ ღმერთი იყო ყოლადვე მათ შორის.

ხოლო რაჟამს მიიწია კურაპალატი ციხედ, იკითხა ხოლო დედაკაცი იგი. და ვითარ არა იპოვა, ფრიად შეეურვა, გულისჴმაყო რად ყოველი იგი ყოფილი საქმე, და რამეთუ არა ღონითა რადთმე კაცობრივთა მახეთადთა იყო ტრფიალ მისა მიმართ ჴელმწიფე იგი, არამედ ეშმაკისა მანქანებითა ესოდენ ძლეულ იყო, რომელ თავმოთნეობად დაავიწყდა და მწრაფლ [239] ხოლო მოვიდა მერეს. ხოლო ნეტარმან ფებრონია დამალა დედაკაცი იგი. და ვითარ ილოცა კურაპალატმან ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობელისასა და მიიღო ლოცვად დედისა ფებრონიადსი, მაშინ იწყო სიტყუად: „უწყი-მეა, დედაო, რადსათჳს მოვედ აწ?“ ხოლო მან ჰრქუა: „უფალმან იცის, რადსათჳს ჰბრძანე აქა“. და მან ჰრქუა: „ამის მიზეზისათჳს იქმნა მოსლვად ჩემი, რამეთუ სახლისა ჩუენისა მეჭურჭლე ქალი იყო და ყოველი მონაგები ჩუენი ჴელთა მისთა იყო, და მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანებია, და ფრიადი დაგუაკლდა საფასეთა ჩუენთაგანი. აწ უბრძანე, რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს და ყოველი მოგჳთუალოს და კუალად თქუენდავე მოვიდეს, ვითარცა უნდეს“. ხოლო ფებრონია ჰრქუა მას

წინ“. ასე მოიყვანა იგი მერეში, რადგან თავიდანვე იყო ამაზე ნეტარი დედის თანხმობა. მას მიაბარა გრიგოლმა იგი და უთხრა: „უპატრონე ამას სათანადოდ, უპატრონე, და როდესაც კურაპალატი მოძებნის ...,[169] რადგან ხედავ ამის გულს დამსხვრეულს“. მან კი თქვა: „ქრისტე იზრუნებს კარგად თავისი მხევლისთვის, რომელიც იპოვა შენს მიერ, ღირსო მამაო“.

და დიდხანს საუბრობდნენ განმარტოებით ეს ნეტარები (ჩვეულებაც ასე იყო მაშინდელი წინამძღვარი მამებისა, რადგან დედა ფებრონიას თანხმობის გარეშე არცერთ საქმეს არ შეუდგებოდნენ). ხოლო რომელიღაც დათაგანი მათ ახლოს იყო ჩამვლელი და გაიგონა მან ერთი სიტყვა, სხვა სიტყვის მოსმენა კი ვეღარ გაბედა, რადგან წმინდა გრიგოლმა უთხრა ნეტარ ფებრონიას: „რა გითხრა შენ ანგელოზმა?“ მართლაც, ღმერთი იყო ყოვლითურთ მათ შორის.

ხოლო როდესაც მოვიდა კურაპალატი ციხეში, მოიკითხა ის ქალი და როდესაც ვერ იპოვა, ძალიან შეწუხდა, გაიგო რა მთელი მომხდარი საქმე, და რადგან არათუ კაცობრივ მახეთა რაღაც ხრიკით იყო ეს ხელმწიფე მისი მოტრფიალე, არამედ ეშმაკის მანქანებით იყო იმდენად ძლეული, რომ თავმოყვარეობა დაავიწყდა და დაუყოვნებლივ მოვიდა მერეში. მაგრამ ნეტარმა ფებრონიამ დამალა ქალი და როდესაც ილოცა კურაპალატმა წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიაში, ამასთან მიიღო დედა ფებრონიას დალოცვა, მაშინ დაიწყო ლაპარაკი: „იცი კი, დედაო, რატომ მოვედი ამჟამად?“ ხოლო მან უთხრა: „უფალმა იცის, რისთვის მობრძანდი აქ“. და მან უთხრა: „იმ მიზეზის გამო მოხდა ჩემი მოსვლა, რომ ჩვენი სასახლის [ერთი] მეჭურჭლე ქალი იყო და მთელი ჩვენი ქონება მის ხელთ იყო, მამა გრიგოლს კი აქ წამოუყვანია და ჩვენი საუნჯიდან ბევრი დაგვაკლდა. ახლა უბრძანე, რომ ერთხელ მოვიდეს ციხეში, ყველაფერი მოგვითვალოს და კვლავ

მკუეთრ: „მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთა თანა, რომელ-
ნი იქმან უშჯულოებასა“. ესე რაჲ ესმა კურაპალატსა, სრცხჳ-
ლეულ-იქმნა მართლმხილებისა მისგან კდემული და მყოვარჟამ
დადუმნა, ვითარცა ძლეული, რამეთუ ჴორციელად ძლიერსა
ჴელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლეს, შეჭურვილთა მათ
საღმრთოჲთა შურითა. ხოლო შეურვებულმან კურაპალატმან
გულისა შეჭირვებისაგან თქუა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა
ცოცხალ არსო“. და მწრაფლ-ხოლო აღდგა და წარვიდოდა.

მაშინ ნეტარი ფებრონია დაწყნარებულითა სულითა აყენებ-
და, რაჲთამცა ისტუმრა იგი და არა დაემორჩილა, რამეთუ მამხ-
ილებელად აქუნდა თჳსი გონებაჲ, და ნებაჲ რაჲ ჴორცთმოყ-
უარებისაჲ განეშორა და აუგი თჳსი გულისჴმა-ყო, ხოლო სული-
თა იხარებდა, სიბრძნემან რაჲ წარიოტა [ვ] სულმოკლებაჲ იგი
მავნებელი და აქებდა წმიდათა მათ მძლავრებასა, უფროჲს-ხოლო
ძლევისამომცემელსა ღმერთსა, და სიხარულით წარვიდა, რამეთუ
გულითა წმიდითა აქუნდა ნეტართა მათ პატივი, ვითარცა სულისა
მისისა საუკუნოდ გჳრგჳნოსანმყოფელთაჲ.

ნვ. არამედ ადარნერსე ჴელმწიფესა უფროჲსი ვნებაჲ
შეამთხჳა მტერმან, რომელიცა იყო ძჱ აშოტ კურაპალატისაჲ,
რამეთუ შესმენითა მეძვისა ქალისაჲთა, რომლისა თანა იმრუშებ-
და იგი, უსამართლოდ განიშორა სიცრუვითა სიძვისაჲთა სარწმუ-
ნოჲ ცოლი თჳსი და წარგზავნა ქუეყანად თჳსად აფხაზეთად,
ვინაჲცა მოეყვანა იგი. ხოლო ქრისტემან მონასა თჳსსა გრიგოლს
გამოუცხადა ყოველი იგი უსამართლოებაჲ, რომელიცა შეამთხ-
ჳეს უბრალოსა მას დედუფალსა. ამისთჳსცა მრავალგზის მხ-
ილებაჲ მიაწია ნეტარმან გრიგოლ ადარნერსეს ზედა, არამედ

თქვენთანვე მოვიდეს, როგორც ისურვებს“. მაგრამ ფებრონიამ
მკვეთრად უთხრა მას: „მომიზეზება ცოდვის მიზეზებისა იმ
ადამიანებთან, რომლებიც მოქმედებენ უსჯულოებას[170].
როდესაც ეს გაიგონა კურაპალატმა, მართლმხილებისგან
თავმოჭრილი შერცხვენილ იქნა და ხანგრძლივად დადუმდა
როგორც დამარცხებული, რადგან ხორციელად ძლიერ
ხელმწიფეს სულით ძლიერმა ადამიანებმა სძლიეს, აღჭურ-
ვილებმა საღვთო შურით, ხოლო შეწუხებულმა კურაპალატმა
გულის შეჭირვებისგან თქვა: „ნეტავი იმ კაცს, ვინც ცოცხალი
აღარ არის“, და დაუყოვნებლივ ადგა და მიდიოდა[171].

მაშინ ნეტარი ფებრონია დაწყნარებული სულით აჩერებ-
და მას, რომ ემასპინძლა, მაგრამ იგი არ დაემორჩილა,
რადგან მამხილებლად ჰქონდა თავისი გონება და რადგან,
ამასთან, გაშორდა რა ავხორცობის სურვილი, გაიაზრა მან
თავისი შერცხვენა, თუმცა სულით ხარობდა, რადგან სიბრძნემ
განდევნა მავნებელი სულმოკლეობა და აქებდა იგი
წმინდანთა ძალმომრეობას, უფრო კი გამარჯვების მომცემ
ღმერთს. წავიდა იგი სიხარულით, რადგან წმინდა გულით
ჰქონდა მას ამ ნეტართა, როგორც მისი სულის საუკუნოდ
გვირგვინოსანმყოფელთა, პატივისცემა.

56. ხოლო უფრო მეტი ვნება მტერმა მიაყენა ადარნერსე
ხელმწიფეს, რომელიც იყო აშოტ კურაპალატის ძე, რადგან
მეძავი ქალის ცილისწამებით, ვისთანაც მრუშობდა იგი, უსა-
მართლოდ მოიშორა თავისი ერთგული ცოლი, მეძავობის ცრუ
[ბრალდებით], და გაგზავნა იგი მის მხარეში, აფხაზეთში,
საიდანაც მოყვანილი ჰყავდა. მაგრამ ქრისტემ თავის მონას
გრიგოლს გამოუცხადა მთელი ეს უსამართლობა, რაც მიაგეს
უდანაშაულო დედოფალს. ამის გამო მრავალგზის მხილება
მოაწია ნეტარმა გრიგოლმა ადარნერსეზე, თუმცა ხელმწიფე

ჴელმწიფე იგი ცუდითა თავმოთნეობითა იძლია და მხილებაჲ მართლისა მის კაცისაჲ არა თაეს-იდვა, არამედ შესძინა ძჳრი ძჳრსა ზედა თჳსსა და სხუაჲ ცოლი შეირთო. მაშინ მამამან გრიგოლ უწინაჲსწარმეტყუელა, ბრალთა მათთჳს რაჲ-იგი შემთხუევად იყო მისდა მიშუებითა ღმრთისაჲთა. და ჰრქუა ესრეთ: „არასმენისათჳს სიტყუათა ჩემ გლახაკისათა მიეცე ბოროტთა სენთა და რომელ აწ ძენი გესხნენ, იგუემნენ ეშმაკთაგან, და ვერ განიკურნო შენ და ვერცა შვილნი იგი შენნი, ვიდრე არა შეინდოთ დედუფლისა მისგან, უსამართლოდ გაპატიჟებულისა მჴევლისა მის ღმრთისა; დაღაცათუ ჴორცთაგან განვიდეს იგი, არამედ საფლავთაგან [210] მისთა შე-ვე-ინდონ შვილთა შენთა. ხოლო შემასმენელი იგი მეძავი ადრე განაქიქოს ქრისტემან უფროჲს ყოველთა ცთომილთაჲსა ლირწად წარმდებებისა მისისათჳს და უკეთურებისა“.

ხოლო ადარნერსე სიტყუთაგან ნეტარისა გრიგოლისთა ფრიად შეშინდა და შეუვრდა წმიდასა მას. ხოლო მან აღადგინა და ჰრქუა: „ქრისტემან შენდობაჲ ბრალთაჲ მოგეცინ შენ, არამედ ესე უწყოდე, თქუმული ჩემი აღესრულოს ჟამსა თჳსსა, რაჲთა გულისჴმა-ყონ ყოველთა ნაყოფი ურჩებისაჲ“.

და შემდგომად მცირედთა დღეთასა შეემთხჳა ადარნერსეს სენი ტეხისაჲ წრდიალი, რომელსა ჰრქჳან ნიკრისი. და ტკივილთა მათგან იგუემებოდა მწარედ, რამეთუ მუნ ჟამადმდე ყოლადუჴნებელ იყო იგი. და მწრაფლ-ხოლო წარავლინა კაცი კეთილი, რომელსა ერქუა კუპრა, წინაშე დედუფლისა მის შენდობისა თხოვად. და ვითარ მიიწია მოციქული იგი ადარნერსესი ფერსათს, სადაცა არს აწ საფლავი მისი, და იხილა დედუფალი იგი თჳსი დიდსა შინა მონაზონებასა, რომელიცა იყო ასული ბაგრატ შაროელისა ჴელმწიფისაჲ, რამეთუ სამოსლად მისა იყო შეურაცხი ჩოჴაჲ და ემოსა მას წმიდაჲ სქემაჲ და ტჳრთი დიდი შეშისაჲ ეკიდა და სახიდ თჳსად მიაქუნდა სანატრელსა მას, რომელსა პირველ სახელი ეწოდა ბევრეულის და

დასძლია ცუდმა თავმოყვარეობამ და მან არ იდო თავს ამ მართალი კაცის მხილება. პირიქით, უკეთურებას უკეთურება დაუმატა და სხვა ცოლი შეირთო. მაშინ მამა გრიგოლმა უწინასწარმეტყველა მას, თუ რა შეემთხვეოდა ამ დანაშაულთა გამო ღვთის დაშვებით. და უთხრა ასე: „ჩემი, გლახაკის, სიტყვათა არმოსმენის გამო მიეცემი ბოროტ სნეულებებს, ის შვილები კი, რომლებიც ახლა გეყოლება, დაიტანჯებიან ეშმაკისგან და ვერ განიკურნებით ვერც შენ და ვერც შენი შვილები, სანამ შენდობილი არ იქნებით დედოფლისგან, ამ უსამართლოდ დასჯილი ღვთისმხევლისგან; თუმცაღა ხორციდან გავა იგი, მაგრამ მის საფლავთაგან მიიღებენ შენდობას შენი შვილები, ხოლო ამ ცილისმწამებელ მეძავს მალე შეარცხვენს ქრისტე თავისი ურცხვი თავხედობისა და უკეთურებისათვის, “.

ხოლო ადარნერსე ნეტარი გრიგოლის სიტყვების გამო ძალიან შეშინდა და შეუვრდა წმინდანს, მან კი წამოაყენა იგი და უთხრა: „ქრისტემ მოგცეს შენ დანაშაულთა შენდობა, მაგრამ ეს იცოდე, რომ ჩემი ნათქვამი ასრულდება თავის დროზე, რომ ყველამ შეიცნოს ურჩობის ნაყოფი“.

რამდენიმე დღის შემდეგ ადარნერსეს შეხვდა ძვლებისტეხის მტანჯველი სენი (რომელსაც ჰქვია ნიკრისი) და ტკივილებისგან მწარედ იტანჯებოდა, იყო რა ამ დრომდე ყოვლად ჯანმრთელი. დაუყოვნებლივ გაგზავნა მან კარგი კაცი, რომელსაც ერქვა კუპრა, დედოფალთან შენდობის სათხოვნელად. როდესაც ადარნერსესგან გაგზავნილმა მიაღწია ფერსათს, სადაც არის ახლა მისი[172] საფლავი, ნახა [იქ] თავისი დედოფალი, რომელიც იყო ხელმწიფე ბაგრატ შაროელის ასული, დიდ მონაზვნობაში, რადგან მის სამოსლად იყო უბადრუკი ანაფორა[173] და შემოსილი ჰქონდა მას წმინდა სქემა, ამასთან აეკიდებინა ამ სანატრელს (რომელსაც პირველად ეწოდა ბევრეულისი, შემდეგ კი —

მერმე ანასტასია (რამეთუ მან სრულიად სირცხჳლეულ-ყო ეშ-
მაკი, და აწ კურნებასა ჰპოებენ მორწმუნენი მადლითა მისითა, მი-
რაჲ-აქუს მიწაჲ ევლოგიად საფლავთაგან მისთა).

ესე რაჲ იხილა კაცმან მან მოციქულმან, იცნა და შეუვრდა
ადარნერსეს მაგიერ [ვ] და ჰრქუა: „ქრისტჱს ნებისმყოფელო,
გევედრების, შეიწყალე უფალი ჩემი, სამართლად ღმრთისაგან
განპატიჟებული შენ ძლით, და ნუ სწყევ მას, არამედ შეუნდვენ
დიდნი ბრალნი მისნი“.

ხოლო მან ჰრქუა: „გეფუცები ქრისტესა, არაოდეს აღმო-
სრულ არს წყევაჲ პირსა ჩემსა და არცა მას ვსწყევ. ქრისტემან
შეუნდვენ ყოველნი ცოდვანი და განკურნენ სულით და ჴორ-
ცით“.

და მწრაფლ-ხოლო განიკურნა ადარნერსე, რამეთუ კაცმან
მან მოციქულმან დაისწავა ჟამი იგი, ოდესცა ულოცა უფალსა
მისსა, და მო-რაჲ-ვიდა, პოვა იგი ყოლად უვნებელი და სიხარუ-
ლით ჰმადლობდა ქრისტესა. არამედ შემდგომად წელიწადთა არ-
ამრავალთა ადარნერსე ჴელმწიფესა რაჲ ესხნეს ძენი, გურგენ
კურაპალატი და სუმბატ, მტერისაგან ფრიად იტანჯებოდეს და
მწრაფლ-ხოლო წარავლინნა იგინი ფერსათს სამოსლითა
საგლახაკოჲთა და შესაწირავითა საჴელმწიფოჲთა ლოცვად სა-
ფლავსა მას სანატრელისა დედუფლისასა, რამეთუ გარდაცვალე-
ბულ იყო იგი. და რაჟამს ილოცეს, სრულიად განიკურნნეს სიტ-
ყჳსაებრ ნეტარისა გრიგოლისა და სიხარულით წარვიდეს სახიდ
თჳსა და ადიდებდეს ქრისტესა, ღმერთსა ყოველთასა.

ნზ. ხოლო დედაკაცი იგი შემასმენელი ბოროტად ეშ-
მაკეულ-იქმნა და განცოფნა, და სხუანიცა განსაცდელნი მიი-
წინეს მისზედა საქმეთაებრ მისთა უკეთურთა, და ესრეთ იყო

ანასტასია) შეშის დიდი ტვირთი და მიჰქონდა იგი თავის სახ-
ლში, ვინაიდან მთლიანად შეარცხვინა მან ეშმაკი და ახლა
კურნებას პოულობენ მისი მადლით მორწმუნეები, მიაქვთ რა
მის საფლავთან მიწა ევლოგიად[174].

როდესაც მივლინებულმა კაცმა ნახა ასეთი რამ, იცნო[175]
იგი, შეუვრდა მას ადარნერსეს სანაცვლოდ და უთხრა: „ქრის-
ტეს ნების აღმსრულებელო, გევედრება, რომ შეიწყალო, ჩემი
ბატონი, სამართლიანად დასჯილი ღვთისგან შენს გამო, და
ნუ წყევლი მას, არამედ შეუნდე თავისი დიდი დანაშაულნი“.

მან კი უთხრა: „გეფიცები ქრისტეს, რომ არასოდეს ამოსუ-
ლა ჩემი პირიდან წყევლა და არც მას ვწყევლი. ქრისტემ შე-
უნდოს მას ყველა ცოდვა და განკურნოს იგი სულით და ხორ-
ცით“.

და მყისვე განიკურნა ადარნერსე, რადგან იმ წარგზა-
ვნილმა კაცმა დაიმახსოვრა დრო, როდესაც დედოფალმა
ილოცა მისი ბატონისთვის, და მოვიდა რა, ნახა იგი სრულიად
უვნებელი და სიხარულით ჰმადლობდა ქრისტეს. მაგრამ
როდესაც არცთუ ბევრი წლის შემდეგ შეეძინა ადარნერსე
ხელმწიფეს ძეები: გურგენ კურაპალატი და სუმბატი, ესენი
დიდად იტანჯებოდნენ მტრისგან. ამიტომ დაუყოვნებლივ
გაგზავნა მან ისინი ფერსათში საგლახაკო შესამოსელითა და
ხელმწიფური შესაწირავით, რომ ელოცათ მათ სანატრელი
დედოფლის საფლავზე, რადგან გარდაცვლილი იყო იგი,
ხოლო რაჟამს ილოცეს, სრულიად განიკურნენ, ნეტარი
გრიგოლის სიტყვისებრ, და წავიდნენ რა თავიანთ სახლში,
ადიდებდნენ ქრისტეს, ყოველთა ღმერთს.

57. ხოლო ის ცილისმწამებელი ქალი ბოროტად ეშმაკეუ-
ლი გახდა და გაცოფდა, ამასთან სხვა განსაცდელებიც მოიწია
მასზე, მისი უკეთური საქმეებისამებრ, და, ამგვარად, საშინე-

საშინელ და ზარისასაჴდელ ხილვაჲ მისი და სმენაჲ სიტყუათა მისთაჲ. და ვითარ მოეგო გონებასა, მაშინ მივიდა წინაშე დედისა ფებრონიაჲსსა საწყალობელი იგი და შეუვრდა მას ცრემლით და აღუვარებდა ყოველთა ბრალთა და ევედრებოდა გოდებით, რაჲთა [211] უხუაიშნოს მამისა გრიგოლისგან. ხოლო მან მიწერა წიგნი ვედრებით, და ნეტარმან მან არა ისმინა, არამედ მიჰრქუა: „უძჳრესნი განსაცდელნი აღიძრნენ მაგასზედა ამისთჳს, რამეთუ საცთურ-ექმნა ეგე ღმრთისმსახურსა ჴელმწიფესა და სარწმუნოჲ ცოლი მისი განაშორა, რამეთუ განთქუა სახელი მისი ვითარცა მეძვისაჲ, და კუალად სისხლი უბრალოჲსა ჭაბუკისაჲ დასთხია. აწ მსგავსად უჯეროვებისა საქმეთა მიეგოს მაგას ვიდრე სიკუ[დი]ლადმდე“.

ხოლო ნეტარმან ფებრონია თქუა: „ჭეშმარიტ არს საბჭოჲ მამისა გრიგოლისი“, რამეთუ არა ჰმძლავრა მან წმიდასა მას, ვითარცა თქუა მოციქულმან: „სულები წინაჲსწარმეტყველთაჲ წინაჲსწარმეტყველთა დაემორჩილენო“, არამედ ვითარ შეჰგვანდა, ნუგეშინის-სცა სასოწარკუეთილსა მას, რამეთუ საკსე იყო იგი სიბრძნითა ორისავე ცხორებისაჲთა. და სასწაულნი დიდნი იხილვებოდეს მის მიერ და რომელთაგანმე მოწაფეთა მისთა. და აწ სარწმუნოებითმვედრებელთა კურნებასა აღმოუცენებენ საფლავნი მათნი. ხოლო დედაკაცი იგი ვიდრე სიკუდილადმდე დაადგრა მერეს შინა, რამეთუ დაღაცათუ ბოროტთა გუემათა შინა იყო, ხოლო გონებაჲ მისი ცოცხალ ეგო. და რაჟამს მოკუდა იგი, ბრძანა დედამან ფებრონია მახლობელად დათა მათ ქრისტჱს ნებისმყოფელთა დამარხვაჲ მისი, რაჲთა დიდად ბრალეული იგი უბრალოთა მათ განამართლონ წინაშე ქრისტესა.

ხოლო უფალმან აჩუენა სასწაული, რამეთუ დამარხვასა სხუათა მიცვალებულთასა სამგზის იპოვა შინაგან კარსა აკელდამისასა მდებარე, და არღარა იკადრეს აღებად გუამი იგი ცოდვილისა მის დედაკაცისაჲ, არამედ მაშინღა აუწყეს ყოველი ნეტარსა ფებრონიას, რამეთუ მოხუცებულ იყო ფრიად [ვ] და შეს-

ლი და შემზარავი იყო მისი შეხედვაც და მისი სიტყვების სმენაც. მაგრამ როგორც კი გონს მოეგო, მაშინვე მივიდა ფებრონიასთან ეს საწყალი, შეუვრდა მას ცრემლით, აღიარებდა ყველა დანაშაულს და ევედრებოდა გოდებით, რომ ეშუამდგომლა მისთვის მამა გრიგოლთან. ფებრონიამ მისწერა კიდეც წერილი ვედრებით, მაგრამ ნეტარმა არ უსმინა, არამედ შემოუთვალა: „უფრო მძიმე განსაცდელები აღიძვრება მაგაზე იმის გამო, რომ საცთურად გაუხდა ეგ ღვთისმსახურ ხელმწიფეს და გააშორა მას სანდო ცოლი, რადგან გაახმაურა მისი სახელი როგორც მეძავისა და კიდევ, უდანაშაულო ჭაბუკის სისხლი დაღვარა. ახლა ამ საქმეთა უმსგავსოებისამებრ მიეზღვება მაგას ვიდრე სიკვდილამდე“.

ნეტარმა ფებრონიამ კი თქვა: „ჭეშმარიტია მამა გრიგოლის მსჯავრი“, რადგან მან არ დააძალა წმინდანს, როგორც უთქვამს მოციქულს, რომ „წინასწარმეტყველთა სულები წინასწარმეტყველებს დაემორჩილებიანო“[176], თუმცა, როგორც შეჰფეროდა, ნუგეში სცა სასოწარკვეთილს, რადგან სავსე იყო იგი ორივე ცხოვრების სიბრძნით და დიდი სასწაულები დაინახებოდა მისგან, ისევე როგორც ზოგი მისი მოწაფისგან, ახლა კი სარწმუნოებით მვედრებლებს კურნებას აღმოუცენებს მათი საფლავები. ხოლო ის ქალი ვიდრე სიკვდილამდე დარჩა მერეში, რადგან თუმცაღა უკეთურ ტანჯვებში იყო, მაგრამ მისი გონება საღად ნარჩუნდებოდა და, მოკვდა რა, ბრძანა დედა ფებრონიამ მისი დამარხვა ქრისტეს ნების აღმსრულებელი დების ახლოს, რომ იგი, დიდად დამნაშავე, მათ, უდანაშაულოებს, გაემართლებინათ ქრისტეს წინაშე.

უფალმა კი აჩვენა სასწაული, რადგან სხვა მიცვალებულთა დამარხვისას სამგზის ინახა იგი აკლდამის კარის შიგნით მდებარე, და აღარ იკადრეს აღება ამ ცოდვილი ქალის ცხედრისა, არამედ მაშინღა აუწყეს ყოველივე ნეტარ ფებრონიას, რადგან იგი დიდად მოხუცებული იყო და არ შეეძლო შეს-

უენებულთა დამარხვასა ვერ ძალ-ედვა მისლვაჲ, ხოლო მან თქუა: „ჯერ არს უწყებად ესე ნეტარსა გრიგოლს, რამეთუ იგი არს წინამძღუარი საქმისაჲ ამის“, და მიწერა ეპისტოლე პატივით ესრეთ:

ნმ. „წყალობა-ყავნ უფალმან ჩუენზედა წმიდითა ჯუარითა და შეწევნითა ღირსთა ლოცვათა შენთაჲთა, ქრისტე-შემოსილო მამაო გრიგოლ, ყოლადვე მონაწილეო ლოცვასა თანა ჩემ გლახაკისასა, შენ, წმიდაო ღმრთისაკაცო, საფრჴე მჴდომთა მრავალსახჱ სიბოროტით შეგიმზადეს, ვითარ მახჱ მონადირეთა და იწყეს წყობად შენდა უწყინოდ, რამეთუ სიერაგით გბრძოდეს საუცრად სიმძაფრითა სასტიკითა ხილვითა, ვითარცა გუნდი მჴედართაჲ, და ოდესმე ვითარცა სიმრავლე მჴეცთა მძჴნვარეთაჲ მრავალგზის საშინელად ჩუენებითა. და ესრეთ შენთჳს აღძრეს ღუაწლთა ღელვაჲ უჩინოჲ და საჩინოჲ. არამედ მათ ყოველთა სძლო სიმდაბლემან სიწმიდითა შემკობილმან გუამსა შენსა დანერგულმან და ცეცხლებრმან სულმან შენმან მართალმან შეწუნა მტერნი იგი მავნებელნი უხილავნი და ხილულნი. „ხოლო ამის მადლისათჳს ძალ არს შენდა ძალი ღმრთისაჲ, რამეთუ წმიდათა ანგელოზთა მსგავსებაჲ გაქუს, - სიწმიდე, რომელ არს სამძალი ძლევისაჲ, შეზღუდვილი სამარადისოჲთა ლოცვითა და მარხვითა, და ფრიადი მუჴლთდრეკაჲ, შემწირველი ცრემლთა წმიდათაჲ უძილთაგან თუალთა შენთა და მღჴძარისაგან სულისა შენისა. შენ, წმიდაო მღდელო, ეკლესიად წოდებულთა შორის მართალთა განსუენებულო, საღმრთოო მოძღუარო. მორწმუნეთა სიმტკიცეო, ჴელმწიფეთა თუალუხუავად მამხილებელო და განმსწავლელო კუერთხითა სწავლისაჲთა, [212] რომლისათჳსცა სიტყუანი შენნი წინაჲსწარმეტყუელებრ აღესრულებიან კაცთა შორის. „არამედ აწ ჟამი არს შენდობისაჲ, ყავ წყალობაჲ განწირულისა მისთჳს დედაკაცისა, ვითარცა შუენის სიწმიდესა შენსა,

ვენებულთა დამარხვაზე მისვლა. მან თქვა: „საჭიროა, რომ ვაუწყო ეს ნეტარ გრიგოლს, რადგან იგია ამ საქმის წინამძღვარი“. და მისწერა ეპისტოლე პატივით ამგვარად:

58. „წყალობა ყოს უფალმა ჩვენზე წმინდა ჯვრით და შენი ღირსეული ლოცვების შეწევნით, ქრისტეშემოსილო მამაო გრიგოლ, — ყოვლითურთ მონაწილევ ჩემი, გლახაკის, ლოცვებთან. შენ, ღვთის წმინდა კაცო, მოპირისპირეებმა[177] მრავალსახოვანი საფრთხე შეგიმზადეს სიბოროტით, როგორც მახე — მონადირეებმა, და დაიწყეს შენდამი ბრძოლა მოუწყინებლად[178], რადგან ვერაგულად გებრძოდნენ წამოჩვენებითად, შესახედავად სასტიკი სიმძაფრით, მრავალგზის საშინლად გამოჩვენებით, როგორც გუნდი მხედრებისა, ან ზოგჯერ — როგორც მძვინვარე მხეცთა სიმრავლე, და ასე აღძრეს შენზე ომების ტალღა, უჩინარი და საჩინარი, მაგრამ მათ ყველას აჯობა შენს სხეულში დანერგილმა სიმდაბლემ, სიწმინდით შემკულმა, და შენმა მართალმა, ცეცხლისებრმა სულმა დაწვა ეს მავნებელი მტრები — უხილავნი და ხილულნი. ხოლო ამის გამო ძალა შენთვის არის ძალა ღვთისა, რადგან გაქვს შენ წმინდა ანგელოზთა მსგავსება — სიწმინდე, რაც არის გამარჯვების ჯილდო, სამარადისო ლოცვითა და მარხვით შემოზღუდული, და — მრავალგზისი მუხლდრეკა, შემწირველი წმინდა ცრემლებისა შენს უძილო თვალთაგან და შენი მღვიძარე სულისგან; შენ, წმინდა მღვდელო, „ეკლესიად“ წოდებულ მართალთა შორის მოსვენებულო საღვთო მოძღვარო, მორწმუნეთა სიმტკიცევ, ხელმწიფეთა პირუთვნელად მამხილებელო და სწავლების კვერთხით განმსწავლელო, რის გამოც შენი სიტყვები წინასწარმეტყველისებრ სრულდება ადამიანთა შორის; თუმცა ახლა

რამეთუ ნეშტი სიტყუაჲ ჩემი გეუწყოს წიგნისმიმღებელისაგან
და ყოლადვე შეწევნა-ყავ ჩემთჳს აქა და საუკუნესა მას, ამინ“.

და რაჟამს აღმოიკითხა წიგნი ფებრონიაჲსი ნეტარმან გრიგ-
ოლ და ყოველი გულისჴმა-ყო, ცრემლით მადლი მისცა ქრისტესა
და დაწერა ეპისტოლე დათა მათ შესუენებულთა მიმართ ესრეთ-
სახედ:

ნთ. „ქრისტჱსმოყუარენო, წესთა მათ ამის სოფლისათა მოკ-
ლესა შინა დროსა სიყრმითგან თქუენით ვიდრე სიკუდილადმდე
მძლექმნულნო ქრისტჱსთჳს, სიტყჳსაებრ მოციქულისა: „რამ-
ეთუ მოჰკუედით და ცხორებაჲ თქუენი დაფარულ არს
ქრისტჱთურთ ღმრთისა თანა“, რაჟამს გამოცხადნეს ცხორებაჲ
იგი ჩუენი, მაშინ თქუენცა გამოსცხადნეთ დიდებითა საუკუნოჲსა
მერმისაჲთა, თქუენ, ბრძენთაგან ნეტარნო და უვიცთაგან უც-
ნაურნო, უოხჭნოსა სიმდიდრესა კეთილთაებრ ვაჭართა
საწუთროჲთა მომსყიდელნო, ხოლო აწ მძინარენო ჴორცითა და
მღჳძარენო სულითა, მკუდრად შერაცხილნო მკუდართაგან და
უკუნისამდე ცხოველნო ქრისტჱსგან, ტაძრითა მით სულისაჲთა
ქუეყანისა ცად შემცვალებელნო, ქალწულებისა ყუავილნო,
მიმსგავსებულნო დედასა ღმრთისასა, მხიარულნო მის წინაშე
საუკუნოდ, დიდებულსა მას მოსლვასა ძისა მისისასა მომლოდე-
ბელნო! თქუენ, უძლურებისაგან უცვალებელსა ძალსა მიწ-
ევნულნო და შემდგომად სიკუდილისა ყოლადვე შემძლებელნო
მიცემად ორისა სახესა [ვ] მისაგებელსა, ქცევათაებრ კაცთაჲსა,
ვითარცა-ესე აწ ვიხილეთ თქუენმიერი სამართალი საშჯელი,
რომლისათჳსცა მე, გლახაკი გრიგოლ და დედაჲ ფებრონია
მადლიერ ვართ თანაშეწევნასა თქუენსა, და აწ გევედრებით
საწყალობელისა მაგისთჳს დედაკაცისა: ითხოეთ ქრისტჱსგან

შენდობის დროა. წყალობა ჰყავი ამ განწირული ქალისთვის,
როგორც შეჰფერის შენს სიწმინდეს, რადგან დანარჩენი ჩემი
სიტყვა გეუწყება წერილის წამომღებისგან და ყოვლითურთ
წყალობა ჰყავი ჩემთვის აქ და იმ საუკუნოში, ამინ“.

და როდესაც წაიკითხა ფებრონიას წერილი ნეტარმა გრ-
იგოლმა და შეიცნო ყოველივე, ცრემლით მადლობა უძღვნა
ქრისტეს და დაწერა ეპისტოლე იმ შესვენებული დების მიმა-
რთ ამგვარად:

59. „ქრისტესმოყვარენო, მოკლე დროში, — თქვენი სიყრ-
მიდან ვიდრე სიკვდილამდე, — ქრისტესთვის ამა სოფლის
სტიქიონებზე[179] გამარჯვებულნო მოციქულის სიტყვისებრ:
„რამეთუ მოკვდით და თქვენი ცხოვრება დაფარულია ქრის-
ტეთურთ ღმერთთან“[180]. როდესაც გაცხადდება ჩვენი
ცხოვრება, მაშინ თქვენც გაცხადდებით სამერმისო საუკუნო
დიდებით, — თქვენ, ბრძენთაგან ნეტარყოფილნო და
უმეცართაგან შეუცნობელნო, კარგი ვაჭრებივით წუთიერით
უსაზღვრო სიმდიდრის მომყიდველნო, ხოლო ამჟამად
ხორცით მძინარენო და მღვიძარენო სულით, მკვდართაგან
მკვდრებად შერაცხილნო და უკუნისამდე ცოცხალნო
ქრისტესგან, სულის ტაძრით მიწის ცად შემცვლელნო,
ქალწულობის ყვავილნო, ღვთის დედას მიმსგავსებულნო,
საუკუნოდ მხიარულნო მის წინაშე, მისი ძის იმ დიდებული
მოსვლის მომლოდინენო, — თქვენ, უძლურებისგან უცვლელ
ძალამდე[181] მიღწეულნო და სიკვდილის შემდეგ ყოვლითურთ
შემძლენო ორი სახის საზღაურის მიცემისა, ადამიანთა ქცევე-
ბისამებრ, როგორც ვნახეთ ამჟამად თქვენმიერი სა-
მართლიანი სასჯელი, რის გამოც მე, გლახაკი გრიგოლი, და
დედა ფებრონია მადლიერნი ვართ თქვენი თანაშეწევ-
ნისათვის. ახლა კი გევედრებით მაგ საწყალი ქალის გამო:

ბრალთა მისთა შენდობაჲ და ღირს-ყვენით ძუალნი მისნი ძუალთა თანა თქუენთა და სული მისი სულისა თქუენისა თანა; და უფროჲს-ხოლო იღუაწეთ უფლისა მეორედ მოსლვასა, რამეთუ გაქუს მადლი შეწევნად მორწმუნეთა, და მოელით დაუსრულებელსა დიდებასა და გამოუთქუმელსა სიხარულსა, რომელსაცა მიწევნად ხართ. არამედ მეოხებაჲ თქუენი მარადის შემწეე-მეყაენ ჩუენ, რაჲთა ჩუენცა ღირს-ვიქმნნეთ სანატრელსა მას ცხორებასა მერმესა საუკუნესა, ამინ“.

და რაჟამს აღმოუკითხეს წიგნი იგი ნეტარისა გრიგოლისი მიცვალებულთა მათ დათა და სიტყჳთცა ბრძანებაჲ დედისა ფებრონიაჲსი აუწყეს-ვე, მაშინღა მიიღეს მკუდარი იგი თჳსსა მას პირველსა ადგილსა, სადაცა სამგზის დადებულ იყო. და არღარა იცვალა მიერ დღითგან, რამეთუ ნეტარი მამაჲ გრიგოლ მიზეზ-ექმნა პირველ ცოდვათა მხილებასა და მერმე ლხინებასა და შენდობასა. და სინანულიცა ფრიადი შემწე-ექმნა ცოდვილსა მას წინაშე ღმრთისა, რომელსა არა ჰნებავს სიკუდილი ცოდვილისაჲ, არამედ მოქცევაჲ და სინანული. ხოლო გულისჴმისმყოფელთა დაუკჳრდა და ადიდებდეს ღმერთსა.

ჲ. ხოლო ესევითართა სასწაულთა იქმოდა ქრისტე ჴელითა ნეტარისა გრიგოლისითა, რამეთუ უძლურნი, თითოსახეთაგან სენთა შეპყრობილნი და ვნებულნი სულთაგან არაწმიდათა, ლოცვითა მისითა და ცრემლითა [213] განიკურნებოდეს თხოვისაებრ სარწმუნოებითმვედრებელთაჲსა.

და არა-ხოლო-თუ კაცნი ოდენ ჰხედვიდეს მას ნავთსაყუდელად, არამედ - ნადირნიცა ველისანი. რამეთუ ოდესმე მახლობელად შატბერდისა მთათა მათ ზედა ესე ნეტარი საქმისა რომლისათჳსმე იყო და მისთანა ძმანიცა იყვნეს, და ირემი ერთი

ითხოვეთ ქრისტესგან მის დანაშაულთა შენდობა და ღირსი გახადეთ მისი ძვლები თქვენს ძვლებთან, ხოლო მისი სული თქვენს სულთან [ყოფნისა], უფრო კი უფლის მეორედ მოსვლისას უპატრონეთ მას, რადგან გაქვთ მადლი მორწმუნეთა შესაწევნელად და მოელით დაუსრულებელ დიდებას და გამოუთქმელ სიხარულს, რასაც მიაღწევთ კიდეც, ხოლო თქვენი მეოხება მარადის შეგვეწეოდეს ჩვენ, რომ ჩვენც ღირსნი გავხდეთ იმ სანატრელი ცხოვრებისა სამერმისო საუკუნეში[182], ამინ“.

როდესაც წაუკითხეს ნეტარი გრიგოლის ეს წერილი მიცვალებულ დებს და თან სიტყვითაც აუწყეს დედა ფებრონიას ბრძანება, მაშინღა მიიღეს მათ ის მკვდარი მის პირვანდელ ადგილას, სადაც სამგზის იყო დადებული, და ამ დღიდან აღარ შეუცვლია [ადგილი], რადგან ნეტარი მამა გრიგოლი მიზეზად გაუხდა მას ჯერ ცოდვათა მხილებისა, შემდეგ კი მიტევებისა და შენდობისა, თან დიდი სინანულიც შეეწია ამ ცოდვილს ღვთის წინაშე, რომელსაც არ ნებავს ცოდვილის სიკვდილი, არამედ — მოქცევა და სინანული, ხოლო [ყოველივე ამის] შემცნობელთ გაუკვირდათ და ადიდებდნენ ღმერთს.

60. ხოლო ამგვარ სასწაულებს მოქმედებდა ქრისტე ნეტარი გრიგოლის ხელით, რადგან სხვადასხვა სენისგან შეპყრობილი და არაწმინდა სულებისგან ვნებული უძლურები მისი ლოცვითა და ცრემლით იკურნებოდნენ, სარწმუნოებით მვედრებელთა თხოვნისამებრ.

და არა მხოლოდ ადამიანები ხედავდნენ მას ნავსაყუდელად, არამედ — ველის ნადირებიც, რადგან ერთხელ შატბერდის მახლობლად, მთებზე, ეს ნეტარი რაღაც საქმისთვის იმყოფებოდა, იყვნენ რა მასთან ერთად ძმებიც, და მათ დასანახზე

გამოვიდა საჩინოსა მათსა, რამეთუ მონადირეთა მოეცვა იგი და ვერვინაჲ განერებოდა ჴელთაგან მათთა.

მაშინ მიჰმართა მონოზონთა მათ, და შორის განვლნა ყოველნი, და მივიდა ვითარცა გონიერი ნეტარისა გრიგოლისსა და თჳსი თავი ზედა ჴელთა მის წმიდისათა დადვა და რეცა ტიროდა მოწევნულისა მისთჳს ბოროტისა. ხოლო მან ნუგეშინის-სცა და ჰრქუა: „სახელითა ქრისტჱსითა ვერ გავნონ მტერთა ამათ შენთა, ნუ გეშინინ“. და იხილეს რაჲ კაცთა მათ, განუკჳრდა ფრიად და ადიდებდეს ღმერთსა. და მოვიდეს წმიდისა მის და ჯუარი დაიწერეს. ხოლო მან აკურთხნა იგინი და ნაცვალად ირმისა მისცა სხუაჲ საღუაწი ჴორცთაჲ და წარვიდეს, ხოლო ირემი იგი განუტევა მშჳდობით.

ჲა. და ეგრეთვე ხანცთას რაჲ იყო თჳსსა სენაკსა შინა, მონადირეთა მრავალთა მახლობელად მონასტერსა მას მოიცვნეს ოთხნი გარეთხანი. ხოლო იგინი სრბით შევიდეს სენაკსა მას, სადაცა იყო მამაჲ გრიგოლ მჯდომარე, და გარემოადგეს წმიდასა მას. ხოლო მან გულისჴმა-ყო მიზეზი მისლვისა მათისაჲ და ნუგეშინის-სცა მათ და უბრძანა, რაჲთა მონადირენი იგი ისტუმრნენ და წარგზავნნენ. და ნადირთა მათ ჭამადი სცა და განუტევნა მშჳდობით [ვ].

ჲბ. ხოლო ბასილი მამაჲ, იყო რაჲ ჭაბუკ, კარაულსა მამისა გრიგოლისსა ხედვიდა. და ბოროტი მჯდომი ქედსა მისსა გამოაჯდა, რომელსა „კურთხეულ“ უწოდიან, ხოლო ძუელად ჰრქჳან „სატალი“. და ბასილი მწარითა მით სენითა ქუემდებარე იგუემებოდა ვითარ ოთხ დღე ოდენ. მაშინ იკითხა ნეტარმან გრიგოლ, ვითარმედ: „სადა არს ყრმაჲ ბასილი?“ და აუწყეს ძმათა სენი მისი, და მან ბრძანა წოდებაჲ. ხოლო მათ ჰრქუეს: „ვერ ძალ-

გამოვიდა ერთი ირემი, ვინაიდან მონადირეებს ალყაში მოექციათ იგი და ვერც ერთი მხრიდან ვერ აღწევდა მათ თავს.

მაშინ მიაშურა მან მონაზვნებს, შუაში გაუარა ყველას, მივიდა, როგორც გონიერი, ნეტარ გრიგოლთან, თავისი თავი დადო წმინდანის ხელებზე და თითქოსდა ტიროდა იგი მასზე მოწეული ბოროტების გამო, ხოლო მან ნუგეში სცა და უთხრა: „ქრისტეს სახელით ვერ გავნებენ შენი მტრები, ნუ გეშინია“. ნახეს რა ეს იმ ადამიანებმა, მეტად გაუკვირდათ და ადიდებდნენ ღმერთს. მოვიდნენ ისინი წმინდანთან და ჯვარი გადაიწერეს, მან კი აკურთხა და ირმის სანაცვლოდ მისცა მათ ხორცთა სხვა სამზრუნველო.[183] წავიდნენ ისინი, მან კი ირემი მშვიდობიანად გაუშვა.

61. ამგვარადვე, იყო რა იგი ხანცთაში, თავის სენაკში, ბევრმა მონადირემ მონასტრის ახლოს ალყაში მოაქცია ოთხი გარეული თხა, ისინი კი სირბილით შევიდნენ იმ სენაკში, სადაც იყო მამა გრიგოლი მჯდომარე, და შემოერტყნენ მას. ხოლო მან შეიცნო მათი მისვლის მიზეზი, ნუგეში სცა მათ და ბრძანა, რომ მონადირეებისთვის ემასპინძლათ და გაესტუმრებინათ, ამ ნადირებს კი საჭმელი მისცა და მშვიდობიანად გაუშვა.

62. ხოლო ბასილი მამასახლისი, იყო რა ჭაბუკი, მამა გრიგოლის სახედარს უვლიდა. მას კისერზე გამოუვიდა უკეთური გამონაზარდი, რასაც უწოდებენ „კურთხეულს“. ძველად კი ერქვა „სატალი“. ამ მწარე სენით იტანჯებოდა იგი სულ დაახლოებით ოთხი დღე. მაშინ იკითხა ნეტარმა გრიგოლმა: „სად არის ყმაწვილი ბასილი?“ ძმებმა შეატყობინეს მისი სენის შესახებ და მან ბრძანა, რომ მოეხმოთ იგი, მათ კი უთხრეს: „არ

უც მოსლვაჲ“. მაშინ ჰრქუა მათ: „ჩემმიერ არქუთ, ვითარმედ: გიწესს შენ მამაჲ გრიგოლ“.

და ვითარცა ესმა სიტყუაჲ წოდებისაჲ ბასილის, განძლიერდა ბრძანებითა თჳსისა მოძღურისაჲთა და მივიდა წინაშე მისსა. ხოლო მან ჰკითხა: „რაჲ გევნების?“ და მან ჴელითა თჳსითა უჩუენა მჯდომი იგი, რამეთუ დაეპყრა ადგილი დიდი. მაშინ ნეტარმან გრიგოლ ძლიერად სცა ჴელითა თჳსითა ადგილსა მას, სადაცა იყო მჯდომი იგი, და ჰრქუა ბასილის: „ცუდად მოგიმედგრებიეს თავი, რამეთუ არა არს ვნებაჲ შენშორის ყოლადვე“. და მან ჴელი მოისუა ადგილსა მას და კუალიცა უჩინო-იქმნა მჯდომისა ბორ-ოტისაჲ. და რომელთა იხილეს სასწაული ესე, ადიდებდეს ღმერთსა.

ჲგ. მას ჟამსა იყვნეს ვინმე იერუსალიმს მოწაფენი ნეტარისა გრიგოლისნი, კაცნი შუენიერნი, კეთილნი მონაზონნი, სრულნი სიბრძნითა და სასწაულთამოქმედნი, მეძიებელნი სასუფეველისანი და მეოტნი დიდებისაგან ამის სოფლისაჲსა, მღდელნი ღირსნი, შვილნი დიდებულთა აზნაურთანი, ტომნი დიდისა ეფრემ მაწყუერელ ეპისკოპოსისანი, რომელთაგან მოწერილ იყო ესე ეპისტოლე მამისა გრიგოლის წინაშე, იერუსალიმით ხანცთად მოწევნული პირველვე. [214] ხოლო მე აწ შთავწერე წიგნსა ამას შინა მოწერილი ესე მათი შეუცვალებელად ყოველი, ესრეთ:

„წმიდაჲ ლოცვაჲ წმიდისა და პატიოსნისა დიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი უფალმან მოგჳბოძენ და ღირს-გუყვენინ ჩუენ, ცოდვილნი ესე, გლახაკნი და უღირსნი მონანი შენნი, უჴმარი არსენი და მაკარი უძლური, სულიერად ძმისწული და შვილი შენი და ყოველთა შვილთა შენთაჲ. მამაო დიდო და პატიოსანო უფლისა მიერ, და უფალო ჩუენო და ღირსო ღმრთისაო და წმიდისა მაგის უდაბნოჲსა თავადო უფალო, და ქრისტესმოყუარისა ერისა მოძღუარო და განმანათლებელო ყოველთაო, შეგ-

შეუძლია მოსვლა“. მაშინ უთხრა მან მათ: „ჩემს მიერ უთხარით: გიხმობს შენ მამა გრიგოლი“.

და როგორც კი გაიგონა ხმობის სიტყვა ბასილიმ, გაძლიერდა იგი თავისი მოძღვრის ბრძანებით და მივიდა მასთან, მან კი ჰკითხა: „რა გაწუხებს?“ მანაც თავისი ხელით უჩვენა ის გამონაზარდი, რადგან დიდი ადგილი დაეკავებინა მას. მაშინ ნეტარმა გრიგოლმა ძლიერად დაარტყა თავისი ხელით იმ ადგილს, სადაც გამონაზარდი იყო, და უთხრა ბასილის: „ტყუილად წაგიხდენია თავი, რადგან არ არის შენში არანაირი ზიანი“. და მან ხელი მოისვა იმ ადგილზე და კვალიც კი გაქრა უკეთური გამონაზარდისა, ხოლო რომლებმაც ნახეს ეს სასწაული, ადიდებდნენ ღმერთს.

63. იმჟამად იერუსალიმში იყვნენ ნეტარი გრიგოლის ვიღაც მოწაფეები, ღირსეული ადამიანები, კარგი მონაზვნები, სიბრძნით სრულყოფილნი და სასწაულთმოქმედნი, სასუფევლის მაძიებლები და ამა სოფლის დიდებისგან გაქცეულები, ღირსი მღვდლები, დიდებულ აზნაურთა შვილები, დიდი ეფრემის, მაწყვერელი ეპისკოპოსის, ნათესავები, რომლებისგანაც მოწერილი იყო მამა გრიგოლისადმი ეს ეპისტოლე, იერუსალიმიდან ხანცთაში თავდაპირველადვე მოღწეული, მე კი ახლა ჩავწერე ამ წიგნში ეს მათი მოწერილი, ყველაფერი შეუცვლელად, ასე:

„ჩვენი წმინდა და პატიოსანი დიდი მამა გრიგოლის წმინდა ლოცვა მოგვიბოძოს უფალმა და ღირსი გაგვხადოს [ამისა] ჩვენ, ეს ცოდვილები, შენი გლახაკი და უღირსი მონები, უვარგისი არსენი და უძლური მაკარი, სულიერად ძმისშვილი და შვილი შენი და ყველა შენი შვილისა. მამაო დიდო და პატიოსანო უფლის მიერ, ჩვენო პატრონო და ღვთის ღირსო, მაგ წმინდა უდაბნოს პატრონო თვითონ და ქრისტეს-

ჴნდვეთ წმიდითა მაგით სიმდაბლითა ჩუენი ესე კადრებული, გლახაკთა და უღირსთა მონათა მოწერილი უცები და უგუნური. ღმრთისმოყუარებასა შენსა მინდობითა ვიკადრეთ ესე კადნიერებით მოწერაჲ, ჩინებულო სერობასა მას უკუდავსა. ჩუენ, ცოდვილნი ესე უმეტეს ყოველთა კაცთასა, ლმობიერად მოგაჴსენებთ და მიგიძღუანებთ მადლსა და ლოცვასა წმიდისა ადგომისასა და ყოველთავე, რომელნი არიან წმიდასა ქალაქსა შინა იერუსალიმსა და გარემოჲს სანახებსა მისსა წმიდათა ადგილთა თაყუანისსაცემელთა ქრისტჱს უფლისა ჩუენისათა. შენ, წმიდაო მამაო პატიოსანო, და ყოველთა შვილთა შენთა სარწმუნოებით, სურვიელებისაებრ თქუენ ყოველთაჲსა, შეგჴნდვეთ და შეიწირეთ წადიერებაჲ მოკითხვისა ჩუენისაჲ თქუენდა მიმართ! ეგრეთვე, წმიდაო მამაო, მო-ვინმე-ვიდა მანდაჲთ კაცი, მონაჲ ღმრთისაჲ, მღდელი ბერძენი ამის ქუეყანისაჲ, და ეხილვე შენ, მამაო, და მან მოგჴთხრა ღმრთისა მიერ მშჴდობით დაცვაჲ, და სიმრთელე [ვ] პატიოსნისა მაგის სიწმიდითცხორებისა შენისაჲ წმიდასა მაგას უდაბნოსა შინა. და ჩუენ, უღირსთა ამათ, დიდად-ხოლო განვისუენეთ და განვიხარეთ და უღირსითა პირითა ვიკადრეთ მადლისა შეწირვაჲ ცოდვილთა ამათ კაცთმოყუარისა მიმართ ღმრთისა სმენისა ამის და სიხარულისა მშჴდობისა შენისაჲთა. და კუალად მანდავე წარმოვიდა კაცი იგი ღმრთისაჲ მოსე და ესე წიგნაჲ მისდა წარმოგჴცემია. და აქა წმიდანი ესე ადგილნი ყოველნი მოვლნა და მოილოცნა და შენ, მამაო, ყოველთა თანა მორწმუნეთა ყოლადვე გილოცვიდა და გაჴსენებდა და დიდად-ხოლო გაქებდა. და ჩუენ უფროჲს ზომისა განვიხარეთ და თავთა ჩუენთა და სულთა ჩუენთა ცოდვილთათჴს ვიკადრეთ ესე მოწერაჲ. ვევედრებით ქუედაჴრდომით სახიერებასა შენსა ყოლადკეთილსა და ტკბილსა უფლებასა ღმრთისმოყუარებისა შენისასა, რაჲთა არა უგულებელს-გუყვნე მონანი შენნი წმიდასა ლოცვასა შენსა, ღმერთშემოსილო მამაო, დიდო მოძღუარო წმიდათაო. ვითარცა შეგუეეედრა სული ჩუენი სიწმიდითღირსებასა შენსა, აწცა გევე-

მოყვარე ერის მოძღვარო და ყოველთა განმანათლებელო, შეგვინდეთ მაგ წმინდა სიმდაბლით ეს ჩვენი კადრებული, გლახაკი და უღირსი მონების უმეცრული და უგუნურებითი მონაწერი. შენს ღვთისმოყვარებაზე მინდობით ვიკადრეთ ეს კადნიერებითი მოწერა, იმ უკვდავ სერობაზე[184] ხმობილო! ჩვენ, ყველა ადამიანზე მეტად ცოდვილნი, ტკივილით[185] მოგახსენებთ და გიძღვნით მადლსა და ლოცვას წმინდა აღდგომისას, აგრეთვე ყველა იმ [ადამიანისას], რომელიც არის წმინდა ქალაქ იერუსალიმში და მისი მხარეების, ჩვენი უფალი ქრისტეს თაყვანსაცემი წმინდა ადგილების გარშემო. შენ, პატიოსანო წმინდა მამაო, და ყველა შენმა შვილმა, ყველა თქვენგანის სურვილისამებრ სარწმუნოებით შეგვინდეთ და შეიწირეთ თქვენდამი ჩვენი მოსალმების წადიერება. კიდევ, წმინდაო მამაო, მოვიდა მანდედან ვიღაც კაცი, ღვთის მონა, ამ ქვეყნის ბერძენი მღვდელი, და ენახე შენ, მამაო, და მან მოგვითხრო მაგ წმინდა უდაბნოში მაგ შენი პატიოსანი სიწმინდით ცხოვრების ღვთის მიერ მშვიდობით დაცულობა და სიმრთელე. ჩვენც, ამ უღირსებმა, დიდად მოვისვენეთ და გავიხარეთ და ცოდვილებმა უღირსი პირით ვიკადრეთ მადლობის შეწირვა კაცთმოყვარე ღვთისადმი ამის მოსმენისათვის და იმ სიხარულის გამო, რომ მშვიდობიანად ხარ. და კვლავ მანდვე წამოვიდა ეს ღვთის კაცი მოსე, და ეს წერილი მას გამოვატანეთ. აქ მან ყველა ეს წმინდა ადგილი მოიარა და მოილოცა და შენ, მამაო, ყველა მორწმუნესთან ერთად სულ გლოცავდა და გახსენებდა და მართლაც დიდად გაქებდა, ჩვენ კი ზომაზე მეტად გავიხარეთ და ჩვენი თავისა და ჩვენი ცოდვილი სულებისათვის ვიკადრეთ ეს მოწერა, ვევედრებით ქვედავარდნით შენს ყოვლად კარგ სიკეთეს და შენი ღვთისმოყვარების ტკბილ მოთავეობას, რომ არ უგულებელგვყოთ შენი მონები შენს წმინდა ლოცვაში, ღმერთშემოსილო მამაო, წმინდანთა დიდო მოძღვარო, და როგორც შევავედრეთ ჩვენი

დრებით, ქრისტჱს სიყუარულისათჳს ჴსენებულ-გუყვენით ღირ-
სთა შინა ლოცვათა და წინაშე წმიდასა მაგას სამწყსოსა თქუენ-
სა, ღირსო ღმრთისაო, პატიოსანო მამაო და უფალო ჩუენო; ხოლო
ჩუენი ყოფაჲ წმიდასა ამას ადგილსა საბა-წმიდას და ჰამბავი ყო-
ველი მანვე მოსე მოგაჴსენოს, წმიდაო მამაო. სიტკბოებასა შენსა
მინდობითა გაუწყებთ: დაიჯერენ სიწმიდემან შენმან, წმიდათა
ამათ ადგილთა მარადისჴსენებასა შენსა ვიკადრებთ ლოცვათა
შინა ჩუენთა, რაჲთა უფალმან ჩუენ, უღირსნი ესე, [215] წმიდასა
ლოცვასა შენსა ღირს-გუყვნეს ყოლადვე ნაწილეულ. მამაო, გვე-
დია ეფროსინე, დაჲ ჩუენი, ღმრთისა სიყუარულისათჳს იკითხეთ
და ლოცვაჲ და კურთხევაჲ შენი მასცა მიჰფინეთ, ამენ".

და ესევითართა მათ ღირსთა კაცთათჳს თქუეს პირველთა
წმიდათა მამათა, ვითარმედ: „ჟამთა უკუანაჲსთა რომელ იპოვნენ
ქრისტჱს ნებისმყოფელნი მამანი, ჩუენსაცა უწინარეს იყვნენ და
მამათაცა ჩუენთა".

ჲდ. ხოლო ნეტარი მამაჲ გრიგოლ სასწაულთამოქმედი ესრეთ
განმგებელ იყო წმიდათა კლარჯეთისა ყოველთა უდაბნოთა,
რამეთუ სარწმუნოთა მონაზონთა კეთილად იღუწიდა, ხოლო
ბრალეულთა სინანულად მოაქცევდა და ურჩთა სიმართლისათა
სრულიად განასხმიდა, რამეთუ ოპიზელი ბერი ერთი იტყოდა,
ვითარმედ: „სიჭაბუკესა ჩემსა სამგზის ოპიზით განძებულ-ვიქმენ
მამისა გრიგოლისგან უკეთურებისაგან სლვათა ჩემთაჲსაო".

არამედ ვინაჲთგან აღეშენნეს კლარჯეთისა დიდებულნი უდ-
აბნონი, მღდელნი და დიაკონნი მათნი ანჩელთა ეპისკოპოსთაგან
იკურთხევიან და ეგრეთვე, ოდეს ეპისკოპოსთა აკურთხევდიან,
უკუეთუ სწორად ყოველთა მათ უდაბნოთა წამებაჲ არა აქუნ და
წიგნი ყოველთაჲ ჭეშმარიტი საწამებელი, კათალიკოსმან

სული შენი სიწმინდით ცხოვრების ღირსებას, ამჟამადაც
გევედრებით, ქრისტეს სიყვარულისთვის მოგვიხსენეთ ღირ-
სეულ ლოცვებში და მაგ თქვენი წმინდა სამწყსოს წინაშე,
ღვთის ღირსო პატიოსანო მამაო და პატრონო ჩვენო. ხოლო
ჩვენს ყოფნას ამ წმინდა ადგილას, საბაწმინდას, და მთელ
ამბავს ეგევე მოსე მოგახსენებს, წმინდაო მამაო. შენს
სიტკბოებაზე მინდობით გაუწყებთ: დაიჯეროს შენმა სიწმინ-
დემ, ამ წმინდა ადგილებში მარადის შენს ხსენებას ვბედავთ
ჩვენს ლოცვებში, რომ ღირსგვყოს უფალმა ჩვენ, ეს უღირსე-
ბი, ყოვლითურთ შენი წმინდა ლოცვის მონაწილედ გახდომი-
სა. მამაო, გებარებოდეს ეფროსინე, ჩვენი და. ღვთის სიყვარუ-
ლისთვის მოიკითხეთ იგი და შენი ლოცვა-კურთხევა მასაც მი-
აფინეთ, ამინ".

აი, ამგვარი ღირსეული ადამიანების გამო თქვეს პირველ-
მა წმინდა მამებმა: „ბოლო ჟამს რომლებიც აღმოჩნდებიან
ქრისტეს ნების აღმსრულებელი მამები, ჩვენზე უწინარესნიც
იქნებიან ისინი და ჩვენს მამებზეც".

64. ხოლო სასწაულთმოქმედი ნეტარი მამა გრიგოლი ამგ-
ვარად განმგებლობდა კლარჯეთის ყველა უდაბნოს, რადგან
სანდო მონაზვნებს კარგად პატრონობდა, დამნაშავეებს სინან-
ულისკენ მოაქცევდა და სამართლიანობისადმი დაუმორჩილე-
ბლებს საერთოდ აძევებდა. მართლაც, ერთი ოპიზელი ბერი
ამბობდა, „ჩემს სიჭაბუკეში სამგზის გავხდი გაძევებული
ოპიზიდან მამა გრიგოლის მიერ ჩემი მოქმედებების
უკეთურების გამოო".

მას შემდეგ, რაც აშენდა კლარჯეთის დიდებული უდაბ-
ნოები, მათი მღვდლები და დიაკონები ანჩელი
ეპისკოპოსებისგან იკურთხებიან და ასევე, როდესაც ეპისკო-
პოსებს აკურთხებენ, თუკი კათალიკოსს თანაბრად ყველა ამ

საეპიკოპოსოჲსა მის ჴელთადასხმაჲ ეპისკოპოსად არა ინების, არცა სათნო არნ სამართლითა საბჭოჲთა, დაღაცათუ ფრიად ურიცხუნი ჟამნი ჰქონან საყდარსა მას ანჩისასა უწინარეს აღშენებისანი და ეპისკოპოსნიცა მრავალნი კეთილად სასწაულთა-მოქმედნი ყოფილ არიან, არამედ პატივ-სცა ქრისტემან წმიდათა მათ უდაბნოთა, რაჲთა იყოს წინამძღურად მათდა ეპისკოპოსი უმიზეზოჲ, წმიდაჲ და ღირსი, ვითარცა შეჰგავს წმიდასა მას საყდარსა, ქალწულებით დამარხულსა გან[ვ]ხრწნისაგან წვალებისა გულარძნილისა მოძღურებისა, სახელსა ზედა წმიდისა ქრისტჱს ღმრთისა ხატისასა აღშენებულსა.

ჲე. ხოლო ნეტარისა მამისა გრიგოლის ზე ღირსმან მღდელთ-მთავარმან ზაქარია ესე სასწაულნი ქმნნა:

რამეთუ მონასტერსა ტბას ახლოს მყაფარსა მას გუერდსა საშინელი ლოდი იძრვოდა და შიშისაგან მონოზონნი ივლტოდეს თჳსთა სახლთაგან. ხოლო ზაქარია, სასოებით მდგომარემან, ჰრქუა მათ: „ხვალე იხილოთ ლოდი ესე მდებარე ადგილსა, რომელსა ჩუენ არაჲ გუევნოს“. და იყო ეგრე, რამეთუ ყოლად ვერ ცნეს მამათა მათ შეძრვაჲ მისი. და ხვალისა დღე მოუგონებელსა ადგილსა, სადაცა ჰრქუა წმიდამან მან, მუნ მყარად იდვა, და ადიდებდეს ქრისტესა.

და იგივე ზაქარია სთულისა ჟამთა ჯდა ოდესმე ტბას თჳსთა ბაბილოთა მწიფეთა ქუეშე, რომელთა მრავალგზის შაშჳ ჭამდა. ხოლო ჯუარი დასწერა და მწრაფლ მოკუდა და კუალად ჯუარი დასწერა და განცოცხლებული ფრინვიდა მოყუასთა თანავე თჳსთა.

უდაბნოს დასტური და ყველა მათგანის ჭეშმარიტად დასტურმყოფელი მოწერილობა არ აქვს, არ ინებებს იგი საეპისკოპოსო [პირის] ეპისკოპოსად ხელდასხმას და, სამართლიანი მსჯავრით, არც იქნება ეს მოსაწონი, მიუხედავად იმისა, რომ [მათ] აშენებამდე მეტად ურიცხვი წელი ჰქონდა ანჩის საყდარს და ეპისკოპოსიც ბევრი ყოფილა [მისგან] ღირსეულად სასწაულთმოქმედი; თუმცა პატივი მიაგო ქრისტემ ამ წმინდა უდაბნოებს, რომ იყოს მათ წინამძღვრად უნაკლო, წმინდა და ღირსი ეპისკოპოსი, როგორც შეჰფერის ეს ქრისტე-ღმერთის ხატის სახელზე აშენებულ ამ წმინდა საყდარს, უბიწოებით დაცულს მრუდე მოძღვრების მწვალებლობის[186] გახრწნილობისგან.

65. ხოლო ნეტარი მამა გრიგოლის დროს მისმა მღვდელთ-მთავარმა ზაქარიამ ეს სასწაულები იმოქმედა:

„ტბის“ მონასტრის ახლოს, ფრიალო ფერდობზე, საშინელი ლოდი ინძრეოდა და მონაზვნები შიშისგან გარბოდნენ თავიანთი სახლებიდან, ზაქარიამ კი, იმედით მდგომარემ, უთხრა მათ: „ხვალ ნახავთ ამ ლოდს იმ ადგილას დადებულს, სადაც ჩვენ არაფერი გვევნება“, და ასეც მოხდა, რადგან მამებმა საერთოდ ვერ შეიგრძნეს მისი რყევა, ხოლო მეორე დღეს მყარად იყო იგი დადებული წარმოუდგენელ ადგილას; სადაც თქვა ამ წმინდანმა, და ადიდებდნენ ისინი ქრისტეს.

იგივე ზაქარია ერთხელ, რთველის დროს, იჯდა „ტბის“ [მონასტერში] თავისი მწიფე ბაბილოების ქვეშ, რომელთაც ხშირად ჭამდა შაშვი, ხოლო მან ჯვარი გადასწერა და მყისვე მოკვდა იგი, შემდეგ კი ისევ ჯვარი გადასწერა და, გაცოცხლდა რა, ფრინავდა თავის მეგობრებთან ერთად.

ჲვ. და ოდესმე მკალი ურიცხჳ მოვიდა მახლობელად ანჩისა საზღვარსა, ხოლო ნეტარმან ეპისკოპოსმან ზაქარია წინამიაგება კუერთხი თჳსი მღდელთა ჴელითა, და უფალმან მადლითა მონისა თჳსისაჲთა მოსრა სიმრავლე იგი მკალთაჲ, რომელი დაჰფარვიდა ჰაერსა მზისასა. და ერი მორწმუნე ღმერთსა ადიდებდა.

66. და ერთხელ ურიცხვი კალია მოვიდა ანჩის საზღვრის ახლოს, ხოლო ნეტარმა ეპისკოპოსმა ზაქარიამ წინ მიაგება მათ თავისი კვერთხი მღვდლების ხელით და უფალმა თავისი მონის მადლით მოსპო კალიების სიმრავლე, მზის ბრწყინვალებას რომ ფარავდა, და მორწმუნე ერი ღმერთს ადიდებდა.

ჲზ. კუალად ორნი საშინელნი ვეშაპნი გამოჩნდეს ანჩისა ვენაჴსა და მეევნაჴენი ივლტოდეს. ხოლო ზაქარია ლოცვითა მოაკუდინნა იგინი და კაცნი იგი სიხარულით ჰმადლობდეს ქრისტჱსა. და რამეთუ ესევითარნი ღირსნი სხუანიცა [216] იყვნეს ეპისკოპოსნი სასწაულთამოქმედნი ანჩს, მიმსგაესებულნი უფლისანი, რომელთა სიყმილსა შინა მცირითა პურითა მრავალნი მშიერნი გამოზარდნიან.

67. კიდევ, ორი საშინელი ვეშაპი გამოჩნდა ანჩის ვენახში და მევენახეები გარბოდნენ, ხოლო ზაქარიამ ლოცვით მოაკვდინა ისინი და ადამიანები სიხარულით ჰმადლობდნენ ქრისტეს. აი, ამგვარი ღირსეულები სხვებიც იყვნენ ანჩში, სასწაულთმოქმედი ეპისკოპოსები, უფალს მიმსგავსებულები, რომლებმაც შიმშილობის დროს ცოტა პურით ბევრი მშიერი გამოზარდეს.

ჲთ. არამედ დასაბამი მადლისაჲ ესე იხილვა ზაქარიაჲს სიყრმისა ჟამთა, რამეთუ მწყემსი იყო კრავთაჲ კლარჯეთისა ქუეყანასა შინა და, ვითარცა მღდელმან, შესაწირავი განჰმზადა წინაშე პატიოსანსა ჯუარსა და სხუანი ჩჩჳლნი ყრმანი გარე მოადგეს მას და დაუდუმებელად ჴმითა ჴმობდეს ანგელოზთა გალობასა ესრეთ: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქუეყანაჲ დიდებითა მისითა, ალელუა[ჲ], ალელუა[ჲ], დიდება[ჲ] ღმერთსა“. და კჳრიელეისონი ფრიად მრავალი თქჳან. ხოლო ზეცით მოწევნულ იყო სუეტი ფრიადბრწყინვალე ნათლისაჲ უმანკოსა მას ზედა მღდელსა– ყრმასა. და მგზავრ მომავალი ვინმე ეპისკოპოსი ანჩელი ხედვიდა სასწაულსა მას და მივიდა და ეზიარა ჴელითა ღირსისა მის ყრმისაჲთა და თანაწარიყვანა ანჩს. ხოლო დეკანოზსა გამოუცხადა ზიარებაჲ თჳსი. და ეპისკოპოსისა მის ბრძანებითა ღირსთა კაცთა ტბას შინა აღ-

68. ხოლო მადლის ეს სათავე გამოჩნდა ზაქარიას სიყრმის წლებში, რადგან იყო იგი კრავების მწყემსი კლარჯეთის მხარეში და, როგორც მღვდელმა, შესაწირავი გაამზადა პატიოსანი ჯვრის წინ, სხვა მცირეწლოვანი ბავშვები კი გარს შემოერტყნენ მას და დაუდუმებელი ხმით ხმობდნენ ანგელოზთა გალობას ასე: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქუეყანა დიდებითა მისითა, ალელუია, ალელუია, დიდება ღმერთსა“[187], და მეტად ბევრ „კვირიელეისონს“[188] ამბობდნენ, ხოლო ზეციდან კი ამ უმანკო მღვდელ ბავშვზე სინათლის მეტად მბრწყინავი სვეტი იყო მოახლებული. გზად მომავალი ვინმე ანჩელი ეპისკოპოსი, ხედავდა რა ამ სასწაულს, მივიდა და ეზიარა ამ ღირსი ბავშვის ხელით და თან წაიყვანა იგი ანჩში, ხოლო დეკანოზს გამოუცხადა თავისი ზიარების შესახებ. ამ ეპისკოპოსის ბრძანებით ღირსეულმა ადამიანებმა „ტბის“ [მონასტერში] აღზარდეს ეს

ზარდეს ნეტარი იგი ეპისკოპოსი ზაქარია. და ესევითარნი კეთილნი სათნოებანი დაიმკჳდრნეს ანჩისა ეპისკოპოსთა.

ჹთ. ხოლო შორის იფქლთა მათ წმიდათა იპოვა ერთი ვინმე, ვითარცა ღუარძლი, სარწებს აღმოცენებული დიაკონებასა შინა და ტფილის[ს] აღზრდილი საჰაკ ამირისა ისმაელის ძისაგან და მოციქულად მავალი აშოტ კურაპალატსა წინაშე, რომელმანცა იხილა ანჩისა ეპისკოპოსი გარდაცვალებული, და მიშუებითა აურაცხელად სულგრძელისა ღმრთისაჲთა საჰაკ ამირისა მიერ მოითხოვა ანჩისა საყდარი აშოტ [ვ] კურაპალატისაგან უკეთურმან მან ცქირმან. და რაჟამს მძლავრებით დაიპყრა ანჩი, კუალად შესძინა ძჳრი ძჳრსა მისსა ზედა მრავალი, რომლისა მოჴსენებაჲ ამას წიგნსა შინა არა ჯერ არს შთაწერად ყოველი.

ხოლო უწესოებაჲ მისი მრავალგზის ემხილა წმიდათა მათ პირველთა კლარჯეთისა მეუდაბნოეთაგან მამათა და ყოველთა მათგან სამწყსოთა კათოლიკე ეკლესიისათა, უფროჲს-ხოლო მამისა გრიგოლისგან, რამეთუ არქიმანდრიტი იყო იგი დიდებულთა მათ უდაბნოთაჲ. ხოლო მან სრულიად საღმრთოჲ შიში განაგდო ამპარტავანებისაგან ძლეულმან და ფარულად მოუწოდა ერისკაცსა ანჩელსა, ლირბსა და გლახაკსა და მაგრიად მოისარსა, და აღუთქუა მიცემად სამი გრივი ფეტჳ და ხუთნი თხანი, და წარავლინა ხანცთად მოკლვად მამისა გრიგოლისსა. და გზას ვისგანმე ცნა, ვითარმედ არს იგი ხანცთისა აგარაკსა და დღეს მოვალს შინა. მაშინ წარვიდა მზრად ტყესა მას ხანცთისასა და მშჳლდი გარდაცუმული ჴელთა აქუნდა.

ნეტარი ეპისკოპოსი ზაქარია. აი, ამგვარი კარგი სათნოებანი იმემკვიდრეს ანჩის ეპისკოპოსებმა.

69. ხოლო ამ წმინდა ხორბალთა შორის გამოჩნდა ერთი ვიღაც, ღვარძლისებრ აღმოცენებული სარწებში[189] დიაკონად, თბილისში კი აღზრდილი საჰაკ ამირა ისმაელის ძისგან და [მისთვის] ელჩობის გამწევი აშოტ კურაპალატის წინაშე. ამან, ამ უკეთურმა ცქირმა, ნახა ანჩის ეპისკოპოსი გარდაცვლილი და აურაცხელად სულგრძელი ღვთის დაშვებით საჰაკ ამირის მიერ მოითხოვა აშოტ კურაპალატისგან ანჩის საყდარი, ხოლო როდესაც ძალადობით დაიკავა მან ანჩი, კვლავ მრავალი უკეთურება შეჰმატა თავის უკეთურებას, რისი მოხსენიებაც, ამ წიგნში ყველაფრის ჩასაწერად, მართებული არ არის.

თავის უწესობაში მრავალგზის იქნა იგი მხილებული კლარჯეთის პირველ წმინდა მეუდაბნოე მამათაგან და კათოლიკე ეკლესიის ყველა სამწყსოსგან, უფრო კი მამა გრიგოლისგან, რადგან ამ დიდებული უდაბნოების არქიმანდრიტი იყო იგი, მაგრამ ცქირმა, ამპარტავნებისგან ძლეულმა, მთლიანად უკუაგდო საღვთო შიში, ფარულად მოუხმო ანჩელ ერისკაცს, ურცხვსა და გლახაკს; ამასთან მაგრად მოისარს, და აღუთქვა მას სამი საწყაო ფეტვი და ხუთი თხა და გაგზავნა ხანცთაში მამა გრიგოლის მოსაკლავად. [მკვლელმა] გზაში გაიგო, რომ გრიგოლი ხანცთის ადგილ-მამულში იმყოფებოდა და რომ იმ დღეს უნდა მოსულიყო შინ. ამის გამო ხანცთის ტყეში წავიდა იგი ჩასასაფრებლად, მშვილდი კი მოზიდული ჰქონდა ხელში.

ო. ხოლო ნეტარი მამაჲ გრიგოლ თჳსით აგარაკით მარტოჲ შთამოვიდოდა ხანცთას და მგზავრ სლვასა ზეპირით წმიდისა მამისა ეფრემის თქუმულთა საკითხავთა იტყოდა გოდებით ტირილსა შინა, ხოლო სულითა იხარებდა, რამეთუ ხედვიდა საღმრთოთა ხილვათა მადლითა სულისა წმიდისაჲთა. მაშინ საწყალობელმან მან კაცმან იხილა სასწაული დიდი წმიდასა მას ზედა ზეგარდამო, რამეთუ სუეტი ნათლისაჲ ფრიადბრწყინვალე ცად აღწევნული ჰფარვიდა მას, და იყო თავსა მისსა ჯუარი თუალთშეუდგამი გარემო მისსა ცისსარტყელისსახედ, შუენიერად რაჲ გამოჩნდის ჟამსა წჳმისასა. ესე დიდებაჲ მისზედა იხილა კაცმან მან [217] და ფრიადძრწოლამან შეიპყრა იგი, რამეთუ დაჰჴსნდეს ძარღუნი მკლავთა მისთანი და ზარისა მისგან დიდისა დაცემული იდვა ქუეყანასა ზედა.

ჰრქუა მას ნეტარმან გრიგოლ: „ჰ საწყალობელო, ყავ ბრძანებული მისი, რომელმან მოგავლინა შენ, რამეთუ შენ ხარ უვარისმყოფელი ქრისტეანობისაჲ, ვინაჲთგან უნდოჲსა სასყიდლისათჳს უბრალოჲსა ბერისა კაცისა სისხლთა გარდაისხამ. ანუ არა სამისა გრივისა ფეტჳსათჳს და ხუთთა თხათათჳს მოსრულ ხარა მოკლვად ჩემდა, ჰ უგუნურო?“. მაშინ კაცი იგი ტირილით ევედრებოდა მას: „შემიწყალე, წმიდაო ღმრთისაო, განწირული ესე მკლველი შენი და მიემსგავსე ქრისტესა, მკლველთა თჳსთა მონანულთა შემნდობელსა, რამეთუ არა დაშთა ძალი ჩემი ჩემთანა საშინელისა ხილვისა შენისაგან, რომელმან დამაკუეთა მე“. მაშინ წმიდამან მან წყალობით ჯუარი დასწერა და განკურნა იგი, რამეთუ მრავალი გუემაჲ დაცემულ იყო მისზედა და სიხარულით განუტევა სახიდ თჳსად. ხოლო კაცმან მან ყოველი იგი ყოფილი უთხრა ცქირსა. და იგი უფროჲს-ღა აღბორგნა და შესძინა სიბრძე სიბრძესა ზედა.

და მრავალი ბოროტი შეამთხჳა მამასა გრიგოლს და მისჟამისა წმიდათა მამათა და სხუათაცა, მორწმუნეთა ერისკაცთა. და რომელნი მარადის სამართლად ამხილებდეს მას, მათვე ერთობით

70. ხოლო ნეტარი მამა გრიგოლი თავისი ადგილ-მამულიდან მარტო ჩამოდიოდა ხანცთაში და გზად მიმავალი, ტიროდა რა, გოდებით ამბობდა ზეპირად წმინდა მამა ეფრემის მიერ ნათქვამ საკითხავებს, სულით კი ხარობდა, რადგან საღვთო ხილვებს ხედავდა სულიწმინდის მადლით. მაშინ იმ საბრალო კაცმა ნახა დიდი სასწაული ზევიდან წმინდანზე, რადგან სინათლის ცად აწეული, მეტად მბრწყინავი სვეტი ფარავდა მას და მის თავზე იყო მზერაგაუსწორებელი ჯვარი, ცისარტყელის სახით მის ირგვლივ, როგორც ეს მშვენიერებით ჩნდება წვიმის დროს. ამგვარი დიდება ნახა მასზე იმ კაცმა და ძრწოლამ შეიპყრო იგი დიდად, რადგან მოეშვა მისი მკლავების ძარღვები და ამ დიდი თავზარისგან დაცემული მიწაზე იდო.

უთხრა მას ნეტარმა გრიგოლმა: „ჰოი საბრალოვ, შეასრულე ნაბრძანები იმისა, ვინც გამოგგზავნა შენ, რადგან შენ ხარ ქრისტიანობის უარმყოფელი, ვინაიდან ფუჭი საფასურის გამო უდანაშაულო ბერიკაცის სისხლს გადაისხამ. განა სამი საწყაო ფეტვისა და ხუთი თხისთვის არ ხარ მოსული ჩემს მოსაკლავად, ჰოი უგუნურო?“ მაშინ ის კაცი ტირილით ევედრებოდა მას: „შემიწყალე, ღვთის წმინდანო, შენი ეს განწირული მკვლელი, და მიემსგავსე ქრისტეს, თავისი მონანული მკვლელების მპატიებელს, რადგან არ არის დარჩენილი ჩემი ძალა ჩემთან შენი საშინელი ხილვის გამო, რამაც დამცა მე“. მაშინ წმინდანმა სიბრალულით ჯვარი გადასწერა მას და განკურნა იგი, რადგან ბევრი გვემულება იყო მასზე დატეხილი, და სიხარულით გაუშვა თავის სახლში, ხოლო იმ კაცმა ყოველივე მომხდარი უთხრა ცქირს, ის კი უფრო მეტად გაცოფდა და სიბრმავეზე სიბრმავე დაამატა.

ბევრი ბოროტება გაუკეთა მან მამა გრიგოლს, გრიგოლის დროის წმინდა მამებს და სხვებსაც, მორწმუნე ერისკაცებს, ხოლო რომლებიც მუდამჟამს სამართლიანად ამხელდნენ მას,

აუწყეს ყოველი დიდსა მას ჴელმწიფესა აშოტ კურაპალატსა. და ბრძანებითა მისითა ყოველთა მათ მოწესეთა ანჩისა კათოლიკე ეკ-ლესიისათა წიგნი მიწერეს ქართლისა კათალიკოსისა მიმართ, და მის მიერ ეპისკოპოსნი ღირსნი მოიწინეს ანჩს და მათთანა შემოკრბეს ყოველნი იგი მეუდაბნოენი მამანი.

და სასწაულთამოქმედი ნეტარი დედაჲ ფებრონია მივიდა კრებასა მას წმიდასა, მიმსგავსებულსა [ვ] პირველთა მათ წმიდათასა, და ყოველნი მღდელნი, მრემლნი ანჩისანი, მათ თანა. და წინაშე ეპისკოპოსთა მათ წარმოუთხრეს ცქირისა სამართალი, უშჯულოებაჲ მისი, სარწმუნოთა მათ სასწაულთამოქმედთა კაცთა წარმდები მიზეზი აუგთა მისთაჲ პირისპირ.

მაშინ სარწმუნოთა მათ მღდელთმოძღუართა განკუეთეს იგი პატივისაგან მისისა. და მამამან გრიგოლ და დედამან ფებრონია შემოსილი საკურთხეველით შთამოიყვანეს და წინაშე საკურთხეველსა განძარცუეს, და ყოველთა ერთობით განჴადეს კათოლიკე ეკლესიით, ვითარცა-ღა ასოჲ დამპალი. მწვალებელ-თაებრ ყოვლითკერძო შჯულისა გარდამავალი განიდევნა იგი. ხოლო მას, ვითარცა განეშორა შეწევნაჲ ღმრთისაჲ, ღონე ყოველი დაელია და ტფილის[ს] წარვიდა საჰაკ ამირისა, პატრონისა თჳსისავე, და წყინებითა მისითა რეცა მიეშუა კურაპალატი, და კუალად მძლავრებით დაიპყრა ანჩისა საყდარი, რაჲთამცა შურ-იგო მამისა გრიგოლის ზედა.

მაშინ შეკრიბა ერი ანჩისაჲ და წარავლინა დარღუევად ხანცთისა. და აღმოსლვასა ოდენ მზისასა მივიდეს. ჰრქუა მათ მამამან გრიგოლ: „შვილნო, დრო-მეცით მე და ძმათა ჩემთა ვიდრე შუადღედმდე, რაჲთა წმიდასა შინა ეკლესიასა ვყოთ ვედრებაჲ წინაშე ქრისტჱსა, და შევიწიოთ წმიდაჲ გიორგი და ყოველნი წმიდანი, და ყოს უფალმან სასწაულ კეთილ“. ხოლო მათ ისმინეს სიტყუაჲ მოხუცებულისაჲ მის ამისთჳს, რამეთუ ეხილვნეს მის-გან სასწაულნი.

მათვე ერთობლივად აცნობეს ყოველივე დიდ ხელმწიფეს, აშოტ კურაპალატს და მისი ბრძანებით ანჩის კათოლიკე ეკლესიის ყველა მოწესემ წერილი მისწერა ქართლის კათალიკოსს, რომლისგანაც ღირსეული ეპისკოპოსები მივიდნენ ანჩში და მათთან ერთად შეიკრიბა ყველა მეუდაბნოე მამა.

სასწაულთმოქმედი ნეტარი დედა ფებრონიაც მივიდა ამ წმინდა კრებაზე, რაც მიმსგავსებული იყო პირველ წმინდა [კრებებს]. მათთან ერთად იყო ყველა მღვდელი, ანჩის სამწყსო[190]. ეპისკოპოსთა წინაშე პირისპირ წარმოთქვეს ამ ღირსეულმა სასწაულთმოქმედმა ადამიანებმა საჩივარი[191] ცქირზე, მისი უსჯულოება და მისი სიავეების თავხედური მიზეზი[192].

მაშინ ამ ღირსეულმა მღვდელთმოძღვრებმა განკვეთეს ცქირი მისი პატივისგან. მამა გრიგოლმა და დედა ფებრონიამ შემოსილი ჩამოიყვანეს იგი საკურთხეველიდან და საკურთხევ-ლის წინ განმოსეს, და ყველამ ერთად გააძევა კათოლიკე ეკლესიიდან, როგორც რომ დამპალი ნაწილი. განიდევნა იგი, როგორც მწვალებელი, ყოველმხრივ სჯულის დამარღვეველი, მაგრამ მას, განეშორა რა ღვთის შეწევნა, ყველა საშუალება მოესპო და წავიდა თბილისში საჰაკ ამირთან, თავის პატრონ-თან, ამ უკანასკნელის დაჟინებული თხოვნით[193] კი თითქოსდა დამთმობი გახდა[194] კურაპალატი და ცქირმა კვლავ ძალადო-ბით დაიკავა ანჩის საყდარი, რომ შური ეძია მამა გრიგოლზე.

მაშინ შეკრიბა მან ანჩის ხალხი და გაგზავნა ხანცთის დასანგრევად, სადაც ისინი მხოლოდ მზის ამოსვლისას მივიდნენ. მამა გრიგოლმა უთხრა მათ: „შვილებო, დრო მომეცით მე და ჩემს ძმებს შუადღემდე, რომ წმინდა ეკლესიაში ვედრება აღვასრულოთ ქრისტეს წინაშე და შემწედ გავიხადოთ[195] წმინდა გიორგი და ყველა წმინდანი, და მოახდინოს უფალმა კარგი სასწაული“[196]. შეისმინეს მათ მოხუცებულის სიტყვა, რადგან ენახათ მისგან სასწაულები.

ოა. და ჟამსა მას ცრემლით ვედრებისა მათისასა ისმინა უფალმან თხოვაჲ მათი და წმიდისა ანგელოზისა მიერ ეუწყა მათ, ვითარმედ: „საღმრთოჲ შურისგებაჲ [218] ეწია ბოროტსა მას მტერსა თქუენსა, და აჰა მოიწიოს ქადაგი, ვითარმედ მოკუდა იგი, დაღაცათუ ორ დღე ცოცხალ ამისთჳს არს, რაჲთა ვერ ღირს-იქმნეს დამარხვად საყდარსა საეპისკოპოსოსა და ყოველთა ჰრწმენეს განკუეთაჲ მისი, ხოლო გული მისი აწვე მომკუდარ არს“. და ვითარცა ესე ჴმაჲ სიხარულისა მათისაჲ ესმა ანგელოზ-ისაგან ანგელოზთასწორთა მამათა, განიხარეს ფრიად და დიდე-ბაჲ შეწირეს ღმრთისა, რომელმან ყვის საკჳრველი მხოლომან. და გულისჴმა-ყვეს წერილისაჲ, ვითარმედ: „უგუნური რისხვამან მოკლის“, რომელი მარადის უწესოებასა იწურთიდა და მართალ-თა თანა შეერაცხა თავი თჳსი. მაშინ გამოვიდა ეკლესიით მხი-არული ნეტარი გრიგოლ და ჰრქუა მათ: „ნუღარა გეშინინ თქუენ მძლავრებისაგან მომავლინებელისა თქუენისა, რამეთუ უფალმან რისხვით მოკლა იგი“.

და მო-ხოლო-იწია კაცი, რომელი ეტყოდა კაცთა მათ: „ნუღარა იკადრებთ დარღუევად დიდებულსა ხანცთასა, რამეთუ დამარღუეველი მაგისი მოკუდა“.

მაშინ განიხარეს კაცთა მათ, ხოლო მამათა ისტუმრნეს და სიხარულით წარვიდეს სახიდ თჳსად და ადიდებდეს ღმერთსა.

ხოლო პირველსაცე სიტყუასა მოვიდეთ. რამეთუ ცქირმან, რა-ჟამს წარავლინა ერი იგი ხანცთას, მაშინ თჳთ წარვიდა ქორთას, რამეთუ მუნ ნამარხევი მისი იყო, რაჲთამცა წარიღო. და გზას, ვითარცა პური ჭამეს, მიერულა და საშინელი ჩუენებაჲ იხილა, სამხილებელი ბოროტთა საქმეთა მისთაჲ, უფროჲს-ხოლო ხანც-თელთა ბოროტისყოფისათჳს. მაშინ საღმრთოჲ ვინმე მღდელი ანჩელი იყო მის თანა, და უფალმან გამოუცხადა ბოროტად-სიკუდილი ცქირისაჲ. [ვ] და მან მღდელმან წარავლინა თჳსი მოწ-აფჱ ხანცთად და დამტკიცებულად აუწყა სიკუდილი ცქირისაჲ.

71. და მათი ცრემლიანი ვედრების დროს შეისმინა უფალმა მათი თხოვნა და წმინდა ანგელოზის მიერ ეუწყათ მათ: „საღვ-თო შურისგება ეწია თქვენს ბოროტ მტერს და აჰა, მოვა მაცნე იმისა, რომ მოკვდა იგი, თუმცაღა ორი დღე ცოცხალი[197] ამის გამოა, რომ ვერ გახდეს საეპისკოპოსო საყდარში დამარხვის ღირსი და ყველამ ირწმუნოს მისი განკვეთილობა, ხოლო მისი გული უკვე მკვდარია“. და როდესაც ანგელოზთა სწორ მამებს ანგელოზისგან მოესმათ მათთვის სასიხარულო ხმა, მეტად გაიხარეს და დიდება შესწირეს ღმერთს (რომელიც ერთადერთი ახდენს საკვირველებას), ამასთან შეიცნეს წერი-ლის სიტყვა: „რისხვა კლავს უგუნურს“[198]. მაშინ გამოვიდა ეკ-ლესიიდან მხიარული ნეტარი გრიგოლი და უთხრა მათ: „ნუღარ გეშინიათ იმის, ვინც თქვენ იძულებით გამოგგზავნათ, რადგან უფალმა რისხვით მოკლა იგი“.

და კიდეც მოვიდა კაცი, რომელიც ეუბნებოდა ამ ადამი-ანებს: „ნუღარ გაბედავთ დიდებული ხანცთის დანგრევას, რადგან მაგის დამნგრევი მოკვდა“.

მაშინ გაიხარეს ამ ადამიანებმა, ხოლო მამები გაუმასპინ-ძლდნენ მათ. შემდეგ ისინი სიხარულით წავიდნენ თავიანთ სახლებში და ადიდებდნენ ღმერთს.

მაგრამ თავდაპირველ სიტყვასთან მივიდეთ. როდესაც ცქირმა ხანცთაში გააგზავნა ხალხი, თვითონ წავიდა ქორთა-ში, რადგან იქ მისი განძი იყო და უნდოდა წაეღო. გზაზე, როდესაც პური ჭამეს, მიეძინა მას და საშინელი ჩვენება ნახა, მისი ბოროტი საქმეების მამხილებელი, უფრო კი ხანცთელთა მიმართ ჩადენილი ბოროტების სანაცვლო. მაშინ მასთან ერთად იყო ვიღაც ანჩელი საღვთო მღვდელი და მას გამოუცხადა უფალმა ცქირის საშინელი სიკვდილი (სწორედ ამ მღვდელმა გაგზავნა თავისი მოწაფე ხანცთაში და ამან აუ-წყა მათ დარწმუნებით ცქირის სიკვდილი). როგორც კი მი-

და ვითარცა მიიწია ცქირი ქორთას, მოკუდა ხოლო, და მუნ დაჰ-
ფლეს უფლისა მეორედ მოს[ლ]ვადმდე.

და რაჟამს განქარდა განსაცდელი იგი მისჟამისაჲ, მაშინ წმი-
დამან მან საყდარმან ქრისტჱს ღმრთისა ცხოველისა ხატისამან
სიხარულით მშჯდობისყოფაჲ მიჰფინა სამწყსოთა თჳსთა ზედა
კეთილთა მწყემსთა გამობრწყინვებითა.

ხოლო უკუანაჲსკნელთა ამათ ჟამთა ჩუენთა გლახაკნი იხარე-
ბენ მადლითა უფლისაჲთა, ოხითა საუკუნითგან-წმიდათაჲთა და
ჴორციელად მოღუაწებითა მეფეთა ჩუენთა დიდებულთაჲთა,
რომელნი იყვნეს კეთილად-ღმრთისმსახურ, წმიდათა ეკლესიათა
აღმაშენებელ, ბარბაროზთა ბანაკსა დამარღუეველ, ჭეშმარიტთა
ქრისტეანეთა სიქადულ და მოწესეთა სიხარულ, რომელთა შორის
იპოვა ძჱ დიდისა ადარნერსე კურაპალატისაჲ, ბაგრატ ერისთავ-
თა-ერისთავი, ძალითა ღმრთისაჲთა დიდი ჴელმწიფჱ, ეზრაჲს ზე,
ღირსისა ანჩელ მამათმთავრისა ეპისკოპოსისა, დიდებულთა
აზნაურთა დაფანჩულთა შვილისა.

ესე ბაგრატ გულისჴმისყოფითა ქებულ, წმიდათა ეკლესიათა
აღმაშენებელ, საღმრთოთა წიგნთა მეძიებელ და შემკრებელ,
წმიდათა ყოველთა ღირსადმადიდებელ; წმიდათა ოხაჲ მარადის
შემწე-ეყავნ მას აქა და საუკუნოდ, რომელმან ნეტარისა მამისა
გრიგოლის ცხორებაჲ ესე განაახლა სასწაულთა მათ გამოჴუე-
ბულთა შერთვითა; შე-მცა-რთულ არს იგი რიცხუსა პირველთა
მათ წმიდათა მეფეთასა მეუფისა ქრისტჱს მიერ ლოცვითა ღირ-
სისა გრიგოლისითა და ყოველთა წმიდათაჲთა, რომელმან ჩუენ,
გლახაკთა შვილთა მამისა გრიგოლისთა, ყუედრებაჲ მოგჯსპო და
უმეცრებით მაყუ[ედ]რებელსა სირცხჳლი [219] დაუმკჳდრა ამან
დიდებულმან მეფემან. უფალმან ბრალთა მისთა ყუედრებაჲ,
რომელსა ეჭუდეს, მოუსპენ მას სრულიად ღირსთა მამათა ვე-
დრებითა და მათთანა ნეტარისა მამისა გრიგოლის მადლითა,
რომელიცა ქუეყანასა ზედა ცხოვნდებოდა ვითარცა ანგელოზი.

აღწია ქორთას ცქირმა, კიდეც მოკვდა და იქ დაასაფლავეს
იგი უფლის მეორედ მოსვლამდე.

როდესაც იმჟამინდელი განსაცდელი გაქარწყლდა, მაშინ
ქრისტე ღმერთის ცხოველი ხატის წმინდა საყდარმა მშვიდო-
ბისმყოფელი სიხარული მიჰფინა თავის სამწყსოებს კარგი მწ-
ყემსების გამობრწყინებით.

ხოლო ამ ჩვენს ბოლო დროში გლახაკები ხარობენ უფლის
მადლით საუკუნოვან[199] წმინდანთა მეოხებით და ჩვენი დიდე-
ბული მეფეების ხორციელი ღვაწლით, რომლებიც იყვნენ
ღირსეულად ღვთისმსახურები, წმინდა ეკლესიების აღმშენე-
ბლები, ბარბაროსთა ბანაკის დამარღვევლები, ჭეშმარიტი
ქრისტიანების სიამაყენი და მოწესეთა სიხარული, რომელთა
შორისაც აღმოჩნდა ძე დიდი ადარნერსე კურაპალატისა, ბა-
გრატ ერისთავთ-ერისთავი, ღვთის ძალით დიდი ხელმწიფე,
ეზრა ეპისკოპოსის, ღირსი ანჩელი მამამთავრის და დიდე-
ბული აზნაურების, დაფანჩულების, შვილის დროს მყოფი.

ეს ბაგრატი ქებულია გონებამწვდომელობით. იგი არის
წმინდა ეკლესიების აღმშენებელი, საღვთო წიგნების მაძიებე-
ლი და შემკრები, ყველა წმინდანის ღირსეულად მადიდე-
ბელი. წმინდანების მეოხება მარადის შეეწეოდეს მას აქ და
საუკუნოდ, რომელმაც ნეტარი მამა გრიგოლის ეს ცხოვრება
განაახლა გამოკლებული სასწაულების შერთვით; შერთული
იყოს იგი პირველი წმინდა მეფეების რიცხვს მეუფე ქრისტეს
მიერ, ღირსი მამა გრიგოლისა და ყველა წმინდანის ლოცვით,
რადგან მან ჩვენ, მამა გრიგოლის გლახაკ შვილებს,
საყვედური მოგვაშორა და დიდებულმა მეფემ შერცხვენილი
გახადა უმეცრებით მოსაყვედურენი[200]. უფალმა სრულიად
აშოროს მას მის დანაშაულთა გამო, რაზეც კი ეჭვი ექნება,
საყვედური, ღირსი მამების ვედრებით და მათთან ერთად ნე-
ტარი მამა გრიგოლის მადლით, რომელიც მიწაზე ცხოვრობ-
და, როგორც ანგელოზი.

და ჟამსა მას მოხუცებულებისა მისისასა ამცნებდა ესრეთ ხანცთისა ხოლო კრებულთა, ვითარმედ: „ამას მონასტერსა შინა სენაკებსა თანა ეგუტერსა ჟამისსწირავად ნუვინ აღაშენებს, რამეთუ უჯეროვება არს, უკუეთუ ერისა ნებაჲ არა იყოს, თჳნიერ დიდისა მის საეროჲსა ეკლესიისა, ამის მიზეზისათჳს, რამეთუ ოდეს დეკანოზმან ჟამისწირვისათჳს ჟამსა ჰრეკოს, მაშინ ყოველნი მღდელნი მუნ არა მოვიდენ, არამედ თჳსთა ეგუტერთა დადგენ ჟამისწირვად და დიდისავე ეკლესიისა სწორად აწყინებდენ კაცთა შესაწირავისა თხოვისათჳს, და დეკანოზსა ყოლადვე მათი ვედრებაჲ უნდეს დიდად ეკლესიად მისლვისათჳს ჟამისმწირველთა მღდელთაჲსა. და აწ ამის წესისა ჯერ არს დამტკიცებაჲ, ვინ მორჩილ იყოს სიტყუათა ჩემ გლახაკისა გრიგოლისთა“.

ობ. ხოლო ნეტარი ესე კაცი ღმრთისაჲ, მამაჲ გრიგოლ, ნებისა ქრისტჱსისა სამკჳდრებელი, სასწაულთამოქმედი დიდებული, ფრიად გარდარეულად დაბერდა, რამეთუ ას და ორისა წლისა ჟამთა მიიწია. ხოლო ფერი პირისა მისისაჲ არა იცვალა, არცა შეემთხჳა თუალთა მისთა მრუმედ მხედველობაჲ, და ჴორცითა ძლიერ იყო და რაჲთურთით უძლურებაჲ სიკუდილადმდე არა იპოვა მის თანა, რამეთუ განძლიერებულ იყო იგი ძალითა ქრისტჱსითა და აქუნდა მას სიქადულად სანთელი ქალწულებისაჲ, და ზეთი მოწყალებისაჲ, და სიყუარული ღმრთისაჲ და ძმათაჲ. ხოლო შრომაჲ დიდად უყუარდა [ვ] არა ხოლო ლოცვისა და მარხვისაჲ ოდენ, არამედ დღე და ღამე ჴელითა თჳსითა იქმოდა, ვითარცა იტყჳს პავლე: „რომელი არა შურებოდის, ნუცა ჭამნო“. და იყო იგი მხიარულად მესტუმრე და გლახაკთმოღუაწე.

ხოლო უმრავლესთა დღეთა შატბერდს იყოფინ, რამეთუ თჳსთა მათ მონასტერთა მამასახლისნი დაედგინნეს და იგინი იღუწიდეს მათ, და რომელი გარდამრე საქმე არნ, მას აუწყიან

თავისი მოხუცებულობის დროს ასე ამცნებდა გრიგოლი სახელდობრ ხანცთის კრებულს: „ამ მონასტერში სენაკებთან ნურავინ ააშენებს ეგვტერს ჟამისწირვისათვის, რადგან თუ კრებულის ნება არ არის, უმართებულოა, რომ დიდი საკრებულო ეკლესიის გარეშე [სრულდებოდეს ჟამისწირვა]; ვინაიდან როდესაც დეკანოზი ჟამისწირვისათვის საათს დარეკავს[201], მაშინ ყველა მღვდელი იქ არ მივა, არამედ ისინი თავიანთ ეგვტერებში დადგებიან ჟამისწირვაზე და დიდი ეკლესიის სწორადვე შეაწყენენ თავს ადამიანებს შესაწირავის თხოვნით[202], დეკანოზს კი ხვეწნა დასჭირდება მათთან, რომ დიდ ეკლესიაში მივიდნენ ჟამისმწირველი მღვდლები. ახლა ამ წესის მტკიცედ დაცვაა[203] საჭირო იმათგან, რომლებიც ჩემი, გლახაკი გრიგოლის, სიტყვებს დაემორჩილებიან“.

72. ხოლო ეს ნეტარი ღვთისკაცი მამა გრიგოლი, ქრისტეს ნების სამკვიდრებელი და დიდებული სასწაულთმოქმედი, მეტისმეტად ძლიერ დაბერდა, რადგან ასორი წლის ასაკს მიაღწია მან. თუმცა მისი პირისახის ფერი არ შეცვლილა, არც სუსტადმხედველობა შეხებია მის თვალებს. ხორცით ძლიერი იყო იგი და სიკვდილამდე არანაირად არ პოვნილა მასთან უძლურება, რადგან გაძლიერებული იყო იგი ქრისტეს ძალით. სიამაყედ ჰქონდა მას ქალწულობის სანთელი, მოწყალების ზეთი და ღვთისა და ძმათა სიყვარული, შრომა კი დიდად უყვარდა მას, არა მხოლოდ ლოცვისა და მარხვისა, არამედ იგი დღე და ღამე თავისი ხელით საქმიანობდა, როგორც ამბობს პავლე: „ვინც არ შრომობს, ნუ ჭამსო“[204]; ამასთან, იყო იგი მხიარულად მემასპინძლე და გლახაკთმზრუნველი.

უფრო მეტი დღე შატბერდში იმყოფებოდა იგი, რადგან თავის მონასტრებში მამასახლისები ჰყავდა მას დადგენილი და ისინი ზრუნავდნენ მათზე, ხოლო რაც ზეაღმატებული[205]

მსგავსად სიბრძნისა მის ღმრთივმოცემულისა, რომელი მკჳდრ იყო მისთანა მარადის, ვიდრე აღსრულებადმდე მისსა და მიწ-ევნად ბრძენი ბრძენთა თანა საუკუნესა ცხორებასა და სუფევასა.

ოგ. ხოლო დღეთა მათ მოხუცებულებისა მისისათა იყო რაჲ შატბერდს, ზრუნვაჲ აქუნდა ძმათა მათ მკჳდრთა ხანცთისათა, რამეთუ ესმა, ვითარმედ ოხჭანი ამის ცხ[ო]რებისაჲ შატბერდს ეგულების სულიერად მამასა მათსა. მაშინ რომელთა სლვაჲ ძალ-ედვა, ერთობით მიიწინეს ყოველნი შატბერდს ძიებად წმიდისა მის. ხოლო ძმათა მათ შატბერდელთა განიხარეს მისლვაჲ ძმათა მათ თჳსთაჲ. და რაჟამს გულისჴმა-ყვეს მიზეზი მისლვისა მათ-ისაჲ, სიხარული მწუხარებად გარდაექცა. და ვითარცა ილოცეს თაყუანისცემით წმიდასა ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშო-ბელისასა და თაყუანის-სცეს ნეტარსა მამასა თჳსსა შვილთა მათ სულიერად შობილთა და შრომით შეკრებულთა, ხოლო მან წადი-ერებით სურვიელად ამბორს-უყო ყოველთა და მოწლედ მოიკითხნა, ვითარცა მამამან ტკბილმან და მოძღუარმან სახიერ-მან, და მერმე ურთიერთას ამბორს-უყვეს მოკითხვით ძმათა მათ ხანცთელთა და შატბერდელთა და დასხდეს. მაშინ სიტყუად იწყო ხანცთელთა მიმართ ნეტარმან გრიგოლ და ჰრქუა მათ:

„ძმანო და შვილნო საყუარელნო, რაჲ არს მიზეზი [220] თქუენ ყოველთა აქა მოშრომისაჲ, მაუწყეთ“. ხოლო ეტჳფანე და ზენონ ჰრქუეს ძმათა მათ სხუათა: „წეს არს თქუენ მიერ ღირსი პასუხი, რაჲთა ბრძენთა მოწაფეთა ბრძნისა მოძღურისა მიმართ ღირსითა სიტყჳთა ძღუენი გულსმოდგინებისაჲ შესწიროთ და სა-სოებით საწადელი სულისა ჩუენისაჲ მოვიღოთ მადლითა ღმრ-თისაჲთა“.

მაშინ ყოველთა ერთობით ჴმა-ყვეს:

საქმე იქნებოდა, მას აუწყებდნენ იმ ღვთივმოცემული სიბრძნის კვალობაზე, მარადის მასთან რომ იყო დამკვიდრებული მის აღსასრულამდე და მისი, ბრძენის, ბრძენებთან ერთად საუკუნო ცხოვრებასა და სუფევას მიახლებამდე.

73. ხოლო მისი მოხუცებულობის ხანებში, იმყოფებოდა რა შატბერდში, წუხილი ჰქონდათ ხანცთაში მკვიდრ ძმებს, რადგან გაეგონათ, რომ მათ სულიერ მამას შატბერდში ეგულებოდა ამ ცხოვრების დაბოლოება. ამიტომ, ყველა, ვისაც კი სიარული შეეძლო, ერთობლივად მივიდა შატბერდში წმინდანის მოსაძიებლად. შატბერდელმა ძმებმა გაიხარეს თავიანთი ძმების მოსვლის გამო, მაგრამ გაიგეს რა მათი მოსვლის მიზეზი, სიხარული მწუხარებად გადაექცათ. როდე-საც ილოცეს თაყვანისცემით წმინდა ღვთისმშობლის წმინდა ეკლესიაში და როდესაც სულიერად შობილმა და გარჯით შეკრებილმა შვილებმა თაყვანი სცეს თავიანთ ნეტარ მამას, ის კი წადიერი სურვილით ეამბორა ყველას და სიყვარულით მოიკითხა, როგორც ტკბილმა მამამ და კეთილმა მოძღვარმა, ხოლო შემდეგ, რაჟამს ურთიერთმოკითხვით ერთიმეორეს ეამბორნენ ხანცთელი და შატბერდელი ძმები, და დასხდნენ, მაშინ ხანცთელთა მიმართ სიტყვის თქმა დაიწყო ნეტარმა გრიგოლმა და უთხრა მათ:

„ძმებო და საყვარელო შვილებო, მაუწყეთ, რა არის მიზე-ზი იმისა, რომ აქ მოსასვლელად გაისარჯეთ“[206]. ეპიფანემ და ზენონმა უთხრეს სხვა ძმებს: „საჭიროა თქვენგან ღირსეული პასუხი, რომ ბრძენმა მოწაფეებმა ღირსეული სიტყვით გულ-მოდგინების ძღვენი შეწიროთ ბრძენი მოძღვრისადმი და რაც არის სასოებით საწადელი ჩვენი სულისა, მივიღოთ ის ღვთის მადლით“.

„ჰ წმიდაო ღმრთისაო, სულიერად შვილთა შენთა მშობელო მამაო და მზრუნველო ცხორებისა ჩუენისაო, და შესავედრებელო ქრისტჱს მორწმუნეთაო, დაღაცათუ შატბერდელნი ძმანი ჩუენნი ყოველნი უფლისა სათნონი არიან და ნებისაებრ ღმრთისა ნებისა შენისა მორჩილ, არამედ ესოდენთა დღეთა არამოსლვაჲ შენი ჩუენდა ხანცთისათჳს ფრიად სირცხჳლ არს და ჩუენთა ყოველთა საკდემელ ყოველთა კაცთაგან, რამეთუ პირველი ნაყოფი წმიდათა შრომათა შენთაჲ ხანცთაჲ არს. და აწ ამისთჳს არს ჩუენი აქა მოსლვაჲ, რაჲთა ჰბრძანო ხანცთად და ნუგეშინის-ეცეს, რომელთა ვერ ძალ-უც აქა მოსლვაჲ, და სხუათაცა უდაბნოთა აჩუენოთ ჩუენდა მომართ სრული სიყუარული შენი. და ესე უწყოდე, უკუეთუ სმენაჲ არა ვპოოთ, ვიპოვნეთ ყოველნი აქა წინაშე შენსა, რამეთუ მძიმე არს ჩუენდა ამას ჟამსა უშენოდ ხანცთად მისლვაჲ“.

ხოლო წმიდამან მან თქუა: „კურთხეულ არს ქრისტე ღმერთი ყოველთაჲ, რომელმან თჳსი წმიდაჲ მცნებაჲ სიყუარულისაჲ მტკიცედ დაჰნერგა გულსა თქუენსა ჩემ გლახაკისა ბერისა მომართ თქუენისა, შვილნო ჩემნო საყუარელნო, და უფროჲს-და შვილნო ქრისტჱსნო, წმიდისა ნებისა მისისა აღმასრულებელნო, რომელმანცა ბრძანებათა თჳსთა სახარება უწოდა, რამეთუ მოსლვითა თჳსითა მშჳდობაჲ ახარა კაცთა, [ვ] მტერთა მისთა, რომელთაცა სიყუარულისათჳს სიკუდილი თავს-იდვა და გუასწავა ყოველთა, ვითარმედ „თავი არს სათნოებათა ყოველთაჲ საღმრთოჲ სიყუარული“. და აწ თქუენ სიყუარულმან მოგიყვანნა აქა. ხოლო ჩემზედა ორკერძოვე მძიმე არს: პირველად, შეწუხებაჲ თქუენი და, მერმე, ძმათა ამათგან განშორებაჲ“.

მაშინ მოუწოდა ყოველთა შატბერდელთა ძმათა და ჰრქუა მათ:

„მოვედით, შვილნო, ხანცთისა მკჳდრთა თანა, ძმათა თქუენთა, და ნებაჲ ურთიერთას შეზავეთ, რამეთუ შფოთი ივლტის ბრძენთაგან, და ერთობით უმჯობესი დაამტკიცეთ. ხოლო მე ვჰ-

მაშინ ყველამ ერთად აღმოთქვა:

„ჰოი, ღვთის წმინდანო, სულიერად შენი შვილების მშობელო მამავ, ჩვენს ცხოვრებაზე მზრუნველო და ქრისტეს მორწმუნეთა თავშესაფარო, თუმცაღა ჩვენი შატბერდელი ძმები ყველანი უფლისთვის სათნონი არიან და ღვთის ნებისამებრ — მორჩილნი შენი ნებისა, მაინც ამდენი დღე არმოსვლა შენი ჩვენთან ხანცთისთვის დიდი სირცხვილია და ყველა ჩვენგანის შემარცხვენელიც ყველა ადამიანისგან, რადგან შენს წმინდა შრომათა პირველი ნაყოფი ხანცთაა. ახლა სწორედ ამის გამოა ჩვენი აქ მოსვლა, რომ წამობრძანდე ხანცთაში და ნუგეში მიიღოს ყველამ, ვისაც კი აქ მოსვლა არ ძალუძს, ამასთან სხვა უდაბნოებსაც დაანახოთ ჩვენს მიმართ შენი სრული სიყვარული. ესეც იცოდე, თუ ვერ ვპოვებთ გაგონებას, აღმოვჩნდებით ყველანი აქ შენს წინ, რადგან მძიმეა ჩვენთვის ამ დროს უშენოდ ხანცთაში მისვლა“.

წმინდანმა კი თქვა: „კურთხეულია ყოველთა ღმერთი ქრისტე, რომელმაც თავისი წმინდა მცნება სიყვარულისა მტკიცედ დანერგა თქვენს გულში ჩემდამი, თქვენი გლახაკი ბერისადმი, ჩემო საყვარელო შვილებო, უფრო კი ქრისტეს შვილებო და მისი წმინდა ნების აღმსრულებლებო, რომელმაც თავის ბრძანებებს სახარება უწოდა, რადგან მან თავისი მოსვლით მშვიდობა ახარა ადამიანებს, მის მტრებს, რომლების სიყვარულისთვისაც სიკვდილი თავს იდო და გვასწავლა ყველას, რომ „ყველა სათნოების თავი ღვთის სიყვარულია“[207]. ახლა სიყვარულმა მოგიყვანათ აქ თქვენ, ჩემთვის კი მძიმეა ორივე მხრივ: პირველად, თქვენი შეწუხება, შემდეგ კი, ამ ძმებთან განშორება.

მაშინ მოუხმო მან ყველა შატბერდელ ძმას და უთხრა მათ:

„წამოდით, ძმებო, ხანცთაში მკვიდრ თქვენს ძმებთან და ურთიერთს შეუთანხმეთ ნება, რადგან ბრძენთაგან გარბის შფოთი. ამიტომ, ერთად დაადგინეთ ის, რაც უმჯობესია, მე კი

გონებ, უწინარესაღშენებული ადგილი ემართლების მაშენებელსა თჳსსა უფროჲსსა პატივსა, ვითარცა მოხუცებული ემართლების ჭაბუკსა პატივითმსახურებასა“.

ხოლო შატბერდელთა ძმათა ჰრქუეს: „ჭეშმარიტ არს ბრძანებაჲ შენი, წმიდაო მამაო, და უკუეთუმცა სამართალი არა მიგცემდა, ცხოველ არს უფალი და წმიდაჲ ლოცვაჲ შენი, არამცა მივეშუენით ძმათა ჩუენთა“. ესე რაჲ თქუეს და მსგავსი ამისი ჯერისაებრ, მაშინ ნეტარმან მამამან გრიგოლ ჰრქუა ყოველთა: „შვილნო, ბრძანებამან ქრისტჱსმან შეგუკრიბნა დღეს, რაჲთა სიმტკიცე ერთობისა და სიყუარულისაჲ აწ დაუმტკიცოთ მომავალთა ჟამთა ორთა ამათ მონასტერთა შინა დამკჳდრებულთა ძმათა შჯულად საუკუნოდ სიტყჳსაებრ უფლისა, რომელ ჰრქუა მოციქულთა, ვითარმედ: „ამით ცნან ყოველთა, რამეთუ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას“. და კუალად უბრძანა მათ: „რომელსა თქუენ გეტყჳ, ყოველთა ვეტყჳ“. აწ თქუენცა დაიმარხენით უფლისა ბრძანებანი ერთმანერთისა პატივითა და სიყუარულითა ყოვლისა თანა სათნოებითა სიმდაბლითა უეჭუელითა და წმიდათა შინა ეკლესიათა თქუენთა ურთიერთას ულოცევდით, და მემცა გლახაკი, მარადის გაჴსოვ [221] წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა, და ძმობასა თქუენსა კეთილად იხილვებოდეთ მახლობელთა და შორიელთაგან. და უკუეთუ ვიეთმე ძმათა სწადოდის ყოფაჲ ხანცთელთა შატბერდს, გინათუ შატბერდელთა ხანცთას, ნუვისმცა ჴელ-ეწიფების არა შეწყნარებაჲ მათი, გინათუ შფოთით განზრახვისა მათისა დაშლაჲ და მძლავრებით დაყენებაჲ თჳნიერ სამართლისა რაჲსამე მიზეზისა. უკუეთუ კულა უსამართლოდ აყენებდეს ვინმე, სიტყუაჲ მისცეს ღმერთსა დღესა მას განკითხვისასა, რამეთუ ნებაჲ ჩემი არა არს, სულიერად მამისა თქუენისაჲ, სიტყჳსაებრ მოციქულისა: „დაღაცათუ გესხნენ ბევრ მზარდულ, არამედ არა მრავალ მამა“. ხოლო სხუაჲ ყოველი სულისა ცხორებისა საღმრთოჲ წესი პირველითგანვე გაქუს განწესებული ჩემ მიერ, მასზედა მტკიცედ იყვენით

მგონია, რომ უფრო ადრე აშენებული ადგილი უფრო მეტ პატივზე უცხადებს უფლებას[208] თავის მაშენებელს, ისევე როგორც უცხადებს უფლებას მოხუცი ჭაბუკს პატივისცემით მომსახურებაზე“.

მაგრამ შატბერდელმა ძმებმა უთხრეს: „ჭეშმარიტია შენი ნაბრძანები, წმინდა მამაო, და სამართალი[209] რომ არ გაკუთვნებდეს მათ, — ცოცხალია უფალი და შენი წმინდა ლოცვა[210], — არ დავუთმობდით ჩვენს ძმებს“. თქვეს რა ეს, და ამისი მსგავსი, როგორც შეჰფეროდა, მაშინ ნეტარმა მამა გრიგოლმა უთხრა ყველას: „შვილებო, ქრისტეს ბრძანებამ შეგვკრიბა დღეს, რომ მომავალ ჟამს ამ ორ მონასტერში დამკვიდრებულ ძმებს ახლა დავუწესოთ ერთობისა და სიყვარულის სიმტკიცე საუკუნო რჯულად, უფლის სიტყვისამებრ, რაც უთხრა მან მოციქულებს: „ამით ცნოს ყველამ, რომ ჩემი მოწაფეები ხართ, თუკი ერთიმეორის მოყვარულები იქნებით“[211], და კიდევ, უბრძანა მათ: „რასაც თქვენ გეუბნებით, ყველას ვეუბნები“[212]. ახლა თქვენც დაიცავით უფლის ბრძანებანი ერთიმეორის პატივისცემითა და სიყვარულით, ამასთან, ყველაფერთან ერთად, უეჭველი თავმდაბლობის სათნოებით და თქვენს წმინდა ეკლესიებში ერთიმეორისთვის ილოცეთ; მე გლაკახიც მარადის გახსოვდეთ თქვენს წმინდა ლოცვებში და თქვენს ძმობაში კარგად დაინახებოდეთ ახლობელთა და შორებელთაგან. ხოლო თუ რომელიმე ხანცთელი ძმა შატბერდში ყოფნის მოწადინე იქნება, ან კიდევ შატბერდელი — ხანცთაში ყოფნისა, ნურავინ იუფლებს მათ არმიღებას ანდა შფოთით მათი ჩანაფიქრის ჩაშლას და იძულებით შეფერხებას, სამართლიანი რამ მიზეზის გარეშე, ამასთან, თუ ვინმე უსამართლოდ შეაფერხებს მას, პასუხს გასცემს ღმერთს განკითხვის დღეს, რადგან არ არის ეს ჩემი, სულიერად თქვენი მამის, ნება, თანახმად მოციქულის სიტყვისა: „თუნდ გყავდეს ბევრი აღმზრდელი, მაგრამ არა ბევრი

უკუნისამდე. და მშჯდობამან ქრისტჱსმან, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა, დაგიცვენინ ყოვლისაგან ვნებისა სულისა და ჴორცთაჲსა ერთობით ყოველნი და მიგაწიენ წმიდათა თანა“.

მაშინ შევიდა წმიდად ეკლესიად და ცრემლით თავი თჳსი დაჰვედრა მას. მშჯდობაჲ მდუმრიად რაჲ დაუტევა, და გამოსლვასა ბერთა ამბორისყოფაჲ მისცა, და ეგრეთ წარემართა ხანცთადკერძო. ხოლო ერი იგი ყოველი ცრემლით მოუდგა და წმიდაჲ იგი ადგილსა მაღალსა დადგა შორის ერსა მას ღმრთისასა და დიდებაჲ შეწირა ქრისტჱს მიმართ და თქუა:

ოდ. „უფალო ჩემო იესუ ქრისტე ღმერთო, უწინარეს ქუეყანად მოსლვისა შენისა სოფელსა შინა იყავ და აწ ცათა ზედა მყოფი ღმრთეებისა ძალისა ნათლითა ჩუენთანა ხარ შეწევნად ჩუენდა! შენ, უფალო, მოწყალებით მომიძეღუ მე ქუეყანათა ამათ, სამთა თანა მოყუასთა, კეთილთა მღდელთა [ვ] წმიდათა, სიკუდიდმდე მარადის დაუყდუნებელად შენდამი შემწირველთა მსხუერპლთა მათ უსისხლოთა წმიდათა, და მრავალთა სულთა ნავთსაყუდელ ჰყვენ იგინი, და შემდგომად სიკუდილისა მათისა ღირს–ჰყვენ უოხჭნოდ მსახურებად ზეცისა საკურთხეველსა ანგელოზთა თანა წმიდათა. და აწ ჩემმიერ აღაორძინენ ნებისმყოფელნი შენნი, ქრისტე, რამეთუ ტალანტი სიბრძნისაჲ, რომელ სიყრმით ჩემითგან მომეც, განვამრავლე იგი ვითარცა მონამან სარწმუნომან შორის მორწმუნეთა შენთა. და აწ წინაშე შენსა არიან მოწაფენი სასუფეველისანი. აკურთხენ, ქრისტე, ვითარცა აკურთხენ წმიდანი მოციქულნი, და დაიცვენ ჟამთა უკუანაჲსთა მომავალნი შვილნი ჩემნი, ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა ნებასა შინა შენსა, და წყალობა–ყავ ყოველთათჳს ქრისტეანეთა მართლაღმსაარებელთა შენთა, უფალო!“

მამა“[213]; ხოლო სულის ცხონების ყველა სხვა საღვთო წესი თავიდანვე გაქვთ განწესებული ჩემგან. მასზე იყავით მტკიცე უკუნისამდე და ქრისტეს მშვიდობამ, რაც აღემატება ყოველგვარ გონებას, დაგიცვათ სულისა და ხორცის ყველა ვნებისგან ერთობლივად ყველანი და მიგაახლოთ წმინდანებთან“.

მაშინ შევიდა იგი წმინდა ეკლესიაში და ცრემლით მიანდო თავისი თავი მას, გამოემშვიდობა რა[214] მდუმარედ, და გამოსვლისას კი ბერებს ამბორი უძღვნა და ასე გაემართა ხანცთისაკენ, ხოლო მთელი ის ხალხი ცრემლით მიჰყვა. წმინდანი დადგა მაღალ ადგილას, ამ ღვთის ერის შუაში, დიდება შეწირა ქრისტესადმი და თქვა:

74. „უფალო ჩემო იესო ქრისტე, ღმერთო, ქვეყნად მოსვლის უწინარეს სოფელში იყავი და ახლა ცათა-ზედა მყოფი ჩვენთან ხარ ღმრთეების ძალის სინათლით ჩვენს შესაწევნელად! შენ, უფალო, მოწყალებით მომიძეხი მე ამ მხარეებში სამ მეგობართან, კარგ წმინდა მღვდლებთან, ერთად, რომლებიც სიკვდილამდე მარადჟამს შეუფერხებლად სწირავდნენ შენდამი უსისხლო წმინდა მსხვერპლთ და რომლებიც მრავალი სულის ნავსაყუდელად აქციე, მათი სიკვდილის შემდეგ კი ზეცის საკურთხეველთან დაუსრულებლად მსახურების ღირსი გახადე წმინდა ანგელოზებთან ერთად, და ახლა ჩემს მიერ აღაორძინე შენი ნების აღმსრულებლები, ქრისტე, რადგან სიბრძნის ტალანტი, რაც ჩემი სიყრმიდან მომეცი, გავამრავლე, როგორც ერთგულმა მონამ, შენს მორწმუნეებში[215]. და ახლა შენს წინაშე არიან სასუფევლის მოწაფეები. აკურთხე ისინი, ქრისტე, როგორც აკურთხე წმინდა მოციქულები, და დაიცავი ბოლო დროში ჩემი მომავალი შვილები, ვიდრე სოფლის აღსასრულამდე, შენს ნებაში და წყალობა მოიღე ყველა ქრისტიანზე, შენს მართლაღმსარებელზე, უფალო!“

და მერმე შატბერდსა ჯუარი დასწერა და ჰრქუა: „კეთილად აღორძნდი, შატბერდო, და შეიმკვე მადლითა და განძლიერდი ძალითა ღმრთისაჲთა, რაჲთა ნაყოფი მსხუერპლთა შენთაჲ ჟამადჟამად უბიწოჲ შესწირო უფლისა, რამეთუ მე აწ ესერა მშჯდობასა დაგიტევებ შენ და არღარა იხილო პირი ჩემი ჴორციელად, ვიდრე უფლისა დიდებით მოსლვადმდე. აწ დაღაცათუ ჴორცითა განგეშორები, ხოლო სულითა მარადის შენთანა ვარ შეწევნად შენდა“.

მაშინ მწარითა ცრემლითა ტიროდეს მკჯდრნი შატბერდისანი სიტყჯსა მისთჯს, ვითარმედ ჴორციელად არღარა ხილვად უც მოძღუარი თჯსი.

ხოლო წმიდამან მან ჰრქუა მათ: „შვილნო, სულისა სიბრძნითა გულისა ტკივილთა სძლეთ და ნუ შეძრწუნდებინ გონებაჲ თქუენი, რამეთუ მე ესრეთ აღგითქუამ: არაჲ დაგაკლოს თქუენ ქრისტემან აქა [222] და საუკუნესა მას, უკუეთუ ეგნეთ მასზედა , რომელიცა გისწავიეს ჩემგან პირველთა წმიდათა მამათა შეწირული მონოზონებისა წესი. და ეგრეთვე ვამცნებ შემდგომითი-შემდგომად შვილთა ჩემთა, რაჲთა დაიმარხონ წმიდაჲ ესე მოძღურებაჲ. და უკუეთუ ჟამმან ჭირისამან წესი ცვალოს, რომელ სულისა ფრიად არა სავნებელ იყოს, შენდობა იყავნ ჟამსა მას და არა სამარადისოდ, არცა შუებისა მრავლისა მიდევნებითა, რომლისათჯს თქუმული არს, ვითარმედ: „არარაჲ ეგრეთ განარისხებს ღმერთსა, ვითარ მეტი შუებაჲო“. ხოლო მე, რაჟამს ღირს-ვიქმნე მისლვად უფლისა, ვევედრო თქუენთჯს, რამეთუ ფრიად განმისუენეთ მე. და რამეთუ აწ ჴორცთა შინა ყოფასა ჩემსა თავისა ჩემისა და თქუენთჯს ვილოცავ, ხოლო ოდეს განვთავისუფლდე საწუთროჲსა ამისგან, ვესავ ქრისტესა, ვითარმედ მოუკლებელად იყოს ვედრებაჲ ჩემი თქუენთჯს მისსა მიმართ და ყოველთა სარწმუნოებითმვედრებელთათჯს და შვილთა ჩემთათჯს, რაჲთა პოონ ღმრთისა მიერ წყალობაჲ და შეწევნაჲ სრულიად სიხარულად საუკუნოდ“.

და შემდეგ ჯვარი გადასწერა შატბერდს და უთხრა: „კარგად აღორძინდი, შატბერდო, შეიმკვე მადლით და გაძლიერდი ღვთის ძალით, რომ შენს მსხვერპლთა ნაყოფი ჟამითი-ჟამად უბიწო შესწირო უფლისადმი, რადგან მე ახლა უკვე გემშვიდობები შენ და ვეღარ ნახავ ჩემს პირისახეს ხორციელად, ვიდრე უფლის დიდებით მოსვლამდე. ახლა თუმცაკი ხორცით გშორდები, მაგრამ სულით მარადის შენთან ვარ შენს შესაწევნელად“.

მაშინ მწარე ცრემლით ტიროდნენ შატბერდის მკვიდრნი იმ სიტყვის გამო, რომ ხორციელად აღარ ეყოლებოდათ დასანახად თავიანთი მოძღვარი.

წმინდანმა კი უთხრა მათ: „შვილებო, სულის სიბრძნით სძლიეთ გულის ტკივილებს და ნუ შეძრწუნდება თქვენი გონება, რადგან მე ასე აღგითქვამთ: ქრისტე არას დაგაკლებთ თქვენ არც აქ და არც იმ საუკუნეში, თუკი დარჩებით მონაზვნობის იმ წესზე, რაც, პირველი წმინდა მამებისგან შეწირული[216], ჩემგან გისწავლიათ. და ასე ვამცნებ შემდგომ და შემდგომ ჩემს შვილებს, რომ შეინახონ ეს წმინდა მოძღვრება, მაგრამ თუ დრომ გასაჭირის გამო წესი შეცვალოს, რაც სულისთვის დიდად საზიანო არ იქნება, შენდობა იყოს იმ დროს და არა სამარადისოდ, არცთუ მრავალი შვების მიდევნებით, რის შესახებაც თქმულია, რომ „არაფერი ისე არ განარისხებს ღმერთს, როგორც მეტისმეტი შვებაო“, მე კი როდესაც ღირსი გავხდები უფალთან მისვლისა, შევევედრები თქვენთვის, რადგან დიდად მომისვენეთ მე და რადგან ახლა, ხორცში ჩემი ყოფნისას, ჩემი თავისთვის და თქვენთვის ვლოცულობ, ხოლო როდესაც გავთავისუფლდები ამ საწუთროსგან, ვსასოებ ქრისტეს, რომ უწყვეტად იქნება ჩემი ვედრება მისდამი თქვენს გამო, ყველა სარწმუნოებით მავედრებელისა და ჩემი შვილების გამო, რომ ჰპოვონ მათ ღვთის

და ვითარცა სიტყუანი ესე დაასრულნა, მაშინ ამბორს-უყო ძმათა მათ შატბერდელთა ცრემლითა სავსეთა, და ფრიადითა ვედრებითა დაარწმუნა უკუნქცევაჲ თჳსად ადგილად და თჳთ წარჰყვა ძმათა მათ ხანცთელთა. ხოლო სწორი სასყიდელი მიიღეს ღმრთისაგან, რომელთა წარიყვანეს იგი და რომელნი იქცეს, რამეთუ სარწმუნოებაჲ და სიყუარული მამისა და მოძღურისა თჳსისაჲ სწორად აქუნდა მათ ყოველთა.

ხოლო რაჟამს შატბერდით ხანცთად მოვიდა ნეტარი გრიგოლ, განიხარეს ხანცთასა თანა მახლობელთა მათ უდაბნოთა და მოვიდოდეს ძმანი ყოვლითკერძო [ვ] ხილვად წმიდისა მის, და მიაქუნდა კურთხევაჲ და ლოცვაჲ მისგან და სიხარულითა სავსენი წარვიდიან ადგილად თჳსად.

რამეთუ დიდებაჲ ხანცთისაჲ ამაღლდა საუკუნოჲთა და საცნაურითა სამკაულითა, იქმნა რაჲ განმზადებულ შრომათაგან მაშურალთა მათ ნაწილთათჳს განსასუენებელ უკუნისამდე. მას ჟამსა განიხარა ნეტარმან მამამან გრიგოლ, რამეთუ კეთილსა შინა იხილა მონასტერი თჳსი და ფრიად მადლით აკურთხა წინამძღუარი იგი სარწმუნოჲ მამაჲ ეპიფანე და ძმანი ყოველნი მორჩილნი მისნი.

ოე. მაშინ ევედრებოდა ნეტარსა მას მღდელი ვინმე დაყუდებითმყოფი, რაჲთა იშენოს ეგუტერი ჟამისსაწირავად სენაკსა თჳსსა. ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: „კრებულისა ძმათა შორის საქმე ეგე უწესო არს. უკუეთუ შენ აღაშენო ეგუტერი, ყოველთა ძმათა აღაშენონ, და რაჟამს დეკანოზმან ჟამსა ჰრეკოს ჟამისწირვისათჳს, დიდსა ეკლესიასა მღდელი ძნიად პოოს, და სხუაჲცა

მიერ წყალობა და შეწევნა სრული საუკუნო სიხარულისთვის“.

და როდესაც დაასრულა მან ეს სიტყვები, მაშინ ეამბორა შატბერდელ ძმებს, ცრემლით სავსეებს, დიდი ვედრებით დაარწმუნა ისინი, რომ უკან მიბრუნებულიყვნენ თავიანთ ადგილზე, თავად კი წაჰყვა ხანცთელ ძმებს, თუმცა თანასწორი საზღაური მიიღეს ღვთისგან იმათაც, რომლებმაც წაიყვანეს იგი და იმათაც, რომლებიც უკან მიბრუნდნენ, რადგან სარწმუნოება და სიყვარული თავისი მამისა და მოძღვრისა თანასწორად ჰქონდა ყველას.

როდესაც შატბერდიდან ხანცთაში მოვიდა ნეტარი გრიგოლი, ხანცთასთან ერთად გაიხარეს ახლომდებარე უდაბნოებმა. მოდიოდნენ ძმები ყველა მხრიდან წმინდანის სანახავად და მიჰქონდათ მისგან კურთხევა და ლოცვა და სიხარულით სავსენი მიდიოდნენ თავიანთ ადგილზე.

ასე რომ, ხანცთის დიდება ამაღლდა საუკუნო და გონისეული[217] სამკაულით, გახდა რა იგი განსასვენებლად გამზადებული ღვაწლთაგან დამაშვრალთა ნაწილებისთვის უკუნისამდე. მაშინ გაიხარა ნეტარმა მამა გრიგოლმა, რადგან სიკეთეში ნახა თავისი მონასტერი და დიდი მადლიერებით აკურთხა მან სანდო წინამძღვარი მამა ეპიფანე და ყველა ძმა, მისი მორჩილნი.

75. მაშინ ევედრებოდა ნეტარს დაყუდებით მყოფი ვიღაც მღვდელი, რომ აეშენებინა მას თავის სენაკთან ეგვტერი ჟამისსაწირავად, მაგრამ წმინდანმა უთხრა: „ძმათა კრებულში ეგ საქმე უწესოა. თუკი შენ ააშენებ ეგვტერს, ყველა ძმა ააშენებს და როდესაც დეკანოზი ჟამს დარეკავს ჟამისწირვისთვის, დიდ ეკლესიაში მღვდელს ძნელად იპოვის

მრავალი არს მას შინა სულისა საკნებელი და არათუ სარგებელი, და მე არა ვეწამები მას“.

ოვ. ამისსა შემდგომად უბრძანა დიდსა ზენონს: „ძმაო, შთავიდეთ ვენაკად, რომელ არს გზასა თანა ოპიზისასა“, რამეთუ ჟამი იყო სთულისაჲ. და შთავიდეს ორნივე ზოგად ვენაკსა მას შენებულსა მისსა კეთილადნაყოფიერსა. და ჟამსა მას შინა მოვიდა სანატრელი მამაჲ მაკარი ოპიზელი ხილვად მოძღურისა თჳსისა, მამისა გრიგოლისა. და ვითარცა-იგი ფრიად განიხარეს და სურვიელად მოიკითხნეს ურთიერთას, და რამეთუ იყო ჟამი პურისჭამისაჲ, პურად ხოლო დასხდეს. და შემდგომად პურისჭამისა, განიზრახეს მუნ დადგომაჲ ვიდრე ხვალისადმდე. ხოლო მამამან მაკარი უბნობასა შინა იკითხა ნეტარისა გრიგოლისგან [223] ესრეთ: „უკუეთუ მწვალებელთა შვილი მოიქცეოდის მართლმორწმუნედ, ნათლისღებაჲ უკმსა ანუ არა?“

ჰრქუა მას წმიდამან მან: „მოციქული ძმამტყუერად მათ სახელ-სდებს, რომელთაცა დრკუთა მათ მოძღუართა მათთა სახელი ჰრქჳან. ხოლო ჭეშმარიტთა მორწმუნეთაგან წმიდათა მოციქულთა სახელისდებაჲ არა თავს-იდვა პავლე, არამედ აბრალებს და ეტყჳს: „რაჲსათჳს წვალებანი არიან თქუენ შორის, რამეთუ კაცად-კაცადი თქუენი იტყჳს: მე პავლესი ვარ“, და შემდგომი ამისი. ხოლო მართლმადიდებელთა ყოველთა ქრისტეანე უწოდა. და აწ დაღაცათუ მწვალებელთათჳს წერილიცა აჩინებს რომელთამე ნათლისცემასა და რომელთამე არა, ხოლო მე ამას ვიტყჳ: ვითარცა ყოველთა უწყით, ჭეშმარიტთა ქრისტეანეთა შვილსა მწვალებელი მღდელი ვერ მოჰნათლავს, დაღაცათუ უნათლავი მოკუდებოდის, რამეთუ ნათელი არა არს მათ თანა. და უნათლავისა სიკუდილი უმჯობეს არს, ვიდრე უშჯულოებაჲ შჯულისა გარდასლვითა. ეგრეთვე ჯერ და სამართალ არს ნათლისცემაჲ შვილსა ყოველთა მწვალებელთასა, დაღაცათუ

იგი. კიდევ სხვაც ბევრია ამაში სულის საზიანო და უსარგებლო. ამიტომ, მე არ ვეთანხმები ამას“.

76. ამის შემდეგ უბრძანა მან დიდ ზენონს: „ძმაო, ჩავიდეთ ვენახში, რაც არის ოპიზის გზაზე“ (რადგან რთველის დრო იყო); და ჩავიდნენ ორივენი ერთად მის მოშენებულ კეთილნაყოფიერ ვენახში. ამ დროს მოვიდა სანატრელი მამა მაკარი ოპიზელი თავისი მოძღვრის, მამა გრიგოლის, სანახავად. გაიხარეს რა დიდად და მოიკითხეს რა ურთიერთი წადიერად, დასხდნენ პურობად, რადგან პურისჭამის დრო იყო. პურისჭამის შემდეგ გადაწყვიტეს იქ დარჩენა მეორე დღემდე. მამა მაკარიმ საუბარში იკითხა ნეტარი გრიგოლისგან ასე: „თუკი მწვალებელთა შვილი მართლმორწმუნეობაზე მოიქცევა, ნათლისღება სჭირდება თუ არა?“

უთხრა მას წმინდანმა: „მოციქული მათ „ცრუ ძმად“ სახელდებს, რომლებსაც თავიანთ მრუდე მოძღვართა სახელები ჰქვიათ, მაშინ როცა პავლე მოციქულმა არ შეიწყნარა[218] ჭეშმარიტ მორწმუნეთა მიერ წმინდა მოციქულთა სახელის მიღება. პირიქით, ადანაშაულებს და ეუბნება მათ: „რის გამოა მწვალებლობები თქვენში, რადგან თითოეული თქვენგანი ამბობს: მე პავლესი ვარ...“[219] (და ამის მომდევნო), ხოლო ყველა მართლმადიდებელს ქრისტიანი უწოდა მან და ახლა თუმცაღა მწვალებლებისთვის წერილიც[220] განაჩინებს ზოგის ნათლისცემას და ზოგისას არა, მე ამას ვამბობ: როგორც ყველამ იცით, ჭეშმარიტ ქრისტიანთა შვილს მწვალებელი მღვდელი ვერ მონათლავს, თუნდაც უნათლავი კვდებოდეს, რადგან სინათლე არ არის მათთან და უნათლავის სიკვდილი უმჯობესია, ვიდრე უსჯულოება სჯულის დარღვევით. ამიტომ, საჭიროა და სამართლიანი ყველა მწვალებლის შვილის ნათლისცემა; თუმცაღა მათი

წვალებაჲ მათი თჳს-თჳსად იხილვების, არამედ ურთიერთას განთხზულ არს საცთურებით მსგავსად მელთა მათ, რომელთაჲ კუდი კუდსა შეუკიცუა საფსონ და ლამპრები ყოველთა კუდებსა გამოაბა, რამეთუ სახე იყვნეს იგინი ყოველთა მწვალებელთა, რომელთაჲცა უკუანაჲსკნელ საყოფელი მათი ცეცხლი არს საუკუნოჲ. რამეთუ უცხო[ვ]ქმნულ არიან წმიდისაგან დედისა ჩუენისა მხოლოჲსა კათოლიკე სამოციქულოჲსა ეკლესიისა. სცთებიან საშოჲთგან, რომელ საგონებელ არს მათთჳს მეორედშობა, და იტყჳან სიცრუვესა, რამეთუ მარადის ნაცილსა ქადაგებენ და ცილსა წამებენ შეჩუენებულნი იგი წმიდათა მამათა ჩუენთა მოძღუართა მიერ. და უკუეთუ კუალად შვილნი მწვალებელთანი კრებასა ლამოდიან, არღარა წეს არს მათთჳს, არამედ კრძალვაჲ და ყოლადვე სიტყჳსა არა წარმოღებაჲ მათთანა კრებისათჳს. და რამეთუ მორწმუნესა, რომელსა სასწაულისა საქმე ვერ ძალ-უც, ურწმუნოთა თანა სიტყჳსგებაჲ არა უჴმს და ოდეს მწვალებელთა ყოველთა ჰრქჳან ერთი სახელი მწვალებელ, ცთომაჲცა მათი ერთად შემტკიცებულ არს მტერისა მიერ. ამისთჳს ყოველთაჲ ნათლისცემაჲ ჯერ არს, რაჲთა ცილობისა იჭჳ დაჰჴსნდეს და ერთად იყოს სიხარული სრული ჭეშმარიტთა ქრისტჱსსამწყსოთაჲ".

და ესევითარი სიტყუაჲ მრავალი ბრძანა ნეტარმან გრიგოლ. ხოლო მამამან მაკარი ჰრქუა: „ჭეშმარიტად სამართალ არს ბრძანებაჲ შენი, წმიდაო მამაო, არამედ მაუწყე ცხადად წმიდისა სამებისათჳს სიტყუაჲ ღირსი სიტყჳსმგებელთა მიმართ". ხოლო მან ჰრქუა: „ისწავე ესაიაჲსგან, რამეთუ სერაბინთაგან ისწავა სწორი პატივი წმიდისა სამებისაჲ, რომელნიცა დაუდუმებელად ჴმობენ: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ", ხოლო გრიგოლ ღმრთისმეტყველი იტყჳს სამებისა სამგუამოვნებისათჳს: „რაჟამს იყვნენ სამნი სანთელნი სახლსა შინა, ვერ ეგების განყოფაჲ ნათლისა მათისაჲ და ვერცაღა კუალად [224] შერევნაჲ მათი". ესე არს სარწმუნოებაჲ წმიდისა სამებისაჲ. და „განძსა" წერილ არს ყოველი ჭეშმარიტებით და ამას იტყჳს:

მწვალებლობა ცალ-ცალკე ჩანს, მაგრამ ისინი ურთიერთშია შეწნულები, საცთურიდან გამომდინარე, იმ მელიების მსგავსად, რომლებსაც კუდი კუდზე გადაუნასკვა სამსონმა და ლამპრები გამოაბა ყველას კუდს[221], რადგან მწვალებელთა სახე იყვნენ ისინი, რომელთა საბოლოო სამყოფელიც საუკუნო ცეცხლია, ვინაიდან გაუცხოებულები არიან ჩვენი წმინდა დედის, მხოლო კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისგან და ცდებიან იმ საშოდან, რაც მათთვის მეორედშობად მიიჩნევა[222], ამასთან სიცრუეს ამბობენ, რადგან მუდამჟამს ტყუილს ქადაგებენ და ცილისმწამებლობენ, არიან რა შეჩვენებულები ჩვენს მოძღვართა, წმინდა მამათა მიერ. და კიდევ, თუკი მწვალებელთა შვილები კრებას ესწრაფვიან, ეს აღარ არის მათთვის ნებადართული. პირიქით, [გვმართებს] ყურადღებით ყოფნა[223] და მათთან საერთოდ სიტყვის არდაძვრა კრების შესახებ. გარდა ამისა, იმ მორწმუნეს, რომელსაც სასწაულის მოხდენა არ ძალუძს, არ მართებს ურწმუნოებთან პაექრობა. თანაც, რადგან ყველა მწვალებელს ერთი სახელი, — მწვალებელი, — ჰქვია, მათი ცთომილებაც ერთადაა შემტკიცებული მტრის მიერ, ამის გამო კი ყველას ნათლისცემაა საჭირო[224], რომ დავის მიზეზი[225] გაუქმდეს და ერთობლივად იყოს სრული სიხარული ქრისტეს ჭეშმარიტი სამწყსოებისა".

აი, ამგვარი სიტყვა ბევრი ბრძანა ნეტარმა გრიგოლმა, ხოლო მამა მაკარიმ უთხრა: „ჭეშმარიტად სამართლიანია შენი ბრძანება, წმინდა მამაო, მაგრამ ცხადად მაუწყე ღირსეული სიტყვა მოპაექრეთა მიმართ წმინდა სამების შესახებ". მან კი უთხრა: „ესაიასგან ისწავლე, რადგან სერაფიმებისგან ისწავლა მან თანასწორი პატივი წმინდა სამებისა, რომლებიც დაუდუმებლად ხმობენ: „წმინდაა, წმინდაა, წმინდაა უფალი საბაოთ"[226], ხოლო გრიგოლ ღვთისმეტყველი ასე ამბობს სამების სამგვამოვნების შესახებ: „როდესაც სამი სანთელია სახლში, შეუძლებელია მათი სინათ-

„რამეთუ მამაჲ ძესა არცა თუ თუალისა წამითა არა უხუცეს არს“. აწ ვითარცა გჳსწავიეს სიბრძნე წმიდათა წიგნთაგან, კმა არს მოძღურად შენდა ყოვლითკერძო“.

ხოლო ნეტარმან მაკარი ჰრქუა მას: „წმიდაო მამაო, ვითარცა პირველ ხატი მონაზონებისაჲ ჴელითა შენითა მომცა უფალმან, აწ ეგრეთვე სულიერი სწავლაჲ პირითა შენითა მომანიჭოს ზღუდედ ჩემდა უკუნისამდე“. და ვითარცა შემწუხრდა, ერთსა შინა სახლსა იყვნეს სამნივე იგი ღმრთისაკაცნი და წართქუნეს წესისაებრ ფსალმუნნი. ხოლო მაკარის ჰრულოდა და სარეცელსა ზედა მიეძინა.

ოზ. მაშინ ნეტარი იგი მამაჲ გრიგოლ და ზენონ სიტყჳთა მდაბლითა ფსალმუნებდეს. და მადლმან საღმრთომან განაბრწყინნა იგინი ნათლითა დიდებისაჲთა, და სახლი იგი ბნელი ვითარცა მზისა მცხინვარებამან განანათლა. და ვითარცა განეღჳძა მამასა მაკარის, თქუა: „ვითარ საკჳრველად იხილვებიან წმიდანი ესე“. ჰრქუა მას მამამან გრიგოლ: „ძმაო მაკარი, რაჲსა გიკჳრს ხილვაჲ ესე? არა გასმიესა წერილისაჲ: „საკჳრველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა“?“. და ესრეთ იხარებდეს სამნივე იგი, სამებისა წმიდისა მადიდებელნი, და წართქუნეს ცისკრისა საგალობელნი.

და ვითარცა განთენა, მშჳდობისა სადგურთა მათ ურთიერთას მშჳდობაჲ დაუტევეს და წარვიდა მამაჲ მაკარი ოპიზად, ხოლო მამაჲ გრიგოლ და ზენონ აღვიდეს თჳსად მონასტრადვე. და რამეთუ ესე ზენონ მიწევნულ იყო სათნოებათა მოძღურისა თჳსისათა, რომლისათჳსცა იტყოდეს კაცნი შემდგომად ნეტარისა გრიგოლის [ვ] გარდაცვალებისა, ვითარმედ: „ზენონ არს ზღუდე მტკიცე კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთაჲ“.

ლის განყოფა ან კიდევ შერევა მათი“[227]. ესაა წმინდა სამების სარწმუნოება. „განძში“ წერია ყველაფერი ჭეშმარიტებით. ამას ამბობს იგი: „მამა არაა ძეზე უფროსი თვალის დახამხამებითაც კი“[228]. ახლა, როგორც გვისწავლია სიბრძნე წმინდა წიგნებისგან, საკმარისია ეს შენს მოძღვრად ყოველმხრივ“.

ხოლო ნეტარმა მაკარიმ უთხრა მას: „წმინდა მამაო, ისევე როგორც თავდაპირველად მონაზვნობის ხატი შენი ხელით მომცა უფალმა, ამჯერადაც, მსგავსადვე, შენი პირით მომანიჭოს მან სულიერი სწავლა ჩემს გალავნად უკუნისამდე“. და როდესაც შესაღამოვდა, ერთ სახლში იყო სამივე ღვთისკაცი და წარმოთქვეს რა, წესისამებრ, ფსალმუნნი, მაკარის მიერულა და სარეცელზე მიეძინა.

77. მაშინ ნეტარი მამა გრიგოლი და ზენონი დაბალი მეტყველებით ფსალმუნებდნენ. საღვთო მადლმა გააბრწყინა ისინი დიდების სინათლით და ის ბნელი სახლი თითქოსდა მზის მცხუნვარებამ გაანათა. როდესაც გაეღვიძა მამა მაკარის, თქვა მან: „როგორ საკვირველად ჩანან ეს წმინდანები!“ უთხრა მას მამა გრიგოლმა: „ძმაო მაკარი, რისთვის გიკვირს ეს სანახაობა? არ გსმენია წერილისგან, რომ „საკვირველია ღმერთი თავის წმინდანებს შორის“?[229] აი, ასე ხარობდნენ სამივენი, წმინდა სამების მადიდებლები, და წარმოთქვეს მათ ცისკრის საგალობლები.

როდესაც გათენდა, ისინი, მშვიდობის სავანეები[230], ურთიერთს გამოემშვიდობნენ და წავიდა მამა მაკარი ოპიზაში, ხოლო მამა გრიგოლი და [მამა] ზენონი ავიდნენ თავიანთ მონასტერშივე; ეს ზენონი მიწევნული იყო თავისი მოძღვრის სათნოებებამდე. მის შესახებ ასე ამბობდნენ ადამიანები მამა გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ: „ზენონი არის მტკიცე გალავანი კლარჯეთის დიდებული უდაბნოებისა“.

ოწ. ხოლო ნეტარსა მამასა ჩუენსა გრიგოლს გულმან-უთ-ქუა განსლვაჲ ჴორცთაგან და ღმრთისა მისლვაჲ. და აუწყა უფალმან აღსრულებაჲ ნებისა მისისაჲ, ვითარცა თქუა დავით: „ნებაჲ მოშიშთა მისთაჲ ყოს უფალმან, ლოცვანი მათნი ისმინნეს და აცხოვნნეს იგინი“. მაშინ უბრძანა ძმათა თჳსთა შესაქმე კერ-ეონთა სანთელთაჲ შესაწირავად გარემო ყოველთა მათ მახლო-ბელთა უდაბნოთა, რომელ არიან ოპიზაჲ და ფრთენი მისნი, ბერ-თაჲ და მახლობელნი მისნი, მიძნაძორეაჲ და წყაროჲსთავი თანამ-კჳდრით მათითურთ. ხოლო შატბერდი დაღაცათუ სხუათა მათ უდაბნოთა მცირედ შორავს, არამედ განუყოფელად თანამოძმე არს მათი ერისა მის ღმრთისა სიკეთითა და ყოვლითავე საღმრ-თოჲსა მოძღურებისა წესითა და კანონითა მონაზონებისა შჯუ-ლისდებისაჲთა. და ყოვლითავე კეთილისა-საქმითა სწორად პა-ტივცემულ არს ღმრთისა მიერ და კაცთაგან, რამეთუ არს იგი სიქადულ ყოლადვე მახლობელთა მონასტერთა. მათ ყოველთა უდაბნოთა თანაწარსცა კერეონები და შეუთუალა დღჱ იგი, რომელსა აღანთნენ და ლოცვა-ყონ მისთჳს.

ოთ. ხოლო მათ გულისჴმა-ყვეს ჟამი იგი მიცვალებისა მისი-საჲ ამიერ სოფლით, რამეთუ ვითარცა მიცვალებასა წმიდისა ღმ-რთისმშობელისასა მოიწია გუნდი წმიდათა მოციქულთაჲ კიდე-თაგან ქუეყანისათა, ეგრეთვე წმიდანი მამანი შემოკრბეს ჟამსა მას დროჲსა დღისა მისისასა პატივად [225] ნეტარისა მის მოხ-უცებულისა და რაჲთა იკურთხნენ მის მიერ. ხოლო იგი სიხარუ-ლითა აღივსო ხილვითა მათითა, და ქრისტჱსმიერითა კურთხევი-თა აკურთხნა ყოველნი და ჰრქუა მათ: „მოგეცინ უფალმან შრომისა თქუენისა სასყიდელი, რომელმანცა ბრძანა: „უძლურ ვი-ყავ და საპყრობილესა, და მოხუედით ჩემდა“, რამეთუ მე აწ ესერა ჴორცთა საპყრობილით განვალ და უძლურებისაგან განვთავისუ-

78. ხოლო ჩვენს ნეტარ მამა გრიგოლს გულმა უგრძნო ხორცთაგან გასვლა და ღმერთთან მისვლა. უფალმა აუწყა მას მისი ნების აღსრულება, როგორც თქვა დავითმა: „თავის მო-შიშთა ნებას ჰყოფს უფალი, მათ ლოცვებს შეისმენს და აცხ-ოვნებს მათ[231]. მაშინ უბრძანა მან თავის ძმებს კერეონების სანთელთა[232] ჩამოქნა [ხანცთის] ირგვლივ ყველა ახლომ-დებარე უდაბნოსთვის შესაწირად, რომლებიცაა: ოპიზა და მისი ფრთები, ბერთა და მასთან ახლომდებარენი, მიძნაძორო და წყაროსთავი მათთან მკვიდრი [მონასტრებითურთ]. შატ-ბერდი კი თუმცა სხვა უდაბნოებს ცოტათი მოშორებულია, მაგრამ განუყოფლად თანამოძმეა მათი. იგი თავისი საღვთო კრებულის სიკარგით, საღვთო მოძღვრების ყველა წესით, სა-მონაზვნო რჯულდების კანონით და ყოველივე კეთილ-მოქმედებით თანაბრად არის პატივცემული ღვთის მიერ და ადამიანებისგან, რადგან იგია უთუოდ სიამაყე ახლომდებარე მონასტრებისა. [გრიგოლმა] ყველა ამ უდაბნოს მისცა კერეონები და შეატყობინა დღე, როდესაც უნდა აენთოთ ისინი და ელოცათ მისთვის.

79. ხოლო მათ შეიცნეს მისი ამ სოფლიდან მიცვალების დრო, რადგან ისევე როგორც წმინდა ღვთისმშობლის მიცვა-ლებისას მოვიდა წმინდა მოციქულთა გუნდი ქვეყნის კიდეე-ბიდან, ასევე იმ ჟამს, როდესაც გრიგოლის სიცოცხლის დრო [დასრულდა], შეიკრიბნენ[233] წმინდა მამები ამ ნეტარი მოხ-უცებულის პატივსაცემად და მისგან კურთხევის მისაღებად, ის კი სიხარულით აღივსო მათი ნახვის გამო, ქრისტესმიერი კურთხევით აკურთხა ყველანი და უთხრა მათ: „უფალმა მოგცეთ საზღაური თქვენი გარჯილობისა, რომელმაც ბრძანა: „უძლური ვიყავი და შეპყრობილი, და მოხვედით ჩემთან“[234], რადგან მე ახლა უკვე გავდივარ ხორცთა საპყრობილიდან და

ფლდები მადლითა ღმრთისაჲთა, რომელმანცა ჯუარითა სიკუდილი დათრგუნა და ავაზაკისა თანა ყოველთა მორწმუნეთა წმიდაჲ ჯუარი თჳსი მიანიჭა წინამძღურად და ანგელოზთა თანა წმიდათა ნიშად ქრისტეანობისა ბეჭედი იგი სამეუფოჲ, რომელიცა აქუს სულსა მორწმუნეთა კაცთასა საფარველად სამარადისოდ და საცხორებელად“.

მაშინ ჰრქუეს ყოველთა მათ მამათა ნეტარსა გრიგოლს: „წმიდაო ღმრთისაო, ბრძანებათა მათებრ ქრისტჱსთა ნეტარებისა საქმეთა მათ სამკჳდრებელო, ნებსით გლახაკო სულითა მით სიმდაბლისაჲთა სასუფეველისა დამკჳდრებისათჳს, მგლოვარეო გულითა საუკუნოდ ნუგეშინისცემისათჳს, მშჳდო გონებითა, სამოთხისა სიკეთესა მომლოდებელო, სიმართლისათჳს მშიერო და წყურიელო, და ტკბილსა მას საზრდელსა ქუეყანასა მოუკლებელსა ღირსქმნულო, მოწყალეო გლახაკთაო, განუშორებელ არს შენგან მარადის წყალობაჲ ღმრთისაჲ. წმიდაო გულითა და სულითა შენითა ყოლადვე ღმრთისმხილველო, მშჳდობისმოქმედო ძმათა შორის და მშჳდობასა წმიდათა ანგელოზთასა მიწევნულო შვილ ღმრთისა წოდებითა, დევნათა და ჭირთა ღმრთისათჳს თავსმდებელო ქრისტჱს თანა მკჳდრყოფისათჳს, ყუედრებულთათჳს ქრისტჱსთჳს ნავთსადგურო და მზრუნველო ცხორებისათჳს ჩუენისა სამარადისოსა [ვ] მას ცხორებასა, შენ გიხაროდენ და მხიარულ იყავ, რამეთუ სასყიდელი შენი დიდ არს ცათა შინა, რამეთუ შენ, მსგავსად მოციქულისა პავლეს მართლისა, ღუაწლი კეთილი მოგიღუაწებიეს, სრბაჲ აღგისრულებიეს, სარწმუნოებაჲ დაგიმარხავს, საქმითა კეთილითა განსრულებული. ამიერითგან მიგელის სიმართლისა იგი გჳრგჳნი, რომელი მოგანიჭოს მეუფემან შრომათა წილ შენთა წმიდათა. არამედ ნუ დამივიწყებ ჩუენ, სულიერად შვილთა შენთა, მი-რაჲ-იწიო წინაშე პირსა სახიერისა, მოწყალისა და მწყალობელისა ტკბილისა უფლისასა, მომიჴსენენ სამწყსონი შენნი და ნუ დაიდუმებ მოღუაწებასა ჩუენთჳს ქრისტჱს მიმართ, რამეთუ ყოლადვე ძალ-გიც

უძლურებისგან ვთავისუფლდები ღვთის მადლით, რომელმაც ჯვრით დათრგუნა სიკვდილი. ავაზაკთან ერთად ყველა მორწმუნეს თავისი წმინდა ჯვარი მიანიჭა მან წინამძღვრად[235] და, წმინდა ანგელოზებთან ერთად, ნიშნად ქრისტიანობისა — ეს სამეფო ბეჭედი, რაც მორწმუნე ადამიანების სულს აქვს სამარადისო საფარველად და საცხონებლად“[236].

მაშინ უთხრა ყველა მამამ ნეტარ გრიგოლს: „ღვთის წმინდანო, ქრისტეს ბრძანებათამებრ, ნეტარების საქმეთა სამკვიდრებელო, სასუფევლის დამკვიდრებისთვის ნებსით გლახაკო თავმდაბლობის სულით, საუკუნოდ ნუგეშისცემისთვის გულით მგლოვიარეო, გონებით მშვიდო, სამოთხის მშვენიერების მომლოდინევ, სიმართლისთვის მშიერო და მწყურვალევ, გამოუფიტავ მიწაზე[237] ტკბილი საზრდოს ღირსქმნილო და გლახაკთმოწყალეო, მარადის განუშორებელია შენგან წყალობა ღვთისა, გულით წმინდაო და შენი სულით კი ყოვლითურთ ღვთისმხილველო[238], მშვიდობისმყოფელო ძმათა შორის და წმინდა ანგელოზთა მშვიდობას მიახლებულო ღვთისშვილად წოდებით, ღვთისგამო დევნულებათა და ჭირთა მტვირთველო ქრისტესთან დამკვიდრებისათვის, ქრისტესთვის გაკიცხულთა ნავსადგურო და მზრუნველო ჩვენი ცხონებისათვის იმ სამარადისო ცხოვრებაში, გიხაროდეს შენ და მხიარული იყავი, რადგან „შენი საზღაური დიდია ცათა-შინა“[239], რამეთუ შენ, მართალი პავლე მოციქულის მსგავსად, „კარგი ასპარეზობა გიასპარეზია, სრბოლა აღგისრულებია, სარწმუნოება შეგინახავს, — კარგი საქმით სრულქმნილი. ამიერიდან მოგელის სიმართლის გვირგვინი, რასაც მოგანიჭებს მეუფე შენს წმინდა შრომათა სანაცვლოდ“[240], მაგრამ ნუ დაგვივიწყებ ჩვენ, სულიერად შენს შვილებს, როდესაც მიხვალ კეთილი, მოწყალე, მწყალობელი და ტკბილი უფლის სახის წინაშე, მოგვიხსენე

შეწევნაჲ ყოველთაჲ, რომელნი ლოცვათა შენთა ესვენ და მეოხებასა შენსა მოიკლტიან“.

ხოლო წმიდამან მან ჰრქუა მათ: „დაღაცათუ თავი ჩემი განუმზადე უფალსა და სიყრმითგან ჩემით მსგავსად ძალისა ვშუერ, ხოლო უფროჲს არს პატივი სიტყუათა თქუენთაჲ, ქრისტჱსმსახურნო მამანო; არამედ ღმერთი გულსმოდგინებასა ეძიებს კაცთაგან და მიანიჭებს ნაცვალად სასუფეველსა მორჩილთა მისთა. და მეცა მომმადლოს მკჳდრყოფაჲ ნებისმყოფელთა თანა მისთა ლოცვითა თქუენ ყოველთაჲთა. ხოლო თქუენ გეჴსენენ კრძალულებაჲ ჩემი მოთმინებით მონაზონებისა მიმართ, რომელიცა იხილეთ, ვინაჲთგან დავემკჳდრე თქუენ შორის ვიდრე აქამომდე, რამეთუ ესრეთ ჯერ არს ძიებაჲ სასუფეველისა ცათაჲსაჲ, და ჩემთჳს ლოცვა-ჰყოფდით, რაჲთა მომეცეს მადლი წინაშე ღმრთისა შეწევნად თქუენდა, შემწეთა ჩემთა, უფლისა მიერ“.

Ა. მაშინ ჰრქუა ხანცთას შინა მყოფთა ძმათა: „შვილნო, რომელი [226] მცნებაჲ პირველითგან გესმა ჩემგან, სულისა თქუენისა საცხორებელად დაიმარხეთ და ჰყოფდით მარადის საჴსენებელსა ჩემსა. და მე, უკუეთუ ვპოვო კადნიერებაჲ წინაშე ქრისტჱსა, უხუებაჲ კეთილთა მისთაჲ არა დაგაკლდეს ორსავე სოფელსა. ხოლო ამას გამცნებ აწ ჯუარითა ქრისტჱსითა, რაჲთა ჴორცნი ჩემნი დაჰმარხნეთ ძმათა ჩემთა თანა, რამეთუ არა უმჯობეს ვარ ძმათა ჩემთა სათნოვებათა მოგებითა. ამისთჳს ყოველთა გევედრები, ნუსადა დამივიწყებთ ლოცვასა თქუენსა ღმრთისა მიმართ ყოლადვე მლოცველსა თქუენსა და აწ ვედრებისა შემწირველსა თქუენთჳს ქრისტჱს მიმართ საუკუნოდ. მოგიჴსენეთ მარადის ლოცვითა და ჟამისწირვითა სიკუდილით უცხოქმნული თქუენგან, იხილოთ რაჲ ადგილი მწირობისა ამის

შენი სამწყსოები და ნუ დააცხრობ ჩვენს გამო მოღვაწეობას ქრისტეს მიმართ, რადგან ყოვლითურთ ძალგიძს შეეწიო ყველას, ვისაც კი შენი ლოცვების იმედი აქვს და შენს მეოხებას ეშურება“.

ხოლო წმინდანმა უთხრა მათ: „თუმცა უფალს გავუმზადე ჩემი თავი და ჩემი ბავშვობიდან ძალისამებრ ვიშრომე, მაგრამ თქვენს სიტყვებში მეტისმეტი პატივდებაა, ქრისტესმსახურო მამებო; თუმცა ღმერთი ადამიანებისგან გულმოდგინებას ეძიებს და ანიჭებს რა თავის მორჩილებს, სანაცვლოდ, სასუფეველს, მეც მომმადლებს იგი თავისი ნების აღმსრულებლებთან ერთად დამკვიდრებას ყველა თქვენგანის ლოცვით, თქვენ კი გახსოვდეთ ჩემი მოთმინებითი სიმტკიცე მონაზვნობის მიმართ, რაც ნახეთ მას შემდეგ, რაც დავემკვიდრე თქვენს შორის, ვიდრე აქამდე, რადგან ასეა საჭირო ცათა სასუფევლის ძიება. ილოცეთ ჩემთვის, რომ მომეცეს მადლი ღვთის წინაშე თქვენს, ჩემს შემწეთა, შესაწევნელად უფლის მიერ“.

80. მაშინ უთხრა მან ხანცთაში მყოფ ძმებს: „შვილებო, რა მცნებაც თავდაპირველად გაიგონეთ ჩემგან, თქვენი სულის საცხონებლად დაიცავით და მარადის აღასრულებდეთ ჩემს ხსენებას, მე კი თუკი ვპოვებ გაბედულებას ქრისტეს წინაშე, მის სიკეთეთა სიუხვე მოუკლებლად გექნებათ ორსავე სოფელში, ხოლო ახლა ამას გამცნებთ ქრისტეს ჯვრით, რომ ჩემი სხეული დამარხოთ ჩემს ძმებთან ერთად, რადგან არ ვარ უკეთესი ჩემს ძმებზე სათნოებათა მოპოვებით. ამიტომ ყველას გევედრებით, ნურასოდეს დამივიწყებთ თქვენს ლოცვაში მე, ღვთისადმი ყოვლითურთ თქვენზე მლოცველს და ამჯერად თქვენთვის ქრისტეს მიმართ საუკუნოდ ვედრების შემწირველს. ლოცვითა და ჟამისწირვით მარადის მომიხსენეთ მე, უცხოქმნილი თქვენგან სიკვდილის მიერ, ოდეს ნახოთ

მკჳდრომისა ჩემისაჲ, რამეთუ აჰა ესერა ვიდრე ჟამადმდე კუალადწოდებისა ჴორცნი ჩემნი მიიქცევიან მიწად, ხოლო სული ჩემი შეიწყნაროს უფალმან“.

ᲐᲐ. და ამათ რაჲ სიტყუათა იტყოდა ნეტარი გრიგოლ, მაშინ ნათლითა მიუწდომელითა შეემკო შუენიერად ხილვაჲ მისი ბრწყინვალედ ქრისტᲔს მიერ, რამეთუ ბანაკი ანგელოზთა უფლისათაჲ გარემოადგა მას და პატიოსანთა საკუმეველთა სულნელებამან აღავსო ყოველი იგი ერი კრებული მამათაჲ. და რამეთუ აქუნდა ჩუეულებაჲ ზეცისა წმიდათა მთავრობათა ხილვისაჲ სულსა მას მართალსა და აწ მათგანვე სიხარულისა ჴმაჲ ესმა ესე: „ნუ გეშინინ მოსლვად ჩუენ თანა, მსახურო ქრისტᲔსო სანატრელო, რამეთუ ქუეყანისა ანგელოზსა და ზეცისა კაცსა გიწესს მეუფᲔ ცათაჲ ქრისტე. აწ მოვედ სიხარულით და უფლისა შენისა თანა იხარებდ დაუსრულებელად, რამეთუ ნეტარ ხარ შენ შორის კაცთა ნეტარსა მას დიდებასა [ვ] დამკჳდრებად განმზადებული და მხიარული საუკუნოდ“. ხოლო ესე სიტყუანი ესმოდეს რომელთამე მოწაფეთა მისთა, არამედ ხილვაჲ იგი დიდებული ყოველთა იხილეს. მაშინ ნეტარმან მან სრულიად განიხარა მიუმძლავრებელი იგი სიხარული და ჯჯუარი დასწერა თჳსსა მას მონასტერსა და ძმანი თჳსნი აკურთხნა საუკუნოჲთა კურთხევითა ყოველთა თანა ქრისტᲔსმორწმუნეთა და თქუა: „მეუფეო ქრისტᲔ, ვინაჲთგან თჳთ თავადმან ივნე და გამოიცადე, ძალ-გიც მათდაცა შეწევნად, რომელნი-იგი გამოიცადებოდიან მახეთაგან და საცთურთა მტერისათა, რამეთუ ქრისტეანეთა შემწე შენ ხარ, უფალო, დაიფარენ მარჯჯუენითა შენითა მოსავნი წმიდისა სახელისა შენისანი და ბოროტისაგან იჴსნენ და მიეც მათ სიხარული უოხჭნოჲ. ხოლო მე, მონაჲ შენი, მაცხოვნე სასუფეველსა შენსა და წყალობით მომიჴსენე სუფევითა შენითა“.

მწირობის ადგილი ჩემი ამ მკვიდრობისა, რადგან აჰა, მიიქცევა მიწად ჩემი სხეული კვლავხმობის დრომდე[241], ჩემი სული კი უფლისგან შეიწყნარება“.

81. იმ დროს, როდესაც ამ სიტყვებს ამბობდა ნეტარი გრიგოლი, მიუწვდომელი სინათლით ბრწყინვალედ შეიმკო მისი მშვენიერი შესახედაობა ქრისტეს მიერ, რადგან უფლის ანგელოზთა ბანაკი გარს შემოერტყა მას და პატიოსან საკმეველთა სურნელებამ აავსო მთელი ის ხალხი, მამათა კრებული, ვინაიდან ამ მართალ სულს ზეცის წმინდა მთავრობათა ხედვის ჩვეულება ჰქონდა და ახლა მათგანვე მოესმა მას სიხარულის ხმა: „ნუ გეშინია ჩვენთან მოსვლისა, სანატრელო მსახურო ქრისტესო, რადგან ცათა მეუფე ქრისტე გიხმობს შენ, მიწის ანგელოზსა და ზეცის ადამიანს. ახლა მოდი სიხარულით და შენს უფალთან იხარე დაუსრულებლად, რადგან ადამიანთა შორის ნეტარი ხარ შენ როგორც იმ ნეტარ დიდებაში დასამკვიდრებლად გამზადებული და მხიარული საუკუნოდ“. ეს სიტყვები ესმოდა მის ზოგ მოწაფეს, თუმცა ის დიდებული ჩვენება ყველამ ნახა. მაშინ სრულიად გაიხარა ნეტარმა უძლეველი სიხარულით, ჯვარი გადასწერა თავის მონასტერს, თავისი ძმები აკურთხა საუკუნო კურთხევით ქრისტეს ყველა მორწმუნესთან ერთად და თქვა: „მეუფეო ქრისტე, მას შემდეგ, რაც თვითვე ივნე თავად და გამოიცადე, ძალგიძს იმათი შეწევნაც, რომლებიც მახეებისგან და მტრის საცთურებისგან გამოიცდებიან, რადგან ქრისტიანთა შემწე შენ ხარ, უფალო! დაიფარე შენი მარჯვენით შენი წმინდა სახელის მოიმედენი, ბოროტისგან იხსენი ისინი და მიეცი მათ დაუსრულებელი სიხარული, ხოლო მე, შენი მონა, მაცხოვნე შენს სასუფეველში და მოწყალედ მომიხსენე შენი მეუფებით“[242].

ჰბ. და ესრეთ შეჰვედრა სული უფალსა და შეერთო ანგელოზთა კრებულსა, რამეთუ უკორცონი ანგელოზნი და სულნი კაცთანი ერთბუნება არიან და სულსა კაცისასა აქუს მეტყუელებაჲ ანგელოზებრი. დაღაცათუ ბორციელთა ენათა დაცხრომისათჳს იტყჳს დავით: „მას დღესა შინა წარწყმდიან ყოველნი ზრახვანი მათნი“, არამედ იგივე იტყჳს წმიდათა სულებისათჳს, ვითარმედ: „იქადიან წმიდანი დიდებითა, იხარებენ საჴსენებელსა ზედა მათსა“, და მეოხებასა ჰყოფენ ქრისტჱს მიმართ მადიდებელთა მათთათჳს, რამეთუ ვიდრე განშჯადმდე ცოცხალთა და მკუდართა იღუწიან მვედრებელთა ბორციელთა კაცთათჳს მორწმუნეთა და მოელიან სრულსა მას სიხარულსა და მხიარულებასა აღთქუმისაებრ მეუფისა მათისა, რაჟამს დიდებისაგან უდიდებულესსა დიდებასა დაემკჳდრნენ უფლისა დიდებით მოსლვასა. ხოლო „რჩეულთა შეკრებაჲ ოთხთაგან [227] ქართა ცისათა კიდითგან ცისაჲთ ვიდრე კიდედმდე ცისა“ ესე არს, რამეთუ „ქარითა“, ვითარცა ეტლითა, შეკრიბნეს ქრისტემან წმიდანი თჳსნი წინაშე მისსა სიხარულად და შუებად საუკუნოდ, ოდეს-იგი თითოეული მათი ნაშრომსა თჳსსა უჩუენებდეს უფალსა და ნაცვალად მიაქუნდეს სიმდიდრე დაულევნელი.

ჰგ. მაშინ, ნეტარო მამაო, ახალი იგი ქრისტჱსმოწამე იოვანე სანატრელი, ხანცთით იერუსალჱმდ მიწევნული და სარკინოზთა ბელითა ბაღდადს ქრისტჱსთჳს მოკლული, და სასწაულითა ბრწყინვალე, იხარებდეს რჩეულთა თანა შვილთა შენთა, რაჟამს წარუდგინებდე მათ ქრისტესა. მას ჟამსა რაჲ-მე იყოს ჩუენ უდებათათჳს ნუგეშინისცემა[ჲ], რომელნი წოდებულ ვართ შენდა მოწაფედ, რამეთუ განჴმელ არს სიყუარული ურთიერთას და ყოველი კეთილისა საქმე შემცირებულ არს და დაკლებულებაჲ აღორძინებულ!? არამედ შემდგომად ღმრთისა მოწყალებათა და

82. ასე შეჰვედრა მან სული უფალს და შეერთო იგი ანგელოზთა კრებულს, რადგან უხორცო ანგელოზები და ადამიანთა სულები ერთბუნება არიან და ადამიანის სულს აქვს ანგელოზებრივი მეტყველება. თუმცა ხორციელი ენების დადუმებაზე ამბობს დავითი: „იმ დღეს მოისპობა ყველა მათი მეტყველება“[243], მაგრამ თვითვე ამბობს წმინდანთა სულებისთვის: „ამაყობენ წმინდანები დიდებით, ხარობენ თავიანთი ხსენების გამო“[244] და მეოხებას უწევენ თავიანთ მადიდებლებს ქრისტეს მიმართ, რადგან ვიდრე ცოცხალთა და მკვდართა განსჯამდე იღვწიან ისინი მათდამი მავედრებელი ხორცში მყოფი მორწმუნე ადამიანებისთვის და მოელიან სრულ სიხარულსა და მხიარულებას, მათი მეუფის აღთქმისამებრ, როდესაც დიდებისაგან უფრო დიდებულ დიდებაში დამკვიდრდებიან უფლის დიდებით მოსვლისას; ხოლო „ცის ოთხივე ქარისგან შეკრება რჩეულებისა ცისკიდიდან ცისკიდემდე“[245] ესაა ის, რომ ქარით, როგორც „ეტლით“, შეკრებს ქრისტე თავის წმინდანებს თავის წინაშე საუკუნო სიხარულისა და შვებისათვის, როდესაც თითოეული მათგანი თავის ნაღვაწს წარმოუჩენს უფალს და, სანაცვლოდ, წაიღებს ულევ სიმდიდრეს.

83. მაშინ, ნეტარო მამაო, სასწაულებით მბრწყინავმა ახალმა ქრისტესმოწამემ იოანე სანატრელმა, ხანცთიდან იერუსალიმში მისულმა და სარკინოზების ხელით ბაღდადში ქრისტესთვის მოკლულმა, იხაროს შენს რჩეულ შვილებთან ერთად, როდესაც წარუდგენ მათ ქრისტეს. იმ დროს რაღა იქნება ნუგეშისცემა ჩვენ, მცონარეებისთვის, რომლებიც წოდებულნი ვართ შენს მოწაფედ, რადგან გამხმარია ურთიერთის სიყვარული, სიკეთის ყოველი საქმე შემცირებულია და გაზრდილია ნაკლულევანება!? მაგრამ ღვთის

ყოველთა წმიდათა მეოხებისა ლოცვათა შენთა მიმართ არს სასოვებაჲ ჩუენი, წმიდაო მამაო! შეიწირე სარწმუნოებაჲ ჩუენი, ღირსო, რამეთუ შენ უწყი სიყუარული ჩუენი, დაღაცათუ არა გჳხილავ ჴორციელად. ნუ დამივიწყებ ჩუენ, არამედ იყავნ მადლი შენი შემწე ჩუენდა, წმიდათა უდაბნოთა შენთა შინა დამკჳდრებულთა, და ყოვლისა ერისა, რაჲთა ვიპოვნეთ შენთანა სიხარულისა მის წარუვალისა ცხორებასა.

აწ, საყუარელნო ქრისტჱსმორწმუნენო, ჩუენცა გჳღირს ყოველთა გულსმოდგინებაჲ მსგავსად ძალისა საქმედ კეთილისა მოწყალებასა თანა ღმრთისასა და წმიდათა მეოხებასა, რაჲთა ღირს-ვიქმნეთ ცოდვათა შენდობასა და დიდსა წყალობასა საუკუნოდ.

პდ. [ვ] ხოლო იყო გარდაცვალებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ას და მეორესა წელსა, ქრონიკონსა ოთხმეოც და ერთსა. არამედ გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხორებაჲ ესე მისი შემდგომად ოთხმეოც და ათისა წლისა, დასაბამითგან გარდასრულთა წელთა ექუს ათას ხუთას ორმეოც და მეათოთხმეტესა წელსა, იერუსალჱმს პატრიაქობასა აგათონისსა, მცხეთას კათალიკოზობასა მიქელისსა, ქართველთა ზედა მთავრობასა აშოტ კურაპალატისასა, ძისა ადარნერსე ქართველთა მეფისასა, აფხაზთა ზედა მეფობასა გიორგისსა, ძისა კოსტანტი მეფისასა, ერისთავთა-ერისთვობასა სუმბატისსა, ძისა ადარნერსე მეფისასა, მაგისტროსობასა ადარნერსესსა, ძისა ბაგრატ მაგისტროსისასა, ერისთვობასა სუმბატისსა, ძისა დავით მამფლისასა. ქრისტემან დიდებაჲ უოხჭნოჲ მათ ყოველთა მიანიჭენ!

ხოლო ჟამსაცა მას იყო ანჩს ეპისკოპოსი მაკარი, და ნეტარისა მამისა გრიგოლის შენებულთა მათ მონასტერთა იყვნეს მამასახ-

მოწყალებათა და ყველა წმინდანის მეოხებათა შემდეგ შენი ლოცვებისადმი არის ჩვენი იმედი, წმინდა მამაო! შეიწირე ჩვენი სარწმუნოება, ღირსო, რადგან შენ იცი ჩვენი სიყვარული, თუმცა ხორციელად არ გვინახიხარ[246]. ნუ დაგვივიწყებ ჩვენ, არამედ იყოს შენი მადლი შემწე ჩვენი, - შენს წმინდა უდაბნოებში დამკვიდრებულებისა, - და მთელი ხალხისა, რომ აღმოვჩნდეთ წარუვალი სიხარულის ცხოვრებაში შენთან ერთად.

ახლა, საყვარელო ქრისტესმორწმუნეებო, ჩვენც, ყველას, გვმართებს ძალისამებრ გულმოდგინება სიკეთის საქმნელად ღვთის მოწყალებასთან და წმინდანთა მეოხებასთან ერთად, რომ ღირსი გავხდეთ ცოდვათა შენდობისა და საუკუნოდ დიდი წყალობისა.

84. ხოლო ჩვენი ნეტარი მამა გრიგოლის გარდაცვალება იყო მის წელიწადთა რაოდენობით ასმეორე წელს, ოთხმოცდაერთ ქრონიკონს[247], მისი ეს ცხოვრება კი დაიწერა მისი გარდაცვალებიდან ოთხმოცდაათი წლის შემდეგ, დასაბამიდან გასული წლების მიხედვით ექვსიათასხუთასორმოცდამეთოთხმეტე წელს, იერუსალიმში აგათონის პატრიარქობისას; მცხეთაში მიქელის კათალიკოსობისას; ქართველებზე აშოტ კურაპალატის, ადარნერსე ქართველთა მეფის ძის, მთავრობისას; აფხაზებზე გიორგის, კოსტანტი მეფის ძის, მეფობისას; სუმბატის, ადარნერსე მეფის ძის, ერისთავთერისთავობისას; ადარნერსეს, ბაგრატ მაგისტროსის ძის, მაგისტროსობისას; სუმბატის, დავით მამფლის ძის, ერისთავობისას. ქრისტემ მიანიჭოს ყველა მათგანს დაუსრულებელი დიდება.

ხოლო იმავე დროს ანჩში ეპისკოპოსი იყო მაკარი, ნეტარი მამა გრიგოლის მიერ აშენებულ მონასტრებში კი იყვნენ მამასახლისები, წარმომავლობით დიდ აზნაურთა შვილები:

ლისნი ნათესავით დიდთა აზნაურთა შვილნი: ხანცთას – მამაჲ თევდორე, დისწული მცხუედაჲსაჲ, და შატბერდს – მამაჲ გრიგოლ, ძე ლიპარიტისი, სახელითა დიდისა მამისა გრიგოლისითა შემკობილი. ქრისტემან სრულიად შეამკვენ მადლითა მისითა და განამართლენ წინაშე მისსა საუკუნოდ!

ხოლო ხანცთისა წინამძღურისა და იოვანე ძმისა მისისა და წიგნისა ამის აღმწერელისა გიორგი მერჩულისა, სამთავე ამათ ერთად გულსმოდგინებითა [228] დაიწერა ხანცთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხორებაჲ ესე. ქრისტემან წიგნსა მას ცხოველთასა დაწერენ იგინი და სრულიად წყალობა-ყავნ ყოველთა მორწმუნეთათჳს, რაჲთა გულისჴმა-ყონ საღმრთოჲ ნიჭი ქუეყანისაჲ ზეცისასა თანა.

რამეთუ ეკლესიასა შინა ერთი წიგნისმკითხველი მცირეთა მსმენელთა და მრავალთათჳს სწორად კმა არნ, და ეგრეთვე უკუეთუ ერთი იკურთხევინ ანუ მრავალნი, მაკურთხეველი იგი ერთი კმა არნ, რამეთუ მოუკლებელ არიან კეთილნი იგი ქრისტჱსნი ჩუენდა მომართ და მადლი წმიდათა მეოხებისაჲ.

ᲠᲔ. ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲜᲡᲪᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲜᲡᲔᲜᲔᲑᲐᲜ ᲜᲔᲢᲐᲠᲘᲡᲐ ᲛᲐᲛᲘᲡᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡᲘ ᲘᲧᲐᲕᲜ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡ ᲩᲣᲔᲜᲓᲐ ᲡᲐᲡᲝ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲕᲔᲓᲠᲔᲑᲔᲚ ᲡᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲝᲠᲪᲗᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲡᲐ ᲛᲐᲡ ᲛᲝᲜᲐᲖᲝᲜᲗᲐ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐ ᲛᲐᲛᲘᲡᲐ ᲩᲣᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲘᲓᲘᲡᲐ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲡᲡᲐ ᲜᲐᲗᲔᲚᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲓᲐᲣᲦᲐᲛᲔᲑᲔᲚᲡᲐ, ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲗᲥᲣᲐ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ: „ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲗᲐ ᲖᲔᲓᲐ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡ“, ᲓᲐ ᲙᲣᲐᲚᲐᲓ ᲘᲢᲧᲕᲡ: „ᲮᲝᲚᲝ ᲡᲣᲚᲜᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲗᲐᲜᲘ ᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲦᲛᲠᲗᲘᲡᲐᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲔᲚ ᲐᲠᲘᲐᲜ“. ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲔᲑᲣᲚ ᲛᲖᲘᲡᲐ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ, ᲪᲐᲗᲐ-ᲓᲐᲣᲢᲔᲕᲔᲜᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘᲡᲐ ᲡᲐᲨᲝᲡᲐ ᲓᲐᲢᲔᲕᲜᲣᲚᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲗᲥᲣᲛᲔᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲩᲣᲔᲜᲓᲐ ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐ ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲐ ᲛᲘᲡ ᲓᲐᲣᲡᲐᲑᲐᲛᲝᲜᲡᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲜᲡ ᲦᲛᲠᲗᲘᲡᲐ ᲩᲣᲔᲜᲘᲡᲐ, ᲠᲐᲛᲔᲗᲣ ᲐᲠᲐᲜ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚ ᲐᲠᲡ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜᲪᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲥᲛᲜᲣᲚᲡᲐ ᲗᲥᲡᲡᲐ ᲛᲖᲘᲡᲗᲣᲐᲚᲡᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲔᲡᲔᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐ-

ხანცთაში — მამა თევდორე, მცხვედას დისწული, და შატბერდში — მამა გრიგოლი, ლიპარიტის ძე, დიდი მამა გრიგოლის სახელით შემკული. ქრისტემ სრულად შეამკოს იგი თავისი მადლით და საუკუნოდ გაამართლოს იგი თავის წინაშე.

ხოლო ხანცთის წინამძღვრის, მისი ძმის იოანეს და ამ წიგნის აღმწერის გიორგი მერჩულის — სამივე მათგანის ერთობლივი გულმოდგინებით დაიწერა ნეტარი გრიგოლის ეს ცხოვრება. ქრისტემ დაწეროს ისინი ცხოველთა წინაშე და სრულიად წყალობა ყოს ყველა მორწმუნისთვის, რომ შეიცნონ მათ ამქვეყნის საღვთო ნიჭიც ზეციურთან ერთად.

მართლაც, ეკლესიაში ერთი წიგნისმკითხველი[248] თანაბრად საკმარისია როგორც ცოტა, ასევე ბევრი მსმენელისთვის და, მსგავსადვე, როდესაც ერთი იკურთხება ან მრავალი, მაკურთხეველი ერთია საკმარისი, რადგან დაუკლებელია ჩვენდამი ქრისტეს სიკეთეები და წმინდანთა მეოხების მადლი.

85. ამიტომ, დღეს ხსენება ნეტარი მამა გრიგოლისა და ყოველთა მართალთა მარადის იყოს იმედი ჩვენთვის და შესავედრებელი სულისა და ხორცისა მონაზონთა წინამძღვრის, ჩვენი დიდი მამა ანტონის, მონაზონთა დასში, დაუღამებელ სინათლეში, როგორც თქვა სოლომონმა: „სინათლე მართლებზეა მარადის“[249]. და კვლავ ამბობს იგი: „ხოლო მართალთა სულები ცოცხლები არიან ღვთის ხელებში“[250] და ანათებს მათ ცათაგან დაუტევი და ქალწულის საშოში გამოუთქმელად დატევნილი მზე სიმართლისა, ჩვენთვის ცხოვრებად გამობრწყინებული დაუსაბამო სინათლე ქრისტესი, — ჩვენი ღვთისა, რადგან არაფერია შეუძლებელი მის წინაშე, რომელმაც მზისთვალს[251], თავის ქმნილებას, იმგვარი ბრწყინვალება მის-

ლებაჲ, რომელ ყოველსა ხილულსა მიეფინების და განანათლებს ნათლითა მისითა. და მანვე ყოვლისაშემძლებელმან ღმერთმან მისცა მადლი ჴელმწიფებისაჲ ყოველთა წმიდათა მისთა და ჩუენთჳს ვედრებასა ჰყოფენ მოუკლებელად მისსა მიმართ. ამისთჳსცა „ჴსენებაჲ მათი ქებით აღესრულების“ და დღესასწაულისა მათისა შემამკობელთა [ვ] ჰფარვენ მარადის და განანათლებენ სულთა მათთა, და მადლსა მიანიჭებენ ყოველთა მორწმუნეთა, ვინაჲთგან ძალ-უც შეწევნაჲ სარწმუნოებითმვედრებელთაჲ მათ თითოეულსა მათგანსა და მარადის მეოხ არიან ჩუენთჳს წინაშე წმიდისა სამებისა, დამბადებელისა ყოველთაჲსა, რომლისაჲ არს ძლიერებაჲ, დიდებაჲ და დიდადშუენიერებაჲ და სუფევაჲ დაუსაბამოჲ და დაუსრულებელი, და მისსა შუენის პატივი და ქებით თაყუანისცემაჲ ჟამთა უკუნისამდე და მერმეთა მათ საუკუნეთა, ამენ.

ᲐᲒ. პირველყოფილი ესე სასწაული გუესმა ბერთაგან ჩუენთა, ვითარმედ ჟამსა მამისა გრიგოლის მოწაფისასა ხანცთას ეტჳფანეს მამობისასა იყო ვინმე კაცი მდიდარი ანჭკორას და სახელი მისი წერტა. და აწ რომელ წერტაჲსნი ჰრქჳან, თხათა მისთა სადგური ყოფილ არს. და მას ესუა ასული, შობითგან ყრუჲ და უტყჳ, ხოლო ჰასაკითა მრთელი. და ვითარ ათცამეტისა წლისაჲ იყო ქალი იგი, დედასა მისსა ჩუენებით ძილსა შინა გამოეცხადა ღირსი ეტჳფანე და ჰრქუა: „ხანცთას ჟამისწირვასა ჩემსა ხვალე მოავლინე კაცი, ჴელითა ჩემ, ეტჳფანესთა ნაბანი მოვსცე შენდა და ასუ იგი ასულსა შენსა და სცხე თავსა მისსა და განკურნოს იგი ქრისტემან ვნებათა მისთაგან მადლითა ყოველთა წმიდათაჲთა“.

ხოლო მორწმუნემან მან დედაკაცმან არა აუწყა ქმარსა თჳსსა ჩუენებაჲ იგი, რამეთუ მას ჟამსა კაცი იგი მონაზონთათჳს მკსინვარედ იყო, და იდუმალ წარავლინა კაცი. ხოლო ნეტარმან ეპი-

ცა, რომ ყველაფერს ხილულს მიეფინება იგი და ანათებს მას თავისი სინათლით. და მანვე, ყოვლისშემძლე ღმერთმა, მისცა ხელმწიფობის მადლი ყველა თავის წმინდანს, რომლებიც ჩვენთვის განუწყვეტლივ აღავლენენ ვედრებას მისდამი. ამის გამო, „მათი ხსენება ქებით აღესრულება“[252] და ისინიც თავიანთი დღესასწაულის შემამკობლებს მარადის იფარავენ, ანათლებენ მათ სულებს და მადლს ანიჭებენ ყველა მორწმუნეს, რადგან ძალუძს თითოეულ მათგანს შეეწიოს სარწმუნოებით მავედრებლებს და მარადის მეოხნი არიან ჩვენთვის ყოველთა დამბადებელი წმინდა სამების წინაშე, რომლისაც არის ძლიერება, დიდება, დიდმშვენიერება და დაუსაბამო და დაუსრულებელი მეუფება. მას შეჰფერის პატივი და ქებით თაყვანისცემა დროთა უკუნისამდე და სამერმისო საუკუნეებში, ამინ.

86. ადრე მომხდარი ეს სასწაული გაგონილი გვაქვს ჩვენი ბერებისგან, რომ ხანცთაში მამა გრიგოლის მოწაფის, ეპიფანეს მამასახლისობისას იყო ვიღაც მდიდარი კაცი ანჭკორაში, სახელად წერტა (ახლა რასაც „წერტაისნი“ ჰქვია, მისი თხების სადგომი იყო). მას ჰყავდა ასული, დაბადებიდან ყრუ და მუნჯი, აღნაგობით კი საღი. როდესაც ცამეტი წლისა იყო ეს ასული, მის დედას ჩვენებით გამოეცხადა ძილში ღირსი ეპიფანე და უთხრა: „ხვალ ხანცთაში ჩემი ჟამისწირვისას გამოაგზავნე კაცი და ჩემი, ეპიფანეს, ხელების ნაბანს გამოვატან შენთან. შეასვი იგი შენს ასულს, წაუსვი თავზე და განკურნებს მას ქრისტე მისი ვნებებისგან ყველა წმინდანის მადლით“.

ხოლო მორწმუნე ქალმა არ შეატყობინა თავის ქმარს ეს ჩვენება, რადგან იმ დროს ეს ადამიანი მონაზონთა მიმართ გულმწყრალად იყო. ამიტომ მან ფარულად გააგზავნა კაცი,

ფანე უფლისა მიერ იცოდა, რაჲ-იგი ყოფად იყო, და მისცა კაცსა მას ჴელთა თჳსთა ნაბანი. და მი-რაჲ-იწია, დედაკაცმან მან სარწ-მუნოებითა მტკიცითა სცხო ევლოგიაჲ იგი უსისხლოჲსა მსხუერ-პლისაჲ [229] ღირსადშემწირველისა მღდელისა[ჲ] ასულსა თჳსსა. ხოლო მას დაეძინა სამ დღე და სამ ღამე და რაჟამს განეღჳძა, თქუა: „დიდებაჲ ღმერთსა, დიდებაჲ წმიდასა სამებასა, რომელმან ლოცვითა ნეტარისა მამისა ეტჳფანესითა განმკურნა და მიჴსნა მე ეშმაკისაგან“. და ვითარცა იხილა სასწაული ესე წერტა, მამა-მან მისმან, განკჳრვებული სიხარულითა სავსე წარვიდა ხანცთად, და ვითარ საჩინოსა უდაბნოჲსასა მიიწია, ჴმამაღლად ტიროდა პირველისა მის წარმდებებისა მისისათჳს. მაშინ მამამან ეტჳფანე სიხარულით და ნუგეშინისცემით მოიკითხა და ფრიად პატივ-სცა ძალისაებრ. ხოლო წერტა დიადი შესაწირავი მიუძღუ-ანა და შეწირა წინაშე წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისსა და ჰმადლობდა ქრისტესა საკჳრველთმოქმედსა და მონასა მისსა ეტჳფანეს. რომლისა ლოცვითა სრულიად სიხარული მიეფინა. ხოლო ასული იგი მისი კეთილად ცხონდა ამას საწუთროსა და საუკუნოდ, და ჩუენთჳსცა უფალმან სრულიად წყალობა-ყავნ ოხითა ყოველთა წმიდათა მისთაჲთა.

პზ. ხანცთას მკჳდრი გაბრიელ მოძღუარი, ფრიადმოღუაწე ნეტარი წმიდაჲ მამაჲ, გჳთხრობდა იგი მამისა ბასილისსა, ვი-თარმედ მრავალთა წელთა მამასახლისობასა მისსა ხანცთას, ესე იყო კანონი მისი, - ოდეს შინა არნ, ტრაპეზისაგან კიდე საზრდელსა არარას მიიღებდა, არცა ჭამადსა, არცა სასუმელსა. ხოლო ჟამსა სნეულებისა მისისასა, რომლითა გარდაიცვალა წინამძღურობასა შინა მისსა, მრქუა: „შვილო, გაბრიელ, სა-ოსტიგნით ცხელი საჭმელი კორკოტისაჲ მომართუ“. და მაშინ არა ეგბო, სხუაჲ შევაგბე და მივართჳ, რამეთუ მრავალთა დღეთა არარაჲსა გემოჲ ეხილვა. და ვითარ ცნა, ვითარმედ მას [ვ] დღესა

ნეტარმა ეპიფანემ კი უფლის მიერ იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო. მისცა მან იმ კაცს თავისი ხელების ნაბანი და როდესაც იგი [უკან] მივიდა, იმ ქალმა მტკიცე სარწმუნოებით წაუსვა უსისხლო მსხვერპლის ღირსეულად შემწირველი მღვდლის საბოძვარი თავის ასულს, რომელსაც დაეძინა სამი დღე და სამი ღამე, ხოლო გაეღვიძა რა, თქვა: „დიდება ღმერთს, დიდება წმინდა სამებას, რომელმაც ნეტარი მამა ეპიფანეს ლოცვით განმკურნა და მიხსნა მე ეშმაკისგან“. ნახა რა ეს სასწაული წერტამ, მისმა მამამ, გაკვირვებული წავიდა ხანცთაში, სიხარულით სავსე, და როდესაც მიაღწია მან უდაბნოს თვალსაწიერს, ხმამაღლა ტიროდა თავისი ადრინ-დელი უგულისხმოების გამო. მაშინ მამა ეპიფანემ სიხარუ-ლით და ნუგეშისცემით მოიკითხა იგი და, ძალისამებრ, მეტად პატივი სცა, წერტამ კი დიდი შესაწირავი უძღვნა მას, რაც შეწირა წმინდა მთავარმოწამე გიორგის წინაშე. ჰმადლობდა იგი საკვირველთმოქმედ ქრისტეს და მის მონას ეპიფანეს, რომლის ლოცვითაც სრულად მიეფინა მას სიხარული, მისი ასული კი კარგად გადარჩა ამ საწუთროში და საუკუნოდ. ჩვენთვისაც წყალობა ყოს უფალმა ყოვლითურთ ყველა მისი წმინდანის მეოხებით.

86. ხანცთაში მკვიდრი გაბრიელ მოძღვარი, დიდად მოღ-ვაწე ნეტარი წმინდა მამა, გვიყვებოდა მამა ბასილის შესახებ: „მრავალი წელი ხანცთაში მისი მამასახლისობის დროს ეს იყო მისი კანონი: როდესაც შინ იყო[253], ტრაპეზისგან ცალკე საკვებს არაფერს მიიღებდა, - არც საჭმელს, არც სასმელს. მა-გრამ თავისი ავადმყოფობის დროს, რითაც გარდაიცვალა თავის წინამძღვრობაში, მითხრა მე: „შვილო გაბრიელ, სამზადიდან წანდილის ცხელი კერძი მომიტანე“. მაშინ წანდილი მოხარშული არ იყო. სხვა მოვხარშე და მივართვი, რადგან მრავალი დღე არაფრის გემო არ გაესინჯა. როდესაც

საერროდ იგი საჭმელი არა ყოფილ არს, მაშინ, რომელი-იგი მიმეღო, შფოთით დასთხია და რისხვით მრქუა მე: „რად სცეთ, საწყალო, და მე მაცთუნებ?“ ხოლო მე შიშით შევინდვე და ვჰკითხე მიზეზი ფრიადმოგინებისაჲ.

ხოლო მან მრქუა: „შვილო, სიჭაბუკესა ჩემსა მამისა გრიგოლის საჴედარსა ვხედევდი და მამასა ჩემთჳს ჴორციელსა საურავსა ვაწყინებდი. ხოლო მას ღმრთისაკაცსა წინაჲსწარმეტყველებისა მადლი აქუნდა ქრისტჱსგან და ესრეთ მიბრძანა: „ბასილო, მოკლედ შენ ხანცთას მამასახლისად დასდგები, და აწ რომელსა იურვი, მერმე ვითარი გინდეს სამოსელი და საგებელი, გაქუნდეს, ხოლო მოხუცებული, სულიერად მამაჲ შენი, აწვე გამცნებ და ჯუარითა ქრისტჱსითა ჯუარსა დაგწერ: ოდეს ესე სიტყუაჲ ჩემი საქმით იქმნას, ხანცთას შინა რაჲ იყო, ყოველსა ჴორცთა საღუაწლსა ტრაპეზსა დაშჯერდი, სხუაგან რაჲ იყო, იგი პატივი შენ ჴორცთა შუებად გეყოფისო“. და აწ მრავალთა წელიწადთა ჩემსა მამასახლისობასა კანონი მამისა ჩემისაჲ საქმით აღმისრულებიეს, ხოლო შენ სიკუდილისა ჩემისა ჟამსა ურჩებისა პატიჟსა შთამაგდებდი. ამისთჳს განჴრისხენ შენზედა“. და მე კუალადცა შეუვრდი და დამიკჳრდა ფრიადი იგი მოთმინებაჲ მისი. ხოლო მამამან ბასილი მაკურთხა ყოვლითა კურთხევითა და მრქუა: „კურთხეულ იყავ უფლისა მიერ შენ და ყოველი ერი მართლმორწმუნე ოხითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და წმიდისა გიორგისითა და ყოველთა წმიდათაჲთა, ამენ“.

გაიგო, რომ იმ დღეს ეს საჭმელი საერთო [ტრაპეზზე] არ ყოფილა, მაშინ, რაც მიტანილი მქონდა, აღშფოთებით დააქცია და მრისხანედ მითხრა მე: „რად შეცდი, საწყალო, და რად მაცთუნებ მე?“, ხოლო მე შიშით შენდობა ვითხოვე და ვკითხე ამ დიდი გაკიცხვის მიზეზი.

მან კი მითხრა: „შვილო, ჩემს სიჭაბუკეში მამა გრიგოლის სახედარს ვუვლიდი და ხორციელი მოთხოვნილებით მამას თავს ვაბეზრებდი, მას კი, ღვთის კაცს, ქრისტესგან წინასწარმეტყველების მადლი ჰქონდა და ასე მიბრძანა: „ბასილი, მალე შენ ხანცთაში მამასახლისად დადგები და რასაც ახლა წუხხარ, მაშინ გექნება, - სამოსელიც და საგებიც, როგორც გენდომება, მე მოხუცი კი, სულიერად შენი მამა, ახლავე გამცნებ და ქრისტეს ჯვრით ჯვარს გადაგწერ: როდესაც ეს ჩემი სიტყვა საქმით ასრულდება, ხანცთაში როდესაც იქნები, ყველაფერს ხორცთა მოსახმარისს ტრაპეზზე დასჯერდი, რადგან გეყოფა შენ, სხვაგან რომ იქნები, მაშინდელი პატივი ხორციელი შვებისთვის“. და ახლა ჩემი მამასახლისობის მრავალ წელს ჩემი მამის კანონი საქმით აღმისრულებია, შენ კი ჩემი სიკვდილის დროს ურჩობის სასჯელში მაგდებდი. ამიტომ გავბრაზდი შენზე“. მე კვლავ შევუვრდი მას და გამიკვირდა მისი დიდი მოთმინება, ხოლო მამა ბასილიმ მაკურთხა ყველა კურთხევით და მითხრა: „კურთხეული იყავით უფლის მიერ შენ და მთელი მართლმორწმუნე კრებული წმინდა ღვთისმშობლის, წმინდა გიორგის და ყველა წმინდანის მეოხებით, ამინ“.

1 „ცოდნისმიერად გალობენ“ - შდრ. ტექსტი: „**გალობედ მეცნიერებით**“; შდრ. ფს. **46**:**9**.

2 I თეს. 5:17

3 „**არსებაშეუქმნელი**“ - შდრ. „**არსებადაუბადებელისა**“ (პარალელისთვის შდრ. „მოწყალებითა ყოვლადწმიდისა **არსებადაუბადებელისა** სამებისაჲთა ... ღირს-ვიქმენ ... დაწერად წმიდასა ამას წიგნსა“, ანდერძი Add.**11281**-ზე, „მამათა ცხ.“, გვ.**324**).

4 ფს. 101:19.

5 შდრ. **I მფ. 2:11**

6 შდრ. **მთ. 3:4**

7 დან. 10:3

8 იგულისხმება ყველა ის ლიტურგიკული ტექსტი, რაც ეკლესიაში გალობის რვა **ხმაზე** იგალობება (საგალობლები, ლოცვები, მრწამსი და მისთ.). ამას ისიც ადასტურებს, რომ გამოთქმა: „**ხმით“ სასწავლი საეკლესიო სწავლა**“ (შდრ.: **„ჴმითა“ სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ**“) მოსდევს „ფსალმუნთა“ ანუ „დავითის“ მოხსენიებას, „ფსალმუნნი“ კი, როგორც ცნობილია, საეკლესიო გალობის საფუძველია. შესაბამისად სიტყვა „**ხმას**“, როგორც სპეციალურ ტერმინს, ბრჭყალებში ვსვამთ (შდრ. ე. მეტრეველის შენიშვნა: „**ჴმითა სასწავლელი სწავლაჲ** „ჴმეანს“ ანუ რვა ხმაზე გაწყობილ გალობას უნდა ნიშნავდეს“, ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, თბ. **1971**, გვ. **055**, შენ. **1**).

9 „სასწავლო“ - შდრ. **„სამოძღუროჲ**“. ეს იშვიათი ტერმინი ნიშნავდა „სასწავლოს“ და, აქედან, **„სასწავლო ადგილს**“, „**სასწავლებელს**“. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით შდრ. შემდეგი კონტექსტი: „**სამოძღუროდვე** მოვიდე და ვისწავლო ყოველი“ (იხ. ზ. სარჯველაძე, „ძვ. ქართ. ლექს.“, გვ.**177**); აგრეთვე: „დაბასა მას შინა იყო **სამოძღუროჲ** სწავლათაჲ და მოძღუარი ჴელოვანი“ (იქვე, გვ. **177**); „მოვიდა **სამოძღუროსა** ყრმათასა“ (მამათა ცხ. გვ. **300**.**35**)

10 1 კორ. 1:20

11 „მისი სიტყვა შეზავებული იყო მადლის მარილით“ – შდრ. **„სიტყუაჲ მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისაჲთა**“. აქ შეინიშნება ორი ხელშესახები პარალელი: (I) „ხარიტონის ცხოვრებასთან“: **„შეზავებულ იყო სიტყუაჲ მისი მარილითა სულისა წმიდისაჲთა**“ (მამათა ცხორებანი, თბ. **1975**. გვ.**132 33-34**); (II) კიდევ მეტად „იოვანე შეყენებულის ცხორებასთან“: „და ესრეთ

იღუწიდა სიჭაბუკესა თჳსსა, და იმარხავნ გონებასაცა თჳსსა, რაჲთა არა მიმოქროდის, და **სიტყუაჲ მისი იყო შეზავებულ ზომით მარილითა მადლისაჲთა**“ (იქვე, გვ. **273**.**29**. ორიგინალის შესაბამისი სიტყვები მნიშვნელოვნად სხვაობს ქართული თარგმანისგან და სიტყვა-სიტყვით ასე ითარგმნება: „**სიტყვა, უზადოდ (წუნდაუდებლად) შემზადებული საღვთო მარილით**“).

12 „**ბრძნულად გახსნიდა თავის პირს**“ – შდრ. „**ბრძნად აღაღის პირი თჳსი**“. აქ შესამჩნევია სოლომონის სიტყვათა გამოძახილი (**იგავ. 31:28**).

13 დან. 10:3.

14 ფს. **23**:**3-4**.

15 მ. 13:17; არსებულ გამოცემებში ციტატა ბოლოვდება სიტყვასთან „**მიაღწიეს**“, რადგან აქაა დასმული ციტატის დამამთავრებელი ბრჭყალი, ხოლო მომდევნო სიტყვები (**„რისი ღირსიც გახდით თქვენ**“) მიკუთვნებულია გრიგოლისადმი, რაც მცდარია, რადგან მიმართვა „**რისი ღირსიც გახდით თქვენ**“, ცხადია, მოციქულებს გულისხმობს და არა გრიგოლ ხანცთელთან მოსაუბრე ადამიანებს. ეს შეცდომა მარის გამოცემაში აშკარად მექანიკურია (რადგან რუსულ თარგმანში ზემორე სიტყვები მას ციტატის შიგნით აქვს მოქცეული), სხვა პუბლიკაციები კი შეუმოწმებლად იმეორებენ მას.

16 1 კორ. 4:15.

17 ი. **3:3-5**

18 II სჯ. 10:12

19 იგავ. **10**:**27**.

20 იობ. 32:9; ციტატის ბოლო ნაწილი, ნუსხის საფუძველზე, მარისა და ძქალძ-ის („ძქალძ“ = „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“) გამოცემებში ასეთია: „არცა **ბრძენთა** იციან სამართალი“. ნაცვლად სიტყვისა „**ბრძენთა**“, საზოგადოდ, უნდა იყოს „**ბერთა**“, როგორც ეს თვით ნ. მარს აქვს მითითებული რუსული თარგმანის სქოლიოში. ამასვე ადასტურებს ხსენებული ბიბლიური წიგნის სხვაენოვანი ვერსიები. მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენ ნ. მარის მსგავსად ვინარჩუნებთ ნუსხის მცდარ მონაცემს (ს. ყუბანეიშვილთან გასწორებული ტექსტი გვაქვს: „არცა **ბერთა** იციან სამართალი“), რადგან აღნიშნული ცთომილება არ უკავშირდება მერჩულის ნაშრომის გადამწერს, არცთუ თვით მერჩულეს (რომლის ავტოგრაფშიც ასევე უთუოდ მცდარი „**ბრძენთა**“ იქნებოდა და არა მართებული „**ბერთა**“). ეს

შეცდომა (ფონეტიკურად მსგავსი „**ბერთა**“-ს და „**ბრძენთა**“-ს გადამწერისეული მექანიკური აღრევა) გაცილებით ძველი ჩანს და ადგილი უნდა ჰქონოდა თვით **ქართულენოვანი ბიბლიის ნუსხებში, მათ შორის, როგორც ჩანს, უადრეს ოშკურ ბიბლიაშიც,** რადგან, მართალია, საკუთრივ **32**:**9** მუხლი აღნიშნულ ბიბლიას აკლია, მაგრამ იგი შემონახულია საბასეულში, რომელიც, იობის წიგნის ფარგლებში, სხვა ადგილებში ერთგულად მიჰყვება ოშკურს. ამიტომ, რადგან მერჩულის შრომაში არაიშვიათად იჩენს თავს ბიბლიური ტექსტის გააზრება საკუთრივ ქართული თარგმანის მიხედვით, უკეთ ქართული თარგმანის იმ ნუსხის მიხედვით, რომელიც მას ხელთ აქვს, თუნდაც რომ ხსენებული ნუსხის მონაცემი გადამწერისეული ცთომილების საფუძველზე იყოს აღმოცენებული (იხ. ამის შესახებ თუნდაც სქოლიოები **282**,**283**), შესაბამისად აშკარაა, რომ საკუთრივ მერჩულისეული ტექსტის დადგენისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს არა იმ მონაცემს, რაც საზოგადოდ არის მართებული, არამედ იმას, რაც სავარაუდოა, რომ მის ავტოგრაფში არსებულიყო.

21 იობ. 32:8

22 მალაქ. 2:7

23 ფს. 132:1

24 მ. 18:20

25 „**მღვიძარე გულმოდგინებაში**“ – შდრ. „**უძილსა გულსმოდგინებასა**“. უნდა აღვნიშნოთ, რომ ნუსხაში და პუბლიკაციებში გვაქვს არა „**უძილსა გულსმოდგინებასა**“, არამედ „**უძლურსა გულსმოდგინებასა**“. ეს გამონათქვამი ჩვენ აშკარად მცდარი გვგონია, რადგან კონტექსტი ხსენებული ოთხი ძმის განსაკუთრებულ გულმოდგინებაზე მიგვითითებს, რაც „**უძლური**“ ვერანაირად ვერ იქნება. ამიტომ, გამომდინარე იქიდან, რომ, ერთი მხრივ, საღვთო გულმოდგინება ყოველთვის მღვიძარებითია ანუ „**უძილია**“ და რომ ცოტა ქვემოთ იგივე „**უძილება**“ სრულიად აშკარადაა აღრეული „**უძლურებაში**“ (იხ. სქოლო **28**), ვთვლით, რომ ამჯერადაც იგივე გადამწერისეული ცთომილებაა სახეზე და რომ თავდაპირველ ტექსტში უნდა გვქონოდა არა „**უძლურსა**“, არამედ „**უძილსა**“, რომელიც დაქარაგმებული იქნებოდა როგორც „**უძლსა**“ და გვიანდელი გადამწერისგან გაიხსნა როგორც „**უძლურსა**“ (სიტყვა „**უძილი**“, გარდა მრავალი ძველი ქართული ტექსტისა, დამოწმებულია თვით წინამდებარე „ცხოვრებაშიც“: „ძალ არს შენდა ძალი ღმრთისაჲ, რამეთუ წმიდათა ანგელოზთა მსგავსებაჲ გაქუს, - სიწმიდე,

რომელ არს სამძალი ძლევისაჲ, შეზღუდვილი სამარადისოჲთა ლოცვითა და მარხვითა, და ფრიადი მუკლთდრეკაჲ, შემწირველი ცრემლთა წმიდათაჲ **უძილთაგან** თუალთა შენთა და მღჳძარისაგან სულისა შენისა“ (თ. **57**).

26 „**ერთიანი ერთობით**“ – შდრ. „**ერთითა მით ერთობითა**“. ამ უჩვეულო გამონათქვამის გარკვეული პარალელი ჩანს „სინურ მრავალთავში“: „მაშინღა **ერთითა მით ერთობითა** ერთად ანუ კბოდის პირსა ... იქმნიან ბუდე“ (სინ. მრავ. **225**.**7**)

27 „**მღვიძარებას**“ – შდრ. „**უძილებასა**“. აღსანიშნავია, რომ მოცემულ ადგილას ნუსხაში გვაქვს აშკარად მცდარი ფორმა „**უძლურებასა**“. ეს სიტყვა მცდარია, რადგან კონტექსტი ეხება გრიგოლის მიერ სათნოებათა მოღვაწეობას. ჰაგიოგრაფი აღწერს, თუ როგორ ითვისებდა იგი ზოგისგან ლოცვას, ზოგისგან მარხვას, სხვათაგან სიმდაბლეს, სიმშვიდეს და ა. შ (იხ. ზემოთ). სწორედ ამ სათნოებათა ჩამონათვალში გვხდება „**უძლურებაჲ**“, რაც შუძლებელია, რადგან „**უძლურება**“ სათნოებად არავის მიუჩნევია. ნ. მარმა შეამჩნია ცთომილება და ივარაუდა, რომ თავდაპირველ ტექსტში უნდა ყოფილიყო „**უჰრულებაჲ**“. სავსებით მართებულია მისი რუსული თარგმანი **ბდენიე**, თუმცა მომდევნო გამოცემებში მაინც უცვლელად მეორდება მცდარი „**უძლურებასა**“ (მარის „**უჰრულებასა**“ გაზიარებულია „სასკოლო გამოცემაში“). აღვნიშნავთ, რომ არსობრივად ნ. მარის კონიექტურა სავსებით გამართლებულია, რადგან, ერთი მხრივ, ხსენებული „**უძლურებასა**“ მოსდევს „**ზეჯდომით ძილს**“ და აშკარაა, რომ ამ უკანასკნელის შემდეგ დასახელებული უნდა იყოს სწორედ ძილთან დაკავშირებული (უკეთ, ძილის შეძლებისამებრ უარმყოფელი) სათნოება, მეორე მხრივ კი წარმოუდგენელია, სათნოებათა ასეთ საკმაოდ დეტალიზებულ ჩამონათვალში არ იხსენიებოდეს „**მღვიძარება**“, რაც განუყრელია ასკეტის ღვაწლისგან. ამასთან, მიუხედავად არსებითი მართებულობისა, საკუთრივ ქართული ტექსტის მარისეული გასწორება მცდარია, რადგან მკვლევარი აღადგენს არარსებულ სიტყვას „**უჰრულებაჲ**“, მაშინ როცა თვალნათელია, რომ მოცემულ ადგილას უთუოდ უნდა გვქონოდა „მღვიძარების“ აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინი **„უძილებაჲ// უძილობაჲ**“ (ორივე ეს ფორმა დამოწმებულია ი. აბულაძის ლექსიკონში), რომლის აღრევა ფონეტიკურად მსგავს „**უძლურებასთან**“ სავსებით მოსალოდნელია. და ბოლოს, ამავე **„უძილება/ /უძილობას**“ შთამბეჭდავად გვიდასტურებს ხსენებული „ცხოვრე-

ბის“ სხვა ადგილები. მაგალითად: „რამეთუ დღჱ იგი დამწუხრდა და ღამჱ განთენა **უძილობით** ლოცვასა შინა მათსა და გალობასა ღმრთისასა“ (თ. **6**); „რამეთუ მოუკლებელი ლოცვაჲ, წყურილი და შიმშილი მარადის, და **უძილობაჲ**, ზედგომაჲ და მუკლთა მოდრეკაჲ ფრიადი აქუნდა ნეტარსა მას“ (თ. **37**); „ძალ არს შენდა ძალი ღმრთისაჲ, რამეთუ წმიდათა ანგელოზთა მსგავსებაჲ გაქუს, - სიწმიდე, რომელ არს სამძალი ძლევისაჲ, შეზღუდვილი სამარადისოჲთა ლოცვითა და მარხვითა, და ფრიადი მუკლთდრეკაჲ, შემწირველი ცრემლთა წმიდათაჲ **უძილთაგან** თუალთა შენთა და მღუძარისაგან სულისა შენისა“ (თ. **57**).

28 'ყველა ამ ნეტარს მოინახულებდა წმინდა გრიგოლი და სწავლობდა მათ კარგ ქცევებს, ზოგისგან — ლოცვას და მარხვას, ზოგისგან — სიმდაბლეს და სიყვარულს, ზოგისგან — სიმშვიდეს და ურისხველობას, ზოგისგან — უპოვარებასა და მიწაზე წოლას ანდა მჯდომარე ძილს, ზოგისგან — მღვიძარებას და დუმილით ხელსაქმობას, და ამათ მსგავს სათნოებებს, შემდეგ კი სულიერ სწავლათაგან ამგვარად ავსებული უბრუნდებოდა თავის სამყოფელს" - შდრ. დედანი: „ყოველთა მათ ნეტართა მოიხილავნ წმიდაჲ გრიგოლ და კეთილთა ქცევათა მათთა **ისწავებნ**, რომელთაგანმე - **ლოცვასა და მარხვასა**, რომელთაგანმე - სიმდაბლესა და სიყუარულსა, რომელთაგანმე - სიმშჯდესა და **განურისხველობასა**, რომელთაგანმე - უპოვარებასა და **ქუეყანასა ზედა წოლასა**, გინათუ ზეჯდომით ძილსა, რომელთაგანმე - უძილებასა და კელთსაქმარსა დუმილით და მსგავსთა ამათთა სათნოებათა, და **ესრეთ** სწავლათაგან სულიერთა **აღსავსემან მიაქციის საყოფლადვე თჳსა**“. აქ აშკარად ისმის წმ. ათანასე ალექსანდრიელის'„ანტონი დიდის ცხოვრების" გამოძახილი, რომლის უძველეს ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „... თითოეულთაგან მოთმინებასა, წრაფასა და **მარხვასა ისწავებნ**, რომელთაგანმე მხიარულებასა, რომელთაგანმე **ლოცვასა** გონიერებით ხედავნ და სხუათა **განურისხველობასა** და რომელთაგანმე კაცთმოყუარებასა განიცდინ, რომელთაგანმე ღამისთევასა განიცდინ და რომელთამე წიგნისკითხვასა ერჩინ და რომელთაგანმე მოთმინებასა და რომელთამე მარხვასა და **ქუეყანასა წოლასა** დაკჯრვებულ არნ, რომელთათჳსმე სიმშჯდისათჳს და რომელთათჳსმე სულგრძელებისათჳს დაკჯრვებულ არნ, ყოველთა ერთობით ქრისტჱს მიმართ მსახურებასა და ურთიერთას სიყუარულსა მას მათსა ისწავებნ და **ესრჱთ სავსემან მიაქციის თჳსსა მას სამკჯდრებელსა**" (იხ. უდაბნოს მრავალთავი, თბ. **1994**, გვ.**78**; მოგვიანო რედაქცია იხ. წიგნში: მამათა ცხორებანი, ი. იმნაიშვილის გამოც. თბ. **1975**, გვ. **11**. **საფიქრებელია, რომ მერჩულეს ხელთ ჰქონდა „ანტონის ცხოვრების“ უადრესი ქართული თარგმანი, რაც დაცულია „მრავალთავებში“**, და არა ამ თარგმანის მოგვიანო რედაქცია, რაც ბრიტანულ ხელნაწერშია დაცული. ამას გვაფიქრებინებს მერჩულის მიერ გამოყენებული ზმნა „**ისწავებნ**“, რასაც ზემორე კონტექსტში ორგზის ვხვდებით „ანტონის ცხოვრების" საკუთრივ უადრეს რედაქციაში და რაც ბრიტანული ხელნაწერის ტექსტში შეცვლილია ფორმებით: '„**განიცდინ**“ და „**შეისწავებნ**“; ამასვე გვიდასტურებს კონტექსტის დამაბოლოებელი სიტყვები, რაც მერჩულის ტექსტში ამგვარია: „**ესრეთ ... აღსავსემან მიაქციის**“. ამ სიტყვებს თითქმის ზედმიწევნითი შესატყვისი აქვთ „ანტონის ცხოვრების“ სწორედ უადრეს ქართულ თარგმანში: „**ესრჱთ სავსემან მიაქციის**“, რომელთა ნაცვლადაც მოგვიანო რედაქციაში ვკითხულობთ:„**ესრჱთ სავსჱ მიიქცის**). მერჩულისეული ტექსტის შორეულ პარალელად შეიძლებოდა მიგვეთითებინა აგრეთვე კირილე სკვითოპოლელის „**ევთვიმის ცხოვრება**”: „მაშინ წარვიდა უდაბნოდ წმიდათა მამათა ხილვად. და ჰხედავნ იგი განგებასა თითოეულისა მათისასა და დაიმარხვიდა გულსა შიდა თჳსსა” (‘მამათა ცხ.”, გვ. **146**)

29 **მ. 28:20**

30 **მ. 28:20**

31 **რომ. 4:4**

32 **ფს. 118:103**

33 „**საპატრონებელი**“ – შდრ. „**საღუაწი**“. ტერმინი „**საღუაწი**“, რაც საკმაოდ ხშირია ხსენებულ „ცხოვრებაში“, ი. აბულაძის მიერ განმარტებულია, როგორც „**საზრდო**“. ეს განმარტება შინაარსობრივად მართებულია, თუმცა „**საღუაწი**“ ეტიმოლოგიურადაც მეტად საინტერესოა, რადგან უკავშირდება „**ღუწას**“, რაც ნიშნავს „მოვლას“, „ზრუნვას“, „პატრონობას“. შესაბამისად, „**საღუაწის**“ ზემორე მნიშვნელობის ზედმიწევნით გადმომცემად გვესახება სწორედ „**საპატრონებელი**“ (ვრცლად აღნიშნული საკითხის შესახებ იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა*, გვ. **703-706**).

34 **ფს. 135:25.**

35 შდრ. **ზირ. 50:10.**

36 **ფს. 91:11.**

37 **ფს. 75:11.**

38 **ფს. 131:14**

39 ფს. **88:1-2**
40 ფს. **64:12-14**
41 ფს. **89:16-17**
42 ფს. **120:1**
43 ფს. **120:2 (შდრ. ფს. 123:8)**
44 ე. ი. ერისკაცები
45 „**სატრაპეზოდ**“ – შდრ. „**საოსტიგნედ**“. ეს ტერმინი ამ ფორმით, გარდა აღნიშნული „ცხოვრებისა“, სხვაგან დადასტურებული არ არის. „პეტრიწონის ტიპიკონში“ გვხვდება „**ოსტიგანი**“, რაც „**კელარს**“ ანუ „**მზარეულს**“ ნიშნავს: „მნე ერთი იყოს **კელრად**, რომელ არას **ოსტიგანი**“ (პეტრიწ. ტიპ. **6.12**; იხ. ზ.სარჯ. ლექს.; ტერმინი „**კელარი**“ დამოწმებულია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“: „მოუწოდა მამამან მიქაელ **კელარსა** და ჰრქუა, რაჲთა მზა-ყოს სერი“ (თ. **11**). იგივე ტერმინი სახეზეა აგრეთვე „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრებაში“ (იხ. ი. აბულაძ. ლექს.; დავძენთ, რომ „**კელარს**“ და „**ოსტიგანს**“ უიგივდება აგრეთვე ტერმინი „**მაგიროსი**“. მაგალითად: „**მაგიროსმან ლავრისამან** შეაგბო ოდესმე აყიროჲ ხუროთათჳს“, იხ. „მამათა ცხორებანი“, ვ. იმნაიშვილის გამოც., გვ. **88.30**, შდრ. გამოცემაზე დართული ლექსიკონი, იხ. აგრეთვე ზ. სარჯველაძე, ლექს. კიდევ: „[საბამ] ქუაბსა მას დასწერა ნიში ჯუარისაჲ და ჰრქუა **მაგიროსსა:** „ ... დაუგე ტაბლები“, იქვე **88.34**, ზ. სარჯ. ლექს.). დასტურდება „**საკელროჲ**“-ც (იხ. იგივე „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება“), რაც იდენტურია „**საოსტიგნისა**“ („**საკელროჲსა** წესი ესრეთ განეწესა, რაჲთა საჭმელსა არა იქმოდინ, გარნა თუ უცხონი იყვნიან“, იხ. ი. აბულაძე, ლექს.). ეგევე ტერმინი გვხვდება ჲ **1105**-ში: „დაუტევა თევზი იგი **საკელროსა**“ (იხ. იქვე).
46 იხ. მ. **20:1-16**
47 ფს. **43:23**
48 I კორ. **15:31**
49 გალატ. **5:17**.
50 კორ. **12:7**.
51 მ. **18:22**.
52 მ. **10:25**
53 II კორ. **8:14**
54 შდრ. **იგავ. 9:1**
55 „**სადაც არის პატივი მთავრობისა, იქ არის მსგავსება ღმრთეებისა**“ – შდრ. „**სადა არს პატივი მთავრობისაჲ, მუნ არს**

მსგავსებაჲ ღმრთეებისაჲ“. მოტანილი ციტატა ცხადყოფს, რომ ღვთისადმი მსგავსება ადამიანმა მოგვიანებით კი არ მიიღო, არამედ იგი თავიდანვე, პირველშესაქმიდანვე ფლობდა იგი ამ სიკეთეს („**ღვთისადმი ხატებასთან**“ ერთად), რაც ცოდვამ დაჩრდილა მასში და რაც კვლავ განგვიახლა მაცხოვარმა. კერძოდ, ამაზე მიგვითითებს მკვეთრად გამოხატული კავშირი „**მთავრობასა**“ და „**ღვთისადმი მსგავსებას**“ შორის. საქმე ისაა, რომ პირველქმნილი ადამიანი სწორედ „**მთავრად**“ დაიბადა ამა სოფლისა და იგი მეფისებრ **ხელმწიფობდა** მთელ ხილულ სამყაროს. შესაბამისად, თუ, ზემორე სიტყვებისებრ, „**სადაც არის პატივი მთავრობისა, იქ არის მსგავსება ღმრთეებისა**“, სრულიად ნათელია, რომ ღვთივბოძებული „**მთავრობის**“ მქონე პირველქმნილი ადამიანი უეჭველად **მსგავსებასაც ფლობდა ღვთისას**, რაც განვითარებადი იყო (და არის მარადიულად). სწორედ ცოდვამდელი ღვთივმონიჭებული მსგავსება აღგვიდგინა და განგვიახლა მაცხოვარმა, თუმცა - გაცილებით აღმატებულ ხარისხში (ვრცლად აღნიშნული საკითხის შესახებ იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა*, გვ. **711-760**).
56 ი. **8:56**.
57 „დავით წინასწარმეტყველის და **უფლისგან ცხებულის** შვილად წოდებულო ხელმწიფეო“ – შდრ. „დავით წინაჲსწარმეტყუელისა და **უფლისა მიერ ცხებულისა** შვილად წოდებულო კელმწიფეო“. სიტყვები „**უფლისგან ცხებული**“ (შდრ. „**უფლისა მიერ ცხებული**“), როგორც ნათელია, არის ეპითეტი დავით წინასწარმეტყველისა (შდრ. ფს. **131.10**). ნ. მარს სიტყვა „**ცხებული**“ გაუგია თვით უფლის ეპითეტად ანუ ქრისტედ. ამგვარი გაგებით აშოტი გამოდის არა მხოლოდ დავით წინასწარმეტყველის, არამედ თავად მაცხოვრის, იესო ქრისტეს ხორციელ შთამომავლადაც, რაც დაუშვებელია.
58 „**ღადო**“ - „**მიუვალი, ქვაღორღიანი**“ (ზ. სარჯ.)
59 შდრ. ფს. **22:2**
60 „**და ... ილოცეს მათთვის**“ – შდრ. „**და ულოცეს**“. გამოცემებში ყველგან გვაქვს „**და დაულოცეს**“. ნათელია, რომ „**და**“-ს განმეორება გადამწერის მექანიკური შეცდომაა (ე. ი. თავდაპირველ ტექსტში უნდა ყოფილიყო: „**და ულოცეს**“). ამას ადსტურებს, ერთი მხრივ, ის, რომ ძველ ქართულში არ არსებობს ზმნა „**დალოცვა**“, მეორე მხრივ კი თვით კონტექსტი, სადაც ჭირისუფალთა (მოკლული მეფის ძეთა) გამხნევებაზეა საუბარი. სინამდვილეში, „**ულოცეს**“ ნიშნავს „**ილოცეს მათთვის**“, როგორც ეს კონტექსტითაც ნათე-

ლია და პარალელური ნიმუშებითაც (უცნაურია, რომ ზმნა „ლოცვის“ სასხვისო ქცევის ფორმა „**ულოცეს**“, „**ულოცა**“ და მისთ., რაც ძალიან საყურადღებოა, ზემომითითებულ ლექსიკონებში არ ასახულა). მაგალითად: „**ულოცევდით მათ**, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ“ (მთ. **5**:**44**, გიორგისეული; შდრ. ჯრუჭ-პარხლისა: „**ილოცევდით მათთჳს,** რომელნი გმძლავრობდენ ... თქუენ“; ჰადიშური: „**ულოცევდით**, რომელნი გხუეჭდენ თქუენ“.); „შევიდა პავლე და **ულოცა** და დაასხნა მის ზედა კელნი მისნი და განკურნა იგი “ (საქ. **28**:**8**); „მგმობართა ჩუენთა **ულოცავთ**“ (I კორ **4**:**13**); „აღუარებდით ურთიერთას ცოდვათა და **ულოცევდით ერთი-ერთსა**, რაჲთა განიკურნნეთ, რამეთუ ფრიად შემძლებელ არს **ლოცვაჲ** მართლისაჲ შეწევნად“ (იაკ. **5**:**16**).

61 „კვერექსი“ - დიაკონის (ან მღვდლის) მიერ ცალკეული ლოცვითი მუხლების სახით აღვლენილი სავედრებელი.

62 „**წმიდაო ღმერთოჲ**“ - ანგელოზთა გალობად ცნობილი ლოცვა: „წმიდაო ღმერთო, წნიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგჳწყალენ ჩუენ“.

63 იგივე **„კათოლიკე კუერექსი**“, რომლის ტექსტი ამგვარია (მოგვაქვს დღევანდელი რედაქცია):

მშჳდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ.

მგალობელთა: უფალო, შეგჳწყალენ.

ზეცითგარდამო მშჳდობისა, და ცხოვრებისათჳს სულთა ჩუენთაჲსა უფლისა მიმართ ვილოცოთ.

მგალობელთა: უფალო, შეგჳწყალენ.

მშჳდობისათჳს ყოვლისა სოფლისა, კეთილმდგომობისათჳს წმიდათა ღმრთისა ეკლესიათა, და ყოველთა ერთობისათჳს უფლისა მიმართ ვილოცოთ.

მგალობელთა: უფალო, შეგჳწყალენ.

წმიდასა ამის სახლისათჳს და სარწმუნოებითა, კეთილკრძალულებითა და შიშითა ღმრთისაჲთა შემავალთათჳს ამას შინა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

მგალობელთა: უფალო, შეგჳწყალენ.

უწმიდესისა და უნეტარესისა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა, და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა, დიდისა მეუფისა, მამისა ჩუენისა ილიაჲსთჳს, (აქა მოიხსენე განმგებელი მღდელთმთავარი) პატიოსანთა მღდელთა, ქრისტეს მიერ დიაკონთა, და ყოველთა სამღდელჲსათა დასისა და ერისათჳს უფლისა მიმართ ვილოცოთ.

მგალობელთა: უფალო, შეგჳწყალენ.

ღმრთივდაცვულისა ერისა ჩუენისათჳს, მთავრობისა და მკედრობისა მისისათჳს, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

მგალობელთა: უფალო, შეგჳწყალენ.

სამეუფოჲსა ქალაქისა ამის ჩუენისა და წმიდასა ამის ტაძრისა (ანუთუ: წმიდისა ამის მონასტრისა), და ყოვლისა ქალაქისა და სოფლისათჳს, და სარწმუნოებით მკჳდრთათჳს მათ შინა უფლისა მიმართ ვილოცოთ.

მგალობელთა: უფალო, შეგჳწყალენ.

კეთილშეზავებისათჳს ჰაერთაჲსა, კეთილგამოღებისათჳს ქუეყანისა ნაყოფთაჲსა, და ჟამთა მშჳდობისათჳს უფლისა მიმართ ვილოცოთ.

მგალობელთა: უფალო, შეგჳწყალენ.

მენავეთათჳს, მოგზაურთა, სნეულთა, მშრომელთა და ტყუეთა და ცხოვნებისა მათისათჳს უფლისა მიმართ ვილოცოთ.

მგალობელთა: უფალო, შეგჳწყალენ.

ჴსნად ჩუენდა ყოვლისაგან იწროებისა, რისხვისა, ჭირისა და ურვისა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

მგალობელთა: უფალო, შეგჳწყალენ.

შეგუეწიენ, გუაცხოვენ, შეგჳწყალენ და დაგჳცვენ ჩუენ, ღმერთო, შენითა მადლითა.

მგალობელთა: უფალო, შეგჳწყალენ.

ყოვლადწმიდისა, უხრწნელისა, უფროჲსადკურთხეულისა, დიდებულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადისქალწულისა მარიამისა ყოველთა წმიდათა თანა მომჴსენებლთა თავნი თჳსნი და ურთიერთას და ყოველი ცხოვრებაჲ ჩუენი ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა შევევედროთ.

მგალობელთა: შენ, უფალო.

ასამაღლებელი:

რამეთუ შუენის შენდა ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაუყანისცემაჲ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე.

მგალობელთა: ამინ.

64 „**პაქსიმადი**“ –სიტყვა ბერძნულია (მომდინარეობს ხაბაზი **პაქსამოსის** სახელიდან), რომლის ინგლისურ შესატყვისად უთითებენ „ბისკვიტს“. პაქსიმადი, როგორც ჩანს, გავრცელებული იყო მეუდაბნოეთა შორის (შესაძლოა, ქსეროფაგიის ანუ ხმელისმჭამელობის ერთ-ერთ სახეობად), რადგან მასზე მითითე-

ბას ვხვდებით პალადი ჰელენოპოლელთან („ლავსაიკონში“), იოანე მოსხთან („ლიმონარში“) და პატერიკონებში.

65 ე.ი. ნოემბრის თვის.

66 ე.ი. წმინდა გიორგის დღესასწაულამდე (**10** ნოემბერს ძვ.სტ.)

67 „წველა“ - რძის ნაწარმი

68 „პირმარხვა“ - დიდმარხვის პირველი შვიდეული (ყველიერის კვირადღის შემდეგ). ნიშნავს: „**პირველმარხვა**“ **(ე.ი. პირველი შვიდეული მარხვისა)**.

69 აქ „**კანონი**“ აღნიშნავს „ფსალმუნთა“ წიგნის გარკვეულ მონაკვეთს („ფსალმუნნი“ განიყოფა ოც კანონად).

70 „წიგნისკითხვა“ - ღვთისმსახურების დროს შესაბამისი საკითხავების წაკითხვა ძველი და ახალი აღთქმიდან.

71 „**ვნების შვიდეული**“ - აღდგომის უშუალოდ წინმსწრები შვიდეული (წმინდა ორმოცეულის მომდევნო), რომლის პარასკევს (წითელ პარასკევს) კაცთა გამოხსნისათვის ჯვარცმა დაითმინა განკაცებულმა ღმერთმა, მაცხოვარმა ჩვენმა იესუ ქრისტემ.

72 „აღვსება“ - აღდგომა

73 „ახალკვირიაკე“ - იგივე კვირაცხოვლობა (აღდგომის შემდგომი პირველი კვირა დღე).

74 „ჭირის კანონი“ - „ფსალმუნთა“ მეთვრამეტე კანონი (ფსალმუნები **119-133**).

75 „სერობა“ - ვახშმობა.

76 ე.ი. **მეოთხე ფსალმუნი**.

77 „წარდგომა“ - მცირე ზომის საგალობელი (ბერძნ. **„კათისმა“**); შდრ. „უძვ. იადგ.“ თბ. **1980**, გვ. **354-359** („**წარდგომანი და იბაკონი აღდგომისანი**“). შდრ. გიორგი მთაწმიდლის „თვენი“. საკუთრივ „**კათისმა**“ ასე განიმარტება: (I) „ფსალმუნთა“ ოცი კანონიდან ერთ-ერთი: (II) „საგალობელი, რაც იგალობება „დაჯდომის“ წინ, რასაც წინ უძღოდა ხანგრძლივი გალობა ან „ფსალმუნებისა“ ან ვრცელი საგალობლებისა“.

78 118-ე ფსალმუნი (მეჩვიდმეტე კანონი).

79 საეკლესიო საგალობლები (საფიქრებელია, აქ იგულისხმებოდეს **ცხრა „გალობისგან“ შემდგარი „საცისკრო კანონები“ ანუ „საცისკრო გალობანი“, რომლებიც „ძველი საწელიწდო იადგარის“ გვიანდელი შენამატია**. თუ ასეა, ნათელია, რომ მერჩულე გულისხმობს ხანცთელთა საღვთსმსახურო მოღვაწეობის არა მხოლოდ უადრეს ანუ დასაბამიერ სახეს, არამედ შედარ-

ებით გვიანდელსაც, რომლის თვითმხილველი თვითონაც ყოფილა. შდრ. მისი სიტყვები ზემორე მონაკვეთის დასასრულს: „ეგრეთ ჰყოფდიან ყოველსა მამანი **ჟამთა შინა ჩემთა**“).

80 შდრ. „**განგებასა ეკლესიისასა**“. ეს „**განგება**“, რაზეც სხვაგან გვაქვს დეტალური მსჯელობა, ვფიქრობთ, საგანგებო ყურადღების ღირსია. განსაკუთრებით საგულისხმოა ორი ფაქტორი: (I) მერჩულე გვისახელებს **ზოგადად „ეკლესიის“ (და არა „მონასტრის“) განგებას; (II) ხსენებული განგება წერილობით არსებობდა და იგი უთუოდ კაპიტალური ლიტურგიკული ძეგლი იყო**, რადგან შეიცავდა დღესასწაულთა ვრცელ განგებებს **მთელი წლის** მასშტაბით ანუ ეს იყო **„საწელიწდოჲ განგებაჲ ეკლესიისაჲ“. აქ უნდა იგულისხმებოდეს სახელგანთქმული „იერუსალიმური ლექციონარი“ ანუ „დიდი კანონი“** (ვრცლად აღნიშნული საკითხის შესახებ იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა*, გვ. **765-807**).

81 ფს. 41.9

82 „კალნაბი“ - ყვავილოვანი კომბოსტო (იხ. ზ. სარჯ. ლექს.).

83 „ტალანტი“ - ვერცხლის ან ოქროს ფული (იხ. მ. **25. 14-30**).

84 „დრამა“ - იგივე **„დრაქმა**“, ფულის ერთეული.

85 „ღადო“ - „მიუვალი, ქვაღორღიანი“ (ზ. სარჯ.) (შდრ. თ. **11**)

86 „მოწესე“ - მონაზონი, ბერი. **იხ. შენ. 170; 225.**

87 ფს. 118. 130.

88 მ. 19.14; მარ. 10.14; ლ. 18.16.

89 შდრ. **მ. 18.10.6.**

90 ი. 4.18.

91 1 კორ. 9.16.

92 „ლოცვით უძღვნა“ - ეს შინაარსი აქვს სიტყვას: **„მიულოცა“.**

93 „მას“ - გულისხმობს **„მეფობას“** და არა **„სინათლეს**“, როგორც აქვს გაგებული იგი ნ. მარს.

94 ფს. 126.1.

95 მ. 6.24; ლ. 16.13..

96 შდრ. **მ. 5.16.**

97 ე. ი. გრიგოლი.

98 „მათი“ - ე.ი. წმინდა ეკლესიების.

99 ი. 7.24.

100 II სჯ. 10.9.

101 „მირქმული“ ანუ **„აქუმული“** - ემბაზიდან ნათლიისგან ანუ მიმრქმელისგან გამოყვანილი.

102 იგულისხმება, რომ **„ორივე ეს ხელმწიფე: დავით კურაპალატი და გურგენ კურაპალატი ნათლულები იყვნენ მისი“**.

103 „იგი დაიმარხა ხანცთაში არსენისა და მისი ძის მცხვედას **მეშვეობით**“ – შდრ. „და დაემარხა ხანცთას არსენის **გზითა** და ძისა მისისა მცხუედისაჲთა“. მოტანილ კონტექსტში საკმაოდ უჩვეულო შინაარსით გვხვდება სიტყვა „**გზითა**“, თუმცა აშკარაა, რომ იგი გულისხმობს ხანცთის მამასახლისის არსენის და მისი ძის მცხვედას მიერ შესრულებულ საეკლესიო მსახურებას წესის აგებისას. ახალი ქართული „**მეშვეობით**“ კარგად იტევს შუამდგომლობის, შუამავლობის იმ მნიშვნელობას, რითაც საზოგადოდ დატვირთულია „**გზითა**“. ამ სიტყვის სრულიად მცდარი გაგებაა მართან. უკეთესი განმარტებაა „სასკოლო გამოცემაში“: „**მეოხებით**“.

104 მერჩულისეული **„მშჯდობაჲ მისცა“** ნიშნავს მისალმებას, მოკითხვას.

105 შდრ. **ზირ. 7:28**.

106 ზირ. 3:16.

107 ზირ. 3:9.

108 I ტიმ. 5:8.

109 „მისგან“ - დედისგან.

110 შდრ. **„საუხუცესოდ“**, რაც ნიშნავს: „**საუფროსოდ**“ (იგულისხმება, რომ ხანცთას როგორც სხვა მონასტრებზე უხუცესს ანუ უფროსს, გარდა სხვებთან თანაბარი წილისა, ეკუთვნოდა დამატებით განსაკუთრებული წილი).

111 ი. 7:34.

112 იგულისხმება, რომ ეს ძმები სიწმინდეთა **„იძულების“** (ე. ი. **სიწმინდეთა საღვთო ზემოქმედების)** ქვეშ არიან.

113 დედნისეული პოსტპოზიციური წყობა **(„მიქელ მამაჲ“)**, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, ამჯერადაც შესაძლოა ნიშნავდეს არა უბრალოდ **„მამა მიქელს“**, არამედ საკუთრივ **„მიქელ მამასახლისს“**. (იხ. ამის შესახებ ე. ჭელიძე, პირველმეუდაბნოე მამები და უდაბნოთა „ახალნი მნათობნი“, გაზ. „საეკლესიო სიწმინდენი“, **3**, ოქტ. **2000** წ., გვ. **14**)

114 „პარეხთა“ - ნაპრალთა, გამოქვაბულთა.

115 „წყლულებს“ – შდრ. „**გუემათა**“. ეს ტერმინი ძველ ქართულში ნიშნავდა როგორც „დარტყმას“, ასევე „წყლულს, ჭრილობას“, რისი მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს მას, ჩვენი აზრით, ზემორე კონტექსტში.

116 ნიშნავს: **„პირველად“**.

117 იგავ. 18:19.

118 იაკ. 5:16.

119 „ჰქონდა ხმის ნებიერება და ტკბილობის მშვენიერება“ - შდრ. „აქუნდა კმისა ნებიერობაჲ და ტკბილობისა შუენიერებაჲ“. ესაა წმ. გრიგოლ ხანცთელის ღვთივმიმადლებული კეთილმგალობლობის უაღრესად გამომსახველი დახასიათება.

120 საკითხი **„საწელიწდი იადგარის“** (ანუ მთელი წლის რჩეული დღესასწაულების საგალობელთა კრებულის) შესახებ კარგა ხანია ინტენსიურად შეისწავლება, თუმცა მერჩულის ცნობებს, სამწუხაროდ, ჯეროვანი ყურადღება არ მიქცევია. ამ ცნობათა წყაროთმცოდნეობითი შესაწავლის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ქართულად ცნობილი „საწელიწდო იადგარის“, როგორც ლიტურგიკული კრებულის, წერილობითად პირველჩამომყალიბებელი და პირველშემდგენელი არის სწორედ გრიგოლ ხანცთელი. ხსენებულ „იადგარს“ მჭიდროდ უკავშირდება „იერუსალიმური ტიპოსის“ საკითხი. დიდად საყურადღებოა აგრეთვე „ძველი საწელიწდო იადგარის“ ეტაპობრივ შევსება-განვრცობთა და ამათუიმ ეტაპის ამსახველი ნუსხების ღირსება-ნაკლოვანებათა ფილოლოგიური ანალიზი (აღნიშნულ საკითხებზე ვრცლად იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა*, გვ. **813-873**).

121 „ახალი სჯული“ - ახალი აღთქმა.

122 „ძველი სჯული“ - ძველი აღთქმა.

123 „აღება“ - მარხვის დაწყების წინადღე.

124 „პირმარხვა“ - დიდმარხვის პირველი შვიდეულის ორშაბათი (იხ. ზემოთ).

125 გალ. 5:1.

126 II კორ. 3:17.

127 შდრ. **I ი. 3:2**.

128 „ადიდა თავისი ხელმწიფობის ყველა ქმნილებაზე მეტად“ - თუ აქ გადამწერის ცთომილება არ გვაქვს, მოტანილი სიტყვები ასე გაიგება: ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მისგან კაცობრივად შობილმა ძე ღმერთმა ადიდა. ყველა იმ ქმნილებაზე მეტად, რაც მან (ძემ ხელმწიფურად (ძალმოსილებითად) დაჰბადა“. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ავტორისეული ტექსტი შესაძლოა ამგვარი ყოფილიყო: **„რომელიცა უფროჲს ყოველთა დაბადებულთა**

ჯელმწიფებითა თჳსითა გამოუთქუმელად ადიდა ძემან მისმან და ყოველთა ღმერთმან“ (ანუ ახალ ქართულად: „ **რომელიც მისმა ძემ და ყოველთა ღმერთმა თავისი ხელმწიფობით გამოუთქმელად ადიდა ყველა ქმნილებაზე მეტად“)**.

129 იგულისხმება, რომ უფალმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი არა მხოლოდ სულიერად ადიდა წარუვალ სუფევაში ანუ სასუფეველში, არამედ ხორციელადაც აღამაღლა იგი ზეცად, სულთანვე შეერთებულად (ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხორციელი ცად ამაღლების შესახებ იხ. „კლარჯულ მრავალთავში“ დაცული თხრობანი „დედა-ღვთისას მიძინების შესახებ“).

130 „**ყველა წმინდანის პირმშო**“ –შდრ. „**პირმშოჲ ყოველთა წმიდათაჲ**“. აქ „**პირმშოჲ**“ ნიშნავს „**პირველსახეს**“, „**არქეტიპს**“ (იხ. „**პირმშოს**“ ტერმინოლოგიურ-საღვთისმეტყველო შინაარსის შესახებ ე. ჭელიძე, მართლმადიდებლური ხატმეტყველება, თბ. **2001**, გვ. **36-42**).

131 **მ. 19:29.**

132 **ლ. 18:30.**

133 **I ტიმ. 6:12.**

134 **მ. 12:36.**

135 ე.ი. განდეგილი.

136 **ჟამისრეკვა -** ზარის რეკვა ღვთისმსახურების (ჟამისწირვის, ჟამნობის, მწუხრის, ღამისთევის, ცისკრის მსახურების) დაწყების წინ.

137 **ოლარი -** შდრ. „ერთი ვინმე დიაკონისსახედ **ოლარითა** მათ თანა“. ეს ტერმინი ერთგზის არის დამოწმებული წმინდა წერილში: „უძლურთაცა ზედა მიაქუნდა ოფლისა მისისაგან ვარშამაგებითა და **ოლარებითა**“ (საქ. მოც. **19**:**12**). საზოგადოდ, აღვნიშნავთ, რომ ბერძნული **„ორარიონ“**, რაც უთარგმნელადაა ქართულში შემოსული როგორც „**ოლარი//ორარი**“, უპირველესად განიმარტება როგორც „ცხვირსახოცი“, „პირსახოცი“, „პირსაწმენდი“, ზოგადად „საწმენდი“. თვით ბერძნული **„ორარიონ“** წარმოშობით ლათინურია, სადაც ორარიუმ აღნიშნავს სწორედ პირის, პირისახის საწმენდს (ლათ. ოს, ორის – პირი, პირისახე). **„ორარიონ“**-ის სინონიმია „**ფაკიოლიონ//ფაკიალიონ**“, რაც ასევე ლათინური წარმოშობისაა და იმავე „**პირსაწმენდს**“, „**პირსახოცს**“ (ლათ. ფაციალე – „**სახისა**“). სხვა გააზრებით ტერმინი „**ოლარი**“, როგორც უთითებს ლემპი თავის ცნობილ „ბერძნულ პატრისტიკულ ლექსიკონში“, აღნიშნავს დიაკონის მარცხენა მხარზე

გადადებულ და თავისი ბოლოთი მარჯვენა მკლავის შიგნიდან კვლავაც მარცხენა მხარზე გადაკიდულ და, შესაბამისად, უკან და წინ ჩამოშვებულ ვიწრო გრძელ ქსოვილს, თავდაპირველად ტილოსას, შემდეგ კი მოქარგული აბრეშუმისას, რასაც დიაკონი მსახურებაში იყენებდა. „**ოლარის**“ ტარების უფლება არ ჰქონდა უფრო დაბალი რანგის საეკლესიო მსახურს (კერძოდიაკონს, მედავითნეს, მგალობელს). ამასთან დაკავშირებით ლაოდიკიის კრების **21-22** კანონები გვამცნებს: „არა უკმს **მსახურთა** (იგულისხმება **კერძოდიაკონი** ანუ **ჰიპოდიაკონი**; შდრ ძონარას კომენტარი) **ცუმაჲ ოლარისაჲ** (**„ორარიონ“**) ... არა უკმს **წიგნისმკითხველთა გინა მგალობელთა ცუმაჲ ოლარისაჲ** და ეგრეთ წიგნისკითხვაჲ ანუ გალობაჲ“. ამრიგად, „**ოლარი**“ არის **მხოლოდ დიაკონებისთვის** განკუთვნილი სამოსელი. ზემორე კანონთა კომენტარში ძონარა აღნიშნავს: „**ოლარი დიაკონებისა არის**“ (ათენის სინტაგმა, ტ. **3**, გვ. **191**); ასევე, ბალსამონი მიუთითებს: „**ოლარის ტარება მხოლოდ დიაკონებისთვის არის განკუთვნილ**ი“ (ათენის სინტაგმა, გვ. **191**). „**ოლარი**“ განასახიერებს იმ ხელსაწმენდს, რითაც მაცხოვარმა მოწაფეებს ფეხი შეუმშრალა. იგი აღნიშნავს აგრეთვე ანგელოზთა ანუ „დიაკონთა“ („მსახურთა“, „მაცნეთა“) „**ფრთებს**“. ამავე „**ოლარს**“ დიაკონი წარმოუდგენს მღვდელს, რომ მიიღოს მისგან კურთხევა შემოსვის წინ. ევქარისტიის დროს დიაკონი ეამბორება თავის ოლარს, როგორც ეს წმ. იოანე ოქროპირის ლიტურგიაშია აღნიშნული. ჯვრისსახედ შემოცმული „ოლარის“ ორი ბოლო სიმბოლურად მოასწავებს ორ აღთქმას, ძველს და ახალს. და ბოლოს, დავძენთ, რომ სიტყვა „**ოლარი**“, როგორც ჩანს, უძველეს დროსაა ქართულში შემოსული. ამას გვიდასტურებს „საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანიდან ზემოდამოწმებული ციტატა. საქმე ისაა, რომ მოტანილ ადგილას „**ოლარი**“ არ გვხვდება არც ბერძნულში, არც სომხურში. იგი მოხმობილია საკუთრივ ქართველი მთარგმნელის მიერ, ეს კი უეჭველად ცხადყოფს, რომ „ახალი აღთქმის“ თარგმნისას ლექსიკური ერთეული „**ოლარი**“ უკვე დამკვიდრებული იყო ქართულ ენაში.

138 „მრავალგზის იქნა დანახული ამ ღვთისკაცისგან თავზე სინათლის სვეტი მთელი ღამე, **ღამისთევის** ლოცვისას“ – შდრ. „მრავალგზის იხილვა მისზედა სუეტი ნათლისაჲ კაცისა მიერ ღმრთისა ღამე ყოველ ლოცვასა მას **ღ[ამისთევ]ისასა**“. გამოცემებში ხაზგასმული სიტყვის ნაცვლად გვაქვს „ღირსებისასა“, რაც

აშკარად მცდარია (ისევე, როგორც მცდარია კონტექსტის მარისეული გაგება და შესაბამისი რუსული თარგმანი). თავდაპირველ ტექსტში, საფიქრებელია, ყოფილიყო დაქარაგმებული „**ღამისთევისასა**“, რაც გადამწერისგან დამახინჯდა როგორც „**ღირსებისასა**“. მართლაც, საღვთო სინათლით გაბრწყინება არაიშვიათად მომხდარა „ღამისთევის ლოცვაზე“. აქაც რომ სწორედ ამგვარი ლოცვა იგულისხმება, ცხადყოფს ციტატის სიტყვები: „**ღამე ყოველ**“, რაც ნიშნავს: „**მთელი ღამე**“ (პარალელისთვის შდრ. „ყოველთა კჳრათა **ღამე ყოველ ღამისთევაჲ**“, ე. კოჭლამაზაშვილი, ლიტურგიკული ლექსიკონი, საქ. ეკლ. კალენდ., **2003**, გვ. **330**; შდრ. იქვე „**ღამისთევის ლოცვა**“)

139 „წესის წინამძღვრები“ - საეკლესიო კანონის გამგებელნი.

140 ფს. 91:16.

141 „მოწესე“ - სასულიერო პირი, კლერიკოსი (ბერძნ. კლერიკოს), **„მოყუასი“, „სამღდელოჲსა დასისაგანი“**. იხ. მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილებათა ექვთიმესეული **(„მცირე სჯულისკანონი“)** და არსენისეული **(„დიდი სჯულისკანონი“)** თარგმანები, სადაც ექვთიმეს თარგმანის „**მოწესე**“ არსენთან შენაცვლებულია ტერმინებით: „**მოყუასი“** (კანონი კდ**), „სამღდელოჲსა დასისაგანი“ (კანონი კბ)** და მისთ.

142 „სიტყვახელოვანი“ - ენამჭევრი, მჭევრმეტყველი (ბერძნ. **ტეხნოლოგოს**).

143 „ახალსახეობა“ - სიახლე (ბერძნ. **„კაინისმოს“**. იხ. დიდი სჯ. **246.5**).

144 ხელნაწერისეული **„ბუნებაშეცვალებული“** შესაძლოა იყოს გადამწერის შეცდომა, რადგან უფრო მოსალოდნელია „**გონებაშეცვალებული**“ („ბუნებისა“ და „გონების“ აღრევათა შესახებ იხ. ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, I, თბ. **1996**, გვ. **162-170**).

145 „თქვენი საგამგებლოს განგება“ - ე.ი. თქვენი სამართავის მართვა, თქვენი საპატრონებელის პატრონობა.

146 „კარგი **პასუხი**“ – შდრ. „კეთილი **სიტყჳსგებაჲ**“. მარს „**სიტყჳსგებაჲ**“ გაგებული აქვს „**მისალმებად**“, რაც არაზუსტია

147 „რაც“ – შდრ. „**რომელი**“ (გამოცემებში, ჩვეულებრივ, გვაქვს **„რამეთუ“,** რაც მართებულად არის გასწორებული „სასკოლო გამოცემაში“ სიტყვით **„რომელი“).**

148 „მამამთავრობის საყდარი“ - ე.ი. **„პატრიარქობის ტახტი“.**

149 „შეიწირება ჟამი“ - ე.ი. სრულდება ლიტურგია.

150 ტექსტში ზოგან „**ეპიფანეა**“, ზოგან - „**ეტჯფანე**“. ჩვენ ახალ ქართულ ტექსტში ყველგან „**ეპიფანეს**“ ვწერთ.

151 „როჭიკი“ - სარჩო, ულუფა, საზრდო.

152 „გაუნაწყენდა“ - ამ სიტყვით გადმოვცემთ დედნისეულ **„დაუბრკოლდა**“-ს („ეპიფანე ძმათა მათ დაუბრკოლდა“). ფორმა „დაუბრკოლდა“ არ არის ფიქსირებული და ახსნილი არც ერთ ლექსიკონში. საკუთრივ ზმნა **„დაბრკოლება“ („დააბრკოლებს“, „დაბრკოლდა“)** ორი ძირითადი მნიშვნელობისაა: **„შეფერხება**“ და „**შეცდენა**“. ეს მნიშვნელობები შეუფერებელია კონტექსტისთვის. უეჭველია, რომ სასხვისო ქცევის ვნებითი **„დაუბრკოლდა“ (ის მათ)** სხვა გააზრებისაა, რაც საცნაური ხდება ბერძნულ ეკვივალენტებზე დაკვირვებით. **„დაბრკოლებას**“ ბერძნულში ძირითადად ორი შესატყვისი აქვს: **„პროსკოპტო“** და „**სკანდალიძო**“, რომელთა ვნებითები ნიშნავს: შეურაცხყოფილად თავის გრძნობას, გულნაკლულობას (ვინმეს მიმართ), **განაწყენებას (ვინმესადმი**), რასაც გულისხმობს კიდეც „დაუბრკოლდა“ მოცემულ კონტექსტში.

153 ფილ. 4:5.

154 „ჟამის დარეკვა“ - ზარის (სარეკლის) დარეკვა ღვთისმსახურების დაწყებით წინ (იხ. აგრეთვე ზემოთ).

155 „დაიწყო ჟამი“ - ე.ი. დაიწყო ჟამისწირვის მსახურება.

156 „დეკანოზი“ - მონასტრის მამასახლისის თანაშემწე (ბერძნ. **„ეკლესიარქი“, „კანონარქი**“; შდრ. ე. კოჭლამაზაშვილი. ლიტურგიკული ლექსიკონი, საქართველოს საეკლესიო კალენდარი, **2003**, გვ. **291**).

157 „საზოგადო ჟამისმწირველი“ (დედ. **„საეროდ ჟამისმწირველი“)** - ჟამისწირვის ანუ ლიტურგიის აღმსრულებელი მთელი სამონასტრო კრებულის წინაშე.

158 „წმიდაო ღმერთოჲ“ - ანგელოზთა გალობად შერაცხილი ლოცვა: **„წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო, შეგჳწყალენ ჩუენ“.**

159 „ასამაღლებელი“ - ლოცვის ბოლოს მღვდლისგან ხმამაღლა წარმოსათქმელი ნაწილი (იგივე **„ამაღლებაჲ**“, „**აღამაღლე**“ ან „**აღამაღლოს**“).

160 „სადიაკონე“ – შდრ. „უბრძანა **სადიაკონედ** წარსლვაჲ და განძარცუვაჲ“. ტერმინი „**სადიაკონე//სადიაკონოჲ**“ იგივეა, რაც ბერძნული **დიაკონიკონ**, რომელიც ასეა განმარტებული: „ეკლესიის ნაწილი, განკუთვნილი საკურთხევლის სამსახურებლად, სადაც დაცულია სამღვდელო შესამოსელი და წმინდა ჭურჭელი“ (იხ. გ.ლემპი, ბერძნული პატრისტიკული ლექსიკონი, ოქფორდი, 1961, გვ. **351**) (აღნიშნულ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა*, გვ. **885-887**).

161 II კორ. 6:14-16.

162 „ჟამი შეწირა“ - ე.ი. ჟამისწირვა, ლიტურგია აღასრულა.

163 „კანდელი“ - ლათ. candela (ზმნიდან candeo - თეთრად ბრწყინვა, ნათება), იგივე სანათური (შდრ. ბერძნ. **კანდელა**. შდრ. ე. კოჭლ. ლიტურგ. ლექს. გვ. **298-299**).

164 „მნათე“ – შდრ. „ჟამსა ცისკრისასა დეკანოზმან ჰრქუა **მნათესა**“. „**მნათე**“, როგორც ცნობილია, იგივეა, რაც ბერძნულიდან მომდინარე **კანდელაკი**. გრიგოლ ბაკურიანისძის „ტიპიკონში“ აღნიშნულია; „და ერთი იყოს **მნათედ** – **კანდელაკად**, რომელ ბრძანებისაებრ დეკანოზისა იმჭირვიდეს ეკლესიისა საკუმეველსა და ზეთსა და სანთელსა, ზედაშესა და მხჯელსა (= სასეფისკვრე ფქვილი)“ (**6.11**). ქართული ტექსტის „**მნათე** – **კანდელაკი**“ ბერძნულში გადმოცემულია ტერმინით **„ლიხნაპტეს“**, რაც სიტყვა-სიტყვით **„სანთლის ამნთებს**“ ნიშნავს.

165 „**ჟამისრეკვა“** - ღვთისმსახურებისთვის ზარის დარეკვა (იხ. აგრეთვე ზემოთ).

166 შდრ. „**კეთილად**“, რაც მოტანილ ადგილას ნიშნავს: „**ჯანმრთელად**“.

167 „ევლოგია“ - საბოძვარი, ნაკურთხი ძღვენი, მოსაკითხი (ბერძნ.: **„ევლოგია“** - კურთხევა). ევლოგია შეიძლება იყოს კანდელის ზეთი, ნაკურთხი წყალი, სეფისკვერი, ღვინო ან ნებისმიერი მოსაკითხი. ვითარებითი ბრუნვის **„ევლოგიად**“ ნიშნავს: „**ძღვნად“, „საჩუქრად“**. საკუთრივ იმ ჭურჭელს, რაშიც ევლოგია ანუ ძღვენი ინახებოდა, ერქვა **„საევლოგიე“**.

168 ხელნაწერში გვაქვს **„ვითარცა**“, თუმცა კონტექსტის მიხედვით სავარაუდოა **„ვინაჲცა“ („საიდანაც“)**.

169 აქ, როგორც ჩანს, ტექსტს აკლია.

170 ფს. 140.4 აღნიშნულ ციტატას საკუთრივ მოცემულ კონტექსტში ამგვარი გააზრება აქვს: უსჯულოების მოქმედი ადამიანები თავიანთი ამგვარი მოქმედების საბაბსაც ცოდვისმიერს იმიზეზებენ, ისევე როგორც მრუშობის მოქმედი კურაპალატი მრუშობის გასაგრძელებლად და სიძვის დიაცის უკან წაყვანის საბაბად ასევე ცოდვისმიერ მიზეზს (ქურდობას) ასახელებს (იმიზეზებს).

171 „**წარვიდოდა**“ - აქ ნიშნავს: წამსვლელი იყო, წასვლას აპირებდა, მიდიოდა.

172 ხსენებული დედოფლის.

173 დედნისეული **„ჩოხაჲ“** ნიშნავს სამონაზვნო შესამოსელს, ანაფორას.

174 „ევლოგიად“ - ე.ი. წმინდა საბოძვარად, წმინდამყოფელ ძღვენად, კურთხევის მომნიჭებელ სიწმინდედ (იხ. აგრეთვე ზემოთ).

175 „იცნო“ - ეს **„ცნობა**“ მოტანილ ტექსტში, გარდა პირადი, ფიზიკური ცნობისა, უთუოდ ნიშნავს დედოფლის სულიერი ღირსებების შეცნობას ადარნერსესგან წარგზავნილი კაცის მიერ.

176 I კორ. 14:32.

177 ე.ი. უკეთურმა ძალებმა.

178 „უწყინოდ“ - განუწყვეტლივ (ზ. სარჯ.), მოუწყენლად, მოუწყინებლად.

179 დედნისეული **„წესნი“ („წესთა** მათ ამის სოფლისათა**“)** ნიშნავს **„სტიქიონებს“**. გამონათქვამი **„ამ სოფლის სტიქიონები“** ანუ **„წესნი ამის სოფლისანი**“, რაც დასაძლევია მორწმუნეთაგან ქრისტეს მიერ, გვხვდება **„პავლენში“ (კოლ. 2:8; გალატ. 4:3;** იხ. ე. ჭელიძე, ტერმინოლოგია, გვ. **248-260**.

180 კოლ. 3:3

181 „უცვლელი ძალა“ („უცვალებელი ძალი“), როგორც ჩანს, გულისხმობს მაცხოვარს, განკაცებულ ძე ღმერთს, რომელიც არის **„ღმრთისა ძალი და ღმრთისა სიბრძნე“ (I კორ. 1:24).**

182 „საუკუნე“ აქ ნიშნავს **„ყოფას“, „ყოფიერებას“.**

183 შდრ. **„სხუაჲ საღუაწი ხორცთაჲ“** - ე.ი. ხორციელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი სხვა საშუალება ანუ ხორცთა სხვა შესაწევნელი, სხვა საპატრონებელი, სხვა საზრდო, სხვა საჭმელი.

184 „სერობა“ - „ვახშამი“, ზოგადად „**პურობა“, „ნადიმი“** (აქ არის მინიშნება მაცხოვრის იგავზე. იხ. **ლ. 14:16-24.)**.

185 „ლმობიერად“ - გულმტკივნეულად, მწუხარედ („**ლმობა**“ - ტკივილი, მწუხარება, „**ლმობიერი**“ - მწუხარებაში მყოფი,

დამწუხრებული, გულმტკივნეული; იგ. სოლ. **31**:**6**). აქ იგულისხმება მონატრების ტკივილი.

186 იგულისხმება ხატმბრძოლობის მწვალებლობა.

187 ესაია. 6:3.

188 „კვირიელეისონი“ ქართულად ნიშნავს: **„უფალო შეგვიწყალენ“.**

189 „სარწები“ ნ. მარის მიერ ტოპონიმადაა გაგებული, ზ. სარჯველაძე კი „**ყანად**“ განმარტავს მას, თუმცა აღნიშნული სიტყვა „**ყანის**“ მნიშვნელობით (და საერთოდაც) სხვაგან არსად გვხვდება. კონტექსტიც ტოპონიმად წარმოგვიჩენს **„სარწებს“.**

190 შდრ. „**მრემლი“.**

191 დედნისეული „**სამართალი**“ („**წარმოუთხრეს ცქირისა სამართალი**“) - „**სამართალი**“ მოტანილ ადგილას იურიდიული შინაარსისაა და ნიშნავს „**სარჩელს**“, „**საჩივარს**“, „**ბრალდებას**“, „**სადავო საქმეს**“. ამ აზრით „**სამართალი**“ შეესატყვისება ბერძნულ **„დიკე“**-ს და იტევს ტერმინების **„ენკალეო“**-სა და **„ენაგო“**-ის სამართლებრივ გაგებას. „დიდი სჯულისკანონის“ ძველი ქართული თარგმანის ცნობილი პუბლიკაციის „იურიდიულ ტერმინებში“ სავსებით სწორადაა შეტანილი „**სამართალი**“ როგორც „**სარჩელისა**“ და „**დავის, საცილობელი საქმის**“ აღმნიშვნელი ცნება (იხ. დიდი სჯულისკანონი, თბ. **1975**, გვ. **599**), თუმცა ეს ორი მნიშვნელობა ხსენებულ ლექსიკონში გამიჯნულია (პირველ შემთხვევაში შესატყვისად მითითებულია ლათინური actio, მეორე შემთხვევაში კი - ბერძნული **„დიკე“**, მაშინ როცა ორივე მხრივ ქართულ „**სამართალს**“ სწორედ **„დიკე“,** ესატყვისება, რაც ზმნა **„ეხო“**-სთან კავშირში „სარჩელის“, „საჩივრის“, „სადავო საქმის“ მნიშვნელობით ზოგჯერ შენარჩუნებულია, ზოგჯერ გამოტოვებულია, მაგრამ აუცილებლად იგულისხმება. სწორედ **„დიკე“**-ს ამ შინაარსითაა გამოყენებული „**სამართალი**“ შემდეგ მაგალითებში: „რომელსა აქუნდეს **სამართალი** მოღუაწეთა მიმართ...“ (დიდი სჯ., **164**.**48**), „რომელსა აქუნდეს **სამართალი** მუუსისა ანუ დედათდიაკონისა მიმართ...“ (იქვე, **165**.**29**), „...მათდამი აქუნდეს **სამართალი**“ (იქვე, **164**.**10**). საგულისხმოა, რომ ამავე ძეგლში ტერმინი „**მოსამართლე**“ ნიშნავს სწორედ „**მოსაჩივრეს**“, „**მომჩივანს**“, „**მოსარჩელეს**“ (იხ. დასახ. გამოც. ლექს. გვ. **596**). მისი ბერძნული შესატყვისია ***ენაგონ,*** რაც იურიდიულად ნიშნავს „**სასამართლოში წამყვანს**“ ანუ „**მომჩივანს**“. ეს სრულიად აშკარაა, რადგან იგივე ბერძნული **„ენაგონ“** ამავე

ძეგლში სხვაგან თარგმნილია როგორც „**მჩივანი**“ (**163**.**17**; იხ. დასახ. ლექს. გვ. **597**: „**მჩივანნი** იგი და **მაჩივლებელნი**“), რაც „**მჩივანისა**“ და „**მოსამართლის**“ სინონიმურობას ცხადყოფს. დავძენთ, რომ იგივე **„ენაგონ“**, ეტიმოლოგიურ-იურიდიული შინაარსიდან გამომდინარე (ეტიმოლოგიურად - „**წამყვანი**“, იურიდიულად - „**სასამართლოში წამყვანი**“), თარგმნილია აგრეთვე, როგორც „**საბჭოდ მყვანი**“ (ე.ი. **სასამართლოში წამყვანი**), „**მიმზიდველი**“. ამავე ტექსტში „**მიზიდვა**“ ნიშნავს სწორედ „**სასამართლოში წაყვანას**“ (ანუ „**ჩივილს**“, „**დადანაშაულებას**“), ხოლო „**მიზიდული**“ და „**მისაზიდველი**“ ესაა ის, **ვისაც უჩივლეს**. ამ ტერმინებთან იგივეობრივია „**მჩივანობაჲ“, „მოჩივარობაჲ**“, „**შეჩივლება**“, „**ჩივლება**“. „**ჩივილი**“, „**საჩივარი**“.

192 „თავხედური მიზეზი“ – შდრ. „**წარმდები მიზეზი**“. როგორც ჩანს იგულისხმება ცქირის ასეთი გათავხედების მიზეზი, საჰაკ ამირა.

193 „დაჟინებული თხოვნით“ - ამას ნიშნავს დედნისეული „**წყინებითა**“, რაც გულისხმობს ამირ საჰაკისგან აშოტ კურაპალატის „**წყინებას**“ ანუ მისთვის თავის შეწყენას, შეწუხებას, მისდამი დაჟინებულ თხოვნას, თუმცა ნ. მარის თარგმანში ტექსტი ისეა გაგებული, თითქოს ცქირმა „**მოაწყინა თავი“ საჰაკს**, რაც არაზუსტია.

194 „დამთმობი გახდა“ - უაღრესად გამომსახველია დედნისეული „**მიეშუა**“ („**მიშუება**“ ზმნის ვნებითის ეს ფორმა სხვა ტექსტებში არ დაგვიდასტურებია), რაც ნიშნავს: „**მინებდა**“ ანუ „**დამთმობი გახდა**“.

195 „შემწედ გავიხადოთ“ - აქაც დედნისეული „**შევიწიოთ**“ ნიუანსობრივად მეტად შთამბეჭდავია, რომლის აზრობრივ ეკვივალენტად აღნიშნული ორსიტყვედი შესატყვისი გვესახება.

196 „სასწაული“ - ეს ტერმინი ძველ ქართულში თუმცა ძირითადად „**ნიშანს**“ გულისხმობს, მაგრამ ამ ძეგლშიც და სხვაგანაც არაიშვიათად აღნიშნავს „**საკვირველებასაც**“, რის გამოც ამ შემთხვევაში უთარგმნელად გადმოგვაქვს იგი.

197 „ცოცხალი“ - ამ ტერმინსაც შეუცვლელად ვტოვებთ, რადგან თუმცა ძველ ქართულში ტერმინი „**ცოცხალი**“ ძირითადად „**ჯანმრთელს**“ ნიშნავს, მაგრამ იგი ამავე დროს არაიშვიათად დასტურდება საკუთრივ „**ცოცხლის**“ მნიშვნელობით. მაგ.: „ნაბუთე **ცოცხალ** არს“, III მეფ. **21** (ან **20**). **15**; „ძე იგი შენი **ცოცხალ არს**“ ი. **4**:**50** და სხვა), რასაც ძველ ქართულში უფრო ხშირად

გადმოსცემდა ტერმინი „**ცხოველი**“ („**ცოცხალის**“ ეს მეორე მნიშვნელობა ი. აბულაძის მიერ მითითებული არ არის).

198 **იობ. 5:2**.

199 „**საუკუნოვანი**“ - დედნისეული „**საუკუნითგან**“ ნიშნავს: „**ოდითგან**“, „**დასაბამიდან**“. როდესაც აღნიშნული გამონათქვამი არტიკლსა და არსებით სახელს შორისაა (ეს კი ძალიან ხშირია), იგი ზედსართავის მნიშვნელობას იძენს, რაც ქართულ თარგმანში ზოგჯერ ფორმითაც გამოკვეთილია („**საუკუნითგანნი**“), ზოგჯერ კი ფორმა ზმნიზედურია („**საუკუნითგან**“), შინაარსი კი პრედიკატული. ასე რომ, „**საუკუნითგან წმინდანნი**“ იგივეა, რაც „**საუკუნითგანნი წმინდანნი**“ ანუ **ოდითგან მყოფი, დასაბამიდან გამოჩენილი საუკუნოვანი წმინდანები**.

200 საყვედური, რაც აქ არის მინიშნებული, გულისხმობს იმას, რომ გრიგოლ ხანცთელის განსაკუთრებული ღვაწლისა და მისი პიროვნული აღმატებულების წერილობითი ხაზგასმა ყველასთვის არ აღმოჩენილა სარწმუნო (საზოგადოდ, სამონასტრო ისტორიაში ზოგჯერ დასტურდება შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ მონასტრის წევრები სწორედ მათი მონასტრის დამფუძნებელს აღიარებდნენ თავისი ეპოქის ყველაზე ღირსეულ მოღვაწედ და ეჭვით უყურებდნენ ან ნაკლებად ცნობდნენ სხვა მონასტრების წევრთა ანალოგიურ რწმენას მათი მონასტრების დამფუძნებლებთან დაკავშირებით). წმინდანის გამორჩეული ღირსეულობის მაჩვენებლად, ჩვეულებრივ, მისგან აღსრულებული სასწაულები მიიჩნეოდა. ხანცთელებს სწორედ იმას საყვედურობდნენ, რომ ისინი გადამეტებულად წარმოაჩენდნენ მამა გრიგოლის ღირსებას და რომ ეს ღირსება სასწაულებით არ იყო დადასტურებული. აი, ეს საყვედური მოუსპო ბაგრატ ერისთავთ-ერისთავმა ხანცთის მკვიდრებს, ჩაურთო რა მამა გრიგოლის ცხოვრებაში მრავალი სასწაულთმოქმედებითი თხრობა.

201 „**საათის დარეკვა**“ (დედნ. „**ჟამსა ჰრეკოს**“) - იგულისხმება განსაზღვრულ საათზე („**ჟამზე**“) სარეკელის დარეკვა ლიტურგიაზე ხალხის მოსახმობად.

202 იგულისხმება, რომ დიდი ეკლესია, ბუნებრივია, იღებდა შესაწირავებს, რადგან ეკლესიები ტრადიციულად შესაწირავებით საზრდოობდნენ, მაგრამ თუ ყველა მღვდელი თავის სენაკთან აიშენებდა ეგვტერს და იქ შეასრულებდა წირვას, თავისთვისვე დაიწყებდა შესაწირავთა მოპოვებაზე ზრუნვასაც,

რითაც ფაქტობრივად დიდ ეკლესიას გაუთანაბრებდა თავს, ამდენი მთხოვნელი კი უეჭველად „**აწყინებდა**“ (თავს მოაბეზრებდა) ადამიანებს.

203 დედნისეული „**დამტკიცებაჲ**“ მოტანილ ადგილას საკუთრივ „**მტკიცედ დაცვას**“ ნიშნავს.

204 **II თეს. 3:10**.

205 „**ზეაღმატებული**“ - დედნისეული „**გარდამრე**“ დადასტურებულია **გამოსლ. 18.26**-ში (იხ. ი. აბულაძე, ლექს.). ბერძნული შესატყვისია '„**ჰიპერონკოს**“, რაც ნიშნავს „**მეტად დიდს**“, „**მეტად მოცულობითს**“, გადატანით: „**მეტად მნიშვნელოვანს**“, „**რთულს**“, „**ზეაღმატებულს**“ (შდრ. მეორე რედაქციის „**უზეშთაესი ძალისაჲ**“). საზოგადოდ „ცხოვრების“ აღნიშნული მონაკვეთი მიანიშნებს „გამოსლვათა“ ზემომითითებულ და წინამორბედ მუხლებზე, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ დაადგინა მოსემ ათასისთავები, ასისთავები და ა.შ., რომლებიც „შჯიდეს ერსა მას ყოველსა ჟამსა, ხოლო სიტყუაჲ იგი (=საქმე იგი) **გარდამრე** მიართჳან მოსეს და ყოველი სიტყუაჲ ადვილი განსჯიან მათ“ (გამოსლ. **18**:**26**).

206 დედნისეული „**მოშრომა**“ ნიშნავს „**გარჯით მოსვლას**“, „**ძალისხმევის გამოჩენას, თავის შეწუხებას მოსვლისათვის**“.

207 **I ტიმ. 1:5**.

208 „**უცხადებს უფლებას**“ - შდრ. „**ემართლების**“. ეს იშვიათი ზმნა განუმარტავად არის დამოწმებული ი. აბულაძის მიერ ცნობილი კრებულიდან „მამათა სწავლანი“. მოგვაქვს ციტატა: „უკუეთუ კაცთა შორის თუ ვინმე სცის სხჳსა მონასა, დაღაცათუ **ემართლებინ** რასმე, და განარისხის უფალი იგი მისი, შეურაცხება და წუნობა უჩნს იგი“. აქ „**დაღაცათუ ემართლებინ რასმე**“ ნიშნავს „**თუნდაც სამართლიან პრეტენზიას უყენებს რაღაცაზე**“ (გურულ დიალექტში ეს ზმნა შემორჩენილია. „რას მემართლები?“ ნიშნავს: „რა პრეტენზია გაქვს“, „რას მსაყვედურობ“; ასევე, ირონიული „კი მემართლება!“ ნიშნავს: „კი მეკუთვნის!“ „კი დავიმსახურე!“). ზემორე „ცხოვრებაში“ აღნიშნული ზმნა აშკარად სამართლებრივი შინაარსისაა და ეხმაურება ტერმინ „**სამართლის**“ ერთ-ერთ იურიდიულ მნიშვნელობას. ეს მნიშვნელობაა „**უფლება**“, „**პრივილეგია**“ (იხ. „დიდი სჯ.“, დასახ. გამოცემაზე დართული „იურიდიული ტერმინები“, გვ. **599**).

209 „**სამართალი**“ აქ ნიშნავს „**სამართლებრივ კოდექსს**“,და არა „**სამართლიანობას**“, როგორც ეს ნ. მართან გვაქვს.

210 **„ცოცხალია უფალი და შენი წმინდა ლოცვა“** - ეს არის დაპირების ერთ-ერთი ფორმულა.

211 **I ტიმ. 1:5.**

212 **ი. 13:45.**

213 **მრ. 13:37.**

214 დედნისეული **„მშჯდობაჲ დაუტევა“** ნიშნავს „**გამომშვიდობებას**“ (იგულისხმება ამქვეყნიური გამომშვიდობება კონკრეტულად შატბერდის ტაძართან). იგივე გამოთქმა მეორდება ქვემოთაც.

215 შდრ. **მ. 25:14-30.**

216 **„შეწირული“** - აქ ნიშნავს: **აღსრულებული, გაწეული** (რადგან ყოველი საქმე, რასაც წმინდანი აღასრულებს, სულიერი შესაწირავია ღვთის წინაშე, ამიტომ მათგან გაწეული სამონაზვნო ღვაწლი იგივე ღვთისადმი შეწირული მსახურებაა).

217 დედნისეული „**საცნაური**“ ნიშნავს „**გონებით აღსაქმელს**“, „**არაამქვეყნიურს**“, „**ზეციურს**“, „**სულიერს**“, „**გონისეულს**“ (იხ. ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, თბ., **1996**, გვ. **427-452**).

218 შდრ. **გალატ. 2:4.**

219 შდრ. **1 კორ. 1:11-12.**

220 თუ რა იგულისხმება **„წერილში“**, ძნელი სათქმელია. სწავლებას ზოგიერთი მწვალებლის ხელმეორედ მონათვლის, ზოგიერთის კი ხელმეორე მონათვლის გარეშე მიღების შესახებ გვაწვდის „დიდი სჯულისკანონი“, კერძოდ: **ნიკიის კანონები - 8; 15. ლადიკიისა - 8. კონსტანტინოპოლისა - 7, კართაგენისა - 47; 57; VI მსოფლ. კრებისა - 95; ბასილისი - 1; 47.**

221 შდრ. **მსაჯ. 15:4-5.**

222 **„ცდებიან იმ საშოდან, რაც მათთვის მეორედშობად მიიჩნევა“** - ამ რთული წინადადების აზრი შემდეგია: მწვალებლები ნათლისღების ანუ მეორედშობის (იგივე ახალშობის ანუ სულიერი შობის, ბერძნ. „პალინგენნეზისის“ ანუ „ანაგენნეზისის“) მადლს მოკლებულნი არიან, რადგან მათი ე.წ. სულიერად მშობელი ანუ მეორედმშობელი წიაღი, სულიერი „საშო“ გადაგვარებულია და ჭეშმარიტ ახალშობას ვერანაირად ვერ აღასრულებს. ამიტომ მწვალებლები, წმ. გრიგოლის სიტყვით, სულიერად მკვდარი (ანუ სულიერი სინათლის უქონელი) საშოდან თავიდანვე გადაგვარებულნი, „ცთომილნი“ ანუ სულიერად მკვდრადშობილნი იბადებიან, თუმცა კი ისინი ამ მკვდრადშობილობას

„მეორედშობად“ საზრობენ. შესაბამისად, მწვალებლები, უნათლონი და ცთომილნი, სხვებს უცთომელი ახალშობის სინათლეს ვერ მიანიჭებენ.

223 „**კრძალვა**“ ძველ ქართულში, ჩვეულებრივ, „**ყურადღებას**“, „**ყურადღებით ყოფნას**“, „**ყურადღების მიქცევას**“ ნიშნავს (ამ ტერმინის შესახებ იხ. ე. ჭელიძე, ტერმინოლოგია, გვ. **663-665**).

224 წმ. გრიგოლ ხანცთელის ეს აზრი, რაც საეკლესიო რჯულდებას არ თანხვდება (იხ. ზემოთ მითითებები „დიდი სჯულისკანონის“ შესაბამის განჩინებებზე), პარალელს პოულობს ადრეული ეპოქის (III ს. შუა წლები) ცნობილ მოღვაწესთან, წმ. კვიპრიანე კართაგენელთან, რომლის თავმჯდომარეობით გამართულმა კართაგენის სამმა ადგილობრივმა კრებამ (**255-256** წწ.) ყველა მწვალებლის მონათვლა დაადგინა. ეს ფაქტი ასახულია „დიდი სჯულისკანონის“ შევსებულ ნაწილში, სადაც ვკითხულობთ: „ხოლო კჳპრიანესმიერი კრებაჲ ყოველთა მწვალებელთა მართლმადიდებლობად მომავალთასა ბრძანებს ნათლისცემასა მეტყუელი, ვითარმედ: „მწვალებელთა ნათლისცემაჲ არა არს“ („დიდი სჯულისკანონი“, გვ. **201**). ამგვარი პოზიცია კვიპრიანემდე იყო ჩამუალიბებული კართაგენში. მწვალებელთა ნათლობის ძალადაკარგულობას ასაბუთებდა ტერტულიანე თავის ნაშრომში „ნათლისღების შესახებ“. ეგევე დებულება შეიმუშავა აგრიპინუსის მიერ დაახლ. **220** წელს მოწვეულმა აფრიკისა და ნუმიდიის ეპისკოპოსთა დიდმა კრებამ. წმ. კვიპრიანესა და კართაგენის ხსენებულ კრებებს მკვეთრად დაუპირისპირდა პაპი წმ. სტეფანე (**254-256**). შემდგომში საყოველთაო დადასტურება ჰპოვა წმ. სტეფანეს განჩინებამ, თუმცა, როგორც ვხედავთ, წმ. გრიგოლ ხანცთელი სწორედ წმ. კვიპრიანეს და მის თანამოაზრეთა დებულებას ეთანხმება, რაც VIII-IX სს-ისთვის მეტად მოულოდნელია.

225 **„დავის მიზეზი“** - შდრ. **„ცილობისა იჭჯ“**. პირველი სიტყვა („**ცილობა**“) სწორედ **„დავას“, „კამათს“, „პაექრობას“** ნიშნავს. რაც შეეხება „**იჭუს**“, იგი მოტანილ ადგილას გულისხმობს საკუთრივ „**დაეჭვების მიზეზს, საფუძველს**“, ანუ იმას, რამაც შესაძლოა ეჭვი და, შესაბამისად, დავა გამოიწვიოს.

226 **ესაია. 6:3.**

227 **.„ხოლო გრიგოლ ღვთისმეტყველი ასე ამბობს სამების სამგვამოვნების შესახებ: „როდესაც სამი სანთელია სახლში, შეუ-**

ძლებელია მათი სინათლის განყოფა ან კიდევ შერევა მათი“ - შდრ. „**ხოლო გრიგოლ ღმრთისმეტყუელი იტყჳს სამებისა სამგუამოვნებისათჳს: „რაჟამს იყვნენ სამნი სანთელნი სახლსა შინა, ვერ ეგების განყოფაჲ ნათლისა მათისაჲ და ვერცაღა კუალად [224] შერევნაჲ მათი**“. საფიქრებელია, რომ მოტანილ ადგილას წყაროდ იგულისხმებოდეს არა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, რომლის შრომებშიც ზემორე სწავლება არ დასტურდება, არამედ წმ. დიონისე არეოპაგელი, რომელიც თავის შრომაში „საღვთო სახელთა შესახებ“ გვაუწყებს: „ ... **ისევე როგორც ერთ სახლში მყოფი ჩირაღდნების სინათლეები, - გრძნობადი და ახლობელი ნიმუშებით რომ ვისარგებლო, - მთლიანნიც არიან ურთიერთში როგორც მთლიანებში, და ურთიერთისგანაც ზედმიწევნითი გამიჯნულობა აქვთ განცალკევებულად, არიან რა შეერთებულნი გამიჯნულობაში და გამიჯნულნი შეერთებაში. და, მაშ, ვხედავთ, რომ როდესაც სახლში ბევრი ჩირაღდანია, ერთ რამ სინათლედ არის შეერთებული ყველა მათგანის სინათლე და ისინი ერთ განუყოფელ სინათლეს აღაბრწყინებენ, და, როგორც მგონია, ვერავინ შეძლებს ყველა სინათლის შემცველი ჰაერიდან ამათუიმ ჩირაღდნის სინათლის სხვათაგან გამოყოფას და ერთი მათგანის მეორის გარეშე ხედვას, არიან რა ისინი მთლიანნი მთლიანთა შორის შეურევლად თანაშეზავებულნი**“ (თ. II, **4**).

228 საფიქრებელია აქ იგულისხმებოდეს წმ. კირილე ალექსანდრიელის „**განძის**“ ანუ „**საუნჯის**“ (ბერძნ. „**თესაუროს**“) შემდეგი სიტყვები: „**ხოლო თუკი არც წამი, არც შუალედი, არცთუ სხვა რამ არის ძის უწინარეს, საიდან ამბობენ, რომ წინაარსებულია მამა, როდესაც ამ წინაარსებობის მომასწავებელი არაფერი იპოვება?**“ (შდრ. ფგ. **75**, **305**).

229 ფს. **67.36**.

230 „**ისინი, მშვიდობის სავანეები**“ - დედნისეული „**მშჯდობისა სადგურთა მათ**“ ნ. მარის მიერ მიკუთვნებულია წინა სიტყვებისადმი („**ვითარცა განთენა**“), ანუ იგი მძიმეს სვამს ზემორე სიტყვების („**სადგურთა მათ**“) შემდეგ და წინადადების პირველ ნაწილს ასე იაზრებს: „**როდესაც გათენდა იმათ მშვიდობის სავანეებში, ...**“. ასეთივე გაგებაა ს. ყუბანეიშვილის, ხელნაწერთა ინსტიტუტის და „ქართული მწერლობის“ სერიალის გამოცემებში, რაც აშკარად მცდარია, რადგან, ერთი მხრივ, „**განთენა**“ არ მოითხოვს ადგილის გარემოებას, მეორეც, მრავლობითი („**სადგურთა**“) შეუფერებელია კონტექსტისათვის, რადგან წმინდანები

იმყოფებიან ერთ ადგილას, ერთ სახლში (შდრ. „**ერთსა შინა სახლსა იყვნეს სამნივე**“), მესამეც აბზაცით დაწყებულ წინადადებაში მთავარს (ზემორე გააზრებით) ქვემდებარე აკლდება. ამრიგად, წინადადებას ასეთი სახე უნდა ჰქონდეს: „**და ვითარცა განთენა, მშჯდობისა სადგურთა მათ ურთიერთას მშჯდობაჲ დაუტევეს**“. ამგვარი ტექსტი გვაქვს „სასკოლო გამოცემაში“. ასე რომ, „**მშჯდობისა სადგურნი**“ **არიან თვით ეს წმინდანები** (შდრ. „**ნავთსადგური**“ - წმინდანთა ცნობილი ეპითეტი. თვით „სადგურიც“ არაიშვიათია წმინდანთა მიმართ. მაგ., ექვთიმე ათონელისადმი: „**სადგურსა** სულისა წმიდისასა ... ეფთჳმის ... პატივვსცემდეთ“, ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტ., I, თბ. **1946**, ს. ყუბანეიშვილის გამოც., გვ. **544**; წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის შესახებ: „განწმედილ **სადგურ** შჯდთ მადლთა სულისათა“, ხელნ. ier. **43**, **1** v). დავძენთ, რომ მოცემულ წინადადებაში გამოყენებულია სიტყვათა თამაშის რიტორიკული ხერხი: „**მშჯდობისა სადგურთა მათ ურთიერთას მშჯდობაჲ დაუტევეს**“.

231 ფს. **144:19**.

232 დედნისეული „**კერეონთა სანთელთაჲ**“ (ანუ „**კერეონების სანთელთა**“), ჩვენი აზრით, მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილია, რადგან სხვა შემთხვევაში „**კერეონთა**“ უნდა ყოფილიყო „**სანთელთა**“-ს ეპითეტი, რაც შეუძლებელია, ვინაიდან ტერმინი „**კერეონი**“ არსებითი სახელია და „**ცვილის დიდ სანთელს**“ ნიშნავს. ზემორე გამოთქმა მიანიშნებს, რომ თავისი აღსასრულის წინ წმ. გრიგოლმა შესაწირავის სახით გაიღო არა ჩვეულებრივი, არამედ საკუთრივ კერეონების ყაიდის სანთლები. საყურადღებოა, რომ აქ გვაქვს აშკარა პარალელი „წმ. აბო თბილელის მარტვილობასთან“, რომლის მიხედვითაც აბომ, თავის კვეთის წინა ღამეს, ითხოვა „რაჲთა უყიდონ მას **სანთელად კერეონები** და საკუმეველი და წარსცა ყოველთა მათ ეკლესიათა ქალაქისათა, რაჲთა აღანთონ ..., ხოლო მან მიიხუნა **ორნი სანთელნი დიდნი** კელთა თჳსთა...“ (ძქალძ, I, გვ. **67**).

233 „**იმ ჟამს, როდესაც გრიგოლის სიცოცხლის დრო [დასრულდა], შეიკრიბნენ...**“ - დედანში გვაქვს საკმაოდ რთული წინადადება: „**შემოკრბეს ჟამსა მას დროჲსა დღისა მისისა**“. აქ „**დღე**“, ცხადია, „**სიცოცხლეს**“ ნიშნავს, ხოლო „**დროჲ**“ - „**ვადას**“ (რომელიც ამოიწურა).

234 მ. **25:36**.

235 „**ავაზაკთან ერთად ყველა მორწმუნეს თავისი წმინდა ჯვარი მიანიჭა მან**“ – შდრ. „**ავაზაკისა თანა ყოველთა მორწმუნეთა წმიდაჲ ჯუარი თჳსი მიანიჭა წინამძღურად**“. ამ მოკლე ფრაზაში გადმოცემულია საეკლესიო სწავლება იმის შესახებ, რომ უფლის მაცხოვნებელი მღვდელმოქმედება საკვირველად გამოვლინდა მის გვერდით ჯვარცმული კეთილგონიერი ავაზაკის მიმართ, რომელსაც განკაცებულმა და ჯვარცმულმა ღმერთმა პარასკევსვე სამოთხეში დამკვიდრება აღუთქვა (შდრ. ლკ. **23.42-43**) (აღნიშნულ საკითხზე ვრცლად იხ. *ჭელიძე, ლიტერატურა*, გვ. **909-926**).

236 იგულისხმება, რომ როგორც წმინდა ანგელოზები უწინამძღვრებენ და მფარველობენ ადამიანებს, ასევე – საუფლო ჯვარიც.

237 „**გამოუფიტავ მიწაზე**“ - დედანშია რთულად გასაგები შესიტყვება „**ქუეყანასა მოუკლებელსა**“ („ტკბილსა მას საზრდელსა **ქუეყანასა მიუკლებელსა** ღირსქმნულო“). თუ აქ ხელნაწერში რაიმე ტექსტობრივი შეცდომა არ გვაქვს, მაშინ ტერმინი „**მოუკლებელი**“ უნდა აღვიქვათ არა მისი ძირითადი მნიშვნელობით, რაც ნიშნავს „**უწყვეტს**“, „**განუწყვეტელს**“, ანდა აღნიშნულის სინონიმური გააზრებით, რაც ნიშნავს „**დაულეველს**“, „**შეუმცირებელს**“, „**დაუკლებელს**“ (შდრ. ლ. **11.33**), არამედ - იმ შინაარსიდან გამომდინარე, რაც ასევე მოეპოვება „**მოუკლებელის**“ ბერძნულ შესატყვისს „**ანეკლეიპტოს**“. ეს უკანასკნელი, გარდა მითითებულისა, ნიშნავს: „**გაუღარიბებელს**“, „**გამოუფიტავს**“.

238 „**გულით წმინდაო და შენი სულით კი ღვთისმხილველო**“ - **დედანში გვაქვს: „წმიდაო გულითა და სულითა შენითა ყოლადვე ღმრთისმხილველო**“. ნ. მარს მძიმე აქვს დასმული სიტყვასთან „**შენითა**“, რის გამოც მას მოტანილი ტექსტი ასე ესმის: „**შენი გულით და სულით წმინდაო, სისრულით („ყოვლადვე“) ღვთისმხილველო**“. ეს გაგება გაზიარებულია ყველა მომდევნო გამოცემაში, მათ შორის „ძქალძ“-ში, სადაც ტექსტს ასეთი სახე აქვს: „**წმიდაო გულითა და სულითა შენითა, ყოვლადვე ღმრთისმხილველო**“. სინამდვილეში, გარდა აშკარა ხელოვნურობისა, სრულიად შეუძლებელია გამოყოფილად არსებობა შესიტყვებისა „**ყოლადვე ღმრთისმხილველო**“. ამასთან, დაკანონებული სინტაგმებია „**წმიდაჲ გულითა**“ **(შდრ. მ. 5.8) და „სულითა ღმრთისმხილველი**“ ან „**სული ღმრთისმხილველი**“ (მაგალითად, თუნდაც ამავე „ცხოვრების“ შემდეგი ადგილი: „შენ უწყი **სულითა შენითა ღმ-**

რთისმხილველითა“, თ.**42**; შდრ. ზემორე: „**სულითა შენითა ყოლადვე ღმრთისმხილველო**“).

239 შდრ. **მ. 5.12; ლ. 6.23.**

240 შდრ. **II ტიმ. 7-8.**

241 „**კვლავხმობის დრომდე**“ – ე. ი. მეორედ მოსვლამდე.

242 დედნისეული „**მომიკსენე სუფევითა შენითა**“ მიანიშნებს ავაზაკის სიტყვებზე: „**მომიკსენე მე, უფალო, ოდეს მოხჳდე სუფევითა შენითა**“ **(ლ. 23.42).**

243 „**მეტყველება**“ - დედნისეული „**ზრახვანი**“ ნ. მარს თავისთავად მართებულად აქვს თარგმნილი როგორც „**ჩანაფიქრები**“, რადგან შესაბამის ფსალმუნურ მუხლში „**ზრახვის**“ სწორედ ეს მნიშვნელობა („**ჩანაფიქრი**“, „**განზრახვა**“, „**ფიქრი**“) იგულისხმება, მაგრამ საკუთრივ „ცხოვრების“ ავტორი გიორგი მერჩულე (ან რედაქტორი) ამჯერადაც, ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში (იხ. თუნდაც მომდევნო შენიშვნა), გამოდის ხსენებული ფსალმუნის საკუთრივ ქართული ტექსტის თავისეული გააზრებიდან. ცნობილია, რომ ზმნა „**ზრახვა**“ ძველ ქართულში ხშირად აღნიშნავს „**მეტყველებას**“, „**საუბარს**“, „**ლაპარაკს**“ და მისთ. მოტანილ კონტექსტში სწორედ **ადამიანური, ხორციელი მეტყველების გაუქმებაზე და სულიერი მეტყველების შენარჩუნებაზე** არის საუბარი, რის გამოც ეჭვი არაა, რომ „**ზრახვანი**“ მოხმობილია სწორედ „**მეტყველების**“ და არა „**განზრახვის**“ შინაარსით.

244 ფსალმუნური მუხლი ჰაგიოგრაფის მიერ ამჯერადაც დამოწმებულია ქართული ტექსტის თავისეული აღქმიდან გამომდინარე. ამას ადასტურებს ტერმინი „**საკსენებელი**“ („... იხარებენ **საკსენებელსა** ზედა მათსა“). მართლაც, შესაბამისი მუხლის ორიგინალში, ისევე როგორც ბერძნულში და სხვაენოვან თარგმანებში, ყველგან გვაქვს აბსოლუტურად სხვა შინაარსის ლექსიკური ერთეული, კერძოდ „**საწოლი**“, „**სარეცელი**“. გიორგისეულ თარგმანში შესატყვისია „**სარეცელი**“. უფრო ადრეული რედაქციის ხელნაწერებში (AE) სახეზეა ამავე შინაარსის „**სასუენებელი**“. ცალკე გამოიყოფა **ბ ნუსხა**, სადაც დასტურდება სწორედ ჩვენთვის საყურადღებო „**საკსენებელი**“ (CD ნუსხებს აღნიშნული ნაწილი აკლიათ). **რადგან ბ-ს თავისებური მონაცემი პირდაპირ თანხვდება „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებას“, აშკარაა, რომ „ცხოვრების“ ავტორი „ფსალმუნთა“ ციტირებისას სარგებლობს სწორედ ბ-ს ტიპის ნუსხით (თუმცა არა უშუალოდ ბ-თი), შესაძლოა სულაც ბ-ს (ე.ი. სინ. 42-ის) დედნით.** ამასთან,

ხსენებული მონაცემი, სრულიად უეჭველად, **ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული გადამწერის მექანიკური შეცდომის შედეგად**, რომელმაც „**სასუნებელი**“ ამოიკითხა როგორც „**საკსენებელი**“, რაც კონტექსტისთვის თითქოსდა უფრო მისადაგებულიც ჩანდა. აი, ამგვარ ტექსტს ეყრდნობა ჰაგიოგრაფი, რომელიც ხსენებულ ფსალმუნს იმოწმებს სწორედ „**წმინდანთა საკსენებლის**“ (ანუ მოხსენიების, ხსოვნის) მნიშვნელობით, ე.ი. იმ მნიშვნელობით, რომ **ვინც წმინდანების ხსოვნას ინახავს, ვინც მოიხსენებს და ვედრებას აღუვლენს მათ, ასეთ ადამიანს არც წმინდანები ივიწყებენ, რადგან უხარიათ მათ ჩვენგან მოხსენიება**, მაგრამ ეს შინაარსი მხოლოდ იმ ტექსტს აქვს, რაც **ბ-ს ტიპის ხელნაწერმა** შემოგვინახა და რასაც საკუთრივ ფსალმუნთა ნამდვილ აზრთან არაფერი აქვს საერთო, აღმოცენებულია რა საკუთრივ ქართულ ნიადაგზე გადამწერის მექანიკური ცთომილების შედეგად.

245 შდრ. **მ. 24:31: „და წარავლინნეს ანგელოზნი თკსნი საყკრითა მისა დიდისაჯთა და შეკრიბნეს რჩეულნი მისნი ოთხთაგან ქართა კიდითგან ცათაჯთ, ვიდრე კიდედმდე მათა“.**

246 „შენ იცი ჩვენი სიყვარული, თუმცა ხორციელად არ გვინახიხარ“ - ნ. მარი წერტილს სვამს სიტყვასთან „**სიყვარული**“. მომდევნო სიტყვებს („**თუმცა ხორციელად არ გვინახიხარ**“) იგი ახალი წინადადების ნაწილად მიიჩნევს, რის გამოც მძიმეს სვამს სიტყვასთან „**გვინახიხარ**“ და მას მოადევნებს შემდგომ სიტყვებს: „**ნუ დაგვივიწყებ ჩვენ**“. მისი გაგება ასეთია: „**შენ იცი ჩვენი სიყვარული. თუმცა ხორციელად ვერ გვხედავ, ნუ დაგვივიწყებ ჩვენ**“. აღნიშნული გაგება შენარჩუნებულია ყველა გამოცემაში, მაგრამ საქმე ისაა, რომ ნ. მარს ძველი ქართული „**გჯხილავ**“ („დაღაცათუ არა **გჯხილავ** ჯორციელად“) ესმის როგორც „**გვხედავ**“, რაც აშკარად მცდარია, რადგან „**გჯხილავ**“ არის „**ხილვა**“ ზმნის **I** თურმეობითი, რომლის პირდაპირი ობიექტი მეორე პირია (პირდაპირ ობიექტად მესამე პირის შემთხვევაში იქნებოდა „**გჯხილავს**“), რასაც დღეს მეშველი ზმნა აწარმოებს (ე.ი. „**გჯხილავ**“ თანამედროვე ქართულზე ზუსტი ანალოგიით იქნება: „**გვიხილავხარ**“, ანუ „**გვინახიხარ**“). შესაბამისად, მიზანშეწონილი ჩანს, რომ ამ სიტყვის შემდეგ წერტილი დაისვას და არა მძიმე.

247 „ქრონიკონი“ - პრაქტიკულად მხოლოდ ქართულ საეკლესიო ტექსტებში დადასტურებული წელთაღრიცხვა (ათვლის წერტილია ჩვ.წ. **780** წ.).

248 „წიგნისმკითხველი“ - ღვთისმსახურების ჟამს საღვთო წერილის საკითხავთა ხმამაღლა მკითხველი.

249 იგავ. 13:9.

250 შდრ. **სიბრძნ. სოლ. 3:1.**

251 „**მზისთვალი**“ - **„მზის ბირთვი“, „დისკო**“, იგივე „**მზე**“.

252 იგავ. 10:7 (შდრ. გიორგი მცირის „წმ. გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების“ დასაწყისი).

253 „შინ იყო“ - ე.ი. თავის სენაკში იყო.

* * *